ჯანსულ ლვინჯილია

სულ ალბათ ჯერ

ფიქრები საკაცის პირველ ნაბეგზე

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1987

63.8(2რ)
ღ 596

ჩემი მიზანი იყო გამეანალიზებინა ქართველი ხალხის ეროვნული ხასიათი ორი ურთულესი ეპოქის ფონზე.

დავით აღმაშენებლის დრო დაგვანახვებს ზეაღმავალ, ძალმოსილ, სრულყოფისაკენ მიმსწრაფი ერის სახეს.

გიორგი საკაძის დრო გვიჩვენებს ისტორიის კრიზისულ წუთებში გამჟღავნებულ დიდ პოტენციას; დაკარგული წონასწორობის აღდგენისა და სრული მობილიზების უნარს.

ამ თვალსაზრისით აუცილებელი მეჩვენება „სული აღმაშენებლისა“ და „გიორგი საკაძის პიროვნების“ ერთ წიგნად გაერთიანება.

ავტორი

მეორე გამოცემა

0505040000
Г ——————— 87
М601(08))—87

რამდენიმე ათასი წელიწადია მიჰყვება ქართველი ხალხი თავის ისტორიულ გზას. ეს რამდენიმე ათასი წელიწადი თითქმის უტოლდება კაცობრიობის ცივილიზაციის ასაკს. ამ ხნის მანძილზე მომხდარი ამბების, ისტორიული მოვლენების, წლების, საუკუნეების, ეპოქების ჯამი წარმოგვიდგენს კავკასიონთან მდებარე ქვეყნის სულიერ და ფიზიკურ სახეს. დღეს აღარავინ დავობს იმაზე, რომ კაცობრიობა შედის თავისი განვითარების ურთულეს ხანაში, მოქმედებენ მსოფლიო ურთიერთობის ახალი კანონები, იცვლება ცხოვრების წესი, სტილი, იცვლება ერთა შორის დამოკიდებულების შინაარსიც, მუშტრის თვალით იზომება ყოველი ხალხის, ყოველი ქვეყნის ხასიათი, თვისებები, გამძლეობის ფესვები და ხერხემალი. ყოველ ქვეყანას თავისი ფუნქციის და თავისი, როგორც ერის, დანიშნულების გააზრება ესაჭიროება კიდევ ერთხელ, ახალი დროის გარემოცვაში. ეს გააზრება ძალთა შეფასებასაც გულისხმობს, ენერგიის მოსინჯვასაც, თვისებათა საგულდაგულო შემოწმებასაც, რადგან გასარკვევია დიდი, ძალიან დიდი პრობლემა: რა სახით უნდა წარდგეს დიდ საკაცობრიო მეჯლისში ესა თუ ის ერი და ამ საუკეთესო ფორმის მისაღწევად რა მიმართულებით უნდა განვითარდეს ერის ოდითგან გამკვრიეებული ხასიათი.

საამისოდ კი აუცილებელი ხდება, ცალკეული ამბების, ისტორიული მოვლენების, წლების, საუკუნეების, ეპოქების ჯამი ერის ფიზიკური და სულიერი თვისებების შინაარსად გავიაზროთ, გავიაზროთ ქვეყნის ისტორიული გზა.

ამ გზაზე ქართველი ხალხი ბუნებით მომადლებულ თვისებებს ხვეწდა, მაღლდებოდა სულიერად და უმძიმეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში თუ ცხოვრებისეულ შეჯიბრებაში ღირსეულად აელენდა თავის არსს.

ხალხის ზნეობრივი დაკნინების საფრთხე მუდამ არსებობდა. ქართველ ხალხს ზნეობრივი დაკნინების დროებიც ახსოვს, როდესაც გადაგვარებისაკენ მიდრეკილ ბუნება საგანგაშო სიგნალებს გამოსცემდა. ეს ხდებოდა დაჩაგრობლის ვერაგული პოლიტიკის დაწოლით, — იძულებით, მაგრამ ფაქტია, რომ ხდებოდა და ქვეყნის სახე ძირეულ ცვლილებებს განიცდიდა. ცვლილება ისეთ საზღვრებს აღწევდა, რომ ხალხი თავსაც ვერ ცნობდა ზოგჯერ.

ისტორიის გზა ყოველთვის რთული გზაა, მისი დღე არ ემთხვევა მარტივ ტრაექტორიას — მზის ამოსვლასა და ჩასვლას. ათასობით უცხო სხეული იჭრება ქვეყნის ორგანიზმში და ცვლილებები ყოველთვის მოსა-

ლოდნელია. ასეთ დროს, შესაძლებელია საერთოდ მოდუნდეს ეროვნული სიფხიზლე. შესაძლოა, საუკუნეების რომელიღაც მონაკვეთში მთლიანად ამოვარდეს თავისი ბუნებრივი კალაპოტიდან და მოხეტიალე მდინარედ იქცეს. ე. ი. თავისი სახე დაკარგოს, ეს ცხადია, ფიზიკურ განადგურებაზე უარესია. ფიზიკური განადგურება დიდ ისტორიულ უბედურებად გეევლინება, მაგრამ სამაგიეროდ ერი არსებობას წყვეტს თავისი ჭეშმარიტი სახის დაუკარგავად. გადაგვარებული ერი კი ფიზიკურ არსებობას განაგრძობს დანიშნულების გარეშე. არავის არ სჭირდება ასეთი ხალხი, რადგან მასში არაფერია საინტერესო, ანგარიშგასაწევი, იგი დროსა და ადგილს აცდენს ცის ქვეშ, ემსგავსება საექსპლოატაციო მიწას, სადაც მხოლოდ მოსავალს იმკიან სხვები. აი, ასეთი არსებობა ემუქრებოდა და ემუქრება ყოველ ერს, ვინც კი ვერ გადაარჩენს თავის თანდაყოლილ ბუნებას ისტორიის ძნელ გზაზე, ვინც გამუდმებით არ წვრთნის თავის სულს. ხალხის თვისებების, სულის გასაწვრთნელად კი დროდადრო აუცილებელი ხდება სინამდვილის ბოლომდე შეცნობა ეცადოთ. აუცილებელი ხდება ფხიზელი ჰვრეტა, სიმართლის პირში თქმა, რათა სისხლი არ დაიბანგოს, არ მოდუნდეს და ძარღვებში არ გაბლანტდეს. ასე წვრთნიდა დღეისათვის საუცხოოდ გამოჩინებულ ერებს ისტორიკოსთა, სოციოლოგთა, მწერალთა... ნაშრომები. ბუნებისგან მომადლებული ხალხის თვისებები, მხოლოდღა პირველ ხანებში თუ ვითარდებოდა სტიქიურად, ინსტინქტების წყალობით. ინსტინქტების, ინტუიციის ანაბარა მხოლოდ რამდენიმე საუკუნეს თუ იარსებებს ის თვისებები, შემდეგ მას გონივრული ამოკითხვა და მეცნიერული სიმაღლეებიდან შეცნობა ჰირდება, რათა ერის სულში უნივერსალური კანონების იერი მიიღონ ამ ნიშნებმა. „დაკანონებული“ თვისებების მოქმედების არე განუსაზღვრელად ფართოვდება, იგი გააზრებული კატეგორიების სფეროში ექცევა. „შუშანიკის წამება“ გვიდასტურებს, რომ ქართველ ხალხს თავისი ღირსეულობა და უღირსობაც ნათლად ჰქონდა დანახული ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში. ამ მოთხრობაში ისერიგად შიშველდებიან პიროვნებანი, შიშველდება საზოგადოების, ხალხის და საბოლოოდ ქვეყნის თვისებები, რომ ცხადია, თუ რა პოზიცია ეჭირა ჯანსაღ გონს ერისას. საქმე არ ეხება მარტოოდენ ვარსქენის ტიპის მოღალატეს. მოღალატეობა ჩვეულებრივი ამბავია ისტორიისათვის. საქმე ეხება ღალატს, როგორც თვისების აზავთებას, რასაც ქვეყნის ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში სხვა მასშტაბები შეუძენია.

სულ ორიოდე საუკუნის შემდეგ იოვანე საბანისძე თავის მოთხრობაში წერს ქართველების შესახებ: „ირწევიან ვითარ[illegible]ლერწამნი ქართაგან ძლიერთა.“ ეს არ გახლავთ მარტოოდენ მხატვრული ფრაზა. ამ ფრაზაში მოქცეულია მეცნიერება, კერძოდ, იმდროინდელი საქართველოს სულიერი მდგომარეობის შესახებ. შემდგომ და შემდგომ ხალხის სულიერი მდგომარეობის ასახვას განუწყვეტელი პროცესის სახე ჰქონდა. მხატვრულ სამოსელში მოქცეული მამხილებელი ტონი მეცნიერული განსჯის ფუნქციას იტვირთავდა და დარღვეულ წონასწორობაზე, დაკარგულ სახეზე მიანიშნებდა დაჟინებით. ასეთია დავით გურამიშვილი, კალმასობა,

ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ილია, აკაკი, ვაჟა... მაგალითად, ილია ჭავჭავაძის შემოქმედება არსებითად ქართველი ხალხის ეროვნული არსის შეცნობისა და გააზრების ნიმუშია. ეს გახლავთ ერის თვისებათა ისტორია მხატვრულ ენაზე გადატანილი. ხალხის სულის წვრთნა ილიას შემოქმედების უმთავრესი მიზანი გახლდათ. სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური საკითხები, რითაც ასე მდიდარია „აჩრდილის“ ავტორის შემოქმედება, სრულებითაც ვერ ფარავს იმ პირველს, ძირითადს, უმთავრეს მიზანს ილიასას. ილიამ და საერთოდ ყველა დიდმა მწერალმა, ისტორიკოსმა, სოციოლოგმა, საზოგადო მოღვაწემ მხოლოდ და მხოლოდ ერის სულში ჩაღრმავებით შეძლეს დაენახათ ქართველი ხალხის წარსული, აწმყო და მომავალი. მათ ანდერძად დაგვიგდეს ამ მხრივ მუშაობის გაგრძელება, რადგან გარკვეული დროის მანძილზე სხვა ფორმით, სხვა შინაარსით გარდუვალი ხდება საკუთარი ხალხის საწყისებისაკენ მიბრუნება, გამოვლილი გზის კიდევ ერთხელ გააზრება, არსებითის შეცნობა და ჩვენი დროის შესატყვისი ფორმების მოსინჯვა. ქართული მწერლობის უპირველესი მოვალეობაა ასე ხედავდეს საგანს, ამ მიმართულებით გადაჭრონდეს მზერა და თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს ამ საქმის აღსრულებაში ხარჯავდეს. რადგან ის საქმე ხალხს ეხმარება თავისი პოტენციის უკეთ წარმოჩენაში, მომავლის გზებზე ღირსეულად სიარულში.

ყოველი ერის და, მათ შორის ქართველი ხალხის ენერგიაც, როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური, ისტორიის არსებით მოვლენებსა და ფაქტებში ვლინდება სრულად. ენერგიასთან ერთად მისი სახეც ცნაურდება. ისტორიული ფაქტები და პიროვნებანი სხვა ფაქტებისა და პიროვნებათაგან ზოგჯერ გამოირჩევიან თავიანთი შემკრებლობითი ბუნებით. ისინი თავიანთ თავში ითავსებენ ქვეყნის, ხალხის, ისტორიული სიტუაციების უმთავრეს ნიშნებს და აწმყოსა და მომავლის წინაშე ყველაზე კონდენსირებული სახით წარსდგებიან. მათში ქვეყნის სულიერი და ფიზიკური მდგომარეობის წაკითხვა ხერხდება.

დავით აღმაშენებლის პიროვნება აღმავლობის ბედნიერ ეპოქაში ქართველი ხალხის საუკეთესო თვისებათა შესაკრებელია. ქართველი ხალხის ჰეშმარიტი ეროვნული თვისებათა, მის შესაძლებლობათა თავი და ბოლო ამ ეპოქაში გამოვლინდა სრულყოფილად. ის, რაც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იძერწებოდა ხასიათში საუკეთესო ნიშნებად, დავითისა და მისი შთამომავლობის დროს თითქოს ერთბაშად გაიშალა სივრცეში. ეროვნული ხასიათი თავის საუკეთესო ფორმას აღმავლობის გზაზე აღწევს, რადგან შარღვები არ არის დამძიმებული ტრაგედიის და უბედურებათა განცდით, რადგან გენი ისტორიის სალტეებით არ არის შეზღუდული, სისხლი ლაღად მიედინება და თავისუფალი საქართველოს შვილობა ძლევამოსილი საქართველოს შვილობის იდენტურ ცნებად წარმოგვიდგება. სამზეოზე გამოდის ხალხის ყველა საუკეთესო თვისება ისევე, როგორც მცენარის კვირტები აპრილის მზიან დღეებში. იგი ყვავილობს, მწვანედ იფოთლება, თითქოს შრიალებს უკიდეგანო სივრცესავით.

იოლად არ მოსულა ეს ბედნიერება. არცერთ სხვა დროში საქართველოს იმაზე უფრო დიდი ომები არ გადაუხდია, რაც დავითის დროს გადაიხადა. ეს იყო მეფე, ფაქტობრივად ცის ქვეშ რომ ათევდა ღამეებს, რადგან ასე მოითხოვდა ხალხი, ქვეყანა, ისტორიული სიტუაცია. სწორედ მის დროს, დღე დღეს არ მოჰყოლია სისხლისღვრის გარეშე. ეს შინაფეოდალური ბრძოლების დროც არის ამავე დროს.

დავით აღმაშენებელს მზამზარეულად არ დახვედრია ხალხის ერთსულოვნება. იგი თვითვე ძერწავდა ხალხის სულს. ამ მიზნით მას უხდებოდა გიგანტური მასშტაბის ომების გადახდა, მაგრამ ქართველი ხალხის ისტორიული გამოცდა იმ დროს განიცდებოდა როგორც შინაგანი ძალისხმევის, ძალმოსილების, უძლეველობის ფორმად და არა დაღუპვისა და მოსალოდნელი განადგურების საფრთხედ. ქართველი ხალხის სულს შეადგენდა საუკეთესო თვისებათა კომპლექსი, მისით იყო განსაზღვრული ქვეყნის რწმენაც და მოქმედების შინაარსიც. ხოლო რწმენა გულისხმობდა ღირსების აშკარა უპირატესობით აგებულ შინაგან სულიერ ცხოვრებას, გაუბზარავსა და შეუვალს.

ღირსების შინაარსში მოქცეული თვისებათა ყველა ფენა თავისთავად გულისხმობს ერის საუკეთესო სულიერ მდგომარეობას. დავით აღმაშენებლის პიროვნება სწორედ ამგვარმა მდგომარეობამ დაბადა. მან შექმნა იგი, როგორც თავისი განსხეულებული ხატი. ეს თვისებები იტოტება ერის ცხოვრების ყოველ ნიუანსში, სახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მოწესრიგებულ სტრუქტურაში. დავით აღმაშენებლის პიროვნება, როგორც შესაკრებელი ღირსების ნიშნებისა, პასუხს იძლევა კითხვაზე: რანი ვიყავით? კითხვაზე, რაც ასე აწუხებს ყოველ ქართველს, ყოველ მამულიშვილს.

იდგა ქართველი კაცი, იქ, დავით აღმაშენებლის ეპოქაში, თავისი ბუნებრივი სახით, სრულყოფილად ჩამოყალიბებული სამყაროთი, ძლიერი და თავისუფალი, ჭეშმარიტი რაინდი, შრომისმოყვარე და მებრძოლი, მოქმედი... თვისებათა მწკრივი არაერთხელ შეგვახსენებს თავს კონკრეტულად დავით აღმაშენებელზე საუბრისას! და კითხვა — რანი ვიყავით? — უპირველეს ყოვლისა, დავით აღმაშენებლის პიროვნებისაკენ მიგვანიშნებს, მისი სულიერი წყობის და ნამოქმედარის შრეებში საკუთარი ფესვების ამოკითხვას და შემდგომ იმ ჯანსაღი ფესვების გაფრთხილებას გვავალებს. საბედნიეროდ დევს ჩვენს წინაშე ეს ისტორია, როგორც ასომთავრულით დაწერილი ეეებერთელა წიგნი და გვავალდებულებს წავიკითხოთ იგი ფურცელ-ფურცელ, აღვადგინოთ ჩვენი წინაპრების ფიზიკური და სულიერი კონტურები. ამ წიგნიდან მოემართება ენერგიის ცეწყვეტი მარაგი და უერთდება ჩვენს სისხლ-ძარღვებს, როგორც ფესვებს წვენი.

წიგნი „სული აღმაშენებელი“ აღმავლობის გზაზე და გამარჯვებათა ზენიტზე მდგარი ქვეყნის თვისებათა შეცნობა-გაანალიზებას ემსახურება, რათა მთლიანობაში განვიცადოთ ჩვენი წარსულის კრიზისული ხანაც, სიღარიბისა და ძლევამოსილების ეპოქაც და სულიერი ცხოვრების გზაც. ამ

მთლიანობის განცდამ კი არ შეიძლება თავისთავად, შეუმჩნეველად არ გამოკვებოს ჩვენი ენერგია, არ დაგვანახოს სახე და არ გვასწაელოს მზად ყოფნა, რაც დღევანდელ მსოფლიოში ყველაზე უფრო საჭირო ფენომენად არის აღიარებული.

გიორგი სააკაძის პიროვნება და XVII საუკუნის საქართველო საინტერესოა, როგორც უფსკრულის პირზე მდგარი ქვეყნის თვისებათა შესაკრებელი, მისი ენერგიის და შესაძლებლობების დამადასტურებელი.

დღეს, ალბათ, არც ერთი ისტორიკოსი არ იდავებს იმაზე, რომ შაჰ-აბას პირველის დროინდელი ირანი უძლიერესი სახელმწიფო იყო, რომ თავისი დამარბეველი ლაშქრობებით დაღუპვის კარზე მიიყვანა მთელი აღმოსაელეთი საქართველო. ამჯერად მხოლოდ იმის ხაზგასმა მიმაჩნია საჭიროდ, რომ ისტორიკოსებიც და არაისტორიკოსებიც ერთბაშად აღიარებენ: საქართველო შაჰ-აბას პირველის დროს ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე იდგა. ბეწვზე ეკიდა მისი არსებობა. განადგურების გეგმის გარკვეული ნაწილის განხორციელება შაჰ-აბას პირველმა კიდევაც შეიძლო 1614—1617 წლებში. ეს, სამწუხაროდ, დადასტურებული სინამდვილეა, ჩვენი ხსოვნიდან ამოუშლელი უბედურებაა და მას არც არაფრის მიმატება ჭირდება, არც გამოკლება.

უფსკრულის პირზე მდგარი ქვეყანა და ხალხი მაქსიმალური სისავსით აელენს თავის სახეს. ერის თვისებები, თუ იგი დადებითის, ღირსეულის სფეროს ეკუთვნის, თავის შესაფერ სიტყვას ამბობს ან ბრძოლით, ან ჭირში გამძლეობით, ან თუნდაც გამძლეობის უნარის გამოვლენით, ან კიდევ სამიეთი ერთად. ერის თვისებები, თუ იგი გადაგვარებისაკენ არის მიდრეკილი, უფსკრულის პირას ასევე მაქსიმალური სისავსით ამბობს შესაფერ სიტყვას სულიერი დაცემის, ხორციელი დაძაბუნების, ნებისყოფის სისუსტის, სილაჩრის, ბედისადმი მორჩილების ფორმებით. უფსკრულის პირზე კიდევ უფრო შეუძლებელი ხდება სწორხაზობრივი, პირდაპირი მოძრაობა — ასე პრიმიტიულად არ წარმოიდგინება ან ერთის, ან მეორე შინაარსის თვისებათა ამზევება. ისინი ისე არიან ერთმანეთში გადახლართული, რომ ძნელია საგანგებო დაკვირვების გარეშე გაარჩიო სად იწყება ერთი და სად მეორე, სად ერთდებიან ისინი და სად ითიშებიან. კარს მომდგარ უბედურებათა სალტე „კუმშავს“ თვისებათა სამოღვაწეო ასპარეზს. დაბნეული ხალხი ერთბაშად ვერ ერკვევა მოელენებში, მტერსა და მოყვარეში, მრავალობს გაურკვეველი სახის ნიღბები, მძლავრობს თავის გადარჩენის ცხოველური ინსტინქტი, ყვავილობს უარყოფით თვისებათა კომპლექსი. მისთვის ყველაზე ხელსაყრელია ასეთი დრო. მეორეს მხრივ, უკეთეს თვისებათა კომპლექსი გამუდმებით იბრძვის და მისი ბრძოლა ემსგავსება კეთილი და ბოროტი საწყისების ბრძოლას, დაუდგენელსა და ერთმანეთში გადახლართულს. მხოლოდ შედეგით დასტურდება შემდგომ, რომელმა დაძლია, რომელმა იზეიმა გამარჯვება, როდის და როგორ გაეთიშა ღირსების მაუწყებელი თვისებები გადაგვარების ნიშნებს. მარტყოფისა და მარაბდის ომებში სწორედ ეს ღირსება

დადასტურდა, უფსკრულის პირას მიგდებული ხალხის საოცარი ბრძოლის უნარი გამოვლინდა. ამ ომებში არ შეიძლება დავინახოთ მხოლოდღა სასიკვდილოდ განწირული ხალხის უკანასკნელი გაბრძოლება. არა, კაცობრიობის ისტორიას ახსოვს ერთა სრული განადგურების ფაქტები, როდესაც ხალხი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდა, მაგრამ მაინც ვერ გადარჩა, მაინც აღიგავა პირისაგან მიწისა და მათ შაჰ-აბას პირველზე უფრო დიდი მტერი როდი ადგათ კარზე! ასე დაინგრა კართაგენი, ასე განადგურდა ნინეია... უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ხალხების უკანასკნელი გაბრძოლება მხოლოდღა თავის გადარჩენის ინსტინქტით ხელმძღვანელობდა. ეროვნული თვისებების შესაკრებელი აუზი, ჩანს ბოლომდე იყო დაწრეტილი და ერთ ძალად ვერ კრავდა გადარჩენის ინსტინქტით იარაღასხმულ ხალხს. ერთ ძალად შეკრება კი ასეთ დროს აუცილებელია. სხვაგვარად დიდ მტერს ვერ მოიგერიებ. მარტყოფისა და მარაბდის ომებში, — დიდ სახალხო ბრძოლაში იკითხება ერთი საინტერესო და სისხლხორცეული ისტორიული კონცეფცია: ქართველ ხალხს საუკუნეთა განმავლობაში არაერთხელ გამოვლენილი ეროვნული თვისებები თურმე გადაგვარებული არა ჰქონია. მან იცოდა, ცხადია ღალატის, გაუტანლობის, ზნეობრივი დაცემის არაერთი მაგალითი, იცოდა უნდობლობა, ეჭვი, შური, მაგრამ საწყისები ჯანსაღი შერჩენოდა და ისტორიული ფაქტების შესაკრებელში — მარტყოფისა და მარაბდის ომებში, — ეს საუკეთესო თვისებები ერთბაშად ამზეურდა. ამზეურდა მაშინვე, როგორც კი უფსკრულის პირზე დგომა მთელი არსებით იგრძნო ერმა. მან შვა თავის წიაღში გიორგი სააკაძის პიროვნება, როგორც მისი ენერგიის სრული განსახიერება და მასვე გაჰყვა გადამწყვეტ ბრძოლებში. გიორგი სააკაძის პიროვნება სწორედ უფსკრულის პირას მდგომი ერის თვისებათა სრულ შესაკრებლად, ამავე დროს მისი პოტენციის სრულქმნილ დადასტურებად გვეელინება. მისი და ქართველი ხალხის ყოველი კონკრეტული ნაბიჯი ისტორიის უმძიმეს წუთებში მოითხოვს კიდევ ერთხელ ფხიზელი თვალით წაკითხვას, რათა უმთავრესი ვიცოდეთ, ვიცოდეთ კერძოდ ის, თუ უმძიმეს წუთებში გამოვლენილი ჩვენი ხალხის თვისებები რა ფორმას ფლობდა და რა შინაარსს დაატარებდა. ეს გვჭირდება უპირველეს ყოვლის იმის გასარკვევად, თუ რა გზით ამდიდრებს დღევანდელი ქართველი კაცის სულიერ ენერგიას ისტორიულ პიროვნებაში, მისი მშობელი ხალხის ბედში წაკითხული დედააზრი. იგი კი არ შეიძლება არ ამდიდრებდეს, არ მუხტავდეს ჩვენს პოტენციას მისგანვე დადასტურებული შესაძლებლობების მწკრივით, შეცდომების არსით, დიდი ბრძოლების შინაარსში ჩადებული სიბრძნით. ყოველივე ეს — შესაძლებლობანიც, შეცდომებიც და სიბრძნეც ისევ და ისევ ისტორიის კრიზისულ წუთებში ქართველი ხალხის ეროვნული სახის შეცნობას ემსახურება და ამიტომაც არის დღეს ჩვენთვის გაუნელებელი ინტერესის საგანი.

სულ პირველი ბრძოლა

აჰა ესერა, სახე არა უმსგავსო, არამედ ფრიადცა თანაშეტყუებული ჩუენისა თვითმპყრობელისა და ყოვლად გამოძსახველი სიტყვით საქმეთა თუალთა ჩუენთა ხილულთა. რამეთუ სიტკბოებისა, სახიერებისა და სიბრძნისა მისისა ხილვად წყურიელნი კიდით ქუეყანისათ შემოკრბებოდეს წინაშე მისსა. ვინ იყო ეზომ ტკბილ შემთხუევათა შინა, ვინ სატრფიალო ზრახვითა და სასურველ დუმილითა, იგივე შუენიერ ხატითა, უშუენიერეს მორთულობითა გუამისათა, შეწყობილ ანაგებითა და ახოვან ტანითა, ძლიერ ძალითა, უძლიერეს სიმახვილითა, საწადელ ღიმილითა, უსაწადელეს მჭმუნვარებითა, მადლიერ ხედვითა, საზარელ ლომებრ მკრთომელობითა, ბრძენ ცნობითა, უბრძნეს გამორჩევითა, მარტივ სახითა, მრავალსახე მართებითა, შემრისხველ მყუდროებითა, მაქებელ განმსწავლელობითა და არცა ერთსა კეთილთაგანსა შემაშთობელი უზომოებითა. მაღალ უმაღლესთათვის და მდაბალ უმდაბლესთათვის, და თვით მათ მტერთაგანცა საწადელ და საყუარედ სათნოებათა მისთაგან შეკდიმებულთა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი

დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქის სახით თავის გამოვლილ გზაზე რაღაც იმაზე მეტი დარჩა ქართველ კაცს, ვიდრე ეს მხოლოდ დიდებული წარსული შეიძლება იყოს. ვერც გლოვამ „წარსულს დროებზედ“, ვერც ამ გლოვის „აკრძალვამ“ დიდი ილიას მიერ ვერ მოახელებინა საქართველოს დარდი დავითისა და თამარის სვემაღალ დროზე, ვერ „ჩააბარა“ იგი ისტორიას, ვერ გადაულოცა დიდებული მატიანეების ფურცლებს.

როგორ ვლინდებოდა თავისი სულიერი და ფიზიკური ძალმოსილების, თავისი ეროვნული აღმავლობის ეპოქაში ძველი საქართველოს შინაგანი ენერგია, რა თვისებისა იყო იგი?

ქართველ კაცს არ აქვს უფლება არ დაფიქრდეს ამ უმთავრეს კითხვაზე, რადგან მასთან არის დაკავშირებული არა მარტო წარსულის შეცნობის მეცნიერული სურვილი, მასთან არის დაკავშირებული ღირსეული არსებობის სადღეისო და სამომავლო ფორმები, მასთან არის დაკავშირებული როგორც სკეპტიკური განწყობილება, ასევე სკეპტიციზმს დაპირისპირებული იმედიანი ფიქრებიც.

წარსული წარსულში არ კვდება. შეუვალი კანონის ნებით წინაპრებისაგან შთამომავლობას გადაეცემა განუწყვეტელი ერთიანობის განცდა, სამიევე დროს თავის თავში რომ იქცევს.

სწორედ დავით აღმაშენებელთან დაკავშირებით წერდა ილია ჭავჭავაძე: „არ ვიცი, სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თვის საუბედუროდ, თვის ისტორიას ივიწყებს“...

როგორ ვლინდებოდა თავისი სულიერი და ფიზიკური ძალმოსილების, თავისი ეროვნული აღმავლობის ეპოქაში ძველი საქართველოს შინაგანი ენერგია, რა თვისებისა იყო იგი?

ქართველ ხალხს ისტორიული მოძრაობის გზაზე არ დააცალეს დიდხანს ეცხოვრა იმ ჰეშმარიტი ეროვნული ფორმებით, რაც მის ბუნებას შეესატყვისებოდა, რასაც მიაკვლია დავითის ეპოქამ.

დრომ, განუწყვეტელი უბედურებებით აღბეჭდილმა საუკუნეებმა მას შინაგანი წონასწორობა დაურღვია; ეს თავისთავად ნიშნავდა სახელმწიფოებრივი წონასწორობის დარღვევას. დარღვეული შინაგანი წონასწორობით უხდებოდა ქართველ კაცს ყველა ჭირთან შეჭიდება, გარსმოჯარულ მტერთან ბრძოლა, ქვეყნის სახის შენარჩუნებისათვის მეცადინეობა.

ამ დარღვეული შინაგანი წონასწორობის ანაბეჭდები აშკარად ატყვია გამოვლილ საუკუნეებს, ხუროთმოძღვრების ძეგლებს, ფრესკებს, მატიანეებს, სიტყვაკაზმული მწერლობის გაუხუნარ ფურცლებს, ისტორიულ მოვლენებსა და ცალკეულ ფაქტებს. მათი მთლიანობაში აღქმა და შეცნობა დაგვარწმუნებს, როგორი თავგანწირვით იბრძვის მოსვენებადაკარგული სული იმ ვეებერთელა ქსოვილში, ერის ცხოვრება რომ ჰქვია. იმაშიც დაგვარწმუნებს, დროდადრო როგორ წამოიმართება, მონოლითური და გაუბზარავი, ძველი ძალმოსილების აღორძინების სურვილით, რა ძალას და უნარს ავლენს ასეთ დროს, ხანმოკლედ, მაგრამ როგორი სისავსით ემსგავსება დავითისა და თამარის ეპოქების შვილს... და რაღაც „იდუმალი ხმა“ ჩააგონებს განუწყვეტლივ, რომ მისი „ხვედრი“ ამ დარღვეული წონასწორობით არსებობა კი არა, ის ღირსეული, მისი „საშვენი“ ყოფაა, რომლის უნივერსალურ შინაარსსაც ქართველი კაცი დავითის ეპოქაში ჰვრეტდა.

თანამედროვე მსოფლიოს დრამატულმა, დაძაბულმა ცხოვრებამ კატეგორიულად მოითხოვა ყველა ხალხისაგან საკუთარი ღირსების სრული გამოვლენა, რადგან დიდ გამოცდას, რასაც მომავალი უმზადებს ერებს, ვერავინ ჩააბარებს საკუთარი არსებობის წესის სწორედ უნივერსალური მოწესრიგების გარეშე.

ჩვენი არსებობის წესი და ხასიათი მხოლოდ საკუთარ დროსთან შეხებით არ ყალიბდება, მარტო იმ ფორმების გავლენით არ იძერწება, რაც ბატონობს ჩვენს ირგვლივ, რასაც თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს ცხოვრების ფორმები

ჰქვია. იგი ამოიზრდება იმ ურიცხვი ფორმიდან, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში გამოსცადა ქართველმა კაცმა. და ამოიზრდება უპირველეს ყოვლისა იმ ფორმებისაგან, რაც თავისი სრულყოფილებისა და აღმავლობის ეპოქაში ყველაზე სრულად შეესატყვისებოდა ქართველი კაცის ბუნებას. რადგან კაცის, ხალხის, ერის ბუნება ყველაზე უნივერსალურად თავისი სრული მობილიზებისა და აღმავლობის ეპოქაში ვლინდება. იქ არის იგი, იქ სუფევს მისი სული, მისი თვისება, იმ სრულყოფისათვის არის გაჩენილი. ყველა დანარჩენი გარეგანია, ძალდატანებაა, რომელიც არღვევს კონტურებს, ლახავს სულს, რყვნის ხასიათს, მაგრამ გენი, უკვდავი გენი ხალხისა „მღვრიე ქაოსებში“ ეძახის თავის წილს, თავის ხვედრს. რაოდენ ხანგრძლივიც არ უნდა იყოს დაცემისა და დეგრადირების ხანა, რაოდენ ხანმოკლეც არ უნდა იყოს მასთან შედარებით შინაგანი სრულყოფისა და სრულქმნის ეპოქა, მაინც ეს უკანასკნელია განმსაზღვრელი, იგია შესაკრებელი, იგი სცემს თავის ტალღებს მღვრიე საუკუნეებს და განუწყვეტლივ შეახსენებს შთამომავლობას ღირსეული არსებობისაკენ მიბრუნების აუცილებლობას.

ამიტომ არ კვდება წარსული წარსულში.

ამიტომ უნდა დაინახოს დღევანდელმა ქართველმა კაცმა ეროვნული ბუნების მთელი სტრუქტურა, ყველა დაკარგული სიმაღლე, გაზომოს დაცილება თვისებებს შორის, მატიანეების, ისტორიკოსთა შრომების კრებსითი ადგილების შედარებით დაადგინოს მანძილი ძველი საქართველოს ორ პოლუსს შორის, რათა შეიძლოს სრული გაცნობიერება მისი სისხლისაგან გამოვლილი პროცესებისა.

ქართველი კაცის შესაძლებლობანი თითქმის მათემატიკური სიზუსტით იზომება გრიგოლ ხანძთელისა და თამარის ეპოქებს შორის მოქცეული მოვლენებისა და ფაქტების ანალიზით, იზომება იგი ქართული და უცხოური წყაროების შესწავლა-შეჯერების შედეგად, ქართული ლიტერატურული ძეგლების გამოწვლილვით, დიდი ხუროთმოძღვრების ნიმუშთა წაკითხვით, იზომება გადახდილი ომების მასშტაბებით, იზომება ისტორიული და პოლიტიკური სიტუაციების კომპლექსური შესწავლით, გეოგრაფიული და პოლიტიკური პოზიციების,

გათვალისწინებით. ამ ფენომენების გარსიდან ამოდის იგი, როგორც ეროვნული ხასიათი, ამოდის თავისი საყრდენით, თვისებით, პოტენციით. ამჯერად მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ დიდი, თითქმის განუსაზღვრელი იყო ეროვნული ხასიათის შესაძლებლობა, ქართველი კაცის უნარი და შინაგანი ძალა. ეფემერული არ ყოფილა მისი გამონათება. შეცდება ყველა, ვინც ძველი საქართველოს ძლიერების ხანას მხოლოდ დავითისა და თამარის ეპოქებში მოაქცევს, ძველი საქართველოს ძლიერების ხანა მოიცავს მე-9, მე-10, მე-11, მე-12 საუკუნეებს, მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედს, გიორგი ბრწყინვალის ეპოქას. თითქმის ხუთი საუკუნის განმავლობაში ამოდიოდა დღის სინათლეზე ის ძვირფასი თვისებები, რამაც სრულყო და ჩამოაყალიბა იმ დროისათვის ქართველი კაცის სახე, ქართველობის ეროვნული ხასიათი. ამ ხანგრძლივმა პროცესმა შეკრა და განასრულა ქართველი კაცის სულიერი სამყარო იმ სიმტკიცით, რომ საკუთარი ღირსების გრძნობა და დაკარგულ სიმაღლესთან დაბრუნების მძაფრი სურვილი არასდროს არ განელებია.

და აი, დაცემისა და შეჩვევების საუკუნეებმა ვერ წაშალეს შინაგანი მთლიანობისაკენ მისწრაფება, იგი ცოცხლობდა ქართველ კაცში ყველა პოლიტიკურ გარემოცვასა და სიტუაციაში, როგორც მარადიული ნიშანი.

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ეს ჰეშმარიტება, მთელი სიგრძე-სიგანით უნდა გავიცნობიეროთ იგი. რაც შეეხება მიჯრით მიწყობილ დაცემის საუკუნეებს, ძნელ დროში დაკარგულ სიმაღლეებს, დეფორმირებულ თვისებებს, დამახინჯებულ სახეს, ჩვენ ეს ყველაფერი მშვენივრად გვახსოვს, კი არ გვახსოვს, ზედმიწევნით ვიცით. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ჩვენი შესაძლებლობანი არც თუ იშვიათად სწორედ ამ საუკუნეთა მონაცემებითა და შედეგებით გავზომეთ.

ბუნებრივია ქართველი კაცის დაეჭვება, ზედიზედ იწვნია რა დამარცხება, ზედიზედ მოეცარა რა ხელი. მოვლენების მძიმე სხეულიდან მოვარდნილი შიში დააწვა ფიქრს, დათრგუნა იგი, გადაუკეტა სილაღის სადინარი და ვიწრო კალაპოტისკენ უკარნახა მიმართულება.

შეჩვევების საუკუნეებში გამოვლენილი თვისებები ხში-

რად მხოლოდ ერთი კუთხიდანაა დანახული, დანახულია მისი დამახინჯებული ფორმები და დაკვირვებით არ არის გაჩხრეკილი, რომ ძნელბედობის ჟამსაც ქართველ კაცს არაერთხელ გამოუელენია დიდი გამძლეობის უნარი, შინაგანი შემართება, „ჭირსა შიგან გამაგრება“, გაპარტახებული ქვეყანა თითქოს არ ანებებდა ქართველ კაცს, ამ უნარსაც დაკვირვებოდა, მას თვალში ეჩრებოდა დაცემული სამშობლო და გათახსირებული კაცური თვისებები — ის, რაც ზედაპირზე იდო და დიამეტრალურად ეცილებოდა წარმოდგენები საკუთარ შესაძლებლობებზე. ეროვნულ გონს არა „სცხელოდა“ იმისათვის, აწმყო წარსულთან დაეკავშირებინა, გარდასული დიდება სრულად განეცადა და მასთან შეპირისპირებით თავისი ოდინდელი ღირსებების აღდგენა ეცადა.

...და მოხდა პირველი კატასტროფული ძვრა ეროვნული მეობის განსაზღვრაში. ქართველმა კაცმა თითქმის მთლიანად დაკარგა საკუთარი ძალების რწმენა, შემოხაზა თავისი უნარის სარბიელი და დაიწყო თავშესაფრის ძებნა. არა დიდი პოლიტიკური ურთიერთობებისა, არამედ თავშესაფრის ძებნა დაიწყო! შესაძლებლობების შინაარსი უიმედო ფიქრით იკითხებოდა. განწყობილება, მდგომარეობა — ყველაფერი უიმედობით იყო მომართული და დიდი ხნის განმავლობაში არ ანებებდა ღრმად გაეანალიზებინა თავისი დროებითი გასაჭირი, გაეჩხრიკა სწორედ საკუთარი შესაძლებლობანი. რა იყო დამარხული მასში, რას გულისხმობდა თვისებების შესაკრებელი, სრულ დაცემასა და გადაგვარებას, თუ დროებით კრიზისს? დათმობილი პოზიციები და სიმაღლეები, დაკარგული სივრცეები და ენთუზიაზმი აკანონებდა რწმენას, რომ ქართველ კაცს ესღა შეუძლია; ღრმისა და სერიოზულის, დიდის და მასშტაბურის პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს.

გადარჩენისათვის, განუწყვეტლივ არსებობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა თითქმის გამორიცხავდა ეროვნულ მისიასა და დანიშნულებას. ამ მაღალი კატეგორიისათვის ადგილი არ რჩება „სულ გადარჩენისათვის“ გამართულ ბრძოლაში.

ისტორიული პროცესის ანალიზი დროს ითხოვდა — გადარჩენისათვის წარმოებულ ხელჩართულ ბრძოლაში საამისო დრო არ რჩებოდა. სულის მოთქმის საშუალება არ ჰქონდა

ეროვნულ გონს, ჩაფიქრების უმალ ღრმა, მწარე კვნესას გამოსცემდა ფიქრი. სევდა, ტკივილი ამოჰქონდა ოხვრას მაღლა. ქართული გონი უძალიანდებოდა კარსმომდგარ უბედურებას, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდა არსებობას. ამ ბრძოლამ წაიღო ენერგიის მთელი მარაგი, გამაოგნებელი ეროვნული უბედურებანი და ფიზიკური წამება გადატანას ითხოვდა, უფსკრულის პირას გამართული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა რამდენიმე საუკუნეს გაგრძელდა. ზოგჯერ საქართველო ნახევარი ტანით იმ უფსკრულზე იყო გადაკიდებული და დღეს დაგვაფიქრებს ხოლმე კითხვა, რა მანქანებით გადარჩა იგი.

ჩვენ არაერთგზის დაგვჭირდება ამ კონკრეტულ მოვლენებთან მიბრუნება დავითის ეპოქასთან დაკავშირებით. ამჯერად კი იმის დანახვა გვმართებს, რასაც შედეგი ჰქვია. უბედურებათა გამუდმებული ტალღების ცემით, ფაქტია, დაირღვა ქართველი კაცის, როგორც ფენომენის, კონტურები, მისი პროპორციები, მისი სახის ოდინდელი წყობა, მისი შინაგანი მდგომარეობა; ნიუანსები შეიცვალა, ურიცხვი თვისებიდან ბევრი გაქრა, ბევრიც გადაგვარდა, დამახინჯდა. გაჩნდა ახალი, საგანგაშო თვისებები. ამიტომ დაიწერა ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი.“ ამიტომ არის ჩამოთვლილი მასში ყველა მახინჯი თვისება, რაც შეუძენია ქართველი კაცის ბუნებას სხვადასხვა გარემოებათა გამო. ეს თვისებები ფაქტიური სინამდვილე იყო ილია ჭავჭავაძისათვის. იგი ვლინდებოდა, მოქმედებდა, არბევდა და ანადგურებდა მეობას. რაც მთავარია, იგი ბადებდა დიდ ეჭვს ქართველი კაცის ოდინდელი თვისებების მიმართ. კითხვის ნიშნის ქვეშ ექცეოდა ქართველი კაცის ღირსებები, აღარ სწამდა უკვე თავისი სიკეთისა, არ ეჯერა, რომ ოდესღაც სხვა კაცი იყო, სხვა ქართველი და არა ასე ბედოვლათი, უმაქნისი, ზარმაცი და გაუტანელი, ასეთი, რამაც დაღუპა და ამოაგდო. საკუთარ თვისებებში ეჭვის შეტანა მარტო აწმყოს უარყოფას არ ნიშნავდა, წარსულისა და აწმყოს განადგურებას მოასწავებდა ამავე დროს, მომავალზე ხელის ჩაქნევას ყარნახობდა. სინამდვილეში ყველაფერი დროებითი (ხანგრძლივი, მაგრამ მაინც დროებითი!) კრიზისის ნაყოფი იყო. მან მოიტანა ასეთი შინაარსი. მოიტანა და ლამისაა ქართველი კაცის არსებობის მარადიულ ნიშნებად წარმოგვიდგინა. დაცემის

ეპოქის შინაარსთან შეგუება კი მომაკვდინებელია. იგი სხვადქცევისაკენ მიმავალი პირდაპირი გზაა. ქართველი ხალხის ძლიერმა გენმა არ დაუშვა ეს შეგუება. არ დაუშვა ისევე, როგორც განადგურების შესაძლებლობა არ დაუშვა. სრული თვითგაღებით იომა გადარჩენისათვის, რადგან ფარული შინაგანი ძალა კარნახობდა გადარჩენის შესაძლებლობას. მაგრამ დიდი კრიზისის გადავლის შემდეგ ბუნებრივად იშვა შინაგანი მოთხოვნილება ღირსეული არსებობისათვის ბრძოლისა, ჰეშმარიტი ქართული თვისებების აღორძინებისა. ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალური სტრიქონების შრეებიდან იბადებოდა პირველი კითხვა და მისწრაფება საკუთარი „ხვედრის“ მოპოვებისა, ხოლო ილია ჭავჭავაძის ეპოქამ ყოველმხრივ მოიცვა ეროვნული მეობის ანალიზის პროცესი და დაიწყო დიდი, ხანგრძლივი ბრძოლა ეროვნული მეობის აღორძინებისათვის. ეს იყო ყოველმხრივ მიმართული ანალიზი, — მხატვრული და არამხატვრული სიტყვის ყველა ფორმა მის სამსახურში ჩადგა. შინაგანი აღორძინებისაკენ მიმართული პროცესი ისეთსავე სრულ თვითგაღებას ითხოვს, როგორიც მოითხოვა თავის დროზე გადარჩენისათვის გამართულმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლამ.

ამ დიდ გზაზე განუსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება წარსულის ყოველი მონაკვეთის შესწავლას, მის გაცნობიერებას, განუსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება უპირველეს ყოვლისა იმ ეპოქის შესწავლას, რომელშიც სრულად გამოვლინდა ქართველი ხალხის საუკეთესო თვისებანი. არა მარტო გამოვლინდა, სრულყოფილი სახე მიიღო და წარმოსდგა, როგორც ფენომენი, წარმოსდგა იმად, რასაც ჰქვია ეროვნული ხასიათი, რაც სინამდვილეში წარმოადგენს მის ჰეშმარიტ არსს, განსხვავებულს ყველა სხვა შინაარსისაგან. იმ ჰეშმარიტი არსის სრული შეცნობა გვმართებს, არსისა, რასაც დაგვაცილა უბედურებათა ჯაჭვმა, რაც უშორეს სიღრმეში ჩაიტანა შლამიანმა ტალღებმა.

ვისთვის როგორ, მაგრამ ჩვენთვის წარსული წარსულში არ მომკვდარა. ამ აზრს დიდი დატვირთვა აქვს ჩვენი ისტორიისათვის. მთელი საიდუმლოება მაინც იმაში მდგომარეობს, რაზეც გაკვრით ზემოთ აღვნიშნე. ქართველ კაცს მართლაც არ

დასცალდა თავისი ღირსებებისათვის შესაფერისი ცხოვრებისეული ფორმები გაეხარჯა ბოლომდე, გაისარჯა იგი ნაწილობრივ, იცხოვრა მან რამდენიმე საუკუნე ღირსეულად, შემართულად, თავისი ღირსებების შესატყვისად. შემდეგ „ყველაფერი“ დაავიწყეს, სიმაღლისაკენ არ გააბედეს, მისი ბუნება კი გამუდმებით ეძახდა კუთვნილს, მისეულს, იმას ეძახდა, რისთვისაც იყო მოწოდებული. ამიტომ რომელ ფორმაციასაც არ უნდა ეკუთვნოდეს შინაგანი სრულყოფისა და მთლიანობის მაუწყებელი ფორმები, იგი ეროვნული ხასიათის მარადიული ნიშნებია უკვე, საუკუნოვანი პროცესებისაგან გამოძერწილი, და მათი მოხმობა, სიღრმიდან ამოტივტივება ჰაერივით აუცილებელია. ისინი არიან ჭეშმარიტი ჩვენი თვისებანი. ამ საუკეთესო ეროვნული თვისებებით უნდა ვაშენოთ ჩვენ აწმყო და მომავალი. ხოლო ის თვისებანი, ეროვნული ბუნების განმსაზღვრელი და მასაზრდოებელი თვისებანი არ შეიძლება ჩაეკიროს რომელიმე ეპოქას, არ შეიძლება დროში ჩარჩეს, ისინი უფრო მომავალს ეკუთვნიან, ვიდრე წარსულს.

არსებობს ის ნამდვილი ეროვნული ფორმები, რაც დავითის ეპოქამ ყველაზე სრულად ჩამოაყალიბა, ისინი ჩვენ გვეხმობს თავისკენ. მატიანეები, ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, სიმონ ჯანაშიას და სხვა ისტორიკოსთა შრომები იმისთვის არ შექმნილა, რომ მეცნიერთა წრეებს ელოდოს მტვრიან თაროზე. იმ მატიანეებიდან, ისტორიული ნაშრომებიდან ცხოველმყოფელი ეროვნული სული უნდა შემოუერთდეს დღევანდელი ქართველი კაცის სამოძრაო კალაპოტს.

ქართველი კაცის მომავლისაკენ სამოძრაო კალაპოტი თავისკენ უხმობს საუკუნეთა ინტერესებით გაერთიანებულ ეროვნულ ბუნებას, რომელმაც გადმოიარა დაცემისა და აღორძინების ეპოქები, შეინივთა ყველა არსობრივი ცვლილება და დაიმკვიდრა ყველა ჭეშმარიტი ნიშანი.

ამიტომ ერთიანდება აწმყო წარსულთან, ამიტომ გამოირიცხება ამ ერთიანობიდან წარსულზე გლოვა, წარსულით სიამაყე და მოჩვენებითი სულიერი კმაყოფილებით გამოკვებილი ყოყლოჩინობა.

ქართველი ხალხი აშენებს მომავალს, იმ მომავალს, რაზეც ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილ-

თან ერთად. ამდენად, ეროვნული ორგანიზმი მომართული უნდა იყოს სრული სიფხიზლისაკენ, რათა ერების მასშტაბურ ურთიერთობაში იგი შეეიდეს თავისი ბუნებისათვის საკადრისი თვისებებით. ამ ეროვნული ბუნების ხელახალი სრულყოფის გზაზე გვმართებს მთელი გულისყურით იმ ეპოქისაკენ მიბრუნება, სადაც გვეგულვის ჩვენი ღირსებების შესაკრებელი, სადაც ეს თვისებები მაქსიმალური სიმძაფრით ვლინდებოდნენ; გვმართებს დავინახოთ, როგორი იყო იმდროინდელი ქართველი კაცი — რა თვისების, რა ბუნებისა, რა მისწრაფებისა; რა კანონები მართავდა ამ შინაგან აღმავლობას, როგორი იყო მისი დიდი შვილი, როგორი მობილიზების უნარი გააჩნდა ერს.

1089 წელს გიორგი II საქართველოს სამეფო ტახტი „დაულოცა“ თავის მემკვიდრეს, თექვსმეტი წლის დავითს. არაერთი მოსაზრება გამოუთქვამთ ამ ფაქტის გარშემო; არაერთგზის აუწონ-დაუწონიათ ამ გადაწყვეტილების საიდუმლო. მწერლობასა და ისტორიულ მეცნიერებაში იგი მუდამ საგანგებო „განჩხრეკის“ საგანი გახლდათ. ყოველ მოსაზრებას თავისი საფუძველი აქვს, მათი შეჯერება-შეფასება სხვა რიგის საკითხია, მაგრამ ამ მოსაზრებებისაგან წაქეზებულმა შეიძლება ერთი ვარაუდი გააღრმავო.

რატომ თქვა უარი თავისი ნებით სამეფო ტახტზე გიორგი მეორემ? ან, თუ ათქმევინეს, აიძულეს და ათქმევინეს უარი სამეფო ტახტზე, ესეც რამ გამოიწვია? გიორგი მეორე—დავით აღმაშენებლის მამა — არ ყოფილა სუსტი მეფე. ცნობილია, რა ძლევამოსილი გამოვიდა იგი მთელი რიგი ბრძოლებიდან, რამდენგზის ასახელა ქართული ხმალი, რა ბრწყინვალედ შეასრულა მთელი რიგი ოპერაციებისა, რამდენგზის გაიმარჯვა რიცხვმრავალ მტერზე. კახეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლის დროს მოულოდნელი წამოსვლა აჯამეთის ტყეში გარეულ ღორებზე სანადიროდ უფრო აუხსნელ ნაბიჯს ჰგავს, ვიდრე მეფური სისუსტის გამოხატულებას. იგი ფრთხილ მიდგომას გვავალებს, რადგან თუ ის შეცდომაა, ელემენტარული შეცდომების რიგს განეკუთვნება და დაუჯერებელია, ასე უანგარიშოდ გადაედგა გიორგი მეორეს მსგავსი ნაბიჯი, ნაბიჯი, რომლის გადადგმა ბავშვებსაც კი არ მიეტევებათ.

ფიქრი უფრო დიდ მოვლენაზე გვმართებს, რომელიც სწორედ გიორგი მეორის სამეფო კარზე ხდება. უაღრესად ბევრს ნიშნავს ის ამბავი, რომ გიორგი მეორეს თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავდა სახელმწიფოს, ხალხის, სამეფო კარის ერთგული ადამიანები, ჭეშმარიტი მამულიშვილები, რომელთა გარემოცვაში იზრდებოდა დავით მეოთხე აღმაშენებელი. ამ ადამიანების შემოკრება, მათზე დაყრდნობა, მათთან ერთად შრომა სამეფოსათვის სწორედ გიორგი მეორის აშკარა დამსახურება იყო. პირველ ყოვლისა გიორგი ჭყონდიდელი იგულისხმება — დიდი გონებისა და ნების პიროვნება. მაგრამ მარტო იგი არ ყოფილა სამეფოს კარზე დარბაზის აზრის მამოძრავებელი. მათი არჩევანი კი გიორგი მეორის პოზიციაზე იყო დამოკიდებული. გიორგი მეორემ დაიახლოვა ის ხალხი, მის დიდ შვილს ასე რომ გამოადგა შემდგომ. ყველაფერი, ცხადია, პიროვნებაზე არ არის დამოკიდებული, უმთავრესი მაინც ტრადიციაა, ტრადიცია ჭეშმარიტი მამულიშვილების შემოკრებისა, ქვეყნისა და ხალხის ერთგული ადამიანების დაწინაურებისა, მათთვის ყურისგდებისა.

ჰქონდათ თუ არ ჰქონდათ მამა-შვილს რაიმე უსიამოვნება, უძნელდებოდა თუ არა გიორგი მეორეს ტახტის დათმობა, ამაზე საუბრის ჩამოგდება თავისთავად საინტერესოა და აუცილებელიც, მაგრამ არასდროს არ იქნება მთავარი, რადგან თვით მწვავე უთანხმოებაც რომ დაგვიდასტუროს ხვალ ნაპოვნმა ცნობამ მამა-შვილს შორის, ყველაფერი ეს სახელმწიფოს ინტერესებიდან მომდინარე, და მისით გამოწვეული იქნება. ეს იქნება მართვის ფორმებზე წამოჭრილ აზრთა სხვადასხვაობა და არა მტრობაში გადაზრდილი ურთიერთობა. მოხდა უფრო დიადი, მაღალი, შეგნებული ფაქტი, ფაქტი, რომელიც თავის თავში მოიცავს მოვლენების მთელ განვითარებას და მისი წარმმართველი ლოგიკაც სახეზეა.

მეფე გიორგიმ და პროგრესულმა ადამიანებმა მთელი არსებით იგრძნეს, რომ საქართველოს მომავლის ასაშენებლად, კრიზისული ისტორიული სიტუაციიდან გამოსაყვანად სულ სხვა წყობის პიროვნება იყო საჭირო და ისიც აშკარად დაიწახეს, რომ ეს პიროვნება მათ წინაშე იდგა. იდგა თითქოს საგანგებოდ მოვლენილი. მათ უფლისწულში შენიშნეს თვისე-

ბები, რომელთა წინაშე როგორც დარბაისელთა, როგორც წარჩინებული და ბრძენი კარისკაცების, ასევე თვით გიორგი მეფის ღირსებები ფერმკრთალდებოდა.

მოვლენებს დიდი ხნით უნდა გავუსწრო წინ და დავით აღმაშენებლის მოღვაწეობიდან ერთი ეპიზოდი და ამ ეპიზოდის წარმომშობი წესი მოვაგონო მკითხველს. მოვაგონო იმ მიზნით, რათა უფრო ცხადად გამოიკვეთოს, თუ განათდეს, რა თვისებებზეა ლაპარაკი, რა ილანდებოდა ჭაბუკი უფლისწულის ხასიათსა და სულიერ სამყაროში!..

1121 წელი. ოცდაათ წელზე მეტია, დავით აღმაშენებელი მთელს ამიერკავკასიაში მუსრს ავლებს თურქ-სელჩუკთა ურდოებს, მუსრს ავლებს, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ტერიტორიაზე. თურქ-სელჩუკები კი გააფთრებული იბრძვიან ცისქვეშ თავისი ადგილის მოსაპოვებლად. არსებობის შეუვალი კანონი ითხოვს მათგან ამ გააფთრებას. ეს სისხლის მოძრაობაა და სისხლს მოძრაობას ვერ დაუშლი. უზარმაზარ ტერიტორიას მოედვნენ ისინი, მოვიდნენ მხნენი, მრისხანენი, მეომარნი! ურიცხვნი! წალეკეს და იავარყვეს ყველაფერი. „დიდი თურქობა" ეწოდა საქართველოს მატიანეებში მათ მოსვლას. მათი სტიქიური ენერგია ემსახურებოდა თვითდადგინებისათვის გამართულ ბრძოლას. ეს იყო იქნებ გაუცნობიერებელი, მაგრამ, რაც მთავარია, არსებობის კანონისაგან ნაკარნახევი მოქმედება, როდესაც უსათუოდ უნდა მოიპოვოს ადგილი ცისქვეშ, რომ არ გადაშენდეს, არ მოისრას. იყვნენ უძლიერესი გენისა — მთლად ენერგიად გადაქცეულნი, რადგან ფაქტიურად მთელი მათი არსებობა ამ ხნის განმავლობაში გადარჩენისა და ადგილის მოპოვებისათვის ბრძოლა იყო. ე. ი. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო თურქ-სელჩუკთა არსებობა. არსებობას გულისხმობდა მათი დროებითი ან სამუდამო დაბანაკება, არსებობას ნიშნავდა დამარცხებაც, კვლავ დამარცხებაც, დიდი გამარჯვებებიც! შუა აზიის, ამიერკავკასიის და ბიზანტიის ტერიტორიას ისინი ახლად დაბადებული ხალხივით მოედვნენ, კატეგორიული შეუვალობით ერთიანად ატაცებულნი. და თუ სადმე ქვეყანა მოეწონათ, მოეწონათ, უპირველეს ყოვლისა, საქართველო, მოეწონათ მისი ბუნება, სიმდიდრე, მოსავალი, საძოვ-

რები და ისევე, როგორც სხვა ტერიტორიებზე, საქართველოზეც განაცხადეს დიდი პრეტენზია. არც ისტორია იკითხეს აქ არსებული ქვეყნისა, არც მისი წარსული, არც მისი დაკანონებული უფლებები იკითხეს, როგორც ბიზანტიის ისტორია არ უკითხავთ. მოდიოდა როგორც ნიაღვარი, წარხოცავდა ყველაფერს და ითხოვდა „თავის წილ" სივრცეს. სადაც მოსპობდა ქვეყანასა და ხალხს, იქ იქნებოდა მისი ქვეყანა, მისი სამშობლო, მისი ადგილიც ცის ქვეშ.

სამეფო კარი შესანიშნავად ხედავდა, რარიგ საშიშ მტერთან ჰქონდა ქვეყანას საქმე, გამანადგურებელი ძალა უდაბნოდ გადაქცევას უპირებდა წალკოტს და ქვეყანაც იბრძოდა იმ ხერხებით, რა ხერხებითაც უბრძოლია საქართველოს ოდითგანვე. თუ მტრის დამარცხება შესაძლებელი იყო, დაამარცხებდნენ და გადარეკავდნენ საზღვრებს იქით, თუ არა, მაშინ არსებობის შენარჩუნებისა და შესაფერისი ჟამის დადგომის მოლოდინში ხარკს უხდიდნენ ძლიერ მტერს.

დავით აღმაშენებელმა დაინახა უფრო ღრმა შინაარსი თურქ-სელჩუკთა მოვლინებისა და მთელი არსით იგრძნო, რომ ისინი არასდროს არ დაეხსნებოდნენ საქართველოს. მანამ არ დაეხსნებოდნენ, სანამ ქართველობას მთლიანად არ ამოჟლეტდნენ და მის მიწასა და ცას მთლიანად არ დაისაკუთრებდნენ! ისინი არ იყვნენ საკუთარი დიდი სახელმწიფოდან სხვა სახელმწიფოების დასაპყრობად მოსული მტრები, ვთქვათ არაბების მსგავსად მოსულნი. ეს იყო „მოხეტიალე სახელმწიფო" და „ქვეყანა", რომელიც ახლა იმკვიდრებდა თავისი გაზრდილი მადის შესატყვის სივრცეს. მათი ცხოვრების წესი მომთაბარე ურდოების ცხოვრების წესს ჰგავდა გარეგნულად, მაგრამ სინამდვილეში სხვა შინაარსს ატარებდა ეს ფორმა. დავით აღმაშენებელმა ეს საშინელი მიზანი, ქაღალდზე დაუწერელი მიზანი, ამოიკითხა თურქ-სელჩუკთა გაუთავებელ დაბანაკებასა და თარეშში. ახლა აქედან ადვილია ამის დანახვა, კერძოდ იმის დანახვა, რაც მოხდა: თურქ-სელჩუკებმა მართლაც დაიპყრეს უზარმაზარი ტერიტორიები და შექმნეს დიდი სახელმწიფო, უფრო გვიან მიიტაცეს სამხრეთ საქართველო — ვეებერთელა ნაწილი ჩვენი ქვეყნისა. იმ დროს კი ისინი ყველას თვალში მომთაბარე ურდოებად ჩან-

დნენ, ადრე თუ გვიან საქართველოდან მათი წასვლის იმედს არ კარგავდა ხალხი. და ეპიზოდი, რომელზეც აქ მინდა ვესაუბრო მკითხველს, სწორედ იმას დაგვანახებს, თუ რა ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული დავით მეფეს თურქ-სელჩუკთა სისხლისმიერი მიზანი.

არაერთგზის დამარცხების მიუხედავად, თურქ-სელჩუკების ურდოები ვერ მოიშორა საქართველომ. გაცამტვერებული, მიწის პირისაგან აღგვილი. მათი ბანაკები კვლავ ივსებოდა ახალი ტალღებით, მოდიოდა და მოდიოდა ნიაღვარი. ქართველთა ლაშქარი მუსრს ავლებდა ყველგან და ყოველთვის დიდებული მეფე-სარდლის ხელმძღვანელობით მათ ბანაკებს. თურქ-სელჩუკთა განთქმული სამხედრო წყობა, შემართება და ძალმოსილება დაინგრა, მაგრამ უკვე ორგანულად არ შეეძლოთ ამ ქვეყანას დახსნოდნენ. სხვაგვარად ამ ორგანულობის გაუთვალისწინებლად აუხსნელი უნდა იყოს მათი ჯიუტი წასვლა აშკარა სიკვდილზე! ყოველი მათი მოსვლა (ზოგჯერ წელიწადში რამდენჯერმე) დავითის საქართველოში მთავრდებოდა სრული კატასტროფით და მაინც არ შეეძლოთ არ მოსულიყვნენ! მაინც ებღაუჭებოდნენ არამყარ იმედს: იქნებ დავით მეფემ ჩვენთვის ვერ მოიცალოს, იქნებ ეს უძლეველი კაცი ქურდულად მოვკლათ და ქვეყანა დავისაკუთროთო. სისხლის ძახილი იმდენად ძლიერი იყო, რომ სულ მცირე ღიმილისმომგვრელ შანსს ებღაუჭებოდნენ: დაიგულებდნენ თუ არა მეფეს დასავლეთ საქართველოში გადასულად, მყის დაიძვრებოდნენ და აღმოსავლეთში ნებისმიერ, მათთვის სასურველ ადგილას დაბანაკდებოდნენ. გაივსებოდა ველ-მინდვრები მათი კარვებითა და საქონლით. ბოლოს იმასაც „ვეღარ ხვდებოდნენ“, რომ დავით მეფე განზრახ გადადიოდა „აფხაზეთს“ მათ ჩამოსატყუებლად, მერე უეცრად დაესხმოდა თავს და ამოჟლეტდა. ეს უკვე მეფის პროგრამაა, სამოქმედო პროგრამა და მის სტრუქტურაზე სხვა დროს უნდა შევჩერდეთ საგანგებოდ, მაგრამ თავად თურქები რომ შესანიშნავად გრძნობდნენ ამ ხერხს და მაინც არ შეეძლოთ არ „ჩამომდგარიყვნენ“, ეს არის საგულისხმო. დავით აღმაშენებელი ამ მოვლენის შინაარსის დანახვამ შეაძრწუნა. თურქ-სელჩუკების მოვლინება ჰგავდა ეპიდემიას, რომლისაგანაც თავის დაღწევა შეუძლებელთა კა-

ტეგორიას ეკუთვნოდა უკვე. ამ შინაარსის დანახვამ დაბადა საქართველოს ისტორიაში ის უნიკალური ეპიზოდი, რამაც დააგვირგვინა დავით აღმაშენებლის სამხედრო ხელოვნების მთელი სირთულე და ჩვენი ხალხისა და მისი დიდი შვილის სრულიად უცნობი თვისებები წარმოაჩინა.

„და მასვე ზამთარსა ჩავიდა აფხაზეთს ბიჭვინტამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი: ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემცოდენი დაიპყრნა და წუართნა; რამეთუ იყო ზამთარი ძნელი და თოვლი ფრიადი. ხოლო ცნეს რა თურქთა, ვითარმედ შორს არს მეფე, გულდებით ჩამოდგეს პირსა მტკურისასა, გარნა ლომსა მოხელოვნებულსა არა სცოდნოდა, არცა ჰრულოდა ომისათვის, ვერცარა დამხრწეველთაგანი დაიმჭირვიდა. წარმოვიდა მსწრაფლ აფხაზეთით თოვლთა საშინელთა, გარდაათხრევინა მთა ლიხისა, სადა გარდანაკუეთსა თოვლისასა აქუნდა სიმაღლე მხარი სამი. და დახუდა მზად სპა მისი, და პირველ ამბავისა ქართლისა ცნობამდე დაესხა ხუნანს და აღავსო ლაშქარმან მთით მტკურამდე და გაგთათ ბერდუჯამდე. და მოსრეს პირისა მახვილისათა, რომელ არა დაუშთა მთხრობი ამბავისა. ქრონიკონი იყო სამას ორმოცდაერთი, თუე მარტი".

დავით აღმაშენებელმა დაინახა, სხვა ღონის მოხმობა რომ იყო საჭირო. იქნებოდნენ თურქები ამ დიდი თოვლის დადნობამდის მტკვრის მიდამოებში, გაიქცეოდნენ შემდეგ დავითის შიშით, დაელოდებოდნენ ხელსაყრელ ვითარებას და ასე, როცა იქნებოდა, აღასრულებდნენ თავის ვერაგულ მიზანს. ამ დიდთოვლობისას მოსვენებული იქნებოდა ქართველობაც, ცოტას მაინც ჩათვლემდა ბრძოლით დაღლილი, მერე ჩვეულებისამებრ ეპიზოდურად აფეთქდებოდა და შემუსრავდა მტრის ურდოებს. დავით აღმაშენებელმა იგრძნო, რომ ეს ჩვეულებრივი წესი უნდა მოშლილიყო. ჩათვლემისა და ეპიზოდური შემართების უფლებას არ იძლეოდა გარსმოჯარული მტრების შორეული ზრახვანი. მასიურ დაწოლას, მტრის გაწუწყვეტელ მოხდომას უნდა დაპირისპირებოდა ერის მაქსიმალურად მობილიზებული ენერგია. ამ „საშინელ" თოვლში ყველაფერი გამართლებული იყო, თვლემაც, საკუთარ ჭერქვეშ შეყუჟვაც, დროებითი ამოსუნთქვა, თვით ქეიფიც კი, რადგან გა-

ბმული თოვა, საშინელი ზამთარი პირდაპირ წარმოშობს ამის მოთხოვნილებას. მაგრამ დავით აღმაშენებელი ფიქრობს არსზე, არსი კი მიუთითებს, პირდაპირ ხელს ადებს თურქ-სელჩუკთა სისხლისმიერ მიზნებს. ამდენი დამარცხების შემდეგ ისინი კიდევ ბედავენ მტკვრის სანაპიროზე ჩამოდგომას! ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი არასდროს არ დაეხსნებიან საქართველოს. მაშასადამე, უნდა გაკეთდეს უმთავრესი. თურქ-სელჩუკთა ფიქრში უნდა ამოიწვას იმედი იმისა, რომ საქართველოში დამკვიდრება-დაფუძნება საერთოდ შეიძლება! ეს ფიქრი უნდა მოისპოს და მისი საპირისპირო უნდა გაბატონდეს: თურქ-სელჩუკებისათვის საქართველოს ცისქვეშ არ არის ადგილი! მათ არასდროს და არსად არ აპატიებენ თარეშს თუ „დასაზამთრებლად" ჩამოდგომას. აქ დგომა შეუძლებელია! რაკი ეს აზრი უნდა შეიტანოს მათ სისხლში, ამისათვის, ამ დიდი მიზნისათვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს. საჭიროა ერის მთელი ენერგიის მობილიზება, რაც მთავარია, ახლა ამ ისტორიულ ჟამს, წუთიერ ჩათვლემაზე უარის თქმაა საჭირო.

ქართველმა კაცმა იცის ბრძოლა, იცის შრომა, დიდი ბრძოლა და დაუღალავი შრომა იცის. მაგრამ იმავე ქართველმა კაცმა დაუდევრად ჩათვლემაც იცის, ჩათვლემა თვით კარსმომდგარი უბედურების დროსაც. ეს უწყოდა დავით აღმაშენებელმა! მან საიმისოდ წვრთნა თავისი ხალხის სული, რომ შეძლებოდა ნებისმიერ დროს ფეხზე დაეყენებინა მისი ენერგია.

და აი, დიდი ზამთრით, საშინელი თოვლით გულმოცემული მტერი კიდევ ერთხელ ჩამომდგარა მტკვრის სანაპიროზე. საშინელი ზამთარი და დიდი, „სამი მხარის" სიმაღლე თოვლი გამორიცხავს გალაშქრების შესაძლებლობას, ისეთი კატეგორიულობით გამორიცხავს, რომ სინდისი უფლებამოსილია არხეინად იყოს. არავითარი პასუხისმგებლობის გრძნობა არ აწუხებდეს — შეუძლებელი შეუძლებელია.

დავით აღმაშენებელმა (როგორ ნათლად ჩანს აქედან ეს) მთელი არსებით იგრძნო დიდი წამის სიახლოვე. იგრძნო, რომ თავისი ქვეყანა ფეხზე უნდა დაეყენებინა, უარი ეთქმევინებინა ბევრი თვისებისათვის და იმ ახალი თვისების დაბადებას შესწრებოდა, ერის სრულ მობილიზებასა და მზადყოფნას რომ

უზრუნველყოფს. საქართველოს თუ უნდა ღირსეული არსებობით არსებობდეს ამქვეყნად, ერთხელ და სამუდამოდ გაიმართოს წელში, რაც მთავარია, თავი დაიხსნას კონკრეტულ ისტორიულ მდგომარეობაში, უნდა ყველაფერი დაუქვემდებაროს შინაგანი სრულყოფილების მოთხოვნას: მიწურებიდან და ქოხებიდან, თავადური ციხე-დარბაზებიდან გამოვიდეს მთელი თავისი ძალებით და ახლა, სწორედ ახლა დაატეხოს მტერს რისხვა თავს, როდესაც მტერი არაფრით არ ელოდება ამას. ეს ის ნაბიჯია, რაღაც იდუმალი ძალა რომ კარნახობს ადამიანს, ხალხს, ქვეყანას. ეს ის თვისებაა, ყველა სხვა თვისებას რომ გადაუვლის თავზე, სადავეებს იკრებს და მართავს მოვლენებს. „წარმოვიდა მსწრაფლ აფხაზეთით თოლთა საშინელთა“... ამბობს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ეს არ გახლავთ ოდინდელი საქართველოს მოძრაობა, თუმცა არაერთი დიდებული გამონათება იცის ძველმა საქართველომ, არაერთი დიდებული შინაარსი წარმოუჩენია თავისი შესაძლებლობისა, მაგრამ ეს უნაპირო ფანტაზია, დიდი შემართებები და წარმატებანი მაინც არ გულისხმობდნენ უნივერსალურ შინაარსს, მაინც ფრაგმენტული და წყვეტილი იყო იგი. დიდ შემართებათა შორის დიდი, ხანგრძლივი თელემაც ირწეოდა ჰაობივით და ის დაიტანდა ხოლმე უკეთეს ხვედრს თავისი ტალახისფერი ტალღებით. ადრეც უვლია საქართველოს ლაშქარს „საშინელთა თოვლთა“, მაგრამ ამ სვლას დიდი კანონის, დიდი წესის, მარადიული თვისების შინაარსი არ ხლებია. ახლა დავითის ცხოვრების წესი მას სწორედ დიდ კანონად, დიდ წესად, მარადიულ თვისებად ამკვიდრებს. ამ სვლის სხვაგვარი წაკითხვა საკუთარი თავის გაღარიბებაა. დავით აღმაშენებლის ფენომენის შინაარსს იგი მთელი სისრულით წარმოგვიდგენს. აქ ყოველი ნაბიჯი, გადმოდგმული ბიჭვინთიდან მტკვრის ნაპირებამდე, კანონის ნაბიჯებია, იმ წესის მოძრაობაა, რომლის ღალატის უფლება ქართველ კაცს არა აქვს. უბადრუკობაა ამ სვლაში მარტოოდენ დავით აღმაშენებლის, საქართველოს ძლიერი მეფის, განრისხებული სიუზერენის ვნებათაღელვა წაიკითხო. ასეთი სრული მზადყოფნით უნდა მოძრაობდეს ქართველი კაცის ფიქრი, შინაგანი მობილიზება შეუვალი მოთხოვნილება უნდა იყოს! ეს იყო მოთხოვნილება

მისი ხალხისა, რომელიც ბრძოლასა და შრომაში გამოიწრთო, ვიწაც ამ წრთობის გზაზე წიაღიდან გამოიხმო თავისი უკეთესი თვისებების შესაკრებელი. გამოიხმო მისიით, რომ მას დაეფუძნებინა ქართულ მიწაზე ამ რანგის თვისებები. ეს „განუმეორებელი“ მოძრაობაა, მაგრამ სანამ ამ დიდი მოძრაობის ბრსს დავინახავდეთ, სრულად წარმოვიდგინოთ თავად სურათი ამ მოძრაობისა.

როგორი მდიდარი ფანტაზიაც არ უნდა ჰქონდეს კაცს, იგი მაინც ვერაფრით ვერ დაარღვევს იმ რეალური სურათის ჩარჩოს, ამ სიტყვებში რომ არის მოქცეული: „გარდაათხრევინა მთა ლიხისა, სადა გარდანაკუეთსა თოლისასა აქუნდა სიმაღლე მხარი სამი“.

ახლა ლიხის ჩათვლით ერთ მთლიანობად აღვიქვათ გადალახული სივრცე: „წარმოვიდა მსწრაფლ აფხაზეთით თოლთა საშინელთა, გარდაათხრევინა მთა ლიხისა, სადა გარდანაკუეთსა თოლისასა აქუნდა სიმაღლე მხარი სამი“. აი, ამ სურათს ვგულისხმობ, როდესაც ვამბობ, ვერანაირი ფანტაზია ვერ დაურღვევს ჩარჩოს-მეთქი. აქ ფანტაზიით არაფრის მიმატება არ არის საჭირო, ისეთი გრანდიოზული მოვლენაა თავისთავად, რომ რაიმეს წამატება არც შეიძლება. თავად მომხდარი ფაქტია თავისი შინაარსით ზღაპრულის მსგავსი. და რაოდენი ბედნიერებაა, რომ საქართველოს არსებობის ისტორიაში ასეთი სიმაღლეა დაპყრობილი ეროვნული ენერგიის ნიერ. მოეშურება დავით აღმაშენებელი და მოჰყვება საქართველოს სული და სხეული. აქ მნიშვნელობა არ აქვს რამდენი ათასი კაცი ახლავს მეფეს, აქ მნიშვნელობა იმას აქვს, რომ მთელი ქვეყანა ფეხზე დგას. ფეხზე დგას ეროვნული სული და თავის სასიქადულო შვილს მიჰყვება დაუჯერებელი ამბის მოსახდენად.

ქართველ კაცს თოვლი სილაღისა და ლხინისათვის უყვარს. ბუხრის პირას მჯდარი იგი, კეთილშობილი, ყველასთვის კეთილმოსურნე, შეულახავ ღვინოს სვამს უზადო კულტურით და მადლობას უთვლის გამჩენს მშვიდობისათვის, ლოცავს სტუმარს და ჯალაბს. ქართველ კაცს თოვლში შორეული მგზაურობა ჰირის დღესავით ეზარება, მისი ზამთარი ხანმოკლეა, შეჩვეულია გაზაფხულს, ზაფხულს, შემოდგომას,

ბუნების კარნახით ლაღ დროს არის შეხიზნული, — ბუნებამ ამდენ სიკეთესთან ერთად ეს ნაკლიც დაანათლა — ზამთარში სახლში გამოკეტვა მთლად ურჩევნია ყველაფერს, მითუმეტეს ღუ დიდი თოვლი და საშინელი ზამთარია, იცის, მალე დადგება გაზაფხული და ყველა საქმე იმ დროისათვის აქვს გადადებული.

დავით აღმაშენებელმა თოვლის საფარი გამოარღვევინა ხალხის ფხიზელ გონს, თვლემისა და თოვლის საფარი, ერთმანეთს ასე მჭიდროდ რომ შერწყმოდა. ერმაც იგრძნო დიდი წამი, უჩვეულო დროს უჩვეულოდ „საშინელ თოვლთა" გაჰყვა თავის სწორუპოვარ წინამძღოლს. ეს ისე გარდუვალი იყო მისი ნების კარნახით, ისე გარდუვალი... რომ ყოყმანი, ეჭვი, სხვადასხვა რჩევა, ყველაფერი გამორიცხულია. ისე დიდია რისხვის აზავება, რომ საგანგებოდ ჩაფუთვნილნი კი არა, თითქოს ხელებდაკაპიწებულნი მოსდევენ მეფეს უკან, მზად მყოფნი — ყველაფერი მოახდინონ, რასაც მისი ფიქრი უკარნახებს. არ ვიცით, სიტყვა „მსწრაფლ" როგორი სიჩქარით სიარულს გულისხმობს. მაგრამ, რაკი „ვერცარა დამხრწეველთაგანი დაიმჭირვიდა", რაკი მეფე დავითი ასეთი გააზრებით ახორციელებს ოპერაციას, რიტმიც უკიდურესად დაძაბულია და დაუოკებელი. შეუვალია ამ უკიდურესი სისწრაფის მოთხოვნილება, ერთგვარი შინაგანი გააფთრება „მსწრაფლ" მოძრაობის. ცხადია ერთი რამეც — ეს ოპერაცია კაცობრიობის სამხედრო ხელოვნების ისტორიაში განუმეორებელი მარშით სვლის მაგალითებს უერთდება, თითო-ოროლა რომ იცის სამხედრო ხელოვნების ისტორიამ, იმგვარი შტურმის ბადალია. ჩვენი წყაროების სიმწირის გამო დეტალების დაკონკრეტება არ ხერხდება. ფაქტია, რომ წარმოუდგენელი სისწრაფით იარა მეფე დავითმა „საშინელ თოვლში", რომ ეს თოვლი, მართალია, სამი მხარი (ხუთი მეტრი) ლიხის მთაზე იდო, მაგრამ ბიჭვინთიდან ამ ლიხის მთამდე რომ ყველგან „საშინელი თოვლი" იყო, ამას გარკვევით მიუთითებს ისტორიკოსი. სწორედ ის კეთდება, რასაც არავინ არ მოელის თვით დავით აღმაშენებლისაგანაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ამ სტრუქტურის პიროვნებისაგან ყოველთვის უნდა ველოდეთ მოულო-

დნელს, მაინც შეუძლებელთა რიგს ეკუთვნოდა, როგორც ჩანს, „საშინელ თოვლში“ ასეთი „მსწრაფლი“ სიარული.

თოვლი იჭრება ბიჭვინთიდან ლიხამდე. ლიხთან და ლიხის სიახლოვეს სხვა მასშტაბები იღვიძებენ.

ვისაც კი უმგზავრია ლიხის მთიდან ბარის იმერეთამდე, ცხადად წარმოიდგენს, თუ რას ნიშნავდა იმდროინდელი უგზოობის დროს ეს სვლა, რაოდენ დიდი მანძილი იყო დაფარული „სამი მხარი თოვლით“. ერთია, რომ ბიჭვინთიდან ხეობის დასაწყისამდე ისედაც „საშინელი თოვლი“ იდო, მაგრამ ვაკეზე დაწოლილი თოვლის საფარი აბა რა სახსენებელი, მიუხედავად იმისა, რომ „თოვლთა საშინელთა“ უწოდებს მემატიანე, ხეობის კალთებზე დახვავებულ თოვლთან შედარებით, რომლის სიმაღლე მთების სიმაღლესთან ერთად მატულობდა. „გარდაათხრევინა მთა ლიხისა“ — ამ სამი სიტყვით გადმოცემული აზრი გულისხმობს კოლოსალური ენერგიის გაღებას, საოცარ ძალისხმევას. თავად დასაწყისი ოპერაციისა, განზრახვა — ლიხის მთა სწორედ ახლა უნდა გადაეთხაროს, ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ ფეხზე დგას მთელი ქვეყანა, მისი არსებობის აზრი, მისი შეგნების ყველა სიმი დაჭიმულია, გაცნობიერებულია გადასატანი შრომის მთელი სიმძიმე, ხალხი შემოქმედის სულით არის დამუხტული. შეუძლებელთან შეჯიდება აღმაშენებლის სიმკაცრით აიხსნას, არ ემორჩილება ლოგიკას! ამ საშინელ თოვლში ლაშქრის თუ ხალხის მოკრება წარმოუდგენელი ჩანს — აქ ერის გულისპასუხის დაძახილია. იგი წარმოთქვა მეფის ბაგემ. ხალხმა მთელი ტანით იგრძნო ამ „გარდათხრის“ სასიცოცხლო მნიშვნელობა და დაიწყო მსოფლიო ისტორიაში უჩვეულოდ მიჩნეული რიგის მოვლენა, საოცრებათა რიგის ნაბიჯი. უზარმაზარ მანძილზე იკაფებოდა თოვლი, იჭრებოდა საუკუნოვანი ხეები, ინთებოდა კოცონები, შრებოდა დასველებული მეომარი, თბებოდა დამაშვრალი და დამზრალი ტანი, ცეცხლი ადნობდა თოვლს — ცეცხლი ენთო ყველაფერში, გზაზე, სულში, ფიქრში... ყველაფერი კეთდებოდა უხმაუროდ, ზედმეტი სიტყვისა და კითხვის გარეშე. ამ უზარმაზარ მანძილზე გაჩიმულიყო ქართველი ხალხის რისხვა —ძირფესვიანად თხრიდა საქართველო ზამთარს თავისი გზიდან! იყო უმაღლესი წუთი ერის

ორგანიზმის მომართვის გზაზე, — თითქოს ხელისგულზეო — ისე ჩანს საქართველოს ენერგიის მოძრაობა. ხედავთ, როგორ იძვრის და მოძრაობს ეს ენერგია ყოველი მიმართულებიდან. დანაწევრებული, ადგილ-ადგილ აფეთქებული კი არა, მთელს ეროვნულ ორგანიზმში დატრიალებული ენებათაღელვა იკითხება. „ლიხის მთის გარდათხრა“ არ ემორჩილება სხვაგვარ განზომილებებს. იმ წუთებში დავითთან იყო მთელი ქვეყანა. მან იცოდა, რომ მეფემ ეს გაუგონარი ნაბიჯი გადადგა ხალხისთვის როგორც ყოველთვის და იმ ადგილებს რომ შესძლებოდა ყველას დატევა, მთელი საქართველო ჩაეიდოდა „ლიხის მთის გარდასათხრელად“. მაგრამ ამ უნიკალური მასშტაბის ოპერაციას ურიცხვი ხელი და ნიჩაბი კი არა, მთელი საქართველოს სიფხიზლის ფეხზე დადგომა ჰირდებოდა. და რაკი ლიხის მთაზე მდებარე „სამი მხარი თოლი“ გაიპო დავით აღმაშენებლის ბრძანებით და ერის ხელით, ეს ნიშნავდა, რომ ქართველი ხალხის შესაძლებლობანი ახალი შინაარსით, ახალი თვისებებით წარმოსდგა, იგი ფეხზე იდგა, იგი მოძრაობდა, როგორც ახალი ერთეული. ეს მისმა დაძახილმა დააყენა ამ გზაზე მეფე, რადგან მეფისაგან ამ საარაკო ამბის მოხდენამ ჩვეულებრივი მდგომარეობიდან გამოიყვანა მისი ხალხი, მას არ შეეძლო უკვე წინანდებურად ნახევრადმთვლემარეს გაეგრძელებინა არსებობა, როდესაც ლიხის მთაზე სასწაულები ხდებოდა.

დავით აღმაშენებლის გეგმა გამორიცხავს უფუნქციო დეტალს, იგი ყოველ ნიუანსს ითვალისწინებს. წინასწარ წარგზავნილმა მისმა ერთგულმა ადამიანებმა ქართლში მალულად გაუმზადეს სპა — ლიხის გადალახვა და სულისშემხუთველი შეტევა ერთი უნდა იყოს. თავდასხმა „ღვთის რისხვას“ უნდა დაემსგავსოს, ყველაფერი აქეთკენ არის გამიზნული.

„და დახუდა მზად სპა მისი, და პირველ ამბავისა ქართლისა ცნობამდე დაესხა ხუნანს. და აღავსო ლაშქარმან მთით მტკურამდე და გაგთათ ბერდუჯამდე და მოსრეს პირითა მახვილისათა, რომელ არა დაუშთა მთხრობი ამბავისა“.

დავით აღმაშენებელს უამრავი ბრძოლა მოუგია. ყველა ბრძოლას და ყველა გამარჯვებას თავისი დანიშნულება ჰქონდა, დიდი პროგრამის ორგანული ნაწილი იყო ყოველი მათგა-

ნი. ამ მოვლენასაც ჰქონდა თავისი დანიშნულება, როგორც დავინახეთ, უმაღლესი დანიშნულება. აქ თურქთა დამარცხების მიზანი არ იგულისხმება მარტოოდენ. მარტში დაამარცხებდა თურქებს თუ დიდთოვლობის გადასვლის შემდეგ, თურქები მაინც განადგურებულნი იქნებოდნენ. მაგრამ ლიხის მთის „გარდათხრამ“ შეასრულა მოქმედებათა გამიზნულ ჯაჭვში უღელტეხილის როლი. ეს მოვლენა მომზადდა და შესრულდა ვირტუოზული სრულყოფილებით სწორედ იმ აზრის ჩასასახლებლად თურქთა სისხლში, რომ საქართველოში მათი ადგილი არ არის — არც წყალდიდობის, არც პაპანაქება სიცხის, არც საშინელი თოვლის დროს არავინ დაუშვებს მათი ფეხის მორთხმას საქართველოს ცისქვეშ. რაკი ასეთ თოვლშიც არ რჩება მცირეოდენი შანსიც დაბანაკებისა, ე. ი. თავიდან უნდა ამოეგდოთ მსგავსი ფიქრი, სისხლს სხვა მიმართულებით უნდა ედინა! მეტი საბუთი არ იყო საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველი ხალხი მათ სამუდამო დაბანაკებას არ დაუშვებდა: „მთით მტკურამდე და გაგთათ ბერდუჯამდე“ ფეხზე იდგა თურქთა თვალწინ მთელი საქართველო გაშიშვლებული მახვილით. ეს იყო დამზაფრავი სურათი, წარმოუდგენელი საშინელება, რომელიც უფრო მიწიდან ამოზიდულს ჰგავდა, ვიდრე მთიდან გადმოსულს.

შემდეგ ამ სურათში „გაქვავებული“ საქართველოს სასიცოცხლო ძალის მოძრაობას დააკვირდით, რა მასშტაბურია იგი, ყოველთვის მზადმყოფი, შემართული, ფხიზელი. არ ენახა მსგავსი რამ მტერს, არ სმენოდა ამნაირი მობილიზება.

ამ მოვლენის წყალობით თურქებმა ფეხი ამოიკვეთეს იმდროინდელი საქართველოს ტერიტორიებიდან. დავით აღმაშენებელი საქართველოს საზღვრებს გარეთ ასწორებდა ფაქტიურად ამის შემდეგ მტერთან ანგარიშს.

* * *

ვფიქრობ, თავგამოდებული მტკიცება არ ჭირდება იმ აზრს, რომ ამ ისტორიულ მოვლენაში გაცხადებული თვისება გახლავთ განსაკუთრებული უნარი პიროვნებისა, სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებისათვის არ დაუშვას მცირე შეც-

დომაც კი, ოდნავი დამშვიდება და წამიერი ჩათვლემაც არ აპატიოს თავის სისხლსა და სულისკვეთებას. გამუდმებით ფიქრობდეს მოსახდენზე და მუდამ შემართული იყოს მოქმედებისთვის! ეს თვისება და ამ რიგის თვისებები დაინახეს უფლისწულში (ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთ თვისებაზე გავამახვილეთ ყურადღება) მეფე გიორგიმ და პროგრესულ ადამიანთა დასმა. ბავშვობიდანვე სამეფოდ გაწვრთნილ უფლისწულებს ბევრი რამ ესმოდათ პოლიტიკისა. მით უმეტეს, გოლიათური აღნაგობის, საოცრად მშვიდ, დინჯ, აუღელვებელ, დაფიქრებულ ჯაბუკში ცხადად იკვეთებოდა შესაძლებლობანი. კარისკაცების თვალი ამჩნევდა, როგორ დღითიდღე, ელვის უსწრაფესად იზრდებოდა დავითის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობანი. საქართველოს აწინდელ და წარსულ მდგომარეობაზე გამუდმებული მსჯელობისას ვლინდებოდა ნახევრადდაფარული ინტერესები და უნიკალური გეგმები, რაც ყმაწვილის ფიქრში იბადებოდა. ყოველი ფაქტის ანალიზი წარმოაჩენდა თავად ანალიტიკოსის მოქმედების უნარს, მის სინთეზურ აზროვნებას. ფიზიკური ძალმოსილება, შერწყმული ამ დიდ გონიერებასთან, რომელიც არასდროს არ იდო ენის წვერზე, მძიმედ წარმოთქმულ სიტყვებს შორის რომ აფარებდა თავს, დაანახვებდათ განსაკუთრებულ თვისებებს, რასაც საგანგებოდ აკვირდებოდნენ და გულდასმით სწავლობდნენ.

* * *

„იოანე მარუშის ძეს საქართველოს გაერთიანების გარკვეული და მტკიცე სურვილი ჰქონდა და ამის განსახორციელებლად საუკეთესო გზაც აირჩია. ტაოს მფლობელ დავით დიდ კურაპალატზე უკეთესად არავის შეეძლო ეს განეხორციელებინა: იგი სახელგანთქმული იყო ყველგან, როგორც შინ საქართველოში, ისე გარეთ სომხებსა, ბერძნებსა და არაბებს შორის ძლიერებითა და მაღალი სულიერი და ზნეობრივი თვისებებით; ამასთანავე მტკიცე და ძლიერი ხასიათის პატრონი იყო და თავის თავს არავის დააჩაგვრინებდა“ (ივანე ჯავახიშვილი).

„ესე ბაგრატ აფხაზთა და ქართუელთა მეფე წარემართა

ყოველთავე ხელმწიფეთა ყოვლითა განგებითა, ამისად ჴოლ-ჯედ და შემპოვნედ შეიქმნეს ყოველნი ხელმწიფენი მახლობელნი და მოთაულნი მამულისა და სამეფოსა. მისისანი და მოლაშქრედ, ვითარც თვისნი დიდებულნი და მისანდობელნი, დაუმორჩილნა ღმერთმან ყოველნი მტერნი წინააღმდგომნი, მრომადღა დღეთა მისთა მშვიდობა და დიდი დაწყნარება ქუეყანისა“ („მატიანე ქართლისაჲ“).

„ბაგრატ მეფის მტკიცე ხასიათმა, ბრძნულმა და წინდახედულმა მმართველობამ, ვაჟკაცურმა გულადობამ და შორს გამჭვრეტელმა პოლიტიკამ საქართველო გააერთიანა და მის ძლიერებას მკვიდრი საფუძველი დაუდვა. არც გასაკვირველია, თუ რომ იმდროინდელი ქართველი ისტორიკოსები მისის მოღვაწეობით აღტაცებულნი ცოტა არ იყოს გაზვიადებით გვისურათებენ მისის მეფობის ნაჭირნახულევს...“ (ივანე ჯავახიშვილი).

„ბაგრატ მეფე (ამჯერად ბაგრატ მეოთხეზეა საუბარი—ჯ. ღ.) მემატიანის სიტყვით „იყო კაცი უშუენიერესი ყოველთა კაცთასა“... მაგრამ ბედმა მას ბევრი განსაცდელი არგუნა და თითონაც მან დიდგვარიან მოხელეთა თვითნებობისა და წინააღმდეგობის ალაგმვა ვერ შესძლო და თითქმის გამუდმებულ ბრძოლაში დალია თავისი დღენი. ხასიათის სიმტკიცე აკლდა, თუ სხვა რაიმე მიზეზი იყო, არა ჩანს, ეს — კია, რომ თუმცა მეფე ყოფილა გულკეთილი, „მოწყალე და განმკითხველი გლახაკთა“, მაგრამ მაინც მემატიანე ჩივის, „ჟამთა მისთა ქუეყანას დაწყნარება არ აქუნდა, ეკლესიანი და გლეხნი და აზნაურნი ვერ იკითხებოდესო“ (ივანე ჯავახიშვილი).

* * *

ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება დრო და ჟამის გარდუვალ მოვლენათა კარნახით იცვლება. განსაკუთრებით ცვალებადია პოლიტიკური ვითარება, შედარებით ნელა, მაგრამ მაინც იცვლება სოციალური მდგომარეობა. ამ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებათა ცვალებადობის ჯამიც ქმნის ქვეყნის ეროვნულ მდგომარეობას საუკუნეთა განმავლობაში. ქვეყნის ეს საერთო ეროვნული მდგომარეობა კი იძერწება

უამრავი მოვლენისა და ფაქტის წყალობით, გარე სამყაროში მიმდინარე პროცესებისა და შინაგანი მოძრაობის ურთიერთმიმართებით. იგი ყალიბდება ხანგრძლივი დროის მანძილზე. პერიოდული წარმატებანი და წარუმატებლობანი ერთმანეთს ენაცვლებიან, საბოლოოდ ერთ ჯამად იკვრებიან და ქვეყნის შინაგან ყოფას ქმნიან. ეს პროცესი, შინაგანი სრულყოფისა თუ დეგრადირების პროცესი, თავის თავში მოიქცევს თვით უდიდეს ფაქტებსაც, ან შინაგანი ძალმოსილებისაკენ მოაქცევს მათ, ან დაცემის მოსამსახურედ ხდის.

საქართველო ფარნავაზის წყალობით და აქედან მოყოლებული მუდამ ესწრაფვოდა შინაგან სრულყოფას, ესწრაფვოდა როგორც ქვეყანა, როგორც სახელმწიფო.

დავითის დროინდელი ქართველობა ხანგრძლივ იბრძოდა ამ მიზნისათვის, იბრძოდა მის ხელთ არსებული ყველა იარაღით. გონიერი ქართველობა აანალიზებდა ყველა მნიშვნელოვან ფაქტს, ერთმანეთთან აკავშირებდა მოვლენების არსს, წესს და მიმართულებას, ესწრაფვოდა დიდი პროცესების მამოძრავებელი კანონზომიერების დადგენას. სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნებოდა მომავალში ძლიერი სახელმწიფოს შენება.

წინაპართა გამუდმებული ბრძოლების მხარდამხარ იბადებოდა ეს შინაგანი მოთხოვნილება ანალიზისა და დასკვნებისა. მარტო გასაანალიზებლად დრო არასდროს ყოფნიდა ქართველ კაცს. იგი აშენებდა, შრომობდა თავაუღებლად. აღადგენდა მტრისაგან დანგრეულს და ქმნიდა თავის განუმეორებელ არსებობას. რამდენი რამ შეიძლო მან ესოდენ მტრულ გარემოცვაში, ასეთი საშინელი გეოგრაფიული პოზიციის მქონემ. სამუშის ძაბრებს შორის მოქცეული ქვეყანა გამუდმებით იღებდა დარტყმებს ამ სამუშისაგან. გამუდმებით ცდილობდა წონასწორობა შეენარჩუნებინა, გაეძლო, უკუეგდო, მოღონიერებულიყო. აი, ვახტანგ გორგასლის დიდი შემმართებლობა და დიდი წარმატებანი, აშოტ მეფის მეცადინეობა, ნერსე ერისთავის მაორგანიზებელი გონი, დავით კუროპალატის ბრწყინვალე ხანა, ბაგრატ მესამის მიერ გაერთიანებული საქართველო, ბაგრატ მეოთხის ხანგრძლივი ბრძოლა... სპარსელების, არაბების, ბიზანტიელების, თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლებში მოპოვებული გამარჯვებანი! ეკლესია-

მონასტრების შენების პროცესი, ტაო-კლარჯეთიდან დაძრულმა გრიგოლ ხანძთელის ხელში სისტემის შინაარსი რომ შეიძინა და მთელ საქართველოში განეფინა. ქართული კულტურის კერების აღმოცენება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ქართული ეროვნული სული ყლორტებით ამოხეთქს დედამიწას და თავის ლამაზ არსებობას და მაღალი დონის ურთიერთობას ესწრაფვის. ეს შინაარსი ფეთქავს ეკლესია-მონასტრების შენების დაუმცხრალ სურვილში, ფართოდ გაშლილ აღმშენებლობის პროცესში.

ეს ერთი თვალის გადაელებით! გამოწვლილვითი ანალიზი კი დაგვარწმუნებს შემდგომ, როგორი კანონზომიერი, ორგანული და განუწყვეტელი პროცესი იყო შინაგანი სრულყოფისაკენ მისწრაფება, რასაც ავლენდა ქართველი ხალხი ბრძოლასა, შრომასა და შენებაში, რას ნიშნავდა დიდი მთარგმნელობითი საქმიანობის გაჩაღება, რა არსობრივ დანიშნულებას სდებდნენ მასში გიორგი და ექვთიმე ათონელები, გიორგი მთაწმინდელი, თავად წინამძღოლი კულტურული კერების შენებისა — გრიგოლ ხანძთელი. როგორი აუცილებლობის დანახვა და აღიარება გამოსჭვივის მათ პოზიციებში, სულიერი ცხოვრების ამაღლების რა დაუოკებელი წადილია.

მაგრამ არნახული მტრული გარემოცვა საქართველოს წინააღმდეგ აჯგუფებდა ისეთ ძალებს, რისი გამკლავებაც აღემატებოდა ყოველგვარ ეროვნულ ენერგიას.

ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს: „მაგრამ ქართველთა პოლიტიკურ ძლიერებას წინ ერთი დიდმნიშვნელოვანი გარემოება ეღობებოდა და აფერხებდა. რასაკვირველია, ა. მვლერი მართალია, როდესაც ამბობს, რომ დასავლეთთან შედარებით აღმოსავლეთი იმით იყო უბედური, რომ ბარბაროსების, ველური ტომების გადმოსახლება აღმოსავლეთში თითქმის არ შეწყვეტილაო. არაბებს თურქები მოჰყვნენ, ამათ მონღოლები ორგზის და ოსმალები. ასეთი ქარტეხილი დასავლეთის და ევროპელ ერებს თავს არ დასტყდომიათ; იქ ერთხელ იყო ერთა დიდი გადმოსახლება; აღმოსავლეთში — კი მრავალჯერ და აყვავებული ქალაქ-სოფლები და მდიდარი ქვეყნები მრავალგზის ყოფილა განადგურებული და მირეგვმორეგვილი. ეს უბედურება ქართველების უბედურებაც იყო“.

ცხადია, ეს უბედურება, უპირველეს ყოვლისა, ქართველების უბედურება იყო! ა. მვლერი მხოლოდ რამდენიმე მტერს ჩამოთვლის. მტრები უფრო მრავლად იყვნენ. აქ ხაზარები არ დაუსახელებიათ, არც სპარსელები. რაც მთავარია, შემოსევების განუწყვეტლობაა საგანგაშო. ევროპაში ერთხელ იყო ხალხთა დიდი გადასახლება, საქართველოზე იერიშებს კი განუწყვეტელი ხასიათი ჰქონდა. არ ჩაცხრა იგი ერთი და ორი საუკუნის მანძილზე, საუკუნეები მიითვალა. არ ჰქონდა დასასრული და რაც ასევე მთავარია, არ ჰქონდა საქართველოს ამ „გადმოსახლების“ ოდესმე დასრულების იმედი. მისი დაუსრულებლობის, მუდმივობის გრძნობა გაბატონდა. ცხადია, არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს ევროპის ხალხებს გაჭირვება არ დასდგომიათ და ისტორიის გზა ია-ვარდით ჰქონდათ მოფენილი. მაგრამ შედარება არ შეიძლება იმ განსაცდელთა შორის, საქართველოსა და ევროპის ქვეყნების ისტორიას რომ ეღობებოდა გზაზე. საბედნიეროდ ეს სხვებისაგან შენიშნული ფაქტია. აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელი ეს დაუმთავრებელი შემოსევები შემდგომ და შემდგომ ყველაზე მრისხანე მოვლენად საქართველოსა და სომხეთისათვის იქცნენ. რადგან, მტრულ გრძნობას კიდევ უფრო აალმასებდა ამ ქვეყნებისაგან ქრისტიანობის მიღება. ამას დაურთეთ ისიც, რომ ორივე ქვეყანა ქრისტიანული სამყაროს უკიდურესი წერტილები იყვნენ აღმოსავლეთში და ადვილი დასანახი შეიქმნება, რა ძალისა იყო დარტყმა ჩვენს წინააღმდეგ. როგორი მიზანმიმართული მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ შეტევათა განუწყვეტლობას.

განუწყვეტელ შემოსევებს გაძლება უნდოდა. თავის ისტორიულ გზაზე საქართველოს ენერგიის არნახული დაძაბვა დასჭირდა, რომ ღირსეულად ეარსება როგორც ქვეყანას, როგორც ხალხს. ამგვარ წარმატებას იგი აღწევდა პერიოდულად, ხანმოკლედ, მაგრამ მაინც პოულობდა თავისი თვისებების შესაფერის ფორმას, მდგომარეობას. სწორედ ეს ფაზები მქონდა მხედველობაში, როდესაც ფარნავაზის, ფარსმანის, მირიანის, ვახტანგ გორგასალის, აშოტ დიდის, დავით კურაპალატის, ბაგრატ მესამის და ბაგრატ მეოთხის მეფობის ხანაზე ვამახვილებდი ყურადღებას. განსაკუთრებით გამორჩეული იყო მათი მეფობის დრო, გამორჩეული იმ დროთაგან, როდესაც სხვა მე-

ფეებს უხდებოდათ ბრძოლა და შენება. არც მათ დაუკლიათ მეცადინეობა ქვეყნის აღორძინებისათვის, მაგრამ დრომ და გარემოებამ არ შეაძლებინათ მეტი, ვერ წარმოაჩინა ისინი მსგავსი ბრწყინვალებით... ძნელი იყო, უძნელესი იყო ასეთ გარემოცვაში მოღვაწეობა.

მაგრამ მიუხედავად ძლიერი დარტყმისა, მიუხედავად მრავალგზის ხელისმოცარვისა ფარნაოზიდან დავითამდე მაინც ყალიბდებოდა საქართველოს განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც აღმასვლასა და სრულყოფას გულისხმობს თავის თავში. ამ პროცესის წყვეტილი სახე, პერიოდული „ჩავარდნები" და საგანგაშო საფრთხეები ვერ ცვლიდნენ ძალების მიმართულებას — ძალები მწვერვალისაკენ მიეშურებოდნენ, შინაგან სრულყოფას ესწრაფვოდნენ. იყვნენ მეფეები განგებისაგან დაჯილდოებულნი უნარით, ქვეყანა შეუმცდარად ემართათ, მაგრამ წინააღმდეგობა იყო იმგვარი და იმ ძალისა, რომ არ ანებებდა მართვის შინაგან სრულყოფილებას.

რაღაც მეტი იყო საჭირო, იმაზე მეტი, ვიდრე კეთდებოდა, ეს მეტი საჭირო იყო მეფის ხასიათში, მის ნიჭსა და შესაძლებლობაში. ეს რაღაც მეტი საჭირო იყო ხალხის თვისებებში, მისი ცხოვრების წესში. ასე ახლოს მივიდნენ დავით კურაპალატი და ბაგრატ მესამე მიზანთან, ამდენი შეიძლო მათმა საქართველომ, მაგრამ მაინც ვერ მიწვდა იმ სრულყოფილ მდგომარეობას, რომელიც ღირსეულ ყოფნას დაუმკვიდრებდა ქვეყანასა და ხალხს. აი, ამ ღირსეული, მისთვის „საშვენიერ" ყოფნის დამკვიდრება არ ხერხდებოდა, ვერ მიიღწეოდა, რაღაც აკლდა ჭართველი კაცის ბუნებას თითქოს საამისოდ, ასე დიდებულსა და მონოლითურს. არადა, ნორმალურ ატმოსფეროში იგი გაიფურჩქნებოდა ყოველმხრივ, მისი ნიჭი და შესაძლებლობანი თითით საჩვენებელი და სამაგალითო იქნებოდა, მყარი მდგომარეობა გამარადიულდებოდა და ჩამოაცილებდა უფსკრულსა და მწვერვალს შორის მოქანავე ყოფნას.

საგანგებო იყო საქართველოს მდგომარეობა. მის სწრაფვაში გაუნელებელი წყურვილი შეიმჩნეოდა. მის წინააღმდეგ მიმართული ძალების უკუგდებას კი ერთი ხალხის ენერგია არ ყოფნიდა თითქოს, ან უნდა დასჯერებოდა წყვეტილ წარ-

მატებებს ან რაღაც სასწაული უნდა მოეხდინა. როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს სჩვევია, ქართველ კაცსაც უნდა დაეშვა შეცდომები, ზოგჯერ მოედუნებინა ყურადღება, გარეშე მტერთან ბრძოლის სურვილი შინაურ ქიშპს შეეცვალა, ჩაეთვლიმა... და ეს საკმარისი იყო, რომ შინაგანი ძალმოსილება დაკარგულიყო, მდგომარეობა გაუარესებულიყო, სვლა შემდგარიყო, აშენებული კოშკი სანახევროდ მაინც დანგრეულიყო. სიზიფის ლოდს ჰგავდა საქართველოს ბედ-იღბლის მოძრაობა. თითქმის მწვერვალამდე ატანილი სული თავქვე ექანებოდა, თავიდან დასაწყები ხდებოდა დიდი საქმე, არადა, ქვეყნის შინაგანი მდგომარეობა პირდაპირ ავალდებულებდა შემდგომ სრულყოფას, იმ ფაზის მიღწევას, რისი წყალობითაც სახელმწიფოებრივი ძალმოსილება მდგრად მდგომარეობად მოგვეელინებოდა და ქვეყნის არსებობას განსაზღვრავდა. საქართველოს ეს საგანგებო მდგომარეობა ითხოვდა ხალხისაგან შრომისა და ბრძოლის განსაკუთრებულ წესს, იმდაგვარს, როგორსაც ჯერ კიდევ არ იცნობდა თავად ხალხი, ითხოვდა ამ წესის დამამკვიდრებელ ძალას. ყველაფრიდან ჩანდა (საუკუნოვანი გამოცდილება ხელისგულზე იდო), რომ ქვეყანას თითქოს მისჯილი ჰქონდა ეპიზოდური წარმატებანი, იგი თითქოს ვერასდროს ვერ გამოვიდოდა ამ ცვალებადი ყოფიდან, ამ მერყევი მდგომარეობიდან. ბევრს მიუღწევია დიდი გამარჯვებისათვის, მაგრამ ვერ გაწვდა უბედურებათა ნიაღვარს ამ წარმატებებით ჩაკირული ჯებირი, ვერ შეაკავა იგი. ქვეყნის საგანგებო მდგომარეობა საუკუნეთა განმავლობაში ამწიფებდა შემდგომი სრულყოფის მოთხოვნილებას. ქვეყნის საგანგებო მდგომარეობა პირდაპირ ითხოვდა უნივერსალური თვისებებით დაჯილდოებულ პიროვნებას ქვეყნის სათავეში. დიდებული მეფეების მეცადინეობამ ვერ განასრულა ქვეყნის ძალმოსილების პროცესი. საჭირო იყო მეფე, რომელიც სწორედ საქართველოს ყველა დროის მდგომარეობას გადახარშავდა თავის თავში და ახალ ყოფას დაუმკვიდრებდა არსებობისათვის. მეფე, რომელიც არ დაუშვებდა არცერთ შეცდომას, ვინც იბოვიდა ურიცხვი წინააღმდეგობის მასაში ბრძოლის ახალ კანონს და მეთოდს სწორედ ამ წინააღმდეგობათა ოკეანის უკუსაგდებად. საქართველო და მოჯარული წინა-

აღმდეგობების შინაარსი. ერთმანეთის პირდაპირ — ამ ორი ფენომენის ურთიერთობაში, მათს მიმართებაში უნდა აღმოჩენილიყო ბრძოლისა და ცხოვრების ახალი წესი, რაც საშუალებას მისცემდა ქვეყანას საბოლოოდ გამართულიყო წელში. არას არგებდა საქართველოს ევროპის ქვეყნების მაგალითზე ცხოვრება. ევროპის ქვეყნებს სხვა პირობები და სხვა გარემოცვა ჰქონდათ! საქართველოს საგანგებო მდგომარეობა განსაკუთრებულ ანალიზს ითხოვდა და ითხოვდა უპირველეს ყოვლისა მართვის უნივერსალურ უნარს. შესანიშნავი ქართველი მეფეების მოღვაწეობის შინაარსში ბევრი რამ იყო გადასაფასებელი, რაც მთავარია, მოსაძებნი იყო ახალი ფორმები, შესასწავლი იყო ყველა შეცდომა, თვით უნებლიეთ დაშვებული შეცდომა, თვით უკიდურესად დაძაბული გონების მიერ შეუმჩნეველი შეცდომები ითხოვდა მიკვლევას და განჩხრეკას, რათა მეფესა და მის ქვეყანას შესძლებოდა საბოლოოდ წელში გამართვა, „საშვენი ხვედრის“ მიგნება და საკუთარი ღირსებების საკადრისი სახელმწიფოებრიული სრულყოფისა და მდგომარეობის მიღწევა.

სხვაგვარად ქვეყანა ასე ეპიზოდურად თუ იზეიმებდა გამარჯვებას, ეპიზოდურად თუ სძლევდა ხაზარებსა და ბიზანტიელებს, სპარსელებს, არაბებს... ახლა თურქ-სელჩუკები მოვიდნენ, დაუსრულებელი ჩანდა მათი შემოტევები. გონიერი ქართველობა სულით ხორცამდე იყო გაჟღენთილი ამ შეგნებით. ეს შეგნება ხომ საუკუნეთა მანძილზე იკვეთებოდა, იხვეწებოდა, ძლიერდებოდა. საქართველოს განსაკუთრებული მდგომარეობა წარმოშობდა მას. გიორგი მეორის კარზე თავმოყრილი დიდებული მამულიშვილები ახალგაზრდა დავითთან ერთად აანალიზებდნენ წარსულს, აწმყოს, მომავალს, მომხდარს და მოსახდენს. ამ ანალიზში იკვეთებოდა უთუოდ უფლისწულის იშვიათი უნარი, ისტორიული პროცესის მისეული განცდა, საკუთარი დანიშნულების ცოდნა საქართველოს წინაშე. ამ ანალიზის ფენებიდან ამოდიოდა მზის სინათლეზე ეს ყოველივე. კონტურები იკვეთებოდა სწორედ იმ უნივერსალური თვისებებისა, რაც მთელი ქვეყნის საოცნებო მეფე-პიროვნებას უნდა ჰქონოდა. უნივერსალიზმის შეგრძნება ყოველდღე უფრო და უფრო ხელშესახები ხდებოდა ახალგა-

ზრდა უფლისწულთან შეხვედრებსა და მსჯელობებში და მეფე გიორგისაგან ტახტის „დათმობა“ პირველ ყოველისა ამ დიდი მიზეზით თუ იქნებოდა გამოწვეული.

* * *

დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი მოქმედების, მისი მოძრაობის მთელი შინაარსის გაანალიზების შემდეგ საოცრად დამაჯერებელი და ორგანული ხდება აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოს ამ უდიდეს კაცს იმთავითვე ღრმად გააზრებული სამოქმედო პროგრამა ჰქონდა და ამ პროგრამას პუნქტობრივად ახორციელებდა. შესაძლოა, რაიმე ზუსტდებოდა ამ პროგრამაში გზადაგზა, იცვლებოდა დეტალები და ნიუანსები, მაგრამ უმთავრესი სამოქმედო გეგმისა, ყმაწვილობაშივე გამიზნული გეგმისა, უცვლელი და უზადო იყო.

დაიდგა თუ არა საქართველოს მეფის გვირგვინი, დავითი უმალ იქცა მოქმედებად. აქამდე განსჯიდა, განსჯიდა და უფლისწულის წვლილი შეჰქონდა სამეფო საქმეში. გადაწყვეტილებებისა და მართვის უფლება, ცხადია, არ ჰქონდა, ამიტომ უფრო განსჯიდა, ანალიზში კი უამრავი რამ ირკვეოდა, ფიქრში ათასი გეგმა იძერწებოდა და იხვეწებოდა, ერთი, საბოლოო ვარიანტისაკენ მიქროდა ფიქრი. ახლა საქართველოს სული და სხეული მას ებარებოდა, ღვთის მფარველობით და საკუთარი გონებით უნდა მოევლო მისთვის. ყველა ახლად გვირგინდადგმული მეფისთვის ნაცნობი და ბუნებრივი იყო ეს განცდა. აქ მოულოდნელი ან მხოლოდ დავითისეული არაფერია. აქედან ახლა გარკვევით ჩანს, დავით აღმაშენებლის ყოველი ნაბიჯის განჩხრეკის შედეგად ჩანს, რომ მეფეს პირველი დღეებიდანვე უნივერსალური სისრულის გეგმა განუხორციელებია. თანამედროვეთათვის კი ძნელი გასაგები იქნებოდა, რას აპირებდა ახალგაზრდა მეფე, რა მიზნები ჰქონდა, რა განზრახვები იყო დაფლული მის მრავლისმეტყველ დუმილში. ჩვენ კი მთელი რუკა გვიდევს წინ მისი ფიქრის მოძრაობის, მისი ენერგიის სადინარის, მისი მოქმედების მიმართულებათა რუკა. და როცა მას ვკითხულობთ,

სუნთქვა გეეკვრის ადამიანური გონებისა და შესაძლებლობების დანახვისას.

ის, რაც გააკეთა დავით აღმაშენებელმა, უბრალოდ ერთი უნიჭიერესი მეფის დაუცხრომელი მოღვაწეობის ნაყოფი არ არის მარტოოდენ, ნაყოფი, რომელიც თითქოს თავისთავად მოიტანა ამ დაუღალავმა ბრძოლამ და ჭკვიანურმა მართვამ. ეს შედეგი, ანუ ასეთი შედეგი მოსდევს მხოლოდ წინასწარგაცნობიერებულ ეროვნულ პროგრამას, რასაც ერთი პიროვნება ან მისი დრო შეიცავს თავის თავში და რომელიც გულისხმობს თვითონ ერის შინაგან მოთხოვნილებას და მზადყოფნას ამ ახალი თვითდამკვიდრებისაკენ.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ახალგაზრდა დავითი უსაზღვროდ ბევრს ფიქრობდა საქართველოს არსებობის წესზე. მის მიერ გადადგმული ნაბიჯები მიგვანიშნებენ ამ დაუცხრომელ ფიქრსა და განსჯაზე, უძილოდ გათეთრებულ ღამეებზე. ქართველ ხალხს შემართებასა და ძალმოსილებას ვერავინ დაუწუნებდა. უდიდესი სიყვარული წარმოშობს უდიდეს ერთგულებას, თავგანწირვის, სრული თვითგაღების სურვილს წარმოშობს იგი საგნისადმი, რასაც ეს სიყვარული ეკუთვნის. საქართველოს როგორც უმშვენიერესი ქვეყნის, ქართველი ხალხის, როგორც ღირსეული ხალხის, სიყვარული რა ძალისა ჰქონია დავით აღმაშენებელს, ეს იქიდან ჩანს, როგორი სრული თვითგაღებით იბრძოლა მან თავისი ხალხისა და ქვეყნის ღირსეული არსებობის დასამკვიდრებლად, როგორ დათმო ყოველივე პირადული, ერთი წამითაც არ დატკბა მეფური ცხოვრებით, როგორ ყველაფერი აკეთა თავისი ხალხის მომავლის ასაშენებლად და არა თავისი ხმლის განდიდებისათვის. დიახ, დავით აღმაშენებელმა იცოდა თავისი ხალხის ღირსებანი, უყვარდა ამ ღირსეულობისათვის, იმ ძალით უყვარდა, რომ გარდა თავდადებისა, არაფერი ახსოვდა მის ფიქრს. იგი უნათლესი გონებით ხედავდა ყველა მომხიბლავ თვისებას ქართველი კაცისას, და ხედავდა იმ სერიოზულ ნაკლსაც, რაც მის უსაყვარლეს ქვეყანას ხანგრძლივად და შესაფერისად ფეხზე დგომას არ ანებებდა. ხედავდა ახალგაზრდა დავითი ეპიზოდური შემართებების ისტორიას, რომელიც მის დრომდე გამოევლო საქართველოს. ხედავდა შედეგს, რაც ამ ეპიზოდური

შემართებებით ბრძოლამ მოიტანა, ხედავდა ამ ეპიზოდური შემართებებით დაპყრობილ მასშტაბებს, მისით აკრაფებულ რწმენას, გარკვეული დროის შემდეგ რომ ინავლებოდა. წყვეტილ-წყვეტილი ხაზივით მიემართებოდა ამ რწმენის გზა. ბზარავდა მას სწორედ ეპიზოდურობის არსი, იმედიანობის ნიშატს უქრობდა, დროებითად განაცდევინებდა ხალხს ძალმოსილებას და ადამიანური ცხოვრების შესაძლებლობას.

მძიმე იყო საქართველოს მდგომარეობა, ცუდ პოლიტიკურ სიტუაციაში მყოფი იგი საუკუნეთა განმავლობაში შთანთქმის, მიწის პირისაგან გაქრობის საფრთხის წინაშე იდგა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვისებათა და ინტერესთა შეჯახების პროცესი დაიტანდა მარტოოდენ ნებისმიერ ქვეყანას, კიდევაც რომ არ დამატებოდა მას პოლიტიკური მიზნები, თუმცა ამ თვისებათაგან პოლიტიკური ინტერესები თავისთავად იბადებოდნენ და კიდევ უფრო ართულებდნენ მდგომარეობას. პოლიტიკური სიტუაციების მოგონებით გზადაგზა არაერთგზის შევიგრძნობთ საქართველოს საგანგებო მდგომარეობას და უფრო ნათლად წარმოვიდგენთ, თუ რაოდენ კანონზომიერი იყო ახალგაზრდა დავითის დაკვირვება სწორედ ქართველი ხალხის არსებობის წესზე. დავითი ხედავდა, რომ იმ ღირსებების გვერდით, რაც ქართველ კაცს ამშვენებდა, მძლავრად იღვწოდა სხვა თვისებაც, ღირსებებს დაპირისპირებული თვისება: „ვინათგან ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თვისთა უფალთა, რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“. როგორც ვხედავთ, ბრალდება უმკაცრესია. არავითარი შეღავათი სიტყვა უმწარესი და დასკვნა მომაკვდინებელი. განუზომელია ამ სიმართლის ფასი საქართველოს ისტორიაში, რადგან მან პოლიტიკის და კულტურის ასპარეზზე მაქსიმალური დატვირთვით იმუშავა და თუ რამ ღირებული გაკეთებულა ჩვენს მიერ გამოვლილ გზაზე, გაკეთდა იგი ამ სიმართლის გრძნობის წყალობითაც.

ქართველი კაცის დიდებულ თვისებებზე არაერთხელ თქმულა, მაგრამ ქვეყნის ღირსეული ყოფნის ინტერესები მოითხოვს იმ უმთავრესი ნაკლის მკურნალობას, რაც ბალავრია-

ნად ანგრევდა ზოგჯერ ჩვენს ყოფას. აი, უძველეს დროიდანვე ორგულობა სჩვევია თურმე ქართველ კაცს, დასაბამიდან გამოჰყვება მის მოძრაობას ეს საშინელი ჩრდილი, რომლის წიაღში მზის სხივსაც უჭირს გაღწევა. მაგრამ აუცილებელია თვით ამ საშინელი თვისებების სტრუქტურის ცოდნა. რაც მთელი სისრულით გამოვლენილა სხვადასხვა დროს და დავითის ისტორიკოსმა კი სიტყვით გაშიფრა იგი: „რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა.“ შესწავლილია ამ ავადმყოფობის თავჩენის ფაზა. სად, რა დროს, რა ვითარებაში იწყებს გამოვლენას ეს საშინელი თვისება, „რაჟამს განდიდნენ“! აქამდე იგი — მიჩქმალულია, არსად არ ჩანს, არ იგრძნობა, არავის ვნებს. მხოლოდ... „რა ჟამს განდიდნენ“!.. ფეოდალური საქართველოა, „განდიდებულნი“ მრავლად არიან და იქნებიან კიდეც. მეფეს აზრადაც არ მოუვა, ცხადია, იმ დროისათვის მათი სოციალური საყრდენის მოშლა. მაგრამ განდიდების სურვილია საგანგაშო. ფეოდალურმა სახელმწიფომ ერთი მეფის სურვილების თუ განდიდების შეუზღუდველობა იცის. იგი — მეფური განდიდების მიმართულება — უმეტეს შემთხვევაში ქვეყნის გაძლიერება-განმტკიცების გზას ემთხვევა. სხვათა, ფეოდალთა განდიდების გზა კი პირადი ინტერესების სამსახურშია ჩაყენებული და მუდამ ქვეყნის საზიანოდ მიემართება... „რაჟამს განსუქნენ“!!! საგულისხმოა, რომ ქართველი ხალხის ისტორიაში პირდაპირ გაჰკივის ეს ავის მაუწყებელი თვისება. „განდიდება, განსუქების“ ეპიდემია ყველა ჭირზე უბოროტესად გადაუვლია ხოლმე ქართველი ხალხის არსებობას და ხშირად ძვლებსა და ჩონჩხებს სტოვებდა თავის გზაზე. თითქოს ამ „განსუქებისაკენ“ მიაქვს თავისი თავი, ამ „განდიდებისაკენ“ მიეჩქარება სხეული, ეზიდება, მიესწრაფება. სად, როდის გაიპო ჭეშმარიტების გზა და ბუნებრივი ლტოლვა იმგვარად, რომ ერთს ჭეშმარიტი დაერქვა, მეორეს — ეშმაკეული. მოსვენებით ყოფნა ადამიანის ნატვრაა, ადამიანურად, დამშვიდებით ცხოვრება ადამიანთა მოდგმის საოცნებო საგანია. მაშინ რატომ იკითხება ღალატად ეს მოსვენებით ყოფნის სურვილი, ან მოსვენებით ყოფნის სურვილი რატომ გუბდება „განდიდება“ და

„განსუქებაში“! რატომ გუბდება და მყაყდება ჩირქად და ბალღამად. აქვს უფლება ასეთ ისტორიულ პოზიციაში მყოფი ქვეყნის შვილს ამ „განდიდების“ და „განსუქების“? მით უმეტეს, რომ „რა დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა“. ყველა ქვეყანაში განდიდდებიან ფეოდალები, განსუქდებიან და ინტრიგებს იწყებენ სამეფო კარზე, საკუთარი კანდიდატურების დასასმელად იბრძვიან: მაგრამ ის, რაც ჩვეულებრივია, ვთქვათ, საფრანგეთის სვემორჭმული სამეფო კარისათვის, ათასი მიზეზის გამო დამღუპველი მოვლენაა საქართველოსათვის. ქრისტიანული ქვეყნების გარემოცვაში მოქცეული დიდი ევროპული სახელმწიფოები არასდროს არ მდგარან ისეთი განუწყვეტელი გამოცდის წინაშე, როგორშიც იდგა საქართველო. ამიტომ ფრანგი ფეოდალის „განსუქება“ და „განდიდება“, „ბოროტის განზრახვა“ სახელმწიფო ძლიერების გულისგულამდე ვერ უწევდა.

საქართველოს საგანგებო მდგომარეობა მტკივნეულად, დამღუპველად განგვაცდევინებდა ამ „განსუქებას“, რადგან მასში იდო სამეფოს დაქცევის წინაპირობა. სანამ ინტრიგებისა და „ბოროტი განზრახვის“ ალაგმვა მოესწრებოდა, მანამ მტერი, მუდამ ახლოს მყოფი და მოუსვენარი საქართველოს მტერი, ქვეყნის დამხობას ასწრებდა. ინტრიგებისა და „ბოროტი ზრახვების“ მდინარე ევროპული სახელმწიფოების არტერიებში მუდამ დიოდა, მაგრამ ეს ხდებოდა სადღაც შიგნით, სიღრმეში. ქვეყნის ორგანიზმი გარეშე მტერთან საბრძოლველად მობილიზებას დროულად ახერხებდა. აქ კი, საქართველოში, ეს „ბოროტი განზრახვების“ მდინარე პირდაპირ უერთდებოდა მტრის ლაშქარს და ქვეყნის დამანგრეველ ძალად იქცეოდა. საქართველოს არ ყოფნიდა დრო, ერთდროულად მოეგვარებინა ფეოდალური ინტრიგების ალაგმვა და მტერთან დაპირისპირება. მტერი ძალიან ხშირი სტუმარი იყო! ამიტომ სხვა ფეოდალური სახელმწიფოებისათვის ჩვეული მოვლენა მისთვის დამღუპველ თვისებად იქცა. ამიტომ ქვეყანას თითქოს არ რჩებოდა უფლება დაეშვა „განდიდებული“ და „განსუქებული“ ერთეულების ვნებები. ქართველ კაცს, თქვენ წარმოიდგინეთ, არ ჰქონდა უფლება ამ „განსუქების“, მიუხედავად იმისა, რომ საცთური დიდი იყო, კაცი ნიჭიერი, მიწა —

ბარაქიანი, ადგილმდებარეობა მშვენიერი, პირდაპირ სამოთხისებური. და ეს ყველაფერი ეძახდა ადამის ძეს განსვენებისა და განცხრომისაკენ. ეს განსვენება და განცხრომა უნდა დაეცვა, რადგან რამდენჯერაც მთელი არსებით მიეცა მას ქვეყანა, იმდენჯერ ინანა.

„განსუენების, განდიდების, განსუქების“ უფლება დაეით აღმაშენებელმა, უპირველეს ყოვლისა, თავის თავს წაართვა. განძარცვა თავისი თავი ყოველგვარი მეფური ცხოვრების სიამტკბილობისაგან. ხედავდა, სულ მცირე შეღავათის დაშვების შემდეგ მისი შემყურე „განსუქებული“ ფეოდალები ყველაფრის ნებას რომ მისცემდნენ თავიანთ თავს. საქართველოს გარდასულ დროში განგაშებს ზარი და დავით აღმაშენებელი იმ ზარის კვალდაკვალ სულ ამ დამაქცევარ თვისებას აწყდება. „განსუქებულნი და განდიდებულნი კაცნი“ ამხობენ ნამდვილ მეფეებს და ტახტზე თავის სასურველ კანდიდატურებს სვამენ, რათა გაზრდილი მადა კიდევ უფრო გაზარდონ და ის კიდევ უფრო გაზრდილი მადა დაიკმაყოფილონ... „ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“. რაკი საქართველოს არნახულად მეტი მტერი ჰყავს, რაკი მის ღირსეულ არსებობას არნახულად დიდი გარეშე წინააღმდეგობა ხვდება, ასევე არნახული სიმკაცრით ჰკარგავს ქართველი კაცი უფლებას „განცხრომისა და განსუქებისა“, ხოლო ქართველი მეფე მეფური სვემორჭმულობის უფლებას კარგავს. გართობის, ლხენის დრო მაქსიმალურად მცირდება, მოქმედებისა და მობილიზებისათვის საჭირო ენერგიად გადადნება იგი, ასკეცდება ფიქრი და ძალა.

აქ კი, ბოროტი განზრახვა რომც არ მოსდევდეს, ეს „განსუქებული ხალხი“ თვით უდიდესი გასაჭირის დროსაც ვერავის დაუძრავს ციხე-კოშკებიდან, ქვეყანას რომ ჩამოეშველოს თავისი მოლაშქრეებითურთ, გამდგარა და მცონარებს, გამდგარა და „მეფობს“, გამდგარა და ნებივრობს, ეს „განდიდებულ“ ფენაში გამომტყდარი თვისებაა, მათ მდგომარეობაში მჟღავნდება, თორემ დავით აღმაშენებელი, ცხადია, კარგად ხედავდა, ამ მაგალითებით საავსე ცხოვრება საერთოდ რომ ადუნებდა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ენერგიასაც, ისიც რომ ეჩვეოდა ძილსა და ბედოვლათობას, მასაც რომ

ესიდებოდა სურვილები თვლემისაკენ, შეჩვეული იყო ეპიზოდურ მობილიზებას, არავინ ეძახდა სრული და ყოველდღიური მზადყოფნისაკენ.

საქართველოს არსებობის წესი ყოველთვის ისეთ შედეგს მოიტანდა, როგორიც მოიტანა აქამდე. იყო მასში რაღაც დიდი და მომხიბლავი, გრანდიოზული, მაგრამ იყო რაღაც დაუსრულებელიც, საბოლოოდ მოუწესრიგებელი, სისტემასა და კანონზომიერებას დაუმორჩილებელი. ფეოდალური უთანასწორობის ყოფა საქართველოსათვის მეტისმეტად საგანგაშოდ ზანზარებდა.

დავით აღმაშენებლის ყოველი მოქმედება გვიდასტურებს, რომ მასში უსაზღვრო იყო სურვილი და მოთხოვნილება ეპიზოდურობის თვისება ჩამოეცილებინა ქართველი კაცის ბუნებისათვის. დიდი შინაგანი მოთხოვნილება პირდაპირ ავალებდა ფრაგმენტულობისაგან განტვირთულიყო ეს წარმატებანი, ბრძოლისა და შრომის ხასიათი. რამ წარმოშვა ეს შინაგანი მოთხოვნილება, რა კარნახობდა მათ გაჩენას, რა უხმობდა მზის სინათლეზე! დავით აღმაშენებელს, ბოლოს და ბოლოს, შეეძლო მოეხადა ერთი მეფის ვალი ქვეყნის წინაშე და პირნათელი წასულიყო ამ სოფლიდან. სინამდვილეში მან იერიში მიიტანა ბნელი ერის სულიერ წყობაზე და მისი მაქსიმალური დახვეწა, გარდაქმნა, სრულყოფა მოიწადინა. რასაც გამოცდილება უჩვენებდა („საქმენი აწ ხილულნი"), რასაც ისტორია ასწავლიდა, თითქოს ყოველმხრივ ნათელყოფდა აზრს ამ შემართებათა და წარმატებათა ეპიზოდურობის შესახებ. მაგრამ დავით აღმაშენებლის უნათლესი გონება არ ისვენებდა, გამუდმებით ტრიალებდა ფიქრი და კითხვა: მარადიული ნიშნებია ის, რასაც ქვეყანა არაერთგზის დაუღუპავს, თუ ყოველ ზომას გადაცილებული განსაცდელისაგან ჩამოყალიბდა ეს ავადმყოფური მიდრეკილებანი, იქნებ საქართველო დანაწევრებული მხლიანობაა, რაც კვლავ შინაგან სრულყოფას ესწრაფვის?

ყველაფრიდან ჩანს, რომ დავით აღმაშენებელი გამუდმებით აკვირდებოდა ქართველი კაცის ხასიათს, ამ ხასიათის ისტორიას, ამ „საქმენს ხილულს". მან შესანიშნავად უწყოდა, რომ ჭეშმარიტი სახელმწიფო საკუთარი ხალხის ფსი-

ჭიკის გათვალისწინებით უნდა აეშენებინა — ამიტომ სწავლობდა დაჟინებით, აკვირდებოდა მზერამოუცილებლად. როდესაც კი ქართველი ხალხის ნაკლსა და ღირსებაზე სიტყვას ასე საგანგებოდ ჩამოაგდებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ დავითის განსჯანია მასში გაცხადებული, მისი ვარაუდები, მისი დაკვირვებანი: „თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგსა და თუმცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი“. ეს კიდევ ერთი უმკაცრესი ბრალდება თუ მომაკვდინებელი აზრი. მაშ რისთვის იღვწის ამდაგვარად დავით აღმაშენებელი, თუკი ეს ხალხი ამგვარი ბუნებისაა, თუკი მისი იმედით სერიოზული საქმის კეთება ვერ ხერხდება, თუკი იგი არ იმსახურებს არც მოვლას, არც პატრონობას, თუკი ასე ხასიათდება საბოლოოდ და უსასრულოდ, თუკი ყველა ხალხი სჯობია — სპარსელებიც, ბერძნებიც, რომაელებიც და თუკი თვითონ აბრკოლებს საკუთარი ქვეყნის აღმავლობას. დავითი მართლა ხედავს ამ სერიოზულ ნაკლს, აღიარებს, ხმამაღლა ამბობს, ამბობს მისი „გალობანი სინანულისანი“, სადაც ჩაწურულია დიდი მამულიშვილის გულისტკივილი, მაგრამ უფრო პირდაპირ ამ ნაკლზე საუბრობს დავითის მოღვაწეობა, მისი მოძრაობა, მოქმედება. საქმე საუბრობს და ბრძოლა, მისი ცხოვრების ნირი გვეუბნება, რა აზრისა ყოფილა იგი, ის ღონისძიებანი გვემეტყველებიან, რაც შექმნის გზაზე დასჭირდა.

დავით აღმაშენებელს გათვალისწინებული აქვს არა მარტო მისი დროინდელი ქართველი კაცის ბუნება, არამედ აგრეთვე ეროვნული ხასიათის მთელი ისტორია, ზედმიწევნით კარგად იცის, როგორ მოძრაობდა ეს ხასიათი, რა არსობრივ დეტალში ამოტეხა და როდის ამოტეხა უფრო სრულად...

პირველ ყოვლისა, მტერთან დამოკიდებულებაში წაიკითხებოდა ქართველი კაცის ხასიათი. მტერი საქართველოს არასდროს არ ეხსნებოდა, ითქვა, რატომაც არ ეხსნებოდა, მაგრამ არ ეხსნებოდა კიდევ იმის გამო, რომ ქართველ კაცს მტერთან დამოკიდებულების არასრულფასოვანი კანონები ჰქონდა. ეს ხასიათიდან მომდინარე კანონები გახლდათ. ქართველი კაცი

ხშირად ადვილად ეგუებოდა მტერს! თითქმის იშინაურებდა! მტრის სრული განადგურებისა და საბოლოო განდევნის მიზანი არ ჰქონდა თითქოს. გარკვეულ ზღვრამდე მტრის შინ მოთმენის ჩვევა გაბატონებულიყო. თბილისში არაბი იდგა, მტკვრისა და ივრის სანაპიროებზე... თურქ-სელჩუკები და მას შეეძლო „დაუმცირებლად“ ეგრძნო თავი სამეფო ნადიმზეც და გლეხის ქოხში გაშლილ სუფრაზეც. უკიდურესი შეურაცხყოფის მოლოდინში აგრძელებდა ყოფნას, შრომას და შენებას, რასაც გადარჩენა კი მოაქვს, მაგრამ ღირსეული არსებობის შესაძლებლობა მიაქვს! ასე ჩანდა ყველაფრიდან, რაც ჩვეულებრივი გონებით განიჩხრიკებოდა, რაც დაკვირვებას ექვემდებარებოდა. შეღავათი, შეღავათი, შეღავათი... ყველაფერში შეღავათი — უპირველეს ყოვლისა შეღავათი მტერთან დამოკიდებულებაში. შეღავათს აძლევდა მეფე თავს. აქედან იძვროდა ეს თვისება ყველა მიმართულებით და უმთავრეს წესს აზიანებდა. მტერთან დამოკიდებულება პრინციპსა და პოზიციას იყო მოკლებული.

ჩანს, დავითის გონებამ უფრო დიდი სიღრმეები მოიხილა, ყოველმხრივ გაჩხრიკა წარსული და აწმყო, გარეგნული და შინაგანი თვისებანი ქართველი კაცისა და იპოვა ის, რის სრულყოფასაც შეალია მთელი თავისი ენერგია. მან თვალნათლივ დაინახა, რომ ეპიზოდურობა და ფრაგმენტულობა არ არის ქართველი კაცის ხასიათის არსი. კანონის ძალა მიენიჭა მისთვის ამ აღმოჩენას. ბევრი რამ ჩანდა ზედაპირული, გარეგნული და არა შინაგანი, რაც კი ცხოვრებას და არსებობას ურთულებდა ქართველ კაცს. რაც მთავარია ეპიზოდურობა და ფრაგმენტულობა, შინაგანი აღორძინებისთვის ნაკლულ ნიშნებად რომ ესახებოდათ წინაპრებს, დავითის წინაშე დაიმსხვრა. მთელ მის შემდეგდროინდელ მოქმედებას გაგონებაც კი არ სურს ამ აზრისა, კერძოდ იმისა, რომ ქართველი კაცის ზეაღსვლა არ არის მყარი, მტკიცე, მარადი... მყარს, მტკიცეს, მარადს უხმობდა იგი ქართველი კაცის ბუნებიდან და მათზე ჰქონდა გათვლილი ყველა უკვდავი ნაბიჯი. რაც მთავარია, ეს აზრი მან თავის თავში იპოვა, მასში ზღვასავით იდგა უნივერსალური სრულყოფის მოთხოვნილება. გულისხმობდა იგი, ცხადია, ქვეყნის მეფური მართვის უნივერსალიზმს, ასევე

ქართველი ხალხის შინაგანი სრულყოფის უნივერსალიზმს გულისხმობდა. მას მოსვენებას არ აძლევდა ეს მოთხოვნილება. ამ მოთხოვნილების სამსახური მისი სიცოცხლის აზრად ქცეულიყო. ის იდგა მასში, როგორც არსი და ამ არსს ვერსაით გაექცეოდა, კიდეც რომ გასჩენოდა ასეთი გაქცევის სურვილი, ამ წყურვილს დაპყრობილი აქვს ყოველი უჯრედი, ფიქრის ყოველი მოძრაობა.

საქართველოს საგანგებო მდგომარეობა მოითხოვდა, რაღაც იმაზე მეტი გაკეთებულიყო, ვიდრე ეს ნებისმიერ ხალხს და ქვეყანას შეეძლო მსგავს სიტუაციაში. ეს იყო გარდაქმნის მაუწყებელი წამი, რომელსაც ასეთი სიცხადით გრძნობდა თექვსმეტი წლის ჭაბუკი, ბავშვობიდანვე ფიქრსა და განსჯას შეჩვეული. რაც ყველაზე საინტერესო მეჩვენება, ეს არის დავითის სულიერი მდგომარეობა — სულ სხვა ხარისხში მოქცეული და განათებული ქართველი კაცის ბუნება. დავით აღმაშენებელი მთელი სიცოცხლის მანძილზე გვევლინება მაქსიმალურად მობილიზებული, რათა ქვეყნის როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის მართვაში არც ერთი შეცდომა არ დაუშვას. ეს ფანტასტიკურად გაზრდილი პასუხისმგებლობის გრძნობაა, უყურადღებოდ რომ არ ტოვებს არც ერთ დეტალს, არც ერთ ნიუანსს, რათა ამქვეყნიური მისია შეასრულოს.

იგი შესანიშნავად გრძნობდა, ეტყობა, რომ მისი გეგმა უნივერსალური შინაარსისა იყო, რომ ეს პროგრამა მასში არსებობდა, სულს უხუთავდა მისდამი ერთგულება, მაგრამ მხოლოდ გაუბზარავი რწმენით შეიძლება ასეთი პროგრამის ერთგულება, თანაც მარტოოდენ რწმენა თანამდგომად ვერ იკმარებს. ასეთი პროგრამა თავისი უზადო შინაარსის გამო მუდამ გაცნობიერებულია, ძირისძირამდე არის დანახული მისი რაობა. თავგანწირვა, ერთგულება, უველაფერი კეთილშობილურ კატეგორიებად დარჩება და ნაყოფს ვერ მოიტანს, თუ ეს თავგანწირვა და ერთგულება კანონზომიერებასთან არ არის წილნაყარი. როდესაც მკაცრი თვალთახედვის პატრონი დავით აღმაშენებელი ასეთი თავგანწირვით და სრული თვითგაღებით იბრძვის საქმისათვის, მას ნაგრძნობი და გაცნობიერებული აქვს თავისი პროგრამის გაჩენის კანონზომიერებაც! ერთი წამითაც რომ დაენახა დავით აღმაშენებელს დაცლება

თავის უნივერსალურ პროგრამასა და ქართველი ხალხის ხასიათს შორის, არ შეუდგებოდა ამ პროგრამის განხორციელებას! ის იყო ჭეშმარიტად დიდი საქმისა და ბრძოლის კაცი და ზღაპრებს არასდროს გამოჰკიდებია. დავით აღმაშენებელმა სწორედ ქართველ ხალხში აღმოაჩინა დიდი სულიერი მოთხოვნილება ეროვნული არსებობის სრულყოფისა და მყარი მდგომარეობის მიღწევისა. განუსაზღვრელი იყო ამ მოთხოვნილებების მასშტაბები. იგი, უპირველესი შვილი თავისი ეროვნული წიაღისა, აშკარად გრძნობდა, როგორ მჭიდროდ იყო დაკავშირებული მისი გეგმა და ფიქრები ქართველი ხალხის ღრმად დაფლულ სურვილებთან, როგორი პირდაპირი ძაფები ებმებოდა ქართველი ხალხის გულთან, ჭეშმარიტ მასასთან, ჭეშმარიტად ერთგულ ადამიანებთან. გრძნობდა, რომ იყო განსხეულება ამ შინაგანი ეროვნული მისწრაფებებისა და არა შემთხვევით ამ მიწაზე ჩამოვარდნილი ფენომენი, რომელიც ილუზიებმა უნდა შეიწირონ.

მაგრამ ეს სახალხო სულისკვეთება ღრმად იყო დამარხული. იაკობ გოგებაშვილის თქმას თუ გამოვიყენებთ, „კეც-კეცად“ აწვა სხვა სურვილები, სხვა თვისებანი წაჰფარებოდა ნამდვილს — შორს მხედავი მეფის მიერ მოძიებულ თვისებებს. დავით აღმაშენებელი იმ სიღრმეებისაკენ მიიწევდა!

უფლება არ ჰქონდა მასში დაბადებული თუ აღმოჩენილი უნივერსალური პროგრამა ერთბაშად გაემხილა თავისი ხალხისთვის, თუნდაც ახლობლებისათვის. გიორგი ჭყონდიდელის ბადალი პიროვნებანი ცოტანი იყვნენ! თვით ერთგული ადამიანების წრეში დარჩენილს, მეფეს არ შეეძლო ყველაფერი ეთქვა თავის გეგმაზე, „კედლებსაც ყურები ესხა“. მთლიანად ეს გეგმა, ალბათ, არც არასდროს გაუმხელია მეფეს, მთელმა მისმა მოღვაწეობამ გათქვა იგი მხოლოდ. მან იცოდა, რაკი ბუნებით საოცარი უნარი ჰქონდა მომადლებული, რომ მხოლოდ საქმით უნდა შეეტანა ხალხში ეს დიდი მისია, მოქმედებით მიახლოებოდა იმ არსს არსთაგანს, რასაც ეყრდნობოდა დავითის პროგრამა, რისგანაც იყო იგი ფაქტიურად შთაგონებული. ხალხს მხოლოდ ტანით, გუმანით უნდა ეგრძნო ამაღლებისა და სრულყოფის, მაქსიმალური მობილიზების ღვთაებრივი უნარი, ის, რაც მასში ლავასავით თელემ-

და, ის, რის თაყვანსაც ქართველობა, როგორც ხელოვნური ტბა, ისე ირწეოდა, იგრძნო, რომ სულ სხვა იყო სინამდვილეში, სხვა სივრცეებისა და სიმაღლეებისათვის მოწოდებული, სხვა თვისებათა შესაკრებელად გაჩენილი. ამ ნავსაყუდელში ახლა იმდენი ნიშანი მოკალათებულიყო, რომ ნამდვილისათვის ადგილიც არ დარჩენილიყო, იგი ისე ღრმად დალექილიყო, რომ ჩვეულებრივი თვალი მზერას ვერ უწვდენდა. ამიტომ დუმილში დიდი გეგმის დამარხვა ევალებოდა კიდეც, რადგან არდამარხვა იმ გეგმის განადგურებას მოასწავებდა.

მას, ალბათ, ისიც ნაგრძნობი ჰქონდა, რომ მხოლოდ ერთი მეფის საქმე არ ეკისრებოდა. უფრო რთული ჩანდა მისია. ერთი დიდი მეფის ვალს ადვილად მოიხდიდა, მაგრამ მან დაინახა საუკუნეობრივი პროცესის მიმართულება. ყოველ განვითარებულ ქვეყანას დაუდგება ხოლმე დრო, როდესაც იგი თვისობრივად ახალ საფეხურზე ადის და თავის საუკეთესო ფორმას პოულობს, ეს საუკუნეობრივი პროცესი, ერთი შეხედვით არამდგრადი და მერყევი, დადებითის გვერდით ამდენი ნაკლის წარმომჩენი, არ ცხრებოდა. მან ხელი აუკრა შეგუების სურვილს, ყველა შეგუების მოწადინეს და იქით გაახედა, საითაც უნდა ევლო აუცილებლად ქართველ ხალხს. დღემდე არსებული ცხოვრების წესი მაქსიმალურ გარდაქმნას საჭიროებდა და ამ გარდაქმნის შემდეგ მიღწეული თვისობრიობა ითხოვდა დამკვიდრებას. ეს ურთულესი ამოცანა იყო, მაგრამ იგი არ ყოფილა ხელოვნური სურვილებით შეკოწიწებული. ამოდიოდა არსიდან და ითხოვდა ყველა ენერგიის გამოხმობას, ფიქრის ფეხზე დაყენებას, რათა მისანი მიღწეული ყოფილიყო.

როდესაც საუკუნეობრივ პროცესზე ვსაუბრობთ, არ უნდა წარმოვიდგინოთ რაღაც განყენებული ცნება, რომლის ბუნდოვან ჭსოვილში ხშირად იმარხება გაუცნობიერებელი მიზეზები. საუკუნეობრივ პროცესში ვგულისხმობ ყველაფერს, რაც დავითამდე აშენებულა, როგორც ციხე, ტაძარი, ეკლესია, ქალაქი, ხიდი; ყველა წიგნს, რაც დაწერილა, ყველა ჰიმნს, რაც აღგვივლენია, ყველა ბრძოლას, რაც მოგვიგია და რაც წაგვიგია, ყველა მოვლენას, რაც არსობრივ დანიშნულებას ატარებდა, რაც იკრებდა ხალხის ფიქრსა და ოცნებას. საუკუნე-

ობრივი პროცესი გულისხმობს ყველა ჩვენას, რაც ყოფაში ემკვიდრებოდა და არქეოლოგიური არხებით გადმოგვეცემა დღეს, ყველა წესს, რაც ურთიერთობას წარმართავდა. ვგულისხმობ ერის შიგნით ადამიანთა დამოკიდებულებას, ფენებს შორის მოძრავ ფსიქოლოგიას, სამეფო კარის მიმართ დაჭერილ პოზიციას, გაზრდილ თუ დამოკლებულ დისტანციას, გონებრივ თვალსაწიერს, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის სტრუქტურას, რომელსაც თავის ენაზე გამოაქვს შესაძლებლობაც და უსუსურობაც... მსოფლიო ცივილიზაციასთან კავშირის დონეს, განფენილობის ნდომას, შეფერხებულ დინებებს, ჩაშლილ ოპერაციებს, დამუხრუჭებულ გაქანებას... ვგულისხმობ ეროვნული აზრის მოძრაობის ფორმებს, ამ აზრის მთლიანობის და დაქუცმაცების განმსაზღვრელ მიზეზებს... რას დააკრისტალებს ეს საუკუნეობრივი პროცესი საბოლოოდ, რას ამოატივტივებს—ნაღდსა თუ მარადიულს, რას გამოაცხადებს არაძირეულად. მოითხოვს იგი თავის სრულყოფის ფორმას, თვით ფეოდალური ფორმაციის წინააღმდეგობანი ვერ უშლის ხელს გამოვლინებაში, როცა ამის დრო დაუდგება.

ამ საუკუნოვანი პროცესისადმი ყურისგდება, ცხადია, დიდი გზების, უნათლესი გონების ადამიანებს ძალუძთ და თავისი წალხის იდუმალ ნებასაც ისინი განასახიერებენ თავის ხალხთან ერთად. ადამიანი, ვისაც ეს მისია დაეკისრა ძველ საქართველოში, მემატიანის დახასიათებით ასეთი გახლდათ:

„აჰა ესერა, სახე არა უმსგავსო, არამედ ფრიად თანაშეტყუებული. ჩუენისა თვითმპყრობელისა, და ყოვლად გამომსახველი სიტყვით საქმეთა თუალთა ჩუენთა ხილულთა. რამეთუ სიტკბოებისა, სახიერებისა და სიბრძნისა მისისა ხილვად წყურიელნი კიდით ქუეყანასათ შემოკრბებოდეს წინაშე მისსა. ვინ იყო ეზომ ტკბილ შემთხუევათა შინა, ვინ სატრფიალო ზრახვითა და სასურველ დუმილითა, იგივე შუენიერ ხატითა, უშუენიერეს მორთულობითა გუამისათა, შეწყობილ ანაგებითა და ახოვან ტანითა, ძლიერ ძალითა, უძლიერეს სიმახვილითა, საწადელ ღიმილითა, უსაწადელეს მჭმუნვარებითა, მადლიერ ხედვითა, საზარელ ლომებრ მკრთომელობითა, ბრძენ ცნობითა, უბრძნეს გამორჩევითა, მარტივ სახითა, მრავალსახე

მართებითა, შემრისხველ მყუდროებითა, მაქებელ განმსწავლელობითა, და არცა ერთსა კეთილთაგანსა შემაშთობელ უზომოებითა. მაღალ უმაღლესთათვის და მდაბალ უმდაბლესთათვის, და თვით მათ მტერთაგანცა საწადელ და საყუარელ სათნოებათა მისთაგან შეკდიმებულთა. ვინა ესრეთ მიიღო ერთიცა სათნოებათაგანი, ვითარ ვინ ყოველთაგანმან შეიკრიბა ყოველი სრულებით თითოეული, რომელ ყოველთათვის შეუძლებელ არს დაკვირვება ოდენ, არათუ მიბაძვება, რომლითა სრულ იქმნა იგი ყოველსა შინა, ესრეთ რა აღსავსე იყო ნავი უფასოთაგან ტვირთთა სათნოებისათა, და არღარა შემძლებელ წარსვლად ღადირთა".

ეს არასრული დახასიათება თავისი თხზულების ბოლოს აქვს მოწვდილი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს. ჩვენ არაერთგზის მოგვიწევს მისი და კიდევ არაერთ სხვა ადგილას ჩამოთვლილი თვისებების ნაწილ-ნაწილ და მთლიანობაში გაანალიზება, რადგან ისინი უკლებლივ გამოვლინდა დიდ საქმეებში, და ისინი იმთავითვე სრულად იყო დავით აღმაშენებელში მოცემული. აქ, მოღვაწეობის დასაწყისში, მისი თვისებების შეხსენება იმიტომ დამჭირდა, რომ მკითხველს მივაწიშნო, რაოდენ კანონზომიერი იყო ასეთი ბუნების ადამიანის მოსვლა ქვეყნის სათავეში და როგორ პირდაპირ პასუხობდა იგი ააუკუნეობრივი პროცესის შეუვალ მოთხოვნილებას. ყოველი მისი აქ ჩამოთვლილი თვისება მოქმედებაშია გადამდნარი და იმ უნივერსალურ შინაარსს ექვემდებარება, რის გარეშეც დავითის პიროვნებაზე საუბარი წარმოუდგენელი ხდება.

ის ფაქტი, რომ საუკუნეობრივი განვითარების პროცესი კანონზომიერი აღმავლობისაკენ იყო მიმართული, სრულებითაც არ უიოლებდა მდგომარეობას დავით აღმაშენებელს იმ კონკრეტულ დროსა და სივრცეში, რომელშიც მოუხდა მას მოღვაწეობა. წინააღმდეგობანი და სირთულენი პირდაპირ სალტისებური სიმკვრივისა გახლდათ. ქვეყანა, რომელიც ახალგაზრდა მეფემ ჩაიბარა, ფაქტიურად მიწასთან იყო გასწორებული. ეს შემდგომ, რამდენიმე წლის გავლის შემდგომ მოხერხდა იმ საუკუნეობრივი პროცესის გაცოცხლება და ახალი სიმაღლეებისაკენ სვლა. თავდაპირველად აღმავლობაზე ფიქრი კი არა, გაძლება-გადარჩენაზე ოცნება ჰირდა:

„და განგრძელდა ესევითარი ჭირი ქრისტიანეთა ზედა; რამეთუ არესა თანა გაზაფხულისასა მოვიდიან თურქნი და მათვე პირველთა საქმეთაებრ იქმოდიან, და ზამთრის წარვიდიან. და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოხრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, და ნაცვლად კაცთა მსეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა. და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვიდრთა ქუეყანისათა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესვე ყოფილა სმენილთა და გარდასულთა ოხრებათასა. რამეთუ წმინდანი ეკლესიანი შექმნეს სახლად ჰუნეთა თვისთა, ხოლო საკურთხეველნი ღმრთისანი ადგილად არაწმიდებისა მათისა. და მღდელნი რომელნიმე თვით შეწირვასავე შინა საღმრთოსა მსხუერპლისასა მუნვე მასვილითა შეწირულ იქმნეს და სისხლნი მათნი აღირივნეს მეუფისათა თანა და რომელნიმე მწარესა ტყუეობასა მიცემულ იქმნეს, მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჰაბუკნი დაკუეთებულ, ხოლო ჩჩვილნი მიმოდატაცებულ, ცეცხლი უცხო და მბრძოლი, რომლითა მოიწუა შენებული ყოველი, მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლისა ნაკადულთა მრწყველნი ქუეყანისანი“.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი — უბადლო გონებისა და ნიჭის პატრონი — ყოველი დეტალის შინაგან დინამიკას გვაგრძნობინებს. ამ შემთხვევაშიც საგრძნობია, ჩემი აზრით, რა სიმძაფრით ბრუნავდა უბედურების ცეცხლი ქართულ მიწაზე. აქამდე გაუგონარ აოხრებად თვლის იგი თურქ-სელჩუკებისაგან ქვეყნის გაპარტახებას. ჩანს, შედარებაც არ შეიძლებოდა აწმყოსთან წარსულისა. თურქ-სელჩუკები პირისაგან მიწისა აღხოცავდნენ ქართველობას. არ ინდობდნენ არც მოხუცებულს, არც ბავშვებს; ყმაწვილებს ასაჭურისებდნენ, ქალწულებს აუპატიურებდნენ, ბავშვები თან მიჰყავდათ. ისტორიის შემდგომმა მოვლენებმა გახსნა ამ სიმკაცრის მიზანი. დაუნდობელი მურვან-ყრუ და არაბთა ლაშქრობანი მაინც შელავათი აღმოჩნდა ამ სიმკაცრესთან. ეს გასაგებიცაა. არაბი დასაპყრობად და ხარკის ასაკრებად იყო მოსული. თურქ-სელჩუკები, როგორც მერე გაირკვა, მცირე აზიაში, ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში სამუდამოდ დასამკვიდრებლად იბრძოდნენ, ეს მიზანი კი პირდაპირ ითხოვდა

აბორიგენების ამოწყვეტას. ამ არსის დინამიური მოძრაობა აქვს გადმოტანილი დავითის ისტორიკოსს ისე ცხადად, რომ ადვილდება მოვლენის ბოლომდე გაცნობიერება. სისასტიკის ფორმები თითქოს დასურათხატებულია. სისხლისაგან გაწითლებული მდინარეები ღაღადებენ იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობას. „დიდ თურქობად" იწოდება ეს მოვლენა. ეს „დიდი" თითქოს ჯადოსნური კვერთხის შეხებით ანათებს ფრაზაში მოქცეული აზრის სიღრმეს. დიდი თურქობა ქვეყნის საგანგაშო და საგანგებო მდგომარეობის მთელ სიგრძე-სიგანეს მოიქცევს თავის თავში, სულის ძირამდე შეშფოთებული ქვეყნის სახე იკითხება ამ „დიდ თურქობაში". დააშინა ამ მოვლენამ ქართველი ხალხი.

ივანე ჯავახიშვილი გვაწვდის იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობის ზუსტ სურათს:

„დავით აღმაშენებელმა მემკვიდრეობით მძიმე ტვირთი მიიღო: სამეფოს საქმეები აწეწილ-დაწეწილი იყო, ქვეყანა თურქების თარეშისაგან მოქანცული იყო, „მოოხრებული იყო ქართლი" ისე, რომ მემატიანის სიტყვით „თვინიერ ციხეთასა სადამე არა იყო კაცი სოფელსა შინა, არცა რა შენებულობა". ამასთანავე „ქალაქი ტფილისი, რუსთავი, სომხეთი ყოველი, სამშუილდე, აგარანი თურქთა ჰქონდეს". მხოლოდ „თრიალეთი და კლდე-კარნი და მიმდგომნი ქუეყანა მათი ლიპარიტს" ეჭირა და საქართველოს „მეფეს დავითს წინაშე იყვეს რეცა ერთგულად". რაკი ქვეყანა აოხრებული იყო, ქართლის ჭალაკები და ნაჭარმაგევი ნადირთ ბუნაგად იქცა, „აღსავსე იყო ირემთა და ეშუთა მიერ". ამასთანავე ქართლში თურქები დაძრწოდნენ, ხოლო „ზამთრისავე მოწევნისა ფალანგებითა მათითა ჩამოდგიან ჰავჭალასა და დიღუამს ჩაღმართ მტკურისა და იორის პირთა, რამეთუ მათი იყო სადგომი". ამიტომ, როდესაც დავით აღმაშენებელი გამეფდა, „მაშინ საზღაური სამეფოსა" აღმოსავლეთით ნამდვილად თითქმის მარტო „მთა მცირე ლიხთა და სადგომი სამეფო წაღულისთავი" იყო, ხოლო ამაზე შორს აღმოსავლეთისაკენ მეტადრე სადაც ჭალაკები მოიპოვებოდა ცალკე ნადირისაგან, ცალკე მტრისაგან საშიში იყო და თუ ისე არავინ ბე-

დაცდა ჩასვლას, „ვიდრემდის ცხენ-კეთილთა მხედართა მიერ მოინახიან და მაშინღა ჩამოვიდიან ვაკესა“... აღმოსავლეთი საქართველო გაოხრდა და მოიჭამა თურქთაგან“.

ბიზანტიელები იმხანად ერთობ დასუსტებულნი ჩანან. მათგან რაიმე შემწეობის მოლოდინი არ უნდა ჰქონოდა ქართველობას. თუმცა ბიზანტიელები არც ძლიერების ხანაში იყვნენ მაინცდამაინც საიმედო მოკავშირენი.

როგორც ვხედავთ, დავით ბაგრატიონი ურთულეს დროს ავიდა სამეფო ტახტზე. ძნელად წარმოსადგენია უარესი მდგომარეობა: სამეფო თითქმის არ არსებობდა, ხალხი გაუჟლეტიათ, გადარჩენილები მთებსა და ღრეებში გახიზნულან. ფაქტიურად, დავით მეფე ნანგრევებიდან იწყებდა ქვეყნის შენებას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეხმოკიდებულია შეხედულება, თითქოს დავით აღმაშენებელს ერთგვარად გაუიოლა მდგომარეობა მალიქ-შა სულთნის სიკვდილმა (1093 წ.) და ანტიოქიისა და იერუსალიმის აღებამ ფრანგების მიერ (1097 წ.). ცხადია, საერთაშორისო მდგომარეობა მოქმედებს ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ან უმსუბუქებს ან უმძიმებს ტვირთს. მაგრამ ჩვენთვის ხომ კარგად არის ცნობილი, რომ თურქ-სელჩუკების შემოსვლა-დაბანაკება, დაჟინებული მოწყდომა საქართველოზე არც მალიქ-შას სიკვდილის შემდეგ შენელებულა და არც იერუსალიმისა და ანტიოქიის ფრანგების მიერ აღების შემდგომ. პირიქით, ეს გაუთავებელი შემოსვლა-დაბანაკება, სამკვიდრებლის ძებნა ქართული ცის ქვეშ უფრო გაძლიერდა, ასე გრძელდებოდა არა 1097 წლამდე, არამედ 1121 წლამდე, მიუხედავად იმისა, პოლიტიკური ვითარებანი ამ ხნის მანძილზე ათასგვარად იცვლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ თურქ-სელჩუკებს ხან ცუდად მიუდიოდათ საქმე საერთაშორისო ასპარეზზე, ხანაც არნახულად მოძლიერდებოდნენ. საქართველოსთან მათი დამოკიდებულების შინაარსი არ იცვლებოდა, საქართველოსკენ მომართული მათი ყურადღება არ დუნდებოდა, საქართველოსკენ მომართული მათი ძალები ათკეცდებოდა. ამის დასტური გახლავთ მათი დაჟინებული ლაშქრობები შემდგომ და შემდგომ, რომლის გვირგვინიც გახლავთ დიდგორის გრანდიოზული ბრძოლა, როცა მუსულმანთა მთელი კო-

ალიცია გამოვიდა საქართველოს წინააღმდეგ. რაც შეეხება საერთაშორისო მოვლენების ცვლილებებს, ეს გახლავთ ერთი უმთავრესი პრობლემა, რადგან საერთაშორისო ვითარებასთან დავით მეფის დამოკიდებულება განაპირობებდა საქართველოს ცხოვრების გაუმჯობესებას და არა პირიქით. საერთაშორისო ვითარებასთან დამოკიდებულების უნივერსალური შინაარსი ცალკე საგანია, ახლა კი თავისი მეფობის გარიჟრაჟზე დავით აღმაშენებელს, როგორც დავინახეთ, მიწასთან გასწორებული ქვეყანა ჩააბარეს ქვეყანა, რასაც აღარც ეთქმოდა სამეფო.

დავითი შეუდგა თავისი მიზნების განხორციელებას. მან შესანიშნავად იცოდა, როგორ დაეწყო. მისი მეფობის დასაწყისი ფაქტიურად დიდი ხელოვნება იყო. ქვეყნის მდგომარეობა კარნახობდა, უმალ მოეკრიბა ლაშქარი, დატაკებოდა მტერს, ეღვარა სისხლი, ეცადა თურქთა გადარეკვა. მაგრამ დიდი პროგრამა ითხოვდა და პოულობდა კიდეც მასში განხორციელების უჭკვიანეს გზებსა და ჩანაფიქრს.

მთელი ქვეყანა მისჩერებოდა ჭაბუკ მეფეს. ერთგულნი ლოცულობდნენ მისი გამარჯვებისათვის, ორგულნი ნატრობდნენ მის საბედისწერო შეცდომებს. დავით აღმაშენებლის პირველი ნაბიჯები გულისხმობს მხოლოდ გონიერ მმართველს, ჭკვიანი მეფის ტრადიციულ სვლებს, ჭკვიანი მეფეების ხერხებისაგან განუსხვავებლობას. აუცილებელი იყო ერთბაშად არ ეგრძნოთ ის განსაკუთრებულობა, რომელიც დიდი მიზნების აღსრულებას ჭირდებოდა. რა საქმესაც მან გზა მისცა, თავისთავად პირველი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო. პირველად სწორედ ქვეყნის მოშენებისათვის უნდა ეზრუნა. ადამიანები აყრილიყვნენ თავიანთი ფუძეებიდან, განუკითხაობისა და უპატრონობის დროს მათ გადარჩენის გზები ეძიეს. ძნელი იყო მათი დამშვიდება, სამალავებიდან გამოყვანა, დავითმა უპირველესად საამისოდ იღვაწა. „ეგრეთვე ნიანია კახაბერის ძეცა და სხუანიცა აზნაურნი მცირედ-მცირედ შემოკრბიან დაშთომილნი სადავე და სოფლებადცა იწყეს შთამოსვლად და დასხდომად“.

დეტალების დაზუსტებას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა თითქოს შედეგისათვის, მაგრამ ვინც საგანგებოდ დაკვირვებია დავით აღმაშენებლის მოღვაწეობას, დაინახავდა, რომ არც ერთი სასიკეთო შედეგი თავისით არ მოსულა, ყველაფე-

რი მიიღწეოდა მუხლჩაუხრელი, მოუსვენარი შრომით, უანტრაქტო ბრძოლით. ის გრიგალისებური ქროლვა საქართველოს ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში მტერთან შესახვედრად და საბრძოლველად უფრო გამოკვეთილია ჩვენს ცნობიერებაში თავისი საბრძოლო ყიჟინის წყალობით, მაგრამ ჩვენ ვალდებულნი ვართ, დავინახოთ ისიც, რომ ასე სულმოუთქმელად დაქროდა ახალგაზრდა მეფე რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყნის მთასა და ბარში, რათა გაფანტული ხალხი შეეგროვებინა და ნაფუძარზე მიეყვანა. დაქროდნენ მისი ერთგული თანამებრძოლები, არწმუნებდნენ, ეხმარებოდნენ სულიერი ტრავმის მოშუშებაში; იყო შენება, ფუსფუსი, დანგრეულის აღდგენა და გალამაზება. განა ერთი სოფელი ან ქალაქი, შენდებოდა გადამწვარი სოფლები და ქალაქები, ჩანგრეული ხიდები, დამწვარი ეკლესია-მონასტრები, ეს ყველაფერი კეთდებოდა უხმაუროდ, მტრისაგან და მიწისძვრისაგან დანგრეული ქვეყნის აღდგენის სურათი ჰგავდა ახალ დაბადებას, რომლის შემყურე ქართველ კაცს სხვა რწმენა უსადგურდებოდა ფიქრში. არა მარტო გელათით, არა მარტო დიდი ტაძრებითა და ეკლესია-მონასტრებით დაიბადა ხალხში დავითის გაუზვიადებელი ღირსება — აღმაშენებელი, მასში იგულისხმებოდა სწორედ ყველაფერი, კაცის ცხოვრების აღმაშენებელიც და ღვთიური ტაძრებით ამ აღმშენებლობის დაგვირგვინებაც. და ალბათ, ამ „მოეშენას“ პროცესში აღიძრა პირველად სურვილი ერისა თავისი მეფისათვის რაღაც განსაკუთრებული სახელი შეერქმია. დიახ, მასში არა მარტო ხედავდა, არამედ გრძნობდა ყველა ნერვით აღმაშენებელს. ეს ურთულესი კატეგორია მერე ჩამოყალიბდა, მე საწყისებზე მივანიშნე მხოლოდ. როგორც კატეგორია, იგი სავსეა აზრით და უამრავი საქმე უნდა მოვიხილოთ, სრული ახსნა რომ მოვუძებნოთ. აქ კი ცხოვრების გარიჟრაჟზე მიმდინარეობდა უჩვეულო მასშტაბის პროცესი, სიცოცხლისაკენ ქვეყნის შემობრუნების პროცესი და ამ გრანდიოზულობის დაუნახაობა უბრალოდ არ გვეპატიება. მით უმეტეს, რომ კარგად ვიცით „დანგრეული იყო ყოველი შენებულობანი“ — დანგრეული მტრისა და გაუგონარი ძალის მიწისძვრისაგან. მემატიანე

ღვთის წყრომად მიიჩნევს ამ უზარმაზარი ძალის მიწისძერას, ქართველთა მიერ ჩადენილი ცოდვის პასუხად ესახება იგი. გავიხსენოთ, ასევე ხსნის დავით გურამიშვილი მეთვრამეტე საუკუნეში ქვეყნის გაუბედურების მიზეზს. ეროვნული შინაგანი სრულფასოვნების რღვევისა და თავს დატეხილი უბედურებების მიზეზები ქართველი კაცის შეგნებაში მუდამ ერთმანეთს უკავშირდებოდა. ახლა საჭირო იყო საპირისპირო პროცესის წარმართვა და დავით აღმაშენებელიც სწორედ შინაგანი მობილიზებისაკენ უხმობდა თავის ხალხს. სიცოცხლისა და შრომის სიყვარულით მოჰყავდა აქეთ, მოჰყავდა საქმისაკენ. მემატიანე საკვირველ საქმეებს უწოდებს დავითის მიერ გადახდილ განუწყვეტელ ომებს. ვფიქრობ, არანაკლებ საგრძნობია მოშენების პროცესის საკვირველობა, შენებისა, რომელიც ჩუმად, განუწყვეტლივ, ელვის სისწრაფით მიმდინარეობდა საქართველოში. თუ წარმოვიდგენთ, რომ სულ მცირე ასი ათასი ოჯახი მიბრუნდა კერაზე და აღადგინა ფუძე, ასობით ხიდი და ციხე-ტაძარი რომ იქნა აღდგენილი, ცხადი შეიქნება ამ „მოშენას" გრანდიოზული მასშტაბები.

ქვეყნის შინაგანი სიმტკიცის მისაღწევად უპირველესი პრობლემა ერთგული ხალხის შემოკრება იყო. მისით იწყებოდა ხალხის, სახელმწიფოს გაძლიერების გზა. მეფის ქარზე, განსაკუთრებით ახალგაზრდა მეფის გარშემო შემოკრებილ ხალხში სწორედ ეს ერთგულების ფენომენია საინტერესო. ერთგულება საგანს უკავშირდება მუდამ. დავითთან მეგობრობა თავისთავად გულისხმობდა შინაგან ამაღლებულობას, რადგან ჯერ კიდევ ახალგაზრდა უფლისწული თავისთავად ირეკლავდა ყოველივე ყალბსა და მოჩვენებითს. მისკენ მიეშურებოდა მხოლოდ ნათელი სხივი, ბნელი განერიდებოდა, გრძნობდა, რომ აქ ნიღაბი არ გამოადგებოდა.

ნიანია ბაკურიანი! — ეს სახელი ჩნდება უპირველესად დავითის მახლობელთა სიიდან, თუ არ ჩავთვლით მისი მოძღვრისა და განუყრელი მეგობრის გიორგი ჰყონდიდელის პიროვნებას და დასს, რომელსაც უფლისწულზე ჰქონდა დამყარებული მთელი იმედები. მთელი მისი მოღვაწეობის ქსოვილიდან შეუვალად მტკიცდება, რომ დავითი შეუდარებელი ამომცნობი გახლდათ პიროვნების ფსიქიკის, მისი საერთო ბუნე-

ბის გენეტიკური წარმომავლობის. იგი უმალ სცნობდა ერთგულსა და ორგულს, „ღვთივ გაბრძნობილმან“ მეფემან დავით უწყოდა ადამიანთა ფარული და თავჩენილი ზრახვების ასავალ-დასავალი, საწყისი და სამომავლო გზები.

ხოლო „რა განსუქნენ და განდიდნენ“-ის სენი, სენი საყოველთაოდ ფეხმოკიდებული, სხვაგვარ მიდგომას და მასშტაბურ ღონისძიებებს ითხოვდა. თავდაპირველად ფეთქებადი წერტილების ჩაქრობა იყო საშური. უპირველესი წერტილი, ეს მერამდენე საუკუნეა, ბაღვაშთა საერისთაო გახლდათ. სიხლი გაუშრეს საქართველოს მესვეურებს ბაღვაშებმა. ცხადია, ზოგჯერ მეფენიც სცოდავდნენ მათთან და ვულკანად აქცევდნენ ცეცხლს, მაგრამ განდგომის, თვითნებობის, მეფური უფლებების შელახვის ტენდენციაც და ტრადიციაც გენეტიკურად გადმოეცემოდა ამ საგვარეულოს, თითქოს ნაანდერძევი ჰქონდათ მეფისადმი ორგულობა, სრული დამოუკიდებლობის მიღწევა. ამ ჟინს, ამ სიცოცხლედ გარდაქმნილ სურვილს საქართველოს ორგანიზმიდან მიჰქონდა ენერგიის დიდი წილი. „მაგრამ დავით აღმაშენებლის სახელმწიფო სიბრძნე და შორს გამჭვრეტელობა იმითაც მტკიცდება, რომ მან აზნაურთა ურჩობის ჭეშმარიტი ბუნება და თვისება შეიგნო“ (ივანე ჯავახიშვილი). იგი მთელი სისრულით გრძნობდა ამ ურჩობის სოციალურ მიზეზსაც და თანდაყოლილი ბუნებრივი ამპარტავნობის ფსიქოლოგიასაც. ისინი ერთმანეთს ერწყმოდნენ და ქვეყნისათვის აუტანელ მდგომარეობას ქმნიდნენ. დავით აღმაშენებელმა შესანიშნავად იცოდა, რომ ბრძოლა ცალკეული განდგომილების წინააღმდეგ საბოლოო გამარჯვებას ვერ მოიტანდა, რომ იგი უნდა დაპირისპირებოდა ამ წინააღმდეგობის მთელ სტრუქტურას. მაგრამ ამ სერიოზული ოპერაციის განხორციელება სხვა დროსა და ღონისძიებებს ითხოვდა. დღეისათვის კი აუცილებელი იყო ყველაზე უფრო გამოხატული ცეცხლის კერის ჩაქრობა. ცხადია ასეთი იყო ლიპარიტ ბაღვაში, შვილიშვილი ძლიერი ლიპარიტ ბაღვაშისა.

ლიპარიტ ბაღვაშთან დავით მეფის დამოკიდებულება, მის წინააღმდეგ მოქმედება საოცრად ჰგავს ექსპერიმენტს. „ლიპარიტ ამირამან იწყო მათვე მამულ-პაპურთა კუალად სლვა, რამეთუ ზაკვდა წინაშე მისსა მოპოვნებად უსჯულოებისა. და-

ღათუ ქრისტიანე იყო სახითა, გარნა ორგულება და სიძულილი პატრონთა გუარისაგან მოაქუნდა გონებითა. და ვინათგან გულისხმისყოფა არ ინება კეთილისა, დადგა ყოველსა გზასა არაკეთილსა". ეს უკვე არსია, ჩამოყალიბებული, საკუთარი ბუნების მქონე. თავისთავს ვერსად გაექცევა იგი. მეფის გაძლიერება ლიპარიტთა სამთავროს ძლიერების დამხობას მოასწავებს. ეს იცის ბაღვაშმა, იციან ეს სხვა დიდებულებმაც. ძლიერი მეფისადმი ზიზღის გრძნობა განსაკუთრებით გამძაფრებული აქვთ ასეთ პიროვნებებს. დროზე დაიწყო ლიპარიტ ბაღვაშმა „მამულ-პაპურთა კუალად სლვა".

დავით მეფე დარწმუნებულია, რომ ბაღვაშები და სხვა დიდგვაროვნებიც თავისას არ მოიშლიან, მაგრამ დგამს ერთი შეხედვით უცნაურ ნაბიჯს. პირველივე ღალატისათვის არა სჯის სიკვდილით ან გაძევებით: „ამას რა ესევითარებასა ხედვიდა დავით, ინება გაწურთა მისი. იმისთვისცა პყრობილ ყო იგი ჟამ რაოდენმე, რომელი კმა იყო განსასწავლელად გონიერისა ვისმე. და ესრეთ მომტკიცებული მრავალთა და მტკიცეთა ფიცთა მიერ და ერთგულობისთვის ღმრთისა შუამდგომელად მომცემი განუტევა იგი. და მითვე დიდებითა ადიდა და არა შეუცვალა, რამეთუ კეთილმან არა თუ მართალსა, არამედ არცაღა თუ ბოროტსა ადვილად აბრალის, ვინათგან სიბოროტედ არა განსწავლულ არს, არცა მეჭუელ".

მთელი ხელოვნება იკითხება დავითის პოლიტიკისა. ერის თვალწინ ხდება ყოველივე. მიმდინარეობს ექსპერიმენტი. ქართველი კაცის დასჯა არ არის მეფის სურვილი, თუკი გაწვრთნა მოხერხდება. წვრთნა კი უფაქიზესი ფორმებით ჩატარდა. ცოტა ხნით დააპატიმრა ლიპარიტი. ღმერთი მოიშველია „შუამდგომელად" ლიპარიტმა, ფიცი დასდო, რომ ღალატს გულში არ გაივლებდა, ფიცი ხალხისა და მეფის წინაშე. მეფემ პატივით დააბრუნა თავის საერისთავოში — არაფერი დააკლო, ძველებური დიდება შეუნარჩუნა. დემოკრატიის უფრო ღრმა გაგება ძნელი წარმოსადგენია, ლმობიერების სხვა ზღვარიც არ იცის მეფეთა ისტორიამ. ახლა ლიპარიტ ბაღვაშზეა დამოკიდებული, შეიძლებს თუ არა ამ პატივის დაფასებას, მეფის ერთგულებას და ქვეყნის უანგარო სამსახურს. რაც მთავარია, მთელმა ქვეყანამ დაინახა, როგორ მოექცა მეფე

ორგულ ყმას. მიტევების ნიმუში სახეზეა. მაგრამ ვერ ისვენებს ის არსი, რაზეც ზემოთ მივუთითე, ვერ გარდაქმნის მას ვერანაირი ლმობიერება და დემოკრატიული მიდგომა. მან უნდა იორგულოს, რადგან თავგასულობასა და დამოუკიდებლობას სისხლი ვერ თმობს:

„ხოლო იგი ვითარცა ძაღლი მიექცა ნათხევარსა და ვითარცა ღორი ინწუბა სანგორელსა მწვირისასა: განაცხადა მტერობა და უკეთურებასა იწურთიდა საწოლსა ზედა თვისსა. იხილა რა მშვიდმან და ღმრთივ გაბრძნობილმან მეფემან დავით, რამეთუ კუდი ძაღლისა არ განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს, მეორეს წელსა კუალად შეიპყრა, ორ წელ პყრობილ ყო, და საბერძნეთს გაგზავნა, და მუნ განეხუა ცხორებასა“.

ქვეყნის წინაშე გააშიშვლა დავით აღმაშენებელმა მოღალატე დიდგვაროვანის ბუნება. გამოცდა ისე დამთავრდა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო—„რამეთუ კუდი ძაღლისა არ განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“—მთელი ბუნება გადმოიშალა ორგული ფეოდალისა ხალხის წინაშე. ახლა იმავე ხალხმა დაინახა დასჯის ნიმუში: დავით აღმაშენებელი ქვეყნის მოღალატეს და „ქვეგამხედვარს“ არაფერს აპატიებს. ლიპარიტი, როგორც დავინახეთ, ხელმეორედ დააპატიმრა, ორ წელიწადს დამწყვდეული ჰყავდა, შემდეგ ქვეყანას მოაშორა და ქვეყნის წინსვლას შემაფერხებელი ჯებირი გადაუნგრია. ამოზიდულია ერთი ფაქტი, მაგრამ შინაგანად დასჯილია ყველა, ვინც არსით ჰგავს ლიპარიტ ბაღვაშს. დანახევებულია მათი მომავალი, ეს არის დამოკიდებულების ნიმუში. დავით აღმაშენებელმა იცის წყალობა, „ღმრთით შთაგონებული“ წყალობა, მაგრამ შეუძლია რისხვა, „ღმრთივ შთაგონებული“ რისხვა.

გაუთავებელი კინკლაობა მეფესა და თავგასულ ფეოდალს შორის, რაც წინარე ისტორიას ახასიათებდა, მოიკრა და მოიკვეთა. მეფე არკვევს უმოკლეს დროში თავის პოზიციას ორგული ბუნების მიმართ. ეს ხდება დიდი საქმეების პარალელურად. შენდება სოფელი, ბრუნდება ქართველობა თავის ნაფუძარზე, მჭიდროვდება ერთგულ თანამებრძოლთა რიგები და მკვეთრდება პოზიციები მოღალატეთა მიმართ.

დიდგვაროვნები გაისუსნენ. ბაღვაშის ასე იოლად ალაგმვას არ ელოდნენ, არც ასეთ გადამჭრელ ღონისძიებებს. მათ დაინახეს ახალგაზრდა მეფის ხასიათის სიმტკიცე, შეუვალობა. დავითის სვლა იმდენად ძლიერი და პრინციპული ჩანს, რომ ამდენი საუკუნის შემდეგაც სვამს კითხვას აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი: „საინტერესოა როგორ შეძლო დავითმა აგრე გადაჭრილი მოქმედება ამ ძლიერი ფეოდალის მიმართ. საფიქრებელია, რომ ქართლის დიდებულთა უმრავლესობა მეფის მხარეს იდგა ამ საქმეში და არა იმიტომ, რომ მათ თავისი სოციალურ-წოდებრივი ინტერესები დაავიწყდათ, არამედ იმიტომ, რომ თურქები ერთობ მიუღებელნი ჩანდნენ და დავითი თურქების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორი — მისაღები და მხარის დასაჭერი. სულ სხვა შეიძლება ყოფილიყო, რომ გარეშე ძალა თურქები კი არა, ბერძნები ყოფილიყვნენ“.

აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი, როგორც დავინახეთ, თურქებისადმი სიძულვილით ხსნის დიდგვაროვნების დიდი ნაწილის თანაგრძნობას დავითისადმი ამ შემთხვევაში და ეს მიზეზი მართლაც გასათვალისწინებელია. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი და დროებითი მიზეზია. ჩვენ კარგად ვიცით, რომ თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ დაუცხრომელად მებრძოლ მეფე დავით აღმაშენებელს იგივე დიდგვაროვნები როგორ უშრობდნენ სისხლს, როგორ წინაღუდგებოდნენ მის ღონისძიებებს, მის სვლებს, რა ძალით და რა ფორმების დახარჯვა უხდებოდა დავითს მათ მოსათოკად.

დავითმა შესანიშნავად იცოდა, როგორი სამეფოც ჩააბარეს. იგი იდგა დიდი საქართველოს ნანგრევებზე. აღმოსავლეთ საქართველო თითქმის მთლიანად მტრის ხელთ იყო. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ნახევრად გარემოცული იყო თურქ-სელჩუკების მიერ, ტაო-კლარჯეთისაგან აჩრდილიღა დარჩენილიყო. დავით კურაპალატისა და ბაგრატ მესამის გავრცობილი საქართველო, მართალია, ახლო წარსული, მაგრამ მაინც წარსული იყო. დიდმა ისტორიულმა კრიზისმა მისი მამისა და საკუთრივ მის თვალთა წინაშე დააკნინა ქვეყანა. ეს არ არის გასაკვირი და არც მარტოოდენ სამეფო კარის სისუსტეს მოჰყოლია არასახარბიელო შედეგი. „დიდი თურქობა“ ხალხთა

გადასახლების იმ გრანდიოზულ მოვლენათა რიგს ეკუთვნის, რისი მიზეზითაც არაერთი სახელმწიფო აღგვილა „პირისაგან მიწისა“. ამიტომ საქართველოს იმდროინდელი შეჭირვება არ უნდა გაგვიკვირდეს. ვიცით, რა ძალის მტერი იყო მომდგარი კარს. ამ მტერმა ორ-სამ საუკუნეში ბიზანტია მთლიანად ჩაყლაპა. ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენი უნდა ყოფილიყო ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა. საქართველოს ფაქტიური ტერიტორია, რაც დავითს ხვდა, ზემოთ განისაზღვრა კიდეც, რაც შეეხება თავად მიღებულ მემკვიდრეობას, მას ასე ახასიათებს დავითის ისტორიკოსი: „გარნა ისმინეთ ესევითართა მათ პირველთა ესე, რამეთუ სამეფო აფხაზეთისა მცირე ჰქონდა მოკლებული, და მცირე იყო ტყუეობითა და ზემოხსენებულთა ჭირთაგან მცირე გუნდი მხედრობისა და იგინიცა დაჯაბნებულნი, მრავალგზის მტერთაგან სივლტოლათა უცხენო და უსაჭურველონი, და თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი.“

უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა. მთელი სიგრძე-სიგანით აქვს გააზრებული ახალგაზრდა მეფეს და მის ერთგულ ხალხს შექმნილი ვითარება. კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას ხალხის დამახინჯებული ფსიქიკა. დიდგვაროვანთა შორის ბევრია მოღალატე, გამუდმებით რომ კილავენ სამეფო კარს, მეფის საქციელს და ნაბიჯებს. მომძლავრებულ მტერთან დამარცხებული მხედრობა შიშით დათრგუნვილი და დალაჩრებულია. სიმხნე და სიკაშკაშე გამოცლია, შემართება გაუცხოვებია. ცხენები არ კმარა და საჭურველიც არ აქვთ. უფრო მეტი სიღარიბე სამხედრო მზადყოფნის თვალსაზრისით ძნელად წარმოსადგენია. მაგრამ კიდევ უფრო შემაშფოთებელია „ქართველთა ორგული ბუნება“, ღალატისა და განდგომისაკენ მისწრაფება, ბოროტი განზრახვების წყაროები, მათი სიმრავლე, ქვეყნის შეჭირვების დროს განზე განმდგარნი, „განსუქებისა და დიდების დროს“ პატივმოყვარეობის მსახურნი, ინტრიგების ავტორები. კილვა, კილვა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მეფის მოქმედების კილვა. იწუნებენ ყოვლად დიდებულ საქმეს, ჩხრეკენ და ეძიებენ ნაკლს იქ, სადაც ნაკლის არსებობაზე სიტყვების ჩამოგდებაც კი მკრეხელობაა. უზარმაზარი საქმის მოხდენის შემდეგ დავით აღმაშენებელს ამ

ჯურის ხალხმა იმდენი ტალახი ესროლა, რომ არათუ ერთს, ათ ადამიანს ეყოფოდა დასამარხავად. ეს ყველაფერი მას შემდგომ, როდესაც მის სახელს ანათებდა დიდებულად მოგებული ბრძოლებისა და იშვიათი მოღვაწეობის შარავანდედი. წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა მეფობის დასაწყისში, როდესაც, იგრძნეს რა ძლიერი პიროვნების მისვლა სამეფო ტახტზე, უმალ დაირაზმნენ, რათა იმთავითვე მოეტეხათ მისი შეუპოვრობა და იმთავითვე ჩამოეშორებინათ გზიდან შემზღუდავი ნება მეფისა. მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვი, დიდებულთა »ქვეგამხედვარი« მოქმედება მარტო მათ ციხე-დარბაზებში არ რჩებოდა მაგალითად. მათ ერი ებარათ და ერს უშუალო პატრონისაგან გადაეცემოდა განზე დგომის სულისკვეთება, ორგულობის, მცონარობის, დაუმორჩილებლობის სულისკვეთება. სხვაგვარად წარმოუდგენელი იყო. ყველა ეს ფაქტორი კი იმ დროისათვის აყალიბებდა ერის სულიერ წყობას, რაღაც მკვრივდებოდა ხასიათის ნიშნად. ხალხის სულიერი წყობა სიღრმეში, ალბათ, ინარჩუნებდა სიწმინდისა და ერთსულოვნების წყურვილს, ყრუ მისწრაფებას მაინც, მაგრამ დროისა და ვითარების შესაფერისად მისი ფსიქიკა თუ სავსებით არა, საგრძნობლად მაინც იყო დეფორმირებული.

დავით აღმაშენებელმა, ცხადია, იცოდა, რომ მას უნდა ჰყოლოდა ძლიერი მხედრობა და უნდა ჰყოლოდა ერთგული ხალხი.

საქართველოს სიყვარულს და ერთგულებას ეფიცებოდა ყოველი ერისთავისა და დიდგვაროვანის სამფლობელოში მცხოვრები ხალხი, მაგრამ მას სულ თავისებურად და თავის სასარგებლოდ ესმოდა ეს ერთგულება. ნამდვილი ერი და ნამდვილი ერთგულება არსად ჩანდა, იგი ასე დანაწევრებული, გაწილაკებული, უკვე მოკლებული დავით კურაპალატისა და ბაგრატ მესამის ხანის სულისკვეთებას, დაბნეული და უსისტემო ჩანდა. ლიპარიტ ბაღვაშის ალაგმვის ისტორია თავის დანიშნულებას ზედმიწევნით კარგად პასუხობდა, მაგრამ ეს იყო ფეთქებადი წერტილებისაკენ მიმართული მუქარა. ერთი და ორი თავგასული ფეოდალი საქართველოს სხვა მეფეებსაც აულაგმავთ, მაგრამ წინააღმდეგობა არ შემწყდარა და ქვეყანას მოსვენება ამით არ ღირსებია. თავიანთ მამულებ-

ში შეყუჟული დიდგვაროვნები ადვილად ასერხებდნენ ახალი შეთქმულების ბადის მოქსოვას. ახალი ბოროტი ზრახვანი, ახალი გეგმები! ერთ წერტილში ამომწვარი, იგი სხვაგან იფეთქებდა. ფეოდალები და დიდგვაროვნები კი ფეოდალურ საქართველოში, ცხადია, მრავლად იყვნენ. საჭირო იყო სახელმწიფოს მართვის სისტემაში ისეთი ფორმის მოძებნა, რაც მარადიულად არსებულ საფრთხეს მთლიანად მოუშლიდა საფუძველს და შეთქმულების საშუალებას გამორიცხავდა. ეს ერთის მხრივ, მეორეს მხრივ, ხალხის სულიერ სტრუქტურაზე იერიშის მიტანა იყო აუცილებელი, რათა ერის სული გაწვრთნილიყო ქვეყნის ერთგულების რწმენით, სულისკვეთებით. გაორებული გრძნობების ქაოსი ერთსულოვნებაში უნდა დაწმენდილიყო. ერის სულიერი წვრთნა იყო უფრო დიდი ამოცანა, რაც გრანდიოზულ პროგრამად დაისახა დავით აღმაშენებელმა და დაიწყო მისი განხორციელება იმ დროისათვის უნივერსალური ფორმების მოხმობით.

საქართველოს, როგორც ქვეყნის, განთავისუფლება-გაერთიანებისათვის, ქართველი ხალხის ღირსეული არსებობის მიღწევისათვის, მისი წარსულის, აწმყოსა და მომავლის განდიდებისათვის, დავითმა შექმნა მართვის მთელი სისტემა, რისი წყალობითაც ერის სულიერ და ფიზიკურ არსებობაში გაუგონარი ფერისცვალება მოხდა. ქართველი კაცი უნდა ყოფილიყო მხნე, ძლიერი, შემმართებელი, და, რაც მთავარია, მას უნდა სცოდნოდა, რომ სიცოცხლის უქმად გალევის უფლება არ ჰქონდა, ღირსეული მამულიშვილის ცხოვრებით უნდა ეცხოვრა ამქვეყნად, ე. ი. საქართველოს კეთილდღეობისათვის შეელია მთელი თავისი ენერგია. მისი, როგორც ქართველის, დანიშნულება ამქვეყნად ეს იყო, ქვეგამხედვარი, დაბნეული და დაჯაბნებული პიროვნების ნაცვლად გაუტეხელი, სპეტაკი, დაუზარელი ერის შვილი უნდა ჩამოყალიბებულიყო. ამისათვის საჭირო ხდებოდა, მეფეს და მის ერთგულ დასს, ვინაც ქვეყნის სრული გარდაქმნა და ძალთა ამზევება დაისახა მიზნად, ყველაფერი სცოდნოდა, რაც კი ქვეყანაში ხდებოდა, აბსოლუტურად ყველაფერი (ჩვენ ჯერ ქვეყნის შინა ამებების ცოდნაზე ვამახვილებთ ყურადღებას), მსგავსი რამ მანამდელ საქართველოს არ ახსოვდა. დავით აღმაშენე-

ბელმა მთელს ქვეყანაში დაქსაქსა ერთგული ადამიანები, და მათგან უზუსტეს ცნობებს იღებდა. ისინი უმალ შეიტყობდნენ ყოველივე მნიშვნელოვანსა და საგულისხმოს, უპირველეს ყოვლისა, დიდგვაროვანთა განაზრახსა და ჩანაფიქრს, მათს აბლო თუ შორეულ გეგმებს. დარაჯობდნენ „ქვეგამხედვართა“ ფიქრს, რათა იმ ფიქრს არ მოესწრო საქმედ გარდაქცევა. ცნობები უმოკლეს დროში მიდიოდა მეფესთან. მაგრამ მეფის ერთგული კაცები დარაჯობდნენ და მეთვალყურეობდნენ არა მარტო დიდგვაროვნებს, არამედ ყოველ ფენას, ყოველ მნიშვნელოვან პიროვნებას, თვით მონაზონთა შორის კრებდნენ ცნობებს. დავით აღმაშენებელი, უბრალოდ, არ ტოვებდა ცარიელ წერტილს, რადგან დიდი ისტორიული გამოცდილება ქარნახობდა, რომ იმ მონაზონთა შორისაც შეუფარებია თავი შეთქმულების გეგმას, ფიქრსა და განწყობილებას. იცოდა, რომ მონაზონთა შორის უმშვენიერესი და უნიჭიერესი ქალებიც იყვნენ და მათი სილამაზე და ნიჭი პოლიტიკურ მიზნებსაც უკავშირდებოდა სხვადასხვა მიზეზების წყალობით.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი:

„ხოლო აქუნდა ამას ყოველად ბრძენსა მეფესა საქმედ ესეცა, რომლითა უმეტეს ყოველთა საშიშად საზარელი იყო ყოველთა, რამეთუ ღმრთისა მიერ იყო მის ზედა ნიჭი ესა და საქმე ყოვლად საკვირველი. არა-რა შორიელი არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირედთა, საქმე ქმნილი, კეთილი გინა სიტყუა ბოროტი თქმული არა-რა დაეფარვოდა ყოველადვე, არამედ რაოდენცა ვის ფარულად ექმნის ანუ თუ ეთქვის, ყოველივე, ცხად იყო წინაშე მისსა, ვიდრემდის გულისა სიტყუანიცა და მოგონებანი ვიეთნიმე მიუთხრნის მათ, რომელთა ზარგანსდილ ყვნის. და მონაზონთა განშორებულთა სენაკთა შინა მათთა ქმნილნი ღუაწლნი და სათნოებანი უწყოდნის ცხადად, და სიშორე გზისა ვიდრე ეკლესიამდე ზომით იცოდის, და მოთმინებისათვის აქებდის და ნატრიდის. ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე, არამედ ამასა ცნობდი, თუ რა სარგებელი პოვის ამათ მიერ. რამეთუ არათუ ცუდად რადმე და განსაკითხავად საგიობელთა საქმეთად, ანუ საკიცხელად ვიეთთათვისმე იქმოდის: ნუ იყოფინ ესე, წარვედ!“

დავით აღმაშენებლის იშვიათი უნარი გაგვაცნო მემატიანემ — უნარი ადამიანის ცნობისა და ცოდნისა, უნარი ქვეყნის შიგნით მომხდარი თუ მოსახდენი საქმის დაუყოვნებლივ შეტყობისა და შესწავლისა. ეს ნიჭი ღმრთისაგან მომადლებულ ნიჭად აქვს დახასიათებული ისტორიკოსს, და მასში მართლაც ჩანს საკვირველების გაქანება და ძალა. ეს ნიჭი მიმართული იყო მთელი ქვეყნის, სრულიად საქართველოს და მისი ხალხის შესაცნობად და გარდასაქმნელად. ეს ამაღლებული შინაარსი მკარნახობს, ჩამოვაშორო ჯაშუშისა და მსტოვრის უსიამოვნო სახელი და აღმაშენებლის მიერ შექმნილ ქსელს მაცნეთა სისტემა დავარქვა. ცხადია, ავტორის სურვილი არ გულისხმობს ისტორიული ტერმინის შეცვლის პრეტენზიას.

დავითის კაცი არის მაცნე, მაცნე ყოველი საიდუმლოსი, დაფარული თუ დაუფარავი ზრახვისა და სურვილისა. იგი მოწოდებულია სრულად შეიცნოს ერის ბუნება, ორმხრივი მოღვაწეა: არა მარტო ამცნობს მომხდარ ამბავს! მისი ცნობები რაღაც განუსაზღვრელად დიდის მეცნიერულად შესწავლის საფუძველი და ნიადაგია. მას მოაქვს ყველა საჭირო, მნიშვნელოვანი ცნობა. არც სამეფოში, არც ლაშქარში, არც დიდთა შორის, არც მცირეთა შორის არ ითქმოდა სიტყვა, რომელიც რაიმე საგულისხმოს შეიცავდა და მეფეს არ ეცოდინებოდა. მაცნეს მოაქვს არა მარტო ცუდი, ბოროტი სიტყვა, არამედ კარგი, კეთილი საქმისათვის გამოსადეგი სიტყვა, რომელიც ქვეშევრდომთა გულებში იბადება. არ კეთდება რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი საქმე — კარგი თუ ცუდი, რის შესახებაც მეფეს უმალ არ ეუწყოს. თვით ფარულად ნაკეთები საქმე და დამალულად თქმული სიტყვაც უმალ მეფის ინფორმაციებს უერთდებოდა. მონაზვნებზე ვთქვი, თვით მონაზონიც რომ დაკვირვების საგანს შეადგენს, ეს მეტყველებს სისტემის უნივერსალურ სრულყოფილებაზე, მის ცხოველმყოფელობასა და ქმედითობაზე. მემატიანე, მიუხედავად იმისა, რომ ბოდიშს იხდის ხშირად — ბევრი რამ გამომრჩაო, ზოგჯერ უძვირფასეს ცნობას გვაწვდის ხოლმე. მეფემ ყოველ ეკლესიამდე მანძილიც კი ზომით იცოდაო. სამხედრო ხელოვნების რიგს რომ მივუახლოვდებით, ჩვენ არაერთგზის ვიგრძნობთ, როგორ იცოდა მან მანძილი ყოველ ციხესა და ცი-

ხეს შორის, მთასა და მთას შორის, მდინარესა და მდინარეს შორის და რას შეაძლებინებდა ეს ცოდნა. გვაფრთხილებს დიდი ისტორიკოსი: „ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე"... მომიტევოს დიდი წინაპრის აჩრდილმა, მაგრამ ძიებას რომ მოვეშვათ, მაინც არ ისვენებს ფიქრი და წარმოდგენები და იგი მიგვანიშნებს, თუ რა შინაგანი სრულყოფილებით იყო დამუშავებული ცნობების მიღების მთელი სისისტემა, რამდენად ინტენსიური იყო დაკვირვება, დაზვერვა, ანალიზი, როგორ იყო გამორიცხული ცარიელი ადგილი ე. წ. მსტოვრებს შორის, როგორ ავსებდა ცნობა ცნობას, როგორ აზუსტებდა ერთი მეორეს. მაგრამ თვით ამ სისტემის კეთილშობილურ გამიზნულობას დავაკვირდეთ: არა ცუდის საძიებლად, არა ბოროტის აღმოსაჩენად, არამედ სრული შეცნობის და შემდეგ ერთგულებისაკენ ხალხის სულის შემოსაბრუნებლად კეთდება ყოველივე! ეძიებს კარგს, კეთილს, ერთგულს, მოაქცევს მერყევს სიკეთისაკენ, ყველა ფიქრს ერთსულოვნების კალაპოტისაკენ აძლევს მიმართულებას — „არამედ ამას ცნობდა, თუ რა სარგებელი პოვის ამათ მიერ" — ხაზს უსვამს ისტორიკოსი. საგანგებოდ მიანიშნებს მაცნეთა სისტემის დანიშნულებაზე — რა გამოადგება ქვეყანას, რა შეიძლება გამოიხმოს ერის უზარმაზარი ორგანიზმიდან ქვეყნის სამსახურში. „სარგებელი, სარგებელი" და არა დასჯა და მოკვეთა. დასჯა და მოკვეთა გამოუსწორებელი ფენომენების — იგივე ლიპარიტის და მისთანანის ასალაგმავად არის აუცილებელი. სხვა ყველა და ყველაფერი მოწმდება როგორც ეროვნული სხეული და მკურნალობს როგორც ეროვნულ სხეულს. მთელი ეს სისტემა (ისევ ხაზგასმით გვეუბნება ისტორიკოსი): „რამეთუ არათუ ცუდად რადმე" და განსაკითხავად საგიობელთა საქმეთად, ანუ საკიცხელად ვიეთთათვისმე იქმოდის: „ნუ იყოფინ ესე, წარვედ!" დიახ, „არა თუ ცუდად რადმე", არამედ უკეთილშობილესი მიზნით აღსრულდება ყოველივე. ზოგთა „გასაკიცხველად" ითქმის ამ შეცნობა-შესწავლის შემდეგ შეუვალი სიტყვები:—„ნუ იყოფინ ესე, წარვედ!" ეს დიდი გაფრთხილებაა, იმის თქმაა, რომ ცუდკაცობა, ცუდი ჩანაფიქრი გამორიცხულია, „ნუ იყოფინ ესე, წარვედ!" თითქოს მუქარა კი არა, გარდუვალობის შეგნება შედის მერყევთა, ქვეგამ-

ხედვართა სულსა და სორცში. ამის ქმნა დაუშვებელია! თუ ამ სისტემის მოქმედების შემდგომ ფაზას არ გავიაზრებთ, შეიძლება ღიმილისმომგვრელიც კი მოგვეჩვენოს მეთოდი, რადგან ცნობილია, მხოლოდ შეგნებით და ჩაგონებით კაცთა ბუნება არ გასწორდება. მაგრამ მივაქციოთ ყურადღება, ზემოქმედების მეორე ფაზას და კიდევ იმ გარემოებას, რომ უმაღლეს სასჯელს დავითის აზრით მხოლოდ აშკარად გამოვლენილი ბოღალატენი იმსახურებენ. სხვებს კი ღალატისა და მოქმედების საშუალება ფიქრშივე ერთმევათ. მკაცრად მოქცევა, დასჯა, მასიური სისხლისღვრა, ბოროტი გენის მოთხოვნილებად იქცევა და იგი არც ელოდება საბოლოო შესწავლასა და გარკვევას, პირველი ეჭვისთანავე ანადგურებს სავარაუდო მოწინააღმდეგეებს. ეჭვი კი თავისთავად ამრავლებს ფიქრში სავარაუდო მოწინააღმდეგეებს და ათასობით თავი განუკითხავად მოგორავს ისტორიის სისხლიან კიბეზე. ამ არასრულყოფილმა სისტემამ და პიროვნულმა არასრულფასოვნებამ გაამრავლა კაცობრიობის სარბიელზე დესპოტები.

რა უშორესი მანძილით არის დაშორებული დავით აღმაშენებელი დესპოტის ბუნებას! საერთოდ უცხოა იგი მისთვის. იგი, როგორც მასალას, ისე ძერწავს თავისი ხალხის ღირსეულ არსებობას. მიუტევებელია მხოლოდ გამოუსწორებელი მოღალატის მიმართ, მთელს ხალხში კი თესავს აზრს იმის შესახებ, რომ ქართველმა კაცმა მეფის და ქვეყნის ღალატი ფიქრში არ უნდა გაიკაროს. ერთგულება და ერთსულოვნება არის მისი მისია, ვინც უნდა იყოს, გლეხი თუ ფეოდალი. დააკვირდით ქვემოთ მოტანილ ამონაწერს და უმალ იგრძნობთ, რომ ავი ზრახვისათვის დავითის საქართველოში ადგილი არ დარჩენილა.

„არამედ დიდნი საქმენი და ფრიად სასწრაფონი წარმართნა ამით, და მრავალთა კეთილთა მიზეზ იქმნა ესე: პირველად ორგულობას, და ზაკუასა, და ღალატსა რასამე ვერვინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებადცა, არა თუ თქმად ვისდა, არცა თუ მეუღლესა და ცხედრეულსა თვისსა თანა, ანუ მოყვასსა თვისსა, გინა ყრმათა თვისთა თანა, ვინათგან ესე მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირით აღმოსვლასავე თანა სიტყვისასა საცნაურ ქმნილ არს უეჭვე-

ლად წინაშე მეფისა და მრავალნი განპატიჟებულნი იყვნეს და მხოლებულ ესევითარისათვის. ამისთვისც ვერ ოდეს ვინ განირჩახა ღალატი რაჲთურთით დღეთა მისთა, არამედ იყო ყოველთაგან საკრძალავ და სარიდო“.

საინტერესო და საგულისხმოა სწორედ ის ფაქტი, რომ მთელი ეს დაზვერვითი მიზნები, მთელი ეს მაცნეთა სისტემა მიმართულია ღალატის, ორგულობის, „ზაკუობის“ წინააღმდეგ. ფიქრშიც კი არ რჩება ადგილი მისთვის. გონება რაიმე ღალატის მოსაგონებლად საერთოდ ვერ უნდა იცლიდეს. ხოლო სხვისათვის ამ შეთქმულების გეგმის გაზიარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია („არათუ თქმად ვისდა“). თვით მეუღლეს ვერ უმხელს, სარეცელზეც კი არ დარჩენილა შესაძლებლობა ქვეყნისათვის საიუგო გეგმის მოფიქრება-გაზიარებისათვის... ვერ ეუბნება ვერც მოყვასს, ვერც შვილს, რადგან სიტყვის „პირით აღმოსვლასავე თანა“ მეფისათვის იქნებოდა ყველაფერი ცნობილი. გამოირიცხა ყველა შანსი, რადგან ვისაც კი დაცდა, ყველა მხილებულ იქნა, ყველას დაეცა ზარი-ვით სიტყვები: „ნუ იყოფინ ესე, წარვედ!“ დავით აღმაშენებელმა მოსპო ღალატზე ფიქრის განწყობილება ქართველ კაცში. ქართველმა კაცმა იცოდა, რომ ასეთ ფიქრს ღმერთის მიერ ჩაგონებული ერთგულება დარაჯობდა. განწყობილების მოსპობის შემდეგ მოისპო ღალატის სურვილიც, სურვილი, როგორც ეროვნული ტრაგედიების წარმომშობი ადრინდელ საქართველოში. სურვილის მოსპობის კვალდაკვალ ღალატის ფაქტებიც ბუნებრივად გაქრა — „ამისთვისცა ვერ ოდეს ვინ განიზრახა ღალატი რაჲთურთით დღეთა მისთა“. — გადავარდა ღალატის ტრადიციაც. გაჩნდა გაკვირვების კითხვაც — საერთოდ ან ადრე რისთვის იყო საჭირო ეს ღალატი, რა კეებავდა „ქვეგამხედვართა“ განზრახვებს! ხალხის ყოველი ფენის ფიქრი რომ საკუთარი სამშობლოს განდიდებისა და ღირსეული არსებობისაკენ უნდა იყოს მიმართული, ამაში საეჭვო და მიუღებელი რა შეიძლებოდა ყოფილიყო. ქვეყნისა და მეფის ერთგულებისა და ერთსულოვანი სამსახურის გარდა რა აკისრია ამ სოფლად ქართველ კაცს. რად უნდა ტანჯავდეს ღალატის სურვილი და საეჭვო გზა, როდესაც ასე აღამაღლებს ქვეყნის განდიდებისთვის ბრძოლა და მეცადინეობა.

ახლდა თუ არა დავითის მეთოდებს შიში და ძრწოლა?, ერთეულებისათვის ახლდა. ხალხთა მასებისათვის, ერისათვის — არა! ხალხი და ქვეყანა ხედავდა, რომ მეფე სიკვდილით იშვიათად სჯიდა ვინმეს, სჯიდა მხოლოდ აშკარად გამოუსწორებელს. ბოროტ განმზრახველს ამხელდა, აფხიზლებდა. ერთგულებს მფარველობდა, საგმირო საქმეებისაკენ ეძახდა. ერში იშვა არა შიში, არამდ რიდი. საშიში იყო ორგულთათვის, რომელთა რიცხვი ერთობ შემცირდა სწორედ დავითის სისტემის წყალობით, იმ სისტემისა, ფეხდაფეხ რომ დასდევდა გამრუდებულ ფიქრს და უმალ ამხელდა — „ნუ იყოფინ ესე, წარვედ!“ რიდი დაეუფლა მთელ ერს, რადგან მეფეში ხედავდნენ განგებისაგან მოვლენილ უდიდეს პატრონს, ვინც კი არ სჯიდა, წვრთნიდა. ვისი შიშიც სიყვარულს ბადებდა და არა სიძულვილს. ის სიყვარული კი თავისთავად აქცევდა დამბადებელ შიშს რიდად. რიდი ამაღლებული კატეგორიაა უკვე. ჩვენ დავით აღმაშენებელთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ მოგვიწევს ამ რიდზე, როგორც განსაკუთრებულ კატეგორიაზე საუბარი, რადგან ბევრი არსობრივი დანიშნულების მოვლენა უკავშირდება მას.

წვრთნიდა დავითი მთელი სიცოცხლის მანძილზე, რადგან იცოდა, რომ ერთბაშად ხალხის სული არ გაიწმინდება, მაგრამ დასაწყისში მის მიერ გადადგმული ნაბიჯები თან დაატარებდნენ იმ სრულყოფილ შინაარსს, რასაც მერე და მერე უფრო გამოკვეთილსა და დაფუძნებულს ვხედავთ.

როგორც უბრძნეს ადამიანს შეჰფერის, დავითიც ფრთხილობდა თავისი სისტემის ჩამოყალიბებისა და ამოქმედების დროს. მან იცოდა, უწესრიგო მხედრობას და დეფორმირებული ფსიქიკის ხალხს ამოდენა მტერთან ვერ დააპირისპირებდა. ამიტომ შეიქმნა საჭირო წვრთნა. მაგრამ ამოცანა მარტივი არ იყო. მხოლოდ ბოროტი განზრახვის ამოკვეთა და ერთსულოვნებისაკენ ხალხის სულის შემობრუნებას არ ისახავდა მეფე მიზნად. იგი ერს აყალიბებდა! ხვეწდა ყოველმხრივ. გამოვლილი ფორმები არწმუნებდა უთუოდ, რომ შესაძლებელი იყო ამის მიღწევა. ქრისტიანულ სამყაროში ქართველობა უკეთილშობილეს ხალხად ითვლებოდა. მისი ღირსებანი და შესაძლებლობანი საკმაოდ იგრძნო მოშორებულმა ევროპამაც, მაგ-

რამ ყველაფერი კანონზომიერების საზღვრებში მოქცევას ითხოვდა, საბოლოო სრულყოფას, დახვეწას ესწრაფვოდა. მოწესრიგებას ელტვოდა ხალხის ყველა ფენის მორალური და ზნეობრივი კანონები, საგანგებო ყურადღებას ავალდებულებდა ქართველი კაცის ქცევა, მოძრაობა, ცხოვრების წესი. როგორც ჩანს, იმ დროისათვის დარღვეული იყო ამ მოძრაობასა, ქცევასა და ცხოვრების წესში ბევრი რამ, დამახინჯებული იყო ფსიქიკა, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების ფორმები. რაც აქვე სათქმელია, ზნეობრივი სახეც საგრძნობლად შეცვლილი ჩანს. რადგან მეფე ყველაფერ ამასთან, პირდაპირ ავალდებულებდა თავის მრევლს პატიოსნებას. დავაკვირდეთ, რა კონკრეტულად, პუნქტობრივად, გამიზნულად მისდევს თავისი ხალხის ცხოვრების წესს დავით აღმაშენებლის მეთვალყურე სული, როგორ აძლევს მიმართულებას ნამდვილი ფორმებისაკენ, იმ ფორმებისაკენ, ღირსეული ერის თვისებებს რომ გულისხმობს თავის თავში:

„და კუალად მღდელთ-მოძღუართა, მღდელთა და დიაკონთა, მონაზონთა და ყოველთა კაცთა ესევე საქმე ექმნა წესიერებად და გზად ყოველთა სათნოებათა მიმართ. რამეთუ შიშითა მისითა ვერ იკადრებდიან უწესოდ სლვად, ვინათგან უწყოდიან არა-რას დაფარულობა წინაშე მისსა, და მის მიერ ქება სათნოებისა, და ძაგება არაწმიდათა და უწესოთა საქმეთა. რამეთუ ვერცა მსოფლიო ვინმე და ვერცა მოქალაქე, ვერ მხედარი და ვერ რომელი პატივი და ასაკი იკადრებდა განდრეკილად სლვად; რამეთუ ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყოველთა კანონ, ყოველთა პატიოსნება, და თვით მათ მეძავთაცა ყოველთა კრძალულება, ყოველთა შიშ და მმართებელ გზათა საღმრთოთა და მშვიდობისათა“.

აი, კიდევ ერთი ქსოვილი, რომელშიც თვალნათლივ ჩანს დავით აღმაშენებლის გენიალური სამოქმედო სისტემის გამიზნულობა. ერის ხასიათის და სახის ძერწვა, მაქსიმალური მოწესრიგება, მისი საარსებო ფორმების, სასიცოცხლო ძალების სრულყოფა. ყველაფერი გამიზნულია სულიერი და ფიზიკური ცხოვრების გამშვენიერებისაკენ. უპირველესი ამოცანა „ორგულ ბუნებათა“ ნიშატის აღმოფხვრა იყო და მიაღწია ამას არა სისხლისღვრითა და განადგურებით, მიაღწია ადამია-

ნის ფიქრის მიმართულების შეცვლით, მიაღწია მაღალი დანიშნულებისა და გაუბზარავი რწმენის ჩანერგვით. მეთოდი ერიდებოდა სისხლს, მეთოდი გამორიცხავდა ორგულობის შესაძლებლობას, მეთოდი გამორიცხავდა ეჭვს და გამორიცხავდა დესპოტიზმსაც. სიმკაცრე შლიდა ღალატის თვისებას და არა თავად პიროვნებას. პიროვნებას მოაქცევდა ერთგულებისა და ერთსულოვნებისაკენ. მსტოვრების — მაცნეთა ბუნება მაინც საგანგებო კონტროლს ითხოვდა. შურისგების მდაბიური სურვილი, ცხადია, მაინც ესწრაფოდა დასმენას, ხოლო როდესაც ცნობის მიწოდებას დასმენა შეცვლის, ამ დროს დიამეტრალურად იცვლება მაცნეთა დანიშნულების შინაარსი. იგი ჯოჯოხეთურ მოვლენად მოიქცევა. იგი ღუპავს, ნაცვლად იმისა, რომ გადაარჩინოს. დავით აღმაშენებელმა, როგორც ეს ყველაფრიდან ჩანს, ბოლომდე გაითვალისწინა ეს მოსალოდნელი საფრთხე და გამორიცხა დასმენის შესაძლებლობა. იგი, ეტყობა, იღებდა ცნობას და სასტიკად კრძალავდა მაცნეთაგან ვინმეს დახასიათებას, რადგან დახასიათებაში რაღაც დოზით მუდამ ილექება დასმენა. ცნობა მისთვის საკმარისი იყო! შეწოწმებულ ცნობაში იკითხებოდა ადამიანის ბუნება და განზრახვა. ცნობა ხომ უამრავი ჰქონდა ხელთ და იგი ერთმანეთთან აჯერებდა მას თავის ერთგულ ხალხთან ერთად. დასმენა კიდევ მოენეთათვის იმიტომ კარგავდა აზრს, რომ იგი დასმენა ადვილად იშიფრებოდა, როგორც წინასწარგამიზნული დახასიათება და მეფე მათ ამიერიდან აღარ ენდობოდა. დასმენა კიდევ იმიტომაც კარგავდა აზრს, რომ მეფე განუკითხავად არ სჯიდა ხალხს, საერთოდ არ სჯიდა, მისი მიზანი ხალხის სულის წვრთნა იყო ერთგულების რწმენით და არა ამ სულის წაშლა. იგი, როგორც არაერთხელ ითქვა, სჯიდა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

ჩვენ ზემოთ დავინახეთ, მოქმედების მთელმა სტრუქტურამ დაგვანახა, როგორი მაქსიმალური ყურადღებით შეისწავლა თავისი ხალხის (როგორც ერთგულების, ასევე ორგულების) ფიქრის მოძრაობა დავით აღმაშენებელმა. ისიც დავინახეთ, რომ ყველაფერი ეს ქვეყნის საკეთილდღეოდ კეთდებოდა, მისი ჩამოყალიბების მიზნით კეთდებოდა. დავით აღმაშენებელი კარგად ხედავდა, რომ ქართველმა კაცმა ზოგჯერ თვითონაც არ იცოდა

თავისი თავის ფასი და ჭაოტურად მოხეტიალე ამაოების კედლებს აწყდებოდა აქეთ-იქით. თითქოს საფეხურებრივი ზესვლაა. ამ წვრთნის გზაზე ურთულესი კანონები მოქმედებდნენ. სიკეთის გზით მიჰყავს ის კანონები დავით აღმაშენებელს. მთელ ქვეყანას აგრძნობინა, რომ საქართველო სახელმწიფოა, ქართველი ხალხი ღირსეული ხალხია და იგი უნდა იქცეოდეს ისე, როგორც მის ღირსებებს ეკადრება, იგი უნდა ფიქრობდეს დიდსა და ამაღლებულ საგანზე და არა ეშმაკეულზე. მან მიაწოდა მოძრაობის, ქცევის, ურთიერთობის ნიმუშიც და მოდელიც ყოველ ფენას — ერისკაცს, დიდგვაროვნებს, სწავლულებს, ეკლესიის მსახურთ, აზნაურებს, გლეხებს. ხელის გულზე დევს ამ წვრთნის მთელი პროცესი. მასში ამაღლებულის გარდა, რაიმე საჩოთიროს ამოკითხვა შეუძლებელია. თუმცა მეთოდების სიზუსტე გულისხმობს სიმკაცრეს და ის სიმკაცრე, შესაძლოა, გადაზრდილიყო დესპოტურ მოქმედებაში, მაქსიმალური დატვირთვის მიუხედავად, მთელი პროცესი სიკეთის გზით და ნიშნით ატარა დავით აღმაშენებელმა და ყველას დაანახა, რაოდენი განსხვავებაა დესპოტურ ზრახვებსა და ერის სულიერი ცხოვრების უნივერსალური მოწესრიგების მიზანს შორის. ეს მიზანი განასხვავებს და განარიდებს დავითის მეთოდს დესპოტიზმის შინაარსს.

ადვილი იყო ამ შინაარსის მიღწევა? ფეოდალურ საქართველოში ფეხითა და ცხენით მოსიარულე ქაცი დღემუდამ ფხიზელი უნდა ყოფილიყო, იმ შედეგისათვის რომ მიეღწია, რასაც დავითმა მიაღწია. ალბათ ყურადღება მივაქციეთ ზემოთ მოტანილი ამონაწერების რიტმს; ქვეყნის ყოველ კუთხეში, ყოველ მტკაველ მიწაზე მაცნეთა მოღვაწეობის ინტენსივობას და უწყვეტლობას. მათი მოძრაობის მიახლოებით სქემას, მათი გრიგალისებური სისწრაფით გადაადგილების უნარს და არსს. თანაც უხმაურო მოძრაობაა იგი, ფაქიზი და დახვეწილი, მაღალი კულტურის შემცველი: „ნუ იყოფინ ესე, წარვედ!“ თითქოს გულთამხილავის თვალი დაჰყვება ადამიანის ფიქრისა და სხეულის მოძრაობას ამ ქვეყნის ზურგზე. აქ რიტმიც საინტერესოა, მაცნეთა მოძრაობის რიტმი, შინაარსი განსაზღვრავს რიტმს, მათი საქმიანობის უწყვეტლობა.

ეს დიდი მიზანიც ვერ გარდაქმნის „კირჩხიბს“, ლიპარიტ ბაღვაშის ბუნების ადამიანებს. გარკვეული ნაწილი დიდგვაროვნებისა, ეტყობა, გულისგულში მაინც იმარხავდა მეფისადმი მტრობას, რადგან ამ რკინისებური მმართველის ხელში მათი მოპარპაშე ბუნება ფრთებს კეცავდა. არა და არ უნდოდა იმ ნაწილს დაქვემდებარებოდა თუნდაც ძლიერი მეფის სახელოვან მიზნებსა და საქმეებს, არსი ვერ ითმენდა მორჩილებას, ვერ ეგუებოდა სტილს. თუ ზემოქმედების სისტემა ხალხის ძირითად ნაწილზე ამართლებდა, ერთეულები პოტენციური წინააღმდეგობის სურვილს ინარჩუნებდნენ, ეს პოტენციური საფრთხე უნდა გამოეთიშა და სისტემის ახალ შინაარსს გვერძეულავნებს კიდევ ერთი ფორმა: „და ესე მან უბრძნესმან ყოველთა კაცთან კეთილად სადმე უწყოდა. ამისთვისცა არაოდენ მოაცალა ამისად განზრახვად, ანუ განსუენებად, ანუ შეკრებად და ქმნად რასამე ესევითარისა, არამედ საქმეთა, რომელთა იწყო ქმნად, გააბრუნლაცა მაღლად და შუენიერად. ნუ უკუე და ლომსაცა აბრალონ ეგივითართა, რამეთუ არა ციდამტკავლურად იხედავს, არცა კუერნაულად კრთების“.

ცნობის ტევადობა არ ცვლის კონკრეტული ფაქტების დასახელების სურვილს. მაგრამ ისტორიკოსის ეს ცნობა იმდენად ცხადად მიანიშნებს გაკეთებულზე, რომ უფლებასაც გვიტოვებს თვითონ წარმოვიდგინოთ ის კონკრეტული საქმეები, რასაც დავითი მიმართავდა თავისი მიზნის სრულყოფისათვის. ვარაუდებს მაინც თავს ვანებებ, რადგან თავისთავად იგულისხმება ყოველი სიტყვის უკან საქმე. მთავარი აქ ზემოქმედი სისტემის სრულყოფაა. დავითი აკეთებს იმას, რასაც ვერავინ ვერსად, ვერასდროს ვერ გაექცევა! მან საშუალება არ მისცა პოტენციურ შეთქმულებს შეკრებისა, არ „მოაცალა“ საამისოდ, მისცა საქმე, რომელიც მეთვალყურეობს მათს ცხოვრებას. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად დრო არ რჩება. საქმე კეთებას ითხოვს, გაკეთებული შემოწმებას. არც „განსუენობის“ დრო რჩება, ბუნებრივია; იცის დიდმა მეფემ, რომ „განსუენებაში“ იბადება ყოველი ამბიციური თვისება ქართველი კაცისა. აქ იწყებს იგი წახდენას, ლპობას. საქმე და ქართველი კაცი ერთად — ამაზე უფრო დიდი მშვენიერება არ არსებობს. „განსუენება“ და ქართველი კაცი

ერთად — ამაზე უფრო ბინძური წყარო არ იქნება. მაშასადამე, არაეითარი „განსუენება“! მით უმეტეს „შეკრება“ უნდა გამოირიცხოს და გამოირიცხა კიდეც შეკრება და ჩურჩული დიდგვაროვანთა შორის. მათ აქვთ საქმე და უნდა აკეთონ იგი. საქმესა და საქმეს შორის თავისუფალი დროის ნატამალსაც არ ტოვებს მეფე. როგორი ძალისხმევა ჭირდებოდა ასეთ მობილიზებას, ამ დახვეწილ მეთვალყურეობას. როგორ თიშავდა სიბნელისაკენ მიდრეკილ გულებს ერთმანეთისაგან, აცილებდა ფიქრს ფიქრისაგან და საქვეყნო საქმესთან აჯაჭვავდა. ეხმარებოდა კეთილი საქმის კეთებაში ინტენსიურად, სასარგებლო საქმის კეთების წყურვილი იკიდებდა ფეხს გუშინდელი ორგულებისა და პოტენციური მოღალატეების გულში. დროებით მაინც ემკვიდრებოდა იქ. სისტემა კი ითვალისწინებდა გამუდმებულ კონტროლს, და აქაც უჩვეულო სისწრაფით მოძრაობდა ფხიზელი ენერგია მართვისა საგნიდან საგნამდე, რათა „არაოდეს მოაცალოს ამისად განზრახვად, ანუ განსუენებად, ანუ შეკრებად და ქმნად რასამე ესეეითარისა“.

ეპიზოდური დასჯისა და ზემოქმედების სტილი ორგულებთან ურთიერთობაში შეცვალა განუწყვეტელმა კონტროლმა და ეს კონტროლი მიმდინარეობდა საქმით, არ იგრძნობოდა იგი როგორც მზვერავი, მზვერავი ივარაუდებოდა. საქმე ასრულებდა ყველაფრის როლს, საქმიანი ურთიერთობა სცვლიდა დაკითხვისა და მუქარის სტილს, საქმე არეგულირებდა ფიქრის მიმართულებას და ციხე-დარბაზის შეუვალი მეფეები თავის მრეელთან ერთად დგებოდნენ ქვეყნის სამსახურში.

• • •

დავით აღმაშენებლის მოქმედებას და მოღვაწეობას საოცარი თანამიმდევრობა ახასიათებს. მისი მოღვაწეობა ჰგავს ბუნების თანდათანობით გამოღვიძებას, როდესაც სხივი სხივს ემატება, სინათლის ნაკადი სინათლის ნაკადს, როდესაც ენერგია ენერგიას უერთდება და შეუწყვეტლივ, თანაც შეუფერხებლად მიემართება ზენიტისაკენ. ბუნების ძალების ეს სრული გამოხმობა და ერთი მიმართულებით დაძერა შეადგენს დაუძლეველ მდგომარეობას. იგი გარდუვალივით კანონზომიერია

და მოურევნელი. თანმიმდევრობის შინაარსი მის მოღვაწეობაში მოიცავს პარალელურობასაც — დავით აღმაშენებელი რამდენიმე მნიშვნელოვან საქმეს ერთმანეთის პარალელურად აკეთებს. ეს პარალელური ხაზები ერთი წამითაც არ არღვევს თანამიმდევრობის შინაარსს, იგი გარემოცულია ამ თანმიმდევრობით. რა საქმეების კეთება შეიძლება ერთმანეთის პარალელურად, — განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ საგანს ახალგაზრდა მეფე. დრო მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული. ერთი სიცოცხლე ეძლევა ადამიანს. ერთი სიცოცხლის მანძილზე უნდა განასრულოს მან თავისი მისია. დავითის გეგმები კი გრანდიოზულია. — წარსულის, აწმყოს, მომავლის ერთდროულად მფლობელი. მაშასადამე, ერთი წუთის დაკარგვაც არ შეიძლება. იგი აშენებინებდა თავის ხალხს ელვის სისწრაფით, ასაშენებელი კი ძალიან ბევრი იყო; მიწისძვრა და „დიდი თურქობა“, რამაც ათი წლის განმავლობაში გააპარტახა ქვეყანა, თითქოს თავიდან დასაწყებად აქცევდა საქმეს. ყველაფერი ფაქტიურად ახლად შენდებოდა. რისი „განსუენება“, რისი „ბოროტ განზრახვათა“ ჯამი. ქვეყანა ჰგავდა მოფუსფუსე სკას, სადაც დუღდა და გადმოდიოდა სიცოცხლის ფორმები. შენებით წვრთნიდა დავითი ხალხს, შრომა არასოდეს არ ეზარებოდა ქართველ კაცს, მაგრამ მტრისგან მოტანილი ანარქია და უბედურება სადღაც საიმედო სოროებში შემალვას და თავის გადარჩენას ჯარნახობდა. ყველაფერს გადააჩვია ამდენმა გლოვამ. დიდგვაროვანთა დიდ ნაწილს კი სულ „განსუენებისა“ და განცხრომისაკენ ეჭირა თვალი.

შრომა ავსებდა წუთებს, საათებს, დღეებს, თვეებს, წლებს, იწვრთნებოდა ქართველი კაცი მიწაზე მტკიცედ დგომის იმედით. სადღაც გაქრა „დაჯაბნებული და მოშიში“ მხედრობა. დავითმა „განამრავლა სპა“. სიმამაცითა და ვაჟკაცობით განთქმულ ქართველობას ერთი გულის გაკეთება ჰყოფნიდა, დეპრესიიდან გამოყვანა, რომ ოდინდელი სიკასკასე და ძალმოსილება დაბრუნებოდა. გაჩნდა ცხენებიც, საჭურველიც... პარალელურად მიმდინარეობდა დიდი პროცესი — პროცესი ერის სრულქმნისა. ერთსულოვნების და ერთგულების სულისკვეთება ემკვიდრებოდა ქართველი კაცის ბუნებაში. დამოუკიდებული, თავისთავადი ქვეყნის შვილს ან კი რა უნდა ჰქონო-

და საფიქრალი, თუ არა მეფისა და საქართველოს ერთგულება, რა უფლება ჰქონდა მის ფიქრს ორგულობისკენ წაეყვანა სისხლი. ამიტომ უდარაჯა დავითის სისტემამ ქართველი კაცის ფიქრს, მისი გულისყური სამშობლოს სამსახურს მიაჯაჭვა. ეს იყო სულიერი ფორმირების ურთულესი და უფაქიზესი მოვლენა, რამაც ქართველი კაცის ფიქრიდან ამოაგდო ღალატის შესაძლებლობა და, საბოლოოდ, ღალატზე ფიქრიც კი.

1089-1094 წლებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ დავითის ქვეყანა ძალებს იკრებს — ეკონომიური, სოციალური და სამხედრო თვალსაზრისით. დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოღვაწეობის უმთავრესი ამოცანა უცხოელი დამპყრობლების განდევნა იყო. ამ საქმიანობაში იგი ოსტატურად იყენებდა იმ საერთაშორისო ვითარებას, რომელმაც XI საუკუნის 90-იანი წლებიდან ხელი შეუწყო თურქ-სელჩუკების სწრაფ დასუსტებას" (შოთა ბადრიძე — „საქართველო და ჯვაროსნები"). ამ ძალთა მოკრების წლებში დავითმა ერთხელაც არ გაამწვავა ურთიერთობა სახლში შემოჭრილ მტერთან. მალიქ-შაჰთან გიორგი მეორის მიერ მიღწეული კეთილგანწყობილება მაქსიმალურად გამოიყენა და თითქოს სამოწყალოდ დარჩენილი ლიხს იქითა საქართველო „მოაშენა" მხოლოდ, თურქ-სელჩუკები კი იზამთრებდნენ აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უვრცეს ტერიტორიაზე დაუსჯელად.

დავითი არ ღალატობდა ფიქრში ესოდენ ფაქიზად დახვეწილ თავის სამოქმედო პროგრამას. როგორც გრანდიოზული ტაძრის აგებისას არის აუცილებელი თანმიმდევრულად, თანაც ზუსტად, ასგზის გაზომვის შემდეგ გაითხაროს ბალავერი, დაიდოს ქვა ქვაზე, დაცულ იქნას მაქსიმალური სიზუსტე, სიმეტრია... ასეთი სიზუსტით ნაშენები ჩანს პირველი დღეებიდანვე ქვეყნის სიმტკიცე.

თანმიმდევრობისა და პარალელურობის დიადმა ნიშნებმა მისი საქმე მაღალი ნაყოფიერებით გამოარჩია.

თითქოს მხოლოდ ქვეყნის შინა ამბებზე გვიხდება საუბარი. მაგრამ შინ გადადგმული ნაბიჯი გულისხმობს საგარეო პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვანი დეტალის გათვალისწინებას, როდესაც საგარეო პოლიტიკის მოვლენებზე ვფიქრობთ, გრწმუნდებით, რომ მთელი ეს საშინაო პოლიტიკა იმ საგა-

რეოსთან არის შეჯერებული, ერთით მეორეა განსაზღვრული, მეორით — პირველი. დავითის ნებით ისინი ისეა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ, შესაძლოა, შთაბეჭდილება შეგვექმნას, თითქოს აღმაშენებელი არეგულირებდა საგარეო სიტუაციებსაც, თითქოს მტერზე არაფერი არ იყო დამოკიდებული. ცხადია, სინამდვილეში ასე არ ყოფილა. დიდი მტრები ჰყავდა საქართველოს, დიდი მოვლენები ხდებოდა საზღვრებს იქით საქართველოსაგან დამოუკიდებლივ. მაგრამ დავითი, ეტყობა, ამ მოვლენებისთვის თვალის მოუცილებლად დევნებას აქცევს უნაკლო ხელოვნებად. მაცნეთა ქსელი მთელს იმდროინდელ საერთაშორისო ასპარეზს გაუწვდინა დავით აღმაშენებელმა და ცნობები ყოველი მხრიდან ისეთივე ზუსტი და შემოწმებული მოსდიოდა, როგორც საკუთარი ქვეყნის კუთხეკუნჭულებიდან. ამ თვალყურის დევნების წყალობით იგი ისე მოხერხებულად და გონივრულად უკავშირებდა შექმნილ ვითარებებს საქართველოს შინაგან მიმართულებას, რომ სწორედ საგარეო პოლიტიკის საქის მპყრობელის როლში გვევლინებოდა.

1097 წელს საქართველოს სრული დამოუკიდებლობა აღსდგა. ამ წელს შეუწყვიტა დავით აღმაშენებელმა ხარაჯა სულთანს. მანამ, 1094 წელს, გარდაიცვალა მალიქ-შა, თურქთა დიდი სულთანი. თურქ-სელჩუკები კვლავაც ძლიერნი არიან, რიცხვმრავალნი და შეუპოვარნი. მაგრამ ამ სიძლიერის ხანაში მათ დაუდგათ კრიზისის წუთებიც, არ ჰყავთ დიდი სულტანი და, გარდა ამისა, ფრანგებმა ანტიოქია და იერუსალიმი აიღეს, ე. ი. თურქ-სელჩუკებს ძალთა დიდი მობილიზება სჭირდებათ დასავლეთის მიმართულებით. საქართველოს მხოლოდ „წამიერად" თუ უმსუბუქებს ეს მოვლენები მდგომარეობას, რადგან მსგავსი პრობლემები სხვა დროსაც იდგა თურქ-სელჩუკების წინაშე. ისინი ბიზანტიის ტერიტორიას უტევდნენ და დიდი ძალები ჭირდებოდა დასახული მიზნის აღსრულებას, მაგრამ თურქ-სელჩუკების ურიცხვ ურდოებს ყოველთვის რჩებოდათ იმდენი ენერგია, გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინათ საქართველოსათვის. და მაინც ამ მძიმე სიტუაციებს შორის მაინც გამოირჩევა ქვეყნისათვის სასარგებლო რამდენიმე მომენტი და საგულისხმოც ის არის, რომ დავით მეფემ ზედმიწევნით

კარგად იცის ყოველი მათგანი და დროისა და გარემოების შესაფერის პოლიტიკას ახორციელებს. მან ხარაჯის მიცემა შეუწყვიტა თურქ-სელჩუკებს. ეს იყო თამამი განცხადება, პრინციპული ნაბიჯი. ამ ნაბიჯს იქით თანდათან ჩნდება დავითის შორეული მიზნები. ეს მიზნები თანამედროვეთათვის საგულდაგულოდ არის შენიღბული. დავით მეფე ნაბიჯ-ნაბიჯ იბრუნებს კუთვნილს. ხარაჯის შეწყვეტით საქართველოს სრული დამოუკიდებლობა იქნა მიღწეული, მაგრამ მისი შენარჩუნების გზების ძიებაში შეინიღბა უფრო მთავარი — საქართველოს ტერიტორიების საბოლოო გაერთიანების მიზანი. თურქ-სელჩუკებმა მხოლოდ დროებით შეანელეს საქართველოზე მოძალება, რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდა, რაოდენ წარმოუდგენელი იყო მათთვის უკვე საქართველოს მიწა-წყლის დათმობა და რომ საუკუნოდ არ აპირებდნენ მსგავს რაიმეს. „თურქები არსებითად განსხვავდებოდნენ სხვა დამპყრობლებისაგან (ბიზანტია, არაბეთი). ისინი მომთაბარენი იყვნენ და ამიტომ დაპყრობილ ადგილებზე სახლდებოდნენ. ეს კი თავის მხრივ ხელს უშლიდა ფეოდალური მეურნეობის განვითარებას, მას საფუძველს (მიწას) აცლიდა და ერთიანად გადაშენების საფრთხეს უქმნიდა“ (როინ მეტრეველი — „დავით აღმაშენებელი“).

დავით აღმაშენებელმა შესანიშნავად იცოდა თურქ-სელჩუკების მოსვლის მიზანი, მოვლენას მთლიანობაში ჰვრეტდა და რწმუნდებოდა, რომ ქვეყანას არნახული განსაცდელი ადგა კარს. თურქ-სელჩუკები, შესაძლოა, დაემკვიდრონ საქართველოში, რადგან ყველგან დაემკვიდრნენ, სადაც კი სძლიეს აბორიგენებს. ისტორიკოსთა დიდი ნაწილი ბიზანტიის იმპერიის დასუსტებით ხსნის თურქ-სელჩუკების წარმატებებს: ბიზანტია მართლაც დასუსტებული ჩანს ამ დროისათვის, ესვენება მისი ძლიერების ჟამი, მაგრამ ზოგჯერ ავიწყდებათ თავად თურქ-სელჩუკების ძლიერება, მათი წარღვნისებური მოვლინების არსი. სინამდვილეში თურქ-სელჩუკებმა გრიგალივით გადაუარეს ქვეყნებს თავზე და ნანგრევებქვეშ დამარხეს არა ერთი და ორი ქვეყანა. დამკვიდრების სისხლისმიერი ფსიქოლოგია საოცრად აძლიერებდა მათ ენერგიას, ყოვლისმომცველს ხდიდა ძალას. ყველა სუსტი სახელმწიფოს სახით როდი დახვედ-

რია მათ თავიანთ გზაზე, მაგრამ ამხობდნენ ცელური მადით სახელმწიფოთა ძლიერებას, იჭრებოდნენ გულისგულში და იკალათებდნენ. დაღუპვის საფრთხე მთელი სიგრძე-სიგანით ჭქვს ნაგრძნობი ახალგაზრდა მეფეს, განჭვრეტილია მტრის შესაძლებლობანი და მოსალოდნელი უბედურება. და იმისთვის, რომ მოძალებულ სტიქიას მიმართულება შეუცვალოს, საჭიროა ქვეყნის სულ სხვაგვარი მზადყოფნა, ქვეყნის შინაგანი მდგომარეობის შეცვლაა აუცილებელი.

დავით აღმაშენებელმა ღრმად იწამა, რომ საქართველოს ახლა მოქმედების მეტი არაფერი იხსნიდა. უნდა ამოქმედდეს ყველა ძალა, ფიქრი, ოცნება, ფანტაზია; ამოქმედდეს გლეხი, აზნაური, დიდგვაროვანი, ეკლესია. პირველყოვლისა, სამეფო კარი! იწვრთნებოდა რა ერის თვისებები, ისჯებოდნენ რა სისხლით მოღალატენი, მკვიდრდებოდა რა შეუვალი ნება, ახლა ამ გაწვრთნილი ერისა და მხედრობის ენერგია წუთის მოუცდენლად უნდა გაცხადებულიყო მოქმედებაში. ერთდროულად საქართველომ უნდა სრულყოს თავისი არსებობის ფორმაც ამქვეყნად და მიმართულება შეუცვალოს უზღვავი ენერგიის მტერს, რომელიც ადგილს ეცილება ცისქვეშ. დავითს ამ დროისათვის რამდენიმე წლის მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად გამრავლებული ჰყავდა სპა. ორგულობას და დამალვას ვერ ბედავენ ქვეშევრდომნი, რადგან დარაჯობს ფხიზელი თვალი, რადგან არ იმალვის თვით ფიქრიც კი. ქართლში უკვე დასაზამთრებლად ასე „გულდებით“ ვერ შემოდიან თურქები, თუმცა სურვილს და მისწრაფებას ვერ ელევიან და მაინც მოიწევენ. მაგრამ ეს დროებითი სულისმოთქმა არაფრის გარანტიას არ იძლევა. საჭიროა გამალებული მოქმედება და მოქმედება, პირველ ყოვლისა, სრული გაერთიანების მიზნით. დიდ მტერს მხოლოდ დიდი საქართველო თუ მოიგერიებს. ერთიანი საქართველოს ფსიქოლოგიის დამკვიდრებაა აუცილებელი. იგი უნდა დაემკვიდროს ქვეყანაში, ქართველი კაცის ფიქრში. ეს კი მისაღწევი სიმაღლეა. ქართულ სამყაროში იყვნენ ქვეყნები, იყო ტაო-კლარჯეთი. იყო ქართლი, იყო აფხაზთა სამეფო, იყო კახეთის სამეფო — სხვადასხვა დროს ისინი ბრწყინავდნენ კიდეც — მთლიანი საქართველოს სახელითაც გამოდიოდნენ. ამ მხრივ ბაგრატ მესამის დრო განსა-

კუთრებით გამოირჩეოდა, ტაოს დიდი მფლობელის დავით კურაპალატის ძლიერება იზიდავდა თვალსა და გულს. და მაინც არ იყო ის, რასაც ერთიანი საქართველო გულისხმობს. იყო ამ ერთიანობის დიდი სურვილიც და დიდი ცდებიც, წარმატებულად დამთავრებული ცდებიც, მაგრამ ისინი უფრო ავლენდნენ ამ ერთიანობის მსურველ სულს, ვიდრე მთელი ქვეყნის დაურღვეველ რეალურ კავშირს გვიცხადებდნენ. ერთიანი საქართველოს ფსიქოლოგია, როგორც ყოველისმომცველი პროცესი, მომავლის საგანი იყო და იგი ახლა ისე სჭირდებოდა განსაცდელში ჩავარდნილ ქვეყანას! არსებობდნენ სამეფოები, კუთხეები, — ქართული ქვეყნის!.. რა აერთიანებდა და რა განაცალკევებდა მათ? ამ დროისათვის შემოუერთებელი იყო „კახეთის სამეფო, თბილისის საამირო, რუსთავი, სომხითი ყოველი, სამშუილდე, აგარანი“. ეს უზარმაზარი ტერიტორიაა თავისთავად, სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით კი მათი მნიშვნელობა რად ღირს! მარტო დედაქალაქის მტრის ხელში ყოფნა ნიშნავს ეროვნული სხეულის გაბზარვას.

კიდევ უფრო მთავარი იყო საქართველოს კუთხეების, სისხლით და ხორცით ქართული ქვეყნების გაერთიანების მიზანი. ამ მიზანში ბევრი რამ იმარხებოდა. უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ორგანიზმის მთლიანობის შესაძლებლობა უნდა შემოწმებულიყო. ყოველ კუთხეში ქართული სული და ვნებები ტრიალებდა. „ქართლოსიანთა“ მოდგმა ასე ერთიანი იყო ჯიშით და ფსიქიკით, „ქვეყნებად“ დანაწილებული საქართველო კი მოკლებული იყო ერთ მთელს, თავისი არსებობის სრულ ფორმას. ყოველ კუთხეში ღვივოდა ერთიანობის სურვილი და მაინც იყო ყოველი კუთხის ცხოვრების წესში, ყოველი კუთხის შვილის ბუნებაში რაღაც ნიშანი, რომელიც გაერთიანების ამაღლებულ მიზანს წინ ეღობებოდა. და წამოწყებული დიდი საქმე რაღაც წერტილში იფუშებოდა, იყინებოდა სურვილი, ცივდებოდა ცეცხლი. ახსოვს საქართველოს მრავალი ასეთი ცდა; განსაკუთრებით ფარნავაზის შემდეგ გააქტიურდა ერთიანობის სურვილი, მაგრამ იბერია რჩებოდა იბერიად, კოლხეთი — კოლხეთად...

შესაძლებელი რომ ყოფილიყო ამ მხარე-ქვეყნების ერთი

სულისკვეთებით გამთლიანება, ენერგიის ერთი საერთო სადინარის მონახვა, კუთხურ მრავალფეროვნებაზე დაყრდნობილი ეროვნული ამაღლებული ხასიათის ჩამოყალიბება, ერის დიდი მიზნის გაცხადება და მის სამსახურში შეგნებული დგომის სურვილის აღორძინება!... ეს აფხაზური, მეგრული, რაჭული, სვანური, იმერული, გურული, აჭარული, მესხური, ჯავახური, ქართლური, კახური, ფშავ-ხევსურული, თუშური... ვერც ჩამოთვლი ყველას თითქოს... და მაინც! შესაძლებელი რომ ყოფილიყო მათგან ქართული ორგანიზმის საბოლოო დახვეწა, საქართველოს მამულიშვილობის შიგნით რომ მოექცია ეს კუთხური ინტერესები და განმასხვავებელი ნიუანსები, მაშინ დაიბადებოდა ახალი ერთეული — ეროვნული ქართული ენერგია, რომელიც კიდით-კიდემდე აამოძრავებდა საქართველოს ორგანიზმს და დამანგრეველ ძალად დაუხვდებოდა გარედან მოსულ მტერს. იგი შექმნიდა საქართველოს დაუნაწევრებლობის განცდას. ფიზიკური და სულიერი ნიშნების ერთნაირობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მთელს, თითქოს აკაფული იყო ქვეყნის ორგანიზმი ამ განკერძოების მახვილით, აკუწული და ნაწილ-ნაწილ დაყრილი. ერთიანობის სურვილი ყველგან ღვიოდა და ეს სურვილები უნდა შეყრილიყო ერთად. ახლა ჰირდებოდა საქართველოს ყველაზე მეტად ეს ყველაფერი.

ჟამი მთლიანობის მიღწევისა და ჟამი საბოლოო განადგურებისა ერთად შემოეყარა დავით აღმაშენებელს. მან მთელი სისრულით იგრძნო თავისი გენიალური ხედვის წყალობით ამ შეხვედრის ფასი.

/ დიახ, ჟამი მთლიანობის მიღწევისა და ჟამი საბოლოო განადგურებისა ერთმანეთს დაემთხვა დავით აღმაშენებლის თვალწინ. გრძნობდა იგი საქართველოს ძალთა შერწყმის მოახლოებულ პროცესს. წინა ეპოქები პირდაპირ გაჰკიოდნენ ამის შესახებ. სურვილი, სულისკვეთება, შეგნება, მისწრაფება — ყველაფერი მომწიფებული იყო საიმისოდ, რომ ერთიანი ჭერი დაჰხურვოდა საქართველოს ცას. ამ საუკუნეობრივ პროცესს სრული ანალიზი და ყოველმხრივ შემოწმება ჰირდებოდა, მაგრამ უფრო სხვათათვის. თავად დავითმა თავის უკვდავ თანამდგომებთან ერთად მშვენივრად იცოდა, რომ ეს ასე იყო. ჟამის ხელიდან გაშვება დანაშაულს უდრიდა. არადა, კარს

მომდგარი ტოტალური უბედურება სრული გაქრობით ემუქრებოდა ქართველ ხალხს. ესეც ფაქტი იყო. ესეც ნაგრძნობი იყო ყოველი ნერვით, სხეულის ყველა უჯრედით. ეროვნულმა სხეულმა განიცადა არნახული რბევა, კატასტროფა, სულიერი ტრავმა. თუ სრული გაქრობა არა, ყოველ შემთხვევაში, საქართველოს გაერთიანება-განთავისუფლების ფიქრი თითქოს მწარე ღიმილის მომგვრელი იყო უკვე. ამ გაერთიანების შესაძლებლობა ფაქტიურად გამოირიცხა. პირველი — სრული გაერთიანება უნდა დაეწყნოდა ერს, მეფესაც უნდა დაეწყნოდა და მთელი ენერგია მოემართა ხსნისა და გადარჩენის გზების საძიებლად. აქ უნდა დახარჯულიყო იგი, დახარჯულიყო მთელი დარჩენილი ძალა, რათა ისტორიის კრიზისული წუთებიდან გამოსულიყო. მაგრამ დავითის გონება ჭვრეტდა და ხედავდა სულ სხვაგვარად: მან სწორედ გაერთიანების მომწიფებული დრო იგრძნო ქვეყნის ნანგრევებში და სწორედ ამ გაერთიანების საბოლოო ჟამში აღმოაჩინა ის ძალა, რაც უძლიერეს მტერსაც მოიგერიებდა. სწორედ სრული ერთობის პროცესში თვლემდა მისთვის ის უზარმაზარი ენერგია, რასაც ვერავითარი უბედურება ვერ მოერეოდა. მისთვის უფრო დიდი ფიქრის საგანი ამ ორი ჟამის შეხვედრა იყო.

საქართველოს მთლიანი ორგანიზმისათვის კახეთი უპირველესი ნაწილი იყო. ახლა ეს კუთხე „დამოუკიდებელ“ ქვეყნად ქცეულიყო და საქართველოს მეფეს დაპირისპირებოდა. კახეთის პრობლემა ადრეც მდგარა მეფეების წინაშე. დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა კახეთის სამეფოს მესვეურებს განსაკუთრებით ჰქონდათ გამძაფრებული. მით უმეტეს, რომ საქართველოს ამ განაპირა მხარეს მუსულმანური სამყარო ესაზღვრებოდა და ისინი ყოველთვის წამოეშველებოდნენ კახთა მეფეს, თუკი საქართველოს მეფეს დაუპირისპირდებოდა იგი. ამის მოთმენა არ შეიძლებოდა. კახეთი უპირველესი დამცველი იყო ყოველგვარი ქართული ინტერესისა, ოღონდ თავისთავადობას დახარბებული მისი ზოგიერთი მესვეური სისხლით ვერ თმობდა სანუკვარ ტახტს. დავით აღმაშენებელი კარგად ხედავდა ამგვარი მეფეების სულისკვეთებას, გრძნობდა მათი ფიქრების მიმართულებას. საქართველოს სრულ განთავისუ-

ფლება-გაერთიანებაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელი იქნებოდა ამ ღვიძლი მიწის შემოუერთებლად. კახეთის გაუტეხელი ნება და ხასიათი მუსულმანური სამყაროს მომსახურე კი არა, საქართველოს სისხლხორცეული ინტერესების პირველი აღმასრულებელი უნდა ყოფილიყო. დაუწერელი კანონებით გაფორმებულ ცალკეულ სამეფოთა უფლებები უკვე აღშფოთებას იწვევდა. ვერ ამართლებდა მას ვერც ისტორიული გამოცდილება, ვერც აწმყო სინამდვილე, ეს სინამდვილე და ისტორიული გამოცდილებაც ახლა დავითის რისხვის საგნად იქცა. ქართველთა გონება უნდა აღშფოთებულიყო ამ განკერძოებულობის ისტორიით. საქართველოს ისტორია ამ დაქუცმაცებული სამთავროების და სამეფოების ისტორიად დარჩენას ვერ შეურიგდებოდა. პროცესმა გზა მოუჭრა მოთმინებას. საქართველო დავით მეფის მიერ განიცდებოდა როგორც დასახვეწი სამყარო, რომლისგანაც უნდა გამოეძერწა ჭეშმარიტი ქვეყანა და ერი. ფეოდალური სახელმწიფოს განვითარების კანონები მის ხელში უნდა შეტრიალებულიყო ამ მიზნის მისაღწევად. არც კახეთს, არც სხვა მხარეს აღარ ჰქონდა უფლება თავისი ინტერესების დაცვისა, როდესაც მათ მეფე სთავაზობდა უდიდეს მიზანს — საქართველოს ერთიანობას და ამ ერთიანობისადმი მორჩილებას.

უბრძოლველად არავინ არაფერს არ სთმობდა. დავით აღმაშენებლის დიადი გეგმები კი არ აღაფრთოვანებდა, აღიზიანებდა და მტრულად განაწყობდა მთავრებს, და აზნაურებს, პირველ ყოვლისა — კახეთის მეფეს. ბევრმა სცადა კახეთის გატეხვა, ვერ შეძლეს ეს, ისევე როგორც კლდეკარის ერისთავის გატეხვა გახდა ძნელი, საჭირო იყო იმაზე მეტი სამხედრო ძალა, ვიდრე საქართველოს გაერთიანების მოწადინე სხვა მეფეებს აღმოაჩნდათ. ვიცით, როგორი ლაშქარი ჩაიბარა ახალგაზრდა მეფემ. ვიცით, როგორი დაჯაბნებული და მოშიშარი მეომრებისაგან შედგებოდა იგი. „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ ავტორს ვახტანგ ჭელიძეს დაწვრილებით აქვს გაანალიზებული ამ ლაშქრის სახე. ბელეტრისტული ხერხებით აღგვიდგენს ოსტატთა შემოკრებისა და იარაღ-საჭურვლის დამზადების ფართო სურათს. დიახ, დავით აღმაშენებელს ყველაფრის თავიდან დაწყება უხდებოდა. დაჯაბნებული, დაშინე-

ბული, უსაშურველო ლაშქრით რას გახდებოდა. ამიტომ გაწვრთნა თავისი სპა, „განამრავლა“ და გაწვრთნა. გაწვრთნა ისეთივე ხელოვნებით, როგორც წვრთნიდა ხალხის სულს. იყენებდა ყველაზე ეფექტურსა და ფსიქოლოგიურად ძლიერს, ზუსტ საშუალებებს. „...და მცირე იყო, და ტყუეობათა და ზემოხსენებულთა ჭირთაგან მცირე გუნდი მხედრობისა და იგინიცა დაჯაბნებულნი, მრავალგზის სივლტოლითა უცხენო და უსაშურველონი, და თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი. უკეთუმცა ესოდენ უწყინოთა ლაშქრობითა და მცირედ ბრძოლითა და სწავლითა გუარიანად და ღონიერად წინაძღოლითა, და მრავალთა ძლევათა მიერ მოგუარებითა არა განეწუართნეს სპანი თვისნი, და განეკადნიერნეს წყობათა მიერ მხნეთა, ქებითა და ნიჭთა მიცემითა, ხოლო ჯაბანთა სადედოთა შთაცუემითა და კიცხევით ძაგებითა, არამცა მოეღონა, ვიდრემდის სპათა შორის მისთა ყოვლად არა იპოვებოდა ჯაბანად ზრახული...“

დიდი მხედართმთავრის წვრთნის ხელოვნება. იკითხება! დაცემული სულიდან — გმირულ სულამდე გავლილი გზა ჩანს, გზა წვრთნისა, მკურნალობის და ძერწვის. თურქთა მიერ დაჯაბნებული ლაშქარი იმდროინდელ ქვეყნებს არ უკვირდათ; არ უნდა გვიკვირდეს ჩვენც ქართული ლაშქრის ასეთი დაძაბუნება. საქმე წარღვნასთან გვქონდა უფრო, ვიდრე ჩვეულებრივ მტერთან. ამ დაცემული სულის აღორძინებას, ფაქტიურად შეცვლას, ისახავს მიზნად დავითის ხელოვნება. იგი აღწევდა უმაღლეს შედეგს, დეპრესირებული სულის ნაცვლად, მის გამრავალებულ სპაში გმირული სული ტრიალებს საბოლოოდ. დაჭირდა დრო, მაგრამ როგორი თანამიმდევრობითა და ინტენსივობით არის იგი გამოყენებული! წვრთნის განუწყვეტლივ, აქებს და ასაჩუქრებს მარჯვეს, ჯაბანს კი უკიდურესი საშუალებით სჯის — ქალის სამოსს გადააცმევს და ლაშქრის წინ ჩამოატარებს. ეს მომაკვდინებელი სასჯელია, მაგრამ მის პათოსში ცხადად იკითხება აზრი — ქართველ მოლაშქრეს არა აქვს ლაჩრობის უფლება, არ შეიძლება მასზე უკეთესი მებრძოლი იყოს ამქვეყნად, უფრო ძლიერი, უფრო, მხნე. დაუშვებელია, იგი ზურგს უჩვენებდეს მტერს. ამისათვის საჭიროა წინაპართა მაგალითების ცოდნა და გამოყენება.

წინაპართა გმირობის მაგალითები კი უხვად ჰქონდათ. საჭირო იყო მათთან შეპირისპირება, სამარცხვინოს შერცხვენა, პასუხისმგებლობის გრძნობის ჩანერგვა. უნდა გაფანტულიყო მითის მტრის ძლევამოსილებისა, საჭირო იყო წინაძღოლა და „მცირე-მცირე“ გამარჯვებებით გამარჯვებაზე ფიქრის მიჩვევა.

დავითი წინ უძღოდა, ბრძოლის ნიმუშს უჩვენებდა და როგორ ნიმუშს უჩვენებდა! ადვილი წარმოსადგენია ეს, მიუხედავად იმისა, რომ მის ბრძოლასა და შემართებაზე ჯერ სიტყვა არ გვითქვამს. მატიანეებიდან, ქართველ ისტორიკოსთა შრომებიდან, მხატვრული ნაწარმოებებიდან, გადმოცემებიდან ჩვენში ისედაც ანთია ცოდნა დავითის გოლიათისებრ ღონეს და შემართებაზე. ეს კაცი უძღოდათ, მისთვის უნდა მიებაძათ. ასწავლიდა იარაღის ხმარებას, აჩვევდა მებრძოლის პროფესიონალიზმს. მხედრობა ქართველი კაცის მოწოდება იყო, იგი განთქმული მეომარი გახლდათ; ეს თვისება უნდა აღორძინებულიყო. თურქთა წინააღმდეგ ბრძოლას სხვაგვარი ხელოვნება ჰირდებოდა, ჰირდებოდა სწორედ თურქთა სამხედრო ხელოვნების ცოდნა და შესაბამისი ხერხის დაპირისპირება. დეტალები, დეტალები, დეტალები... განუწყვეტელი წვრთნის დეტალები, რისი წყალობითაც ჩამოყალიბდა აღმოსავლეთში პირველხარისხოვანი მებრძოლი ქართველი მოლაშქრის სახით, ვისი რიდი და შიში მოედო შემდგომ მთელ მუსულმანურ სამყაროს.

კახეთის შემოერთების ოპერაცია ურთულესი ჩანდა: „ჰერეთ-კახეთი სულთნის ვასალური ქვეყანა იყო და განძის ათაბაგის საგამგეოში შედიოდა. საინტერესოა, რომ კახთა და ჰერთა „უმრავლესობა“ (იგულისხმება ფეოდალური უმრავლესობა) თურქების მომხრენი არიან. უნდა ვიფიქროთ, თურქული რეჟიმი (რაც ამავე დროს იყო ორიენტაცია განძაზე) უფრო ხელსაყრელიც მიაჩნდათ ჰერ-კახ დიდებულთ და აზნაურთ, ვიდრე აფხაზთა მეფის „უკანონო მადააღძრულობა“ (ნიკო ბერძენიშვილი).

აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ანალიზი დაგვანახებს, რატომ იყო ურთულესი ოპერაცია კახეთის შემოერთებისათვის მეცადინეობა. დავითის ბანაკში ცნობა ცნობაზე მოდიოდა, მეფე გამალებით იცვლიდა ადგილებს. იგი ხელმძღვანელობდა

ყველა მნიშვნელოვან საქმეს და, უპირველეს ყოვლისა, თურქ-სელჩუკებთან დაპირისპირებული საქართველოს ენერგიას. ამიტომ თავადაც მტრის სამიზნე იყო. გათვალისწინებული ჰქონდა ტერორი, საწამლავი, ხაფანგი, რასაც მტერი უმზადებდა. დავით მეფე მოძრაობდა განუწყვეტლივ, თავის უერთგულეს ხალხთან ერთად იცვლიდა ადგილს. ზუსტად იყო განსაზღვრული, სად რომელი მაცნე მოვიდოდა, როდის მოვიდოდა, ვის უხმობდა მეფე, როდის უხმობდა, სად უხმობდა. როგორც ითქვა, გათვლილი იყო მანძილი მონასტრებამდე, სადაც ბერმონაზვნები იდგნენ, ე. ი. უპირველეს ყოვლისა გათვლილი იყო მანძილი ციხესა და ციხეს შორის, სოფელსა და სოფელს შორის, ქალაქსა და ქალაქს შორის, ხიდსა და ხიდს შორის... გათვლილი იყო კახთა მეფის კვირიკეს მოძრაობის მასშტაბიც, რაც მთავარია, გაზომილი იყო ძალა, რომელიც ზურგს უმაგრებდა კვირიკეს. დავითი ამ მთლიანი ძალის წინააღმდეგ მომზადებულ ლაშქარს უძღოდა უკვე. იცოდა ვისთან ექნებოდა საქმე. მარტო კახეთის მოთოკვა არ ჰირდა. მაგრამ თანამდგომები! ზეპირად იცოდა დავითმა მათი არსი, შესაძლებლობა...

„კახეთს მეფობდა კვირიკე, კაცი მეფობისავე თანა მეფეჭმნილი ვნებათა ზედა და ჰეშმარიტი ქრისტიანე. მოსცა ჟამი ღმერთმან მეფესა დავითს და წარუღო კვირიკეს ციხე ზედაზადენი“. ოპერაცია დაიწყო. პირველი ნაბიჯი წარმატებით დასრულდა. „მოსცა ჟამიო“ — წერს მემატიანე. დავაკვირდეთ გზადაგზა, როგორ ყოველთვის „მოსცეს ჟამი ღმერთმან“ დავითს, ე. ი. როგორ გრძნობს იგი ყოველთვის ხელსაყრელ ჟამს, გრძნობს, რომ დადგა გადამწყვეტი მოქმედების დრო: როდის შეუძლია გააკეთოს ნახტომი, ასაღები ციხე როდის აიღოს, დასამარცხებელი მტერი როდის დაამარცხოს. ამავე ხანებში ლიპარიტ ბაღვაშის ერთადერთი ძე — რატი გარდაიცვალა და კლდეკარის ურჩი საერისთავო სამუდამოდ მეფე დავითის, საერთოდ საქართველოს მეფეთა ხელთ გადმოვიდა. ურჩობის დიდი კერა მოიშალა, ყველას გადაშენება უწერია ბაღვაშთა მსგავსად, თუკი საქართველოს ერთსულოვნებას განუდგებიან! საუკუნოვანი პრობლემის გადაწყვეტას მოასწავებდა ეს ფაქტი, ფაქტი, რომელიც უტოლდებოდა მოვლენას. ხერხე-

ბალს უმსხვრევდა ხშირად ქვეყნის ძლიერებას კლდეკარის ერისთავების „განდგომილება“, ეს ნაწილი სამუდამოდ ჩაიკარგა საქართველოს ძლიერების სასარგებლოდ.

„და შემდგომად წელიწადისა ერთისა მიიცვალა მეფე კვირიკე, და დასუეს კახთა მეფედ ძმისწული კვირიკესი აღსართან, რომელსა არა რა ჰქონდეს ნიშნი მეფობისანი, რამეთუ იყო ცუნდრუკი რამე, უსჯულო და უმეცრად უსამართლო, და ყოველად წინაუკმო მამის ძმისა მისისა“. ერთი შეხედვით გაიოლებული ჩანს საქართველოს მეფის მდგომარეობა. მოწინააღმდეგე სუსტია და უჭკუო. დავითმა ეს დროც მაქსიმალური სიზუსტით გამოიყენა, მაგრამ თავად მზად არის არა მარტო კახელებთან საომრად... კახეთის შემოერთება და დიდი ბრძოლის გადახდა ერთდროულად რომ უნდა მოხდეს, ეს აქვს ნაგრძნობი მთელი სისრულით დავით აღმაშენებელს. მისი ერთგული ხალხი გამუდმებით იღვწის კახეთის ტერიტორიაზე. კახეთ-ჰერეთის პროგრესული ნაწილი დავითის მხარეზეა. ნაპოვნია საყრდენი. მათი დახმარებით მოხერხდა აღსართანის შეპყრობა. „რამეთუ ესე აღსართან, კახთა მეფედ ხსენებული, შეიპყრეს ჰერთა დიდებულთა, არიშიანმან და ბარამ, და დედის ძმამან მათმან ქავთარ ბარამის ძემან და მოსცეს მეფესა და აღიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი“. აშკარაა, მეფეს უნდა სისხლის დაუღვრელად შემოიმტკიცოს ქვეყნის ორგანული ქართული ნაწილი. საქმე აქვს კახელებთან — მებრძოლ, მტკიცე, თავისთავად ხალხთან, მეფეთა პოლიტიკის გამო გზადაბნეულ ერთან, და დიდია სურვილი, უმტკივნეულოდ, სამეფო კარის მოშლით დაასრულოს ამ სამეფოს განკერძოებული არსებობა, სიყვარულით მიიღოს ძმამ ძმა დიდ ოჯახში. მაგრამ, როგორც აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი წერს, ქვეყნის თავგზის ამბნევი დიდგვაროვანნი მეფის წინააღმდეგ გამოსულან და სულთნისა და განძის ათაბაგის მხარეზე დამდგარან. სულთანი და განძის ათაბაგი, ცხადია, ამ „თავხედობას“ ვერ მოუთმენდნენ ქართველთა მეფეს. ქართლში ჩადგომისა და „აოხრებისათვის“ ვერ მოიცალეს ბოლოხანს, თორემ ქართველთა ასეთი სითამამისათვის სხვაგვარად არიან მობილიზებულნი. ჩანს, რომ ზედაზადენის წართმევისთანავე დაწყებულა მზადება დავითთან ანგარიშის გასასწორებლად, მაშინვე უგრძვნი-

ბთ მეფის გეგმის მიმართულება და კახთა მეფესაც, ეტყობა, დაუყოვნებლივ უთხოვია მათთვის შველა, რადგან აღსართანის შეპყრობისთანავე დაიძრა ურიცხვი ლაშქარი დავითის წინააღმდეგ.

კახელი დიდგვაროვნები ყველაფერს აკეთებენ დავითის ძლიერების დასამხობად, თავიანთ მრევლსაც აურიეს გონება და მოიწვიეს რა სულთანი და განძის ათაბაგი, კახელი კაციც ბრძოლეს ერწუხთან ქართველთა წინააღმდეგ. ეს იყო ფაქტიურად ძმათაშორისი ომი დავითის მეფობის ხანაში, როგორ არ უნდოდა იგი დავით მეფეს, როგორ არიდებდა თავს, როგორი ბადე მოქსოვა და რა ოსტატობით გააბა მასში აღსართანი, რომ უმტკივნეულოდ ჩაებარებინა კახეთი, არ დაღვრილიყო სისხლი. მაგრამ მარტო აღსართანის „აყვანამ“ არ იკმარა. გავლენიანი და შემძლე დიდებულთა წრე ქვეყნის მეთაურობას კისრულობს და უცხოელთა დიდ ძალასაც მოიშველიებს.

„...და ერწუხს ქმნა წყობანი დიდნი და ხმაგასმენილი იგი დიდი ძლევა, რომელ მცირედითა ლაშქრითა და განწირულითა ერითა დახოცნა სულტანისა იგი ურიცხუნი სპანი, ათაბაგი განძისა და უმრავლესი კახთა და ქუეყანისა ერი, მტერთავე თანა გარემოდგომილი ჩუენდა. ესოდენ ადვილად და მოსწრაფედ ხელთა უხსნა ღმერთმან საკვირველებათამან, რომელი ერთი ათასთა არა თუ სდევდა, არამედ ხელითა იპყრობდა, და ორთა არა თუ წარექციენეს ბევრნი, არამედ სანთლითა თვით მათვე ტყეთათ და მთხრებლთათ ტყუედ მოჰყვანდეს ყოველნი ქრისტიანენი“.

თურქთა იმდროინდელი სულთანი მობილიზებული და მოქმედი კაცი ჩანს. მას გააზრებული აქვს კახეთის ოპერაციის მნიშვნელობა და მთელი სისრულით წარმოუდგენია ამ მოვლენის ხვალინდელი შედეგი. მტრები ერთად ჭვრეტენ მოვლენათა გაგრძელების შესაძლებელ ვარიანტებს. ამიტომ გამოსჭვივის ასეთი სერიოზული მზადება მათ მოქმედებაში, დარაზმულობა და დაუთმობლობა ჩანს. საქართველოს მეფე მათ თვალწინ ზღაპრული სისწრაფით ძლიერდებოდა. მათაც დაუდიოდათ მსტოვრები, იცოდნენ „მოშენება-გამრავლების“ ფაქტები, კლდეკარის ერისთავის ალაგმვა, თურქთა დასაყრდენი დიდგვაროვნების ნეიტრალიზება და უენებელყოფა, ხედავ-

დნენ მტკიცე ხელს და აჰა, ზედაზადენის წაღების შემდეგ კახეთს დამიზნებული მახვილი უფრო აელვარდა, თვალს ჭრიდა მისი ლაპლაპი. მზადებაც პირველდღეებიდანვე დაწყებულა. ბეფემ დაასწრო აღსართანის „დაპატიმრება“. ეს დავით აღმაშენებლის უნაკლო ხერხი გახლავთ. მთელი მისი მოღვაწეობა დამშვენებულია ამ ხერხით.

მისგან მოფიქრებული საქმე, მის მიერ დაგეგმილი ოპერაცია ზოგჯერ სრულდება იქ, სადაც მეფე ფიზიკურად არ იმყოფება! სადაც მეფე ფიზიკურად იმყოფება, იქ იმოდენა ამბები ტრიალებს, რომ მტერს არც დრო რჩება, არც ძალა თვალი ადევნოს მისი პოლიტიკური აზრის მოძრაობას სხვა მიმართულებით. მთელი ყურადღებით აქეთ არის, მეფის ადგილსამყოფელისაკენ. ამ დროს კი დაგეგმილი ოპერაცია უნაკლოდ სრულდება სულ სხვაგან — შეიპყრობენ კლდეკარის ერისთავს. ახლა აღსართანი შეიპყრეს და გადასცეს მეფეს. მეტი დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და გადამწყვეტი სიტყვის სათქმელად ურიცხვი ლაშქარი შემოიყვანეს.

დავით აღმაშენებელი შეზარა, „უმრავლესი კახთა და ქუეყანისა ერი“ რომ მიუდგა სულთანს „ქვეგამხედვარი“ დიდგვაროვნების კარნახით. გარდუვალი მოვლენა პასუხს ითხოვდა, მან გონების წვით მართა მუდამ თავისი ქვეყანა და აქაც გააჩუმა გული.

ერწუხის ბრძოლა, რასაც, ცხადია, წინ უძღოდა მეტ-ნაკლები სიდიდის ბრძოლები თურქ-სელჩუკებთან და განზე გამდგარ დიდებულებთან, იყო მუსულმანურ სამყაროსთან, პირველ ყოვლისა, თურქ-სელჩუკებთან დიდი, მრავალწლიანი ომის დასაწყისი. ეს იყო პირველი დიდი ბრძოლა იმ ციკლისა, რასაც ეწეოდა დავით აღმაშენებელი თურქ-სელჩუკთა და არაბთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლაზე იყო დამოკიდებული ბევრი რამ, მათ შორის უმთავრესი — ქართველთა ლაშქრის ძლევამოსილებაზე აზრის დამკვიდრება, თურქ-სელჩუკთა უძლეველობის მითის გაქარწყლება. დავითს ყოველთვის ყველაფერი აწონილი აქვს, აწონილი ჰქონდა მას კახეთის შემოერთების მნიშვნელობაც და ყველაფერი ის, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ ოპერაციას. მაგრამ განსაკუთრებული სისრულით გრძნობდა, რომ ერწუხის დიდი ბრძოლა იყო გადამწყვეტი

სიტყვის მთქმელი, პირველი დიდი შეტაკება ძალისა ძალასთან. პირველად უნდა გადალახულიყო ქართველთა ფიქრში წამომართული შიშის უღელტეხილი — თურქ-სელჩუკთა წინაშე შიშისა! პირველად უნდა აღმდგარიყო მთელის ძალით წინაპართა ძალმოსილების გენი. ყველაფერი ეს პირველ გამარჯვებაზე იყო დამოკიდებული.

ერთი ნიშანი იქცევს დავით აღმაშენებლის სამხედრო ხელოვნებაში ყურადღებას — ურიცხვ მტერსაც კი იგი „რაღაც მანქანებით" უმოკლეს დროში და საკვირველი მოულოდნელობით ამარცხებს. თვითვე იხდის დავითის სწორუპოვარი ისტორიკოსი ბოდიშს მოკლე საუბრისათვის და ეს მათამამებს შეეკადრო სიტყვის ამ უბადლო ოსტატს „მცირე საყვედური": ახლა, ამდენი დროის გავლის შემდეგ, ბატონობს სურვილი, მეტი ვიცოდეთ კონკრეტულ სიტუაციებზე, ჯარის წყობაზე, გამოყენებულ ხერხებსა და მეთოდებზე. ის მექანიზმი გვაინტერესებს, რისი გონივრული მომართვის შედეგად დავითმა ესოდენ სახელოვანი გამარჯვება არგუნა თავის ერს. მაგრამ „რაღაც მანქანები" შემთხვევით არ მიხსენებია. დავითის სამხედრო ხელოვნებაში ეს „რაღაც მანქანები" სრული დატვირთვით მუშაობს. ეს არის ხერხი, რომლის არსი ვერაფრით ვერ ამოიცნო თურქ-სელჩუკთა მთავარსარდლობამ ვერც ერწუხში და ვერც სხვაგან. საკვირველი და მოულოდნელი გამარჯვებები შემთხვევით ,არ მიიღწევა. ასეთი რამ უბრალოდ გამორიცხულია სამხედრო ხელოვნებაში, ერთი შემთხვევა გასაგებია, რაღაც გაუგებრობის ნაყოფი იყოს შესაძლოა, მაგრამ ომების მთელი ციკლის მოგება ამ „მოულოდნელობის" წყალობით, ბრძოლის რაღაც განსაკუთრებულ მეთოდსა და საბოლოოდ მთელ სისტემაზე მიუთითებს. ერთი ნიშანი აშკარად ჩანს, ასახელებს კიდეც ისტორიკოსი — მეფე ყოველთვის მაშინ ჩნდება მტრის წინაშე, როდესაც მტერი არასგზით არ მოელის მის გამოჩენას. ეს იმ სისტემის შემადგენელი და ერთი გამოკვეთილი ნიშანია. მოულოდნელობის ეფექტი დიდი ხვედრითი წონისაა დავითის ხელოვნებაში, მაგრამ მტერი ხომ ურიცხვია, გინდ მოულოდნელად გაჩნდი მის წინაშე, გინდაც ყველა ნაბიჯი იცოდეს შენი. დახვედრასა და ბრძოლაზე ამის გამო უარს არ იტყვის. ერწუხშიც ასე მიიღო სამკვდრო-სასი-

ცოცხლო ბრძოლა მტერმა. სულთნისა და განძის ბრაბაგნ ლაშქარმა კახელებთან ერთად სრული თვითგაღებით იბრძოლა დავითის წინააღმდეგ. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ გააფთრებული სისხლისღვრისა და შეტაკების რიტმს, რამაც თავის მორევში ჩაითრია ყველა და ყველაფერი.

ყველგან, და მათ შორის ერწუხის ბრძოლაშიც, ჩანს მეფის ერთი გამორჩეული მიზანი — იგი ანადგურებს მოწინააღმდეგის საყრდენს, იმას, რასაც ემყარება მრავალრიცხოვანი ლაშქრის ძალა. იცის დავითმა, რომ ეს მრავალრიცხოვნება მასაა, უბრალო მასა, ხმლით გასაკაფავი ტევრი, თუკი მას საყრდენი, ბირთვი თუ ცენტრი, წარმმართავი ცენტრი არ აქცევს არმიად, არ აქცევს მოქმედ ძალად. იგი მოწინააღმდეგის ლაშქრის ტვინსა და გულს ანადგურებს. გრძნობს სად ფეთქავს სული, რომლის ჩაკვლის შემდეგ ურიცხვი ლაშქარი უძრავ მასად იქცევა. მისი სპა მუდამ მცირერიცხოვანი ჩანს: „ერთი ათასთა არა თუ სდევდა, არამედ ხელით იპყრობდა, და ორთა არა თუ წარექცივნენ ბევრნი"... საქართველოს წარსულსაც და აწმყოსაც მართებდა ამ მცირერიცხოვნების კომპენსაცია შემართებითა და, რაც მთავარია, გონივრული ბრძოლით მოეხდინა მის ლაშქარში დაკანონებული ჩანს ეს მოთხოვნა. იგი თავის თავს ავალებს ბრძოლის ისე წარმართვას, რომ მცირეთი ბევრი სძლიოს და ბევრი ისე დახოცოს, რომ მის ლაშქარს მცირე გამოაკლდეს. მთა, ხევი, ბილიკები, გაშლილი ველი, ციხე თუ ქალაქი — ყველაფერი ისე უნდა იქნას გამოყენებული, რომ უპირატესობა მუდამ მის მცირერიცხოვან სპას რჩებოდეს. ეს მისი ამოცანაა! ერწუხში თვალნათლივ ილანდება ეს გამიზნული ბრძოლა, მისი ხერხები და მეთოდები. მცირერიცხოვან სპას ამ მეთოდის განხორციელებისას, მართებდა მაქსიმალური სისწრაფე, მართებდა მანძილისა და დროის დაუკარგავად მოძრაობა. გათვლილი სივრცე უმოკლესი და უზუსტესი გზებით უნდა შემოკლებულიყო. ენერგიის სულ მცირე ნაწილიც არ უნდა დაეკარგა ზედმეტი მოძრაობით, შეტევას განუწყვეტლივ უნდა შეენარჩუნებინა გრიგალისებური ხასიათი, ხოლო დარტყმა მოეხდინათ იქ, სადაც ერთი კაცის გამოკლება მტერს ასეულებად დაუჯდებოდა. უნდა დაშლილიყო დიდი ლაშქრის ძლიერე-

ბის ხერხემალი. და მთელი ეს ოპერაცია ჩატარდა ისე, რომ სულთნისა და განძის ათაბაგის ურიცხვი ლაშქარი თავის ვეებერთელა კიდურებს ვერაფერში იყენებს. ათასები იქცევიან ლაჩართა მღვრიე მდინარედ, რომელმაც არ უწყის რას გაურბის და საით მიექანება,

მაგრამ მსგავსი ოპერაციები არ ხორციელდება შორიდან მართვით, ოპერაციის განხორციელებისას დავით აღმაშენებელი არის იქ, სადაც გადამწყვეტი დარტყმაა აუცილებელი. იგი წარმართავს სწორედ თავის საბრძოლო სისტემას. იგი მიუძღვის დიდი ენერგიის მოძრაობას. ამ მოძრაობის სათავეში იგი დგას — ოცდაექვსი თუ ოცდაშვიდი წლის ახალგაზრდა მეფე, ვისაც ბუნებამ დიდ, უნათლეს გონებასთან ერთად გოლიათური აღნაგობა და საკვირველი ფიზიკური ძალა დაანათლა. იგი, „უძრავი და ბრძენი“ გულით ჩვენს წინაშე ცხადდება აზრისა და ძალის ენერგიად. ერწუხში მისი ბრძოლა გვიხსნის, როგორ იბრძოდა მიწის ყოველ მონაკვეთზე, ყველა მცირე შეტაკებისას როგორ „წინაუძღოდა“ ლაშქარს და როგორ ენთო სისხლისმღვრელ შეტაკებებში მისი მახვილი. ერწუხის ბრძოლის რიტმი მისი შეტევების წნევამ განაპირობა. დაუთმობლობის შეგრძნება სამკვდრო-სასიცოცხლოდ აქცევდა ბრძოლას ორივ მხრივ, ხოლო გაალებული ენერგია მეფისა სრული სიცხადით ჩანს ისტორიკოსის მიერ უდიდესი ოსტატობით აღწერილ ხოცვა-ჟლეტაში. თუ კარგად დავაკვირდებით, თუ ბოლომდე ჩავსდევთ ამ სურათის შემადგენელ სიტყვებს, ჩვენ ცხადად დავინახავთ მთელ დინამიკას გახურებული ბრძოლისა და თავად დავით აღმაშენებლის თავზარდამცემ მოძრაობებს:

„ხოლო თვით მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თჳისთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა თჳით წინ უვიდოდა, და ვითა ლომი, შეუზახებდა ხმითა მაღლითა, და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა; გოლიათებრ მიმართებდა და მკლავითა მტკიცითა დაამხობდა ახოვანთა, სრეიდა და დასცემდა წინა დამთხუეულთა ყოველთა, ვიდრემდის ფრიადისა ცემისაგან არა თუ ვითარცა ძუელსა დავითს ელიაზარის ხელი ხრმლისა ვადასა ოდენ დაეწება, არამედ ხრმლით

მისით უკმომდინარითა სისხლითა წელნი აღსავსე ესხნეს, რომელი შემდგომად ომისა გარდახდისა და სარტყლისა განხსნისა საცნაურ იქმნა, ქუეყნად რა დაითხია ესოდენისა მტკნარისა სისხლისა შეყინებულისა, რომელ პირველ განხილვისა თვით მისგან ვგონებდით გამოსრულად. და მას დღესა სამნი ცხენნი გამოუკლნეს და მეოთხესაღა ზედა მჯდომმან სრულყო მის დღისა ომი. და ესე მრავლისაგან ყოვლად მცირედი და კნინი წარმოვთქვით".

მეფის სარტყელთან დაგროვილი „ესოდენი" სისხლი მეტყველებს ცხადად იმ უზღვავ ენერგიაზე, რაც გასცა ბრძოლაში მეფემ და რისი წყალობითაც იქნა მოგებული ერწუხის უმნიშვნელოვანესი ოპერაცია. რამდენი გოლიათი უნდა გაეგმირა მის მახვილს, რამდენი თურქი უნდა გამოესალმებინა სიცოცხლისათვის, რომ ჰაერში მოშრიალე ხმლისაგან „უკუმდინარი" სისხლის წვეთებს აევსო მეფის უბე. სისხლი, თავდაპირველად ასე ეგონათ, მეფეს სდიოდა ჭრილობებიდან, როცა სარტყელი გახსნეს და მიწაზე დაიღვარა. „ესეოდენი სისხლიო" — მიგვითითებს ისტორიკოსი. წვეთ-წვეთობით დაგუბებული ახლა „ესეოდენი" გადმოიღვარა მისი ტანიდან და სანამ „ესეოდენი" დაგუბდებოდა წვეთ-წვეთობით მკლავს ჩაყოლილი სისხლი, ელავდა აღმაშენებლის შემმუსვრელი ხმალი, თანაც ელავდა გოლიათების თავზე. დაუხოცავს არა ერთი და ორი, არამედ ურიცხვი.

„ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა". ამ სიტყვების ქსოვილში ელვისებური მოძრაობები ჩანს, სიმხნე, სიკასკასე, რისხვა, ზარი, შეუდარებელი რაინდი, ზეკაცური ძალა. ხოლო შეუზღუდველ ხმლის ცემაში გამოსჭვივის უტეხი ნებისყოფა, რომელსაც უღალატო მიზანი მართავს: რადაც არ უნდა დაჯდეს, თურქ-სელჩუკები უნდა დამარცხდნენ. უნდა დამარცხდნენ მტრები, რომელთანაც გაიმართა ეს პირველი დიდი, მასშტაბური ბრძოლა. დიდი თურქობის შემდგომ ამ ბრძოლიდან არც უკან დახევა შეიძლება, მით უმეტეს, არც დამარცხება. ამიტომ ამ „მი-და-მო იქცეოდაში" ამ გრიგალისებურ ჭროლვაში დაუთმობლობის ჟინი იკითხება. ენერგია მტრის საყრდენს ეცემა, სწორედ გოლიათებს, სწორედ წინამძღოლებს, სწორედ მუხტის მტვირთველ ძალას. ეს არის გამარჯვების უმოკლესი გზა, როდე-

საც მტერი ასე მრავალრიცხოვანია. მოსდევს რა ძალა, თვითვეა სათავეში, თვითვეა უპირველესი, თვითონ დაამხობს „ახოვანთ და გოლიათთ“, წინააღმდგომთ თვითვე შემუსრავს, რადგან ეს არ არის მხოლოდ ერთი ბრძოლა, იგი შემობრუნების მაუწყებელი გამოცდაა — გაიმარჯვებს? — ძლევამოსილებისაკენ შემობრუნდება ხალხის სულიც. და ქვეყნის საჭეც, დამარცხდება? — კიდევ დიდი ხნით დასამარდება იმედი, რწმენა.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ბრძოლა იყო შეღავათის გარეშე, ელვისებური. ჩანს, რომ ქართული ლაშქარი იბრძოდა ისეთივე სრული თავგანწირვით, როგორც მისი წინამძღოლი. ეს დიდი გამარჯვებით, დიდი შედეგით არის თქმული. მეფის „მიდა-მო იქცეოდაში“ ილანდება თანამებრძოლებისა და სპის გრიგალისებური მიმოქცევა. სულის ამოთქმის საშუალება არ დარჩა მტერს, დაიმსხვრა მისი ძლიერების ხერხემალი და ეს იყო მიზეზი, რომ „ერთი ათასთა არა თუ სდევდა, არამედ ხელით იპყრობდა“. სხვაგვარად წარმოუდგენელია მტრის ლაშქრის ასეთი დათრგუნვა, მისი დაცემა, სასოწარკვეთა.

ერწუხის ბრძოლამ გრგვინვასავით გადაუარა აღმოსავლეთს. საქართველო ამ ბრძოლიდან უკვე მრთელი სულით გაბრუვიდა. ბრძოლამ დაამტკიცა მისი შესაძლებლობები, ქართველი კაცის ფიზიკური და სულიერი ძალისხმევა, დაანახვა, რა არის მისი ნიჭი, თვისება, ამ შესაძლებლობების პატრონი აგერ გუშინ მოშიშარი და ჯაბანი გახლდათ. მაშასადამე, არ ჰქონდა უფლება სულით დაცემულიყო და შერიგებოდა ამ „მოშიშრობას“ და „სიჯაბანეს“. იგი მოწოდებული იყო ამგვარი შემართებისათვის, როდესაც ეროვნული სული ასე ამაყად ელვარებდა და ბრწყინავდა. ეს გახლდათ ძლევის ყიჟინა, რაც კარგა ხანია ენატრებოდა ერს, ამ ხმის ამოსავალი ყველა გადაუჭრესო თითქოს. თითქოს განგების ძალი მეტყველებდა, აი, რა ძალგიძს შენ! როგორი მებრძოლი ხარ, როგორი რაინდი, როგორი უძლეველი. განგების ძალა, რომელიც მაღლა სწევდა ფარდას და დაანახვებდა დამარხულ ვნებებს და თვისებებს, რაც მას და მხოლოდ მის არსს ეკუთვნოდა, რისგანაც შედგებოდა იგი და რისი დავიწყებაც არ ეპატიებოდა არასოდეს. ამ შესაძლებლობის ხალხმა მონობის უღელი არ უხდა

დაიდგას, თავისი ეკლესიები და წმინდა ტაძრები არავის შეაგინებინოს. არ მისცეს ნება დედის, დისა და მეუღლის შეურაცხყოფისა. არ მისცეს, უპირველეს ყოვლისა, თავის თავს ძილის ნება... მეტყველებდა, რომ დავითის არსში ხალხის ნამდვილი ბუნება იყო განსახიერებული და ხალხიც მოვალე იყო წინამძღოლის მსგავსად ებრძოლა, ასევე ეფიქრა, დამორჩილებოდა და გაჰყოლოდა მას იმ სიმაღლეებისაკენ, რაც ეკუთვნოდა ღირსებითა და ძალმოსილებით მოქსოვილს. მთავარი იყო დაენახა თავისი თავი, თავისი ჭეშმარიტი შინაარსი. იგი ახლა განივთებული იდგა ერის წინაშე და იყო უპირველესი ქართველი, თუმცა მისი მსგავსი და ბადალი, ასე სრულყოფილი და ყოვლისშემძლე წინამძღოლი ძნელად თუ ენახა აქამდე.

* * *

ვახუშტი ბაგრატიონი საგანგებოდ მიუთითებს: „ხოლო მეფესა დავითს ამისთვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ ოდეს იქმნა მეფედ, იყო ქუეყანა ესე სრულიად ოხერ; ამან განაჯნა და აღაშენნა, რომელ არღარა ეტეოდა ამით, რამეთუ იყო მოშიში და მოყუარე ღვთისა, გლახაკთა, ქურივთა და ობოლთა მოწყალე, სნეულთა თვითმსახური, ეკლესიათა, ქსენონთა მაშენებელი.“ დიახ, რაღაც უფრო მასშტაბური, უფრო მეტის მომცველია ეს „მოეშენას“ პროცესი, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია იგი უმალ დავინახოთ. დავითამდე არაერთხელ მოოხრებულა საქართველო და არაერთგზის მოშენებულა იგი სხვადასხვა მეფის დროს. მაგრამ ყველაფრიდან ჩანს და მემატიანეც გვეუბნება, რომ მსგავსი მოოხრება და გაპარტახება საქართველოს არ მოსწრებია. და ისიც გარკვევით ჩანს, რომ ამ „მოეშენას“ მსგავსი მასშტაბებიც არ იცის ძველმა საქართველომ. როდესაც რაღაც რვა წლის შემდეგ, ეს ქვეყანა ისევ მოშენებული, რომ მისი პატრონი თურქთა სულთანს ხარჯის მიცემას შეუწყვეტს, ჩვენ კიბადლივ უნდა წარმოვიდგინოთ, რა გიგანტური სამუშაოები შესრულებულა საქართველოში ამ რვა წლის მანძილზე და ის აღმაშენებლის წოდებაც რამდენის შექმნას გულისხმობს, რაოდენ აღორძინებას და განფენილო-

ბას, პარალელურად კეთდებოდა ურჩთა მოთოკვისა და ალაგმვის ძნელი საქმე (უპირველეს ყოვლისა, ლიპარიტ ბაღვაშის ალაგმვის ფაქტი მაქვს მხედველობაში და ამასთან ფეოდალების თავგასულობის მოსპობა). პარალელურად მიმდინარეობდა ერის სულიერი და ფიზიკური წვრთნის უფრო რთული და ფარული ბროცესი. ეს საბოლოოდ ხალხის სრულქმნის პროცესი გახლდათ და იგი ყველა თავისი მეთოდით, ხერხით და ნიუანსით შემოქმედის მოღვაწეობას უფრო ჰგავს, ვიდრე ძლიერი მეფის სახელმწიფო ნაბიჯების ჯამს. მართლაც, ამ პროცესში სულ შემოქმედის ნება ტრიალებს.

დავითი პირდაპირ გასაქანს არ აძლევს თავისი ხალხის ცუდ თვისებებს. დღეებს უმოკლებს მათ, ცხრა ფენისა თუ შრის მიღმა მიერეკება, მისი ღირსებანი და სიკეთენი მოჰყავს მოძრაობაში. ამასთან დავითი ახდენს ქართული ლაშქრის სრულ რეორგანიზაციას. ხდება მეტამორფოზა, დროებით დაჯაბნებული ქართველი მეომარი პირველხარისხოვან მოლაშქრედ აქცია, ჯერ დაუბრუნა წინაპართა „სამამაცონი ზნენი“, მერე წინაპართა ყოველგვარ სიმაღლეს გაუსწრო და მანამდე არნახული სიმტკიცით აღშურვა. ერთმანეთის პარალელურად მიმდინარე და გონივრულ თანმიმდევრობას დაქვემდებარებული ეს საქმეები ხარჯის შეწყვეტითა და დამოუკიდებლობის დაბრუნებით დაგვირგვინდა. მაგრამ ყველა ამ მართლაც უდიდეს სახელმწიფოებრივ საქმეებში დევს მარცვალი უფრო დიდი მოვლენებისა, რომლებიც შემდეგ დაიბადნენ და საფეხურებად აღგვაქმევინებენ დღეს იმ სწორუპოვარ ღონისძიებებს. დიდი საქმეების ჯამმა მართლაც მიიღო ახალი მიმართულება, ისინი თავიანთი ერთიანობით იქცნენ ახალი დიდი საქმის დამაგვირგვინებლად. ერწუხის ბრძოლა და კახეთ-ჰერეთის შემოერთება მაქვს მხედველობაში. კახეთ-ჰერეთის შემოერთება კი უბრალო ფაქტი არ იყო დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის გზაზე. არ ნიშნავს იგი მარტოოდენ საქართველოს უმშვენიერესი კუთხის კვლავ შემოერთებას რიგითი მეფის მიერ. იგი გვევლინება საქართველოს სრული ერთიანობის და ერთიანი საქართველოს ფსიქოლოგიის დამკვიდრების დასაწყისად. ამ უზარმაზარი მიზნის შემადგენელი ნაწილია კახეთ-ჰერეთის ოპერაცია და ამიტომ იგი ჯაჭვში განსაკუთრებული სიმტკიცის

რგოლად გვევლინება. მოქმედებათა სისტემამ კიდევ ერთი, მეტისმეტად ღონიერი ფრთა გამოისხა.

„ესრეთ რა თვითმპყრობელობით დაიპყრა ჰერეთი და კახეთი, და ნებიერად აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი, მზე-ებრ მიჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკვიდრთა ქუეყანისათა. და ვინათგან ღმერთი ესრეთ განაგებდა საქმეთა დავითითა, და წარუმართებდა ყოველთა გზათა მისთა, და მოსცემდა ჟამად-ჟამად ძლევათა საკვირველთა, და უძღოდა ძალითი — ძალად, არც იგი უდებებდა განმრავლებად ტალანტთა, არამედ სრულითა გულითა მსახურებდა, და მათ იქმოდა, რომელნი ნებისა ღმრთისად დაამტკიცნის და სათნო-ყოფილად მისდა აღუჩნდის, ვითარცა აწ ითქუას".

ჰერეთისა და კახეთის დაპყრობა ერთია. დიდი მიზნის განხორციელების გზაზე ეს უპირველესი ნაბიჯი უნდა გადადგმულიყო, მაგრამ შემდგომ მოქმედებას ითხოვდა მიზანი. დაპყრობილ ქვეყანასთან დამოკიდებულება მთელი ფილოსოფიაა დავითისათვის. მასზეა დამოკიდებული არსობრივი დაპყრობის დიადი გეგმა. ჰერეთი და კახეთი „განმდგარი" ქვეყნებია, მაგრამ ახლა ისინი უბრალოდ კი არ უნდა შემოურთდეს საქართველოს, კი არ უნდა დაემორჩილოს მეფეს, არამედ საქართველოს ღვიძლ ნაწილად უნდა იქცეს და ქვეყნის ერთიანობის ინტერესი მის სასიცოცხლო აზრად უნდა დაემკვიდროს. ამიტომ: ამ უპირველესმა ქართულმა კუთხეებმა დაპყრობილად კი არა, საქართველოდ უნდა იგრძნონ თავი! ხოლო საქართველოს მეფის მიზანი უმთავრეს მიზნად დაიგდონ, პირველნი დადგნენ საქართველოს ერთიანობის სადარაჯოზე და პირველნი რაცხდნენ თავს საქართველოს მიზნების აღმასრულებლად. ამად „მიჰფინა წყალობა" აჭაურ ქართველებს მეფემ, ყველას მიწვდა მისი სითბო, ყველა ახლოს დაიყენა და შეითვისა. არ დასჯა (დასჯის დრო და აუცილებლობა არ ავიწყდება მეფეს). მიზანი ნათელი იყო: მხოლოდ შეთვისება, იმ აზრის გაბატონება, რომ ჰერეთი და კახეთი უპირველესი საქართველოა და მხოლოდ ავბედობისა და გაუგებრობის ბრალია, მათი განდგომა რომ მოხდა. ეს შემოერთება უფრო მძიმე შეცდომის გამოსწორებას ჰგავს, რომლის შემდგომ სწორედ ჰერეთი და კახეთი მთლიანი საქართველოს შექმნისა და ერთი-

ანი საქართველოს ფსიქოლოგიის დამკვიდრებისათვის თავგამოდებულ მებრძოლებად იქცნენ. ისინი მისიით აღიჭურვნენ. თუ არ ეს მიზანი, მეფეს რად სჭირდებოდა „წყალობის მიფენა“ მათთვის ან ამდენი მიფერება. შიშით და რიდით იგი ისეთ ოპერაციებს განახორციელებდა, როგორიც გახლავთ ნებისმიერი ქვეყნის დაპყრობა-დამორჩილება. ჰერეთმა და კახეთმა იგრძნო, რომ ისინი საქართველოს მიზნებისათვის დაიხსნეს და ამ დროებითი გაუგებრობის შემდგომ თავიანთ ოდინდელ სიმაღლეებს — ქვეყნის ინტერესების სადარაჯოებს დაუბრუნდნენ — „მზეებრ მიჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკვიდრთა ქვეყანისათა“. გამლხვალი ყინულის რა დიდი მასა იგულისხმება ამ სიტყვებში, ყინულისა, საქართველოს კუთხე-ქვეყნებს შორის რომ იწვა გადაულახავ სივრცედ.

აქვე მიუთითებს ისტორიკოსი დავითის მოღვაწეობისათვის დამახასიათებელ მოვლენებზე და გვაგრძნობინებს, რომ ისინი გარდუვალი კანონზომიერების სრული გამონათება იყო, რასაც თავის ხალხში, ერთგულ თანამებრძოლებსა და თავის თავში აღმოაჩენდა, აღმოაჩენდა როგორც ერთმანეთთან დაკავშირებულ რაობას! ღმერთის ეს განუწყვეტელი თანადგომა — „და ვინათგან ღმერთი ესრეთ განაგებდა საქმეთა დავითისთა, და წარუმართებდა ყოველთა გზათა მისთა, და მისცემდა ჟამად-ჟამად ძლევათა საკვირველთა და უძღოდა ძალითი-ძალად“... ამ სისრულით გამოხატული თანადგომა თავისთავად მიგვანიშნებს, რაოდენ გაცნობიერებული იყო დავითის მიერ მოღვაწეობის მიმართულება, რაოდენ შეჯერებული იყო იგი „ღვთაებრივი მთლიანობის“ გრძნობასთან, რაოდენ დაზუსტებული იყო მის მიერ ჟამი ამ მოვლენების მოხდენისა და უპირველეს ყოვლისა, დაზუსტებული იყო მისი ადგილი და მისია ამ მოვლენების წარმართვისას. სწორედ ამ დიდი კანონზომიერების შეგრძნება ივარაუდება ღმერთის თანადგომაში. დავითი, ისტორიკოსის აზრით, აღასრულებს უფლის ნებას და ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი კანონზომიერი და გარდუვალია. გარდუვალია ისიც, რომ მთელი ენერგია უნდა გაიღოს ამ ყოველმხრივ შემოწმებული და სამართლიანი მისიის აღსასრულებლად — „არცა იგი უდებებდა განმრავლებად ტალანტთა, არამედ სრულითა გულითა მსახურებდა, და მათ იქმოდა,

რომელნი ნებისა ღმრთისად დაამტკიცნის და სათნო ყოფილად მისდა აღუჩნდის, ვითარცა აწ ითქუას“.

ზოგჯერ სუნთქვა შეეკვრის ანალიზისა და დაკვირვების მოწადინე მკითხველს. იყო რაღაც ფანატიკური საქმისადმი მის ერთგულებაში, მაგრამ იყო ფანატიკური მხოლოდ იმ მაქსიმალური შინაარსის წყალობით, რომელიც მისი მოქმედებიდან გამოსჭვიოდა. იგი კი, სინამდვილეში, გაცნობიერებული მოქმედების ნიმუშია. კანონზომიერება, გარდუვალობა და აუცილებლობა მისი მოღვაწეობის გზას მნათობიეით ანათებს — „რომელნი ნებისა ღმრთისად დაამტკიცოს“ — წერს ისტორიკოსი. შემოწმებულია ყველა დიდი საქმის ეს სამი ნიშანი, სამი კატეგორია. ამ „ღმრთის ნებაში“ ამოკითხულია მოქმედებათა მიმართულება, გეზი. დიდი კანონების კარნახია მოსმენილი და ამის შემდეგ „სრული გულით მსახურება“ ერთბაშად გულისხმობს მისი და მისი ერის ფიქრების ერთიანობას უზენაესთან. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დავითის თანამედროვეა, იგი აღნუსხავს სწორედ იმ არსობრივ მოვლენებს და აზროვნებას, რაც იკითხებოდა იმდროინდელი საქართველოს მოძრაობაში და რასაც თავად მეფე გამოხატავდა ახლობლებთან მსჯელობის დროს!

აქ გვიმჟღავნდება დიდი ეროვნული პროცესის გაღვივებისა და წარმართვის ფილოსოფია, რაც დაუფლებული იყო ეროვნულ გონს იმ დროისათვის და რაც ასე შესანიშნავად დაგვიხატა ისტორიკოსმა. მთავარი კი თვითონ ამ პროცესის ბრსია. ყველაფრიდან ჩანს, რომ დავითის მოღვაწეობის დიდი აზრი დაიმედებულია ეროვნული ენერგიის შესაძლებლობებით და შემოწმებულია მრავალი არგუმენტით. ამ სიტყვებში იკითხება, რისი ღირსია ქართველი ხალხი ცისქვეშ, რა ეკუთვნის მას და რა უნდა მოიმოქმედოს, რათა კუთვნილ ფორმას დაეუფლოს, კუთვნილ მდგომარეობას მიაღწიოს. მისი კეთილშობილური მაღალი მისიაც იკითხება ამ „ღვთის თანადგომასა“ და მეფის მხრივ სრული გულით სამსახურში. დანახულია ქართველი ერის მოძრაობის შესაძლებელი მიმართულება და ის დიდი გზა, რომელიც მას ელოდება, ამისთვის ღირს „სრული გულით მსახურება“ და ამ გზისაკენ მობრუნებას და მოქცევას ჭირდება მეფის ასეთი თვითგაღება. მას წაკითხული აქვს თა-

ვისი ხალხის ფესვები, ეროვნული სხეული, მისი ტოტები და ფოთლები.

ამ მოვლენას ოდნავ წინ უსწრებდა რუის-ურბნისის კრება, რომელიც ერის სულიერი წვრთნის გზაზე უნიკალური მოვლენა იყო და თავისი შინაარსით მოიცავდა სახელმწიფო მმართველობის დიდ რეფორმას. რეფორმა, ცხადია, თავისთავად განუსაზღვრელი მნიშვნელობისაა, მაგრამ რეფორმასთან ერთად რუის-ურბნისის ისტორიულ ფაქტში ისეთი ასოციაციები და პარალელები იკითხება, რომ იგი მათი წყალობით შორს სცილდებოდა რეფორმის მნიშვნელობას და გამიზნულობას. შედეგი გაცილებით დიდია, ვიდრე ერთი რეფორმისაგან მოველით მას.

საეკლესიო მართვის სისტემა დავითამდე დიდი ხნით ადრე იქცა კრიტიკის ნაგნად საქართველოში. უწინარეს ყოვლისა, ბაგრატ მეოთხის და გიორგი მთაწმიდელის ღონისძიებებს ვგულისხმობ. ზედმეტი მეჩვენება, ეკლესიის როლსა და დანიშნულებაზე სიტყვა გავუგრძელო მკითხველს: ძველ საქართველოში მას ადამიანის სულის ფორმირების ყველა საშუალება ეპყრა ხელთ. ეკლესიაში მიდიოდა ადამიანი, რათა განწმენდილიყო „ამა ქვეყნის ცოდვათაგან“ და ამაღლებული სულით დაბრუნებოდა თავის თავს. ბნელი საქმენი და ბოროტებანი, რაც მისი ხელიდან ზოგჯერ ნებსით თუ უნებლიედ გამოდიოდა, აქ აილაგმებოდა შთაგონების იმ უდიდესი ძალით, რომლის ახსნა და შეცნობა მარად შეუძლებელი რჩებოდა. სხვა საკითხია, როდის გადაკვეთდა ერთმანეთის გზებს სახელმწიფოსა და ეკლესიის ინტერესები, რომლის მესვეური იყო მართალი და რომლისა — მტყუანი. აქ მთავარია ის როლი, რომელიც დაეკისრა საქართველოს ეკლესიას ხალხის სულიერი ცხოვრების მოწესრიგებაში და როგორ სრულდებოდა ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთში ის როლი. ეკლესიის განუსაზღვრელი მნიშვნელობა ხალხის სულიერი ცხოვრების მთლიანობის, სიწმინდის, სისპეტაკის, სიმტკიცის, ძალმოსილების მიღწევასა და შენარჩუნებაში უკვე ფენომენის სახით იყო დამკვიდრებული და ამ მნიშვნელობის გაუთვალისწინებლობა არავის ეპატიებოდა. ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს განუსაზღვრელი მნიშვნელობის ტაძარი შელანძღულია საეკლესიო

მართვის იმ სისტემის წყალობით, რომელიც დროთა განმავლობაში გაბატონდა.

როგორც ყველაფრიდან ჩანს, სახელმწიფოს კეთილდღეობაზე მზრუნველი ბაგრატ მეოთხე მთელი არსებით განიცდიდა ეკლესიაში დამკვიდრებულ არასწორ პრინციპს და იმასაც, რომ ვერსაით გაექცეოდა ჯადოსნურად შეკრულ უწესობის პრინციპს, თვითვე რომ ემსახურებოდა უნებურად. მან ისიც ცხადად დაინახა, რომ საჭირო იყო დიდი ავტორიტეტის ჩარევა საეკლესიო საქმეში და გადადგა სწორი ნაბიჯი. საგანგებოდ მოიწვია მთელს ქრისტიანულ სამყაროში განთქმული, იმჟამად უცხოეთში მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი, იშვიათი პატივისცემა გამოამჟღავნა შეხვედრისას და სთხოვა ყველაფერი გაეკეთებინა ქართული ეკლესიის სტრუქტურის გასაჯანსაღებლად. ბაგრატ მეოთხის სიტყვაში, რომლითაც მან გიორგი მთაწმიდელს მიმართა, სწორედ ეს დიდი გააზრება იკითხება.

„ — წმიდაო მამაო, ამისათვის მოვაშვრეთ სიწმიდე თქვენი, რათა ნაკლულოვანებაჲ და ცთომაჲ უწესოჲ აღმოჰფხვრა სრულიად სულთაგან ჩვენთა. დაფარული დაფარულად გვამხილე, ხოლო ცხადი თვალუხვავად განგვიმარტე. რამეთუ რათცა მიბრძანოს მამობამან შენმან, ესრეთ შევიწყნარო, ვითარცა პირისაგან წმიდათა მოციქულთაჲსა“.

ეს სიტყვები გამოხატავენ ბაგრატ მეოთხის დიდ შეგნებას. საეკლესიო რეფორმის მოთხოვნილება მეფის შინაგან მზადყოფნასაც ამჟღავნებს. ამ სიტყვაში ისიც გარკვევით ჩანს, რომ მეფე საკუთარ ცოდვებსაც კარგად ხედავდა და მზად იყო მხილების სიტყვები მოესმინა.

გიორგი მთაწმიდელი და მეფე ერთ ნებას განახორციელებენ. ღონდ ეს არის, გიორგი მთაწმიდელმა მაქსიმალურად გამოიყენა შესაძლებლობა და ქართული ეკლესიის გასაჯანსაღებლად ყველაზე ეფექტურ და უკიდურეს საშუალებებს მიმართა. მან მეფის კრიტიკით დაიწყო, რადგან დაინახა, რომ მეფე ნებსით თუ უნებლიეთ ჩათრეული იყო ამ უსწორ საქმეში, ისიც დაინახა, რომ სათავეზე მიუთითებლად, სათავის გაუწმენდლად ამ საქმეს არაფერი ეშველებოდა და ასეც მოიქცა:

„რამეთუ პირველად ყოვლისა აღლესა მახვილი მხილებისაჲ მეფეთა მიმართ მრავალთა უწესობათა უშიშად და თავლუხვად, სიბრძნით და გონიერად, რათა არ ჰყიდდეს საეპისკოპოსოთა კაცთა მიმართ უწესოთა და უსწავლელთა და ყოველითურთ სოფლისა შემსჭვალულთა და უწესოებათა და მიმოსვლათა შინა აღზრდილთა, არამედ გამოარჩეედეს კაცთა ღირსთა და წმიდათა, მონაზონებასა შინა აღზრდილთა და ღმრთივსულიერთა მოძღვართა მიერ წამებულთა, რათა ლოცვითა და მადლითა მათითა მშვიდობით წარემართოს მეფობაჲ მისი და რათა მღდელთა უწესოებითა და ცოდვითა ერისკაცნიცა დაისაჯნენ“.

როგორც ვხედავთ საგანგაშოდ არის დარღვეული პრინციპები. იყიდება ეპისკოპოსობა. ყიდის მეფე ამ თანამდებობას, ყიდულობს უმეტეს შემთხვევაში უწესო გზით მოსიარულე კაცი. ზნეობრივად შელახული პიროვნებების მოსვლა კი ეკლესიაში აშუშყიანებს ატმოსფეროს. „გლახაკთა ზედა“ ზრუნვის ნაცვლად ოქროს მოხვეჭის ვნება ბატონდება. დაუჯერებელი ხდება სიწმინდე. ერი ხედავს სულიერ მოძღვართა საეჭვო საქმიანობას, სუსტდება რწმენა და იმედი ამოდენა ტაძრისა. „ეს საშინელი, გამანადგურებელი უწესობა ძირფესვიანად უნდა აღმოფხვრილიყოო“ — მიუთითებს ივანე ჯავახიშვილი. დიახ, იგი გამანადგურებელი უწესობაა, რადგან ეკლესიაში კაცისათვის მუდამ მხოლოდ სიწმინდე და ამაღლებულობა იგულისხმებოდა. ამ ატმოსფეროს შებღალვა ერის სულიერი მთლიანობის დაკარგვას უდრიდა, ურწმუნოებისა და არაკაცობის აფოფინებას ნიშნავდა. გიორგი მთაწმიდელმა იერიში მიიტანა მთელს ამ წყობაზე. ღირსების ნიშნით დაწინაურებული ხალხი აკეთებდა საქართველოში მუდამ დიდ სახელმწიფო საქმეებს — იგებდა ომებს, ახალ სიმაღლეზე აჰყავდა კულტურა. რა ძალისაც არ უნდა ყოფილიყო წოდებრიობის ძალა, ჰეშმარიტ მეფეებს მაინც არასდროს არ ავიწყდებოდათ ამ ღირსების სადინარი, ყოველთვის აძლევდნენ საშუალებას დიდგვაროვანთა გვერდით თავისუფლად ეღვაწათ სხვებსაც საქართველოს კეთილდღეობისათვის. ბაგრატ მეფეს, თავისთავად დიდი დამსახურების მეფეს, ეკლესიასთან ურთიერთობისას ხელიდან გაუსხლტა ეს პრინციპი. ძნელია დაადგინო, რამ აიძულა იგი,

ამგვარ დათმობაზე წასულიყო. იქნებ ძლიერი ლიპარიტ ბაღვაშის ასალაგმავად დახარჯული დიდი ენერგიის იქით დრო და ძალა აღარ ეყო ყველა სფეროში პრინციპული ყოფილიყო, იქნებ ეს გაუთავებელი ბრძოლა კარნახობდა ვიღაცასთვის მაინც დაეთმო. ფაქტია, რომ თვითონ მოიწვია გიორგი მთაწმიდელი. ეს მიუთითებს მეფის შინაგან სისპეტაკეზე, პატრიოტულ სულისკვეთებაზე და იმაზეც მეტყველებს, რომ მეფე ეკლესიის „უსწორო“ საქმიანობაში უფრო ჩათრეული ჩანს, ვიდრე საკუთარი სურვილით მონაწილე. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თანამდებობას იგი ყიდდა. გაყიდული თანამდებობა კი გაყიდულ პატიოსნებას ნიშნავს, უწესობისათვის გზის დალოცვას მოასწავებს, შეგნებით და დამოძღვრით ძნელი შეიქნა ადამიანის სულში ბნელი ნაკადის შეკავება. შეგნებასა და დამოძღვრას მუდამ სჭირდება თანამდგომი წესი, რაც გასაქანს არ მისცემს ბნელ ნაკადს. გიორგი მთაწმიდელმა ეკლესიის მმართველობის ძირეული შეცვლა მოიწადინა. ივანე ჯავახიშვილი აჯამებს დიდი მოღვაწეობის შინაარსს.

„გიორგი მთაწმიდელმა, მაშასადამე, ქართული ეკლესიის წოდებრივობა დაარღვია, წოდებრივი უპირატესობა საეკლესიო საქმეში უარჰყო და ადამიანის პირადი ღირსება წინ წამოაყენა, თანაც სცადა ქართული ეკლესიისათვის დემოკრატიული მიმართულება მიეცა. საშუალო საუკუნეებში ყველგან, მეტადრე კი საქართველოში, ასეთი მოღვაწეობისათვის დიდი გამბედაობა იყო საჭირო; თვით დასავლეთ ევროპაშიც — კი ეკლესიასა და მონასტრებში დემოკრატიული მიმართულება XIII საუკ. დაიწყო მხოლოდ, რომ ის მსოფლიო ეკლესიის წოდებრივ-ბატონყმური წესწყობილება, როგორც ცნობილია, პირველად წ. ა. ფრანცისკმა დაარღვია. საკმარისია მარტო ეს გარემოება გავიხსენოთ, რომ ჩვენთვის სრულებით ცხადი გახდეს რაოდენი ღვაწლი მიუძღვის გიორგი მთაწმიდელს ამ მხრივაც საქართველოს წინაშე. რასაკვირველია, მას, უბრალო ბერს, არ შეეძლო, არც უფლება ჰქონდა მთელი ქართული ეკლესიის წოდებრივი წეს-წყობილება შეეცვალა და თავითგან ბოლომდის ქრისტიანულ-დემოკრატიული მიმართულება გაებატონებინა, მაგრამ საქმე დაწყებაა და გიორგი მთა-

წმიდელმა აქ შემოქმედებითი თაოსნობაც გამოიჩინა, შესაფერისი გამბედაობაც და ხასიათის სიმტკიცეც".

ამჯერად გიორგი მთაწმიდელის ყველა დამსახურებაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. მისი ეს ერთი, უმთავრესი საქმეთაგანი კი პირდაპირ კავშირშია ჩვენთვის საინტერესო დროსა და მოვლენასთან. მაშასადამე, გიორგი მთაწმიდელმა დაიწყო დიდი გარდაქმნა საეკლესიო მმართველობაში. ამ გარდაქმნის მნიშვნელობაზე თქმული დიდი ივანე ჯავახიშვილის სიტყვები სრულად შეგვაგრძნობინებს საქმის არსს, მის ადგილს სახელმწიფოს განვითარების გზაზე. სამწუხაროდ, გიორგი მთაწმიდელი მალე წავიდა საქართველოდან. მისგან მოწვდილი უზუსტესი პრინციპები იმდროინდელი ქრისტიანული სამყაროს პროგრესული პრინციპები იყო. მათზე დაყრდნობით შეიძლებოდა და კიდეეაც უნდა განხორციელებულიყო გარდაქმნა. მაგრამ მოვლენის დასაწყისს, განვითარებას და დასასრულს ჭირდებოდა დიდი დრო, ნაბიჯ-ნაბიჯ მიყოლა, შემოწმება, ე. ი. ჭირდებოდა სრული თვითგაღება. ამისათვის დრო და ენერგია ან თავად გიორგი მთაწმიდელს უნდა გაეღო ან მეფე ჩასდგომოდა სათავეში დიდ გარდაქმნებს. გიორგი მთაწმიდელი მოწვეული „ბერი" იყო, დიდი ავტორიტეტისა და განუსაზღვრელი გავლენის პიროვნება, მაგრამ მხოლოდ მცირე დროით სამშობლოში ჩამობრუნებული წმინდა მამა. არ იქმარა დრომ, ვერც მეფე მიჰყვა ბოლომდე საქმეს და შემდგომ და შემდგომ, თანდათან ისევ აიმღვრა ეკლესიის ცხოვრება, ადრინდელ მდგომარეობას დაუბრუნდა. ასევე მახინჯდებოდა ეკლესიის ცხოვრება გიორგი მეორის დროსაც და დავით აღმაშენებელს მძიმე სურათი დახვდა, სურათი, რომელიც უკვე გამორიცხავდა გიორგი მთაწმიდელის მიერ გატარებულ ღონისძიებათა კვალს:

„რამეთუ წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს, და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს, რომელნი ნაცელად სჯულთა საღმრთოთა უსჯულოებასა აწურთიდეს მათ ქუეშეთა ყოველთა, და თვით სახლათ უფლისათ და მღვდელთაგან გამოვიდოდა

ყოველი უსჯულოება და ცოდვა, რომელთა თუალი ღმრთისა სედვიდა ყოველთა და განრისხებულ იყო, ვითარცა ზემო ვთქვით“.

ამ შემაშფოთებელ მდგომარეობას სანამ ღრმად დავუკვირდებოდეთ, უნდა ისიც ითქვას, რომ გიორგი მთაწმიდელის მოღვაწეობის კვალის წაშლის მიუხედავად, ამ დიდი პიროვნების იდეა არ მომკვდარა. იგი საქართველოს საეკლესიო ცხოვრების ისტორიაში უკვე გამოცდილებად და სკოლად იგულისხმებოდა. ეს იყო დროებით ჩამქრალი სანთელი, რომლის ხელახლად ანთება და აციაგება ყოველთვის შეიძლებოდა, თუკი საქმეს ჭირისუფალი გამოუჩნდებოდა, ფორმა და პრინციპი მიკვლეული იყო. დიდი გონება და განუსაზღვრელი შესაძლებლობანი ჭირდებოდა დასახული მიზნის განხორციელებას. უპატიოსნებამ, როგორც ჩანს, ზენიტს უწია. ავაზაკობას ადარებს ისტორიკოსი მათ საქმიანობას. წოდებრიობის ნიშნით დაწინაურებული ხალხი უაჩაღივით ექცეოდა თავის მრევლს. უღირსნი, უწესონი, ზნეობრივად გადაგვარებული დიდი მამულის მფლობელნი დაეპატრონენ ეკლესიებს. ღირსეული კაცი გასაქანს ვერ პოულობს. თანაც უღირსნი დაბალ თანამდებობას კი არა, უმაღლეს საეკლესიო საფეხურებს არიან დაუფლებულნი. ქრისტიანული ეკლესია საეპისკოპოსოებს ეყრდნობა, ე. ი. უმთავრესი უღელტეხილი ერის სულიერი ცხოვრებისა ავაზაკ ეპისკოპოსებს დაუპყრიათ. ერთ პატარა აბზაცში ორჯერ ასახელებს ავაზაკებად ეპისკოპოსებს დავითის ისტორიკოსი. რაკი ეპისკოპოსებად ბინძური სულისკვეთების პიროვნებანი მოკალათდნენ, „ხუცესნი და ქორეპისკოპოსნიც“ თავისი ჰკუისა შეარჩიეს — ბნელი საქმეების კეთებას ყველა რგოლში ბნელი პიროვნების არსებობა ენატრება! „შექმნილია“ სისტემა, რომელიც ძარცვავს ეკლესიასაც, ქრისტიანობის მორალსაც და უპირველეს ყოვლისა, ხალხის სულს. ეპისკოპოსი თავის მრევლს შეასწავლის არა საღმრთო სჯულს, არამედ — სწორედ ურჯულოების გაკვეთილს აძლევს. ეკლესიიდან დაძრულა „ყოველი უსჯულოება და ცოდვა“. მემატიანე ქართველთა თავს დატეხილ „ღვთის რისხვას“ ამ გადაგვარებას აბრალებს. ეს დასჯის მაუწყებელი რისხვა იყოო — მიუთითებს იგი.

იხატება სრული სურათი — ერთის მხრივ მტრისგან გაერანებული, — გაპარტახებული ქვეყანა და მეორეს მხრივ, ზნეობრივი გადაგვარების ჭირი, რომლის სათავედ ის იქცა, ვინც მთელი არსით უნდა დაპირისპირებოდა ამ გადაგვარებას.

დავითი გამუდმებით წვრთნიდა თავისი ხალხის სულს. ჩვენ დავინახეთ, რა უნაკლო სისტემით, მეთოდებით, ხერხებით აკეთებდა ამას, საით მოაქცევდა საქართველოს შვილების სიხსნასა და სურვილებს. ეკლესია უნდა ყოფილიყო ამ საქმეში უმთავრესი დასაყრდენი. ასეა გამიზნული „ღმრთისაგან“ და ამ უწმინდესი ტაძრის ავაზაკთათვის დანებება არათუ დასაშვები, ყოველად გაუმართლებელი დანაშაული იყო უკვე. ამის მოტევება არ შეიძლებოდა. სიწმინდე ნათელივით უნდა დაძრულიყო ეკლესიიდან, მისი თაღები, ხატები, ფრესკები, — ქრისტიანობის არსება ითხოვდა ამას. ითხოვდა ერისთვის, საერთოდ ადამიანის სულისთვის ითხოვდა აქ შეფარებული ავაზაკების გამოყრას და სისუფთავეს. მაგრამ სათქმელად არის ეს ადვილი. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ყოველი საეპისკოპოსო ჰქონდათ დაპყრობილი, ყოველი ხუცესი და ქორეპისკოპოსი თვითეე აირჩიეს. ასეთი იყო მექანიზმი, რომლის დაშლა და თავიდან აწყობა უპირველესი ამოცანა იყო. ეს ამოცანა არაფრით არ ჩამორჩებოდა საერთოდ საქართველოს აღდგენისა და გაერთიანების მოვლენას თავისი მნიშვნელობითა და სისრულით. დავითს და მის ხალხს, დიდი მისიის აღსრულების გზაზე, ეს უზარმაზარი დაბრკოლება ეღობებოდა, ხოლო მისთვის გვერდის ავლა დიდი საქმის ჩაფუშვას მოასწავებდა. აქაც დაცულია თანმიმდევრობის პრინციპი. ყველა უმნიშვნელოვანესი საქმე, რაც აქამდე — რუის-ურბნისის კრებამდე— გააკეთა დავითმა თავის ქვეყანაში, ისეთს არაფერს შეიცავდა, რომ მას ავაზაკთა მხრიდან წინააღმდეგობა შეხვედროდა. ეკლესია მხარს უჭერდა აქამდე მეფეს გარეგნულად მაინც, რადგან გარეგნულად ეს საქმეები ეკლესიას არ ეხებოდა, მათ სისტემას — ბნელ საქმეებს არაფრით არ უპირისპირდებოდა, თითქოს არ უპირისპირდებოდა! პირიქით, ახალი სამფლობელოები ემატებოდა ეკლესიას — თურქთაგან დახსნილი მიწების სახით, მრევლი უმრავლდებოდა, შემოსავალი ეზრდებოდა, სარბიელი უფართოვდებოდა...

მაგრამ დუმილი ეკლესიის მისამართით მხოლოდ გარკვეულ დრომდე შეიძლებოდა. დადგა დრო, როდესაც თავისი გეგმების გაგრძელებას მეფე ვეღარც შეიძლებდა ეკლესიის მოუველელად. სულიერი ფორმირების გზაზე საქმემ ითხოვა სწორედ სულიერი სამყაროს სახლები ყოფილიყო სუფთა. მხედრული, ვაჟკაცური მოქმედების, შრომის თვისებები იმ „მოეშენას“ და საბრძოლო გამარჯვებებით გამონათებული და ამზეებული, ვერ უთავსდებოდა „უსჯულოებას და ცოდვას“, რასაც ეკლესიის მსახურნი პირდაპირ კარნახობდნენ თავის მრევლს. ორი ნაკადი — დავითისაგან ქართველი კაცის სულში ამონათებული ღირსებისა და სინათლის ნაკადი — პირდაპირ დაეჯახა შელანძღული ზნეობრივი კატეგორიების ჯებირს, რასაც ეკლესიის მესვეურთა წყალობით ჩაყროდა საფუძველი. არ ჰგავდა ქართული ეკლესია ახლა წინანდელს — გრიგოლ ხანძთელის ეკლესიას, მის მაღალ ზნეობრივ სამსჯავროს, მეფეს და ერს რომ კარნახობდა სულის მთლიანობას და მაქსიმალურ სიწმინდეს. თითო-ოროლა საეკლესიო მსახური ვერაფერს ცვლიდა ამ სისტემაში — ისინი, ალბათ, უსაზღვროდ იტანჯებოდნენ.

დავითის თვალი, ცხადია, ამჩნევდა ერთ არსობრივ მოვლენასაც, წოდებრივი უპირატესობით შექმნილი საეკლესიო სისტემა და შებღალული კრიტერიუმები სრულ თანაზიარობაში იყვნენ „საერო“ მოვლენებთან. დიდგვაროვნების თავგასულობა და „ქვეგამხედვარობა“ არსით იგივე იყო. დავით აღმაშენებელი საერო სფეროებს გაცილებით ადრე შეეხო, მაგრამ არასდროს დავიწყნია, რომ ეკლესიაში იგივე ამბები ხდებოდა. ის უნათლესი გონებით მიდგომა ყოველი საქმისადმი აქაც სრული სიცხადით ჩანს. იცის, როდის უნდა მიხედოს ეკლესიას. ქვეყნის მოძრაობისა და გარდაქმნის პროცესში მან ზუსტად მოინიშნა დრო, როდესაც ეკლესიის პრობლემა უნდა გადაეწყვიტა. მთელი ერი მის მხარეზეა. აქამდე გაკეთებული საქმეები გარკვევით წარმოაჩენენ მის სულისკვეთებას. დიდგვაროვნები ალაგმულია, „არ მოაცალა“ უკეთურ საქმეთა საკეთებლად ისინი მეფემ. ღირსების ნიშნით წინაურდებიან ერთგულნი. ცხადია, დავით აღმაშენებელი თავად იყო უპირველესი ფეოდალი და ფეოდალურ წყობილებას არ დაპირის-

ბირებია, მაგრამ ფეოდალურ სახელმწიფოში არსებობდა განვითარების პროგრესული გზა სოციალური თვალსაზრისითაც. ეს გზა ღირსების მიხედვით ადამიანთა გამორჩევა-დაწინაურებას და მათ გაფეოდალებასაც გულისხმობდა. პროგრესული მოღვაწეობისათვის დასაყრდენი სწორედ ისინი იყვნენ და არა წოდებრიობით გამორჩეული ფენა, რომელიც ძირითადად ამ წოდებრიობისა და „მორჭმულობის“ მემკვიდრეობას ებღაუჭებოდნენ. ეს მემკვიდრეობა მიაჩნდათ მათ მარადიულ ღირსებად. ეს კი ასე არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ნიჭიერი, უნარიანი და ერთგულებით გამორჩეული პიროვნებანი ყველა ფენაში იბადებოდნენ და დროზე იყო საჭირო მათი მიკვლევა, წინ წამოწევა, რადგან ნამდვილი სახელმწიფო მხოლოდ ამ ძალას უნდა დაყრდნობოდა, იგი იდგა მოძრაობის სათავეში, როგორც მოძრაობის მარეგულირებელი და საიმედო მექანიზმი. დავითმა შემოიკრიბა ასეთი ხალხი როგორც დიდგვაროვანთა, ასევე სხვა ფენიდან, მოახდინა კიდეც ამ გზით პირველი სასწაულები... ეკლესია კი, ქვრივთა და ობერთა პირველი მფარველი და მშველელი, ერის სულის მასაზრდოებელი კერა არაკაცთა ხელში აღმოჩნდა. არაკაცთა წირვასა და ლოცვას მუქი საღებავებით შლიდა მათივე არაკაცური, ბნელი საქმეები ხალხის თვალში და ნებით თუ უნებლიეთ თავადაც უწესო ცხოვრებას ეჩვეოდა ხალხი...

ეკლესიის დიდი სისტემა პრობლემად აღიმართა. დავითმა იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა აქ, მაგრამ სანამ თავის სისტემას შესთავაზებდა და დაამკვიდრებდა, მანამ დიდი ბრძოლა იყო გადასახდელი. ეს ბრძოლა არაფრით არ ჩამორჩებოდა არც ერთ ბრძოლას, რაც დავით აღმაშენებელს გადაუხდია თავისი სიცოცხლის განმავლობაში. ეს ბრძოლა გულისხმობდა რთული თეორიით და მტკიცე არგუმენტებით საიმედოდ შეიარაღებულ სისტემასთან დატაკებას. ავაზაკები იყვნენ, მაგრამ ღრმად განათლებულნი იყვნენ ის ავაზაკები. როდესაც დავითმა საეკლესიო კრების გამართვა მოითხოვა, ტყესავით წამოიშალა ეკლესიის მსახურთა არმია. ისინი გრძნობდნენ, რას ნიშნავდა კრების გამართვა, დაყნოსილი ჰქონდათ მეფის განზრახვა და ხვდებოდნენ, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ოპერაცია

მზადდებოდა. მაგრამ მათ ფაქტიურად მოგებული ჰქონდათ ბრძოლა ბაგრატ მეოთხისა და გიორგი მთაწმიდელის წასვლის შემდეგ, დამარცხებული ჰყავდათ გიორგი მეორე. მათი ძალა რაღაც იდუმალ საშინელებას გულისხმობდა, რომლის დაძლევა თითქოს აღემატებოდა მეფეთა შესაძლებლობებს. ეკლესიას თავისი ავტონომია ჰქონდა, უფლებები და პრეტენზიები. იგი ხშირად სახელმწიფოზე მაღლა აყენებდა თავს და პირაქეთ მოითხოვდა მეფის მორჩილებას. ახლა გადამწყვეტი წუთები იდგა. ეს იყო ბრძოლა, რომელიც გონებრივი შესაძლებლობების მაქსიმუმს მოითხოვდა, ამასთან ისეთი ბრძოლა, სადაც დამარცხების შემთხვევაში მეფე უნდა გამოთხოვებოდა თავის უმთავრეს მიზნებს.

დავითის ისტორიკოსი მოკლედ, მაგრამ შთამბეჭდავად გადმოგვცემს კრების შედეგს. მაგრამ სანამ შედეგის შინაარსს და მნიშვნელობას გავაანალიზებდეთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ, როგორი სიმწვავისა იქნებოდა ბრძოლა და რა გონებრივი ძალისხმევით შეიძლებოდა მისი მოგება. ამის ნათელ სურათს, დავითის გონების შესაძლებლობას, განათლების თვალსაწიერს და ლოგიკის ძალას, უფრო პირდაპირ და გამოკვეთილად რომ წარმოგვიდგენს, ჩვენ ვხვდებით სხვა ადგილას. ეს სურათი იძლევა სრულ ინფორმაციას იმ ათასწახნაგოვან, საოცრად დახლართულ, უმძიმეს ბრძოლასა და კამათის მიმდინარეობაზე, რაც გადაიტანა დავით აღმაშენებელმა, რათა გამარჯვებამდე მიეყვანა საქმე.

„მაშინ მოუწოდა მეფემანცა იოანეს, კათალიკოსსა ქართლისასა, და მის ქუეშეთა ეპისკოპოსთა და მეუდაბნოეთა, და არსენის იყალთოელსა, თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენათასა, და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა, და სხუათა მეცნიერთა და ბრძენთა კაცთა.

ყვეს უკუე სიტყვისგება ურთიერთას ცისკრითგან ვიდრე ცხრა ჟამამდე, და ვერას უძლეს დაბოლოებად. რამეთუ იყო ორკერძოვე ძლევის მოყუარება ოდენ და ცუდ სიტყუათა პაექრობა: რამეთუ შევიდიან შეუვალთა საქმეთა და ძნიად გამოსავალთა, რომელი-ესე შეეწყინა მეფესა და რქუა მათ: „თქუენ, მამანო, სიღრმეთა სადამე შესრულ ხართ და უცნაურ-

თა ხედვათა, ვითარცა ფილოსოფოსნი, და ჩუენ ვერა-რას უძლებთ ცნობად, ვითარცა უსწავლელნი და ყოვლად მსოფლიონი. და ესე საცნაურ არს თქუენდა, რამეთუ მე შორს ვარ სწავლულებასა და მეცნიერებასა, ვითარც მხედრობათა შინა აღზრდილი. ამისთვისცა უსწავლელთა და ლიტონთა და მარტივთა მიერ სიტყუათა გეზრახო თქუენ".

ეს დიდი პაექრობა ცხრა ჟამს გაგრძელებულა (ცხრა საათს). იგულისხმება არა რუის-ურბნისის, არამედ ქართველ-სომეხთა შორის წამოჭრილი დავა და ამ ისტორიული ფაქტის ანალიზს იმიტომ ვიშველიებ, მეფის მაქსიმალურ მზადყოფნაზე რომ შეგვექმნას ნათელი წარმოდგენა. თავად ეს ფაქტი სხვა რიგის ფაქტია, და სხვა ადგილას დამოუკიდებლივ განსახილველი.

ცხრა საათის განმავლობაში, როგორც აშკარად ჩანს, ყველა ხერხი და არგუმენტი იქნა მოხმობილი მოპირდაპირე მხარის დასამარცხებლად. ეტყობა უშვერი სიტყვებიც ბლომად დახარჯეს ერთმანეთის გაბაწბილებლად. „შეურაცხყოფა და გამომეტება" იგულისხმება იმ „ცუდ სიტყვაში". რაც მთავარია, უგანათლებულესი საეკლესიო მოღვაწეების კამათი არგუმენტებით, შეხედულებებით, მტრული დაპირისპირებებით ერთმანეთში აირია. ლოგიკა, სიმწყობრე, გამიზნულობა კამათის ქსოვილიდან ამოვარდა, მათ მიერვე წამოჭრილ პრობლემებსა და თანამდევ „ფილოსოფიურ აზრებში" გაიბლართნენ — „შევიდიან შეუვალთა საქმეთა და ძნიად გამოსავალთა". ცხრა ჟამს უსმენდა მეფე, აცლიდა, არ ერეოდა. პრობლემებთან დამოკიდებულებების სინათლე და გარკვეულობა იკარგებოდა... ბოლოს მეფე ჩაერია კამათში, ჩაერია მაშინ, როდესაც უდიდესი განათლების, მსოფლიო მეცნიერების მონაპოვართა მფლობელნი გონებანი ვერას გახდნენ. იგი, სიმშვიდით გარემოსილი, მთლად ანალიზში ჩაძირული, ამ „ცხრა ჟამის" განმავლობაში მთლად დაკვირვებად და შეცნობად ქცეული წარსდგა მოპაექრეთა წინაშე და ბოდიში მოიხადა თავისი „განუსწავლელობისათვის", მოიმიზეზა „მხედრობათა შინა" თავისი აღზრდილობა და წარმოთქვა სიტყვა:

„ესე რა თქუა, იწყო მათდა მიმართ სიტყუათა თქმად, რომელსა ღმერთი მოსცემდა უეჭველად პირსა მისსა, ესეოდენთა

იგავთა და სახეთა წინადაუდებდა, ახსნათა საკვირველთა მიერ წინადაუდგრომელთა და უცილობელთა, რომლითა დაანთქნა, ვითარცა მეგვიპტელნი, და დაუყო პირი მათი და უპასუხო ყვნა და ყოვლად უსიტყუელ, ვითარცა ოდესმე დიდმან ბასილი ათინას შინა".

ისტორიკოსი ძალიან ხშირად იშველიებს დავით აღმაშენებლის თვისებათა დახასიათებისას სიტყვა „ღვთაებრივს", დიახ, იგი ღვთაებრივ ნებას ჰვრეტს დავითის მოქმედებასა, მოძრაობასა და აზროვნებაში. აქ კი თითქოს „ღმერთი მოსცემდა უეშველად პირსა მისსა" ყოველ სიტყვას. სიტყვა უზუსტესი, ერთადერთი, სათქმელის მაქსიმალურად გამომხატველი, ამბავი ტევადი, მაგალითი უპირველესი, ნიმუში უცხადესი, ლოგიკა შეუვალი, ლოგიკა, რასაც წინ ვერ აღუდგებოდა ვერარა ძალა. ყველაფერი უცილობლობის დამღით იყო აღბეჭდილი. მოდიოდა სიტყვა სიტყვაზე, სინათლე სინათლეზე; გარკვეულობა, სიზუსტე, გარდუვალობა, მაქსიმალური დამაჯერებლობა მოჰქონდა სიტყვებს. შეპასუხებისათვის არც სურვილი დარჩა, არც არგუმენტი, არც მოსაზრება. მთელმა კრებამ იგრძნო, რომ განათლებული, ღრმად მცოდნე დიდი ფილოსოფოსანი და მეცნიერნი თავისი გონებრივი შესაძლებლობებით დაბლა დარჩნენ; რაღაც უსაზღვროდ მაღლა მდგომი, თავის უნივერსალურ ნებასა და გონებას გადმოშლიდა...

ერთი წამითაც არ უნდა დავუშვათ, თითქოს განათლებული მამანი, დიდი მეცნიერნი მის მეფურ მდგომარეობას მოერიდნენ. საეკლესიო მოღვაწენი არ ერიდებოდნენ მეფესთან პაექრობას. გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მთაწმიდელი, სხვა ბრავალნი ეპაექრებოდნენ მეფეებს. ისინი კი არ გააჩუმა, გააქვავა აზროვნების სიღრმემ, სინათლემ და სიმწყობრემ, ლოგიკურობამ, არგუმენტების სიმტკიცემ — „დაუყო პირი მათი და უპასუხო ყვნა და ყოვლად უსიტყუელ"...

იგი, უფხიზლესი გონების კაცი, ვის ფიქრსაც ერთი ნიუანსიც არ გამოეპარებოდა სამხედრო პერიპეტიების დროს, ასევე ერთ ნიუანსსაც და დეტალსაც არ ტოვებს წიგნში დანთქმული. ყველაფერს ეძლეოდა მთელი არსებით და ყველაფრიდან ამოჰქონდა მაქსიმუმი. იგი იმდროინდელი მსოფლიოს ყველა მეცნიერული მონაპოვარით იყო შეიარაღებული, ხოლო

მისი განუსაზღვრელი გონებრივი შესაძლებლობანი ამ კოლოსალურ ცოდნას აჯგუფებდა საოცარი თავისთავადობით და თავისუფლებით. სწორედ „სამოციქულო წიგნი“ ჰქონდა ოცდაოთხჯერ წაკითხული. ე. ი. როგორ ემზადებოდა ამ ბრძოლისათვის. ერთიანად ფლობდა ყველაფერს და სადაც კი დასჭირდა, გამოაჩინა ეს უზარმაზარი გონებრივი სიმდიდრე:

„ესე მწვალებელნი და ესეოდენ ზარგაზდილ ყვნა და ყოველად უღონო, რომელთა აღიარეს ცხადად ძლეულება თვისი ამისთა ოდენ მეტყუელთა, ვითარმედ: „ჩუენ, მეფეო, მოწაფე გუეგონე ამათ მოძღუართა თქუენთა, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ სამე ხარ მოძღუარი მოძღუართა, რომლისა ბრჭალსა ვერ მიმწუთარ არიან ეგე მოძღუარ საგონებელნი თქუენნი“. და ესრეთ ფრიად მაბრალობელნი თავისანი მიიქცეს სირცხვილეულნი, არღარა ოდეს მკადრებელნი ამისნი ოდესცა“.

აი, ეს ზღვა ცოდნა, კამათის უნივერსალური ხერხების ფლობა და შეუვალი ლოგიკა იგულისხმება რუის-ურბნისის კრების წარმმართველ ძალად, იმ კრებისა, სადაც სიცოცხლის დათმობას უტოლდებოდა კამათში დათმობა, არგუმენტების უკან წაღება, უკანდახევა საერთოდ! ამ ზღვა ცოდნითა და შეუვალი ლოგიკით იმსხვრეოდა ყველა არგუმენტი, იშლებოდა ყველა მოსაზრება, ნათდებოდა ბნელი სული, ირჩეოდა საქმეები. ამ ზღვა ცოდნითა და შეუვალი ლოგიკით ამბელდა, თავდაცვის სურვილს უსპობდა მოპირდაპირეს. ფეხზე იდგა მთელი საეკლესიო მრევლი, მისი უზარმაზარი ლაშქრობა. არდათმობა, ეკლესიის შეუზღუდავი უფლებების შენარჩუნება, წოდებრიობის დაცვა კბილებით, — სხვაგვარად საკუთარ არსებობაზე უარის თქმად ჩანდა ყველაფერი.

მეფეს შესწავლილი ჰქონდა ყველა არსობრივი დანაშაული. რუის-ურბნისის კრება დაემსგავსა განკითხვის დღეს, სადაც საეკლესიო სისტემამ ყველა ბრძოლა წააგო. არათუ წააგო ბრძოლა, ხმის ამოღების სურვილიც ჩაუქრა. მეფის სურვილების წინააღმდეგ მიმართული დიდი მონდომებითა და ორგანიზებულობით დაწყებული კამპანია ყველა დეტალით განადგურდა. მეფე მოვიდა არა მარტოოდენ მეფური უფლე-

ბებით და ავტორიტეტით, არა ზემოქმედების პრეტენზიით, ადმინისტრირების ძალით! მოვიდა მეფე უნიკალური ცოდნითა და მტკიცე ლოგიკით, დიდი მისიის მტვირთველი და საქართველოს დიდი ინტერესებიდან ამოსული წინამძღოლი. ყველაფერი მიმდინარეობდა ამ ნების სალტეებში, დავითისათვის ჩვეული სიმშვიდის წიაღში. თითქოს სამყაროს დუმილის სიღრმეში იკარგებოდა ის ვნებები და ცხარე-ცხარე შესიტყვებები, რაც მოწინააღმდეგის სისტემის სისუსტეს ავლენდა საბოლოოდ. იდგნენ დავითის გვერდით გიორგი ჭყონდიდელი და სხვა ერთგულნი ერისკაცნი. ეს სკოლა იყო, დავითის პიროვნულ თვისებებსა და შესაძლებლობებზე აღზრდილი სკოლა, საკუთარი სტილის მფლობელი, რომელიც რუის-ურბნისის კრებაზე მართავდა სულიერი ცხოვრების დიამეტრულად შემობრუნების პროცესს.

„და რამეთუ არა სწორ არს ცოდვა მღდელისა და მხედრისა, არცა ერისა და მღდელთ-მთავრისა, არცა მწყემსისა და სამწყსოსა, ვითარც წერილ არს: „მონამან რომელმან იცოდის ნება უფლისა თვისისა და არა განემზადოს ნებისაებრ მისისა იგუემოს ფრიად". ამათ უკუე ესევითართა და დიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრბა ერი მრავალი: რამეთუ სამეფოსა თვისისა კათალიკოსი, მღდელთ-მთავარნი, მეუდაბნოენი, მოძღუარნი და მეცნიერნი შემოკრიბნა წინაშე მისსა ჟამსა. და ადგილსა ჯეროვანსა, და დღეთა მრავალთა ფრიადითა გამოწულილვითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომა განმართეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს..."

„დღეთა მრავალთა" — ამბობს ისტორიკოსი. სიტყვა „გამოწულილვითა" კი მაქსიმალური სიზუსტით გვიხატავს მთელს სურათს. არცერთი „ცთომა" არ რჩება სამხილის გარეშე. გაზომილია ყოველი მათგანის მნიშვნელობა. როგორ ჰგავს ყველაფერი ეს „ღვთის სამსჯავროს", სწორედ „განკითხვის დღეს" და რაოდენ დიდი მისია აკისრია მას: „დიდთა წყლულებათა კურნება" — ერის უზარმაზარ ორგანიზმთან დახრილა თითქოს მკურნალად მეფე-პატრონი, რადგან საეკლესიო სისტემის გაჯანსაღება უპირველეს ყოვლისა ერის დიდი ორგანიზმის წყლულთაგან განკურნებას ნიშნავს. „დღეთა მრავალ-

თა“ მიმდინარეობს ჩაღრმავებული და დაკვირვებული გამოძიება. ცოდვილნი ქვაედებიან, არგუმენტები ხუნდებიან, ასპარეზიდან მიდიან მღვრიე ვნებები. თრთის ყოველი ნერვი ხორცმეტის მოკვეთიასას, ტაბუ ედება დანაშაულს და ცთომის სურვილს, წესზე ითქმის უარი. განკითხვის საგნად ცხადდება ყველა — დიდი და მცირე დანაშაული. ერმა განგაშის ძალით შეიგრძნო განკითხვა. ყველაფერი ეს იყო ავკაცური თეისებების დაუნდობელი და სრული რბევა. .

„უღირსად გამოჩინებულნი განკუეთნეს და შეაჩუენნეს, გარდამოსთხინეს საყდართაგან. დაღათუ ძნელღა იყო ესეც, რამეთუ იყვნეა კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრნეს საყდრები; და მათ წილ ჰეშმარიტნი მწყემსნი და სათნონი ღმრთისანი დაადგინნეს...“

ყურადღებას იქცევს ამ მასშტაბური სურათის ნერვიული მოძრაობა. გონების თვალით დაინახება ის გრანდიოზული სურათი — ეკლესიებიდან, ტაძრებიდან, საყდრებიდან „გარდმონთხეული“ უღირსი მამები შიშველდებიან ქვეყნის წინაშე — ქვეყნის სინდიამა განძარცვა ისინი საეკლესიო ტანსაცმლისაგან, ამ ტანსაცმელში იყო შემძვრალი სატანის სული, რამდენი სამოსი დაეფინა დაბლა, სამუდამოდ დათმო ბნელმა სულმა ის, სულით ხორცამდე გაშიშვლებული ეშმაკეული ვნებები გამობრუნდა წმინდა საყდრებიდან შერცხვენილი და გაწბილებული. წმინდა ტაძრები დასტოვა უკვე წაკითხულმა და გაშიფრულმა მათმა სულმა და ეკლესია-მონასტრების ტალანებში გველის გამოცვლილი პერანგივით დაცვივდა უღირსად ნატარები სამოსი.

დაითხოვეს თითქმის ყველა. „ეს განკუეთება და „შეჩუენება“, „გარდამოსთხინეს“ ისეთ შეუვალობას და პრინციპულობას გულისხმობს, რომ ცხადზე ცხადი ხდება ეკლესიის წყობის ძირფესვიანი შეცვლის მთელი ვნებათაღელვა. რა ტკივილებით, განცდებით, შეუპოვრობით ხორციელდება დიდი საქმე. მთავართა და წარჩინებულთა შვილნი იყვნენო ეს „განკუეთილნი“. კბილებით იბრძოდნენ მთავარნი და წარჩინებულნი და ეკლესიებში ჩამსხდარი მათი შვილები მდგომარეობის შესანარჩუნებლად. გული და ემოცია დიდი სახელმწიფოებრივი

საქმეების მოხდენის ჟამს, როდესაც სიკეთისა და პროგრესისაკენ არის მიმართული ნება, აბსოლუტურად ზედმეტია. დავით აღმაშენებელი, „უძრავი“ გულის ღრმა განცდებში ფლავდა ყველა თავის ურთიერთობას, წყენით მოშვერილ ყველა ნაცნობ თუ უცნობ სახეს, მზერას, გუშინდელ, დღევანდელ და ხვალინდელ დამოკიდებულებებს. ოპერაცია ავალდებულებდა მაქსიმალური სიზუსტითა და შეუზღუდავი პრინციპულობით მიეყვანა საქმე ბოლომდე. იგი ამ ხმას უსმენდა.

დაინიშნენ ღირსეული ადამიანები. ეკლესიის რეფორმა უნივერსალური დაგვირგვინება იყო იმ ანდერძისა, რაც გიორგი მთაწმიდელმა დაუგდო თავის ხალხს. ეს განხორციელებული სინამდვილე იყო უკვე. ამის შემდეგ ეკლესია დგებოდა თავისი დიდი მოწოდების სადარაჯოზე. ერის წვრთნის გრანდიოზული საშუალება დავითის მხარდამხარ დადგა. საერო და საეკლესიო ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებანი ერთმანეთს შეერწყა — თვისებრივად ერთგვარი და ერთმანეთიდან გამომდინარე. რეფორმები ერთმანეთის გაძლიერებას მოემსახურნენ ამ არსობრივი ნათესაობის წყალობით. ახლა, როგორც საეკლესიო, ასევე საერო ცხოვრებაში მოქმედებდა ერთი წესი. წესი წოდებრივ უპირატესობაზე ამაღლებული, წესი ღირსების მიხედვით ადამიანთა გამორჩევისა. ამ გზით მიიღწეოდა ეროვნული ენერგიის მაქსიმალური გამოვლინება. არ იკარგებოდა ნიჭი, ძალა და ენერგია. კალაპოტი უხმობდა ყველა ღირსეულს და უნარს ახარჯვინებდა იქ, სადაც საქვეყნო საქმეები კეთდებოდა. საუკეთესო სურვილები და ოცნებანი ამ ღირსეული პიროვნებებისა საფლავში ჩადიოდა გაუცხადებლად. ახლა ისინი იდგნენ ასპარეზზე და, სიწმინდისა და ქვეყნის მსახურად გაჩენილნი, სრული თვითგაღებით იღვწოდნენ.

მადლიერების გრძნობა შინაგანი სრულფასოვნების უპირველესი გამოხატულებაა... იგი მოწმობს, რომ კეთილი საწყისები — ადამიანური ბუნების ეს უპირველესი ნიშნები—არეგულირებს შინა სამყაროს, იგი წარმმართველია, მან ჩამოაყალიბა პიროვნება, ხალხი და მისი წყალობით ცალკეულ პიროვნებებსაც და მთლიანად ხალხსაც სწორი, კეთილშობილური დამოკიდებულება აქვს მოვლენებისადმი. იგი არ ანებებს ბოროტ ძალას, აამღვრიოს ამ ურთიერთობის კალაპოტი. ალბათ ეს

მადლიერების გრძნობა იღვწის ყოველ ჩვენთაგანში, როდესაც ისტორიისკენ ფიქრით მიბრუნებულებს ისე წარმოგვიდგენია, თითქოს ყოველი წარმატებული სვლისას ერი მადლობას უცხადებდა თავის წინამძღოლს, და ჩვენი ფიქრი, ჩვენი წარმოდგენები მართალია. ის, რაც დავით აღმაშენებელმა თავისი ქვეყნისა და თავისი ხალხისათვის გააკეთა, ისე მომხიბლავი, ისე მნიშვნელოვანი და ისე მარადიულია, რომ რაიმე გაუგებრობასა და წინააღმდეგობაზე ფიქრიც კი ზედმეტი გვეჩვენება. მეფე მოუწოდებდა, ხალხი მიჰყვებოდა. მეფე ხალხთან ერთად იმარჯვებდა, ხალხიც მის თავდადებას აფასებდა — აღმაშენებელი უწოდა, წმინდანად შერაცხა, მის სახელზე ლოცულობდა, ასე ჩანს გარეგნულად.

მაგრამ დავით აღმაშენებლის დამოკიდებულება თავის ხალხთან, ერის სრულქმნის რთული პროცესი, რასაც აღმაშენებელი ხელმძღვანელობდა, გაცილებით ახლოს არის გასაჩხრეკი და სურათსაც სულ სხვაგვარს დავინახავთ. იქნებ წვრილმანად ჩანდეს ახლა, რვა საუკუნის ჩაღლის შემდეგ იმ მასშტაბურ შედეგებთან შედარებით წინააღმდეგობათა ჩხრეკა, ავად თქმული დაუკვირვებელი სიტყვები, მით უმეტეს, რომ მემატიანეები და უპირველეს ყოვლისა, ერთგული დასის წევრები უმალ პასუხს აძლევდნენ ყოველ უმართებულო გამოხდომას.

ხალხის წვრთნის დავითისეული რთული მექანიზმი საკუთარ კანონებს შეიცავს, საკუთარ მოდელებს, ფორმებს ფლობს, მეთოდებსა და ხერხებს მიისთვლის. რაც მთავარია, ამ დიდი სიყვარულითა და ტკივილით გზაგაკაფულ ურთიერთობაში ჩვენი არსებობის წესები და კანონები დაკრისტალდა. ისინი მარადიულ შინაარსად გამოარჩია ხალხმა თავისი ისტორიული მოძრაობის გზაზე. ხალხის წვრთნის ურთულესი მოვლენა, ქვეყნის ცხოვრების მოსავლელი კანონები მუდამ მაქსიმალურ ყურადღებას ითხოვს და ასევე მაქსიმალურ სიფხიზლეს გვავალებს. ხალხთან გონივრული ურთიერთობისა და წვრთნის პროცესი დავითის ეპოქაში არ დამთავრებულა! იგი სიცოცხლესავით მარადიულია და ისტორიის ყოველ მონაკვეთში მოქმედებს გამუდმებით, ყოველ მონაკვეთში ითხოვს ყურადღებას. ამდენად ის რთული მექანიზმი, რაც დავითმა თავისი

დროის შესაფერისად გამოიყენა, ჩვენთვის მარტოოდენ ისტორიული ფაქტი არ არის. იგი მუდმივმოქმედი კანონია, რომლისთვისაც ყურისგდება უბრალოდ ჩვენი ვალია, ურომლისოდაც წინ ნაბიჯსაც ვერ წავდგამთ. იგი ისტორიის გაკვეთილია, გამოცდილებაა, სიბრძნეა, რაც ჩვენ რეალობად გვრჩება ხელთ იმავე ისტორიისაგან.

როგორ ეგებება დიდი წინამძღოლის პოლიტიკურ ჩანაფიქრს და საშინაო გარდაქმნებს ერის ნაწილი? როგორია მისი განწყობილება, რას არის დაფუძნებული ის განწყობილება, რას ეყრდნობა მისი შეფასებანი, სიღრმისეულია თუ ზედაპირული? თუ სიღრმისეულია, სად უდევს მიზეზი, თუ ზედაპირულია, რისი წყალობით არის ასე ღონიერი, რა კვებავს, რა ზრდის ძლიერებამდე ამ ზედაპირულობას?

თავდაპირველად დავაკვირდეთ, რა ძალისა იყო წინააღმდეგობა, ვნახოთ, იქნებ არც არის ანგარიშგასაწევი.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: „ხოლო არიან ვინმე მაბრალობელნი მეფისანი ჯერეთცა ესეოდენ მჭირხედ მოქალაქობისა და მოლაშქრეობისათვის და მხედრობათა მისთა განუსუენებელისა მიმოსლვისათვის და დაჭირვებისა, ვითარმედ: „არცა მშვილდი თავს იდებსო მარადის გარდაცმულობასა, არცა ძალი ორღანოსა მარადის განსხირპულობასა, რამეთუ ჟამსა ხმარებისა მათისასა თითოეული მათი უხმარ იპოვოსო“. და ესევითართა უგიობლისა მისთვის და ყოველად უმიზეზოსა იტყვიან“.

ამ სიტყვების შემდეგ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი იძულებულია შეახსენოს „მაბრალობლებს“, თუ რარიგ განადგურებული ქვეყანა დახვდა დავითს, და სადამდე აიყვანა მან ეს ქვეყანა. ბოლოს დასძენს :„თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგსა, და თუმცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინამცა გენახნეს ნაქმარნი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი“.

უფრო ქვემოთ: „კუალად სხუასა ბრალობასა შემოიღებენ მეტყუელნი ესრეთ: „შეიყუარნის ვინმე და განადიდნის ვინმეო, და კუალად მოიძულნის ვინმე და დაამცირნისო, ესე აღამაღლის და ესე დაამდაბლისო“ ეჰა, უსამართლობასა, ოი,

უგუნურებასა! ამისთვის აბრალება, რამეთუ კაცი მიწისაგანი ღმერთსა ემსგავსა რომლითაცა საქმითა? ვინ იხილა ესე საუკუნითგან, ოი, კაცო? ამისთვის რად არა ღმერთსაცა აბრალებ, უგუნურო, ამასვე ესრეთ მოქმედსა? ანუ არა ხუთთა ქანქართა ათ-მყოფელსა მისცნა ათნი ქანქარნი? ანუ არა ერთისა დამფლველსა მოუღო იგიცა და მისცა ათთა ზედა მეთერთმეტედ?“

ისტორიკოსი აქაც იძულებულია ბრალმდებლებს დაუპირისპირდეს: „ანუ რისთვის ქადაგებულ არიან სამოთხისა შუებანი და სასუფეველისა ნეტარებანი ღმრთისა ნების მყოფელთათვის ჟეშმარიტად, ხოლო საშინელებანი ურჩთა და უღირსთათვის? უკეთუ მეფემან ერთგულნი, ფრთხილნი და ახოვანნი, ნაცვლად ორგულთა, ჯაბანთა და უღირსთა, ადიდნეს, რა უსამართლო ქმნა? ნუ უკუე დუხჭირმანცა აბრალოს სარკესა, რამეთუ სახე მისი ცხადად უჩუენის: უხმარნი და უღირსნი ნუ მჯს, არამედ თავთა თვისთა აბრალებდნენ. უკეთუ არა, ვინ იყო ესოდენ მართლაც აღმწონელ საქმეთა და მცნობელ ვითარებასა კაცისასა, რომლისა აჩრდილსა შეკრებულ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ხელმწიფენი ოვსეთისა და ყიეჩაყეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი, ხილვისაებრ ნაბუქოდონოსორისა“.

წინააღმდეგობის რკალი დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის მთელს გზაზეა გადაჭიმული. არ აფეთქებულა იგი მხოლოდ მეფობის დასაწყისში და არ ჩამქრალა იქვე, წინ აღუდგებოდა დავითის ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებას. დავით აღმაშენებელმა დაამკვიდრა სტილი ღირსეულთა ამაღლებისა და უღირსთა დადაბლებისა. ამას იქმოდა მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე, ე. ი. მთელი მისი მოღვაწეობის განმავლობაში ფეთქდა დიდი წინააღმდეგობა: „შეიყუარნის ვინმე და განადიდნის ვინმეო... ესე აღამაღლის და ესე დაამდაბლისო“. ეს გახლდათ წოდებრივი შეზღუდულობის მაგიური ძალა, რომელიც გონებას განათების საშუალებას არ აძლევდა და ვერ ეგუებოდა რა ამ „უღვთო“ გარდაქმნას, დღენიადაგ კილავდა მეფის ნაბიჯებს, თავის წიაღში ჩეკდა ორგულთ და „ქვეგამხედვართ“.

არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, რაიმეს აღწევ-

დნენ თუ არა ამ უკმაყოფილების აეტორები, მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მეფე დავითს ძლიერი წინააღმდეგობა ხვდებოდა თავისი რეფორმატორული ბუნების გამო.

მთელი სიცოცხლის განმავლობაში გასდევდა დავით აღმაშენებელს მეორე რიგის მტრობა: „ხოლო არიან ვინმე მაბრალობელნი მეფისანი ჯერეთცა ესოდენ მჭირხედ მოქალაქობისა დამოლაშქრეობისათვის და მხედრობათა მისთა განუსუენებელისა მიმოსლვისათვის და დაჭირებისა, ვითარმედ: „არცა მშვილდი თავს იდებსო მარადის გარდაცმულობასა, არცა ძალი ორღანოსა მარადის განსხირპულობასა, რამეთუ ჟამსა ხმარებისა მათისასა თითოეული მათი უხმარ იპოვოსო“. ეს უკანასკნელი ყოველდღიურად საგრძნობი წინააღმდეგობაა. რაზე მეტყველებდა იგი? სანამ ამ საგანს მივუბრუნდებოდეთ, დავაკვირდეთ, როგორი მტკივნეულია თავისი რაობით. მთელი სიცოცხლის მანძილზე უტრიალებდა უკმაყოფილება და უმადურობა დავითს თვალწინ; უკმაყოფილება იმის გამო, რომ ქართველ ხალხს ხანგრძლივ უწევდა ლაშქრობაში ყოფნა, მზადება, წვრთნა, აკლდა ძილი და მოსვენება. დავითის სამხედრო რეჟიმს ვერ ეგუებოდა სხვა დროს თავისუფალ ნებას მიშვებული ხალხის ერთი ნაწილი და საერთოდაც მუდმივი ლაშქრობებით და „განუსუენებლობით“ ვინ იქნებოდა კმაყოფილი. ასეთ დაძაბულ მზადყოფნას ვერაფერი ვერ გაუძლებსო, ამბობდნენ მოპირდაპირეთა ბანაკში, „ბრძნული“ ანდაზაც შეუთხზავთ: „არცა მშვილდი თავს იდებსო მარადის გარდაცმულობასა, არცა ძალი ორღანოსა მარადის განსხირპულობასა“, ასეთ მარადიულ დაჭიმულობაში ისინი უსათუოდ წარხდებიანო.

დავით აღმაშენებელი დღიდან გამეფებისა გარდაცვალებამდე ხმალგაშიშვლებული იდგა საქართველოს ინტერესების სადარაჯოზე, ე. ი. მისი ლაშქარიც ლარივით მოზიდული ელოდა მტერს, აკლდა ძილი და მოსვენება. ე. ი. მთელი სიცოცხლის განმავლობაში დუღდა უკმაყოფილება მავანთა და მავანთა გულში, იმ ძალით დუღდა, რომ თავს ვერ იკავებდნენ და მეფის ყურამდეც აღწევდა ამ უკმაყოფილების ხმები. ამიტომ გახდა იძულებული მემატიანე აღენიშნა მათი წყენა და დრტვინვა, აღენუსხა ვულკანი, რომლის წინაშე დუმილი გა-

უმართლებელი ჩანდა. აღენიშნა და იძულებული გახდა კიდეც საპირისპირო არგუმენტები მოეყვანა. აღმაშენებლის სამხედრო დისციპლინისადმი დაუმორჩილებლობის გრძნობა სულ ფეთქავდა.

სასახელო საქმეების წილ კილვა რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდებოდა, ამას მოწმობს მეფის მიერ გატარებული ორი ღონისძიება. ბირველი: იგი გამუდმებით დარაჯობდა ერთგული მაცნეების წყალობით „ქვეგამხედვართა“ და ერთგულთა ფიქრს და მეორე: „არასდროს არ მოაცალა“ უკეთურნი ბოროტი საქმის მოსახდენად. რომ „არ მოაცალა“ — ეს მისი ხელოვნებაა, მაგრამ შინაგანად მუდამ მზად რომ იყვნენ შეთქმულების მოსაწყობად, ეს ხომ გაუთავებელი ვერაგობის მამხილებელიაi მას, ქვეყნის განმადიდებელს, გამაფართოებელს, თურქთა თარეშის მომსპობს, აღმაშენებელს, თანადგომის ნაცვლად შეთქმულების მოლოდინი და საფრთხე უნდა სტანჯავდეს. აი, რას აგებებს პასუხად ერის ანგარიშგასაწევი ნაწილი.

წინააღმდეგობა რომ განუწყვეტელი იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მეფეს ყივჩაღთა გადმოსახლება მოუხდა. მუდმივი არმიის შექმნა ერთის მხრივ ემსახურებოდა საქართველოს გარეშე მტრების დათრგუნვის მიზანს და ამ უმაღლეს მიზანთან ერთად შინაური მტრების ალაგმვაც ეკისრებოდა მას. რაც მთავარია, წინააღმდეგობა მას შეხვდა თავად ყივჩაღთა გადმოსახლების გრანდიოზული ოპერაციის გამოც. აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი, ისევე, როგორც სხვა ისტორიკოსები, საგანგებოდ ლაპარაკობს იმ უკმაყოფილებაზე, რასაც თავის მრევლში წააწყდა დავით აღმაშენებელი აღნიშნული მოვლენის გამო.

მივაქციოთ ყურადღება, რომ „ღვთით მირონცხებულ“ მეფეს ხვდება თავისი ხალხის ანგარიშგასაწევი ნაწილისაგან ეს წინააღმდეგობა. ისიც გავითვალისწინოთ, რომ ფეოდალური საქართველოა, სადაც წოდებრივ უპირატესობაზე დამყარებული ინსტიტუტი იღწვის, და ისიც დავსძინოთ, რომ წინააღმდეგობას წოდებრივად უფლებამოსილი ხალხი სწევს. ისინი, ვის ხელშიცაა ფაქტიურად მთელი ამ სისტემის სადავეები, ამიტომ არის მოკლებული სიზუსტეს, როდესაც ვამბობ, ხალ-

ხის ერთი ნაწილი-მეთქი. ვერ ამბობს სრულად სათქმელს, უფრო სწორად, სრულად ვერ შეგვაგრძნობინებს ამ მოვლენის ძალას სიტყვა „ნაწილი“. მხოლოდ იმიტომ, რომ არ გვინდა ხალხი ვთქვათ, არ გვინდა და არც შეიძლება მთელს ერს დაბრალდეს ეს წინააღმდეგობა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ხალხს ეს მტრული ნაწილი მართავს თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობის წყალობით. მაშასადამე, „ხალხის ნაწილი“ იმაზე მეტს ნიშნავს, ვიდრე სიტყვები იტევს. წინააღმდეგობა არის ტოტალური, ჩაუმცხრალი და უაღრესად საშიში.

დავითი ღირსეულს აწინაურებდა როგორც დიდგვაროვანთა წრიდან, ასევე დაბალი ფენებიდან. ეს მისი გონიერულობისა და სამართლიანობის მაუწყებელი გახლდათ. ცხადია, იგი ფორმაციის შეცვლას კი არა, ადამიანის ღირსების, შინაგანი სიწმინდის და ენერგიის გამოყენებას ისახავდა მიზნად. მაგრამ დიდგვაროვნები უღირსობისათვის მათ გადაყენებას და „დამდაბლებას“ წოდებრიობის წინააღმდეგ გალაშქრებად ცთვლიდნენ მეფეს და ამ საფარიდან ებრძოდნენ. ეს ყველაფერი, ახსნილია, როგორც მეფის ტენდენციურობა: „შეიყუარნის ვინმე და განადიდნის ვინმეო, და კუალად მოიძულნოს ვინმე და დაამცირნისო“, არავის არ უნდა დაინახოს თუ რატომ შეიყვარებს და რატომ განადიდებს, რატომ შეიძულებს და რატომ დაამცირებს. არავის არ უნდა თავისი უღირსობა აღიაროს!

საეკლესიო კრება, როგორც ვიცით, რამდენიმე დღეს გაგრძელდა, ყოველი საქმე გაჩხრეკილი იქნა ფესვებითურთ, ყველა კანდიდატურა შეცნობილი და დახასიათებული. ყოველი თანამდებობის უკან დიდგვაროვანთა არმია იდგა. მემატიანე საგანგებოდ მიუთითებს, თუ რა ძნელი იყო ამის გამო ყოველივე, რომ ეკლესიის მსახურნი დიდი ხალხის შვილები იყვნენ. მათი ცდისა და მეცადინეობის გადალახვა ურთულესი საქმე გახლდათ: „დაღათუ ძნელღა იყო ესე, რამეთუ იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრნეს საყდრები“... დიახ, ძნელი იყო. ძალზე ძნელი! მემატიანის სიტყვებში პირდაპირ ტევრივით გაუვალია დაპირპირებანი. მაგალითები. „მრავალთა დღეთა“ მტკიცება დაჭირდა მეფეს, რათა დაემტკიცებინა მოპირდაპირეთათვის, რაოდენ სამართლიანი იყო მისი გადაწყვეტილება, რატომ

იყო იძულებული ეს ღონისძიებანი გაეტარებინა. წინააღმდეგობა უდრიდა ძალას, რაც ამ ღონისძიების გატარებისათვის იყო საჭირო. ამიტომ არ მიიღწეოდა არაფერი ადვილად. დროთა განმავლობაში ვერავინ შეიძლო ეკლესიის დამახინჯებული ცხოვრების წესის შეცვლა, იქ მოკალათებული „ავაზაკების“ დათხოვნა, თვით გიორგი მთაწმიდელის ცდა და მეცადინეობა არ აღმოჩნდა საკმარისი. შეუძლებელი ჩანდა ამ რეფორმის მოხდენა. საეკლესიო კრების სამზადისი, „მრავალთა ღღეთა“ წარმართული კვლევა და კამათი ისედაც მეტყველებს, რომ სასწორზე იდო მეფის მიზანი, არავინ უწყოდა, რომელი მხარე გაიმარჯვებდა. მარტო მეფე და მისი ერთგული დასი არ ამხელდა, მეფესა და მის ერთგულ დასსაც ამხელდნენ! კონკრეტული საბუთები და კონკრეტული განხილვა შეიქნა საჭირო ყოველი საქმის გასასრულებლად. მეფემ და მისმა ერთგულმა ხალხმა უზღვავი ენერგიის გაღების შემდეგ მიაღწიეს გამარჯვებას. ეკლესიის ადრინდელი მესვეურნი დამარცხდნენ, რეფორმა განხორციელდა, სრული რეორგანიზაცია ჩატარდა. მაგრამ რეფორმის მოხდენისთანავე არ ჩამცხრალა ბრძოლა! დამარცხებულთა გულსა და ოჯახებში დაისადგურა უკმაყოფილებამ, დაისადგურა ზიზღმა დავითისადმი, მტრობამ, შენიღბულმა ურთიერთობამ, გაუცნობიერებელმა და გაცნობიერებულმა სიძულვილმა. ტრიალებდა ეს ენება — ღობე-ღობე, ტყე-ტყე, დაძრწოდა, მალულად იზრდებოდა, მკვრივდებოდა, ეძებდა ახალ საფარს და იმ საფარიდან ესროდა მოწამლულ ისრებს. ეს მისი მოძრაობის ნიშანია სიტყვები: „შეიყუარნის ვინმე და განადიდნის ვინმეო, და კუალად მოიძულნის ვინმე და დაამცირნისო, ესე აღამაღლის და ესე დაამდაბლისო“... ეს მოძრაობა უერთდებოდა საერო ასპარეზზე „დამდაბლებულთა“ ენებას და იკვრებოდა ჯებირი, რასაც აწყდებოდა დავითის ცეცხლოვანი ენერგია, ანგრევდა, ნაცარტუტად ფანტავდა; კვლავ შეიკროდა, კვლავ ინგრეოდა ჯებირი... დაპირისპირებული ძალა განსაკუთრებით ცხადად იზომება სიტყვებით, რომლითაც ცდილობს ისტორიკოსი ყველა ბრალდების გაბათილებას. როგორი ექსპრესია იგრძნობა მის მტკიცებაში! რაკი ექსპრესია დიდია, ისიც ცხადი ხდება, რა შემაწუხებელი ყოფილა მკილავთა ღვარძლი და გესლი:

„ეჰა უსამართლობასა, ოი, უგუნურებასა! ამისთვის აბრალებ, რამეთუ კაცი მიწისაგანი ღმერთსა ემსგავსა რომლითაცა საქმითა?“

ისტორიკოსი აღშფოთებულია უმადურობის გრძნობით. რამდენად უნდა დააბრმავოს სიძულვილმა ადამიანის გონება, რომ კილვა დაიწყო აღმაშენებლის, იმ ადამიანის, რომელიც „ღვთაებრიობამდე“ ამაღლდა. სადამდე უნდა გათავხედდეს ადამიანთა უგუნურება და მზერა დააბნელოს, რომ დავითის შარავანდედი არ დაინახოს. ვერა, განაწყენებული წრეები ვერ ხედავენ ზღაპრული გამარჯვებებისა და ვეღიდეს საქმეთა სიმაღლეებს, საერთოდ არ უნდათ იქით გაიხედონ. ეს არსია, „თავის ჯამში მაცქერალთა“ არსი. ხალხი, ქვეყანა, სახელმწიფო ინტერესები — ყველაფერი უანგარობად განიცდება მათ მიერ. საკუთარი კეთილდღეობის გარდა ვერაფერში ხედავენ ადამიანის დანიშნულებას. ამიტომ ყველაფერს სწირავენ მას — პრინციპს, სინდისს, მოვალეობას. ყველაფრის გაწირვისათვის რომ „გარდმოანთხინეს“ საყდრებიდან, ამაზე დაფიქრების სურვილიც კი არ აწუხებთ, — უსამართლობად უთვლიან მეფეს ამ ნაბიჯს! ტენდენციურობად ახასიათებენ მის მიდგომას. საკუთარი სიამოვნებისათვის „უჩნთ“ ეს ქვეყანა. ამ სიამოვნების შესასრუტად მისდევდნენ ცხოვრების დამღუპველ წესს. მეფის ნაბიჯსაც ანგარებითი ინტერესების გამოხატულებად აცხადებენ, გუნება-განწყობილების მიხედვით აღამაღლებს და დაამცირებს ადამიანსო. გაუგებარია მათთვის ამაღლებული მიზნები, იდეალები, ეუცხოებათ საქვეყნო ინტერესები. საკუთარმა, უმძიმესმა დანაშაულმა მაინც უნდა გააჩუმოს, მაგრამ არა, შეტევაზე გადმოდის, ქვეყანას წამლავს მეფის საკილავი სიტყვებით, უსამართლობად ნათლავს მის პრინციპულ დამოკიდებულებას ქვეყნის დამაქცევართა მიმართ. უმძიმეს დანაშაულში რომ ამხილეს, ეს დუმილს კი არ ჯარნახობს, დასაპირისპირებლად განაწყობს. ასეთია უგუნურების არსი, რაზეც დაჟინებით მიუთითებს ისტორიკოსი, რაც ყოველ დროში სისხლს უშრობდა ქვეყნის მაქსიმალური ორგანიზების მოწადინე წინამძღოლებს. არათუ მონანიება და კეთილ საქმეთა კეთება, გაჩუმებაც არ შეუძლიათ. იარაღი აღუპყრიათ — გესლიანი ენა—როგორც უმწარესი მახვილი და

ქვეყნისა და მეფის სურვილების წინააღმდეგ მიუმართავთ.

ქვეყანა რომ ამდაგვარი ადამიანების უმადურობის გრძნობაზე იყოს დამოკიდებული, უმოკლეს დროში დაიქცეოდა ყველაფერი, მაგრამ, საბედნიეროდ, მიუხედავად ანგარიშგასაწევი ძალისა, არც ბოროტებას შეუძლია ყოვლის მოცვა. მისი ყურისგდება არც ღირდა ალბათ, დიდი მასშტაბისა რომ არ იყოს ზოგჯერ ცილისმწამებელთა უარგუმენტო ბრალდებანი. მწვამლული ჰაერის დინება რომ არ გადადიოდეს ხალხის თავზე. „ოი, კაცო? ამისთვისც რად არა ღმერთსაცა აბრალებ, უგუნურო, ამასვე ესრეთ მოქმედსა?“ — რასაც დავითი აკეთებდა, ღვთის სამართალივით ზუსტი და ნაღდი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უდიდესი სამართალი კაცის ხელით განხორციელდა, მისი გაჭირდვა მაინც გაბედა ბოროტმა ენამ. გაბედა, მიუხედავად იმისა, რომ აღმაშენებელი აკეთებს იმას, რასაც განგება კარნახობს — ასეა ხალხისა და ისტორიკოსისაგან დანაბული და განცდილი. მისი მოქმედების შინაარსი „ღვთაებრივი სამართლიანობით“ არის განსაზღვრული. მისგან კაცის შეყვარება და ამაღლება, მისგან კაცის შეძულება და დამდაბლება, უმაღლესი სიმართლის გამოხატულებაა და ის „თავის ჯამს ჩამაცქერალთა“ არსი მაინც უპირისპირდება, თუნდაც დაანახო, რომ ამასვე იქმოდა მათი მისამართით ღმერთი. მაინც უპირისპირდება!

ამ არსისათვის დათმობა არ შეიძლება. რა ბადებს მას, საიდან ამოიზრდება, რატომ არ სცხია ერთგულების ნიშანი, რატომ არ მსჭვალავს ქვეყნისათვის სამსახურის სურვილი. ადამის ძედ გაჩენილი, მთლიანად რად მიიქცევა პირუტყვისაკენ, საკუთარი თავის სიამოვნებად, ჭამად, სმად, განცხრომად, მცონარებად., რატომ აჭარბებს იმავე პირუტყვს მადით, სიხარბით, უძღომელობით. ფაქტია, რომ მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე მოფიქრალი არსია. ქვეყანა თავის სასიამოვნოდ უჩნს და ასეც ცხოვრობს. არც ღვთის შიში აქვს, არც მეფის, არც ქვეყანა ენაღვლება, არც ერი. არც სამუდამო სატანჯველი აშინებს, საკუთარ დანაშაულსაც ვერ ხედავს, არც თელის დანაშაულად ეკლესიის თაღების შებღალვას, ქრთამს... „უკეთუ მეფემან ერთგულნი, ფრთხილნი და ახოვანნი, ნაც-

ვლად ორგულთა, ჯაბანთა და უღირსთა, ადიდნეს, რა უსაშართლო ქმნა?“ ამ კითხვის დასმა დასჭირდა ისტორიკოსს. მოწინააღმდეგეთა გესლი და კილვა თითქოს არნახული ღონით აწვებოდა მეფური სამართლის ტახტს. იმდენად დიდი ძალით, რომ ისტორიკოსი სერიოზულ, საგანგებო კამათს მართავს მათთან. თითქოს არგუმენტების გადაქელვას ესწრაფვიან აბეზარი სულის ადამიანები. ისტორიკოსი ამად არის იძულებული, მეფის ღირსებების სამართლიანობა დაამტკიცოს. მოწინააღმდეგეთა ძალა რომ დიდი და ანგარიშგასაწევი არ იყოს, ასეთ საგანგებო ანალიზს არ გამართავდა მემატიანე. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი კი, თითქოს სამსჯავროზე დამდგარი ორატორი იყოს, თავგამოდებით იცავს მეფის სასახელო ნაბიჯებს, და თავგანწირვით უკუაგდებს მკილავთა არგუმენტებს: „ნუ უკუე და ლომსაცა აბრალონ ეგევითართა, რამეთუ არა ცილდამტკავლურად იხედავს, არცა კუერნაულად კრთების“. სხვა შინაარსიც დევს ამ სიტყვებში, მაგრამ მოწინააღმდეგენი რომ აღმაშენებლის შორსმჭვრეტელურ პოლიტიკურ ღონისძიებებში სწორედ ლომურ შორს ხედვას და დიდ სიბრძნეს ებრძოდნენ, ამჯერად ეს არის საინტერესო. ისინი სწორედ „ცილდამტკავლური“ ცხოვრების წესს მისდევდნენ, ამ „ცილდამტკავლურობის“ ზურგზე გადავლილი გოლიათის ფეხისგულებს ჩხვეროვენ ეკლებით.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, მართალია, იძულებულია ამტკიცოს „მაბრალობელთა“ საწინააღმდეგო მოსაზრებანი, მაგრამ ამ ტონში, რასაც მისი სიტყვები გამოსცემენ, მართლა დამცველის პოზიცია კი არა, მსჯავრმდებლის ნება იხატება. იგი პირდაპირ გაცოფებულია უგუნურებისა და უსაშართლობის გამო, რომელიც დაინახა მეფის მკილავთა ბუნებაში. იგი არა მარტო უმტკიცებს, უფრო უწყრება მოპირდაპირე დასს, უწყრება გონებრივი სიბნელისათვის, დიადის დაუნახაობისათვის. ამ გაცეცხლებაში, ამ რისხვაში ჩანს რწმენა—რწმენა დავითის საქმეთა სიდიადისა, მისი უზადობისა. აქ როგორ შეიძლება ეჭვი, დაპირისპირება, კილვა და თუ აქაც შეიძლება, მაშინ უგუნურებას მოუცავს ჩვენი სული. თითქოს მწარე სიტყვების მათრახით ცდილობს ჩაბნელებული გონების განათებას. უნდა გადახსნას ის ბნელი და სინათლის ნაკა-

დი მიუშვას თანამემამულეთა სულში. ამიტომ მოაგონებს ყველას, რა ქვეყანა ჩაიბარა დავითმა, როგორი იყო მიწისძვრისა და თურქებისაგან დანგრეული საქართველო, როგორი შეჭირვებული, დაბეჩავებული, დაპატარავებული, ერთიღა ლიხს იქით მიმწყვდეული ქართული სული. რასა ჰგავდა ლაშქარი, მოლაშქრე. სად იყო შეხიზნული დამფრთხალი ხალხი, როგორ იყო გართხმული მიწაზე ქალაქები, ტაძრები, ეკლესიები, დანახშირებული სოფლები. მოაგონებს ყველას, როგორ აღორძინა დავითმა ხალხი, ქვეყანა, რად გარდაისახა ბეჩავი ლაშქარი, რა მტერი დაამარცხა, სადამდის გასწია ქვეყნის საზღვრები. ყველაფერს ამას „მაბრალობელთა“ გესლიანი სიტყვების გასაფანტავად მოაგონებს. ჩვენ უმეტესწილად იმ ფაქტებს ცალკე ვსწავლობთ — კერძოდ იმას, თუ რა გაუკეთებია დავით აღმაშენებელს, მაგრამ ამჯერად საჭიროა ერთიანობაში განვიხილოთ ყველა მოვლენა. კერძოდ უნდა ჩავუკვირდეთ იმ გარემოებას, რომ ისტორიკოსი, უმადურობითა და უსამართლობით გაღიზიანებული „თვალებში ჩრის“ „მკლავთა უგუნურებას“ დავითის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს ფაქტებს. აჰა, იხილეთ! ეს პათოსი გასდევს გაცეცხლებულ მტკიცებას. დამშვიდებული საუბარი საერთოდ უცხოა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისათვის, რადგან იგი ერთიანად ატაცებული ჰყავს დავითის მოღვაწეობის ჰეშმარიტ ბუნებას. გასაგებია მისი ღელვა! სხვა ღელვაა, „ღვთაებრივი ნიშატი“ ღვივის მის ღელვაში. აქ კი, „მაბრალობელთა“ წინააღმდეგ გაშიშვლებულ სიტყვაში რისხვა ელავს, გაოცებაშეზავებული რისხვა. დიახ, მისთვის წარმოუდგენელია, საერთოდ თუ იქნებოდა შესაძლებელი რაიმე წუნის დადება დავითის თავგანწირული და ბრძნული მოქმედებისათვის. რაიმე წუნი კი არა, ყველაფერი დაუწუნეს: ლაშქრის დისციპლინა, დიდი სამხედრო რეორგანიზაცია, ეკლესიის განწმენდა, ღირსეულ კაცთა დაწინაურება, ეროვნული სიფხიზლის აღორძინება, მუდმივი ლაშქრის შექმნა... ძილი და მოსვენება დაგვეკარგაო, ჩივიან. კაცმა რომ თქვას, მართლაც ყველაფერი დაუწუნეს, რადგან დავით აღმაშენებლის უმთავრესი საქმენი ესაა: დისციპლინა, სამხედრო რეორგანიზაცია, მუდმივი ლაშქარი, ეკლესიის განწმენდა, ლაშქრობები... ეს მისი მოღვაწეობის მწვერვალებია.

თურქ-სელჩუკების განდევნა და საქართველოს გაერთიანება ამ ღონისძიების წყალობით რომ შეიქმნა შესაძლებელი, ამის დანახვას დიდი დაკვირვება არც სჭირდებოდა.

წინააღმდეგობის ხანგრძლივობასა და ძალაზე დაკვირვება მარტო იმისათვის არ გვჭირდება, დავინახოთ, რა სიმაღლის და სიმტკიცის ჯებირები გადალახა დავით აღმაშენებელმა. ამ წინააღმდეგობის ბუნების შესწავლა მომავალში დაგვეხმარება, იმ არსის დანახვაში დაგვეხმარება, რასაც უმკურნალა თავისი გაბედული გადაწყვეტილებებით დავით აღმაშენებელმა.

წინააღმდეგობის ძალა კი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ აღმაშენებლის ისტორიკოსი უმკაცრეს განაჩენამდე მიიყვანა. რას ვიზამთ, ჩვენ უნდა მივუბრუნდეთ მის სიტყვებს: „ვინათგან ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თვისთა უფალთა... ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“... საუკუნეთა სიღრმეში გადაინაცვლა ისტორიკოსის მზერამ, არ დასჯერდა აწმყოს მისი მხილების პათოსი, შორს გაგვახედა, საქმეებზე მიგვანიშნა, იმ საქმეებზე, რაც ქართველთა ბუნების ორგულობაზე მეტყველებს. ქართველთა ბუნების ორგულად გამოცხადება უგუნური, განუწყვეტელი წინააღმდეგობისკენ მიმართული მძაფრი რეაქციაა. მოწინააღმდეგეთა გაჯიქებულმა ბუნებამ აიძულა ისტორიკოსი ეთქვა: „თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგსა. და თუცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი, უაღრუსნი სხუათა ქებულთანი“.

ორივე შეფასება მეტისმეტად ტევად ცნობებს შეიცავს. ცხადია, ისტორიკოსი გზადაგზა აქებს კიდეც ქართველი ხალხის თვისებებს, ახსოვს მისი საუკეთესო ნაწილი, მოგვითხრობს მათზე. მარტო გიორგი ჭყონდიდელის, ნიანია ბაკურიანის, არსენი იყალთოელის და მათ გვერდით ნაგულისხმევი ერის შეგნებული და უერთგულესი შვილების შესახებ თქმული რად ღირს. ან თავად დავით აღმაშენებლის პიროვნება, რომლის თვისებათა დახასიათებას უდიდესი დრო და ენერგია დახარჯა ისტორიკოსმა. უდიდესი ხელოვნებაც დასჭირდა საიმისოდ, რომ ეს დიდებული თვისებანი ერთი პიროვნების საწ-

ყაოდ აეკინძა. ის თვისებანი კი ქართველი ხალხის არსის თვისებანია, დავითი ამ წიაღის ღვიძლი შვილია, ის და მისი წარმომშობი არსი განუყრელნი არიან.

მხოლოდ უკიდურესი აღშფოთების ჟამს ამხელს ქართველი კაცი იმ თვისებებს, რომელიც „ქართველთა ბუნებაში“ თვლემს და ზოგჯერ მთელ ქვეყანას მოეფინება. უკიდურეს შეჭირვებამდე ნიღბავს მას, მალავს, არ იხედება იქით. იგი კი თავისი კანონზომიერებით არსებობს, თუ გზას საგულდაგულოდ არ გადაუკეტავენ, დღის სინათლეს დახარბებით ესწრაფვის. დავითისაგან მობილიზებული ქვეყნის სასიცოცხლო ძალები უკვე აშიშვლებდნენ ბნელ თვისებებს. ისინი გამჟღავდნენ! ნათელი იმდენად კაშკაშა იყო, რომ ერთი ჩრდილიც არ დარჩა შეუმჩნეველი. ვერ შეინიღბა უკეთური ძალა, ვერ ეხმო შესაფერისი დიპლომატია წინააღმდეგობამ და იმგვარი უკურეაქცია მოჰყვა ქვეყნის გრანდიოზულ გარდაქმნათა ღონისძიებებს, რომ ერთიანად შესძრა ერის სინდისი. მაშასადამე, ბარომეტრი გაჩნდა, იგი ზომავს წინააღმდეგობის ძალას. ამ დაუნდობლობის გამო ისტორიკოსი არასრულფასოვნად მიიჩნევს ქართველი კაცის ბუნებას და ფაქტიურად ყველას ეუბნება, რომ მარტოოდენ ქართველთა ჯარით ვერც ალექსანდრე მაკედონელი გახდებოდა რაიმესო. და პირიქით — დავით აღმაშენებელი სპარსეთის, ან საბერძნეთის, ან რომის პატრონი ყოფილიყო, მაშინ ვნახავდით მის საარაკო გამარჯვებებსო. ერის მხილება ვერ წავა უფრო შორს და ჩვენ, ალბათ, სამუდამო უიმედობის ტყვეობაში აღმოვჩნდებოდით, ეს სიტყვები დაპირისპირებულთა დასთან კამათში რომ არ იყოს თქმული და იგი მართლაც რომ მთელს ერზე ზოგადდებოდეს, იგი რომ მართლაც მარადიული, საბოლოო შინაარსი იყოს ხალხის სულიერი წყობისა და არა ისტორიის გარკვეულ მონაკვეთებში ამზევებული ავადმყოფობის იმავე „ორგულთა ბუნებიდან“ და დაჯაბნებული მოლაშქრეებისაგან რა შექმნა დავით აღმაშენებელმა, როდესაც ამას გავიხსენებთ, უმალ იფანტება საშინელი სიტყვებით წახდენილი განწყობილება. მაგრამ ეს სხვა დროს სასაუბრო საგანია. ჩვენ ამჯერად წინააღმდეგობის ძალას ვზომავთ, იმ ძალას, რაც დავითის შორსმჭვრეტელურ პოლიტიკას გადაეღობა და რამაც წარმოათქმევინა ისტორი-

კოსს ეს მწარე ბრალდების სიტყვები. და მაშინაც, როდესაც მაცნეთა სისტემით „არ მოაცალა“ „ქვეგამხედვარებს“ ბოროტის ქმნა, თურმე რაოდენი იყო განდგომილობა, ღალატი, დაპირისპირება. მოწინააღმდეგეთა დასმა, რაკი აშკარა გამოსვლის ღონე და ძალა არ აჰყვა, ფარული ღალატის ფორმებს მიმართა. სიტყვით, განწყობილებით, პასიურობით შეეცადა განზე დადგომას, მეფის დასუსტებას. ეს არის უმთავრესი. რა ჰქვია ამ მოქმედებას? რა დაუპირისპირა დავითმა ამ თვისებას, რა გამოიტანა მოქმედებამ საამკარაოზე. როგორ მოამწიფა ამ ბუნების ყველა უარყოფითი ნიშანი გასამჟღავნებლად, რათა ავადმყოფობის მთელი ავან-ჩავანი ხელისგულზე ჰქონოდა? პროცესი იმ ფაზისაკენ მიემართება.

როგორ ეგებება წინამძღოლის პოლიტიკურ სვლებს, უდიდეს გარდაქმნებს ერის ნაწილი? როგორია მისი განწყობილება, რას ეფუძნება ეს განწყობილება, რას ეყრდნობა ეს შეხედულებანი? სიღრმისეულია თუ ზედაპირული? თუ სიღრმისეულია, სად უნდა ვეძებოთ მიზეზი, თუ ზედაპირულია, რისა წყალობით არის ასე ღონიერი, რა კვებავს, რა ზრდის ძლიერებამდე ამ ზედაპირულობას?

და კიდევ: არ ისვენებენ და მეორდებიან კითხვები: რა დაუპირისპირა დავით მეფემ ამ თვისებას და რა გამოიტანა მოქმედებათა სისტემამ საამკარაოზე. რა გზით მოამწიფა ამ ბუნების ყველა უარყოფითი ნიშანი გასამჟღავნებლად, რათა ავადმყოფობის მთელი ავან-ჩავანი ხელისგულზე ჰქონოდა?

აღმაშენებლის მთელი ცხოვრება, მთელი მისი მოღვაწეობა ამტკიცებს, რომ ეს პიროვნება, არასდროს არ გამოჰკიდებია ილუზიებს, ფუჭ ოცნებებს, იგი რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით მოქმედებდა მუდამ, მთელი მისი ფანტაზია და შემოქმედებითი ნიჭი შინაგან ენერგიასთან ერთად მოქმედებაში განივთდა. მისი გრანდიოზული გეგმები ითხოვდა, პრაქტიკულად გამოერიცხა შეცდომები, გადაედგა მხოლოდ უზუსტესი, ხშირ შემთხვევაში ერთადერთი ნაბიჯი მიზნის მისაღწევად. მაგრამ ამ მიზნების აღსრულებისათვის საჭირო გახდა, სულ სხვა ცხოვრებით ეცხოვრა ერს, სხვა წესით ემოქმედა, სხვა რიტმით მოძრაობას ითხოვდა იგი.

დავითის მიზანი საქართველოს მიზანია. ცხადია, ეს თავის-

თავად იგულისხმება, მაგრამ მინდა მკითხველმა საგანგებოდ მიაქციოს ყურადღება ამ იგივეობის შინაარსს, იმ გარემოებას, რომ დავითის მიზანი იგივე მისი მშობელი ერის მიზანია. მაგრამ რაც დავითმა თავის ხალხს და აქედან გამომდინარე თავის თავს მიზნად დაუსახა, რამდენად შეესატყვისება ერისა და მისი შვილის შესაძლებლობებს? აქვს თუ არა ზუსტად და ნათლად განსაზღვრული ახალგაზრდა მეფეს ხალხის უნარი, ნიჭი, თვისებები, ბუნება, რომელსაც თითქმის ფიქრისთვისაც მიუწვდომელ გეგმას სთავაზობს მას? რა თვისებებია ისინი? სად იმალება, რატომ ვერ მოქმედებს სრული დატვირთვით, ან რატომ ვერ იმოქმედა აქამდე თავისუფლად, რათა ხელშესახები ყოფილიყო ყველასათვის, რათა თვით ხალხს სცოდნოდა გარკვევით მათ შესახებ და თავის თავისადმი მეტი რწმენით გამსჭვალულიყო. რას დაეყრდნო დავითი, რის იმედით შეიმუშავა უკიდეგანო სივრცეებს დაუფლებული გეგმა, ერის აღორძინების უნივერსალური შინაგანი მოწესრიგების გეგმა. თუმცა ეს რამდენიმე ნიშანია მისი გეგმისა, მაგრამ ამჯერად ჩვენი ფიქრი აქ ტრიალებს, ამ სფეროს აწყდება დავით მეფის მოქმედების უმთავრესი ტალღები. უთუოდ რაღაც განუსაზღვრელად დიდის რწმენა უნდა ჰქონოდა დავითს, რომ თავისი მიზნის აღსრულებისათვის ესოდენ გამოკვეთილი ნაბიჯები გადაედგა. ეს ისე გამიზნული, ისე გაანგარიშებული ნაბიჯებია, რომ მხოლოდ გაცნობიერებული დამოკიდებულება ივარაუდება მის უკან. მაშასადამე, ქართველის თვისებებში იგი გაცილებით მეტ პოტენციალს გრძნობდა, ვიდრე ეს ვინმეს უგრძვნია მანამდე. უგრძვნიათ კი იგი საქართველოს დიდ შვილებს, უნათლესი გონების ხალხს, უკვლევიათ, უფიქრიათ. მაგრამ ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებამ, როგორც ჩანს, ახალი სიღრმეების მოხილვის საშუალება მისცა ერის ფხიზელ გონს და მომხილველიც შესაფერისი გამოუჩნდა. ერი უკვე თავისი შინაგანი მზერით იხილვიდა თავის არსს. და ამ შეცნობის შემდეგ დაბადებულა დავითის გეგმა. იგი პირდაპირ გულისხმობს შეცნობილ სიღრმეებს. გეგმამ კი მოითხოვა ყველა თვისების ამოძრავება, იმ გეგმამ, რომელიც დიდ თვისებათა მყარ ნიადაგს იყო დაფუძნებული. მაგრამ სანამ ერი დავითის მსგავსად ამ საიდუმლოებაში გაერკვეოდა,

მოქმედება იყო საჭირო და არა ლაპარაკი, რადგან დავითის მიზანი სწორედ ზედმეტ ლაპარაკს გამორიცხავდა.

მოქმედების მეტყველი ენა უნდა გაბატონებულიყო. მოქმედებამ თავის მხრივ, უპირველეს ყოვლისა, ხალხში ფეხმოკიდებული, უფრო სწორად, ქართველი კაცის ხასიათში გაბატონებული ყველა უარყოფითი თვისება გააღვიძა, გააღვიძა არნახული სისრულით. გონიერი მეფეების ადრინდელი ღონისძიებანი არაერთხელ შეჭრილა ამ უარყოფით თვისებათა საუფლოში: „საქმენი აწ ხილულნი" — წერს ისტორიკოსი. დიახ, იგი დიდი ხნის-თვისებაა, პირველად დავითთან არ უჩენია თავი. „რამეთუ ქართველთა ბუნება ორგულ არს" — კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მკაცრი განაჩენი. ეს ერის სამხილებელი სიტყვები ზერელედ, ერთი-ორი ფაქტის განზოგადების შედეგად არ დაიწერებოდა. ხანგრძლივი, საუკუნეობრივი დაკვირვების ნაყოფია იგი. არ მალავს ისტორიკოსი, მთელი კონტექსტი მეტყველებს, რომ „ორგულობენება" ოდითგანვე ჩვევია ქართველ კაცს. ფეოდალურ სამყაროში კი ღალატსა და განდგომას როგორი ასპარეზი ეძლეოდა! ეს მომაკვდინებლად მოქმედებდა, მომაკვდინებლად იმიტომ, რომ ერის აღორძინებისა და სრულყოფის გზაზე იგი გამუდმებულ საფრთხედ იკითხება, ვეებერთელა ნაპრალის სახით ჩნდება დრო და დრო დასახულ მიზნისაკენ მიმავალი ხალხი, მისი მიზეზით, ვერასოდეს ვერ აღწევს სასურველ სრულყოფას. დიახ, მეფეების მიერ გატარებული გონიერი ღონისძიება არაერთხელ შეიჭრა მანკიერ თვისებათა წიაღში, დაარბია იგი, მოინდომა მათი აღკვეთა, მაგრამ ამ ღონისძიებებს ყოველთვის აწლდა რაღაც მოზომილობის ნიშანი.

დავით მეფის მოქმედებიდან ჩანს, რომ სწორედ ეს სანახევრო ღონისძიებანი არ კმაროდა. ყველაფრიდან ჩანს ისიც, რომ მშვენივრად იცოდა მან თავისი რადიკალური ღონისძიებების მოსალოდნელი რეაქცია. ეტყობა, ღრმად ირწმუნა სწორედ რადიკალური ღონისძიებების გატარების აუცილებლობა. ამ გზით უნდა ევლო თუ სურდა მიზნისთვის მიეღწია, ეს რადიკალური მოქმედების კურსი უნდა დაეცვა ბოლომდე, და მზად ყოფილიყო უკურეაქციისათვის.

დავითის სიფხიზლე, ყველაფრის გათვლა-გაანგარიშება,

მაცნეთა სისტემის ზემოთ დახასიათებული სტრუქტურა, ჯარის გამუდმებული წვრთნა, ეკლესიისა და ერის ზნეობრივი გაჯანსაღების ღონისძიებანი სულ მაქსიმალისტურ ხერხებსა და მეთოდებს გულისხმობენ. გავიხსენოთ თუნდაც მაცნეთა სისტემის უნივერსალური მოწესრიგებულობა და სიზუსტე: როგორ იცის დიდი და პატარა მოვლენის არსი, დიდი და პატარა ღალატის არსი, ზურგს უკან თქმული დიდი და პატარა სიტყვის ძალა, დეტალი, ნიუანსი, მანძილი საყდრებს შორის, განწყობილება მონაზვნებს შორის, აზრის მოძრაობა მრევლში, ფიქრის მიმართულება ჯარში... იცის, იცის, იცის! ერთხელ კიდევ ისიც გავიხსენოთ, რისთვის იცის! სისხლის დასაღვრელად და დესპოტური ვნებების გამოსაკვებად კი არა, ერის ფიქრისა და ბუნების ამაღლებისა და გაკეთილშობილების მიზნისთვის, ამას ისახავდა მიზნად ზარივით მოგუგუნე სიტყვები მხილებისა: „ნუ იყოფინ ესე, წარვედ!“ გულთამხილავის „ღვთაებრივი უნარი“ ცხადდება ჩვენს წინაშე, ადამიანის და ერის ბუნების უნივერსალური მოწესრიგების დიდი მიზნით.

რადიკალური მოქმედების წყალობით უნდა აფეთქებულიყო ყოველი მანკიერი თვისება. ეს ღონისძიებანი აუცილებელი იყო ბოლომდე გასამჟღავნებლად. წინააღმდეგობის გრძნობას იმდაგვარად უნდა აეფორიაქებინა ყოველი ადამიანის ბუნება, რომ ნიღაბი არ შერჩენოდა არც ერთ მანკიერ ჩვეულებას სახეზე. არც ერთს! ისინი უნდა გამოსულიყვნენ სამალავებიდან, აშკარა, დაუფარავი ბრძოლა გამოეცხადებინათ დავითის ამ „სულისშემხუთველი“ ღონისძიებებისათვის! ასეც ხდება, ასეც რომ მოხდა, მიტომ გვეძლევა საშუალება მოხდენილის არსის გაანალიზების შემდეგ დავინახოთ დავითის მიზანი — ხელისგულზე ჰქონოდა გადაშლილი თავისი ხალხის სულიერი ანატომია და ემოქმედა სრული ცოდნის კარნახით.

ქართველი ხალხი დავითამდე და დავითის შემდეგაც არაერთხელ გამოსულა ერთსულოვნად მტრის წინააღმდეგ. არაერთგზის უშენებია ერთსულოვნად ქვეყანა, არაერთგზის ჰქონია ერთი პირი და უზეიმია კიდეც არაერთგზის ამ ერთსულოვნების წყალობით. მაგრამ ქვეყანა იმასაც კარგად ხედავდა, რომ ჟამიჟამ უპირობა და არაერთსულოვნება ღუპავდა სა-

უკუნეებს აცლიდა ხელიდან და იმ საუკუნეთა სიბნელის წიაღში აყურყუტებდა. გაუთავებელ ტანჯვად გადაქცევია ხალხს ამ უპირობისა და არაერთსულოვნების წყალობით წუთისოფელი — ესეც იცოდა, ესეც ფაქტი იყო, მწარე და გვერდაუვლელი. ამიტომ მარტო გონებით კი არა, სისხლითაც იცოდა. სავალალო სხვა იყო. კერძოდ ის, რომ ხალხს საკუთარი ბუნება, თავის წარმოდგენაში ასე მერყევი, ასე ფრაგმენტული, ასე გაწალიკებული ეჯდა, ასე იყო იგი მოკალათებული და დამკვიდრებული. ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან! „ვინათგან ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თვისთა უფალთა, რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარც მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“. ეს აზრი არ იცვლიდა ფეხს ადგილიდან! გაბრჯნილი იყო ქართველი კაცის ქსოვილში, როგორც მარტოოდენ აზრი კი არა, არსებობის წესად იყო დამარხული, ამოკვეთაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ქართველი კაცი თავისი მოუშორებელი ნაკლისა და ღირსების გვერდით მის არსებობასაც უნდა შეჰგუებოდა. უნდა დაემშვიდებინა თავი - - რას იზამ, როცა ასეთია ჩვენი ბუნება! დიახ, ასეთი იყო, ამ ბუნების კარნახით მოქმედებდა. მოდიოდნენ ჟამიჟამ დიდი მეფეები, ერის დიდი წინამძღოლები, სწადდათ ქვეყნის განახლება, აღორძინება, სრულქმნა., გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ. მაგრამ „ის ბუნება“ მუდამ უშლიდათ ხელს. არ ემორჩილებოდა იგი წინამძღოლის მაღალ იდეალებს, არ მიჰყვებოდა კვალდაკვალ. არათუ მიჰყვებოდა, გზაზე ეღობებოდა, სისხლს უშრობდა ქვეყნის წინამძღოლს. ქვეყნის ბედნიერებისაკენ მიმართული მეფური მიზნები უმალ კილვის საგანი ხდებოდა, ათასი კუთხიდან ჩხრეკდნენ, ნაკლს ეძებდნენ. ნაკლი ყველაფერს აქვს და პოულობდნენ, ამ ნაკლზე ხითხითით, გაუთავებელი კილვით ცდილობდნენ და ზოგჯერ ახერხებდნენ კიდეც დაეფარათ ღონისძიებათა სიდიადე, მისი გამიზნულობა, ის შედეგი, რაც ღონისძიებებს უნდა მოჰყოლოდა.

სამეფო საქმის გამიზნულობა არასდროს არ დევს ზედაპირზე, იგი მუდამ შენიღბულია. თუ ზედაპირზე ამოიტანე და ყველას დაანახვე ეს გამიზნულობა, მას კეთილის მსურველთა

გარდა მტრებიც დაინახავენ. დაიწახავენ საფრთხეს, რაც მათთვის მოაქვს სამეფო საქმეს და სათავეშივე მის ჩაკვლას შეეცდებიან. ამიტომ გამორიცხულია სამეფო საქმე მთელი არსით ჩანდეს იმთავითვე. ორგულ ბუნებას კი საშუალება ეძლევა გესლიანი ენით მოწამლოს მეფის ყოველი კეთილშობილური ჩანაფიქრი, ხალხის თვალში სახელი გაუტეხოს. ორგულ ბუნებას ხელს არ აძლევს გაძლიერებული სამეფო კარი, მით უმეტეს ძლიერი მეფის პიროვნება. მის „განსუქებას“ ედება ამით ზღვარი, პარპაშის საშუალება ერთმევა. ამიტომ არის დიდი წინამძღოლი მისი მტერი, არსით არის დაპირისპირებული. რაკი არსით არის მტერი, მოწინააღმდეგემ დროზე უნდა იმოქმედოს, მისი ძალმოსილების დამკვიდრებას შეუშალოს ხელი, გასაქანი არ მისცეს, მოწამლოს ერი ამ მიზნის აღსრულების გზაზე, ხალხში მეფის ღირსებების კომპრომეტაცია მოახდინოს.

ფეოდალურ სამყაროში მძაფრად ვლინდებოდა ეს მანკიერი თვისებანი. ორგული ბუნებისა ცოტანი როდი იყვნენ. „განსუქებულნი და პატივის“ მოწადინენი მრავლობდნენ, სულაც რომ არ გაენძრიათ ხელი საწინააღმდეგოდ, თავისთვის ყოფილიყვნენ, მაინც ძნელდებოდა საქმე, რადგან მათი სახით ქვეყანას სერიოზული ძალა აკლდებოდა. თავისთვის ყოფნა კი რასა ჰქვია, ზღარბივით ბალანაშლილი „განსუქებულთა“ ხროვა საწამლავს ატრიალებდა ჰაერში და ერი სწორ გზას ჰყავდა აცდენილი. დიდი წინამძღოლი მათ ხელს არ აძლევდა! მათი განწყობილება ერის ნაწილზე ვრცელდებოდა. ერი ფაქტიურად ყურმოჭრილი მონა იყო თავისი პატრონისა, მისი მზერა საკუთარი პატრონის სამფლობელოს საზღვრებს იქით ვერ წვდებოდა. ამიტომ ემატებოდა ძალაუნებურად დიდგვაროვანთა რიგებს „წვრილი ერის“ საგრძნობი ნაწილი. ამიტომ იდგნენ ისინი უნებურად მტრულ ბანაკში. მთელი ეს დიდი მასა შინაგანად დაპირისპირებული ჩანდა. ასე იგრძნობოდა, აშკარად იგრძნობოდა.

დავით აღმაშენებელმა ეს თვისება არ ცნო ქართველი კაცის მარადიულ და ორგანულ თვისებად! მან ღრმად ირწმუნა, რომ იგი შეძენილი თვისება იყო და ამ ჭეშმარიტების აღმოჩენამ მიანიჭა მას, ალბათ, უდიდესი ბედნიერება, რადგან ის,

რაც კეთდება დავითისაგან თავისი ხალხის სრულყოფის მიზნით, გამოკვებილია სწორედ ამ მაღალი რწმენით და უსაზღვრო ნდობით თავისი ხალხისადმი! ამიტომ მიიტანა მან იერიში ორგანულის ადგილას ჩამჯდარ თვისებაზე. ამიტომ იყო მისი ზომა, ხერხი, მეთოდი რადიკალური და ამიტომ გამჟღავნდა სრულად, მაქსიმალური სიმწვავით წინააღმდეგობა. მათ მოიხმეს საუკუნეთა განმავლობაში გამოძერწილი და განმტკიცებული, შეუვალი ნიშნებით აღბეჭდილი არგუმენტები, რათა დავითის ღონისძიებანი არანორმალურად, არაბუნებრივად, ქართველთათვის შეუფერებელ ნაბიჯებად და წესებად გამოეცხადებინათ.

საქართველოს ოდითგანვე უხდებოდა მტერთან ბრძოლა, მაგრამ მას აქამდე არ ეგრძნო, არ სმენოდა ინტენსიური მზადყოფნისათვის მოქმედი ასეთი მკაცრი კანონები. გამუდმებით „მოლაშქრეობა და განუსუენებლობა“ სულს უხუთავდა ხალხს. ცხადია, იგი ერთბაშად ვერ შეეგუებოდა ამ დროდადრო სალაშქროდ შეკრების წესიდან მუდმივ მზადყოფნაზე გადასვლას და მუდმივი მზადყოფნისათვის ინტენსიური წვრთნის წესს. სამხედრო დისციპლინად არის მონათლული ეს წესი დღეს, მაგრამ იქ, იმ დროს, ომიანობისას ქუდზე კაცის გამოსვლა. პერიოდული ვარჯიშობა-ასპარეზობანი თავ-თავისი კერის ახლოს, თავ-თავის საბრძანებელში, არაფრით არ ჰგავდა დავითისაგან ნაკარნახევ ხერხებს. უფრო სწორად, დავითის წესი არ ჰგავდა მანამდე დაკანონებულ ნორმებს. განსხვავება დიდი იყო, თანაც განსხვავება უმოკლეს დროში იქნა მიღწეული და ხალხის ორგანიზმი ვერ შეეგუა მუდმივ „მოლაშქრობას“ და „განუსუენებლობას“. დავითმა კი სწორედ ამ „განუსუენებლობის“ საჭიროება დაინახა და მეცნიერულ დონეზე აიყვანა ლაშქრის წყობა და წვრთნის ინტენსიურობა. წვრთნის დატვირთვა იმ ჯაბანი, მოშიშარი ლაშქრის ნაცვლად უმამაცეს, მარად მზადმყოფ, საუკეთესო ხერხებით აღჭურვილ ჯარს ქმნიდა და აქ შეღავათი გამორიცხული იყო. ქმნიდა! მაგრამ ამის მიღწევა ითხოვდა ძველი წესის დათმობას, სხეულში ტეხდა ქვეყანას ესოდენი დატვირთვა, ეს მაქსიმალური მობილიზება, შეუსვენებელი ვარჯიშები, მუდმივი „განსხირპულობა“, მოულოდნელი ლაშქრობები გამორიცხავდა მცირე-

ოდენ განებიერებასაც კი, წათელემას, დაარხეინებულ ყოფნას. ამიტომ უჭირდა ხალხს შეგუება!

დავით აღმაშენებელი ეროვნულ სიკვდილს ებრძოდა. იცოდა, სიკვდილს ძველებური ლაშქრით ვერ მოიგერიებდა. მაგრამ უნებურად დიდი მანძილით შორდებოდა ერთმანეთს ძველი და ახალი წესი. ახალი წესი თითქოს ძველიდან კი არ ამოიზარდა, საიდანღაც მოვარდა „ახირებული“ ბუნების წყალობით. მხოლოდ დავითი ჰვრეტდა თავის გონიერ თანამზრახველებთან ერთად ერის ენერგიის და თვისებების რეზერვს, რაც უმოქმედოდ თვლემდა თავისთვის, მხოლოდ მათ იცოდნენ, რომ ახალი წესი იმ ენერგიიდან იყო ამოზიდული. არაფერი არაბუნებრივი და საერთოდ შეუძლებელი იმ წესში არ ივარაუდებოდა.

მაგრამ არგუმენტები, მოპირდაპირეთა არგუმენტები, რა შეუვალია ერთი შეხედვით: მშვილდი მარადიულ გარდაცმულობას ვერ გაუძლებსო, ვერც ორღანის ძალი იქნება ასევე მარადიულად განსხირპული, ორივე უხმარი შეიქნება ერთ მშვენიერ დღესო. თითქოს ჰეშმარიტებაა, ისეთი ჰეშმარიტება, არსაითგან რომ არ შემოევლების. ვერ გაუძლებს ქართველი ხალხი ასეთ გამუდმებულ მზადყოფნას, ასე შემართულად ცხოვრებას, გადაიღლება, გადაიწვება მისი ენერგია! აი, მტკიცების შინაარსი. ქართველი ხალხი იტანჯებოდა მტრის ხელით, მას არბევდნენ, ჟლეტდნენ, იგი მთებსა და კლდეებს აფარებდა თავს, შემდეგ ისევ უბრუნდებოდა კერას, მაგრამ ყოველთვის იგულისხმებოდა ანტრაქტი, დასვენება.

ისვენებდა, შრომობდა, ილხენდა. დიახ, ფეოდალური ცხოვრების შინაარსი ამ ნებაზე მიშვებულ ცხოვრებას გულისხმობდა, თანაც შინაარსში ნორმალური ცხოვრების ნიშნებიც ჩანს. ასე უნდა იყოს — აი, მოპირდაპირეთა აზრი. არა მუდმივი მზადყოფნა, არამედ ომიანობის შემთხვევაში გაწვევა საბრძოლველად. მაგრამ ლაშქრობა არაფერ შუაშია, უფრო სწორად, მარტოოდენ იგი არ არის ფიქრის საგანი. მოპირდაპირენი ქართველი ხალხის ეროვნული ორგანიზმის მშვილდივით მოზიდულობის წინააღმდეგ გამოდიან, ორღანოს ძალის განსხირპულობასავით ყოფნას ებრძვიან. თითქოს დავით არ ესმოდა ეს სიბრძნე! მაგრამ მოწინააღმდეგენი ამუქებდნენ

ნაღებავს და ამაბინძებდნენ მეფის ნამდვილი მოთხოვნის შინაარსს. დავითი ერის ბედოვლათობის, ფრაგმენტული შემართების, ეფემერული წარმატებების წრიდან გამოყვანას ისწრაფვოდა, თორემ მშვენივრად იცოდა ენერგიის გონივრული ხარჯვისა და აღდგენის მთელი ფილოსოფია. მისგან მოხმობილი ცხოვრების წესი ყოფილთან შედარებით ჩანდა მაქსიმალურად სხვა, თორემ ხალხის დახარჯული ენერგიის აღსადგენად იგი ბირველი ზრუნავდა. მან იცოდა რა დროში აღიდგენდა ენერგიას ორგანიზმი და ისიც იცოდა, რომ თუ ამ ენერგიის აღდგენისათვის საჭირო დრო მეტისმეტად გაიზრდებოდა, ენერგიის გაზანტებას მოემსახურებოდა უკვე ის დამატებითი დრო. ლაშქრისა და ხალხის ძალა კი ამ დროს საუკეთესო თვისებებს კარგავდა. დიახ, ძნელი იყო ამ დიდი აზრის ერთბაშად დანახვა, მაგრამ დიდი წინამძღოლი მთელი ტანით გრძნობდა, როგორ ჯიუტობდა ერი, როგორ უჭირდა ხალხს მობილიზებისა და მზადყოფნის კანონებს დამორჩილებოდა. არ ემორჩილებოდა იგი თავის უჭკვიანეს და უდიდეს შვილს. გერ თმობდა თბილ-თბილ ბუდეებს, გერ მიჰყვებოდა ნებაზე. მათი გარდაქმნის, გადახალისების შინაგანი პროცესი დიდ დროს ართმევდა, დროს, რომელიც ძვ ძვირი ღირდა, რაც იმავე ხალხის საკეთილდღეოდ სხვაგვარად უნდა დახარჯულიყო.

ქვეყანას ტანში აერთოლებდა ერთხანს დავითის დაძახილზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქაცმა დაუბრუნა გადამწვარი დანგრეული ფუძე, მოუსპო მტრის შიში, გახადა ძლევამოსილი, გააამაყა, მშვიდი ძილი აჩუქა, მომავლის რწმენა აღუდგინა და მიუხედავად იმისა, რომ საზაცვლოდ გარჯას, ინტენსიურ გარჯასღა ითხოვდა, ქვეყანას მაინც უსიამოვნოდ აერთოლებდა ამ დაძახილზე. მისი წესი იყო უცხო, მამა-პაპებისათვის გაუგონარი, სტილს გერ ცნობდნენ. ადამიანებს ძ ძველი მოსწონდათ — დროდადრო დაძახილი მეფისაგან. ქვეყანა მდგომარეობას იცვლიდა და სახსრები სტკიოდა. მაგრამ ბრალდება მაინც უცნაური ჩანდა მზადყოფნისათვის, შეზართებისათვის, მობილიზებისათვის ამხელდნენ მეფეს ღირსების გამო მხილება კი მაქსიმალური სიზუსტით გვიხასიათებს მოპირდაპირეთა ფიქრის მიმართულებას, მათ ბუნე-

ბას გვიხსნის. ეს ბუნება კი შეუძლებელია სასარგებლო მასალა იყოს ერის ღირსეული ყოფნის გამოსაძერწავად. შეიძლება მეფე შეცდომებში ამხილო, მაგრამ ორგულოვნება იქამდე მივიდეს, რომ კაცს უდიდესი შედეგის მომტანი ღირსება უძაგო, მეთოდები დაუწუნო, — გადაგვარება და სიბნელე უფრო შორს ვერ წავა. აქედან ისიც აშკარად ჩანს, თუ რა ძნელი დასამორჩილებელი იქნებოდა სინამდვილეში ესოდენ მაღალი მიზნებისათვის თითქმის შეუმზადებელი ხალხის სული და ენერგია.

ამ წინააღმდეგობამ დაანახვა დავით მეფეს ყველა ხერხისა და მეთოდის მაქსიმალური სრულყოფის აუცილებლობა. ამ გააზრების კარნახით დაიტვირთა მისი მეთოდები შეუცდომლობის ნიშნებით, უანტრაქტო ღვაწლით, მთელი მისი აპარატი მეფის ინტენსიური მოქმედების კანონებს შეესატყვისა.

რა თვისება იყო იგი ერის ნაწილისა, მთელი ქვეყნის სახელით რომ გამოდიოდა ხშირად, თავის თავს რომ აკანონებდა ერის ცხოვრებაში.

ძალთა გადასინჯვისა და გადაფასების პროცესი ერთი უპირველესი ღონისძიება იყო დავითის მოღვაწეობაში, იგი ნაბიჯს ვერ წადგამდა წინ, თუკი ერთგულ და ღირსეულ ხალხს არ შემოიკრებდა. შეჩვეული დისტანციები და პროპორციები იცვლებოდნენ. ისევ მდგომარეობა იცვლებოდა, ამჯერად უკვე ურთიერთობაში იცვლებოდა მდგომარეობა რადიკალურად და ეს ცვლილებაც შეუგუებელი აღმოჩნდა. იგი მართლაც ძირეულ ცვლილებად აღიქმებოდა, რადგან ფენებს შორის მიმდინარე პროცესი განახლებადი იყო. ღირსეული იჭერდა თავის კუთვნილ ადგილს ყველა ფენაში და უღირსი გადადიოდა უკანა ხედზე და კიდევ: ღირსეულნი დაბალი ფენიდან მაღალ ფენაში ინაცვლებდნენ, რადგანაც მათ პიროვნულ თვისებებს ქვეყნისათვის უდიდესი სარგებლობა მოჰქონდა., და ეს უსამართლობად იქნა წაკითხული. ამ ფაქტმაც დაუპირისპირა საზოგადოებრივი აზრი მეფეს. მეფემ იცოდა, ყველა გადაბრუნებული სიტყვა სად და ვის მიერ ითქმოდა. წინააღმდეგობა არ წყვეტდა არსებობას, იგი თავის სურვილს კარნახობდა ერს — არ დამორჩილებოდა მეფეს, არ დაჰყოლოდა მის ნებას.

მეფე დავითმა უფრო მეტად ირწმუნა ჰეშმარიტება აზრისა, რომ ხალხის ცხოვრების წესი უნდა შეცვლილიყო, ერი უნდა გარდაქმნილიყო, სრულყოფის გზით ევლო. ირწმუნა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, უნდა დაემორჩილებინა ეს „მასალა“, უნდა დაეყოლებინა, რათა უკეთესი ყოფა გამოეძერწა ისევ მისდა საკეთილდღეოდ. დავითის გრანდიოზული გეგმა ყველა სფეროს გადახალისებას ითხოვდა, ამიტომ ყოველი დეტალისა და ნიუანსის დაზუსტება ხდებოდა აუცილებელი. მოდარაჯე ფიქრი, გულთამხილავის სმენა უნდა გაჰყოლოდა ყოველი ქართველის კონკრეტულ ცხოვრებას, შეესწავლა და მიმართულება მიეცა, დაენახვებინა მისი ნამდვილი ღირსებანი და ისიც, თუ რისთვის იყო მოწოდებული! დადევნებოდა ფეხდაფეხ ღალატის სურვილს, თუკი გინმეს ბუნებაში იგი გაფოთვლას შეეცდებოდა, გამოეტანა დღის სინათლეზე მისი გაბზარული რწმენა, ავი ზრახვა, არაპატრიოტული მიზნები, უკეთურობისაკენ ლტოლვა და „ქვეგამხედვართა“ ვნებები, რათა გულთამხილავის მოდარაჯე მზერა ეგრძნო ყველას და შთაგონებად განეცადა ზარის ხმა, რომელიც ციდან, მიწიდან, ყოველი მხრიდან არისხებდა: „ნუ იყოფინ ესე, წარვედ!“

მეფის ხელისგულზე იდო ერის სულიერ თვისებათა მთელი ანატომია. მოქმედება, რასაც იგი სათავეში ედგა, არა მარტო გეგმის ასრულებას ემსახურებოდა, ქვეყნის გამოცდილებადაც იქცა ამავე დროს. მეფემ თავისი ხალხის მანკიერი თვისებანი დაინახა ღირსებების გვერდით, დიდი, სერიოზული მანკიერებანი, მანკიერება ეროვნული სულისა საერთოდ, მანკიერება დიდგვაროვნის, ფეოდალის, წვრილ-წვრილი აზნაურების, ყმათა ნაკლი, სამეფო კარის აპარატის სუსტი მხარეები, ამ მანკიერებათა პროპორციები, მათი საერთოობა, განზოგადებული და კონკრეტული ნაკლი.

ყველაფერი ეს მის ხელთ იყო — ყველა დეტალით და ნიუანსით გამჟღავნებული. იგი შესაცნობად გამზადდა. წაიკითხა დიდმა მეფემ ათგზის, ასგზის, ათასგზის. ალარაფერი დარჩა ნიღაბქვეშ, ვერცერთმა ჭირმა ვერ დამალა თავი. მანკიერებათა ამ ფენაზე ხშირად მთელი ხალხის განწყობილება იყო დაშენებული. განწყობილება სამეფო კარისადმი, განწყობილება საქვეყნო ინტერესებისადმი და ის განწყობილება სიღრმისეუ-

ლი ჩანდა ყოველთვის, რადგან ორგულოვნების გრძელ ფესვებს იყო ჩაფრენილი, რაც ერის ბუნების რაობად აღიქმებოდა და იკითხებოდა საუკუნეთა განმავლობაში. რაკი ხალხს ასეთად სწამდა თავისი თავი, რაკი „ორგულოვნება, განსუნება“, პატივი და ბედოვლათობა თავის ბუნებას შესაგუებელ, ორგანულ ნაწილად მიაჩნდა, მას სამართლიანი ეჩვენება მეფის მისამართით თქმული საყვედური.

დავით აღმაშენებელი და მისი უახლოესი თანამდგომნი კარგად ხედავდნენ იმის აუცილებლობას, რომ ფენა-ფენად უნდა გადაცლოდა ქართველი კაცის ბუნებას ეს უფლებამობოვებული მანკიერებანი, ეს მაცდური წარმოდგენებისაგან დალეჭილი შლამი, რომელიც დღემოკლე ჭაობის მცენარეებს ზრდიდა მუხისა და ძელქვის ნაცვლად. დიდი მკურნალობისათვის საჭირო ხერხებისა და საშუალებების ძებნაც შეიქნა საჭირო. შეჯამებულმა თვისებებმა წვრთნის გადაუდებლობაც დაანახათ და აქ კიდევ მეტი გულისყური და მეთოდების მეტი სრულყოფა იყო საჭირო, რადგან მანკიერებათა მხილებისას კანონები მაინც ეხმარებოდა მეფეს, სინდისი ჩხრეკდა კაცის ბუნებას და ამით ეხმარებოდა. სულის და სხეულის წვრთნა და იქამდე წვრთნა, რომ თავისი ნამდვილი ბუნების გულისგულამდე დასულიყო და ხელახლა დაბადებულიყო ახალ ეროვნულ ერთეულად, ითხოვდა მთელი ენერგიის გაღებას! ის, რასაც სახელმწიფოებრივი საქმეების მოწესრიგება ჰქვია, როგორც პროცესი მომხდარია და ჩვენს წინ მდებარე ურთულესი დინებებით არის აღბეჭდილი. მასში ჩაწურულია ჩვენი არსებობის მომხიბვლელი შინაარსი, მოქმედებისა და შრომის გრანდიოზული სტრუქტურა, რაც არასდროს არ იქნება დროის რომელიმე მონაკვეთის კუთვნილება, იმდენად მჭიდროდ ეყრდნობა იგი ყველა უჯრედით ქვეყნის უშორეს წარსულს, აწმყოს და მომავალს. ეს პროცესი საკუთარი რაობის დადგენისაკენ არის მიმართული და ამიტომ არ რჩება ერთ დროში, ყურისგდებას ითხოვს ყოველთვის, როდესაც კი ერი ახალ სიმაღლეზე ასვლას ან კრიზისული სიტუაციების ლაბირინთიდან გამოსვლას მოიწადინებს.

* * *

ერწუხის დიდი ბრძოლით დავით აღმაშენებელმა საქართველოს გაერთიანებასა და სამხედრო ძლიერებას მიაღწია ერთდროულად. მისი სამხედრო ძლიერება აქამდეც არაერთგზის დადასტურდა, მაგრამ ამ დიდ ბრძოლაში საბოლოოდ დამკვიდრდა აზრი, რომ საქართველო უკვე ძლიერი სახელმწიფოა, შესანიშნავად ორგანიზებული და უნაკლო სამხედრო წყობის ლაშქარი ჰყავს. რაც მთავარია, დამკვიდრდა აზრი იმის შესახებ, რომ ქვეყანას მართავს ძლიერი, გონიერი, შორსმჭვრეტელი მეფე და ეს აზრი მოეფინა გარემომცველ მტრულ ქვეყნებსაც. ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ ირწმუნა თავისი წინამძღოლის სიდიადე და ძოვსო იმედით და სილაღით ერთდროულად. მართალია, მტრის მოლოდინი არ გამქრალა, მაგრამ ფიქრში მოძრაობდა უძლეველობის რწმენა. როგორი მტერიც არ უნდა გამოჩენილიყო, მას უკვე დასამალავად და გასაქცევად არ ჰქონდა საქმე.

პოლიტიკური ამინდის ღრმა შესწავლით, რასაც დავითი თავისი დაზვერვის უნაკლო სისტემით აღწევდა, ამ დროისათვის შესაძლებელი შეიქნა სამხედრო ოპერაციების დროებით შეწყვეტა და ქვეყნის აშენება-მოვლის არანაკლებ დიდი საქმისათვის გაძღოლა. თუ კარგად დავაკვირდებით, შევამჩნევთ ერთ მეტად საგულისხმო კანონზომიერებას დავითის მოქმედებაში. თავდაპირველად იგი ქვეყნის მოშენება-აღორძინებას მისდევს, შემდეგ თურქებს უტევს, შემდეგ ისევ შენება-აღორძინების საქმეებს უბრუნდება. როდესაც სრულად გავიზიარებთ, თუ რა მასშტაბისა იყო ყველა ეს ოპერაცია, მაშინ ვირწმუნებთ, რომ მათი მონაცვლეობა გამიზნულია დავითის მიერ. პარალელურობა და თანამიმდევრობა, რაც მის მოღვაწეობას ნათელ ზოლად გასდევს, ამ შემთხვევაში საშუალო თანაფარდობით არის დაცული. დიდი სამხედრო ოპერაციის დროსაც მიმდინარეობდა აღმშენებლობითი ოპერაციები, მაგრამ უფრო მცირე მასშტაბისა, დიდი აღმშენებლობის დროსაც მიმდინარეობდა სამხედრო ოპერაციები, მაგრამ ამჯერად ეს იყო შედარებით ნაკლები მნიშვნელობის.

გავიხსენოთ ერთხელ კიდევ: დიდი თურქობის ჟამინდელი

„და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღიცსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვიდრი ყოველი და მასვე ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი, და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი. და დაყვეს ამათ ქუეყანათა შინა თურქთა ვიდრე მოსვლამდე თოვლისა, მოჰამეს ქუეყანა და მოსწყვიდეს, და სადღა ვინ დარჩომილი იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ხურელთა ქუეყანისათა. და ესე იყო პირველი და დიდი თურქობა; რამეთუ ქრონიკონი იყო სამასი. ხოლო თუ ვინმე მთიულეთს ანუ სიმაგრეთა სადამე ვინ დაშთა კაცი, ზამთრისა სიფიცხითა, უსახლობითა და შიმშილითა ეგრეცა მოისრა.

და განგრძელდა ესევითარი ჭირი ქრისტიანეთა ზედა; რამეთუ არესა თანა გაზაფხულისასა მოვიდიან თურქნი და მათვე პირველთა საქმეთაებრ იქმოდიან, და ზამთრის წარვიდიან. და არა იყო მათ ყამთა შინა თესვა და მკა. მოოხრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა. და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვიდრთა ქუეყანისათა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესვე ყოფილ სმენილთა და გარდასრულთა ოხრებათასა. რამეთუ წმინდანი ეკლესიანი შექმნეს სახლად ჰუნეთა თვისთა, ხოლო საკურთხეველნი ღმრთისანი ადგილად არაწმიდებისა მათისა და მღდელნი რომელნიმე თვით შეწირვასავე შინა სალმრთოსა მსხუერპლისასა მუნვე მახვილითა შეწირულ იქმნეს და სისხლნი მათნი აღირივნეს მეუფისათა თანა. და რომელნიმე მწარესა ტყუეობასა მიცემულ იქმნეს, მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჰაბუკნი დაკუეთებულ, ხოლო ჩჩვილნი მიმოდატაცებულ. ცეცხლი უცხო და მბრძოლი, რომლითა მოიწუა შენებული ყოველი, მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლის ნაკადულთა, მრწყველნი ქუეყანისანი“.

ქვეყნის სრული მოოხრება, ხალხის სრული ამოწყვეტა, — ამ მიზნის დიდი ნაწილი განხორციელებულია. საზღვარი არა აქვს უბედურებას. ამენებულისაგან თითქმის არაფერი დარჩენილა, დაწვეს და დაანგრიეს. მაგრამ თითქოს ეს არ ყმაროდაო, ზედ დავითის გამეფების წინ მოხდა მანამდე გაუგონარი ძალის მიწისძვრა საქართველოში.

„ამისთვისცა დღესა აღვსებასა, თვით მას აღდგომასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა, რომელსა შინა სიხარული და განსუენება ჯერ იყო, მოხედნა უფალმან რისხვითა და შეძრა ქუეყანა საფუძველითურთ, ესეოდენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტუერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს, და სახლნი დაინთქნეს და დაზულეს...“

საქართველოს აქამდელ ისტორიაში არც დიდი თურქობისაგან მოტანილ უბედურებას შეედრება, მემატიანეთა აზრით, რაიმე და არც ამ ძალის მიწისძვრა მომხდარა ოდესმე. მთებიცა და კლდეებიც კი მტვრად ქცეულა. თავისთავად ცხადია, ასეთ დროს ქალაქები და სოფლები დაინგრეოდა და დანგრეულა კიდეც. როგორც მემატიანე შენიშნავს, კი არ დანგრეულა, ერთმანეთში აზელილა ყველაფერი.

როდესაც საქართველოს ფენიქსისებრ აღდგომასა და საერთოდ მის არნახულ გამძლეობაზე არის ხოლმე საუბარი, ეს კონკრეტული მოვლენები იგულისხმება. არ არის იგი მაღალფარდოვანი სიტყვა, პათეტიკურ-პატრიოტული ამოძახილი., და არც გვაქვს უფლება პათეტიკური თუ მაღალფარდოვანი ტონი გავაყოლოთ ამის შესახებ თქმულს. „შენ ხარ, მარტო შენ!.. მაგალითი სხვა არსად არი, რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ შეძლებიყოს“. ილიას მიერ საგანგებოდ თქმული ეს სიტყვები მეტ გულისყურს გვავალებს. ჩვენ უფლება არა გვაქვს, არ ვიცოდეთ უბედურებათა მასშტაბები, მათი რაობა, მათი კონკრეტული სახე. არ ვიცოდეთ, როდის იყო ის ყველაზე ძლიერი და სახიფათო. სხვაგვარად ჩვენ წარსულისადმი ზედაპირულ დამოკიდებულებაში აღმოვჩნდებით, თუკი ყველა მოვლენას ერთმანეთთან გავათანაბრებთ, თუ არ გამოვარჩევთ და არ გავიაზრებთ უმთავრესს. უმთავრესი მოვლენის გამორჩევა სწორედ განურჩევლობის სენს ებრძვის. განურჩევლობა კი საშიში სენია, იგი გულგრილს გვხდის საკუთარი ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლისადმი. ჩვენ მართალი უნდა ვიცოდეთ—როდის გადავრჩით, აშკარა დაღუპვას და რამდენგზის გადავრჩით. ამ გადარჩენის შინაარსში რა სახიფათო იმალება, რა ძალაა ის ძალა, რომელსაც ისტორიის კრიზისული სიტუაციიდან გამოვყავართ. შემთხვევითი ფაქტია გა-

დარჩენა, თუ რაღაც ორგანული თვისებების სინთეზი იძენს ალმასის სიმკვრივეს, რასაც ხალხის ბუნებაში ვერაფერი ვერ უხერხებს დაშლას. და იმ თვისებათაგან რა არის უმთავრესი, რა კრავს ერთ მთელად ჩვენს რაობას, რა კარნახობს ჩვენს ყოფნას ფორმასა და შინაარსს.

მემატიანეთა და ისტორიკოსთა აზრით, ერთ-ერთ უმძიმეს (აქამდე ყველაზე მძიმე) უბედურებად დიდი თურქობა და საშინელი მიწისძვრა ითვლება, რომელიც ფაქტიურად რაღაც ათი წლის შიგნით დაატყდა თავს საქართველოს (1080—1089 წლები) ერთი მეორეზე უარესი თავისი ფორმითა და მასშტაბის წყალობით. ფაქტიურად ქვეყანა მთლიანად განადგურდა. მხოლოდ აქა-იქ გადარჩა ფესვები, როგორც სიცოცხლესთან ამბის მიმტანი...

ასეთ დროს მოვიდა საქართველოს ტახტზე დავით მეფე. მან და მისმა თანამებრძოლებმა გადადგეს ნაბიჯი, რასაც ყველა გადადგამდა. თავის ნაფუძარზე გადარჩენილი ქართველობის ჩამობრუნებას მიჰყვეს ხელი. მტერმა იცოდა, რომ საქართველოსაგან ნანგრევებისა და დაჯაბნებული მოლაშქრეების მეტი არაფერი დარჩენილა და რომ აქ დიდი წინააღმდეგობა ვერასდროს გერ წარმოიშობოდა, რომ ადრე თუ გვიან მთელი ქვეყანა მას დარჩებოდა. საკუთარ ნაფუძარზე დაბრუნებისათვის გარკვეული დრო მიეცათ ქართველებს. მაგრამ ეს ჩამობრუნება-მოეშენას პროცესი წარიმართა ისეთი ინტენსივობით, რაზეც არც მტერსა და არც მოყვარეს არ შეიძლებოდა ჰქონოდა წარმოდგენა.

დავითმა, განახორციელა რა პროცესი გრანდიოზული მასშტაბით, მთელი ძალით იგრძნო თავისი მშობელი ხალხის შინაგანი მისწრაფებების სიმშვენიერე. როგორ უყვარდა ქართველ კაცს ფუძე, რაგვარის შთაგონებით, როგორი სრული თვითგაღებით ეძლეოდა კერის აღორძინების საქმეს. ამდენი უბედურების გადამტანი, ვისაც დედ-მამა დაუხოცეს, ცოლი გაუუპატიურეს, შვილები დაუხოცეს, სახლი დაუწვეს, ვინც ობლად, უთვისტომოდ დარჩა, ვინაც იცოდა, რომ ბევრი ოჯახი ძირფესვიანად ამოწყდა, გვარები გაიჟლიტა, სახლებისაგან ნაცარიღა დარჩა, ვის თავზეც ათასი ფორმისა და შინაარსის უბედურება დატრიალდა და ვისთვისაც სიცოცხლე თავის

მომაბეზრებელი ამაოება უნდა ყოფილიყო მარტოოდენ, ფუძეს აღადგენდა!...

ასისფრონი და კლარჯეთი ზღვის ბირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი — ეს უზარმაზარი ქვეყანა ფუსფუსებდა თავის კერასთან — ამ უზარმაზარი ქვეყნის ათასობით სოფელსა და ქალაქში ერთდროულად შენდებოდა სახლი, კერიაზე ცეცხლი ენთებოდა. მათთან ტრიალებდა მეფე და სამეფო კარი. გრანდიოზულ აღმშენებლობას ხელმძღვანელობდა დავითი თავისი ერთგული ხალხით, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ ამავ დროს აკვირდებოდა ამ შენების შინაგან „სტიქიას", ქართველი კაცის ბუნებაში რომ შლიდა ფრთებს. შენება ერეოდა ყველა ჭირს, აღორძინების იმედს ჩეკდა.

რა სიღრმეზე იყო მიწაში წასული ფუძის სიყვარული თავისი გაუხუნარი ფესვებით!

ამ ფესვებს მოჰყავდა კლდეებს და ხვრელებს შეფარებული გადარჩენილი ნიშატი ფუძესთან, მასთან შეხებისთანავე სიცოცხლე ზიმზიმს იწყებდა ქართველი კაცის თვალებში, სადაც ერთი შეხედვით თავს დატეხილ უბედურებას ყოველგვარი ხალისი ჩაექრო. ამ მამაპაპეულ მიწაზე ყოფნის ჭინი ბრუნავდა არნახული სისწრაფით. ამ რიტმის ბადალი არაფერი ენახა მეფეს — სიყვარული კერიისა, და შენების გნება წარმოშობდა იმ რიტმს. არსის თვისებად ჩანდა იგი და რიტმიც აქედან იძენდა საოცარ დატვირთვას. აშენებდა... ერთი ხელის მოსმით დანგრეულს და დანაცრებულს, ვინ იცის მომავალში ერთი ხელის მოსმით დასანგრევს და დასაწვავს აშენებდა! მაშინ, როდესაც აღშენებას ამდენი დრო, ენერგია, იარაღი და მასალა ჭირდებოდა. მაინც აშენებდა, არაფრად უღირდა განსხვავება, დანგრევის წამსა და აღშენების წლებს შორის რომ ივარაუდებოდა. ერთ წამში დასანგრევს წლობით აშენებდა. მაგრამ ნურას უკაცრავად! იმ წლობით შენებაში უფრო გამძაფრებული რიტმი და ვნება იკითხებოდა, ვიდრე უმოკლეს ჟამში ნგრევა და დაწვა გულისხმობს.

ერი მეფესთანაა, რადგან მან თავის ერს ყველაზე დიდი ბედნიერება არგუნა — დააბრუნა ფუძესთან და ყველა პირობა შეუქმნა აღორძინებისათვის. პირველი დღეებიდანვე სა-

ქართველო საკუთარ ფეხებზე იდგა, რადგან ჰყავდა ესოდენ დიდი წინამძღოლი და აღადგენდა ქვეყანას კიდით კიდემდე. დავითმა იცოდა, რომ ასეთი ნგრევა-განადგურება მანამ არ გამოეცადა საქართველოს. მისი მემატიანის სიტყვებიდან ჩანს, რომ მეფემ და მისმა ქვეყანამ ეს იცოდა. მან ისიც იცოდა, რომ წარსულშიც ასეთი ჟინით უბრუნდებოდა თავის ფუძეს ქართველი კაცი. ურმებითა და ცხენებით კი არ დაძრწოდა წუთისოფლის ოღრო-ჩოღრო გზებზე, უმალ ფუძეს უბრუნდებოდა! ცისქვეშ მისი კუთვნილი მიწიდან არსად წასვლა არ ენატრებოდა, არასოდეს არ უფიქრია ამაზე. მაგრამ შენებაც არის და შენებაც: ქართველი კაცის დაფუძნებაში საოცარი სიმკვიდრე იკითხებოდა. იგი მხოლოდ და მხოლოდ მკვიდრად ეფუძნებოდა. სიმყარე მიწაზე დგომისა, მისი სიცოცხლისეული ვნება იყო. სიცოცხლეს და ამ ვნებას ერთდროულად თუ გაეყრებოდა.

ქვეყანაში სადაც ის დასაბამითვე ცხოვრობდა, ათასი ჯურის ხე იდგა, ულამაზესი და უმშვენიერესი თავისი დანიშნულებით. მან კი თავისი ხასიათი მუხასა და ძელქვას გაუთანასწორა. ისინი აირჩია, ყველა დანარჩენი შემდგომ! ორთავე გამძლეობის, შინაგანი სიმტკიცის, მასიური სიმკვრივის განსახიერებაა. მუხა და ძელქვა მოდიოდა მის ბუნებასთან. სიმკვიდრის, სიმტკიცის ფორმულასავით იყო ეს მცენარეები. ისინი მოიშინაურა სულმა. მათებრ მკვიდრად დაფუძნებას გაუღო გულმა კარები. ეს არ არის შემთხვევითი ფაქტორი. ადამიანის არსი შესატყვის საგნებს ესწრაფვის ბუნებაში — საკუთარი ბუნების შესატყვის საგნებს, ირჩევს მათ როგორც ხვედრს და მუდმივ თანამდგომს.

ვაზი ბევრგან ხარობს, მაგრამ როგორი ხაზგასმით არის გამორჩეული იგი ქართველი კაცის მიერ. აქაც გათანაბრებულია მისი არსებობა ვაზის არსებობასთან. სადამდეა აზიდული ვაზის მნიშვნელობა მისგან! რა ღვთაებრივი დანიშნულებაა მასში წაკითხული. ვაზის ერთი უმთავრესი ნიშანი სიმკვიდრე და გამძლეობაა, მიწაში ღრმად ჩატანილი ფესვებია, ბიბლიური ასაკის ბუნებაა ნიშატივით აღბეჭდილი. მუხა, ძელქვა და ვაზი ამ ნიშნებით არიან ერთმანეთს გადაწნული — მათთან ერთად ქსოვდა თავის არსებობას ქართველი კაცი, მათთან

ერთად დაამკვიდრა ეს არსებობა ქართულ მიწაზე, ფუძის სიმყარე და მკვიდრობა მათთან გაერთიანდა და ეს ნიშანი დავითის თვალწინ კიდევ ერთხელ იფოთლებოდა. დიდმა ჰირმა არნახული მასშტაბით აამოძრავა რიტმი აღშენებისა და მისი დანახვა და გააზრება სიცოცხლედ ღირდა. ღვთაებრივი სიმშვენიერისა იყო ეს თვისება, ეს აშენების ენებათაღელვა, მარადიულობად განცდილი ფუძის ერთგულება.

ასე იყო მუდამ, ასე ციკლისებურად მეორდებოდა ნგრევა-დარბევა და კვლავ აშენების პროცესი ქართული ცის ქვეშ. ახლა მან არნახული მასშტაბი მიიღო დავითის ხელისშეწყობით და, რაც მთავარია, ხალხის შინაგანი მისწრაფებანი, მისი ბუნების უმთავრესი ნიშანი მაქსიმალური სრულყოფით გადმოიშალა. ამ დროს აღმოაჩინა, უეჭველია, დავით მეფემ მშობელი ხალხის დიდი უნარი, შესაძლებლობა და განუმეორებელი თვისება, ხაზგასმული და მისთვის ნიშანდობლივი, მთელი არსებით იგრძნო ის ძალა და მისცა საშუალება სრულად გამონათებულიყო იგი. მართალია, ჯერჯერობით ეს იყო საკუთარი ეზო-კარის, საკუთარი ფუძის აღორძინებაში გამოვლენილი ნიშანი, მაგრამ უკვე წაიკითხებოდა შორეული პერსპექტივები. ეს თვისება მხოლოდ საკუთარ ფუძესთან არ მიეჯაჭვებოდა, იგი უფრო დიადის, უფრო მყარის, ზოგადქართული ფუძისა და გუმბათის აღშენებასაც მოიწადინებდა ხვალ.

გელათის მონასტერში, ფრესკაზე დავით მეფეს ცალ ხელში ტაძრის მაკეტი უჭირავს, ასე გამოხატა მადლიერმა ერმა თავისი უდიდესი მეფე. მან ხაზი გაუსვა თვით დავითის მოღვაწეობაში უმთავრესს — მშვიდობის წყურვილს და ღმერთის სადიდებელი ტაძრების შენების მიზანს. მისი, როგორც ადამიანის მისია ერისა და მომავლის წინაშე, მისი, როგორც ადამიანის მისია ღმერთის წინაშე ეს დიადი მშენებლობანია. ახლა წარსულში აშენებული ბაზილიკების, ეკლესიების, მონასტრების, ტაძრების გამოსახულებანი გავიხსენოთ. რა ხშირია გამოსახულება ტაძრის მაკეტით! არის იგი ქრისტიანული სამყაროს ნიშანდობლივი შტრიხი, მაგრამ რა ხშირია ეს შტრიხები საქართველოში, როგორი ხაზგასმით არის იგი დაწინაურებული! დაწინაურებულია თვისება ერისა, სიმპატია, მიდრეკილება მისი. დავითის მოღვაწეობის უმთავრეს

ნიშნად მან აღმშენებლობის სიმბოლო გამოაცხადა. სწორედ დავითთან რომ გაუსვა ხაზი ამ ნიშანს, ეს არის ჩვენთვის საინტერესო. უფრო თვალში საცემია იგი. დავით მეფემ იპოვა თვისება თავისი ხალხის წიაღში, რასაც უნდა დაყრდნობოდა მომავლის საქართველოს აშენების პროცესში. იგი რალაცას ავალდებულებდა თითქოს კიდეც.

მისი გონებით, მარჯვენით, მოქმედებით გაწვრთნილმა ერმა უმოკლეს დროში მოახერხა ქვეყნის ოდინდელი ძლიერების აღდგენა. და ამოისუნთქა თუ არა ქვეყანამ, მაშინვე ყურადღების მაქსიმუმი მეფემ ერის დანიშნულებისაკენ მიმართა. წუთისოფელი არსებობის შენარჩუნებისა და გადარჩენისათვის კი არ არის მოცემული, საკუთარი დანიშნულების აღსრულებისათვის არის იგი ბოძებული. ასეა ყოველი სულდგმულისათვის და ასეა იგი ერისათვის. უპირველეს ყოვლისა, ამ პიროვნულისა და ეროვნულის ერთიანობისათვის არის ეს დანიშნულება მისადაგებული. ქართველი ხალხის ფიზიკური და სულიერი ცხოვრების მიმართულება ამ დანიშნულებით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული. ამ გზაზე კი საკუთარი სულიერი ცხოვრების მობილიზება ხდებოდა აუცილებელი. ქვეყანაზე მკვიდრად ყოფნის ერთ-ერთი გამამჟღავნებელი დიდი ქალაქებისა და ციხე-ტაძრების, ეკლესია-მონასტრების აღშენება იყო. ეს შინაგანი მოთხოვნილების გამოხატულებად იკითხებოდა მუდამ. იცოდა დავითმა, რომ მარტო ერთმა მეფემ ვახტანგ გორგასალმა სამი ქალაქი ააგო. ასეა ფაქტიურად: უჯარმის უზარმაზარი ციხე-ქალაქის კომპლექსი მთლიანად მის დროს აიგო. ასევე მის დროს აიგო არტანუჯის ციხე-ქალაქი და საფუძველი ჩაეყარა თბილისს, როგორც საქართველოს მომავალ ცენტრს.

ქართველი კაცი ძალიან ბევრს აშენებდა და აშენებდა ყოველთვის, როდესაც კი ამის საშუალება ოდნავ მაინც მიეცემოდა. აშენებდა, უპირველეს ყოვლისა, კულტურის კერებს. ტაო-კლარჯეთის მშენებლობა გრიგოლ ხანძთელის მეთაურობით, რასაც წინ უძღოდა უძველესი დროიდანვე იშვიათი დონის არქიტექტურული ანსამბლები და ამ შენების ასევე იშვიათი მასშტაბები, სრულ გამოხატულებად იქცა ერის შინაგანი სწრაფვისა, თავისი მდიდარი სულიერი

წამყარო გაეცნადებინა ხუროთმოძღვრებაში და დაემკვიდრებინა ისინი როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის საზღვრებს გარეთაც შემოქმედებით კერებად. ამ მშენებლობებმა მთლიანად გამოიტანეს ხალხის მისწრაფებანი სამზეოზე.

პროცესი მთლიანად და სრულფასოვნად იქნა წარმოჩენილი. მან მოითხოვა თავისი გაგრძელება, ახალი სიმაღლე! ქვეყნად უკვე არსებობდა ოშკი, ხახული, ბანა, ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი... ესე ყოველი ავალდებულებდა დავითის დროინდელ საქართველოს დასრულებული ფორმა და შინაარსი მიეცა კულტურული პროცესისათვის.

„...რამეთუ მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა რომელიცა გამოირჩია მადლმან სალმრთომან ადგილისა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცა გარდაართხა ტაძარი ყოვლად წმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა, რაბამ რამე აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა, რომელი ზეშთა ჰმატეს შუენიერებასა ყოველთასა, სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა, და მოქმნულობისა შეუსწორებლობითა, რომელსა აწ თანამოწმობით ხედვენ თუალნი ყოველთანი. და აღავსო სიწმიდეთა მიერ პატიოსანთა ნაწილთა წმიდათასა, და წმიდათა ხატთა მიერ და სიწმიდისა სამსახურებელთა ყოვლად დიდებულთა და სხუათა ნივთთა ძნიად საბოვნელთა“.

მივაქციოთ ისტორიკოსის მიერ დაჟინებით თქმულ სიტყვებს და ფრაზებს ყურადღება. „მოიგონა აღშენება მონასტრისა“. თითქოს არაფერია არაჩვეულებრივი ამ სიტყვებში, მაგრამ მთელი შემდგომი შინაარსი კონტექსტისა ზრდის ამ სიტყვების მნიშვნელობას. მონასტრის აშენება არ უჭირდა დავითის საქართველოს, მაგრამ მოსაძებნი იყო გაგრძელება იმ დიდი აღმშენებლობითი სურვილისა, რაც საქართველოში ძველთა განვე დუღდა და ზოგჯერ არნახული ძალით ფეთქებდა ხოლმე. უნდა მონახულიყო ახალი მონასტრის ახალი დანიშნულება, მისი მასშტაბი, მისი ახალი დატვირთვა ამ უწყვეტ ჯაჭვში. თანაც სხვაზე მეტი დატვირთვა უნდა ჰქონოდა მას რადაც უნდა გაესრულებინა, კულტურული პროცესის ერთი მდინარება დაეგვირგვინებინა, გაეერთიანებინა იმ კერების და-

წიშნულებანი და ახალ საფეხურზე აეყვანა ხალხის შემოქმედებითი წვა. ამიტომ „მოიგონა" დავითმა ახალი მონასტრის აშენება საგანგებოდ. ამიტომ დაახარჯა დიდი ფიქრი მისი დანიშნულების განსაზღვრას. „ვითარცა მეორე ცა გარდაართსა ტაძარი ყოვლად წმიდისა"... მეორე ცად აღიქმება საქართველოსთვის გელათი, იგივე მეორე სუნთქვის გახსნაა იგი ერის სულიერ ცხოვრებაში, სხვა სივრცის გამოჩენაა, „აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა". აქ აღმატებული არის საგულისხმო. წინათ შექმნილ-აშენებულზე აღმატებული აიგოს უნდა გელათი... აღმატებულში იგულისხმება არა მარტო მისი ანსამბლური მრავალფეროვნება და სიდიადე, მისი გრანდიოზულობა, არამედ უფრო მისი დანიშნულება, მისი გვირგვინისებური ფუნქცია საქართველოს ეკლესია-მონასტრების ჯაჭვში. იგი ამატებს ყველა დანარჩენის მშვენიერებას ამ ფუნქციის წყალობით. „რომელი ზეშთა ჰმატეს მშვენიერებასა ყოველთასა", ამეტებს „სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლით, და მოქმნულობისა შეუსწორებლობითა". დიახ, აქ დახარჯული ფიქრი და ენერგიაა საინტერესო. ასე უნდა იყოსს გელათმა უნდა გადაფაროს ყველა აქამდე შექმნილის ღირსებანი. ამიტომაც „მოიგონა" მისი აღშენება, რომ გამოხატოს ქართველი ერის უცნობი შესაძლებლობანი, აქამდე დაფარული სივრცე დაინახოს მისი წყალობით, მისი დაბადებით დარწმუნდეს, რომ მაღლა მხედია, კი არ ეშვება, უფრო უახლოვდება სრულქმნის წერტილს, უფრო მომწიფებულია და მზადმყოფი ახალ სიმაღლეზე ასასვლელად. „მაგრამ გელათის, ასეთი ფართო დანიშნულების მქონე დაწესებულების, დაარსება სრულიად არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა ან დავით მეფის უბრალო სურვილის შედეგი. ეს ღონისძიება ბუნებრივად შეეფერებოდა საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ და სამეურნეო-კულტურული განვითარების დონეს" (ბაბილინა ლომინაძე — „გელათი", თბილისი, 1955 წ.).

ამიტომ მიეჯაჭვა მეფისა და მისი ერთგული ხალხის ფიქრი გელათს, რომელიც ქუთაისის ახლოს ააგო მეფემ. აქ იყო ივი, აქ ტრიალებდა, გადმოცემით უზარმაზარ ლოდებს ერკინებოდა. ეს დიდი შრომა ლეგენდებად შემორჩა შთამომავლობას. ისეთი ლოდის ამოტანაც კი მიაწერეს მეფეს, თანამედროვე

ტექნიკას რომ გაუჭირდება ახიდვა. მაგრამ ამ ლეგენდით ხომ დიდ საქმეში მისი აბსოლუტური ჩაძირვა ივარაუდება. ფიზიკური და სულიერი ენერგიის მაქსიმუმი მიაკუთვნა გელათის მეფემ. მიაკუთვნა, რადგან მისი დანიშნულება ჰქონდა ნაპოვნი. მას მოუზომა კუთვნილი ადგილი ერის სასიცოცხლო მოძრაობის დიდ გზაზე. ნიშანსვეტის ფუნქცია დააკისრა გელათს. მან აიტანა ყველაზე მაღალი მწვერვალი თავისი უღელტეხილითურთ ქვეყნის სულიერი ცხოვრების ოკეანეში და ყოველი მხრივ დაამყარა შინაგანი წონასწორობა. გელათი დამბალანსირებელი რგოლია და წონასწორობაც ამით დამყარდა. მასში განივთდა უმაღლესი მისია მეთაურისა — გელათი დაეფუძნა როგორც აკადემია ქართულ მიწაზე, არ დაგვავიწყდეს აკადემიის შინაარსი — იგი უნივერსალური სრულყოფისაა. მიზნად ისახავს ქართველი ხალხის სულიერი ენერგიის მთლიანად გამონათებას და მსოფლიო ცივილიზაციის უმაღლეს წერტილებთან გათანაბრებას, არამარტო გათანაბრებას, გადამეტებასაც კი!

„რომელიცა აწ წინამდებარე, არს ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღუარებად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა, საღმრთოთა შინა წესად, დიაკონად ყოვლისა საეკლესიოსა შუენერებისად". — მეორე იერუსალიმი, სხვა ათინად, ათინაზე უმჯობესად, — ყველაფერი ეს ლამაზი სიტყვები იქნებოდა, გელათის დიდ მოვლინებაში მართლაც ერის ცხოვრების ახალი გაცხადება რომ არ იკითხებოდეს. გელათი მართოოდენ საქართველოს კუთვნილება არ შეიძლება იყოს. მან უნდა უხელმძღვანელოს მთელი საქრისტიანოს სულიერ ცხოვრებას აღმოსავლეთში, კონკურენცია გაუწიოს ათენს. დაიტვირთოს საერთაშორისო მერიდიანებით და ამ გზით მოახდინოს არა მარტო ქართული სულიერი ენერგიის განფენილობა შინ და გარეთ, არამედ მიმართულება მისცეს სარწმუნოებით მონათესავე ხალხების სულიერ ცხოვრებასაც. კავშირი დაამყაროს უშორეს კერებთან და ამ გზით მოახდინოს ცხოველმყოფელი გავლენა როგორც საკუთარ ხალხზე, ასევე სხვებზე — „აღმოსავლისად მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად

ათინად, ფრიად უაღრეს მისსა სალმრთოთა შინა წესთა"... ყველაფერი აქ თქმული იმ მისიის გამამჟღავნებელია. დატვირთვა, დატვირთვა, დატვირთვა! დავითმა იცის ერის ცხოვრების გზა, მისი მოძრაობის მიმართულება, აღორძინება-გაერთიანების პროცესი იცის ძირფესვიანად. ამის შემდეგ ამისდა წყალობით ჩანს ყოველი ნაბიჯი ლოგიკური, ძნელად გადასადგმელი, მაგრამ ლოგიკური და დიდი ძალისხმევის შემდეგ შესაძლებელი!

მსგავსი ტაძრის აგებას დიდი სიმდიდრე ჭირდება. ლაშქრობებში ნაალაფევი წაადგა მეფეს. ძლევამოსილი ლაშქრობების შემდეგ დავითის ხელთ აურაცხელმა ოქრო-ვერცხლმა, ძვირფასმა ნივთმა მოიყარა თავი.

„ამათ თანა დასხნა მუნვე დიდთა და ხოსროანთა მეფეთა ტახტნი და საყდარნი, სასანთლენი და კედელნი ფერად-ფერადნი იავარად მოხმულნი თვისნი და კუალად გვირგვინი და მანიაკნი, ფიალანი და სასუმელნი, რომელნი მოუხუნა მეფეთა არაბეთისათა, რაჟამს თვით იგინიცა ტყუედ მოიყვანნა, მასვე ტაძარსა შინა შეწირნა ღმრთისა სახსენოდ და სამადლობელად ძლევისა მის საკვირველისა".

ხელოვნურად გელათის აკადემიის დიდი დანიშნულება ვერ დამკვიდრდებოდა. გულში ამოჭრილ სურვილად დარჩებოდა იგი, არც გარეგნული, არც შინაგანი ბრწყინვალებით გელათის ანსამბლი „ახალ იერუსალემად ან სხუად ათინად" ვერ გადაიქცეოდა. ორი დიდი პირობა იყო საჭირო მიზნის მისაღწევად: საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების გააქტიურება იქამდე, რომ იგი თავისი სრულყოფილი ძლიერებით ყველასთვის საჩინო ყოფილიყო და ჭემარიტად დიდი მოღვაწეების და მოაზროვნეების დამკვიდრება გელათის აკადემიაში, რათა მათ სულიერ ძალასა და კონტაქტებს ცივილიზებულ მსოფლიოსთან თავისთავად გადმოეტანა ყურადღება გელათისაკენ. მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა მიზანი მიღწეული. რაც მთავარია, იგი შეაგრძნობინებდა ხალხს თავის ღირსებებს, თავის ახალ გაცხადებას და დაავალდებულებდა ეცხოვრა მოპოვებული სიმაღლის შესაფერისი ცხოვრებით.

„და მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა

და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვისთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ სადათცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანა და დაამკვიდრა მას შინა".

ამ შემთხვევაშიც რაოდენ ტევადი სამუშაოა ჩატარებული, რამდენი კვლევა, გამოკითხვა, პიროვნებების შესწავლა. სიწმინდე, სიკეთე, სულიერი და ხორციელი სისრულე, სათნოება... ამ შინაგანი სიკეთით უნდა ყოფილიყვნენ ისინი აღსავსენი... და ამასთან დიდი გონება, დიდი შრომისმოყვარეობა! არ იყო „გადახვეწილ" შვილთა ასე სრული შესწავლა ადვილი საქმე. არც მათთან მოლაპარაკებას და დაყოლიებას ჰირდებოდა ცოტა დრო. ბოლოს და ბოლოს — ბაგრატ მეოთხის მიერ საქართველოში მოწვეული გიორგი მთაწმიდელი ფაქტიურად გაწბილებული დაბრუნდა უკან, — თითქმის ამაოდ დაშვრა იმ მამათა თვალში, ვინც საქართველოს საზღვრებს გარეთ მოღვაწეობდნენ და ვინც თვალს ადევნებდნენ საქართველოს სულიერ ცხოვრებას. მათ ხომ ყველაფერი შეიტყვეს, შეიტყვეს, როგორ აიმღვრა ეკლესია-მონასტრებში სიწმინდე გიორგი მთაწმიდელის წამოსვლისთანავე.

ამ შემთხვევაში კი უთუოდ დიდი როლი ითამაშა საქვეყნო მოვლენებმა და, რაც მთავარია, ეკლესიის გაწმენდის გრანდიოზულმა ოპერაციამ რუის-ურბნისის კრებაზე. ამანაც შემოუბრუნა მათ გული და გააიოლა მათი შემოკრება და დამკვიდრება გელათის აკადემიაში.

რაც მთავარია, ხალხის სულს სწყუროდა ახალი სიმაღლე. მკვიდრობის, აღშენების დაუოკებელი მოთხოვნილება ეძახდა გელათს, ახალ ცას, სხვა ათენს. მისი გაზრდილი გემოვნება — ოშკით, სვეტიცხოვლით, ბანთი, ბაგრატის ტაძრით გაზრდილი გემოვნება ეროვნულ ფანტაზიას აფრენისაკენ მოუწოდებდა. თითქოს ფრთები გამოსხმოდა სურვილს. ყველაფერი, რაც ასე მოკლე დროში ასე შესანიშნავად იყო გაკეთებული დავითის ხალხის მიერ, ფერმკრთალდებოდა, თუ ის მაღალი არ ამოიზრდებოდა, არ ამოიტანდა მიწის სიღრმის განცდას და ლვთვარდთან შეერთების წყურვილს. მიწის გულიდან ცის სიღრ-

მემდე იკედლებოდა და გუმბათდებოდა მკვიდრობის განცდა, სიმყარისა და სიმტკიცის მარადიული ნიშნები; „უფლის მარჯვენი“ მეტყველებდა, იგი გელათის კედლებს ებჯინებოდა და განაძლიერებდა დუღაბს.

„და კუალად სხუა მოიგონა საქმე, შემსგავსებული მოწყალისა და ტკბილისა ღმრთისა სახისა, კაცთმოყვარებისა თვისისა; აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა ძმანი, თვითოსახითა სენითა განცდილნი, და მოუმზადა ყოველი საკმარი მათი, უნაკლულოდ და უხუებით, და განუჩინნა შესავალნი და საღუაწნი მათნი ყოვლადვე. თვით მივიდის და მოიხილნის, მოიკითხნის და ნატრიდის, განამხნობდის მოთმინებისა მიმართ, მონახის თვისითა ხელითა ცხედრები, სამოსლები და საგებელი მათი, პინაკი და ყოველი სახმარი მათი, მისცის თვითოეულსა ოქრო საყოფინი და განაკრძალნის ზედამდგომელნი მათნი და განაგის ყოველი საქმე მათი დიდად შუენიერად და ღმრთისა მსახურებით“. ცხოვრება მარტო იდეალების ჯამი და იმ იდეალების სამსახურში გადადგმული ნაბიჯები არ არის. დიადი მიზნებისადმი სამსახურში ერის დაძახებას ათასი წახნაგი ახლავს. ხალხი ცხოვრობს, იღვწის, შრომობს, ავადმყოფობს, ილხენს, უჭირს... მის ყოფას ზრუნვა და თანადგომა ენატრება, რათა პირუტყვად არ გადაიქცეს. ყოფამოუვლელი ხალხი გელათის არსს ვერ ჩაწვდება, მის ძაგებად ვერ გაიყოლებ. აქ მოტანილ ციტატაში დავითის პიროვნებაზე იმდენი რამ არის თქმული, ვერც იფიქრებ, სხვა დანიშნულება თუ შეიძლება ჰქონდეს მას. დავითის პიროვნება ისედაც ყოველ საქმეში და ყოველ სიტყვაში გამოსჭვივის, მაგრამ ამჯერად მშენებლობის სხვა მიმართულება გვაინტერესებს. როგორ ავსებს იგი აღმშენებლობის სურათს იმდროინდელ საქართველოში. როგორ უერთდება ქსენონის აშენების ფაქტი ათასობით სოფელში ფუძის აღდგენის სასიცოცხლო საქმეს; მისი გაგრძელებაა, ხალხის ყოფა-ცხოვრების მოწესრიგების დიდი ფაქტია. საავადმყოფო ააგო მეფემ, სადაც ავადმყოფები სნეულებათა სახეობის მიხედვით იყვნენ დანაწილებულნი. ეს უკვე ახალი საფეხურია ფეოდალური სამყაროს ყოფაში. თუმცა საქართველოში მას დიდი ხნის ტრადიცია ჰქონდა. მოწესრიგებული

სახელმწიფოებრივი ფორმა ჩანს ქსენონში. პრიმიტიული, შა-
ნაურული მკურნალობის ნაცვლად დასაბამი ეძლევა მკურნა-
ლობის სახელმწიფოებრივ სისტემას. და რა დონისაა ქსენონი,
როგორ არის დახარისხებული, რა ყურადღება ახლავს მკურ-
ნალობას, როგორ მეთვალყურეობს მეფე განკურნების საქ-
მეს, სისუფთავეს, — საცვლების პრობლემასაც კი. ერის
წვრთნა მისი ფიზიკური ჯანმრთელობის გაფრთხილებასაც
ნიშნავდა მეფისათვის და ამიტომ ადმშენებლობის ყოვლის-
მომცველ ოპერაციაში ქსენონის კეთილშობილური და მადლი-
ანი კედლებიც ამ ზეგნებამ წაამომართა.

მთავარია, რომ აიგო ქსენონი, ფაქტის მნიშვნელობას არ
ამცირებს ის, რომ ერთადერთი იყო ერთხანს. ქსენონის აგე-
ბის მოთხოვნილება, მისი აგების აუცილებლობის შესახებ
აზრის მომწიფება იყო უმთავრესი. ფორმა და შინაარსი გაჩ-
ნდა ახალი. თავისთავად ცხადი უნდა იყოს, რომ პირველს მე-
ორე მოჰყვებოდა, მესამე, მეოთხე. ეს ამ ზრუნვაში ჩანს, რა-
საც მეფე ამჟღავნებს, როგორ დასტრიალებს თავს, როგორ
ყველაფერს ამოწმებს, ე. ი. რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.
რაკი მნიშვნელობას ანიჭებს, საყოველთაო ყურადღებითაც
იქნებოდა ქსენონი გარემოსილი. კულტურა ავადმყოფის მოვ-
ლისა ამ გზით ამაღლდებოდა. ერის ყოფა-ცხოვრების კულ-
ტურას უკვე სახელმწიფოებრივი მზრუნველობა ადგა თავს.
გამომდინარე აქედან, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ ამის
შესახებ არაფერს გვეუბნება ისტორიკოსი, უნდა ვირწმუნოთ,
დავითი და სამეფო კარი ხალხის ცხოვრების, ჩვევა-ჩვეულე-
ბის ამაღლება-დახვეწასაც აქცევდა უთუოდ ყურადღებას.
ზრუნვის საოცარი მაქსიმალიზმი, რომელიც დავითის პიროვ-
ნულ თვისებებს უკავშირდებოდა და მისგან მომდინარეობდა,
ქსენონთან ან სხვა რომელიმე სახელმწიფოებრივ საქმესთან
არ შეიძლება შეწყვეტილიყო. „უწესოდ სლვას“ რომ კონ-
ტროლი ეწეოდა მეფის მხრივ თვით ბერ-მონაზონთა და მსა-
ხურეულ პირთა შორის, ეს აშკარად გვეუბნება, რომ მეფე
მშრომელი ხალხის სახლებშიც ხედებოდა და მათი ცხოვრე-
ბის გაუმჯობესებაზე ზრუნავდა. რაც შეეხება ხალხის საკუ-
თარ კერაზე დაბრუნების დიდ კამპანიას, ისტორიკოსი აქაც
პირდაპირ მიუთითებს, თუ როგორ ორგანულად განიცდიდა მე-

ფე თავისი ხალხის ცხოვრების ყოველ დეტალს, მნიშვნელოვანი იყო მისთვის ყველაფერი.

გელათი დიდი მწვერვალივით არის ამოზრდილი და ისე იჯაჭვავს ჩვენს მზერას, რომ ხშირად ვერ ვახერხებთ მთლიანობაში აღვიქვათ დავითის მიერ განხორციელებულ შენებათა მასშტაბი. მაგრამ ჩვენ ხომ მოვალენი ვართ, ყველაფერი ვიცოდეთ, მოვალენი ვართ გადავიხედოთ გელათის იქით: დავითის აღმაშენებლური სტილი „მოეშენას“ სათავიდან მოემართება. დავითი გელათამდე ამ „მოეშენას“ ურიცხვი ფაქტით მოვიდა, „ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი“ და კიდევ მიწისძვრისაგან დანგრეული დაბა-ქალაქების აღშენებით მოვიდა, ათასობით კერიის აღდგენით, ხიდების, ციხე-სიმაგრეების, ტაძრების, ეკლესიების, მონასტრების და კვლავ და კვლავ დაბა-ქალაქების აღშენებით მოვიდა იგი გელათამდე... მერე ქსენონი ააგო... „არამც თუ თვით საქართველოში, არამედ ყველგან უცხოეთში, სადაც კი ქართული მონასტერი იყო, საბერძნეთში, ბოლღარეთში, ასურეთსში თუ კვიპრში, შავს მთას თუ პალესტინაში, მეფე თავის უხვ წყალობას არ აკლებდა; ხოლო თვით მთასა სინასა ზედა, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ელია, აღაშენა მონასტერი და წარსცა ოქრო მრავალი ათასეულნი, დამოსაკიდელნი ოქსინონი და წიგნები საეკლესიონნი სრულებით და სამსახურებელი სიწმინდეთა ოქროსა რჩეულისა“ (ივანე ჯავახიშვილი).

უცხოეთში, სადაც საჭიროა და აშენებულია კიდეც მონასტერი, დავითი განაძლიერებს ქართული შემოქმედებითი სულის განფენილობას. ხოლო სინას მთაზე ახალი მონასტერი აღიმართა მის დროს მისივე ხელმძღვანელობით. გელათის აშენებაში ჩადებული დიდი აზრი გარკვევით არის გამოკვეთილი იმ სისტემატურ ზრუნვაში, რაზეც მიგვითითებს ივანე ჯავახიშვილი. უცხოეთში განფენილი ქართული კულტურის კერები გამუდმებული ყურადღების, კონტროლისა და წყალობის ქვეშ არიან მოქცეულნი. ხოლო სინას მთაზე ახალი მონასტრის აგება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აღმშენებლობითი და კულტურული მისიის გაძლიერების მოუცილებელ მიზნებს. იგი ერის მიზანია.

„ის ფაქტი, რომ დავითმა დემობილიზაცია გამოაცხადა, უდავოდ მოწმობს, რომ ყივჩაყთ სადგომი ადგილ-მამული საქართველოში აქვთ მიცემული, ის ფაქტი, რომ დემობილიზებული ჯარი სამ დღეში შეაგროვა (60000), გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ყივჩაყები სიდმე განაპირას და შორს დასახლებულნი კი არ არიან, არამედ შიგნით, შეიძლება გორის აშენება ამ საქმესთან იყოს დაკავშირებული“ (ნიკო ბერძენიშვილი).

მშენებლობათა რიგს ქალაქი გორი მიემატა. გორი ნამდვილად ყივჩაყთა გადმოსახლებასთან დაკავშირებით აიგო, თუ სხვა მიზნით, ეს არ არის მთავარი ამ შემთხვევაში. მთავარია, რომ იგი აიგო და საქართველოს მეტად მნიშვნელოვან პლაცდარმად იქცა მაშინვე.

და კიდევ: რა მარტივადაც არ უნდა ჰქონოდა სამეფო კარს ყივჩაყების დასახლების ფორმა გადაწყვეტილი, 45 ათასი ოჯახის დაბინადრება მაინც ხალხის აყრა-დაფუძნების გრანდიოზულ პროცესს გულისხმობს და ეს პროცესი ყოველგვარი შეღავათის გარეშე ერთიანდება „მოშენის“ და აღმშენებლობის იმ საყოველთაო მოვლენაში, რასაც დავითი ახორციელებდა.

„ხოლო მეფესა დავითს ამისთვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ ოდეს იქმნა მეფედ, იყო ქუეყანა ესე სრულიად ოხერ: — ამან განავრცო და აღაშენა, რომელ არღარა ეტეოდა ამით, რამეთუ იყო მოშიშე და მოყუარე ღვთისა, გლახაკთა, ქურივთა და ობოლთა მოწყალე, სნეულთა თვითმსახური, ეკლესიათა, ქსენონთა მაშენებელი...“

ვახუშტი ბაგრატიონი, როგორც ვხედავთ, საგანგებოდ აღნიშნავს მიზეზს, რის გამოც ეწოდა დავითს აღმაშენებელი.

ჩვენთვის საიდუმლო არსის მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ დავითს (სწორედ დავითს!) უწოდა ქართველმა ხალხმა აღმაშენებელი, მას და არა სხვას. აღმაშენებელი და მხოლოდ აღმაშენებელი! საიდუმლო არსის მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ამ გადაწყვეტილებაში მთელი ერის ბუნებაა განათებული. დავითის მიერ განხორციელებული აღმშენებლური პროცესი, როგორც დავინახეთ, უწყვეტია, ინტენსიური და გრანდიოზული, მასშტაბური და ყოვლისმომცველი, მაგრამ ვინც კი კარ-

გად იცის დავით მეფის ისტორია და იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა, ალბათ დამემოწმება, რომ დავით აღმაშენებლის სახელის ხსენებისას უპირველეს ყოვლისა, ჩვენს წარმოდგენაში წამოტივტივდებიან მისი დიდი სამხედრო ოპერაციები, განუწყვეტელი ჯაჭვი ომებისა. ერთი-მეორეზე მნიშვნელოვანია ეს ომები თავისი მიმართულებით, თავისი გამიზნულობით. ამ ოპერაციების მდინარე იმოდენა მიზანს ემსახურება, რომ ვიღას ახსოვს გელათი და ქსენონი, გორი და დაბა-ქალაქები. აქ გადარჩენის ამოცანა იდგა ერთის მხრივ, აქ საკუთარი არსებობის დამკვიდრების მიზანი იდგა მეორე მხრივ. ძნელია, დაიძებნოს პერიოდი საქართველოს ისტორიიდან, როდესაც ამდენი და ასეთი მასშტაბის ბრძოლები გადაეხადოს ქართველ ხალხს. ძნელია დაიძებნოს მეფე, ვისაც ამდენი ეომოს, ერთი ბრძოლის ველი თითქოს მეორე ბრძოლის ველს ეკვრის, პირდაპირ უერთდება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს დავითი საერთოდ არ გამოსულა არასოდეს ბრძოლის ველიდან. იქ ათენებდა და აღამებდა. მინდა ამ განუწყვეტლობას მიაქციოს მკითხველმა ყურადღება. საგანგებოდ არ გასახელებ, რა ციხეები და ქალაქები აიღო, რამდენი მხარე გაათავისუფლა, რამდენი ბრძოლა გადაიხადა და სად გადაიხადა ეს ბრძოლები, სადამდე გადასწია საზღვრები, რამდენათასიანი არმიები დაამარცხა; სხვა ადგილი და საკუთარი რიტმი ელოდება ომების ციკლს. ჩვენ ისედაც კარგად ვიცით, რომ იმ ძლევამოსილი სამხედრო ოპერაციების გვერდით ერთი შეხედვით ყველაფერი დანარჩენი იჩრდილება ჩვენს თვალში. და მაინც აღმაშენებელი, არა ვთქვათ, „უძლეველი“ და არა სხვა, მსგავსი ეპითეტი, რაც დავითის სწორუპოვარ სამხედრო ძლიერებას იგულისხმებდა, არამედ „აღმაშენებელი“.

შენება-აღორძინება არ უკვირდა ქართველ ხალხს, სხვა მეფესაც უშენებია, ბევრი უშენებია. თუ მრავალი არა, რამდენიმე მეფე მაინც იპოვება ისეთი, შენებაში დავითს რომ არ ჩამორჩება. მათაც გრანდიოზული მასშტაბები მისცეს ამ საქმეს. მაგრამ არა მგონია, დაიძებნოს მეფე, ვისაც ამდენი ბრძოლა გადაეხადოს, ასე ძლევამოსილად გადაეხადოს ყველა ბრძოლა და ასეთი შედეგისათვის მიეღწიოს. ყოველი ბრძოლა,

როგორც ვიცით და რასაც კიდევ ერთხელ დაწვრილებით გავაანალიზებთ, სასწაულს გულისხმობდა. იგი ყველას და ყოველთვის მოაგონებდა ალექსანდრე მაკედონელის, ჰანიბალის, იულიუს კეისრის მიერ გადახდილ ძლევამოსილ ომებს. კი არ მოაგონებდა... ან მათი ბადალი იყო, ან უფრო სრულყოფილი ბევრის თვალში. მისი მასშტაბები თრგუნავდა ყველა წარმოდგენას და, რაც მთავარია, საოცრად მძიმე, არასახარბიელო გეოგრაფიულ და ისტორიულ სიტუაციაში მყოფი საქართველოსაგან ამის მიღწევა დაუჯერებელ ამბავს ჰგავდა, ხოლო თუ იმასაც გავიხსენებთ, საიდან დაიწყო დავითმა თავისი ტრიუმფალური სვლა, რა სულისშემხუთველი გარსებიდან გამოიყვანა ერი და სად უწია მისმა მახვილმა, სავსებით დამაჯერებელი იქნება ისტორიკოსის შეფასება, როდესაც იგი დავით აღმაშენებელს თვით ალექსანდრე მაკედონელზე მაღლა აყენებს. მაგრამ ჩვენი მიზანი არ არის ვინმესთან გაჯიბრება, არც დავითის ისტორიკოსს ჰქონია იგი საგანგებო მიზნად. მან, უბრალოდ, თავის ხალხს ყველაზე მკაფიო მაგალითი მოუყვანა შესადარებლად, რათა უფრო ცხადად დაენახვებინა მისთვის საკუთარი წინამძღოლის ღირსებანი.

ამიტომ წარმოგიდგებათ, უპირველეს ყოვლისა ძლევამოსილი გამარჯვებები დავით აღმაშენებლის სახელის ხსენებისას. წარმოგვიდგება დიდგორი და მრავალი სხვა ომი, რაც მანამდე ან დიდგორის შემდეგ გადაუხდია დავით მეფეს. და ბრძოლების წარმოდგენისას თავისთავად, შეუმჩნეველად ფერმკრთალდება ჩვენს თვალში ის მშენებლობანიც და ტიტიტულიც „აღმაშენებელი". თითქოს ის არ არის, თითქოს ის არ ჰქვია საგანს, რაც უნდა ჰქვიოდეს. ერის ფიქრის მოძრაობა გადანთებულია ბრძოლების უდელტეხილზე, რისი წყალობითაც არა მარტო არსებობა შეინარჩუნა, თავისი არსებობის ყველაზე ღირსეულ ფორმასა და მდგომარეობას მიაღწია იმ დროისათვის, რომ მაშინაც, როდესაც იმ ომებზე ვფიქრობთ, სადღაც სიღრმეში, თითქოს ყრუდ, მაგრამ საოცარი ძალით გუგუნებს იმ „აღმაშენებლის" ცნებაში დამარხული საიდუმლო და ისე, რომ ომებით ატანილ მწერვალებთან კონტაქტი არ წყდება. თანდათან იკვეთება ჩვენთვის ამ ზეწოდების ეშვიათი სიზუსტე და სიმშვენიერე.

ჩვენ უფლება არა გვაქვს არ გავაანალიზოთ ამ გადაწყვეტილების შინაარსი და არ განვიცადოთ ის საიდუმლო, რაც „აღმაშენებლის“ შინაარსში დამარხა ერმა.

ქართველი ხალხისათვის ყველაფერზე ძვირფასი ამქვეყნად, აღშენება და ფუძის სიმკვიდრე იყო. ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში აწ პოლიტიკური სიტუაციის კარნახით, ან სხვა იძულებითი ფაქტორის მიზეზით ქართველი ხალხი გადასულა შეტევაზე, მასაც ურბევია, მასაც უჟლეტია, და უნგრევია მტრის მიწაზე შეჭრილს. მაგრამ ამდენი საუკუნის განმავლობაში არ დაიძებნება პერიოდი, როდესაც ქართველი ხალხი აგრესიულ ერად მოვლენოდა სხვა ხალხებს, სამხედრო სისტემა იმისათვის შეექმნა, რომ შორეულ ქვეყნებს მიწვდომოდა და ბატონობაზე ეფიქრა. არც ერთ პერიოდში არ მომართულა ერის ბუნება ამ მიმართულებით. ვიცი ამ სიტყვების წაკითხვისთანავე ფხიზელი აზროვნება თავად დავითის, გიორგი მესამის და თამარის დროს გაიხსენებს და შემომედავება, შესაძლოა, მთლად მასე არ იყოს საქმეო. მაგრამ სწორედ დავითის, გიორგი მესამის და თამარის დრო გვიდასტურებს, რომ ზემოთ თქმული სრული ჭეშმარიტებაა. დიახაც შეეძლო თამარის დროინდელ საქართველოს შორეული ქვეყნების დაპყრობა, სწორუპოვარი ლაშქრობების წარმოება ყველა მიმართულებით, მაგრამ დავაკვირდეთ, რა ხდება: ირანის ტერიტორიაზე დასასჯელად შეჭრილი ქართველთა ლაშქარი უკან ბრუნდება!!! ალაფი დაუგროვდათ ბევრი და ვერ ზიდესო!!! ეს მიზეზია დასახელებული. სახელმწიფოსათვის, ვინც შორეული ქვეყნების დაპყრობას მიზნად დაიგდებს, ალაფის სიმძიმეს რა მნიშვნელობა აქვს. მაშ მონღოლებმა როგორ ზიდეს დედამიწის ერთი კუთხიდან მეორემდე იგივე ალაფი, ან თემურ ლენგის ლაშქარი დაამძიმა და გააბრუნა გზიდან იმ უზარმაზარმა ნაალაფევმა? მაგალითების კიდევ მოტანა არ მიმაჩნია საჭიროდ, ისტორიაში ჩახედულ კაცისათვის უამრავი მაგალითი არსებობს, ყველამ იცის, საიდან სადამდე მიდიოდნენ ლაშქრობის მოწადინენი. მაშ მუსულმანურ სამყაროს რად ავიწროებდა საქართველო დავითის, გიორგი მესამის და თამარ მეფის დროს? ეს კითხვაც ითხოვს პასუხს. თუ კარგად გავსინჯავთ ისტორიულ წყაროებს და ისტორიკოსთა ნაშრომებს, უმალ დავინახავთ,

რომ საქართველოს არავითარი აგრესიული გეგმა სხვათა შეიწროებისა არა ჰქონია. საკუთარი, ოდინდელი ტერიტორიების შემომტკიცებისა და სახელმწიფოს უშიშროების განმტკიცებისათვის ზოგჯერ იძულებული ხდებოდა სამეფო კარი მოსაზღვრე მუსულმანური სახელმწიფოების ტერიტორიაზე შეჭრილიყო და დაერბია კიდეც, თავისი მეციხოვნენი ჩაეყენებინა იქ. მაგრამ ყურადღება მივაქციოთ, რომ სწორედ მოსაზღვრე ქვეყნების ტერიტორიაზე იჭრებოდა და მიზნად არ ისახავდა სახელმწიფოებზე გავლით შორეული ქვეყნების ხანგრძლივ დალაშქვრას. ეს ხდებოდა არა იმის გამო, რომ არ შეეძლოთ დავითის, გიორგი მესამის, თამარ მეფის საქართველოს შეეძლო და მერე როგორ შეეძლოთ უბრძოლველად ნებდებოდნენ ხშირად ქალაქები, სოფლები, მოსაზღვრე ქვეყნები. მაგრამ არა, შინაგანი მოთხოვნილება სხვას კარნახობდა. იგი საკუთარი ქვეყნის ძლევამოსილების, უშფოთველობის საბოლოო განმტკიცებას ესწრაფვოდა და მხოლოდ ამ მიზნით ძირწუნებდა მის გარშემო მოჯარულ მუსულმანურ სახელმწიფოებს. სხვა შინაარსს იმ ძლევამოსილ სამხედრო ოპერაციებში ვერავინ იპოვის, სხვა მიმართულებას ვერავინ აღმოაჩენს. ხოლო ის ფაქტი, ალაფის სიმძიმის გამო თამარის ლაშქრის უკან მობრუნების ფაქტი, საოცარი სისრულით მეტყველებს სწორედ ერის შინაგანი ბუნების მიმართულებაზე — თავის ქვეყანაში, თავის ეზო-კარში, მშვიდობიანი, მოსვენებული ცხოვრება ყველა დაპყრობის ჟინს რომ ურჩევნია, სხვისი არაფერი არ უნდა, ოღონდ მშვიდად ყოფნა დაანებონ, სხვისი დაპყრობა და სისხლის დაქცევა არავითარ სიამოვნებას არ ანიჭებს, უკვირს კიდეც თავისი თავისა, რამ წამოიყვანა ამ ერთხელ ამ სიშორეზე სალაშქროდ...

სანამ ამ ბუნების ყოველმხრივ დახასიათებას შევეცდებოდე, მანამ „პირველ სიტყვას უნდა მოვიდეთ“. ფაქტია, რომ ხალხმა ყველაზე დიდი ტიტული მიანიჭა დავით მეფეს. აღმშენებლობის ვნება იყო ხალხისათვის ყველაზე დიდი ამქვეყნად, ყველაფრის მომცველი, ყველაზე საამაყო, ყველაზე ლამაზი, აქ იდგა თავისი ფესვებით აღშენებაში, მკვიდრად დგომაში, დაფუძნებაში. მიწიდან ლაჟვარდისაკენ მიეშურებოდა მისი ფიქრი, ბირველი, მთავარი ფესვი ამ თვისებას იყო მოჭიდე-

ბული... ურიცხვი ომი, ყველა სასწაულებრივ მოგებული, ყველა უძლეველობის განცდა აღმშენებლობის ვნებათაღელვაში განივთდა საბოლოოდ ერისათვის, ამ თვისებამ მოიცვა. სწორუპოვარი ბრძოლებიც აღმშენებლობის გენიას მოემსახურა, მასში ჩაიწრიტა. კი არ არბევდა, აშენებდა, აშენებდა ერწუხის ბრძოლით, აშენებდა დიდგორით, აშენებდა ანისით... მხოლოდ ეს სამი ვთქვათ, დანარჩენი ვიგულისხმოთ. ეს სამიც მხოლოდ იმიტომ ვთქვათ, რომ კონკრეტულობის შეგრძნება არ დავკარგოთ, თორემ რა ჩამოთვლის ძალ საბელდაბელოდ ამდენ ბრძოლას, ამდენ სახელოვნად დაგვირგვინებულ სამხედრო ოპერაციას და ყველა ისინი ერის ცნობიერებაში სისხლს კი არ ღვრიდა, ადუღაბებდა, ნაცარტუტას კი არ გამოაფენდა ქარში, კედლები აჰყავდა. აღმაშენებელი იყო ის ომებიც და არა მარტოოდენ ამიტომ, რომ ქართველი ხალხის ბედნიერების აღმაშენებელი ვნება იყო იგი, არამედ იმიტომ, რომ საკუთარის დაცვისათვის, საკუთარის გადარჩენისათვის, საკუთარის აღორძინებისათვის და საკუთარის დამკვიდრებისათვის იყო ის ომები საჭირო. ამიტომ იყო ფესვებით კეთილშობილური, საერთაშორისო სამართლიანობის აღდგენისაკენ მიმართული. იგი საერთაშორისო წონასწორობის დამყარებას მოითხოვდა, შინ შემოჭრილ მტერს ხმლით უჩვენებდა უკუსაქცევ გზებს, შინაგან სამართალს კანონობდა, ხმალზე ხელის ღებას აიძულებდა.

ერი გრძნობდა, რომ არასდროს არ ყოფილა სხვისი დანგრევის მოწადინე, არც მეფე ჰყოლია არასდროს ასეთი, ხედავდა წიგნის კითხვისას კინაღამ რომ დაეღუპა მეფე და იმასაც ხედავდა, რომ წიგნი და სულიერი კულტურა იყო მისი ძლევამოსილი წინამძღოლის ყველაზე მძაფრი მისწრაფება, ე. ი. მკვიდრობა, აღშენება — ამ წუთისოფლის ტაძრებით, ქალაქებით, დაბებით გამშვენიერება იყო მისი მოწოდება. დავითიც სულ წიგნისა და აღშენებისაკენ მიმართავდა თავისი ხალხის ყურადღებას. ომების ციკლსაც ეს დაეკისრათ: „განესხათ მტრები საზღვარს გარეთ“ და აღშენებისკენ მიემართათ მთელი ენერგია, ამიტომ ერის ძალა აღშენების სწრაფვაში დაიძრა. მან იგრძნო, როგორ იმორჩილებდა ბრძოლების მეხთატეხას და მტრის შემუ-

სვრის ვნებათაღელვას მშვიდობიანი არსი, ქვეყნის აღშენების მოწადინე ვნება დავითის ბუნებაში, როგორ იოლად, უმალ განიტვირთებოდა იგი ომის ქარცეცხლისაგან, როგორ ადვილად უწყნარდებოდა ომიანობით აბორგებული სისხლი, როგორ ინთქმებოდა „ღვთაებრივ" სიმშვიდეში ეს იძულებით თავსმოხვეული ხოცვა-ჟლეტის ველური ყიჟინა. განუწყვეტელი ომების ცეცხლში გახვეული, იგი კიდევ უფრო შეუვალი არგუმენტი ჩანდა იმ აზრის გასაბატონებლად, რომ, მიუხედავად უზადო სამხედრო ხელოვნებისა, მიუხედავად შეუცდომელი ოპერაციებისა, მისი მოწოდება სრულებითაც არა ყოფილა მხედართმთავრობა და სახელოვანი ლაშქრობები. წიგნი ეძახდა, ტაძარი, ქალაქი, სიცოცხლის აყვავება და მირიადი ფორმით ქვეყნის გამშვენიერების მიზანი უხმობდა თავისკენ. ეს იყო მისი მისია, იგი ღვიძლი შვილი თავისი ერისა, ვინც ყველაზე სრულად გამოიტანა ქვეყნის საუკეთესო თვისებაში დღის სინათლეზე, ხედავდა ერისა და მიზნების ერთარსობას. ყოველივე ამის გააზრების შემდეგ განუსაზღვრელი დატვირთვა ეძლევა ცნებას „აღმაშენებელი", სხვა არის იგი. დიდია, როგორც შემცველი იმ უამრავ „შენებულობათა", რაც დავითის დროს განხორციელდა, მაგრამ უფრო დიდია ეს ცნება სწორედ ამის წყალობით, რომ მასში იგულისხმება ყველა დიდი ბრძოლა, სამხედრო და პოლიტიკური ოპერაცია, სწორედ ბმიტომ, რომ ისინი აღმშენებლობის გენიაში გაიხსნა.

შორი გზა აქვს ამ მოთხოვნილებას. დავითმა იმთავითვე შეწიშნა: ოღონდ ამ ხალხს ფუძეს ნუ მოუშლი, ოღონდ ააგებინე, მთელი სიცოცხლე შეუძლია აშენოს! ყველაფერს მოითმენს — შიმშილს, წყურვილს, გაჭირვებას, ოღონდ დააცალე — ქვა ქვაზე დადოს და ზეცისაკენ ამაღლდეს, მკვიდრი ფუძე ჰქონდეს. არც არავის დაპყრობა უნდა, არც არავის ქონება, არც შორს წასვლა უნდა და განა იმიტომ, სხვას არ ჰქონდეს დამაზი ქვეყანა!

ისტორიის ადრეული ეპოქებისაკენ ჩავაბრუნოთ მზერა. რამდენს აშენებს ქართველი კაცი! აშენებდა სამი ტიპის ნავთსაყუდელს, ფუძეს, ეკლესია-ტაძრებს, ციხე-ქალაქებს. ყველგან სათვალთვალო კოშკი, ყველა მნიშვნელოვან ადგილას ციხესიმაგრე, სოფელი და ტაძარი, დაბები, ქალაქები, ხიდები,

ნარტო რიონზე სამასამდე ხიდი დაუთვლიათ ანტიკურ ხანაში, უძველესი დროა, არც უნდა ველოდეთ ამდენ მშენებლობას, მაგრამ ფაქტია, უცხოელი წერს! ამდენი ხიდი! ე. ი. ზღვა მოთხოვნილებისა — აშენოს, სადაც კი ოდნავ მაინც საჭიროება იგრძნობა. სადაც სამასი ხიდია ერთ მდინარეზე, იქ ბევრი სოფელი, დაბა და ქალაქია. ბროფ. პარმენ ზაქარაიას წიგნში — „საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები" საგანგებოდ არის მითითებული რამდენი ძველი ქალაქი აღიგავა „პირისაგან მიწისა" და მხოლოდ სახელიღა შემორჩა. ვერც ციხეების, ვერც ციხე-ქალაქების, ვერც კოშკების, ვერც სხვათა ასეთი მასიური შენება ვერ აიხსნება მარტივად. მხოლოდ ერთი მიზეზია ხშირად დასახელებული — საქართველოს ბევრი მტერი ჰყავდა და თავდაცვის მიზნით შენდებოდა ეს ყველაფერი. იყო თავდაცვის მიზანი, იგი შესაძლოა ხშირად სერიოზული მიზეზი გახლდათ, მაგრამ ერთადერთი არ ყოფილა.

თავისი ძლევამოსილების ეპოქაშიც საქართველო უსღვავ ენერგიას ხარჯავს ციხესიმაგრეებისა და ციხე-ქალაქების ასაშენებლად. მაშინ ამოიკვეთა კლდეში ციხე-ქალაქი ვარძია. თამარის საქართველოს შეეძლო საერთოდ უარი ეთქვა ბევრ ციხესიმაგრეზე და უარი ეთქვა თვით ვარძიაზე. ამდენი იყო ისედაც აშენებული და ის აშენებული თავდაცვისათვის კმაროდა, თუკი თავდაცვაზე ფიქრი არ ეხსნებოდა. თვითონ შეეძლო ქვეყნების დაპყობა და თვითონ შეეძლო აეძულებინა სხვა თავდაცვისათვის ეგო ციხესიმაგრეები! მაგრამ მაინც აშენებს. და უმთავრესი მიზეზი სხვაგან უნდა ვეძებოთ. ქართველი ხალხი თავის სამშობლოში ემკვიდრებოდა საფუძვლიანად! მისთვის წილხვდომილი ქვეყნის ფუძეზე ფიქრობდა მუდამ: გლეხი ეზო-გარემოზე, აზნაური — ციხე-კოშკზე, სამეფო კარი თავის ციხე-ქალაქებსა, სოფლებსა და სახელმწიფოზე. მტერსაც და მოყვარესაც იგი აქ უნდა დახვედროდა. არასდროს არა ჰქონია სურვილი სხვის ქვეყნებში ეძებნა ბედნიერება. აქ მკვიდრობის, აქ მიჯაჭვის ვნება იმდენად ძლიერი იყო, იმდენად მძაფრი იყო ეს მოთხოვნილება, რომ იგი თავისთავად განივთდა საკუთარი ქვეყნის აღშენებაში. ეს ენერგია მოძრაობდა, მას აქვე უნდა ემოძრავა. მან თავისი არსებობის აზრი დიდ აღშენებაში დაინახა და არავინ იცის,

რა სიმაღლეზე ავიდოდა ბაგრატის ტაძრის, სვეტიცხოველის, ბანას, ოშკის, გელათის შემშენებელი ხალხის ეს მისწრაფება, ისტორიის საშინელ ქარტეხილებს მიწასთან გასასწორებლად რომ არ „გაემეტებინა“ ქვეყანა და განადგურების შიშს რომ არ დაემუხრუჭებინა ფარნავაზის დროიდან დაძრული დიად აღმშენებლობათა პოტენციური დინება. მისი შინაგანი სისრულის, სრულყოფის მასშტაბების პირდაპირ გეომეტრიული პროგრესიით ზრდა მეტყველებდა იშვიათი სიმაღლეების დალაშქვრაზე სამომავლოდ. მაგრამ შეუფერებელი წუწუნის ნოტები რომ არ შეერიოს ჩვენს ანალიზს, მივუბრუნდეთ თავისთავად არსებულს. იმ საუკუნეებისთვის უჩვეულო დონესა და სისრულეს, რომელიც ამდენი დროის გავლის შემდეგაც განადიდებს ქართველი ხალხის შემოქმედებით ფანტაზიას.

„ბერმონაზონთა რესპუბლიკა“ უწოდა აკადემიკოსმა ნიკო მარმა ტაო-კლარჯეთის მხარეს. იქ გაჩაღებულ ეკლესია-მონასტრების, როგორც კულტურის უდიდესი კერების, მშენებლობა მხოლოდ ამგვარ დასკვნას გვკარნახობს. ცხადია გრიგოლ ხანძთელის ეპოქამდე საქართველოს მშენებლობის აღზევების არაერთი დიდი დრო ჰქონდა. მარტო ვახტანგ გორგასლის მშენებლობანი რად ღირს ან ჯვარის კომპლექსი. მაგრამ გრიგოლ ხანძთელის დროს მან არნახული გაქანება მიიღო. ვახტანგ ბერიძის გამოკვლევის „ტაო-კლარჯეთის არქიტექტურის“ შესახებ დაწერილ ვრცელ რეცენზიაში ისტორიკოსი შოთა ლომსაძე აღნიშნავს: „მართალია, გრიგოლ ხანძთელმა ოპიზისა და ხანძთის გარდა ააშენა: ჯმერკის, დაბის, მიძნაძორის, გუეანთლეს, მერეს, წყაროსთავის, ბარითელთას ეკლესიები, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ შექმნა მშენებელთა მთელი სკოლა, რომელიც აშენებდა არა მარტო ტაოსა და კლარჯეთში, არამედ ყველგან, მესხეთშიც, აფხაზეთშიც, ქართლშიც“. ჩვენ ეს საყოველთაო პროცესი გვაინტერესებს, საყოველთაობა და ინტენსიურობა ამ მოვლენისა. შორს წაგვიყვანს იმ დიად მშენებლობათა თუნდაც ჩამოთვლა, არათუ ცალკეული მათგანის დანიშნულების და ღირსების განსაზღვრა. აქ მთავარი ხალხის ბუნებაა, მისი შინაგანი მოთხოვნილება — აკეთოს ეს დიდებული საქმე. საინტერესოა სწორედ ის, თუ რა ინტენსივობით აშენებდა ქართველი ხალხი თავის

კერასაც, სახლის ქედლებსაც, კოშკებსაც, ციხესიმაგრეებსაც, ხიდებსაც, ციხე-ქალაქებს, ეკლესია-მონასტრებს და ტაძრებს. რამდენს აშენებდა ამ ინტენსივობით სამხედრო ოპერაციები რომ განეხორციელებინა, ამოდენა ენერგია სხვისი ქვეყნების დალაშქვრისა და დაპყრობისათვის რომ მიეხარჯა, ადვილი წარმოსადგენია სადამდე უწვდენდა თავის მახვილს. განა სადავოა, რომ ისიც შექმნილა იმპერიებს, ისიც იზეიმებდა სხვის სისხლსა და უბედურებაზე დაშენებული ბედნიერებით, მასაც ექნებოდა ხელთ აკრებილი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს ბედ-იღბლის სადავეები. მაგრამ არ იმოძრავა ერის ენერგიამ ამ მიმართულებით. არაფრით არ ისურვა ეს, მაშინაც არ ისურვა, როდესაც ძლიერების ხანა დაუდგა, მთელს აღმოსავლეთში უძლიერეს სახელმწიფოდ რომ იქცა, მაშინაც არ გაღვივებულა სურვილი, დიდ დამპყრობელთა მსგავსად შორი ქვეყნები დაელაშქრა და მსოფლიოში განეფინა თავისი ძლიერება. მსოფლიოში განფენილობაზე კი უარი არ უთქვამს, ოღონდ ეს იყო სწორედ შემოქმედებითი ბუნების გამონათება, სწორედ კულტურის კერებში განფენილი სულიერი სინათლე და არა მახვილის ღარს გაყოლილი ბარბაროსული ვნება. ეს ფაქტია. ვერვინ შეეჯიბრება დავითისდროინდელი საქართველოს ძალმოსილებაში, თვით უცხოელი ისტორიკოსების სიტყვები დაგვანახებს, რა ძალუძდა მას, გვაგრძნობინებს, რატომ არ ისწრაფვოდა იგი მსოფლიო ბატონობისაკენ, რა თვისებები ბატონობდნენ მის ბუნებაში.

ისტორიული ბედის წყალობით საქართველოს არაერთხელ დაუდგა წინ შემაწუხებელი კითხვა: რა სჯობდა, ამ ფუძის მკვიდრობაზე ზრუნვა თუ სამხედრო ძლიერების მიღწევა და აგრესიული სახელმწიფოს გეგმებით ცხოვრება? თითქოს ხევრი ჭირი დაგვატეხა ფუძეზე მიჯაჭვულობამ, თითქოს თავდაცვით პოზიციაზე ჩვენმა დგომამ გაათამამა მტერი. მაგრამ ეს დასკვნები განცდილი უბედურებით არის ნასაზრდოები. უფრო დიდს მეტყველებს სინამდვილე! აღმაშენებლის სულმა და მკვიდრობის სურვილმა ისე შეაზარდა ქართველი კაცი ამ მიწას, ასე მშობლიურს და გამტანს, რომ მისი ელვარე ფესვების ამოთხრა არ მოუხერხდა მტერს. საკუთარ ფუძეს მოკლებული და სხვის ქვეყნებში ეტლებითა და ურმებით მოგრიალე

სახელმწიფოები ისტორიის ქვიშაში ჩაიწრიტა. მხოლოდ იმ ერებს არგუნა ხანგრძლივობა ისტორიამ, ვინც საკუთარ ფესვებს გაუფრთხილდა. ძალით, ხელოვნურად ხალხის ბუნების შეცვლა არ შეიძლება. თავის კეთილშობილურ ბუნებას ქართველი კაცი ვერსად წაუვიდოდა. ვერც ერთი მანკიერი თვისება ვერ მოერია მას, იქნებ არგუნა ბევრი სიმწარე, იქნებ ბევრჯერ მოუცარა ხელი, მაგრამ მთავარს ვერ სძლია.

ეს დიდი ნიჭი იწამა დავით აღმაშენებელმა თავის ერში. ეს ნიჭი მართავდა ხან აქტიურად, ხანაც პასიურად, მაგრამ მაინც მართავდა ქართველი კაცის ბუნებას და ირწმუნა ისიც, რომ ამ თვისებების წყალობით შეიძლებოდა დიდი შინაგანი სრულყოფის მიღწევა. მან დაინახა ქართველი ხალხის დანიშნულება ცისქვეშ, ამ აღშენების ვნებათაღელვამ დაანახა, მასში გაცხადებულმა მშობლიური წიაღის ფეთქვამ აგრძნობინა, რისთვის იყვნენ მოწოდებულნი ის და მისი ხალხი და რისთვის უნდა ებრძოლა ერს.

რამდენიმე საუკუნის ჩავლის შემდეგაც ეს უმთავრესი ღირსება გამოარჩია ქართველმა ხალხმა დავით აღმაშენებლის ბუნებიდან. გრიგოლ ორბელიანის სტრიქონებში არსობრივი დანიშნულება ენიჭება ამ დანახვას:

დავით სთქვი: „იყავნ ქალაქნი!"
და აღმოცენდნენ ქალაქნი!
განჰვლე უდაბნო ოხერი,
სავსე დაბებით შეჰქმენი!
დაჰკარ წერაქვი, და აღჩნდნენ
ტაძარნი, ტურფად ნაშენნი!

* * *

„რამეთუ ვიდრე მოაქამომდე სთუელთა ჩამოიარიან თურქთა სომხითი, ყოვლითა ფალანგითა მათითა, ჩამოდგიან გაჩიანთა, პირსა მტკუარისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარდავამდე, და იორის პირთა, და ყოველთა ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთროთა, რომელთა შინა ზამთრის, ვითარცა არესა გაზაფხულისასა, ითიბების თივა, და აქუს შეშა და წყალი უხუებით, და მუნ არს სიმრავლე წადირთა თვთოფერი და საშუებელი ყოველი. ამათ ადგილთა შინა დადგიან ხარგებითა.

ცხენისა, ჯორისა, ცხუარისა და აქლემისა მათისა არა იყო რიცხვ, და აქუნდა ცხოვრება სანატრელი: ნადირობდიან, განისუენებდიან და იხარებდიან, და არა იყო ნაკლულევანება მათ თანა. თვისთა ქალაქთა ეაჭრობდიან, ხოლო ჩუენთა ნაბირთა არბევდიან ტყეეთა და ალაფითა სავსითა. გაზაფხულსა თანა იწყიან სლვა აღმართ მთათა სომხითისა და არარატისათა. ეგრეთვე ზაფხულისცა ჰქონდის შუება და განსუენება, თივათ და ველთა შუენიერთა, წყაროთა და ადგილთა ყუავილოვანთა, და ესეოდენ დიდი იყო ძალი მათი და სიმრავლე, რომელ სთქუამცა თუ „ყოველი თურქობა ყოვლისა ქუეყანისა იქი არსი". და არავისგან მოსაგონებელი იყო ოდესცა მათი გასხმა ანუ ვნება, არცა თუ თვით სულტანისაგან",

თავდაპირველად ბიზანტიისაკენ დაძრული თურქ-სელჩუკთა ურდოების საქართველოსაკენ შემობრუნების ფაქტი გავიხსენოთ: „რად წარხვალთ საბერძნეთად? აჰა ქუეყანა საქართველო, უკაცური და სავსე ესევითარითა სიმდიდრითა".

დიახ, თურქ-სელჩუკებმა შეცვალეს პირვანდელი კურსი, კურსი ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიების დარბევისა და დასაკუთრებისა. მათ თვალი დაადგეს მშვენიერ და მდიდარ საქართველოს და აქ დამკვიდრების მძაფრი სურვილი გამოამჟღავნეს — „და არავისაგან მოსაგონებელ იყო ოდესცა მათი გასხმა ანუ ვნება". მათ გაუჩნდათ დიდი მიზანი — საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიების დაპყრობისა და დასაკუთრების მიზანი. ამ მიზნის შეგრძნებამ სისხლი გაუყინა შემდგომ ქართველ ხალხს, იმდენად შემზარავი იყო იგი თავისი არსით. იგი ხომ ქართველობის ამოწყვეტას გულისხმობდა.

დავითი ხედავდა — ურთულესი საქმე გამხდარიყო საქართველოდან თურქ-სელჩუკთა გაყვანა. იმასაც ხედავდა, თუ ეს ვერ მოხერხდებოდა, იღუპებოდა ქვეყანა. მაშასადამე, თურქთა წინააღმდეგ მიმართული ოპერაციები ყოველმხრივ გათვლილი და მოწესრიგებული ურთულესი სისტემა უნდა ყოფილიყო. დავითის მოღვაწეობის სტრუქტურიდან ამოიკითხება მისი სამხედრო გეგმა.

ნიკო ბერძენიშვილი:

„დიდი ომი დავით აღმაშენებელმა ამიერკავკასიიდან თურქთა გასადევნად რამდენიმე ეტაპად აწარმოა:

1. შიდა ქართლის გაწმენდა თურქთაგან და მეფის სადგომის გადმოტანა ქუთაის-წაღვლისთავიდან ნაჰარმაგევ-გორში.

2. ბრძოლა საქართველოდან თურქების განსადევნად (სომხით-რუსთავისათვის).

3. ბრძოლა თურქთა განსადევნად ამიერკავკასიის ქრისტიანული ქვეყნებიდან (სომხეთისა და შარვანისათვის)".

გეგმა მკაცრად არის განსაზღვრული. გათვალისწინებულია მარტივიდან რთულზე გადასვლის თანმიმდევრობა. მისი ახლო და შორეული ზრახვანი ერთმანეთში არ უნდა აჭრილიყო. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. მოთმინება, იობის მოთმინება იყო საჭირო, რომ თანმიმდევრობა არ დაერღვია, როდესაც თითქმის ყოველი მეორე სიტუაცია აქეთკენ უბიძგებდა. ახლო და შორეული გეგმების ერთმანეთში არევა მოქმედებათა მთელ სისტემას დაღუპავდა. ამიტომ ნაბიჯ-ნაბიჯ, არა ერთბაშად, არამედ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა განხორციელებულიყო დიდი გეგმა. ჯერი სამშვილდეზე მიდგა. კახეთის შემოერთების შემდეგ რჩებოდა „ტფილისი, სომხითი და ყოველი სამშვილდე და აგარანი" — თურქთა ხელში. დავითმა სამშვილდეს შეუტია. დავითის სამხედრო ხელოვნება ამ დროისათვის უკვე არაერთგზის არის გამობრწყინებული, მისი სახელი დღითიდღე იზრდება და მტერმა იცის, სანახევროდ მაინც იცის, გისთან აქვს საქმე. ამიტომ გამუდმებით ადევნებს თვალს. რაკი თვალს ადევნებს, გეგმასაც ამის მიხედვით აწყობს. დავითის მოქმედებასა და მოძრაობაში ჩანს ამ ფაქტორის მაქსიმალური გათვალისწინება. იგი ხედავს, როგორც არ უნდა ქუხდეს მისი თანამებრძოლების გიორგი ჭყონდიდელის, ნიანია ბაკურიანის, აბულეთის თუ სხვათა, სახელი, მტრის გამჭრიახი თვალი მაინც დავით მეფის მოძრაობის მიმართულებას არის მიჯაჭვული. ეს დამანგრეველი, უჩვეულოდ შემართული მეფური ძალა ჭრის თვალს. სულ მას უნდა მისდიოს მტერმა თუ სურს წარმატებას მიაღწიოს, ან ოდნავი მოსვენება მაინც ეღირსოს საქართველოს მიწა-წყალზე შეწოჭრილს. დავითმა მაქსიმალურად გამოიყენა მტრის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. მისი მოქმედებებისა და ღონისძიებების შინაარსი და მასშტაბები კარნახობს თურქ-სელჩუკთა

უზარმაზარ ლაშქრებსა და ბანაკებს ამ მდგომარეობას, სულ ამ განწყობის ტყვეობაში არიან.

ყოველივე ამის გათვალისწინებით შემუშავდა მტერთან ბრძოლის ერთი გამორჩეული ხერხი. მეფე გაეცლება იმ ადგილებს, სადაც სამხედრო ოპერაცია უნდა განხორციელდეს, გადადის ქვეყნის სულ სხვა მხარეში. მტრის მზერა იძულებულია გაჰყვეს მას და სწორედ ამ დროს ხორციელდება დავითისაგან მოფიქრებული ოპერაცია. გავიხსენოთ, როგორ „წარუღო ციხე ზედაზადენი“ მეფემ კახეთის პატრონს და მის თანამდგომ მტერს. თვითონ სულ სხვაგან იყო. მტერი არაფრით არ ელოდა ზედაზადენზე იერიშს, ხოლო დავითის ხალხმა ზედაზადენი „თავისად მიისთვალა“. ამ ხერხით აიღო მეფემ სხვადასხვა დროს სამშვილდე, რუსთავი, ამ ხერხით დაამარცხა მტერი ტაო-კლარჯეთში... „გადავიდის აფხაზეთს“, „გადავიდის ქუთაისს“... მტერი ადუნებს ყურადღებას, მეფის გეგმა კი არნახული ინტენსივობით ხორციელდება.

სამშვილდეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, იგი იცავდა თბილისს, უზრუნველყოფდა მის სიმტკიცეს. საგანგებოდ უფრთხილდებოდნენ მას თურქნი, მაგრამ უფრო მოსაფრთხილებელი შეიქნა სწორუპოვარი მეფისა და ძნელდართმთავრის რისხვა. სად დგას დიდი მტერი — დიდი დავითი — ეს გახდა თურქ-სელჩუკთა მთავარი საფიქრალი. რა ეზით, რა დროს შეიძლება მისი განადგურება: „რამეთუ რა მეფე გარდავიდის აფხაზეთად, უმცრორე ეშინოდის თურქთა და მათთა ციხოვანთა. მას ჟამსა მეფე გარდავიდა იმერეთს; და შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელსა და მწიგნობართუხუცესსა წინაშე თევდორე, აბულეთი და ივანე ორბელი, და სიმარჯვით მოიპარეს სამშვილდე“.

მეფის ლიხთიმერეთს გადასვლა და სამშვილდის სამხედრო ოპერაციის მომზადება-განხორციელება ერთდროულად მიმდინარეობს. ხორციელდება მკაცრი გეგმა, შედგენილი დავითისაგან, შემოწმებული ერთგული და გონიერი ხალხის მიერ. არც ერთი წუთის დაკარგვა! მეფის მოძრაობამ მთლიანად გაიყოლია მტრის მზერა, თუ არ გაადევნებენ მზერას, მაშინ ვინ იცის, სად და როდის დაატყდებათ მათ თავს დავით მეფის რისხვა. რამდენი ძალა და ენერგია ჭირდება ამ ყურადღების

შენარჩუნებას: საიდან წამოვა, რა გზით წამოვა, როდის მოვა... არავინ უწყის ეს, ამოსუნთქვა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუკი რამდენიმე დღისა ან კვირის სავალით მაინც არის დაშორებული.

ამ დროს სუსტდება მტრის შინაგანი მობილიზების სიმი, „უმცროსი" ხდება შიში და სიფრთხილე და დავითისაგან მოწინიშნული რგოლი იცვითება. საპირისპიროდ ათკეცდება სამხედრო ოპერაციისათვის საჭირო შემართება. დავითი განუწყვეტლივ იღებს ცნობებს ოპერაციების მიმდინარეობაზე, მისი განვითარების ყოველ ეტაპზე. უჭკვიანესი და უერთგულესი ხალხი, გიორგი ჭყონდიდელი, მისი ძმისწული თევდორე, აბულეთი და ივანე ორბელი ახორციელებენ სამშვილდის აღების გეგმას. არ ჩანს გარკვევით, ფიცხელი ბრძოლა გაიმართა თუ არა სამშვილდისათვის, გარკვევით უფრო ისა ჩანს, რომ „სამშვილდე მოიპარეს"[1] ე. ი. ხერხით არის აღებული და არა სისხლისმღვრელი შეტაკებით ეს მნიშვნელოვანი სამხედრო პუნქტი. ე. ი. ცოტა დაიხოცა და, რაც მთავარია, ცოტა დანაკარგით არის აღებული დიდი ციხე და დიდი ქვეყანა ამავე დროს. თვალწინ ართმეულივით ჩანს სამშვილდე, მტერი გაოგნებულია:

„ცნეს რა თურქთა აღება სამშვილდისა, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს და ღამით მეოტ იქმნეს, და ჩუენ თანა მოითუალნეს იგინი". ოპერაცია თავზარდამცემია თავისი შინაარსით. მერამდენედ ხდება მსგავსი რამ. დავითი სხვაგან არის, ხოლო მტერს სულ სხვაგან ატყდება თავს რისხვა. თუ დავითის იმერეთში ყოფნის დროს სამშვილდეს მისი ლაშქარი იღებს, ცხადია, არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონია, სად იქნება დავით მეფე. ყველგან მოქმედებს მისი ნება. სავსებით ბუნებრივია მტრის რეაგირება. სამშვილდის არეალს დაქვემდებარებულ ციხეებს არაფრის იმედი არ უნდა ჰქონდეს, რაკი სამშვილდე აღებულია, მათი აღება არ გაუჭირდება დავითის ხალხს. მათაც მიატოვეს ციხეები და უკანმოუხედავად გაიქცნენ: დავითმა დათესა მოულოდნელობის შიში — მოულოდნელობის გაყინულ სივრცეში რისხვა თვლემდა მუდამ. ეს მოულოდნელობის შიში ახალი ერთეულია, ახალი ლაშქა-

რია, მის ჯარს მომატებული ძალაა, რომელიც გაუგონარი წარმატებით იღვწის.

„სამშვილდის აღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, იმიტომ რომ იგი ძლიერი ციხე იყო და სამხრეთით ტფილისს ამაგრებდა, სამხრეთის სავაჭრო გზაც ამ ქალაქზე მიდიოდა, ამას გარდა, როცა ქართველები ჩრდილოეთით და დასავლეთით მიმდგარნი ტფილისის საამიროს სამხრეთითგანაც შემოერტყმოდნენ, მაშინ ტფილისის აღება ისე ძნელი აღარ იქნებოდა“ (ივანე ჯავახიშვილი).

სამშვილდე 1110 წელს აიღეს ქართველებმა. განახლდა დროებით გაწყვეტილი სამხედრო ოპერაციები. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას ერთ გარემოებაზეც და როგორი მოულოდნელიც არ უნდა იყოს იგი, მაინც უნდა ითქვას. ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილია დავითის მოღვაწეობის თითქმის ყველა ფაქტი, შექმნილია ნაშრომები, რომლებიც ნათლად წარმოაჩენენ აღმაშენებლის პიროვნებას და მისი ეპოქის მნიშვნელოვან ფაქტებს, მთლიანად ისტორიას, მაგრამ, ჩემი აზრით, დროული იქნება, თუ წყაროებსა და ისტორიკოსთა შრომებზე დაყრდნობით აღმაშენებლის მიერ წარმოებული ბრძოლების ციკლი ერთ დიდ ომად გამოცხადდება. ეს დიდი ომი თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ გადაიხადა საქართველომ და მან მთელ იმდროინდელ მსოფლიო მოვლენებზე იქონია გავლენა. ფაქტიურად ეს გახლდათ დიდი, ოცდახუთწლიანი ომი. საქართველო გამოდიოდა ქრისტიანული სამყაროს მეთაურად აღმოსავლეთში. ამ ოცდახუთწლიანი ომის გვირგვინს დიდგორის გრანდიოზული მასშტაბის ბრძოლა წარმოადგენს.

როდესაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ისტორიოგრაფია ეპოქალურ საზღვრებში ათავსებს წარმოებული ბრძოლების სტრუქტურას ან როცა მათ სწორედ ერთ არქიტექტონიკაში განიხილავს, ამას აქვს განუსაზღვრელი მნიშვნელობა. ნიკო ბერძენიშვილის მიერ მითითებულ ეტაპებში, რაზეც ზემოთ მივანიშნე, არ შეიძლება არ დავინახოთ ცდა, სწორედ ასეთი არქიტექტონიკა მოუძებნოს დავითის მიერ წარმოებულ ბრძოლებს, მაგრამ, ალბათ, ამაზე შეჩერება არ შეიძლება. მე, ცხადია, არ ვაპირებ ისტორიკოსთა ფუნქციებში შევიჭრა, მაგრამ

მათივე ნაშრომების შესწავლისა და კიდევ დავითის ეპოქის შესწავლის შედეგად მეჩვენება, რომ ამ ბრძოლების მთელი ციკლის უკეთ წარმოჩენის მიზნით საჭირო იქნება აღმაშენებლის საქართველოს მიერ გადახდილი ბრძოლები ერთ მთლიან ეპოქად წარმოვადგინოთ. ალბათ, ეს დიდი მწკრივი ბრძოლებისა მსოფლიო ისტორიაში უნდა შევიდეს თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ქრისტიანული საქართველოს მიერ გამართულ ოცდახუთწლიან ომად. იგი უნდა განიხილებოდეს როგორც მსოფლიო ისტორიის მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა და უნდა ეჭიროს კუთვნილი სიმაღლე მსოფლიო ისტორიაში. რატომ და რისთვის ამ კითხვაზე პასუხს მოამწიფებს სწორედ ბრძოლების მთელის სისტემის მთლიანობაში გააზრება.

* * *

ვინც კარგად დააკვირდება აღმაშენებლის მოღვაწეობის ყოველ დეტალს, ერთ საგულისხმო მოვლენასაც შენიშნავს. დავითის გვერდით მუდამ უბრწყინვალესი მამულიშვილები დგანან. ჯერ გავიხსენოთ ისინი, ვისი სახელიც მემატიანეებმა შემოგვინახეს: გიორგი ჭყონდიდელი, ნიანია ბაკურიანი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, აბულეთი, არსენ იყალთოელი, ივანე ორბელი, გიორგი ჭყონდიდელის ძმისწული თევდორე, ქავთარი, ბარამი... მაგრამ ეს სახელები ყველაფერს როდი ამბობს. როდესაც ეკლესიებიდან „გარდმოანთხინეს“ უღირსნი და ღირსეულები დასვეს, ამ დროს მთელს საეკლესიო სისტემაში სულით და გულით სპეტაკი ხალხი დაინიშნა, როდესაც მაცნეთა სისტემამ გამოააშკარავა მოღალატენი და შემუსრა ბოროტი განზრახვანი, როდესაც მეფის რიდით და შიშით „ვერავინ იკადრებდა უწესოდ სვლას“, ასპარეზზე გაწვეულ იქნა ღირსეულთა არმია ყველა ფენიდან. ეს არის მთავარი.

შინაგანი ღირსებით გამორჩეული ხალხი გამოდიოდა ასპარეზზე. დავითი გრძნობდა და ხედავდა კიდეც, რომ სამეფო კარზე მისი წინაპრების ირგვლივ დიდებულთა და დიდგვაროვანთა წრიდან დაწინაურებული ხალხი ბატონობდა. ისინი

სრულებითაც ვერ გამოხატავდნენ ქვეყნის ენერგიას, ჰქონდათ ნიჭი, მეფისთვის ეამებინათ, მის გვერდით ეტრიალათ, დაემკვიდრებინათ აზრი, რომ მხოლოდ მათზე დაყრდნობით უნდა ემართა მეფეს ქვეყანა. მათ რიგებში უნდა ეძებნა კაცი ამა თუ იმ თანამდებობისათვის, მათ იქით არც უნდა გაეხედა. მხოლოდ ისინი, ვინც თვალწინ ტრიალებდა, ვისი წრეც ერტყა ირგვლივ, ვისგან გამართულ საგანგებო წვეულებაზე უხდებოდა მიბრძანება! მეფის თვალსაწიერი უფრო შორს არ უნდა წასულიყო! მითუმეტეს, რომ ფეოდალურ საზოგადოებაში ნაკლებმიღებული იყო არადიდგვაროვანის დაწინაურება, დიდებულთა წრის იქით ახალი ძალების ძებნა, მეფის ახლობლების უგულებელყოფა და მათდამი უყურადღებობა. იქმნებოდა შთაბეჭდილება თითქოს ერისათვის გამოსადეგი პიროვნებანი არ არსებობდნენ... მხოლოდ ისინი, ვინც ახლოს ტრიალებდნენ და განუწყვეტლივ შეახსენებდნენ თავს.. მხოლოდ ისინი წარმოადგენდნენ დასაყრდენს, ყოველი მნიშვნელოვანი საქმის საჭესთან ისინი უნდა მდგარიყვნენ! ხოლო თუ ბევრი მათგანი ვერ ერეოდა საქმეს, ეს ისევ და ისევ ღირსეული კაცების ნაკლებობას უნდა დაბრალებოდა.

ღირსეულები, ენერგიით აღსავსენი, ამ ქვეყნად ლამაზი იდეებითა და გეგმებით მოსულნი ჩრდილში რჩებოდნენ. ეროვნული ენერგია სწორედ მათ სისხლსა და ხორცზე გადიოდა. იქ ეძებდა კალაპოტს, რადგან იქ ეგულებოდა იგი და თუ გზას გადაუკეტავდნენ კუთვნილი კალაპოტისაკენ, შედედდებოდა პროცესი, გაზარმაცდებოდა ქვეყანა, დიადი შემართება ჩაქრებოდა და იდეები გაუფასურდებოდა. ღირსეულთ თავის წარმოჩენას, გაძრომა-გამოძრომას სწორედ შინაგანი ღირსება არ ანებებდათ. ქვეყანას კი უმნიშვნელოვანეს პოსტებზე პიროვნებანი აკლდა, საქმის და ქვეყნის ერთგული კაცები აკლდა, თითქოს არც არსებობდნენ საერთოდ! ეროვნული ენერგიის გამოვლენის ფორმები წოდებრივი უპირატესობის სალტეებში იყო მომწყვდეული. ამიტომ ძალთა შეფასებისა და სახელმწიფო საქმეებში დაბანდების ფენომენი არარად იქცა. ძალთა მობილიზების კულტურა, ბუნებრივია, არ არსებობდა. და ამის გამოც უჭირდა ქვეყანას. არადიდგვაროვანთა წარმოჩენისა და აღზევების მაგალითები იშვიათობდნენ. სწორედ

წარმოჩენისა და აღზევების ფაქტებში აფარებდა თავს ძალთა პოვნისა და მობილიზების საშუალება.

ღირსეული პიროვნებების ძიება დავითის უპირველესი საზრუნავი შეიქნა. მას ჭირდებოდა ხალხი, რადგან ქვეყანას ჭირდებოდა ერთგული და უნარიანი პიროვნებანი. მისი დიადი გეგმები პირდაპირ ითხოვდნენ დიდი გაქანების, ქვეყნის ერთგულ, ნიჭიერ, ჭკვიანსა და დარბაისელ პიროვნებებს. არ ეცალა საქართველოს წოდებრივი უპირატესობით გამოკვებილი კაპრიზებისათვის, არ ეცალა მეშჩანური ვნებების საალერსოდ. უზარმაზარი გეგმები ასპარეზზე ითხოვდა თავდაუზოგავ მაგულიშვილებს, რომლებიც დაემორჩილებოდნენ იმ დიდი ასპარეზის განზომილებებს და შექმნიდნენ ან შეეგუებოდნენ მუხლჩაუხრელი შრომისა და ბრძოლის სტილს, ვინც ქვეყანას უყურებდა არა როგორც განცხრომის ადგილს, არამედ როგორც დიდი შრომისა, მოქმედებისა და შექმნის არენას და არ აშინებდა თანამდევი ჯაფა და ტანჯვა, ვისაც სიცოცხლით ტკბობა ამ მისიის აღსრულებასთან ერთად ეწყობოდა და არ კი უსწრებდა მას. აღმაშენებელი ამ კანონით მოქმედებდა, ყველა უბანზე ღირსეული კაცი უნდა ჰყოლოდა — ყოველმხრივ შემოწმებული, შესწავლილი, გამოცდილი. მაცნე-მსტოვართა სისტემას მხოლოდ ცნობები უნდა მოეწვდინა, ცნობების სიზუსტე მოწმდებოდა. ვინ როგორ იქცეოდა საზოგადოებაში, ლაშქარში, თვით სვლა, თვით სვლის ფორმები მოწმდებოდა და ასეთ დროს რა გასაკვირია, რომ შეცნობილი იყო ღირსეული და უღირსი.

დავით აღმაშენებელსა და ღირსეულ პიროვნებებს შორის უხილავი სიმები ებმებოდა, მისი ცხოვრების სტილი უკვე თავად ეძახდა ღირსეულს, როგორც გეოლოგის შეუმცდარი ჯოხი, ისე პოულობდა ახალ-ახალ ძალებს. ასპარეზზე გამოდიოდნენ ნამდვილი ადამიანები — „შეიყუარნის ვინმე და განადიდნის ვინმეო, და კუალად მოიძულნის ვინმე და დაამცირნისო, ესე აღამაღლის და ესე დაამდაბლისო“. ეს მწარე, უმართებულო საყვედური ღირსეულთა ძიების პროცესს მოჰყვა. დიდებულთა, დიდგვაროვანთა წრიდან მეფის ახლოს მოფუსფუსე პირთ ძველი ხერხი რომ გაუცუდდათ, ამ ფაქტს მოჰყვა საყვედური. მარტო თურქ-სელჩუკთა განდევნის ვეებერთელა

გეგმა ითხოვდა იმდენ ძალას, რომ მისი პოვნა განცხომისაკენ მიდრეკილ დიდებულთა წრეში გამორიცხული იყო. დიდგვაროვანთა წრიდან ბევრი გამოირჩა და ისინი უმალ საქვეყნო საქმის სამსახურში ჩადგნენ. მეფის მზერა არ ცხრებოდა, ეპობდა გარსმოჯარულ ახლობელთა შემციცინე სახეებს და იმათ იქით ეძებდა ქვეყნის და ხალხის ერთგულებს, ჩრდილში მდგარ პირთ, უნარით და შესაძლებლობებით რომ იყვნენ აღსავსენი და ვისთვისაც უნდა მონახულიყო კუთვნილი ადგილი. დავითი მათ ფუნქციით ტვირთავდა, აღამაღლებდა, შეიყვარებდა. გაუმხელელი ფიქრების კვალდაკვალ ხდებოდა ხშირად ეს.

გამორჩეულნი გრძნობდნენ, რომ მათი სულისკვეთება წაიკითხეს. და მისია დაეკისრათ, შინაგანი სინათლის ამოსანთებად რომ მიეცათ ასპარეზი. ერის ენერგია არნახული სისწრაფით იწყებდა მოძრაობას და შესაფერისად აფართოვებდა კალაპოტს. მეფე, „სივრცით გაბრძნობილი“ და აღმამხედი, შეიყვარებდა ნიჭიერთ, რუდუნებით მოღვაწეთ, მისი სტილის ხალხს და განირიდებდა ფარისეველს, ულირსს, მოხმაურე ერთეულებს. მას არ აფრთხობდა ღირსეულთა ნიჭიერება და გაქანება, რადგან განუზომელი ჰქონდა თავად ყველა ეს თვისება. ამიტომ მისგან დაგეგმილი ოპერაციების სათავეში ყოველთვის იდგა უნიჭიერესი ხალხი და ისინი არცერთ სიტუაციაში არ იბნეოდნენ, სრულყოფილად ახორციელებდნენ მეფის ჩანაფიქრს. იმ ოპერაციებშიც, რომლებშიც მეფის უშუალო ხელმძღვანელობით არ განხორციელებულა, მუდამ შეუმცდარობის კვალი იკითხება. და ეს მეტყველებს ზემოთქმული ჰეშმარიტებაზე. ქვეყნის სრულყოფისა და მრავალწლიანი ომების პროცესს მხოლოდ ნიჭიერი და ერთგული ხალხის თანადგომით თუ გაწვდებოდა მეფე. ამიტომ ღირსეული ხალხის წინ წამოწევა დავითის დროს სულ სხვაგვარად შესაცნობი მოვლენაა. იგი მოღვაწეობის არსია და სახელმწიფოს კეთილდღეობის მიღწევის გზაზე უმთავრესი ციხეები აბარია.

* * *

ზემოთ მოტანილი მემატიანის სიტყვები თურქ-სელჩუკთა დაჟინებულ ლაშქრობებზე, საქართველოში დამკვიდრების

მტკიცე სურვილზე, ქვეყნის საზღვართა გარეთ მათი „გასხმის“ შეუძლებლობის შესახებ ნათელს ფენენ ერთ გარემოებასაც. სასახლის კარზე უკვე იცოდნენ თურქთა ვერაგული მიზნის შესახებ. ადრე ეს მხოლოდ იგრძნობოდა, ათასი ფაქტისა და ცნობის შემოწმების შემდეგ მეფეს თავისი ეჭვი დაუდასტურდა—თურქები საქართველოში დაფუძნებას ცდილობდნენ. მემატიანის სიტყვები პირდაპირ გამოხატავენ ამ აზრს. თვით სულთანსაც რომ არ ძალუძს თუნდაც კონკრეტულ შემთხვევაში, დროებით მაინც ააღებინოს თვისტომებს განზრახვაზე ხელი, ეს ამჟღავნებს უკვე სისხლის მისწრაფებებს. მემატიანე რომ ასე დაჟინებით საუბრობს მათი დასახლება-დაბანაკების სტრუქტურაზე, საქართველოს მოუცილებელ ჭირზე, ეს თავისთავად მეტყველებს, რა ღრმად ჰქონდა დავით მეფეს და სამეფო კარს უბედურება გაცნობიერებული. დავითი უფრო მეტს ხედავდა — მის მიერ დაპირისპირებული ბრძოლების მეთოდები, თავისი არსით ასე უნივერსალური, მეტყველებს ამ ხედვაზე, — ხედავდა თურქ-სელჩუკთა მრავალრიცხოვანი ტომების ისტორიულ მოძრაობას, ეს მოძრაობა საქართველოს დაემიზნა და მანამდე გაუგონარი უბედურება დაატეხა თავს ხალხსა და ქვეყანას. მურვან ყრუს შემდეგ რა უბედურება უნდა გაკვირვებოდა ქართველ კაცს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არაბები უმანკო მტრედები იყვნენ თურქ-სელჩუკებთან შედარებით. დაუჯერებულია, საქართველოთი დაკმაყოფილებულიყო თურქთა ეს ნიაღვარი. შემდგომ და შემდგომ იგი უზარმაზარ ტერიტორიას მოედო კიდეც, მაგრამ კონკრეტულ ისტორიული ეპოქაში მთელი ენერგია რომ აქეთ მომართეს, ეს ფაქტია. საქართველო ამ მოძრაობის პირდაპირ იდგა, იგი ჰგავდა წარღვნას.

დავით მეფემ დაინახა, რა ძალის წინააღმდეგობა უნდა გაეწია საქართველოს. საქმეს ვერ უშველიდა ერთი და ორი გამარჯვება. თურქ-სელჩუკთა ისტორიული მოძრაობისათვის მიმართულება უნდა შეეცვალა ქვეყნის წინააღმდეგობას. გაპარტახებული ქვეყნისაგან ამის გაკეთება შეუძლებელთა კატეგორიას ეკუთვნოდა ყოველმხრივი გაანალიზების შემდეგაც კი. ისტორიულმა მდგომარეობამ დავით მეფეს უმძიმესი ტვირთი დააკისრა — შეუძლებელი ექცია შესაძლებლად.

უძლეველ-მეომრად აქცია ქართველი კაცი, ზნეობრივი სიმაღლეები დააპყრობინა ერს საერო და საეკლესიო რეფორმების გატარებით, გაათავისუფლა ზედაზადენი, შემოიერთა კახეთი, აიღო სამშვილდე და მიმდგომი ციხეები, მოიგო მრავალი ბრძოლა, ჭლიტა თურქ-სელჩუკთა ბანაკები, ერწუხის დიდ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა მრავალრიცხოვანი მტრის ლაშქარი — დაიწყო დიდი კამპანია თურქ-სელჩუკთა ტოტალური გეგმების წინააღმდეგ. თანდათან გამოიკვეთა აღმაშენებლის ბრძოლების სტრუქტურა. მისი მიზანი იყო უარი ეთქმევინებინა თურქ-სელჩუკთათვის ახლო და შორეული გეგმებზე, ამოეგდო მათი სისხლიდან საქართველოში დამკვიდრებაზე ფიქრი, რადგან სისხლში იყო ის ფიქრი უკვე წასული, ჩაეჭედა მათ სულში აზრი, რომ ეს გამორიცხული იყო, რომ ისინი უნდა გაცლოდნენ საქართველოს.

ამის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, თუ ქართველი ხალხი სულიერი და ფიზიკური ენერგიის მთელ მარაგს არ გამოიხმობდა. თუ თავისი ძვირფასი თვისებებით აღორძინებას ვერ მოახერხებდა. იმ ძვირფასი თვისებებით უნდა შეკრულიყო ერის რაობა, მას ალმასის სიმკვრივე უნდა შეეძინა, მხოლოდ ამის შემდეგ იქცეოდა იგი უძლეველ ენერგიად. ზნეობრივი მინუსები უნდა ამომწვარიყო ან საერთოდ დაეთრგუნა იმ ძირითადს, რასაც ქართველი ხალხის ბუნება ეფუძნებოდა. თუ იგი აიკრებდა ხელთ სადაველებს, მაშინ იქნებოდა შესაძლებელი წინააღმდეგობაზე ფიქრი. ერის სულიერი ფორმირების უნივერსალური პროცესი, რაც დახვეწილი ღონისძიებებით ხორციელდებოდა, პოლიტიკურ ასპარეზზე ეძახდა საკუთარ ფორმებსა და მეთოდებს. ისინი ავსებდნენ, ან, უფრო სწორად, განასრულებდნენ ამ სრულყოფის პროცესს. და აი კვლავ მაცნეთა სისტემა, რომლის დანიშნულება ერთწახნაგოვანი, მარტივი მნიშვნელობისა არც იმთავითვე ყოფილა, მაგრამ რომლის ზემოქმედი ძალის სრულყოფილება პოლიტიკური ასპარეზის წყალობით ასე გამოჩნდა.

„ესე დიდნი საქმენი, ღმრთისაგან ოდენ შესაძლებელნი, ესრეთ ადვილად წარმართნა ამით, ვითარცა ვერვინ ადვილ წარმართის ეგრეთ. ამისთვისცა შიში და დიდი ზარი მისი გა-

ნითქუა კიდეთა ქუეყანისათა, და განკრთეს ყოველნი მკვიდრნი ქუეყანისანი".

მანამდე მოთხრობილია მემატიანეს მიერ, თუ რა დიდი საქმეები გააკეთა დავითმა საქართველოსათვის. აღმოსავლეთის ხალხებისათვის, ქრისტიანული სამყაროსათვის.

მე მაცნეთა სისტემის ერთი მხარე დავახასიათე ზემოთ, ერის სრულყოფის პროცესში მონაწილე მისი ფუნქციები გავაანალიზე, მაგრამ იმავე სტრუქტურას სხვა მიმართულებები აქვს და ამიტომ ერთხელ კიდევ უნდა მოვიგონოთ სიტყვა-სიტყვით მაცნეთა მოქმედების შინაარსი.

„ხოლო აქუნდა ამას ყოვლად ბრძენსა მეფეს საქმედ ესეცა, რომლითა უმეტეს ყოველთა საშიშად საზარელ იყო ყოველთა, რამეთუ ღმრთისა მიერ იყო მის ზედა ნიჭი ესე და საქმე ყოვლად საკვირველი. არა-რა შორეული, არცა სამეფოთა-შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირედთა, საქმე ქმნილი, კეთილი გინა სიტყუა ბოროტი თქმული, — არა-რა დაეფარვოდა ყოვლადვე, არამედ რაოდენცა ვის ფარულად ექმნის ანუ თუ ეთქვას, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა, ვიდრემდის გულის-სიტყუანიცა და მოგონებანი ვიეთნიმე მოუთხრნის მათ, რომელთა ზარგანხდილ ყვნის და მონაზონთა განშორებულთა სენაკთა შინა მათთა ქმნილნი ღუაწლნი და სათნოებანი უწყოდნის ცხადად, და სიშორე გზისა ვიდრე ეკლესიამდე ზომით იცოდის, და მოთმინებისათვის აქებდის და ნატრიდის, ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე, არამედ ამას სცნობდა, თუ რა სარგებელი პოვნის ამათ მიერ. რამეთუ არა თუ ცუდად რადმე და განსაკითხავად საგიობელთა საქმეთად, ანუ საკიცხელად ვიეთთათვისმე იქმოდის: ნუ იყოფინ ესე, წარვედ!

არამედ დიდნი საქმენი და ფრიად სასწრაფონი წარმართნა ამით, და მრავალთა კეთილთა მიზეზ იქმნა ესეი პირველად ორგულებასა და ზაკუასა, და ღალატსა რასამე ვერვინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებადცა არა თუ თქმად ვისდა, არცა თუ მეუღლესა და ცხედრეულსა თვისსა თანა, ანუ მოყუასსა თვისსა, გინა ყრმათა თვისთა თანა, ვინათგან ესე მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირით აღმოსლვასავე თანა სიტყვისასა საცნაურ ქმნილ არს უეჭველად

წინაშე მეფისა და მრავალნი განპატიჟებულიცა იყუნეს და მხილებულ ესევითართათვის. ამისთვისცა ვერ ოდეს ვინ განიზრახა ღალატი რაჲთურთით დღეთა მისთა, არამედ იყო ყოველთაგან საკრძალავ და სარიდო".

ღმრთისაგან მომადლებულ ნიჭად და შთაგონებად არის დახასიათებული ისტორიკოსის მიერ დავით მეფის ეს უნარი, უნარი იმისა, რომ შექმნას სისტემა ერის ფიქრის მოძრაობის მაორგანიზებელი და წარმმართველი. „საქმე ყოვლად საკვირველი" — უწოდა მას ისტორიკოსმა და ფეოდალური სამყაროსათვის მართლაც უჩვეულო შინაარსის სისტემა წარმოგვიდგება. მოენეები რომ ყველა მეფის კარზე არსებობდნენ, ეს სულ სხვა რიგის მოვლენაა. არ შეიძლება მოენეთა ჯგუფის გაიგივება ამ სისტემასთან, რასაც დავითი ქმნის. ეს უნივერსალურად მოწესრიგებული და ურთულესი შინაარსის სისტემაა. მისი წახნაგები, მისი რადიუსები უჩვეულო ფორმისა და სიგრძისაა, მისი დანიშნულება კიდევ უფრო „უცნაური" და დიადია, უკეთილშობილესი შინაარსი დგას მის სტრუქტურაში. ეს თანდათან ხდება საცნაური. არა, მხარტო ერის სრულქმნის უდიდესი მიზანიც არ თავსდება მაცნეთა სისტემის შინაარსში!.. ქვეყანას ათასწახნაგოვანი ურთიერთობა ჰქონდა გარემომცველ სამყაროსთან და უპირველეს ყოვლისა ოკეანისებურად მოვარდნილ მტერთან. და აი, იმ საპატიო გრანდიოზული პროგრამის გვერდით — ერის ზნეობრივი სრულყოფის გვერდით პოლიტიკური პროგრამა აღიმართა!

დავით მეფის მაცნეებმა ალყა შემოარტყეს დიდგვაროვანთა, საერთოდ ფეოდალთა ციხე-დარბაზებსა და მთელს გარემომცველ მტრულ სამყაროს, იმ ციხე-დარბაზებთან კავშირის დამყარების საშუალება წაართვეს. ვერც გარედან შედიოდა მტერი, ვერც იმ ციხე-დარბაზებიდან გადიოდა მტერთან კავშირის მოსურნე ფიქრი, მოსაზრება, შეთქმულება. ვინ შემოვიდა საქართველოში, რომელი ქვეყნის წარმომადგენელი, რა ეცვა, რა ეხურა, რით იყო შენიღბული, სად დაისვენა, სად შეიარა, ვის შეხვდა, რა ილაპარაკეს, ყველაფერი ცნობილი ხდებოდა უმალ.

პირველი დიდი ფაქტი ამ თვალსაზრისით ლიპარიტ ბაღვაშის ნეიტრალიზება იყო. მაცნეთა სისტემამ გამორიცხა უცხო

ძალებთან მისი დაკავშირების საშუალება, ის გამორიცხა, რასაც ეყრდნობოდა დიდი ბალვაშების საგვარეულო ბაგრატ მესამისა და განსაკუთრებით ბაგრატ მეოთხის დროს. „არღარა მოაცალა ამის ქმნისათვის“ — ეს ნაცადი ხერხი იყო უკვე, დიდი ფაქტით ზურგგამაგრებული, ვინ მოაცალა ლიპარიტ ბალვაში ურთიერთობის ქსელის გასაბმელად, გარეშე ძალის მამა-პაპურთა წესით მოსახმობად, ლაშქრის შესაკრებად. დავითის ხალხმა გადაჭრა გარე სამყაროსთან ამ ბნელი ძალის დამაკავშირებელი ყველა ძარღვი და უსუსურ ფიგურასავით გაიყვანა პოლიტიკური ასპარეზიდან ლიპარიტ ბალვაში. მცირეოდენი წინააღმდეგობის უნარიც არ შეარჩინა მის შვილს რატის, ხოლო რატის სიკვდილის შემდგომ კლდეკარის საერისთავო საერთოდ გააუქმა, როგორც ერთეული. ერის სულიერი სრულყოფის გზაზე, რასაც ათასი წახნაგი და ნიუანსი ჰქონდა, ზოგიერთის ქვეგამხედვარობა და ორგულობა, ბოროტი განზრახვანი სხვას რას ნიშნავდა თუ არა მეფის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობას, ბოროტთა გაერთიანებას და დაკავშირებას გარეშე მტერთან, რადგან საკუთარი ძალით ისინი დავით მეფეს, ცხადია, ვერაფერს დააკლებდნენ. ასე, რომ „პირველად ორგულებასა, და ზაკუასა, და ღალატსა რასამე ვერვინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებადცა, არა თუ თქმად ვისდა“. სულ ეს განზრახვა იგულისხმება, სულ გარეშე მტერთან დაკავშირების სურვილი კივის. დავითის ხალხის საქმიანობა ამ მიმართულებით სულ გარეშე მტრის შემწეობის გამორიცხვას ისახავდა მიზნად.

სხვა საკითხია, როგორ, რა გზებით ცდილობს მტერი შემოღწევას. ამჯერად მეფეს ის აინტერესებს, როგორ ემზადება შინაგანად მისი სისხლი და ხორცი გარეშე მტრის მოსახმობად, რა სურვილები წარმართავენ მის ვნებებს, სად, რა საშუალებით შეიძლება გადაიკეტოს ამ სურვილების სათავე. ერთ მეტრზე გასაგონი დაჩურჩულებაც კი შეუძლებელი გახადა დავით მეფემ, თვით მეუღლეთათვის საიდუმლოს გამხელის საშუალება წაართვა ბოროტი ფიქრის პატრონს, რადგან ზედიზედ იქნა მხილებული ყველა, ვინც ბოროტი ზრახვა ჩაიჩურჩულა, ვინც მხოლოდ მეუღლეს გაუტყდა, ისინიც კი იქნა გამეღავნებული და მხილებული.

გარემომცველი მტერი გაოგნებული ჩანდა, ადრე კაცი კაცზე მოდიოდა საქართველოს ფეოდალთაგან, მოჰქონდათ გეგმები, ვარაუდები, საჩუქრები, ერთგულების ფიცი, აღთქმა და დაპირებანი, იმართებოდა მოლაპარაკება, იდებოდა შეთანხმებანი: თუ შემოვიდოდნენ, თუ აღაზევებდნენ, სრული მხარდაჭერა ექნებოდა მტრებს, განუდგებოდნენ მეფეს, დაასუსტებდნენ, ჯარითაც მიეხმარებოდნენ მოსულთა..

...შეწყდა ეს ნაკადი, რისი მოლაპარაკება... ცოლთან საიდუმლოს გამხელის ეშინოდათ ქვეგამხედვარებს, მონაზონთა შორისაც ვერ დაფლავდნენ შეთქმულების გეგმას. გზისა და სამფლობელოების ზომა იცოდა მეფემ, გათვლილი იყო ყოველი ნაბიჯი, ყოველი ბილიკის სიგრძე, არა თუ საქარავნო გზის ან თუნდაც საურმე გზის სიგრძე. ასეთ პირობებში, ცხადია „ვერ ოდეს ვინ განიზრახა ღალატი"... ყველასაგან „საკრძალავ და სარიდო იყოო", — წერს მემატიანე, სხვა ადგილას თქმულიც გავიხსენოთ: „არც არავინ მოაცალა არათუ ქმნად არამედ თქმად", არავინ მოაცალა! გარემომცველმა მტრულმა სამყარომ საქართველოდან ვერავითარი სიგნალი ვერ მიიღო. ამიტომ იქნა პარალიზებული ღალატის ბუნება, თითქოს მთელი ქვეყანა შეითქვაო — სამარისებური სიჩუმე დამყარდა პოლიტიკური ურთიერთობის ასპარეზზე. ერთი უზარმაზარი დასაყრდენი — ადგილობრივ დიდგვაროვანთა განწყობილება, როგორც ერთეული, ჩაქრა.

როდესაც ქვეყანამ იგრძნო მოდარაჯე თვალი, ცხადია, უსიამოვნების ტალღამ მოიცვა ყველა, რადგან ის მოდარაჯე თვალი ნიშნავდა უნდობლობას, ნიშნავდა შეურაცხყოფას, განსაკუთრებით ერთგული ხალხის გულში იწვევდა ძალაუნებურად უსიამოვნო განცდას, განსაკუთრებით ისინი იწვოდნენ შეურაცხყოფის გრძნობით. მაგრამ შემდეგ, როდესაც მაცნეთა სისტემის გამოზნულობა გაირკვა, როდესაც ერმა ირწმუნა, რომ მისი ფანტაზიისა და კეთილი საქმისადმი სამსახურს არავინ დარაჯობდა ცუდი თვალით, რომ გზა მხოლოდ ეშმაკისეულ წრილს ეკეტებოდა, თანდათან დაემკვიდრა კეთილი საქმეებით შთაგონებული განცდა და არა ხელშეკრულობის და შეზღუდვის ტკივილი...

რაკი საქართველოდან მსტოვრების ჩამიჩუმი არ ისმოდა,

არ შეიძლებოდა მტერი არ შეცბუნებულიყო. მას ასე სჭირდებოდა საყრდენი! არ მოდიოდა შიგნიდან, ე. ი. თვითონ უნდა აეცსო მსტოვრებით ქვეყანა, მითუმეტეს, რომ აქ დგომა და დამკვიდრება ეწადა, მითუმეტეს, რომ წინა წლების თარეშის წყალობით, საქართველოს გზები და ბილიკები იცოდა. მაცნეთა მოდარაჯე თვალი, ცხადია, მტრის მსტოვრებსაც სდევდა, გასაქანს არ აძლევდა. მსტოვრები გამიზნული საფეოდალოს ნაცვლად მეფე დავითის კარზე ამოყოფდნენ თავს. დატყვევებულ მსტოვართა რიცხვი კატასტროფული სისწრაფით იზრდებოდა: მიუხედავად ამისა, მტერს არ შეეძლო საცდელი არ ეცადა, მაგრამ თანდათან რწმუნდებოდა, რომ მისი ცდა ჯარგავდა ყოველგვარ აზრს. დატყვევებული მსტოვრების დაკითხვის შემდეგ ქართველთა მეფე მტრის პოლიტიკური ჩანაფიქრის მთელ წყობას კითხულობდა და საშინელ დარტყმას აყენებდა თურქ-სელჩუკთა დაბანაკებულ ტომებს. ამიტომ არა მარტო თავისიანი, მტერიც არ მოაცალა ბოროტი ქსელის მოსაქსოვად დავით მეფემ. მსტოვრებს გამოეცალათ უმთავრესი ფუნქცია — ქვეყნის შიგნით დასაყრდენი ძალების დაძებნის ფუნქცია. დავით მეფე თვალისაუხვევლად მოძრაობდა ახლა. მტრის მსტოვრები, როდესაც ეს აღმაშენებელს სურდა ასე, ზუსტად ადგენდნენ, სად იმყოფებოდა მეფე და მისი ლაშქარი. მტერიც ამის მიხედვით აწყობდა თავის გეგმებს. მაგრამ მივაქციოთ ყურადღება, რომ თურქებმა თითქმის არასდროს არ იციან, სად იმყოფება მეფის სხვა ლაშქარი და ის დასი, რომელსაც დავალებული აქვს ბრაქტიკულად განახორციელოს ესა თუ ის ოპერაციაა საგანგებო დაკვირვებას ითხოვს ეს მოვლენა. სხვადასხვა დროს მეფის ერთგულმა ხალხმა გიორგი ჰყონდიდელის მეთაურობით მტერს მოულოდნელად წაართვა ზედაზადენი, სამშვილდე, რუსთავი, მრავალი. ციხე. ეს ფაქტი მეტყველებს დავითის მიერ ორგანიზებულ მაცნეთა სისტემის გამოკვეთილ ტაქტიკაზე — მან უნდა მიუშვას მეფის ბანაკამდე მტრის მსტოვრები, მანვე უნდა გამორიცხოს თურქთა მსტოვრების მხრივ მეორე სამხედრო ძალის მოძრაობაზე დაკვირვების საშუალება. ამ ძალისაკენ დაძრული მსტოვრების დატყვევება მაცნეთა სისტემის უპირველესი ამოცანაა. ხოლო, როდესაც მეფეს თავისი ადგილსამყოფელის გასაიდუმლოება

სწადია, მტრის მსტოვრები მის კვალსაც კი ვერ პოულობენ.

ეს ქვეყნის შიგნით. დავით მეფე, ცხადია, ვერ დაეყრდნობოდა თურქთა მიერ შემოგზავნილი მსტოვრებისაგან აღებულ ცნობებს მარტოოდენ. აქ იწყება უფრო მთავარი. მაცნეთა სისტემის გეოგრაფიულ არეალს ეხება საქმე. დავით მეფის ხალხი მთელს გარემომცველ მტრულ სამყაროში იღვწოდა წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილებით მაცნეთა სისტემა კრებდა უძვირფასეს ცნობებს ახლო მდებარე, თუ შორეული ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრებიდან. იხარჯებოდა ოქრო, ვერცხლი. იმ წყალგაუვალი უნიკალური პროფესიონალიზმის წყალობით, რაც საქართველოში ათასგზის გამოიცადა და შემოწმდა, ცხადია, სხვა სახელმწიფოთა ნაკლებ ორგანიზებულ პოლიტიკურ ბილიკებსა და გვირაბებში ადვილად გააღწევდნენ დავითის მაცნენი. ისინი უზადო პროფესიონალები იყვნენ! იცოდნენ უმთავრესი — უმალ მიეტანათ, რაც შეიძლება ზუსტი ცნობა სამეფო კარამდე. ვარაუდები და ინტუიცია მეორე რიგის საკითხი იყო. რაკი ცნობის სიზუსტე მკაცრად მოწმდებოდა, მაქსიმალურად სწორი ცნობის მოძიება იყო მიზანი, მაცნეთა სისტემის პროფესიონალური მაქსიმალიზმი ცხადად გამოსჭვივის მემატიანის ნაშრომში და ეს გვიიოლებს უნაკლოდ წავიკითხოთ მთელი მათი მოქმედების თავი და ბოლო.

ყველაფრიდან ჩანს, რომ დავით აღმაშენებელი ზედმიწევნით ზუსტ ცნობებს მოიპოვებდა აღმოსავლეთის და დასავლეთის ქრისტიანულ სახელმწიფოებში მომხდარი და მიმდინარე მოვლენების შესახებ. აკვირდებოდა ჯერ კიდევ გაუმჟღავნებელ სიღრმისეულ პოლიტიკურ ძვრებს. გარემომცველი მსოფლიოს პოლიტიკური რუკა სულ წინ უნდა ჰქონოდა გადაშლილი. ბრძოლების შინაარსიდან, დიპლომატიური ნაბიჯებიდან, რაც მან გადადგა, სულ ამ პოლიტიკური რუკის ცოდნა ივარაუდება. მისთვის ეს მოვლენები ერთი მთლიანი პროცესის ცოცხალი ტოტები იყო — რუკის ზედაპირზე სიტუაციები ხან ნელა, ხანაც კატასტროფული სიჩქარით იცვლებოდა. მას სჭირდებოდა და იცოდა ყოველი ქვეყნის გეოგრაფია, ყველა ხალხის თვისება, რწმენა, სახელმწიფო წყობა, სახელმწიფოს მესვეურთა პირადი თვისებანი, პოლიტიკური „პარ-

ტიების" მიზანსწრაფვა, მათი პოტენცია, პერსპექტიული კანდიდატურები, ხალხის სულისკვეთება, სახელმწიფოს ისტორია, კონკრეტულ სიტუაციაში მათი შინაგანი მზადყოფნის ხარისხი, მეფეთა განზრახვა, განზრახვის სერიოზულობა, დრო განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. საქართველოსკენ მიმართული ინტერესების ძალა, სიცხოველე. პოლიტიკურ ამინდში მიმდინარე ცვალებადობის მიმართულება. ცვლილებათა მნიშვნელობა საქართველოსათვის. საქართველოს ცხოვრებასთან დაკავშირებული მოვლენების სავარაუდო განვითარება... ცნობები, ცნობები, ცნობები.

დიდი ანალიტიკოსის გონება გამუდმებით მუშაობდა. ცნობები ერთმანეთის გამომრიცხავი, ცნობები დასისაგან გასაშიფრავი, ცნობები მეფისაგან გასაშიფრავი, შემოწმებული და გაანგარიშებული.

1097 წელს (სხვა მოსაზრებით 1098 წ.) ჯვაროსნებმა ანტიოქია აიღეს. დავით მეფე ქვეყანას „მოაშენებდა" და ხალხს განაძლიერებდა, ლაშქარს წვრთნიდა.

მან იცის, როდის შეუწყვიტოს ხარაჯა თურქებს, რას კარნახობს პოლიტიკური ამინდი. მან იცის, თურქ-სელჩუკთა, საერთოდ, მუსულმანური სამყაროს, სამხედრო ძალების განლაგება, აუცილებლობისაგან ნაკარნახევი განლაგება, დარტყმის მიმართულება. ყველაზე ხელსაყრელ ჟამს შეუწყვიტა ხარაჯა თურქ-სელჩუკებს. საქართველოს დამოუკიდებლობა აღსდგა. ეს ერთი ფაქტია, მაგრამ ამ ფაქტით ნათელი ხდება პოლიტიკური ამინდის წაკითხვის მისეული უნარი. როდესაც ყველა პოლიტიკური ნაბიჯიდან იმ საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინება გამოსჭვივის, ცხადია, ეს მეტყველებს, სად, რამოდენა ტერიტორიაზე იყო განფენილი დავითის მაცნეთა სისტემა და როგორი სიღრმით ანალიზდებოდა მოპოვებული ცნობები ქართული ცის ქვეშ. საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურის ცოდნა ემსახურებოდა არა მარტო საქართველოს მზადყოფნას მტრის დასახვედრად, იგი ემსახურებოდა მეორე უფრო მაღალ მიზანს — საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების გააქტიურებას. საქართველოს ტერიტორიაზე გადახდილი ბრძოლები თავისთავად გულისხმობდა ამ პოლიტიკური აქტივობის პულსს. პულსაცია ძლიერდებოდა.

ამ აქტივობას გავლენა უნდა მოეხდინა საერთაშორისო პოლიტიკის მიმართულებაზე და ძალთა გადანაცვლება მოეხდინა საქართველოს სასარგებლოდ. თავდაპირველად დავით მეფეს წაკლებ ეცალა საიმისოდ, პოლიტიკური სიტუაციების დაჯგუფებით სასურველი კანდიდატურები დაესვა თვით მტრულად განწყობილი ქვეყნების ტახტზე. თავდაპირველად პოლიტიკური აქტივობის მოპოვება იყო აუცილებელი, რომელიც თავისთავად ერთვოდა ზედ თურქთა ბანაკების განადგურებას, ერწუხის დიდი ბრძოლების მოგებას, სამშვილდისა და მიმყოლი ციხეების ხელში ჩაგდებას, კახეთის შემოერთების ფაქტს ერთვოდა, რადგან ეს ოპერაციები, მხოლოდ უმთავრესს და მხოლოდ ერთ კონკრეტულ ამოცანას არ ემსახურებოდნენ.

საერთაშორისო პოლიტიკური ამინდის მეთვალყურეობა წესად ემკვიდრებოდა. ყრუ ცნობები გამოირიცხა, გუმანზე დაყრდნობა ჩავლილ ეტაპად ჩაითვალა. ფეოდალური ფორმაციის კანონები ასეთ მაქსიმალურ სიფხიზლეს თითქოს არც ეარაუდობდა, თითქოს ზედმეტი იყო ასეთი მზადყოფნა, მაგრამ, ჩანს, აღმაშენებელი ჩვეულებრივს იქით წასვლაში ხედავდა საქართველოს ღირსეული არსებობის შესაძლებლობას და მიიწევდა ჩვეულებრივის საზღვრებს იქით.

სამშვილდის, სომხითის, აგრეთვე სხვა ციხეების დაკარგვას მტერი ვერ შეეგუებოდა, რადგან ეს პოლიტიკური პლაცდარმის დათმობასთან შეგუებას ნიშნავდა. შემოსევა მოსალოდნელი იყო. მტერმა, ძლიერმა და ფხიზელმა მტერმა, დავითის მეთოდი გამოიყენა, უმოკლეს დროში „უგრძნეულად“ გამოიარა მანძილი თრიალეთამდე ასი ათასი კაცით.

„ოდეს სამშვილდე და ძერნა აიღეს, ქრონიკონი იყო სამას ოცდაათი. მას წელსა მოვიდა ძალი სულტანისა და ყოველი თურქობა, კაცი ვითარ ასი ათასი, უგრძნეულად სიმარჯვითა, ხოლო მეფე დგა ნაჭარმაგევს ტაძრეულითა“.

მივაქციოთ ყურადღება, რომ მტერი თავის მხრივ ცდილობს „უგრძნეულად“ დაესხას თავს, დავით მეფეს. ეს ხომ აღმაშენებლის საყვარელი ხერხია, მოულოდნელი, ელვისებური. მაგრამ გავიხსენოთ, რომ მაცნეთა სისტემის წყალობით მტერი ვერასდროს ვერ ახერხებს „უგრძნეულად“ შემოჭრას, მემატიანეს ისიც კი საგანგაშოდ მიაჩნია, რომ თრიალე-

თამდე მოვიდა მტერი ასე „უგრძნეულად". მეფე ამ დროს ნაჭარმაგევში იმყოფება. ცნობა („მიმწუხრისას") მოუვიდა. მტერი გულდაჯერებულია, — მან შეძლო ასი ათასი კაცი თრიალეთამდე ისე მოეყვანა, რომ დავითს არაფერი სცოდნოდა. თითქოს მოულოდნელობის მაქსიმუმიაო დაგვით ალმაშენებელი სწორედ ამ სიტუაციაში იღებს კიდევ ერთ გენიალურ გადაწყვეტილებას. რაკი მტერს მოულოდნელი თავდასხმის მიზანი აქვს, რაკი მოულოდნელად ასი ათასი კაცით არის მოსული — ის ვარაუდობს, რომ ხვალ დავით აღმაშენებელს უსათუოდ გაანადგურებს, რადგან გამორიცხულია, მან ჯარის შეკრება მოასწროს. აი, ამ დროს იბადება უჩვეულო სვლა.

„ცნა რა მიმწუხრ მოსლვა მათი თრიალეთს, ღამე ყოველ წარვიდა მასლათა კაცითა ათას ხუთასითა, რამეთუ ესოდენნი დახუდეს მას წინაშე. ცისკარს მოვიდეს თურქნი და იქმნა ბრძოლა ფიცხელი მას დღესა, და შეწევნითა ღმრთისათა იძლია ბანაკი მათი. და მიდრეკასა დღისასა მიდრკეს სივლტოლად ესეოდენ ზარგანხდილნი და მოსწრაფენი, ვიდრემდის არცა თუ კარავთა მათთა და ჭურჭელთა მიხედნეს ყოვლად, არამედ მოსწრაფებასა პატივ სცეს ფერხთა მათთა უფროს საქონლისა მათისა, და ესრეთ განიბნივეს თვისთა ჭეუყანათა".

ათას ხუთასი კაცით ასიათას კაცზე მისვლა ზღაპარია და ფანტაზია, თუ გნებავთ უგუნურებაც და დიდი მიზნის დაღუპვაც ამავ დროს. მაგრამ მსოფლიო ისტორიამ იცის იშვიათი მაგალითები ასეთი უმაგალითო სიმამაცისა. და ამ სიმამაცის არსში სწორედ დიდი გონიერება იგულისხმება. დავითი დგამს იმ ერთადერთ ნაბიჯს, რასაც შეუძლია იმედგადაწურული სამხედრო ოპერაციის მოგება. ხალხის მოკრებას და მტერთან დიდი ლაშქრის დაპირისპირებას გარკვეული დრო სჭირდებოდა. ამასობაში მტერი არაერთ წარმატებას იზეიმებს. ამიტომ, როგორც თვალნათლივ ჩანს, მან მემატიანის მიერ აღწერილი სვლით სრული შთაბეჭდილება შეუქმნა მტერს, რომ იგი შეცდა! დავით მეფე მზად ყოფილა მრავალრიცხოვან მტერთან შესახვედრად! ამ შთაბეჭდილების შექმნას უნდა მოემსახუროს ათას ხუთასი კაცის შტურმი. მტერმა უნდა ირწმუნოს, რომ მისგან განხორციელებული მოულოდნელი შემოსვლა სულაც

არ ყოფილა მოულოდნელი! უნდა დაანახოს „უგრძნეულობის“ კიდევ უფრო დიდი ნიმუში. ღამით გადაინაცვლა ელვის სისწრაფით ნაჭარმაგევიდან თრიალეთისაკენ და ათას ხუთასი კაცით ცისკრისას აღიმართა თურქთა წინაშე. გამორიცხულია, მტერმა ფიქრშიც კი დაუშვას ეჭვი, რომ დავით აღმაშენებელს ასე მცირერიცხოვანი ჯარი ახლავს. რაკი მთელი ღამე იარა და თურქთა წინაშე გულდაგულ აღიმართა, ე. ი. დიდი ლაშქრით არის მოსულიო, საპასუხო მოულოდნელობის („უგრძნეულობის“) ნიმუში, და მისი შედეგიც: „ცისკრიდან დღის მიდრეკამდის“ იბრძოდნენ ქართველნი და თურქნი, ხოლო შემდეგ თურქთა ჯარი ისე ზარდაცემული გაიქცა, რომ მთელი ავლადიდება ქართველებს შეატოვა ხელთ. ეს იმდენად დაუჯერებელი იყო, რომ ქართველთა ჯარმა არც გასდია გაქცეულ მტერს, ხრიკი ეგონათ ამოდენა ლაშქრის უკუქცევა. ახლა ბრძოლის მსვლელობას დავაკვირდეთ: ათას ხუთასი კაცის როგორი მოძრაობა ივარაუდება, რომ მტერს შეუქმნა შთაბეჭდილება მრავალრიცხოვანი ლაშქრის თანყოლისა. ცხადია, დავით მეფე, რომელსაც „ხვალის ომი ეგონა“, სასწრაფოდ კრებდა თავისი ხალხის შემწეობით დიდ ლაშქარს, რათა მტრის პირველი ტალღების შეჩერების შემდეგ, შეტევაზე გადასულიყო და მოწინააღმდეგე მოესპო. მან უპირველესი მიზანი შეასრულა,—მტერი დაარწმუნა, რომ სრულ მზადყოფნაში იყო საქართველოს ლაშქარი და ამ ქვეყანაში „უგრძნობლად“ შემოსვლის ხელოვნება გაცუდდა, სულთნის იმედები გაჭარწყლდა. მაგრამ მოხდა იმაზე მეტი, ვიდრე სავარაუდო იყო.

დავით მეფე აჭიანურებდა ბრძოლის მსვლელობას. ეს ჩანს იქიდან, რომ ათას ხუთასი კაცით იგი ცისკრიდან „დღის მიდრეკამდე“ ებრძვის მტერს. აი, ამ ბრძოლის მსვლელობისას იკრიბებოდა ძირითადი ლაშქარი და მისი ნაწილები მოეშურებოდნენ კიდეც თრიალეთისაკენ, მაგრამ ათას ხუთასი კაცით თრიალეთის თხემებსა და ქედებზე იმგვარი ხელოვნებით წარიმართა ბრძოლა, რომ მტერს სრული შთაბეჭდილება შეექმნა, ჯერ ერთი, დავითის ლაშქრის სიმრავლეზე, ხოლო შემდეგ გურჯთა მეფის სატანისებურ მოსაზრებულობასა და უძლეველობაზე და დროზე გაცლა არჩია. სხვა მიზეზი სულთნის სამარცხვინო უკუქცევისა არ ჩანს. გაოგნებული მეფე

და მისი თანამებრძოლები არც თვლიან ბრძოლას დამთავრებულად... ეს მერე გაირკვა, რომ დავითის გენიალურ ჩანაფიქრს — მოულოდნელ სვლაზე უფრო დიდი მოულოდნელობით შეპასუხებას, იმაზე მეტი ზემოქმედება მოუხდენია, ვიდრე თავდაპირველად ვარაუდობდა დავით აღმაშენებელი.

* * *

ერწუხი იყო პირველი დიდი ბრძოლა, რომელმაც საქართველოს სამხედრო ძლიერება გაახმაურა ახლო აღმოსავლეთში. ის, რაც უამრავი ღონისძიებითა და მცირე ბრძოლებით ამკვიდრებდა აზრს საქართველოს მეფის გონიერებასა და ძალმოსილებაზე, ახლა ხანძარიცით აელვარდა და თურქ-სელჩუკთა სამყაროს სერიოზულად დაემუქრა. შემდეგ ოპერაციას ოპერაცია მოჰყვა. რუის-ურბნისის კრებაც, ქვეყნის აღმშენებლობითი ვნებათაღელვა — ყველაფერი მტკიცე მარჯვენსა და ძლიერ გონებაზე მიუთითებდა. ყველაფერი იბრძოდა: საეკლესიო კრებაც, აღშენების ცეცხლიც, მაცნეთა სისტემაც, ხალხის ზნეობრივი ფორმირების მძლავრი მდინარებაც; იბრძოდა, როგორც სამხედრო ენერგია. მასში ილანდებოდა ბოტენციაც და ბრძოლის სხვა ფორმაც ერთდროულად. მაგრამ ჯერ კიდევ თურქ-სელჩუკები განაგებდნენ მოვლენათა მიმართულებას, ისინი კარნახობდნენ გეზს, რადგან ისინი შემოდიოდნენ, ისინი ემკვიდრებოდნენ, ისინი ესხმოდნენ, სხვა ქვეყნებზე გამარჯვებებით განებივრებული მათი სამხედრო პოტენცია მოემართებოდა, რომ თვითონ ყოფილიყო მბრძანებელი, თვითვე შეექმნა ბოლიტიკური სიტუაციები.

თრიალეთის დიდი ბრძოლა არ იყო რიგითი ფაქტი, მან ეჩსობრივი ფუნქცია შეიძინა! მოვლენებს აქამდე თურქნი განაგებდნენ, მეფე მათ უნდა დაპირისპირებოდა. ბრძოლების სისტემა ამ მოვლენების, სხვისგან წარმართული მოვლენებისათვის უნდა დაეპირისპირებინა. დავით მეფემ ამჯერადაც იგრძნო დიდი წამის დადგომა. თრიალეთის საოცარი გამარჯვება მან წაიკითხა ტერფით თხემამდე — ეს არ იყო რიგითი ბრძოლა! კიდევ ერთხელ არ გაბრუნებულა მტერი მისი მახვილის შიშით. მისი მახვილის წყალობით უფრო დიდი ამბავი

მოხდა. თურქ-სელჩუკებმა, ამ გამანადგურებელი, მოულოდნელი დამარცხებისაგან გაოგნებულებმა, მოვლენების სადავე გაუშვეს ხელიდან! იგრძნო დავითმა, რომ თვითონ შეეძლო ამ მოვლენების სადავე აეღო ხელთ, თავისი სურვილისამებრ ემართა. აეძულებინა მტერი, საქართველოში დაძრული ტოტალური მოძრაობის შესატყვისად განელაგებინა ძალები. აქამდე ბირიქით ხდებოდა. თურქ-სელჩუკებს უზღვავი ენერგია ჰქონდათ, და ამ ძალის სტიქიურ შინაარსს თითქოს წინ ვერაფერი აღუდგებოდა. ასეთი კატასტროფული მარცხის შემდეგ კი მტერს არ აქვს საშუალება უცებვე მოიკრიბოს ღონე; კიდევ ერთხელ წამოსვლა უკვე დიდ რისკთან არის დაკავშირებული. მორიგი დიდი ბრძოლის გადახდა ყოველმხრივ მობილიზებას და ძალთა სრულ შემოწმებას ითხოვს. დავითი კი მაქსიმალურად იყენებს ამ დროს.

ბრძოლების სისტემა, რაც მან თურქ-სელჩუკთა სისხლხორცეულ ისტორიულ მოძრაობას დაუპირისპირა, აქამდე ნაგულისხმევ ტემპს და ინტენსივობას არ ჯერდებოდა. კვლავ აუბნია თავგზა მაცნეთა წყალობით მტერს დავით მეფემ: „და წარიღო გიორგი ჭყონდიდელმან რუსთავიცა, მეფისა მუხნარს ყოფასა“. დავაკვირდეთ მაცნეთა სისტემის კიდევ ერთ ნიშანს: როდესაც ყველა ფიქრი შემოწმებულია, როდესაც „ამოთქმამდის“ ყველაფერი მეფისათვის ხდებოდა ცნობილი და იქმნება სრული შთაბეჭდილება, თითქოს მაცნეთა სისტემა ზღუდავს ქართველი კაცის ფიქრს, ფანტაზიას, შემოქმედების უნარს, შემოქმედებით წვას, არსით სულ სხვა რამის მოწმენი ვხდებით: იზღუდება მხოლოდ ვერაგული ფიქრი. რაც შეეხება კეთილ ნებას, ქართველი კაცის ფანტაზიას და შემოქმედებით უნარს, სრული გასაქანი ეძლევა მას. ოღონდ ერთგულების კალაპოტში ეძლევა მას გასაქანი, იზრდება კი არა, არნახული სისწრაფით მიფრინავს ის ფანტაზია. სხვაგვარად როგორ უნდა ახსნას, სხვაგან მყოფი მეფის ზედამხედველობას მოკლებული ქართველი თავკაცებისაგან ასე უნაკლოდ რომ ხორციელდება ყველა სამხედრო და არასამხედრო ოპერაცია. როგორი უნაკლო გეგმაც არ უნდა მიაწოდო კაცს, თუნდაც უნიჭიერეს, თუ მას ხელ-ფეხი ეკვნება შეკრული შიშით და ცახცახით, იმ გეგმის განხორციელების გზა-

ზე აღჩენილი ათასი დეტალი უმალ დააბნევს და დაამარცხებს, რადგან იმ დეტალების მეფესთან შესათანხმებლად უკვე დრო არ დარჩება. აქ კი რა ხდება. თავადაც ნიჭიერი თავკაცები, იციან რა გეგმის მთავარი მიმართულება, ყოველთვის შეუცდომლად ასორციელებენ ჩანაფიქრს, უნაკლოდ და ზედმიწევნითი სიზუსტით უძღვიან საქმეს, სამხედრო ოპერაციების ფეიერვერკებს სთავაზობენ თურქ-სელჩუკებს. 1115 წელს წაართვეს მტერს რუსთავი. მაგრამ ეს თითქოს არაფერი. მემატიანე უმნიშვნელოვანეს ბრძოლებს ასახელებს მხოლოდ, თითქოს გადაქანცა ამდენი და ამგვარი შინაარსის მოვლენების აღწერამ. რუსთავი დიდი ნიშანსვეტივით არის ამოზრდილი სამშვილდის მსგავსად ამ ბრძოლების სისტემაში, თორემ უმთავრესი სწორედ ბრძოლების წყობაა, ის, რომ ხორციელდება გაზრდილი ტემპით, შეუზღუდველი ინტენსივობით, ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. „რომლისთვისაც დიდად წყენა შეექმნა თურქთა და რიდობა საზამთროთა ადგილთა დგომისა. რამეთუ მოიმსტვარნის მეფემან რომელთა მოსრვა ეგებოდის, და უგრძნეულად დაესხის და მოსწყვიდნის. და ესე არა ერთგზის ანუ ორგზის, გინა სამ, არამედ მრავალგზის, ვითარცა აწ ერთი ითქუას".

არა ერთგზის, არა ორგზის, არა სამგზის... არამედ მრავალგზის! ე. ი. თვლა არა აქვს იმ ოპერაციებს, რაც ზედიზედ ხორციელდება. მხოლოდ სამგზის რომ გაეჟღიტათ თურქთა ბანაკები, მემატიანე შესაძლებლად მიიჩნევდა მათ კონკრეტულ დასახელებას. მაგრამ მრავალგზის განხორციელებულ ასეთი ოპერაციები, ჩამოთვლას აზრი არა აქვს, იმდენად ბევრიაო, დაჟინებით გვეუბნება ამას. ეს არ არის ერწუხის და თრიალეთის ბრძოლათა მასშტაბები, მაგრამ მთლიანობაში იმ ოპერაციების ჯამი ერწუხისა და თრიალეთის ბრძოლებზე დიდია. რადგან „მოიმსტვარნის" რა რომელი ბანაკის „მოსვრა ეგებოდის", მეფე მოულოდნელად ესხმის თავს და ჟლეტს. აქ დგას სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა; ან საქართველოს სიკვდილი, ან თურქთა გაჟლეტა და „გასხმა" საზღვრებიდან. ამიტომ არც ერთი ბანაკი, დაბანაკების არც ერთი ცდა არ უნდა დარჩეს დაუსჯელი. ცნობა ცნობაზე უნდა მოვიდეს — სად დაბანაკდნენ, როდის, რამდენი! ახლა მეფემ თურქთა მსტოვრ-

ებს გზა გადაუკეტა თავისი კარვისკენაც. ბანაკები მრავლადაა. ცალ-ცალკე ისინი ზედაზადენის, სამშვილდის, რუსთავის დანიშნულებას არ ატარებენ, რომ მტერი განსაკუთრებული სიფხიზლით დარაჯობდეს ამ პუნქტებს. ამიტომ ჭირდებოდა სამშვილდის, ზედაზადენის, რუსთავის აღებისას მეფეს ცნობილი ხერხის ხმარება. ახლა მთავარია მტრის ბანაკის ადგილსამყოფელი იცოდეს, თავად თავის ადგილსამყოფელს კი მალავს. თვითონ მიუძღვის ლაშქარს და „უგრძნეულად" ესხმის თავს. „უგრძნეულად" თავდასხმის დროს თითო-ოროლა მოლაშქრე ეღუპება. ამიტომ დაუკარგა კვალი მტრის მსტოვრებს. მიახლოებასაც კი ვერ გრძნობენ მეფისას, რომ გაქცევა მოასწრონ. მძინარეთ, დაბნეულთ ჟლეტს და საქართველოს სხეულს ბალღამისა და უცხო თესლისაგან წმენდს ეროვნული რისხვის ნიაღვარი. პირისაგან მიწისა... პირისაგან მიწისა... პირისაგან მიწისა... უნდა აღიგავოს მათი ბანაკები.

სხვის სამშობლოში მოკალათების და სხვისი ამოწყვეტის უფლება არავის არ აქვს. შებრალება, დანდობა გამორიცხულია, რადგან ისტორიამ ალტერნატივა წამოაყენა: ან ქართველები, ან თურქ-სელჩუკები, რადგან თურქებმა არავინ არ დაინდეს, ულმობლობის სასწაულები მოახდინეს... „აწ ერთი ითქმის" — თორემ ბრძოლების ამ სისტემას არც თავი უჩანს, არც ბოლო. საგანგებო გაანალიზება გვმართებს იმ დეტალებისა, რომლებიც სულ სხვაგვარად ფორმირებულ ქართველი ხალხის ბრძოლისა და შრომის უნარზე მეტყველებენ. აქ თითოეული ფაქტი უნდა დავინახოთ, დავინახოთ რა სისწრაფით მოძრაობს ქართული ლაშქარი, სად არის დღისით, ღამით, რა მანძილს გადის უმოკლეს დროში, როგორ ისვენებს, როგორ შეიმართება, რა ძალით ურტყამს. „დიდად წყენა შეექმნა თურქთა და რიდობა საზამთროთა ადგილთა დგომისა".

დარეკა პირველმა ჟამმა მტრის შეცბუნების ჟამმა, წონასწორობის დაკარგვის ჟამმა. რაღაც დიდი იმედი გატყდა თურქთა სისხლისმიერ წადილში, რაღაც საბედისწერო ეჭვი ჩაეწვეთა. კითხვის ნიშანი დაესვა. შესძლებდნენ კი აქ საერთოდ დაბანაკება-დასახლებას? ხომ არ მკრთალდება იმედი, გუდა-ნაბადის აკვრაზე ხომ არ მიდგა საქმე?! მოუსვენარი, საგანგაშო შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოში თურქთა დაბანაკება.

ღვთის რისხვას ჰგავდა ყოველი თავდასხმა. გადარჩენის მინიმალური შანსი არ რჩებოდა. ჯერ კი, ასეა, თუ ისე, ნიაღვარი მოძრაობს, რადგან ის არსებობს და რაღაც მიმართულებით უნდა მოძრაობდეს. ნიაღვარმა დასავლეთის მხრიდან შემოვლა არჩია. კი არ არჩიაო იქ მოეჩვენა კალაპოტი თავისუფალი.

„რამეთუ ტაოს ჩამოდგნენ დიდნი თურქნი ხარგებითა, ცინათგან ზამთრისა სიფიცხესა და მთათა სიმაგრეთა მიენდვნეს".

დააკვირდით, როგორ განაგებს დავით აღმაშენებელი უკვე თავად მოვლენების მიმართულებას! ახლა მტერი იქით მოძრაობს, საითკენაც საშუალება მიეცა დავითის საბრძოლო სისტემის კარნახით. დავითმა შესანიშნავად იცის ეს. მან იცის, რომ აღმოსავლეთით და სამხრეთით „რიდობა" შეექმნებათ — სხვანაირად წარმოუდგენელია, ისიც იცის, რომ ასე იოლად არ წავა საქართველოდან, საერთოდ არ აპირებს მტერი წასვლას და რაკი საერთოდ არ აპირებს წასვლას, უნდა გაითვალისწინოს საქართველომ მტრის მასიური მოძრაობის ყველა ვარიანტი. დავითი მანამდე ჩანს მომზადებული ტაოს ოპერაციისათვის, ვიდრე თურქნი ფაქტიურად ჩამოსხდებოდნენ ტაოში. დავით მეფე მათი აქოჩრილი ბანაკების ადგილსამყოფელს და ამ ბანაკების მიმართულებას ადევნებს თვალს.

იზრდება მიუტევებლობის გრძნობა. თურქებს არსად არასდროს არ უნდა ეპატიოთ დგომა. მიუტევებლობის ფსიქოზი უსასრულოდ უნდა გაიზარდოს, მანამ გაიზარდოს, სანამ მისი მრისხანე ზარი და რისხვა მთელ თურქთა ტომებს არ მოიცავს, სანამ ისინი არ გაისიგრძეგანებენ არპატიების ფსიქოზს, სანამ დაინახავენ იმ ძალას, რაც ამ ფსიქოზს წარმოშობს. ჯერ ისევ ყრუა ამ „ჟლეტის" ზემოქმედება. ჯერ მხოლოდ შიშია დათესილი, ამიტომ არ შეიძლება ქანცგამწყვეტი რიტმის შესუსტება. სასახლეში ჯდომით არ ხერხდება ქვეყნის მართვა. გზაში, სულ გზაში უნდა იყოს მეფე და მისი ლაშქარი. სასახლეში დაძინების ნაცვლად ფუნდუკებსა და წისქვილებში მოუხდება ღამის თევა და იქნება ყოველთვის იქ, სადაც არასდროს არ ელის მტერი მის გამოჩენას...

„ხოლო მეფემან მოიხელოვნა ესრეთ, რამეთუ სპათა ქართლისათა მზაობა უბრძანა და თვით ქუთაისს გარდავიდა,

რომლითა უეჭველ ყვნა იგინი და თუესა თებერვალსა აცნობა ქართუელთა და მესხთა, რათა კლარჯეთს დახუდენ პაემანსა, და თვით შიდითა სპითა ხუფთით ჭოროხის პირი წარვლო და შეკრბეს ერთად, და უგრძნეულად დაესხნეს მათ ზედა, უშიშრად გულდებითა მსხდომარებათა ბასიანამდე და მთად კარნიფორისად. რამეთუ ქრონიკონი იყო სამას ოცდათექუსმეტი. მოსრეს სიმრავლე მათი ურიცხვ, და აღიღეს დედა-წული მათი, ცხენები, ცხოვარი, აქლემები და ყოველი ნაქონები მათი, რომლითა აღივსო ყოველი სამეფო მისი ყოვლითა კეთილითა".

„დიდნი თურქნი" ჩამოდგნენო, საგანგებოდ შენიშნავს მემატიანე. მთელ ტაოში ისხდნენ ბასიანამდე და კარნიფორის მთაც მოეცვათ. უზღვავი მტერია მოსული. მიუხედავად მათი ბანაკების ჟლეტისა, მიუხედავად მათი საზღვარს გარეთ „გასხმისა", ისინი ივსებიან, არიან მრავლად და მათი გალევის არავითარი შანსი არ ჩანს. დავითი და ქართული ლაშქარი გზაშია, არავის აქვს ზედმეტი დასვენების და უიმედოდ ხელის ჩაქნევის უფლება, რაღაც დიადმა და ყოვლისმომცველმა ამოაგდო ფიქრიდან სკეპსისი, უკან დახევის სურვილი. განუწყვეტელი იერიში! რამდენი? იმდენი და მანამდის, სანამ საჭირო იქნებაl დავითი ხედავდა ენერგიის ახალ სადინარებს, ბრძოლებით გატანჯული ხალხის წიაღში იგი მოინიშნავდა ახალ რეზერვებს — ორგანიზმი ეროვნული ხსნისათვის მოიმართა. „მარადიული განსხირპულობა" მოიშინაურა. ქუთაისში მისი გადასვლა, იმდროინდელ პირობების გათვალისწინებით, კვლავაც თურქთა დევნაზე ხელის აღებას ნიშნავდა. არ უნდა დაეჯერებინათ მსგავსი რამ თურქებს, იმდენგზის ინანეს მეფის შორს ყოფნით მოპოვებული „სიმშვიდე"! მაგრამ საკუთარ თავს ვერსაით გადაახტებოდნენ და მოეჩვენათ რა ზამთარში ტაო დავითისაგან მიუვალად, „მთათა სიმაგრეთა" მიენდვეს და აივსო ტაო. მოსვენება, ოპერაციის გადადება მცირე ხნით, წამიერად საკუთარი თავის გალაღება ღალატად იკითხება, რაკი მტერი ტაოში დგას, რაკი პროგრამა ეძახის, თვე, ზამთარი, მთის სიმაგრეთა დაბრკოლება იმ გეგმამ არ იცის. ტაოდანაც უნდა წავიდნენ თურქნი.

მტერი მრავალრიცხოვანია, ეს ერთი ან ორი ბანაკი არ არის. ეს ქვეყანაა მოსული. „ტაო სრულად ბასიანამდე, მთა

კარნიფორისად" როგორც ჩამკეტი ზღუდე — ყველა კლდეზე თურქ-სელჩუკთა ზურგია მიყრდნობილი. საპირისპირო ოპერაციაც გრანდიოზულია საჭირო, ქართლის სპა საგანგებოდაა მომზადებული — მტერმა ამის შესახებ არაფერი არ იცის — ჩიტიც ვერ გადაფრინდება დავითის ხალხისაგან აღმართულ კიდელზე. თებერვალში აცნობებს ქართლელებს და მესხებს, რათა კლარჯეთს გადასულიყვნენ — მოძრაობა სახელმწიფო მასშტაბისაა, მტერმა კი არაფერი იცის... თვით დავით მეფე კი „შიდა სპით" მოძრაობს ელვის სისწრაფით. ქუთაისიდან აჭარაში გადავიდა, — ჭოროხის ნაპირებს აუყვა, დაბოლოს, კლარჯეთში — „შეკრბეს ერთად" და კვლავ „უგრძნეულად" (ეს მერამდენედ) დაესხა თავს. გაჩაღდა მასიური ხოცვა-ჟლეტა, თურქ-სელჩუკთა თავზარდაცემული ლტოლვა, უპატრონოდ მიგდებული ბანაკი, სიმდიდრე... ურიცხვი დაიხოცა, ქალები, ბავშვები ტყვედ ჩაცვივდნენ... ცხენები, ცხვარი, აქლემი, დიდძალი ნაალაფევი სამეფოს დარჩა. ერთიანად გაიწმინდა ტაო 1116 წელს.

დავაკვირდეთ, თრიალეთის ბრძოლის შემდეგ უკვე როგორი რიტმი შეიძინა აღმაშენებლის ბრძოლების სისტემამ, რა მოვლენები მოიცვა დრომ, რა სისწრაფით ხორციელდება ოპერაციები, რა ინტენსივობით. რამდენი კუთხე გაიწმინდა რამდენიმე წელიწადში, განსაკუთრებით 1115-1116 წლებში. აქ აიღო დასაბამი იმ დიდმა რიტმმა, რომლისკენაც მიჰყავდა თავისი ქვეყანა ასე თანდათანობით დავითს, იმ რიტმმა, რომელიც ასე საჭირო შეიქმნა საბოლოო მიზნის განსახორციელებლად.

დავით აღმაშენებელმა სხვა ძალებიც აამოძრავა. პოლიტიკური ჭორწინებანი გამოიყენა. ერთიღა შინაგანი ძალებით დაპირისპირება სრულყოფილ შედეგს ვერ მოიტანდა. მან თურქ-სელჩუკებთან დაპირისპირებული სახელმწიფოები დაიმოყვრა. მისი ერთი ასული კატაი საბერძნეთის მეფის რძლად გვევლინება, მეორე კი — თამარი, შარვანის დედოფლად იჯდა კიდევ უფრო ადრე, — „რათა ვითარცა ორნი მნათობნი — ერთი აღმოსავლეთს, ხოლო მეორე დასავლეთს—ცისკროვან ჰყოფდენ სფეროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთაჲნი", ერთი დასავლეთს — საბერძნეთს აკავშირებდა საქარ-

თველოს ბედთან მჭიდროდ, მეორე აღმოსავლეთში განამტკიცებდა პოზიციებს. დავითი მუდამ ითვალისწინებდა საქართველოს გეოგრაფიულ პოზიციას, რაც მას ისტორიულ და პოლიტიკურ პოზიციად ექცა ამავ დროს. სახელმწიფოს ძლიერების დასაყრდენი დასავლეთითაც შექმნა და აღმოსავლეთითაც. საქართველო მოკავშირეთა გარემოცვაში ექცეოდა. თამარის დასმა შირვანის დედოფლად, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯი იყო. მთელი მუსულმანური აღმოსავლეთის დაპირისპირება ქვეყანას კარგს არ უქადდა. აქეთ დიდი პოლიტიკური გოდოლის აღმართვის საჭიროება დაინახა მან. ძლიერი მამის მხარდაჭერით ორივე ასული მართლაც რომ „ცისკროვან ჰყოფდენ სფეროსა". თავად დავითს ყივჩაღთა მეფის ათრაღას ასული ესვა ცოლად — ცხადია, ეს ქორწინებაც პოლიტიკურ არსს გულისხმობდა. საგარეო პოლიტიკის ამინდის მართვაზე მუდამ მაქსიმალურად იყო დამოკიდებული ქვეყნის ქეთილდღეობა.

დიდი პოლიტიკის გრძნობა დამოუკიდებელ ფენომენად ამოიზარდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. დავით კურაპალატის სული გაცოცხლდა — ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ თორმეტათასიანი ლაშქრის გაგზავნა და საბერძნეთის ბედის გადაწყვეტა დიდი კურსისაკენ მიმართული მზერა იყო... შემდეგ დროებით მოდუნდა იგი, შემდეგ უფრო დიდი უბედურება დატრიალდა და აი, დავით აღმაშენებლის დროში ეროვნულმა გონმა თითქოს მთლიანად გადაუხსნა გზა დიდი პოლიტიკის გრძნობას. ამ გრძნობის გარეშე ხალხი „კუწმაწწულობა" (ილია ჭავჭავაძე) ფიქრით და ენებით, ვერ შემოსაზღვრავს თავის არსებობას და ვერ მოინიშნავს სრულყოფის ფორმებს. თავდაპირველად, ცხადია, დავით აღმაშენებლის პიროვნება გახლდათ დიდი პოლიტიკის ყოველი ნიუანსის მატარებელი და განმცხადებელი. მან იპოვა საკუთარ ერში დიდი პოლიტიკის დამკვიდრებისათვის ნიადაგი. ირწმუნა და არწმუნა! დიდი მეფის თვისებები ჭირდებოდა სახელმწიფოს პოლიტიკურ ცნებათაღელვას ასპარეზად, თორემ გიორგი მთაწმიდელის მსგავსი პიროვნებანი, ვისაც ფართო ხედვა დაეწაფლა ბუნებამ, ყოველთვის მოიპოვებოდა ქვეყანაში; მაგრამ სწორედ დიდი მეფის არყოფნის გამო ეკეცებოდა მათში ფრთები იმ დიდ გრძ-

ნობას. ახლა, როგორც კი დავითის გაწუსაზღვრელმა შესაძლებლობებმა დიდი პოლიტიკის ფენომენსაც „მოუხმო“ ასპარეზზე, ერთბაშად გამეღავნდა გიორგი ჭყონდიდელის და ნიანია ბაკურიანის, არსენ იყალთოელის და დავითის ისტორიკოსის, სხვათა და სხვათა ფართო ხედვა და შინაგანი მოთხოვნილება აქტიური პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრებისა. ფეხს დგამდა იგი ყველა მასშტაბური ნაბიჯის გადადგმასთან ერთად. ქვეყნის შიგნით წარმოებული გარდაქმნის პროცესიც, თუკი ფართო მასშტაბს და სახელმწიფოს შინაგან გაძლიერება-განმტკიცებას გულისხმობდა, უკვე მოასწავებდა დიდი პოლიტიკის აღორძინებას, რადგან საშინაო საქმენი მხოლოდ ფორმით არიან საშინაონი. თუკი მისი მასშტაბები დიდია, უკვე დიდი პოლიტიკის შინაარსს იძენს, იტვირთება პოლიტიკით. დავითის ღვაწლი საქართველოში, თუნდ ერთბელაც არ მოექნია ხმალი, იმოდენა იყო, ისეთი დეეური ნაბიჯებით მიდიოდა აღშენება, ხალხის ზნეობრივი სრულყოფის პროცესი, რომ ქვეყანა სწორედ რომ ჰიპით ეკვროდა მსოფლიოს აქტუალურ პოლიტიკურ ცხოვრებას. ერთი მკვეთრი მოძრაობით უკავშირდებოდა საერთო სადუღარს და დგებოდა კუთვნილ ჰორიზონტზე. ეს არის უმთავრესი, მართალია, ერთი ასპექტი, მაგრამ საკმარისია იგი ორგანული დაკავშირებისათვის.

დავით აღმაშენებელი ერთი ასპექტით არასდროს არ დაკმაყოფილებულა, ცხოვრების მრავალწახნაგოვანი დინება ერთის გვერდით მეორეს უხმობდა, უხმობდა წმინდა საგარეო და საშინაო პოლიტიკის ამაღლებას, დიდი გადასახედიდან ფიქრს. დავითი თანდათან ამაღლებდა გადასახედს თავისი ერისათვის, ეს გაცნობიერებულად ხდებოდა. არ მოსდევდა იგი მექანიკურად დიდ საქმეებს. მექანიკურად და თავისთავად არაფერი არ მოდიოდა. როდესაც მოვლენები არსით წარმოჩნდნენ, ამის შემდგომ გახდა ცხადი რაგვარ პოლიტიკაზე იყო ყურადღება გამახვილებული. დავით მეფემ შეამჩნია, რომ თუ დიდი პოლიტიკის ფენომენს არ „დაასახლებდა“ ქართველი კაცის სულში, ფიქრსა და ცხოვრების წესში, იგი ვერასდროს ვერ გამოვიდოდა ისტორიის კრიზისული სიტუაციებიდან. ამიტომ იყო აუცილებელი ქვეყნის „დაკუწმაწებული“ ფიქრებისა და დაწყვეტილი ენერგიის მიმართვა ერთი კალაპოტისაკენ.

აკლდა ეს გრძნობა ქართველ კაცს, და მერე როგორ აკლდა! „ქვეგამხედვართა“ ბუნებაც ამიტომ ჩამოყალიბდა, მეფის ყოველი ნაბიჯიც ამიტომ ხდებოდა გაკილვის საგანი. დაპატარავებული თვალსაწიერი, საკუთარ საფეოდალოში ჩაკეტილი, „საკუთარ ჯამს ჩამაცქერალი“ კაცის ფიქრი მეფის მოქმედებათა გამიზნულებას ვერ წვდებოდა, ალღოს ვერ უღებდა ახლობელ და შორეულ ზრახვებს, ტანითაც ვერ გრძნობდა რაღაც ამაღლებულის გაჩენას მის ცხოვრებაში. იგი უპირისპირდებოდა მეფეს და იმ თავისი მომცრო გადასახედიდან კილავდა მის ნაბიჯებს, არ ყოფნიდა ძალა აღიარებისათვის, ქვეყნის საზიანოდ აღიქვამდა შორს გამიზნულ ტაქტიკურ სვლას, სიმკაცრესა და ფიქრის დარაჯს. ჯერ ყველაფერი დასაწყისში იყო, არც შემდეგ არ დაუკლია კილვა, თუმცა ერთეულებშიღა იყო დარჩენილი წინააღმდეგობის სურვილი. უფრო დიდ მოვლენებთან კავშირში სრულად გამოჩნდება დიდი პოლიტიკის ფენომენი, ყოველმხრივ წარმოგვიდგება იგი. აქ კი იმაზე უნდა ითქვას, რომ დიდი პოლიტიკის გრძნობას მოკლებული ქართველი კაცი, ვიწრო გულისხედვას დამორჩილებული, ეურჩებოდა საღ პოლიტიკურ ნაბიჯებს, უმადურობა მოიცავდა მაშინაც, როდესაც მხოლოდ ეროვნული საქმის კეთების სურვილი წარმართავდა ქვეყნის მესვეურის ფიქრს.

საგარეო პოლიტიკური კურსის განმტკიცების შემდეგ მეტი საშუალება მიეცა დავითს თავისი საბრძოლო სისტემის განტოტვისათვის: „და მეორესა წელსა დაიპყრნა გრიგოლის ძენი, ასამ და შოთა, და აღიღო ციხე გიში“. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პლაცდარმი გადმოეცა საქართველოს.

დავით მეფის გარშემო მოღვაწე ქართველების რიგს დიდი ძალა ემატება. უფლისწული დემეტრე სახელოვანი მამის დიად საქმეებს ემსახურება უკვე. მას შეუძლია დამოუკიდებლივ მართოს ურთულესი ოპერაციები.

აქ ერთი საინტერესო საკითხიც წამოიჭრება: უფლისწულის აღზრდის კულტურა შორეული წარსულიდან მკვიდრობდა საქართველოში. უფლისწულს ბავშვობიდანვე საგანგებოდ ამზადებდნენ ტახტისათვის. აქ ახალი არაფერი იყო. დავაკვირდეთ, რომ თავად დავით აღმაშენებელი საოცრად კარგად არის აღზრდილი. მისი პიროვნული თვისებანი, ბუ-

ნებით ბოძებული უნარი სწორმა, უნაკლო აღზრდამაც მოიყვანა წესრიგში, სრულყო და რა სახით წარმოგვიდგა იგი! მაგრამ ძლევამოსილ მეფეს ერთი წამითაც არ დავიწყნია, რომ საქართველოს მომავალს ზრდიდა დემეტრეს სახით და იგი უნდა გაზრდილიყო და ჩამოყალიბებულიყო ისე, როგორც მომავლის საქართველოს ესაჭიროებოდა. ჯერ თამარის და კატაის თვისებები გავიხსენოთ: „ცისკროვან ჰყოფდენ სფეროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი“, — წერს ისტორიკოსი. დიახ, მამის მადლს ატარებდნენ ისინი, მთელი მათი ფიქრი მომართული იყო საქართველოს სამსახურისათვის. ერთი საბერძნეთს, მეორე შარვანს „ცისკროვან ჰყოფდენ სფეროსა“, ქმარ-შვილში გახარებით ვერ შემოსაზღვრავდნენ თავიანთ ყოფას, სფერო უნდა გაეცისკროვნებინათ სამშობლოსათვის, სულ უნდა ხსომებოდათ საქართველოსათვის სამსახური, საამისოდ უნდა ეღვაწათ, როგორც დედოფლებს, როგორც რძლებს. მათი ფუნქცია უსაზღვროდ დიდი იყო, პირდაპირ წერს ამის შესახებ ისტორიკოსი. აქ არავითარი ვარაუდების დაშვება არ ჭირდება ჩვენს ფიქრს. ოღონდ საჭიროა აღზრდის ის მკაცრად ორგანიზებული წესი გავიაზროთ, მათ ჩამოყალიბებაში რომ იგულისხმება.

რაც შეეხება დემეტრე უფლისწულს, მასში როგორც ტახტის მემკვიდრეში, როგორც რაინდში, „ჩადებულია“ აღმაშენებლის ყოველდღიური ზრუნვა და მეცადინეობა. ყველაფრიდან ჩანს, რომ მამა ყოველ ნაბიჯს სწავლობდა, მოუცილებლივ ადევნებდა თვალს მის განვითარებას, მის გონებრივ შესაძლებლობებს, გამოცდილებით მისი დატვირთვის პროცესს, მის ვარჯიშს და დამოუკიდებელი მოღვაწეობისათვის შემზადების საქმეს. ორმოცდახუთი წლის ვაჟკაცს უკვე იმდენად მოწიფული ვაჟი ჰყავს, რომ მას ანდობს უდიდეს ოპერაციას შირვანში. კაცმა რომ თქვას, ეს არც არის გასაკვირი. თვითონ თექვსმეტი წლისამ უმძიმესი ტვირთი აიღო თავის თავზე. აქ შეუძლებელი არაფერია, მაგრამ დემეტრე რომ ურთულესი სამხედრო ოპერაციების დამოუკიდებლად წარმართვისათვის არის მზად, ამაში აშკარად ჩანს დავითის დიდი სკოლა, ჩანს დიდი რწმენაც შვილისადმი, რომელმაც შეუდარებელი მამის გამოცდილება ასე შეათავსა თავის ნიჭთან, ფანტაზიასა და

ოცნებებთან. „და გაგზავნა ძე თვისი დემეტრე შარვანს სპითა ძლიერთა ლაშქრად. ხოლო მან ქმნა ომნი საკვირველნი, რომლითა განაკვირვნა მხილველნი და მსმენელნი; გამოიღო ციხე ქალაძორი და ძლევა-შემოსილი მოვიდა წინაშე მამისა თვისისა, სავსე ალაფითა და ტყვითა ურიცხვითა“.

როგორ ელოდა შვილის დაბრუნებას დავით აღმაშენებელი, რა ფარული ღელვა მოიცავდა მის ფიქრებს! ამ ოპერაციამდე, მას, ცხადია, არაერთგზის ჰყავდა შვილი გამოცდილი, მისი დამოუკიდებელი მოქმედების უნარი შემოწმებული ჰქონდა, მაგრამ ესოდენ შორს, ესოდენ რთული ბრძოლების რკალში შეჭრილი ძე როგორ დაამტკიცებდა თავის შინაგან სრულფასოვნებას, ეს დიახაც აღავსებდა ღელვით თვით „გულით უძრავ“ მეფეს. „ომნი ქმნაო“, — წერს ისტორიკოსი. არა ერთი და ორი ბრძოლა, მთელი ციკლი გადაიხადა ბრძოლებისა. შირვანთან დაკავშირებული ბრძოლები საქართველოს პირველხარისხოვანი საქმეები გახლდათ. ვიცით, რატომაც! დემეტრე უფლისწულმა ყველა ოპერაცია მოიგო და აიღო უმნიშვნელოვანესი ციხე ქალაძორი. ეს იყო მისი ბეჭედი სამხედრო ხელოვნებაში, საკუთარი ხელწერა, რომელიც დავით აღმაშენებლის სკოლას ეკუთვნოდა, მაგრამ იმდენად დამოუკიდებელი იყო შინაარსით, რომ ყველა განაცვიფრა მეფის შვილის გამარჯვებამ. და წუთი, როდესაც იგი ძლევამოსილი წარსდგა მამის წინაშე, ალბათ, დავით აღმაშენებლისათვის ერთი უბედნიერესი წუთთაგანი იყო, რაც კი განუცდია თავისი დაუცხრომელი ცხოვრების გზაზე. კიდევ ერთი, აწ უკვე ყველაზე დიდი დასაყრდენი გაუჩნდა დაითს მისი სახით.

„ხოლო მეორესა წელსა ბზობად წარმოემართა მეფე ღანუკით წარსლვად რახსის პირსა და ზატიკი გარდაისადა ნახიდურს. მუნ მოართუეს ამბავი ბეშქენ ჯაყელისა ჯავახეთს თურქთაგან მოკვლისა. და ამისთვის უშლიდეს დიდებულნი მას ცამსა წარსვლად და არა მოისმინა ყოვლად, არამედ დაესხა თურქთა, რახსის პირსა მდგომთა და მოსრა სიმრავლე მათი, და წარმოიღო ტყუე და ალაფი ურიცხვ“.

„არა მოისმინა ყოვლად“ — საგანგებო ფრაზაა იგი ამ ტექსტში. დიახ საშიშია, დიახ, საფრთხის წინაშე დგას მეფე თითქოს ყოველი მძიმე ბრძოლის წინ. ამ ფრაზაში მოქცეულია

სიფხიზლე, რაც მის გვერდით მყოფთა სულში ფეთქდა მეფის ყოველი შემართების დროს. უმეტეს შემთხვევაში დავით მეფე ხომ კაცისაგან შეუძლებელი წინააღმდეგობის გადალახვას ესწრაფვოდა. მისი დაღუპვა კი ქართველი ხალხის რამდენ იმედს დამარხავდა, მაგრამ მეფის დაკარგება ვერ ხერხდებოდა, მეფეს ვერ იჭერდნენ არა იმის გამო, რომ ამ „ღმრთივ გაბრძნობილ“ კაცს სიფრთხილე აკლდა, მთლად სიფრთხილე და გათვლილი მოძრაობაა მისი მოძრაობა, მაგრამ აღმაშენებელს ისიც გაანგარიშებული ჰქონდა, რომ თურქთათვის ამოსუნთქვის საშუალების მიცემა მთელი გეგმის დამარხვას მოასწავებდა. თურქები ჯავახეთშიც უნდა დაისაჯონ დაუყონებლივ! თურქები ძლიერები არიან, მაგრამ მიტევების წამიერი დაშვებაც კი თურქთათვის ძველი იმედების გაცოცხლებას ნიშნავს. ამიტომ უმალვე უნდა დაისაჯონ. მეფეს თავისი შესაძლებლობანიც ფრთხილად ჰქონდა აწონილი და გულდაგულ ამიტომ მიდიოდა. მისი მახვილივით გავარვარებული სახელიც თავისას აკეთებდა. რახსის პირას მდგომი თურქები მთლიანად ამოწყვიტა, სულის მოთქმის საშუალება არ დარჩათ თურქებს.

„ამავე 1118 წელს მეფემ „აღიღო სომხითის ციხე ლორე“, „მაშინვე“ 1118 წელს „ივლისსა“ დავით აღმაშენებელმა აგარანიც დაიპყრა (იქვე). საქართველო იზრდებოდა და ფართოვდებოდა; მტერი თანდათან უკან იხევდა და ძლევამოსილს მეფეს დაპყრობილს ქართველთა მიწა-წყალს უთმობდა“ (ივანე ჯავახიშვილი).

ლორეს ციხის მნიშვნელობაზე ბევრი თქმულა ქართულ ისტორიოგრაფიაში, ისტორიულ წყაროებში, თავად ივანე ჯავახიშვილისაგან; ლორე ყოველთვის დიდ ზღუდეს წარმოადგენდა, ზღუდეს, რასაც ქვეყნის საზღვრები უნდა განემტკიცებინა. ქართველთა ფიქრი მუდამ თავს დასტრიალებდა ამ კარიბჭეს. აგარანის შემოერთებით ფაქტიურად საქართველოს მთელი კუთვნილი ტერიტორიები იქნება დაბრუნებული.

ახლა კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ ამ ელვისებური სამხედრო ოპერაციების სპირალს. 1115, 1116, 1117, 1118 წლებში განხორციელებული სამხედრო ოპერაციების რიცხვი და მნიშვნელობა განუსაზღვრელია. უფრო მნიშვნელოვანია ამ ბრძოლებში ამოზრდილი გეგმის სტრუქტურა, მისი მიზანმი-

მართული დედააზრი, დიდი მისია, რაც ამ ბრძოლების სისტემას უკავშირდებოდა. საგანგებო დაკვირვებას გამოგვთხოვს ამ მოუსვენარი ბრძოლების რიტმში ჩამალული ზრახვები, მათი გამიზნულობა, ეს „არა მოისმინა ყოველად"-ის საიდუმლოება. ყველა გონივრულ აზრს იზიარებდა მეფე. „მარად განსხირპულობის" წინააღმდეგ ნათქვამ სიტყვას არ უგდებდა ყურს, მტერი იტყოდა თუ მოყვარე, სულერთია, გაგონება არ სურდა, აღაშფოთებდა. რაღაც ეძახდა მოუთმენლობისაკენ, შეუფერხებელი, უანტრაქტო ბრძოლებისაკენ. სახვალიოდ გადადებას არ ანებებდა ის რაღაც. უანტრაქტო შეტევების ცეცხლში ახალი ვნებები ჩნდებოდნენ, მუსრავდნენ დასვენების სურვილს, გაუთავებლად ურტყამდნენ ერთსა და იმავე მიზანს, ფოლადის მზერა ებჯინებოდა მიზანს და მანამ ბურღავდა, სანამ გულისგულს არ მიწვდებოდა.

* * *

ყოელისმომცველი მოღვაწეობა და დიად საქმეთა შინაარსი თუ გამიზნულობა ითხოვდა განსაკუთრებულ უნარს, უზღვავ ენერგიას, უნივერსალურ გონებას, ითხოვდა ფენომენალური თვისებებით დაჯილდოებულ პიროვნებას. საქმე ეხებოდა არა მარტო საქართველოს შინაგანი და გარეგანი სახის მოწესრიგებას, არა ქართველი ხალხის სრულყოფის პროცესს მარტოოდენ, საქმე ეხებოდა საერთაშორისო ასპარეზის მოწესრიგებასაც. საქართველოს განვითარება-გაერთიანება, შინაგანი განახლების დიადი საქმე, კრიზისული სიტუაციებიდან გამოსვლა და სრულყოფილ ფორმებამდე ამაღლება უნდა განხორციელებულიყო არა უბრალოდ მტრულ გარემოცვაში, არამედ ისტორიულად და გეოგრაფიულად განსაკუთრებულ მდგომარეობაში. ერთია, რომ თურქ-სელჩუკების სისხლისმიერი მოძრაობა დაემუქრა საქართველოს მიწის პირისაგან აღგვით. უფრო მთავარი ის გახლდათ, რაზეც ისტორიკოსი მვლერი მიუთითებდა — ხალხთა გადასახლება აღმოსავლეთში განუწყვეტლივ ხდებოდა. ეს ხალხთა გადასახლება, ეს ველური ტომების მოწყდომა გაუთავებლივ აპარტახებდა ქვეყნებს. ასეთ წარმოუდგენლად რთულ ვითარებაში იმ მიზნების დასახვა, რაც დაეით მეფეს ამოძრავებდა, სწორედ რომ უნივერსალუ-

რი გონების და უნიკალური შესაძლებლობების პიროვნებას ითხოვდა.

დავით აღმაშენებლის პიროვნების დახასიათება ორი გზით შეიძლება. მისი ცხოვრების ამსახველი ისტორიკოსის და ქართლის ცხოვრების სხვადასხვა დროის მემატიანეთა შრომებში გამოთქმული შეხედულებებით, მისივე დროის უცხოელი ისტორიკოსების გამონათქვამებით და რაც უფრო სასიამოვნოა, სულაც რომ არ იყოს ნაგულისხმევ წყაროებში დავითის დახასიათება მოცემული, სულაც რომ არ ეწეროს შავით თეთრზე მისი თვისებების შესახებ, აღმაშენებლის გიგანტური ფიგურა თავისთავად წამოიმართება იმ ფაქტების, საქმეების მოვლენების ქსოვილიდან, რაც მას და მხოლოდ მას უკავშირდება.

დავით აღმაშენებელი ყოველმხრივ განათლებული პიროვნება იყო. ასე ახასიათებენ თანამედროვენი და განსაკუთრებით უსვამენ ამას ხაზს. აუცილებელია, ამ განსაკუთრებულობის არსს ჩავწვდეთ ბოლომდე, რათა სრულად შევიგრძნოთ მასში დაფლული საიდუმლოება.

„ხოლო ისმენდი, თუ ვითარ გონიერად დედად სიბრძნისა რა პოვა შიში უფლისა, ღმერთადც — საღმრთონი წერილნი. და ესენი მდიდრად შეიკრიბნა, რაოდენნი პოვნა გარდამოღებულად ენასა ქართველთასა სხუათა ენათაგან, ძუელნი და ახალნი, ვითარცა სხუამან პტოლემეოს, ამას ზედა ოდენ სახოვან ქმნილმან, და ესოდენ შეიყუარნა და შეითვისნა, რომელ სთქუამცა, თუ მათ შინა ცხოველ არს და მათ შინა იძვრის. იგინი იყვნეს მისსა საზრდელ, ყოველთა გემოიან, ან სასმელ ტკბილ და საწადელ; იგინი შუება, განცხრომა საწურთელ და სარგებელ. დღე და ღამე მიმოსლვათა შინა მიმდემთა, ლაშქრობათა მოუწყენელთა, შრომათა განუსუენებელთა წიგნები ეტვირთა სიმრავლესა ჯორთა და აქლემთასა; და სადა გარდახდის ჰუნესა, პირველ ყოვლისა წიგნნი მოაქუნდიან ხელითა, და არა დააცადის კითხვა, ვიდრე არ დაშურის“.

თუ ღრმად დავაკვირდებით მემატიანისაგან საგანგებოდ აღწერილ ამ სურათს, ჩვენ ნათლად დავინახავთ სულ სხვა რიგის მოვლენას, ვიდრე ამას გვიხასიათებს ფრაზა „ყოველმხრივ განათლებული პიროვნება“.

დავით აღმაშენებელი სახელმწიფოს მეთაურია. წიგნი და განათლება, ცხადია, მას არ აკლდა თუნდაც იმიტომ, რომ ბავშვობიდანვე ამზადებდნენ მეფობისათვის, ასწავლიდნენ, უხსნიდნენ. იმდროინდელი მსოფლიო მეცნიერების, კულტურის და მწერლობის მონაპოვარი რამდენიმე ენაზე შეეძლო გაეცნო. მაგრამ ქვეყნის სათავეში მოქცეული, ათასი სამეფო საქმით დატვირთული, მით უმეტეს, ასეთი გეგმებით და მოვლენებით დატვირთული, ასეთი „უჩვეულო" ცხოვრების წესის მიმდევარი პიროვნება თავისთავად მიგვანიშნებს უფრო დიადზე. კერძოდ, რა უჩვეულობაზეა საუბარი: დავით აღმაშენებელმა, როგორც დავინახეთ, მთელი სისრულით იგრძნო თავისი მისია ქვეყნის წინაშე და თავის თავს უფლება არ დაუტოვა მეფური განცხრომისა. სასახლეში იშვიათად გამოჩნდებოდა, „დღედაღამ მიმოსვლათა შინა იყო". ვიცით, რა მიმოსვლაა ეს: თურქ-სელჩუკთა ბანაკები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია გაფანტული და ბრძოლების სისტემამ, რაც დავითმა აირჩია, რითაც შეეძლო თურქ-სელჩუკთა სახით მოსულ წარღვნას გადასდგომოდა წინ, მოითხოვა სულ „მიმოსვლათა შინა" ყოფნა — დღისითაც და ღამითაც. თვითონ ბრძოლის მისეული ხერხიც ითხოვდა ამას. მტერს მხოლოდ მაშინ უნდა სცოდნოდა დავითის ადგილსამყოფელი, როდესაც დავითს სურდა. სხვა შემთხვევაში მტერს არ უნდა სცოდნოდა დავით მეფის სამყოფელი, რადგან საქმე ითხოვდა ასე. ამიტომ მოძრაობდა, მოძრაობდა განუწყვეტლივ. ადვილი წარმოსადგენია ამ მისწრაფებით ატაცებულ კაცს ბავშვობაში როგორი გაცხოველებული წადილი ექნებოდა ცოდნის მიღების, რა სიდინჯით და სიჯიუტით ეწაფებოდა იგი სიბრძნეს და სასახლეში დროებით მიბრუნებული (ან ქუთაისს, ან ნაჭარმაგევს, ან წაღულისთავს...) წიგნებს რომ კითხულობდა, ეს მას არ აკმაყოფილებდა. ნებისმიერი მეფისათვის ყველაფერი ეს დიდი განათლება იქნებოდა, მაგრამ აღმაშენებელი ეძიებდა პასუხს უამრავ კითხვაზე, ეძიებდა პასუხს უმთავრეს, გასაიდუმლოებულ კითხვაზე, გონების სალაროს ივსებდა ურიცხვი ინფორმაციით და არსობრივი ფილოსოფიით. სხვაგვარად ეს გაშმაგებული წიგნის კითხვა აუხსნელია.

„დღე და ღამ მიმოსლვათა შინა მყოფი". ჯორებით და

აქლემებით რომ ატარებს თავის ბიბლიოთეკას, „ჰუნედან" გადახდომისთანავე პირველყოვლისა, წიგნი რომ მოაქვთ მასთან და კითხულობს ქანცის გაწყვეტამდე, სხვას რას უნდა ნიშნავდეს, თუ არა აქამდე ამოუხსნელ კითხვაზე პასუხის მიღების დაუოკებელ სურვილს. თავად სურათის არსი მეტყველებს ამ აზრზე. მიდის მეფე ლაშქრით, მიაქვს საჭურველი, მიაქვს ბიბლიოთეკა ჯორებით და აქლემებით, გადმოხტება ცხენიდან და დაჯდომას „არ აცლიან", რომ მისკენ საჭირო წიგნით ხელში მიეშურება ყმა და იგი ღრმა ფიქრში დაფლული კითხულობს. რისთვის ჭირდება ყველაფერი ეს, მარტოოდენ იმიტომ, რომ წიგნის კითხვა უყვარს? ეს ხომ თავისთავად იგულისხმება, მაგრამ მეფეთა ცხოვრებიდან ამოვარდნილი ცხოვრების ეს უნიკალური წესი და ეს ჩაძიებული კითხვა... მარტო სიყვარულს მიყავს იგი წიგნთან? თუ ეს მარტო კითხვის წყურვილია, მაშინ ნაკლადაც ჩანს ამოდენა პიროვნებისათვის, რადგან, რაც ჩვენ წყაროში ზემოთ ამოვიკითხეთ, უმალ აღძრავს ეჭვს: სად ეცალა ამოდენა სახელმწიფო პრობლემებით დატვირთულ პიროვნებას გაუთავებელი კითხვისათვის? ერთხელ წიგნის კითხვით გართული კინაღამ თურქის ხმალმა იმსხვერპლა. მისი ცხოვრების ეს ეპიზოდი კარგად არის ცნობილი და აქ მხოლოდ იმიტომ ვიგონებთ, რომ რაღაც უჩვეულო ილანდება დავითის ამ ზომასგადასულ კითხვაში. წერტილი დაესმოდა მის გეგმებს თუ თურქი თავის საწადელს ეწეოდა — მეფის განგმირვას შეძლებდა. ჰქონდა მას ამის უფლება? სამეფო საქმეებისათვის იგი გაიღებდა უზარმაზარ დროს და ენერგიას. დიადი გონებით შეუმცდარად მართავდა ქვეყანას და აქამდე მიღებული ცოდნით, სასახლის დამშვიდებულ გარემოში კითხვით შეეძლო უგანათლებულეს პიროვნებად წარმდგარიყო თავისი ხალხისა და ისტორიის წინაშე.

აღმაშენებელი წავიდა სხვა გზით. მან, როგორც ვიცით, იმთავითვე ირწმუნა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი სახისა და ერის ზნეობრივი სრულყოფის პროცესისათვის ასეთ მტრულ გარემოცვასა და ასეთ გეოგრაფიულ პოზიციაში არ კმაროდა ჩვეულებრივი ხერხები და საშუალებანი, არ კმაროდა ნორმალური ბრძოლისა და შრომის გზა. მან დაინახა და

მიზნადაც დაისახა, რომ ამ ჩვეულებრივს იქით ეძებნა დაფარული ენერგია და შეუძლებლად მიჩნეული საქმე გაეკეთებინა. ამისთვის გამოიხმო მან თავისი ხალხის მთელი ფიზიკური და სულიერი ენერგია, ამისთვის შეცვალა საერო და საეკლესიო ცხოვრების წესი, ამისთვის შეცვალა მეფობის ოდინდელი სტილი და „დღე და ღამ მიმოსლვათა შინა მყოფმა“ სულ სხვა მასშტაბები მიანიჭა ქვეყნის ძალას. ეს დიდი მიზანი კი, რაც მისმა საქმეებმა და მიღწეულმა შედეგმა გაამჟღავნა ჩვენს წინაშე სრულად, აზროვნების სამყაროში მთელი აქამომდელი მონაპოვარის გამოხმობას ითხოვდა, რათა დიდ გონებას ამოეკითხა მასში ყველა საჭირო უმაღლესი სიბრძნე და საქვეყნო სათქმელი შეემზადებინა, გაენათებინა ის გზა, რომლითაც უნდა ევლო ერს. გაენათებინა! — მსოფლიო სიბრძნით და საკუთარი უნაპირო ფანტაზიით გასხივოსნებული გონება თუ მიაკვლევდა ამ გზას. ქვეყანა ფეხზე დააყენო, ხალხს მისცე მისი ღირსების შესაფერისი სრულყოფილი ფორმები, დაამკვიდრო მისი საშვენი ღირსეული ცხოვრების წესი და განუსაზღვრო მომავალი, როგორც ასაშენებელი მიზანი, ამისთვის იყო საჭირო პასუხის ძიება ათასობით წიგნის ფურცლებზე, ჯორებსა და აქლემებს რომ ეკიდათ ზურგზე. იმ წიგნებიდან მოდიოდა დიდი სიბრძნე და გამოცდილება, რაც კაცობრიობას. ყველა სფეროში დაუგროვდა თავისი არსებობის მანძილზე. ჩინეთის, ინდოეთის, ეგვიპტის, შუამდინარეთის, არაბეთის, ირანის, საბერძნეთის, რომის, ბიზანტიის, ევროპის ქვეყნების სულიერი გამოცდილება იყო გამოტანილი იმ წიგნებში.

დიდი აზრის მოსამწიფებლად იშიფრება ყველა წიგნი, საქართველოს აწინდელი და სამომავალო ფორმების მეგზურად რომ მოევლინოს ერს. ამ აზრმა, როგორც ერის მომწიფებული გრძნობის ნაყოფმა, წყვდიადის კალთა უნდა გახსიოს და ერი გაცნობიერებულ ისტორიულ გზაზე დააყენოს, თავისი არსებობის უკეთესი შინაარსი და ფორმა აპოვნინოს და დაისაკუთროს სიმაღლე, სადაც მარადიულად უნდა იდგეს.

ამ მაღალი აზრის მომწიფება ითხოვდა ძიებას, ცივილიზებული სამყაროს საუკუნოვანი შრეებიდან ყველა არსებითი სიბრძნის გამოტანას.

მხოლოდ ეს მიზანი შეიძლება ამოძრავებდეს დავითის უჩვეულო ინტერესს, განცვიფრებაში რომ მოჰყავს თანამედროვენი. რაკი სახეზე გვაქვს საქმენი და შედეგი, დაჟინებული კითხვის დანიშნულებაც ადვილად იკითხება. თუმცა მემატიანის სიტყვები ხომ პირდაპირ მიგვითითებენ ამაზე:

„ხოლო შემდგომად სერობისა, ნაცელად ძილისა ანუ სხვასა რამე საქმისა კუალად კითხვა წიგნთა. და რაჟამს თუალნი დაშურიან, სასმენელნი ანაცვალნის, სადა არა გარეწარად, არამედ ფრიადცა ფრთხილად ისმენენ წინაშე თვისსა მკითხველისასა, გამოეძიებენ, ჰკითხავნ, უფროღა თვით განმარტებენ ძალსა და სიღრმესა მათსა“.

დაჟინებით იკვლევს მეფე წაკითხულის შინაარსს, მის სიღრმესა და ძალას, ცხადია, თვითონ „განმარტებენ“ ამ სიბრძნეს, უპირველეს ყოვლისა, მაგრამ ისიც ხომ აშკარად ჩანს, რომ უბრძნესი ხალხი ახვევია ირგვლივ და ერთად განსჯიან წაკითხულის დედააზრს. წონიან, ამოწმებენ და განა მარტო იმისათვის, რომ დიდი სიბრძნის წიგნები შეაფასონ? საამისოდ ამდენი დროის დაკარგვა რად დასჭირდება დავით აღმაშენებელს, ვისი გონებრივი შესაძლებლობებით გაოგნებული თანამედროვენიც ისეთ თვისებებს შენიშნავენ ზოგჯერ, გაოცება გიპყრობს კაცს. წიგნის შეფასება არ არის მიზანი — მიზანი ამ წიგნებში მოქცეული სიბრძნის საქართველოს ცხოვრების შინაარსთან დაკავშირებას გულისხმობს. კაცობრიობის სულიერი მონაპოვარი, როგორც პოლიტიკურ, ასევე სხვა სფეროში „სიღრმით“ მოწმდებოდა, რათა საკუთარ გამოცდილებად ექციათ და თავიანთი დიდი მეცადინეობის გზაზე გამოეყენებინათ მთელი ეს გამოცდილება. მხოლოდ ამ გზით თუ მომწიფდებოდა ის დიდი აზრი, რაზეც ზემოთ ვილაპარაკე. ის კი მიზანია, ის ყველაფერია. ის კარგახსნილი მდუღარე ცხოვრების სამყაროსაკენ მიუთითებს ერს, იქით უბიძგებს, იქით მიჰყავს.

აი, ეს ვნება მართავს დიდ წყურვილს. დაბადებით რაინდი, ზღაპრული ღონისა და შესაძლებლობის მქონე მეომარი, სულით და გულით სწორედ ლაშქრობებსა და ნადირობაში უნდა იყოს, აქ კი რა ხდება, სულ ლაშქრობაშია, ზოგჯერ ნადირობს კიდეც და ამავე დროს სულ სიბრძნის ოკეანეშია, სულ წიგნში,

სულ ფიქრშია! აზრის ფენომენი მისთვის ყველაფერი გახლდათ. დიდი აზროვნება თუ წარმართავდა იმ ფიზიკურ და სულიერ ენერგიას, მას და მის ხალხს რომ ედგა სხეულში, სხვა არაფერი. სხვა გარიყავდა, სხვა გაურკვეველ მდგომარეობაში ამყოფებდა სამუდამოდ, საიდანაც მხოლოდ პერიოდული, ეფემერული წარმატებები თუ წამოყოფდნენ თავს.

აზრის ფენომენი ამყოფებდა წიგნთან განუწყვეტელ კავშირში და გაცნობიერებული სწრაფვა წიგნებისაკენ ექცა წყურვილად, რომელსაც ვერავითარი ვნება ვერ გადაუკეტავდა გზას. დავაკვირდეთ მემატიანის შემდეგ სიტყვებს: „და უსაკვირველეს არს ესე: უწყით ყოველთა, თუ ვითარ სასწრაფო არს ყოველთა საქმე ნადირობისა, და თუ ვითარ დაიმონებს შედგომილსა თეისსა და წარტყუენულ ჰყოფს, და ნადირობასა შინა არა რასა სხუასა, გარნა ხილვასა და დევნასა ნადირისასა; და თუ ვითარ ხელთ იგდოს, მიმხედველ ჰყოფს. გარნა მისი გულსმოდგინება ამასცა სძლევდა, რამეთუ თვით ნადირობასა შინა წიგნნი აქუნდიან ხელთა და, რაჟამს ჟამი იყვის, მისცნის ვისმე მსახურსა და ესრეთ დევნა უყვის“.

ისტორიკოსი უკანასკნელ ნიუანსამდე გრძნობს ამ მოვლენის აზსს. მართლაც „უსაკვირველეს“ ამბად ჩანს ყოველივე; საოცარი გატაცება იცის ნადირობამ, ყველაფერს ავიწყებს იგი კაცს, აბსოლუტურად ყველაფერს. ნადირის დევნის, მიწვდომის, მოკვლის და ნანადირევის მოვლის პროცესი სულიერ წადილთან ისე მძაფრად არის დაკავშირებული, რომ ადამიანი მთელი არსებით იქ არის, იმ სასიამოვნო რიტუალშია დანთქმული. ეს ყველაფრის წამლეკავი გატაცებაა, და მას მთელი სულითა და გულით ეძლევა მონადირე. „მისი გულსმოდგინება“ ამ ვნებასაც სძლევდა და წიგნს დააჭერინებდა ხელთ თვით ნადირობის წუთებში. ეს „გულმოდგინება“ გადალახავდა მასში ყველა ადამიანურ საწადელს, თუნდაც ყოვლისწამლეკავი ყოფილიყო იგი. ამიტომ იყო „უსაკვირველესი“ მისი მოქმედება. ეს „გულსმოდგინება“ ახალი ერთეულია, დავითის პიროვნებაში გაცხადებული. არა ჰგავს იგი არაფერს, ყველაფრიდან ამოვარდნილი და აუხსნელია, ე. ი. ნადირობის სანეტარო წუთებსაც უნდა გამოსტაცოს დროის გარკვეული ნაწილი, რათა სულმოუთქმელად გადადგას რამდენიმე ნაბიჯი

იმ ბილიკზე, რომელიც გონებამ მოინიშნა და რომელიც მისგან აღმოსაჩენ ჭეშმარიტებისაკენ მიეშურება! ამიტომ არის „გულსმოდგინება“ ახალი ერთეული. გაცნობიერებულმა ეროვნულმა მიზანმა და გათვლილმა სისტემამ დაისაჭიროვა ნებისყოფაზე უფრო მკვრივი ფენომენის წარმოშობა. ის ახალი ერთეულია, რადგან აბა რომელი ნებისყოფაა, ნადირობის პროცესში წიგნის წასაკითხავად დროის მიტაცებას რომ ავალებს ადამიანს. ასეთი ნებისყოფა უნებისყოფობაა ფაქტიურად; ნადირობა იმიტომაც არის ნადირობა, რომ მთელი არსებით გამოეთიშო საზრუნავს, საფიქრალს და ძარღვები გაალაღო. მისი ფხიზელი გონება კი ირგვლივ მოხმაურე მონადირეთა და ნადირთა სრბოლაში სულ იოლად პოულობდა დროს წიგნისათვის.

მემატიანეს არც ის ავიწყდება, რომ შინაგანად სრულყოფილი პიროვნებაა აღმაშენებელი და იგი წიგნისკენ ავადმყოფური ლტოლვით კი არ არის შეპყრობილი, რაღაც დიდი და ზემდგომი აზრის ძიება ეზიდება აქეთკენ, განუწყვეტელი ფიქრი უხმობს, ამაზე მეტყველებს ტექსტის შემდეგი ნაწილი:

„და ნუ უკუე ჰგონო, ვითარმედ ხელითა ცალიერითა მოიქცის, ანუ ცუდად დაშურის. რამეთუ ვინ ჰგავნ ხორციელი ან ვინ იხილა ესოდენ განმარჯუებული ნადირობასა შინა. მოსიმახოს ვინმე ითქმის ებრაელი. მოისრობის და კეთილ-მმართებლობისათვის ალექსანდრეს სპათა შორის მჯობად, და აქილევი კენტავროსისგან განსწავლულად მოისრობისა ელენთა შორის, ხოლო ბარამ-ჯური სპარსთა შორის მოქმედად უცხოთა და საკვირველთა, გარნა ჭეშმარიტად ვერცა ერთი ამათგანი შეესწორებოდა ამას, ვითარცა გვიხილავს ჩუენ“.

სხვა რიგის საკითხია ტექსტის ის ნაწილი, სადაც მემატიანე მსოფლიოს განთქმულ პიროვნებებთან და მაგალითებთან ავლებს პარალელს. აქ საინტერესო სწორედ ის შინაგანი სრულფასოვნებაა, რომელიც მეფე დავითს წარმოგვიდგენს ყოველმხრივ სისხლსავსე პიროვნებად. მისი „გულსმოდგინება“ საკვირველებას სჩადის ჟამი-ჟამ, როდესაც ნადირობის სურვილს ჯობნის და წიგნისაკენ მიაბრუნებს მეფეს, მაგრამ როგორი გატაცებით გადაეშვება ხოლმე იგი ნადირობაში და როგორი მონადრეა, როგორი ოუცდენელი მოისარი ელვის

სისწრაფით მოძრავი, მომხიბლავი შემართებით და ამ საქმეშიც ყველას მჯობნის! ისტორიკოსი ყოველმხრივ დაგვანახვებს მის პიროვნებას, მის დგომას, მსახურის მოხმობას, წიგნის კითხვას, წიგნის დაკეცვას, ნადირობით გალაღებას, შესვენებას, წიგნთან მიბრუნებას... ქეიფსაც.

ყველაფერი ერთი უმთავრესი აზრის დადასტურებას ემსახურება — წიგნის ჩვეულებრივი სიყვარული არ ჩანს ყველაფერ ამაში. ჩვენ საეკლესიო კრების ანალიზისას კარგად დავინახეთ იგივე მოვლენა. ოღონდ დავითის პიროვნული თვისებების ერთი მხარე დავახასიათეთ ამ მოვლენის წყალობით. კერძოდ, დავინახეთ, როგორ ღრმად განათლებული იყო მეფე ყოველ სფეროში და როგორ საგანგებოდ მომზადებული მივიდა იგი კრებაზე. საგანგებოდ მომზადება ერთია, იგი ყოველთვის აუცილებელია, როდესაც საჯარო პაექრობაზე მიეწვიერები, მაგრამ ოცდაოთხჯერ წაიკითხო ერთი და იგივე წიგნი, ეს უკვე იმ საგანგებო მომზადებას არ ნიშნავს მარტოოდენ და სხვა რამის ამოკითხვას გვავალებს თავისი არსიდან. „და ვთქუა სხუაცა საქმე, საცნაურ-მყოფელი წიგნთა სიყუარულისა, რომელსა შინა არა-რა იყოს ტყუილი, ვინათგან წარსწყმედს უფალი „ყოველნი რომელნი იტყვიან სიცრუესა“ წინადაიდვა ოდესმე წიგნი სამოციქულო წარკითხვად; და რაჟამს დაასრულის, ნიშანი დასუის ბოლოსა წიგნისასა. ხოლო მოქცევასა წელიწდისასა მით ნიშნითა აღვთუალეთ: ოცდაოთხჯერ წარეკითხა“.

ისევ დავით აღმაშენებლის დიდი გონებრივი შესაძლებლობანი უნდა გავიხსენოთ. ვინ არ აღიარებდა მის ფენომენალურ გონიერებას! და ასეთი გონების კაცი ოცდაოთხჯერ კითხულობს ერთ წიგნს — ამ შემთხვევაში სამოციქულოს! ოცდაოთხჯერ წაკითხვის შემდეგ ასეთი გონების კაცი უკვე ქვეყანას აწვდის ახალ აზრს, ეს სხვა არაფერი შეიძლება იყოს, გარდა აზროვნების არსის ამოტანისა. საეკლესიო წიგნების ძირფესვიანად დამუშავების ფაქტში არის დიდი მიზანი თავშეფარებული — აღმაშენებელი არ უშვებს რაიმე ნიუანსის გამოტოვების საშუალებას. წიგნთან მისი დამოკიდებულების კულტურა სათავეს უდებს ცოდნის მაქსიმალური სრულყოფით ჩამოყალიბების პროცესს. კაცობრიული გონების ნაყო-

ფი ძირფესვიანად უხდა იქხას შეცსობილი, რა სფეროსაც არ უნდა ეხებოდეს ის გონება. არსობრივი, არსობრივი, მხოლოდ არსობრივი შეცნობა იძლევა უნივერსალურ ცოდნას, რომლითაც შესაძლებელია წინ იძროდეს ადამიანის გონება საერთოდ და, ცხადია, ეროვნული გონიც. წიგნთან დამოკიდებულების დავით აღმაშენებლისეული კულტურა მეტყველებს, რომ დავითის შემწეობით იწყებოდა თვისობრივად ახალი საფეხური აზროვნების სფეროში, რადგან კითხვის ის წესი, ის კულტურა, რაც შავით თეთრზე სწერია დავითის ისტორიკოსის შრომაში, მხოლოდ აქეთ მიანიშნებს. ხაზგასმით, დაჟინებით არის თქმული ამის შესახებ. სხვათა შორის, ეს არ არის მხოლოდ საქართველოს მასშტაბის მოვლენა. წიგნის, როგორც კაცობრიული სიბრძნის არსობრივი შეცნობა და აზროვნების პროცესის მართვა საყოველთაო პრობლემა იყო და არის. ავიცენაც ამაზე სწუხდა თავის დროზე. მაგრამ საკაცობრიო მოვლენებს ამჯერად მოვეშვათ, ისედაც მივყავართ იქეთკენ დავითის საქმეს და ღვაწლს. დავითის გონებრივი კულტურა, უპირველეს ყოვლისა, საქართველოსაგან გადასაჭრელ პრობლემათა რიგს იყო მიჯაჭვული და ყველაფერი იმ დიდი ცოდნიდან მას საქართველოს ღირსეული არსებობის ფორმათა მისაკვლევად აინტერესებდა. ამიტომ ეძებდა წიგნში ყველაფრის პასუხს. ამიტომ ჩამოაყალიბა არსის ამოკითხვის განსაკუთრებული სურვილი თავის თავში და შეცნობისა და შესწავლის გზაზე ახალი თვისება დაამკვიდრა. როგორი დაჟინებით, საგულდაგულოდ აკვირდებიან მის ჩვევებს და ცხოვრების წესს ახლოს მდგომნი. საგანგებოდ დაუთვლიათ ნიშნები და გაოცებულან, როდესაც აღმოუჩენიათ, რომ ერთი და იგივე წიგნი ოცდაოთხჯერ წაუკითხავს.

არსობრივმა შესწავლამ თავისი შედეგი მოიტანა. ქართველი და სომეხი საეკლესიო პირების კამათში, რაც „ცხრა ჟამს" გაგრძელდა, რა ძალით გამოჩნდა ამ ოცდაოთხჯერ წაკითხვის მადლი, ისიც დავინახეთ. რა მასშტაბურად იცოდა თურმე მთელი საეკლესიო ლიტერატურა, ეკლესიის ისტორია, ქრისტიანული და არაქრისტიანული მოძღვრებები. თვით არსენ იყალთოელს და სხვა დიდი გონების ადამიანებს, როგორც ქართველთაგან, ასევე სომეხთაგან გაუჭირდათ და-

ვის გადაწყვეტა. ვერც ერთმა მხარემ ვერ გადაწონა თავის სასარგებლოდ, ბოლოს უფრო დიდი გაუგებრობაც მოხდა. ბრძენნი მამანი, ჭეშმარიტად ბრძენნი მამანნი, საკითხების სირთულემ ისე შორს შეიტყუა დავაში, რომ სწორი და არასწორი შეხედულებანი უნუგეშოდ გადაიხლართნენ. მეფეს მოუხდა დავის გადაჭრა. ამ დროს გამოჩნდა წიგნის „უცნაური" სიყვარულის ნაყოფი, იმ არსობრივი ამოცნობის მასშტაბები, ის დიდი სინათლე, რომელიც ყოველმხრივ, ძირისძირამდე ამოწურულ ცოდნას გამოყოფს ახალ ენერგიად დიდი გონების პატრონში. გაოგნებული „ბრძენნი მამანი" ღმერთისაგან მოცემულად თვლიან ყოველ მის სიტყვას, მის ლოგიკას, მის არგუმენტებს, მის საოცარ სინათლეს, რომელიც ყველაფერს თავ-თავის ადგილს მიუჩენდა.

სანამ წიგნის კითხვის საიდუმლოებასთან დაკავშირებულ ერთ ეპიზოდს მოვაგონებდე მკითხველს, მანამ იმის შესახებაც უნდა ითქვას, რომ დავით აღმაშენებელი ქრისტიანული მოძღვრების გარდა ზედმიწევნით კარგად იცნობდა ყურანსაც. მოჰამმედ ალ-ჰამავის ცნობით, დავით მეფე განჯის ყადის ეკამათებოდა ყურანის გარშემო. კერძოდ იმაზე, საიდან და როგორ წარმოიშვა იგი, როგორც ისლამის მოძღვრება. იგივე მუჰამედ ალ-ჰამავი აღიარებს, რომ ქართველთა მეფე ისლამის დიდი მცოდნე იყოო. დიახ, ეს განათლებისათვის კი არა მარტოოდენ, ცნობისმოყვარეობისთვისაც არა მარტოოდენ, არც წიგნის სიყვარულისათვის მარტოოდენ — სრული შეცნობით მიზნით წარმოსდგება ესოდენ დიდი მოწადინება. გარდა ამისა, გარემომცველ მუსულმანურ სამყაროსთან დავითს სრული პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა დიდი ცოდნის გარეშე კი ურთიერთობა არ შედგება. ყურანის ცოდნა, საერთოდ აღმოსავლური სიბრძნისა და საიდუმლოებათა ცოდნა დავითს საოცრად გამოადგა შემდგომ, როდესაც იმ აღმოსავლეთთან ურთიერთობის ფორმებზე შეიქმნა დაფიქრება საჭირო.

ჩვენ ჯერჯერობით სამოციქულო წიგნის და საერთოდ საეკლესიო წიგნების კითხვაზე შევჩერდით კონკრეტულად. დაგითი კი, ისტორიკოსის ცნობით, ყველაზე დიდ დროს პოლიტიკური წიგნების, სამხედრო ხელოვნების ამსახველი და სახელმწიფო წყობის შესახებ დაწერილი წიგნის კითხვას ანდო-

მებდა. თუ სამოციქულო წიგნებს ოცდაოთხჯერ კითხულობდა, მაშინ გასაგებია, რა სიღრმით ექნებოდა შეცნობილი ის ლიტერატურა, რაც სწორედ სახელმწიფოს წყობის განსაზღვრაში ჭირდებოდა და წაადგებოდა. ეძიებდა, პოულობდა, აფასებდა და, ვინ იცის, რამდენ ფორმას იწუნებდა, რამდენი რამ ეეჭვებოდა. ეს ჩანს მისი ცხოვრების წესიდან, რადგან იქ არა მარტო დიდი ცოდნა ჩანს, არამედ ისიც, რომ ქართული ბუნებისათვის მოსარგები ფორმები თვითონაც შექმნა და არ კი გადმოიტანა მექანიკურად. გრძნობდა, რომ მისი ხალხი ამ მზამზარეულ ფორმათაგან ყველაფერს ვერ შეეგუებოდა. თუნდაც უკეთესს ვერ შეეგუებოდა.

მისმა გულმოდგინებამ წიგნის კითხვისას ერთი-ორჯერ კინაღამ იმსხვერპლა... მაგრამ დიდი მისიის მტვირთველი ადამიანები, ეტყობა, ბეწვის ხიდზე გავლის გრძნობასაც ფლობენ და მისი წყალობით მიჰყავთ ბოლომდე თავისი საქმე.

წიგნის დიდი სიყვარული ყოველთვის არსებობასთან იყო გაიგივებული და მან დაბადა დავითის ცხოვრების ის უცნაური შინაარსის ეპიზოდი, რაც სრულად მინდა მოვაგონო მკითხველს:

„არიან უკუე სხუანიცა მრავალნი საცნაურებანი ამის პირისანი, გარნა მე ერთიღა შევსძინო სიტყუად სხუა ამათ თანა. ქალაქი ტფილისი იყო, ოდეს ჯერეთ არა სრულიად შემოყენებულ იყო უღელსა ქუეშე მორჩილებისასა, ვითარცა აწ, არამედ სავსე იყო, სისხლითა ქრისტიანეთათა: რამეთუ ოდესმე ყვიან ღაღვავი და თვინიერ მიზეზისაცა მოსრნიან რაოდენნი პოვნიან ქრისტიანენი, ხოლო ოდესმე ქარავანსა თანა შემოყოლილთა თურქთა ზედა გასცნიან შემომავალ-გამომავალნი ქრისტიანენი და ტყუეობად და სიკვდილად მისცნიან, და ესრეთ ისრვოდა ქუეყანა მრავალჟამ, რომელი — ესე ფრიად ეძვნებოდა სულს დავითისსა.

შემოვიდა ოდესმე ქარავანი დიდი განძით, და თანა შემოჰყვეს თურქნი დიდნი, ცნა რა მეფემან, გაგზავნა მონათაგანნი თხუთმეტნი კაცნი რჩეულნი, რათა ლოჯინით კერძო ნახირი მძოვრის ქალაქისა წარმოიტაცონ, ნუ უკუე იგი თურქნი გამოვიდიან დევნად, და მოსწყვიდნეს ამით ღონითა. ხოლო

თეით სამასითა ოდენ მხედრითა დაიმალა ღელეთა ავჭალისათა, და არავის მიენდო მხედარსა სხუასა, არამედ თვით მარტო წარვიდა ყოველად უსაჭურველო, ხრმლითა ოდენ. და თანა წარიტანა წიგნი ღმრთისმეტყუელი, და ამცნო სპათა არა შეძრვად ყოვლადვე მისვლადმდე მისა მათ თანა.

ხოლო მონათა მათ ყვეს ბრძანებული მათდა და წარმოიღეს ნახირი; მოეწივნეს თურქნი, ვითარ ასი კაცი და შემდგომად დიდი ომისა ჩამოყარნეს მონანი, და დაუხოცნეს ცხენი, გარნა ქუეითცა იბრძოდეს ფიცხლად. ხოლო მეფე ცხენსა რა გარდახდა, არა ჰგონებდა ჯერეთ მოსლვასა; შეექცა კითხვასა და ესეოდენ წარიტყუენა მისგან გონებითა, რომელ სრულიად დაავიწყდა წინამდებარე საქმე, ვიდრემდის ხმა რამე კივილისა შემოესმა ყურთა. მყის დაუტევა წიგნი მუნვე, და აღმხედრებული მიჰყვა მის ხმასა. და ვითარცა ზედა წარადგა მონათა თვისთა, ესევითარსა ღუაწლსა შინა მყოფთა, — და რამეთუ აშორვიდა სპათა თვისთა, და უკეთუმცა მათდა ცნობად წარსულ იყო, მონათა დაუხოცდეს, — მსწრაფლ შთაბრიალდა, ვითარცა არწივი და დააბნივნა, ვითარცა კაკაბნი და მსწრაფლ ესეოდენნი მოსწყვიდნა, რომელ მათნი ცხენნი ქმა ეყვნეს მონათა მათ. და აღმხედრებულთა ესეოდენნი მოსრნეს, რომელ მცირედნიღა შეესწრნეს ქალაქს. ხოლო გზანი სავსენი იყვნეს მძორითა მათითა და ფრიადისა ცემისაგან ხრმალთანცა დაღულარჭნილთან უარყო ქარქაში თვისი. მაშინღა მოვიდა სპათა თვისთა თანა, რომელნი ფრიად აბრალებდეს მას. განიცადეთღა ჩემდად, რომელ ესევითარსა საქმესა შინა და ესეოდენ უცალოსა წიგნივე აქუნდეს უსასწრაფოესად საქმედ და ესენი ესეოდენ".

ეპიზოდი იმდენად მთლიანია, რომ მისი დანაწევრება ყოველგვარ აზრს დაკარგავდა. გრძელი ამონაწერია, მაგრამ ერთმანეთისაგან გამომდინარე იმდენი აზრია ჩადებული, რომ მთლიანად მოტანა აუცილებელი შეიქნა. მით უმეტეს, რომ დავითის ისტორიკოსი შესანიშნავად მოგვითხრობს და ასევე შესანიშნავად აანალიზებს. სპა რომ აბრალებდა „ასეთ დაუდევრობას", უმძიმეს განსაცდელში თავის ჩაგდებას, აქედან იწყება ყველაფერი. ერთი შეხედვით მართლაც აუხსნელი მოქმედებაა. თურქთა გამოსატყუებლად თხუთმეტი კაცი გაუშვა

მეფემ, დანარჩენი მხედრობა ლოჭინის ხევში დამალა და თვითონ განმარტოებული წიგნს ჩაუღრმავდა. ამას მოჰყვა ყველაფერი — წიგნის კითხვაში ჩაფლულს ის თხუთმეტი კაციც დაავიწყდა, ის სპაც და ბაურქებიც, რომლებიც, სადაცაა უნდა გამოეტყუებინათ წარგზავნილებს. ცხადია, მეფე შედარებით უმნიშვნელო ოპერაციას ახორციელებდა და იმიტომ მისცა თავს ნება წუთით მიბრუნებოდა წიგნს. მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციების დროს ვის უნახავს დავით მეფის მოდუნებული ყურადღება, ვის სმენია მსგავსი რამ! არა მარტო თავისი, მთელი ლაშქრის ყურადღების გრძნობა აქვს მაქსიმალურად მობილიზებული. მაგრამ ზემოთ აღწერილი ოპერაცია დიდ სირთულეს არ შეიცავდა მისთვის. მთავარი აქ სხვა არის: რა ძალის ინტერესით სწავლობდა წიგნს, რომ გახურებული ბრძოლის ყიჟინა ვერ წვდება მის სმენას და მხოლოდ ბოლო წამს გაჰკვეთს განწირული კაცის კივილი ფიქრების ჯარს, მტერი ისე ახლოს მოსულა, რომ საკუთარი სპის გაფრთხილება, მოხმობა არ ესწრება — ყმებს დაუხოცავენ ამასობაში. „ესევითარსა საქმესა შინა და ესეოდენ უცალოსა“ მაინც წიგნია მისთვის „უსასწრაფოესი“ საქმე. არავინ იცის, რა აზრს დასტრიალებდა მისი ფიქრი, რა კანონზომიერებას ან ჭეშმარიტებას მიაკვლია მისმა გონებამ სწორედ ამ წუთებში, იქნებ საფიქრალის წონა იყო იმოდენა, რომ მასთან შედარებით „ესე ვითარი საქმე და ესეოდენ უცალო საქმე“ მეორეხარისხოვან ამბად აღიქმებოდა. საგულისხმოა ისიც, რომ გადამალული სპა გაფრთხილებული ჰყავს მეფეს, ჩემს მოსვლამდე სამალავიდან არ გამოხვიდეთო. ცხადია, ტაქტიკური ხერხი ითხოვდა ასე, ცხადია, სპა ადგილიდან არ დაიძვროდა, რაკი სამალავიდან არც იმ თხუთმეტი კაცის გასაჭირი ჩანდა და არც მეფის მარტოდმარტო მისვლა ას კაცზე უსაჭურველოდ, ერთი ხმლის ანაბარა.

რომ დავით მეფე უძლიერესი მეომარი იყო, რომ იგი მარტო შეება ასამდე თურქს, რომ მრავალი გადმოყარა ცხენებიდან და იმ ცხენებზე ამხედრებული თავისი ყმებით სასტიკად გაანადგურა თურქების ასეული, ეს ცალკე საუბრის თემაა, მისი შინაგანი ენერგიის მაუწყებელი ფაქტია. „დაღულარჭნილმან“ ხმალმა ქარქაში რომ უარყო, ამ ფაქტში რაოდენ გახურებულ

ბრძოლა იგულისხმება, ესეც სხვა რიგის საგახია. ყველაფერი ეს რომ წიგნმა მოიტანა, ესაა ამჯერად მთავარი. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ახალ თვისებას, წიგნთან დამოკიდებულების განსაკუთრებულ აზრს, რის გარეშეც დავითს შეუძლებლად მიაჩნდა საკუთარი ქვეყნის დიდ ისტორიულ გზაზე გამოყვანა.

კაცობრიობის ისტორიის მიერ დაგროვილი დიდი გამოცდილების მთელი არსით ამოცნობა ცხადყოფდა არა მარტო ერთი მიმართულების სიბრძნეს, არამედ, უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთის საპირისპირო მოსაზრებების არსებობასაც. ამდენად, შეცნობა უმალ არ იძლეოდა პასუხს ეროვნული საკითხების უდიდეს ნაწილზე. ისტორიის მიერ დაგროვილი სიბრძნე უმეტეს შემთხვევაში მასალა იყო ქართული სამყაროსთვის საჭირო ახალი სიბრძნის მისაკვლევად. იგი ისწრაფვოდა, მთელი ეს სიბრძნე ახალ ერთეულად გადაედნო და ახალი შინაარსი მიეცა მისთვის, საქართველოს, როგორც ქვეყნის, ქართველობის, როგორც ერის, შინაგანი ბუნება იმავე ბუნებიდან ამოზრდილ ფილოსოფიას თუ დაექვემდებარებოდა, მხოლოდ მისი გაჩენის შემდეგ ეჭნებოდა აზრი იმ საერთო მოვლენების და საერთო ფორმების მოხმობას, რაც მას სხვა ქვეყნებთან აკავშირებდა და აახლოებდა.

დავით აღმაშენებელი, ყველა დიდი მეცნიერისა და ფილოსოფოსის მსგავსად, თავმდაბლურად აცხადებდა — უსწავლელი ვარო. ეს დიდი სიბრძნე, ეს თაედადრეკილი დგომა ურთულესი სამყაროს წინაშე, მოაპოვებინებდა მუდამ ადამიანს ჭეშმარიტ ცოდნას.

მაგრამ ძეხორციელს არ შეეძლო იმ დროისათვის იმაზე მეტი სცოდნოდა, რამდენიც აღმაშენებელმა იცოდა. ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება, და უნდა მიექცეს ყველასაგან, რადგან მეცნიერებმა თავის დროზე ეს ფაქტი აღნიშნეს და ეს ფაქტი, მართლაც, საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია. რამდენ წიგნს დაატარებს თან დავით აღმაშენებელი ჯორებითა და აქლემებით! რამდენი წიგნი იყო მაშინდელ საქართველოში, რომ ჯორებსა და აქლემებს საპალნეებად ჰკიდიათ. ერთი ჯორი ან ერთი აქლემი რომ ვერ აუდის მათ ზიდვას... ეს ფაქტიურად უზარმაზარი ბიბლიოთეკაა, სასახლეებსა და რეზიდენ-

ცოცხლობდა ხომ ისედაც იქნებოდა წიგნები, ყველაფერს თან არ წაიღებდა მეფე. ეკლესია-მონასტრების წიგნსაცავზე არაფერს ვამბობ. გრიგოლ ხანძთელის დიდმა სკოლამ, ეტყობა არნახულად იღვაწა —მთელს ქვეყნიერებაში განფენილმა კულტურული კერების ქსელმა უდიდესი როლი შეასრულა ცივილიზებული მსოფლიოს გონებრივი მონაპოვრის გათავისება-გაქართულების საქმეში და ათასი არხით შემოდიოდა ლიტერატურა.

რა წიგნები იყო ეს წიგნები? საეკლესიო წიგნებზე უკვე ითქვა, მაგრამ ისტორიკოსი რომ დაჟინებით იმეორებს, საერო მეცნიერება მეტად ჰქონდა შეთვისებულიო, ამ ფაქტს ჭირდება საგანგებო ჩაღრმავება.

როგორც მეფეს საერო მეცნიერება, წიგნები სახელმწიფოებრივ წყობაზე მეტად ესაჭიროებოდა და მრავალგზის არის მითითებული, ხანაც პირდაპირ, ხანაც არაპირდაპირ, რომ აღმაშენებელმა შეისწავლა მთელი მსოფლიოს ისტორია, სრულად ჰქონდა გაანალიზებული საქართველოს წარსული და ამან მისცა საშუალება თავისი დროის შესაფერისად უნაკლოდ ემართა ქვეყანა. შემთხვევით არ ასახელებს ისტორიკოსი უძველესი დროის გამოჩენილ მხედართმთავრებს, ბრძენ ხალხს, ფილოსოფოსებს, ისტორიულ მაგალითებს. ძველ მსოფლიოს დიდი ლიტერატურა ჰქონდა, ძველ საქართველოს ასევე დიდი ლიტერატურა ჰქონდა და სხვისი თუ საკუთარი იმდენი იყო, რომ სწორედ ამიტომ არ კმაროდა ერთი ჯორი და ერთი აქლემი, კულტურის კერები მსოფლიოს თითქმის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში აქვს განფენილი ამ დროისათვის საქართველოს. ე. ი. შეიძლება ჩამოითვალოს ყველა მნიშვნელოვანი წიგნი, რაც კი ადამიანთა მოდგმას სხვადასხვა ენაზე დაუწერია და აღიარება მოუპოვებია. ყველა ისტორიკოსის, ყველა მწერლის, ყველა ფილოსოფოსის, ყველა მეცნიერის... მეცნიერების ყველა სფეროსა და მწერლობის ყველა ჟანრის ნაწარმოები. გადაჭარბებული აქ არაფერი არ არის. ვინც იცის, რა სრულყოფილი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს მსოფლიოსთან, მან უნდა ირწმუნოს, რომ წიგნი ურიცხვი იყო ჩვენს ქვეყანაში. ხოლო ეს საოცარი ფერებით, ცოცხლად დახატული სურათი ჯორებისა და აქლემების ზურგზე წამოკიდებული ბიბლიოთეკებისა თავისთავად მეტყველებს რეალუ-

რად არსებულ საგნებზე. პტოლემეოსი, არისტოტელე, ალექსანდრე მაკედონელი, რომაელთა, ბერძენთა, ებრაელთა ძეფეებისა და ბრძენკაცების დასახელება; ეგვიპტის, საბერძნეთის, ბიზანტიის მეცნიერებაზე ჩამოგდებული სიტყვა — თანაც ყველაფერი „კნინღა" წარმოთქმული ისტორიკოსისაგან, დაგვანახვებს დაუსახელებელ წიგნთა სათაურებსა და გადაშლილ ფურცლებსაც კი, რადგან მათი შინაარსი ამოკრთის ტექსტში, თვით მეფის მოძრაობაშიც. ჩვენ არაერთგზის დავრწმუნდით და კიდევ არაერთგზის დავრწმუნდებით ამაში. სად წავიდნენ ეს წიგნები, როდის განადგურდა მათი აბსოლუტური უმრავლესობა, ამის გამო თქმულა, ამის გამო გვიგლოვია, აქ იმაზე უნდა შევთანხმდეთ, კიდევ ერთხელ, რომ იგი განადგურდა და მხოლოდ თითო-ოროლა შემოგვრჩა, დანარჩენი დაწვეს, ან ურემებით გაზიდეს დამპყრობლებმა.

ამ წიგნებით იწვრთნებოდა მისი უნათლესი გონება, უნივერსალობის ყველა ნიშნით აღბეჭდილი ივსებდა ცოდნას, პირდაპირ ნთქავდა ცოდნის ოკეანეს, ისრუტავდა როგორც ღრუბელი, დიდი გონებრივი ენერგიით სძლევდა ყველა სიბრძნეს, არც გაოგნებულა, არც დათრგუნულა ამ განსჯისა და „სიღრმეების" ახსნის პროცესში, ფლობდა ყველა სიღრმეს, ჰქონდა თავისი, მხოლოდ თავისი დამოკიდებულება და თავისთავში ამწიფებდა იმ საოცნებო ახალ აზრს, რომელსაც უნდა აეყვანა ღირსეულ სიმაღლეზე საკუთარი ქვეყნის და ერის არსი.

„ზენაჲსა მოძრაობისა ასურასტანელი ზმნობაჲ და ცთომილთა ვარსკვლავთა და უცთომელთა კრებაჲ განყრაჲ, სუე დ‹ბედი და› შობის დღე" ვიცით წამოსცდება თავის თავზე მეფეს.

შავთელიც საგანგებოდ მიუთითებს:

იკითხვენ, სწერენ,
თაყუმსა სჩხრეკენ,
რამლს ჰკვრენ, არჩევენ
ბედთა მათთაგან.

ეს „ჩხრეკა" მერამდენედ ფიგურირებს. ეს სიღრმის ამოკითხვა მერამდენედ შეგვახსენებს თავს.

უწყის ყოველნი
ტამნი და წელნი,
შეყინვა ნივთთა
ცით მომგვრგველებულთა.

ეს „ნივთთა შეყინვა“ გამორიცხავს შეცნობის პროცესში ზედაპირულობის ნიშატსაც კი, სწორედ არსობრივი ამოცნობის ჟინია მასში გაჩენილი. რაც მთავარია, შავთელთან, დავითის ისტორიკოსთან, არაბი ისტორიკოსის შრომაში თითქმის პირდაპირ სწერია, რომ დავითი და მისი ხალხი, როცა კი დროს იპოვნიან, საგანგებოდ უსხედან დიდი გამოცდილების შემცველ მსოფლიო სიბრძნეს და იქიდან საქართველოს ყოველმხრივი განვითარებისთვის საჭირო ფორმებსა და ფილოსოფიის ამოტანას ცდილობენ. დავით აღმაშენებელი და მისი ერთგული დასი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, და ქართველი ხალხის, როგორც თავისთავადი ერის არულყოფის საქმე მეცნიერულ საფუძველზე დააშენონ, რათა გამოირიცხოს პრიმიტიულობა, ინერცია, თვითდინება ახალი ქვეყნის შენების პროცესში.

წიგნის კითხვის კულტურა თავისთავად მეტყველებს სამეფო კარის, მთელი ქვეყნის საერთო დონეზე, მეცნიერული შესწავლის სკოლაზე, რომელიც თავის შინაარსში, უპირველეს ყოვლისა, დავითის პიროვნების წყალობით ახალ თვისობრიობას სდებს და აზროვნების განვითარების უფრო მოწესრიგებულ, უნივერსალურ მეთოდებს, ხერხებსა და, აქედან მომდინარე, გზას სთავაზობს კაცობრიობას. დავითის წვლილი ამ დიდ საქმეში ისე აშკარაა, ისე თვალნათლივი, რომ არგუმენტების მოტანას აღარ აქვს აზრი. შავთელი კიდეც ამბობს დაჟინებით:

მოგვფენ სიბრძნესა,
წერილთ სიღრმესა,
თვით განგვიმარტებ
მადლთა მთხრობელი.

მეფე რომ „ჯორებითა და აქლემებით“ დაატარებდა ბიბლიოთეკას, ეს თავისთავად მეტყველებს ორ გარემოებაზე:

ერთის მხრივ ცხადზე ცხადია, დავით მეფეს გამუდმებული მოგზაურობა უხდებოდა ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში, ბრძოლისა და სხვა საქვეყნო საქმეების მიზნით იგი დიდი ხნით იმყოფებოდა გზაში. უმეტესწილად გზაში იყო და ამიტომ დაჰქონდათ ამოდენა ბიბლიოთეკა. თავისთავად ცხადი უნდა იყოს, რა ხანგრძლივ წყდებოდა იგი სამეფო კარს, სასახლეს, რეზიდენციებს, რა ინტენსიურად მოძრაობდა, როგორი სისწრაფით იცვლიდა მიმართულებებს. სულ სხვა რიგის პრობლემაა, ამ გამუდმებული მოძრაობის მიზანი, ამ მოძრაობის ენერგიის მიმართულება და დანიშნულება. მაგრამ ფაქტია, რომ ამ მოძრაობის, ამ გზაში ყოფნისას იყო იძულებული მეფე თან ეტარებინა წიგნები, ურომლისოდაც მას სუნთქვა არ შეეძლო.

მისი ცხოვრება არც ერთი მხრით არ იყო მოსვენებული და პარალელურად უნდა ეკეთებინა მრავალი საქმე. მათ შორის, დიდი სიბრძნის გათავისების საქმეც, რაც მხოლოდღა წიგნის საშუალებით თუ მიიღწეოდა, მაგრამ, რა ხანგრძლივადაც არ უნდა ყოფილიყო მეფე გზაში, რა სულმოუთქმელადაც არ უნდა ეკითხა წიგნები მას, ბრძოლაში, შრომასა და მოქმედებაში გართულს, ამდენი წიგნი მაინც არ ჰირდებოდა, არ ჰირდებოდა ჯორებისა და აქლემების ქარავანი ბიბლიოთეკის საზიდავად. ერთი აქლემიც იკმარებდა იმ წიგნის სატარებლად, რისი წაკითხვაც გეგმაში ჰქონდა ამჯერად მეფეს, მას კი უგეგმოდ ნაბიჯი არ გადაუდგამს თავის სიცოცხლეში. ამოდენა ბიბლიოთეკის ტარება, კიდევაც რომ არ წერდნენ თანამედროვენი „სჩხრეკდნენო“, „სიღრმეს განმარტავენო“ ისედაც აშკარად გვიჩვენებდა, რომ დავითის ერთგული უბრძნესი ადამიანების დასიც კითხულობდა ამ ბიბლიოთეკას მეფის პარალელურად! უწიგნური და გაუნათლებელი ადამიანი ვერც მოხვდებოდა დავითის ამალაში. შავით თეთრზე წერია გონებრივი მუშაობის მთელი პროცესი, რაც მოქმედების, ბრძოლის, შრომის პარალელურად მიმდინარეობდა და ერთი წამითაც არ წყდებოდა. ერთად არჩევენ, ერთად წონიან, ერთად ეძებენ, უზიარებენ, სჩხრეკენ, განმარტავენ, უმეტესწილად მეფე განმარტავს. მის გონებასთან მიდარებაც კი ძნელია, მიუხედავად

იმისა, რომ გიორგი ჭყონდიდელი და სხვა უბრძნესი ადამიანები იგულისხმება იმ დასში.

„დღედაღამ მიმოსლვა“ იყო მისი ცხოვრება, „ლაშქრობანი მოუწყენელნი“ იყო მისი ცხოვრება, „შრომა განუსუენებელი“ იყო მისი ცხოვრება და ამიტომ მათთან ერთად გამჟღავნებული „უსასწრაფოესი“ საქმე იყო შეცნობის პროცესი მისთვის. დამაშვრალ თვალებს რომ „სასმენელს“ ანაცვალებს, ეს კიდევ ერთხელ სრულყოფს ფიზიკური და სულიერი ენერგიის განუწყვეტელი წვის სურათს. ერთიდან მეორეში გადადის, გადაიქცევა თითქოს ფიზიკური და სულიერი ენერგია, ფორმათა ცვალებადობით მიღწეული პროცესი ბატონობს. მცირეოდენი დასვენების დრო, მახვილგონივრული ხუმრობისა და გართობის წუთები იდგნენ მოქმედებისა და გონებრივი წვის ამ ფორმებს შორის. უზღვავი ენერგიის პატრონი ვერც ატყობდა თავს დაღლას, ან, თუ ატყობდა, ფორმათა შენაცვლებით გადალახავდა მას.

ამ დიდი „გონებრივი სამუშაოს“ (ივანე ჯავახიშვილი) წყალობით შეიქმნა შესაძლებელი სიმაღლეების დაპყრობა, რაც დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება. უჩვეულო იყო მაინც ასეთი უნივერსალიზმი შეცნობისა იმდროინდელ საქართველოში, უჩვეულო, მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ ხანძთელის სკოლის ამზევების საუკუნეში წიგნის სიყვარული არავის უკვირდა. ეს უკვე საყოველთაო მოვლენა გახლდათ. მაგრამ წიგნისადმი დავითის დამოკიდებულება არაფერს აქამდე გაგონილს არ ჰგავდა. წიგნებს სხვა მეფეებიც კითხულობდნენ. დიდად განათლებულნი რომ იყვნენ, ამიტომ ამაღლდნენ დავით კურაპალატი, ბაგრატ მესამე... ამიტომ მოიწვია ბაგრატ მეოთხემ გიორგი მთაწმიდელი და ამიტომ აშენებდა გიორგი პირველი სვეტიცხოველს. მაგრამ მათ მეისტორიეებს აზრადაც არ მოსდით მსგავსი ფაქტების აღწერა, იმიტომ რომ არ იყო მსგავსი ფაქტები, მეფენი უმეტესწილად სასახლეში იყვნენ და წიგნსაც იქ კითხულობდნენ. „ჯორებითა და აქლემებით“ წიგნებს თან არავინ დაატარებდა, ან, თუ დაატარებდა, დაატარებდა რამდენიმე წიგნს. აქ კი ყოველგვარი საზღვარი გადალახულია. ბუნებრივსა და ნორმალურს არ ჰგავს თითქოს ეს მოვლენა. რაღაც უჩვეულოა, ისევე უჩვეუ-

ლო თავისი მასშტაბით, როგორც შენება და ბრძოლა იმავე აღმაშენებლის ხელმძღვანელობით წარმართული. ამიტომ საყვედურიც გაჩნდა. ზედმეტ გატაცებად მოეჩვენათ იგი თანამებრძოლებს. მე, ცხადია, ამ შემთხვევაში მის უერთგულეს დასს არ ვგულისხმობ — ამ დასმა იცოდა მისი გულისაზრის მოძრაობა. ქვეყანა ვერ იყო გარკვეული ამ უჩვეულობის არსში, ანგარიშგასაწევი წრეებიც გაკვირდნენ, ზედმეტად მიიჩნიეს მეფის სწრაფვა და ამან გახადა იძულებული ისტორიკოსი, განმარტება მიეცა. ამ განმარტების წყალობით ჩვენ გვიადვილდება მთელი სისრულით წარმოვიდგინოთ, დიდი ცოდნისა და საკუთარი გონებრივი შესაძლებლობების წყალობით რა მიმართულება მისცა მოძრაობას დავითმა. „გარდასულთა საქმეთა შემეცნებანის“ წყალობით გაკეთდა ყოველივე. „ვერას წარმრთებელთა შემთხუელნი წინაგასაკრძალებულად სახედ არა შემოეხუნეს“ — საქმეები, რომელთაც ვერ გაამართლეს, რომელთაც გამოცდას ვერ გაუძლეს, კრახით რაც დამთავრდა, მეფემ გაფრთხილების ნიშნად დაუსვა თავის თავს. ეს უკვე გამოცდილება იყო, შეცდომების განმეორება არ შეიძლებოდა. დიდი სახელმწიფო მოღვაწეობის შეცდომებს გულისხმობს ისტორიკოსი, თორემ უჩინართა უბადრუკი მოქმედების მაგალითი „განსაჩხრეკად“ ვის უნდოდა. ამ დიდი გამოცდილებიდან — როგორც წარმატებათა ასევე წარუმატებელი მაგალითების გამოცდილებიდან ამოიტანა მისმა გონებამ სიბრძნე, რამაც შეაძლებინა „კუერთხი მეფობისა“ ყველაზე მაღლა დაეჭირა.

„...რაოდენნი მართებანი და განსაგებელნი, კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი, განხეთქილობათა კრძალვანი, სამეფოს წყნარებისა ღონენი, ლაშქრობათა მეცადინეობანი, მთავართა ზაკვისა ცნობანი, მხედართა განწესებანი, საერონი შიშნი, სახელოთა და საბჭოთა სჯანი, საჭურჭლეთა შემოსავალნი, მოციქულთა შემთხუევანი და პასუხნი, მეძღუნეთა ჯეროვანნი მისაგებელნი, შემცოდეთა წყალობითნი წურთანი, მსახურებელთა ნიჭმრავლობანი, მოჩივართა მართალნი გამოძიებანი, მოსაკითხავთა შესატყვისნი მოკითხვანი, სპათა დაწყო-

ბანი და ღონიერნი მიმართებანი, და რაოდენნი ვინ აღმოაწყუნეს სიტყვითა უსფკრულისაგან სამეფოთასა საქმეთასა“...

„სამეფოთა საქმეთა უფსკრულისაგან“ მართლაც ვინ ამოწურავს ყველა ფორმას და ისტორიკოსი შეუძლებლად მიიჩნევს, სრულად დაახასიათოს ყველა სფერო, რასაც დაეტყო იმ განმსაზღვრელი ახალი შინაარსის ცოდნისა, და უნივერსალური გონებრივი ენერგიის კვალი. ისტორიკოსი მრავალს ასახელებს, მაგრამ ყველაფერი მართლაც არ არის ჩამოთვლილი, რასაც „სამეფოთა საქმეთა უფსკრული“ იტევს.

„რაოდენნი მართებანი და განსაგებელნი“ — იტყვის ისტორიკოსი და ჩვენ გვიტოვებს საფიქრელად, რას მოიცავდა თავის თავში ეს „რაოდენნი მართებანი და განსაგებელნი“.

სახელმწიფო კი ყოველდღიურ მართვას ითხოვს, ითხოვს განაგო ყველა მნიშვნელოვანი საქმე, იმგვარად განაგო, დავითს რომ ჩვეოდა—ზუსტად, შეუმცდარად, დროულად. ამ „მართებანისა და განსაგებელის“ გვერდით ხდებოდა თუ მიმდინარეობდა „კიდეთა პყრობანი“ — რამდენი ჰქონდა დაკარგული საქართველოს, რამდენი რამ უნდა დაებრუნებინა, კახეთის ან სამშვილდის შემოერთება ერთი შეტევით ან დაძახილით არ ხორციელდებოდა, ნაბიჯ-ნაბიჯ, სოფელ-სოფელ, დღეების, თვეების, წლების განმავლობაში იყო საჭირო „კიდეთა პყრობა“, მანამ იყო საჭირო, სანამ კუთვნილ ტერიტორიებს არ დაიბრუნებდა ქვეყანა და „კიდეებს“ არ უწევდა საზღვარი. ყოველდღიურ ოპერაციებს ითხოვდა იგი. ამ ნაბიჯ-ნაბიჯ სვლას, დიდ და პატარა ოპერაციებს მართვა უნდოდა, სანაპიროზე კი გამუდმებით ტრიალებდა საფრთხე, მტრის მოლოდინი იდგა ჰაერში. დიდი და მცირე ავანტიურები, „ნაპირთა ჭირვანი“ იყო დღისით და ღამით საფიქრალი, საიდან, რომელი კუთხიდან წამოვიდოდა ველური თუ ცივილიზებული მტერი, რამდენი წამოვიდოდა, მესაზღვრეები დროზე შეიტყობდნენ თუ არა, ციხე დაუდგებოდა თუ არა. ყველა სახელდო წერტილი ითხოვდა მეთვალყურეობას. ფეოდალური სახელმწიფოს შესაძლებლობანი ფაქტიურად განსაზღვრული იყო და „ნაპირთა“ გასაჭირი ამიტომაც ადვილწარმოსადგენია.

ფეოდალურ სახელმწიფოში სოციალური და პოლიტიკური

საფუძველი განხეთქილებისთვის მუდმივმოქმედი ვულკანივით ვერაგია და არასაიმედო. არავინ იცის, როდის ან რა მხრიდან იფეთქებს ამბიციურ დიდგვაროვანთა ვნება. „განხეთქილობათა კრძალვანის“ მისაღწევად რა ძალის, რა ფორმების მოხმობაა საჭირო, არც ეს უნდა იყოს ძნელი წარმოსადგენი. განხეთქილებისაკენ მისწრაფება პირდაპირ ვნებასავით ფლობდა დიდგვაროვანთა წრეებს და „სისხლი გაუშრეს“ დავით მეფეს „მამაპაპური ზაკვის“ ტრადიციებით. ამ პროცესს ჭირდებოდა აღგვა და „განხეთქილობათა კრძალვანი“, მიუხედავად „ქვეგამხედვართა“ სიმრავლისა, დაემკვიდრა ქართველი კაცის ფსიქიკაში. დავითის დროს ვერავინ ბედავდა განდგომაზე ფიქრს. ასეთი „აღგვის“ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა „სამეფოსა წყნარება“. მას ჭირდებოდა დიდი ღონე და აღმაშენებელი პოულობდა ამ ღონეს. სულ „წყნარება“ სჭირდებოდა თავადაზნაურთა ვნებებს, ისტორიით, ოჯახური ტრადიციებით განებივრებულ უკმარობის გენს; ამასთან არის დაკავშირებული „მთავართა ზაკვის ცნობანი“ — დავითის მსტოვრების მუშაობა ამიტომ იქცა უნაკლო და უანტრაქტო ქმედებად და ამ გზით გადაკეტა ზაკვის გზა. ასე დაითესა „საერონი შიშნი“, რაც ასე სჭირდებოდა სახელმწიფოს ერთგულებისაკენ მავანთა და მავანთა შემობრუნებას.

ყველაფერი, ცხადია, საშინაო ღონისძიებებით არ ამოწურებოდა და პარალელურად მიმდინარეობდა „ლაშქრობათა მეცადინეობანი“, ხოლო დავითის საქართველოს იმდენი მიმართულებით ჰქონდა ლაშქრობა მოსაწყობი, რომ აქაც ძნელია მათი ჩამოთვლა.

რა ფორმებით ხორციელდებოდა ეს ლაშქრობანი, რა მასშტაბისა იყვნენ ისინი, რა დანიშნულებას ატარებდნენ და საით იყო გამიზნული ბრძოლების სისტემა. ამ ოპერაციებს თავისთავად სჭირდებოდა „მხედართა განწესებანი“—ყველაფერი ზუსტად უნდა ყოფილიყო გაანგარიშებული სიტუაციისა და მტრის სიძლიერის შესაბამისად. იმ მხედართა „წურთნასა“ და მომზადებაზე ითქვა და ეს ისედაც იგულისხმება. დავითის ლაშქარი პირველხარისხოვანი ლაშქარი უნდა ყოფილიყო, სხვა შემთხვევაში უნდა გამოვთხოვებოდით სერიოზულ მიზანზე ფიქრს.

„სახელოთა და საბჭოთა სჯანი“ სხვა დონეს ითხოვდა, სხვა სიღრმეს, სხვა სიბრძნეს. საგანგებო იყო ქვეყნის მდგომარეობა და საკუთარ გონებაზე სხვაგვარ ძალდატანებას ავალებდა დაეით მეფე ყველა მათგანს. გამუდმებული ფიქრი და უკეთესი ვარიანტის მიგნების წადილი წარმართავდა „სახელოთა და საბჭოთა სჯას“.

ყველა სახელმწიფო საქმეს, მნიშვნელოვანსა თუ უმნიშვნელოს, მეფის ხაზინაზე ეჭირა თვალი — „საჭურჭლეთა შემოსავლის“ გარეშე სერიოზული ვერაფერი გაკეთდებოდა. არნახულად იყო გაზრდილი დიდი გეგმების გამო სახელმწიფოს ინტერესები — საჭირო ხდებოდა დიდძალი ოქროსა და ვერცხლის მოპოვება, რომ ის გეგმები განხორციელებულიყო. მშენებლობის მასშტაბები, ციხესიმაგრეები, ქალაქები, ეკლესია-მონასტრები, თუნდაც მარტოოდენ გელათის... ფუნდუკების, ხიდების შენება; იარაღითა და საჭურვლით ლაშქრის მომარაგება, მაცნე-მსტოვრების დაჯილდოება, მთელი სისტემის შენახვა, უცხო ქვეყნებთან ურთიერთობა... ყველაფერი „საჭურჭლეთა შემოსავლის“ უჩვეულო გაზრდას ითხოვდა. რა გზებით მოიპოვებოდა ეს დიდძალი ოქრო-ვერცხლი. სამეფოთა და დიდგვაროვანთა მოციქულების მიღება სისტემატურად, ზუსტი, ხშირ შემთხვევაში, ერთადერთი პასუხის მიცემა დიდი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო და ყოველი სიტყვა ოწონებოდა, ყოველი პასუხი მკაცრი ლოგიკით იწურებოდა. მეფესთან ძღვენით მოდიოდნენ სხვადასხვა კუთხიდან. ის ძღვენიც პოლიტიკის ენა იყო. ძღვენითვე სპირდებოდა პასუხი. ძღვენის შინაარსის მოფიქრება საგანგებო მეთვალყურეობას ითხოვდა. მაცნეთა სისტემა ამოატივტივებდა შემცოდეთა სახელებს, მხილების ფორმაში „წყალობით წყრთნაც“ იგულისხმებოდა — ვინ როგორ იმსახურებდა; რა მოაწესრიგებდა საერთგულოდ ქაცის ფსიქიკას, რომელიც შეცდომების გზით მოვიდა ჟამდე. „მსახურებელთა ნიშმრავლობანი“ — ერთგულთა საჩუქრებითა და ცხოვრების პირობებით უზრუნველყოფა ერის ცხოვრების მოწესრიგების უპირველეს ღონისძიებად ითვლებოდა — ხაზი ესმოდა ერთგულთა ამაგის დაფასებით განკითხვის კულტურას — ერთგულე-

ბას ამჩნევდა სამეფო კარი — ისევე ხედავდა, როგორც ორგუ-
ლობის ფაქტებს, შეუმჩნეველი არაფერი არ უნდა დარჩენი-
ლიყო.

დავით მეფე სულ მოძრაობდა, რად იქცა ეს მოძრაობა სა-
ბოლოოდ, სხვა საკითხია, მაგრამ ამ გამუდმებული მოძრაო-
ბის მიზეზით ძნელი ხდებოდა მომჩივანთა შეხვედრა მეფეს-
თან. დავითმა დაინახა ეს სიძნელე და იმდროისათვის მეტად
ეფექტურ ფორმას მიმართა. იგი გზადაგზა, ქვეყნის ყოველ
კუთხეში უნიშნავდა პაემანს მომჩივართ, ხეზე გასული მეთვალ-
ყურის წყალობით შორიდანვე იტყობდნენ მეფის მიახლოებას
და მოახსენებდნენ მეფეს თავისი წუხილის მიზეზს. „მართალნი
გამოძიებანი“ უჩვეულო ფორმით მიმდინარეობდა. მეფის გო-
ნების თვალს ვერ უსხლტებოდა მტყუანისა და მართალის
არგუმენტები. ამ ტოტალურმა განჩხრეკამ დაამკვიდრა ის
სამართლიანობის განცდა, რის გამოც დავით მეფის სიმკაცრე
კეთილშობილურ წესრიგად აღიქმებოდა.

„სპათა დაწყობანი და ღონიერნი მართებანი“ რა ძალის-
ხმევას გამოსთხოვდა მეფეს და სამეფო კარს, ამაზე სიტყვის
გაგრძელება ზედმეტი მეჩვენება. აქ მხოლოდ ის მინდა ვთქვა,
რომ ამ სახელმწიფო გარჯის მრავალ ფორმასთან ერთად იგი
გრანდიოზულობის განცდას გვიქმნის, ხოლო თუ მართლა ვი-
გულისხმებთ „სამეფო საქმეთა“ აღუვსებელ უფსკრულს, რამ-
დენადმე სრული სურათი მაინც მოგვეცემა იმ საქმეთა, რაც
დავითის ხელით კეთდებოდა. ყველაფერი აქ იმიტომ არის
ჩამოთვლილი, რომ მემატიანემ მიგვითითოს თუ როგორი ხე-
ლოვნებით იყო წარმართული ყველა სახელმწიფო საქმე აღმა-
შენებლის მიერ, დაგვანახოს, ამ ხელოვნების მასაზრდოებელი
ცოდნა იმ უჩვეულო ინტენსივობით წიგნის კითხვამ რომ და-
აგროვა დავით მეფეში, რომ დაგვარწმუნოს ამ უჩვეულო კი-
თხვის აუცილებლობაში, იმაშიც დაგვარწმუნოს, როგორ ვერ
კმაყოფილდებოდა დიდი გონების ადამიანი ჩვეულებრივი კი-
თხვით, წიგნების ზომიერი რაოდენობით, როგორ ეძახდა
არსებით სიბრძნეს თავისკენ და დაგვანახოს, რა თვისებისა
იყო მისგან მსოფლიო კულტურისა და სიბრძნის შეცნობის
წყურვილი. დაგვანახოს ამ უჩვეულობის მადლი, რომ მისი
წყალობით, ამ დიდი ცოდნის გათავისების წყალობით აღმარ-

თა დავითმა სამეფო კვერთხი ყველაზე მაღლა, შეიძლო ფაქტიურად შეუძლებელი. ყოველი ფორმა ამ მართვის სისტემაში თავისი სიცინცხალით განსაკუთრებულია და წარმატებული, მაქსიმალურ შედეგს აღწევს იგი თავისი სიცხოველით.

ვინც კარგად დააკვირდება დავითის დროინდელი საქართველოს ცხოვრების რიტმს, უმალ იგრძნობს ერთგვარ სულმოუთქმელობას, ინტენსიურობის უკანასკნელ ზღვარს. ლაშქართა მუდმივ მიმოსვლაზე საყვედურიც ამიტომ გაჩნდა. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს დავითის მიერ მნიშვნელოვანი ოპერაციები ხორციელდებოდა დიდი ნერვიული დაძაბულობის ფასად (ხალხის ნერვიულ დაძაბულობას ვგულისხმობ). დაძაბულობა იყო, შემართება იყო, მზადყოფნა იყო, და სიფხიზლე იყო მანამდე არნახული ქართულ მიწაზე, მაგრამ ეს ყოველივე ვაჟკაცური, დარბაისლური სულგრძელობისა და მოთმინების ნიადაგზე იყო დაშენებული. გავიხსენოთ რუის-ურბნისის კრება და დავაკვირდეთ სიტყვებს „დღეთა მრავალთა ფრიადთა გამოწულვილითა კეთილად გამოძიეს და ყოველი ცთომა განმართეს". ვის ჰქონდა დავითის დარად დაძაბული ცხოვრება, ვის ეჩქარებოდა უფრო მეტად საქმის დროული მომთავრება; მეფეა დიდი ლაშქრის პატრონი, „სარიდო და საკრძალველი", მაგრამ ერთი ხელის დაკვრით, მბრძანებლური ნებით არ წყვეტს საკითხს. სწორედ „დღეთა მრავალთა" იღვწოდა ამ კრებაზე, აღამებდა და ათენებდა, „ფრიადითა გამოწულულვითა" იძიებდა. განუკითხავად, შეუმოწმებლად არც ადამიანის დასჯა შეიძლება და არც აღზევება. ამ სიტყვებში ხომ პირდაპირ კრთის სინამდვილის სურათები. მეფე მიდიოდა ყოველ ფაქტთან, სინჯავდა, აზუსტებდა, ეკლესიის ყოველი მსახურის „ცთომას" წონიდა. არგუმენტებით და ლოგიკით შეჰყავდა მის ფსიქიკაში დამნაშავის გრძნობა, დიახ, დამნაშავეს დამნაშავის გრძნობა უნდა დაუფლებოდა, იგი შინაგანად უნდა განიარაღებულიყო ზნეობრივი კრიტერიუმების წინაშე, ფარ-ხმალი დაეყარა შინაგანადვე და გამდგარიყო დარწმუნებული საკუთარ ცოდვებში, დარწმუნებული სამართალის არსებობაში. მაგრამ იმ „ფრიად გამოწულებს" ე. ი. დაწვრილებით გამოძიებას და შესწავლას „დღენი მრავალნი" რომ

ჭირდებოდა, მოთმინება როგორი ესაჭიროებოდა. აუღელვებლობის რა უნარი უნდა იღვწოდეს ადამიანში, რომ ეს „განსხირპული“ მოთმინება არ იმღვრეოდეს, იდგეს უძრავად ტბასავით, როდესაც იცი, სიღრმეში რა ვნებები, რა სინანული, რა ტკივილები ბრუნავს. ფაქტები, რის გამოც „უღირსნი მამანი გარდმოანთხინეს“ ეკლესიებიდან, თავისი შემზარავობით ხომ აღაშფოთებდა მეფეს, ხომ ორიოდე მაგალითიც კმაროდა განსარისხებლად, მით უმეტეს, რომ ცნობები სხვა დანარჩენთა შესახებ ხელთ ჰქონდა (და სწორედ ამიტომ დაიწყო ეკლესიის რეფორმა!), შეეძლო მძლავრი ხელის აქნევით სათავეშივე ებრძანებინა საჭირო ღონისძიებების გატარება, მაგრამ „დღენი მრავალნი“ მოანდომა ამ საქმეს. იჩხრიკება ყველა ფაქტი და გამოიძიება ყოველი ადამიანის მოქმედების შინაარსი ცალ-ცალკე. განსაკუთრებული დატვირთვა სწორედ დავითის ხასიათის ამ თვისებას ჰქონდა — მოთმინებას. წინააღმდეგობანი, რაც მას ცხოვრების ყოველ სფეროში ხვდებოდა, წინააღმდეგობანი, რომელიც მას ეღობებოდა შრომასა და ბრძოლაში, იმ ძალისა იყო, რომ უმალ სასოწარკვეთილებაში ჩააგდებდა ადამიანს თუ ზეადამიანური მოთმინების უნარი არ ექნებოდა. არნახულად გაზრდილი წნევა მოთმინებისა თითქოს საბოლოოდ განამკვიდრებდა ხასიათში სიდარბაისლეს. იგი ქართველი კაცის უძვირფასესი თვისება იყო. ემოციას და სიდარბაისლეს თანაბრად სცემდა პატივს, ერთმანეთში ანივთებდა ამ განსხვავებულ ნიშნებს, მოთმინებიდან ამოიზარდა იგი, მისი წვენით იკვებება და როგორც ყველაფერი, ისიც აღწევს თავისი სრულყოფის ზღვარს. სრულყოფის ზღვარის განცდა დავითთან ყოველთვის ხელშესახებია, დღეს აუცილებელი ხდება გააზრებულ იქნას ამ სიდარბაისლის მოქმედების ძალა, მისი საჭიროება, მისი წონა. აი, ეს სიდარბაისლე, ეს მოთმინების განუსაზღვრელი შესაძლებლობა უპირისპირდება უამრავ სხვა ნიშანთან ერთად დავითის ხასიათში გარსმოჯარულ უბედურებათა ნიაღვარს, იგი აკავებს, იგი უკუაგდებს. კრების მსვლელობისას ყოველი დეტალი ზნეობრივად კანონების ნაღმზე ფეთქდებოდა, მყღავნდებოდა, კრთებოდა, ეშმაკივით ემანჭებოდა სახე და ზიზღის გრძნობას ააქტიურებდა განმჩხრეკელთა გულში. მშვიდად სუ-

ფთავდებოდა ეროვნული ზნეობის ყოველი „დეტალი"! ეს, აქ, ეკლესიის კედლებში უფრო ბუნებრივი და გასაგები ჩანს. მთლად მოქმედებაში განივთებული დავითის პიროვნება მოთმინების ფარით გამოდის ასპარეზზე. აი, იქ არის საინტერესო დავითის ხასიათის ეს ნიშანი — მოთმინება. სიმშვიდე იმ პირველს, მოთმინებას ბადებს. იგი დაუფლებულია მეფის არსებობას. გამომუშავებული ნიშანი არ არის, გენეტიკური ისტორია აქვს.

უდიდესი ძალა ენიჭებოდა ქართველი კაცისათვის მოთმინების უნარს და აღმაშენებლის მიერ ამ უნარის სრულმა გამონათებამ დაადასტურა მისივე ხალხის შესაძლებლობანი. მოქმედება, მოქმედება, მოქმედება, ბრძოლები, გაუთავებელი ბრძოლები.. ფეთქებადი სიტუაციები, სახლში შემოჭრილი განგაში და შეშფოთება, მტრის ცხენის ფეხთა თქარუნი ზედ კარიბჭესთან... წამში გადასაწყვეტი საკითხები, სასოწარკვეთილებისა და დაბნეულობისაკენ რომ უბიძგებს კაცს. აღმაშენებლის სიმშვიდე არ ირხევა, თითქოს გაყინული სივრცე იყოს. სიდარბაისლეს არც ერთი კონტური არ ერღვევა. მოთმინების ძაფი უკიდურესად არის დაჭიმული. რამდენიმე ისეთი მოვლენა ვიცით იმ დროის საქართველოს ცხოვრებაში, რაც მასა და ქართველ ერს სწორედ სასოწარკვეთილებას უკარნახებდა და სწორედ მაშინ გამომჟღავნდა ის ფარული შესაძლებლობანი, სიმშვიდისა და სიდარბაისლის გამჭვირვალე ქსოვილში რომ აფარებდა თავს, ჩვენ არაერთხელ შეგვახსენებს თავს ეს მოვლენები, რადგან იგი ჩვენი ცხოვრების ანბანია.

დავით აღმაშენებლის პიროვნება გარეგნულად გრანიტს მოგვაგონებს. მიუვალს და შეუვალს ერთდროულად. ახლოს მისვლას ვერც თანამედროვენი უბედავენ და ვერც შთამომავლობა შეჰკადრებდა. აგერ რამდენი საუკუნეა, მისი „სარიდო" პიროვნება დისტანციურ ჰვრეტას გვავალებს. ეს წიგნიც რიდისა და მოწიწების გამოხატულება თუ იქნება, უპირველეს ყოვლისა. მაგრამ გასათვალისწინებელია ის არტერია, რომლითაც დიდი წინაპარი თავისი ხალხისა და თავისი სამშობლოს წარსულს, აწმყოს და მომავალს ასეთი ცხოველმყოფელი სისხლით უერთდება.

დავითის ისტორიკოსი კატეგორიულად მოითხოვს შთამომავლობისაგან რიდისა და მოწიწების წყალობით აშენებული სქემა და მოდელი დაამსხვრიოს თავის წარმოდგენაში. რიდმა და შიშმა ქართველი კაცისათვის დავით აღმაშენებელი დიდი, შეუმცდარი, უძლეველი პირველი შვილის მოდელად აქცია, უძრავ ქანდაკებად, რომელსაც კრთომით შეავლებს თვალს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დაჟინებით მიიწევს სწორედ სიღრმისკენ, სწორედ ჩვენი წარმოდგენების სქემას ამსხვრევს, რათა იმ სქემისა და მოდელის სქელ კედელს იქით, გრანიტის სიმკვრივის გარღვევით შეაღწიოს ჩვენმა ფიქრმა და მარადიულად მფეთქავი ქართველი კაცის ვნებები, მისწრაფებანი და ფორმები შეგვაცნობინოს, რათა კონტაქტი არ დავკარგოთ იმ დიდ ვნებებთან, ზრახვებთან და სრულყოფილ ფორმებთან. თხზულების მეორე ნაწილი სწორედ დიდი ანალიტიკოსის ამ მიზანს ამჟღავნებს. განუწყვეტელი კონტაქტი დავითის პიროვნებაში ჩამარხულ ვნებებთან, ზრახვებთან და ფორმებთან იმეტყველებს მხოლოდ იმაზე, თუ რას აირჩევს ცხოვრების წესად ქართველი ხალხი, რა გზა იქნება მისთვის უმთავრესი, მისეული, ბუნებრივი. ამიტომ მოძრაობს ფიქრი გამალებით ორ დიდ წერტილს შორის. ერთ წერტილს ფლობს ჩვენთვის სათაყვანო ხატი აღმაშენებლისა, გაუკვდავებული და მომლოდინე, მეორე წერტილს ფლობს მოქმედებად გაცხადებული მისი პიროვნება, რომელსაც კვლავ სისხლი უდუღს, ხორცი ასხია, გული უცემს და ასე ადამიანურია. ეს მეორე, ეს საოცრად ადამიანური, ფეთქდა მაშინაც დიდი სიმშვიდისა და სიდარბაისლის კედლებს იქით, ზოგჯერ გამოარღვევდა იმ კედლებს და ყველას აგრძნობინებდა, რაოდენ მახლობლური და ძმური, თბილი და რაოდენ გატანჯული იყო, როგორც უბრალო მოკვდავი, ვინც იძულებული იყო აელაგმა თავისი თავი და იმ დიდი მისიის კანონებს და მოთხოვნებს დამორჩილებოდა.

მისი ცხოვრების რამდენიმე დეტალი სრულად ამჟღავნებს ამ მახლობლურობას, მამაშვილური გრძნობების ცხოველმყოფელობას.

„აღაშენა ქსენონი ადგილს შემსგავსებულსა და შუენიერ-

სა, რომელსა შინა შეკრიბნა ძმანი, თვითოსახით სენითა განცდილნი, და მოუმზადა ყოველი სახმარი მათი, უნაკლულოდ და უხუებით, და განუჩინნა შესავალნი და საღუაწნი მათნი ყოვლადვე. თვით მივიდის და მოიხილნის, მოიკითხნის და ამბორს უყვის თითოეულსა, აფუფუნებდის მამებრ, სწყალობდის და ნატრიდის განამხნობდის მოთმინებისა მიმართ, მონახის თვისი ხელითა ცხედრები, სამოსლები და საგებელი მათი, პინაკი და ყოველი სახმარი მათი, მისცის თვითეულსა ოქრო საყოფნი და განაკრძალნის ზედამდგომელნი მათნი"...

ასე ერთბაშად იმსხვრევა ის სარიდო მოდელი დიდი მეფისა, შეხედვას რომ ვერ უბედავდნენ ახლოს მდგომნი. დავაკვირდეთ მის მოძრაობას, ამ მოძრაობის უბრალოებასა და ყოფითობას, ცოცხლად რომ წარმოგვიდგენს ყოველ დეტალს. ეს მოსვლა, ეს ნახვა, ეს მოკითხვა, თვითოეულის ამბორი, რაც მთავარია, ავადმყოფის განებივრება („აფუფუნებდის")... იცის დავით მეფემ როგორ აფაქიზებს ავადმყოფობა ადამიანის ნერვებს. ამიტომ აფუფუნებს, ამიტომ ეფერება. ხვალ ტაოში რომ უნდა დაკრას მტერს, იმ მარჯვენით ეფერება თვისტომთ. იგი მარჯვენა ისე თბილია აქ, ქსენონში, ისე მახლობელი, ალერსის გამომსხივებელი. ეს წყალობა, ეს მოთმინებისაკენ განმხნევება თითქოს ყოველგვარ წარმოდგენას შლის. იქით, სულ ადამიანის შინაგანი უბრალოებისა და სიმშვენიერისაკენ მიაპყრობს ჩვენს მზერას. ახლა ზრუნვის „ხარისხი" შევამოწმოთ: „მონახის თვისის ხელით ცხედრები, სამოსლები და საგებელი მათი, პინაკი და ყოველი სახმარი მათი"... რისთვის ყველაფერი ეს? მოჩვენებითობისათვის? ისტორიაში ჩასაწერად? მოჩვენებითობა ვერ ზემოქმედებს ხალხის სულზე გარდასაქმნელად, რადგან ხალხი გრძნობს მოჩვენებითისა და ნამდვილის არსს. ხალხი კი დამოკიდებულების უნაღდეს ფორმებს ეუფლებოდა დავითის წყალობით. ჩვენ დავინახეთ, რა საყოველთაო გახდა ეს დაუფლება. მარტო ვერ შექმნიდა წესსა და რიგს. შინაგანი მოთხოვნილება მოყვასის თანადგომით თუ დაამკვიდრებდა კულტურას... ქსენონი გულმა ააგო, მამა-პატრონის, მეფე-პატრონის დიდმა გულმა, ტკივილმა და წუხილმა. იმავე გრძნობას მიჰყავდა ავადმყოფებთან მეფე, ამოწმებინებდა ყოველ დეტალს სწორედ მამობრივი თრთოლვითა

და არა მეფური მოჩვენებითობით. მარტოოდენ მეფური ყურადღების დასადასტურებლად უბრალო მისელაც იკმარებდა, სხვები, მხლებლები დაიღლიდნენ სენაკება, შეამოწმებდნენ მოვლის კულტურას. მეფე არ ამოწმებს მარტოოდენ, იგი თაყს დაჰფოფინებს ავადმყოფებს, თითქოს დაჰკანკალებსო. სხვას რას უნდა ნიშნავდეს ეს ყველასთან მისელა და ყველა საგნის გასინჯვა. არ უნდა დაგვავიწყდეს, როგორ იცვლება მისი გარეგნული სატიც — ეს გოლიათი პიროვნება, შეუდარებელი მეომარი, აქ თავდახრილი და მშვიდი, ასხივებს სითბოს და სილბოს, გადასცემს შინაგან სიმტკიცესა და ძალას.

ჩვენ მემატიანისაგან შეჯამებულ თვისებათა ანალიზს თუ მივყოფთ ხელს და მხოლოდ ამის შემდეგ გავამთლიანებთ მოქმედების რიტმში ჩამსხვრეულ ნიშნებთან:

„აჰა ესერა, სახე არა უმსგავსო, არამედ ფრიადცა თანაშეტყუებული ჩუენისა თვითმპყრობელისა და ყოვლად გამომსახველი სიტყვით საქმეთა თუალთა ჩუენთა ხილულთა, რამეთუ სიტკბოებისა, სახიერებისა და სიბრძნისა მისისა ხილვად წყურიელნი კიდით ქუეყანისა შემოკრბებოდეს წინაშე მისსა. ვინ იყო ეგზომ ტკბილ შემთხუეევათა შინა, ვინ სატრფიალო ზრახვითა და სასურველ დუმილითა, იგივე შუენიერ ხატითა, უშუენიერეს მორთულობითა გუამისთა, შეწყობილ ანაგებითა და ახოვან ტანითა, ძლიერ ძალითა, უძლიერეს სიმახვილითა, საწადელ ღიმილითა, უსაწადელეს მჭმუნვარებითა, მაღლიერ ხედვითა, საზარელ ლომებრ მკრთომელობითა, ბრძენ ცნობითა, უბრძნეს გამორჩევითა, მარტივ სახითა, მრავალსახე მართებითა, შემრისხველ მყუდროებითა, მაქებელ განმსწავლელობითა, და ბრცა ერთსა კეთილთაგანსა შემაშთობელ უზომოებითა. მაღალ უმაღლესთათვის, და მდაბალ უმდაბლესთათვის, და თვით მათ მტერთაგანცა საწადელ და საყუარელ სათნოებათა მისთაგან შეკდიმებულთა. ვინა ესრეთ მიიღო ერთიც სათნოებათაგანი, ვითარ ვინ ყოველთაგანმან შეიკრიბა ყოველი სრულებით თითოეული, რომელ ყოველთათვის შეუძლებელ არს დაკვირვება ოდენ, არათუ მიბაძვება, რომლითა სრულ ქმნა იგი ყოველსა შინა, ესრეთ რა აღსავსე იყო ნათი უფასოთაგან ტვირთთა სათნოებისათა, და არღარა შემძლებელ წარსლვად ღადირთა".

ისტორიკოსს, მიუხედავად შეუდარებელი ნიჭისა, უჭირს ამოწუროს ალმაშენებლის პიროვნული თვისებანი. რამდენიმეგზის სცადა, თხზულების სხვადასხვა ადგილას ერთად შეეკრიბა ეს ძვირფასი თვისებანი და ყოველთვის გულდაწყვეტილი ღაღადებს თავის უძლურებაზე. ამ ფაქტში განსაკუთრებული აზრი იმალება. რამდენადაც ალმაშენებელი ქართველი ხალხის უდიდესი შვილია და არა მარტოოდენ უდიდესი მეფე, მისი პიროვნული თვისებანი ერის განძია უკვე და თანაც ისეთი განძი, განუწყვეტლივ რომ მონაწილეობს ყოველი დროის ქვეყნის ფიქრისა და სისხლის მოძრაობაში. ამიტომ ამ თვისებებზე დაკვირვება ქართველი ხალხის სულზე დაკვირვებას, მისი მიმართულების განსაზღვრას ნიშნავს და ჩვენც ხშირად უნდა გვეჭიროს მზერა იქით. დავითის სახე ისტორიკოსმა, ჩვენდა საბედნიეროდ, შექმნა არა დროის ინტერვალების შემდეგ, არამედ როგორც თვითმხილველმა. საქმეთა წიაღიდან გამოკვეთა იგი — „ყოვლად გამომსახველი სიტყვით საქმეთა თუალთა ჩუენთა ხილულთა“. ცხოვრების ყველა ფორმა იხილა ისტორიკოსმა, ამ ფორმების ქსოვილიდან ამოიზარდა მისეული დახასიათება. იცის მისი დასვენების წესი, ნადირობის ჩვევა, სიყვარულის ისტორია, იცნობს მშენებელს, მშრომელს... მებრძოლს, წიგნის მკითხველს, იცის მსჯელობა მისი, მისი მოქმედება, მოძრაობა, მისი მეტყველება, იცის ყოველ მდგომარეობაში, რასაც ადამიანური და მეფური მოიცავს მთლიანობაში.

დავით აღმაშენებლის სახელი და დიდება შორს იყო გავარდნილი, მის შესახებ ლეგენდები დადიოდა მაშინდელ მსოფლიოში. თუმცა არც სიცოცხლის შემდეგ მოკლებია ლეგენდების შარავანდედი. ლეგენდები იქით იყოს, მთელი იმდროინდელი სამყარო, ვის ყურამდეც კი მივიდა საქართველოს მეფის ძალმოსილებისა და პიროვნული ღირსებების ამბავი, თვალყურს ადევნებდა მეფის ცხოვრებას და მოქმედებას — „რამეთუ სიტკბოებისა, სახიერებისა და სიბრძნისა მისისა ხილვად წყურიელნი კიდით კიდეთ ქუეყანისათ შემოკრბებოდეს წინაშე მისსა“. ანდამატივით იზიდავდა მისი არსებობის სილამაზე ადამიანებს. ამ მიმზიდველობაში რეალური იყო ყველაფერი, საფუძვლიანი და უთუო. თვითონ ცხოვრება კარნახობდა ამ

ინტერესს, ამ „შემოკრებას“, მეფის ახლოს ყოფნას, მასზე დაკვირვებას. მაგრამ მარტო მოყვასი როდი მოდიოდა, მოდიოდა მტერიც, როგორც შინაური ასევე გარეშე. დავითს არც ეცალა და არც დაუშვებდა მათთან შეხვედრის საზეიმო ცერემონიალებს... თვით სასამართლოს მტკივნეული საკითხების გასარჩევად ხეზე გასული მაცნენი დარაჯობდნენ მეფის მოძრაობის მიმართულებას. ეს ხალხი, სწორედ მშრომელი, მოქმედი, მებრძოლი, დავითს აკვირდებოდა, ან შემთხვევით წააწყდებოდა სასახლეში დროებით ამობრუნებულს, მონადირეს, მოქეიფეს, ეძებდნენ დროს, რათა ახლოს დაენახათ იგი, დაკვირვებოდნენ, შეესწავლათ, მიებაძათ. მოყვარეს მოყვრის წილი მოჰქონდა, იმ წამიერი შეხვედრებიდან, მტერს — მტრისა, უფრო გამაოგნებელ შთაბეჭდილებას იღებდა მტერი და გაცრუებული ბრუნდებოდა უკან.

ისტორიკოსი არჩევს ყოველ არსებით თვისებას, ცდილობს შეავსოს დავითის პიროვნების სურათი ამ არსობრივი დეტალებით — „ვინ იყო ეზომ ტკბილ შემთხუევათა შინა“. ამ სიტკბოს მერამდენედ ამბობს ისტორიკოსი. იგი ერთი უმთავრესი ნიშანია მეფის ხასიათისა, მისი უბრალოებისა და ადამიანური სითბოს მაუწყებელი. ქსენონში, ეკლესიაში, საქვეყნოდ, თვით მუსულმანებთან, გლეხთან, მებრძოლთან, ახლობლებთან სიტკბოს ასხივებს. მოყვარეს მოყვრის წილი მიაქვს, მტერს — მტრისა. მტრის მიმართ გამოსხივებული სიტკბო გაფრთხილებაც არის ამავ დროს.

„ვინ სატრფიალო ზრახვითა და სასურველ დუმილითა“. მისი ზრახვა ბადებდა დიდ სიყვარულს, რადგან ის ზრახვა მუდამ ამაღლებული და ამამაღლებელი იყო, მუდამ მთავარი წერტილისაკენ მიმართული, საქვეყნო აზრებით დამუხტული, სერიოზული საქმეების კეთებისაკენ მიდრეკილი ზრახვები. ზრახვა აშუქებდა სხივებს, გამეღავნებისთანავე, მოქმედებით გამოხატვისთანავე. რა განუზრახავს დავით მეფეს! — ეს აჯადოებდა ახლო მდგომთ, ეს ხიბლავდა და თავის გავლენის ქვეშ იქცევდა. ამაღლებული საქვეყნო ზრახვანი სუნთქვასავით უწყვეტელი და მფეთქავი იყო მასში. „ვინ ასწავლა ჰაბუკ მეფეს, რომ დუმილი ოქროა რჩეული“ — კითხულობს კონსტანტინე გამსახურდიას რომანში ლიპარიტ ბაღვაში. კონსტან-

ტინე გამსახურდიამ საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება მეფის ამ თვისებაზე. დუმილი ყველაზე მეტად სჭირდებოდა დიად ზრახვებს. დუმილი შინაგანი აზროვნების მეტყველი ფორმა იყო, დუმილი უმოქმედობის, სიზანტის მისწრაფებას უკუაგდებდა, დუმილი ეძახდა საქმეს, ებრძოდა ლაპარაკს, ცარიელ სიტყვებს. დუმილი იცავდა საიდუმლოს, დუმილი მოქმედებით მეტყველებდა.

ისტორიკოსის ცნობით დავითი გარეგნული ნიშნებით ხიბლავდა ყველას — „იგი შუენიერ ხატითა, უშუენიერეს მორთულობითა გუამისთა, შეწყობილ ანაგებითა და ახოვან ტანითა“ — ეს ის შემთხვევაა, როდესაც ბუნება უნივერსალურ შერწყმას ახდენს ადამიანის ფიზიკური და გონებრივი სიკეთისას. მას, ყოვლისმომცველს და უსაზღვროს, ყველა სახის არსება გაუჩენია და თავის სრულყოფილ გამონათებასაც ესწრაფვის ხოლმე ალმაშენებლის მსგავს პიროვნებაში. მამაკაცი მამაკაცის მშვენიერ ხატზე მოკრძალებით ლაპარაკობს მუდამ, მითუმეტეს თუ პოეტი არ არის იგი. მოკლე ფრაზას გადმოისვრის ისტორიკოსი: — „იგი შუენიერ ხატითა“ — მით უფრო ფასეულია იგი! უდიდესი ვაჟკაცის შუენიერი ხატი — შუენიერი სახე სხვა თვისებების მიღმა ცდილობს თითქოს დადგომას, მაგრამ ჩვენთვის ამ ხერხით უფრო საცნაურდება დავითის ფიზიკური სილამაზე.

ყველაფერს აქცევს ყურადღებას ისტორიკოსი — „უშვენიერეს მორთულობათა გუამისათა“. ალმატებითი ხარისხი მის დახასიათებაში საგანგებო ფუნქციას იძენს. იტყვის ისტორიკოსი—შუენიერ ხატითაო, გადადის უფრო ალმატებულზე—უშუენიერეს მორთულობითა. ეს მისი, როგორც მწერლის ხერხია, დიდი ანალიტიკოსისა და დიდი მეცნიერის ხერხი. მთავარი სწორედ დიდი ანალიტიკოსის და ზუსტი მეცნიერის თვალია მის თხზულებაში. უფრო მთავარი კი ამ ალმატებითი ხარისხის მოთხოვნილებაა, რომელიც მოსვენებას არ აძლევს მემატიანეს და სტილად ემკვიდრება მის ნააზრევში! მეფის ახოვანება და „ანაგების შეწყობილობა“ იპყრობს ყურადღებას არა მარტო ამ ტექსტში, თავად დავითის ფიგურაში, რომელიც გელათშია გამოსახული. ალმატებულია იგი სწორედ ყველაფერ ნორმა-

ლურსა და ჩვეულებრივზე, გამორჩევით, თვალში საცემად აღმატებულია. ამ აღმატებულებაში სულ ხაზგასმულია მთავარი — გარეგნულზე დიადია ყოველთვის ის შინაგანი, რაც ზედაპირზე არ დევს, ის, მუდამ უფრო ძლიერია, უფრო მაღალი.

„ძლიერ ძალითა, უძლიერეს სიმახვილითა“. თავისთავად მოცემულსა ჰგავს. ეს „ძლიერ ძალითა“, თანდაყოლილს, ისედაც არსებულს, შინაგანი შემართება კი გამოსახატავად აღმატებით ხარისხს ითხოვს — „უძლიერეს სიმახვილითა“. დიახ, შემართების, შინაგანი ამზევების დროს თავისთავად არსებული დიდებულება უკიდურესი სიძლიერით მეღავნდება ბრძოლაში, შრომაში, ათასობით დეტალში გამოვლინდა ეს დიდი ძალი და შემართება. ისტორიკოსს ხილული მოვლენებიდან მოაქვს ეს შეფასება, შთაბეჭდილებების დანაწურია იგი. იტყვის „საწადელ ღიმილითა“,—მოაყოლებს „უსაწადელეს მჭმუნვარებითა“, თითქოს მარტივი ხერხია, მაგრამ კვლავ და კვლავ ის ფუნქცია უნდა მოვიგონოთ, რაც ამ ხერხს აკისრია. რა ფასს დებს ისტორიკოსი დავითის მოწყალე ღიმილში და რაოდენ უფრო ძვირფასი იყო თანამედროვეთათვის მეფის მჭმუნვარება. ეს მჭმუნვარება უსაწადლესად მისმა შინაარსმა აქცია, იგი შეიყვარა იმ ღიმილის გვერდით, იმ ღიმილზე მეტად, რადგან იმ მჭმუნვარებაში სულ ქვეყანასა და ხალხზე ფიქრი ჩაახვია დავითის პიროვნებამ. ეს მჭმუნვარება იმ ფიქრმა მოქსოვა, საქართველოს წარსულს, აწმყოს და მომავალს რომ უვლიდა ერთდროულად, დანგრეული სოფლებისა და ქალაქების აღშენებას თურქ-სელჩუკთა ზღვის გადარეკვას რომ სჭიროდა; დიდი, გამტანჯველი გზა ედო მის სულს, იმ ფიქრსა და მისგან მოქსოვილ მჭმუნვარებას. სიმშვენიერის, სილამაზის ნიშნებით აღიბეჭდა ეს მჭმუნვარება.

თვისება თვისებას ექსოვება და თუ კარგად დავაკვირდებით, მემატიანესაგან შენიშნული ყოველი თვისება საოცრად თავისთავადია, საკუთარი შინაარსის მფლობელი. თითქოს თვისება კი არა, პიროვნება იყოს დამოუკიდებელი, ისეთნაირად გამოჰყოფს ისტორიკოსი. თვისებათა ავტონომიაა და მაინც, ცხადია, ასე ორგანული და ერთმანეთში გადაზრდილი იშვიათად თუ რამე გვიგრძვნია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნე-

ბა, ერთიც რომ გამოაკლდეს, მთელი ეს გიგანტური პიროვნება საკუთარ არსებაში ჩაიქცევაო. „მადლიერ ხედვითა“ — ეს თვისება, ალბათ, ვერ იარსებებს, რომ არ იყოს „საწადელ ღიმილითა“ ან „უსაწადლეს მჭმუნვარებითა“, ან „სასურველ დუმილითა“ ან „შუენიერ ხატითა“ და ა. შ. თანაც პირიქით უნდა იგულისხმო — ვერც სხვა თვისებანი იარსებებენ „მადლიერ ხედვის“ გარეშე.

„საზარელ ლომებრ მკრთომელობითა“ — ეს უკვე განრისხებული აღმაშენებელია, მტრის წინ აღმართული, ღალატით შეცბუნებული, მძლეველი, დამანგრეველი, ერთბაშად რომ „გადააყენებს“ ამ სიმშვიდის ფორმებს უკანა ხედზე და რისხვას აფრქვევს ჯავშნიდან და მახვილის პირიდან, გუნდში რომ გადის ზავის ძალით და მარჯვნივ თუ მარცხნივ სისხლიან კვალს ტოვებს. იქვე იმ „მკრთომელობის“ გვერდით, უღივდება სურვილი სულ სხვა პოლუსზე — სიმშვიდის და განსჯის პოლუსზე გადაიტანოს მზერა — „ბრძენ ცნობითა, უბრძნეს გამორჩევითა“. სიბრძნე არ აკლია აქ ჩამოთვლილ არც ერთ თვისებას, იგულისხმება იგი ყოველ მათგანში, მაგრამ თვისებათა ხაზი ამ სიბრძნისაკენ მოძრაობს, რაც თავისთავად მეტყველებს, რაოდენ მთავარია იგი. მან იცოდა ცნობა და მერე როგორი ცნობა იცოდა. ადამიანები, მოვლენები, სიტუაციები თითქოს წამში შიშველდებოდნენ მის წინაშე, შეუცდომლად გამოარჩევდა და ეს იყო მისი მოქმედების ხასიათის მმართველი. მისი გონიერება წვდებოდა ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულს, წარსულს, აწმყოს, მომავალს. აკვირდებოდა და გამოჰქონდა დასკვნები. აჯგუფებდა ახლო და შორეულ გეგმებს. მიმართულებას აძლევდა ერის გონს. გრძნობთ, როგორ თანდათან ივსება გიგანტური პიროვნების არსი თვისებებით, როგორი დაუნებით ცდილობს ისტორიკოსი არაფერი გამორჩეს ამ ძნელად მოსახელთებელი ფენომენის შინაარსიდან. იგი ხომ მუდამ მოძრაობს, დაკვირვება ძნელია, რაც არ უნდა ახლოს იდგე.

„მარტივ სახითა“ — სიღრმისეულია ღირსებანი, ამიტომ დიდი უნარი სისადავისა მარტივ სახედ წარმოგვიდგენს მეფეს და უბრალო ხალხთან ინტენსიური ურთიერთობა იგულისხმე-

ბა ამ „მარტივ სახეში“. „მარტივი სახის“ მოპოვება, მისი დაუფლება მეფური კვარცხლბეკიდან არ ხერხდება. ქსენონში რომ მიდიოდა თითოეულ ავადმყოფთან, რომ ანებივრებდა, „ამბორს რომ უყოფდა“, პინაკს რომ სინჯავდა ხელით, სოფლიდან სოფელში რომ დაქროდა და საკუთარ ფუძეზე ჩამობრუნებულ გლეხკაცებს სახლის შენებაში ეხმარებოდა, გელათის შენებაში რომ უშუალოდ მონაწილეობდა, მაშინ იშვა ის სისადავე! ის, რაც ღვთაებრიობის განმსაზღვრელ ნიშნად იგარაუდება ამ სიმარტივის წყალობით. მაგრამ ეს „მარტივი სახე“ სიმარტივეს არ გულისხმობს. ეს შინაგანი უნარია გარდასახვის, მარტივ ფესვთან მეფური სიმაღლიდან მიბრუნების უნარი, თორემ იქვეა ხსენებული „მრავალსახე მართებითა“ — ეს სიმაღლეებს შორის გაბმული არტერიაა, რაშიც მარტივიდან რთულისაკენ „მიედინება“ პიროვნების თვისებანი და საჭიროების შემთხვევაში უკუმოიქცევა.

„მყუდროებით შემრისხველი“ კაცი ყოფილა დავით აღმაშენებელი. რა კულტურა ივარაუდება ამ სიტყვებს მიღმა! შერისხვის აუცილებლობა ფეოდალურ საქართველოში თვით ცხოვრების წესით იყო ნასაზრდოები, ფსიქიკა წარმოშობდა ამის აუცილებლობას. მაგრამ დემოკრატი ბუნების მეფე, განსწავლული, კეთილი და მოწყალე, ირჩევს ყველაზე უფრო ფაქიზს, ამავ დროს უცნაურად ზემოქმედ საშუალებას. სიკვდილით დასჯას უთანაბრდება ეს მყუდროებითი შერისხვა. მაცნეთა სისტემა გაუვალი სალტეა. ყველა ნაბიჯი შემოწმებულია, ავის განმზრახველს თრგუნავს მხილების სიზუსტე და უცდომელობა. ამ სიმყუდროეში რისხვაა დატენილი. იქვე შექებულია ერთგული, შექებულია და თავისუფლება აქვს მინიჭებული, რათა ლაღი ფანტაზიით ემსახუროს ქვეყანას.

„მაქებელ განმსწავლელობითა“—იცის ყველაფერი, იცის და დიდი განათლებიდან ამოზრდილი კულტურა ქებისა იქვეა მომარჯვებული. „და არცა ერთსა კეთილთაგანსა შემაშფოთებელ უზომოებითა“. არ უყვარს ზომას გადაცილებული არაფერი — არც შერისხვა, არც შექება, ასე იკითხება ეს შინაარსი. უზომო ქება მომაკვდინებელი, გამაზანტებელი საწამლავია ერისათვის. დიდთან დიდი და პატარასთან პატარა — იტ-

ყვიან ყველაზე უფრო დახვეწილსა და სრულყოფილ კაცზე. დიდი სულიერი კულტურაა საჭირო საამისოდ.

„მაღალ უმაღლესთაათვის და მდაბალ უმდაბლესთათვის" — უფლება არა გვაქვს ორსაე მდგომარეობაში არ წარმოვადგინოთ მეფე. „ღმრთივ გაბრძნობილი" გვირგვინოსანი ურთუულეს საკითხებზე ეკამათება აღმოსავლეთის ბრძენკაცებს, საგარეო პოლიტიკის დახლართულ სისტემას წარმართავს ან უპირისპირდება. მსჯელობს ფილოსოფოსებთან რელიგიურ საკითხებზე, ვარსკვლავთ მრიცხველებთან — ციურ სისტემაზე, მუსულმანებთან — ყურანზე... ამ დროს იგი სიმაღლეების მფლობელია. და ამ სიმაღლეების მფლობელს შეუძლია იყოს „მდაბალ უმდაბლესთათვის". დიახ, იგი ხშირად იდგა ყმათა შორის, ვენახშიც, მშენებლობაზე, წისქვილშიც უთევია ღამე და არავინ დაუმძიმებია თავისი მეფური სიზვიადით, უმალ „გარდაისახებოდა", უმალ დაეშვებოდა მოსაუბრის დონემდე, მისი ენით მეტყველებდა, მისი გამოცდილებით. ისტორიკოსი საგანგებოდ მიანიშნებს ერთ გარემოებაზეც: „მტერთაგანცა საწადელ და საყუარელ სათნოებათა მისთაგან შეკდიმებულთა".

უდიდეს პატივს მიაგებდნენ მტრები აღმაშენებელს, რიდით იხსენიებდნენ მის სახელს თბილისში მცხოვრები მაჰმადიანები. არაბი ისტორიკოსი საგანგებოდ მიუთითებს, რომ არსად ასე თავისუფლად და შეუზღუდავად არ გრძნობდნენ თავს მუსულმანებიო; ეს ყველაფერი დავითის დამოკიდებულების წყალობით. სხვა რიგის საკითხია ეს საკითხი და აქ მხოლოდ იმის საბუთად მოგვაქვს, რომ მტერში აღძრული სიყვარული და პატივისცემა მოვაგონოთ მკითხველს.

ერთ პიროვნებაში შეკრებილი ამდენი ღირსება თავისთავად მეტყველებს რაოდენ უჩვეულო იყო დავით აღმაშენებლის მოვლინება ამქვეყნად. ისტორიკოსი სამართლიანად მიუთითებს, რომ ერთი ამ თვისებათაგანიც კი დიდი რამ არის, არათუ ყველა ისინი ერთად და ყველა ერთ არსებაში განივთებული. დაკვირვებაც კი ძნელია ამ თვისებებზე, არათუ „მიბაძვება". ჩვენ ვიცით, რომ ეს უსაზღვროდ ბევრი დიადი თვისება მაინც არ არის ყველაფერი, რომ მანამ კიდევ არაერთ თვისებას მიეპყრო ჩვენი გულისყური, რომ მოქმედება-

თა ჯაჭვში არაერთი თვისება იკითხება იმ მოქმედებასთან ერთად.

უჩვეულო მოვლენა არის-მეთქი, მაგრამ ეს უჩვეულობა წარმოსდგება სწორედ უნივერსალური სრულყოფის განცდით. ძნელია ამ განცდის შემდეგ ყოველდღიურად, ბუნებრივად აღიქვა მსგავსი რამ, სინამდვილეში კი დავით აღმაშენებელი კანონზომიერი შედეგი იყო ქართული სულის მისწრაფების. იმ მისწრაფებამ ატარა წიაღში არსებული ეს თვისებები, იმ მისწრაფებამ შეანივთა ივი; ამდენად დავითის პიროვნება უჩვეულო არ არის საქართველოსათვის, იგი მისი სისხლი სისხლთაგანი, ხორცი ხორცთაგანია. მისი ძლიერი გენების ბრძნული გონების ნაყოფი და განსხეულებაა.

მემატიანის ყველა ანალიზიდან უკეთილშობილესი პიროვნება წარმოსდგება ჩვენ წინაშე. კეთილშობილური და ზნეობრივად უსპეტაკესი. საგანგებოდ ამახვილებს ამ შინაგან სისპეტაკეზე ყურადღებას ივანე ჯავახიშვილი:

„საზოგადოდ ეტყობა, რომ მეფე ზნეობრივად მეტად ფაქიზი, უმწიკვლო ადამიანი ყოფილა და უსამართლობის ჩადენასა და მიმძლავრებას ერიდებოდა. ამ მხრივ მეტად საგულისხმიეროა, რომ დავით აღმაშენებელი, საქართველოს სამხედრო ძლიერების შემქმნელი და მისი საზღვრების გამაფართოებელი, თავისს მშვენიერს „გალობანი სინანულისანი“-ში ჰგოდებს: „ვერ გამძლარი სხუათა სოფლის კიდეთა ვეძიებდ დასაპყრობელად და ღმრთისა საზღუართა ვაბრალებდი ვითარცა მცირეთა... ბოროტად გარდახვედ საზღუართა და შევრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა და უუძლურებსთა მივხუეშე ნაწილი მათი და ვიღუწიდ უმეზობლობასა. ვითარცა მარტო მე ვმკვიდრობდ ქუეყანასა ზედა!“ იგი მაშასადამე სწუხს, რომ თავის სახელმწიფო მოღვაწეობაში მეზობელთა ქვეყნები დაიპყრა და თავის სამფლობელოს შემოუერთა. მეტად დამახასიათებელია ჩვენის სახელოვანის მეფის დიდებულის სულისა და ფაქიზის სვინიდისისათვის, რომ ასეთს გმირსა და რაინდს — მეომარს, გულის სიღრმეში თურმე ამგვარი ფიქრები აწუხებდნენ!“...

დავით აღმაშენებელმა არაფერი აპატია თავის თავს, რაც კი კაცურ სისუსტეს ოდნავ მაინც გულისხმობდა. არც ის ფაქ-

ტი, რომ დიდმა სახელმწიფო პოლიტიკამ აიძულა მოსაზღვრე მუსულმანურ ქვეყნებში შეჰრიალიყო და უსაფრთხოების მიზნით იმ ქვეყნების გარკვეული ნაწილი დაელაშქრა. ყოველივე ეს მხოლოდ ჩვეულებრივი ამბავია ფეოდალური სახელმწიფოსათვის, მითუმეტეს როდესაც წყდება მუსულმანურ სამყაროსთან პირდაპირ დარჩენილი საქართველოს განმტკიცების საშვილიშვილო პროგრამა. არაა საერთაშორისო სამართლიანობის გრძნობა მოსვენებას არ აძლევს მეფის სულს და თავის უწიკალურ ნაწარმოებში არ ავიწყდება ამის აღნიშვნა. ეს სამართლიანობის გრძნობა იმ პოლიტიკურ ოპერაციებთან ერთად მომაჟალში შეგვახსენებს თავს, იგი მოქმედებაშია „გახსნილი“ და მრავალი კუთხით არის შესწავლილი.

დავით მეფეს ისიც აწუხებდა და განსაკუთრებით აწუხებდა, რომ ქორწინებაში რაღაც უწესობა ჩაუდენია. რა შეცოდება ჩაიდინა ჭაბუკმა მეფემ, ეს არ არის გარკვევით თქმული, მაგრამ ადამიანი, ვინც დიდი პოლიტიკის კარნახით გადადგმულ ნაბიჯებსაც კი უმაღლესი სამართლიანობის პოზიციიდან აკრიტიკებს და თავს იქოლავს, უთუოდ აქაც აზვიადებს თავისი ცოდვის სიმძიმეს. ეს უაღრესად კეთილშობილი ბუნების შინაგანი მოუსვენრობაა, ბუნებისა, რომელსაც არ ძალუძს არსებობა თვითგვემის გარეშე.

ასეთი პიროვნება იდგა ქვეყნის საჭესთან. მისი პიროვნული ღირსებანი ამთლიანებდა მამულის მოვლის ნიჭს. იგი, როგორც დავინახეთ, თავისთავში მოიქცევდა იმგვარ თვისებებს, ისეთ უნივერსალურ შინაარსს, რითაც და რისი წყალობითაც შეიძლებოდა ოცნება გამოუვალი მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანაზე. გრძნობდა რა თავის შესაძლებლობებს, ჭვრეტდა რა ისტორიულ ვითარებას, მისი სიმძიმის მიუხედავად, იგი მიზნის მისაღწევად სწორედ იმას უსახავდა ერს, რაზე ოცნებაც კი არ შეეძლო ადრე. თავის ამ უნიკალურ თვისებებთან და შესაძლებლობებთან ერთად იგი შეიარაღებული იყო სულ სხვა ცოდნით და ეს ცოდნა ყოველმხრივი და სრული, ცოდნა არსობრივი და ამომწურავი, მსოფლიო ისტორიული პროცესისა და საქართველოს ისტორიული მოძრაობის ცოდნას გულისხმობდა უპირველეს ყოვლისა.

ივანე ჯავახიშვილი:

„დავით აღმაშენებლის საყვარელი დარგი ისტორიული მწერლობა იყო. ვითარცა მწერლობის ძეგლებით გატაცებულ მკითხველს, მას დიდი და ძვირფასი წიგნსაცავი მარტო თავის სასახლეში კი არ ჰქონდა, არამედ გზაში და ლაშქრობაში სატარებელი, „სათანაო" წიგნთსაცავიც მოეპოვებოდა: ყველგან, საცა ის მიდიოდა, თან საგზაო წიგნსაცავიც მისდევდა და როდესაც კი მას მოცლა ამის საშუალებას აძლევდა, უმალ კითხვას იწყებდა ხოლმე. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ მისი სახელმწიფო პოლიტიკაც სწორედ ამ საისტორიო თხზულებათა შინაარსის ღრმა ცოდნაზე იყო დამყარებული. წარსულის ძლიერი ერების ბედ-იღბლის და თავგადასავლის ცოდნა მას საშუალებას აძლევდა თავის პოლიტიკურ მოღვაწეობაში გამოეყენებინა. სახელდობრ, ამავე ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ სწორედ ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ცოდნამ დაარწმუნა მეფე, რომ დიდგვარიან აზნაურთა ურჩობა და მოღალატური ქცევა საქართველოს მეფეების წინააღმდეგ შემთხვევითი მოვლენა არ იყო, და ამანვე შეაგნებინა, რომ აგის მოსპობა მხოლოდ შესაფერისი სამხედრო ძალის შექმნით შეიძლებოდა. საქართველოში მუდმივი ჯარის დაწესების აუცილებლობის გადაწყვეტილებაც სწორედ ამაზევე იყო დამყარებული".

სწორუპოვარი მემატიანე არც იმას მალავს და დიდი ივანე ჯავახიშვილიც მიუთითებს, რომ საქართველოს ისტორიულ პროცესზე დაკვირვება პირველი საფიქრალი საგანი იყო აღმაშენებლისათვის. ბუნებრივია, ამგვარი ცოდნისა და გონების კაცი, ამგვარი თვისებების პატრონი სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა, ყოველი მისი წიგნის ჩხრეკა, გააფთრებული ძიება რაღაც საჭირო აზრისა, მისი მოქმედების მიმართულება იმაზე მეტყველებს, რომ აღმაშენებელი დაჟინებით აკვირდებოდა და სწავლობდა მაგისტრალურ გზას, რაც საქართველომ გამოიარა. რას ფლობდა წარსულში და რა აკლდა წარსულში, რომ ქვეყანა ქეშმარიტ ქვეყანას, ხალხი ქეშმარიტ ხალხს დაემგავსებოდაᲐ აი, მისი ფიქრის უმთავრესი მიმართულება. ასეთი არსობრივი შეცნობის გარეშე ის ვერც დიდ მიზანს დაისახავდა და არც ექნებოდა აზრი დიდ აღმართს შესდგომოდა თავის ერთან ერთად. ქართველი ხალხის მიერ გამოვლილ გზას ჩვენც

უნდა გადავაველოთ თვალი, სხვაგვარად ძნელად გავიგებთ, რა ეროვნული მასა მოდიოდა და რა სრულყოფას მიაღწია აღმაშენებლის წინამძღოლობით ერმა.

* * *

„მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთავან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა და განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი“.

ჩვენს ხელთ არსებული წყაროების საფუძველზე ისტორიოგრაფია საქართველოს პირველი გაერთიანების ფაქტს ფარნავაზის მეფობას უკავშირებს (ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნე). ქართველი ხალხის ისტორია, ცხადია, ფარნავაზიდან არ იწყება. სწორედ ის ფაქტი, რომ ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში საქართველოს კუთხეები ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა, რომ მასში ერთი ქართული ენა განივრცო და ქართული მწიგნობრობა შეიქმნა, მეტყველებს იმ ხანგრძლივ პროცესზე, რაც ამ სიმაღლის მიღწევას უძღოდა. დავითის ეპოქასთან დაკავშირებულ მთელ წინარე წარსულს ფარნავაზის სახელმწიფოს სტრუქტურის დახასიათებით მხოლოდ იმიტომ ვიხსენებ, რომ იგი, ყველაზე მაღალი უღელტეხილი შორეული წარსულისა, ერთმანეთთან აკავშირებს ორ დიდ ქვეყანას: — ჯერ კიდევ სახელმწიფო ფორმის მაძიებელ ტომებად დაქსაქსულ ქართველ ხალხს და გამოკვეთილი სახელმწიფო სისტემის მფლობელ ერს. ეს უღელტეხილი თითქოს ერთ მთელად ჰკრავს მთელ პროცესს, ამთლიანებს ტოტებად დანაწევრებულ დიდ მდინარეს. იგი ფაქტიურად ქართველი ხალხის ისტორიის გადასახედია უძველეს დროში, საიდანაც შეიძლება ქვეყნის სათავეების მონიშვნა. სათავეები კი უშორესი წარსულის ნისლში უჩინარდებიან. გამოვლილი გზის დაზუსტებას ქართულმა ისტორიოგრაფიამ უზარმაზარი ენერგია შეალია. მრავალრიცხოვან მკვლევართა არმიის მრავალწლიანი შრომა იგულისხმება გაღებულ ენერგიაში. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ პირველ ტომში კარ-

გად ილანდება ამ გაწეული შრომის კვალი, გზა, რომელიც კვლევის ისტორიამ გამოიარა. მოპოვებული ცოდნისა და არგუმენტების მოხმობა მრავალგზის დაგვჭირდება, მაგრამ, ცხადია, არა მკითხველთათვის საკითხის სრულად და ამომწურავად გაცნობის მიზნით. საქართველოს უძველესი ისტორიის უმთავრესი მოვლენების მიგნება და გაანალიზება ამჯერად ჩვენ გვესაჭიროება დავით აღმაშენებლის დიდ პროგრამასთან დაკავშირებით, რადგან დავითის პროგრამა სწორედ იმ არსებითი მოვლენების შეცნობა-გათავისებას, თუ გნებავთ, გათვალისწინებასაც გულისხმობს.

დავითის მიერ საქართველოს ისტორიული მოძრაობის შეცნობა იმ ძალის ფენომენია, მის დიდ გარდაქმნებს რომ უდგამს სულს და ესოდენ ტევადი შინაარსი აქვს თავის არსში დამარხული. რა გზებით, რა ბილიკებით მოემართება თავისი სრულყოფის ფაზისაკენ ერის ისტორია, შინაგანი და გარეგანი ძალების რაგვარი შეხვედრა-შერწყმის ნიადაგზე ყალიბდება იგი, ამის გაცნობიერების გარეშე ძნელია მოვლენის ახსნა. მითუმეტეს რომ აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოქმედების შინაარსი პირდაპირ მიუთითებს იმ გზის ზედმიწევნით ცოდნაზე, რაც დააგროვა ქართველთა „აწ ხილულნი საქმენის“ შემოწმებამ, ისტორიის ძირების ჩხრეკამ:

„ივანე ჯავახიშვილმა პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში, ფეოდალური საქართველოს გაერთიანება განიხილა არა როგორც ცალმხრივი ისტორიული ფაქტი, არამედ როგორც ვრცელი ისტორიული პროცესი. მან გააფართოვა ამ პროცესის როგორც შინაარსობრივი, ისე ქრონოლოგიური საზღვრები. გაერთიანების ქრონოლოგიურ საზღვრებად ივ. ჯავახიშვილმა IX—XI საუკუნეები დასდო, მაგრამ გაერთიანების პროცესს ის VIII საუკუნიდან, ქართული ადრეფეოდალური სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების დროიდან იწყებდა. ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პროცესს ივ. ჯავახიშვილი ზოგადად მთელი საქართველოს მასშტაბით და ცალკეული სამთავროების ფარგლებშიც, გარეშე მტრის დასუსტების მომენტს უკავშირებს, რითაც ხაზს უსვამს ამ მოვლენის პოლიტიკურ ხასიათს“ (მარიამ ლორთქიფანიძე).

ერის ისტორიული გზის გრძნობა დავით აღმაშენებელს

უკიდურესად გამძაფრებული ჰქონდა. მისთვის აწმყო არ არსებულა აწმყოსათვის, არც მარტოოდენ მომავლისათვის. აწმყო მისგან არც მარტოოდენ წარსულის ნაყოფად განიცდებოდა. იგი ერის მარადიულ მოძრაობას ერთ ორგანიზმად აღიქვამდა და ამ მოძრაობის მასულდგმულებელ კანონზომიერებებს განსაკუთრებულ ანგარიშს უწევდა, აღიარებდა მრავალსაუკუნოვანი მოძრაობის მთლიანობას, და, ეტყობა, ღრმად სწამდა, რომ ქვეყნის აწმყოს მართვა, მხოლოდ ამ მთლიანობის კანონთა გათვალისწინებით თუ მიიღწეოდა. საიდან მოდიოდა, როგორ მოდიოდა, როგორ ვლინდებოდა, რას აღწევდა, რა ღირსებებისა იყო, რა ძალისა, რა შემართების, წინ რა ეღობებოდა, რა გზას კვალავდა, რა შეცდომებს უშვებდა, რაგვარს გეოგრაფიულ და პოლიტიკურ პოზიციაში იმყოფებოდა, რისთვის იყო მოწოდებული, როგორ პასუხობდა ამ მოწოდებას, რა ფორმებით გადმოდიოდა წარსულიდან აწმყოში, რა ფორმებით უნდა გადასულიყო მომავალში... ერის შინაგანი სახის ცნობა — სამივე დროის: წარსულის, აწმყოს და მომავლის ერთდროულად მართვას უნდა გამოსდგომოდა, გონების მზერას უნდა შეეკრა სამივე დრო უწყვეტელობის კანონზომიერებით. ამ ზეადამიანური ძალის ხილვა, შეცნობა და გააზრება მის ფიქრსა და საქმეშია გათქვეფილი. რა ძალით ჩხრეკდა, რა აზროვნებით აკავშირებდა ისტორიული მოვლენების გულისგულს ერთმანეთთან, ალბათ, მხოლოდ მიახლოებით თუ წარმოვიდგენთ ამას, რადგან მოქმედებით აზროვნებდა და არა სიტყვით, არ ეცალა ქაღალდზე თავისი დაკვირვების გადასატანად! ან იქნებ საოცარი „გალობანი სინანულისანი“ მიუთითებს კიდეც აშკარად, ერთი წიგნის ოცდაოთხჯერ წამკითხავი საკუთარ დაკვირვებებსაც რომ მოინიშნავდა პერგამენტზე. მაგრამ ისტორიის ხანძრებმა და ნაწილობრივ ჩვენმა დაუდევრობამ სხვა რა შეგვარჩინა სისრულით, რომ ბრძენი მეფის ის ჩანაწერები შეერჩინა, საბედნიეროდ, ჩვენ ხელთა გვაქვს უდიდესი წიგნი, რასაც მოქმედებით აზროვნება ჰქვია. ამ მოქმედებათა სისტემაში დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს ფიქრის განუწყვეტელ და ძალუმ მოძრაობას.

ისტორიულ გზას ქართველი ხალხი თავისი ხასიათით, საკუთარი ძალითა და გონებრივი შესაძლებლობებით იწალდავ-

და. გეოგრაფიული პოზიცია, სახელმწიფოდ ჩამოყალიბების, შემდეგ პოლიტიკურ პოზიციად იქცა მისთვის. სანამ ქვეყანა სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა, მისი ცხოვრებისა და ბრძოლის წესი ჯერ კიდევ არ ითხოვდა ამ პოზიციას. იგი მოგვაგონებს ნიაღვრის გაფანტულ ტოტებს, ერთმანეთს რომ ეძებენ უკიდეგანო სივრცეზე და უჩინარი ძალა აპოვნინებთ ერთ კალაპოტს, სადაც თავს მოიყრიან და ერთმანეთით განძლიერდებიან.

ისტორიკოსები ასურეთისა და ურარტუს მეფეთა წარწერებზე, ბერძნულ, სპარსულ, არაბულ, ქართულ და ეომხურ წყაროებზე დაყრდნობით ცდილობენ შეაკოწიწონ ჩვენი წარმოდგენები დიაოხასა და კოლხას უძველეს გაერთიანებებზე, დაამკვიდრონ მყარი მოსაზრება ქართველთა წარმომავლობის შესახებ. ფაქტი ერთია: მუშქების, მოსხების, მოსინიკების, თუბალების, მაკრონების და სხვა ტომობრივ გაერთიანებათა არსში ის მოძრაობა იკითხება, რაც ქართველი ხალხის ჩამოყალიბებას უძღოდა წინ.

აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი, ახასიათებს რა საქართველოს უძველეს და მსოფლიო ისტორიის წყაროებს, გვაწვდის ობიექტურ და გამოწვლილვით ანალიზს ქართველთა იმდროინდელი გაერთიანების შესახებ. ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული ტრადიციების ერთგული, იგი ცდილობს მიუკერძოებლად წარმოადგინოს ჩვენი ქვეყნის უძველესი ისტორიის სურათები, რაც შეიძლება მეტი ცოდნა გამოსტაცოს ძუნწ ცნობებს, რაც შეიძლება მეტი დამაჯერებელი მასალით შეავსოს ჩვენი წარმოდგენები.[1]

---

1 ეყრდნობა რა ვ. ბარდაველიძის, რ. ხარაძის, გ. ჩიტაიას, აკ. ურუშაძის, ნ. ლომოურის, თ. ყაუხჩიშვილის, თ. მიქელაძის, ნ. კეჭაღმაძის, ალ. გამყრელიძის, გ. წერეთლის, ეკ. თაყაიშვილის, პ. ინგოროყვას, ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, ილ. აბულაძის, თ. ჟორდანიას, გ. გაფრინდაშვილის, მ. დუმბაძის, ალ. კალანდაძის, ო. ჯაფარიძის და სხვათა გამოკვლევებსა და პუბლიკაციებს მკვლევარი არსებულ წყაროთა მოშველიებით მაქსიმალურად მიეკვახლოებს უშორეს ამბებთან, რათა კონტურები მაინც მოეხილოთ იმდროინდელი ქართული გაერთიანებებისა, ბუნდოვნად რომ მიანიშნებენ ერთიანი ქართული სამყაროს არსებობის შესაძლებლობაზე.

• • •

რა ისტორიული ფაქტები და მოვლენები ეძლეოდა დაკვირვებისათვის დავით აღმაშენებელს, ცხადია, ამის განსაზღვრა აქედან ძალზე ძნელია. იქნებ არსებობდა ფაქტები, მოვლენები, რომელთა მნიშვნელობა ჩვენი წარსულისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ დრომ წაშალა მათი კვალი, დაფარა მიწამ დიადი საქმე, დიდი პიროვნების ნამოღვაწარი, ხალხის შემართების უდიდესი გამოვლინება. მაგრამ მოვლენების ნაშთიც ნათლად მეტყველებს, რომ ისინი დავითის დროისათვის მეტი სისავსით, მეტი სისრულით იქნებოდნენ წარმოჩენილნი და მათი შინაარსიდან დავით მეფეს იმაზე მეტის ამოკითხვა შეეძლო, ვიდრე დღეს შეგვიძლია. უფრო ნაკლები სისქის ფენა ეყარა მტვრისა, „ისტორიულ თხზულებათა“ ის საარაკო რაოდენობა საგულისხმო ცნობებს შეიცავდა! ის, რაც ჩვენ ვიცით ფარსმან მეფის (ქველის) შესახებ, ასევე ან უკეთესად იცოდა დავით მეფემ, მიუხედავად იმისა, რომ უცხოური წყაროების გარკვეული ნაწილი, რასაც ჩვენ ანალიზისას ხშირად გეყრდნობით, მის ხელთ არ შეიძლებოდა ყოფილიყო გასაგები მიზეზების გამო, როგორც ჩვენ არა გვაქვს დღეს, ასევე გასაგები მიზეზების გამო, ის წყაროები, რასაც დავით მეფე ეყრდნობოდა. მაგრამ აღმაშენებელსა და მის შთამომავლობას შორის საერთო წყაროებიც დგას და მათი მეშვეობით დიდი წინაპრისა და ქართული ისტორიოგრაფიის მზერა ერთი და იმავე მოვლენის გულისგულს წვდება.

დავით მეფე, ცხადია, მნიშვნელოვან და უმნიშვნელო დეტალს თანაბარი გულისყურით აკვირდებოდა. უმნიშვნელო დეტალების ხიდით ქვეყნის ისტორია იმ მნიშვნელოვანს უერთდებოდა, ამაღლების დიადი დრო დაცემის ეპოქის ნაწყვეტებისაკენ მიეშურებოდა. იქ, იმ დაცემის ხანაში, უსახური ეროვნული ცხოვრების დეტალებში მისთვის თავს აფარებდა დიდი ცოდნა, ასევე დიდი გამოცდილება, თავს აფარებდა საგნობრივი მიზეზები და კონკრეტული საქმეები. და ეს მონაკვეთები, ალბათ, მისთვის არანაკლებ საინტერესო იყო. იქნებ სწორედ მათი წაკითხვა იძლეოდა გაცილებით მეტს, ვიდრე მობილიზებული ქვეყნის სასახელო ამბები, ან გონიერი მეფეებისაგან მოწეული სიკეთენი. „რაზეც მეტყველებენ საქმენი აწ ხილულ-

ნიო", — მწარედ რომ იტყვის ისტორიკოსი, იქვე მეღაღადება, დაცემის მიზეზების ანალიზმა რომ მოიტანა ეს სიბრძნე. სწორედ უფერული, ბედწამხდარი ცხოვრების წლებშია ამოკითხული შედეგი.

დიადი ეპოქების შინაარსში თვალი ძნელად ამჩნევს არსებით ნაკლს, სწორედ ამ დიდების დროთა იქით არის გადაჭედული დავითის სამეფო კარი, იმ უსახურ, ნირწამხდარ ცხოვრებაშია ამოკითხული ქვეყნის გაუბედურების მიზეზები. ჩვენთვისაც არანაკლებ მნიშვნელოვანია დღეს საქართველოს ისტორიის ამ უფერული ფურცლების დაჟინებით წაკითხვა, რადგან ის ფურცლები, ესოდენ მრავალრიცხოვანი, ერთი წიგნის შემადგენელი ფურცლებია. დიდი მოცულობისაა მათზე გადაჭროლება და სულის ამამაღლებელი გამარჯვებების ამბებთან მივარდნა სინამდვილის სურათს ვერ შეცვლის. ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გამოიაროს ფიქრმა იმ უფერული, ხშირად სამარცხვინო დღეების, წლების მწკრივი და გაითავისოს ყველაფერი, რაც გზადაგზა შეხვდება, რადგან ჩვენია ის ყველაფერი, თავისი ცოდვით და მადლით, რადგან უნდა ვიცოდეთ ეს ყველაფერი. საამისოდ გაიღო ქართულმა ისტორიოგრაფიამ კოლოსალური ენერგია. დღემდე ივსება და მომავალშიც შეივსება ცოდნა ახალი მყარი საბუთებით, ახლა მთავარია ჩვენი გულისყურის მობილიზება, რომ სრულად და სრულფასოვნად წავიკითხოთ იგი.

დავით მეფე არსობრივი მნიშვნელობის ფაქტებს შეისრუტავდა თავისი გონებით, სულ თვისებებზე გადაჰქონდა ყურადღება. ისტორიკოსის ნაშრომში პირდაპირ დაჟინებულია ეს ცქერა, ანალიზის ეს არნახული მოთხოვნილება. სულ დაკვირვების პროცესს გვიხატავს, დაკვირვების საგანზეც აშკარად მიუთითებს.

ჩვენს წარმოდგენაში წინაპრები ზოგჯერ სულ ერთმანეთის გვერდით და ერთ სიბრტყეზე არსებობენ. ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, თითქოს ყოველ მათგანს თანაბარი დროით ვიყოთ დაშორებულნი, ამიტომ შესაძლოა შეგვაცბუნოს კიდეც იმის დაზუსტებამ, რომ ფარნავაზი დავით აღმაშენებელზე ადრე ათას სამასი წლის წინათ მართავდა ქვეყანას. ათას სამასი წლის წინათ! უფრო ადრე კი დიაოხასა და კოლხას სა-

ხელმწიფოებრივი გაერთიანებები — მართალია, პირველყოფილი, რამდენადმე პრიმიტიული, მაგრამ მაინც პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები. ყველაფერი ამის მოგონება იმისათვის გვჭირდება, რომ მთავარი ნიშანსვეტები მოვინიშნოთ შინაგანი სრულყოფისა და მობილიზების მაღალი ფაზისაკენ მიმავალ გზაზე. ჩვენ იმ ნიშანსვეტების შემადგენელი კონკრეტული ფაქტების ანალიზი დაგვანახებს, როგორის თანდათანობით, როგორი წყვეტილი თანდათანობით იკრებდა ქვეყანა თავისი ყოფის საუკეთესო ფორმებს და წესებს. როგორის თანდათანობით იკვეთებოდა ეროვნული ბუნების მთავარი თვისებანი და როგორ ემიჯნებოდა მეცნიერული საზღვრების დონეზე სხვა ქვეყნებს. როგორ ჩნდებოდა შინაგანი შესაძლებლობების გამამყარებელი პირველი ნიშანსვეტები, როგორ თანდათანობით ერთიანდებოდა ეროვნულ ენერგიად საერთოობის მაუწყებელი ნიშნები და ლამობდა სწორედ საერთო კალაპოტის გაკვრას, სადაც ყველა მდინარე მოიყრიდა თავს.

• • •

ქვეყნისა და ხალხის სასიცოცხლო ტალღა ტალღას უხმობდა, იკრებდა, იერთებდა, ეცემოდა, ფერხდებოდა, ისევ შეიმართებოდა და კვლავ პოულობდა დაკარგულ რგოლებს, გაგლეჯილ კავშირებს, რათა პროცესის ჯაჭვი აკინძულიყო. ეს გამუდმებული ძახილი სურვილების, მისწრაფებათა, მიზნებისა, ერთმანეთის ხმობა და ერთმანეთისაკენ ლტოლვა მთელ წინარე საუკუნეებს გვაკითხებს. „და ესე ფარნავაზ იყო პირველი ნეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (ლეონტი მროველი).

ფარნავაზ მეფის სახელთან არის დაკავშირებული უდიდესი ეროვნული მოვლენა—ქართული ტომების ერთ ეროვნულ ერთეულად გაერთიანება და სახელმწიფო ენად ქართული ენის დაფუძნება. დრომ, ულმობელმა ისტორიამ ჟანგით, ცეცხლით, წვიმითა და წარღვნით გაანადგურა ყველა წყარო ან საგულდაგულოდ დამარხა მიწის ქვეშ, წყარო, რომლის წყალობითაც უფრო

დაწვრილებით, უფრო კონკრეტულად, უფრო ყოველისმომცველად შეიძლებოდა იმ ისტორიული პროცესის აღდგენა, რასაც ესოდენ გრანდიოზული შედეგი მოჰყვა — მონათესავე ქართველ ტომთა ქართველ ხალხად გაერთიანება და მონათესავე ქართველურ ენათა ერთ ქართულ ენად ჩამოყალიბება. ფაქტები და მოვლენები დგანან ამ შედეგის უკან. ერთი ხელის დაკვრით ახსად, არასდროს, არავისგან არ შექმნილა მსგავსი რამ. ამ შედეგს უკან იგულისხმება სწორედ ის ურთიერთმოწოდება, ურთიერთმოხმობა სისხლისა, ნიშნებისა, თვისებებისა, ტომებს რომ ადუღაბებდა ეროვნულ სხეულად, საერთო კალაპოტს რომ ჭრიდა და შიგ ჩაღვრიდა ყველა მდინარეს. ეს იმ პროცესზე, რაც თანდათანობით, ძველი წელთაღრიცხვით იმ საუკუნემდე მწიფდებოდა. თავად ფარნავაზის მისია კი სხვა პრობლემაა, იგი ამ პროცესებისაგან მომწიფებული სისხლის შვილია, თავისთავში რომ იპოვა დიადი გაერთიანების მაღალი აზრი, ამ გაერთიანებისათვის საჭირო ენერგია და უნარი.

რომაელებთან ბრძოლაში დამარცხებული იბერიელები თავიანთ სისუსტეს კი არ ავლენენ, ეროვნული ძალმოსილებისაკენ თავიანთ დიდ მისწრაფებას გვიდასტურებენ. შინაგანი სისუსტით ნასაზრდოები შეხედულება როგორ დაუშვებდა რომაულ ლეგიონებთან შებრძოლების აზრს. ასეთი სისუსტე გაქცევას ან დანებებას კარნახობს. აქ კი პომპეუსს სპეციალური ხიდის აშენება დაჭირდა მტკვარზე, მცხეთის მახლობლად, რომ განეხორციელებინა რომის იმპერიის გეგმა — იბერიის სრული დაპყრობა. შინაგანი ღირსებების შეგრძნება, შინაგანი ძალმოსილების დაძახილი არ ანებებდა იბერიელებს მსოფლიოს დამპყრობლებს დანებებოდნენ. ენერგია ამ დამარცხებაშიც ავლენდა გამართული სვლის წყურვილს, დაუოკებელ წყურვილს.

ანტიკური კოლხეთის გაუთავებელმა ჭიდილმა ბერძნულ სამყაროსთან ყველა ფორმაში აახილა თვალი. კულტურული, ყოფითი, სამხედრო ხელოვნების ფორმებით ანტიკური კოლხეთი გავიდა უთანასწორო, მაგრამ ღირსეულ ბრძოლაში. თავისი ხალხის სული ამ ბრძოლის წყალობით ცივილიზებული მსოფლიოს ყველა დარბაზში შეახედა, შეაგრძნობინა, რომ ანა-

ლოგიური სრულყოფისათვის მას თითქმის ყველა მონაცემი ჰქონდა. მთელი ტანით გრძნობდა ხალხი ამ შინაგანი მონაცემების დაძახილის ფარულ ენთუზიაზმს. ფაზისის აკადემიაში ან ციხე-გოჯის ანსამბლში მიბაძვის შედეგი კი არ იკითხება, დაინახება შინაგანი მდგომარეობის გამოსამზეურებელი არგუმენტი. აქ ბერძნული სამყარო მხოლოდ ინტელექტუალურ ბიძგად თუ გამოდგებოდა. აზრის ველურ ენერგიას და ველურ უმოძრაობას ინტელექტუალურ სამყაროსთან შეხება მხოლოდ დასანგრევად თუ განაწყობს და არა აღსაშენებლად და აკადემიის დასაარსებლად.

იმის მიხედვით, თუ რომელი სარწმუნოება იკიდებს ფეხს ხალხში, მიახლოებით მაინც განისაზღვრება ხალხის სულიერი სამყარო. საით მიისწრაფვის იგი შინაგანი იმპულსებით, ცნობიერი თუ გაუცნობიერებელი ზრახვებით, საით უხმობს სულისკვეთება, რა მსოფლმხედველობას მოერგება მისი ეროვნული მოდელი, რით შეივსებს გონებრივ სივრცეს, რა რწმენით დაამყარებს კონტაქტს გარემომცველ სამყაროსთან. ყველაფერი მეტნაკლები სისრულით იკითხება სარწმუნოების არჩევანში.

ქართველმა ხალხმა ქრისტიანობა აირჩია. ქრისტეს მოძღვრებაში ქართველმა ხალხმა დაინახა თავისი ხასიათის შესატყვისი შინაარსი და ძალა, რაც მის ბუნებას სრულ გასაქანს მისცემდა გამოსავლინებლად. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მოწმდებოდა ეს პროცესი. აფხაზებისა და მეგრელების გაქრისტიანების ფაქტი პირველ საუკუნეში, სიმონ კანანელის მოღვაწეობა, ქრისტიანთა არსებობა ქართლის მეფის კარზე საყოველთაო გაქრისტიანებამდე, თავისთავად მეტყველებს, როგორ მოწმდებოდა ქრისტიანიზმის არსი — რა მოჰქონდა მას, რას სთავაზობდა ხალხსა და ქვეყანას? რა პერსპექტივები ჩნდებოდა, რას უკარნახებდა ეროვნულ ქართულ სულს? ყველაფერზე ფიქრობდა ერის გონი! რაღაც მზადდებოდა ხანგრძლივ და მოუწყინრად. ფაქტია, ქვეყანა მიელტვოდა თავის საბოლოო რელიგიურ შინაარსს.

ქრისტიანობამ გადაარჩინა ქართველი ერი. მან ერთის მხრივ საშუალება მისცა ქართველ ხალხს მოეხდინა თავისი

ეროვნული სახის იზოლაცია იმდროინდელი მაზდეანური სპარსეთისაგან, დაეხსნა თავისი არსებობა აღმოსავლეთის ძლიერი სახელმწიფოების ოკეანეში გათქვეფისაგან. ეს კი მოსალოდნელი იყო, გარდუვალი ჩანდა გარემომცველი არაქრისტიანული ხალხების ზღვაში ჩაძირვა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად ეროვნული მეობის დაკარგვა.

ქრისტიანობამ ახლო აღმოსავლეთისაგან სწორედ ეროვნული თვისებებით გამიჯნა ქართველი ხალხი, წარმოაჩინა მისი მკვეთრი განსხვავებულობა და ისიც ცხადყო, რომ ამ ხალხის სხვა ხალხში გათქვეფა ყოველად წარმოუდგენელი იყო. ამიტომ აღმოჩნდა ქრისტიანობა განუსაზღვრელი მნიშვნელობისა ქართველი ხალხისათვის, „რჯული ჰეშმარიტი". უჭირდა აგრესიულ აღმოსავლეთის ქვეყნებს თავისი რელიგიის აქ შემოტანა, იგი არნახულ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

მაშინაც კი, ოდეს სპარსეთისა და არაბეთის, შემდეგ თურქეთის პოლიტიკური ექსპანსიიის წყალობით ქვეყანა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას კარგავდა, თავისი თავი „მტკიცედ ჰქონდა მოზღუდული". უზუსტესი ფრაზაა იაკობ ცურტაველის ეს ფრაზა — („მოიზღუდა თავი მტკიცედ"). საუკუნეთა განმავლობაში ასევე „მტკიცედ მოიზღუდა თავი" საქართველომ ქრისტიანობის წყალობით.

ქრისტიანობის მიღების გზით ქვეყანამ სამუდამოდ დააკავშირა თავისი სულიერი კულტურა ევროპასთან. ახლა ურთიერთობის ათასობით არხი ჩნდებოდა. შენიღბულ ექსპანსიურ ფორმებს იქით ქრისტიანული რელიგიის მიერ გაჭრილი ახალი არხები დიდ თავისუფლებას ანიჭებდა აზრის მოძრაობას, მისი ბუნების გამონათებას. საქართველო და ქრისტიანული ევროპა უკვე სულ სხვა რიგის სისტემას გულისხმობს.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ქრისტიანობის მიღებამ გამოიწვია ურთიერთობის მკვეთრი გამწვავება: კერძოდ, სპარსეთთან, შემდეგ არაბეთთან, შემდეგ თურქეთთან, მონღოლეთთან... საქართველო და სომხეთი ქრისტიანული სამყაროს განაპირა და უკიდურესი წერტილები იყვნენ აღმოსავლეთში. აქ, ამ ტერიტორიაზე, როგორც საზღვარზე, ისე ხვდებოდა ერთმანეთს ევროპისა და აღმოსავლეთის ინტერესები. თვისობრივად განსხვავებული რელიგიები ეჯახებოდ-

ნენ. ორივე ქვეყანა ფაქტიურად ბრძოლის არენად იქცა. ამ ბრძოლის არენად გადაქცეულ ქვეყანაში უნდა შეენარჩუნებია სულისა და ხორცის სიმტკიცე ქართველ ხალხს. სწორედ რჯულის გამო დაუსრულებელი წინააღმდეგობა უნდა ჰქონოდა ვეებერთელა სახელმწიფოებთან. სულ უნდა ებრძოლა მათი ცდების წინააღმდეგ, სულ თავი უნდა დაეცვა, უარეყო მათი წინადადებანი. ისინი კი ცდას არ დაიშლიდნენ, ისინი ახლოს იყვნენ, გაცილებით ახლოს, ვიდრე ევროპა. ყოველ შემთხვევაში, გაცილებით აგრესიულები გახდნენ ამის შემდეგ. მაგრამ ქართველ ხალხს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი არსებობის ანი და ჰოე, მხოლოდ საუკუნოვან ბრძოლებში უნდა ეწრთო ხასიათი და შეენარჩუნებინა დამოუკიდებელი სახე. ეს მის ბედისწერად იქცა. მაგრამ მუდამ თვლიდა, რომ ღირდა განუწყვეტელ ბრძოლად ეროვნული მეობის შენარჩუნება. ღირდა წამებად ეს თვითდადგინების პროცესი.

მოწამეთა ტვირთიც რამდენადმე განსხვავებული ჩანდა ჩვენს ქვეყანაში, იგი ქრისტეს რჯულთან ერთად ეროვნულობის გადარჩენასაც მოასწავებდა. ორთავეს ერთდროულად იცავდა ხელყოფისაგან.

ამიტომ ქრისტიანობა ღრმა შინაარსით მდიდრდება ქართველი კაცისათვის. მას, როგორც განსაკუთრებულ მოვლენას, ისე განიცდიდა პირველ ხანებშიც და შემდეგაც. სულ ახსოვდა, სადამდე აამაღლა ამ მოვლენამ, რას გაემიჯნა მისი წყალობით, სად დაიმკვიდრა კუთვნილი ადგილი. ძნელი იყო ამ სიმაღლის მოპოვება და მისი დაცვაც, რადგან წამლეკავი ტალღები მუდამ იმ სიმაღლეს იყო დამიზნებული. მართლაც განუსაზღვრელ შინაარსს იტევს სიტყვა „მოქცევა". ქართველი ხალხი მთელი არსით შემობრუნდა თავის ისტორიულ გზაზე.

არც ერთი აზრი, ჩემს მიერ გამოთქმული, არ ატარებს პრეტენზიას, თავს მოვახვიო იგი მკითხველს. მე მინდა ყველა მოსაზრება მხოლოდ გავუზიარო მას. მინდა გავუზიარო ის დაკვირვებაც, რომ ფარნავაზ მეფე, ვახტანგ გორგასალი და დავით აღმაშენებელი საოცრად გვანან ერთმანეთს. დიახ, საოცრად ჰგავს ვახტანგ გორგასალი დავით აღმაშენებელს. იმ დროს, როდესაც ვახტანგ გორგასალი მოღვაწეობდა, წარმოუდგენელი იყო მეტის გაკეთება. ერთ პიროვნებას მეტი არ შეუძ-

ლია. ვახტანგ გორგასალმა გააკეთა უმთავრესი — მან სამზეოზე ამოიტანა თავისი ხალხის გმირული სულისკვეთება, განუზომელი მისწრაფება სახელმწიფოებრივი ძლიერებისაკენ. ეს სულისკვეთება გაამეღავნა დიდმა ომებმა, რასაც იგი იხდიდა და რომლებშიც იგი ასე ძლევამოსილი ჩანდა. და თუ შედეგი იმ მასშტაბისა არ იყო, რაც დავით აღმაშენებლის ბრძოლებს მოჰქონდა ქართველი ხალხისთვის, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დროს და ქართველი ხალხის განვითარების დონეს მეტის მოცემა არ შეეძლო. ქრისტიანობა ახალი რელიგია იყო, იგი გზას იკაფავდა, ეროვნული ენერგიაც ასევე ახლა იმართებოდა წელში. სრულყოფილების გზაზე ერთი ხელის დაკვრით ყოველივე არ გასრულდება.

მაგრამ აღმასვლისა და შინაგანი მობილიზების გზაზე ვახტანგ გორგასალის მოსვლა მოასწავებდა უდიდეს ნაბიჯს. ქრისტიანულ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს უკვე სერიოზული პრეტენზია ჰქონდა გაცხადებული ძლიერებაზე. მან დააფიქრა გარემომცველი მტრული ძალები.

არაბთა ოთხასწლიანი ბატონობა იყო ხანგრძლივი გამოხატულება იმ ისტორიული უიღბლობისა, რაც თავისი გეოგრაფიული პოზიციის გამო არაერთხელ განიცადა ქართველმა ხალხმა. მას უმძიმესი გამოცდა მოუწყო ამ მოვლენამ, მოიწადინა მისი დაჩოქება, მიწის პირისაგან აღგვაც კი. გადაგვარება თუ გათქვეფა საბოლოო განაჩენივით იკითხებოდა. ოთხი საუკუნის მანძილზე მიყენებული ღრმა ჭრილობები შესაძლოა მომაკვდინებელი აღმოჩენილიყო, განსაკუთრებით მურვან ყრუს გააფთრებული თავდასხმები. მურვან ყრუმ ყველაზე მძაფრად შეიგრძნო ქართველი ხალხის წინადგომის, შეუპოვრობის საშიშროება არაბეთისათვის და მოიწადინა ამ ნიშნის წაშლა ქართველი ხალხის ბუნებაში. ამ დიდ „პერმანენტულ ბრძოლებში“ (კონსტანტინე გამსახურდია), რაც ჩვენმა ხალხმა გადაიხადა, გამოვლინდა სწორედ ქვეყნის გაცოცხლებული თვისებების ძალა, მასშტაბები, სიმტკიცე, შეუვალობა. ამ გამოცდამ დაადასტურა, რომ აღმასვლის პროცესის დამუხრუჭება არაფერს არ შეეძლო. გაზაფხულის მსგავსად ყველაფერი გაფოთვლას ესწრაფვოდა, აფეთქებას, ამოფრქვევას, განფენილობას. ისტორიული ეპოქების მუხრუჭები ცვდებოდა

ამირანის აჯანყებული კუნთების და აზავთებული სუნთქვის გარშემო, ეროვნული ენერგია განუწყვეტლივ მოძრაობდა, კუთხიდან კუთხეში ინაცვლებდა, ტაოში შეჭირვებული ქართლში გადმოდიოდა, ქართლში შევიწროებული ლიხს იქით ავარდებოდა. კახეთში გამოტეხდა თუჯისფერ ზედაპირს და მაღლა ამოჰქონდა გამთლიანების წყურვილი, შემართება და გაცხადების ნიშანი.

ტაო-კლარჯეთის სულიერი და ფიზიკური აღორძინება მეცხრე საუკუნიდან ასე ხმამაღლა გამოცხადებული, უკვე სულ სხვა შინაარსის აღორძინებას მოასწავებდა. ქართველი ხალხის კულტურულ-სულიერი პოტენციალი მაქსიმალური სისავსით იწყებს გამოვლენას. რაც შეეხება გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობას, იგია უპირველესი საბუთი იმისა, რომ ქვეყანას უკვე შინაგანად აღარ შეუძლია ძალმოსილების გარეშე არსებობა, იგი მთელი თავისი შესაძლებლობის გამონათებას ესწრაფვის, ღირსეული არსებობის სამარადისო ფორმებს ეძიებს, პოულობს და ამკვიდრებს თავის მიწაზე.

დავით კურაპალატის, ბაგრატ მესამის, ლეონ აფხაზთა მეფის, გიორგი პირველის, ბაგრატ მეოთხის და გიორგი მეორის მოღვაწეობის ხანა ერთდროულად მოასწავებდა დიდ შინაგან შემზადებას ქვეყნის ნამდვილი სახის დასადგენად.

კულტურული ძეგლების განფენილობა საქართველოს საზღვრებს გარეთ ამავე საუკუნეებში ნიშნავდა ღირსეული ქვეყნის ურთიერთობას ცივილიზებულ სამყაროსთან, ამ ურთიერთობის ყველაზე მაღალი დონის დაუფლებისაკენ მისწრაფებას.

მთელი ეს ისტორიული გზა, ათასი სხვა ფაქტითა და მოვლენით დახუნძლული, შესწავლილი ჰქონდა დავით აღმაშენებელს. ამ გზაში იგი ჰვრეტდა წარსულს, სამარადისოდ გაქვავებულ ძალებსაც, ჩამხმარ საქვეყნო ძარღვებსაც და ახლად გაჩენილივით მფეთქავ ეროვნულ ენერგიასაც, ჰვრეტდა სამომავლოდ დაძრულ დინებებს და მოუსვენარ ფორმებს, რომელიც მოქმედ ერთეულებად გადმოეცემოდა და აქტიურ მემკვიდრეობად აგრძნობინებდა თავს.

• • •

მტრისაგან საქართველოს განთავისუფლება, ქვეყნის ადმინისტრაციული გაერთიანება, თურქ-სელჩუკთა ურდოების გადარეკვის ამოცანა დავით მეფის მისწრაფებათა გზაზე თავისთავად იმდენად მასშტაბური, ძნელად აღსასრულებელი თუ გადასაჭრელი იყო, რომ უფრო მეტის მიზნად დასახვა უმძიმეს დღეში ჩავარდნილი ქართველი კაცისათვის არარეალურობად აღიქმებოდა. დავითის მოქმედებათა სისტემაში, სანამ შედეგი უფრო ზუსტად და ნათლად იტყოდა, მალე გამოიკვეთა სწორედ ის არარეალურად მიჩნეული გრანდიოზული პროგრამა.

განთავისუფლებული საქართველო, დამოუკიდებელი ხალხი, და ადმინისტრაციულად გაერთიანებული ქვეყანაც ახსოვდა ისტორიას, იგულისხმება, პირველ ყოვლისა, ფარნავაზის საქართველო, შემდგომ ბაგრატ მესამის საქართველო, ახსოვდა ვახტანგ გორგასალის ძლიერი ქართლი, დავით კურაპალატის ტაო-კლარჯეთი, მაგრამ საქართველოს რომელიმე ერთი მხარის თაოსნობით მოპოვებული ეს მდგომარეობა არ გულისხმობდა ჯერ კიდევ იმ ხარისხს, ერთიანი ქვეყნის ფსიქოლოგიას რომ ჰპირდებოდა, მასში სწორედ ერთ-ერთი მხარის მოწინავეობა ჩანდა აშკარად და ის მოწინავეობა გარკვეულ უპირატესობად იგრძნობოდა. ერთიანი საქართველოს ფსიქოლოგიას, პირველ ყოვლისა, ქვეყნის სათავეში რომელიმე მხარის ჩადგომა ემუქრებოდა და საბოლოოდ სხვა გარეგან და შინაგან მიზეზებთან ერთად იგიც შლიდა. ერთიანი საქართველოს სრულყოფილი შინაარსისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სწორედ ამ პრობლემის ძირფესვიან გაანალიზებას და შესწავლას.

მოქმედებათა სისტემას სანამ ამ თვალსაზრისით გავაანალიზებდეთ, მანამ უწინარეს ყოვლისა, იმ მოქმედებათა ქსოვილში, რაც ასე თვალნათლივ იკითხება, ერთ ფაქტს უნდა მივაქციოთ ყურადღება. დავით მეფე, აშკარად ეტყობა ეს საქმეს, საგულდაგულოდ სწავლობდა ქართულ სამყაროს, მთლიანობაში ჭვრეტდა მას და მთლიანობაში განიცდიდა — საიდან სადამდე იყო განფენილი ქართველთა ქვეყანა, რამდენი მხარისა და კუთხისაგან შედგებოდა ის. რაც ვახუშტი ბაგრატიონმა მეთვრამეტე საუკუნეში აღწერა მეცნიერულად, მეცნიერულად-

ვე შესწავლილი ჩანს დავითის დროში. უფრო ადრე კი, დავითამდე 1300 წლის წინათ პრაქტიკულად ქართველი კაცის გონება ფლობდა ყველა გზას, რომლებიც მისი კუთვნილი ქვეყნის ყოველი კუთხისა და მხარისაკენ მიემართებოდა. მერე და მერე კი, დავითის ეპოქამდე, ალბათ, არაერთი მეცნიერული ნაშრომი იღვწოდა სიზუსტისათვის. ვახუშტი ბაგრატიონი მკვდრეთით აღადგენს ქვეყნის მეცნიერული შესწავლის ოდინდელ ტრადიციას. ზემოთ, ვფიქრობ, გარკვევით არის გაანალიზებული დავითის ისტორიკოსისა და ივანე ჯავახიშვილის მიერ მითითებული მოვლენა, ალმაშენებლისაგან საქართველოს წარსულის ცოდნა, მითითებულია უამრავი წიგნის არსებობაზე, რომელიც დიდ ცოდნას უყრიდა თავს და რაზე დაყრდნობითაც მეფე ამომწურავად შეიცნობდა თავის ქვეყანასა და ხალხს.

ტაო, კლარჯეთი, ქართლი, კახეთი, ჰერეთი, მესხეთი, ჯავახეთი, იმერეთი, სამეგრელო, აჭარა, გურია, აფხაზეთი, რაჭა, სვანეთი, მთიულეთი, ერუშეთი, შავშეთი... საქართველოს გეოგრაფიასავით მრავალფეროვანი ხასიათები კუთხეებისა, მხარეებისა—ეს იყო მრავალფეროვნებაში განფენილი ქართული ხასიათი, დაუფლებული ამდენ მხარესა და კუთხეს; პატრიარქალური ცხოვრების ეპოქიდან იგი მშვიდად, თანდათან მიემართებოდა უფრო სრული ფორმებისაკენ, მაგრამ არაფერი არ ხდებოდა ისეთი, შავშელი ან ქართლელი კაცის ბუნებისათვის ძირფესვიანი ძვრა რომ ეყო. ქართველები რომ იყვნენ სულით და ხორცით, ეს ყველა კუთხეში შესანიშნავად იცოდნენ, ყოველ კუთხეს ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებული ზნე და ხასიათი რომ ჰქონდა, ესეც შესანიშნავად უწყოდნენ, და ჟამი-ჟამ, ერთადაც შეკრებილან საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. გაერთიანებული საქართველოს დროშაც აფრიალებულა, მაგრამ დროებითმა შემართებებმა არ იკმარა.

დავითის წინაშე ახლა სულ ამ განფენილი და ერთმანეთისაგან საგრძნობლად განზიდული კუთხეებისა და მხარეების ხატი ტრიალებდა. ძვირფასი იყო ის თვისებები, აფხაზის, მეგრელის, კახელის ან ქართლელის ბუნებას რომ წარმოაჩენდა თავისი ფენომენალური დამოუკიდებლობითა და შეუვალობით. ყოველ კუთხეში ენთო საქართველოს სიყვარულის

გრძნობა. არც ერთი კუთხის შვილი არ ყოფილა ეროვნული გრძნობისაგან დაცლილი. არც მთიელი და არც სვანი, არც ქართლელი და არც ბასიანის მკვიდრი. ახლოს, ძალიან ახლოს მისვლას ითხოვდა ყოველი მხარის სული და გული. ზედაპირულ შესწავლასა და დამოკიდებულებას ირეკლავდა, არ პატიობდა იგი საქართველოს მეფეებს ამგვარ დამოკიდებულებას. აჭარელი იდგა თავისი მთებისა და ველების მკერდზე და ამ მიწის სიღრმეში მას იმდენად ღონიერი ფესვები ჰქონდა ჩატანილი, რომ განუმეორებელი და მხოლოდ მისეული, პირდაპირ ალმასის სიმკვრივით იყო შეკრული ხასიათში. აი, იმ განუმეორებელს და მისეულს, რასაც აჭარელი კაცი ერქვა, თავისი პრეტენზიები ჰქონდა ქვეყანასთან და კერძოდ, ქართულ სამყაროსთან. იგი ამ სამყაროს ეკუთვნოდა სულიან ხორციანად. ასევე ჰერსაც, კახსაც და მეგრელსაც... ის განუმეორებელი და მისეული მარტო დაკვირვებას და შესწავლას კი არ ითხოვდა, არც ზედმეტ მოფერებას და საკუთარი წილის კანონიერად მითვლას, იგი ითხოვდა სწორედ კუთხის, მხარის საზღვრებიდან საერთო ქართულში გასვლას და თანასწორად ცნობას. მას ის სურდა, ის, საერთო ქართულში არსებობა. მიუხედავად ფეოდალური კუთხური კარჩაკეტილობისა და ფეოდალთა გარკვეული ნაწილის გონებაშეზღუდულობისა. კუთხის, მხარის — როგორც პატარა ქვეყნის სული იმ საერთო ქართულ სამყაროში დავანებას ესწრაფვოდა. რა გზით, რა ფაქტებით, რა მოვლენებით, გრძელი ისტორიაა ეს, სხვა ადგილას გასაჩხრეკი და გასათავისებელი, მაგრამ, ცხადია, რომ ესწრაფვოდა.

კუთხის ფსიქოლოგია, ვთქვათ, შავშელი კაცის ფსიქოლოგია, მის ყოფით ცხოვრებაში განფენილობას ჯერდებოდა, ისედაც უამრავი ლამაზი ფორმა ჰქონდა დაუფლებული. მაგრამ ქართულ სამყაროს მოწყვეტილი ნაწილი რომ იყო, ამას ყოველი კუთხე სხვა კუთხეებისაგან გამყოფი მთების ზოლებითა და ქედებითაც გრძნობდა — მთლიანი სამყაროს რიტმი ჰავლენით ცახცახებდა შიდა ქართულ საზღვრებზე.

თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოს იბერია მოიცავდა თავის დროზე, ეკონომიურადაც იყო დაწინაურებული და პოლიტიკურადაც, მტერს იგერიებდა და მოყვარეს ახარებდა, იყო ძლიერი სახელმწიფო ერთეული. მაინც მესვეურობდა

ერთი მხარე, ერთი ქართლის ქვეყანა იბერიის ორგანიზმს. თითქმის პარალელურად არსებობდა მეორე ქართული სახელმწიფო ერთეული — კოლხეთი. ასევე ძლიერი, ცნობილი, არაერთი კუთხის მფლობელი. აქაც გამოკვეთილი იყო ერთი კუთხის მესვეურობა... რამდენი კუთხეც არ უნდა მოეცვათ მათ თავიანთ თავში, იბერიასაც, კოლხეთსაც, ტაო-კლარჯეთსაც და „აფხაზეთსაც", წონასწორობას აკარგვინებდა თითოეულს ცალ-ცალკე რომელიმე ერთი კუთხის მესვეურობა: ტაოში—მესხების დაწინაურება და უპირატესობა, მათი მესაჭეობა, იბერიაში — ქართლელის, კოლხეთში — მეგრელთა, „აფხაზეთში"—იმერეთის და საკუთრივ აფხაზების, ფსიქოლოგიურ წონასწორობას აკარგვინებდა საჭესთან დგომის ამბიცია ამა თუ იმ კუთხის შინაგან წინააღმდეგობას აათკეცებდა, მესვეურად სხვა კუთხის მოვლინება აუხსნელ უსამართლობად იკითხებოდა და უხილავი არხებით გუბდებოდა პროტესტის გრძნობა. საჭესთან დგომა თავისთავად ზრდიდა იმ დროისათვის რომელიმე კუთხის პატივმოყვარეობას, გარკვეული დროით მოძალადის სურვილებსაც ზრდიდა და აჯგუფებდა მის ხასიათში.

ყველაფერი ეს მეტისმეტად მტკივნეულად განიცდებოდა სხვა კუთხეების მიერ და ამ გზით გაერთიანებულ ქვეყანაში, ქართულ ქვეყანაში, რასაც ისინი სისხლით და ხორცით ეკუთვნოდნენ, განაპირების მისწრაფება ემკვიდრეობოდა. ეს იყო შინაგანი გაღიზიანების მასაზრდოებელი ერთი უმთავრესი წყაროთაგანი. მართალია, სახელმწიფოს დაშლაში სხვა გარეშე და გადამწყვეტი ფაქტორებიც ღებულობენ მონაწილეობას, მაგრამ იმ იბერიის, ტაო-კლარჯეთის, კოლხეთის და აფხაზეთის ქვეყნის შიგნით ფსიქოლოგიური ერთიანობა, პირველ ყოვლისა, ამ მიზეზით იბზარებოდა. ვერ მოითმენდა კახეთის, ქართლის, იმერეთის, სამეგრელოს და სხვა კუთხეების ფსიქოლოგია მესხის გაბატონებას. საჭესთან კი ერთი კუთხის მისვლა და მესვეურობა ფეოდალურ სამყაროში სწორედ გაბატონებას მოასწავებდა. მიუხედავად იმისა, რომ ის კუთხე ღირსი იყო მესვეურად მოვლენოდა ქვეყანას, ღირსი იყო, რადგან მისი წიაღიდან დაიძრა გაერთიანების პროცესი, იქ დაიბადნენ უფრო შეგნებული ადამიანები, მოწინავენი ფი-

ქრითა და საქმით, მათ უხელმძღვანელეს, მათ გაიყოლიეს, მათ აიძულეს სხვა კუთხეები გაერთიანებულიყვნენ ერთი დროშის ქვეშ და სხვა მხარეებიც ნებსით თუ უნებლიეთ, შეგნებით თუ იძულებით, მიყვებოდნენ მის დაძახილს. მერე კი, როდესაც გაერთიანებულ ქვეყანაში ერთი კუთხის მესვეურობა გამოიკვეთებოდა, მისი უპირატესობა და ამ უპირატესობით გამოკვებილი პატივმოყვარეობა გაფოფინღებოდა, დღითიდღე მძაფრდებოდა წინააღმდეგობა.

შეუძლებელი იყო ამ გზით ერთიანი ქვეყნის ფსიქოლოგიის დამკვიდრება. მით უმეტეს ძნელი იყო ერთიანი საქართველოს მაღალი გრძნობის გამეფება, რადგან ცალკე აღებული პოლიტიკური ერთეულები — კოლხეთი, იბერია, ტაო-კლარჯეთი... თავისთავად მოასწავებდა გათიშვას. ერთიანობის გრძნობა მარადიულ მისწრაფებად რჩებოდა ქართული კუთხე-მხარეებისათვის. ისინი ითხოვდნენ ერთმანეთში გასვლას და დამკვიდრებას — ოღონდ წონასწორობის გზას ეძიებდნენ ამის მისაღწევად. ფსიქოლოგიური წონასწორობის გარეშე ერთიანობაზე ლაპარაკი არასრულყოფილი ხდებოდა. არასრულფასოვნების განცდა სდევდა თან იმ ერთიანობის ბუნებას. რაღაც აკლდა, ღრმა და სერიოზული. მიზეზი არ ანებებდა სრულფასოვნად წარმომდგარიყო.

საკმარისი იყო ქართლელთან, სვანთან, რაჭველთან, ლეჩხუმელთან, იმერელთან, მეგრელთან, აფხაზთან, აჭარელთან, გურულთან, კახელთან, ჰერელთან, მესხთან, შავშელთან, ერუშელთან, მთიულთან... ახლოს მისვლა, მის სულში ჩახედვა, რომ უმალ წაგეკითხა დიდი პატრიოტული ვნებები, მამულიშვილური შეგნება, მზადყოფნა ერთიანი საქართველოს დროშის ქვეშ ყოფნისა. წლებისა და საუკუნეების რიტმი ჩატეულიყო იმ გაუთავებელ ლოცვაში საქართველოს ბედნიერებაზე, რომელიც ყოველ მხარესა და კუთხეში აღევლინებოდა განგების მიმართ. სხეულით, სულით ყოველი კუთხე დიდი ხნიდან ესწრაფვოდა თურმე დიდ საქართველოს. თურმე დიდი ხნიდან მზად იყო ყოველივე ამისათვის. ზედაპირზე იდო ეს სიღრმისეული სურვილებიც და ის მართლაც მხოლოდ ერთი მხარისათვის დამახასიათებელი ჩვევა და ზნე.

ეროვნული გრძნობები ყოველ მხარესა და კუთხეს პირ-

დაპირ წალეკვით ემუქრებოდა. თითოეული მზად იყო დროშა აეღო ხელთ და მთელ საქართველოს წაძღოლოდა წინ დიდი საქმეების მოსახდენად. ამ სურვილში ამბიციაც ილანდებოდა, რომ ქართლისა და ტაოს მსგავსად, იმერეთის მსგავსად, სამეგრელოს მსგავსად მასაც მეწინავეობისათვის მიეღწია. სახესთან ღირსეული დგომით გამოეჩინა თავი, მაგრამ სწორედ თავის ეს გამოჩენა გულისხმობდა იმავე გზას კოლხეთის, იბერიის, აფხაზთა ქვეყნის და ტაოს მკვიდრთ რომ გაევლო — სხვაზე დამეტების გზა.

ცახცახებდნენ ქართული სამყაროს ყოველ მხარესა და კუთხეში ეს ვნებები. იმ ვნებებს იქით კი დაგროვილი იყო სიღრმისეული სწრაფვა—ბოლოს და ბოლოს ერთ სხეულად ერთი სულისკვეთებით გაერთიანებისა და რომ ყოველი კუთხის პრეტენზია სამართლიანი იყო, ამის შეგრძნება იმდენად არ ძნელდებოდა, რამდენადაც იმ ფორმების დაძებნა, ქართულ სამყაროს შინაგან სიმტკიცეს რომ მიანიჭებდა და დაჭუცმაცებულ ხასიათებს ერთიანი საქართველოს ფსიქოლოგიაში მოაქცევდა.

არადა ამ თხელი კედლების იქით, ხასიათს და ხასიათს რომ თიშავდა, მდინარებდა სისხლი ერთი და განუყრელი. როგორ ეძახდა ბასიანიდან მოყოლებული ყოველი კუთხის ქართველი მეორე კუთხის ქართველს, აქ იგულისხმება არა ქართული კუთხეების, ვთქვათ, ქართლელისა და მესხის ხასიათის წაშლა, არამედ ამ დამოუკიდებელი ხასიათების წიაღში იმ საერთო წერტილების გაერთიანება, რასაც თავის ყოვლისმომცველ ეროვნულ ფენომენში უნდა მოექცია იმ კონკრეტული, ის კუთხური, ის განსხვავებული, იგი უნდა შედუღაბებულიყო დამოუკიდებელ კუთხურ ბუნებათა არსებითი თვისებებისაგან, რადგან არსებითი იყო საყოველთაო ქართული — ერის მასალად დაფანტული გარკვეულ დრომდე იმ მხარეებსა და კუთხეებში.

დავითის მოქმედებათა სისტემა აშკარად „ამხელს“ ისტორიული პროცესის ბოლომდე შეცნობის ხარისხს და იმასაც „ამხელს“, როგორ იგრძნო დავით მეფემ ჟამის დადგომა. რაღაც სხვა იყო მოსანახი, სხვა გზა, სხვა ფორმა, რათა კუთხეებისა და მხარეების დამოუკიდებელი ფენომენი ეროვნულ ხასიათში გადაეფარა ან შეეწოვა საერთო ქართულს, რათა იმ

კუთხურ ზნეთა, დიად ზნეთა საზღვრებს გამოსსლტომოდა უფრო მნიშვნელოვანი სურვილი „დიდ“ ქართველად ყოფნისა. ერთ ასპარეზზე ყოველი კუთხის შვილის გამოყვანა, ყოველ კუთხეში დიდი საქართველოს შვილად თავის ცნობა მაღლა უნდა დამდგარიყო, როგორც ქვეყნის არსებობის შარავანდედი და სიღრმეში ჩაეტოვებინა თავისი რაჭველობა თუ იმერლობა, შავშელობა თუ მთიელობა, მესხობა თუ კახელობა...

დავითმა შესანიშნავად იცოდა, ისტორიის რომელ მონაკვეთში ქვეყნის მესვეურები სად და სად ცდილობდნენ ფეხის მოკიდებას, საიდან უხდებოდათ ქვეყნის მართვა. აგერ რამდენი დრო გავიდა, რაც აღმოსავლეთსა და სამხრეთში შევიწროებული ქართული სამეფო კარი დასავლეთს, კერძოდ, ქუთაისში დაემკვიდრა. ქუთაისი ქართული ძალების მაორგანიზებელ ცენტრად იქცა. თავისთავად იგულისხმება გეგუთის სასახლე, საიდანაც ქართველთა სამეფო კარი არაერთ ეროვნულ საქმეს ახორციელებდა.

ქუთაისში ბაგრატის ტაძრის აგებით ფაქტიურად ითქვა, მთლიანი საქართველოს დამკვიდრების ჟამი რომ დამდგარიყო. ტაძარი ფაქტიურად ამ ერთიანობის სიმბოლო იყო. მის გრანდიოზულობასა და მასშტაბებში დიდი ქვეყნის სული აფარებდა თავს. ასეთ ტაძარს მხოლოდ დიდი საქართველო ეკადრებოდა — მტკიცე, მთლიანი, განუყოფელი. ასეთ საქართველოს კი მხოლოდ ბაგრატის ტაძარი თუ შეეფერებოდა — საკუთარ სულსა და სხეულს მთლიანად დაუფლებული ხუროთმოძღვრული ქმნილება. ბაგრატის ტაძართან მიახლოებაც კი, არა თუ მაში შესვლა და შიდა სამყაროს მოხილვა, უკვე ალაღებდა ქართულ სისხლს, წარმოშობდა კანონიერი სიამაყის გრძნობას და წარმოშობდა აგრეთვე ეროვნული სრულფასოვნების განცდას. ასეთი მასშტაბის ტაძარი კიდევ რამდენიმე იცის საქართველომ და ყოველი მათგანის ხილვა ამ სიდიადის შეგრძნებას იწვევდა ალბათ.

დავით აღმაშენებელმა აქამდე მიღწეულ თუ გზოპოვებულ სრულფასოვან ფორმებს იქით ახლის, უფრო მნიშვნელოვანის მიკვლევა დაუსახა მიზნად თავის თავს. რომელი კუთხიდანაც არ უნდა განხორციელებულიყო საქართველოს გაერთიანების საქმე, შედეგისათვის ამას რა მნიშვნელობა უნდა

ჰქონოდა. მაგრამ რამდენადაც მარტო განთავისუფლება-გაერთიანება არ იყო მიზანი, არც მარტოოდენ ადმინისტრაციული ერთიანობის მიღწევა, ამდენად იმასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, საიდან და რა საშუალებით მიიღწეოდა ის გაერთიანება. ყოველის ღონისძიებით გაერთიანებული საქართველო არ იყო მიზანი: საქართველო იმგვარად და იმ საშუალებებით უნდა გაერთიანებულიყო, რომ მტკიცე ხელისა და სისტემის სამართავი არ ყოფილიყო მარტოოდენ, ერის სულის მდგომარეობასაც უნდა ემართა მთლიანობის პროცესი. აი, ამ სულიერი მდგომარეობის — გაცნობიერებული ერთიანობის მიღწევა იყო უძნელესი საქმე.

თავისი დიდი საქმეები აღმაშენებელმა ქუთაისიდან დაიწყო. განუსაზღვრელი იყო ამ ქალაქის როლი ქვეყნის ისტორიაში უძველესი დროიდანვე. გეოგრაფიული მდებარეობა პოლიტიკური პლაცდარმის შინაარსსაც გულისხმობდა. ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციის გარდა იგი ზოგჯერ ეროვნულ ძალთა თავშესაფრადაც ქცეულა დავითის დრომდეც და დავითის შემდეგაც. ამდენად ქუთაისის როლის განსაზღვრას დიდი დრო და ადგილი დასჭირდება. ის კი უნდა დავიმახსოვროთ, რომ ამ ქალაქის მნიშვნელობის ერთი წამით დავიწყებაც საქართველოს ისტორიის უცოდინრობას და უპატივცემულობას არ ნიშნავს მარტოოდენ, უნებურად საქართველოს საზიანოდ ჩვენი ფიქრების დაჯგუფებას მოასწავებს. როგორ დაინახა აღმაშენებელმა ქუთაისის, როგორც დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ცენტრის და რიგ შემთხვევაში დედაქალაქის მისია, ეს აშკარად საგრძნობი შეიქნება სხვა ადგილას. როგორი მარადიული მნიშვნელობა მიანიჭა მან ქუთაისის ფუნქციას ერის ორგანიზმში! მაგრამ თავისი დიდი მიზნების აღსრულების გზაზე მან საჭიროდ ჩათვალა არც ერთი კუთხე, არც ერთი მხარე ქვეყნის გაერთიანების მესვეურად არ დაეტოვებინა. ყველა კუთხე განცდილი ყოფილიყო. მხოლოდ ეროვნული მოძრაობის დასაწყის წერტილად. ამიტომ მან საქართველოს გაერთიანება-განთავისუფლებისათვის ბრძოლა აწარმოა არა დასავლეთ საქართველოს დროშით, არა იმერთა ან აფხაზთა ან მეგრელთა მეწინავეობით... მან დაისახა დიდი მიზანი — სა-

ქართველოს ყოველ კუთხეს ჰქონიდა საერთო ქართული მოვლენების სათავეში დგომის გაბედა.

საქართველოს გაერთიანება-განთავისუფლებას არ მესვეურობს არც იმერეთი, არც სამეგრელო, არც აფხაზეთი, არც რაჭა, არც სვანეთი, არც გურია, არც აჭარა, არც მესხეთი, არც შავშეთი, არც ჯავახეთი, არც ქართლი, არც მთიულეთი, არც კახეთი, არც ჰერეთი... საქართველოს გაერთიანება-განთავისუფლების საქმეს მესვეურობს საქართველო! — აი, ეს აზრი მოქმედებით უნდა შევიდეს ქართველი კაცის სისხლსა და ხორცში. ამისთვის დავითმა ყველაფერი გააკეთა, თუ დავაკვირდებით მისი მოქმედების შინაარსს, უმალ ვიგრძნობთ, რომ გვიჭრება ამა თუ იმ კუთხის მეწინავეობისა და უპირატესობის განცდა. მისი რეზიდენცია იყო ქუთაისი, გეგუთი, წაღულისთავი, ნაჭარმაგევი და სხვა მრავალი, მაგრამ არა მარტო სამხედრო ოპერაციების მოთხოვნისდა შესაბამისად გაგვინელა მან ფაქტიურად საკუთარი სატახტო ქალაქის განცდა, გაგვინელა სამეფო კარის ადგილსამყოფელის განცდა! სამხედრო ოპერაციების კარნახით არ მოძრაობდა იგი ამდენს მარტოოდენ, იმდენად ბევრს, რომ არც ვიცით, როდის საღ იდგა, სად მიდიოდა ან საიდან მოდიოდა. იგი ხედავდა მხოლოდ მთავარს — საქართველო იყო მთლიანი ასპარეზი, რომლის ყველა მნიშვნელოვან პუნქტში ის დროზე უნდა გამოცხადებოდა მტერსა და მოყვარეს. საქართველო იყო მთლიანი ასპარეზი, რომლის ყოველი კუთხე მზად უნდა ყოფილიყო მეფის საერთგულოდ. იგი ისე იშვიათად იმყოფება სამეფო რეზიდენციებში, რომ გვექმნება მოთხოვნილება დავაზუსტოთ მეფის სატახტოს ადგილსამყოფელი. ვიცით, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ქუთაისი, გეგუთი, წაღულისთავი და ნაჭარმაგევია ძირითადად ის ადგილები, სადაც შედარებით დიდი ხნით მკვიდრობდა მეფე. რა იცვლება ამით! ეს ხომ მისი მოქმედების ცენტრი არ არის. მისი მოქმედების ცენტრები მთელს საქართველოშია გაბნეული. აღნიშნულ სიტუაციაში, დიდი მიზნების აღსრულების გზაზე მეფეს და სამეფო კარს ასეთი გამუდმებული მოძრაობა ჰირდება. ის ახლა ქმნის, საკუთარი ხელებით ძერწავს ახალ ქვეყანას და ამ საქმეს ჰირდება გამუდმებული გადანაცვლება. სად მოქმედებს დავით მეფე — ეს

არის ერთი უმთავრესი პრობლემათაგანი, რაზეც გაუთავებლად შეიძლება ფიქრი. მოკლედ მაინც უნდა დავახასიათოთ იგი. დარჩა თუ არა დავით მეფეს საქართველოს რომელიმე კუთხე აუმოქმედებელი? ყოველი კუთხე, ყოველი მხარე ინტენსიურად გრძნობს სამეფო კარის სიახლოვეს, სახელმწიფო პულსაციას აყურადებდეს თითქოს თავის გულთან ახლოს. იგი ხეობაში შეჭრილი მივარდნილი მთის მხარე კი არა, ცენტრია საქართველოსი. რაკი სამეფო კარი გამუდმებით ახლოსაა, ე. ი. ცენტრია. მთავარია ყურადღების ცენტრში მოქცევა და არა მანძილი, რომელიც რომელიმე კუთხეს დედაქალაქისაგან აშორებს, მთავარი კიდეკ სახელმწიფო საქმეებში აქტიური მონაწილეობაა. ალბათ არასოდეს არ უგრძვნიათ ასე მიაფრად საქართველოს კუთხეებს სამეფო კარის სიახლოვე.

„სათანაო ბიბლიოთეკის" ტარება ხომ უფრო ცხადლივ, უფრო შთამბეჭდავად მეტყველებს იმავე მოვლენაზე. მარტო ის შინაარსი არ იკითხება, რაც ალმაშენებლის პიროვნების ნაწილობრივი დახასიათებისას გავაანალიზე. არა, დავითის მოქმედების ინტენსიურობა რეზიდენციაში დიდი ხნით დამკვიდრებას გამორიცხავდა, მისი სასიცოცხლო მოძრაობა საქართველოს არტერიებში იქსაქსებოდა. ეს „სათანაო ბიბლიოთეკები" მარტო ქუთაის-გორის გზაზე არ იკითხებოდა, ეს წიგნით დატვირთული ჯორები და აქლემები შედიოდნენ არა ერთგზის და ორგზის, არამედ ათასგზის შედიოდნენ ყველა კუთხეში, ყველა მხარეში. დავითი გამუდმებით იბრძოდა, მაგრამ, ცხადია, ყოველდღე არ იბრძოდა. ეს გადანაცვლებები მარტო ლაშქრობას არ გულისხმობდა—იმ კუთხეების შესწავლა-შეცნობას, ამოქმედებას ისახავდა იგი მიზნად. კუთხიდან კუთხემდე საქართველო გრძნობდა მამა-პატრონის როგორც მზრუნველ, ასევე გამომცდელ თვალსაც, ის თვალი ავალდებულებდა თვითონ ყოფილიყო აქტიური, პირველი მონაწილე სერიოზული საქმეებისა, თვალი სხვისაკენ არა სჭეროდა დაბეჩავებულსა და ჩრდილში დაყენებულს, მიმყოლი კი არა, ინიციატივიანი ყოფილიყო, პერიფერია კი არა, ცენტრი ყოფილიყო. მით უმეტეს ყოველ კუთხეს ჰქონდა კულტურული ცხოვრების ტრადიცია. გრიგოლ ხანძთელის დიდი სკოლის წყალობით უბეში ესვა ყოველ სოფელს და დაბას ეკლესია თუ მონასტერი — წიგნე-

ბით და დიდი სუნთქვით ავსებული. აქ ჩვენ ნაკლებ გვაინტერესებს რას უელიდა დავით აღმაშენებელი ამ მოგზაურობისას, ამ მოქმედებათა სისტემით, რომ მთლად კუთხე-ქვეყანას ეფინებოდა მისი წყალობა მემატიანის გადმოცემით.

ერთი მთავარი ფუნქცია გვაინტერესებს ამჯერად — საქართველოს ყველა კუთხე გრძნობდა, დიდი საქართველო რომ ეძახდა, ქართველი კაცის საერთო სახის დასანახავად რომ მიანიშნებდნენ, კუთხური დამოუკიდებლობის საზღვრებიდან რომ გაჰყავდათ და ერთ დიდ დარბაზში რომ ახვედრებდნენ სხვადასხვა კუთხის ქართველებს; იმასაც გრძნობდა, რომ აქ სხვა „მოწინავე" არ შეიძლებოდა ყოფილიყო — არც თავად, არც სხვა. გრძნობდა! ამდენი საქმით გაერთიანებული უკვე გრძნობდა — ლაშქრობაში ერთად, შენებაში ერთად, ქეიფში ერთად, ჭირში ერთად, ერთმანეთის ჩვევის და ზნის პატივისცემით „უკეთურ სელას ვერავინ ბედავდა". მაცნეთა სისტემა ერთი და ორი ფუნქციით არ ისაზღვრებოდა, იგი კუთხეთა შორის პატივისცემის გრძნობის დამკვიდრებისა და კონსოლიდაციის გზებსაც ასუფთავებდა.

ეს შედარებით წვრილ-წვრილი საქმეების წიაღიდან დაძრული მოვლენებია. უფრო გადამწყვეტ სიტყვას დიდი სამხედრო და სამშენებლო ოპერაციები ამბობენ. ზოგი ჭირი მარგებელიაო, საქართველოს ყველა კუთხეს ჭირდებოდა დიდი სამხედრო ოპერაციით განთავისუფლება და დავითი ყველა მიმართულებით ახორციელებდა მას. თურქ-სელჩუკებთან ბრძოლის ეპოპეამ მოიცვა უამრავი ოპერაცია. ისინი თანდათან ისეთი სისრულით განხორციელდა საქართველოს სხვადასხვა მხარეში, ბრმაც კი დაინახავდა, ისტორიის უდიდესი მოვლენები რომ ხდებოდა მის გარშემო. პირველ ყოვლისა, მშენებლობის გენიამ შეკრა საქართველოს ყველა კუთხის საფიქრალი, მან „მოუყარა თავი" ეროვნულ გრძნობებს. გამოჰყავდა რა ხალხი სამალავებიდან, აღორძინებდა რა ათასობით კერას, ფაქტიურად საქართველოს მთელს სივრცეზე: („ასისფორნი, კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, ჰყონდიდი") უზარმაზარ სკასავით ფუსფუსებდა ქვეყანა. აღორძინების ენებით და იმედით ატანილი ეს მშენებლობის არნახული მასშტაბები მუნჯი და უმეტყველ-

ლო არ ყოფილა. იგი მეტყველებდა ბრა მარტო ფეწიქსისებრ აღორძინებაზე, მეტყველებდა ერთ საერთო საწუხარზე. ეს დიდი აზრის მეტყველება სოფლის კალთაზე არ ეტეოდა, სოფლიდან სოფელში, კუთხიდან კუთხეში, მხარიდან მხარეში გადადიოდა საქართველოს ერთად შენების ვნება და სიხარული, შინაგანი ძალმოსილებისა და უკვდავების რწმენა. დიდი შენების გენია ქართული სამყაროს ერთ გასაჭირში ყოფნაზეც მიანიშნებდა და თანადგომის მადლს გამოაფენდა მზის ქვეშ. ერთმანეთისაგან განუყოფელი ცხოვრება შენდებოდა. მარტო აღორძინება არ ეთქმოდა, ერთად რაკი შენდებოდა, მიტომ იყო განუყოფლობის გრძნობა საოცარი სიმკვრივისა და იმავე დროს შეუვალი. შენების მასშტაბები საქართველოს ერთიანი სხეულის გასაჭირსაც მოაგონებდათ და მომავალში ქვეყნის მოსავლელად ერთად ყოფნა აუცილებელი რომ იყო, ამ სულისკვეთებას აბატონებდა. ამიტომ „მოეშენა“ სულის მოთქმას არ გულისხმობს. სულის წვრთნა ამ ჯაფაში გაცლებით მთავარია. ასე საყოველთაო მოქმედების ვნება ქართველი კაცის ფიქრს რომ სხვაგვარად აღამაღლებდა, ეს ცხადზე ცხადია.

„მშენებლობის გენიას“ ქართველი კაცისათვის თავისი ფილოსოფია აქვს. აქ მთელი მისი არსია ჩაწურული და ამდენად განუსაზღვრელი მნიშვნელობა მიენიჭა დიდი თურქობისაგან დანგრეული ქვეყნის განახლებას, როგორც მოვლენას, მაგრამ უმამაცესი საბრძოლო თვისებების მატარებელი ქართველი კაცი იმ დროისათვის არსებობის სილამაზეს საბრძოლო ყიჟინაში ხედავდა. მისი „ჰკა მაგას“, ზარით და ზათქით გატანილი გამარჯვების ლელო სისხლში იდგა. იგი აფეთქებდა ვნებებს, მას ენატრებოდა ძლევის ყიჟინა! თავის ღარიბულ დარბაზებში ქართველი კაცი ცხენების ფლოქვების თქარა-თქურს აყურადებდა და მზად იყო პირველი დაძახილისთანავე გაჰყოლოდა ღირსეულ წინამძღოლს. თურქობა თითქმის ყველგან იდგა და დავითს ამანაც, ამ დიდმა ჭირმაც, მისცა „საშუალება“ საქართველოს სამხედრო ოპერაციების მიმართულება ყოველ კუთხეზე გადაეტარებინა, სრული შთაბეჭდილება შეექმნა, რომ დიდი მოვლენების ინიციატივა არც ერთ სხვა მხარეს არ ჰქონდა. თუ ეს ინიციატივა საერთოდ არსებობდა, აჰა, თვითონ

იყო ინიციატორი — კახეთიც და იმერეთიც, ქართლიც და აჭარაც, აფხაზეთიც და ტაოც, კლარჯეთიც და ჰერეთიც...

დავითი იღებს სამშვილდეს, სომხითის სხვა ციხეები კი უბრძოლველად ნებდებიან. მოქმედების მიმართულება ქვემო ქართლისაკენ ინაცვლებს. მთელი სხეულით არის შემართული ქართლი, ოპერაცია იმდენ ტოტად არის დაჭსაჭსული, რომ კუთხე და ხეობა არ რჩება, დავითის ხმლის წვერს რომ არ გრძნობდეს ყელთან მიბჯენილს. სამშვილდეს მერე დიდი ლაშქარი იკრიბება — თრიალეთში უკვე მთელი სამეფოს ლაშქარს უწევს ჩასვლა, თუმცა ჩასვლამდე ათას ხუთასი კაცით დავითმა გააბრუნა სასტიკად და სამარცხვინოდ დამარცხებული მტერი. ეს იმ მასშტაბის მოვლენაა, ერწუხის ბრძოლის მსგავსად, საქართველოს მთელი ორგანიზმი რომ ერთვება მოვლენაში. უკვე გაფერმკრთალებულია განცდა იმისა, რომელი კუთხე იღვწის სათავისოდ თუ ქვეყნისათვის, მკვიდრობს განცდა იმისა, რომ საქართველო იღვწის ან კახეთში ან სამშვილდეს, ან თრიალეთში, საერთოდ, ქვეყნისათვის. ხოლო მხარე-ქვეყნები იმერეთი, კახეთი, სამეგრელო, ქართლი... მოქცეულნი მოვლენების რკალში, ეთვისებიან საკუთარ პოლიტიკურ აქტივობას, იშინაურებენ მეწინავეობის ვნებებს, ეჩვევიან მოვლენების ცენტრში ყოფნას და ეჩვევიან იმ აზრსაც, რომ საკუთრივ კახეთისთვის ან იმერეთისთვის არ იღვწიან. იგივე მეორდება ტაოს ოპერაციის დროს. ბასიანამდე თურქებით საესე ქვეყანა რომ გაწმინდოს, დავითი ქუთაისში გადადის, ქართლში ჯარებს აგროვებს მისი ხალხი, აჭარის გზით ესხმის თავს უგრძნეულად ძველი ტაო, დავით კურაპალატის სახელმოხვეჭილი სახელმწიფოს მემკვიდრე, დიდი კულტურული კერების ცენტრი და მესვეური აქტიური პოლიტიკური მოძრაობის არენად იქცევა კვლავ. აქაც განელებულია მესვეურის ამბიცია. იმერეთი, აფხაზეთი, ქართლი, სამეგრელო... ყველა ჩართულია ოპერაციაში, ჩართული ან ერთდროულად ან სხვადასხვა დროს — ეს იმაზეა დამოკიდებული, რა მასშტაბისაა სამხედრო ოპერაცია და რა სივრცეს ითხოვს იგი. ქართული მიწების აქტიური სამხედრო ჩანაფიქრებით და პოლიტიკით დამუხტვა იძულებითი და არასასურველი ფაქტი იყო, მაგრამ რაკი საჭირო შეიქმნა ეს გაუთავებელი ბრძოლა, აღმაშენებელმა ყველა-

ფერი გააკეთა, რათა ყოველ კუთხეს საქართველოს ინტერესებით გამსჭვალულად ეგრძნო თავი და სამშობლოს სამსახურად მარად მზადმყოფი ყოფილიყო. შემდეგ ბოტორას ჩამომდგარ თურქებს იმავე საყოველთაო შემართება დაუპირისპირდა. ბიჭვინთაში საქმეების მოსაგვარებლად ჩამოსული მეფე საშინელი სისწრაფით რომ გადაიელის ლიხის მთას დიდთოვლობისას და დასაზამთრებლად ქართლში დაბანაკებულ თურქებს რომ გაჟლეტს, სულ ერთიანი საქართველოს სუნთქვა იგრძნობა უკვე. უკვე საბოლოოდ არის გამქრალი რომელიმე კუთხის მეწინავეობა.

ყივჩაღთა გადმოსახლების შემდეგ საქართველო იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე უფრო მოწესრიგებულ სახელმწიფოდ გვევლინება. მაგრამ იმ მოწესრიგებულობაში უწინარეს ყოვლისა საერთო ქართული სამყაროს არსებობა იგულისხმება. ეს უფრო გვიანდელი ამბავია, გვიანდელი ამბავია ისიც, რომ ამ მუდმივი ლაშქრით დავით აღმაშენებელი ოთხ წელიწადში ყოველი მიმართულებით და საქართველოს ყოველ კუთხესა და მხარეში შეუდარებელი სისწრაფით მოძრაობს. და ამ პოლიტიკურ მოქმედებათა ცენტრად იქცევა ერთბაშად მთელი საქართველო. კუთხე არ არის, კუნჭული არ რჩება საქართველოსი და თვით მიმდინარე ქვეყნებისა, რომ ამ დიდმა პოლიტიკურმა ვნებამ არ აახილოს თვალი. მთავარი განძია უკვე მოპოვებული — მთლიანი საქართველოს ფსიქოლოგია, მისით „დამორჩილებული“ ერის დადგომა დავითის დროშის ქვეშ.

მანამ კი ნაბიჯ-ნაბიჯ ხორციელდებოდა ყველა ღონისძიება, რაც კუთხე-მხარეების გამოცოცხლებას, გააქტიურებას ისახავდა მიზნად. შესაძლოა სვანეთი ან ლეჩხუმი ნაკლებ ჩანდეს ამ პროცესში, მაგრამ მხოლოდ ცნობის სიმწირის შედეგია ეს. იგრძნობა კი მძაფრად, რომ ამ კუთხეების ცხოვრებაც უმოკლესი არხებით იყო დაკავშირებული ერთიანი საქართველოს არტერიასთან, რომ ისინი ცხოველმყოფელ მონაწილეობას ღებულობდნენ საერთო საქმეში. მთას შეფარებული ხალხის სიცოცხლე, პირველ ყოვლისა, ამ კუთხეების მონაწილეობას გულისხმობს. დასავლეთ საქართველოს სული და სხეული მათი შემწეობით გადაურჩა დიდ თურქობას. „დიდი მოეშენას“ მო-

ძრაობაც ამ კუთხეებიდან დაიძრა და დავით მეფის გამუდმებულ მოძრაობაში კონკრეტული პუნქტები თუ იშვიათად არის დასახელებული, ეს არ ნიშნავს თითქოს აღმაშენებელი უმეტესწილად ქართლსა და კახეთში ან ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში, ან იმერეთსა და აფხაზეთში იყო. იგი ყველგან იყო!

დავით მეფის მოქმედებათა სისტემაში, როგორც დავინახეთ, ჯერ დედაქალაქის ფუნქცია არ შემოუპრიალა, თბილისის პრობლემა სხვა პრობლემების გადაწყვეტას ელოდება. დავითს რეზიდენციების დაკონკრეტება და ტახტზე მოკალათება კი არა, საქართველოს ერთიანი ორგანიზმის შეკვრა აინტერესებს. მეთოდურად უქრობდა იგი კუთხეებს მეწინავეობისა და უპირატესობის, ქვეყნის მესაჩეობის მოთხოვნილებას. ააგო ქალაქი გორი — ქართლის შუაგულში ჩაუყარა საფუძველი ახალ ქალაქს. ნიკო ბერძენიშვილი ყინჩაღთა გადასახლებასთან აკავშირებს ამ ფაქტს, მაგრამ რასთანაც არ უნდა იყოს დაკავშირებული, იგი გვეუბნება ერთ უმთავრესზე — ერთი მხარის უპირატესობით და მებაირახტრეობით საქართველოს მხარეებისა და კუთხეების შემომტკიცების ტრადიციულ გზაზე თქვა უარი დავით აღმაშენებელმა!

თუ ქვეყნის ცენტრზეა საუბარი, თბილისის ოპერაციას ამზადებს საამისოდ, რათა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არაბთა ხელში ნამყოფი დედაქალაქი ქართველობას დაუბრუნონ. მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, მისთვის უფრო მთავარია ერთი სულისკვეთებითა და მისიით შეკრული ქვეყანა შეიქმნას. თორემ აღმოსავლეთად და დასავლეთად, სამხრეთად და მხარე-ქვეყნებად აღქმული სახელმწიფოსათვის ფიქტიური დედაქალაქი თუ იქნება მხოლოდ თბილისი. რა საბრუნს მიაღწევს ამ გზით, ეს უფრო გვიან სასაუბრო თემაა. ყოველი კუთხე-ქვეყანა რომ ამ მოძრაობისათვის არის მოწოდებული, ეს დავითმა შენებისა და სამხედრო ოპერაციების სტრუქტურით უკარნახა იმ კუთხეებს. მეწინავეობას დაჩვეულთ გრძნობა მეწინავეობისა გაუნელა, ჩრდილში დგომით გაღიზიანებულ კუთხეებს თავისი პრეტენზიების საფუძვლიანობა დაამტკიცებინა. ის ფაქტი, რომ მეფე უმეტესწილად ქართლსა და იმერეთში იდგა, მხოლოდ და მხოლოდ ამ მხარეების სტრატეგიული მდგომარეობით იყო ნაკარნახევი. ეს არ მოასწავებდა მა-

თი უპირატესობისათვის ხაზგასმას. კუთხეებისადმი თანადგომა მისი სასიცოცხლო მოთხოვნილება გახლდათ, რადგან ამ მოთხოვნილებას კვებავდა ერთიანი საქართველოს სრული სახის გამოძერწვისა და დამკვიდრების დიდი მიზანი.

ამ კუთხეებისადმი ყურადღების, თანაბრობის მაუწყებლად სხვა მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთად რუის-ურბნისის კრებაც გვევლინება. ყოველი მხრიდან მოშვერილი იყო მახვილი მზერა ამ კრებისაკენ, სადაც „დღეთა მრავალთა“ განიხილებოდა ყველა ფაქტი და პიროვნება. ეკლესია-მონასტრების სიწმინდის შებღალვა ერს არა მარტო აღელვებდა, არამედ აშფოთებდა, სასოწარკვეთილებაში აგდებდა. საეკლესიო რეფორმა თავისი განფენილი სისტემის წყალობით თავისთავად ნიშნავდა ყოველი კუთხისა და მხარის სულიერი სადავეების ხელში აღებას. აქ, ამ რეფორმის განხორციელების დროს მთელი სისრულით იგრძნობოდა ყოველი კუნჭულის, სოფლის, დაბის, მთისა და ბარის სუნთქვა, საქართველოს სხვადასხვა მხარის ხასიათი იკითხებოდა, იგრძნობოდა ის დიდი მოლოდინი ერისა, რასაც არა ერთ ადგილას დავიწყების მტვერი წაყრობდა და ჩუმად მტვერქვეშ იტანჯებოდა. იგრძნობოდა სხვა რამეც, არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნებ უფრო მნიშვნელოვანი. მთლიანი ქვეყნის გასაჭირი გამოეფინა, ყველამ დაინახა, რომ ის მთლიანია სამკურნალო. კრებაზე თავი მოიყარა კარგმაც და ცუდმაც. ისინი ერთმანეთის პირისპირ დადგნენ, რათა გადაწყვეტილიყო, რა გზით გაპირებდით სიარულს: იმ უწმინდური ადამიანების ნებაზე, ეკლესია-მონასტრებში რომ დამკვიდრებულიყვნენ, თუ სიწმინდისა და სათნოების გზით, რასაც სულ სხვაგვარი მსახურება სჭირდებოდა, და რასაც ასე დაჟინებით ითხოვდა ქრისტიანული ეკლესიის წმიდათაწმიდა პრინციპები და კანონები. აქ ერთმანეთის პირისპირ ორი საქართველო იდგა, მაგრამ ფაქტია, რომ მთლად საქართველო იდგა მთელი თავისი განზომილებით. რუის-ურბნისის კრებამ მათი მზადყოფნის და ერთიანობის ფაქტსაც გაუსვა ხაზი უნებურად. „ეკლესიებიდან გარდმონთხეულთა“ ადგილი სხვებმა — ათასგზის შესწავლილმა და შემოწმებულმა ადამიანებმა დაიკავეს და ისინი აქედან თავთავის პოსტზე წავიდნენ ეკლესიისა და სახელმწიფოსაგან

დიდი ფუნქციით აღჭურვილნი — მოევლოთ ერის სულისა-თვის! აქ მათ, დავითის სულისკვეთებით აღზრდილებმა, მთელი სისრულით შეიგრძნეს, რომ ისინი საქართველოს მთლიანი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში იფანტებიან დღეიდან და ყველგან, ყოველთვის თან უნდა ხლებოდათ იმ მთლიანობისადმი სამსახურის გრძნობა. მათ მიჰყვებოდათ არა მარტო ამ მოვალეობის შეგნება, არამედ იმის ცოდნაც, რომ ერთი კუთხის ან ერთი ეკლესიის შიგნით არ უნდა ჩაკეტილიყო ეს რეფორმა. მეფე მკურნალობდა მთელი ერის თვისებას და ოპერაციები მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდებოდა. ამიტომ გამოირიცხა შენდობა და პატიება. გადამჭრელი ზომების მიღება დავითის შეუვალობას გულისხმობდა და სხვა ღონისძიებითაც მტკიცდებოდა, რომ იგი თავის ერს „ქვეგამხედვარობას“ არც ეკლესიაში და არც ცხოვრებაში არ აპატიებდა — არსად არც ერთ კუთხეში. მან იცოდა ყველაფერი — ეს „გარდმონთხეული“ ხალხის საქმის გარჩევისას კიდევ ერთხელ გაირკვა. ხმის ამოუღებლად ემორჩილებოდნენ უტყუარ არგუმენტებს მსჯავრდებულნი და თავისთავად ცხადი იყო, არც ნდობით აღჭურვილ ახალ სულიერ მამებს ეპატიებოდა ცუდკაცობა, თუკი რომელიმე მათგანი გულში გაივლებდა ამას.

ქართული სამყაროს უჯრედებს იმდროისთვის სხვა გზით ცერავინ შეაკავშირებდა. პოლიტიკური მეთოდებითა და მეფური სიმტკიცით ქამიქამ გაერთიანებული ქვეყანა ახსოვდა ქართველობას, მაგრამ ორგანული დაახლოება და ერთსულ და ერთხორც ქცევა მორიგი ამოცანა გახლდათ. ის, რაც ფარნავაზმა დავითამდე 1300 წლით ადრე გააკეთა, ქართული ძირების ადმინისტრაციული საშუალებებით დაკავშირებას მოასწავებდა. მაგრამ დიდი დრო სჭირდებოდა უფრო რთული შინაარსის მიღწევას — ქართული სამყაროს დამკვიდრებას, ერთიანი საქართველოს ფსიქოლოგიის დაფუძნებას. ქვეყნის მესვეურთა, მეცნიერთა და მწერალთა წრეში საამისო შეგნება გაცილებით ადრე დამუშავდა, მაგრამ არც ისე იოლი იყო ცალ-ცალკე განზიდული ქართული ქვეყნების შინაგანი შემზადება. ყოველ კუთხესა და მხარეს ხომ ღრმად სწამდა თავისი უპირატესობისა, ეს უმნიშვნელო ბარიერი როდი იყო ფეოდალური საქართველოსათვის ძალთა კონსოლადაციის გზაზე.

დავით აღმაშენებლის ღონისძიებებმა უკიდურესობამდე გაიწელა განკერძოებულობის განცდა და ვნება. მან იგრძნო ჟამი, როდესაც თავდაუზოგავი ჯაფით შეიძლებოდა მთლიანი საქართველოს შინაგან მისწრაფებებს ის ქედები და ხევები გადაელახა, ქართველობის ფენომენს რომ ეღობებოდა წინ. საუბარს საქმისა და მოქმედებათა ენა იწყებდა და მას ისეთ მოძრაობაში მოჰყავდა მთლად საქართველო, რომ მხარეთა და კუთხეების ინტერესები თავისთავად ინაცვლებდნენ უკანა რიგში, მხოლოდ ისეთი ინტერესები გამოდიოდნენ ასპარეზზე, ეროვნულსა და საყოველთაო ქართულს რომ შეადგენდა თავისი თვისობრიობით.

მხარეთა ინიციატივისა და უპირატესობის გაწონასწორების გზაზე დავითის მიერ განხორციელებული სხვა, მაშტაბური ღონისძიებაც იღვწის. აღმაშენებელმა იცის, რომ მისი მიზნების მიმართულება გულისხმობს მთელი საქართველოს განთავისუფლებას, თბილისის დაბრუნებას, იმავე თბილისის სრულად საქართველოს სატახტო ქალაქად კვლავ დამტკიცებას და ისიც იცის, ცხადია, რომ მეფე სწორედ სატახტო ქალაქში უნდა იჯდეს. რა შეიძლება მოჰყვეს ამას! ლოგიკის კარნახით ერთი მხარის უპირატესობა გამოიკვეთება უთუოდ, კერძოდ, იმ მხარისა, სადაც დედაქალაქი მდებარეობს — ქართლის! უფრო მეტიც ითქმის. არსებობს საფრთხე, რომ აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური გააქტიურება მოჰყვეს ყოველივე ამას დასავლეთთან შედარებით. ამის დაშვება არ შეიძლება. სხვა დიდ მიზნებთან ერთად ეს ჩანაფიქრიც იღვწის გელათის აშენების გრანდიოზულ მოვლენაში. გელათის მნიშვნელობაზე საუბრის გაგრძელება არ ღირს, ისტორიკოსის სიტყვები გელათის ფუნქციაზე ადრე გავაანალიზეთ, ამ დანიშნულების კულტურული კერა ქუთაისის მახლობლად — დასავლეთ საქართველოში იმაზე მიუთითებს, რომ არაფერს არ უნდა ჩამოვარდეს სიტყვა აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ უპირატესობაზე. გელათი თავისი ფუნქციით არ ტოვებს ამის საშუალებას. არ ტოვებს შანსს, რომ რომელიმე მეკუთხე მეფის დროს, მომავალში მოხდეს დასავლეთ საქართველოს ფუნქციის დამცრობა. „ახალ იერუსალიმად, სხუად ათინად, უმჯობეს მისად“ გელა-

ღის აშენება ავალდებულებდა აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს თანაბრად შეეხედათ ერთმანეთისათვის და ის მასშტაბური ქართული სამყაროს საქმეები ეკეთებინათ, რაც გელათსა და ბანას, ოშკსა და სვეტიცხოველს შეშვენოდა. ქუთაისიდან სატახტო ქალაქის თბილისში გადატანა ქუთაისის დამცრობას კი არა, მის მარადიულ მონაწილეობას გულისხმობდა ეროვნული სრულყოფის საქმეში. აქ იყო ბაგრატის ტაძარი, გეგუთის სასახლე, მაგრამ იყო გელათი, — მთელი აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროს კულტურისა და აზროვნების შესაკრებელი. გელათში აღმაშენებლის დამარხვის ფაქტიც მისივე ნება-სურვილით, ცხადია, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ქართველ კაცს არ რჩება უფლება მთელი ქვეყნის ორგანიზმს მახლობლად და თავისად არ განიცდიდეს და კუთხე-მხარეების მიხედვით აჯგუფებდეს თავის ვნებებს. სულიერად გაერთიანებული საქართველო ერთ დიდ, მშობლიურ სახლად განიცდებოდა და ქართველი კაცი მისი წყალობით თვალს ახელდა ამის შემდგომ, როგორც დიდი ერის შვილი, ვინაც იცოდა, რომ ყოველ მტკაველ მიწაზე პასუხს აგებდა — ყველგან მისი საქართველო იყო.

* * *

ფარნავაზის დროიდან საქართველო დაჟინებით ესწრაფვოდა კუთვნილ სიმაღლეს, იგი მიემართებოდა ბრძოლისა და შენების, ნგრევისა და შრომის გზით და გარემომცველ მტრულ ატმოსფეროში საკუთარი თავის დადგინება სწყუროდა. იყო გაწყვეტილი პროცესიც, დიდი ცხოვრების ფრაგმენტებითაც იფინებოდა გარკვეული დროით სივრცე, მაგრამ საბოლოოდ ისტორიული პროცესი, როგორც დაუშრეტელი სათავისაგან გამოკვებილი წყალუხვი მდინარე, თავის გზაზე ყველა ჯებირს არღვევდა, კლდეებს და ბორცვებს შლიდა, მღვრიე ტალღებში იხვევდა. ამ პროცესში იკითხებოდა ხალხის სულიერი და ფიზიკური ზრდა, თვისებების ძერწვა და ღირსეული არსებობისაკენ დაუოკებელი ლტოლვა.

რამდენიმე საგულისხმო ნიშანსვეტით ჩანდა, რომ საქართველოს გაცილებით ადრე შეეძლო თავისი თავის პოვნა და

კუთვნილი სიმაღლის დაუფლება — რომ არა ის განუწყვეტელი თავდასხმები, რომ არა ის საშინელი გეოგრაფიული და ისტორიული პოზიციაl ფაქტიურად იგი მტრული გარემოცვის ოკეანეში იყო შეჭრილი, ქრისტიანობის მიღების შემდეგ კი იმ ოკეანესთან ურთიერთობა სულ ალტერნატივის შინაარსს შეიცავდა — ან, ან! ამიტომ თვითდადგინებისკენ მიმართული მეცადინეობა იმ რამდენიმე ნიშანსვეტში ჩაიკირა და გაქვავდა.

მერვე საუკუნიდან დაძრული ახალი ტალღა უკვე თავისთავად მეტყველებდა, რომ ქვეყანას ასე დაჭუცმაცებული, შინაგანად მოუწესრიგებელი, მისთვის „საშვენი" მდგომარეობის მიუღწევლობა უკვე არ შეეძლო და შინაგანი ძალაც არ ანებებდა მიზნის მიღწევას. იმ გარეშე ძალებთან „უნებურ" კონტაქტში მოხვედრილი ეს შინაგანი წინააღმდეგობა სრულყოფის გზაზე იხიდებოდა. „დიდმა თურქობამ" კი არათუ სრულყოფის მოთხოვნილება და შესაძლებლობა, საერთოდ, არსებობა დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ და საშინელი სისწრაფით დაუახლოვა ერს კატასტროფა. დავით აღმაშენებლის წინაშე, როგორც ითქვა, ერთბაშად აღიმართა ამ ისტორიული პროცესით მოტანილი ერის საბოლოო ფორმირების ამოცანა და კატასტროფის თავიდან აცილების ურთულესი პრობლემა.

დავით აღმაშენებელმა მიზნად დაუსახა ერს ამ ორი ურთულესი პრობლემის ერთდროულად გადაწყვეტა. თავის თავს კი სულ მცირედი შეცდომების დაშვების უფლებაც არ დაუტოვა. 1118 წლამდე, თავისი მეფობის ოცდაცხრა წლის განმავლობაში მან იმდენი საქმე გააკეთა, რომ უფრო მეტის მომლოდინე ფიქრიც კი შეუძლებელი ხდება. ამდენი სახელმწიფოებრივი რეფორმა, როგორც საეკლესიო, ასევე საერო ცხოვრებაში, რამდენიმე საუკუნის შრომას მოიცავს თავის თავში: ქვეყნის ამგვარი პატრონის მოვლინებას ამინდი სწორედ იმ დიდმა წინაპრებმა შეუქმნეს. მაგრამ ზემოთ დასახელებული ორი ურთულესი პრობლემის წინაშე დამდგარი ერი თავისი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენით თუ გაიმარჯვებს. იქნებ კატასტროფის გრანდიოზულობის შეგრძნებამ და ისტორიული პროცესის აღმავალმა შინაარსმა გამოძერწეს ამ თვისების მქონე ქვეყნის მმართველი. იოანე მარუშის ძის სულისკვეთების ხალხიც მომრავლებული ჩანს. დავი-

თის ერთგული დასი უბრძნესი ადამიანებით არის შედგენილი. ერის სრულქმნის უნიკალური მეთოდები და ხერხები, რაც აწმყოზე მეტად მომავალს ჭირდებოდა, გამოიღებდა სასურველ ნაყოფს. ნაბიჯ-ნაბიჯ იყო განხორციელებული პროგრამა. თანმიმდევრობითა და პარალელურობით უზარმაზარი საქმეები იყო მოხდენილი...

განუწყვეტლივ იხვეწებოდა ერის სული, მისი გარეგნული და შინაგანი სახე. ხალხი „სწავლობდა“ ქცევას, მოძრაობას, წესიერებას, ზნეობრივი კანონებისადმი ერთგულებას. მხოლოდ გაკვრით ხერხდება აქ ყოველივე ამაზე საუბარი. სხვა სივრცისა და დანიშნულებისაა იგი. მაგრამ აქ ერთი უმთავრესი აზრის ნათელყოფა მოითხოვს მათ ჩამოთვლას. განუწყვეტლივ შენდებოდა საქართველო — სოფლები და ქალაქები, შენდებოდა ახალი დაბები, იდებოდა ახალი ხიდები, იწალდებოდა სავაჭრო გზები, ფუნდუკები ჩნდებოდა მექარავანეთა და მგზავრთათვის სავაჭრო გზების გასწვრივ.

აღიმართებოდა ეკლესია-მონასტრები. აიგო განუმეორებელი გელათის აკადემია — ახალ ათინად, ახალ იერუსალიმად, ახალ მსოფლიო კულტურის ცენტრად. აშენდა ქსენონი.

გატარდა სახელმწიფოებრივი რეფორმები.

ამუშავდა მართვის სრულყოფილი სისტემა — დინამიური და საქმით მეტყველი.

გატარდა საეკლესიო რეფორმა, რამაც ეკლესიისა და ერის ცხოვრებაში ზნეობრივი კანონების სრული გამარჯვება მოიტანა.

რაც მნიშვნელობით კიდევ უფრო დიდია, შეიქმნა ქართული ლაშქარი, იმ დროის ბირველხარისხოვანი ჯარი, გაწვრთნილი და დისციპლინირებული, სამხედრო ხელოვნების კანონთა ზედმიწევნით კარგად მცოდნე და მფლობელი. ყველგან და ყოველთვის დამარცხებულ იქნა მტერი. დამარცხებულ იქნა, როგორც ურიცხვ, ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებში, ასევე მასშტაბურ შეტაკებებშიც. რამდენიმე გენერალური ომიც იქნა გადახდილი ამ უანტრაქტო ბრძოლების სივრცეზე, საქართველომ არც ერთ მხარეში არ მისცა გასაქანი თურქსელჩუკთა ბარბაშს, დაბანაკების ყველა ცდა ლიკვიდირებულ იქნა, აოხრდა მათი ბანაკები, გაიყლიტა ყველა, ვინც გაქცევაში მოასწრო...

და ამოდენა ენერგიის გაღების შემდეგ გადაჭრილ ამოცანათა ფენებზე წამოიმართა ახალი ზეამოცანა!

თურქ-სელჩუკების საბოლოო განდევნის მიზანი მიუღწეველი ჩანდა ჯერ კიდევ. ერის და სახელმწიფოს სამომავლო არსებობის ფორმები მაინც დაუდგენელი, რადგან თურქ-სელჩუკთა მოძალების აღკვეთა ვერ შეიძლო ამდენმა სისხლისმღვრელმა ბრძოლებმა, საიდანაც სულ საქართველო გამოდიოდა გამარჯვებული.

არათუ საქართველოს, მთელს ბიზანტიას და მის ზურგს უკან მდგარ ევროპას ნაგრძნობი ჰქონდა, რომ თურქ-სელჩუკების ისტორიული წარღვნა ასე იოლად არ გადაიკლიდა, იგი სადღაც უნდა დაფუძნებულიყო...

აღმაშენებლის მიერ ყველა ქართულ წერტილში უსაზღვროდ შეწუხებული თურქობა უკვე შეფიქრიანებული იყო, უკვე ჩაღვრილი ჰქონდა მის იმედებს ეჭვის წვეთები, მაგრამ სისხლისმიერ მისწრაფებებს ვერაფერს აჯერებდა გონიერება... თურქები მოდიოდნენ და მაინც ბანაკდებოდნენ იქ, სადაც უეჭველი დაღუპვა ელოდათ. სხვას რას ნიშნავს ეს, თუ არ შეუზღუდავი ინსტინქტის ლტოლვას ცისქვეშ ადგილის მოსაპოვებლად, როცა არც ამოჟლეტის შიში, არც მუდმივი საფრთხის განცდა გონს ვერ მოიყვანს მტერს. ხალხთა ამ გადასახლებას, რასაც „დიდი თურქობა“ ჰქვია ჩვენთვის, არაერთხელ აღუფხვრია ქვეყნები მიწის პირისაგან. ვინც ასე თუ ისე იცის ისტორია, ადვილად დაიჯერებს აზრს, რომ ამგვარი ისტორიული ნიაღვრებით უმშვენიერესი სახელმწიფოები და მაღალი კულტურის ხალხები გაქრნენ მსოფლიოს რუკიდან. ამიტომ იყო საგანგაშო მოვლენა თურქთა წარღვნა და ამოდენა სამხედრო და სახელმწიფო მასშტაბის ოპერაციათა ჩატარების შემდეგ დავით აღმაშენებელმა იგრძნო და დაინახა, ის უმთავრესი საქმე რომ იყო მოსასწრები! რომ სულმოუთქმელ მოქმედებას ითხოვდა მისი უკეთილშობილესი და უდიდესი ჩანაფიქრი, რისი აღსრულებისკენაც მიჰყავდა აქამდე თავისი ქვეყანა, რისი აღსრულებისათვის არ იკმარა არც ერთმა გრანდიოზულმა ღონისძიებამ, არც მოქმედებათა ურთულესმა სისტემამ!

დავით აღმაშენებელი 45-46 წლისაა — სიცოცხლით, ძალი-

თა და ენერგიით აღსავსე, თუმცა ოცდაცხრა წლის მეფობამ ერთის კი არა, ალბათ, ასი კაცის ენერგია გამოსთხოვა და მაინც აზვავდა მის სულისკვეთებაში მოუთმენლობის ფსიქოზი: მან უნდა მოასწროს უმთავრესი მიზნის განხორციელება, ვერ დაუტოვებს აღსასრულებლად თავის შთამომავლობას! მხოლოდ მას და სხვას არავის არ ძალუძს ეს. თურქთა წარღვნამ უნდა იცვალოს მიმართულება, იგი უნდა გაერიდოს საქართველოს, მან ხელი უნდა აიღოს ამ ქვეყანაზე. რაკი/საამისოდ ამდენმა მეცადინეობამ არ იკმარა, უფრო დიდი რამ არის მოსაფიქრებელი! იმ უფრო დიდის განხორციელება კი მხოლოდ მას შეუძლია. მის სულში ახალი გეგმები, ეტყობა, მხოლოდ მაშინ ამოტივტივდებოდნენ, როდესაც თავად მისცემდა გასაჭანს ზეამოცანის გადასაჭრელად. ის ახალი გეგმები დრომდე უნდა ყოფილიყვნენ მიჩქმალულნი — ყოველი განხორციელებული გეგმა წერტილს კი არ უსვამდა მოღვაწეობას, ახალ გეგმას, უფრო რთულსა და მნიშვნელოვანს წარმოშობდა თავის წიაღში. ჰქონდა ისეთი გეგმებიც, დრომდე რომ არ ამხელდა, არ უმხელდა ყველას, თორემ, ეტყობა, უახლოეს ადამიანებს გათავისებული ჰქონიათ ზოგი მათგანი. ასეთი გეგმა გახლდათ მუდმივი სამეფო ლაშქრის შექმნა. მუდმივი სამეფო ლაშქარი, თანაც დაქირავებული ლაშქარი, მხოლოდ განვითარების უმაღლეს საფეხურზე მდგომ ფეოდალურ სახელმწიფოებს ჰყავდათ ყოველთვის.

მუდმივი ლაშქრის შექმნის ამოცანამ საქართველოს ძლიერების მრავალი ნიშანი წარმოაჩინა. პირველ ყოვლისა, გამოჩნდა ქართველი მეომრების იშვიათი თვისებები. 1118 წლამდე სწორედ ქართველთა ლაშქრით მოახდინა დავით მეფემ ის საარაკო ამბები, რისი წარმოდგენაც კი არ შეეძლო მანამდე ქართველი კაცის გონებას. დაბეჩავებული, დაჯაბნებული ლაშქარი რომ ჩაიბარა, ეს სრულებითაც არ მეტყველებდა ქართველი კაცის მეომრული თვისებების სისუსტეზე. „დიდ თურქობამდე“ მრავალი საუკუნის განმავლობაში გამოიცადა ის თვისებები და ყველას შენიშნული ჰქონდა ქართული ლაშქრის ზარისა და რისხვის ძალა. „დიდი თურქობის“ წინაშე უძლურნი აღმოჩნდნენ უფრო მოწესრიგებული, დიდი სახელმწიფოები, იმპერიის უფლებით რომ არსებობდნენ ისტორიაში. დავით

ალმაშენებელმა, აუღორძინა რა ქართველთა ლაშქარს საბრძოლო სულისკვეთება, მოუშუშა ფსიქოლოგიური ტრავმა, დაამკვიდრა რკინისებური დისციპლინა, წარუძღვა ჯერ მცირერიცხოვან, მერე რიცხვმრავალ მტერზე, მცირე და დიდი გამარჯვებებით აღუზარდა რა საბრძოლო თვისებები და გმირული სული, ქართველთა ლაშქარი ამის შემდეგ მტრის რისხვად იქცა. 1118 წლამდე გაკეთდა ყველა ის დიდი საქმე, რასაც დაეყრდნო მომავალი საქართველო. ყველა ამ საქმეს კი სულს უდგამდა ძლიერი ქართული ლაშქარი, „მარადგანსხირპული" მისი ენერგია, ბრძოლისა და ძლევისათვის შემართული. ქართული „ჰკა მაგას" ჭუხილივით გადადიოდა მთებისა და ველების თავზე და შიშისაგან გონებადაფანტული მტრის ლაშქარი ერთმანეთში აზილებოდა. ქართულმა ლაშქარმა გასაქანი არ მისცა მტრის არც ერთ ბანაკს, არ ამოასუნთქა, არ გაახარა; მან მოიგო დიდი ერწუხის ბრძოლა, მასშტაბური და პრინციპული, აიღო ზედაზადენი, კახეთის ქალაქები და სოფლები. სულ რაღაც ათას ხუთასი კაცისაგან შემდგარმა ქართულმა ლაშქარმა ასიათასიანი არმია დაამარცხა სულთნისა თრიალეთთან. ეს გახლდათ უნიკალური სამხედრო ხელოვნების დემონსტრირება. ცხადია, ამ ბრძოლის ისრებს აღმაშენებლის გენია ამოძრავებდა, მაგრამ „ციხკრიდან მიმწუხრამდის" ათას ხუთასი კაცი დაუღალავად რომ ებრძვის ასი ათას კაცს და დიდი არმიის შთაბეჭდილებას რომ უქმნის მას, ეს თავისთავად მეტყველებს მის სწორუპოვარ საბრძოლო თვისებებზე. ქართული ლაშქრის დიდებაა თრიალეთისა და ერწუხის ორი უდიდესი ბრძოლა. ქართულმა ლაშქარმა აიღო სამშვილდე და სომხითი. მიმდებარე ციხეებითურთ, მაგრამ სანამ თრიალეთის ბრძოლა მოხდებოდა, მან გაწმინდა მთელი ტაო-კლარჯეთი ბასიანამდე, გაწმინდა თურქ-სელჩუკებისაგან მთელი ქვეყანა. იგი მზად იყო, თავისი წინამძღოლის მოწოდებაზე გადაელახა ყველა მდინარე, ხეობა, უღელტეხილი, „სრული მარშით" ევლო ღამეების განმავლობაში და „უგრძნეულად" დასხმოდა მტერს. ელვის სისწრაფესად ინაცვლებდა ადგილს. ქართულმა ლაშქარმა აიღო რუსთავი, ლორე, გიში, ქალაძორი... და საკუთარი მიმართულება უკარნახა მოვლენებს, შეარყია თურქობის რწმენა და ბოლოს, სწორედ ქართული ლაშქრის და მისი დიდი წინამძღო-

ლის მონაპოვარია ის მდგომარეობა, რის გარეშე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა მუდმივი სამეფო ლაშქრის შექმნაზე. დაჭირვებული მუდმივი ლაშქარი მაქვს მხედველობაში. ამ მდგომარეობის მიღწევა გულისხმობდა იმ იშვიათ წარმატებას, რაც ქართველმა კაცმა მოიპოვა და რაც ასევე თავის მხრივ ითხოვდა იშვიათ საბრძოლო თვისებებს მოლაშქრეთაგან. დარიალის კარი რომ უვნებელი გახდა ოვსთაგან ყივჩაღთა გადმოსახლების დროს, ესეც იმ რიდის წყალობით იყო, დავითის სახელოვანმა ლაშქარმა რომ დათესა მეზობლებში და კიდევ, არანაკლებ მთავარი: ამ ბრძოლების წყალობით დაგროვდა დიდძალი ნაალაფევი, რის გარეშეც მუდმივი ლაშქრის შენახვა და საომრად აღკაზმვა მხოლოდ ოცნების სფეროში დარჩებოდა.

თუ არ იმედი ქართველი კაცის საბრძოლო თვისებებისა, თუ არ ნდობა მისი გმირული სულისა, დავითი ვერც იოცნებებდა ურთულესი გეგმების განხორციელებაზე და უპირველეს ყოვლისა, ამ გოლგოთის გზას ვერ შეუდგებოდა.

რამდენი ენერგია უნდა გაეღო ხალხს, გუშინ განადგურების პირას მყოფს, რომ ერთი მეფობის მანძილზე მოეპოვებინა ესოდენ სტაბილური, მტკიცე მდგომარეობა, იმგვარი მდგომარეობა, სრულ სახელმწიფოებრივ მზადყოფნას რომ გულისხმობს თავის თავში და მუდმივი ლაშქრის შესაქმნელად არის მზად. ეს უკვე იყო დიდი ქვეყანა, მოწესრიგებული და წელში გამართული, ქვეყანა, რომლის მაღალი პოლიტიკური კვარცხლბეკი ყოველი მხრიდან ჩანდა. საეკლესიო და საერო ცხოვრების უნივერსალური წესებით გამართული სახელმწიფო, რომლის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ძლიერებაში დიდი წილი სწორედ ძლიერ სამხედრო ორგანიზაციას ედო. დიდი ქვეყანა შექმნა ძლევამოსილმა ქართულმა ლაშქარმა, რადგან იგი იხვეწებოდა და ეფუძნებოდა გამუდმებული ბრძოლების გარემოცვაში და იმ ბრძოლებიდან ყოველთვის მოჰქონდა ძალმოსილების გაუბზარავი რწმენა. დიდი ქვეყნის, რომლის პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ, ეროვნულ თვისებებზე დაწვრილებითი საუბარი ქვემოთ მოგვიწევს, შექმნა იყო მთავარზე მთავარი, თორემ ახალი ფართო გეგმების დასახვა და მათ შორის მუდმივ ლაშქრობაზე

ფიქრი თავისთავად გამოირიცხებოდა. ის მთავარზე მთავარი კი ქართველმა კაცმა შეიძლო, ქართველმა მოლაშქრემ შეიძლო, ქართველთა ლაშქარზე დაყრდნობით შეიძლო დავით აღმაშენებელმა.

ქვეყანას საკუთრივ ეროვნული ლაშქარი თუ არ ჰყავს ძლიერი, თუ იგი არ ეიმედება, ვერც გაბედავს უცხოელთა მოწვევას და მუდმივი ლაშქრის შექმნას, რადგან ერთ მშვენიერ დღეს ის სხვა ტომისაგან შედგენილი ლაშქარი, შესაძლებელია, თავადვე შემობრუნდეს მტრულად. ამის ცდაც იყო დავითის დროს, მაგრამ სწორედ ძლიერი ქართული ლაშქრის ხელმა აღაგმა მათი ცდა.

ეტყობა, დიდი პროგრამის მრავალი დეტალი გულდაგულ იყო შენიღბული დავითისა და მისი დასის მიერ. სხვაგვარად ძნელი ასახსნელია მეფის დამოყვრება ყივჩაღთა მეფის ოჯახთან. თავისი მეფობის დასაწყისშივე დავით მეფე რომ ცოლად ირთავს მომთაბარე ყივჩაღთა მეფის ასულს, სწორედ ყივჩაღთა მეფის ასულს, ეს მეტყველებს იმ შორეულ ფესვებზე, რაც ყივჩაღთა გადმოსახლების გეგმას ჰქონდა. კულტურითა და ყოფით ჩამორჩენილი, უცხო, მომთაბარე ცხოვრების ჩვეულებით აღზრდილი ყივჩაღთა მთავრის დამოყვრება სხვას რას უნდა მიეწეროს, თუ არა დავით აღმაშენებლისა და მისი ერთგული დასის შორს გამიზნულ ნაბიჯს. ქრისტიანულ სამყაროში საქართველოს დედოფალის გამოძებნა არ გაჭირდებოდა, მაგრამ პირველ მეუღლესთან გაყრის შემდეგ დავით მეფე არჩევანს ყივჩაღთა მთავრის ასულზე აჩერებს. ერთი ნაბიჯიც არ შეიმჩნევა აღმაშენებლის მიერ გადადგმული, მისი სახელმწიფოებრივი პროგრამის სტრუქტურით რომ არ იყოს ნაკარნახევი. ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამიზნული ნაბიჯი კი ყივჩაღთა მთავართან დამოყვრება ჩანს. ოღონდ მანამ, სანამ სწორედ ქართველთა ძალებით არ შეიქმნება დიდი სახელმწიფო, მანამ, როგორც ჩანს, ამ ნაბიჯზე ლაპარაკი აკრძალული იყო, რადგან „ამოდენა ოპერაცია ისე სწრაფად და მოულოდნელად განხორციელდა, რომ დიდებულთათვის მეფეს არაფერი არ შეუთანხმებია“ (ნიკო ბერძენიშვილი).

ყივჩაღთა გადმოსახლება და მათგან მუდმივი ლაშქრის შექმნა სახელმწიფოს სისუსტით კი არ იყო გამოწვეული, სწო-

რედ ქვეყნის გაზრდილი ინტერესებით და თურქ-სელჩუკთა საბედისწერო საფრთხის აღკვეთის მიზნით იყო ნაკარნახევი.

„ხედვიდა რა მეფე დავით ესეოდენთა ზეგარდამოთა ღმრთისა მიერ წყალობათა, შეწევნათა, ძლევათა და გამარჯვებათა თვისთა, და რომელთა ღმერთი მისცემდა სამეფოთა ქუეყანათა, ქალაქთა და ციხეთა, რამეთუ არა იყო ესეოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა, რათამც ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად და კუალად თავად მის თანა მყოფად და მოლაშქრედმცა ქმა ეყვნეს დაუცხრომელად მიმოსლვასა ლაშქრობისა მისსა ზამთარ და ზაფხულ. ამისთვისცა შემოიკრიბა გონება, კეთილად და გონიერად გამგონე, ვითარცა დავით, სულისა მიერ წმიდისა, აღაღო მალლად თავი თვისი და მიმოავლო თუალი გონებისა თვისისა და განიცადა კეთილად, განიზრახა სამეფოთა ცნობითა, რომელ არაკმა იყვნეს სამეფოსა მისისანი თანამიყოლად კრთომათა და წადიერებათა სულისა მისისათა“.

ქვეყანა გაფართოებულია, დაბრუნებულია კუთვნილი ტერიტორიები, ციხეები, სიმაგრეები, ზღუდეები, ქალაქები. მაგრამ თურქობა სულ საქართველოზე იწევს მაინც, არც სხვები ისვენებენ — იმ თურქთა მოკავშირენი. მტერი მრავალია და ქვეყანა დაცვას ითხოვს.

დიდი ქვეყნის დიდ სივრცეზე დასაცავი ციხე-სიმაგრეები მრავალ მოლაშქრეს ითხოვდა. ვერ წვდებოდა სამეფო ლაშქარი ყველგან. დავით მეფის საბრძოლო სისტემა გამუდმებით საჭიროებდა იმ სასაზღვრო ციხესიმაგრეების დაცვას, ძლიერი ლაშქრის თანყოლას „ზამთარ და ზაფხულ დაუცხრომელად მიმოსვლისათვის“. ფაქტიურად დღიდან გამეფებისა ჰყავდა აღმაშენებელს მუდმივი ლაშქარი.

„სტრატეგიული ოპერაციების გატარებისას პირადი გვარდიისა და ყივჩაყთა 40 ათასიანი მუდმივი არმიის გარდა დავით აღმაშენებელი სამეფო ლაშქარსაც ხშირად და დიდი ხნითაც იწვევდა, კარგად ჩანს, რომ შეიარაღებული ძალების ეს ნაწილი ბევრად აღარც განსხვავდებოდა ზემოხსენებული მუდმივი არმიისაგან“. (ივანე შაიშმელაშვილი, წიგნი „დიდგორის ბრძოლა“ — „მეცნიერება“, 1973 წ.)..

სწორედ ამიტომ დაირხა უკმაყოფილო ხმები, მემატიანე

რომ უპირისპირდება საგანგებოდ — „ვერცა მშვილდი მარად თავს იდებსო განსხირპულობას“... მაშ რატომ იმეორებს მემატიანე „დაუცხრომელად მიმოსვლასა ლაშქრობასა ზამთარ და ზაფხულ“... აქ ხომ პირდაპირ არის თქმული არსებითი — „დაუცხრომელად“ იღვწოდა მუდმივი ქართული ლაშქარი დავითის დროს. მაგრამ ვერ გაწვდა მისი რაოდენობა გაზრდილი სახელმწიფოს კიდე-განს, ყველა ციხეს, ყველა ზღუდეს, ყველა ლაშქრობას. აი, ამ დაუცხრომელი, ზამთარ-ზაფხულ ლაშქრობისა და ძლევამოსილი ბრძოლების წყალობით შექმნილი დიდი ქვეყნის უკეთ მოვლის და მომავლის უზრუნველყოფის მიზნით გაჩნდა ყივჩაღთა ლაშქარი. დაგროვილი ოქრო-ვერცხლის წყალობით გაჩნდა იგი. საქართველოს მეფეს საშუალება მიეცა უერთგულესი ქართველი მეომრების დიდი ნაწილი კერაზე დაებრუნებინა, მეურნეობა მოეღონიერებინა. საჭირო დროს ისინი დავითის დროშის ქვეშ დადგებოდნენ. დავითის დაძახილზე ქართული ლაშქარი სულ ფეხზე იდგა, მაგრამ ბატრონყმური სისტემა მაინც ყოველ ჯამს ბარიერად იგულისხმებოდა, რასაც შიში თუ გადალახავდა ხშირად — აღმაშენებლის შიში. წინააღმდეგობას ვერავინ ბედავდა და თავისი სამფლობელოდან მოლაშქრე გამოჰყავდა, მაგრამ ყველა დროულად და დიდი ხალისით ვერ აკეთებდა ამას. „რომელ არა კმა ეყვნეს სამეფოსა მისისანი თანამიყოლად კრთომითა და წადიერებათა სულისა მისისათა“. აქ ნაწილობრივ ჩანს ის უკმაყოფილება, დიდებულთა წრეში რომ ტრიალებდა. ისტორიკოსი არგუმენტების მოხმობით ამტკიცებს დავითის ნაბიჯის დიდ გონივრულობას და რისთვის? — რომ უკუაგდოს დიდებულთა მნიშვნელოვანი ნაწილის საპირისპირო მოსაზრება და განწყობილება.

მუდმივი ლაშქრის შექმნით ერთდროულად ორი საქმე კეთდებოდა: საქართველო დაუძინებელ ბარეშე მტრებს დირსეულ პასუხს გასცემდა და სამეფო ქართან დაპირისპირებული ფეოდალების ყველა ცდას ალაგმავდა, მოსპობდა შინააშლილობის საფრთხეს. „ამისთვისცა ამან მეორემან ალექსანდრე განიზრახა სივრცითა გონებისათა, რამეთუ სხუაებრ არა ძლო ღონე...“

„სივრცითა გონებისათა" — საგანგებოდ მიანიშნებს ისტორიკოსი აღმაშენებლის ამ თვისებაზე. და თუმცა ყოველი დიდი საქმის შინაარსი ამ „სივრცითა გონებისათას" მაღალ აზრზე მეტყველებს, აღნიშნულ ნაბიჯთან ამ შეფასების დაკავშირება მაინც არ არის შემთხვევითი. ბევრი ეპითეტი ჭირდება ისტორიკოსს დავითის სრული შეცნობის მიზნით, მაგრამ ამოდენა ნაშრომის არც ერთ წინადადებაში არ შეგხვედებათ ეპითეტი, რომელიც თავის ადგილზე არ იჯდეს და მაქსიმალურად არ გამოხატავდეს მეფეზე სათქმელს.

ხოლო „მეფემან უძრავმან გულითა" იტყვის ისტორიკოსი სწორედ დიდგორის ომის წინ, როდესაც უზარმაზარი არმია ზუსტად მანური სამყაროსი უდგას პირისპირ და გადამწყვეტი დარტყმისათვის ემზადება მეფე. ამიტომ ყოველ შედარებას, ეპითეტს ისტორიკოსთან აქვს ზუსტად მონიშნული ადგილი, ე. ი. აქვს განსაკუთრებული ფუნქცია და არ ემსახურება იგი მხატვრული აზროვნების ინტერესებს. მხოლოდ სრულად გამოხატვის აუცილებლობას მოსდევს ასეთი მრავლისდამტევი ეპითეტის მოსმობა. ეროვნული გონის მაქსიმალური მობილიზება იყო საჭირო იმ ნახევრადფორმირებული არსებობის წრიდან ამოსახტომად, სულ რომ ტანჯავდა ქართველ ხალხს საუკუნეთა მანძილზე.

დიამეტრულად განსხვავებული, კატეგორიულად გადამჭრელი ღონისძიებები იყო საჭირო და ცხოვრების ყველა სფეროში ეს ნიშნები ახლდა დავითის მოღვაწეობას. თუნდაც სამხედრო რეფორმა და „მსტოვართა" სისტემის გაჩენა იქმარებს მისი მოღვაწეობის ამ ნიშნების წარმოსაჩენად. ეროვნული გონმა აქაც თავისი შესაძლებლობის მაქსიმალური მობილიზება მოახდინა. დავითის პიროვნებაში განივთებული ქვეყნის შესაძლებლობანი გონების საოცარი სივრცით, მასშტაბური ხედვით ირჩევდა ახალ ფორმას. მოულოდნელი, მიუჩვეველი და ამდენად, შესაძლოა, მიუღებელიც გამხდარიყო იგი დიდებულთა ანგარიშგასაწევი ნაწილისათვის, თვით ერისთვისაც. რადგან საკითხის განჩხრეკა ათას მოსაზრებას და საწინააღმდეგო არგუმენტს დააჯგუფებდა, პანიკით აავსებდა მთა-ბარს. პანიკის გაძლიერება კი უკმაყოფილო, ლაგამმოდებულ

ფეოდალებს არ გაუჭირდებოდათ. ეს კი შეეძლოთ! ამიტომ მას, პირველს, „სივრცითა გონებისათა“ უნდა აეწონ-დაეწონა ყველაფერი, დიდი სიმაღლეები და რადიუსები თავის თავში მოექცია, დაენახა ყველა არსებითი სიკეთე, რაც მოჰყვებოდა მუდმივი ლაშქრის შექმნას. მას „სივრცითა გონებისათა“ უნდა გადაელახა ტრადიციული კონსერვატიზმი, გადამჭრელი ღონისძიებების ტკივილებს რომ გულისხმობდა და ამიტომ რომ უფრთხოდა იმ გადამჭრელ ღონისძიებებს. თითქმის ერთბაშად, მიუხედავად ამდენი წინა ისტორიული სასიკეთო პირობებისა, მაინც ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით უნდა გადაეწყვიტა საკითხი, რის გადაწყვეტასაც რომის და ბიზანტიის, ძველი საბერძნეთის თუ სპარსეთის მრავალსაუკუნოვანი ძალმოსილება ჰირდებოდა. და როდესაც მან თავის თავში იპოვა ძალა ამ, ეპოქების შემძვრელი, საქმეების გაკეთებისა, მანვე იგრძნო პირველად საკუთარი ქვეყნის სულ სხვა გონებრივი სივრცე, ხოლო ფეხქვეშ ჰეშმარიტად დიდი ქვეყნის გადასახედი. როდესაც ამ ნაბიჯის მადლი ქვეყნის საარსებო ფორმებს მოეფინებოდა, ყველაფერი ადვილად გასაგები და განსაცდელი აღმოჩნდებოდა, მისი „სივრცითა გონებისათა“ ერის „სივრცითა გონებისათა“ აღმოჩნდებოდა. მაგრამ წინასწარვე არ უნდა შეეშფოთებინა ხალხის სული...

დავით მეფეს ყოველმხრივ შესწავლილი ჰქვს ყივჩაღთა საბრძოლო თვისებები. ყივჩაღები რომ უებრო მეომრები იყვნენ, ეს მთელმა მაშინდელმა მსოფლიომ იცოდა და საქართველოშიც ამის შესახებ შესანიშნავად უწყოდნენ. ამიტომაც უფრო სარწმუნო ხდება დავითის წინასწარი განზრახულობა და ისტორიკოსის სიტყვებშიც აშკარად ილანდება ის შორეული ჩანაფიქრი, რამაც განაპირობა ყივჩაღთა მთავრის ასულის საქართველოს დედოფლად მოყვანა.

„და უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე, და წყობათა შინა სიმხნე, სისუბუქე და მიმოსლვა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამჭირვლობა და ყოვლითურთ მომზადებლობა ნებისა თვისისა. და ამათ თანა უადვილეს იყვნეს მოსლვად მახლობლობითაცა და უპოვარებითა, და რამეთუ პირველ მრავალთა წელთასა მიერ მოეყვანა სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გურანდუხტ დედოფალი, შვი-

ლი ყივჩაყთა უმთავრესისა ათრაქა შარაღანის ძისა, სჯულიერად მეუღლედ თვისად და დედოფლად ყოვლისა საქართველოსა. ამისთვისცა წარავლინნა კაცნი სარწმუნონი და მოუწოდა ყივჩაყთა და სიმაძრს თვისსა".

მთელს ამ ტექსტში სულ იმაზეა ლაპარაკი, თუ რატომ დაემოყვრა დავით მეფე ყივჩაღთა მთავარს: რომ ისინი რიცხვმრავალნი იყვნენ, სამხედრო საქმის მცოდნენი, ეადვილებოდათ ლაშქრობა, სულ საბრძოლველად იყვნენ მზადმყოფნი და შემართულნი „და რამეთუ პირველ მრავალთა წელთასა მიერ მოეყვანა... გურანდუხტ დედოფალი"... რომ „უწყოდა" ყივჩაღთა საბრძოლო თვისებანი".

ნიკო ბერძენიშვილი:

„დავითმა ეს საქმე დიდებულთ არ ჰკითხა. ეს ბუნებრივია... და ამით უაღრესად ანტიდიდებულ-დიდგვარიანთ საქმეს იწყებდა... რომ ეკითხა, ვინ დაუდასტურებდა...? რომ მათი მოყვანის მიზეზი მარტო ქართველთ სიმცირე ყოფილიყო, მაშინ კიდეც ჰკითხავდა და დასტურსაც მიიღებდა, მაგრამ სწორედ ის, რომ არ ჰკითხა, მოწმობს იმას, თუ რა მიზნებს ისახავდა ჯარის ეს გადმოყვანა და როგორ ესმოდათ ეს ფეოდალებს. დავითმა ამ ზომას მიმართა მას შემდეგ, რაც არაერთგზისი განდგომა-ღალატი იწვნია დიდგვარიანთაგან".

აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს ყივჩაღთა გადმოყვანის ერთი მიზეზი ზედმიწევნით ზუსტად აქვს მითითებული. მაგრამ, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს და ყველაფრიდან ჩანს, მეორე უფრო დიდი მიზეზიც იყო — ძლიერი მუდმივი ლაშქრის შექმნას უნდა მოეგვარებინა საქართველოს საუკუნოვანი ძლიერების დამკვიდრების საქმე — გარეშე მტრისაგან თავდაცვის მარადიული უნარის გამომუშავება. შინა და გარე წინააღმდეგობა თითქოს თანაბარძალოვანი და თანაბარდამღუპველი იყო ყოველთვის საქართველოსათვის. ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრებიდან კი განსაკუთრებით ძვირფასი ჩვენთვის დიდებულებთან ამ გეგმის შეუთანხმებლობის მიზეზების ახსნაა.

დავით მეფემ გადაწყვიტა ცოლ-შვილიანად გადმოესახლებინა ყივჩაღები, საქართველოს მკვიდრებად ექცია ისინი და, რო-

გორც საკუთარ მრევლს, ისე მიპატრონებოდა. გამორკვეულია, რომ დაახლოებით ორას ორმოცდაათი ათასი სული გადმოუსახლებია მეფეს. ეს ერთი პატარა ქვეყნის აყრას და სხვაგან წაყვანას ნიშნავდა. აყრა და ადგილის გადანაცვლება ყივჩაღებს არ უჭირდათ, მაგრამ ოსებთან მტრობა ჰქონდათ, ხოლო დარიალის კარი ოსებს ეპყრათ. საჭირო შეიქნა დიდი ოპერაციის ჩატარება. ყივჩაღთა ამოდენა ტალღის გადმოყვანის სურათი ისე მიმზიდველი და ისე მნიშვნელოვანია, რომ მზერა მთლიანად მას აქვს მიტაცებული. არადა, ამ დროს დავით მეფე ახორციელებს უმნიშვნელოვანეს სამხედრო ოპერაციას, რასაც ქართველთათვის ესოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დავით აღმაშენებელმა ერთმანეთთან დააკავშირა ორი დიდი მოვლენა და თანაც ისე დააკავშირა, რომ პირველი მეორის მოუგვარებლად არ გადაწყდებოდა. ამიტომ აქაც გაატარა გადამწყვეტი ღონისძიებანი. თავისი ერთგული სალხით, ძმადშეზრდილ და აღმზრდელ გიორგი ჭყონდიდელთან ერთად შევიდა ოსეთში, შეიყვანა სამეფო ლაშქარიც, იხმო თავისთან „ოსეთის მეფენი და ყოველნი მთავარნი". დავითის სამხედრო ძლიერება იმდროისათვის, რა თქმა უნდა, ოსეთში კარგად იყო ცნობილი და საქმარისი შეიქნა მისი გამოჩენა, რომ ყველანი „ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა". დიახ, მხოლოდ ძლიერების ზენიტზე მდგარ მეფეს შეეძლო ყივჩაღთა ლაშქრის შექმნაზე ზრუნვა და ოსეთის მოსალოდნელი წინააღმდეგობის ალაგმვა. მისი ჩასვლა რამდენად პრინციპულს ხდიდა ამ მოვლენას, ეს ოსებისათვის ძნელი ამოსაკითხი არ უნდა ყოფილიყო.

„და აღიხუნეს მძევალნი ორთაგანნი, ოვსთა და ყივჩაყთა, და ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი. და ყო შორის მათსა სიყუარული და მშვიდობა ვითარცა ძმათა და აღიხუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათან".

დარიალის ხეობა, ოსეთის სანაზღვრო ციხეები და კავკასიის მთებში ჩადგმული სიმაგრეები დავითის ხელთ გადმოვიდა, რაც მთავარია, მან დარიალის კარი დაუბრუნა საქართველოს, რადგან იგი, როგორც ჩანს, ოსების ხელთ ყოფილა ამ დრომდე. ჩრდილოეთის კარი საიმედოდ ჩაიკეტა და მასზე კონტროლს ამიერიდან საქართველოს ძლიერი მეფე გასწევდა. ამ

ციხეების წყალობით კი ჩრდილოეთის საზღვრის მუდმივი რეგულირება ხდებოდა შესაძლებელი. დავითთან იდგა ამ ოპერაციის დროს უკვე მარტოოდენ სამეფო ლაშქარი კი არა, თავად ის ორმოცი ათასი მოლაშქრეც ყივჩაღებისა, რომელიც მას ეკუთვნოდა და მისი ბრძანების აღმსრულებელი იყო. გადმოსახლებულ ყივჩაღთა შემწეობით კი სულ უფრო ადვილდებოდა ჩრდილოეთში დარჩენილ ყივჩაღებთან კონტაქტი.

რაოდენ გრანდიოზული ჩანს ამ პოლიტიკური აქტის სურათი — უმოკლეს დროში უამრავი ციხის დაშენებისა და ბოლოს დარიალის გზით ყივჩაღთა დიდი ტალღის გადმოყვანის სურათი.

„ხოლო ყივჩაყნი დააყენნა ადგილთა მათ მარჯუეთა დედაწულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი. ესენი განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა, და კუალად შინანი რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლსა, ვითარ ხუთი ათასი კაცი, ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმხნითა და თვით ყიჩაყნიც უმრავლესნი ქრისტიანე იქნებოდეს დღითიდღე, და სიმრავლე ურიცხვ შეეძინებოდა ქრისტესა. ესენი რა ესრეთ შემოიკრიბნა, და დარწყუნა გუარად-გუარად და დაუდგინნა სპასალარნი და მსჯართველნი; და ეგრეთვე თვისისა სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენ-კეთილნი და პირშეუქცეველნი და საშუალ მათსა თვით იგი უმსგავსი სპასპეტი და წინამძოლი“...

მუდმივი ლაშქრის შექმნა არ არის მარტოოდენ გაძლიერებული საქართველოსაგან გატარებული ღონისძიება. მასში უცრო რთული შინაარსი ვლინდება. მუდმივი ლაშქრის ფენომენში გამოანათა ქვეყნის სრულყოფისაკენ გამიზნულმა სვლამ, განვითარების სრულფასოვანმა ფორმებმა. რამდენ ხანს და რაოდენი ძალისხმევით იძერწებოდა ეს ფორმები, როგორ ხანგრძლივ, მაგრამ რა დაუნებით გამოდიოდა ხალხი და ქვეყანა ქაოტურობის ბურუსიდან, როგორ სწყუროდა მას სახელმწიფოებრივი სრულყოფა. არ კმაროდა თვით მნიშვნელოვანი ძვრებიც ქვეყნის განმტკიცების გზაზე, არც სახელოვანი სამხედრო ოპერაციები, რისი წყალობითაც სახელი გაეთქვა ძველთაგანვე დასავლეთსა და აღმოსავლეთში. ამ ძლიერებას მაინც

აკლდა რაღაც განსაკუთრებული. — სამხედრო ძლიერების თვალსაზრისითაც აკლდა. ვერც ოცნებობდა და თუ ოცნებობდა, ჩუმად, თავისთვის ფიქრობდა ალბათ ყოველი მოღვაწე მუდმივი ლაშქრის შექმნაზე. პრაქტიკულად ამ ოცნებისათვის ხორცის შესხმა შეუძლებელი ჩანდა. ისევ ტრადიციული ფეოდალური ლაშქარი იყო მთავარი დასაყრდენი ძალა. დავითმა სამხედრო ძლიერების გზაზეც ზეამოცანა დაუსახა თავის ხალხს. საქართველოს უნდა ჰყოლოდა მუდმივი ლაშქარი, მუდმივი ლაშქრის ფენომენი მის ფსიქიკაში უნდა დამკვიდრებულიყო. პარალელურად დამკვიდრდებოდა იგი გარემომცველი მტრული სამყაროს ფსიქიკაში. ჩნდებოდა ქვეყნისათვის რაღაც ახალი ძალა, როგორც მისი დიდი ბრძოლისა და ღვაწლის მონაპოვარი, მისი ძლიერი ნების ნაყოფი, იგი ახლა ზემდგომ ძალად განიცდებოდა. ქართველი ხალხის სულიერი სიმშვიდისა და წონასწორობის განმაპირობებელი, მარეგულირებელი ამ სიმშვიდისა, მუდამ გამზადებული, მკაცრად ორგანიზებული ორმოცდახუთი ათასი მოლაშქრე იმდროისათვის ფაქტიურად უზრუნველყოფდა მშვიდობიანი ცხოვრების სიმკვიდრეს. შიში, კრთოლა და „დიდი თურქობის“ მოლოდინი ფერმკრთალდებოდა. დავითის წინამძღოლობით ეს შიში და კრთოლა ქარგა ხნის წინათ მიყუჩდა, მიწყდა, მაგრამ დავითის მოსალოდნელი გარდაცვალების შემდეგ ეჭვის ქვეშ მდგარი მომავლის სახე განათდა. ძლიერების საფუძველი თავისი სიმკვიდრით ანათებდა იმედების მდინარეს, მისი განცდა ხსნიდა წინათ დათრგუნვილ ბუნებითს ნიშნებს, აჭრობდა მათ, ლაღი არსებობის თვისებებს აფოფინებდა, გულს ასალკლდევებდა. ყველაფრიდან იგრძნობოდა, რომ ისტორიის გრძელ გზაზე გამოვლენილი უნარის ნაყოფი იყო ეს სიმაღლე, მისგანვე შემზადებული და შექმნილი.

ქვეყანამ ამ მოვლენაში დაინახა განსაკუთრებული ფაზის დადგომა, მისი ძლიერი ორგანიზმი ითავსებდა უცხო სხეულს, სურდა საკუთარ ნაწილად გადაექცია იგი. მოდიოდა ორასი ათასზე მეტი ყივჩაღი, ეფუძნებოდა და იმგვარად ეფუძნებოდა, რომ ქრისტიანი მრევლის ორგანულ ნაწილად ქცეულიყო ხვალ („სიმრავლე ურიცხვი შეეძინებოდა ქრისტესა“), ისეთ ადგილას ეფუძნებოდა, რომ მარჯვე და ხელსაყრელი ყოფი-

ლიყო სახელმწიფოსათვის — დაძახილზე უმოკლეს დროში უნდა გამზადებულიყო მუდმივი ლაშქარი!

„დავით აღმაშენებლის გეგმა რთული გეგმა იყო: მას დიდი ჯარის შექმნა ჰქონდა განზრახული: 40 ათასი მარტო ცხენოსანი ჯარის კაცი უნდა ჰყოლოდა და 5 ათასი მონასპად წოდებული პირადი მცველი. 40 ათასი მხედარი რომ მარტოდ-მარტო გადმოსულიყო, მათ საქართველოში ცხოვრება, რასაკვირველია, გაუძნელდებოდათ და ისინი მკვიდრ მოსახლეობადაც ვერ იქცეოდნენ. ამიტომაც დავით აღმაშენებელმა ყივჩაყნი თავიანთ ოჯახებითურთ გადმოასახლა.

...ჩრდილო კავკასიიდან გადმოსაყვან ყივჩაყთა მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად მან ადგილი სწორედ შუაგულ ქართლში შეარჩია და იქ დაასახლა ყივჩაყები. შუაგული ქართლი — კი, როგორც აღნიშნული გექონდა, ბაგრატ მეოთხისა და გიორგი მეორის დროს თურქთა მრავალგზის შემოსევის გამო საშინლად აოხრებული იყო. ამიტომ ყივჩაყთა ოჯახების გადმოსახლება და იქ დამკვიდრება ქართლის შეთხელებულ მოსახლეობის გამრავლებასაც უდრიდა და ამ მხრივ, მაშასადამე, ეს საშუალება მარტო სამხედრო მიზნებით ნაკარნახევი ღონისძიება კი არ იყო, არამედ ამავე დროს პოლიტიკური ამოცანის, საახალშენო პოლიტიკის, განხორციელებასაც წარმოადგენდა!"—ივანე ჯავახიშვილი. (ამ საკითხთან დაკავშირებით ახლახან რამდენადმე განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა ისტორიკოსმა ჯემალ სტეფანაძემ, მაგრამ ეს მოსაზრებები არ ეწინააღმდეგება უმთავრესს — ყივჩაღთა მუდმივი ლაშქრის, როგორც მოვლენის განსაკუთრებულ შინაარსს).

თუ ღრმად დავაკვირდებით, ცხადად დავინახავთ, როგორ არის შეთავსებული ამ რთულ გეგმაში მრავალი მიზანი, პირველ ყოვლისა, გარანტირებულია მატერიალური უზრუნველყოფა. სახელმწიფო ხაზინას დიდ ტვირთად რომ არ დააწვეს ლაშქრის შენახვა, ამ მიზნითაც არის გადაწყვეტილი ეს „დედაწულითურთ" ჩამოსახლება, შიდა ქართლის ტერიტორიაზე მათი დამკვიდრება, ლაშქრის მაქსიმალური მზადყოფნის უნარი იგულისხმება ამ ტერიტორიის არჩევანში. აქედან საქართველოს ყველა კუთხისაკენ თითქმის თანაბარი მანძილია. ყივჩაღთა „მოძრაობის სიმსუბუქე" ყველასთვის ცნობილი იყო.

მათი ცხოვრების წესი — ადგილმონაცვლეობისა და გაუთავებელი ლაშქრობების წესი თავისთავად გულისხმობდა დიდ სისწრაფეს. ოჯახებისაგან მოწყვეტა და ლაშქრად წასვლა მძაფრად არ განიცდებოდა, ეს მათი მოწოდება იყო.

გვარებად დაჰყო დავითმა ყივჩაღები, დაუდგინა სპასალარნი და მამასახლისნი. დეტალები გვამცნობენ, როგორ მკაცრად იყო ორგანიზებული ეს ამოდენა ლაშქარი, თავისი დანიშნულება ჰქონდა ყოველ რაზმს, თავისი მიზანი ჰქონდა დასახული მთელს ლაშქარს საერთოდ. ეს გახლდათ სამხედრო რეორგანიზაცია, რასაც ორი წელი მოანდომა აღმაშენებელმა სხვა საქმეების პარალელურად. შიშით გატრუნულები ჩანან გარს მომდგარი მტრები — აქტიურ ჩარევას და ხელის შეშლას ვერ ბედავენ. არადა, მზადდებოდა როგორც გარეშე, ასევე შიდა მტრების რისხვა. მუდმივი ლაშქრის წყალობით ფეოდალურ ლაშქარზე დამოკიდებული მეფე წარსულს ბარდებოდა, თავის ნებასა და სურვილს უკარნახებდა ყველას ქვეყნის პატრონი დღეიდან და ვერც ერთი ფეოდალი ვერ გაბედავდა საჭიროების შემთხვევაში მოლაშქრის გამოყვანა დაეგვიანებინა.

1120 წლისათვის მთლიანად გამზადებული ჩანს სამეფო ლაშქარი და თუ რამ უკმაყოფილება გამოითქვა ამ მოვლენის გამო, ყველაფერი გადაფარა შემდეგდროინდელმა დიდმა ისტორიულმა ამბებმა, უკმაყოფილება კი, ჩანს, დიდი ყოფილა. არც არის გასაკვირი, უმიზეზოდ კილვა და ქირდვა არ წყინდებოდათ ოპოზიციონერებს და უცხო თესლის ასეთი რაოდენობით ჩამოსახლება დიახაც ვეებერთელა საბაბი გაჩლდათ საყვედურის სათქმელად. საყვედური, ეტყობა, ნიაღვარივით დაიძრა, რომ დავითის ისტორიკოსის მხრივაც და შემდეგშიც მემატიანეთა და ისტორიკოსთა შრომებში საგანგებო ყურადღება ეთმობა დავითის ამ გადაწყვეტილებებს და მკილავთა არგუმენტების უკუგდებას, დიდი ყურადღება ეთმობა დავითის გადაწყვეტილების დახასიათებას; რათა საქართველოში ორასი ათასზე მეტი ყივჩაღის შემოყვანის ფაქტი სწორად იქნას შეფასებული.

დიდებულთა გარკვეული ნაწილი კი სწორედ ქვეყნის უბედურებად მიიჩნევდა ამ ფაქტს და ეფარებოდნენ რა უცხო თეს-

ლის ცნებას, საყვედურის ისრებს უშენდნენ მეფის პოლიტიკას. სინამდვილეში ალაგმული პატივმოყვარეობის გლოვა ისმოდა ამ საყვედურში, დაკარგულ უფლებებზე ტირილი და მოთქმა ისმოდა. დავით აღმაშენებელის წინაშე მორჩილნი ჩახდნენ, მაგრამ მომავლის იმედიც ესპობოდათ — ვერცერთი მეფის ხელში ვერ აღაზევებდნენ პატივმოყვარეობის ვნებას. მეფესა და სახელმწიფოს ჰყავდა განუსაზღვრელი ძალის დასაყრდენი. „სივრცითა გონებისათა“ განისაზღვრება მომავალი სამხედრო ძლიერებაც. შეიქმნა სამხედრო სისტემა, იმ დროისათვის უნიკალური საბრძოლო თვისებებით შემკობილი. ამ სამხედრო სისტემის გვირგვინად მონასპა ჩანს. ხუთი ათასი კაცი, სულ რჩეული, მეფის მცველად იგულისხმებოდა. ამოდენა პირადი დაცვით ადვილად ხერხდებოდა მთელი ამ სამხედრო სისტემის რეგულირება. მეფის მეთაურობით ეს მონასპა მართავდა „სპასალარებს და მმართებელთ“, მუდმივ ლაშქარს რომ ედგნენ სათავეში.

• • •

ოსეთში ყოფნისას გარდაიცვალა გიორგი ჭყონდიდელი, „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი, სვიანი და ფრთხილი, თანააღზრდილი აღმზრდელი პატრონისა და თანაგანმკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა“. ამ სიტყვებამდე მემატიანე წერს: „თანა წარიტანა გიორგი ჭყონდიდელი და მწიგნობართუხუცესი თვისი“. ვისაც დავითის ისტორიკოსის თხზულება წაუკითხავს, დაინახავდა, რამდენგზის აღნიშნავს ამ „თანა წარიტანას“ ავტორი. აქ კი პირდაპირ არის თქმული, რომ გიორგი ჭყონდიდელი თან ახლავს მუდამ მეფეს — ან მის გვერდითაა ან მის მიერ დაგეგმილ ოპერაციას აბორციელებს. საქართველოს ისტორიას ბევრი ჰყავს ანონიმი მოღვაწენი, მაგრამ უჩვეულო თავდადრეკილობის მიუხედავად, ფაქტებისა და მოვლენების ვეებერთელა წრიდან ჩვენს წინაშე აღიმართება გიორგი ჭყონდიდელის მონუმენტური პიროვნება. არათუ მასზე, თვით საქართველოს უდიდეს მეფეზეც არ შეგვარჩინა დაწვრილებითი ცნობები ისტორიამ. ვინ იყო იგი, რა

ბიოგრაფია ჰქონდა, დეტალურად ამის განხილვა არ ხერხდება, მაგრამ ყველა ფაქტიდან და მოვლენიდან ილანდება დარბაისელი, ბრძენი, დიდი, უსაზღვროდ დიდი გონების კაცი, არისტოკრატიული ბუნებისა და უნივერსალური თვისებების პიროვნება. სულით და ხორცით სრულყოფილს უწოდებს მას ისტორიკოსი. იგი თავის პატრონთან — დავით აღმაშენებელთან ერთად იზრდებოდა და ამასთან მის აღმზრდელადაც გვევლინება. ესე იგი, ასაკით დიდად არ განსხვავდებოდა მისგან. ჩანს, რამდენიმე წლით იყო მხოლოდ უფროსი. როგორ ამოიცნო მასში გიორგი მეორემ თავისი შვილის დიდი მეგობარი და მასწავლებელი, როგორ გამოარჩია სამეფო კარზე და როგორ ანდო ასაკით ოდნავ უფროს გიორგი ჭყონდიდელს უფლისწულის აღზრდა ეს იყო დიდი მეგობრობის დასაწყისი. გიორგი ჭყონდიდელი — „სავსე სიბრძნითა და გონებითა, განმზრახი, სვიანი და ფრთხილი“ აღსაზრდელში ხედავდა იშვიათი თვისებების სინთეზს, ხვალინდელ მეფეს, რომლის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს არ უჩანდა საზღვარი, საზღვარი არ უჩანდა მისი გონების სივრცეს. საბედნიეროთ შეხვედრაა სულისკვეთებისა სულისკვეთებასთან, განაზრახისა — განაზრახთან.

დავით აღმაშენებლის პიროვნების გვერდით შეუძლებელი ჩანდა ვინმეს დამსახურების დანახვა და შემჩნევა, შეუმჩნეველი დარჩებოდა იგი დავითის ისტორიოსისათვისაც, რომ თავად თავმდაბალ მეფეს არ ჰქონოდა კიდევ ერთი დიდებული თვისება — სხვისი დამსახურების საკადრისად დანახვის უნარი. ისტორიკოსი ისე წერს დავითზე, ისე კარგად იცნობს სწორედ მის თავმდაბალ ბუნებას, რომ არ ასვენებს მოთხოვნილება დავითის ჭეშმარიტი თანამებრძოლის წარმოჩენისა. თითქოს სტრიქონებშუა გრძნობთ; იგი შეურაცხყოფას მიაყენებდა აღმაშენებლის დიდ პიროვნებას, თუ სადაც არ აღნიშნავდა, რომ გიორგი ჭყონდიდელი იყო „თანაგამკაფველი ყოველთა გზათა, საქმეთა, ღუაწლთა მისთა“. გიორგი ჭყონდიდელის სიკვდილის შემდეგ 1118-1125 წლებში აღმაშენებელმა ისეთი მოვლენები დაატრიალა საქართველოს საკეთილდღეოდ, რომ კიდევ ერთხელ ესმება სადაც ხაზი — მთელი ამ გრანდიოზული პროგრამის იდეური და განმახორციელებელი ის იყო თავად და სხვა არავინ, მაგრამ ამ უზარმაზარ გზაზე ტიტანებ

რომ იახლა და მათგან უველაზე გამორჩეულის, გიორგი ჭყონდიდელის დამსახურება აღნიშნა საგანგებოდ, ესეც მეფის სურვილად იკითხება. დიახ, მემატიანის სიტყვებში აშკარად საგრძნობია აღმაშენებლის სურვილი, გიორგი ჭყონდიდელის მონუმენტური პიროვნება სრულად ჩანდეს. „თანაგანმკაფველი ყოველთა გზათა“,—აქ არის გიორგი ჭყონდიდელის ღირსებათა გასაღები დამარხული. აქ, ამ სიტყვებში მთელი სისრულით ფეთქს მისი ბიოგრაფია, ის უძილო ღამეები, ის ფიქრი, ის განზრახვები, ის სამხედრო ოპერაციები... ის მოძრაობანი, რაც დავით მეფეს უკავშირდება, მასაც განუყრელად გულისხმობენ. ყოველი გზა, ყოველი საქმე და ყოველი ღვაწლი — დავითთან ერთად აქვს გაზიარებული ამ ლეგენდის იდუმალებით მოცულ პიროვნებას. გიორგი ჭყონდიდელი სრულად რომ დაახასიათო, ისევ თავიდან უნდა მოჰყვე, და რაც აღმაშენებლის საქვეყნო საქმეების გამო ითქვა, მასაც დაუკავშირო, კი არ დაუკავშირო, მასთან ერთად და მისითაც იგულისხმო. ასეთია დავითის ისტორიკოსის ხედვა, ასეთია აღმაშენებლის დამოკიდებულება ჭყონდიდელის პიროვნების მიმართ. და ამ ურიცხვი საქმის თანმიმდევრობით ჩამოთვლისა და შეჯამების შემდეგ აღსდგება გიორგი ჭყონდიდელის ბიოგრაფია, თითქოს შეუცდომლად და სრულად იგრძნობა უველგან მისი ლაღი, თავისუფალი სული, გონება, რომელიც თითქმის არასდროს არ ცდება. დავით აღმაშენებლის დრო ერთი რამის გამოც არის საქართველოსათვის ძვირფასი. დავითი თავისი განუსაზღვრელი შესაძლებლობების განხორციელების გზაზე უველა ფიქრსა და განაზრახს, საბედნიეროდ, უნათლესი გონების კაცთან ათანხმებდა და ამოწმებდა. მისი გეგმა მუდამ რთული და დიდია, მაგრამ „თანაგამკაფველი“ კაცის გონების შუქზე ეს გეგმა უმოკლეს დროში მოწმდებოდა, დეტალები იხვეწებოდა, ერთი წამიც არ იკარგებოდა მისი განხორციელების გზაზე.

გიორგი ჭყონდიდელი მოჯადოებული ჩანს დავით აღმაშენებლის პიროვნებით. ამ ადამიანმა თავისი პატრონის მოუსვენარი ცხოვრებით იცხოვრა. ამას პირდაპირ ამბობს მემატიანე. ისინი მუდამ ერთად არიან, ან საქმეს მუდამ ერთად განასრულებენ. გიორგი ჭყონდიდელი შეუცდომლად ახორციელებს მეფის ჩანაფიქრს (ზედაზადენი, რუსთავი, სამშვილდე...) ეს,

რაც კონკრეტულად არის დასახელებული. ის მოულოდნელი მოძრაობანი მეფისა, ის ხშირი გადასვლები დასავლეთ საქართველოში, ხოლო აღმოსავლეთში ლაშქრის ფარულად წვევა, ხომ ასევე გულისხმობს გიორგი ჭყონდიდელის უცილო მონაწილეობას ყველა ოპერაციაში. ის დიდი მშენებლობანი, ის საეკლესიო რეფორმა, ქსენონი, გელათი, წიგნთა კითხვა და ჩხრეკვა, ფიქრი, ფიქრი, განსჯა, გეგმათა დაწყობა — თანაგამკაფველი ყველგან. აღმაშენებელმა ბრძენი კაცის გონებაზე უნდა შეამოწმოს ყველა თავისი ღრმა ჩანაფიქრი. მაინც უნდა შეამოწმოსს მხოლოდ ამ გზით გამოირიცხება მარტოსულობა და გამოირიცხება შეცდომაც. ასეთი პიროვნება აღმოჩნდა მის გვერდით. ბრძენი და თავმდაბალი პიროვნებანი სხვებიც იყვნენ გიორგი მეორის კარზე. დავითმა კი ყოველი კუთხიდან მოკრიბა ისინი. მათ შორის მწვერვალივით ჩანს გიორგი ჭყონდიდელი — დიდი მესაიდუმლე და მრავალი დიადი გეგმის თანაავტორი. ამიტომ ითქვა მემატიანის ის სიტყვები, ამიტომ გამოხატა უსაზღვრო მწუხარება და პატივისცემა გიორგი ჭყონდიდელის გარდაცვალების გამო დავითმა და მისმა საქართველომ.

„ხოლო მაშინ ოვსეთს ყოფასა მიიცვალა გიორგი ჭყონდიდელი; თავადგა სიყრმისგანთა პატრონისა მსახურებათათვის; და პატივითა დიდითა წარმოგზავნა მონასტერსა ახალსა და მუნ დაემარხა, რომელი იგლოვა ყოველმან სამეფომან და თვით მეფემან, ვითა მამა და უმეტესცა მამისა, შემოსითა შავისათა ორმოც დღე, ვიდრემდის იშვა ვახტანგ, რომლისა ხარებითა დაიხსნა გლოვა".

მომაკვდავი გიორგი ჭყონდიდელის სარეცელთან ფეხმოუცველად მდგარი მეფე უკანასკნელ გზაზე მიაცილებდა უერთგულეს მეგობარს, საქვეყნო საქმეებისათვის თავდადებულ კაცს. სამუდამოდ ითიშებოდა მათი ფიქრები, იყრებოდა გზები. მის სარეცელთან ყოფნა და მისთვის სიკვდილის გაიოლება იყო თავად მეფისა და მთელი საქართველოსაგან მადლიერების დიდი გრძნობის გამოხატვა. დავითისათვის ქართველი კაცი არ იყო მხოლოდ მეომარი, ვინც საქართველოს დიდ საქმეებს უნდა შეწირვოდა, იგი გახლდათ სისხლი სისხლთაგანი, ადამიანი, ვისი განცდებიც და ტკივილებიც ასე ახლოს მიჰ-

ქონდა გულთან მეფეს. ეს ის მეფეა, ქსენონში რომ აკითხავდა ავადმყოფებს, პინაკებს რომ უსინჯავდა თავისი ხელით, უფრო სწორად, ეს ის გულია! მით უმეტეს, რომ გიორგი ჭყონდიდელი კვდებოდა!

მთელმა საქართველომ იგლოვა ახალ მონასტერში დასვენებული გიორგი ჭყონდიდელი. საყოველთაო გლოვა მეფისაგან ნაბრძანები არ ჩანს. საქართველო ხედავდა გიორგი ჭყონდიდელის პიროვნებას, მის ამაგს, ხოლო დაკითი, მიუხედავად თავისი დამაბრმავებელი სიდიადისა, საკუთარი ბუნების გამორჩეული თვისებით, საოცარი ტაქტითა და თავმდაბლობით, ყოველთვის ახერხებდა არ დაეჩრდილა თანამებრძოლების სახე. არათუ გიორგი ჭყონდიდელი, უფრო ნაკლები დამსახურების პიროვნებანიც არ იჩრდილებიან, უფრო მეტიც ითქმის, მისი მოღვაწეობის ხასიათში, მისი თვისებების ჯამში ყოველთვის იგულისხმებოდა თავისუფალი სივრცე სხვათა დამსახურების დასანახავად. ორმოცი დღე შავად მოსილი მჯდარა დავით მეფე. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს, რაოდენ დიდი კაცი დაკარგა ქვეყანამ, ჩანს ყოველმხრივ განათებული პიროვნება გიორგი ჭყონდიდელისა, ვინც ასეთი სისავსით გამოხატავდა თავისი ერის ღირსებებს.

* * *

1120 წლისათვის დასრულდა საქართველოს მუდმივი ლაშქრის ორგანიზება. დავით აღმაშენებელი მთელმა დასავლეთმა, აღმოსავლეთმა, ჩრდილოეთმა და სამხრეთმა გაიცნო აქამდე. იცოდნენ რა შეეძლო და რა შეიძლო კიდეც. თავისი ურთულესი პროგრამის განხორციელების გზაზე მან იმდენი საქმე გააკეთა, ისე აღაშენა ქვეყანა და იმგვარად შეაძრწუნა მტერი, იმდენი სასახელო საქმე დაუკავშირდა მის სახელს, რომ ალბათ დაბნეულობასაც თესავდა მისი ეს ახალი ნაბიჯი. რას აპირებს დავით მეფე? აი, კითხვა, რომელიც ფიქრს უღრღნიდა და გუნებას უწამლავდა დიდ და მცირე სახელმწიფოებს ირგვლივ. განსაკუთრებით შეშფოთებული ჩანან თურქ-სელჩუკები, რომელთა წინააღმდეგ წარმოებული 1114-1118 წლების უანტრაქტო ბრძოლებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მათი ძლიერება

და კერძოდ საქართველოში დაფუძნების ვერაგული გეგმა, თურქ-სელჩუკებს შეშფოთებისათვის ჰქონდათ საფუძველი თვითონ დავითზე უკეთ არავინ იცოდა, რა იყო გაკეთებული, რა იყო მიღწეული და მასავით ვერავინ ხედავდა, რა იყო მისაღწევი. ახლა, გარდასული მოვლენების ანალიზისა და ისტორიკოსთა დიდი ნაშრომების შესწავლის შემდეგ, ადვილდება შეიცნო არსი იმისა, რაზედაც დავითი ფიქრობდა და წინასწარ არაფერს ამბობდა. ამდენი გაკეთდა და მაინც ზეამოცანად რჩებოდა უმთავრესი გეგმათაგანი — თურქ-სელჩუკების „გასხმა“ საქართველოს საზღვრებიდან. დიახ, დავით აღმაშენებელი შეაძრწუნა „ასიათასი მზით“ განათებულმა აზრმა თუ დასკვნამ — თურქ-სელჩუკები არ წავიდოდნენ საქართველოდან, არ შეეძლოთ მათ საქართველოდან წასვლა! დავითის რისხვით დაფეთებულნი შორით უვლიდნენ ქვეყანას, მაგრამ საოცრებას ჰგავდა მათი „სულიერი“ მოძრაობა — თუ შორს დაიგულებდნენ მეფეს, არ შეეძლოთ მაშინვე არ შემოსულიყვნენ და არ ჩამომსხდარიყვნენ მტკვრის სანაპიროებზე, ძველებურად არ ერბიათ ქვეყანა. რაღაც ამოურწყავი წყარო ასაზრდოებდა მათ რიგებს. საიდან მოდიოდა ამდენი, კალიასავით მოდებული, შთანთქმის საოცარი უნარით დაჯილდოებული წარღვნა. თუ მათი ისტორიული მოძრაობა საქართველოს არ დაეხსნებოდა, მეორე ზეამოცანაც იღუპებოდა — ქართველი ერის სრულყოფის დიდი ამოცანა. ეპიზოდურ აღმასვლად უნდა დარჩენილიყო დავითის დროც, მსგავსად დავით კურაპალატის, მსგავსად ბაგრატ მესამისა. მაგრამ ის, ის, რაც ასე ენატრებოდა ქვეყანას, რისკენაც ისწრაფვოდა და საკუთარი ღირსებების საშვენს არსებობას რომ ეძებდა, ის სული არ ისვენებდა. ის, შესაძლოა, საბოლოოდ დაღუპულიყო, თუ უკანასკნელ ზღვრამდე მიტანილ მოვლენებს არ განასრულებდა აღმაშენებელი, მარტო სახელმწიფოს თავდაცვა და ფეოდალთა ურჩობის ალაგმვა არ უნდა ჰქონოდა მუდმივ ლაშქარს მიზნად დასახული. აღმაშენებელი ისტორიული ჟამის გამგებელი უნდა გამხდარიყო. დრო კი მიდიოდა, წლები ემატებოდა, „გზის თათანაგამკაფველიც“ გამოეცალა გვერდიდან — გიორგი ჭყონდიდელის წასვლა დიდი დანაკლისი იყო. ოცდათერთმეტი წლის მეცადინეობით მიღწეული სიმაღლეები ცალკე ანალიზს ითხო-

ვდა მისგან. საქმეების, ფაქტების სიუხვე, მოვლენების სიმძაფრე, მოქმედებათა ინტენსიურობა, ბრძოლისა და შენების რიტმი უკიდურესი დაძაბვის ზღვრადაც კი განიცდებოდა ქვეყნისაგან. ამიტომ გაჩნდა საყვედური—„არცა მშვილდი თავს იდებსო მარადის გარდაცმულობას, არცა ძალი ორღანოსა მარადის განსხირპულობასა...“ ამიტომ გაჩნდა საყვედური „გაუთავებელ“ ლაშქრობებზე, და აი, იმაზე მეტი, იმაზე რთული ამოცანის გადაჭრა შეიქნა საჭირო! აწ უკვე მიღწეულმა, ერის ენერგიის მიერ დაუფლებულმა რიტმმა თითქოს თავისთავად მოითხოვა უფრო დიდი რიტმი. შემზადებული და დამუხტული ჩანს ეს ახალი რიტმი, თითქოს ნახტომი გააკეთა, თავისმა წარსულმა არ დააკმაყოფილა, ახალი შესაძლებლობების სალარო გადაიხსნა და სივრცეში გაიჭრა.

„განიცადეთღა ოთხთა იმათ წელთა ქმნილნი მისნი, რომელთა მრავალი გზის ქმნულთა მცირედი მეგულების თქუმად“. — კი არ მიგვითითებს, მოითხოვს ისტორიკოსი ჩვენგან ამ მოვლენის არსში გარკვევას. პირველ ყოვლისა, ეს საოცარი ნახტომი, ენერგიის საოცარი აფეთქება თავად დავით აღმაშენებელში მოხდა. იგი პირველი გრძნობდა თავისი ხალხის მდგომარეობას ყოველ ისტორიულ სიტუაციაში და ახლაც თავად იგრძნო პირველმა, რომ ძველი რიტმი არ კმაროდა. მის წინაშე იმდროინდელი საქართველოს მსოფლიო ასპარეზი გადაიშალა, დაინახა მთელი სისრულით გარემომცველი მტრული სამყაროს უკიდეგანო სივრცეები, დაინახა, რა იყო მოსახდენიც, რათა უზარმაზარ მტრულ სამყაროს საქართველოს მარადიულობა ერწმუნა. ვეებერთელა მტრულ სამყაროს უნდა ერწმუნა, რომ იგი ვერასდროს ვერ შეძლებდა, მის ძალებს აღემატებოდა ქრისტიანული საქართველოს მოსპობის მიზანი... და ამის შემდგომ შეეცვალა თავისი დამოკიდებულებაც საამისოდ საჭირო იყო საქართველოს დაღუპვის მიზანი შეტრიალებულიყო გარემომცველ თურქ-სელჩუკთა ურდოების დაღუპვის საფრთხით. თურქ-სელჩუკთა არსებობა უნდა დამდგარიყო კითხვის ნიშნის ქვეშ. მაშასადამე, საჭირო იყო საგულდაგულოდ მომზადებული უინტერვალო შეტევების სერია. დრო არ რჩებოდა ამდენი! იგი, ცხადია, ხუთ წელიწადში თავის აღსასრულს არ ელოდა, მაგრამ მაინც უარესზე უნდა ეფიქრა —

კიდევ ოცდათერთმეტ წელს მეფობისას ვერ იგულისხმებდა ესეც არ არის მთავარი — წარღვნას უნდა დამსგავსებოდა მტერზე იერიში და სწორედ უმოკლეს დროში უნდა გაეტეხა მისი ძლიერების ხერხემალი. მუდმივ მზადმყოფი მუდმივი ლაშქარი ამისათვის ჭირდებოდა მეფეს.

და, მართლაც, უნდა განცდა ყველა იმ მოვლენას, რომელიც სპასწაულებრივმა ძალამ ოთხ წელიწადში ჩასტია. ამ მოვლენებს ურიცხვი წახნაგი აქვს, ფენომენალური დანიშნულება და არსი გააჩნია, მისი ამოცნობა ჩვენი ვალია. უდიდესმა მიზანმა მოითხოვა და დავით აღმაშენებელმა — „არა სცა ძილი თუალთა, არცა ჰრული წამთა, არცა განსუენება ხორცთა თვისთა, არ მიდრკა გემოვნებათა მიმართ, არცა ნებასა ხორცთასა; არა სასმელ-საჭმელთა, არცა სიმღერა-სიღოდათა და არათურთითა არარა ხორციელთა შეაკრა გონება, გახსნა საღმრთოთა და სასულიეროთა ყოველთა დასრულებად და უდებებად მზიდველთა ნებისად“.

რისთვის „არა სცა ძილი თუალთა“, რისთვის „არა სცა ჰრული წამთა“, „არცა ნებასა ხორცთასა!!!“

მას, უძლიერესი სახელმწიფოს პატრონს, მუდმივი ლაშქრითა და მონასპით განმტკიცებულს, შესანიშნავი სარდლებით მდიდარს, განა არ შეეძლო ბრძენი მეფის მსგავსად ტახტზე მჯდარიყო მშვიდად, ხოლო სარდლები და ლაშქრობა ოთხივ კუთხივ დაეგზავნა საქართველოს მტრების შესაძრწუნებლად, ერთგული ხალხი ისედაც შეუწყვეტლად მიაწვდიდა ცნობებს.

რას ნიშნავს ეს თითქოს არანორმალური ცხოვრების წესი, ეს გრიგალისებური ქროლვა, დაუსვენებლივ მოძრაობა, ცხენების წარამარა ცვლა, ძილსა და მოსვენებაზე უარის თქმა... რა ეძახის დავით მეფეს, რა მიზანი უხმობს ისეთი, რომ სულ მცირე დასვენების უფლებას არ იტოვებს, რა ცეცხლმა აიტანა მისი არსება, რა ვნებებმა დაფერფლეს, რომ წამიერ რულსაც მოანატრებს თავის თავს. ძნე ითქმის ის მოუსვენრობა, რადგან უმცირესი დროა მოტოვებული ენერგიის მოსაკრებად, ადამიანური დასვენებისათვის. მოუსვენრობასა და გამუდმებით მოძრაობას ისიც შეჩვეული იყო და მისი ხალხიც, მაგრამ ახლა ცხოვრების ეს წესი არავითარ ლოგიკას არ ეწვემდებარებოდა, მასში აღარ დარჩა ჩვეულებრივისა და

ნორმალურისაგან ნატამალიც კი — გაუგონარი დინამიკა მოქრაობის! რას სჭირდებოდა ეს მარადიული სიფხიზლე, ეს უღვთოდ შემოკლებული ძილისა და დასვენების დრო. რა საქმეები ჯგუფდებოდა ასეთი ინტენსივობით, რომ დღე-ღამის ოცდაოთხი საათი არ კმაროდა, დღე-ღამის ოცდაოთხი საათის განმავლობაში ასი საათის ხანგრძლივობის ჩატევას რომ ესწრაფვოდა. გამოირიცხა ცხოვრების ყოველგვარი გემოვნება, ხორცის ნება, დავიწყებული იქნა საკადრისი მეფური სასმელ-საჭმელის არსებობა, დავიწყებულ იქნა მოლხენა და შვება ქეიფისა, ყოველგვარ მიწიერს, ადამიანურს, კანონიერ მოთხოვნილებას შეეზღუდა მადა. როგორ ცხოვრობს მეფე, უძლიერესი სახელმწიფოს პატრონი, — განსასჯელი იდუმალებაა ჩვენთვის. არა ჰგავს იგი არც ერთ ნებიერ აღმოსავლეთის დესპოტს, თვით უძლიერეს მეფეებს, არც დასავლეთის ცივილიზებული სახელმწიფოების სიუზერენებს, დიდ საქმეებსაც რომ აკეთებენ და მეფური ცხოვრების მადლსაც არ იკლებენ. იცის საკუთარი ქვეყნის პოზიცია და ისტორიული მდგომარეობა და ძლიერი სახელმწიფოს შექმნის მიუხედავად გამორიცხა მეფური ცხოვრების ის ნიშნები, შემდეგ თვით საჭირო და აუცილებელი არსებობის წესებიც მინიმუმამდე შეზღუდა... მაქსიმალურად მობილიზებული ცხოვრების წესი თუ გადაარჩენს მის ქვეყანას. რაკი მიზანი ამას ითხოვს, ის უნდა გაკეთდეს. და აქ ჩნდება პირველად ის ახალი რიტმი, მოძრაობის, მოქმედების, ბრძოლისა, რაც მისგანვე დამკვიდრებული უჩვეულო რიტმისაგან ამოიზარდა, უფრო ამოვარდა და ქვეყნიერებას მოჰფინა აღმაშენებლისა და მისი ხალხის ენერგია. სწორედ აქ ფეთქავს იგი, ამ „არა სცა ძილი თუალთაში“, ამ „არცა ჰრული წამთაში“, ამ „არცა ნებასა ხორცთასაში“, ამ „არცა განსუენება ხორცთა თვისთაში“... და ეს ყველაფერი, ცხადია, მოძრაობაშია გადამდნარი და გამოხატული, საქმეში, მოვლენაშია გათქვეფილი...

* * *

„ხოლო აქუნდის ჩვეულებად ესე მეფესა, რამეთუ განზრახვით გარდავიდის აფხაზეთით და ჩამოიტყუვნის თურ-

ქმანნი საზამთროთა ადგილთა მტკურის პირისათა. რამეთუ მათიცა მსტოვარნი ზედა ადგიან მეფესა და უძებდიან გზათა მისთა. გარდავიდა მეფე გეგუთს და მიერ ხუფათს, და ამით გულპყრობილ ყვნა იგინი. ქრონიკონი იყო სამას ორმოცი. ხოლო მათ ცნეს რა სიშორე მისი, ჩამოდგეს ბოტორას, დიდნი ფრიად, და დაიზამთრეს. და არა ჰრულოდა მეფესა, არამედ გარდამოიფრინვა თებერვალსა ათოთხმეტსა და უცნაურად დაესხა ზედა, და ძლათ ვინმე შეესწრა ცხენსა და გარდაიხუეწა. აღიღეს ტყუე და ალაფი ურიცხვ, და მოვიდა ღანუკს".

დაიწყო საქართველოს მუდმივი ლაშქრის სამხედრო ოპერაციები! მეფე არ ღალატობს თავის ჩვეულებას, მაგრამ დააკვირდით, როგორი ინტენსივობაა ჩამარხული ამ ჩვეულების დაცვაში—აღმოსავლეთიდან უნდა დაიძრას მეფე, ყველა მხრივ დაფანტოს მაცნეები, დასაზამთრებლად დასავლეთ საქართველოში რომ აპირებს დარჩენას —ეს ცნობა უნდა მოჰფინოს ყველგან, თვითონ კი ამოდენა ტერიტორია ცხენითა და ფეხით გადაიაროს, გზადაგზა საქმეები მოაგვაროს, ლაშქრის მზადყოფნა უზრუნველყოს... თურქ-სელჩუკები რომ „ჩამოსხდებიან", უფრო სწორად თურქ-სელჩუკებს რომ ჩამოიტყუებს, კვლავ უნდა გადმოლახოს იგივე ტერიტორია თებერვლის თვეში—ქარსა და სიცივეში და მტერს თავს დაესხას. ბოტორას ჩამომხდარი თურქები ამოჟლიტეს ამჯერად. აი, ეს მანძილი იქით და აქეთ. ამ მანძილის გადალახვა არ უნდა დაგვავიწყდეს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ მანძილის გადასალახავად საჭირო დრო თურქებსაც აქვთ გამოანგარიშებული, დაზუსტებული და არაფრით არ ელიან ასეთ დროს ასე უგრძნეულად აღმაშენებლის თავდასხმას. არ ჰყოფნის თვით დიდი სიჩქარეც ამ მანძილის ასეთ მოკლე დროში დაფარვას. ამ „უგრძნეულობაში" ჩანს მეფის მოძრაობის უჩვეულო სისწრაფე და ყველაფერი ეს ძილზე და მოსვენებაზე უარის თქმის ფასად მიიღწეოდა. თურქ-სელჩუკებმა იცოდნენ, როგორი იყო გზა, როგორი იყო ზამთარი. სულ ეგონათ, რომ მათი მშვიდობიანი დაბანაკება უზრუნველყოფილი იქნებოდა. ყოველთვის გაუცრუვდათ იმედი, ყოველთვის რისხვა დაატყდათ თავს. ცხადია, ყველა მოლაშქრე დავითის ენერგიისა და შესაძლებლობისა ვერ იქნე-

ბოდა, რომ მეფის ასეთ სრბოლას ვერ აჰყვებოდა ვერც ქართველთა და ვერც ყივჩაღთა ლაშქარი. ამიტომ მუდამ აღმოსავლეთში ემზადებოდა ფარულად მისი ჯარი, მაცნეთა სისტემა ამ ლაშქრის მოძრაობას საგულდაგულოდ უმალავს მტრის მზერებს. მას ალბათ პირადი დაცვაც დაზოგილი ჰყავდა, — იძდენს, რასაც იგი თავისი თავისაგან ითხოვდა და გაიღებდა, უბრალოდ ვერ მოითხოვდა სხვისაგან. მაგრამ ერთგული ადამიანები და მონასპა მაინც სულ მის გვერდით და ახლოს იყვნენ მოქნილი გეგმის წყალობით.

დიდძალი თურქობა ყოფილა ბოტორას, კელავაც დიდძალი, მაგრამ მცირე ნაწილი გადარჩენილა ამ შემუსვრის შემდეგ. 1120 წელია. უცნაურად დაესხაო, მიუთითებს ისტორიკოსი, მცირედი შესვენებაც კი გამორიცხა ლაშქრობებს შორის დავით მეფემ. ახლა გამანადგურებელმა ბრძოლის ცეცხლმა დაუცხრომლად უნდა ბუგოს ყოველი მიმართულებით „და მასვე შვიდეულსა პირმარხვასა დღესა აიღო შარვანს ქალაქი ყაბალა, და აღავსო სამეფო თვისი ოქროთა და ვერცხლითა და ყოველთა სიმდიდრითა. წარმოვიდა ქართლს და მსწრაფლ შეკრიბა სპა, და ჩავიდა შარვანს, მაისსა შვიდსა, არბია ლიჟათათ ვიდრე ქურდევანამდე და ხიშტალანთამდე, და სავსენი ალაფითა მოვიდეს ქართლს“.

შირვანი აღმოსავლეთთან პოლიტიკური ურთიერთობის სისტემაში უმნიშვნელოვანესი რგოლია. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ პლაცდარმს. აღმოსავლეთთან ფხიზელი პოლიტიკური ურთიერთობის გარეშე საქართველოს სვებედნიერი ყოფნა შეუძლებელი შეიქმნებოდა. ასე სწამდა დავით მეფეს. ამიტომაც საჭიროების შემთხვევაში დაუხანებლივ მიისწრაფვის შირვანისაკენ. ღანუკიდან იქით გაეშურა და ქალაქი ყაბალა აიღო (ივანე ჯავახიშვილის მიხედვით — კაბალა). როგორც ჩანს, ჯარის რაოდენობა არ კმაროდა, მეფე ქართლში დაბრუნდა და „მსწრაფლ შეკრიბა სპა“. დავაკვირდეთ ჩვენ ამ სიტყვას „მსწრაფლ“, როგორ იღვწის ეს სიტყვა დავითის ისტორიკოსის ნაშრომში, რა ხშირად სჭირდება იგი და მისი სინონიმები რიტმის გამოსახატავად, შირვანიდანაც „მსწრაფლ“ ბრუნდება ქართლში მეფე, „მსწრაფლ“ კრებს სპას და ისევ ჩადის შირვანში. უკვე მაისია, თებერვლის თხუთმეტიდან მა-

ისის შეიდამდე ხდება ამდენი მოვლენა — დასავლეთ საქართველოდან გადმოსვლა, ბოტორაში ჩასვლა და თურქების ამოქლეტა, იქიდან ღანუკში მისვლა, ღანუკიდან შირვანს წასვლა და ქალაქ ყაბალას აღება, შირვანიდან ქართლში ჩამობრუნება და სპის შეკრება, კვლავ შირვანს წასვლა და „ლიჟათაა ვიდრე ქურდევანამდე და ხიშტალანთამდე“ მტრის ქლეტა. საქართველოს დიდი ლაშქარი შეუსვენებლივ მოქმედებს, ვერავითარი ძალა ვერ უდგება წინ, როგორც ყოველთვის, დავითის სტრატეგიასა და ტაქტიკას.

„თუესა ნოემბერსა წავიდა მეფე აშორნიას, დაესხა თურქმანთა, მოსრნა და იავარყუნა, და წარმოიღო ნატყუენავი მათი ურიცხვ. ჩამოველო მგზავრ დაესხა სევგელამეჯს თურქმანთავე და არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა; ესე ერთისა წლისა“.

ერთი შეხედვით უჩვეულო მრისხანებაა, ეს სისასტიკე თითქოს არაფრით არ ჩამორჩება თავად თურქ-სელჩუკთა სისასტიკეს და ულმობლობას: აშორნიას რომ მოსრა თურქები დავით მეფემ, გზად მომავალი „სევგელამეჯს“ მყოფ თურქებს დაესხა და კარვის მოტირალი არ დაუტოვა, ამ სისასტიკეში უკეთ იკითხება სწორედ თურქ-სელჩუკების საშინელი ჩანაფიქრი. მათი საგულდაგულო ჩამობანაკება მტკვრისა და ივრის პირზე, როგორც კი მეფე დასავლეთში გადავა, ეს დაუშოშმინებელი ერი თურქ-სელჩუკებისა ხომ ისედაც მეტყველებდა, რომ საქართველოს მოსპობა და ამ ქვეყნის დაუფლება სურდათ მათ. ამიტომ არის გასასტიკებული დავითის გული. მტერი უნდა მოისპოს — იგი საქართველოს მოსაკლავად არის მოსული! ასეთ დროს ბანაკის დაწიოკება და გადარეკვა მხოლოდ გადაადებს საქართველოს მოსპობას. ამიტომ ესხმის დავით მეფე „უგრძნეულად“, დიდძალი სისხლი იღვრება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჩანს.

„ეს ერთისა წლისაო“,—დასძენს ისტორიკოსი. ფაქტიურად ხუთი დიდი ბრძოლა ერთ წელიწადში. — პრინციპული, შეუპოვარი — თან რა სიმძაფრით გამოირჩევა ეს ლაშქრობები.

ეს ხდებოდა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, უფრო მფეთქავ, უფრო მტკივნეულ მხარეში. აქედან მოდიოდნენ საქართველოს ყველაზე დიდი მტრები და ეს არც არის გასაკვირი.

მაგრამ დასავლეთი საქართველოც, მიუხედავად შედარებითი სიმშვიდისა, დასვენებისათვის არ ეპატიჟებოდა მეფეს.

„და მასვე ზამთარსა ჩავიდა აფხაზეთს ბიჭვინთამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი: ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემცოდენი დაიპყრნა და წუართნა“. ფეოდალური საქართველოა, განდგომისა და ღალატის ჩვევა სისხლში დგას, ცხენოსნებისა და ქვეითის სისწრაფე ყოველ კუთხე-კუნჭულს უმალ ვერ წვდება, რომ განდგომილისა და შემცოდავის ნება აღაგმოს. ბრძოლის ალში გახვეულ მეფეს აქაც დახვდა მცირე უსიამოვნება, სპეციალურად დაჭირდა ბიჭვინთაში ჩასვლა ურჩების ასაღაგმავად, ერთგულთა დასაცავად, ეტყობა ორ პარტიად იყვნენ გაყოფილნი და სერიოზული ბრძოლა ჰქონდათ გამართული ერთმანეთს შორის. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამ დროსვე იყო „ზამთარ ძნელი და თოვლი ფრიადი“. ამ „ძნელ ზამთარსა და თოვლსა ფრიადსა“ იარა მეფემ ქუთაისიდან ბიჭვინთამდე, ე. ი. სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა. გადალახა ეს „თოვლი ფრიადი“, მოაგვარა იქაური საქმეები და ამ დროს მოხდა ის ისტორიული მოვლენა, რის გარშემო წიგნის დასაწყისში ვისაუბრე დავით აღმაშენებლის პიროვნების ერთი თვისების დახასიათების მიზნით. 1121 წლის ზამთარი უდიდესი გამოცდა იყო ქართველი ხალხის ნებისყოფისა და შესაძლებლობისა. ამგვარი გამოცდა მას იშვიათად დადგომია.

სწორედ „ძნელ ზამთარს და თოვლს ფრიადს“ ჩამოდგნენ თურქები კვლავ მტკვრის ნაპირებზე. შეიტყვეს, მეფე დასავლეთშია და ახლა ნამდვილად ვერ გადმოვაო. არ იყო გადმოსვლის არავითარი შანსი. თუ სრული იმედი არა, ბოტორაში განადგურების შემდეგ, რომელ ჭკუათმყოფელს უნდა გამოეხედა საქართველოსკენ. მაგრამ ლიხის მთასა და დასავლეთ საქართველოში იმ სიმაღლის თოვლი იდო, რომ ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა მტკვარსა და ქუთაისს შორის ჩადგმულ მთაგრეხილებზე. თურქებს კი, აბა როგორ შეეძლოთ ერთი შემთხვევაც კი გაეშვათ და საქართველოში უმალ არ შემოჭრილიყვნენ, უმალ არ დაბანაკებულიყვნენ. დავითს ეს ამბავი დროზე შეატყობინეს. მაცნეებს არა აქვთ უფლება, ყველაფერი არ აცნობონ მეფეს. თავად მაცნეთა ჯგუფის გადმოსვლა ლიხის მთაზე ჰგავს საოცრებას, მაგრამ არგადმოსვლა ფიქრ-

შიც კი ვერ იბოგინებს, დაშვებაც არ შეიძლებოდა იმისა, რომ მეფეს ცნობა არ მიუვიდეს. თუ ეს შეუვალი კანონი არა, ლიხის მთაზე მდებარე სამი მხარის სიმაღლე თოვლის გადალახვა აზრადაც არ უნდა მოუვიდეს კაცს. მაგრამ ერთია, როდესაც ჯგუფი გადმოდის ამოდენა თოვლზე, მაგრამ გადავიდეს მეფე და მისი მხლებელი სპა, ეს გამორიცხულია ფიქრიდან. ამან დაამშვიდა თურქები. დაამშვიდა თურქები, მაგრამ ალტერნატივა დადგა მეფისა და ქვეყნის წინაშე: დაუცადოს თოვლის გადნობას და შემდეგ დაესხას თურქებს, თუ შეიძლოს შეუძლებელი და ახლავე გაასწოროს მათთან ანგარიში. ანგარიშის გასწორება უბრალო ამბავია იმასთან შედარებით, რაც მაშინ დავითის ნებამ მოიქმედა. როგორც ვნახეთ, მან გადაწყვიტა შეუძლებელი გაეკეთებინებინა თავისი ხალხისათვის, „გარდაეთხრევინებინა“ ლიხის მთა და დაუჯერებელი გადალახვისა და უგრძნეულად თავდასხმის წყალობით ჩაეჭედა თურქების ტვინში, რომ არავინ არასდროს და არსად არ აპატიებს საქართველოში დაბანაკებას მათ. „ვერცარა დამხრწეველთაგანი დაიმჭირვიდაო“, — წერს ისტორიკოსი. ჯავახეთში რომ ჯაყელი მოკლეს და მეფე სალაშქროდ გაემზადა, მაშინაც ეხვეწებოდნენ, საშიშია და ნუ წახვალო, მაშინაც „არა გაიგონა“ და დაესხა თურქებს. აქ კი ლამისაა მუხლებში ჩაუვარდნენ — „ვერცარა დამხრწეველთაგანი დაიმჭირვიდაო“ — ისეთი დაჟინებით და ისეთი აქცენტით ლაპარაკობს მემატიანე, რომ აშკარად ეხედავთ საგულდაგულო ცდას, არ გაუშვან მეფე ესოდენ საშიშ გზაზე. დავითის გონიერებაზე ლაპარაკი ზედმეტია, მისი შორსმჭვრეტელი აზროვნება სწორედ ასეთ დროს გამოკაშკაშდება ხოლმე. მან წამი დაინახა, წამი, როდესაც ქართველი ხალხი ენერგიის მაქსიმუმით უნდა გამოელენილიყო. ლიხის მთაზე იმ დღეს ქართველმა ხალხმა თავისი ყოფის სიმწარე, თავისი სრულყოფილი არსებობის შემბორკველი სალტეები გამოარღვია, თავისი თვისებების ფენები გააპო და ერის გასაიდუმლოებულ სიღრმეში მოქცეული ნამდვილი ძალა და თვისება გაიყვანა დიდ ასპარეზზე.

1121 წლის მარტის თვეში მტერი მარტოოდენ ფიზიკურად არ განადგურებულა. მთელმა თურქ-სელჩუკების სამყარომ

მიიღო გამოუსწორებელი სულიერი ტრავმა. წინა წლის მსგავსად დავით მეფეს სამხედრო ოპერაცია არ შეუწყვეტია. მტერმა უფრო მოშორებით, გაზაფხულის წყალდიდობის იმედით ბარდავში დაიდო ბინა. ლიხის მთის „გარდათხრის“ შემდეგ, სადაც „გარდანაკუეთსა თოვლისასა, აქუნდა სიმაღლე მხარი სამი“ აღმაშენებელს რა დააკავებდა. მან გადაწყვიტა, რომ ბოლომდე მიიყვანოს საქმე.

„გაზაფხული განდიდნა მტკუარი, რომელ ნადინებსა ვერ დაეტია. ამისითა მინდობითა ჩადგეს თურქმანნი ბარდავს გულდებითა. მაშინ მონახა მეფემან იგინიცა და ალიონს მტკუარსა გაცურდა ყივჩაღითა დაუზრავსა მას წყალსა, მოსრნა თურქნი, არბია ბარდავი, და დაყო ორი დღე, და ნებიერად შინა სავსე ალაფითა მოვიდა. თუე იყო ივნისი“.

დავაკვირდეთ: „მონახნა მეფემან იგინიცა“ — მეფე საგულდაგულოდ ეძებს თურქთა ბანაკებს. თურქ-სელჩუკებს არსად არ უნდა მიეცეს დაბანაკების საშუალება. ეს მტრის სრული განადგურების პოლიტიკაა, რაც 1114 წლიდან ასეთი დიდი სისწრაფით ხორციელდება, ხოლო 1120 წლიდან უკვე არავითარ ანტრაქტს არ იცნობს — ერთი, განუწყვეტელი ბრძოლის ხასიათს ღებულობს: შემზადება, შემოტყუება, თავდასხმა, ყველაფერი იმ ერთ ბრძოლაში ერთიანდება და აღმაშენებელი თვალს ძილს აკლებს, სხეულს—მოსვენებას, სხვა სიკეთეზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, რათა განახორციელოს დიდი მიზანი. ბარდავში თურქები მთლიანად განადგურდნენ. უწყვეტელობა შეიმჩნევა ლიხის მთის ოპერაციასა და წყალდიდობისას მდინარეების გადალახვას შორის, ერთი რიგის ხელოვნებაა, ერთი შინაარსისა და გამიზნულობის ოპერაციაა... ამ უწყვეტელობის უკან დგას საქართველოს ენერგია.

საქართველოს საბრძოლო ენერგიამ, დიდმა სამხედრო ხელოვნებამ, დავითის იშვიათმა პიროვნულმა თვისებებმა და მუდმივი ლაშქრის გამანადგურებელმა დარტყმებმა წონასწორობა დააკარგვინა თურქ-სელჩუკებს. ისინი მწვავედ განიცდიან ყველა დამარცხებას, მაგრამ ის, რაც მოხდა ლიხის მთის გარდათხრის სახით, ყოველგვარ წარმოდგენას აღემატებოდა — თურქ-სელჩუკებმა დაინახეს წარღვნად ქცეული საქართველოს სული, რასაც აქამდე ვერ ხედავდნენ.

„ამათ ესევითართა ჭირთაგან შეიწრებულნი თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე, და ყოველსა სპარსეთსა შეიღებნეს შავად, რომელთამე პირნი, და რომელთამე ხელები, და რომელნიმე სრულიად; და ესრეთ მიუთხრნეს ყოველნი ჭირნი, მოწევნულნი მათ ზედა, რომლითა აღძრნეს წყალობად თვისა, და იქმნა გლოვა ფრიადი შორის მათსა".

ცნობის სიმცირე პირდაპირ პროპორციულია იმ დიდი შინაარსისა, რაც მასში ჩანს და იგულისხმება სიტყვებს შორისაც, კიდევაც რომ არ დასტურდებოდეს ე. წ. მაკონტროლებელი წყაროებით.

დღიდან გამეფებისა თუ რამ ღონისძიება გაუტარებია სახელმწიფოს გასაძლიერებლად და თურქ-სელჩუკთა შესამუსრავად დავით მეფეს, ყველამ ამ სიტუაციაში მოიყარა თავი. 1121 წლის მარტისა და ივნისის დიდი ბრძოლების შემდეგ განათდა ის ისტორიული სიტუაცია, ამზადებდა კი მას მთელი მანამდელი მოვლენები. დავითის ბრძოლებმა და საქვეყნო შენებამ ერთად დააყენა კატასტროფის წინაშე თურქ-სელჩუკთა ინტერესები. „ამათ ესევითართა ჭირთაგანო" — მიანიშნებს ისტორიკოსი და პირდაპირ მიგვითითებს იმ მთლიან პროცესზე, რასაც აღმაშენებელი ხელმძღვანელობდა და რაც მიმართული იყო თურქ-სელჩუკთა ისტორიული მოძრაობის წინააღმდეგ. მათ უკვე აღარ დაედგომებოდათ საქართველოში, ჰკარგავდნენ არამარტო სადღეისო, არამედ სამომავლო იმედებსაც, კარგავდნენ რბევა-დაწიოკებით ხელთ ჩაგდებულ ამიერკავკასიის ტერიტორიას. საქართველოს ლაშქარი გადადიოდა საზღვარს და მოსვენებას არ აძლევდა უცხო თესლის ტომებს, ქრისტიანულ სამყაროს რომ ემუქრებოდა წალეკვით. ამიტომ შეიქმნა საგანგაშო ისტორიული მდგომარეობა თურქთათვის, ამიტომ ადგნენ ისინი და „განძელ-ტფილელ-დმანისელ" ვაჭრებთან ერთად წავიდნენ სულთანთან. პირველ ყოვლისა თურქები მიდიან, მათი უბედურებაა ეს უბედურება! მაგრამ გაჭართა ფენაც ძალზე შევიწროებულად გრძნობს თავს. ისტორიკოსთა ვარაუდით ესენი მუსულმანი ვაჭრები არიან და, ცხადია, ასეც იქნებოდა—რაღაც ასპარეზი იხშობოდა მათთვის. ვაჭრებისათვის აღმაშენებელს არასდროს არ შეუშ-

ლია ხელი, მაგრამ ეს ვაჭრები თურქ-სელჩუკთა პოლიტიკურ ინტერესებთან არიან წილნაყარი და ამიტომაც გამოიყურებიან შეშფოთებულნი.

შეშფოთება შეშფოთებას გააჩნია. საქართველოს გარემომცველი მტრული სამყარო აღმოჩნდა შეძრწუნებული. ბრძოლების ხმა შორს უწევდა, ქართული „ჰკა მაგას“ შორს იჭრებოდა, მოდიოდა ამბავი ამბავზე, ახალ-ახალ დამარცხებათა მაუწყებელი ცნობა, ზარივით ჟღრიალებდა ყოველი მათგანი, უკან ვერ ბრუნდებოდნენ მათი თვისტომნი, მთელი ბანაკები... არმიების უდიდესი ნაწილი საქართველოს მიწაში იმარხებოდა. ერწუხის ბრძოლის შემდეგ საქართველოს ლაშქრის ძლიერება მთელს აღმოსავლეთში გახდა „ხმაგასმენილი“, ცხადია, დასავლეთშიც. მაგრამ ამჯერად თურქ-სელჩუკთა სულიერი რეაქციებია საინტერესო. ყოველი წამოსვლა საქართველოსაკენ შიშსა და ძრწოლასთან იყო დაკავშირებული: რა მოხდება იქ, რა ელით? სისხლისმიერ მიზნებს ვერ გაქცეოდნენ ვერსაით, თორემ სიკვდილისაკენ რა წაიყვანდათ. ადრინდელი წარმატებები უკიაფებდათ მცირე იმედს, მაგრამ ცრუვდებოდა ყველა იმედი, ილეწებოდა ყველა ბანაკი, დედა-ბუდიანად იქლიტებოდა თურქ-სელჩუკთა ურდოები. მოიზლაზნებოდა შურისძიების კუპრივით შავი მდინარე საქართველოს მხრიდან და შეძრწუნება მძაფრდებოდა. ძლიერდებოდა თურქთა სისხლის ყივილიც — როგორმე იქნებ დაემარცხებინათ დავით მეფე!

თანდათან ლეგენდარულ იერს იკრავდა დავით აღმაშენებელი მათ თვალში. ეს ამდენი „უგრძნეული“ თავდასხმა ათას იჭვსა და მოლანდებას კვებავდა ალბათ. შესაძლოა, არც თვლიდნენ ადამიანად, რაღაც სატანის შინაარსით იჯდა უკვე ეს პიროვნება მათ წარმოდგენაში. მაშ საიდან, როგორ? ათი დღის სავალზე მყოფი ხვალ თავს გესხმის, გაუვალ თოვლში გადის, ადიდებულ მდინარეში უვნებლად გაცურავს ლაშქართან ერთად, კლდეები, მწვერვალები, შეუვალი ციხეები ვერ იჭერენ. დიახ, იყო ლეგენდებისათვის საფუძველი! არადა, ყველაფერი ხდებოდა სინამდვილეში, ფაქტები, მოვლენები, ყველაფერი თვალით ხილული იყო, რა იცოდა მტერმა ამდენი სიღრმე ამ ხალხისა და მისი დიდი შვილისა! რა იცოდა, რომ

ძილზე, მოსვენებაზე, მითუმეტეს განცხრომაზე ჰქონდა უარი ნათქვამი მეფეს! სად ათევდა, სად კითხულობდა, ქარისა და წვიმისათვის, ნისლისა და თოვლისათვის შეეშვირა თუჯისფერი სახე და წუვდიადიდან ცის ლაჟვარდივით იელვებდა მოულოდნელად. რა იცოდა, რა შინაგანი დაძაბვისა და ძალისხმევის ფასად იყო მიღწეული ასეთი სისწრაფე, ასეთი მოულოდნელობა, ასეთი გულთამხილაობა. რა იცოდა, როგორი შესაძლებლობანი იხსნებოდა ამ პიროვნების წყალობით და რას მოიფიქრებდა ეს დაუძინებელი გონება, მაგრამ ფაქტი იყო დარბეული ბანაკები, განადგურებული არმიები, გადალახული მთები, მდინარეები, ფაქტი იყო საოცარი სისწრაფე და ყოველთვის „უგრძნეულად“ მის წინაშე აღმართული დავით აღმაშენებელი იყო ფაქტი! შემთხვევითობა და წყვეტილობა გამოირიცხა ბრძოლაში და დარწმუნდნენ თურქები, რომ დადგა მათთვის საგანგაშო, კრიზისული წუთები, ის წამი იგრძნეს, როდესაც საერთოდ წყდებოდა მათი ბედი აღმოსავლეთში.

თურქ-სელჩუკებმა დაკარგეს სულიერი წონასწორობა. თავიანთი ცხოვრების გზაზე მათ მსგავსი რამ არ განუცდიათ. უბადლო მეომრები, ცასა და მიწას რომ აზანზარებდნენ, ცხვრის ფარასავით კანკალებდნენ ახლა საქართველოს ლაშქრის წინაშე. სადღა იყო ის ველური, გამაყრუებელი, მაგრამ ამასთანავე ლაღი და მონავარდე ყიჟინა, რომლის შიში მთებსა და გამოქვაბულებში ერეკებოდა ყველას, ვის ქვეყანასაც კი გზად დაიგდებდნენ.

ახსოვთ დიდი თურქობა საქართველოში, მაგრამ საქართველოში მათგანვე ან მათი მამებისაგან დატრიალებული ამბავი თურქ-სელჩუკებსაც ახსოვთ. და ახლა იმოდენა განსხვავებას ხედავდნენ აწინდელსა და ყოფილს შორის, რომ სულიერი წონასწორობის რღვევა რა სახსენებელია.

საქართველოს მთელმა მტრულმა გარემოცვამ დაკარგა წონასწორობა. სურათი, რაც ამის შედეგად შეიქმნა, გაუგონარი იყო მეომრული თურქული სამყაროსათვის.—„ყოველსა სპარსეთსა შეიღებნეს შავად, რომელთამე პირნი, და რომელთამე ხელები, და რომელნიმე სრულიად“. მთელი ქვეყანა შავად იღებება, რათა უფრო სრულად იგრძნონ და აგრძნობინონ სულთანს და ყველას, რაგვარი საშინელების წინაშე დგანან,

აგრძნობინონ კატასტროფის მოახლოება. როგორი ფანტაზია, რა ღრმა განცდაა ამავე დროს საქვეყნო უბედურებისა. ერთსულოვანი გლოვა და მობილიზება იცოდნენ საქართველოს მტრებმა! თურქ-სელჩუკებმა თითქოს მთელი თავისი წარსული, აწმყო და მომავალი გამოიტირეს. საინტერესოა ეს სურათი თავისი სისავსით, თავისი ფანატიკური რწმენით. მთელი ქვეყანა წარმოიდგინება, მთელი ქვეყნის ჭირი. იჩქარის ეს დელეგაცია — შორ გზაზე დამდგარი და სულმოუთქმელად მიმავალი, მიაქვს ცნობა და გზადაგზა ზრდის თავის რიგებს, შავად შეღებილი ადამიანების რიგი იზრდება, ქვეყანას ეფინება, ყოველ კუნჭულში შედის შავი ფერი — მთელი სხეულით გრძნობს თურქ-სელჩუკთა სამყარო თავზე დატეხილ უბედურებას.

მაგრამ არ არის ეს შავად „შელექვა“ ბედთან შერიგების მაუწყებელი. შავად იმიტომ იღებებიან, რომ კატასტროფის სიახლოვე და მდგომარეობის სიმწვავე აგრძნობინონ მთელ ქვეყანას, და არა იმისათვის, რომ ქვეყანა მხოლოდ დაამგლოვიარონ, შურისძიების გრძნობის ასალესად და წარსამართავად ხდება საჭირო მწუხარების ეს მაქსიმალური გამოხატვა. არ უფიქრდებოდნენ, იყო თუ არა სამართლიანი მათი თარეში სხვის ქვეყანაში, სხვისი შთანთქმის გაუცნობიერებელი წადილი არსებობის ჩვეულებრივ წესად ესახებოდათ და ახლა, ხერხემალგადამსხვრეულებს, შავი ფერით მწუხარებასთან ერთად შურისძიების წყურვილიც მიჰქონდათ, სრული მობილიზებისაკენ მოუწოდებდნენ თავისიანებს.

მაგრამ ამასთან ისიც ფაქტია, რომ თურქ-სელჩუკთა სამყარო სასოწარკვეთილი ჩანს, მეომრის გენები ვერ ითმენს ამ სასოწარკვეთილებას და ბრძოლისაკენ მიიწევს, თორემ დიდი იმედები არა აქვთ. უკიდურეს შეჭირვებას გამოხატავს ეს სურათი, ეს ამდენი შაოსანი ქვეყანაში, ეს გლოვად დამსხდარი მეომრები და ვაჭრები, ქალები და მოხუცები. ოღონდ ის შეუგუებლობის გრძნობა ჟონავს სურათიდან, მთელი ამ სიშავიდან. საყოველთაო გლოვა რომ საყოველთაოდ გაზრდის შურისძიების გრძნობას, ამ იმედით მიეშურებოდნენ საქართველოდან სულთნისაკენ, ამ იმედით იფანტებიან მთელს ქვეყანაზე, რაღაცას ღონებს სულთანი, საჭირო იყო ოღონდ სრუ-

ლი სურათი დაეხატათ მისთვის თურქ-სელჩუკთა მოსალოდნელი კატასტროფისა: „და ესრეთ მიუთხრნეს ყოველნი ჭირნი, მოწევნულნი მათ ზედა, რომელთა აღძრნეს წყალობად თვისა, და იქმნა გლოვა ფრიადი შორისა მათსა“.

აი, ამ მიზანს ემსახურებოდა შავად შეღებილი დელეგაციის სვლა, მაგრამ შაოსანთა სურათი ხატავს მეორე მხარეს — წარმოგვიდგენს იმდროინდელი საქართველოს სულიერ და ფიზიკურ ძალმოსილებას.

თურქ-სელჩუკთა წარმოდგენაში ამ დელეგაციამ საბოლოოდ დაამკვიდრა მათთან დაპირისპირებული ქრისტიანული საქართველოს სამხედრო პოტენციალზე სრული წარმოდგენები. თურქ-სელჩუკთა სამყარო კი, მიუხედავად არაერთი მარცხისა და არაერთი ცნობისა, რომელიც, მათდა სამწუხაროდ, საქართველოდან მოდიოდა, არ იცნობდა კარგად აღმაშენებლის ქვეყნის სამხედრო ენერგიას, ეპიზოდური წარმატებები ეგონა მისი გამარჯვებები, დროს ელოდა, დავითის სიკვდილს ნატრობდა. ეს დრო არ დადგა, დადგა სხვა დრო, დრო, რომელიც განსაკუთრებულ სიტუაციას წარმოაჩენდა და როცა უნდა გადაწყვეტილიყო თურქ-სელჩუკთა ისტორიული მოძრაობის ბედი თუ არა მიმართულება მაინც. სულთნის პოზიციაზე დამოკიდებული იყო ყველაფერი, მაგრამ მანამ მას მთელი არსი უნდა დაენახა ამ მოვლენისა.

აღმოსავლეთის პოლიტიკური ამინდი უკიდურესად დაიძაბა. ყველაფერი ალტერნატივად იქცა. საქართველოსთან დამოკიდებულების მოგვარებაზე მთელი შემდგომი გეგმების წარმატება იყო დამყარებული. მიმდინარეობდა ხალხთა გადასახლების უმძიმესი და ინტენსიური პროცესი, საქართველოს წინააღმდეგობის ზრდასთან ერთად ეს პროცესი თურქთათვის მეტისმეტად გაჭიანურდა, ფერხდებოდა მათი ტრიუმფალური სვლა, იფუშებოდა საკუთრივ საქართველოში დამკვიდრების თითქმის მიღწეული მიზანი... ახლა კი საფრთხე არნახულად გაიზარდა, თურქ-სელჩუკთა ისტორიული მოძრაობის ბედი კითხვის ნიშნის ქვეშ მოექცა.

სულთანმა სავსებით სწორად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა. დაინახა, რომ უკიდურესი ღონისძიებების გატარება იყო საჭირო. კერძოდ, საჭირო იყო მუსულმანური სამყაროს,

საერთოდ ანტიქრისტიანული სამყაროს კოალიციური არმიის გამოყვანა საქართველოს წინააღმდეგ. ცალკეული არმიები, თვით ასიათასი კაცისაგან შემდგარი, ვერაფერს აკლებდა უცნაურ მეფეს, ვერაფერს უხერხებდნენ მსტოვრები, მოსყიდული ყმები, მაშასადამე, რჩებოდა ერთადერთი, თანაც უკანასკნელი ღონე. კოალიციური არმია უნდა შემდგარიყო, რათა ერთ არმიას კი არა, არმიების ზღვას მოეშთო დავით აღმაშენებლის საბრძოლო პოტენციალი. იმდენი კაცი უნდა გამოეყვანათ, რომ გასაჭანი არ მიეცათ ვირტუოზული სამხედრო ხელოვნებისათვის. აი, ამის გაცნობიერება მაქვს მხედველობაში, როდესაც სულთნის სწორ რეაქციაზე ვლაპარაკობ. ეტყობა სულთანს შესწავლილი ჰქონდა დავით მეფის შესაძლებლობანი. მუსულმანური სამყაროს დაპირისპირება ერთ ქვეყანასთან, კოალიციური არმიის შედგენის იდეა, უკვე თავისთავად მოწმობს რა სწორად სჯიდა სულთანი, როგორ მეტოქედ მიაჩნდა მას დავით აღმაშენებელი! მუსულმანური ქვეყნები უნდა დათანხმებოდნენ გაერთიანების იდეას. ერთსულოვნებაა ერთადერთი საშუალება, რომელიც საჭირო რაოდენობის არმიებს მოუყრის თავს.

საგულისხმოა ის ფაქტორიც, რომ ეს მობილიზაცია გამიზნულია საკუთარი უფლებების დამცველი სახელმწიფოს გასანადგურებლად. მტრული გარემოცვის აგრესიული ბუნება არ ისვენებს, თითქოს სამართლიან ომს ამზადებდეს.

კიდით კიდემდე განეფინა ცნობები მომხდარ ამბებზე. თურქ-სელჩუკებს და მათთან ერთად მთელ მუსულმანურ სამყაროს გააზრებული აქვს ამ გაერთიანების აუცილებლობა, ერთმანეთს შორის პერიოდულად ჩამოვარდნილი უთანხმოების კვალი ქრება. მუსულმანური სამყარო თურქ-სელჩუკთა სულთნის მეთაურობით იღებს კურსს საქართველოს სრული განადგურებისაკენ. მას ღრმად აქვს შეგნებული ამ გადამწყვეტი შეტაკების მნიშვნელობა.

მთელი მუსულმანური სამყარო ხედავდა საქართველოში მკვეთრად დაპირისპირებულ გამანადგურებელ ძალას. დაიპირისპირეს ეს ძალა თავად თავიანთი ულმობელობითა და სისასტიკით, თავიანთი სისხლისმიერი მისწრაფებებით — მოესპოთ ქრისტიანული ქვეყნები და თავად დამკვიდრებულიყვნენ.

მეტისმეტად გაშიშვლდა მათი ვნებები და ზრახვები საქართველოს მიმართ, მეტისმეტად ცხადად გამოიკვეთა მიმართულება, სათუოდ ექცეოდა ქართველი ხალხის არსებობა, დაუნდობლობამაც თქვა თავისი მკაცრი სიტყვა და ახლა, როდესაც ქვეყანამ მთელი ენერგია გამოიხმო და რაღაც ოცდაათი წლის განმავლობაში თავზარდამცემ რისხვად იქცა, კვლავ დადგა ალტერნატივა: ამჯერად, თურქ-სელჩუკთა ისტორიული ბედი გახდა სათუო და ამიტომ, რადაც არ უნდა დამჯდარიყო, უნდა შემდგარიყო გადამწყვეტი შეტაკება. ვინც კი იმდროინდელი ალმოსავლეთის მუსულმანური სახელმწიფოების რუკას დააკვირდება, ადვილად წარმოიდგენს რას ნიშნავდა ეს დაპირისპირება, რა მოცულობის სამხედრო ძალები გამოდიოდა ერთი ქვეყნის წინააღმდეგ. ყოველივე ამის გათვალისწინება გვმართებს, რათა ცხადად წარმოვიდგინოთ გადასატანი განსაცდელის შინაარსი.

„საღვთო ომი“, რომელიც ორ სამყაროს შორის უნდა გაბართულიყო, განსაკუთრებულ შინაგან მზადყოფნას ითხოვდა. ცხადია, პირველ ყოვლისა, საქართველოს შინაგანი მზადყოფნა გვაინტერესებს. გვაინტერესებს ერის სულიერი და ფიზიკური ძალების მდგომარეობა. რა სახით დადგა იგი მძიმე გამოცდის წინაშე. რამ შექმნა ეს შინაგანი სახე, რამ შეანივთა. ის განსაკუთრებული მდგომარეობა.

ერის გალვიძებული გენია სიმშვიდეში მოსვენებას ვერ პოულობდა, იგი მოსვენებას გახურებულ შრომაში, დაუცხრომელ წვასა და ღვაწლში ხედავდა, მუხლჩაუხრელი შრომისა და ჩუმი ქველმოქმედების შინაგანი მოთხოვნილება სიზარმაცის გენს შლიდა სისხლში და ეჩვეოდა განუწყვეტელ შემოქმედებას. როგორც დავინახეთ, ეს თვისებები პოლიტიკური კურსის მესვეურთა ცხოვრებაში გაშინაურდა და საქართველო დავით კურაპალატისა და ბაგრატ მესამის სვებედნიერ ხანამდე მიიყვანა. წინ დიდი გზა იდო, მაგრამ ამ გზის გადასალახავად ქვეყანას ყოველგვარი ღონე გააჩნდა. დიდმა თურქობამ გაყინა ეს აღმასვლა, გააქვავა, დაღუპვის მოლოდინმა ჰაერი გააშეშა. ჩვენ მემატიანეთა სიტყვებიდან დავინახეთ და ვიგრძენით ეს საშინელი ფაზა ქვეყნის გასაჭირისა, რომელიც ჰაერგაუმტარ ზოლს დაემგვანა.

უმოკლეს დროში დადასტურდა, რომ საფრთხის უჩვეულო მასშტაბების მიუხედავად კანონზომიერი სწორედ შინაგანი აღმავლობის მაგისტრალური გზა იყო, კანონზომიერი იყო სწორედ ამ გზაზე დადგომა, ის მასა ენერგიისა, რაც კარსმომდგარ დაღუპვის საფრთხეს დასჭირდა თავიდან ასარიდებლად, არ ცნობდა მანამდელ საზღვრებს და შესაძლებლობებს, რაღაც სხვა იყო, უჩვეულო და დაუჯერებელიც კი. ერთი შეხედვით, ეს დავით აღმაშენებლის პიროვნულ თვისებებს ბრალდებოდა, მაგრამ თანდათან გამოიკვეთა სინამდვილის უფრო სრული სურათი — დავით აღმაშენებელი თავისი ერის ენერგიით აღწევდა ამ გაუგონარ წარმატებებს. ეს მთლიანობა გამოიკვეთა, მიუხედავად იმ მოწინააღმდეგე ფრთის არსებობისა, მიუხედავად ქვეგამზედვართა ორგული ბუნებისა, მიუხედავად მკილავთა ჩურჩულისა. ხალხის უმთავრესი ნაწილი იყო ის წიაღი სწორედ, საიდანაც მოდიოდა აღმაშენებლის ფენომენი და რაზეც იდგა იგი ასე უძლეველი და „უძრაკი გულით“.

დიდგორის ომის წინ კი საქართველოს სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს — ეს არის სულით ხორცამდე მოქმედების ენებით ატანილი, ყოველი ნერვით, ყოველი კუთხით ამოძრავებული ქვეყანა.

ზემოთ განხილული გარდაქმნების ჭსოვილიდან ახლა უნდა ამოვიკითხოთ ეროვნული ენერგიის უჩვეულო ქმედების შინაარსი.

სწორედ ეს უმთავრესი საგანი იქცევს ყურადღებას გადამწყვეტი ისტორიული მოვლენის წინ. საქართველოს ენერგიის ყოველი მიმართულებით ამოძრავება დაისახა მთავარ მიზნად დავით მეფემ. ყველაფრიდან ჩანს, რომ ღრმად სწამდა ეროვნული ენერგიის სიდიადისა, სწამდა მისი გაუმჯღავნებელი რეზერვებისა. სწამდა, რომ ეს ენერგია მთელემარე მასის მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხოლო „დიდი თურქობის“ მიზეზით სუნთქვა ჰქონდა შეკრული მის სასიცოცხლო ძალებს. არსებობის გამჟღავნებისა ეშინოდა, რათა სუნთქვას კვალდაკვალ არ მოჰყოლოდა დაუნდობელი მტერი და არ ამოეწყვიტა ქართული გენი.

„ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი,

აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჰყონდიდი, წინათ რომ თურქით „აღივსო“ და გაპარტახდა, მისიც წყალობით, ახლა მოფუსფუსე სკას დაემგვანა. მოდიოდა და მოდიოდა ხალხი ყოველი კუთხიდან, მთებიდან, მიუვალი გამოქვაბულებიდან, შეთხელებული, მაგრამ მაინც! ამოდენა ქვეყნის სიგრძე-სიგანეზე უჩვეულო მოძრაობა იყო. მშვიდად, უხმაუროდ, ჯიუტად აშენებდა ქართველი კაცი თავის ფუძეს, ზოგი აღადგენდა, ზოგიც ახალს აშენებდა, მაგრამ ამ შენების გენიაში იმდენი სასიცოცხლო ძარღვი ფეთქავდა, იმდენი ფიქრი და იმედი ტრიალებდა, რომ არავის შეეძლო ერთი სოფლის სამანებში მოექცია ამ დიდი სახალხო მოძრაობის განცდა. განცდა მოძრაობისა, რომლის ფორმები იყო შენება, აგური, კირი, ალიზი, კრამიტი. კარიდან კარად, სოფლიდან სოფლად, კუთხიდან კუთხეში, მხარიდან მხარეში — ამოდენა ქვეყანაში დადიოდა საქართველოს აღორძინების გენებათაღელვა. უპრეტენზიო, ჩუმი, უფლებამოსილი, არ ჰგავდა იგი სალაშქრო ყიჟინს და ძალთა საბრძოლველად შემოკრებას ველზე. ამ ჩუმი და უპრეტენზიო ხმებით ინაცვლებდა ადგილს, მოედო ქვეყნის უდიდეს ნაწილს და ერთიანად შეკრა მოქმედების ვნებით.

თვითონ დავითი, მისი ერთგული შიკრიკები ყოველ ფუძესთან მიდიოდნენ, ხელმძღვანელობდნენ ყოველ მნიშვნელოვან საქმეს, საქმის შინაარსი გამძლე თოკებით აკავშირებდა ერთმანეთთან ყოველ წერტილს, ყოველ კერას და ყოველ სოფელს. დაფრინავდა ცნობა ფუძეზე ამ ჩამობრუნების შესახებ. რომ დიდი ამბები ხდება ყველგან, მთელს ქვეყანაში, რომ ძლიერია დავით მეფე, ქვეყანას პატრონი ჰყავს, შიში არ უნდა ჰქონდეთ. დადიოდა აზრი იმედისა და ძალისხმევის შესახებ, ანივთებდა ფიქრებს, იმედებს, მიჰყავდა კაცი კაცთან. ნდობით, ერთმანეთის ხელისშეწყობისა და ხელის გამართვის ტრადიციას ამკვიდრებდა.

აღშენების ეროვნული მისწრაფება მაქსიმალური დატვირთვით იღვწოდა. დავითმა თავისი ხალხის უპირველესი თვისება მოიყვანა მოქმედებაში, აღშენების ენებათაღელვამ კი აამოძრავა მთელი ქვეყანა, იგი დათრგუნული და „თვის დენაში შეყენებული“ (ილია) მისთვის შესაფერისი სიცხოვე-

ლით დაიძრა. დავით მეფეს სრული საშუალება მიეცა თვალი გაედევნებინა ამ უჩვეულო გაჭოსათებისათვის, მშრომელი ხალხის სასეს რომ წარმოაჩენდა.

ასე დაიწყო საქართველოს ენერგიის დიდი ქმედება, დაიწყო მისი სასიცოცხლო ძალების სრულყოფილი, ყოველმხრივი შემოწმებაც და იმ ძალების სადინარის მონიშვნაც. რაც მთავარია, მოძრაობაში მოყვანილი ქვეყნის სასიცოცხლო ძალები უფრო აალმასებდნენ ენერგიას, უფრო აძლიერებდნენ, უფრო გარკვევით მიანიშნებდნენ გაუხსნელი საიდუმლოების არსებობაზე, შენების ენით ქმედება დღითიდღე აძლიერებდა ქვეყანას, ქვეყანა თითქოს ვარჯიშობსო — ამ უჩვეულო მასშტაბის აღშენებითს პროცესში იკრებდა მხნეობას, დღეს გუშინდელზე ძალმოსილი ჩანდა.

დავით მეფე ხედავდა, რა ბუნებრივი იყო ხალხის შინაგანი ძალების გამოცხადების ეს გზა, რა სწორად იყო არჩეული მეთოდი, როგორ იღვწოდა მისი ხალხის უპირველესი მისწრაფება. ვერ ითმენდა იგი უქმად ყოფნას, ვერ გაწვდებოდა დაარხეინებული გუნებით ამდენ საქმეს, ვერ აღადგენდა ფუძეს, ვერ მოიწევდა მოსავალს, ვერ დახვდებოდა მტერსა და მოყვარეს. ერთდროულად შენდებოდა „ასისფორნიდან ჭყონდიდამდე", ე. ი. ერთდროულად აშენებდა ყველა თავის სახლსაც და მეზობლის სახლსაც, ადამიანის კეთილშობილური ბუნება ეძახდა ტყუპის ცალს, მათ მხოლოდ ერთად შეეძლოთ ჭირისთვის გაძლება, ამიტომ შენების საქვეყნო პროცესმა არ დატოვა უქმი წერტილი, უსაქმური პიროვნება, მანვე შეკრა ის უზარმაზარი სამოძრაო კალაპოტი, რომლის ერთი თავი ასისფორნთან იწყებოდა და ჭყონდიდში მთავრდებოდა...

დავით აღმაშენებელმა ამ პროცესში დაინახა ორი ფაქტორი, რაც სრულად გამოიანთებდა ეროვნულ ენერგიას. შრომისა და დროის ფაქტორი გახლდათ იგი. მშობელი ხალხის სასიცოცხლო ძალების დახვეწისა და სრულყოფის გზაზე დავითმა უშუალოდ თვითონ შეამოწმა მათი განუსაზღვრელი მნიშვნელობა, ცხოველმყოფელი ძალა, დაინახა, რა შეაძლებინა სისტემატურმა, განუწყვეტელმა, გონივრულმა შრომამ ხალხს. ისიც დაინახა, გონივრულად განაწილებულმა დრომ რამდენი საქმე დაიტია თავის თავში, რამდენი სასიკეთო საქმე

გაასრულა ერთი შეხედვით უმოკლეს ვადაში. ეს შენების, შრომის, მოღვაწეობის წესი მხოლოდ ქვეყნის საგანგებო მდგომარეობის გამოსასწორებლად რომ არ უნდა იღვწოდეს, ესეც ირწმუნა ქვეყნის თავგადადებულმა მესვეურმა. ირწმუნა, რომ საერთოდ არსებობის წესად უნდა ექცია იგი ქართველ ხალხს, თუ სურდა თავისი თვისებების „საშვენი ხვედრი" და მდგომარეობა მოეპოვებინა. ქვეყნის საგანგებო მდგომარეობა მოუწოდებდა ერს ამგვარი შრომის წესისაკენ, რომ ქვეყანა კრიზისიდან გამოსულიყო. ადამიანი დიდი ღვაწლისათვის არის გაჩენილი, ასე სწამდა დავით აღმაშენებელს, და დაარხეინებული ყოფნით მოდუნებულ ქვეყანას ის ნორმალური ცხოვრების პირობები თვალის დახამხამებაში დაუკარგავს. ამ შრომის რიტმში კი არაადამიანური და გაუგონარი არაფერი ჩანდა, ეს არ იყო მონების შრომა, ეს იყო სისტემატური, გონივრული შრომის განუწყვეტელი ცხოვრებისეული მდინარე, საიდანაც ამოხტომა და განზე გადგომა ძრავის ეპატიებოდა.

გარდა ამისა, შრომისა და დროის ფაქტორით მობილიზებული ქართველი ხალხი სხვა შესაძლებლობებს ავლენდა უკვე, თითქოს მაღაროში შედიოდა და ყოველი ფენის გადმონგრევის შემდგომ მარაგის ახალ ფენებს აწყდებოდა. სიღრმისეულ ფენებს სწორედ გარეთ გამოტანილი ფენები ეძახდა, გამოვლენილი შესაძლებლობანი ახალ შესაძლებლობებს აღმოუჩენდა და მიაკვლევინებდა ქვეყნის მესვეურთ.

თვეებისა და წლების განმავლობაში ღონიერდებოდა ეს მოძრაობა, კიდით კიდემდე უწვდენდა თავის ვნებებს და ადნობდა წინააღმდეგობის ყოველგვარ სურვილს.

მაგრამ მალე გაიზარდა ამ მოძრაობის შინაარსი. შენებისა და დამკვიდრების პათოსი ახალი საქმეებით დაიტვირთა. „ქვეგამხედვართა წურთნამ" და მაცნეთა სისტემის ტოტალურმა მოქმედებამ ამ შენების პარალელურად მალე დაიწყო თავისი დიდზე დიდი საქმე. ითქვა შენებაზეც, ითქვა მაცნეთა სისტემის ღვაწლზე, მაგრამ ამჯერად ჩვენ ყველაფერი ეს საქვეყნო მოძრაობის თვალსაზრისით გვაინტერესებს. დავითის კაცები არიან ყველგან, ძნელად საგრძნობია მათი არსებობა, შეუმჩნეველია, რადგან მოხდენილი ამბების შინაარსი მეტყველებ-

და, რომ „უგრძნეულად" სდებოდა ყველაფერი. მაგრამ საქართველოს ყველა კუთხეში რაკი ქვეგამხედვართა ვნებები იქნა ჩამცხრალი და მიზნები ჩაფუშული, უმალ საგრძნობი შეიქნა, რომ მთელი ქვეყნის ორგანიზმზე იყო დაბჯენილი გულთამხილავი მესვეურის თვალი, ერთგულებისაკენ გზის ჩვენებით ამოძრავებდა ყოველ კაცს ის თვალი — „ნუ იყოფინ ესე, წარვედ". ყველგან ტრიალებდა არწივის მზერა. ამ მზერამ გამოდენა ერის ვეებერთელა სხეულიდან ღალატის ვნება, გამოიხმო ერთგულების სურვილი და გააძლიერა იგი იქამდე, რომ არც ერთ კუთხეს არ შეეძლო განზე დგომა, ერთგულების ვნება დატრიალდა მთელს ქვეყანაში, იგი გაიზარდა, გამკაცრდა, გადაუარა ყველა სხვა სურვილს... ყველაფერი მეტყველებდა ფეოდალური ძალისაგან გასავათებული ქვეყნის სრულ გამოფხიზლებაზე...

სიფხიზლე, სიფხიზლე, სიფხიზლე — ქართველი კაცი მაქსიმალურ სიფხიზლეს ეჩვეოდა. მან იგრძნო, რომ ქვეყნად არსებობა მარტივი ცნება არ არის. ის, რაც კარგად უწყოდა ისტორიის გარკვეულ ეპიზოდებში და რაც კრიზისული წუთების ზემოქმედებით დავიწყებული ჰქონდა, ახალი შინაარსით აივსო და ასე დაემკვიდრა მის შეგნებაში. გრძნობდა და აცნობიერებდა, რომ ქვეყნის შვილობა აკისრებდა დიდ ტვირთს გლეხსაც და თავადსაც, მის წილ ტვირთს, რასაც მხოლოდ საკუთარი ოჯახის ტვირთი არ შეიძლებოდა ჰრქმეოდა. პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ერის წინაშე — ყველა რაღაცით უნდა შედგომოდა საქვეყნო ტვირთს. ერი დიდსა და ამაღლებულზე ფიქრს დააჩვია დავითის ღონისძიებებმა, რაღაც იდუმალითა და მშვენიერით განიმსჭვალა მისი სული და ის იდუმალი სულ სამშობლოზე ფიქრს გულისხმობდა.

ყველაზე დიდ სიტყვას მაინც განუწყვეტელი ლაშქრობები ამბობდა. სად დგას დღეს დავითის ლაშქარი, სად არის ხვალ, საით მოძრაობს გრძელ ღამეებში, რათა „უგრძნეულად" დაესხას მტერს, ამ მიმართულების განუწყვეტელი ცვლილებებისათვის თვალის გადევნებაც კი დაღლის ადამიანს — ეს სამხედრო ოპერაციების რუკაა, ათასი ტოტით დახუნძლული. ქვეყნად ანათებდა ამ განუწყვეტელი ლაშქრობების სული, რადგან გმირული სული იყო იგი! მან გამოიყვანა ხალხი დეპ-

რესიიდან. ყოველი სოფლიდან იყო მოხმობილი ქუდზე ქაცი, ჭართული ლაშქარი სწრაფი მოძრაობით შედიოდა ყოველ მხარეში და გადიოდა ყოველი მხრიდან, ზოგჯერ მოულოდნელად, ზოგჯერ წინასწარ „გაბრძნობილად", მთავარია, რომ სისტემატური სახე მიიღო დავითის ლაშქრის გამამხნევებელმა სტუმრობამ ყოველ ქართულ მხარეში. ამ მუდმივ „მოლაშქრეობასა" და „დაუცადებლობას" სდევდა თან მანამდე გაუგონარი რიტმი, რიტმმა დაიპყრო მთელი საქართველო, ითანა მისი სულისკვეთება, აუფეთქა ვნებები, ქვეყანა ყველა სახსარით გრძნობდა ამ შეუფერხებელ ღონიერ დინებას.

რა ხშირად იდგა საქართველოს უღელტეხილებზე ალმაშენებლის ლაშქარი, რა ხშირად ბღუჯავდა ჰორიზონტებს მისი ალესილი მზერა.

ქართველი ქაცი ყველგან და ყოველთვის მოლოდინშია. ვან ბოლომდე იგრძნო, რას ემსახურება ეს მუდმივი მზადყოფნა, ურჯულოთაგან ქვეყნის გაწმენდის დიდი მისია მას აკისრია, თავისი ბედის მესაჭეობა ევალება, შეუძლია, გონიერი წინამძღოლი ჰყავს და ძლევამოსილების ბათოსით არის ატანილი.

ეს მოძრაობის რიტმი თავის მორევში ითრევდა ქვეყნის ყველა ნაწილს, ყოველი უჯრედი გრძნობდა უკვე მისი მთრთოლვარე ტალღის შეხებას. გაბმულ ლაშქრობებში მყოფი მეფის ფიქრი იტვირთებოდა სხვა საქმეებითაც. სასამართლო საქმეების გასარჩევად მეფის გადამწყვეტი სიტყვა რომ შეიქმნებოდა საჭირო, მაღალი ხის წვერზე აუშვებდნენ კაცს, იცოდნენ რა მეფის მოსალოდნელი მოახლოების შესახებ. საფიქრებელია, რომ წესი თვითონ დავითის კარნახით იყო დამკვიდრებული. მთავარი ამ მოვლენის არსია — რამდენად უჩვეულო იყო მეფისა და მისი ლაშქრის ადგილმონაცვლეობის სისწრაფე, რომ საჭირო ხდებოდა სასამართლოს ამ ხერხით ჩატარება. „სათანაო ბიბლიოთეკის" ჯორებითა და აქლემებით ტარება, წისქვილებსა და გაშლილ ველებზე ღამის თევა, მოულოდნელი ჩასვლა უშორეს ადგილებში.

საქარავნო გზების სტრუქტურას თუ დავაკვირდებით, კიდევ ერთი შტრიხი შეემატება ქვეყნის სასიცოცხლო ძალების

გამოფენას. საქარავნო გზები იწყალდებოდა ყველა საჭირო მიმართულებით, ღამის გასათევი ფუნდუკებით თბებოდა ის გზები, ქვეყანა ამტვრევდა კარჩაკეტილი მეურნეობის არტახებს, ეჩვეოდა მიმოსვლას, შეცნობას, ცხოვრების გამდიდრებას.

ამ დიდი მოძრაობის გზაზე დევს რუის-ურბნისის კრება, როგორც ერთი უმთავრესი ნიშანსვეტი.

ტრადიციული მთვლემარე მდგომარეობიდან გამოდიოდა საქართველოს ნებისმიერი მხარე. მარტო ტაო-კლარჯეთის, ქართლის, კახეთის, იმერეთის გადასატანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ისტორიის ქარტეხილები. გეოგრაფიული მიზეზით შეყუჟული კუთხეები და მხარეები ინტენსიური ბრძოლისა და შრომის რიტმს უნდა ჰყოლოდა. სხვა გამოსავალი არ შეიძლებოდა მათთვის დაეტოვებინა, რადგან მაშინ ისევ პრიმიტიული წესრიგით მოუხდებოდა ქვეყანას არსებობა და დიდ გზაზე გამოსვლას ვერასოდეს ვერ შეიძლებდა. ამ სასიკეთო დიდ მიზანს თავისთავად ახლდა ყოველი კუთხის უჩვეულო გამოცოცხლება ძილისა და თვლემისაგან. „არავინ მოაცალეს“ — პირველი ცალდებული იყო ქვეყნის წინაშე და უნდა მოეხადა ეს ვალი. ამიტომ უნდა ებრძოლა და ეშრომა ისე, როგორც იბრძოდა მანამდე საქართველოს მფეთქავი წერტილები. დავით აღმაშენებლის გეგმების მასშტაბურობა გამორიცხავდა რომელიმე კუთხის ჩრდილში დგომას, მას სჭირდებოდა მთლად საქართველოს ენერგია. „მარად განსხირპული“ უნდა ყოფილიყო ყოველი მხარე.

ქართველი ხალხი მასშტაბური მოვლენების წარმართვას უკვე სულიერ მოთხოვნილებად განიცდიდა. ამიტომ ყივჩალთა დიდი ტალღის შემოყვანა თავისთავად დგებოდა იმ მოვლენების მწკრივში და მიემატებოდა ადრე მოხდენილ ქვეყნის სასიკეთო ძვრებს.

საქართველოს ენერგიის მოძრაობა დაფარული მიწისქვეშა ხმების გუგუნს გამოსცემდა, იგი მიმართული იყო მაღალ მიზნისაკენ და ნათელი ხილვა უნათებდა გზას.

ასეთ საქვეყნო სიცოცხლეს ნატრობდა მრავალი თაობა დავითამდე, სულით და გულით ესწრაფვოდა ფეხზე დამდგარ სრულიად საქართველოს ხატს. რამდენი რამ გააკეთეს საამისოდ, ახლა ხორცი ესხმებოდა საუკუნო ღვაწლს.

აქამდე იყო მოყვანილი მოვლენების ლოგიკა. დავითის მოღვაწეობაში ცხადად იგრძნობა ამ ფაზის ზედმიწევნით ზუსტი ხედვა და გათვალისწინება. მის სულმოუთქმელ სწრაფვაში—დაასრულოს დაწყებული საქმე, იკითხება ეს გაცნობიერებული ცოდნა. მისი მაქსიმალურად დაძაბული ცხოვრება, ანტრაქტს როდი გამორიცხავდა და ასე აიტაცებდა თანამედროვეებს, ამხელს ბრძენი მეფის აზროვნების მიმართულებას — თვალწინ მისი ხელითვე აღორძინებული საქართველოს სადღეისო და სამომავლო არსებობის წესი და ფორმა იბადებოდა, მისგანვე მიკვლეული და გამოძერწილი, მაგრამ ეს ფაზა ითხოვდა გასრულებას, აშენებული გონების თვალის მიყოლას ითხოვდა ბოლომდე. დღეს მის საქართველოს შეეძლო მიეღწია ნაოცნებარი სიმაღლისათვის ან სამუდამოდ გამოთხოვებოდა მას. ხელთ ეპყრა სადავეები და არაფრით არ აპატიებდა თავს ამ სადავეების ოდნავ მოშვებას. რაღაც მანჭანისებური სიზუსტე შეიძინა მისმა პიროვნულმა თვისებებმა და სიზუსტეს იგი საოცრად ახამებდა უჩვეულო ადამიანურ სილაღესა და ბუნებრიობასთან. ებარა ბედი საქართველოსი, რომელიც კიდით კიდემდე გაღვიძებული, მზადმყოფი, დიდი გაჭანებით დამუხტული ცხადდებოდა მის წინაშე და რწმენით აღავსებდა. მთლიანად ჰქონდა შეცნობილი თავისი ხალხის შესაძლებლობები და ეს ანიჭებდა ერთი შეხედვით აუხსნელ სიმშვიდეს, როდესაც კოალიციური არმიის ზღვასთან გაჰყავდა თავისი ერი საომრად.

* * *

„რამეთუ არა სცა ძილი თუალთა, არცა ჰრული წამთა, არცა განსუენება ხორცთა თვისთა, არა მიდრკა გემოვნებათა მიმართ, არცა ნებასა ხორცთასა; არა სასმელ-საჭმელთა, არცა სიმღერა-სიღოდთა და არათურთითა არარა ხორციელთა შეაკრა გონება...“

ეს მისი ცხოვრების ბოლო წლებზეა თქმული. ძილი და მოსვენება ყოველთვის აკლდა, ნადიმობისა და ნადირობის დროსაც შრომობდა მისი ფიქრი, თუ ნადირობისას თავისუფალ დროს იპოვიდა (და ყოველთვის პოულობდა!), წიგნს

მიურბენინებდნენ, ასე იცოდნენ ყმებმა... მაგრამ ხომ ნადირობდა მაინც. თუ ლხინისას სამეფო საქმეებს დაატრიალებდა ფიქრით, ხომ ქეიფობდა გარკვეულ წილად, თავის სულსა და ფიზიკურ ენერგიას ერთგვარ შვებას მაინც აძლევდა.

ცხოვრების ბოლო წლებში კი გამოირიცხა ნორმალური ძილი, მოსვენება, ნადირობა, ქეიფი, სიმღერა, მეფური სადილები... „არა სცა ძილი თუალთა, არცა ჰრული წამთა“... საქართველოში და საქართველოს ირგვლივ დატრიალებული მოვლენების არსობრივმა გააზრებამ დაარწმუნა უთუოდ დავით მეფე, რომ მხოლოდ ბრძოლისა და მოქმედებისათვის დარჩენოდა ამქვეყნად დრო. საქმე, რომელიც ათასი მნიშვნელოვანი ფაქტით ამ სიძლიერემდე იყო აყვანილი, ერთი წამითაც ცერ ითმენდა გამოშლას, ეს უზარმაზარი შენობა თავზე ჩამოექცეოდა საქართველოს.

ფაქტები, მოვლენები, ცნობები, ისტორია — ყველაფერი გვავალებს არაადამიანური რიტმის ამოკითხვას, რამაც მოიცვა იმდროინდელი საქართველო და მისი უპირველესი შვილი. მის ზურგს უკან იდგა ერი მისგან ამაღლებული, მობილიზებული, ერთიანად მზადმყოფი კიდით-კიდემდე ენერგიად დაძრული. მაგრამ მოვლენების განვითარების ლოგიკამ გადამწყვეტი ბრძოლის გადახდა მოითხოვა. ეს დღე უნდა დამდგარიყო!.. საქართველოსაკენ მოდიოდა მტრული სამყაროს კოალიციური არმია, ცხადია, ურიცხვი, მაგრამ სანამ მისი რაოდენობის განსაზღვრას მივაქცევდეთ ყურადღებას, მანამ უმთავრესი უნდა გავითვალისწინოთ. არმია მოდის დიდი მისიით—უნდა გადაწყდეს მუსულმანური სამყაროს ძლევამოსილების დამტკიცების პრობლემა საქართველოს ძლიერების დამხობის გზით. ეს კოალიციური ლაშქრის მესვეურთა ამოცანაა. საქართველოს კი უდგას უფრო რთული პრობლემა, ან სამუდამოდ გამოეთხოვოს „საშვენ“ სახელმწიფოებრივ სიმაღლეს, ან ერთხელ და სამუდამოდ დაამკვიდროს აზრი თავის ძალმოსილებასა და მარადიულობაზე.

როგორ იცვლებოდა საგარეო პოლიტიკის რუკა, რა სიტუაციები იქმნებოდა და იშლებოდა, რა მიმართულებას იღებდა მოვლენების განვითარება. „სივრცითა გონებისათა“ ჭვრეტდა დავით მეფე ამ რუკას. გასათვალისწინებელი იყო ყველაფე-

რი, უპირველეს ყოვლისა, შემოწმებას ითხოვდა საგარეო პოლიტიკის ამინდი: როგორ იარა სტრატეგიამ აქამდე, რა ურთიერთგამომრიცხავი ტაქტიკა გადაადგნა მთავარი მიმართულების დასაზუსტებლად. დღეს ისტორიკოსთა შრომების წყალობით გარკვეულია იმდროინდელი პოლიტიკური ამინდი, დაზუსტებულია მისი უმთავრესი დეტალები (მარიკა ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, შოთა ბადრიძე...) ისტორიკოსი შოთა მესხია, რომელიც ავტორია დიდგორის ომზე დაწერილი სპეციალური ნაშრომისა („ძლევაჲ საკვირველი"), ვრცლად და საფუძვლიანად მიმოიხილავს დიდგორის წინარე ამბებს. ეყრდნობა რა სარწმუნო წყაროებს და ცნობილი ისტორიკოსების გამოკვლევებს, შოთა მესხია გვაწვდის უმთავრესი მოვლენების ანალიზს. დღეს ჩვენთვის ცნობილია, რომ „ქრისტიანულმა ბიზანტიამ 1074 წლის ხელშეკრულებით აღმოსავლეთის ქვეყნების უდიდესი ნაწილი სელჩუკებს დაუთმო და საქართველო ამ ძლიერი დამპყრობლის წინაშე მარტო დატოვა", რომ 1080 წელს „დიდი თურქობა" დაიწყო საქართველოში. უფრო ადრე 1071 წელს მანაზკერტის მახლობლად ბიზანტიის იმპერიამ თურქებთან გადამწყვეტ ბრძოლაში დიდი მარცხი განიცადა და ამას მოჰყვა სწორედ 1074 წლის სამარცხვინო ზავის პირობებიც. თურქ-სელჩუკთა ისტორიული მოძრაობის მიმართულების გარკვევა დღეს უკვე აღარ ძნელდება, რუმის სასულთნოს დაარსებით, ბიზანტიის ხელიდან ანტიოქიის წაგლეჯით, სომხური სამეფოს დამხობით და არან-შარვანის დაუფლებით... დაუმარცხებელი მბრძანებლის როლში გამოდიოდნენ თურქ-სელჩუკები. ჯვაროსნებმა ერთხანს დაამუხრუჭეს მათი წინსვლა, მაგრამ ეს ფაქტიურად დროებითი შეღავათი აღმოჩნდა, როგორც დავინახეთ, ვერც ბიზანტიას და ვერც ქრისტიანულ აღმოსავლეთს საბოლოო შეება ვერ მოუტანეს ჯვაროსნებმა, გაუთავებელი დაბანაკება-გაჩანაგების ფაქტები საქართველოში მრავლობენ, ხოლო დავით მეფეს ფაქტიურად უანტრაქტო ბრძოლების სისტემა დასჭირდა ამ ტოტალურ ჭირთან დასაპირისპირებლად. არც ამ უანტრაქტო ბრძოლებმა იკმარა; ყველგან და ყოველთვის განადგურებული თურქ-სელჩუკების ბანაკების და არმიების რიცხვმა კოლოსალური რაოდენობა შეადგინა. ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა, ყვე-

ლა ძაფი ჩაიჭრა და ორი სამყარო ერთმანეთის პირისპირ და-
დგა.

აღმაშენებელს თითქოს ჰაერივით ჭირდებოდა ეს გადამწ-
ყვეტი შეტაკება პროგრამის განხორციელების გზაზე. ბრძო-
ლების მწკრივს სასრული უნდა ეპოვა. მტერი საქართველოს
არ დაეხსნებოდა და რაკი არ დაეხსნებოდა, საჭირო იყო აღმა-
შენებლის სიცოცხლეშივე გამართულიყო ის ბრძოლა, რასაც
საბოლოოდ უნდა დაემკვიდრებინა საქართველოს სვე, მისი სა-
ხელმწიფოებრივი რაობა. ამ უმთავრესი ომით უნდა გარკვეუ-
ლიყო ძალთა თანაფარდობა ახლო აღმოსავლეთში. საქართვე-
ლოს თავისი არსის მთელი შესაძლებლობანი უნდა დაეხარჯე-
ბინა მტრული სამყაროსათვის, რათა ერთხელ და სამუდამოდ
დამკვიდრებულიყო მტრის წარმოდგენაში ქართული სამყარის
ძლიერება და სამარადისოდ ხსომებოდათ მისი სიმაღლე. უნდა
დათრგუნულიყო ამ ქვეყნის დასაკუთრების ველური ვნება.

თითქოს ყველა დიდი და მცირე მასშტაბის ბრძოლა ამ
მოვლენის მოსამწიფებლად იყო გამართული, ყველა პოლიტი-
კური სვლა აღმაშენებლისა თითქოს ამ მიზანს ემსახურებო-
და, თითქოს მისი ნება ითხოვდა პროგრამის აღსრულების გზა-
ზე გამოეწვია დაპირისპირებული აღმოსავლეთის კოალიციუ-
ური არმია, თითქოს საგანგებოდ მართავდა მოვლენებს აქეთ-
და ლოგიკურად არც რჩება სხვა გამოსავალი — რუმის სასულ-
თნომ, არაბეთმა, ყველა დიდმა და მცირე სახელმწიფომ,
რომელთა ინტერესები საქართველოს ასე თუ ისე
უკავშირდებოდა, საჭიროდ დაინახა ერთიანი ძალებით გაენად-
გურებინა დავითის ქვეყანა.

ახლა სრულფასოვანი წაკითხვა ჭირდებოდა მტრული სამ-
ყაროს პოლიტიკურ აზრს. საქართველოდან გადახვეწილი,
დარბეული და ამოჟლეტილი ბანაკების ნაშთი ყოველი მიმარ-
თულებით თესავდა პანიკას და ზიზღს დავითის ქვეყნის მი-
სამართით, ეს ცნობილი იყო, დავითის ხალხი ახლა არნახული
დატვირთვით იღვწოდა, გამალებული კრებდა ცნობებს, რუმის
სასულთნოში ტრიალებდა მისი ფხიზელი თვალი მათ იხილეს
პირველებმა შავად შეღებილი, მგლოვიარე თურქები, გაჭრები,
სულთანთან რომ მიეშურებოდნენ დახმარების სათხოვნელად,
შავად გაღებილი „შიკრიკები," შურისძიებისაკენ რომ მოუწო-

დებდნენ მოსახლეობას. მზვერავებმა იცოდნენ, უპირველეს ყოვლისა, საით, რამდენი მიმართულებით განეფინნენ ისინი, რა ზარი და გლოვა შეჰქონდათ ხალხში. მათ წაიკითხეს პირველებმა სულთნის ზრახვა და თათბირობა, იპოვეს გზები, რა გზებითაც უნდა ექროლათ შიკრიკებს და ესწრაფათ დელეგაციებს, რაკი კოალიციური არმიის შეკრება გადაწყდა. დავითი იღებდა ცნობებს განუწყვეტლივ, დღევანდელი აღმოსავლეთი აინტერესებდა განსაკუთრებით, მას ბევრი რამ ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი, მაგრამ ახლა, გადამწყვეტ წუთებში შექმნილი ვითარების ცოდნა იყო აუცილებელი. რამდენი ძლიერი სახელმწიფოა აღმოსავლეთში, ვინ ექვემდებარება რუმის სულთანს, გინ ყურმოჭრილი ყმაა, ვინ გამდგარი და პროტესტით სავსე, რა პოზიცია უჭირავს სპარსეთს, რას ფიქრობს არაბეთი, ვისი ინტერესები ერთიანდება რუმის სასულთნოს ქვეშ...

...არა სცა ძილი თუალთა... მოსვენება იკარგება, დროის მხოლოდ უმცირესი წილი ენერგიის მოკრებისათვის, აზროვნების სიცინცხალის შესანარჩუნებლად...

...მიხმეთ სპასალარი, მიხმეთ მწიგნობართუხუცესი, მიხმეთ მანდატურთუხუცესი...

სად იწვრთნება ქართული ლაშქარი, ვინ წვრთნის, რამდენ ჟამს წვრთნის, რამდენია მხედრობა, რამდენი ქვეითი, როგორია იარაღი... ცნობა ცნობაზე და მაინც ადგილზე უნდა შემოწმდეს ყველა — საჭირო ინტერვალით; მოძრაობა დაუსრულებლივ, მტრის მსტოვართა კვალის აბნევა, საბრძოლო განწყობილების შემზადება, მტრის საკარაუდო რაოდენობის შენიღბვა, რათა პანიკის მცირეოდენი წვეთიც არ დაეცეს ლაშქრის სულს, თუმცა პანიკის გრძნობა საერთოდ გაუცხოვებული იყო ქართული ლაშქრისათვის იმ დროს. მაინც მტრის რაოდენობის წინასწარ შეტყობა გარკვეულწილად იმოქმედებდა...

სიფხიზლედ ქცეულა დავითის არსებობა. ის, რაც ოთხი წლის შესახებ უწერია ისტორიკოსს, რეალობაა, ზუსტია ყველა ცნობა, რასაც ქართული, სომხური, ფრანგული, არაბული, სპარსული წყაროები გვაწვდიან. ისინი გვაწვდიან ორი

სამყაროს შეჯახების გრანდიოზულ სურათს. ისტორიული მოვლენის ეს მნიშვნელოვნება არ უშვებს თვალის მოხუჭვის საშუალებას. მოდის ცნობები, მოდარაჯე მზერა თან დასდევს მთელ ქსელს. სულთანმა, რაკი დაინახა და იგრძნო საქართველოს მიერ შექმნილი საფრთხე, მთელი ძალ-ღონის მოკრება და მასთან დაპირისპირება დაისახა მიზნად. მოლაპარაკება სასახელმწიფოებთან, მთავრებთან, ხანებთან, ახსნა, დარწმუნება, საქართველოს როლისა და ადგილის განსაზღვრა, საქართველოს განადგურების აუცილებლობის მტკიცება. მაცნეთა სისტემა აგროვებდა მოლაპარაკების შედეგებს, დღევანდელი სურათი დღეს უნდა გაეშიფრა. ხვალ იცვლებოდა ის სურათი, ცვლილებათა შინაარსიც უნდა ცოდნოდა, არ შეიძლებოდა გაწყვეტილიყო მოვლენებს შორის კავშირი და თანამიმდევრობა. მაცნე მაცნეს მისდევდა, რათა დღევანდელს გუშინდელი გადაემოწმებინა, ხვალინდელს — დღევანდელი. შესწავლას ითხოვდა განწყობილება ყველა სამეფოსა და სახანოს კარზე, შიდაწინააღმდეგობის გაღრმავების პერსპექტივები... შესწავლას საჭიროებდა მანძილი სამეფოებს შორის, მაგისტრალური გზები... რა დრო მოუნდებოდა არმიის შეკრებას, რა დრო — მათ გაერთიანებას, რა გზით წამოვიდოდნენ საქართველოზე. ვინ იქნებოდა იგი, მთავარსარდალი — კოალიციური არმიის წინამძღოლი! იქნებოდა უსათუოდ დიდი გამოცდილებისა და ავტორიტეტის, მაგრამ რა თვისებისა, რა ნაკლი ახასიათებდა, რომ იმ ნაკლის გათვალისწინებით განსაზღვრულიყო საბრძოლო სტრატეგია და ტაქტიკა; ცნობა აზუსტებდა ცნობას, ცნობა ეწინააღმდეგებოდა ცნობას, საჭირო იყო დამატებითი ინფორმაციები.

„სივრცითა გონებისათა“ — მისი აზროვნება ეუფლებოდა საგნებს, მოვლენებს, ფაქტებს, ფიქრი მოძრაობდა განუწყვეტლივ. დავითის ხალხი იღვწოდა ბიზანტიაში, ჯვაროსანთა შორის... რა ხდებოდა იქ, შესაძლებელია თუ არა ბიზანტიის ძალების მობილიზება, რა განწყობილება მართავდა ჯვაროსანთა მიზნებს, როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ცალკეულ არმიებთან და საერთოდ ბიზანტიის მესვეურებთან, შეიძლებოდა თუ არა მათი ძალების მოხმობა, შეიძლებოდა თუ არა მათი დაბირისპირება უზარმაზარ ზღვასთან, რომელიც უკვე მოიგრაგ-

ნებოდა ვეებერთელა ტალღებად საქართველოსკენ. იმართებოდა ის ბრძოლა, რომელსაც უნდა განესაზღვრა ქვეყნის აწ-ცყო და მომავალი. ახლა მოდიოდა სხვა რაოდენობისა და ამდენად სხვა თვისობრიობის მტერი და აუცილებელი იყო მასთან დაპირისპირების მთელი დანიშნულება ეგრძნო ხალხს. დავით აღმაშენებელს ჰყავდა ყივჩაღებისაგან შედგენილი 40 ათასიანი მუდმივი ლაშქარი, მაგრამ ჰყავდა ქართული ლაშქარიც. ქართულმა ლაშქარმა აღმაშენებლის წინამძღოლობით თავისი უძლეველობა დაამტკიცა. ყივჩაღებმაც ორიოდე წლის განმავლობაში აჩვენეს ბრძოლის მაღალი სამხედრო ხელოვნება. ახლა გადასაწყვეტი იყო, ვინ გაეყვანა გადამწყვეტ ომში, რაც ხვალ თუ ზეგ გაიმართებოდა. „სივრცითა გონებისათა“ სჯიდა დავითი ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს. ვინც არ უნდა გასულიყო ბრძოლაში, ყველა საქართველოს ძალას წარმოადგენდა, მაგრამ ორი სამყაროს შეტაკებაში უნდა ებრძოლა არა მარტო გონებასა და მკლავს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, გულს უნდა ებრძოლა. საქართველოს გული თუ იბრძოლებდა იმგვარი თვითგაღებით, ამ გიგანტური ომის მოგებას რომ სჭირდებოდა. ყივჩაღთა მუდმივი ლაშქრის გამოყენება ყოველთვის შეიძლებოდა, მაგრამ იგი დამხმარე უნდა ყოფილიყო, ხოლო მთავარი დარტყმა უნდა განეხორციელებინა ქართულ ლაშქარს. მას შემდეგ, რაც ყივჩაღთა მუდმივი ლაშქარი შეიქმნა, მხვნელ და მთესველ ქართველ კაცს ამოსუნთქვის საშუალება მიეცა და დავითის ხელმძღვანელობით მუდმივი ლაშქარი ერთი კიდიდან მეორე კიდემდის აფენდა დაბლა მტრის იავარქმნილ ბანაკებს. მაგრამ ახლა საქართველოს ბედი ეძახდა სწორედ ქართველ კაცს — გაეღო თავისი ენერგიის მაქსიმუმი.

ისტორიკოსთა დაანგარიშებით 61 ათასი მეომარი გაიყვანა ბრძოლის ველზე დავით მეფემ, აქედან 45 ათასი ქართველი გახლდათ! დიახ, მხოლოდ ქართველ კაცს მართებდა ამ გადამწყვეტ შეტაკებაში ეტვირთა მთავარი ტვირთი, თვითონ დაეკრა ყველაზე ძალუმად და თვითონვე დაეღვარა ყველაზე მეტი სისხლი. ფესვებით, ნერვებით საკუთარ მიწა-წყალს შეზრდილ ქართველ კაცს შეეძლო ის მაქსიმალური ერთგულება, რაც ასე ჰაერივით ესაჭიროებოდა წინამდებარე განსაცდელს. ყივჩაღ-

თა დარჩენილი ნაწილის ფუნქციას როგორმე განსაზღვრავდა დავით მეფე. უმთავრესი აქ წყდება — დიდი ბრძოლის ველზე. მისი შიკრიკები ჩვეულებისამებრ მაქსიმუმს აკეთებენ — ყოველი კუთხიდან კრებენ ქართულ ლაშქარს. მოსალოდნელი ომის მნიშვნელობა კიდით კიდემდე განეფინა, დავითმა ღაუძახა მთლად საქართველოს. აღმაშენებელს არასდროს არ ჰქონია რაოდენობის შიში, მას აფიქრებდა მხოლოდ თავისი ხალხის მზადყოფნა და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მაქსიმალური სიფხიზლის გრძნობა აენთო ქართველ კაცში, ღონისძიებების ურთულესი სისტემით კიდეც მიაღწია ამას — საქართველოს მთებსა და გორაკებზე უკვე ენთო ეროვნული სიფხიზლის ცეცხლი, იგი ანაცრებდა ყველაფერს, რაც კი გზაზე ელობებოდა ამ ეროვნულ შემართებულობას.

საქართველო და თურქ-სელჩუკთა სამყარო! — ასე უნდა განეცადა მის ქვეყანას ეს დაპირისპირება. გამოვლენილი და განცდილი ძლევამოსილება, ურიცხვი გამარჯვებიდან ამოზრდილი გმირული სულისკვეთება ადვილად უსწორებდა თვალს მოსალოდნელი გიგანტური მასშტაბის ბრძოლას. აღმაშენებელი ოსტატურად არიდებდა პანიკის მარცვალს თავის ხალხს, სხვა აზრით ბსუვალავდა მის სულს, სხვა სიმაღლისაკენ მიაპყრობინებდა მზერას, დიას, „სიერცითა გონებისათა“ უნდა განეცადა მის ხალხსაც ის გადასახედი, რომელზეც აიყვანა გაწვრთნილმა შრომამ, ბრძოლამ და ბრძნულმა წინამძღოლობამ. გადასახედიდან გარკვევით ჩანდა სიერცე, მტრის კუთვნილი და მასზე დამუქრებული, ჩანდა შინაგანი ძალმოსილება, რომლის სამუდამოდ დამკვიდრება და დაუფლება შეეძლო ქართველ არსს. ამისათვის ჭირდებოდა აღმაშენებელს ეროვნული ენერგიის არნახული ამოძრავება, რაც გამანადგურებელი დარტყმის უნარს ანიჭებდა. „სიერცითა გონებისათა“ ხედავდა ქართველი ხალხი თავის თავს ამ მოვლენის წინაშე მდგარს და გრძნობდა შეურყეველ რწმენას, რაც მთელ მის სხეულს დაეფლებოდა, პირთამდე იყო სავსე ქვეყანა ამ რწმენით. ეს ის რწმენაა, წინასწარ რომ აგრძნობინებს უეჭველ გამარჯვებას. საკუთარი საყრდენის სიმყარის განცდაც ჰქვია მას, იმ საყრდენისა, რომელზეც დაეშენება მთელი ძალმოსილება და სიმძიმე არსებობისა, რათა მონუმენტური და ურყევი იდგეს დადამიწაზე.

გადამწყვეტი შეტაკების წინ ქართველ კაცს გამარჯვების ფაქტები და იმ ფაქტებით გამოკვებილი ლოგიკა ასაზრდოებდა, ერთიანსა და მასიურს ხდიდა ქვეყნის ორგანიზმს. ეს ფაქტები იმავე ხალხის გარჯითა და შემართებით იყო მოქსოვილი, ახლა მასზე იდგა ხალხის გმირული სული, ფეხით სინჯავდა ნიადაგის სიმყარეს. ენერგია ურიცხვ ბრძოლებში შემოწმდა, დახლართულ სიტუაციაში, სიძნელეებში, რის გადალახვასაც ასე სჭირდებოდა ფიზიკური და სულიერი სიმტკიცე. იმ უჩვეულო ზამთარში ლიხის მთის გაპობის შემდეგ ქართულ ლაშქარს რა წინააღმდეგობა უნდა გაკვირვებოდა, თრიალეთზე 100 ათასი კაცის ათას ხუთასი მოლაშქრით გაბრუნების შემდეგ რა მხედართმთავრული ნიჭიერება გააოცებდა. ენერგიის სილაღის, სიკასკასის ფეიერვერკები ჰქონდა დატრიალებული, გმირული შესაძლებლობის ფარგლები უსაზღვროდ გაფართოებული ჩანდა და პანიკა, ალბათ, საქართველოს სულს ვერც გაეკარებოდა. იგი ვერც მოისვენებდა, დიდი წინამძღოლის მსგავსად, ამ უდიდესი ისტორიული გამოცდის გარეშე, თითქოს ესწრაფვოდა ამას, ეწადა, სულითა და გულით, რომ მისცემოდა შემთხვევა, მსოფლიო მასშტაბის ბრძოლაში გამოეცადა თავისი თავი, თვითონაც დაენახა და სხვებისთვისაც დაენახვებინა, რისი შემძლე იყო.

დავით აღმაშენებელი ნათლად ჰვრეტდა, რომ ქვეყნის თავზე გარდმომავალი მოვლენების უღელტეხილზე იდგა მისი ერი, რომ ამ მოვლენებიდან გამოიკვეთა ყველაზე მნიშვნელოვანი, კრებსითი შინაარსის მოვლენა, ისტორიული საქართველოს უმაღლესი ჯამი. დარეკა ამ ჟამმა და ერმაც იგრძნო მთელი არსებით მისი დადგომა. არსებობის შინაარსი და მიმართულება, მისგან მოხდენილი და მის გარშემო დატრიალებული საუკუნოვანი მოვლენები თითქოს ამ ჟამს ამზადებდნენ. ამზადებდნენ ერთის მხრივ საქართველოს შინაგან სრულყოფას, მისი სულიერი და ფიზიკური ძალების განსაკუთრებულ მდგომარეობას, ხოლო, მეორეს მხრივ, რაოდენ უსაზღვროც არ უნდა ჰქონოდა მშვიდობიანი ცხოვრების წყურვილი, მაინც გარდუვალივით შემზადდა გენერალურ ბრძოლაში მტრულ სამყაროსთან შეხვედრა. ერთ მშვენიერ დღეს მთელი თავისი ძალებით უნდა მოსულიყო ეს მტრული სამ-

ყარო, რისი შემძლე იყო, საწამდე შეიძლებოდა ბოლოს და ბოლოს მისი მშთანთქავი ძალების ზრდა, რამდენი იდგა სიკვდილის დროშის უკან საქართველოზე დამუქრებული გულით და სულისკვეთებით! აგერ, ოც საუკუნეზე მეტია, რაც საქართველოს თავისი არსებობა ახსოვს — არ დაილია „პერმანენტული ლაშქრობების“ მდინარე საქართველოსკენ მიმართული ტალღებით. თითქოს შეუცნობი სამყაროდან მოეშურებოდნენ ახალ-ახალი მტრები. აზიის, ევროპის ველებერთელა ტერიტორიებიდან დაუსრულებლივ მოეშურებოდნენ ისინი, დაპყრობის შთანთქმის ვნებით აღვსილნი... არ ამოთავდა მტრული გესლი, არ გადაიჭრა სისხლისმიერი კონფლიქტები. ზოგი მათგანი ისე გაუბრუნებია ქართველ კაცს უკან, დიდხანს იმ მომხდურის ვინაობის გარკვევაც ვერ მოუხერხებია. შესწავლილი მტრული სახელმწიფოების გვერდით აღიმართებოდნენ ისინიც, ამ შეუცნობი სამყაროს ქვესკნელიდან ამოიზრდებოდნენ თითქოს. ფიქრით ზომავდა საქართველო საუკუნეების მანძილზე მტრული სამყაროს საზღვრებს, მის შესაძლებლობებს. იდუმალებას ინარჩუნებდა ეს სამყარო, უფრო საშიში ხდებოდა ამით, უფრო დამაფიქრებელი. გაურკვეველი რჩებოდა საკითხი, დაადგებოდა თუ არა საშველი ქვეყნის სხეულის გვემას და ტანჯვას.

ახლა სწორედ ამ შეუცნობი სამყაროს მთელ შესაძლებლობას უნდა შეხვედროდა პირისპირ. რა ძალებიც კი ამ მტრულ სამყაროს გააჩნდა, ყველა მის წინააღმდეგ გაერთიანებულიყო. ეს იყო უდიდესი საფრთხე, მაგრამ საუკუნეთა განმავლობაში ნაფიქრალის გაცხადება და გარკვევაც ამავე დროს. დავითმა და მისმა უნიჭიერესმა თანამებრძოლებმა ტერფით თხემამდე იცოდნენ საქართველოსთან დაპირისპირებული მტრული სამყაროს მთელი ანატომია. იცოდნენ, რამდენი ქვეყანა, რამდენი ხალხი შეიძლებდა გაერთიანებას მათი ქვეყნის წინააღმდეგ. გათვალისწინებული ჰქონდათ სახელმწიფოთა შორის არსებული კონფლიქტები, ინტრიგები, ინტერესთა სხვაობა, ორგანიზაციის ხარისხი, შემართების სიმწვავე... იცოდნენ, საქართველოსკენ უთვალავი ლაშქარი რომ მოდიოდა. ეს იყო ის ზღვარი, რაშიც ითქვიფებოდა მტრული გარემოცვის ყველა ძალა. განწყობილებამ, სისხლისმიერმა

ინტერესებმა შეანივთა ამ სახელმწიფოთა ფიქრი და მხედრული სხეული.

„მაშინ სულტანმან მოუწოდა არაბეთისა მეფეს დურბეზს, სადაყას ძესა, და მისცა ძე. თვისი მალიქი და ყოველი ძალი მისი; და აჩინა სპასალარად ელღაზი, ძე არდუხისი, კაცი დაჰმანი და მრავალ ღონე. და უბრძანა თურქმანობასა სადაღაც ვინ იყო, დამასკოთ და ჰალაბითგან ამოღმართ, ყოველს მხედრობად შემძლებელსა, ამათ თანა ათაბაგსა განძისასა მისით› ძალითა და ყოველთა სომხითისა ამირათა. ქრონიკონი იყო სამას ორმოცდაერთი.

შეკრბეს ესე ყოველნი, შეითქუნეს, შეიმტკიცნეს სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომლითა აღივსო ქუეყანა, და აგვისტოსა თურამეტსა მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა. ხოლო მეფემან დავით უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა, თუ ვითარ წინა განაწყო სპა მისი, და თუ ვითარ ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერაღ ყო, რაბამ რამე წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო, და თუ ვითარ თვისნი სპანი დაიცვნა უვნებლად, — ამათ ყოველთათვის არა ჩუენი, არამედ ვგონებ, რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ენა ვერ შემძლებელ არს მთხრობად ზედამიწევნით ყოველსავე“.

სულთანი საშველად უხმობს არაბეთის მეფეს, ისიც უგზავნის მთელი არაბეთის სამხედრო ძალებს („ყოველი ძალი მისი“). სულთანი უბრძანებს ქვეშევრდომ თურქებს („სადაცა ვინ იყო“), ვისაც მახვილის ხელში დაჭერა შეუძლია („ყოველსა მხედრობად შემძლებელსა“), ფეხზე დადგეს და შეიკრას ერთ სისხლად და ერთ ხორცად. შავად შეღებილი დელეგაციის მისვლა სულთანთან წაკითხულ იქნა საქართველოს ძლიერი მტრების უფხიზლესი გონებით. მათ დაინახეს (უპირველეს ყოვლისა, სულთანმა დაინახა) ამ ახალი წინააღმდეგობის, ახალი სახელმწიფო ერთეულის დიდი საშიშროება. ამიტომ „შეკრბეს“, ამიტომ „შეითქუნეს“, ამიტომ „შეიმტკიცნეს, ვითარცა ქვიშა ზღვისა“. — საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ დასამარების დიდი გეგმა დაისახა მათ წინაშე.

ისტორიკოსი შოთა მესხია მრავალი წყაროს გათვალისწი-

ნებით ადგენს მოკავშირეთა კოალიციური ლაშქრის რაოდენობას. მათე ურჰაელის ცნობით, „მაჰმადიან მფლობელთა გაერთიანებული ლაშქრის რიცხვს 560000-ისათვის მიუღწევია". ანტიოქიის საპატრიარქოს კანცლერი გოტიე დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ლაშქარი 600 000 კაცისაგან შედგებოდა. შოთა მესხია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მათე ურჰაელისა და გოტიეს მონაცემებს შორის დიდი სხვაობა არ არის!

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საგანგებოდ მიუთითებს, რომ მტრები „შეითქუნეს სიმრავლითა ვითარცა ქვიშა", რომ „აღივსო ქუეყანა", რომ „ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა". ალ-ფარიკი მიუთითებს, რომ „დიდ ლაშქარს მოუყარეს" თავიო, მათე ურჰაელი რიცხვის დასახელებასთან ერთად საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „საშინელი სიმრავლით შევიდნენ ქართველთა ქვეყანაში". და მაინც „საქართველოს ისტორიის მამა" ივანე ჯავახიშვილი თავმდაბლურად აცხადებს, ლაშქარი 300 000 მეომრისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარიო. დიდი ისტორიკოსის თავდადრეკილობა ქართველი ხალხის და ქართული მეცნიერების საუკეთესო თვისებაზე მეტყველებს: უნებურად არ გააზვიადოს საკუთარი ქვეყნის ისტორიული მოვლენები. მაგრამ მაინც ზედმეტი მეჩვენება მათე ურჰაელისა და გოტიეს ცნობებისადმი უნდობლობა. გაზვიადება შეიძლება 50 ან უკიდურეს შემთხვევაში 100 ათასი კაცით, ერთბაშად 260 ან 300 ათასით გაზარდოს ისტორიკოსმა ლაშქრის რაოდენობა, ეს წარმოუდგენელი და ყოვლად დაუჯერებელია. შოთა მესხია ასევე თავმდაბლურად იშველიებს არგუმენტს — „თრიალეთ-მანგლის-დიდგორის სანახებში ექვსასათასიანი ლაშქარი არათუ ვერ გაიშლებოდა, ვერც დაეტეოდაო" და იზიარებს ივანე ჯავახიშვილის ციფრს (300 000).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი სწორედ ამას წერს სიტყვა-სიტყვით — „რომელ თვით ფეხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა" — ეს არის თქმული და რაკი ეს არის თქმული, ისტორიკოს შოთა მესხიას თავმდაბლური არგუმენტი და ლოგიკა, ასევე დიდი ივანე ჯავახიშვილის სიფხიზლე, ალბათ, გასაზიარებელი არ არის. ვიმეორებ, ჭეშმარიტად მეცნიერუ-

ლი სიფრთხილე და სულისკვეთებაა გამოწატული მათ მიერ, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაფრიდან ჩანს, რომ კოალიციური ლაშქარი შორს აჭარბებდა 300 ათასს და უახლოვდება სწორედ მათე ურჰაელისა და გოტიეს მიერ დასახელებულ ციფრებს. კიდევაც რომ დადგინდეს 300 000 — გაერთიანებული ლაშქრის რაოდენობად, ამით მაინც არ იცვლება არსი. ეს იმოდენა ციფრია, რომ თავისთავში იქცევს სწორედ მტრული სამყაროს მთელ შესაძლებლობას — მთავარი სახეზეა — შეკრბეს, შეითქუნეს, შეიმტკიცნეს მთელი აქამდე შეუცნობელი სამყაროს სამხედრო ძალები. არაბმა, ფრანგმა და სომეხმა ისტორიკოსებმა შესანიშნავად უწყიან, რომ ეს იყო დიდი გაერთიანება საქართველოს წინააღმდეგ. დავით აღმაშენებელმა, მისმა ისტორიკოსმა და მისმა გრმა ასევე შესანიშნავად იციან ამ გაერთიანების შინაარსი.

დავით მეფემ გაითვალისწინა ამ მობილიზების მთელი სიგრძე და განი: რამდენი ქვეყნის რამდენი მოლაშქრე წამოვიდოდა საქართველოს წინააღმდეგ. ამ რაოდენობის ლაშქრის გამოყვანას თავისი დიდი და საიდუმლო აზრი ჰქონდა. ეს არ იყო მარტო დავით მეფის ძლევამოსილების დამხობის მიზნით მოწყობილი ლაშქრობა, ეს გახლდათ სულთნისა და მისი მომხრეების მხრივ საკუთარი ძალების გამოცდა. თუ შეეძლოთ, ახლა უნდა მოესპოთ საქართველოს ძლიერება, რადგან თუ იგი კიდევ მეტად გაძლიერდებოდა, ხვალ უკვე მათ სიმტკიცეს და, ვინ იცის, იქნებ, არსებობასაც დაემუქრებოდა!

კოალიციურ ლაშქრობაში ჩადებული ეს აზრი იყო ბოლომდე შესაცნობი. იგი მოემართებოდა, მოხვეტავდა მთებსა და ველებს, წარღვნის ძალით იძვროდა. აი, ერთმანეთთან წაკიდებული ხანებისა და მმართველების აწ უკვე შეერთებული ერთსულოვანი ფიქრი და მიზანი. ზანზარებდა ორი სივრცე — ერთი საქართველოს დამხობის ჟინით დამუხტული, მეორე — საკუთარი მეობის დადგენისა და საკუთარი სიმაღლის დაუფლების წყურვილით ატანილი. იდგა ორი ერთმანეთისათვის შეუღწევადი სამყარო და ხმლით ეწადა გადაუჭრელი პრობლემების გადაწყვეტა.

არც ბიზანტიას. და არც ჯვაროსნებს არ შეეძლოთ საქართველოსათვის რეალური დახმარება გაეწიათ. დავით მეფეს,

ცხადია, მოსინჯული ჰქონდა მათი ძალები. ისინი, ბუნებრივია, სულითა და გულით იყვნენ მოწადინებულნი, ქართველთა მეფეს გაემარჯვა გადამწყვეტ ბრძოლაში, ქმედითი ღონისძიებების ღონე კი არ შესწევდათ. არა მარტო დიდგორის ბრძოლის წინ, ყოველ ისტორიულ სიტუაციაში ჰქონდა მოსინჯული მათი შესაძლებლობა დავით მეფეს. მაგრამ ერთი საგულისხმო აზრიც იშიფრება სიტუაციების ლოგიკიდან: დავით აღმაშენებელს საგანგებოდ არც უცდია ბიზანტიისა და ჯვაროსნების შემწეობის მიღწევა, საგანგებო მოლაპარაკება არც გაუმართავს დამხმარე ძალების მოსაწვევად. საეჭვოა, მხოლოდ ბიზანტიისა და ჯვაროსნების იმჟამინდელ მოუცლელობას ან დასუსტებას მიეწეროს ეს ფაქტი. დავით მეფეს მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა ქრისტიანულ სამყაროსთან და ამაზე მეტყველებს თუნდაც მისი ასულის დაქორწინება ბერძენთა მეფის შვილზე. ამის დასტურია ჯვაროსნებთან ურთიერთობის საიმედო, თუმცა მეტად მწირი ცნობები. ყველაფრიდან ჩანს, რა ეწადა დავით მეფეს. მას აუცილებლად მიაჩნდა საკუთარი საყრდენი ეპოვა ქვეყანას თავის წიაღშივე, არ ყოფილიყო სხვისი ხელის შემყურე, დამოკიდებული საერთაშორისო პოლიტიკური ამინდის პირველულობაზე: არ ყოფილიყო საკუთარ ცაზე გადამავალ ღრუბელთა ქარავანის შიშით და კანკალით მაცქერალი. ამ ამინდის მოყურადე იყო საუკუნეთა მანძილზე, არა იმგვარი მოყურადე, ძლიერ სახელმწიფოს რომ სჩევია, არამედ გარემომცველი მტრული სამყაროთი შეშფოთებული და მოუსვენარი სულის დარაჯობა იყო იგი. ძალთა მოკრება რაიმე საშუალებით თავის გადარჩენისაკენ იყო მიმართული. მთელი სიცოცხლე ამ გარსებიდან თავისი ხალხის გამოყვანას შესწირა დავითმა, აქამდე მოიყვანა ქვეყანა და ხალხი. ახლა საქართველოს მუდმივი ლაშქარი ჰყავდა, სულით და ხორცით გაწვრთვნილი ერი ჰყავდა და გადამწყვეტ შეხვედრაში დავით მეფემ საკუთარი ძალების ამარა გასვლა ჩათვალა მიზანშეწონილად. ამიტომ მოიხმო ქართველთა ლაშქარი (45 ათასი კაცი), ამიტომ მხოლოდ ხუთმეტი ათასი ყივჩაღი გაიყვანა ბრძოლის ველზე, მხოლოდ ხუთასი ალანი და ორასი ჯვაროსანი (ფრანგი)... მას რეზერვში კიდევ ჰყავდა 25 ათასი ყივჩაღი. არ ჩანს გარკვევით, საღ

იდგა მუდმივი ჯარის ეს დიდი ნაწილი, მაგრამ ის არსებობდა!

ახლო მეზობლები, საქართველოს გაელენის ქვეშ მყოფი ამიერკავკასიის ქვეყნები დავითის გარშემო ჩანან გაერთიანებულნი. მათ მნიშვნელოვან სამხედრო ძალებს, ცხადია, ამ ომში მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ ისინი (ეს გარკვევით ჩანს წყაროებიდან) საქართველოში ხედავდნენ თურქ-სელჩუკთა ბატონობისაგან განმათავისუფლებელს და დიდი მადლიერების გრძნობით აღნიშნავენ კიდეც დავით აღმაშენებლის ყოველ წარმატებას.

ამიერკავკასიის ძალთა კონსოლიდაცია დავითის სამოქმედო პროგრამის უმთავრესი ნაწილი გახლდათ და დიდგორის ბრძოლაზე მოწვდილ ცნობებში სწორედ ერთსულოვნება იქცევს ყურადღებას.

ამიერკავკასიის ქრისტიანული ქვეყნების კონსოლიდაცია დიდი ხნის წინათ ექცათ ოცნებად საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოთა მესვეურებს. თურქ-სელჩუკთა დიდმა საფრთხემ ხელი შეუწყო მათი ინტერესების გაერთიანებას. აქ კი, გადამწყვეტი შეტაკების წინ, დავითმა საქართველოს ძალების სრული მობილიზება მოიწადინა.

გრძნობდა რა დამდგარი ჟამის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, დავით აღმაშენებელმა საჭიროდ ჩათვალა, თავისი ხალხისათვისაც ბოლომდე დაენახვებინა კარს მომდგარი საფრთხე, დაენახვებინა სწორედ მოვლენის სრული შინაარსი.

გოტიეს მიერ დამოწმებულ დავით აღმაშენებლის სიტყვაში, რომლითაც მიმართა მან მეომრებს, საგანგებოდ არის მითითებული ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტზე — ხეობა, რომლითაც ბრძოლის ველს მიუახლოვდა ქართველთა ლაშქარი, დავითმა მოჭრილი ხეებით საიმედოდ ჩაახერგინა, რათა ქართველ კაცს უკუქცევის საშუალება არ ჰქონოდა. ეს არის დავით აღმაშენებლის მიერ საგანგებოდ მოხმობილი ხერხი და ის ხერხი თავისთავად მეტყველებს გადასახდელი ომის გამორჩეულ ფუნქციაზე. არასოდეს არ დასჭირვებია დავით მეფეს, რომ ამ ხერხით დაერაზმა ლაშქარი, მიჰყავდა შეტევაზე და უტევდა გულსრულად, ახლა კი რადიკალურ საშუალებას მიმართავს. უკუქცევაზე ფიქრიც კი გამორიცხა, დასტოვა მხოლოდ ერთი მიზანი — მტრის უეჭველი დამარცხება. ური-

ცხვი მტრის შემოტევისაგან თავის დაცვაზე ფიქრი ზედმეტია, მტრის განუსაზღვრელი რაოდენობა სრულებითაც არ ამართლებს უკან დახევას, არ ამართლებს ახლა, ამ ბრძოლაში, თორემ უკან დახევა ზოგჯერ ყველაზე გონივრული ტაქტიკური სვლაა. არა, ქართველთათვის ამგვარი ტაქტიკური სვლა ამოვარდა წინამდებარე გრანდიოზული მასშტაბის ბრძოლის სისტემიდან. ეს არის ის ბრძოლა, რომელმაც უნდა დაასრულოს საუკუნოვანი მეცადინეობა სრული ძალმოსილების მისაღწევად, უნდა აპოვნინოს თავისი თავი, უნდა გაამჟღავნებინოს საკუთარი შესაძლებლობანი: საუკუნეები დაჭირდა ამგვარი შინაგანი მზადყოფნის მიღწევას. გაუთავებელი ბრძოლები წყვეტდა ზოგჯერ ბოლომდე მიყვანილი მოვლენების ჯაჭვსაც. ახლა ხელისგულივითაა ასპარეზი გადაშლილი. თუ საქართველო დაამარცხებს კარს მომდგარ გაერთიანებულ მაჰმადიანურ ლაშქარს, ეს იმეტყველებს ერთდროულად ყველაფერზე: რომ უქმად არ უვლია ისტორიის გზაზე, რომ სრულფასოვანი ერია, რომ მტრულმა სამყარომ ფიქრიდან უნდა ამოიგდოს მისი განადგურების მიზანი. თუ საქართველო დამარცხდება ამ ისტორიული ჟამის დინებით შემზადებულ დიდ შეხვედრაში, მაშინ იგი დაუდგენელი არსებობით, ქვეყნის დაფანტული ნაფლეთებით იჯახირებს ისტორიის გრძელ გზაზე და არასდროს არ ეღირსება კუთვნილ სიმაღლეზე დგომა. აი, ეს უთხრა ხეობის ჩახერგვამ საქართველოს. უკვე ყველა მოლაშქრემ იცოდა, რას წყვეტდა ხვალ მისი მკლავის ძალა, მისი მეომრული თვისება. ამ ხეობის უკან იდგა ცერზე შემდგარი საქართველო, სუნთქვაშეკრული შეჰყურებდა დიდგორის მთებსა და თრიალეთ-მანგლისის მხარეს. მშობელი ერის ამ შეკრულ სუნთქვას გრძნობდა თავის ზურგთან ლაშქარი და თითოეულმა იცოდა უკვე, რომ ის არ იყო მხოლოდ ერთი მოლაშქრე! შეკრული ხეობის მკაცრი და იდუმალი მზერა შეაგრძნობინებდა, რომ ათი კაცის ძალა იდგა მის სისხლში. გამორიცხული იყო რაოდენობაზე ფიქრი. 56 თუ 61 ათასი (მკვლევართა ცნობები ამ ციფრებს შორის მერყეობს!) კაციდან, ნიჩბისის ხეობით ვერცერთი ვერ დაბრუნდებოდა უკან, წინ კი სიკვდილი ან ტყვეობა იყო. რაკი მოლაშქრეთაგან ვერავინ დაბრუნდებოდა უკან, უკვე შეუძლებელი ხდებოდა გა-

ნსაზღვრა იმისა, სინამდვილეში რამდენი იყო საქართველოს ლაშქარი, რამდენს უდრიდა ის 56 თუ 61 ათასი კაცი, რა ალმასდებოდა ფიქრში, რა ათკეცდებოდა კუნთებში, რა ძალით იწყებდა ბრუნვას სისხლი.

„ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ, და ერთს რასმეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ჩვენ ყველამ, ხელების ცისაკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკარით და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ“.

ძნელია მტკიცება იმისა, სიტყვა-სიტყვით გადმოგვცემს თუ არა მეფის სიტყვებს ანტიოქიის კანცლერი, მაგრამ ჩვენთვის ამ სიტყვის დედააზრია მთავარი. სიტყვაში სწორედ კონსოლიდირებული ამიერკავკასიის ხალხთა ინტერესებია გათვალისწინებული. ამიტომ არ არის ხაზი საგანგებოდ გასმული ქრისტიანულ საქართველოზე. დავითი ქრისტიან ქართველებს, ქრისტიან ყივჩაღებს, ქრისტიან სომხებს და ჯვაროსნებს მიმართავდა. მათ ინტერესებს აერთიანებდა სიტყვა. ხოლო ის ხორგებით შეკრული ხეობა საქართველოს ლაშქრის გაფრთხილებად იკითხება, მასშია მთავარი აზრი ჩადებული, — საქართველოსათვის აქ წყდება ყველაფერი! ზედმეტი სიტყვა არა, პათეტიკური შეძახილი — არა, იაფფასიანი ემოცია — არა! გააზრებულია საფრთხე, გააზრებულია სიტუაცია, მშვიდია ტონი. გარდუვალის დანახვის ლოგიკა იკითხება დავით აღმაშენებლის სიტყვიდან. რაც მთავარია, იკითხება გამარჯვების შეულახავი რწმენა: „არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ, თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ“. მისი „უძრავი გულიდან“ სიმშვიდე ეფინებოდა მეომართა სულს. თავისი მისია დიდგორის მისადგომებთან ყველა დეტალით ჰქონდა

ნაგრძნობი და ეს რწმენა თავისთავად დაიტენა შინაგანი მრისხანებით. სამართლიანი, მამულის დამცველი მეომრის გენები ამ მისიამ ბრძოლის ვნებათაღელვაში გახვია. იგი უკვე აღარ იყურებოდა შიშისაკენ, პანიკა და შიში ამოკვეთილი იყო. ჩახერგილი ხეობა და სიკვდილ-სიცოცხლის ულტიმატუმი, რაც საქართველოს სიკვდილ-სიცოცხლის ულტიმატუმად ჰქონდა შეცნობილი დავითის მოქმედების წყალობით, ქართველთა ლაშქარს ჩასაფრებულ გრიგალად აქცევდა. მტრის მიმართ რისხვას უკვე ვერ იჭერდა გული და გონება. ეს რისხვა უნდა ავარდნილიყო, ეს გრიგალი უნდა დატაკებოდა ურიცხვ ლაშქარს, რომლის რაოდენობა სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემამ ასე გააფერმკრთალა ქართველ მოლაშქრეთა თვალში.

რაკი დავით მეფემ, ვინც ყოველ ბრძოლაში იმგვარის ხელოვნებით წარმართავდა ოპერაციებს, რომ რაც შეიძლება მცირე რაოდენობით დაჰკარგვოდა მოლაშქრე, ასე გადაწყვიტა, რაკი იგი საჭიროდ თვლის, ერთიც კი ვერ დაბრუნდეს ცოცხალი ამ ხეობით, ნათელია ყველაფერი: ეს ომია ყველა ომზე დიდი და მნიშვნელოვანი, იგი წყვეტს რაღაც უდიდეს პრობლემას საქართველოს ისტორიაში. ეს დაინახა საქართველოს ლაშქარმა და დაინახა ისიც, რომ დავით მეფეს ერთი ბილიკიც არ ჰქონდა დატოვებული შეშინებული მოლაშქრის უკუსაქცევად. იცოდა რა მეფის ხასიათის სიმტკიცე, ლაშქარმა საერთოდ დაივიწყა ხეობის არსებობა. აშენდა გაუვალი კედელი, რაც უკან მობრუნების რაიმე შანსს გამორიცხავდა. ასე იცოდა ლაშქარმა, ასე იცოდნენ სარდლებმა, ასე იცოდა მეფის ყველა მესაიდუმლემ და „ღვთით გაბრძნობილი“ აღმაშენებლის პიროვნებაზე ხანგრძლივი დაკვირვება მიგვაკვლევინებს მხოლოდ იმ აზრს, რომ ერთადერთს მას, მაინც ჰქონდა, ალბათ, მონიშნული ადგილი, სადაც უნდა გარღვეულიყო ხორგებით შეკრული ხეობა, თუ ბედი უკუღმა დატრიალდებოდა, რათა უვნებლად გაეყვანა თავისი ლაშქარი ხეობიდან და ბრძოლის სხვა გაგრძელება აერჩია! ადამიანი, ვინაც ყოველთვის „დაიცვა სპანი თავისნი უვნებლად“, მოინიშნავდა ამ გზასაც. ამის მტკიცება დაბეჯითებით, ცხადია, შეუძლებელია, მაგრამ სავარაუდებელი კი არის.

■ ■ ■

„რამეთუ არა სცა ძილი თუალთა, არცა ჰრული წამთა, არცა განსუენება ხორცთა თვისთა; არა მიდრკა გემოვნებათა მიმართ, არცა ნებასა ხორცითასა; არა სასმელ-საჭმელთა, არცა სიმღერა-სიღოდათა და არათურთითა არარა ხორციელთა შეაკრა გონება...“

წლების განმავლობაში დაიპყრო მისი არსებობა ამგვარი ცხოვრების ნორმამ, ასე მომართა და ახლა, ყველაზე დიდ შეტაკებაში, ორ სამყაროს შორის, მისი როლი ყოველმხრივ განუსაზღვრელი ჩანდა: ახლა ძილი და რული, ახლა მოსვენება და თუნდაც წამიერი შეგრძნება მეფური ყოფისა საერთოდ ამოვარდნილია ფიქრიდან.

გაერთიანებულ ლაშქარს ილღაზი მეთაურობს, „კაცი დაჰმანი და მრავალღონე“. ილღაზი სახელგანთქმული მთავარსარდალია. სწორედ ჯვაროსნებთან ბრძოლებში ისახელა არაერთგზის თავი. ილღაზი არზრუმისა და ყარსის გამოვლით მოდის თრიალეთის მხრიდან, სულთან თოღრული — განძის მხრიდან. თუღან-არსლან კუზიანი — დვინის მხრიდან. ეს ალ-ფარიკის ცნობით, მათე ურჰაელი სხვა მარშრუტს ასახელებს. დავით მეფემ საკუთარი, უშეცდომო, პროფესიონალი მაცნე-მსტოვრების წყალობით იცოდა, ვინ სად, რამდენი დღის სავალზე იყო, როდის მოიყრიდნენ თავს. მან იცოდა, რომ მტერი ჩვეულებრივ თრიალეთ-მანგლის-დიდგორის გზით უნდა შემოსულიყო.

საგანგებოდ შერჩეული ჩანს დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორი. ნიჩბისის ხეობით შესული ქართველთა ლაშქარი ორ მთას შუა დაბანაკდაო — წერენ ქართველი და უცხოელი ისტორიკოსები. ორივე მთა ხშირი ტყით ყოფილა დაფარული. მტერმა აქ უსათუოდ უნდა მიიღოს გენერალური ბრძოლა, შემოვლით წასვლა სრული უაზრობაა — მაშინ სწორუპოვარი აღმაშენებელი ზურგში მოექცევა და ეს კატასტროფას უდრის. არავინ იცის, სად ჰყავს ჩასაფრებული 25 ათასი ყივჩაღი დავით მეფეს.

დავით აღმაშენებელმა გადასახდელი ბრძოლის დიდი სტრატეგიული ბადე მოქსოვა. მას, ეტყობა, წინასწარ ჰქონდა დაზუსტებული ჯარების მიმართულება, მათი თავშეყრის ადგი-

ლი, თავშეყრის ადგილზევე წამოიჭრებოდა პრობლემა სამხედრო ოპერაციის შემდგომი გაგრძელებისა. არნახული ინტენსივობით მოძრაობს მისი ფიქრი. უმალ მის ყურამდე მიდის ცნობა ყველა მოსალოდნელი ცვლილების შესახებ. ილღაზის მთავარსარდლობით მომავალი ლაშქარი კოალიციური ლაშქრის საერთო მოძრაობაზე მთლად ზუსტ წარმოდგენას ვერ შექმნის, მაინც მასთან შეიძლება მთავარი გზის მონიშვნა... და ყველაზე მეტად იხარჯებოდა ალბათ ერთი სიტყვა—მიხმეთ!.. მიხმეთ!.. მიხმეთ!.. შემოდიან ხმობილნი, ისმენენ ბრძანებას, გამორიცხულია ზედმეტი სიტყვა, ცნობა მოკლე, ამომწურავი, ცნობის განჩხრეკა უმოკლეს დროში, გადაწყვეტილების მიღებაც უმოკლეს დროში, უმოკლეს დროშივე ასგზის გაზომილი და ერთხელ გადაჭრილი საკითხი... სავარაუდო ბრძოლის ველების შესწავლა, ყოველი მათგანის თავისებურებათა გათვალისწინება, მათი შემოგარენი, ლანდშაფტის სარგებლიანობა საბრძოლო თვალსაზრისით, საბოლოო ვარიანტის გამოკვეთა, მისი დეტალური დაზუსტება, სივრცე, რელიეფი, ყოველი გზა, ბილიკი, მანძილი გორაკებს შორის, ტყის საფარი, მტრის რაოდენობა... ყოველი სარდლის ფუნქციის განსაზღვრა, დიდი და მცირე ოპერაციების თანამიმდევრობის დაზუსტება, შესრულება, შემოწმება... მიხმეთ!.. მიხმეთ!.. მიხმეთ!.. პირველი ისმენს მეფის ბრძანებას, მეორე შემოდის ბრძანების მოსასმენად, მესამეს უხმობენ, პირველი მიდის ბრძანების აღსასრულებად... არ იკარგება არც ერთი წამი. სამხედრო ორგანიზაცია იღვწის იმავე ინტენსივობით, რასაც კარნახობს მეფე დავითის ფიქრის მოძრაობა. ჩუმი და სწრაფი მიმოსვლა, გაცუდებული ცნობების წაშლა, დაზუსტებული ცნობის კვალდაკვალ გადაადგილება...

„ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და ყოლად უძრავმან გულითა, თუ ვითარ წინა განაწყო სპა მისი, და თუ ვითარ ყოველი საქმე შეუნიერად და ღონიერად ყო, რაბამ რამე წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო“.

ამ „უშიშსა“, „უძრაესა“, ამ „შეუნიერსა“, „ღონიერსა“, ამ „წყნარსა“, „უშფოთველსა“, ამ „გამოცდილებასა“ და „სიბრძნეშია“ დალექილი ის დიდი, გამალებული მოძრაობა

ფიქრისა, ის უჩვეულო რიტმი, სისხლის გუგუნი და გონების შემართება. აქ დაიტანა საუკუნეებმა იგი, დიდი ოპერაციების ჭსელი, რაც დავითის ხელით იქსოვებოდა და რისთვისაც „არა სცა ძილი თუალთა, არცა ჰრული წამთა“... რისთვისაც იღებდა ურიცხვ ინფორმაციას და გასცემდა ბრძანებებს, რასაც იერთებდა თავისი გონების გადასახედთან, იკრებდა, როგორც საქართველოს კუთვნილ მერიდიანებს, ხელში ბღუჯავდა, როგორც მაგისტრალების სადავეებს... მიხმეთ!.. მიხმეთ!.. მიხმეთ!..

„დიდგორის ბრძოლა რომ სახელდობრ დიდგორში მოხდა, ამის უპირველეს მიზეზად დავით მეფის გადაწყვეტილება უნდა ჩაითვალოს“ (ივანე შაიშმელაშვილი — წიგნში „დიდგორის ბრძოლა“ — 1973 წ.).

სწორედ დიდგორთან ეწოდა ბრძოლას ასეთი დასკვნა ამოტივტივდება უნებურად, შეუვალი, უყოყმანო, თუმცა მაინც ცარაუდების საზღვრებში უნდა მიუსაჯო ამ ფიქრს ყოფნა. არადა გუმანით იკითხება, რომ მან უზარმაზარი ბადე მოქსოვა — პოლიტიკის, სტრატეგიის, ტაქტიკის ხელოვნებით უკარნახა თავისი ლაშქრისთვის სასურველი მიმართულება მტრის უზარმაზარ არმიას, რადგან გამოიცნო მისი გეზი. არავინ უწყის, იქნებ თავისი ლაშქრის განლაგებით მიიყვანა ილღაზი ამ დასკვნამდე, რომ მაინცდამაინც მანგლის-თრიალეთ-დიდგორის გზით უნდა დაუფლებოდა საქართველოს. არავინ უწყის რა ცნობებს აძლევდა გზას დავითის დაზვერვა ილღაზის ყურამდე. ფაქტია, რომ „თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა“ მტრის მოლაშქრენი. და უნებლიეთ გეუფლებათ განცდა მისი ყოვლისშემძლეობისა: მას სურდა ურიცხვ მტერს იქ მიეღო ბრძოლა, სადაც არა თუ გაშლა, ფეხზე დგომაც უჭირდა სიმრავლის გამო — სულშეხუთული თავისი ურიცხვობით, თავისი გაუშლელი ფრთებით მტანჯველ უმწეობად განიცდიდა ამ სიმრავლეს.

მეფემ რომ ყოველი საქმე „შუენიერად ყო“, მეფემ რომ ყოველი საქმე „გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო“ — მემატიანის ამ სიტყვებში სწორედ საერთო მდგომარეობა იგულისხმება — ილანდება რუკა დიდგორის დიდი ბრძოლისა, პირველ ყოვლისა, ადგილის შერჩევა, მტრის მთელი

ძალების თავმოყრა იგულისხმება, მათი შეგუბება და შემდოვრება. დავაკვირდეთ, რომ, მიუხედავად „დაუტევრობისა“, მტერს არ აქვს საშუალება შეცვალოს გეზი, შემოუაროს ქართველთა ლაშქარს. გამორიცხულია ამაზე ფიქრი, რადგან იცის აღმაშენებელმა, რომ მტერი მას ზურგში არ დატოვებს. იქმნება ილუზია, თითქოს დავითმა შეიმწყვდია თავისი თავი ამ ხეობაში. ფაქტიურად მტერი აღმოჩნდა შემომწყვდეული. იგი ან სირცხვილნაჭამი უნდა გაბრუნდეს უკან ან აქ, ამ გაუშლელ ადგილებში მიიღოს ბრძოლა.

დავითის ფიქრის მოძრაობა მოიცავდა ყველაფერს, რაც კი საქართველოსთან დაკავშირებული იყო რაიმე ნიშნით, დაკავშირებული იყო თუნდაც უწვრილესი ძაფით. მთავარი სიფიქრალი იდგა ზურგს უკან — მისი საქართველო — ერთიანად დაძაბული და მახვილს ჩაფრენილი. მაცნენი არ მიქროდნენ მხოლოდ მტრის ბანაკისაკენ, მათი ქორული მზერა არ დასტრიალებდა მხოლოდ სამხედრო ოპერაციების ქსელს, არ დარაჯობდა მხოლოდ მტრის მსტოვრებს, მხოლოდ მტრის განაზრახის ამოსაცნობად არ ეთათბირებოდა მეფე უერთგულეს ადამიანებს, უჭკვიანეს სარდლებს. ერთი უფხიზლესი მზერა მეფისა სწორედ საქართველოს პრაქტიკულ მზადყოფნას დასტრიალებდა ახლა, ამ ჟამს. ეს არ გახლდათ ის რიგითი ბრძოლა, სადაც მეფე, სარდლობა და ლაშქარი ერის სულის შეუშფოთებლად მიაგებდა პასუხს მტერს. სხვა ბრძოლა იყო ეს ბრძოლა, საუკუნეებში დაგროვილი პრეტენზიები წყდებოდა ამ შეხვედრაში. არა, არ ეცალა პანიკისათვის ქართველ ხალხს, მაგრამ არც სიმშვიდისა და უზრუნველობის დრო იდგა. როგორც არ უნდა დამთავრებულიყო დიდგორის გრანდიოზული ბრძოლა, მთელი ქვეყანა ცერზე შემართული უნდა ყოფილიყო, ქვეყნის ენერგია უნდა დაძრულიყო ყველა სადინარიდან. მთებზე, ველებზე, სოფლებსა და ქალაქებში ხმლის ვადას ჩაფრენილი ერი უნდა მდგარიყო იმ დიდი მისიის გამო, რაც ამ ერს მისმა წარსულმა, მისმა ისტორიამ დიდგორის ბრძოლით დააკისრა. დიდგორთან დამარცხების შემთხვევაში მთელი ერი უნდა გამოსულიყო გაერთიანებული ლაშქრის წინააღმდეგ. დათმობა ერის სიკვდილს უდრიდა. შიშით გაქცევაც ამას უდრიდა. ამიტომ იხმობდა მეფე ზოგჯერ

ერთდროულად რამდენიმე მაცნეს, ამიტომ მიმოჭროდნენ ისინი ზურგს უკან მდგარი საქართველოსაკენ. ყოველი კუთხის, ყოველი მხარის, ყოველი ქალაქის მოთავეებისაკენ მიეშურებოდნენ, მიჰქონდათ მეფის ბრძანებები, ამოწმებდნენ მზადყოფნას... რათა გამთლიანებულიყო ბრძოლის ველი და ერის სხეული, რათა გმირული სულით გაეწია ბრძოლის არენისაკენ ერის მთელ ორგანიზმს, როგორც საკუთარი სვეს პატრონსა და დამცველს... მიხმეთ!.. მიხმეთ!.. მიხმეთ!.. ესმოდა ხალხს დავითის ხმა — ასე ერთვოდა იგი ერის სხეულს, ასე იყრიდა მასთან თავს ყველა ფიქრი და ოცნება, წინ კი ზანზარებდა სიძულვილით დატენილი სივრცე, რომელსაც ქვეყნისა და ერის გოლიათური ფიგურიდან ელვასავით გაშიშვლებული დავით აღმაშენებლის მზერა აპობდა.

1121 წლის 12 აგვისტოს მოხდა დიდგორის გრანდიოზული მასშტაბის ბრძოლა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საოცარი სიღრმითა და სიზუსტით შეგვაგრძნობინებს მოვლენის არსს, მაგრამ იგი არსის ანალიტიკოსი, დაწვრილებითი აღწერის უარმყოფელი, არ გვაწვდის ცნობას, თუ ვინ დაიწყო შეტევა. ანტიოქიის კანცლერი გოტიე კი აღნიშნავს:

„მყისვე, ხეობის მეორე ნაწილში, ანუ ფრონტზე მოლაშქრეთა ძლიერი ყიჟინით, ცხენთა და აბჯართა უკიდურესი ხმაურით, ურჯულოთა ზარდამცემი ბაირაღებით გამოჩნდნენ (ბტრები), და მთა და ბარიც ბანს აძლევდა სხვადასხვა საკრავების ხმაურს. მაგრამ მეფე დავითი ასეთ კადნიერებას უბრალო მოთმინებით შეჰყურებდა, თავისიანებს ამხნევებდა და ანუგეშებდა მამაცი სულით... ცოტა ხნის შემდეგ ეს ურიცხვი სიმრავლე, ამპარტავნობის სულით აღტყინებული, საშინელი ყვირილით თავს დაესხა მათ“.

ეტყობა, გაერთიანებული ლაშქრის მთავარსარდალს ილღაზს ერთადერთი გამოსავალი დარჩენოდა: თავისი ურიცხვი ლაშქრით გადაეკეტა აღმაშენებლის პოზიციები, არ დაეზოგა ცოცხალი ძალა, ოღონდ გაერღვია საქართველოს მბედროების ცენტრი, გასულიყო ხეობით და მოსდებოდა მთელ ქვეყანას. მას, ცხადია, ჰქონდა დავითის სამხედრო ხელოვნების შიში და რიდი, მაგრამ კოალიციური ლაშქრის ყოველის მშთანთქმელი რაოდენობა, რომლისგანაც დაუფლებულ სივრცეს იგი

თვალს ვერ უწვდენდა, ბრძოლებში სახელგანთქმულ მთავარსარდალს დიდ იმედს უსახავდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ამ ზღვა ლაშქრით ჩაყლაპავდა საქართველოს სამხედრო ძალებს. შოთა მესხიას თავის საინტერესო წიგნში მოწვდილი აქვს ილღაზის მოკლე, მაგრამ ბევრის მეტყველი ბიოგრაფია.

„ნეჯმ ად-დინ ილღაზი, სულთნის მიერ ბაღდადის გამგებლად დანიშნული, აუღებლად მიჩნეული ციხის მარდინის მფლობელი, ალეპოს დამპყრობი, ხოლო 1121 წლიდან მაიაფარიკინის გამგებელი. ილღაზი, დავითის ისტორიკოსის დახასიათებით იყო „კაცი დაჰმანი (მარჯვე) და მრავალღონე". „ზვიადსა და ძლიერს" უწოდებს მას მათე ურჰაელი; „უაღრესი ამპარტავნებით თავგასულად" მიაჩნია იგი გოტიესაც. ილღაზმა, როგორც სარდალმა, დიდად გაითქვა სახელი ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებით 1119 წელს. ამიტომაც აირჩია იგი სულთანმა მაჰმუდმა გაერთიანებული ლაშქრის სპასალარად".

ეს კაცი იდგა გაერთიანებული ლაშქრის სათავეში. ჯვაროსანთა ძლიერი არმიების დამმარცხებელი, იმედი მაჰმადიანური სამყაროსი! საგანგებოა სულთნის არჩევანი — დავით აღმაშენებელს მხოლოდ ამ თვისების კაცი შეიძლება დაუპირისპირო.

ილღაზის მიერ განვითარებულ პირველ შეტევაში ჩანს ეს განსაკუთრებული თვისებები ორგანიზატორისა. მას ყველაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ გაერთიანებული ლაშქრის თავზარდამცემი სიმრავლე შეტევის რიტმსა და ძალაში გამოხატულიყო. ძლიერი ყიჟინა, ჯავშან-აბჯრის ხმაური, ურიცხვი საკრავის გუგუნი და მას შერთული მთისა და ხეობის ბანი, დიახაც სრული გამომხატველია ილღაზის დიდზე დიდი ლაშქრის საბრძოლო პოტენციალის. ამ საბრძოლო ხმაურში სტიქიურობის ნასახიც არ ჩანს — საგანგებოდ არის ახმაურებული მეომარიც, აბჯარიც და უთვალავი საკრავიც, რათა სწორედ თავზარდამცემი იყოს შეტევა, — სრული გამომხატველი მაჰმადიანური აღმოსავლეთის სამხედრო ძალმოსილებისა. სამშინელი ყვირილიც არ არის შემთხვევითი. ამპარტავანის სულის აღტყინება რომ წაიკითხა მათ შეტევაში ვოტიემ, ეს ბევრს

ამბობს იმაზე, თუ რამდენად იყო დაჯერებული ილღაზი თავისი ლაშქრის გამარჯვებაში.

ეს არის გოტიეს ცნობა. ამ ცნობით მტრის მოქმედების აზრი დასტურდება. ილღაზის თვითდაჯერებულობის აშკარა ნიშნები ჩანს. და ყველაფერი ეს ურყევი და შეუვალია იმ შემთხვევაშიც, თუ არ გავიზიარებთ გოტიეს ცნობას, შეტევის პირველ დამწყებად ილღაზს რომ ასახელებს (მათე ურჰაელის, ალ-ფარიკის, იბნ-ალ-ასარის ცნობით ქართველები გადავიდნენ შეტევაზე პირველად), მაგრამ გოტიეს ცნობიდან ერთი ადგილი სავსებით ემთხვევა დავითის ისტორიკოსის ცნობას: „მეფე დავითი ასეთ კადნიერებას უბრალო მოთმინებით შეჰყურებდა, თავისიანებს ამხნევებდა და ანუგეშებდა მამაცი სულით...“ დავითის ისტორიკოსი: „ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა“. გადატანილი ბრძოლების ავტორს, ბუნებით უჩვეულოდ დინჯსა და დარბაისელს, ცხადია, არ უკვირდა არც საშინელი ყიჟინა, არც საკრავების გრიალი, არც მთა-ბეობის ბანი, მას ყველაფრისთვის მზადმყოფი გული და გონება დაანათლა განგებამ. იცოდა, რა ძალით შეეძლო ბრძოლაში შესვლა მის სახელოვან ქართულ ლაშქარს.

იბნ-ალ-ასირის ცნობით, დავითმა განახორციელა უჩვეულო ტაქტიკური სვლა. მან საქართველოს მხედრობიდან ორასი კაცი გამოყო და მტრის ბანაკისაკენ გაგზავნა. ნახევარმილიონიანი არმიის პატრონი ფიქრშიც ვერ დაუშვებს, რომ ეს ორასი კაცი სამტროდ მოსვლას გაბედავს. ან მოსალაპარაკებლად მოდიან, ან მეფეს უღალატეს და ილღაზის მხარეზე გადმოდიან! ორსავე შემთხვევაში გამორიცხულია იარაღით დახვედრა, ე. ი. გამორიცხულია მათგან შებრძოლების მოლოდინი. ნახევარმილიონიანი არმიის პატრონი უფრო იმას თუ იფიქრებს, რომ დავით მეფემ უაზრობად ჩათვალა ამოდენა ზღვასთან შებრძოლება და გადაწყვიტა მშვიდობიან დაზავებაზე გამართოს მოლაპარაკება. გოტიეს ცნობით ფრანგი ჯვაროსნები ყოფილან ის ორასი კაცი, იბნ-ალ-ასირის ცნობით — ყივჩაღები, შოთა მესხიას აზრით, უცხო ხალხს ასეთ ოპერაციას აღმაშენებელი ვერ ანდობდა, ისინი ქართველები იქნებოდნენ!

განსაკუთრებული აზრი არ ძევს, ეფიქრობ იმაში, თუ რა ეროვნებისა იყო ის ორასი კაცი.

წარმოუდგენელია, დიდგორის ბრძოლა ორას კაცს მოეგო, აქ მტრის ურიცხვი არმია იდგა! ბრძოლის სიმძიმე აქ იმ გენიალურ ტაქტიკურ სვლაზე გადადის, რომლის შემოქმედი — ღავით აღმაშენებელი არეგულირებდა ამ დეტალთან ერთად დიდგორის ბრძოლის ყველა დეტალს! ამ ტაქტიკურმა სვლამ რა თქმა უნდა, მიმართულება უკარნახა ბრძოლის საერთო მსვლელობას. ტაქტიკურ სვლას ორასი ქართველი განახორციელებდა, ორასი ყივჩაღი თუ ორასი ფრანგი, ეს არ არის გადამწყვეტი! მთავარია, რომ ეს სვლა უნდა განხორციელებულიყო, ვინც არ უნდა გაეგზავნა დავითს ამ მისიით, ყველა სანდო და შემოწმებული იქნებოდა ათასგზის! გენიალური ტაქტიკური სვლა კი შეიცავდა ერთ საიდუმლო და საშინელ აზრს მტრისათვის, მას დაბნეულობა უნდა გამოეწვია უეცარი თავდასხმით მთავარსარდლობაში! ეს ტაქტიკური სვლა ტყუპისცალივით ჰგავს თავისი არსით დავითის ერთ სამხედრო ხერხს — „უგრძნეულად" თავდასხმის ხერხს, რისი წყალობითაც გონს ვერ მოდიოდა მტერი საქართველოს ყოველ კუთხეში. ამოდენა ლაშქარზე საქართველოს მხედრობით „უგრძნეულად" თავდასხმა შეუძლებელი შეიქნა. როგორც აშკარად ჩანს, აღმაშენებელმა მოულოდნელობის თავზარდამცემი მუხტი ამ ტაქტიკურ სვლაში მოაქცია. კვლავაც იდეალური მოულოდნელობაა მიღწეული, მოულოდნელობა, რომელიც გაჰორიცხავს მზადყოფნას, მოსაზრებას.

იბნ-ალ-ასირი: „ყივჩაღები შეერივნენ მათ ჯარს და მშვილდისრის სროლა დაუწყეს. მუსლიმანთა ჯარების წინა რაზმები აირივნენ. უკან მდგომ რაზმებს ეგონათ დავმარცხდითო და გაიქცნენ. თავდავიწყებით გარბოდნენ მუსლიმანნი და ისე ეჩქარებოდათ განსაცდელიდან თავის დაღწევა, რომ ერთმანეთზე გადადიოდნენ და ბევრიც დაიხოცა".

დავაკვირდეთ ყოველ ფრაზას. მოულოდნელობის სრული ეფექტია მიღწეული. თანაც იმ დროს ხორციელდება ეს სვლა, როდესაც საქართველოს ლაშქარს მთელი მტრული გარემოცვა უდგას წინ, როდესაც გამორიცხულია ფიქრი იმაზე, რომ ორასი კაცი მსგავს რაიმეს გაბედავს. და რაკი გაბედა, რაღაც

იმაზე დიდი ხდება, ვიდრე ამ ორასი კაცის მისვლაა. ამოდენა ლაშქარს არ შეეძლო იმის დაჯერება, რომ საქართველოს მთელი ძლიერება არ დაატყდა თავს. „წინა რაზმები აირივნენ“, წინა რაზმების არევა კი ყველაფერს ნიშნავდა უკან მდგომთათვის.

და უმალ, პირველი ისრის გასროლისთანავე მთიდან დაიძრა დემეტრე უფლისწულის ლაშქარი, დავით აღმაშენებლის ხელმძღვანელობით საქართველოს მხედრობის ცენტრი მეორე მხრიდან დაეტაკა მტერს. ძახილი, ყიჟინა, ბეგთრის ხმაური, საკრავების გრიალი ასეთი უნდოდა! გენიალურმა ტაქტიკურმა სვლამ შეასრულა უპირველესი ფუნქცია — არივ-დარია ბრძოლის წინა ხაზი, პანიკა შეიტანა ვეებერთელა ლაშქარში და ვეებერთელა ლაშქრის გონს მოსვლამდე ამ ტაქტიკურ სვლას საქართველოს უძლეველი არმიის საშინელი დარტყმა მოჰყვა. იგი უბრალოდ გადაება მტრის ცნობიერებაში ორასი კაცით განხორციელებულ ტაქტიკურ სვლას! „იქმნა სასტიკი ბრძოლა ორ მთას შორის, ისე რომ ლაშქართა საშინელი ხმაურისაგან ეს მთებიც იძახოდნენო“ (მათე ურჰაელი).

არ დამთავრებულა „სასტიკი ბრძოლა“ ერთი ტაქტიკური შეტევის განხორციელებისთანავე, „სამ ჟამამდე“ გაგრძელდა იგი: „ხოლო მეფისა დავითისი ესეოდენთა მიმართ წინაგანწყობა სამ ჟამამდე იყო“. მართალია პირველ დარტყმასვე აურევია მტერი, მაგრამ სამი საათის განმავლობაში ამოდენა ბრძოლის ველი ურიცხვ მოლაშქრეთა ხელჩართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ცეცხლში იყო გახვეული. ეს ავარდნილი „ბრძოლის ალი“ გამოცემდა საშინელ ხმას, რასაც მთებიც იმეორებდნენ. სამი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა ხოცვა-ჟლეტა, ორი სამყაროს უმთავრესი ძალები ელეწებოდა ერთმანეთს. მიიყვანა გულსრულად დავითმა თავისი ხალხი, თავისი დაუმარცხებელი მოლაშქრეები, ვისაც აგერ, რამდენი ხანია, გააზრებული ჰქონდა ამ შეტაკების დანიშნულება, უკან მიბრუნებულ მზერას გზა რომ ჰქონდა მოჭრილი, ერთი ათად გადაქცეული, საუკუნოვანი რისხვით დამუხტული, სამართლიანობის გრძნობით აღსავსე, გამარჯვების რწმენით აღზრდილი სულისკვეთება მეხთატეხას დაემგვანა მათ სახესა და გაშიშვლებულ მახვილებზე. მეორე მხრიდან უტევდა დემე-

ტრე უფლისწული, ქალაქორის დამამხობელი, შირვანის სამხედრო ოპერაციების მომგები, უნიჭიერესი სარდალი და დავითისაგან მკაცრად გაწვრთნილი ტახტის მემკვიდრე.

„რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა, რამეთუ ხელი მაღლისა შეეწეოდა, და ძალი ზეგარდამო ფარვიდა მას, და წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თვისითა მოსრვიდა ზედამოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თვით იგი ურჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგვითხრობდეს სასწაულსა ამას მთავარ-მოწამისა გიორგისსა, და ვითარითა ღონითა მოსრნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი, და ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯვით და განკრძალულად სდევნნა და მოსრნა, რომლითა აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა“.

ცხადია, ხანგრძლივი ბრძოლები „შეშვენოდა“ ამოდენა ლაშქრის მისვლას. ერთ ბრძოლაში თუნდაც გადამწყვეტ შეტაკებაში, ყველაფრის დამთავრება წარმოუდგენელი ჩანდა. ამიტომ არის აბსოლუტურად შეუფარავი ლოგიკით განმტკიცებული აზრი, რომ დავითმა საგანგებოდ მოქსოვა სამხედრო ოპერაციების ბადე, საგანგებოდ „მოუყარა“ თავი კოალიციურ არმიებს დიდგორთან და საგანგებოდ, სწორედ მორებით ჩახერგილ ხეობის იქით, დიდგორთან, აიძულა მტერი მთელი ძალებით ჩაბმულიყო ბრძოლაში. ის სამი საათი კი, სანამ პირველი ტაქტიკური სვლით შეტანილი დაბნეულობა გაივლიდა, დაჭირდა გაერთიანებული ლაშქრის ხერხემლის დამსხვრევას. დარტყმის მიმართულება ხერხემალს უმიზნებდა. გაიზარდა პირველი დაბნეულობა, განიერცო... ელვისებური შეტევების ტალღები ძლიერდებოდა. სიკვდილისაგან გზამოჭრილი ქართველი მოლაშქრეები არნახულ ენერგიას ავლენდნენ, ჩვეული ხელოვნებით იბრძოდნენ ყივჩაღები, ოსები, ფრანგები, სომხები. დავით აღმაშენებლის სახელი, ისტორიკოსის სიტყვით, განგების ძალმოსილებით მიუძღოდათ წინ. ყველა შეტევა, გმირული ზარი და რისხვა მტრის მიერ საბოლოო და სრულ განადგურებად აღიქმებოდა და ერთბაშად იბრუნა პირი ამოღენა ზღვამ. „თავდავიწყებით გარბოდნენ მუსლიმანნი და ისე ეჩქარებოდათ განსაცდელიდან თავის დაღწევა, რომ ერთმანეთზე გადადიოდნენ და ბევრიც დაიხოცა“ (იბნ-ალ-ასირი).

დავითის ისტორიკოსის სიტყვებში აშკარად ჩანს, როგორ განივთებულა წმინდა გიორგის ძალა აღმაშენებლის პიროვნებაში. განგების რისხვად აღიქმებოდა უსჯულოთა თვალში ეს საოცარი შეტევა და აღმაშენებლის უნიკალური საბრძოლო თვისებები. ფაქტია, რომ უმაღლესი სამართლიანობის გრძნობა ენთო დავითის გულშიც და მისი მახვილის პირზეც.

მტრის ყველა მოლაშქრის ფიქრში ერთბაშად აღსდგა დავით აღმაშენებლის მთელი წინანდელი ძალმოსილება, ის უწყვეტი მწკრივი ბრძოლებისა, რომელსაც ასე ზედიზედ იგებდა იგი, რისი ალიც ფიქრს უტრუსავდა მაჰმადიანთა ქვეყნებს. მათ ამ კაცზე აღმართეს ხელი, თავიანთი სიმრავლით გულდაჯერებულნი მოვიდნენ, ამპარტავნულად შეხედეს და აი, სამ საათში დაემსხვრათ ყველა ოცნება. განსაცდელისაგან თავის დაღწევის მოწადინე უკუქცეული მტერი ერთმანეთზე გადადიოდა, ერთმანეთს ჟლეტდა და ათასი მიმართულებით გარბოდა დაფეთებული, ოღონდ გაეღწია საქართველოდან.

მაგრამ დავით აღმაშენებელმა იცის, რაოდენ მრავალრიცხოვანია ეს კოალიცია, იცის, არ უნდა მისცეს სულის მოთქმის საშუალება. მტერი ქაოტურად გარბის, მაგრამ დაუშვებელია „ჰკა მაგას“ რიტმს აყოლილი საქართველოს ლაშქარი ასევე ქაოტურად სდევნიდეს. ქაოტურობა გამორიცხა დავით მეფემ, — „სიმარჯვით და განკრძალულად სდევნა და მოსრნა“.

პირველ შეტაკებაშივე: „იქმნა სასტიკი და საშინელი ამოწყვეტა თურქთა ჯარებისა და აღივსნენ გვამებით მდინარენი და მთათა ხევები და ყოველნი მთათა ქარაფნი დაიფარნენ“ (მათე ურჰაელი). დავითის ისტორიკოსიც ამასვე ამბობს, მაგრამ ახლა გრძელდება მტრის დევნა საოცარი ორგანიზებულობით. მათე ურჰაელის ცნობით რვა დღეს გაგრძელდა დევნა, ანისის გარეუბნამდე მიჰყვნენ თურმე ქართველები მტერს. გოტიეც აღნიშნავს, სამ დღეს დევნიდნენო, იბნ-ალ-ასირის სიტყვით, 60-70 კილომეტრზე სდიეს მტერს ქართველებმა. მთავარი კვლავ და კვლავ ამ დევნის სტრატეგიული ჩანაფიქრია: კოალიციური არმია ბოლომდე უნდა განადგურდეს, მას შეკრების, ძალთა შემოწმებისა და კვლავ ლაშქრობის შესაძლებლობა უნდა წაერთვას. დავითმა ბოლომდე მიიყვანა ეს საქმე. კოალიციური ლაშქარი არ შეკრებილა მარტოოდენ

დიდგორთან და არც განადგურდებოდა მთლიანად მარტოდენ დიდგორთან. ის იკრიბებოდა მაჰმადიანურ სახელმწიფოებში და მათი სრული განადგურების საქმე საზღვრებს იქითაც უნდა გაგრძელებულიყო. გენერალური ბრძოლის რთული სტრუქტურა სტრატეგიულად გამიზნული ოპერაციების ქსელში მოექცა. კოალიციურ ლაშქარს ბოლომდე განადგურება ელის, თუკი იგი კვლავ შეეცდება ამ მასშტაბური შეხვედრის მოწყობას. ასეთი „ცოდნით“ დაბრუნდა უზარმაზარი არმიის ნაშთი უკან.

გოტიე: „თვით ილღაზი, თავში დაჭრილი, თითქმის ყველა თავისიანის სიკვდილის თვითმხილველი... გადარჩა, მცირე პირთა თანხლებით და უსაშურველო და სანახევროდ მკვდარი დაბრუნდა სახლში, არაბთა მეფის (დუბეისის) დახმარებით“.

მათე ურჰაელი:

„ძლივს მოახერხეს რა გაქცევა, სპარსთა სულთანი მელიქი (თოღრული) და ხაზი (ილღაზი) დაბრუნდნენ დიდად შერცხვენილნი თავიანთ ქვეყანაში“.

გოტიესა და მათე ურჰაელის მიხედვით, კოალიციამ ოთხასი ათასი კაცი დაკარგა, რომ ყოველი ათასი კაციდან ასი თუ გადაურჩა სიკვდილს (გოტიე). მათე ურჰაელისა და გოტიეს ცნობები ამ შემთხვევაშიც ეჭვის ქვეშ არის დაყენებული, მაგრამ რეალური და შეუვალია მომხდარი ამბავი — მტრის უდიდესი ნაწილი ფიზიკურად განადგურდა დიდგორის ბრძოლაში და ორგანიზებული დევნისას, რომ „ყოველნი მთანი და ღელენი აღივსნეს მძორებითა“. ქართველობამ ხელთ იგდო უამრავი ტყვე, მათ შორის არაბთა მეფეები და გოლიათები...

შოთა მესხია:

„რა თქმა უნდა, დიდგორის ბრძოლამ დაჭრილებისა თუ დახოცილების საბით ბევრი ქართველი, ყივჩაყი, თუ ოსი მოლაშქრეც შეიწირა, მაგრამ საქართველოს ლაშქრის დანაკლისი, მტრის ლაშქრის დანაკლისთან შედარებით, იმდენად მცირე ყოფილა, რომ არც ერთ ძველ ისტორიკოსს მისი აღნიშვნა საჭიროდაც არ მიუჩნევია. დავითის ისტორიკოსი იმასაც კი წერს, რომ მეფემ „თავისნი სპანი დაიცვნა უვნებლად“, ყოველგვარი მნიშვნელოვანი ზარალის გარეშეო“.

თავისი სპის უვნებლად დაცვა დავით აღმაშენებლის სამ-

ხედრო ხელოვნების ერთი უმთავრესი ახრია. მსოფლიო ის-ტორიამ იცის არაერთი დიდი მხედართმთავრისა და „მეფეთა მეფის“ სახელი, ვისაც არაფრად უღირდა ათასეულების შე-წირვა, ოღონდ გამარჯვებისათვის მიეღწია. ციხეებს, ციხე-ქალაქებს, სახელმწიფოებს შეალეწავდნენ ისინი მოლაშქრეთა უპრიცხვ რაოდენობას და მათ გვამებზე აშენებდნენ თავიანთ დიდებას. იშვიათი მხედართმთავრების მსგავსად, აღმაშენებე-ლი ირჩევს სულ სხვა გზას — იგი, უსაზღვრო ფანტაზიისა და ამოუწურავი სიბრძნის პატრონი, სწორედ სამხედრო ხელოვ-ნების უნიკალური ხერხების მოხმობით აღწევს მტრის სრულ განადგურებასა და ის უნიკალური ხერხები ყოველთვის გუ-ლისხმობენ მეომართა სისხლის დაზოგვას. ცხადია, სულ უდა-ნაკარგოდ ბრძოლის წარმართვა შეუძლებელია და დავითის მოლაშქრენიც იღუპებოდნენ, მაგრამ მინიმუმამდე იყო შემ-ცირებული დაღუპულთა რიცხვი. სტრატეგია, ტაქტიკა, ხერხი, მეთოდი მუდამ მცირე დანაკარგით გამარჯვებას გულისხმობ-და... დიდგორის გრანდიოზულ შეტაკებაში უფრო აშკარად ჩანდა სურათი, თითქოს გამორიცხული იყო გამარჯვება დიდი დანაკარგის გარეშე, მაგრამ აქაც გენიალურად მოფიქრებულ-მა სტრატეგიამ და ტაქტიკამ შესაძლებელი გახადა სულ მცი-რე დანაკარგის ფასად მოგვეპოვებინა ამ მასშტაბის გამარ-ჯვება. აქ აღნიშნავს მემატიანე, სწორედ ამ დაუჯერებლობის გამო აღნიშნავს, „უვნებლად დაიცვა სპანი თვისნი“, თავის-თავად იგულისხმება სხვა ბრძოლებიც. ამგვარი „უდანაკარ-გობის“ მიღწევაში უთუოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა „უგრძნეულად“ თავდასხმის ხერხს, საერთოდ, ყველა ხერხს, რაც სჯობდა ჯიქურ მისვლას და სისხლისღვრას, ნერვების და ძალის დაუზოგაობას. გონიერება ბრძოლაში მისი გზის მანა-თობელი გახლდათ... „უგრძნეულად“ თავდასხმის ურიცხვ ფორმას ფლობდა დავით მეფე. ეს ასე ითქმის ერთი სიტყვით „უგრძნეულადო“, თორემ რა ფორმებით აღწევდა ამ მოულო-დნელობას, ეს არის საგულისხმო. არც კუთხიდან კუთხეში გადასვლა და მტრისათვის თვალის ახვევა უნდა ჩაითვალოს ერთი რიგის ხერხად. ამ გადასვლის მიმართულებები ახელდა თვალს სულ სხვადასხვანაირ ფორმაში, რადგან სულ სხვადა-სხვანაირად მოძრაობდა დავით მეფე, ერთი გადასვლა არ

ჰგავდა მეორეს, ეს მხოლოდ საბოლოოდ, ისტორიკოსის შეფასებაში ჯამდება ასე ერთი სიტყვით „გარდავიდის“ აფხაზეთს, თორემ მტერი აზრზე ვერ მოდიოდა, რას მოიმოქმედებდა მეფე — „უგრძნეულად“ თავდასხმა კი წარმატებით ხორციელდებოდა. ამ დროს, ცხადია, ცოტა ეჭოცებოდა მოლაშქრეთაგან. დაბნეულ და სასოწარკვეთილ მტერს შებრძოლების უნარი ეკარგებოდა. ჩვენ დავინახეთ — თითქმის ყოველთვის ასე იყო ეს. ისიც დავინახეთ, რომ მოულოდნელობის ფენომენი მთელი დატვირთვით ამოქმედდა დიდგორთან ბრძოლაშიც — ორასი კაცის გაგზავნამ თავისი სიტყვა თქვა აქაც.

გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც. ორმოცდაათი ათასი კაციც რომ დაეკარგა დიდგორის ბრძოლაში საქართველოს, იგი არაფრად ჩათვლიდა ამ რიცხვს, იმდენად დიდი გამარჯვება იქნა მოპოვებული და ისეთი მტერი იქნა დამარცხებული. მაგრამ დანაკლისის არნიშვნაც რომ არ ხდება საჭირო, ეს არის საგულისხმო. მეტყველებს იგი მეფის იშვიათ სამხედრო ხელოვნებაზე და დიდი მამა-პატრონის გულზე, ვისაც აგრე რიგად არ ემეტება თავისი ხალხი! ვინც იცის, რომ არაერთი ბრძოლის გადახდა მოუწევს მის ქვეყანას და ამიტომ ხარჯავს საკუთარ ფიქრსა და ნერვებს უსაზღვროდ, რათა სტრატეგიამ და ტაქტიკამ შეცვალოს მოლაშქრეთა რაოდენობა, ხერხმა გაიმარჯვოს და სიბრძნემ და არა მარტოოდენ მკლავმა და გულფიცხობამ, რომელსაც საბოლოოდ დიდი მსხვერპლი მოსდევს.

დასრულდა ეს ბრძოლა მართლაც გრანდიოზული და უნაპირო თავისი მასშტაბით — მართლაც უნაპირო თავისი მნიშვნელობითა და შინაარსით. ზედმიწევნით კარგად იცოდა დავით მეფემ და სამეფო კარმა, როგორი შეხვედრა იყო ეს შეხვედრა, რა დანიშნულებისა და განზომილებისა. იგრძნო და დაინახა იმდროინდელმა საქართველომ, რას გულისხმობდა შეტაკება მტრულ გარემოცვასთან და გამარჯვებულმა მთელი სისრულით შეიცნო, რა ზღვა მოიგერია, რა გამოცდა ჩააბარა თავის თავს და მსოფლიოს. დიახ, ეს იყო რუკაზე საზღვრების დაზუსტების მაუწყებელი საბედისწერო ბრძოლა და გადახდილ ბრძოლას ჟირდებოდა ეს გააზრება, გრძნობით და ნათე-

ლი გონებით. მთელი ერი მოვლენის სიღრმეში შედიოდა, ერის გონი იკაფავდა მასში გზას და მთავარ აზრს იმკვიდრებდა. დიდგორის გრანდიოზულმა ბრძოლამ ქართველი ხალხის სრულფასოვნება დაადასტურა. მოხდა მისი ღირსებების სინთეზირება. იგი აქამდე ათასგზის გამოცდილი, განმტკიცებული, თავისთავადი და ძლიერი მაინც ეჭვობდა ხელმოცარულობის ისტორიით შეწუხებული, მაინც ღრღნიდა წუხილი სულს, რომ რაღაც აკლდა ღირსეულ ქვეყნად რომ წარმომდგარიყო ყველას წინაშე. მაინც ეფემერული, ნაწყვეტი, ეპიზოდური მოჩანდა ყველა გადასახედიდან გამოვლილი გზა და იმ გზაზე აღმართული ნიშან-სვეტები. გაუთავებელი თავდასხმები და ცუდი გეოგრაფიული პოზიცია ყოველთვის როდი ამართლებდა ამ მიუღწევლობას, ამ სრულფასოვან სახელმწიფოდ ჩამოუყალიბებლობას. უკვე ეეჭვებოდა თავისი თავი, უკვე საკუთარი საყრდენი არ ეიმედებოდა, ვერ აბრალებდა ყველაფერს გარეშე მტრის დაუნდობელ თავდასხმებს და ამისდაკვალად უჩნდებოდა არასრულფასოვნების განცდა.

დავით აღმაშენებელმა სწორედ ეჭვის საფუძველი იგრძნო. ამ საფუძველზე იყო დაშენებული ქვეგამხედვარების მიდრეკილებაც. თუ ქვეყანა მუდამ სხვისი ხელის შემყურე და პოლიტიკურ ამინდზე უნდა იყოს დამოკიდებული, სამშობლოს ერთგულებაც კარგავდა აზრს და საერთოდ ჩნდებოდა მოთხოვნილება საკუთარი ყოფის მაქსიმალური მოწესრიგებისა. ეს მისწრაფება ზიმზიმებდა დიდგვაროვანთა სულში და „წვრილ“ ერშიც იყო ნაწილობრივ გაჟონილი.

ამიტომ შეუტია თავისი დიადი რეფორმების პარალელურად აღმაშენებელმა ამ საფუძველს, ამიტომ გადაანგრია იგი და მიჰყო ხელი ხალხის სულის წვრთნას. ახლა დიდგორის ომის მოგების შემდეგ ეროვნულმა გონმა ცხადად დაინახა, რა სიმაღლეზე იდგა. დაინახა ყველამ, რომ შეუცნობი მტრული სამყაროს ძალები შესწავლილი იყო, გამოიცადა მისი ძალა, ყველა შესაძლებელი გაერთიანების უნარი იქნა შემოწმებული და დარწმუნდა ერი, რომ მას, თავის მიწაზე მყარად მდგარს, შეუძლია ღირსეული ქვეყანაც ჰქონდეს და ნებისმიერი მტერი სირცხვილნაჭამი გააბრუნოს უკან!

აქამდე მოიყვანა იგი ისტორიულმა გზამ, აქამდე მოიყვა-

ნა ხალხის ენერგია შინაგანმა მოთხოვნილებამ, სრულყო თავისი სვე, ხვედრი და ადგილი ცისქვეშ. იმ მოთხოვნილებამ დაბადა სამეფოს უპირველესი პიროვნება, სწორედ მეფის არსში გაანივთა ერის საუკეთესო თვისებები. შემდეგ ოცდაათი წლის განმავლობაში ჰქმნიდა სულ სხვა ქვეყანას და ემზადებოდა ამგვარი გამოცდისათვის. საქართველოს ისტორიულ პროცესს ეს ჟამი უნდა დადგომოდა და დაუდგა კიდეც, უნდა გარკვეულიყო მისი შესაძლებლობანი და გაირკვა კიდეც. თავისთავად დაემკვიდრა სრულფასოვნებისა და ღირსეულობის აზრი ერის სულში, არ დასჭირვებია ამ დიდ საქმეს შეგონება და სჯა, დიდმა მოვლენამ ათასი არხით შეაღწია და შეიტანა მის არსში ეს აზრი, თავისთავად გაჩნდა ქვეყნის ახალი სიმაღლე — სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური სიმაღლე, რომელიც მხოლოდ უთვალსაჩინოეს ერებს ჰქონდათ დაუფლებული და რისკენაც ადრინდელი საქართველო ოცნების თვალს თუ მიაპყრობდა. გაჩნდა გადასახედი, როგორც კუთვნილი და ერთადერთი, საიდანაც ცივილიზებულ და ძლევამოსილ ქვეყნებს გაუსწორებდა თვალს და გაუწევდა თანაბარ მეზობლობას.

ამ ომით ყველაფერი მაქსიმალურად იყო გამოვლენილი და დაგვირგვინებული. და იგი უთუოდ იყო უტყვი სიხარულით აღსავსე, ბედნიერების განცდით გაჟღენთილი, რადგან ეს სიმაღლე მან და მისმა ხალხმა იმ მარად „განსხირპული“ შემართებითა და მუხლჩაუხრელი ბრძოლით დაიმკვიდრა, ვინც „სივრცითა გონებისათა“ ჭვრეტდა მსოფლიო ისტორიის და პირველყოვლისა საქართველოს გზის მიმართულებას!

მტრულმა სამყარომ ასევე შესანიშნავად დაინახა თუ რას ნიშნავდა დიდგორში დამარცხება, რას მოასწავებდა კოალიციური არმიის ვეებერთელა სხეულის დამსხვრევა. დაიმარხა რწმენა საკუთარი ძალმოსილებისა, დაიმარხა საქართველოს დამარცხების იმედი. მთელი მაჰმადიანური სამყაროს პოტენცია იმ კოალიციაში იყო განივთებული და დიდგორის ველზე იგი განადგურდა. მაჰმადიანურ სამყაროს ქრისტიანული საქართველო უდიდეს ქვეყანად, ძლევამოსილების ხანაში მყოფი იმპერიების ბადალად უნდა ეცნო და მასთან ურთიერთობის შინაარსი ძირფესვიანად გადაესინჯა. ასე ხედავდა მტრუ-

ლი სამყარო დიდგორის მოვლენას და ოცდაათი წლის შემდეგ ამგვარმა გააზრებამ ჩამოიყვანა არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი საქართველოში და ათხოვნინა დემეტრე მეფისათვის ეჩვენებინათ ის ადგილი, სადაც მოხდა მსოფლიო მასშტაბის შეტაკება ორ სამყაროს შორის. საგანგებოდ დაათვალიერა! ვინ იცის, რას განიცდიდა არაბი ისტორიკოსი დიდგორის სანახების ჭვრეტისას. ეს კია, დიდი ინტერესი იღვწოდა დიდგორის უჩვეულო ომის შეცნობისა. სურდა ეხილა მთელი რელიეფი, რამაც მუსულმანთა ურიცხვი სხეული შეისრუტა. ეს მოსვლა შემთხვევითი ფაქტი რომ არ არის, ამას საგანგებო მტკიცება არ სჭირდება, ღრმაა მისი შინაარსი და დანიშნულება — სულ ახსოვდეთ ამიერიდან აღმოსავლეთის მაჰმადიანურ სახელმწიფოებს დიდგორის სიმაღლე და შეუვალი არსი!

• • •

„ხოლო მეორესა წელსა აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, ბირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა, და დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ. ქრონიკონი იყო სამას ორმოცდაორი“.

სულ ერთ წინადადებაშია მოქცეული დავითის ისტორიკოსთან თბილისის აღების ამბავი და არა იმის გამო, თითქოს დიდი გონების მემატიანემ თბილისის მნიშვნელობა არ იცოდა! მისივე ნაშრომის სტილი და სტრუქტურა არ იძლეოდა საშუალებას, დაწვრილებით ელაპარაკა რომელიმე მოვლენის გარშემო; იმ დეტალებზე მიეთითებინა, რაც ასე ძვირფასია დღეს ჩვენთვის. მაგრამ მისი ისტორიის შინაარსიდან შესანიშნავად იგრძნობა, რა ფასი აძევს ყოველ წინადადებას, ყოველ ფრაზას, რაოდენ ტევადია ყოველი მათგანი. სხვა ქართველი მემატიანეებისა და უცხოელი ისტორიკოსების გაფართოებული ცნობები გვარწმუნებენ, რომ ეს ასეა.

1121 წელს გადახდილმა დიდგორის ბრძოლამ საქართველოს მტერთაგან არაფერი დატოვა, მან ყოველმხრივ დაიფრინა აბეზარი მომხდური, ძრწოლითა და შიშით აღავსო არათუ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე თურქ-სელჩუკები და არაბები, არამედ უშორეს მანძილზე მდებარე სახელმწიფოები. რჩებოდა მხოლოდ თბილისი და დმანისი. ამ ორ ქალაქში ჯერ კიდევ იდგა მტერი. ქალაქ-კომუნად და ქალაქ-რესპუბლიკად მოიხსენიებენ მათ ისტორიკოსები. არაბთა დიდი იმპერიი-

დან თბილისში ჯერ კიდევ ბატონობდნენ საქართველოს დაუძინებელი მტრები და სრულდებოდა ოთხი საუკუნე მას შემდეგ, რაც არაბებმა თბილისი დაისაკუთრეს. დაინტერესებული მკითხველი ისტორიკოსთა ნაშრომებში იპოვის თბილისის საბედისწერო ამომწურავ დახასიათებას. ჩვენთვის აქ მთავარი არის ის ფაქტი, რომ ამოდენა ბრძოლების ციკლის ჩავლის შემდეგ თბილისიღა რჩება მტრის ხელში. ქართული მიწა-წყალი განთავისუფლებულია, ერთიანია საქართველოს სხეული, ლაღი და ძლიერი ქვეყანა გაუგონარ მოვლენებს ახდენს, თბილისში გამოკეტილი მაჰმადიანური სამყარო სულს ღაფავს.

აღმაშენებლის სამოქმედო პროგრამა კი თავის გაგრძელებას ითხოვდა. თბილისის ირგვლივ თავისუფალი საქართველო იღვწოდა, შრომობდა, ილხენდა, ჭირის დღეს ხვდებოდა ღირსეულად. დავითმა თითქოს საგანგებოდ მოიტოვა ბოლოსათვის თბილისის პრობლემა. შემოაძარცვა ირგვლივ საქართველოს უძველეს დედაქალაქს ზედაზადენი, რუსთავი, სამშვილდე... ყოველი მიმართულებით ააღორძინა ქართული სული. ლოგიკურად დადგა თბილისის განთავისუფლება დღის წესრიგში.

ოთხასი წელიწადი მტრის ხელში იყო სატახტო ქალაქი. ჭუთაისი რომ აირჩიეს გონივრულად ქვეყნის მესვეურებმა ცენტრად, ჭუთაისიდან რომ კეთდებოდა დიდი სახელმწიფოებრივი საქმეები. და ახალი სიმაღლეებისაკენ რომ მიდიოდა ქართველი ხალხი ამ ქალაქზე დაყრდნობით, ეს სრულებითაც არ ნიშნავდა ეროვნულ სიმშვიდეს და დასრულებულ სიმაღლეს, რაკი ნამდვილი სატახტო ქალაქი არაბთა ხელში რჩებოდა.

თბილისს უნდა დაბრუნებოდა თავისი ადგილი საქართველოს ცხოვრებაში — უპირველესი, უნათლესი და უმაღლესი ადგილი იგი ეროვნული გონის მარეგულირებელ ვეებერთელა ტერიტორიასავით აკლდა ქვეყნის ორგანიზმს. როგორადაც არ უნდა დავიწროებულიყო თბილისის საამიროს კუთვნილი ტერიტორია, მისი სივრცე განუსაზღვრელი ჩანდა მაინც, რადგან თბილისი არ ნიშნავდა მარტოოდენ კედლებითა და კოშკებით შემოზღუდულ ადგილს. თბილისი თავის თავში ხედავდა საქართველოს სულსა და გულს. ასე იყო აღიარებული ეროვნული გონის მიერ, ასე იყო შეგნებაში დამკვიდრებული,

მიუხედავად იმისა, რომ სატახტო ქალაქად გამოცხადების შემდეგ თბილისი არცთუ დიდი ხნით მართავდა ქვეყანას, როგორც სატახტო ქალაქი. ის ორი საუკუნე, რაც თბილისის სატახტო ქალაქად ყოფნას მოიცავდა, ათეულ საუკუნეს აიწონიდა. მთავარი იყო მიგნება და ცნობა დედაქალაქების მოძრაობა საქართველოში მისი ისტორიული მდგომარეობით იყო გამოწვეული, მაგრამ ამ მოძრაობაში იკითხებოდა ერის მაძიებელი აზრი — ეძიებდა ეს აზრი სამუდამო დედაქალაქს. არც მცხეთის, არც უფლისციხის, არც ქუთაისის, არც ნოქალაქევის მნიშვნელობა არ ფერმკრთალდებოდა იმის გამო, რომ საბოლოოდ ქართველ ხალხს თბილისი დაუჯდა ჯკუაში. ვახტანგ გორგასალის არჩევანი, მის ანდერძში გაცხადებული ერის სურვილი დაჩიმ, ვახტანგის ძემ აღასრულა. იმთავითვე მაგიური მნიშვნელობა მიიღო ამ სახელმა. მისკენ ილტვოდა საქვეყნო სურვილები, თბილისს უკავშირებდა იგი ყოველთვის უმთავრეს მიზანს, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო ჯერ კიდევ არ იყო გაერთიანებული. საქართველოს შინაგანი მზერა თბილისს იყო დაბჯენილი, ფიქრი მის ქონგურებს ჩაფრენოდა და როგორც გუღს ვერ შეელეოდა, ვერც თბილისს დათმობდა. და იმ ოთხი საუკუნის განმავლობაში, როდესაც დედაქალაქში არაბები ისხდნენ, ქვეყანას ერთი წამითაც არ გაუწყვეტია ფიქრით და ოცნებით, სურვილითა და მისწრაფებით კავშირი თავის სატახტო ქალაქთან.

თითქოს გაიყინა ჰაერი დიდგორის შემდეგ, თითქოს სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. თბილისის დარჩენა არაბთა ხელში უკვე გამორიცხული იყო. მაჰმადიანური კოალიციის დამარცხების შემდეგ თბილისის აღება აღმაშენებლისათვის აბა რა სიძნელეს წარმოადგენდა, მაგრამ, შოთა მესხიას თქმისა არ იყოს, თბილის-დმანისის მმართველობა უბრძოლველად არაფრის დათმობას არ აპირებდა. რისი იმედი უნდა ჰქონოდათ ამ ქალაქების მმართველებს?

სამშვილდის აღების შემდეგ მთელი სომხითის ციხეები უბრძოლველად დათმეს თურქ-სელჩუკებმა. სამშვილდის აღება რა სახსენებელი იყო დიდგორის ომთან, რაც ზედ თბილისის კართან გაიმართა და სადაც მაჰმადიანური სამყაროს ყვე-

ლა იმედი დაიმსხვრა სამ საათში. და მაინც ჯიქურ დგას თბილისი! 12 აგვისტოს გაიმართა დიდგორის ომი. არ მომხდარა ეს ბრძოლა ზამთრის პირას, რომ „მეორესა წელსა“ თბილისის აღების გადაწყვეტილება ამ გარემოებას მივაწეროთ. უამრავი დრო ჰქონდა დავით მეფეს თბილისის გასანთავისუფლებლად. იქნებ ელოდა იგი თბილისის საკუთარი ნებით დამორჩილებას, იქნებ უომრად საქმის გათავებას ვარაუდობდა. არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. იქნებ ახალი კოალიციის იმედი ჰქონდა ქალაქის მმართველობას. ძნელია აქედან ამის განსჯა, არა გვაქვს ხელშესახები წყაროები, გვაქვს ფაქტის აღმნუსხველი ცნობა, რომ „მეორესა წელსა“ აიღო ქალაქი მეფემ. დაინახა, რომ სისხლის დაუღვრელად ვერც თბილისს დაუბრუნებდა საქართველოს. ამიტომ 1122 წელს შეუტია ქალაქს, ხანგრძლივი ალყა შეიქნა საჭირო. ცხადია, აღმაშენებელმა კარის გაღება და დანებება მოითხოვა.

თბილისი უკვე დამოუკიდებელი ერთეული ჩანდა. დავით მეფემ, ცხადია, ჩვენზე უკეთ იცოდა, თუ რას ნიშნავდა ოთხასი წლის განმავლობაში სხვის ხელში ყოფნა. დედაქალაქის მაღალი მისია ხელიდან წაგლიჯეს თბილისს. იგი დაპყრობილი იყო და თუ ოთხასი წლის განმავლობაში აქედან მთელი საქართველოს ტერიტორიაზე განეფინებოდა დამარბეველი ლაშქარი, ეს სულაც არ გულისხმობდა ქვეყნის მესაჭეობას. დამოუკიდებლობადაკარგული ქვეყნის გაპარტახების საქმეს ხელმძღვანელობდნენ არაბები ყოფილი სატახტო ქალაქიდან. აქ იკინძებოდა და იხვეწებოდა საქართველოს დაქცევისა და ღანგრევის ვერაგული გეგმები, აქ ტრიალებდა მოძალადე მტრის ულმობელი კანონი და აკნინებდა ეროვნულ ღირსებებს. წლების განმავლობაში მოჰარბდა მუსულმანური მოსახლეობა. ეს გასაგებიცაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი ფაქტია, ნუგეშს რომ არ შეიცავს. ბლომად იყო ქართველობაც, მაგრამ მუსულმანობა მოჰარბდა ხოლო შემდეგ და შემდეგ როდესაც თბილისის საამირო დამოუკიდებელ ერთეულად იქცა, თბილისის მკვიდრთ, როგორც ქართველებს, ასევე მუსულმანებს, საერთო ინტერესები და საზრუნავი გაუჩნდათ. ოღონდ, როგორი იყო ის საერთო ინტერესები და, ხშირ შემთხვევაში, როგორ იყო დაპირისპირებული საქართველოს

თავისუფალ სულთან! სწორად შენიშნავს ისტორიკოსი შოთა მესხია: „საქართველოს მეფის მიერ XII ს. ოციანი წლებიდან თბილისის მიმართ წარმოებული პოლიტიკიდან აშკარად ჩანდა, რომ იგი თბილისის შემოერთებას ცდილობდა, თბილისელები თავის მხრივ კი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ და საამისოდ ყოველგვარი ძალის გამოყენებაზე ფიქრობდნენ. მეზობელი მაჰმადიანი მფლობელები კი საქართველოს მეფისა და თბილისის ურთიერთდაპირისპირების თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებაზე, თბილისის დაპყრობაზე ოცნებობდნენ“.

დიახ, გარდა გამონაკლისისა, თბილისის მოსახლეობა უკვე თავისი ქალაქის ცხოვრებით ცხოვრობდა. შეჩვეულნი მონურ მშვიდობიანობას, განძარცვული ჩანდნენ პატრიოტული და ეროვნული სულისკვეთებისაგან; დამცრობილი იყო ეროვნული ღირსებები, დაკნინებულიყო ეს გრძნობა მათში. იყვნენ ისეთებიც, რომელთა გულში არასდროს არ განელებულა საქართველოს ინტერესებით ცხოვრების სურვილი და რომლებიც ელოდნენ დღეს, როდესაც თბილისი თავის ქვეყანას დაუბრუნდებოდა სატახტო ქალაქად. ასეთი ადამიანები მუსულმანთა შორისაც ერიენენ. საუკუნეთა განმავლობაში თბილისში ცხოვრებამ მათ შესძინა ქალაქისადმი ერთგულების გრძნობა, საქართველოსათვის ღვაწლის სურვილი გაუღვივა.

მაგრამ ეს გახლდათ ზღვაში წვეთი. თბილისის განწყობილებას ქმნიდა უმრავლესობა და ის უმრავლესობა კბილებით ჩაფრენოდა ქალაქის დამოუკიდებლობას, თუმცა კაცმა არ იცის, რა სახისა და რა შინაარსისა იყო ეს დამოუკიდებლობა. ახლა ამ ქალაქში საქართველოს განმადიდებელი კაცის წინააღმდეგ ჯგუფდებოდა ძალები. ეს შინაარსი იგულისხმება, როდესაც პატრიოტული გრძნობების დაკნინებაზე ვსაუბრობ. ეს გახლდათ ხანგრძლივი პროცესის ნაყოფი, როცა მშვიდობიანი მონობა დამოუკიდებლობად და თავისუფლებად განიცდება. ამგვარი მშვიდობიანობით იყო გაზულუქებული თბილისის მოსახლეობა, ხოლო ფხიზელ ეროვნულ ელემენტებს, მათი რაოდენობის სიმცირის გამო, არაფრის შეცვლა არ შეეძლოთ დედაქალაქის პოლიტიკურ ამინდში. თუ არ ამდაგვარი

დაცემა, თუ არ ამდაგვარი განწყობილება, სხვაგვარად აუხსნელია თბილისელი მოქალაქეების ჯიუტი დგომაც და იმ მშვიდობიანი მორიგების ცდაც, რომელიც საქართველოს მეფისათვის აბსოლუტურად მიუღებელ პუნქტებს შეიცავდა.

იბნ-ალ-ასირი:

„ალყა შემოარტყეს თბილისს, ისინი (ქართველები) ებრძოდნენ მათ, ვინც იყო მასში (ქალაქში); ძლიერ შეავიწროვეს ისინი და მისი (თბილისის) მოსახლეობა საშინელ მდგომარეობაში ჩააგდეს. ალყა გაგრძელდა 1122 წლამდე, როცა დაინახა დაღუპვის საშიშროება, გაგზავნა ქართველებთან ყადი და ხატიბი და მშვიდობა ითხოვა; მაგრამ ქართველებმა არ შეისმინეს მათი თხოვნა, შეურაცხყვეს ისინი (ყადი და ხატიბი) და ძალით შევიდნენ ქალაქში, დაანგრიეს და გაძარცვეს იგი".

მათე ურჰაელი:

„ამაეე წელს აიღო ქართველთა მეფემ დავითმა ქალაქი თბილისი... და სასტიკად ამოწყვიტა ქალაქი, ხოლო ხუთასი კაცი ძელზე გასვა და წამებით მოაკვდინა".

ალ. ჯაუზი:

„დაეშვა დავითი თბილისს და დაიპყრა იგი მახვილით, მან გადაწვა და გაძარცვა იგი".

ქართველი, სომეხი და უცხოელი ისტორიკოსების ცნობები ერთმანეთს ავსებენ. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან დავითის ისტორიკოსი მეორე წელს ასახელებს თბილისის განთავისუფლების თარიღად, ხოლო მათე ურჰაელი და იბნ-ალ-ასირი დიდგორის ბრძოლის წელს. ფაქტიურად თბილისისათვის მაშინვე შემოურტყამთ ალყა ქართველებს, როგორც კი მტრის დევნას მორჩნენ. ამდენად, აქ მოვლენების გაგრძელება უფრო ჩანს, ვიდრე ერთმანეთისაგან მკვეთრი გამიჯნულობა. ფაქტია, რომ თბილისი 1122 წელს აიღო დავით მეფემ. კიდევ ის არის ფაქტი, რომ თბილისის მოსახლეობა გაუჭირდა მეფეს, დამოუკიდებლობა და განსაკუთრებული პირობები მოითხოვა. ირგვლივ ქართული სული ბრუნავდა და ზეიმობდა ყველაფერში, ქვეყანა თავისუფლების სულისკვეთებით ცოცხლობდა, სიკეთისკენ და სიწმინდისაკენ იძვროდა ყოველი. დამოუკიდებლო-

ბის ფენომენი სვეტივით ჩადგა ქართველთა სულში, ეროვნული ღირსების სულ სხვა საფეხურები გაჩნდა და ამ დროს თბილის-ქალაქი, ერის სურვილით სატახტოდ არჩეული, ამოდენა მოვლენების გარემოცვაში მყოფი, ახლოს არ იკარებს საერთო ეროვნულ მოძრაობას. თითქოს სულის ცეცხლი არ მიჰკარებია მის ფიქრებს; დარაბებდაგმანული სულით იდგა თბილისი აღმაშენებლის წინაშე. თბილისი თავის, მართლაცდა, თბილად ჩაშაობებულ უოფნას დაჰკანკალებდა და ეროვნული მოძრაობის პროცესში არათუ ღებულობდა მონაწილეობას, არც აპირებდა რაიმე სახით მაინც ჩართულიყო მასში.

გადაგვარებაა ეი, რა შემოეფეთა დავით აღმაშენებელს თბილისელთა განწყობილებიდან. ეს ამოიკითხა იმ სიჯიუტეში, იმ მოთხოვნებში, სწორედ მშვიდობის მოთხოვნაში და სამშვიდობო პირობებში ამოიკითხა ეს გადაგვარებული სული. არ ელოდა დავით მეფე ალბათ არაბთა წინააღმდეგ თბილისის მოსახლეობის გამოსვლას, როდესაც თავისი ძლევამოსილი ლაშქრით მიადგა ქალაქს. არ ელოდა, რადგან იცოდა ბრძენმა მეფემ, რას მოასწავებდა ოთხასი წლის მონობა, ოთხას წელს არაბული სულისკვეთების ტრიალი ქალაქში და არაბთა სულთან შეწონასწორებული და შერიგებული ქართველი მოსახლეობის განწყობილება. მას ალბათ, არც ჰქონდა ამიტომ ქალაქის მოსახლეობას იარაღით გამოსვლისა და მხარდაჭერის იმედი, თავისი დიდი არმიით მოვიდა აქაც. მაგრამ არ აპატია „მშვიდობის“ მთხოვნელთ ამგვარი პირობების წაყენება, საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან განზე დგომა. ქალაქი ითხოვდა არა პატიებას, არამედ მიჩვეული ცხოვრების წესის დატოვებას ძირითადად მაინც. ყველაფრიდან ილანდებოდა სატახტო ქალაქის მცხოვრებთა გადაგვარებული სული. ამის დანახვამ გაუყინა სისხლი მეფეს. იგი თავის წინ ხედავდა ოთხასი წლის ბატონობის შედეგს, ხედავდა საქართველოს დედაქალაქს, ასე დაკნინებულს სულით და ხორცით — მის შეგნებაში კვალიც არ ჩანდა გრანდიოზული ეროვნული გარდაქმნებისა! არადა ესმოდა თბილისს, წლების განმავლობაში ესმოდა, რაც ხდებოდა მის კედლებს გარეთ, რა შეშფოთებული შემოდიოდნენ სავაჭრო ქარავნები ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხიდან, რა სულმოუთქმელი ჩურჩუ-

ლი იდგა მის დარბაზებში, რა შიკრიკები მოდიოდნენ და მიდიოდნენ, რა მოლაპარაკებები იმართებოდა მაჰმადიანურ ქვეყნებთან. ხედავდა და იცოდა, რომ საქართველოს ძლევამოსილი მეფის მიერ მოხდენილი მოვლენების ნაყოფი იყო ყოველივე ეს. მთელი სისრულით იცოდა ქალაქის მოსახლეობამ გალავანს იქით დატრიალებული დიდი ისტორიული მოვლენების მნიშვნელობისა და რაობის შესახებ, რადგან ის ისტორიული მოვლენები უშუალოდ განიცდებოდა ქალაქისაგან. ყველაფერი თბილისთან იყო ორგანულად დაკავშირებული!

რისხვა, რომელიც დავით აღმაშენებლის სულში დაენთო, ერთდროულად ყველაფრისკენ იყო მიმართული, ბოღმისკენ, რაც დააგუბა ასეთ დღეში ჩავარდნილი თბილისის ხილვამ, თბილისის დახშული გონებისაკენ. გონებრივი სივრცე რომ დაპატარავებოდა ქალაქს, ეს განცდა იყო აუტანელი — ნაჭუჭში ჩაეკეცათ ამოდენა ქვეყნის მესვეური ქალაქი, პოლიტიკური ორიენტაციის გრძნობა საერთოდ ჩახშობოდა, სხვა ერთეული იდგა მის წინ, თვალი ხედავდა, გონება ჰვერტდა, გული მაინც ვერ ურიგდებოდა იმ ამბავს, რომ ეს ის თბილისია, ის საქართველოს სანუკვარი სატახტო ქალაქი.

ახლა გადაგვარებული სული იქამდე გათავხედებულა, მეფისთვის მიუღებელ პირობებს აყენებს, საქართველოს ინტერესებთან შეუთავსებელ პირობებს! წინააღმდეგ შემთხვევაში არ აპირებს დანებებას! ამ დროს ავარდა დავით აღმაშენებლის რისხვა, დაიწყო იერიში გააფთრებული და ულმობელი, გულით „უძრავი" და საოცარი სიმშვიდის პატრონი მეფე გაცეცხლდა, გრიგალად ექცა სული და სხეული, თითქოს ცხენიანად ლამობდა თბილისის გალავანზე გადაფრენას, ეწვადა ახლავ შეჭრილიყო ქალაქში, რომელიც ითხოვდა გვემას, რათა გონს მოსულიყო.

...დავით აღმაშენებელი შეიჭრა ქალაქში, დალეწა, დაანგრია, დაწვა და დაანაცრა, რასაც კი ხელი მიწვდა, დაიქცა უამრავი სისხლი, „ხუთასი კაცი ძელზე გასვა და მოაკვდინა"... კარგახანს არ დამცხრალა მეფის მრისხანება, მას უკვე ასე იოლად დაცხრომა არ შეეძლო. თბილისი უნდა დასჯილიყო, მეფე ოთხასი წელიწადის, ოთხი საუკუნის სიბნელეს კვეთდა ელვარე მახვილით და თავისუფლების სინათლეს მიმართულე-

ბას აძლევდა ქალაქის ქუჩა-მოედნებისაკენ. დაუფლებოდა ოთხასი წელი ყველას და ყველაფერს, აქ მონური სული ტრიალებდა! ეს არ იყო კიდევ ერთი მტრის უზარმაზარი ბანაკი, დასალეწი და გასანიავებელი. რაღაც სხვა, ორგანული და მაინც სხვა იყო, რომელიც მხოლოდ მახვილის პირით თუ გამოფხიზლდებოდა, ცეცხლისა და სისხლის ტალღებით საჭიროებდა განბანვას.

რისხვაც გონივრული იცოდა დავით მეფემ, იგი მრისხანებდა მანამ, სანამ ამის აუცილებლობა იგრძნობოდა.

საქართველოს წინაშე თბილისის პრობლემა იდგა, ისეთივე სრული და მნიშვნელოვანი, როგორც ყველა უდიდესი მოვლენა საქართველოს ისტორიული მოძრაობის გზაზე. თბილისის სული ითხოვდა განწმენდას, სხვა გზით შეუძლებელი იქნებოდა მისი გადარჩენა.

განსაზღვრას ითხოვდა თბილისის როგორც საქართველოს დედაქალაქის ფუნქცია. ქალაქი მიჩვეოდა თავისი სიტკბოთი და სიხარულით, თავისი ყოფით და კოლორიტით ცხოვრებას. იგი, ოთხასი წლის განმავლობაში მოწყვეტილი ნამდვილი დედაქალაქის მისიას, ფაქტიურად გამოთიშვოდა საქართველოს ორგანიზმს. თავდადებული მოღვაწენი, რომლებიც ზოგჯერ ეროვნულ იდეალებს ეწირებოდნენ თბილისში, ის ნათელი წერტილებია, რასაც იმედი ეფუძნებოდა. მაგრამ არ იკმარეს იმ წერტილებმა — დიდი მასისა აღმოჩნდა ისტორიული სიბნელე და შეჭირვება, ნელ-ნელა აწვებოდა ქალაქს თავზე და სიღრმეში ითრევდა.

ახლა, როდესაც მთელი არსით იგრძნო მეფემ თბილისის ფაქტიური მდგომარეობა, გასაკეთებელიც დაინახა. დიდი მასშტაბის მოვლენები იყო მოსახდენი საქართველოს დედაქალაქის ეროვნული მაჯისცემის გასაცოცხლებლად. ვერ მოითმენდა საქართველო გადაგვარებული სულისკვეთებით დამძიმებულ სატახტო ქალაქს. თბილისს უნდა შეეძინა მთელი ქვეყნის მოვლის გრძნობა, უნდა დამუხტულიყო ამ გრძნობით. ის წესი, რა წესითაც იგი ოთხასი წლის განმავლობაში ცხოვრობდა, უკვე სისხლში გადასული ტრადიცია ჩანდა, ვერაფერი სერიოზული მასზე დაყრდნობით ვერ გაკეთდებოდა. მთელ ამ წესს თავისი მიმართულება ჰქონდა, თავისი ფორმები, ნა-

ნევრად მაინც არაქართული, რაღაც თბილისური ავტონომიის, შემოსაზღვრული ყოფის შინაარსს ატარებდა იგი. თბილისი ძირფესვიანად უნდა გაწმენდილიყო ამ სულისკვეთებისაგან. ორ ფაქტორს შეეძლო მხოლოდ ამის გაკეთება — თბილისის, როგორც დედაქალაქის ფუნქციით ამოქმედებას და თბილისის მოსახლეობის გაქართველების პროცესს. თბილისი ქართული ქალაქი უნდა გამხდარიყო, მთლიანად ქართული ქალაქი! აქამდე იგი ყალიბდებოდა შერეულად და ქართველობის საზიანოდ, რადგან არაბი მძლავრობდა წესითაც და რიცხვითაც.

თბილისის სატახტო ფუნქციებს დავითი ადვილად ზრდიდა. დღიდან ქალაქის აღებისა, თბილისი მოიმართა როგორც საქართველოს სამეფო ცენტრი. იმ დღიდან თბილისი ხელმძღვანელობდა ყველა ისტორიულ მოვლენას, რის მოხდენასაც კი დავით მეფე მიზნად დაიგდებდა. ამდენად, დროის თვალსაზრისით, სულ მალე დაებჯინა მტრისა და მოყვრის თვალი თბილისს, როგორც უძლიერესი სახელმწიფოს დედაქალაქს, თბილისში იწყებოდა ის დიდი მოძრაობა ქვეყნის ყოველი კუთხისაკენ, რომელსაც მეთაურობდა დავით აღმაშენებელი, ხოლო ის მოძრაობა როგორი ინტენსივობისა იყო, ყველამ კარგად დავინახეთ. რა დაიჭერდა იმ ენერგიას! იგი აცოცხლებდა ქალაქის გულს, სულ ქართული, სულ ეროვნული თავისი ფორმით და შინაარსით. ეს სახელმწიფო მესვეურობა ისე განსხვავდებოდა არაბული მმართველობისაგან, რომ ქალაქმა მთელი სხეულით იგრძნო ახალი სიცოცხლის დასაწყისი. ცხადია, მთელ საქართველოს მოეფინა დედაქალაქის განთავისუფლების ამბავი. საქართველოს ყოველი კუთხიდან მოეშურებოდნენ დავითის დაძახილზე ერისკაცნი და საეკლესიო მოღვაწენი, ისმენდნენ ბრძანებას და ცხოველ მონაწილეობას ღებულობდნენ საქვეყნო საქმეში. დიდი მოძრაობა, რომელსაც თვით მივარდნილი კუთხეებიც კი მიაჩვია აღმაშენებელმა, განუსაზღვრელი ძალით შეიპრა ქალაქში. ისევე როგორც დავითის უძლეველი ლაშქარი, მოდიოდა საქართველოს სისხლი, ფიქრი და ოცნება სანუკვარი ქალაქისაკენ. საქართველოს ერთიანი ორგანიზმი ერწყმოდა თბილისს, მძაფრად ეკვროდა, ესისხლხორცებოდა ერთმანეთს აქამდე გათიშული ორი მთელი და ორი ერთეული.

„ამიერიდან დავით აღმაშენებელმა საქართველოს საზღვ-
მწიფოს ცენტრი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა და დე-
დაქალაქად აქცია. 400 წლის განმავლობაში უცხოელთა ხელ-
ში ნამყოფი საქართველოს დედაქალაქი ქართველებს დაუბ-
რუნდა".

თბილისი გახდა არა მარტო ქართველების სატახტო ქა-
ლაქი, საერთოდ მთლიანი საქართველოს ცენტრი გახდა და ეს
კიდევ უფრო ზრდიდა მის მნიშვნელობას. განუსაზღვრელად
ზრდიდა! შორს იყო გამიზნული თბილისის ფუნქცია თვით ვა-
ხტანგ გორგასლის მხრივაც. სულ უნდა ხსომებოდა საქართვე-
ლოს თავისი ტერიტორიების ისტორიული არეალი. რაოდენ
დიდიც არ უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთიდან დაუნდობელი
მტრის მოწოლა, მაინც არ უნდა მიეცა თავისთვის უკანდახე-
ვის ნება. დედაქალაქი უნდა ყოფილიყო იქ, სადაც ეკუთვნო-
და ისტორიული სამართლიანობის თვალსაზრისით ქვეყანას
იგი. ამიტომ თბილისის, როგორც ერთიანი საქართველოს სა-
ტახტოდ გამოცხადება ერის პასუხისმგებლობის გრძნობაზე
მეტყველებდა, იგი არ აპირებდა რაიმეს დათმობას — კარს
მომდგარი ზღვისათვის. მითუმეტეს ზედმეტი იყო დათმობაზე
ლაპარაკი დავითის დროს, როდესაც საქართველოს უძლიერე-
სმა ლაშქარმა ხელოვნურად გადმოწეული საზღვრების სანი-
შნოები მიუმსხვრია მახვილით მტერს და კუთვნილი სივრცე
დაიბრუნა. ასეთი საქართველოს ცენტრი სწორედ თბილისი
უნდა ყოფილიყო და უნდა სამარადისოდ ყოფილიყო. ამ პო-
ზიციით იგი ხაზს უსვამდა საქართველოს სამართლიან პრე-
ტენზიებს, მისი ისტორიული და გეოგრაფიული არეალის სი-
ზუსტეს და პროპორციულობას. სამარადისოდ უნდა ცოდნო-
და ქართველ ხალხს თავისი ქვეყნის ცენტრი, პოლიტიკური,
ეკონომიური, კულტურული ცენტრი, არავისათვის არ უნდა
დაეთმო იგი.

1122 წლიდანვე დაიწყო ინტენსიური პროცესი თბილისის
აბსოლუტური გაქართულებისა. რატომ არ მოხდა იგი მაჰმა-
დიანთა შევიწროების ხარჯზე, ეს სულ სხვა თემაა, თბილისი
კი იზრდებოდა მოსახლეობით, ქართველობა ესახლებოდა იქ.
იქ ესახლებოდა მეფე! არაფერს ნიშნავს ის გარემოება, რომ
მოუსვენარი მეფე სულ გზაშია, ერთი კუთხიდან ელვის უსწ-

რაფესად ინაცვლებს მეორე კუთხში, საზღვრებს გადადის და რთულ სამხედრო ოპერაციებს ხელმძღვანელობს მოსაზღვრე ქვეყნების ტერიტორიაზე. სატახტო ქალაქი თბილისია, მთელი სამეფო კარი აქ არის, გარემომცველი წრეები სამსახურებრივი და წოდებრივი თვალსაზრისით აქ ჰირდება და აქ არის. ე. ი. უმოკლეს დროში ირღვევა თბილისის მოსახლეობის პროპორციები ქართველების სასარგებლოდ, ბევრი მაჰმადიანი გაიქცა თბილისიდან ქალაქის განთავისუფლებისთანავე. გაიქცნენ ჩვეულებისამებრ სულთანთან, რათა კვლავ მოიხმონ დიდი ლაშქრით. ფაქტია, რომ მაჰმადიანთა რიცხვი ამ მიზეზების წყალობით ქალაქში სწრაფად შემცირდა. დარჩენილთა რიცხვი ცნობილი არ არის, მაგრამ გარკვეული რაოდენობისა ყოფილა და რისხვის ჩაქრობის შემდეგ დავით აღმაშენებელმა სულ სხვაგვარი პოლიტიკა მოიმარჯვა.

მაჰმადიანთა რიცხვი საგანგაშო აღარ იყო, ქალაქს უკვე ერთიანად მსჭვალავდა ქართული სული. მუსულმანობა ისტორიული ბედის სურვილით შემორჩენილ მოსახლეობად განიცდებოდა უკვე და არა მესაჭე ძალად: მათი პოლიტიკური ფუნქცია ნულთან იყო გათანაბრებული. ისინი ფიზიკურად არსებობდნენ ქართულ მიწა-წყალზე — ეს იყო და ეს.

თბილისის მოსახლეობის გაქართულების, ეროვნული ელემენტების ხვედრითი წონის ზრდის კვალდაკვალ, ხდება დედაქალაქის პატრიოტული სულის ამაღლება. დედაქალაქი უნდა ცხოვრობდეს ეროვნული ინტერესებით. რომ ქალაქს აქვს თავისი შემოსაზღვრული ყოფა და თუ იქ დიდი საქვეყნო პროგრამა არ ამკვიდრებს თავის სულს, დედაქალაქი, შესაძლოა, დაიცალოს საქვეყნო სურვილებიდან და საკუთარ ჯამს ჩამაცქერლად იქცეს. საერთოდ არ გაიხედავს ასეთი ქალაქი ქვეყნის სხვა კუთხეებისაკენ, თავის მასაზრდოებელ სათეს-სახნავად განიცდის საქართველოს ტერიტორიას და არა სულისაგან განუყრელ მშობლიურ ქვეყნად. „ქალაქური ეგოიზმი" აქრობს პატრიოტულ გრძნობებსა და ენებებს.

ფუნქცია! — ერთადერთი და უპირველესი საგანი, აი, რა სჭირდება თბილისს, რათა იმ ოთხასი წლის მსგავსად თავის თავში ჩაობებულ ბუდედ კი არ იქცეს, არამედ ეროვნული

გონის გადასახედად და სამრეკლოდ განიცდებოდეს, მიუძღოდეს და ამარჯვებინებდეს ერს, კი არ ითვისებდეს — გასცემდეს. გასცემდეს, როგორც დავით აღმაშენებელი, ვინაც მთელი ენერგია გასცა თავისი ქვეყნისათვის.

თბილისი უკვე მთელი არსით ცოცხლდებოდა. იგი კვლავ სისრულით გრძნობდა ვახტანგ გორგასლისა და მისი მემკვიდრის მიერ მინიჭებული ისტორიული ადგილის მადლს.

ახლა ოცდაცამეტწლიანი დიდი ისტორიული მოვლენების მიმართულება თბილისში იყრიდა თავს აღმაშენებლის წყალობით. ყველაფერი, რაც აქამდე გაკეთდა, გვირგვინდებოდა თბილისის მისიის აღდგენით. საქართველოს მესაჭეობა იყო ეს მისია და იმდენად ღრმა იყო ეს ახალი შინაარსი, რომ იგი ქართველი ხალხის ახალ სიმაღლედ იკითხებოდა. ისტორიული მოვლენების შესაკრებელი თბილისი გახდა, ისტორიული მოვლენების საწყისი წერტილიც ის იყო დღეიდან. სულ სხვა სიცოცხლეს მოასწავებდა ეს, ეს იგრძნობოდა, დუღდა ქალაქში ყველაფერი, დუღდა ეროვნული აზროვნება. გადაცდა იგი ქონგურებს... აქეთკენ მოემართებოდა საქართველოს ლაშქრობათა ნიაღვარი, აქედან მიეშურებოდა საქართველოს სამხედრო ძლიერება ახალი ამოცანების გადასაჭრელად.

პირველი მეფე, გაერთიანებული საქართველოს სატახტო ქალაქში რომ შევიდა, დავით აღმაშენებელი იყო. თბილისი მისგან ხელდასმული ცენტრი ხდებოდა. ეს იმგვარი დასაწყისი იყო, რომ პირველი დღეებიდანვე საგრძნობი შეიქნა ახალი მისიის მასშტაბები, ალბათ, გოლიათის სხეულის მსხვრევას უფრო ჰგავდა ყველაფერი, რაც თბილისში ხდებოდა. გუშინდელ ქალაქს, სულ სხვა ცხოვრებით მცხოვრებს, არც შეეძლო წარმოედგინა, რამოდენა ტვირთი უნდა ეტვირთა. ახლა თბილისი აღმაშენებლის გრანდიოზული პროგრამის ასათვლელ ადგილად იქცა, მისი მზერა დავითის წყალობით ებჯინებოდა საქართველოს ყოველ მხარეს, როგორც პატრონისა და მესვეურის მზერა, იგი მზერას უწვდენდა საერთაშორისო პოლიტიკის რუკას, იჭრებოდა უდიდესი ქვეყნების ორგანიზმში და იდუმალი არხებით ამყარებდა კონტაქტს. ამიერკავკასიის პოლიტიკური მისწრაფებანი თბილისში იყრიდნენ თავს, იჭრებოდა ფართო კალაპოტები, თბილისი იერთებდა ამ კალაპოტს.

უჩვეულოდ დიდი იყო დავით აღმაშენებლისა და მთელი მისი ქვეყნის სიხარული, გამოწვეული თბილისის განთავისუფლებითა და კვლავ სატახტო ქალაქად გამოცხადებით. „დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ". უბედნიერესი იყო ეს ჟამი ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ამ ჟამს იგი სრული გულითა და სულით გალაღებული იდგა კუთვნილი ცის ქვეშ.

* * *

ჩვენ ცხადად დავინახეთ, როგორი რისხვა დაატეხა აღმაშენებელმა თბილისს თავზე, რისხვა, რომელიც ურჩობისათვის დაიმსახურა ქალაქმა ერთი შეხედვით. მერე თანდათან საგრძნობი გახდა, რომ ურჩობისათვის ასეთი გამანადგურებელი შეტევის განხორციელება არაფრად ესაჭიროებოდა მეფეს. დავინახეთ, რომ ოთხასწლიან მონობის ტრადიციას დაატყდა თავს ეს რისხვა. არაბეთის თვალი თბილისს იყო მიბჯენილი, თბილისი იყო მათი უკანასკნელი იმედი, გატყდებოდა თბილისი და მორჩა, დასრულდებოდა არაბთა იმპერიის ბატონობის ისტორია საქართველოში, დამოკლდებოდა იმპერიის სიდიადის მაუწყებელი რადიუსი, თვალნათლივ უნდა ეხილა არაბეთს თავისი დასუსტება და დაკნინება, ოთხასი წლის დიდებასა და სახელს გამოთხოვებოდა. მიუხედავად იმისა, რომ არაბეთისა და თბილისის საამიროს შორის წინანდელი კავშირი აღარ არსებობდა, თითქმის გაწყვეტამდე იყო ეს კავშირი მისული, (გამოთქმულია ვარაუდი, რომ ბოლო ხანს თბილისი თურქებს ეკავათ), თბილისი მაინც არაბეთის საკუთრებად განიცდებოდა. იგი იქნებ ფიქტიური, მაგრამ მაინც რეალურად არსებული ნიშანსვეტი იყო, არაბთა აღრინდელ ძლიერებას რომ შეახსენებდა ყველას. ამიტომ თბილისის მტკიცედ დგომა სასიცოცხლო ინტერესი იყო არაბეთისათვის, ვერ შეეგუებოდა იგი მის დაცემას, ცნობდა და აღიარებდა ცალკეულ დამარცხებებს იმპერიის ოთხივ მხარეს, მაგრამ თბილისიდან ფეხის ამოკვეთას ვერ შეურიგდებოდა. დიდი დრო იყო ოთხასი წელიწადი, რამდენი თაობა მოვიდა და წავიდა, თანდათან დამკვიდრდა რწმენა, რომ თბილისი

არაბეთის მონაპოვარია, მისი კუთვნილება. ოთხასი წელი მთელი ისტორიაა და რაკი მთელი ისტორიის მანძილზე თბილისი არაბთა კუთვნილებად ჩანდა, უკვე წარმოდგენაც ჰირდა იმისა, რომ რაიმე შეიცვლებოდა..

ოთხასწლიანი ტრადიცია იყო დასამსხვრევი და ნაცრად დასაფენი. ოთხასი წლის მიერ განმტკიცებული წარმოდგენები თბილისის არაკუთვნილობაზე იყო ძირიანად ამოსაგდები. მტრულ სამყაროს უნდა ეგრძნო, რომ ოთხასი წელი მთელი ისტორია არ არის, რომ მარადიულად სხვისი ქვეყნის დაუფლებისა და შთანთქმის მისწრაფება არის უგუნურება, რომ ეს ოთხასი წელი არაფრად ჩაითვლება, მოვა ერთ მშვენიერ დღეს პატრონი უსათუოდ და წყლის ნაყვად გიქცევს იმ ოთხასი წლის მეცადინეობას! მტრულ სამყაროს უნდა დაენახა, როგორ მკაცრად იძიებდა შურს ქვეყანა დედაქალაქის ამდენი ტანჯვისათვის, ასე ხანგრძლივ ჯვარცმისათვის; ამისთვისაც იკრებდა ღონეს მთლად საქართველო, მოესპო თბილისის, როგორც უცხო სხეულის განცდა და მისი მშობლიურობის გრძნობას ერუანტელით აღევსო პირთამდე. ოთხასი წლისწინანდელი თბილისელის სურვილი იყო ეს სურვილი, საქართველოს სისხლში შერეული იმ ოთხასი წლის წინათ, სხვადასხვა მხარეს უკუქცეული მდინარე, იქ შეინახა თავი, იქ შეეფარა. ახლა მთლად საქართველოს სისხლი მოდიოდა ქალაქის კალაპოტში იმ პირველყოფილი სიცოცხლით და მთლად ელდად ქცეული ამტვრევდა საგნებს, რომელთაც ვერ ცნობდა, შლიდა ხედს, კონტურებს, რაც არ ჰგავდა ქართულს და თბილისურს, ღვრიდა მტრის სისხლს დაუნდობლად და რისხვადაუცხრომლად. რბევა იმ ძალისა უნდა ყოფილიყო, ოთხასი წლის ბოროტება რომ ეგრძნობინებინა არაბთათვის — ამ ოთხასწლიანი ძალადობისა და უნამუსობისათვის ამ ძალით სჯიან! ასე ამოაგდებს ერი მისი დაღუპვის მოწადინეს. ეს ეროვნული ზვავია, იგი გააფთრებული სისხლის მწვერვალებიდან ჩამოიქცევა.

რა ეკუთვნის საქართველოს. აი, ეს აზრი უნდა წაეკითხა რისხვაში მტერს. ეს ჰგავდა შურისძიებას, მაგრამ იყო უფრო დიდი აზრის შემცველი. რისხვა სამართლიანობის საერთაშორისო საზღვრებისაკენ მიუთითებდა მტერს. ყველამ ყოველთვის

უნდა იცოდეს, სად ძევს მისი კუთვნილი საზღვარი, რომ იმპერიის მადაგაზრდილი ენებების კარნახით გამოუსწორებელი შეცდომები იქნა დაშვებული და რომ ამ შეცდომებს ყველა შეინანებს. ალმოდებულ სისხლში მცურავი და ნანგრევებში დამარხული ოთხასწლიანი ბატონობის ისტორია მეტყველებდა ამას. ერთბაშად გამოაფხიზლა არაბეთის პოლიტიკური აზრი თბილისში დავითის რისხვიანმა შეკრამ.

დავითის სისასტიკე მტრის მიმართ თითქოს დამოუკიდებელი ფენომენია, რომლის შინაარსის გააზრების გარეშე ვერ გაიგებ მისი საოცარი ჰუმანიზმისა და დემოკრატიულობის შინაარსს. ისინი უერთმანეთოდ არ არსებობენ და არც არასდროს უპირისპირდებიან, მითუმეტეს, არ გამორიცხავენ ერთმანეთს. ერთი შეხედვით კი შეუთავსებელნიც ჩანან ეს სისასტიკე და ის ჰუმანურობა, აუხსნელი და უცნაური ეჩვენება ადამიანს. დავითი ამხობს მტრის ბანაკებს, აღხოცს პირისაგან მიწისა, „მძორებით აღავსებს“ მთებს, ხეევებს, მინდვრებს; მდინარეებს აგუბებს მტრის გვამებით და დავითის სული ამავ დროს თითქოს ერთდროულად ასხივებს საოცარ ლმობიერებას, შემწყნარებლობას, კაცთმოყვარეობას სწორედ მტრის მიმართ!

ამიტომ არის დავითის სისასტიკე უნივერსალური შინაარსისაა, ისევე როგორც თითქმის ყველა მისი თვისება. მტერი გამანადგურებელი მიზნით მოდიოდა საქართველოზე — არაბი სამუდამო მონობას უქადდა ქვეყანას და ეს იყო თავისთავად გამანადგურებელი. თურქ-სელჩუკები ქართველთა აღგვას ესწრაფვოდნენ და აქ დამკვიდრებას. არცერთს არ მიჰქონდა უკან თავისი სურვილი, გეგმა! მოდიოდა და მოდიოდა, არ იხევდა უკან, ავიწროებდა, წასვლაზე არ ფიქრობდა. ან მე ან შენ — ასეთი იყო მტრის სისხლისმიერი მუქარა და ასეთ დროს მოქნეულის მოზომვა უგუნურების გარდა სხვა არაფერი იქნებოდა. დავით მეფემ მახვილის პირით მტრის აკაფვასაც ამიტომ მიჰყო ხელი, ამიტომ შექმნა შეუწყვეტელი ბრძოლების სისტემა, ამიტომ ჟლიტა მტრის ბანაკები ყველგან, სადაც კი კარავი დასცეს ამქვეყნად, ცისქვეშ აღარ დაედგომებოდათ თითქოს საერთოდ, ისეთი ძრწოლა და შიში ჩაუდგათ. ეს იყო მაქსიმალური სისასტიკე, რაც მხოლოდ უმაღლეს საერთაშორისო სამართლიანობაზე მეტყველებდა.

სხვისი ხელმყოფი უნდა განადგურდეს დაუნდობლად, შეუცოდებლად, როდესაც მოლაპარაკება, მუქარა, გაფრთხილება არ ჭრის, იარაღი გამოდის ასპარეზზე, უკანდახევა სიკვდილია, თავის ჩაღუნვა—მონობა. ნამდვილი ერის ღირსებას ეს არ ეკადრებოდა, ყოველივე ამას დავითის ქვეყანა ერთ დღესაც ვერ შეეგუებოდა. იგი ამ ხნის განმავლობაში იბრძოდა ათასი ფორმით, მახვილით, აზრით, ოჯახური ავტონომიით, შეუვალობით, ეროვნული ქცევით და წესით; ჯანყდებოდა, იყლიტებოდა. ახლა, დავითის დროს და მისი წინამძღოლობით, საკუთარი საყრდენი ჰქონდა ნაპოვნი და თვითონ უტევდა, მტვრად აქცევდა მტრის არმიებს. დიახ, დავით აღმაშენებლის სისასტიკე დამოუკიდებელი ფენომენია, იგი უმაღლეს აზრს შეიცავს — მონობასთან და მითუმეტეს განადგურებასთან შეგუება არ შეიძლება, მამულის ხელყოფა აუტანელია. სამართლიანობა რომ დაემკვიდროს ამ ქვეყნად, ხელყოფისთვის მთლიანად უნდა მოისპოს მტერი, სანამ იგი შენს ქვეყანაში დგას ან სამშობლოზე მოსვლას არ იშლის. მას უნდა ელოდეს დაღუპვა. ამგვარი სისასტიკის გარეშე სამართლიანობა არ დამკვიდრდება. შენი საზღვრები დაბალ ღობედ მოეჩვენება მტერს, როცა სინამდვილეში შეუვალ ბასტიონად უნდა განიცდებოდეს.

აღმაშენებლის სისასტიკე მისი ხალხის სისასტიკედ გადაიზრდება თავისთავად. ამ შინაარსის საგანი არ შეიძლებოდა მხოლოდ პიროვნული ყოფილიყო, მტრის ბანაკებს მარტოოდენ დავითის ბრძანებები ვერ მოსპობდა. საქართველოს ტანჯული ბიოგრაფიიდან გამოტანილი დასკვნაა ეს სისასტიკე. აქ, ბრძოლის ველზე, საბოლოო ანგარიში სწორდება და დანდობა გამორიცხულია. ერი მიჰყვება დავითის აზრის მოძრაობას, ეს მისი სულიდან ამოზრდილი აზრია — ელვარე, გაშიშვლებული აზრი. დიდმა შვილმა წაიკითხა ნათელი გონებით იგი. უპირველეს ყოვლისა, ირწმუნა და სხვაც დაარწმუნა, რომ რისხვას უნდა ემოქმედა, მტრის მოშინაურება დაუშვებელი იყო! მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა საფრთხის გარსებიდან გამოსვლა. ესეც არ იყოს, მხოლოდ ამ გზით თუ შეიძლებოდა ღირსეული ურთიერთობის დამყარება სხვა ქვეყნებთან. სანამ ლოყებს არ დაიკაწრავდა გამწარებული მტერი, სა-

ნამ შაეით არ გაიმურებოდა გლოვისა და სასოწარკვეთის ნიშნად, მანამ უნდა ედევნა ქართულ რისხვას, როგორც ამაღლებულ, მართალ გრძნობას. სისასტიკეს სამართლიანობის სამსჯავროზე უნდა დაესვა გათავხედებული მტერი, რათა საუბარი თანაბარ დონეზე შემდგარიყო!

მოვლენათა მუშტრის თვალით გაზომვამ, დავითის ისტორიკოსისა და მემატიანეთა ცნობების შესწავლამ დაგვანახა რა ძალისა იყო ეროვნული რისხვა. ახლა ორი გრძელი ამონაწერიც გავაანალიზოთ არაბი ისტორიკოსებისა, რათა სრულად შევიცნოთ დავითისა და მისი ხალხის ჰუმანიზმი, როგორც თვისებათა ერთეული, შეუვალი და ღრმა აზრის შემცველი. მხოლოდ ამის შემდეგ თუ შევიძლებთ შეპირისპირებას!

ალ-ფარიკის ცნობით, დავითმა: „დაადგინა, რომ ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მუსლიმანები ცხოვრობდნენ, არავის ყოლოდა ღორი და არავის დაეკლა იგი მათ შორის, მან მოჭრა მათთვის მონეტა (ფული) ხალიფასა და სულთნის სახელით, და მისცა მათ უფლება აზანისა (ლოცვაზე მოწოდებისა) და თავისუფლად ლოცვისა. დაუდო მათ პირობა აგრეთვე, რომ არც ქართველი, არც ებრაელი, და არც სომეხი არ შევიდოდა ისმაილის (მუსლიმანების) აბანოში და რომ პარასკევ დღეს მინბარიდან (ქათედრიდან) ხალიფა და სულთანისათვის და არა მისთვის (საქართველოს მეფისათვის) მან დააწესა გამოსაღები ყოველწლიური: ქართველისათვის — 5 დინარი, ებრაელისათვის — 4 დინარი, ხოლო მუსლიმანისათვის — 3 დინარი... იგი ისე კეთილად ეპყრობოდა მუსლიმანებს და აგრეთვე მათ სარწმუნოებას, მეცნიერებას, ხალხსა და სუფიებს, როგორიც მათ არ ჰქონდათ თვით მუსლიმანებს შორის. მე თვით ვნახე, როცა მივედი მათთან (თბილისელ მუსლიმანებთან) 1153 წელს, თუ როგორ ძალაშია მუსლიმანთათვის დადებული ყველა ეს პირობა აქამდე".

ალ-ჯაუზი აღნიშნავს:

„შემდეგ (მეფემ) მოალბო ქალაქის მცხოვრებთა გული და მათ თხოვეს მას ზოგი რამ. მან (დავით მეფემ) მისცა მათ ზოგიერთი პრივილეგიები. ისინი აქამდე არსებობენ. იმ (პრივილეგიებში შედოდა), რომ იგი (დავითი) არ დაკლავდა იქ (თბილისში) ღორს, ამოკვეთდა დირჰემებზე და დინარებზე ალაჰის,

მისი მოციქულისა და ხალიფას სახელებს, შეასრულებდნენ (მუსლიმი) მცხოვრებლები პარასკევ დღეს აზანსა და ხუტბას; არ შეეიდოდა (ურწმუნოს) აბანოში მუსლიმებთან ერთად და რომ არ შეავიწროებდა ურწმუნო მუსლიმს. ყველა ეს (პრივილეგია) დღესაც აქვთ მათ. დავითი ყოველ პარასკევს შედიოდა მეჩეთში, მასთან ერთად იყო ხოლმე მისი შვილი დიმიტრი, ისმენდა ხუტბასა და ყურანის კითხვას და აძლევდა ხატბისს და მუიზინებს მრავალ ოქროს. მან ააშენა ქარვასლები სტუმართათვის და სახლები მქადაგებელთათვის, სუფიებისა და პოეტებისათვის; დააწესა მათთვის სტუმართმოყვარეობა. და თუ მოისურვებდნენ ისინი წასვლას თბილისიდან, ნებას დართავდა და მოამარაგებდა მათ მრავალი ქონებით. იგი (დავითი) მეტ პატივს სცემდა მუსლიმებს, ვიდრე მათ სცემდნენ პატივს ისლამის მფლობელები".

ვინც დაიხოცა, დაიხოცა! ვინც გაიქცა, გაიქცა! მაგრამ როდესაც რისხვამ თავისი სიტყვა თქვა სრულად და ამომწურავად, როდესაც მტრულმა გარემოცვამ ეროვნული რისხვის ძალა და მასშტაბი იწამა, როდესაც ამ შურისძიების სამართლიანობა გულში მაინც აღიარა და საბოლოოდ გამოფხიზლდა სამართლიანობის მახვილის პირისაგან, რისხვასაც დასასრული უნდა ჰქონოდა. მითუმეტეს, დავითის ხელში იგი არასდროს ქცეულა ცხოვრების საერთო წესად. მას ზომიერების საოცარი გრძნობა გააჩნდა და უნათლესი გონებით დაინახა, რა უნდა გაეკეთებინა. თბილისში გადარჩენილი მუსლიმანები ცხოვრობდნენ. დავითს შეეძლო გაეყლიტა ისინიც, ან საერთოდ გაეყარა ქალაქიდან, გაქცევის საშუალება მიეცა თუნდაც. დავით აღმაშენებელმა თბილისის მუსლიმანებთან დამოკიდებულებაში დიდი სამოქმედო პროგრამა დაისახა და დაიწყო ამ პროგრამის ნაბიჯ-ნაბიჯ განხორციელება. სისხლი და ეროვნული ხასიათი ისედაც კარნახობდა შემწყნარებლობას დამარცხებული მტრის მიმართ.

რაოდენ მომხიბლავი ჩანს ლმობიერებისა და ჰუმანიზმის ძალა. არაბი ისტორიკოსები, როგორც დავინახეთ, მოხიბლულნი არიან. მართლაც, მტერთან ურთიერთობის უჩვეულო კულტურაა, ეროვნული და სარწმუნოებრივი ტრადიციის ხელყოფა გამორიცხა აღმაშენებელმა ღორის დაკვლის აკრძალ-

ვით. იცოდა, რამდენად შეურაცხყოფდა მუსლიმანს მის უბანში ღორის დაკვლის ფაქტი. ისიც იცოდა, რაოდენი სიხარულით აღავსებდა მუსლიმანთა გულებს ამ ბრძანებით.

საგანგებოდ აღნიშნავენ არაბი ისტორიკოსები ყოველ დეტალს. და რამდენი წლის შემდეგ ხდება ეს. 25, 50, 100 წლის შემდეგ (ალ-ჯაუზი მე-13-ე საუკუნის ისტორიკოსია!). გაოგნებულნი დგანან ისინი თბილისის ცხოვრების წესის წინაშე და ასევე გაოგნებულნი ცდილობენ ამოიკითხონ აღმაშენებლის პოლიტიკის დიდი აზრი. თითქოს ფაქტების აღნიშვნით კმაყოფილდებიან, თითქოს არ აზოგადებენ, მაგრამ ფაქტსა და ფაქტს შორის, დეტალსა და დეტალს შუა იმოდენა მადლიერების გრძნობა, ემოციური ნაკადია დატანებული, რომ თავისთავად ზოგადდება სათქმელი. აქ, საქართველოში, განთავისუფლებულ ქვეყანაში, კოალიციური არმიების შემმუსვრელი, ძლევამოსილი ერის სატახტო ქალაქში, მუსლიმანი მცხოვრებლები არ არიან შეურაცხყოფილნი! მათს სარწმუნოებასა და ტრადიციას იმოდენა პატივს მიაგებენ, რომ ღორის დაკვლაც კი ეკრძალებათ ქართველებს თავიანთ სატახტო ქალაქში, საკუთარ მიწაზე ეკრძალებათ ღორის დაკვლა! ეს ყველაფერი მარტო ალ-ფარიკმა როდი იცოდა. ეს ყველაფერი მანამდე იცოდა მთელმა არაბეთმა, მისმა სამეფო კარმა, მთელმა მაჰმადიანურმა სამყარომ. თბილისიდან ჩასული ვაჭრებისა და მოგზაურთა წყალობით, შემოგზავნილი მსტოვრების მეშვეობით იცოდა. იქნებ ბევრს არც სჯეროდა, მაგრამ ასე ესმოდა. მე თვით ვნახეო — ალბათ, ამიტომ წერს დაჟინებით ალ-ფარიკი. იქნებ ეს დაეჭვებულთა აზრმა ათქმევინა. მუსულმანთათვის სპეციალურად იჭრება მონეტა დავითის ბრძანებით. ფული ხალიფასა და სულთნის სახელით იჭრება და არა დავით მეფის სახელით. ლოცვაზე ლაპარაკიც ზედმეტია. სრული თავისუფლება ჰქონდათ, პარასკევი მათი დღე იყო და სწორედ ამ დღეს შეეძლოთ ელოცათ ხალიფასა და სულთნისათვის და არა დავით მეფისათვის. დაუჯერებელია, როგორც ფაქტი — იმდროინდელ მსოფლიოში თითქმის გამორიცხული იყო ასეთი ხედვა, თითქოს არც არავინ მოელოდა და არც მოითხოვდა შემწყნარებლობას ქვეყნისაგან, რომელიც ოთხას წელს ტანჯეს, მეფისაგან, რომელმაც ქვეყანა გაათავი-

სუფლა და უძლეველი მიმოიქცევა საზღვრიდან საზღვრამდე, ვისაც არავის შიში არა აქვს და ვისიც ყველას ერიდება. ფაქტიურად საქართველოს წინაშე უდიდესი დანაშაულის მქონე მუსულმან კაცს ეძლევა ასეთი უფლებები, ნაცვლად სიკვდილით დასჯისა და გაძევებისა. შეურაცხყოფა რომ არ იგრძნონ, მუსულმანთა აბანოში დავითის ნებით შესვლა აეკრძალათ ქართველებს, სომხებს, ებრაელებს, „გამოსაღებშიც“ გამოსჭვივის ეს უჩვეულო შემწყნარებლობა: თუ ქართველები ყოველწლიურად 5 დინარს, ხოლო ებრაელები 4-ს, მუსლიმანები მხოლოდ 3 დინარს გაიღებენ. ასეთია მეფის ბრძანება.

და ყველაფერმა ამან ათქმევინა ალ-ფარიქს: „იგი ისე კეთილად ეპყრობოდა მუსლიმანებს, და აგრეთვე მათ სარწმუნოებას, მეცნიერებას, ხალხსა და სუფიებს, როგორიც მათ არ ჰქონდათ თვით მუსლიმანებს შორის“. საგანგებოდ აქვს გამოთქმული ეს შეხედულება არაბ ისტორიკოსს. იყო რაღაც უჩვეულო და ამასთან რეალური და მომხიბლავი დავითის ბრძანებებში, იმ მდგომარეობაში, რაშიც ჩააყენა დავით აღმაშენებლის ბრძანებებმა თბილისის მაჰმადიანური მოსახლეობა.

ალ-ჯაუზის ცნობა, როგორც დავინახეთ, მხოლოდ ნაწილობრივ განსხვავდება. მუსულმანებთან დამოკიდებულებაზე თქმული ფაქტიურად იგივეა. საბედნიეროდ საერთო სურათი კიდევ რამდენიმე დეტალით არის შევსებული. მათგან საინტერესოა ცნობა იმაზე, რომ დავით მეფე უფლისწულ დემეტრესთან ერთად თურმე ყოველ პარასკევს შედიოდა მეჩეთში, უსმენდა ყურანის კითხვას, ასაჩუქრებდა, აუშენებია ქარვასლა სტუმართათვის, სუფიებისა და პოეტებისათვის. ალ-ჯაუზი ორგზის იმეორებს, რომ ეს პირობები (პრივილეგიები) დღემდე აქვთ შენარჩუნებული მუსულმანებსო. ალ-ჯაუზი კი მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ავტორია. მას დამატებითი ცნობები აქვს მოწვდილი, ორჯერ ამიტომ იმეორებს, ე. ი. რაღაც საგანგებოა ამ ფაქტში, გარდა იმისა, რომ იგი ზუსტია. ჩვენს ცნობილ ისტორიკოსებში, ასევე ყველა ქართველში გაოცებას იწვევს ეს უჩვეულო შემწყნარებლობა, ეს თითქოს აუხსნელი ჰუმანიზმი და „ხელგაშლილობა“ სისხლისმსმელი მტრის მიმართ. ალ-ჯაუზიც იმეორებს, „იგი (დავითი) მეტ პატივს სცემდა მუსულმანებს, ვიდრე მათ სცემდნენ პა-

ტივს ისლამის მფლობელებიო". ამიტომ ცნობები და ფაქტები უკუაგდებს ისტორიკოსთა ვარაუდს, რომლის მიხედვითაც დავით მეფემ იქნებ მხოლოდ პირველ ხანებში დაუშვა ეს შეღავათიო. ებრძვის, უკუაგდებს დაჟინებით და სულ ამაო მეჩვენება ცდა იმისა, რომ მუსულმანების მიმართ დაწესებული შეღავათების ვადა შევამოკლოთ და ხანმოკლე პოლიტიკურ ნაბიჯად გამოვაცხადოთ იგი. უფრო დიდი აზრი იმალება ცნობებსა და ფაქტებს შორის, უფრო დიადზე მეტყველებს ლოგიკა. მაგრამ სანამ ამ ცნობებიდან საგანგებოდ ნაკარნახევ აზრს დავამკვიდრებდეთ, დავინახოთ, რაოდენი განსხვავებაა იმ რისხვასა, ქალაქის მუსულმანურ მოსახლეობას რომ დაატეხა თავს დავითმა და მისმა ლაშქარმა, და იმ საგანგებო ლმობიერების შინაარსს შორის, რითაც გაოგნებულნი ჩანან არაბი და სხვა ქვეყნების ისტორიკოსები.

დავით აღმაშენებელი ვერ წავიდოდა თავისი ხალხის ბუნების წინააღმდეგ. თუკი მისი ხალხი ვერ იგუებდა ორგანულად მუსულმანთა მეზობლობას სატახტო ქალაქში, რამდენი ბრძანებაც არ უნდა გაეცა მეფეს, ერთ დღეს მაინც ატყდებოდა სისხლისღვრა და ის სისხლისღვრა არ დასრულდებოდა მანამ, სანამ მუსულმანები არ ამოწყდებოდნენ ან საქართველოდან არ გადაიხვეწებოდნენ. მაგრამ ერთია, რომ დავით მეფემ იცის, როგორი მოწყალეა მისი ხალხი — ბუნებით კეთილშობილი. ამ ბუნებას არ შეუძლია დამარცხებული მტრის გასრესა, პირიქით, შეთვისებას ესწრაფვის. ეს თვისება ფორმულასავით ჩამოყალიბდა რუსთველის პოემაში შემდგომ: „ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოკლავ, დაიყოვნე"... რუსთველი თავისი ხალხის უნებურს ვერც წარმოსთქვამდა და არც წარმოსთქვამდა, ხოლო რასაც ამოიტყოდა, მსგავს სიბრძნეს როცა ამოიტყოდა, თავისი ხალხის სისხლისმიერი სიბრძნე მოჰყვებოდა თან. მაგრამ სხვა რამ იყო აუცილებელი: — გარემომცველ მტრულ სამყაროს, რაკი მან უკვე დაინახა, რაოდენ დიდი ენერგიისა იყო ეროვნული რისხვა და სისასტიკე პრინციპულ ბრძოლებში, ისიც უნდა დაენახა, რაოდენ კეთილშობილია ქართველი ხალხი, როგორი შემწყნარე. უნდა სცოდნოდა მტერს ეს! მთელი სისრულით შეეცნო და დაეფასებინა ეს ღირსება. უსაზღვრო კაცთმოყვარეობასა და საშინელ რისხვას შორის არსებუ-

ლი განსხვავება დაჟინებით მიანიშნებდა მთავარ სათქმელზე:

თანდათან, საკუთარი პოზიციების გარკვევის გრძელ გზაზე, სისასტიკე გლუვდება, ფერმკრთალდება და უწყვეტი მოძრაობით გარდაისახება საპირისპირო თვისებად — ლმობიერებად. შექცევადია ეს თვისებები. პირიქითაც ხდება — ლმობიერება თავისი პოზიციების მოსინჯვის გრძელ გზაზე თანდათან მკვეთრდება, მკაცრდება, რისხვით იტენება და სისასტიკის მახვილად გაშიშვლდება ბოლოს. ეს ერთი შეხედვით შემჩნეული მკვეთრი განსხვავება ამ დიად აზრს ამოძრავებს თავის სივრცეზე.

ქართველ ხალხს შეუძლია უსაზღვრო რისხვა, შეუძლია წარღვნად მოევლინოს მტერს, მაგრამ როდესაც ყველაფერი სამართლიანობის საზღვრებში მოექცევა, იმავე ქართველ ხალხს შეუძლია იშვიათი შინაარსის ურთიერთობა დაამყაროს გუშინდელ მტერთან, მიუტევოს, მოჩვენებითად კი არა, სულით და გულით მიუტევოს, შეიწყნაროს, შეიფეროს, უცხოობა არ აგრძნობინოს. არა დროებით, საერთოდ. ეს აზრი უნდა შეპრილიყო მუსულმანური სამყაროს წიაღში, ეს აზრი უნდა დამკვიდრებულიყო იქ.

თავისი ხალხის ბუნებითს თვისებებში დავით მეფემ ამოიკითხა შესაძლებლობა იმ ურთიერთობისა, რასაც უნდა განესაზღვრა გარემომცველი მტრული სამყაროს პოზიციები სამომავლოდ. მუსულმანებთან დამოკიდებულების არსში, ამ ურიცხვ ფაქტსა და დეტალში, ამ საგნებს შორის მოძრავ ლოგიკაში იკითხება დიადი ტაქტი! საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობაში ჭირდებოდა იგი საქართველოს.

აღმაშენებელმა შესანიშნავად უწყოდა, რომ ისტორიის ამინდი სამარადისოდ სტაბილური ვერ იქნებოდა. ისტორიულ თხზულებათა დაჟინებული კითხვით შეიძინა მან ეს სიბრძნე, დიდი გონება კი ისედაც ადვილად შეაცნობინებდა მთელი ლაბირინთის საიდუმლოებას.

რისი შიში უნდა ჰქონოდა თავად დავითს, ვინ იყო მისი მძლეველი იმ დროს? — არავინ ქვეყანაზე! იმაზე ადვილი რა იყო, რისხვა გაეხანგრძლივებინა, მუსულმანები ამოეწყვიტა თბილისში, ან საერთოდ გაერეკა. მისთვის ეს უბრალო გასეირნება იქნებოდა, მტრის იმდენი ბანაკი ჰქონდა იავარყოფი-

ლი, ისეთი ბრძოლები ჰქონდა სახელოვნად გადახდილი, მაგრამ ბრძნული კანონზომიერების ჭვრეტას დაჩვეული მისი ნათელი გონება, ისტორიული ჟამის შემგრძნობი მისი ფიქრი, ეტყობა, იმთავითვე იყო ჩამწვდარი, რა მასშტაბის პოლიტიკისათვის შეეძლო სათავის დადება თბილისელ მუსულმანთა პრობლემასl

დიადი ტაქტი! დიდი პოლტიკის ენაა იგი. უმაღლეს დონეზე საუბარს ნიშნავს ამ ენით საუბარი.

საქართველო სულ მტრულ გარემოცვაში იყო. არ იცვლებოდა პილიტიკური რუკა მის სასარგებლოდ. პირიქით, დღითიდღე უარესდებოდა იგი — განსაკუთრებით თურქ-სელჩუკთა მოსვლის შემდეგ. სასიკეთო პირი არ უჩანდა მუსულმანთა სამყაროს საბოლოო შემორიგებას. პირიქით, ქრისტიანობის პოზიციები სუსტდებოდა ბიზანტიის აშკარა დაცემით, ჯვაროსანთა ლაშქრობები მხოლოდ შორეულ, არამყარ იმედებს თუ გულისხმობდნენ, ე. ი. მუსულმანურ სამყაროსთან პირისპირ დარჩენილი ქართველი კაცი სულ მზადმყოფი და სულ უარესის მომლოდინე უნდა ყოფილიყო. იგი ვერ შეცვლიდა თავის ისტორიულ ბედისწერას. — ეს გახლდათ მისი კუთვნილი ადგილი ცის ქვეშ, ეს გარემოცვა ხვდა წილად. ზღაპრის სილამაზით და ოცნების მხრებით უბედურებათა სარქველის ახდა არ შეიძლებოდა. ამ გარემოცვაში, ამ პოზიციაში უნდა მოეხერხებინა ღირსეული ყოფნაც და დგომაც. მაშასადამე, მუსულმანურ მტრულ სამყაროსთან დამოკიდებულებას ერთადერთი და სწორი კალაპოტის მიკვლევა სჭირდებოდა.

აღმაშენებელმა დაინახა, რომ თვით ქართველი კაცის ბუნებაში იდო საამისო შესაძლებლობა, ხელისგულზე იდო გამოსაღალი. ოღონდ ეს არის, მას აქამდე დაკანონებული სახე არ ჰქონია. ის კალაპოტი არ იყო გაჭრილი, სადაც სამუდამოდ უნდა ედინა ქვეყნის პოლიტიკურ ორგანიზაციას. სულით და გულით ქრისტიანი, ქრისტიანული არსის უერთგულესი ქვეყანა, თავისი მიდრეკილებით დასავლური, ევროპული ორიენტაციის ერი, ვალდებული იყო მუსულმანური სამყაროს გარემოცვაში ეპოვა ფორმა და კალაპოტი ოპტიმალური დამოკიდებულებისა.

ქართველ კაცს მუსულმანთა შეთავსება და შეწყალება შე-

ეძლო, დავით მეფემ მაქსიმალურად გამოიყენა მშობელი ხალხის ეს თვისებები. ქართველებს მეტი დააკისრა გადასახადი, არ მისცა მუსულმანთა უბანში ღორის დაკვლის უფლება, თვით ამ უბანში მცხოვრებ ქართულ ოჯახსაც!.. ეიმედებოდა ქართველი კაცის შინაგანი სიფაქიზე უცხოთა მიმართ და კანონები ამ სიფაქიზეს დააყრდნო, დაამკვიდრა მუსულმანებისადმი აბსოლუტური პატივისცემა და ზრდილი დამოკიდებულება. როგორ არის ეს ყველაფერი გამოკვეთილი ალ-ფარიკის და ალ-ჯაუზის თხზულებებში, მთელმა მაჰმადიანურმა სამყარომ იცის ამის შესახებ. 25—30 წლის შემდგომ ამბებს აღწერს ალ-ფარიკი, ხოლო ალ-ჯაუზი თითქმის საუკუნენახევრის შემდეგდროინდელ სურათს აჯამებს. აღმაშენებელს სწამდა, რომ ქართველ კაცს შეეძლო არ დაერღვია ეს წესები. არაერთგზის აწყენინებდა ქართველი ქართველს, მაგრამ იშვიათად მუსულმანს. მუსულმანთა სამფლობელოშიც არ ეჭცევიან ასე კარგად მუსულმანებსო, ეს აზრი რომ ტრიალებდა მთელს აღმოსავლეთში, ეს არის პირველი საბუთი განსაკუთრებული ჩანაფიქრისა. ამიტომ ზღუდავდა თანამემამულეების საცხოვრებელ პირობებს დავით მეფე და ამიტომ აძლევდა მეტ თავისუფლებას მუსულმანებს, ამიტომ იყო მათი ეკონომიური პირობები გაცილებით უმჯობესი, ამიტომ ითვლებოდა ბუნებრივად, ასე აშკარად ელოცათ ხალიფასა და სულთნისათვის და არა დავით მეფის სახელზე!

განსაკუთრებული დატვირთვა აქვს პირობების ყოველ პუნქტს. სულ უმიზნებს! თითქოს მოსახლეობის მოთხოვნათა ასრულებაა და მეტი არაფერი, სინამდვილეში გულისხმობს შორეულ არენას, სადაც გამჭოლავი მზერით ხვდებიან ერთმანეთს სახელმწიფოთა დიდი პოლიტიკური ინტერესები. „მე თვით ვნახე“, „ეს წესები აქამდე არსებობენ“, „ყველა ეს პრივილეგია დღესაც აქვთ მათ“ — პირდაპირ გაიძახიან ისტორიკოსები, თითქოს დაჟინებით უმტკიცებენ თავის ხალხს და ქვეყანას, რომ ეს ასეა და რომ ეს უაღრესად კეთილშობილურია, სანიმუშოა, ამაღლებული! რომ ეს არსია ქართველთა მეფის, ქართველი ხალხის! ვინ ავალდებულებდა ან ერთს, ან მეორეს... ან სხვა ისტორიკოსებს ქართველთა მეფისა და ქართველი ხალხის ქებას, ამ წესების გამოკვეთას, მაგრამ უაღრე-

სად დიდი ტრადიციებისა და კულტურის მქონე მაჰმადიან ისტორიკოსებს არ შეეძლოთ ელალატათ სინდისისათვის — არ დაენახათ მტრის ღირსება. მით უმეტეს როგორ ყღერდა დავითისაგან ასეთი მოპყრობა დიდგორის ბრძოლის შემდეგ, როგორ ყღერდა იმათთვის, ვისი დიდების მზე ჩაესვენა დიდგორში, ვისაც ეკადრებოდა სრული გაცამტვერება და სინამდვილეში მათი ძალმოსილების უბადრუკი ნაშთი ასეთი პატივით იქნა შეწყნარებული და ასეთი ყურადღებით გარემოსილი.

მტერს ქართველი ხალხის ორიენ ძლიერი თვისება უნდა გაეცნო და მან იმ უწყვეტი გამარჯვებების წყალობით გაიცნო ქართველი ხალხის შესაძლებლობანი. ახლა გაეცნო ამ ხალხის სულსა და გულს, დაინახა ასევე, რომ არ ჰქონდა საზღვარი მის კეთილშობილებასაც. მას სულ ეცოდინებოდა, რომ ასე იოლად ქართველი კაცის მამულზე ხელის დადება არ შეიძლებოდა, აქ სულ მოსალოდნელია ძალთა უჩვეულო მოკრება და ნებისმიერი მტრის განადგურება. ამის დაეიწყება არ ხერხდებოდა. დიდგორის ველის სანახავად 32 წლის შემდეგ ჩამოვიდა ალ-ფარიკი ითქვა ამის შესახებ ზემოთ, ჩამოვიდა, რადგან ახსოვდა ამ მსოფლიო მასშტაბის ბრძოლისაგან მიყენებული ჭრილობა, ტკივილი და სირცხვილი მაჰმადიანურ სამყაროს. 150 წლის შემდეგაც მასზე მსჯელობს ალ-ჯაუზი: სულ ახსოვდა მუსულმანურ ქვეყნებს გადახდილი ტრაგედია, რადგან ასეთი რამის დავიწყება შეუძლებელია. იმავე მუსულმანურ ქვეყნებს ახსოვდა — ის დამოკიდებულებაც, რაც მათი თანამემამულეების მიმართ გამოიჩინა დავით აღმაშენებელმა. სულ ხედავდა, დარწმუნებული იყო, რომ ეს ბუნებითი გზა იყო ქართველობისა. დამოკიდებულების იშვიათი ფორმები მთელი სისრულით წარმოაჩენდა მთავარ აზრს: ასე იქნებოდა ქართველი ხალხი მუდამ, თუ მის აღმოფხვრას არავინ შეეცდებოდა. და თუ შეეცდებოდა, მაშინ ეს უნაპირო კეთილშობილება და ლმობიერება იმ უწყვეტ ხაზზე მოძრაობის წყალობით რისხვად გარდაისახებოდა და ახალ დიდგორს გადაიხდიდა თუ ისტორიული შეჩვევების ჟამი დაუდგებოდა შთამომავლობას, თუ მტერი გატეხდა მის სიმტკიცეს, მტერს უკვე არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია იმ დიადი ტაქტისათვის, რაც

ქართველ ხალხს მომარჯვებული ჰქონდა მათთან ურთიერთობაში, წარსულისათვის, რაც ქართველი ერის კეთილშობილებაზე მეტყველებდა მხოლოდ, არ ეცნო იგი სრულფასოვან დიდ ერად, რომელსაც მასთან, დიდ მტერთან არც მტრობა შეშლია ბრძოლის ველზე და არც კეთილმოსურნე დამოკიდებულება ბრძოლების შემდეგ. ასეთ ხალხად უნდა დაეკანონებინა ქართველი ხალხი მუსულმანური სამყაროს წარმოდგენებში. ამასთან ვლინდებოდა ქართველი ხალხის დემოკრატიული ბუნება, მისი გონების ფართო ჰორიზონტი — ყოფილიყო მეცნიერებისა და კულტურის მწვერვალზე იქ, სადაც ორი სარწმუნოების გონებრივი შესაძლებლობანი ეროვნული ბუნების მაღალ ენაზე ვლინდება მხოლოდ. ასე იკითხება დავით მეფისა და დემეტრე უფლისწულის სტუმრობა მეჩეთში, მაჰმადიანებთან სჯა-ბაასი და კამათი, ასე იკითხება უცხოელი ისტორიკოსების მიერ ის დიდი ხიბლი, რაც დავითის პიროვნებას თან დაჰყვებოდა და რაც ადნობდა მტრობით შედედებული სისხლის ზღვებს მომდევნო საუკუნეებშიც.

არაქართველ მოსახლეობასთან მშვიდობიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობის ტრადიცია ამ ღონისძიებებმა სამარადისოდ განუსაზღვრა ქართველ ხალხს. ეს მისი ახალი ეროვნული თვისებაა, სახელმწიფოებრივი ძალმოსილებით განმტკიცებული და ბეჭედდასმული. ამ დიადი ტრადიციის დაკანონების დრო და ადგილი ფაქტიურად ზუსტად არის მონიშნული ისტორიაში.

ალ-ჯაუზის ცნობაში ერთი დეტალიც იპყრობს ყურადღებას: „და თუ მოისურვებდნენ ისინი წასვლას თბილისიდან, ნებას დართავდა და მოამარაგებდა მათ მრავალი ქონებით". ბევრს მეტყველებს ეს ცნობა: მუსულმანთა კეთილი მოპყრობის გვერდით, მათი თანდათან „საზღვარს გარეთ გასხმაც" ივარაუდებოდა დავით მეფის პოლიტიკაში! საგანგებოა მისი ღონისძიებანი — დიდძალი ქონებითა და პატივით გასტუმრება ელოდებათ სამშობლოში წასვლის მოწადინეთ. სამშობლოში წასვლის მოწადინე კი მუსულმანთა შორის მაინც ბევრი იქნებოდა, მიუხედავად განსაკუთრებული ეკონომიური პირობებისა და სულიერი მხარდაჭერისა, რასაც ისინი ქართველთა შორის გრძნობდნენ! სამშობლო სამშობლოა! ხოლო მათი გა-

სასტუმრებელი „დიდძალი სიმდიდრის“ გაღება იმდროინდელ საქართველოს არ უჭირდა.

■ ■ ■

... ვფიქრობ, ყველასთვის კარგად არის ცნობილი, თუ რა სიმაღლეს მიაღწია ფეოდალურმა საქართველომ დავით აღმაშენებლის დროს. შეძლებისდაგვარად აქაც ვცადე დამეხატა ამ ფენიქსისებური აღდგომისა და დიდი მოვლენების მომბდენი ქვეყნის მოქმედება. ბუნებრივად მძაფრდება სურვილი წარმოადგინო იმდროინდელი საქართველოსა და ქართველობის სახე. როგორი იყო დავითის საქართველო, როგორი იყო ქართველი ხალხი. შეუძლებელია ამ რიგის წარმატებას ქვეყანამ მიაღწიოს თავისთავად, ჩვეულებრივი ყოფით; რაღაც დიდი ძალა რომ შეიმართა ეროვნული ენერგიის სახით, ეს ყველამ დაინახა, რაღაც არაჩვეულებრივი მოხდა ქართველ კაცში, რაღაც დიდმა და განუსაზღვრელმა გაიღვიძა.

საქართველო და ქართველი ხალხი — როგორ ვლინდებოდა მისი ენერგია, რა თვისებებს ასხივებდა მისი არსი, დიდგორით შეკრული და გასრულებული მსოფლიო მასშტაბის ბრძოლათა სისტემა, დიდი სახელმწიფოებრივი რეორგანიზაცია და რეფორმები, ზღვარდაუდებელი აღმავლობითი პროცესი, მსოფლიოს მრავალი მიმართულებით განფენილი კულტურული კერების მოძრაობა — ყველაფერი ეს გახლდათ გამორჩეულად დიდი ერის მონაპოვარი, ყველა თვალსაზრისით დაპყრობილი დიდი მსოფლიო გადასახედი. რა კანონზომიერებამ მიიყვანა აქამდე? რა კანონები წარმართავდნენ იმ კანონზომიერებას?

საქართველო ბევრს ფიქრობდა და ფიქრობს ამაზე. წარსულის გაიდეალების ტენდენცია არ კარნახობდა ამას. მაშინ ყოველგვარ წარსულს გააიდეალებდა — მე-18, მე-17, მე-16, მე-15, მე-14, მე-13 საუკუნეებსაც გააიდეალებდა — ყველას უკლებლივ, თუკი წარსულის რომანტიკა და იდეალიზაციის სურვილი უბრმავებდა მზერას! ამ საუკუნეებშიც პოულობდა ქართველი კაცი სულის მოსაბრუნებელ პერიოდებს, „სახელოვან დროებს,“ მაგრამ ყოველთვის იცოდა, ფრაგმენტული და

ეფემერული რომ იყო ის შეშართებანი, დღემოკლე რომ ჩანდა მიღწეული ძლიერება. დასაფასებელს მაინც აფასებდა. ფიქრი კი ჰეშმარიტ ძალმოსილებას იქ ეძებდა, სადაც ეგულებოდა იგი. გრიგოლ ხანძთელისა და თამარის ეპოქებს შორის მოქცეულ დროზე იყო მიჯაჭვული მზერა. განსაკუთრებით კი დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის მთლიან დროზე! ე. ი. ერისთვის წარსული არასდროს არ ყოფილა განურჩეველი წლების მასა, მთლიანი და დაუნაწევრებელი. იცოდა ჰეშმარიტი ძალმოსილების ეპოქაც და გაცნობიერებული ჰქონდა მისი განსაკუთრებული სიმაღლეც. ამაოდ არ შენატროდა წინაპარს, მის ხასიათს, ბუნებას, ჩვევას, მიზნებს. ძველი საქართველოს სევმაღალ ეპოქასთან პარალელის გავლება, სხვაობის დახასიათება წარსულშივე დაიწყო. არჩილთან მკვეთრად გამოიკვეთა ეს ტენდენცია — მეჩვიდმეტე საუკუნისა და თამარის დროის ერთმანეთთან შედარება! ვრცელი ადგილი უჭირავს ამ შედარებას მის „გაბაასებაში“. შემდეგ დავით გურამიშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვახტანგ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა... ერთი დიდი საკითხია ამ შედარების საიდუმლო. იგი მხუთავივით იპყრობს ქართულ საზოგადოებრივ აზრს და ერის უპირველესი შვილები უზღვავ ენერგიას ხარჯავენ განსხვავების დანახვაში. დიდ საიდუმლოს როდი იმარხავს ეს ცდა. მიზანი აშკარაა, გამოკვეთილი. თავისი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული მდგომარეობის ისეთ დონეს, ფორმას და შინაარსს მიაღწია ფეოდალურმა საქართველომ იმ საუკუნეებში, რომ „წახდენილი“ დროების მარწუხებში მოქცეული ქართველი კაცი ვერ ისვენებდა, რაკი ერთხელ მაინც თვალს გააპარებდა დაკარგული სიმაღლისაკენ, რაკი ერთხელ მაინც მთელი სისრულით შეიცნობდა იმ სიმაღლის რაობას.

მტანჯველი იყო არა „წარსულ დროებზედ დარდი“, რაც შემდეგ კანონგარეშე გამოაცხადა ილია ჭავჭავაძემ, მტანჯველი იყო ის შინაგანი მიზეზები, რომელზედაც დაეშენა ის „წარსულ დროებზედ დარდიც“ და ამ დარდის უკურეაქციაც. ქართველი კაცი თავის „საშვენ ხვედრად“ არ თვლიდა დაცემის საუკუნეებით განპირობებულ მდგომარეობას! ამ მდგომა-

რეობას მისი ძიხაგახი მოწოდება უპირისპირდებოდა, ერთ დროს ასე სახელოვნად გაცხადებული სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და საერთოდ ეროვნული ფორმებით. ბედს მორჩილი ხალხი ამდენ პროტესტს საიდან მოუყრიდა თავს. აქ თითქოს გიგანტური ზვირთები იძვრიან სიღრმეებიდან. ოკეანის სივრცეს და სიღრმეს გულისხმობს გურამიშვილის, ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას და სხვა დიდი შვილების პროტესტის გრძნობა. მით უფრო სარწმუნოა ეს გრძნობა, რომ მისეზები სხვა, გარეშე მოვლენებში არ არის ნაჩხრეკი, საკუთარ თავს აბრალებდა ყოველივეს ქართველი კაცი. ასეთი იყო ერის სულიერი ცხოვრების მესაჩეთა გაცნობიერებული დამოკიდებულება მტკივნეული პრობლემებისადმი. იმ საუკუნეებში, სადაც ფეხს იდგამდა და ასე განუხრელად მიიმართებოდა სიმაღლისაკენ ქართველი ხალხის დიდი ეროვნული ენერგია და იმ საუკუნეებში, როდესაც სრულად გამოვლინდა ქვეყნის საუკეთესო თვისებები, აშკარად ჩანდა საქართველოს მაგისტრალური გზა. იგი არსებობდა და მისგან მოწყვეტა დიდი ეროვნული ჯავრის მიზეზი გახდა. ამ მაგისტრალურ გზაზე დაბრუნება იყო ერის მოწინავე შვილთა მთავარი მიზანი, რამდენი დრო და ენერგია დაიხარჯა საამისოდ!

აი, როგორი იყო ქართველი კაცი თავისი ბუნებით მე-18 საუკუნეში, როდესაც ვახუშტი ბაგრატიონი მოღვაწეობდა:

„ხოლო კაცნი ამის ქუეყნისანი არიან სარწმუნოებით ქრისტიანენი, რომელთა მიიღეს ჰრომით ჟამსა დიდის კონსტანტინესსა და სილიბისტროსსა წესნი და რიგნი ძუელნი ბერძენთა ბასილის კაბადუკიელისათა და შვიდის კრებისა უპყრავთ მტკიცედ, არამედ მძლავრებით უკეთუ ვინმე ბიიქციის, ოდეს იცის ჟამი, კუალად ეგების ქრისტიანედ შეწნანე. ხოლო ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შუენიერნი, ჰაეროვანნი, შავ თვალ-წარბ-თმისანნი, თეთრყარმიზნი, იშვიათ შავგერემან და მოყვითან, იშვიათ თვალჭრელ და გრემანი. და მწითურ ან თეთრ. ქალთა თმა გარდაწუებული და დაწნული. ხოლო კაცთა თმა ყურთა ზედ მოკუეცილნი; წერწეტნი, უმეტეს ქალნი, იშვიათ სქელნი, მხნენი მუშაკნი, ჰირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი, ბკვირცხლნი, მსწრაფ-

ლნი, რამეთუ ვიეთნი... ჟამს გაირბენს. სალაშქროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყუარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მაძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქუეყანას და მეფესა თვისსა, სტუმართა და უცხოთა მოყუარენი; მხიარულნი, უკეთუ ორნი ან სამნი არიან, არარაო შეიჯირვიან; უხუნი, არც თვისსა და არცა სხვისას კრძალვენ; საუნჯეთა არა მმესველნი, გონიერნი, მსწრაფლ-მიმხდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყუარენი. არამედ არს ჟამი რაოდენიმე, არღარა ისახელების ცოდნა, თვინიერ წიგნის კითხვისა და წერისა, მადლობა-სიმღერისა და სამხედროსაგან კიდე. და ჰგონებენ დიდ-მცოდინარობად. ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მდევარნი, კეთილ-ბოროტზე ადრე მიმდრეკნი, თავხედნი, დიდების მოყუარენი, თუალმგებნი და მოთაკილენი. ხოლო რომელნი მთათა შინა ცხოვრობენ, მზგავსნი ნადირთა, გარნა გონიერნი".

ეს ვახუშტის დროინდელი ქართველობაა, ის არის უმთავრესად, რაც დაკვირვების საგნად ეძლეოდა მეცნიერს. მაგრამ სიგელ-გუჯრებში, მატიანეებსა და ათასი ჯურის ცნობაში თავჩარგული ვახუშტი ბაგრატიონი მარტო თავის უშუალო დაკვირვებას არ ეყრდნობოდა. მისი ნათელი მზერა გადადიოდა იმ ცნობების წყალობით ყოველი დროის საქართველოში და კითხულობდა ქართველი კაცის თვისებებს. ადარებდა, ერთიანებდა, აჯამებდა არსობრივი მნიშვნელობის ნიშნებს, პოულობდა საერთოს, განუწყვეტლობის ლოგიკას აღმოაჩნდა, ძველი და ახალი დროის მემატიანეთა დახასიათებას ითვალისწინებდა. და რა ირკვევა, ირკვევა ურყევი ჭეშმარიტება — ეროვნული ხასიათი არსებითად უცვლელია—დიდი ისტორიული გამოცდილება ფეთქავდა ქართველი კაცის ბუნებაში და, რა თქმა უნდა, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მონიშნულ თვისებებში უთუოდ ჩანს მონღოლთა ბატონობის კვალი, კვალი თემურლენგის დაუსრულებელი ლაშქრობებისა. შინაომების მიერ შემზადებული ეროვნული კატასტროფისა, ჩანს რადგან დაცემის საუკუნეებში, როდესაც ეს დაუძინებელი და ძლიერი მტრები ფაქტიურად პარპაშობდნენ, ქართველმა კაცმა ბევრი რამ დაკარგა თავის საუკეთესო თვისებათაგან, უფრო სწორად, ბევრი მისი საუკეთესო თვისება დაითრგუნა. ხანგრძლივი

დაკვირვების საგანია ეს პროცესი. აქ მხოლოდ ის უნდა ითქვას, რომ ვერავინ გაექცეოდა ისტორიის ამ დამთრგუნველ დაწოლას. ჰირის ეპოქები აქვს გამოვლილი ვახუშტის დროინდელი ქართველობის იმ თვისებებს, რომელთაც იგი მოინიშნავს ქართველი კაცის მახასიათებლებად. მაგრამ დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ არსი ძირითადი ბუნებისა უცვლელია.

ზეალმავალი საქართველოს ქართველობას დავაკვირდეთ! არიან თუ არა მათ შორის კადნიერნი? — გავიხსენოთ ბაღვაშთა საგვარეულო: „რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქუეყანასა და მეფესა თვისსა“. იყვნენ თუ არა კეთილ-ბოროტზედ ადრე მიმდრეკნი იმ ძლევამოსილი საქართველოს შვილები?—იყვნენ. იყვნენ თუ არა „თავხედნი“ მათ შორის?—იყვნენ. იყვნენ თუ არა „დიდების მოყუარენი?“—იყვნენ. ლეონტი მროველის, ჯუანშერის, ჟამთა აღმწერელის... ცნობებში ან პირდაპირ არის მითითებული ამ უარყოფით თვისებებზე, ან მათ მიერ აღწერილი ფაქტები მეტყველებენ კადნიერებაზე, მეფის არ დარიდებასა და კეთილ-ბოროტზე ადრე მიდრეკაზე. იაკობ ცურტაველის, იოანე საბანისძის, გიორგი მერჩულეს, გიორგი მთაწმიდელის და სხვათა თხზულებანი პირდაპირ მახვილით ადგანან თავს დამღუპველ მიდრეკილებებს. ხოლო ღირსების მაუწყებელ ძვირფას თვისებებს, რასაც ვახუშტი აღნუსხავს, არც უნდა პარალელის გავლება ან ფესვების დაძებნა წარსულში, ყველაფრიდან ჩანს, რომ ქართველი ხალხი შემკობილი იყო ამ ნიშნებით. ლაჟვარდივით კამკამა ეროვნული ხასიათი დედამიწის ზურგზე არ არსებობს. უნაკლოდ არავინ მოვლენია ქვეყანას.

დიახ, ძირითადად უცვლელია ეროვნული ხასიათი, საუკუნეთა შორეულ, თვალმიუწვდენელ სიღრმეშია ქართველი კაცის ბუნებაც ჩამოყალიბებული და როცა ტაოს მკვიდრთა თავისუფლებისმოყვარე სულის გამამეღავნებელ თავგანწირვის მაგალითებს გვიხასიათებს აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი, კიდევ უფრო განგვიმტკიცდება რწმენა ამ ეროვნული ხასიათის უწყვეტელობის და მარადიული მოძრაობისა.

და მაინც სულ სხვანაირი იყო დავით აღმაშენებლის საქართველო და ქართველი ხალხი. სულ სხვაგვარი! აქ უბრალოდ ფრაზის შერბილება არ შეიძლება. ვთქვათ, ჩამოაშორო ფრაზას

„სულ“, რათა სიმძაფრე მოაკლდეს, ან შერბილდეს აზრის სიმკვეთრე. დიახ, სასიკეთო ეპითეტები: მხნენი, ჭირთამთმენნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი, ახოვანნი, საჭურველთ მოყუარენი, ამაყნი, ლაღნი, მხიარულნი, უხუნი, გონიერნი, მსწრაფლ-მიმხდომნი, სწავლის მოყუარენი, ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთის დამსწავლელნი... ყოველთვის შეინიშნებოდა ეს თვისებები ქართველი კაცის ბუნებაში, ამ თვისებებით „აღჭურვილი“ მოძრაობდა იგი ცისქვეშ. დიახ, ჰქონდა საჩოთირო თვისებანი: კადნიერნი, მეფის არ დამრიდენი, კეთილ-ბოროტზე ადრე მიმდრეკნი, თავხედნი, დიდების მოყუარენი... ასევე ყოველთვის შეინიშნებოდა ეს თვისებანი ქართველი კაცის ბუნებაში, უშორესი წარსულიდან მოძრაობდა იგი ცისქვეშ ამ თვისებებით. და კიდევ: ეს სასიკეთო, ზეაღმტაცი თვისებანი და ეს საჩოთირო ნიშნები, ცხადია, ერთმანეთისაგან იზოლირებულად არ იღვწოდა. ერთად მოდიოდნენ ისინი ერთმანეთში გადაზრდილნი, ერთად იღვწოდნენ ერთმანეთთან დაპირისპირებულნი და ერთმანეთისათვის გაუგებარნი! ამ ბუნებისა იყო ქართველი კაცი, არც მეტი, არც ნაკლები. არსებითად ეს ნიშან-თვისებანი კრეფდა ქართველი კაცის ბუნებას — როგორც ეროვნულ ფენომენს და ამ შინაარსის ამოკითხვა ან ცნობა თითქმის არც ერთ ეპოქაში არ ჭირს. მოქმედებათა მიმართულება, ქცევა, ფაქტის შინაარსი მეტყველებს მათ უკან მდგარი ეროვნული ფენომენის რაობაზე.

თუ ყველაფერი უცვლელია ეროვნულ ხასიათში, მაშინ თითქოს გაუგებარი უნდა იყოს დაჟინებული მტკიცება იმ აზრისა, რომ დავით აღმაშენებლის საქართველო და ქართველი ხალხი სულ სხვაგვარი იყო.

რა ამოძრავებდა ქართველი კაცის ამ თვისებებს, რა მიზანი მიუძღოდა წინ ეროვნულ ხასიათს, რა სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობაში იყო იგი მოქცეული, რა საერთაშორისო ურთიერთობებს სწევდა, რა ახდენდა მის მობილიზებას, როგორ იტვირთებოდა თითოეული თვისება, რომელი იწევდა წინა ხედზე, რომლის როლი იზრდებოდა და, რაც მთავარია, რა ხდებოდა იმ ეროვნულ ბუნებაში საქართველოში მოხდენილი მოვლენებისა და მსოფლიო ასპარეზზე საქართველოს მიმართულებით დაძრული ინტენსიური დინების წყა-

ლობით?! ეს იმ რიგის პროცესია, რისი გათვალისწინების გარეშე ნაბიჯსაც ვერ წავდგამთ წინ. თავისთავად აღებული თვისებანი სხვადასხვა დროს გამოვლენილნი, ერთად შეკრებილი რომ მოგვაწოდა დიდმა მეცნიერმა, ეპოქების ხასიათისა და შინაარსის შესაბამისად ან დიდ მოძრაობაში მოდიან, ან ბასიურ, გაყინულ ფორმებში იკეტებიან. დავითის საქართველოსა და ქართველი ხალხის ღირსებების — დანახვა შეიძლება მხოლოდ ეროვნული ხასიათის გამძაფრებულ მოძრაობაზე დაკვირვებით, დავით აღმაშენებელმა სწორედ ქართველი კაცის ბუნების დიდ მოძრაობას მიაქცია უმთავრესი ყურადღება. მან ამ მოძრაობის მიმართულების რეგულირებით სრულყო ეროვნული ბუნება.

როგორი ქართველობა დახვდა დავით მეფეს?

„რამეთუ სამეფო აფხაზეთისა მცირე ჰქონდა მოკლებული და მცირე იყო, და ტყუეობათა და ზემოხსენებულთა ჭირთაგან მცირე გუნდი მხედრობისა და იგინიცა დაჯაბნებულნი, მრავალგზის მტერთაგან სიცოცხლითა უცხენო და უსაჭურველონი, და თურქთა მიმართ წყობის—ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი“. თვით იავარდყოფილი მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველობის ღირსებათა ანარეკლიც არ შეინიშნება მათ'ში. სადღა არიან „სალაშქროთა შინა ახოვანნი, ამაყნი, ლაღნი, მკვირცხლნი“... თუ მხედრობა დაჯაბნებული და მოშიშარია, გასაგებია, რა იქნება გამოქვაბულებში შეხიზნული მოსახლეობა. ყველა თვისება, რაც ასე ღრმა შინაარსს და ამაღლებულ სულს ატარებს ვახუშტის დახასიათებაში, არარსებულივით გამქრალა, მათი კვალიც არა ჩანს არსად, ხოლო დიდებულები, გამონაკლისის გარდა, თავისი მარადიული უმოქმედობის ფორმაში არიან გაქვავებულნი — „ადგილთა მწუანილოვანთა ზედა მოსმურობითა და განცხრომით“... მწვანე ველზე ქეიფი და განცხრომა... დამაკნინებელ საქმეთა მიმდევარი დიდგვაროვნები... ვისაც მთელი ქვეყანა თვალებში შესციცინებს, ასეთ მაგალითს აწვდიდნენ თავიანთ მრევლს. ასეთი იყო დიდგვაროვანთა დიდი ნაწილის ყოფა. განცხრომის სურვილმა მეფის კარზეც გაჟონა და თავისთავად სპეტაკი მამულიშვილის, გიორგი მეორის ცხოვრების ნირიც დამახინჯდა. იგი შინაგანად დამორჩილებული ჩანს, უსაქმურ დიდგვაროვანთა ჩვეულე-

ბისაკენ არის ნაწილობრივ მაინც მიდრეკილი, ყოველ შემთხვევაში, დაქვემდებარებულია მისი ნება...

ვახუშტი ბაგრატიონი გაცილებით თავშეკავებულია ქართველი ხალხის საერთო დახასიათებისას. აი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი კი პირდაპირ ცეცხლს აფრქვევს: „ვინათგან ნათესავი ქართველთა, ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თავისთა უფალთა, რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი". როგორც ვხედავთ, ადრეც ჰქონიათ იგივე შენიშნული მემატიანეებს, „ხილული საქმეების" ბეჭდით არის დადასტურებული. ეს ჭეშმარიტება. ისტორიკოს გურამ ყორანაშვილს შენიშნული აქვს, რომ დიდგვაროვნების მისამართით იყო თქმული ეს საყვედური ადრე, ხოლო დავითის ისტორიკოსმა მთლიანად ქართველ ხალხზე გაავრცელა იგი. შესაძლოა, დავითის ისტორიკოსიც დიდგვაროვნებს გულისხმობდეს ამ „ორგულოვნებაში" („რაჟამს განდიდნენ" — დიახ, გარკვეული ფაზის შემდეგ იჩენს ეს თვისება თავს!) მაგრამ, განა ცოტას ნიშნავდა დიდგვაროვანთა ორგულოვნება? მთელი ქვეყნის შემკრები წერტილები ფაქტიურად მათ ხელში იყრიდა თავს. მათ მიჰყვებოდა მრევლი და მათი ორგულოვნება ქვეყნის დამაქცევარ მოვლენად გადაიქცეოდა თავისთავად. ეს ორგულოვნება ღალატში იყო გაცხადებული ხშირად.

როგორი იყო ეკლესიის მრევლი. ზნეობრივად გადაგვარებული, მრუშობასა და მექრთამეობას გადაყოლილი დიდკაცთა შვილები განაგებდნენ საქართველოს სულიერი ცხოვრების მარეგულირებელ უმთავრეს ნიშანსვეტებს. გარყვნილება და უმგვანო საქმეები მეფობდა. გიორგი მთაწმიდელისაგან დაძრული გაწმენდის ტალღა მალე ჩაიწრიტა, ხოლო გიორგი მეორის დროს ეკლესიის მესვეურთა უმსგავსოება ყოველგვარ ზღვარს გადასცდა. რუის-ურბნისის კრებამ დაგვანახა, რომ ზნეობრივი გადაგვარების ეპიდემია მთელ საეკლესიო ქსელს ჰყო მოდებული. პირდაპირ ზეიმობდა უმსგავსოება.

ამ ზნეობრივი დაცემის, სათნოების დაკარგვისა და ქვეყნი-

სათვის ღალატის პასუხად ცნო ქვეყანამ ის საოცარი ძალის მიწისძვრა, რამაც ქალაქები, სოფლები, ციხეები და ეკლესიები დაანგრია. „მთები დაიგალნეს“.

სადამდე დაცემულა ქართველობა, სადღაა ის ღირსებანი, რასაც ვახუშტი აღნიშნავს და ძველი საქართველოს მემატიანეთა თხზულებებშიც გამოკვეთილა, სადღაა ის ღირსებანი, სასახელო საქმეებსა და ბრძოლებში რომ მჭღავნდებოდა დავითის ეპოქამდე. ერის სრული დაცემის მოწმენი ვართ. ცხადია, შეჯირვების მიზეზით ხდება ეს ყოველივე, მაგრამ, ფაქტია, ხალხის ყველაზე ცუდი მხარეა უკუფენილი. „განათებულია“ ყოველი მანკიერი თვისების სამოქმედო სივრცე, ერთიანად დაპყრობილია ბნელი და ლაჩრული ფიქრებით, თითქოს სხივგაუმტარი ყრუ საგანი იყოს.

როგორი იყო თხუთმეტი წლის შემდეგ იგივე ქართველობა, იგივე ქვეყანა დავით აღმაშენებლის ხელში? ჯერ ვნახოთ ხალხისა და ქვეყნის სახე, მერე გავიხსენოთ ის მეთოდები და ხერხები, რისი წყალობითაც ამ სახეს მიაღწია ქართველობამ, ბოლოს დავაკვირდეთ იმ აზრს, რაც წარმართავდა მთელ პროცესს.

„და კუალად მღდელთ-მოძღუართა, მღდელთა და დიაკონთა, მონაზონთა და ყოველთა კაცთა ესევე საქმე ექმნა. წესიერებად და გზად ყოველთა სათნოებითა მიმართ. რამეთუ შიშითა მისითა ვერ იკადრებდიან უწესოდ სლვად, ვინათგან უწყოდიან არა-რას დაფარულობა წინაშე მისსა, და მის მიერ ქება სათნოებისა, და ძაგება არაწმიდათა და უწესოთა საქმეთა. რამეთუ ვერცა მსოფლიო ვინმე და ვერცა მოქალაქე, ვერ მხედარი და ვერ რომელი პატივი და ასაკი იკადრებდა განდრეკილად სლვად. რამეთუ ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყოველთა კანონ, ყოველთა პატიოსნება და თვით მათ მეძავთაცა ყოველთა კრძალულება, ყოველთა შიშ და მმართებელ გზათა სალმრთოთა და მშვიდობისათა“.

მეფის მკაცრი მზერით შემოსალტულია საქართველო — ამ პატარა აბზაცში მთელი ქვეყნის სურათია მოქცეული. ერთია, რომ დავით აღმაშენებლის მკაცრი მეთვალყურეობა არეგულირებს მოვლენებს. მეორე და უმთავრესია შედეგი თავად. სათნოება მეფობს ეკლესიაში, უწესოდ სლვასა და მოქმედე-

ბას ვერავინ ბედავს — იგი გამოირიცხა. მხოლოდ სათნოების სამსახური ვლინდება ყველგან. ვერც დიდგვაროვანი, ვერც ერთი მოქალაქე, ვერც მხედარი, ვერც რომელიმე პატივდებული ასაკოვანი ვერ მისცემდა წესიერების გზიდან გადახვევის ნებას თავის თავს. „განდრეკილი სლვა“ ამოვარდნილია ფიქრიდან, წესიერება და პატიოსნება ყოველი კაცის არსებობის ნიშანია, იგი არის დაურღვეველი კანონი, ემსახურებიან და ემორჩილებიან ამ კანონს. თვით ნამუსზე ხელაღებულ მეძავთა თვისებად იქცა კრძალულობა! დიახ, ისინი ეკრძალვიან ქვეყნის საერთო ზნეობრივ სიმაღლეს. ჩვენ უფლება არა გვაქვს ფეხდაფეხ არ მივყვეთ ამ წესიერების, პატიოსნების, კრძალულების, ამ „ვერ კადრების“ კალაპოტს, სათნოებით განწმენდილ და ამაღლებულ ქართველ კაცს, არ დავაკვირდეთ მის ბუნებას, არ დავიმახსოვროთ, არ დავიჯდიოთ გულისფიცარზე მისი ყოველი ნაბიჯი, ფიქრი, განწყობილება, რადგან პირდაპირ სახეში გვანათებს წინაპრისაგან ასხლეტილი შუქი, იქით მიგვახედებს, სადაც ღელავს სულით სპეტაკი და გრძნობებით წმინდა ქართველი კაცის ენებები. ამ წესით შედიოდა იგი ეკლესიაში, ამ წესით იბრძოდა ლაშქარში, ამ წესით ცხოვრობდა კოშკში, ამ წესით ხნავდა მინდვრად, ამ წესით მაღლდებოდა სამეფო კარზე. არა გვაქვს უფლება მთელი სისრულით არ განვიცადოთ მისი ხატი, რადგან სხვაგვარად ვერც მაშინ დაპყრობილ სიმაღლეს შევიცნობთ ბოლომდე და ვერც დღევანდელ საქართველოს დიდ მოთხოვნებს ვუპასუხებთ შესაფერისად, ვერც მომავლის საქართველოს ჩავუყრით ბალავერს.

ქართველი კაცის ამ დიდი ხატის წაკითხვისას თავისთავად იგულისხმება ცხოვრების ყველა დეტალი და ნიუანსი. როგორ ხვდებოდა იგი ნაცნობებს თუ უცნობს გზაზე, როგორი ზრდილობით ესალმებოდა, როგორ მოძრაობდა, რაგვარ პატივს მიაგებდა, რა თავმდაბლობას ამჟღავნებდა, რა გულისხმიერებით მოიკითხავდა, რა გულწრფელობით ამოუდგებოდა ჭირში გვერდით, როგორ აფასებდა სიმამაცის ფაქტს, რა დამოკიდებულება ჰქონდა უმსგავსო შემთხვევასთან (ამოდენა ქვეყანაში უმსგავსოების ფაქტებს აბსოლუტურად რა გამორიცხავდა!), როგორი ლხინი იცოდა, როგორი წესით სვამდა,

ღვინის რა კულტურას ფლობდა, როგორ ეპატრონებოდა ოჯახს, როგორ დაჰფოფინებდა ოჯახის სიწმინდეს, რა იყო მისთვის სათნოება, ნამუსი, სოფლის საერთო ზნეობა და ქვეყნის საერთო სულიერი სისუფთავე და რამდენად იყო ყველაფერი ეს ხასიათში გამჯდარი, გარიდებული ხელოვნურ ბიძგებს, შინაგანი ბუნებითი ნიშნების როგორი ძალდაუტანებელი მოძრაობა იკითხებოდა.

პირველ ყოვლისა, დავითის მოლაშქრე უნდა დავინახოთ. ვიცით, როგორი დახვდა მეფეს ლაშქარი და მოლაშქრე.

წლების გავლის შემდგომ:

„ხოლო საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა საძულველი, და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა". ჩვენ ვიცით, როგორ წვრთნიდა დავითი, როგორ არცხვენდა ჯაბანს, აქეზებდა მამაცს, როგორ მოაქცევდა შიშს სიმამაცედ მისი რკინის ხელი. ლაშქრის ყოველი მექანიზმის ზედმიწევნითი ცოდნა ილანდება აქ მოტანილ სიტყვებში. ლაშქარს დაკისრებული აქვს ქვეყნის მსხნელის ფუნქცია და საეშმაკო სიმღერისათვის, „სახიობობისა" და განცხრომისათვის მას არ სცალია. მას არ აქვს ამის უფლება. მისი მიზანი იმ მასშტაბისაა, რომ თვალზე რულის მოკიდება მკრეხელობად ითვლება, მით უმეტეს „ღმრთის" გინება და სიძულვილი. სწორედ ღვთის შემწეობით და რწმენით უნდა განივთებულიყო ქართველ მოლაშქრეთა ნებისყოფა.

და აი, არენაზე გამოდის საქართველოს სამეფო ლაშქარი. ჯერ მცირერიცხოვანი, ჯერ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებისათვის გამიზნული, მაშენებელი სოფლის მოდარაჯე, ლაშქარი, რომელიც მთებში გახიზნული ხალხის უკან ჩამობრუნების მოვლენას მოუძღვის, გზას უკაფავს, თავს დასტრიალებს, მის ახლოსაა, რათა თურქ-სელჩუკების კვლავ მოსვლის შიში გაუნელოს და გაუქროს თანდათან. ასისფორნიდან ჰყონდიდის ჩათვლით გაშლილ შენებაში მისი იმედი იგულისხმება, მისი ახლოს ყოფნა და მზაობა.

მერე თანდათან იზრდება ასპარეზიც და დანიშნულებაც. ქართული ლაშქარი უნდა შეეჩვიოს უჩვეულო სისწრაფით „სლვას". სხვაგვარად თურქ-სელჩუკთა დამარცხება და „გან-

სხმა“ შეუძლებელია. კუთხიდან კუთხეში, მხარიდან მხარეში გრიგალისებურ ქროლვას ჰგავს დავითის ლაშქრის მოძრაობა, ის მარადიული განსხირპულობა, ასე შემაშფოთებელი რომ ეჩვენათ დიდგვაროვნებს. საქართველოს მხოლოდ ასეთი თვისებების მოლაშქრე თუ დაიცავს და გააძლიერებს. ჯაბანის, ბოშიშარის ადგილზე დადგა მკვირცხლი, მოძრავი, ახოვანი, ლაღი ქართველი კაცის ბუნება. ზედაზადენის წართმევის შემდეგ დიდი დუელი უნდა გამართულიყო და დაიწყო კიდეც საქართველოს ლაშქრის უწყვეტი სამხედრო ოპერაციები. ერწუხის ბრძოლაში დამტკიცებულმა ძალმოსილებამ საბოლოოდ მოხსნა ის სულიერი ტრავმა, „დიდი თურქობის“ მიზეზით რომ აჩიავებდა ქართველი კაცის საბრძოლო თვისებებს, წარსულის „სამამაცო ზნეს“ რომ ავიწყებდა და სილაჩრით ბორკავდა.

საქართველოს ლაშქარი „თავის სივრცეში“ ითავსებდა უძველეს ქართულ საზღვრებს, გაზრდილ მანძილს, მრავალ ძლევამოსილ გამარჯვებას, მუხლჩაუხრელ ხანგრძლივ ექსპედიციებს, განუწყვეტელ მოძრაობას და განუწყვეტელ ბრძოლებს. მისგან მოთოკილ სივრცეში ექცეოდა რუსთავი, სამშვილდე, სომხითის ციხეები, ერწუხის, თრიალეთის დიდი ბრძოლები... „უგრძნეული“ თავდასხმების საიდუმლოება, რაც ელვისებურ ადგილმონაცვლეობას ითხოვდა, დროის უნივერსალურ გრძნობას, რისი წყალობითაც ერთი თვის მოსახდენი ერთ კვირაში გასრულდებოდა. ფიზიკურად ძლიერი, სწორუპოვარი მეომარი, უნიკალური სამხედრო ხერხებით გაწვრთნილი, შეუდარებელი მებრძოლი გახლდათ. უანტრაქტო ბრძოლებით იმდენი ციხე და ქალაქი ჰქონდა აღებული და შემომტკიცებული, რომ უკვე არ ჰყოფნიდა მეციხოვნეთა რაოდენობა. მან თავისი სიძლიერით მოამზადა ის მდგომარეობა, მუდმივი ლაშქრის შექმნის საშუალებას რომ აძლევდა მისგანვე გაძლიერებულ ქვეყანას.

მაგრამ მთავარია დიდგორის ბრძოლა, სადაც ისევ ქართველთა ლაშქარი გავიდა ურიცხვ მტერთან. რა უნარი იკითხება იმდროინდელი საქართველოსი! დიახ, აქ არც მოლაშქრეა მარტო, არც მეფე, არც სარდლობა... აქ საქართველოა. საქართველოა ის ლაშქარიც, როგორც ქვეყნის განივთებული ენერგია.

ბრძოლების სისტემითა და მარადიული მზადყოფნით გაწვრთნილი ქართული ლაშქარი ფლობდა იმდროინდელი მსოფლიოს ყველა უნიკალურ სამხედრო ხელოვნებას. დიდი სიზუსტით მოძრაობის უნარი იკითხება, უპირველეს ყოვლისა, ამ ხელოვნებაში. ეს არ გახლდათ მოთარეშე რაზმების მოძრაობა, არც მომთაბარე ურდოების გაქანება. ყველაფერი უსაიდუმლოეს სამხედრო მიზნებთან არის დაკავშირებული და დაქვემდებარებული. ეროვნული მისიით დატვირთული ლაშქარი ასრულებს ყოველ გათვალისწინებულ თუ მისთვის უცნობ ოპერაციას, დიდი გონებისაგან საგანგებოდ დახლართული ბრძოლის რუკაზე ისე ელასტიურად მოძრაობს, ისე შეუფერხებლად და ზუსტად, თითქოს შემოფეთებული მტრისაკენ მიქროდეს რისხვით აღვსილი. დიდგორის ომში საქართველოს ლაშქარმა ეროვნული მეომრული სულის ყველა ძვირფასი თვისება ამოიტანა. სამხედრო ხელოვნების ურთულესი საიდუმლოების მცოდნეს უჩვეულო ნებისყოფა, ხასიათის სიმტკიცე, ოპტიმიზმი, მოთმინების უნარი ეწერა სახეზე. ხელთ ეპყრა სადავეები ამ საიდუმლოს ფლობის წყალობით და აზეიმებდა თავისი ქვეყნის სამართლიან სვემაღლობას.

„და რამეთუ გლეხთა იხილემცა ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყვედ“. აი, სადამდე ამაღლდა ქართველი მოლაშქრე, უბრალო გლეხს არაბთა „მეფენი“, უწარჩინოებულესი პიროვნებანი მოჰყავს ტყვედ! ძალმოსილების უკიდურეს საზღვარს არის მიახლოებული საქართველო. ასე ანათებს მისი შინაგანი სვემაღლობა ამ ფაქტში. პირდაპირ ამტვრევს ისტორიის ჩაჟანგებულ საფარველს და გადაგვიშლის ძლიერების სულს.

სამეფო კარი, ცხადია, დიდგვაროვანთა ან დამსახურებათა გამო აღზევებულ პიროვნებათაგან შედგებოდა. იგი მართავდა ქვეყანას და ბევრი რამ იყო დამოკიდებული მათი რიგების სისუფთავეზე. აღმაშენებლის სამეფო კარის სრულად დახასიათება ურთულეს ამოცანად ჩანს, რადგან მისი დამსახურება ისე შეუმჩნეველად არის გადაზრდილი თავად დავითის სამოქმედო პროგრამასა და პრაქტიკულ ნაბიჯებში, რომ ძნელია ერთის მეორისაგან ხელოვნური გათიშვა, რათა დაკვირვების საგნად აქციო ის მეორე. სინამდვილეში აღმაშენებელი მათ-

თან ერთად წყვეტს საქვეყნო საქმეებს, რაც შეეხება დიდებულებს, ქვეგამხედვართა ერთეულებით რომ არის შევსებული, მათ სავსებით გამოეცალათ ნიადაგი ფეხქვეშ. ღალატს აზრი დაეკარგა. იკლო ქვეგამხედვართა რიცხვმა... რჩებოდა ერთადერთი გზა — სამშობლოსათვის უანგარო სამსახურით მიეღოთ ის პატივი და დიდება, რასაც ადრე მტრებთან შეთანხმებით და ქვეყნის ღალატით მოიპოვებდა.

აღმაშენებლის მეფური შემოქმედების სრული ანალიზი მიაწოდა ერს ისტორიკოსმა. მან „გახსნა ფრჩხილები“, დაგვანახა მოვლენის არსი არსთაგანი, რადგან დავითის სიკვდილის შემდეგ ყველაფერი ასე უნდა სცოდნოდა ერს. სიცოცხლეში კი ეს გაშიფვრა-ვაანალიზება თავად აღმაშენებლის სამოქმედო გეგმაში არ შედიოდა — საიდუმლოდ რჩებოდა იგი. თეთრზე შავით უწერია ისტორიკოსს ამ საიდუმლოს მთელი შინაარსი. იგი ამოხსნილი ესაჭიროებოდა უკვე ქვეყანას, როგორც თავისი უკეთესი მდგომარეობის წესი და უნდა სცოდნოდა ძირფესვიანად ყველაფერი. ამ საიდუმლოს შინაარსს იგი კითხულობდა შემდეგ საუკუნეების განმავლობაში. ღრმა ცოდნითა და გააზრებით აღწევდა სასიკეთო სიმაღლეებს და გამოსავალსაც იმ შინაარსზე დაყრდნობილი გამოცდილებით პოულობდა ხოლმე.

დავითის სისტემა დიახაც სდევნიდა ორგულთა შეთქმულებას, დიახაც სწავლობდა ერთგულთა ფიქრებს და განწყობილებებს. აზუსტებდა მტრის ადგილს, აზუსტებდა მანძილს ყველა პუნქტს შორის, სწავლობდა საერთაშორისო პოლიტიკურ ამინდს და სიტუაციებს, მაგრამ ეს ყველაფერი ხდებოდა უხმაუროდ დიდი ისტორიული პროცესის მართვის გზაზე, რომელსაც აღმაშენებელი თავისი უნაკლო სამოქმედო სისტემის წყალობით ახორციელებდა. ეს გახლდათ სახელმწიფოს სიმტკიცის მიზეზით გამოყენებული ფორმები, რომელიც თავისთავად იბადებოდა როგორც ტრადიციული, როგორც ყველა ძლიერი მეფის მიერ გამოყენებული საშუალებანი. მაგრამ ყველაფერი იწყებოდა ამის შემდეგ. უფრო სწორად, ის ურთულესი, ყველაფერზე მაღლა მდგომი მიზანი ამის შემდეგ იწყებოდა. იგი არის თავისი არსით გამაოგნებელი და, ცხადია, დიდად საამაყოც ამდენი დროის გავლის შემდეგ.

ეროვნული ხასიათის მოძრაობის მიმართულება! აი, რისი განსაზღვრა ეწვდა დავით მეფეს თავდაპირველად. ეს იყო მისი მოქმედების პირველი საფეხური ამ ურთულესი პროცესის მართვის გზაზე. საოცარი კითხვისა და ჩხრეკის, ანალიზის დიდი უნარის წყალობით ბოლომდე ჰქონდა შეცნობილი საკუთარი ხალხის თვისებები და ღრმად სწვდა მისი შესაძლებლობების. იცოდა, რა სიმაღლეზე შეიძლებოდა მათი აყვანა.

„ესე დიდნი საქმენი, ღმრთისაგან ოდენ შესაძლებელნი ესრეთ ადვილად წარმართნა ამით, ვითარცა ვერვინ ადვილ წარმართის ეგრეთ". მხოლოდ „ღმრთისაგან ოდენ შესაძლებლად" მიიჩნევს ისტორიკოსი ამოდენა საქმეების ასე ადვილად წარმართვას უპირველეს ყოვლისა, ეს უზარმაზარი საქმეები გულისხმობს ერის სულიერ და ფიზიკურ სრულყოფას.

გვხვდება დავითის ისტორიკოსის თხზულებაში ადგილები, რომელთა ირგვლივ ქართველ კაცს სამუდამოდ მოუწევს ფიქრი. ისინი არსობრივი მნიშვნელობის სიბრძნეს შეიცავენ, ქართველი ხალხის ყოფნის დედააზრს წარმოადგენენ, მრავალი კუთხით დაინახვებიან და აღიქმებიან. ამიტომ ისტორიკოსის თხზულებიდან ამ რიგის სიტყვების განმეორებას და მათ ანალიზს სულ სხვა გააზრებით უნდა შევხედოთ. ჩვენი სული ისწრაფვის მათში დაფლული საიდუმლოს სრული შეცნობისაკენ. ეს სწრაფვა კი გვავალებს მოთმინებით აღვიჭურვოთ, ერთი და იმავე სიტყვების ტრიალად არ მოგვეჩვენოს მსგავსი ადგილების მოხმობა. ისინი თავისკენ გვეძახიან, რადგან ვგრძნობთ, ფასდაუდებელ სიბრძნეს რომ იმარხავენ.

„დიდნი საქმენის" წარმართვა იყო ურთულესი და უდიდესი მიზანი, რაც დავით აღმაშენებლისაგან შექმნილ სისტემას ეკისრებოდა და რისი განხორციელების გზაზე თავისთავად გულისხმობდა ერთგულთა და ორგულთა შესწავლას, შეთქმულების ლიკვიდაციას, მტრის ბანაკების ადგილსამყოფლის დადგენას და საერთაშორისო ამინდის ცნობას, გზების და ბილიკების დაზუსტებას. ყველაფერი ეს მეორე რიგის ამოცანად აღიქმება იმ დიდ მიზანთან შედარებით. ყველაფერი ამის მოგვარება საჭირო იყო ქართველი ხალხის ღირსეული არსებობის მისაღწევად. ქართველი ხალხის ღირსეული

არსებობა კი გულისხმობდა უკეთესი შინაარსისა და ფორმის დამკვიდრებას, რაც ეროვნულ თვისებებს შეეფერებოდა. ეს ეროვნული თვისებები, ეს ბუნებით ბოძებული შინაგანი რაობა წვალობდა და ჯახირობდა საუკუნეთა განმავლობაში, განსაკუთრებულ ისტორიულ სიტუაციასა და პოლიტიკურ პოზიციაში მოხვედრილი დაუსრულებლივ იგვემებოდა, სულ თვითშენახვისა და გადარჩენის ფორმებში აფარებდა თავს, მომლოდინე შესაფერისი დროისა, რომ საკადრისად გაეშალა მხრები ცისქვეშ.

ამ მდგომარეობიდან გამოსვლის დაჟინებული ცდები ადრეც შეიმჩნეოდა, მაგრამ მე-8 საუკუნიდან მოყოლებული როგორ ამტვრევდა იგი შინაგან თუ გარეგან ჯებირებს, ვფიქრობ, ეს კარგად ჩანს ჩვენი მატიანეებისა და ისტორიული თხზულებების ქსოვილში. და მაინც ვერ გაცდა ჯახირსა და წვალებას, მაინც ვერ მიწვდა „საშვენ ხვედრს“ და აღმაშენებლის გრანდიოზულ პროგრამაში ყველაფრის მარეგულირებელი როლი სწორედ ღირსეული არსებობის მიღწევამ დაიჭირა. ყველაფერი მას უნდა მომსახურებოდა — წარმატებებიც საერთაშორისო ასპარეზზე, სახელმწიფოებრივი სიმტკიცეც. სამხედრო ძალმოსილებასაც მხოლოდ მაშინ ექნებოდა დიდი დანიშნულება და გამართლება ერთდროულად, თუ იგი ამ უკეთილშობილესი ეროვნული მიზნის სრულყოფას დაექვემდებარებოდა. სხვა შემთხვევაში იგი ერთი მეფის მიერ მოპოვებული „ოქროს ხანის“ თუ დამაბრმავებელი ძლიერების მაუწყებელი იქნებოდა და სხვა არაფერი. დავითს შეეძლო ამის გაკეთება და შეეძლო გაცილებით ნაკლები ენერგიის დახარჯვით, ვიდრე დახარჯა. მაგრამ თვალს რომ გააყოლებ მისი უკეთილშობილესი ჩანაფიქრის მიმართულებას და დაინახავ ქვეყნისა და ერის ცხოვრების მართვის მოუხელთებელ პროცესს, „მსოფლიო დამპყრობლების ტრიუმფალური სვლები“ ფერმკრთალდება მის წინაშე.

ასე დაიწყო ეროვნული ხასიათის მოძრაობის მიმართულების განსაზღვრა. ეს იყო საერთო მიმართულება, რის ამოკითხვასაც შეალია აღმაშენებელმა უამრავი წიგნის გამოცდილება და სიბრძნე, შეალია უთვალავი დღისა და ღამის მომცველი ფიქრი. იგი დაფლული იყო ამ საგნებში. ჩვენ დავი-

ნახეთ, როგორ იყო დაფლული და რა ხარისხით იღვწოდა მისი გონება სიღრმეების შესაცნობად.

საითკენ აიღებდა ეროვნული ხასიათი გეზს. ამაზე იყო დამოკიდებული ყველაფერი — წარსული, რაც უკან მოიტოვა ქართველმა კაცმა, აწმყო, რომელშიც იდგა იგი და მომავალიც, რაც თავის განუსაზღვრელ სახეს დაეძებდა წარსულისა და აწმყოს ფორმებში.

„ესე დიდნი საქმენი, ღვთისგან ოდენ შესაძლებელი, ესრეთ ადვილად წარმართნა ამით, ვითარცა ვერვინ ადვილად წარმართის ეგრეთ".

დიახ, „ესე დიდნი საქმენია", რომ „ვერც მსოფლიო ვინმე და ვერც მოქალაქე, ვერ მხედარი და ვერ რომელი პატივი და ასაკი იკადრებდა განდრეკილად სლვას", რომ „ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყოველთა კანონ, ყოველთა პატიოსნება", რომ დაშლილი შინაგანი ზნეობრიობის სამყაროშიც აღწევდა ამ უჩვეულო ზემოქმედების ძალა და რომ „თვით მათ მეძავთაცა ყოველთა კრძალულება, ყოველთა შიშ და მმართებელ გზათა საღმრთოთა და მშვიდობისათა".

ქართველი ხალხის შინაგანი ცხოვრების წესი ემკვიდრებოდა ქართულ მიწაზე. ეს გახლდათ ათასი წახნაგით თავჩენილი წინააღმდეგობისა და ბრძოლის კვალდაკვალ მომხდარი მოვლენა. ერთბაშად ყველაფერი ვერ შეიცვლებოდა და საინტერესოა ის გზა, რასაც დაადგა ეროვნული თვისებების მართვის ხელოვნება.

ქვეგამხედვარობა, განდრეკილობა, უწესოდ სლვა, ურჩობა, პატივმოყვარეობა, ორგულობა, ქადნიერება... ეს ვნებები ფეთქავდნენ ქვეყნის ყველა კუთხეში, ამ ვნებით იყო ატანილი ერის საგრძნობი ნაწილი, დიდგვაროვანთა ანგარიშგასაწევი რაოდენობა. ჯერ ყველაფერი შიშსა და სიმტკიცეს უნდა მოეპოვებინა. ღირსეულად ყოფნის მოთხოვნილება ღრმად იყო დაფლული სხვა ვნებათა ფენებს ქვეშ. საშვენ სიმაღლეზე ცხოვრების ნორმებით დადგომა უმალ ვერ იქცეოდა მოთხოვნილებად, და სანამ შინაგან მოთხოვნილებად არ გადაიქცეოდა იგი, მანამ მიზანი მიღწეულად ვერ ჩაითვლებოდა. შიში და სიმტკიცე დათესა ამიტომ დავითის ერთგულმა ხალხმა და მოდარაჯე თვალის წყალობით, რაც შეურაცხმყოფე-

ლიც კი ჩანდა პირველ ხანებში, მოხერხდა ეროვნული თვისებების მართვა, დავითის ღონისძიებებმა ცხადყო, რომ თავისთავად, ასეთ მტრულ გარემოცვაში მყოფი, ამოდენა საცთურით გარსმოხვეული ერი ვერ მიაღწევდა შინაგან სრულყოფას. მის თვისებებს მოვლა ჰირდებოდა, მიპატრონება და დიდი რუდუნებით ძერწვა. მართვა და არა უნდობლობა, რის კვალდაკვალაც თანამოძმეთა სისხლისღვრის ისტორიები იწერებოდა სხვა დროს.

უპირველეს ყოვლისა, მართვა გულისხმობდა უარყოფითი თვისებების დათრგუნვას.

დავაკვირდეთ ქსოვილს, რომელიც მოიცავს ყველა მიმართულებას და უმალ შევამჩნევთ, რომ მეფე ორგულოვნებისა და შეთქმულების შესაძლებლობებს ებრძვის. ეს არის და ეს. მაგრამ რა დონეზე სრულდება ყოველი, საპრძოლო ხერხების რა სრულყოფაა მიღწეული. მაცნეთა სისტემა არ ტოვებს შანსს და რაკი შანსს არ ტოვებს, უნდა დაწყებულიყო დიდი დაფიქრება ქვეგამხედვართა, ორგულოვანთა, დიდებისა და განსუენების მოტრფიალეთა სულში შექმნილი ვითარების გამო: რა ხდებოდა, რამ შეკრა სამოძრაო ბილიკები ირგვლივ, რამ შეიძლო ასე ჩვეულებრივი „შეკრებისა“ და — განსუენების“ აღკვეთა, რამ არ მოაცალა, რამ არ მისცა გასაქანი, რა ამოძრავებდა ამ ტოტალურ განსხირპულობას. დიდი ფიქრი აიძულა შექმნილმა მდგომარეობამ.

სად უნდა დამდგარიყვნენ ისინი, საით და როგორ წაეყვანათ თავიანთი ცხოვრება. რაკი ორგულოვნების ნიადაგი აღიკვეთა, ეს ამოდენა ნიჭი და უნარი რის სამსახურში ჩაეყენებინათ, რა დაევალებინათ მისთვის! ეს უკვე მას აღარც ეკითხებოდა, მაგრამ რას კარნახობდა ის სხვა ძალა? განა მოისპო ის საწყისები, განა შეიცვალა ის მოღალატური ბუნება? ცხადია არა! იგი არ ისპობა, იგი ისევე მარადიულია, როგორც ყველა სასიკეთო თვისება ქართველი კაცისა, ყველა ნიჭი და ღირსება. მაგრამ ეს ეშმაკისეული შინაარსი უსახტიკესად დაითრგუნა, თითქოს გაუვალ ხეობაში მიიმწყვდია იგი უკეთეს თვისებათა ლაშქარმა, დააჭონდრისკაცა შიშით.

როდესაც დავითის სისტემას ვაკვირდებოდით, ჩვენ ნათლად დავინახეთ, რა საყოველთაო, ყოვლისმომცველი იყო მისი მოქმედება, როგორ იჭრებოდა იგი თავისი ბასრი მზერით

ყველაფერში, და უმალ ვიგრძენით, რომ არა უნდობლობას, არამედ ერის სრულყოფას ხელმძღვანელობდა ეს მზერა, რომ მთლიანად ერი გამუდმებით გრძნობდა გულთამხილავი მზერის კონტროლს.

არ შეიძლება ასე ცხოვრება, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ, არც ასეთი შრომა, არც ასეთი ბრძოლა, არც ასეთი ლოცვა, არც ასე ფიქრი შეიძლება!.. დიახ, ერთი შეხედვით მოუხელთებელ ფიქრსაც, მით უმეტეს ეროვნულ ფიქრსაც, თავისი მთავარი სამოძრაო კალაპოტი უნდა ჰქონდეს, ხოლო ერის ცხოვრების კანონებს გარკვეული მიმართულება. დიახ, პროგრამა მკაცრია და ერთი შეხედვით შემზღუდველი (პირველ ხანებში მაინც!), მაგრამ როგორი დანიშნულება აქვს მას: „არამედ დიდნი საქმენი და ფრიად სასწრაფონი წარმართნა ამით, და მრავალთა კეთილთა მიზეზ იქმნა ესე". სულ ამ კატეგორიულ აზრს უტრიალებს დავითის ისტორიკოსი, მაშასადამე მასში დიდი აზრია დაფლული. და კიდევაც რომ არ იყოს მისგანვე გაანალიზებული არსი მოვლენისა, ჩვენ მოვალენი ვიქნებოდით მაინც ამოგვეკითხა იგი. მან კი თავად მოგვაწოდა, რა დამღუპველი ჩვევები და თვისებანი აღიკვეთა ქართველი კაცის ბუნებიდან და რისი შემწეობით იქნა მიღწეული სასიკეთო შედეგი. დიახ, ჯერ ისევ შიში იღვწის, რადგან პირველი ოპერაციის მოქმედებას ვადევნებთ თვალს: „პირველად ორგულობასა, და ზაკუასა, და ღალატსა რასამე ვერვინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებადცა, არა თუ თქმად ვისდა, არცა თუ მეუღლესა და ცხედრეულსა თვისსა თანა, ანუ მოყუასსა თვისსა, გინა ყრმათა თვისთა თანა, ვინათგან ესე მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირით აღმოსლვასავე თანა სიტყვისასა საცნაურ ქმნილ არს უეჭველად წუნაშე მეფისა და მრავალნი განპატიჟებულთაცა იყვნეს და მხილებულ ესევითართთვის. ამისთვისცა ვერ ოდეს ვინ განიზრახა ღალატი რა თურთით დღეთა მისთა, არამედ იყო ყოველთაგან საკრძალავ და სარიდო".

დაღუპული თვისებების და გაქვავებული ავი ზრახვების ადგილას თანდათან ჩნდებოდა ერის უკეთესი თვისებების გადაადგილების საშუალება. თავისთავად გაიწვია დადებითი თვისებები ეროვნულმა პროგრამამ, გამოიყვანა იგი უმოქ-

მედობის მდგომარეობიდან. რა იხეიდა უკან, რა ინაცვლებდა წინა ხედზე — ეს პროცესი ქართველი ხალხის ბუნებაში მიმდინარე ქვეყნიერების დალაგებას გვაგონებს. ცხადია, ქართველი ხალხის მანამდელი ისტორიის ქაოტურობად გამოცხადება სრული ულოგიკობა იქნებოდა, სწორედ კანონზომიერი მოვლენებიდან ამოიზარდა დავითის დროინდელი საქართველოს შინაარსი, მაგრამ თავად აქ დახატული მძაფრი სურათი თვისებების მართვისა კომენტარის გარეშე მეტყველებს, რომ უნივერსალური მოწესრიგება ხორციელდება.

რაც შედეგად იქნა მიღებული — ისტორიკოსის დახასიათებით „ეს დიდნი საქმენია“, ერის სახეა იგი. მის სვლას, მის ქცევას, მის სათნოებას გვიხასიათებს რამდენიმე ადგილას სწორუპოვარი მოაზროვნე და მთელი სისრულით გრძნობთ, მართლაც, რამოდენა იყო მიზანი, რომ ერის სახის განსაზღვრისას მისი უკეთესი ფორმისა და შინაარსის მიგნებაზე უფრო დიდი მიზანი ამქვეყნად არ შეიძლება არსებობდეს.

ეს ის ფორმა იყო, რომელიც შეშვენოდა ქართველ ხალხს, ეს მისი საკადრისი თვისებანი გამოვიდნენ სამზეოზე და მათი „ღვაწლის“ შედეგი იყო შესაფერისი. ქართველ კაცში ჯერ ამოიკვეთა ყველა უმსგავსო ნიშნის მოქმედების საშუალება, შემდეგ ეროვნულმა მისიამ დაბადა მოთხოვნილება მხოლოდ ღირსეული არსებობით არსებობისა. დაიბადა მყარი ზნეობრივი ფენომენი და იგი სულიერ მოთხოვნილებად მოგვევლინა. ეროვნულ ხასიათს უკვე არ შეეძლო განდრეკილად სელა, ღალატი, ზაკვა, ქვეგამხედვარობა, სადღაც ჩაიკარგნენ ეს თვისებები.

გამუდმებული ბრძოლები აუცილებელი იყო თურქ-სელჩუკთა ისტორიული წარღვნის თავიდან ასაცილებლად. იგი ამავე დროს ქვეყნის გმირული სულისკვეთების აღზრდის ერთადერთ საშუალებად გვევლინებოდა. ეს ორი მხარე ისე შეერწყა ერთმანეთს მისი ხელოვნების წყალობით, რომ ვერ იტყვი, სად იწყება ან სად მთავრდება თითოეულის ფუნქცია. ამიტომ მან უმკაცრესი წვრთნისა და ბრძოლის სკოლაში გაატარა ხალხის მებრძოლი ბუნება, მისი თავისუფლებისმოყვარე სული თითქოს ასეთ ასპარეზს ესწრაფოდა, თითქოს არც არასდროს ეტრფოდა „განსუენებას და განცხრო-

მას“ — ამ საბრძოლო ფორმებში გაიშალა მთლიანად, უკან იხევდა სიზანტის ვნება, იტვირთებოდა სიკაკასისა და სილაღის თვისებები, მათ უნდა გამოენათებინა ეროვნული ენერგია. იგი ამ დატვირთვის წყალობით გადაფარავდა მთლიანად დამაძაბუნებელ და დამთრგუნველ საწყისებს. მუდმივი განსხირპულობისა და მუდმივი მოლაშქრეობის სულისკვეთება თავდაპირველი აუტანლობის ფაზიდან შეუჩნევლად გავიდა. მალე იგი ნორმალურ მდგომარეობად აღიქმებოდა, ხოლო შემდეგ მეომრულ წყურვილად დგებოდა ქართველი კაცის სულში. დაზარებით, ურჩობით, მარტოოდენ შიშით გადალახული სიზანტით ვერ მიიღწევა ის შემართება, რაც ვლინდებოდა უამრავი ადგილობრივი და დიდი მნიშვნელობის ბრძოლებში, მერე რა სისავსით ვლინდებოდა! სწორუპოვარი, ზარდამცემი, დაუღალავი, შემართული, ფხიზელი, ამტანი, მსწრაფლმავალი, შეუდრეკელი... უჩვეულო სისწრაფით მოძრაობდა ქართველი მეომარი თავისი ქვეყნის კიდიდან კიდემდე, რათა არსად არასდროს არ დაეშვა მტრის გალაღება. ეს მუდმივი მოლაშქრეობა ეძახდა იმ უკეთეს თვისებებს, არნახული სისრულით მოჰყავდა იგი მოძრაობაში, თითქოს არც არსებობდა გუშინდელი ჯაბანი და მოშიში ქართველი მოლაშქრე. იზარდა წყურვილი, ყოფილიყო უპირველესი მეომარი, ყველაფერი გაეკეთებინა საამისოდ, ევარჯიშნა, ეასპარეზნა, ევლო ღამით და გაუჩინარებულიყო დღისით. მომართული იყო იგი როგორც ეროვნული წყურვილი ეროვნული მიზნითურთ. მას უნდა დაემარცხებინა ყველაფრის წამლეკავი მტერი. ეს მიზანი უხმობდა, იგი მიუძღოდა უკეთეს თვისებებს, აალმასებდა, ზრდიდა მის სივრცეს და პოტენციას. მან შეკრა მეომრის ფენომენი ქართულ ხასიათში. ფიზიკური ნიშნებიდან დაწყებული (საკმარისია მატიანეებში ჩავიხედოთ და უმალ შევამჩნევთ ამას): ტანწერწეტა (ეს ქალებზეა თქმული), წელში წვრილი და ბეჭებგანიერი (ეს მამაკაცზეა თქმული), ძლიერი, შემმართებელი, ელვის სისწრაფით რომ მოევლებოდა ცხენს, სულიერი სიმაღლე, რაინდული ბუნება — ეს თვისებები აღწევინებდა იმ სასწაულებს, ასეთ მეომარს ითხოვდა ეროვნული მიზანი.

საბოლოოდ დაეფუძნა ქართულ მიწაზე დიდი შრომის კუ-

ლტურა. ყოველთვის შრომობდა ქართველი კაცი, თუკი ამის საშუალება მიეცემოდა. მაგრამ დიდი ქვეყნის აშენებას რომ შრომა ჭირდებოდა, საამისოდ არც საშუალება გააჩნდა ხშირად და არც ჩვევა. ვაზისა და ხორბლის მრავალი ჯიშის გამომყვანს შრომა რომ არ ეზარებოდა, ეს ცხადი იყო, მაგრამ დიდი შრომის კულტურა მაინც არ იყო დამკვიდრებული. მაინც ძალობდა მშვენიერი ბუნების საცთური. „მწუანილოვანთა ზედა მოსმურობითა და განცხრომითა“ ამქვეყნად ყოფნის სურვილი მარტო დიდგვაროვანთა ვნება არ ყოფილა, ერის საგრძნობ ნაწილსაც ეუფლებოდა იგი. „არა ესრეთ, არა!“ კატეგორიულად აცხადებს დავითის ისტორიკოსი. აღმაშენებლის დაძახილად ისმის იგი, ცხადზე უცხადესიაl „არა ესრეთ, არა“ — „მწუანილოვანთა ზედა მოსმურობითა და განცხრომითა არა!“ რისხვით აღსავსე მზერა ეცემოდა — ქართველი კაცი იოლი შრომითა და მცირეოდენი გაბრძოლებით საშვენ სიმაღლეს ვერ დაიპყრობდა, ტიტანური ძალისხმევითა და დაუღალავი შრომით აშენდებოდა მხოლოდ ნამდვილი ქვეყანა. საჭირო იყო იმ შესაძლებლობების სრული გამოხმობა, რაც თვლემდა ქართველი კაცის ბუნებაში, რამაც თავის დროზე უჯარმა და ხერთვისი, ნოქალაქევი და არტანუჯი ააშენა, რამაც გრიგოლ ხანძთელის სამშენებლო სკოლას აუდგა ფეხი, რაც ვაზთან დამოკიდებულებაში ასე საყოველთაოდ ვლინდებოდა. ეს თვისებები უნდა დატვირთულიყო სრულად. იცოდა დავით აღმაშენებელმა როგორ შრომობდა ბერძენი, ებრაელი, ფრანგი, რომაელი, გერმანელი კაცი, როგორი ინტენსივობით, დროის დაუკარგავად...

მთავარი აღმაშენებლისათვის სხვა იყო — იოლი შრომით თავის დარჩენას უნდა გადაჩვეოდა ქართველი კაცი. დიდი ქალაქები, ციხეები, ეკლესია-მონასტრები, ხიდები, გზები, ქსენონები, ფუნდუკები... უამრავი რამ იყო ასაშენებელი.

რაოდენი! — შიგადაშიგ საგანგებოდ იხმობს ამ სიტყვას დავითის ისტორიკოსი და მოიხმობს მაშინაც, როდესაც სწორედ შენებასა და შრომაზე ლაპარაკობს. რაოდენი ეკლესია, რაოდენი ტაძარი, რაოდენი შენებულობა, რაოდენი ქსენონი, რაოდენი ხიდი და ფუნდუკი... შრომისა და დასვენების კულტურა დროის დაუკარგავად... იგი, როგორც მთლიანი პროცე-

სი, იხმობდა, წინაუძღოდა დიდ ბრძოლებთან ერთად ქარ-თველი კაცის უკეთეს თვისებებს, ეძებდა და აღმოაჩენდა მის ბუნებაში ღრმად დაფლულ ნიშნებს, შესაძლებლობებს, აქამდე თავუჩენელ და სინამდვილეში მკვიდრად მსხდომ სა-უცხოო თვისებებს. ეროვნული ხასიათის რეზერვები ჩნდე-ბოდა თითქოს, მასები ამოჰქონდა სულის სიღრმიდან, მოდი-ოდა ის საუცხოო სიკეთენი სულისა, გადაქცევადა, წაშლიდა უჟამობის დროს აფოფინებულ ნიშნებს და თავად იღვწოდა.

დიდი მეომარი, დაუღალავი მშრომელი, რაინდობითა და სათნოებით გაჟღენთილი სახალხო ენერგია თავის კუთვნილ სივრცეზე განეფინებოდა.

• • •

დავით აღმაშენებლის პიროვნება სიცოცხლეშივე გახდა ახლო და შორეული ქვეყნების საგანგებო ფიქრის საგანი. ახლახან ახალგაზრდა მეცნიერმა თენგიზ ბურჭულაძემ კრე-ბულ „რიწაში“ დასტამბულ წერილით — „დავით აღმაშენე-ბელი და გრაალის რაინდები“ კიდევ ერთხელ შეგვახსენა ევროპაში გავრცელებული ლეგენდა დიდი იოანეს შესახებ. დიდ იოანედ ცნობილი აღმაშენებლის პიროვნება ევროპულ მისიონერებისა და მკვლევარების მიერ მიჩნეულია მესიის მახვილის მპყრობელ ადამიანად. ქართველი ისტორიკოსები ადრე ასევე საგანგებოდ შეეხენ აღნიშნულ საკითხს. და იგი მართლაც უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. მისი საბოლოო გარ-კვევის შემდეგ უფრო ნათლად გამოჩნდება ის დიდი ისტო-რიული მისია, რაც საქართველოსა და მის უძლეველ წინა-მძღოლს ეკისრებოდა იმ დროს. ვინც ჯვაროსნების, ბიზანტი-ელების და აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროს მდგომარე-ობას საგანგებოდ დაუკვირდება, მისთვის მოულოდნელი და დაუჯერებელი არ იქნება დიდი იოანეს ისტორია. სახელმა შორს გააღწია, მოგზაურებმა და ისტორიკოსებმა მაინც მიაწ-ვდინეს ევროპის მზერა დავით აღმაშენებლის საქართველოს და შეაძლებინეს დაენახათ მესიანური ნათელის მოძრაობა.

უსაზღვროდ მტკიცე საფუძველი აქვს თენგიზ ბურჭულაძის ამ დასკვნას. „ვუბრუნდებით რა „მეფე დავით-იოანე ხუცე-სის“ პიროვნების იდენტურობის საკითხს, მეფე დავითისა და მეტადრე — ტამპლიერთა ეზოტერული ურთიერთობის კავ-შირს, გელათის ქედლის მხატვრობის სიმბოლიკას, მეტამთე-

ტამპლიერთა მიერ გრაალის ევროპაში გადატანის ისტორიას, ჩვენ ვდგავართ იმ პოზიციაზე და მომხრენი ვართ იმ აზრისა, რომ, რენესანსის, როგორც ქრისტიანული კულტურის განახლების პროცესის, ერთ-ერთ წინამორბედად უნდა ჩაითვალოს დავით იოანე და გელათის ეზოტერული გარემო, რომლის სულიერ ატმოსფეროში ცხოველმყოფელობდა გრაალი და რომლის კვალი ამ ურთიერთობის ერთ-ერთ საიდუმლოს ინახავს. საქართველო აელებდა ახალ მიჯნას წინამორბედ და მომავალ ეპოქებს შორის, იგი ამ კულტურათა შემაერთებელი ცისარტყელის ქვეშ იდგა, ამის გამო ევროპელთა წარმოდგენაში „დავით მეფე“ იწოდა „იოანედ“.

ტერმინი „იოანეს“ გენეზისი მომდინარეობს ახალი აღთქმის წიგნებიდან. იოანე მახარობელი დგას ძველსა და ახლის საზღვარზე და ქადაგებს მოახლოებულ ქრისტიანულ კულტურას, ხოლო ლაზარე-იოანე ღვთისმეტყველი, მომავლის მაუწყებელ დასურათხატებას იძლევა“.

დიდი საგნის კვლევას დაჟინებული და უწყვეტი მართვა უნდა. ყველაზე ნათელ სიმართლესაც კი ისევ ევროპელთა საბუთებით შვენის დადასტურება, რათა ჩვენი სამართლიანი ეროვნული სურვილი ისტორიული ჭეშმარიტების დადგენას მოემსახუროს. თავად ჩვენთვის კი ამ მოსაზრებაში დიდი ხიდია გადებული წარსულსა და აწმყოს შორის, რომელზეც, თუ კარგად დავაკვირდებით, შესუსტდა, მაგრამ არ შეწყვეტილა თვით დაცემის საუკუნეებშიც კი „საშვენი ხვედრის“ მაძიებელი ქართული სულის დინება.

* * *

ამ დიდი ბრძოლისა და შრომის ჭსოვილიდან თანდათან იკვეთებოდა ქართველი ხალხის ისტორიული მისია. დავით აღმაშენებელს კარგად ესმოდა, რომ ამ მისიის გარეშე მისი ერის მოძრაობა არასოდეს არ იქნებოდა სრულფასოვანი, სხვათათვის ღირებული. ამ მისიის გარეშე ვერაფერი შეადუღაბებდა ძვირფას ეროვნულ ღირსებებს, ხალხის სახეზე ზრუნვას არავითარი აზრი არ ექნებოდა.

ყველაფერი გაკეთდა საამისოდ, რომ ხალხს მართლაც ჰქონოდა სხვა ასპარეზი და დანიშნულება ცის ქვეშ. საქართველო უნდა ყოფილიყო ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი ბურჯი აღმოსავლეთში — „ახალი ათინით, ახალი იერუსალი-

მით — გელათით". დასუსტებული ბიზანტიის მდგომარეობა უფრო გარკვეულად წარმოაჩენდა „ახალი ათინის" მაღალ დანიშნულებას. ქრისტიანული სამყაროს სახელით აღმოსავლეთში საქართველო სამართლიანობის დამცველი ხდებოდა კაცთა და სახელმწიფოთა შორის. ამ სამართლიანობის მოთხოვნებს არავითარ ანგარიშს არ უწევდა თურქ-სელჩუკთა სისხლისმიერი წარღვნა, ისტორიული კატასტროფის სუნთქვა რომ მოსდევდა თან. საქართველოს საერთაშორისო სამართლიანობის ბალანსი უნდა აღედგინა აღმოსავლეთში და დაეცვა არა მარტო საკუთრივ თავისი ინტერესები, არამედ ქრისტიანული ქვეყნების ინტერესებიც. მთელ ამ მისიას თავიდან ბოლომდე სამართლიანობის შეუვალი ლოგიკა მართავდა და ამ მიზნით იმსჭვალებოდა დღითიდღე მთელი ქვეყანა. განუწყვეტელი წვრთნისა და კონტროლის სისტემა თანდათან ნათდებოდა ამაღლებული იდეებით, თანდათან გასაგები ხდებოდა, რას ქმნიდა დავითი და მისი ხალხი.

არ უნდა წარმოვიდგინოთ იდეალური, უნაკლო მდგომარეობა, სწორედ დავით მეფე არ უშვებდა ამ ფიქრს. მარადიული სიფხიზლეც ამიტომ მოიხმო. იგივე დიდებული თვისებები სადღაც ჩაიმქრეოდნენ, თუ ის სიფხიზლე და მარად დიდი მიზნისაკენ ლტოლვის სურვილი არა, კვლავ იმ დაქცეულ ქვეყნად მოგვევლინებოდა საქართველო მარად მზადყოფნის გარეშე. დავითის საქართველოშიც ხდებოდა ცუდი ამბები... ამოდენა ქვეყანაში რაიმე არ მოხდეს, შეუძლებელია, მაგრამ მინიმუმამდეა შემცირებული მათი რაოდენობა, ღალატის ფენომენი სულ ამოიკვეთა. ამ მისწრაფებამ მარტოოდენ ქირდვასა და კილვას შეაფარა თავი, „მეფისა მაბრალობელნი" რომ დაახასიათა ისტორიკოსმა და მათი სიტყვები მოიტანა, აი იმ ღალატის თავშესაფარი. მათ სხვა არაფერი შეუძლიათ ქირდვისა და კილვის გარდა. მაგრამ რაოდენ მძაფრიც არ უნდა ყოფილიყო ეს ქირდვა და კილვა, იგი მაინც ენამწარობა იყო და ღალატის ფაქტში გამჟღავნება არ ღირსებია. „არა მოაცალეს" ამისათვის! „არა ესრეთ, არა!" — ყოფას, ქცევას, მოძრაობას, ქმედებას დარაჯობდა აღმაშენებლის ლახვარივით ალესილი სიტყვები და ქართველ კაცს თავმინებებული ყოფნისაკენ გახედვას უშლიდა.

საზღვრიდან საზღვრამდე გაიჭედა საქართველო თავისუფლებისმოყვარე სულით, გაიჭედა სამხედრო ოპერაციების მაგალითებით, დაუჯერებელი გამარჯვებებით, პოლიტიკური ცხოვრების სისხლსავსე ამინდით, სულიერი და ფიზიკური პოტენციით, აღშენების დაუცხომელი პროცესით, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ფორმებით, დიდი ეროვნული მისიით. მხოლოდ ასეთ საქართველოს შეეძლო ღირსეული არსებობა ამქვეყნად, რაც მთავარია, მას შეუძლია მისთვის „საშვენი ხვედრი" მოიძიოს. მხოლოდ ასეთი, ცხოვრების მხოლოდ ასეთი შინაარსი, ქცევა, ჩვევა, მოძრაობა არის სწორედ ქართული. მხოლოდ ასეთი მოქმედი და მუდმივმოძრავი ბუნებაა მისი სწორი გამოხატულება, დაუმახინჯებელი და სრულფასოვანი. მას შეუძლია ასე ღირსეული არსებობა და მოვალეა ასე იარსებოს. გეოგრაფიული და ისტორიული პოზიციების განსაკუთრებულობა დიდი ბრძოლისა და დიდი შრომის დაკანონებას ითხოვს მის ხასიათში, ეს მისი ხომალდის სამართავი საქმეა.

* * *

დავით აღმაშენებლის მოქმედებისა და ღვაწლის, შემართებისა და ბრძოლის სული შესაფერისად რომ შეიცნო, აუცილებელია წაიკითხო უამრავი მოვლენის არსი, დააკვირდე ურიცხვ დეტალს, მაგრამ განსაკუთრებულ დაკვირვებას ითხოვს მისი ცხოვრების ბოლო ოთხი წელიწადი. ამ წლების ზეადამიანური რიტმი მართლაც ამოიზარდა ადრე ყოფილისაგან, იმის წიაღიდან, რასაც თავად აღმაშენებელმა ჩაუდგა გოლიათური სული 1120 წლამდე. ზეამოცანაც მანამდე გაწხორციელებული ურთულესი გეგმების წიაღიდან იშვა.

მას შემდეგ, რაც მუდმივი ლაშქრის მოწესრიგებას მორჩა (1120 წ), როდესაც პატრონყმური ლაშქრის მოკრებასთან დაკავშირებული სირთულეები მოიხსნა, როდესაც დიდი საქართველოს შემქმნელი ქართული ლაშქარი თავის კერას დაუბრუნდა, დავითისათვის თითქოს მოსვენებული ცხოვრება უნდა დაწყებულიყო. მაგრამ მიღწეულმა რიტმმა რომ ახალი რიტმი დაბადა, მიღწეულ მიზნებზე რომ ახალი ზეამოცანა წამოიმარ-

თა და იმ ზეამოცანამ ძალების არნახული დაძაბვა რომ გამოიწვია, ჩვენ ეს დავინახეთ. დავითის პროგრამა თითქოს კი არ განესრულება. თავდაპირველად მონიშნული საქმეების გაკეთებით, არამედ იზრდება ყოველი დიდი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, ახალ-ახალი სივრცეები იხსნება. გარკვეული სიმაღლეების შემდეგ ჩნდება ის გადასახედი, საიდანაც ილანდება მომავალში მოსახდენი მოვლენების კონტურები. და ის დიდი მოვლენები რომ სწორედ მის სიცოცხლეში უნდა მოესწროს, ამის განცდამ შესაძლოა სუნთქვა შეგვიკრას. თითქოს ჩვენზე უკეთ იცოდა, რომ მალე ალესრულებოდა. ხოლო ამ რიგის მოვლენები სწორედ მისი მოსახდენი იყო. ტრაექტორია, რომელიც მისმა ღონისძიებებმა აიღო დასაწყისში, აქეთ სვლას გულისხმობდა, დასახული გეგმების აღსრულებაზე დაფუძნებულ ახალ გეგმებს. იმ დასაწყისში იყო დაწნეხილი შორს გამიზნული შინაგანი მზერა და ჩაუწვდომელი მიზნები. მის სიცოცხლეშივე უნდა მოესწროს! და მის სიცოცხლეშივე მოსახდენი მოვლენების სიძნელემ, სირთულემ და სიდიადემ ააფეთქა თითქოს მასში მღვიძარი ქარიშხალი.

„განიცადეთღა ოთხთა ამათ წელთა ქმნილნი მისნი“ — თავად გაოცებული მიგვახედებს ისტორიკოსი ამ მოვლენისაკენ. სხვა არის ეს დაძახილი ქართველი კაცისთვის და მისკენ გულისყურით მიბრუნება მას უბრალოდ ევალება. ეს ოთხი წელი დახურულ სალაროსავით არის, სადაც ფეთქებადი ენერგიის გაუხსნელი მარაგი მარხია. საქვეყნოა იგი, მისი უკეთესი ფორმაა და სამუდამოდ ავალებს ღირსეულ ყოფნას, რადგან მან ასეთი ყოფნა შეიძლო, ეს ბოლო ოთხი წელი ერის შესაძლებლობების გამზომავი ბარომეტრია, გაღვიძებული სინამდვილეა, რასაც ფლობდა და ამიტომ უფლება არ აქვს ოდესმე დაიწუწუნოს უღონობა და მიზანთა სიმწირე. „განიცადეთღა ოთხთა ამათ წელთა ქმნილნი მისნი“ — იმ დროს თანამედროვეებს მიახედებდა ისტორიკოსი აღმაშენებლის საქმეებისკენ. მერე და მერე სხვა შინაარსი შეიძინა ამ სიტყვებმა; ძველი საქართველოს დროები, საუკუნეები, ეპოქები გარსებად ეფინებოდა ზედ, ქვეყნისა და ერის არსთაგანი ხდებოდა, ქართველი ხალხის ისტორიული მოძრაობის გულისგულში ექცეოდა, ატომივით შეიკრა და განივთდა. ამ არსის წაკითხვის შემდეგ,

ამ „ატომის“ გადახსნისა და ამოკითხვის შემდეგ ხდება შესაძლებელი ბოლომდე დავინახოთ ქვეყნის ხვედრი, მოპოვებული და დათმობილი სიმაღლეები, შემართებისა და დაცემის საუკუნეები, მიზეზები და შედეგები, დავინახოთ რა მოეთხოვება, რაკი ვიცით რა ძალუძდა მას.

ის წლები კი, ის ახალი რიტმითა და ზეამოცანით დატვირთული წლები გვავალებს მისთვის შესაფერისი დაძაბულობით ვადევნოთ თვალი უჩვეულო მიმართულებებს.

ჩვენ დავინახეთ 1121-1122 წლების მოვლენები, განხორციელებულ ოპერაციათა რაოდენობა და მასშტაბები, „დაუცადებელი“ მანევრირება, რასაც ისტორიკოსი „გარდასვლას“ უწოდებს. გარდავიდის ქუთაისს, ბიშვინთას, აჭარას, ბასიანს... ფაქტების, საქმეების, ბრძოლების იშვიათი ინტენსივობა, — საქართველოს მიწაზე ავარდნილი გრიგალები... მის ალშია გახვეული დავით აღმაშენებლისა და მისი ხალხის სული და სხეული, ამ ისტორიული მოძრაობის თავადშემოქმედი და წარმმართველი ენერგიის უკანასკნელ რეზერვსაც არ ზოგავს, მთლად მოქმედებად გარდასახული დგას უჩინარ სახესთან, სხეულის ყველა უჯრედი უკიდურესობამდეა დაძაბული, ხოლო ფიქრი, შეისრუტავს ურიცხვ საგანს და აზრს, რათა გამორიცხოს შეცდომა და ბოლომდე განასრულოს ისტორიული მისია. დიდგორის ბრძოლით უმთავრესია მიღწეული — თურქ-სელჩუკთა ისტორიულმა მოძრაობამ პირი იბრუნა საქართველოსგან, სისხლისმიერი მისწრაფებანი დაეთრგუნა, ამოიკვეთა საქართველოში დამკვიდრების მიზანი ფიქრიდან, ლიხის მთის გაპობისა და დიდგორის მასშტაბური ბრძოლის შემდეგ მტრის წინაშე დგას ქართველი ერი მისთვის „საშვენი ხვედრითა“ და სულიერი სამყაროთი, თითქოს განგების ხელით დახვეწილი, თითით საჩვენებელი წესიერების, პატიოსნების, რაინდობის განსახიერებაა..

• • •

მხოლოდ სახელმწიფოს საზღვრების დაცვით ვერ განესრულება საქმე. გარემომცველი მაჰმადიანური სამყარო ვნებებს ასე იოლად ვერ დაიოკებს. ამიერკავკასიის ქრისტიანი

სალხების სრული კონსოლიდაციისა და აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროს გაერთიანებისათვის აუცილებელია საქართველო უფრო მყარად იდგეს საკუთარ ნიადაგზე. ამ გზით თუ დამყარდება სასურველი წონასწორობა აღმოსავლეთში. მკვიდრი უნდა ყოფილიყო სიმტკიცის არეალი. ამ არეალში ექცეოდა, დიდი ხანია, შირვანის სამეფო!

თურქ-სელჩუკებმა კი დიდგორის შემდეგ თვალნათლივ დაინახეს მათი გეგმების დაღუპვა, საკუთარი თვალით იხილეს დავით აღმაშენებლის საქართველოს სიდიადე და ძლიერება. მაგრამ ეს ყოველი სრულებითაც არ ნიშნავდა საქართველოსათვის სამუდამო მშვიდობის გარანტიას. პირიქით, სხვა რამეზე მეტყველებდა! ქვეყანა სულ მზად უნდა ყოფილიყო, თუ სურდა კუთვნილი სიმაღლე არ დაეკარგა. ისტორიული სიტუაციები ელასტიური და ვერაგია, მას მუდმივი მეთვალყურეობა სჭირდება, რადგან მტერი, მით უმეტეს დამარცხებული მტერი, გაფაციცებით ეძებს და პირველსავე ხელსაყრელ ჟამს იყენებს, ამიტომ სულთნის შემოვლითი ლაშქრობა საქსებით გასაგებია. დიდგორის შემდეგ საქართველოსკენ წამოსვლას ის ვერ ბედავს, მაგრამ საქართველოს მოკავშირე შირვანის დაპყრობით სურს დაავიწროვოს ის არეალი, რაც საქართველოს თაოსნობით ასე განმტკიცებული ჩანს. და, აი, შირვანის ოპერაციაც:

„და მეორესა წელსა მოვიდა სულტანი შარვანს, შეიპყრა შარვანშა, აიღო შამახია და მოგზავნა მოციქული მეფისა წინაშე და მოუწერა წიგნი და მორქუა, ვითარმედ: „შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა; ხოლო მე ესე-რა შარვანშა შევიპყარ ხელთა და ხარაჯასა ვითხოვ; შენ თუ გენებოს, ძღუენი ჯეროვანი გამოგზავნე, და თუ გინდა სამალავთათ გამოვედ და მნახე". ხოლო ესმა რა ესე მეფესა, მსწრაფლ ხმა უყო ყოველთა სპათა მისთა, და ბრძანებასავე მისსა თანა მოვიდეს წინაშე მისსა ყოველნი სამეფოსა მისისანი. და წარემართა სულტანსა ზედა, და ყივჩაყნი ოდენ აღთუალულ იყვნენ მაშინ, და იყო შემბმელი კაცი ორმოცდაათი ათასი. და ეუწყა რა სულტანსა ზედა-მისლვა და ძალი და სიმრავლე სპათა მისთა, და განკრთა, აიყარა ველთათ, სადა დგა, და მსწრაფლ შეევიდა ქალაქად და გარემოიზღუდა,

ერთ-კერძო სხრტითა და ხახდაკებითა, და სხუათ-კერძო ზღუდითა ქალაქისა შამახიისათა, ხოლო ცნა რა ესე მეფემან, არღარა ჯერ უჩნდა ზედა მისლვა მლტოლვარისა, არამედ დავარდა მიწასა ზედა და მადლობა შეწირა ღმრთისა სახიერისა და კაცთ-მოყუარისა და ადგილობანსა დადგა.

მაშინ სულტანმან მრავალთა მიერ ვედრებითა და ძღუენთა და მუდარითთა შეთულილობითა, ვითარცა მონამან ჴირვეულმან, არღა ძღუენი ანუ ომნი ითხოვნა, არამედ გზა სამლტოლვარო, ფრიად რამე სიმდაბლით და არა სულტანურად, შეიწრებულმან შიმშილითა და წყურილითა მრავალ დღე".

ვერც ერთი სამხედრო ოპერაცია ვერ მოუგო სულთანმა დავით აღმაშენებელს. მისი რწმენა კი მთლიანად განადგურდა დიდგორის ომში. ამ ოპერაციების ნაწილი გაშლილ ველზეც განხორციელდა. მაგრამ, ცხადია, დავით აღმაშენებელი უმეტესად საქართველოს მთაგორიან და ტყით დაფარულ ადგილებს იყენებდა ტაქტიკისათვის, მოხერხებულად იმარჯვებდა რელიეფს ბრძოლის მიმდინარეობისას. მტრულ გარემოცვაში გავრცელებული იყო ხმა, რომ მიუვალ ადგილებში დაბანაკებულ ქართველებს ვერაფერს ვუხერხებთო. დიახ, ასე თქმა ხელს აძლევდა მტერს, რაღაცისთვის უნდა ამოეფარებინა თავისი უძლურება, არ უნდა ეღიარებინა თავისი სისუსტე და აღმაშენებლის მხედართმთავრული გენიალობა. ამიტომ სულ სამალავი და მთა-გორები ეკერა ენაზე. არაერთგზის რომ აღხოცა მტრის ბანაკი დავითის ლაშქარმა სწორედ მტკვრის სანაპიროზე, ეს თითქოს არაფერი, თითქოს მხოლოდ ტყეში იყო დავითი ძლიერი, თითქოს სამალავში ჩანდა მოუხელთებელი. ეტყობა, ასეთი ხმა სულთანმა საგანგებოდ დაამუშავა დიდგორის შემდეგ. თურქ-სელჩუკთა გაცამტვერებულ პრესტიჟს შეკოწიწება ესაჭიროებოდა ამიტომ მარტო მოციქულთათვის არ დაუბარებია ის სიტყვები „შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა"... ეს სულთნის მიერ მთელ მის სამფლობელოში დარხეული აზრია, რათა დააკნინოს აღმაშენებლის წარმატებანი, ასე დამთრგუნველი თავისი ჰეშმარიტი შინაარსით; ასეთი ხმის გავრცელება რწმენის აღორძინებასაც ემსახურება — სულთნის დაბეჩავებული მრევლი ცახცახებდა აღმაშენებლის ლაშქრის მოლოდინში. დავით მე-

ფემ უმალ იგრძნო შემოთვლილ სიტყვებში ჩადებული აზრის მიმართულება, მისი გამიზნულობა: — „შენ ტყეთა მეფე ხარ და ვეროდეს გამოხვალ ველთა...“ ე. ი. თვითონ სულთნისთვის ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ სიტყვებს, გონივრულად იყო იგი მოფიქრებული და საქართველოს სამხედრო ძლიერების ზარგანხდენილი პრესტიჟის განელებას ისახავდა მიზნად.

აღმაშენებელი გრძნობდა სწორედ ამ შინაარსს, რადგან მისმა საპასუხო რეაქციამ დაგვანახა სულთნის სიტყვების შორსგამიზნულობა. მოპოვებული ისტორიული მდგომარეობის გაქვავება შეუძლებელია, მას ან ინარჩუნებ და განამტკიცებ, ან ასუსტებ და კარგავ. დავითი დარწმუნდა, რომ დიდგორის შეხვედრამ არა მარტო შეასრულა თავისი მისია, არამედ სამომავლო ქმედების მასშტაბები უკარნახა ერს. სახელმწიფოებრივი ინტერესების სფერო კი თავის თავში იქცევდა ზემოთ მითითებულ არეალის ქვეყნებს, ტერიტორიებს, პლაცდარმებს, ახალ მტრულ შეხვედრებს. ახლა მოქმედებათა რადიუსი გრძელდებოდა და მეტ ინტენსიობას ავალებდა მოქმედებას — მეფე ყოფილიყო დროზე იქ, სადაც საქმე საჭიროება, ოპერაცია განხორციელებულიყო იქდენი და იმ მასშტაბისა, რასაც ეს დიდი მიზანი ითხოვდა... და ისევ ავარდა მას სულში ქარიშხალი და კიდევ აზრი, რომ მას ჩამუხლვა და დასვენება არ უწერია. ის ყველგან და ყველაფერში უნდა ყოფილიყო. ფაქტიურად ჭროლვაში გადამღნარი მოქმედებაა ის რიცხვგანუსაზღვრავი საქმე, ბრძოლა და მოვლენა, გამოიელის თუ გამოანგრევს ამ მოვლენების ჯაჭვანს და გამოდის ახალ სამიზნეს დამუქრებული. ჭროლვაშია გამდნარი მისი ფიქრიც და ეს ფიქრი და მოქმედება ისეა ერთმანეთში განსხირპული, თითქოს პირველი მეორეს ასწრაფებდეს, მეორე — პირველს! „მსწრაფლ ხმა უყო ყოველთა სპათა მისთა, და ბრძანებასავე მისსა თანა მოვიდეს წინაშე მისსა ყოველნი სამეფოსა მისისანი“. დავითმა იცის, რომ სწორედ ველზე უნდა გაუმართოს დუელი სულთანს, რაკი ველზე ურიცხვი ბანაკის განადგურება „დაივიწყეს“, სულთნის სიტყვებზე უნდა გასწორდეს ანგარიში, მთელმა მისმა ქვეშევრდომმა სამყარომ უნდა დაინახოს, როგორია დავით აღმაშენებლის ლაშქარი ველზე, ეს უკანასკნელი არგუმენტიც უნდა მიუმსხვრიოს.

აღმაშენებლის მისვლა და სულთნის „განკრთომა, აყრა“ და სწორედ ველიდან გაქცევა ერთი იყოს იგი ქალაქ შამახიაში გამაგრდა. ერთი ბრძოლაც ვერ გამართა, ბედიც კი ვერ სცადა. მას შეჰყურებდა მთელი სამკვიდრო, აქამდე დარწმუნებული სულთნის ძლიერებასა და გონიერებაში. და აი, „ტყეთა მეფე“ ველზეც უძლეველი აღმოჩნდა. ერთმანეთის მიყოლებით აღსდგა მტრის ცნობიერებაში ის დამარცხებანი, რაც სწორედ ველზე არგუნა დავითის ლაშქარმა მას ამ ოცდაათ წლის განმავლობაში, ერთმანეთს დაუკავშირა ფაქტები და შეიკრა სრული სურათი, ცხადად გამოიკვეთა ფუჭი იმედების კოშკი და იქვე დაიშალა კიდეც.

მეფემ ამჯერად ქალაქზე არ ილაშქრა. ქართული და უცხოური წყაროების შეჯერებით ირკვევა, რომ სულთნის გაქცევისა და ქალაქში გამაგრების შემდეგ მეფემ ალყა შემოარტყა შამახიას, ეტყობა იერიშისათვის ემზადებოდა, მაგრამ, ჩანს, ყივჩაღებსა და ქართველებს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა. ამ უთანხმოების მოუგვარებლად ქალაქზე ლაშქრობა არ შეიძლებოდა. მაგრამ სულთანს აღარაფერი არ შეელოდა, იგი უბრალოდ ლაშქრიანად ამოქლეტას გადარჩა ამჯერად. შიმშილითა და წყურვილით შეწუხებულმა ვერც ომი გაბედა და ვერც ძღვენი ითხოვა, „არამედ გზა სამლტოლვარო, ფრიად რამე სიმდაბლით და არა სულტანურად“... ეს იყო სულთნის პოლიტიკისა და სამხედრო ხელოვნების სრული კრახი, პრესტიჟის საბოლოო დამხობა. მეფე შამახიაზე ამჯერად იერიშით არ მივიდა, თუმცა ჩანს, რომ ყივჩაღ-ქართველთა უთანხმოება მას მსწრაფლ მოუგვარებია და სამხედრო ოპერაციებიც გაუხორციელებია შამახიის მიდამოებში.

სულთნის გაქცევის დღეს, „სამლტოლვარო“ გზის თხოვნაში რომ იყო, მოხდა საყურადღებო ფაქტი.

„მასვე დღესა სულტანსა წინაშე მიმავალი ათაბაგი რანისა აღსუნღული, ძალითა მრავლითა, მოსრეს მონათა მეფისათა ვითარ ოთხი ათასი კაცი, და იგი ოდენ მარტო მეოტი ძალით მივიდა სულტანსა წინაშე, იხილა რა ესე სულტანმან, მასვე ღამესა გაიპარა და სასდუნით მეოტი სხვა გზით წარვიდა სოფლად თვისად. და ესრეთ ძლევა-შემოსილი და მმადლობელი ღმრთისა შემოიქცა მეფე“.

როგორც გარკვევით ჩანს, რანის ათაბაგი აღსუნღული სულთნის დასახმარებლად მოეშურებოდა დიდძალი ლაშქრითურთ. შამახიაში გამომწყვდეული სულთანი, ცხადია, შიკრიკს შიკრიკზე აფრენდა, მას შამახიიდან უვნებლად გასვლა სურდა, თორემ არაფრიდან არ ჩანს, რომ აღმაშენებელთან შებრძოლების სურვილი ჰქონდეს შერჩენილი. იგი სულთანია, დიდად სახელგანთქმული და ზარდამცემი, ახლა ოპერაციის ასე სამარცხვინოდ დასრულება არ უნდა, დავითთან გამართული მოლაპარაკებაც მოწმობს, რომ ასე უჯობს—თანაბარ პირობებში დადებულ ზავს არ ემგვანება, მაგრამ არც მთლად სამარცხვინოდ აღიქმება, დროებით უკან დახევას, ტაქტიკურ სვლას დაემგვანება მოლაპარაკება. მაგრამ რანის ათაბაგის ლაშქრის ამოწყვეტამ (ოთხი ათასი კაცი გაუჟლიტეს ქართველებმა) ყველაფერი გამოააშკარავა. ღირსეულად გაცლის უკანასკნელი იმედიც დაიღუპა. სულთანი ღამით გაიპარა შამახიიდან და სულ სხვა გზით დაბრუნდა თავის ქვეყანაში. გაირკვა ყველაფერი — აღმაშენებელი დაუმარცხებელია, ერთადერთი იმედი რჩებათ — თვითონ დავით მეფე არ გადმოვიდეს შეტევაზე, კარს არ მოადგეთ!..

„და მცირედთა დღეთა განისუენა ამთენს“... ჩვენს წინაშე თანდათან გამოიკვეთება ამ სიტყვების არსი — ეს „მცირედთა დღეთა განსუენება“ რამდენგზის და რა დატვირთვით იღვწის მისი მოღვაწეობის გზაზე, ამის ნათელყოფა მხოლოდ ბოლოს თუ მოხერხდება, ჯერ იგი თითქოს შიგნიდან უბიძგებს მოვლენების მიმართულებას, სწორედ ეს „მცირედთა დღეთა განსუენებაა“ ნიღაბი იმ მოუსვენრობისა, ყოველი მიმართულებით რომ ამოძრავებს ფიქრს.

სივრცე და მასშტაბები საერთოდ თანმხლები ცნებებია აღმაშენებლის მოქმედებისა და ღვაწლისათვის. ეს გადასვლა-გადაფრენა, ეს მისვლა-მოსვლა, ეს მიხდომა, ეს უგრძნეულობა, ეს ერთი მხარიდან მეორეში შეჭრა სულ წინ უძღვის მის გეგმებს. მაგრამ უჩვეულოდ მატულობს ამ სივრცეთა რაოდენობა, — მხარეების ადგილს ქვეყნები იჭერენ! ერთი ქვეყნის ასპარეზს ქვეყნიერების არეალი იკავებს. მარტოოდენ ერთი ბატარა აბზაცის შიგნით მოქცეული სივრცე გავჩხრიკოთ ჯერჯერობით:

„და მეორესა თუესა იენისსა, კუალად წარვიდა შარვანს, აღიღო გულისტანი, სახლი თავადი შარვანისა, სიცხეთა მათ საშინელთა, მოირთო შარვანი და აღავსნა კეთილთა ყოველნი მორჩილნი ბრძანებათა მისთანი. წარმოვიდა ქართლად. ხოლო სთუელთა გადავიდა გეგუთს, ინადირა, განისუენა, განაგო მანდაური ყოველ, და მარტსა გარდმოვიდა ქართლად, და აღიღო ქალაქი დმანისი. და აპრილსა დაესხნეს შაბურანს, დარუბანდელსა, და მოსწყვიდნეს ქურდნი, ლეკნი და ყივჩაღნი დარუბანდელისანი და აღისუნეს შარვანისა ციხენი ღასანნი და ხოზაონდი და მიმდგომი მათი ქუეყანა“.

დააკვირდით შარვანის განუწყვეტლივ ექსპედიციებს. ე. წ. ფორპოსტის შინაარსს ატარებს იგი იმ არეალისათვის, რასაც საქართველოს პოლიტიკურმა აზრმა გაადევნა მზერა და მოაქცია თავისი უთუო გავლენის ქვეშ. ეს ერთად დგომის აზრია საინტერესო. სხვაგვარად გამორიცხულია სვებედნიერობა ამ არეალში მოქცეული ქვეყნებისათვის. ამიერკავკასიის ძალთა გაერთიანება გულისხმობს ერთმანეთზე მუდმივ ფიქრს და საერთო ინტერესებისათვის სამსახურს. ის საერთო ინტერესი დავითის ღონისძიებებმა გამოკვეთა, მისმა საყოველთაო საქმიანობამ. ახლა ყველა ხედავდა მას, დიდგორის ბრძოლის შემდეგ პირდაპირ აკაშკაშდა ის ერთად დგომის აუცილებლობა. ამიტომ „აღავსნა კეთილითა ყოველნი მორჩილნი ბრძანებათა მისთანი“. ეს უკვე შირვანთან დამოკიდებულების ტრადიციაა. ცხადია, შირვანში ეურჩებიან კიდეც, ამიტომ შეიქმნა საჭირო დემეტრე უფლისწულის საგანგებო გამოლაშქრება 1117 წელს. მაგრამ შირვანი მორჩილი და ერთგული ხალხით არის ამავე დროს სავსე და აი, მათ მიმართ გვეელინება მეფე ესოდენ ხელგაშლილი. ახალები აღებულია, დასასჯელი დასჯილია. თანაც ეს ოპერაცია „საშინელ სიცხეში“ განხორციელდა. საქართველოს ლაშქარი გაწვრთნილია ყოველი მდგომარეობისათვის, არც ზამთარი აკავებს, არც ზაფხულის პაპანაქება სიცხე. ზაფხულის ოპერაცია გასრულდა თუ არა შირვანში, მეფე ქართლში დაბრუნდა და სთვლობისას გეგუთში გადავიდა. მცირეოდენი განისვენა და ინადირა, მაგრამ უფრო საქმე აქეთა („განაგო მანდაური ყოველი“). ისევ და ისევ სამხედრო მოქმედებათა ელვარე ზედაპირი იტაცებს მზე-

რას, თორემ რა გარჯა სჭირდება „ყოველი მანდაური საქმის“ მოგვარებას, მკითხველისათვის ამის ახსნა ზედმეტი მეჩვენება, თანაც ისეთ მოგვარებას, დავითს რომ სჩვეოდა.

მარტში მეფე ისევ ქართლში გადმოვიდა და დმანისი აიღო. 1123 წელია. ერთი დმანის-ქალაქი იყო დარჩენილი დამოუკიდებელი მმართველობით. ვითომ დამოუკიდებელი, თორემ თბილისის აღების შემდეგ ყველა სასიცოცხლო არხი გადაჭრილი ჰქონდა. საქართველოს კუთვნილი ყოველი მტკაველი მიწა ხალხს დაუბრუნდა.

დმანისის აღებამ თითქოს სრულად გაუხსნა ხელ-ფეხი ქვეყნის სამხედრო პოტენციას. თვალი უფრო ხშირად ინაცვლებს საზღვრებისაკენ — ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით. ყოველი მიმართულებით მოძრაობს პოლიტიკური აზრი, პოლიტიკური ხედვა მეთვალყურეობს ყველა კალაპოტს, რომელშიც ხვალ შესაძლოა, მტრის ადიდებული მდინარე გადმოეშვას. დმანისის აღების შემდეგ უპირველესი ოპერაცია ჩრდილოეთით განხორციელდა. აპრილში დარუბანდი დალაშქრა აღმაშენებელმა. დარუბანდი ითქმის, თორემ ერთი კუთხე არ ჩანს მარტოოდენ მოქმედების ასპარეზად, რადგან „მოსწყვიდნეს ქურდნი, ლეკნი და ყივჩაღნი დარუბანდელისანი“. არ ჩანს, გარკვევით, შეერთებული ლაშქარია „ქურდნის, ლეკნის ანდა ყივჩაღებისა“ თუ ცალ-ცალკე დაამარცხეს ისინი. „მხოლოდღა კნინი წარმოვთქვითო“, ისტორიკოსი რომ იტყვის, აქ ჩანს, ამ კნინღა წარმოთქმულის კვალი. „ლეკნი, ყივჩაღნი და ქურდნი“ ერთად კია დახატებული, მაგრამ ფაქტია, რომ ყველასთან მივიდა გულსრულად საქართველოს ლაშქარი და იბრძოლა. რამ განაპირობა ეს ოპერაცია? ჩრდილოელი მეზობლების თავდადრეკილი დგომა რომ არ გამოიწვევდა ამ ბრძოლას, ეს ცხადი უნდა იყოს. არ უსვენებდნენ საქართველოს საზღვრებს, იმ საზღვრებზე მოსახლე ქართველობას, განმტკიცება ჭირდებოდა ჩრდილოეთის საზღვარს და ამიტომ შეიქმნა აუცილებელი დარუბანდში შესვლა.

შემობრუნებული ლაშქარი კვლავ შირვანში შედის, შირვანი ფეთქავს, არ ისვენებს თუ ვერ ისვენებს, ან არ უსვენებენ და ცხელი პოლიტიკური წერტილია საქართველოსათვის.

„აღიხუნეს შარვანისა ციხენი ღასანნი და ხოზაონდი და მიმდგომი მათი ქუეყანა“. ორი ციხე აუღიათ და „მიმდგომი მათი ქუეყანა“.

ახლა ამ ერთ აბზაცში მოქცეული სივრცე აღვადგინოთ. კონკრეტული სახელებით არის იგი დაზუსტებული და ეს გაგვიადვილებს, რამდენიმე თვის განმავლობაში განხორციელებული ოპერაციების ინტენსივობა დავინახოთ. ივნისიდან აპრილის ჩათვლით დავით მეფემ დალაშქრა შირვანი, შემდეგ დაბრუნდა ქართლში, გადავიდა ლიხს იქით, — გეგუთს, განაგო იქაური საქმეები, გადმოვიდა კვლავ ქართლში, აიღო ქალაქი დმანისი, შევიდა დარუბანდში, დაამარცხა „ქურდნი, ლეკნი და ყივჩაღნი“, შემობრუნდა შირვანში, აიღო ციხეები და მიმდგომი ქვეყანა. ლაშქრის შეკრება, აყრა, დაბანაკება, ღამისთევა, ბრძოლა, ციხეების აღება, რაც თან ახლავს ამ დამქანცველ გზაზე მოძრაობას, ცხადად წარმოგვადგენინებს იმ „მსწრაფლი“ სვლის დინამიკას, რაც თავისთავად იგულისხმება დავით აღმაშენებლის მოქმედებათა სისტემაში.

წლები ჭირდებოდა რიგითი მეფის ხელში იმდენი სამხედრო ოპერაციის განხორციელებას, რაც ათი თვის განმავლობაში მოახდინა დავით მეფემ. ამის თქმით სრულებითაც არ მინდა რიგითი მეფეების უმწიკვლო დამსახურება დავაკნინო. მინდა სრული სიფხიზლისა და ძალთა სრული მოკრების ფაზაში მყოფი საქართველოს შესაძლებლობანი გავხადო ცხადლივ წარმოსადგენი. ათასგვარი ტერმინი შეიმუშავა საუკუნეთა მანძილზე კაცობრიობამ ასეთი სამხედრო ხელოვნების შესაფასებლად. ჩემთვის მაინც იმ ტერმინებს იქით მიმწყვდეული რიტმია საინტერესო, იგია მთავარი, ვნებებს რომ უკიდებს ცეცხლს. ამ შემთხვევაში უზარმაზარი ტერიტორიის საკუთარ სალტეში მოქცევის ფაქტია საგულისხმო. ჩვენი მზერა განუწყვეტლივ მოძრაობს ამ ტერიტორიის შიგნით დაქსელილ სვლებზე, კვალდაკვალ მისდევს დავით აღმაშენებლის საქართველოს სამხედრო პოტენციის ნიაღვრისებურ დინებას, ნიაღვრის აქოჩრილ ტალღებს, რომელიც დღეს რომ გეგუთშია შემართული, ხვალ დმანისთან ავარდება, ზეგ დარუბანდში ეცემა, მერე შირვანს აცხრება თავს. ეს მისი სიცოცხლეა, გაქვავებული სილუეტები როდია თუნდაც ჩვენთვის რვა საუ-

კუნის შემდეგ. აზრის და სისხლის შეთანხმებული ფეთქვაა, რომელიც არა მარტო მოიქცევს წრეში დაპყრობილ სივრცეს, არამედ ერთ ორგანიზმად კრავს ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით განფენილ ტერიტორიას.

„და მყის აღისრბოლა ვითარცა არწივმან, და მაისსა აღიხუნა ციხენი სომხითისანი: გაგნი, ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინჯაქარი. და ივნისსა წარემართა ლაშქრითა, განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბასიანნი სპერამდის და, რაცა პოვა თურქმანი, მოსრა და ტყუე ყო; ჩამოვლო ბუღთა-ყური და დაწუნა ოლთისნი, და მოვიდა თრიალეთს დიდითა გამარჯუებითა“.

უკვე დაუფარავად ვლინდება დავით აღმაშენებლის პოლიტიკური აზრის აფეთქებები, თანდათან შიშვლდება მისი ყოველსმიწვდენილი ფიქრის მოძრაობა, განესრულება მტკიცე მარჯვენით შემართული მახვილის ტრაექტორია. ზედიზედ მოსდევს ერთმანეთს ეს მოვლენები, თითქოს კვალში უდგანან ერთმანეთს და არ უსვენებენ. იმ პირველის განხორციელების გარეშე ეს მეორე ვერ აღესრულებოდა. სივრცე, რაც მისმა მარჯვენამ შემოხაზა, თავისთავად იმოდენა სარბიელია და ის სარბიელი ისეთ მოკლე დროშია მოქცეული აღმაშენებლის ძალმოსილების ქვეშ, რომ კმარა უცნაურ ენერგიაზე დაკვირვებისათვის, მაგრამ იქვე ახალი სივრცის დასალაშქრავად აღიმართება მისი გრანიტისებური ფიგურა. დავითისათვის ყოველთვის გამძაფრებული ვნება იყო ისტორიული ჟამის შეგრძნება. ყოველი სერიოზული მოვლენის მოხდენაში ეს ვნება იკითხება, ამიტომ ასეთი მობილიზებით, ასეთი შემართებით ეჭიდებოდა იგი ყოველ სერიოზულ საქმეს, რომელთა რიცხვი მისი ცხოვრების გზაზე ასე განუსაზღვრელია. მას ეს ისტორიული ჟამი განცდილი ჰქონდა, არა როგორც პროცესი, რომელიც ათეული წლებით შეიძლებოდა გაგრძელებულიყო, იგი ისტორიულ ჟამს ცნობდა როგორც ისტორიული წამს, ღრმად დაფლული სიბრძნით ჰვრეტდა, რომ სწორედ იმ ერთ წამში იყო მოქცეული მოვლენის თავი და ბოლო და რომ ის ერთი წამი წყვეტდა ყველაფერს. ისტორიული ჟამის ხელიდან გასხლტომა მიუტევებელი იქნებოდა, სულზე უნდა მიესწრო ყოველი მოსახდენი მოვლენისათვის, თავად უნდა შეემზადე-

ბინა იმ ერთ წამში გასაცხადებელი ისტორიული ჟამი საქართველოსი.

ამიტომ საზღვრავს დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზას ერთი მკაცრი კანონი — რა დროს საღ უნდა იყოს!..

სომხეთის ციხეების განთავისუფლება, რაც უშუალოდ მოსდევს შირვანის ოპერაციას, თავისთავად მეტყველებდა სამოქმედო ასპარეზის ბუნებრივ გაფართოებაზე. ჯახირში, ტანჯვაში, გმირულ ბრძოლაში, მაგრამ მაინც ტანჯვასა და ჯახირში გავლილი საუკუნეები თითქოს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ, რადგან მისი მეცადინეობით უბედურებათა გარემოცვიდან გამოვიდა საქართველო, იქცა დიდ ქვეყნად. ასეთივე უბედურების გარემოცვიდან ქრისტიანული ქვეყნების არეალი ითხოვდა გამოყვანას, საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის მომხრე ქვეყნებთან ერთად! საკუთარი ქვეყნის შემოსაზღვრა მომავლის გაწირვასაც ნიშნავდა და პოლიტიკური სივრცის დავიწროებასაც. მრავალტანჯული სომეხი ხალხის განწყობილება მას შესწავლილი ჰქონდა, იცოდა როგორი მხარდაჭერა ექნებოდა—მისი მხრივ და იცოდა უფრო დიდი საიდუმლოც პოლიტიკისა — სამხედრო პოტენციალის ზეგავლენის არე უსაზღვროდ უნდა განევრცო, რათა მთელს მანამდელ და მერმინდელ მტრულ გარემოცვას დაენახა, რაოდენ მოსარიდებელი იყო ამ ერის შესაძლებლობანი. ამიტომ მტერი მისაწვდენ სივრცეზე ყველგან უნდა განადგურებულიყო, ახლა ამ წამში უნდა მოსპობილიყო, წერტილი უნდა დასმოდა მათ კატეგორიულ მოთხოვნებს. ეს ზეამოცანა ითხოვდა უზარმაზარ სივრცეზე გაშლილ ბრძოლას და ისედაც გაზრდილი საბრძოლო სივრცე განუსაზღვრელად იზრდება რამდენიმე მიმართულებით.

ე. ი. მაისში სომხეთის ციხეები — გაგნი, ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინჯაქარი...

განსაკუთრებით დატვირთული ჩანს სიტყვა „მყის“, მყისვე რომ ჭირდება დიდი მოვლენების ლოგიკას არწივის მსგავსად „აღსრბოლება“, ეს ბრის საგულისხმო, იგი, ის ისტორიული წამი თითქოს „ბედის ვარსკვლავივით“ კაშკაშებს დავითის წინაშე, სულ უხმობს, ძილსა და მოსვენებას უკარგავს. ეს „მყის“

თითქოს შენივთებული სრბოლაა, მის გარშემო გორგალივით ეხვევა მოვლენების ჯამი, დიდია მათი რიცხვი და ამიტომ მყის უნდა განხორციელდეს. უფრო სწორად ერთი მოვლენის გასრულების შემდეგ მყისვე უნდა აღისრბოლოს სხვა სივრცისაკენ. ეს არის ის წამი, ის ერთადერთი, რომელიც თითქოს ცხოვრების ყოველ მონაკვეთში თვალწინ ედგა დავით მეფეს და მოუწოდებდა. ამ წამის ასეთი გამძაფრებული შეგრძნება თვითონ მოსასწრები ისტორიული პროცესის შინაარსმა დაბადა და ის კანონი კვლავ არნახული სიმკაცრით ამუშავდა.

რა დროს სად უნდა იყოს! ასე იშლებოდა გონების სივრცეზე უზარმაზარი რუკა, სადაც დაზუსტებული იყო ყველა წერტილი, ბორცვი, მდინარე, ხეობა, მინდორი, სოფელი, ქალაქი, ქვეყანა, ციხესიმაგრეთა მწკრივი, დაზუსტებული იყო მტრის ლაშქრის რიცხვი, ცხენოსანთა და ქვეითთა რაოდენობა, მტრის მოძრაობის მიმართულება, ცხადია, ეს არ არის შედარებით ნორმალური საომარი სიტუაციების ჯამი, როდესაც ასევე ჩვეულებრივ გარკვეულია ვინ სად და რა დროს უნდა იყოს. მხოლოდ ქროლვაში დამიზნებული ისრები, ქროლვაში დაზუსტებული სამოქმედო მიმართულებანი, არაადამიანურად დაძაბული საბრძოლო იერიშებისას მოინიშნება ფიქრში ის დრო და ის ადგილი, რა დროს სად უნდა იყოს!—ეს მოუცილებელი კითხვა ტრიალებს სწორედ გახურებული ბრძოლისას, ელვარე მახვილების ტრიალში, მოშვერილი შუბების ლაპლაპა წვერებზე... თითქოს კონკრეტულად ეს გახურებული ბრძოლა არ კმაროდეს გადასატან უბედურებად, ერთ განსაცდელ ამბად, ერთ ურთულეს ოპერაციად. გადაჯვარედინებული მახვილებისაგან ასხლეტილ ნაპერწკლებში ირევა იგი, შუბების ხეთქებაში ვარვარებს ფიქრი — ამის შემდეგ რა დროს სად უნდა მივიდეს! აღებულია გაგნის ციხე, სადაცაა, აგერ მის ფეხთა წინაშე ტერონაკალის ციხეც დაეცემა... რამდენ ხანში იყო ნავარაუდევი მისი აღება, დაგვიანდა თუ დაჩქარდა, მოესწრება თუ არა ლაშქრის დასვენება, რომ ქავაზინნის ციხე ზეგ კი არა, ხვალ, მიმწუხრამდე აიღოს, რათა ერთი დღე მოპაროს დიდი მოვლენების მადას... მოვლენები დროს ნთქავენ, დრომ უნდა ჩანთქას ახლა მოვლენები... ნაცვლად ივნისის თხუთმეტისა, თოთხმეტ ივნისს რომ იყო ქართული ლაშქარი

კოლაში... რადგან ფიქრში, სწორედ ერთდროულად კრთის როგორც ქავაზინნის მომდევნო ციხის სახელი — ნორბედი, ასევე ქართული ტერიტორიების სახელები—ჯავახეთი, კოლა, კარნიფორი, ბასიანი... კიდევ ერთხელ ესაჭიროება მათ თურქმანთაგან გაწმენდა. და „სივრცითა გონებისათა“ ვეებერთელა საბრძოლო ასპარეზი ერთმანეთს უკავშირდებოდა ათასი გზატკეცილით, გზაწვრილით, ხევებითა და მთათაგრეხილებით, ერთმანეთს უკავშირდებოდა სამარქაფო ცხენებით, მანძილით, გავლილით და გასავლელით, მზადმყოფი ახალი რაზმებით, სხვადასხვა მიმართულებით დაგზავნილი შიკრიკებით, რომელთაც ხვალინდელი თუ ზეგინდელი ოპერაციებისათვის ნიადაგი უნდა შეემზადებინათ. ახლა ეს განსაკუთრებით მთავარია, რადგან გაზრდილმა რიტმმა სულმოუთქმელობის ვნება გააღვიძა მასში, ხოლო მასშტაბმა ნისლივით შეისრუტა მოთმინებაც და რიტმიც. და აი, ჯერ არ დაცემულა ნორბედი, ციხე სომხეთისა, მაგრამ მისი აღების პრობლემა რაკი ფაქტიურად გადაწყვეტილია, სანდო ხალხს დავალებული აქვს საქმის ბოლომდე მიყვანა, დავითი კი თავისი ძირითადი ლაშქრით მანასგომნისკენ მიჰქრის. მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ციხე დანებდა თავისით, რომელი ბრძოლით აიღეს ქართველებმა, მნიშვნელობა იმ ინტენსივობას აქვს, რომლის წყალობითაც ერთ, მაისის თვეში ამდენი ციხე იქნა დაკავებული. და რომ სომეხი მოსახლეობაც აქტიურად უჭერდა მხარს დავითს, რომ იგი განმათავისუფლებელს ხედავდა მასში, ეს არ ამსუბუქებდა ბრძოლას; სომეხთა განწყობილებას შესწავლა ჭირდებოდა, რაც მხოლოდ მჭიდრო ურთიერთობით მიიღწეოდა. ეს განწყობილება დამკვიდრებას ითხოვდა! ამასაც ეჭირა კუთვნილი დიდი ადგილი ფიქრში, სადაც ისტორიული გადანაცვლებები ასეთი სისწრაფით ხორციელდებოდა. და აი, დაეცა ტალინჯაქარიც. თუმცა სომხეთის ციხეების დასახელებას ამით არ წყვეტენ მემატიანეები, თავად სომეხი ისტორიკოსები სხვა მხარეებსა და ციხეებსაც ასახელებენ. მაგრამ დავითის ისტორიკოსის მიერ ამ პირველი დიდი ლაშქრობისას ჩამოთვლილი ციხეებითაც ცხადი ხდება, რა სიტყვა უთხრა მეფემ გარემომცველ მტრულ სამყაროს, როგორ განიცდებოდა ეს მოვლენები ქართველი და სომეხი ხალხების მიერ. არც სომხეთია მარ-

ტო და არც საქართველო. ერთად არიან ისტორიული ბედითა და სარწმუნოებრივი ნიშნით. ეს აზრი გაცოცხლდა გაგნისა და ტერონაკალის, ქავაზინისა და ნორბედის, მინასგომნისა და ტალინჯაქარის აღებით.

ახლა ძნელი დასაზუსტებელია სომხეთის აქ დასახელებული ციხეების მდებარეობა, ის მანძილი, რასაც უდგნენ დარაჯად ისინი, მაგრამ საქართველოს ოდინდელ ტერიტორიებად ცნობილი ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბასიანი... უზარმაზარ სივრცეს რომ მოიცავდა, ეს ბევრისთვის არ უნდა იყოს უცნობი.

და ერთი თვის განმავლობაში ამ „მყის“ შეტევებით დალაშქრა ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბასიანი სპერამდის დავით აღმაშენებელმა. ერთი თვის განმავლობაში! იმავე თვეში ბუღთა-ყური ჩამოელო და ოლთისი დაწვა. ფაქტიურად მისმა ლაშქარმა ორი თვის განმავლობაში სომხეთი და სამხრეთ საქართველო განვლო დიდებამოსილი ბრძოლებით. მე საგანგებოდ ვამბობ დიდებამოსილი ბრძოლებით-მეთქი. ვიცი, რაოდენ გაცვეთილია ეს სიტყვები, ფუყე და უმეტყველო. ვთქვი, რომ მთავარი სათქმელი მეთქვა — „იმ დიდებამოსილი“ ბრძოლების იქით რა სინამდვილეც ტრიალებდა, როგორი „ლაშქართა წყობანი“, როგორი „შემართებანი“, როგორი „სივრცითა გონებისათა“ განსჯა ივარაუდებოდა. აი, ყოველივე ამის დანახვის წყურვილი მინდა გავაძლიერო, რომ „დიდებამოსილ ბრძოლებში“ არ იკეტება ის ენება და ცეცხლი, მხედართმთავრის გულსა და გონებას რომ ეკიდა, მოლაშქრეთა სულისკვეთებას რომ მართავდა. არ იკეტება იმ წამის განსაკუთრებულობის შეგრძნება, რომლის მოუსვენარი ბიძგების გამო არ ისვენებდა კითხვა—რა დროს სად უნდა იყოს დავითი და მისი ხალხი! ყოველ დათქმულ ადგილას დახვედრებულია სამარქაფო ცხენები, დასვენებული მოლაშქრე საბრძოლველადაა შემართული. რამდენი ცხენიც იყო საჭირო — იმდენი, რამდენი მოლაშქრეც — იმდენი! ყველა ალყა გარღვეულია, ყველა ოპერაცია — განხორციელებული. დიდი გამარჯვებების უკან დარჩა ეს ყველაფერი. მაგრამ სამარადისოდ დაემკვიდრა აზრი — ქართველ კაცს ამის გაკეთება შეუძლია! დიდი წინამძღოლის გონებრივი სივრცისა და ორგანიზებულობის წყალო-

ბით მას ასეთი სვლა შეუძლიაl ამ სიტყვას აღარაფერს მატებს „ტრიუმფალური“. აქ სვლაა ყურადღების მისაქცევი, გონებრივი და ფიზიკური ძალების მობილიზების შინაარსია ამოსაკითხი.

ყოველმხრივ გაწვდენილი ფიქრი ახალ სივრცეებზე მოძრაობა, მისი ფაქტებად მოვლინება შამახიის ოპერაციის შემდეგ მხოლოდ უკიდურესად დაძაბულ რიტმს გუობდა. ეს იყო მისთვის მთავარი. აღვადგინოთ კვლავ ეს სურათი:

„და მეორესა თუესა, ივნისსა, კუალად წარვიდა შარვანს, აღიღო გულისტანი, სახლი თავადი შარვანისა, სიცხეთა მათ საშინელთა, მოირთო შარვანი და აღავსნა კეთილითა ყოველნი მორჩილნი ბრძანებათა მისთანი. წარმოვიდა ქართლად, ხოლო სთუელთა გადავიდა გეგუთს, ინადირა, განისუენა, განაგო მანდაური ყოველი და მარტს გარდამოვიდა ქართლად, და აღიღო ქალაქი დმანისი და აპრილსა დაესხნეს შაბურანს, დარუბანდელსა და მოსწყუიდნეს ქურდნი, ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი და აღიხუნეს შარვანისა ციხენი ღასანნი და ხოზაონდი და მიმდგომი მათი ქუეყანა.

და მყის აღისრბოლა ვითარცა არწივმან, და მაისსა აღიხუნა ციხენი სომხითისანი: გაგნი, ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, განასგომნი და ტალინჯაქარი. და ივნისსა წარემართა ლაშქრითა, განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბასიანნი სპერამდის, და რაცა პოვა თურქმანი, მოსრა და ტყუე ყო; ჩამოვლო ბუღთა-ყური და დაწუნა ოლთისნი, და მოვიდა თრიალეთს დიდითა გამარჯუებითა“.

თითქოს ზედმეტია ყოველგვარი კომენტარი, ზედმეტი იყო იგი დავითისაგან მოხდენილი ისტორიული მოვლენების მიმართაც, რადგან ისედაც მეტყველებენ ისინი ოკეანისებურ სიღრმესა და შინაარსზე. მაგრამ ჩვენთვის აუცილებელია არსობრივი ანალიზი, რათა დავინახოთ იმ მოვლენების მამოძრავებელი გრძნობა და გონება, დავინახოთ იგი, როგორც ჩვენი ეროვნული შესაძლებლობების დაუხარჯავი სალარო, რომლის გახსნა და გამოხმობა დღევანდელი მსოფლიოს ცხოვრებაში ღირსეული მონაწილეობისათვის დიდად წაგვადგება.

ერთი წლის შიგნით განხორციელებული ეს ურთულესი სვლები, ეს უზარმაზარი სივრცის გარემოცვა, მოძრაობისა და

ბრძოლის უნივერსალურ კანონებს გულისხმობს. მთელი ერის ცხოვრების შინაარსი მოიმართა იმ გაცილებით დიდი ისტორიული მოვლენების წყალობით უფრო ადრე და მან, უკვე დამკვიდრებულმა და გათავისუფლებულმა, გამოასხივა უნარი, რაც ახლა საქართველოს საზღვრებს გარეთ მოქმედებდა ასეთი ძალმოსილებით. უწყვეტია ამ წესის ისტორია, აღმავალი და დადგინებული, ქართულ მიწაზე დიდი სიმყარით დამკვიდრებული. დასასრულ, ქართული ეროვნული ბუნების მეტყველ ფორმად იქცა იგი. არც ერთი წუთი დაკარგული, არც ბრძოლისათვის, არც დასვენებისათვის — დასვენებისა და ბრძოლის ფორმები ისე მოუცდენლად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს! სამხედრო ხელოვნების ენის განსხვავებული მეტყველება, ოპერაციათა ქსელის წარმართვის ფანტაზია, სივრცისა და ბანძილის გრძნობის განელება, სულისკვეთების ამაღლება, დაღლისა და დაჭანცულობის გაფანტვა შინაგანი ძალებით... ზემოთ ციტირებული ტექსტიდან განსაკუთრებით ბოლო ორი თვის „მყის აღსრბოლება“ იქცევს ყურადღებას. თითქოს ფართოვდება სამხედრო ხელოვნების შესაძლებლობანი ჩვენს თვალწინ—ტემპერამენტის, სულისკვეთების, ენერგიის ახალი რეზერვები ჩნდებიან.

* * *

„და აგვისტოსსა ოცსა მოვიდეს მწიგნობარნი ანელთა თავადთანი და მოახსენეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა ბოჟანას წყაროთა ზედა მდგომსა“.

მაისის თვეში დალაშქრა დავითმა სომხეთის ციხეები, მაგრამ მანამდეც იმედის თვალით შეჰყურებდა სომეხი ხალხი საქართველოს მეფესა და მის ქვეყანას. თურქ-სელჩუკთა და სხვა ათასი ჯურის დამპყრობთან ქართველებზე არანაკლებ შეჭირვებული სომეხი ხალხი, ეტყობა, დიდ იმედებს ამყარებდა აღმაშენებელზე, აღმოსავლეთში ქრისტიანული სამყაროს გაძლიერება-განმტკიცება კი დავითის პროგრამის შემადგენელი ნაწილი იყო, იგი გახლდათ აწყოსა და მომავლის სიმტკიცის საყრდენიც. ისტორიული „ავბედობის“ წყალობით ზოგჯერ ურთიერთობა არათუ ქართველებსა და სომხებს შორის,

თვით ქართველთა შორის ცალკე და თვით სომეხთა შორის ასევე ცალკე მეტად აწეწილი და გაურკვეველი იყო.

ამ წახდენილი ურთიერთობის შორეულ ფესვებზე რომ არ ვილაპარაკოთ, თვით დავითის მეფობის წლებში მომხდარი ერთი ფაქტი გავიხსენოთ. რუის-ურბნისის კრებასთან დაკავშირებით იგი დავით აღმაშენებლის დიდი გონებრივი სინათლის წარმოსაჩენად დაგვჭირდა, მაგრამ თავად ამ ფაქტის ძირითადი შინაარსი?

„ხოლო შემოკრბა ოდესმე წინაშე მეფისა ნათესავი გულარძნილი, ყოვლად ბოროტთა სომეხთა ეპისკოპოსები და მონასტერთა მათთა წინამძღურები მრავალი ფრიად, რომელნი აზმნობდეს თავთა თვისთა მიწევნად თავსა ყოვლისა სწავლულებისა და მეცნიერებისასა და მოახსენეს, რათამც ყოს ბრძანებითა მისითა კრება და ყვესმცა სიტყვისა გება და გამოძიება სჯულისა. უკეთუ იძლივნეს სომეხნი, და იქმნენ თანაერთხმა სჯულისა და თვისი სჯული შეაჩუენონ, ხოლო უკეთუ სძლონ სომეხთა, ესოდენ მიემადლოს, რათა არღარა გვიწოდდეთო მწვალებელად და არცა შეგაჩუენებდეთ.

მაშინ მოუწოდა მეფემანცა იოანეს, კათალიკოსსა ქართლისასა, და მის ქუეშეთა ეპისკოპოსთა და მეუდაბნოეთა და არსენის იყალთოელსა, თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენათასა, და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა და სხუათა მეცნიერთა და ბრძენთა კაცთა.

ყვეს უკუე სიტყვის-გება ურთიერთს ცისკრითგან ვიდრე ცხრა ჟამამდე, და ვერას უძლეს დაბოლოებად. რამეთუ იყო ორკერძოვე ძლევის მოყუარება ოდენ და ცუდ სიტყუათა პაექრობა: რამეთუ შევიდიან შეუვალთა საქმეთა და ძნიად გამოსავალთა...“

ამჯერად ჩვენთვის ისტორიკოსის ცნობა აქამდეა საინტერესო. ჩვენ ვიცით, რა მოხდა ამ სიტყვების შემდეგ, როგორ ადგა დასასრულ მეფე, რა ცოდნა, რა ლოგიკა დაანახა მოკამათეებს, როგორ გააოგნა ისინი აზრის სიღრმითა და სიზუსტით — წარსულისა და აწმყოს მაგალითების შეჯერებით... მაგრამ აქ მოტანილი ტექსტი ასევე ცხადლივ წარმოგვიდგენს ქართველ-სომეხთა რელიგიური გათიშულობის უძველეს ძირებს, იმ საუკუნოვან უკმაყოფილებას, რაც მოჰყვა ქართველ-

სომეხთა გათიშვას. რელიგიურ პოზიციაში ეროვნული პოზიცია თავისთავად გამყღავნდა, ხასიათს შეექსოვა არჩევანი და ამიტომ რომელიმე ქვეყნის უპირატესობის მტკიცება და მეორე ქვეყნის დამცრობა არაგონივრული რომ იყო, ამის დადგენისათვის საუკუნოვანი დავა მიმდინარეობდა. მაგრამ ამ დავაში, ფაქტია, ადვილად იკიდებდა ფეხს შურიც, მტრობაც, სიძულვილიც. ეს შური, მტრობა, სიძულვილი წარჩინებულ და განათლებულ პიროვნებებსაც იპყრობდა ზოგჯერ როგორც საქართველოში, ასევე სომხეთში და თანდათან ღრმავდებოდა უფსკრული, მკვეთრდებოდა პოზიციები, ხშირდებოდა პოლიტიკური დაპირისპირებანი. ცხადია, ყოველ დროს მოიპოვებოდა თითო-ოროლა ადამიანი როგორც საქართველოში, ასევე სომხეთში, იმ უფსკრულის ამოვსებაზე რომ ოცნებობდნენ და ცდილობდნენ პრაქტიკული ნაბიჯები გადაედგათ, მაგრამ ვერაფერი აკავებდა ფარული თუ თავჩენილი მტრობის სურვილს. იგი დრო და დრო ორთავე მხრიდან გამოარღვევდა ხოლმე ბუტაფორულ შრეებს და თავის თავს ამყღავნებდა. სადამდე მისულა საქმე! დავითის წინაშე სომეხთა დელეგაცია წადგა და დავის გადაწყვეტა ითხოვა თურმე. სომხები, ეტყობა, თავიანთ რელიგიურ გზას თვლიდნენ უფრო ზუსტ და კანონიერ გზად, ყოველმხრივ განათლებული წმინდა მამანი უნივერსალურ მცოდნეებად აცხადებდნენ თავს. ისინი იქამდე გათამამებულნი და საკუთარ თავში დარწმუნებულნი ჩანან, რომ წინადადება მისცეს მეფეს — თუ ამ დავაში სომხები დავმარცხდებით, ჩვენს რჯულს შევაჩვენებთ და თქვენსას ვაღიარებთო. „უკეთუ იძლივნეს სომეხნი და იქმნენ თანაერთ-ხმა სჯულისა და თავისი სჯული შეაჩუენონ“.

ეტყობა, ქართველები მწვალებლებად აცხადებდნენ სომხებს და პირიქით — სომხები ქართველებს: „ხოლო უკეთუ სძლონ სომეხთა, ესოდენ მიემადლოს, რათა არღარა გვიწოდდეთო მწვალებელად და არცა შეგაჩუენებდეთ“.

ეს იყო ქართველ-სომეხთა გამწვავებული ურთიერთობის გამოხატულება. აღმაშენებელმა საჭიროდ ჩათვალა, შემდგარიყო დავა ამ საუკუნოვანი ურთიერთობის გასარკვევად. დავაში იოანე კათალიკოსის და არსენ იყალთოელის მეთაურობით ყველა დიდი ქართველი მოღვაწე მონაწილეობდა. ეს

ისტორიული დავა რომ შედგა — ეს ფაქტია ამჯერად საინტერესო. იგი დგას საუკუნოვანი კონფლიქტის გზაზე კიდევ ერთ გვერდაუვლელ საბუთად იმისა, რომ ურთიერთობაში რაღაც სერიოზულად იყო დაზიანებული. რაოდენ ძნელი იქნებოდა ასეთი ურთიერთობის ნიადაგზე პოლიტიკური ერთსულოვნების მიღწევა. განსაკუთრებული საფრთხე ზოგჯერ ავიწყებდათ ქართველებსა და სომხებს ამ დავას, მაგრამ საფრთხის გადავლის შემდეგ ერთსულოვნება კი არ რჩებოდა ხიდად, კვლავ კატეგორიული მოთხოვნები და პრეტენზიები ამოქმედდებოდა ხოლმე ორივე მხრიდან. თვით კათალიკოსი და ეპისკოპოსები ვერ იკავებდნენ თავს ამ დავაში, დავკვირდეთ ორივე მხარის უკანდაუხეველ სურვილს! „რამეთუ იყო ორკერძოვე ძლევის მოყუარება ოდენ და ცუდ სიტყუათა პაექრობა“. ნაცელად საკითხის გადაწყვეტისა მოწინააღმდეგის დამარცხების ჟინი წაჰკიდებია ორივე მხარეს. უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ ერთმანეთს ცხრა საათის განმავლობაში.

მეტად საგულისხმო ფაქტია. სულიერ მოძღვართა უკეთეს წარმომადგენლებსაც კი არ ძალუძთ დაიოკონ სამართლიანი თუ არასამართლიანი გულისწყრომა, ძალა არ შესწევთ მეცნიერული დავით დაასაბუთონ ერთის სიმცდარე, მეორის სიმართლე, ან ყოველ შემთხვევაში აღადგინონ ნორმალური ურთიერთობა. ეს დიდი დაპირისპირება ისე სრულად არის გამოვლენილი, რომ იგი არც საჭიროებს თვალი გადავავლოთ ამჯერად ქართველ-სომეხთა რელიგიურ დავას, რასაც სომეხმა და ქართველმა მეცნიერებმა სხვადასხვა დროს მთელი შრომები მიუძღვნეს.

ეს არ გახლდათ მარტოოდენ განწყობილება გარკვეული ფენისა, იგი უკვე გადაზრდილიყო ორი ქრისტიანული ქვეყნის დამოკიდებულებაში.

და ამავე კრებაზე მაინც გააკეთა შესაძლებლობის მაქსიმუმი დავით ალმაშენებელმა. სომეხ და ქართველ მოკამათეებს ის სიტყვა უთხრა, რომელიც გამორიცხავდა „ორკერძოვე ძლევის მოყვარებას“ და გულისხმობდა ორი ხალხის ეროვნული და რელიგიური ინტერესების მაქსიმალურ მოწესრიგებას. დიახ, სომხები მოვიდნენ დიდი ცოდნით შეიარაღებულნი, დარწმუნებულნი, რომ საბუთებითა და ლოგიკით

სძლევდნენ ქართული ეკლესიის მეთაურებს. დახვდნენ ქართული ეკლესიის მეთაურები, დიდი ცოდნით შეიარაღებულნი, ასევე დარწმუნებულნი, რომ საბუთებითა და ლოგიკით სძლევდნენ სომხური ეკლესიის მეთაურებს. მაგრამ განწყობილებამ ორ ერს შორის, არამოყვრულმა დამოკიდებულებამ საბუთებისა და ლოგიკის ენა დაივიწყა და განჭიქების კორიანტელი დააყენა. დავით აღმაშენებელმა ის სიტყვა ' უთხრა ორთავე მხარეს, ასე რომ ენატრებოდა ჰეშმარიტებას. არ ჩანს გარკვევით, თუ რა უთხრა მათ დავით აღმაშენებელმა, ეს კია, გაოგნებულია ორივე მხარე მეფის მსჯელობის სიღრმით, სინათლითა და საბუთიანობით. ისიც აშკარაა, რომ განიარაღებული გაუშვა სომეხთა დელეგაცია მეფემ, და კიდევ ის არის აშკარა, რომ მათ დიდი რიდი გაუჩნდათ ქართული ეკლესიის მიმართ. ყველაფრიდან ჩანს, რომ სომხური ეკლესიის პატივისცემის გრძნობა ქართული ეკლესიის მესვეურებსაც აღუძრა მეფემ, იმგვარი მოწიწებით და პატივისცემით მიმართავენ მას სომეხი მოღვაწეები: „შენ მეფეო, ჩვენ მოძღვართა ამათ მოწაფე გვეგონე...“ ეს მეტყველებს, რაოდენ ჯანსაღი მარცვალი გადაუგდია ურთიერთობის გასაუმჯობესებლად დავით მეფეს ამ შეხვედრაზე, როგორ დაანახა ერთმანეთის ღირსებები ქართველსა და სომეხს.

შემდეგ კი თურქ-სელჩუკთა ურდოებთან განუწყვეტლივ ბრძოლებში დავითმა თანდათან გამოკვეთა ის საერთო მიზანი, რომლის წყალობითაც ქართველებსა და სომხებს უსაგნო, ხშირად სიბრძნეს მოკლებული დავა უნდა დაეგდოთ და თანაარსებობის სისხლხორცეული ინტერესებით აღეფურვილიყვნენ.

სომხეთი ამ დროისათვის დასუსტებული იყო, იმდენად დასუსტებული, რომ საკუთარი ძალების ამარა უძლიერესი მტრის მოგერიებაზე მას ფიქრიც კი არ შეეძლო. სომეხი ხალხის შესაძლებლობისა და უნარის ღრმა ცოდნამ დაანახა დავით მეფეს, რომ მისი ჩართვა ისტორიული ამოცანების გადაწყვეტის პროცესში დიდ სარგებლობას მოუტანდა გრანდიოზულ პროგრამას, აღმაშენებელი ნაბიჯ-ნაბიჯ რომ ახორციელებდა. მაგრამ ყველაფერი თავად სომეხი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული და

იგი უთუოდ უნდა დამდგარიყო იქ, სადაც იმდროისათვის ბსოფლიო მასშტაბის მოვლენები წყდებოდა აღმაშენებლის გენიის წყალობით.

შოთა მესხია:

„ანის-შირაკის ყოფილი სამეფოს დედაქალაქი, მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი ეკონომიური ცენტრი ქ. ანისი, იმ დროს ქურთული წარმომავლობის მაჰმადიან მფლობელებს, შედადიდებს ეპყრათ. დავითის დროის ანისის ერთ-ერთი მფლობელი მანუჩარი 1118 წელს გარდაიცვალა, ხოლო მისი ადგილი მისმა შვილმა აბულ-ასვარმა დაიჭირა. იგი ქალაქის მოსახლეობის მიმართ აგრესიულ პოლიტიკასა და რელიგიური შევიწროების გზას დაადგა.

ამას გარდა, აბულ-ასვარმა, თურქ-დამპყრობლების შიშით, გადაწყვიტა 60 000 დინარად ქ. ანისი ქ. კარის სელჩუკ ამირასათვის მიეყიდნა. ყოველივე ამან ქ. ანისის ძირითადი ქრისტიანული მოსახლეობის უკმაყოფილება და მღელვარება გამოიწვია“.

შექმნილმა ვითარებამ, რაც უკიდურეს შეჭირვებაზე მეტყველებს, თვალები აუხილა სომეხ ხალხს, მათ დაინახეს დიდი საფრთხე და ისიც დაინახეს, რომ სწორედ ძლევამოსილი საქართველოს თანადგომით თუ მიაღწევდნენ თავისუფლებას. ეს სინამდვილე მათ დაანახა აგრეთვე დავით აღმაშენებლის მიერ ფართოდ განხორციელებულმა სამხედრო ექსპედიციებმა, სომეხთა ციხეების აღებამ, თურქ-სელჩუკთა სალტის გარღვევამ სომხეთის ტერიტორიაზე. დაინახეს ისტორიული მსვლელობის მიმართულება და გადაწყვიტეს მოეწვიათ დავით აღმაშენებელი: „და აგვისტოსსა ოცსა მოვიდეს მწიგნობარნი ანელთა თავადთანი და მოახსენეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა ბოჟანას წყაროთა ზედა მდგომსა“. სომეხი ხალხი დავით აღმაშენებელში ხედავდა თურქ-სელჩუკთა ძლიერების დამამხობელს. სომეხთა მცირერიცხოვანი რაზმის მონაწილეობა დიდგორის ბრძოლაში მეტყველებდა აღდგენილ კონტაქტზე. იმ მცირერიცხოვანმა რაზმმა თავისი თვალით იხილა დავით მეფის საარაკო საქმენი და საქართველოს სამხედრო ძლიერება. სასაცილომდე პატარა ჩანდა საერთო ამოცანების ფონზე თუნდაც ესოდენ პრინციპული საეკლესიო დავა და მისი თან-

მხლები მტრული გრძნობები. იგი ახლა მოყვარული სულისკვეთების სხივებზე დნებოდა. ხოლო აღმაშენებელი, ვინც ამზადებდა ამ ხანგრძლივ ისტორიულ შეთანხმებას, ვისი ფიქრიცა და მეცადინეობაც წინაუძღოდა ყოველივეს, ერთი წამითაც არ აყოვნებს: „და მსწრაფლ წიგნები წუევისა წარსცა ყოველთა და მესამესა დღესა სამოცი ათასი მხედარი წინაშე უდგა. წარემართა და, ვითარცა მიიწია, მესამესა დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისი უპირველად და სოფელნი და ქუეყანაში მიმდგომნი ანისისანი".

ყველაფრიდან ჩანს, რომ, „უპირველად" მოახდინა ამოდენა ამბები საქართველოს ლაშქარმა. სომეხი ხალხი თავად უხმობდა მას, ხოლო დავითის სამოცი ათასი მოლაშქრე რას ნიშნავდა, ეს სომხებისა და ქართველების საერთო მტერმა შესანიშნავად იცოდა.

„მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან", რომელიც თავის დროზე ექვთიმე თაყაიშვილმა გამოსცა, ერთ მეტად საყურადღებო ფაქტზე მოგვითხრობს:

„და დაიპყრნა არფასლანიანნი და ამოსწყვიტდნა იგინი, რომელთა დიდი საყდარი ანისისა მისგითად მოეკაზმათ და ქრისტიანეთა სისხლითა იგი საყდარი და ქალაქი მოერწყო. იმუქფა ღმრთის მოყვარემან დავით აღმაშენებელმან მოლათა და დარიშმანთა სისხლითა ახლადღე მან მორწყო და საყდარი იგი ახლად მონათლა, რომელი აღეშენა ბერძენთა ასულსა დედუფალსა კატრონიტეს და იქითვე ესაფლავა. მაშინ მოვიდა თვით მეფე დავით და კათალიკოზი, ეპისკოპოსნი და ერთობილი ლაშქარი საფლავსა ზედა, და ახლად წესი აღუგეს და თვით მეფემან სამგზის საფლავსა ჩასძახა: „გიხაროდენ შენ, წმიდაო დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ხელთაგან". ამასა ზედან მკუდრის ძუალთა საფლავით ხმა გამოსცეს და ღმერთსა მადლობა მისცა. განუკვირდა მეფესა და ერთობილთა ერთა და წარმოვიდა შუნით მეფე დავით".

იმ „მსწრაფლ ლაშქრის შეკრებაში", ანისზე დაუხანებლად მისვლაში აშკარად ჩანს, რაოდენ ორგანული იყო მეფე დავითისათვის სომხეთის პრობლემა. იგი აერთიანებდა ქართული და არაქართული ქვეყნების ინტერესებს, მაგრამ ამასთან

ყველა ნიუანსით იკითხება, როგორი მახლობელი, მშობლიური, ნათესაური იყო ანისსთან დავითის დამოკიდებულება. ეს არ იყო მარტოოდენ იმ ტაქტის გამოხატულება, მუსლიმანი მოსახლეობისადმი რომ იჩენდა თბილისში მეფე, არა, სჯულითა და ისტორიული მეზობლობით ნასულდგმულევი განწყობილება მართავდა ფიქრებს. ანისის განთავისუფლება არ გულისხმობდა მარტოოდენ მტრის გარეკვას იქიდან, ანისს თავისი ქრისტიანული სული უნდა აღედგინა. ამიტომ „მონათლა საყდარი ახლად“ მეფემ, ამიტომ მივიდა მეფე ამ საყდრის ამგებ ბერძენთა ასულის, დედოფალ კატრონიტეს საფლავთან კათალიკოსის, ეპისკოპოსის, ლაშქრის თანხლებით. ანისის მოსახლეობა მკვდრეთით აღმდგარ საკუთარ ქალაქს და ეროვნულ ღირსებებს პვრეტდა.

აქ ერთი შტრიხიც იჭრება თხრობაში, რომელიც დავით აღმაშენებლის პიროვნებას ხელშესახებად დაგვანახებს. მეფე დავითი დედოფალ კატრონიტეს სამგზის ჩასძახებს საფლავში: „გიხაროდენ შენ, წმიდაო დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ხელთაგან“. დენივით უვლის ქართველი და სომეხი ხალხის თანადგომას საუკუნეთა განმავლობაში ეს სიტყვები, სადღაც მიიწევს სიღრმისაკენ და ორი ხალხის გულისგულამდე ატანს. თანაც ცოცხლდება თითქოს დიდი ისტორიული პიროვნება ჩვენს თვალწინ, მოძრაობს, იღვწის, ხმას იღებს. აქეთკენ მიჰყავდა მას მოვლენები და იმ ხმას ისეთი ძალა აქვს, მხოლოდ არსი რომ ასხივებს. იმ ერუანტელის წყალობით გაიგონეს დიდი რწმენის შემცველი მადლობის სიტყვები საფლავის სიღრმიდან მეფე დავითმა და „ერთობილთა ერთა“. ერთმანეთის ჭირისა და ლხინისათვის გახსნილი გული და დაძაბული ყურთასმენა დავითის სიტყვების შემდეგ საფლავიდან და გულის სიღრმიდან სწორედ ამ ხმას თუ გაიგონებდა. აქ შეთვისებული იყო სულები და მიზნები, დიდი რწმენით გარინდულიყო ძარღვები, სისხლი, უწმინდეს ნათელს დაეპყრა მათი გონება და მათთვის „საფლავითგან“ აღმოვლენილი მადლობის სიტყვები ისევე რეალური იყო, როგორც დავითის გოლიათური ფიგურა და სიბრძნით მეტყველი სახე იმ წამს.

ანისის აღებით აშენდა კიდევ ერთი შეუვალი ზღუდე

უცხოელ დამპყრობთა წინაშე. ქრისტიანული სამყაროს კედლები სულ უფრო და უფრო შორს ინაცვლებდნენ, ფართოვდებოდნენ და მაღლდებოდნენ.

„ანისის გათავისუფლებისა და შემოერთების შემდეგ დავითმა, ვარდანის ცნობით, კიდევ უფრო განავრცო საქართველოს საზღვრები, დაიპყრო კანაწდისა და არარატის პროვინციაში მდებარე ოლქები, ყველა ქვეყანა, რომელიც კი ერთ დროს სომეხთა მეფეებს — კვირიკესა და აბასს ეკუთვნოდათ, კავკასიის მთა და ქვეყნები თვით კასპიის ზღვამდე, ხაბანდა დიდი სომხეთის არცახის პროვინციაში და სხვა“ (შოთა მესხია).

მივაქციოთ ყურადღება ცნობას იმის შესახებ, რომ ყველა ქვეყანა იქნა დაპყრობილი, რომლებიც ერთ დროს სომეხთა მეფეებს „კვირიკესა და აბასს ეკუთვნოდათ“. უცხოურ წყაროებთან თითქმის ყოველი შეჯერებისას მტკიცდება, რომ დავითის ისტორიკოსი მართლაც მცირეს ამბობს მრავალთაგან, მხოლოდ არსებით მოვლენებზე აჩერებს ყურადღებას. იქ უცხოური წყაროებით თვალნათლივი ხდება, იმაზე მეტი სამხედრო ოპერაცია რომ განუხორციელებია დავით მეფეს, ვიდრე ამის აღნიშვნა „შეიძლო“ ისტორიკოსმა. მეფე პატრონის თავდადრეკილი ბუნება ზეგავლენას ახდენდა უთუოდ მეშატიანეზე... მას კონკრეტული ფაქტების დეტალური აღწუსხვა კი არა, მოვლენების არსის ამოცნობა-ანალიზი აინტერესებს, იქ არის მიჯაჭვული მისი გონება. მაგრამ მოხდენილი ფაქტების აღწუსხვა, მათი შეკრება ქართული და უცხოური წყაროების შეჯერების გზით. უკვე ჩვენი ვალია და ქართულმა ისტორიოგრაფიამ შეძლო ეს „შეკრება“. ირკვევა, რომ ანისის აღების შემდეგ უზარმაზარი ტერიტორიები დაულაშქრავს დავით მეფეს. ალბათ „მიმდგომნი ქუეყანანი ანისისანი“ სრულად ვერ გამოხატავს ამ სურათს, რადგან ვარდანის ცნობა უფრო განავრცობს ფაქტებს და გვიზუსტებს იმ მრავალი ქვეყნის დაპყრობის ამბებს. ერთ დროს რომ ეკუთვნოდათ, ის მიწებიც კი დაუბრუნა სომხეთს თურმე დავითმა.

რაოდენ ბუნებრივი და ორგანული იყო აღმაშენებლის განმათავისუფლებელი ექსპედიციები. მათე ურჰაელის სიტყვებში სომეხი ხალხის მთელი სულისკვეთებაა გამოხატული. რამდე-

ნი სასტიკი მტერი გაუძევებია სომხეთის ტერიტორიიდან მეორე სასტიკ მტერს, მაგრამ სომეხმა ხალხმა ყოველთვის იცოდა, ვინ რატომ მოდიოდა, და ვინ რა მიზნით მოდიოდა, არ მოტყუებულა იგი არასდროს მოყვრისა და მტრის ამოცნობაში და მათი მემატიანეების სიტყვებსაც ყოველთვის აჩნდა შინაგანი განწყობილების კვალი.

დავაკვირდეთ მათე ურჰაელის სიტყვებს:

„განთავისუფლდა მონობისაგან სატახტო ქალაქი ანისი, რომელიც ტყვეობაში იყო სამოცი წელი და დიდებული და დიდი ეკლესია ანისისა, წმიდა კათოლიკე, რომელიც მიზგითად გადაექციათ. (დავითმა) შეკრიბა ეპისკოპოსები, ხუცესები და ბერები სომეხთა ქვეყნისა და აკურთხა წმიდა კათოლიკე დიდი ზეიმით. და იქნა სიხარული ყოველსა სახლსა სომეხთასა, რამეთუ ნახეს წმიდა კათოლიკე განთავისუფლებული მონობისაგან“...

„და იყო დავით მეფე წმიდა და სათნო ყოვლად შემკული ღმრთის მოსავობით და კეთილი სამართლიანობით. იგი გამოუჩნდა შემწყნარებელი და მოყვარული სომეხთა ტომს“...

„დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი“.

სომეხი ისტორიკოსის სიტყვებში ცხადად არის გამოკვეთილი სომეხი ხალხის დამოკიდებულების განმსაზღვრელი სამი უმთავრესი ნიშანი, მათ სწამდათ დავითის გონებრივი ძალმოსილება, აღფრთოვანებულნი არიან პიროვნებით და შეცნობილი აქვთ აღმაშენებლის პროგრამის სომეხთათვის სასიკეთო მიმართულება.

სამივე ეს ნიშანი სრულებითაც არ გამორიცხავს სომეხი ხალხის სურვილს თვითონაც ამაღლდეს დიდი სომხეთის მსგავსად და ამჯერად დიდი საქართველოს მსგავსად, მოიპოვოს წამყვანი პოზიციები და არ იყოს დამოკიდებული სხვის ძალმოსილებაზე. მაგრამ აღნიშნულ სიტუაციაში იგი სულით და გულით ეძლეოდა ქრისტიანული საქართველოს მესვეურობით შექმნილ კავკასიურ კონსოლიდაციას, მიესალმებოდა და მხარს უჭერდა, რადგან ეროვნული განადგურებისაგან თავის დაღწევის ერთადერთი გზა ეს იყო:

„და წარმოიყვანა ბულასვარ, რვათა ძეთა მისთა თანა და

მხევალთა და სძალთა და ჩაგზავნა აფხაზეთად; ანისისა მცველად დაუტევნა აზნაურნი მესხნი, და წარმოვიდა ქართლად. და მცირედთა დღეთა მოუსუენა სპათა თვისთა. და მერმე წარემართა შარვანს, და აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი, სრულად ყოველი შარვანი, და დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჰერნი და კახნი. და განმგებლად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართ-უხუცესი თვისი სვიმონ, ჰყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალაეერდელი, მიმსგავსებული გიორგი დედის ძმისა თვისსა, კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი.

და განაგო მეფემან ყოველი საქმე შარვანის, აღავსნა კეთილითა და საბოძვარითა ჭურდნი, ლეკნი და თარასნი...“

ბულასვარი რვა ძითა და სახლეულობით გაარიდა სომხეთს მეფემ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ადგილზე მისი დატოვება საშუალებას მისცემდა შეთქმულების მოწადინეთ აჯანყება მოემზადებინათ. სხვაგვარად ძნელი ასახსნელია საქართველოს შორეულ კუთხეში ბულასვარის რვა ძითა და მთელი „სახლეულობით“ გასახლება. ანისის მცველად მესხი აზნაურები ჩააყენა მეფემ. მხოლოდ უერთგულესი ხალხი რჩება იქ, სადაც პოლიტიკის მფეთქავი წერტილებია.

კვლავ „მცირედთა დღეთა მოსუენება“ და კვლავ შირვანის პრობლემა. უნდა გადაწყდეს მისი საბოლოო შემომტკიცების საკითხი. შამახია კი უმნიშვნელოვანესი პლაცდარმია საქართველოს სამეფოსათვის სახელმწიფო სიმტკიცის მიღწევის გზაზე. განუწყვეტლივ ფეთქავს იგი, ვერ ურიგდება მტრული მაჰმადიანური გარემოცვა მის დაკარგვას. სწორედ აქედან დაიწყო თავისი სამხედრო ოპერაცია დიდგორის შემდეგ სულთანმა. წარუმატებელი აღმოჩნდა იგი. მაგრამ შამახია კვლავ ასაღებია! და ანისის შემდეგ საქართველოს მხედრობამ დაიპყრო შამახიაც, ციხე ბირიტიც და „სრულად ყოველი შარვანიც“, დაპყრობა ერთია, მისი ყმადნაფიც ქვეყნად მოქცევა — მეორე. შირვანი საქართველოს პოლიტიკური არენის შიგნით უნდა მოექცეს. ამიტომ საგანგებოა, რომ დიდძალი ლაშქარი დატოვა იქ დავით მეფემ, ხოლო შირვანის ზედამხედველად „აჩინა“ მწიგნობართუხუცესი სვიმონ, ჰყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, რომელიც სიბრძნითა და პიროვ-

ნული შესაძლებლობებით ძლიერ ჩამოჰგავდა თურმე თავის ბიძას — გიორგი ჭყონდიდელს. ეს გადაწყვეტილება მეტყველებს შირვანის განსაკუთრებულ პოლიტიკურ მნიშვნელობაზე. ჩვენ გვახსოვს პირველი ლაშქრობები ჩრდილო კავკასიის, შირვანის, სომხეთის და თვით საკუთრივ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიებზე. როგორ თანდათან მტკიცდება პოზიციები ამ მხარეებში, როგორ ეფუძნება ქართული, ქრისტიანული სულისკვეთება, როგორ იკვეთება ამ ძლიერების კონტურები, რა დამაჯერებლობას იძენს ყოველი ლაშქრობა, როგორ იდევნება მოხაზული საზღვრებიდან უცხო თესლის, უცხო სხეულის სიმყარის განცდა, ის, რაც წარმოუდგენელი ჩანდა წლების წინათ, დღეს სინამდვილეა, რომელსაც მკერდით აწყდებიან საქართველოს, სომხეთის, შირვანის, ჩრდილო კავკასიის ხალხთა მტრები, მსოფლიოს დაპყრობის ამბიციური გეგმებით აღგზნებული სულთნები და ბელადები.

როგორ თანდათან, როგორი სიჯიუტით ამოდის ისტორიული სიტუაციების მძიმე გარსებიდან საქართველოს მზე, როგორ ამოიზრდება ქართული სახელმწიფოს ძლიერება, როგორ უმოკლეს დროში უწვდენს თავის ძლიერ ტოტებს, ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით, სამხრეთით, დასავლეთით და გოლიათური სულითა და სხეულით ამკვიდრებს კუთვნილ მიწა-წყალზე, იბრუნებს მამაპაპურ მიწებს, გამოკვეთს საქართველოს საზღვრებს, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთის ქრისტიანულ არეალს აზუსტებს იმ გოლიათის ხელის მტევნის მოძრაობა. ისტორიული სამართალი დარღვეული იყო ბარბაროსთა განუსჯელი ჟინით, ფლობის ვნებით; როგორ შემცირდა ეს ვნება, როგორ დაიმოკლა ტოტები ნადირმა.

„შირვანისა და სომხეთის შემოერთებით, ჩრდილო კავკასიის ხალხებზე ყმადნაფიცობის ხელის დადებით და საქართველოს გავლენის გაძლიერებით არსებითად დაიწყო საქართველოს მეთაურობით ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ხანგრძლივი ისტორიული პროცესი. ამას მოითხოვდა ერთი მხრივ ცალკეული სამეურნეო ოლქების ეკონომიური დაახლოების ინტერესები, ხოლო მეორე მხრივ მრავალრიცხოვან უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში გაერთიანე-

ბის, ერთიანი თავდაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობა".

შოთა მესხიას არგუმენტებიდან მე პირადად ეს ბოლო არგუმენტი მიმაჩნია უმთავრესად. სწორედ „მრავალრიცხოვან უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში გაერთიანების" აუცილებლობაა მთავარი შამოძრავებელი დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა, რომელიც საქართველოს გარშემო შირვანის, სომხეთის, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ინტერესების გაერთიანებას გულისხმობდა. შირვანი და სომხეთი ამ გაერთიანების ორგანული წევრები უნდა ყოფილიყვნენ, პირველი თანამდგომნი, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ყმადნაფიცობა კი აუცილებელი იყო ამ გაერთიანების შინაგანი სიმტკიცის მისაღწევად. ფეოდალური ქვეყნის ეკონომიკური მექანიზმიც აღმაშენებელს საგანგებოდ ჰქონდა განმტკიცებული.

საქართველოს სამეფოს საზღვრები სხვადასხვა წყაროს შეჯერებით კარგად არის დაზუსტებული ისტორიკოსთა მიერ. მათი მტკიცებით ტერიტორია — „ნიკოფსიით დარუბანდამდის" მოიცავდა საზღვარს დღევანდელი კრასნოდარის მხარეში სოჭსა და ტუაფსეს შორის, მეორე უკიდურესი წერტილი აღმოსავლეთით იყო დარუბანდი. თუ კარგად დავაკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ დავით აღმაშენებელი დაჟინებით ესწრაფვის ამ საზღვრების განმტკიცებისათვის, აღმაშენებლის მიერ შემოსაზღვრული ქრისტიანული არეალი საბოლოო არ იყო, საუკუნეთა განმავლობაში ბევრი ქრისტიანული ქვეყნის ტერიტორია მიითვალეს მაჰმადიანმა მპყრობელებმა. ჭეშმარიტად ქართული, ჭეშმარიტად სომხური, ჭეშმარიტად ქრისტიან ხალხთა ტერიტორიები კვლავაც შემოსამტკიცებელი იყო, მაგრამ აღმაშენებელი ყოველი სამართლიანად მოპოვებული პოზიციის დაკანონებას და დადგინებას ესწრაფვის, მისი ბრძენი გონება ჭვრეტდა, რომ ქართველ ხალხს მსოფლიოს მკვიდრ ერთა მსგავსად ჰქონდა თვისება სიმყარისა და სიმკვიდრის, რასაც გაღრმავება და გაფრთხილება ჭირდებოდა. იგი მოხიბლული იყო მშობელი ხალხის ამ თვისებით. მოხეტიალე ხალხების ფსიქოლოგია უცხო იყო მისთვის. ამიტომ ვერ ვხედავთ ჩვენ დავით აღმაშენებელს უკიდეგანო ტრამალზე მიმქროლავს,

სილიან ბორცვებზე შემართულს, ჩინეთის, ინდოეთის ტერიტორიებზე შეჭრილს, ბაღდადის ასაღებად დაძრულს, ამიტომ გამოსჭვივის ერთი ნიშანი ყველა ქართველი და უცხოელი ისტორიკოსის ნაშრომში — სამართლიანობა. დიახ, რაღაც დიდს, კაცობრიული სამართლიანობის გრძნობას ემსახურებოდა დავითის მახვილიც და მისი ერის მისიაც.

დავით აღმაშენებელი საგანგებოდ წვრთნიდა ამ თვისებას. ადგილზე კი იმ საერთაშორისო სამართლიანობის გრძნობის დროშად ანთება გამუდმებულ მზადყოფნას ითხოვდა, ისევე როგორც მსოფლიო ბატონობისაკენ მავანთა მისწრაფება. პირველის გზაზე კეთილშობილების ყვავილები იფურჩქნებოდნენ, მეორეზე შედედებული სისხლი ლაპლაპებდა. ამიტომ „საშვენი ხვედრის“ დამტკიცებისათვის შრომასა და ბრძოლას ავალებდა თავის ხალხს, რამაც დაუჯერებელი მოვლენები მოახდენინა რაღაც სამი ათეული წლის განმავლობაში.

დიდმა მოვლენებმა უსაზღვროდ გაზარდა საქართველოს საერთაშორისო გავლენა და ავტორიტეტი. დიდი ხანია მას დახმარებისათვის მიმართავდნენ დასავლეთის ქვეყნები — ბიზანტიელები, ჯვაროსნები. თამარის ისტორიკოსის ცნობით, იერუსალიმის განთავისუფლებაში დავითის ლაშქარიც მონაწილეობდა. იცოდა დავით აღმაშენებელმა საერთაშორისო პოლიტიკური ამინდი, რა უნდა გაეკეთებინა, რომ, გაერბილებინა მტრობის მკაცრი ატმოსფერო, ძალთა იმგვარი გადანაცვლება მოეხდინა, საქართველოს წისქვილზე რომ მიეშვებდა წყალს.

ავტორიტეტი ჯერ კიდევ დიდგორის ბრძოლამდე გაიზარდა, ყოველი სამხედრო ოპერაცია ზრდიდა მას. ერწუხისა და თრიალეთის ბრძოლები სამხედრო ძლიერების შეუვალობას ჯანონებდა. ხოლო როდესაც ქართული ლაშქრის განუწყვეტელმა იერიშმა არსად არ დატოვა თურქთა ბანაკები, ამის შემდეგ თურქ-სელჩუკთა ნიაღვრებით შეძრწუნებული ქვეყნები განსაკუთრებული ყურადღებით დაუკვირდნენ დავითის საქართველოს. შავად შეღებილი დელეგაციის განფენილობამ მუსლიმანთა ქვეყნებში, მათმა ვედრებამ, დავით აღმაშენებლისაგან დაგვიცავითო, საბოლოო წერტილი დაუსვა წარმოდგენებს. მხოლოდ დიდგორის გადამწყვეტ ბრძოლას შეეძლო შეერყია ეს წარმოდგენები, რაკი მთელი მაჰმადიანური სამ-

ყაროს კოალიციური ლაშქარი გამოვიდა დავითის წინააღმდეგ. დიდგორის ბრძოლამ ეს იმედებიც დაუმსხვრია მტერს. საქართველოს სახით უდიდესი სახელმწიფო იდგა მათ წინაშე, არაფერი შემთხვევითი და ეფემერული არ ჩანდა მის ძლიერებაში და ყველაფერზე მეტად ამის შეგრძნება აღაშფოთებდა მტერს.

„რამეთუ თვით სულტანი მუნ, სად იყო, ძრწოდა შიშისაგან მისისა, და არცაღა თვით ძუელად ქონებულთა ქალაქთა და ქუეყანათა ჰგონებდა თვისად ქონებად, არამედ რაოდენცა შორს იყო, ეგრემცა ეოცებოდა მძინარეს შიში და მღვიძარესა სიკუდილი.

ამისთვისცა ზედას-ზედა წარმოავლენდის მოციქულთა ძღუენითა დამშვიდებად პირსა მისსა. რამეთუ წარმოსცის საჭურჭლენი მძიმენი, ტურფანი, მრავალფერნი, მფრინველნი და ნადირნი უცხონი და ძვირად საპოვნელნი, და ეძიებენ მშვიდობასა და სიყვარულსა და ყივჩაყთაგან არა რბევასა, ამისთვისცა არა-რას მიხედვიდეს წარსაგებელთა სიმრავლესა, ოდენმცა მუნ თვით, სადა იყვის, იპოვის მშვიდობა და სიცოცხლე თავისა თვისისა და ვგონებ ვითარმედ მამითა და პაპითაგან წაღებულნი ქუეყანანი, ტყუენი და სიმდიდრენი მრავალ-წილად უკუმოიმზღუნა ამან მხნემან. დაამშვიდა ქუეყანა, აღივსო და გარდაეცა ყოვლითა კეთილითა, განავსო და აღაშენა ყოველ ოხერ-ქმნილი და გარდაემეტა ყოველთა ჟამთა მშვიდობითა და სიმდიდრითა სამეფო ჩუენი, ნაცვლად გარდასულთა ოხრებათასა“.

დიდი თურქობის დრო გავიხსენოთ. 36 წლის წინათ იყო სულ. მაგრამ მანამდე შექმნილ ვითარებას დავაკვირდეთ. დიამეტრალურად შეცვლილი სურათი ერთი შეხედვით ცალმხრივ შეხედულებას ახდენს. ჩვენ მივეჩვიეთ ამ ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში განუწყვეტელ წარმატებებს. ქვეყნის მოღონიერებას შეეჩვია თვალი და ახლა სიხარულის ტალღით გვავსებს ეს ძალმოსილება. უძლეველი სულთანი შიშისაგან ძრწის. აქეთ სალაშქროდ წამოსვლა ვიღას ახსოვს. იქ, სადაც არის, იქ კანკალებს შიშისაგან — საქართველოს საზღვრებიდან შორს, ძალიან შორს თავშეფარებული. ვიღა დაეძებს თურქ-სელჩუკთა უძლეველი ურდოების წყალობით

ერთ დროს დაპყრობილ ქვეყნებს, უკვე „ძველთაგანვე“ მისი კუთვნილი ქალაქები და ქვეყნები ეეპვება, — ნამდვილად მე მეკუთვნის თუ არაო. გაჩნდა კითხვა, რა ეკუთვნოდა მას, სულთანს ამ ცის ქვეშ, რას დაუტოვებდა ბედი. სწორედ სიმშვიდეს მოეშალა მის სულში საფუძველი. „არამედ რაოდენცა შორს იყო, ეგრემცა ეოცებოდა მძინარესა შიში და მღვიძარესა სიკუდილი“. ეოცებოდა ძილი და მოსვენება დაკარგა ერთ დროს უძლეველმა სულთანმა. მაგრამ მოხდა უფრო უარესი, დაიკარგა სულიერი წონასწორობა, თვალსა და ხელს შუა გაჭრა ხვალინდელი დღის იმედი. გაურკვევლობა, გაურკვევლობა, საშინელი გაურკვევლობა ხლართავდა პოლიტიკურ ამინდს, ვიღაცის მტკიცე ხელი და გამჭოლი მზერა ამოძრავებდა სულთნის საპირისპიროდ მას. შეუძლებელი შეიქნა მასთან დაპირისპირება, ყველა საცდელი გაცუდდა, ყველა მეცადინეობა ჩაიშალა.

და ერთ მშვენიერ დღეს სულ სხვა არსით წარმოდგა სულთნის კარი, სულ სხვა თვისებები ამოტივტივდნენ. დავით აღმაშენებლის გულის მოსაგებად სულთნის კარიდან დაიძრა გრძელი ქარავანი ძვირფასი ძღვენით, ოქრო-ვერცხლით, მოსაკითხებით. ეს უკვე გატეხილი, შიშს დამონებული კაცის მოქმედებაა, გასაქანი რომ არსაით აქვს, იმგვარი ქვეყნის მეთაურის საქციელია. შიშსა და ძრწოლას მონური ჩვევები აუმზევებია. დავითს ხარკი არ უთხოვია სულთნისათვის, სახელმწიფო ინტერესებისათვის ლაშქრობდა მის წინააღმდეგ. ზავის პირობის თანახმად არ მოდის ეს მოსაკითხები, თუმცა ასეც რომ ყოფილიყო, სულთნის გატეხილ სულს მაინც არაფერი უშველიდა. მაგრამ თვითონ, საკუთარი სურვილით, რაღაც გაუნელებელი ძრწოლის ბიძგით სრულდება სულთნის ბრძანება, რაც შეიძლება დიდი სიმდიდრე მიუვიდეს დავით მეფეს მოსაკითხავად, მორჩილების ნიშნად, თხოვნისა და ვედრების გამოხატულებად. არ ჩანს ამ ფაქტში ღირსების გრძნობა, ვერ მალავს სულთანი შიშსა და ძრწოლას, პოლიტიკურ ნიღაბსაც ვერ იფარებს. ვერ მალავს, რომ „ეოცება მძინარესა შიში და მღვიძარესა სიკუდილი“. ეს არ არის საჩუქარი, არც ძღვენი—საზღვარი აქვს ყველაფერს! წონასწორობადაკარგული სულის, დასახრჩობად განწირული კაცის მეცადინეობაა,

ჩავსის ჩაჭიდებაა ეს „ზედა-ზედა“ რომ „წარმოგზავნის მოციქულთა“, ძმობას, ერთგულებას რომ ეფიცება... „საჭურჭლენი მძიმენი, ტურფანი, მრავალფერნი, მფრინველნი და ნადირნი უცხონი და ძვირად საპოვნელნი“... დალაჩრებული სულისკვეთება აგზავნიდა ამას ყოველივეს „ეძიებდა მშვიდობას და ყივჩაღთაგან არა რბევას“. ეს ხვეწნა იყო უკვე, ძღვენით, მოსაკითხით, მოციქულთა ენით მეტყველი ხვეწნა, რათა არ განიხრახოს დავით მეფემ უფრო შორს შეჭრა, ყველაფრის წალეკვა... თურქთა აღგვა პირისაგან მიწისა... მორჩილი ფსიქიკა თანახმა იყო წაგო, გაღატაკებულიყო, არაფერი დაეზოგა მშვიდობის მისაღწევად. კუთვნილი ქვეყნები დაავალდებულა დიდძალი ქონების, სიმდიდრის შესაგროვებლად, რათა უწყვეტ ქარავანად „ზედას-ზედა“ ედინა მას საქართველოსკენ. ამ „ზედას-ზედა“ დინებას ყოველდღიურად უნდა დაეცხრო დავითის რისხვა, უმალ შეეხსენებინა, რომ სულთანი მორჩილია და მშვიდობის მთხოვნელი. ოღონდ ცოცხალი დარჩეს. დათრგუნულნი მთელი არსით, ბუნებით, დათმობილი პოზიციებით, ალაგმული ვნებებით, გაფუჭებული მადით, იგი შესციცინებდა დავით აღმაშენებელს თვალებში და ვერ იცხრობდა მუხლების თახთახს...

შედეგი გახლდათ ფანტასტიკური — ყოველივე ამის. გამო „ვგონებ ვითარმედ მამათ და პაპათაგან წაღებულნი ქვეყანანი, ტყუენი და სიმდიდრენი მრავალი წილად უკუმოიზღუნა ამან მხნემან“. საქართველოს უკან უბრუნდებოდა ოდესღაც წართმეული ქვეყნები, სიმდიდრე, საჭურჭლენი, უბრუნდებოდა მრავალ წილად, მეტი, ვიდრე ეს სიმდიდრე თავის დროზე წაიღეს თურქებმა. სამხედრო ძალმოსილება თავისი მძლავრი ფილტვებით უკანვე ისრუტავდა იმ მძიმე დროის დანაკარგს, ინაზღაურებდა ყველაფერს, რისი ანაზღაურებაც კი შეიძლებოდა. ერთია, რომ სიმდიდრე დაგროვდა დიდძალი, ერთია, რომ აშენდა არაშენებული, და „შენებულობით“ აღივსო ქვეყანა, რომ არნახულად გაიზარდა საქართველოს ეკონომიური შესაძლებლობანი, რომ იმ სიმდიდრით დიადი აღშენების და ეროვნული სულის გამოვლენის დიდი კულტურული პროცესი ხორციელდებოდა. სხვა შინაარსიც აქვს ამ ცხადლივ მოვლენას.

1080 წლიდან ტახტზე ასვლამდე ჯერ ბავშვის, შემდეგ ჭაბუკის სულში იმუტებოდა მტერზე შურისძიების გრძნობა, ეფუძნებოდა ქვეყნის ხსნისა და შვების მიცემის დიდი გეგმა.

ოცდათექვსმეტი წლის მანძილზე ხორციელდებოდა ამ გეგმით გათვალისწინებული ყველა ჩანაფიქრი. გეგმა იზრდებოდა, ფართოვდებოდა, დიდ ეროვნულ პროგრამად ყალიბდებოდა და შინაგანად განივრცებოდა.

ახლა შედეგი ასეთი იყო. იმავე დღეში ჰყავდა მტერი ჩაყენებული, რა დღეშიც ვიხილეთ საქართველო მის გამეფებამდე. ოღონდ იყო განსხვავება, დიდი, არსებითი განსხვავება — დავითის ბრძოლა იყო ტერფით თხემამდე პირნათელი და სამართლიანი ბრძოლა. ვერავინ იტყვის და არც არის საჭირო იმის მტკიცება, თითქოს თურქთა ბანაკების მისამართით დავითი სასტიკი არ იყო, უსასტიკესი იყო მისი შემმუსვრელი ვნება, მაგრამ განსხვავება იმ ორ ვნებას შორის ისეთივეა როგორც ცასა და მიწას შორის. სხვისი მიწის დასაკუთრების, სხვისი განადგურების ვნებით კი არა, სამართლიანობის აღდგენისა და საკუთარი ხალხის გადარჩენის ვნებით იყო მონათლული ის მახვილი, რომელიც მტრის სისხლს ღვრიდა.

კომპრომისი არ შეიძლებოდა და არც დაუშვია კომპრომისი.

ახლა ფეხთით დაცემული სულთანი და მისი ქვეყანა რომ დაინახა, არც მაშინ დაუშვია კომპრომისი, რადგან მისმა უნათლესმა გონებამ იმთავითვე ამოიცნო მთავარი ჭეშმარიტება: პოლიტიკური აზრი ძალთა მოდუნებას და გულჩვილობას არ გაპატიებს. სხვისი ქვეყნების აოხრებისა და ხალხების ჟლეტის სურვილი რომ არ ჰქონდა, ეს მისი მოქმედების საზღვრებმა და სტილმა დაგვიდასტურა და კიდევ „გალობანი სინანულისანის" იმ მაღალმა სიტყვებმა! „ზედას-ზედა" მოსაკითხვებისა და ხვეწნა-მუდარის ქარავანი რომ მოეშურებოდა მისკენ, ეს გვიმხელს ჭეშმარიტებას: დავითი არ ანელებდა ფსიქოლოგიური ზემოქმედების წნევას. შირვანისა და სომხეთის შემოერთების შემდეგ მთელი წლის განმავლობაში არ ულაშქრია მას მნიშვნელოვანი ძალებით, მაგრამ მტერი სულ მის მოლოდინში იყო, სულ ახსოვდა გრიგალის თვისება — მოულოდნელად ავარდებოდა იგი და როდის, არავინ იცოდა! ფეხ-

ქვეშ გართხმულ სულთანს რომ სჭვრეტდა, მის ბუნებაში მომხდარ ცვლილებებს რომ სწავლობდა, მისი ურდოების დათრგუნულ მადას რომ აკვირდებოდა, დავითის თვალწინ ღიმართებოდა საქართველოს დაძაბული ყოფით მიღწეული სიმაღლე. ყველაფერი ერის შინაგან ზეობას ადასტურებდა. სულთანი მოხარკეა ფაქტიურად, ბერძენთა მეფე მოყვარეა სახლეულით, დაცემულია მტრის ძლიერება, დამდაბლებულია მეფენი, ხელმწიფენი, სამუდამოდ მოიშორა ქვეყანამ არაბები, გააცამტვერა სპარსელნი — ეს გარემომცველი მტრული სამყაროს ნამტვრევებია.

ერის გონი ჭვრეტდა ამ ძირფესვიან ცვლილებას, ამ დიამეტრალურად შეცვლილ სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას, ყველაფერი ერთი თაობის წინაშე ხდებოდა და შედარებისათვის მატიანეთა ცნობების კითხვა არ უწევდათ. ერთი თაობის მეხსიერება აჯგუფებდა ნიშნებს, ადარებდა, აანალიზებდა, განსხვავებას აკვირდებოდა. განსხვავება ყოვლისმომცველი იყო, მაგრამ იმდენად მყარი იყო შინაგანი ამზევების მოძრაობა, რომ გუშინ დაგდებული სულიერი მდგომარეობა დაუჯერებელი ხდებოდა, თითქოს არც არსებობდა იგი. კოშმარი იყო ყველაფერი, ძილში, სიზმარში გადავლილი საშინელი სურათების ჯამი. მაგრამ რაკი სინამდვილე სინამდვილიდან იყო ამოზრდილი, რაკი ორი სინამდვილის შედარება დიდ ცოდნას და სიბრძნეს აგროვებდა, ქართველ ხალხში შეურყეველად მტკიცდებოდა მიღწეულის რწმენა, მისი ცხოვრებია გზაზე კი ეფინებოდა ფორმები, რისი წყალობითაც ასეთ გადასახედს მიადგა.

* * *

„და ეგულებოდა გაზაფხულ ქმნა დიდთა საქმეთა და უფროსთა ლაშქრობათ ვინათგან არავინ წინაღუდგა მას“...

* * *

რა ამოიზარდა მიღწეულის შინაარსისაგან, რა ახალი გეგმა დაიბადა მისი ცხოვრების გზაზე, თითქოს ყველაფერი მიღწეული იყო იმ გრანდიოზული პროგრამიდან, რაც მოსვენებას

არ აძლევდა მასაც და მის ერსაც, თითქოს გასრულებული ჩანდა ეროვნული მისია, ვისი მძიმე ტვირთი რამდენიმე მეფის ძლიერ მხარს ითხოვდა, მან კი მასშივე ჩადებული თვისებებისა და ენერგიის წყალობით ერთმა განასრულა იგი, „სივრცითა გონებისათა“ მოიცვა ყველა უმთავრესი თუ უმნიშვნელო დეტალი.

რა უკარნახა ამჯერად საქართველოს მიღწეულმა სიმაღლემ. აქ მხოლოდ ვარაუდების დაშვება თუ შეიძლება, ისტორიკოსებიც ვარაუდების შემწეობით თუ მოხაზავენ მისი ფიქრის მიმართულებას.

ერთი რამ კი შეუცდომლად ითქმის. დავით აღმაშენებელი გრძნობდა მუდმივი პოლიტიკური სიფხიზლისა და შემართების აუცილებლობას. ეს მისი სულის მოთხოვნილება იყო, სტაბილური და მარადიული, უცვლელი და შეუვალი, მისი მეცადინეობა სულ იქით იყო მიმართული, რომ ის მუდმივი პოლიტიკური სიფხიზლე და შემართება გარდაექმნა ეროვნულ პოლიტიკურ ფენომენად. ამ მიზნის კარნახით აჯგუფებდა ძალებს. თავისი ხალხის სისხლში უნდა შეეყვანა ეს თვისება. ასეთი სიფხიზლე კი მას და მის ქვეყანას კარნახობდა „ახალ დიდ საქმეთა ქმნას“ და უფრო დიდი მასშტაბების ლაშქრობების მოწყობას. ყველაფერი მიმართულია მტრული გარემოცვის ყოველგვარი პრეტენზიის ასალაგმავად და პოლიტიკურ ნიშანსვეტებზე საკონტროლოდ.

და კიდევ ერთი რამის თქმა შეიძლება დაბეჯითებით, მისმა ხასიათმა, შრომისა და ბრძოლის სტილმა, ურთიერთობის შინაარსმა, „გალობანი სინანულისანის“ სულისკვეთებამ დაგვიდასტურა, რომ მეფე დავით აღმაშენებელს ამ „უფროსთა ლაშქრობაში“ არ შეიძლებოდა მიზნად ჰქონოდა ქვეყნების დაპყრობა. მისი ერის შესატყვისი პიროვნული ბუნება გამოიხატა ყველაფერში და მსოფლიო დიდების გზებზე სახეტიალოდ არაფერი ჰქონია გამიზნული. საქართველოს მისიის ამაღლება-დადგინება და ქრისტიანული სამყაროს მოვლა აღმოსავლეთში—აი, მისი უმთავრესი პროგრამა. ამისთვის იყო ანთებული, განსხირპული მთელი მისი არსება.. ყოველი ნერვით და ძარღვით, ფიქრის სხივებით დაჟიმულიყო მისი გენიის არსი.

* * *

1125 წლის იანვრის თვეში დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა. დიდი საქმეების მოსახდენად გამზადებული, ერის განუსაზღვრელი სიმაღლის გადასახედზე მდგარი მოწყდა სიცოცხლეს...

* * *

მან, ცხადია, იგრძნო აღსასრულის მოახლოება.

„ამანაც თჳსითა ხელითა დასუა საყდართა თჳისთა ძე თჳისი დიმიტრი, სახელით ოდენ ცვალებული მარადღე გარდამონასახი, ყოვლითურთ მსგავსი მამულთა ძირთა, და დაადგა თავსა შუენიერსა გჳირგჳინი ქვათაგან პატიოსანთა, ვიტყვ უკუე სათნოებათა მამულთა, და შეარტყა წელთა ძლიერთა მახჳილი, ეჰა, რაბამ სჳიანად სმარებული, და შემოსა პორფირი მკლავთა ლომებრთა და ტანსა ახოვანსა“.

ხანგრძლივი ბრძოლისა და ღვაწლის გზაზე არ ყოფილა შემთხვევა, რომ აღმაშენებელს სწორედ დროზე არ გადაედგა ნაბიჯი, რასაც მოსახდენი საქმე ითხოვდა. დროული ქმედება მისი რთული ხელოვნების ერთი უმთავრესი ნიშანთაგანი იყო. რა დროს დასვას ტახტზე ძე თავისი დემეტრე, რა დროს დაადგას თავს გვირგვინი. ესეც ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანი იყო და სიკვდილმა დაადასტურა, რომ ამ შემთხვევაშიც დროზე აღასრულა იგი დავით აღმაშენებელმა.

ე. ი. გრძნობდა აღსასრულის მოახლოებას, სხვაგვარად წარმოუდგენელია, 53 წლის კაცი, თანაც ამგვარი გონებრივი შესაძლებლობის კაცი ტახტს გასცლოდა.

რვა საუკუნეზე მეტია ქართველი ხალხი შინაგანად ვერ შერიგებია ესოდენ დიდი წინაპრის ასე უდროოდ წასვლას ამ ქვეყნიდან.

დავით აღმაშენებელი თექვსმეტი წლისა ავიდა ტახტზე, თექვსმეტი წლისას ყმაწვილს ვერ უწოდებდა ვერავინ, სიტყვა ჭაბუკიც გვეხმაურება მის გვერდით. თითქოს თავისთავად ბშვენიერი ეს სიტყვები ასაკს და თვისებებს ზუსტად რომ აღნიშნავენ, რაღაცას აკნინებენ მეფის პიროვნებაში. თითქოს

ამ თექვსმეტ წლამდე დამთავრდა ბავშვობაც, ყმაწვილობაც და სიჭაბუკეც. ტვირთი, რომელიც მის გოლიათურ მხრებს დააწვა, კოლოსალური სიმძიმისა იყო; ტვირთის განცდა მას მანამდეც განუსაზღვრელი ჰქონდა, სანამ მეფედ მოევლინებოდა ქვეყანას, ეს განცდა დღითიდღე მძაფრდებოდა, ერთგული დასის წრეში ყოველდღიურად იხარჯებოდა ის საქვეყნო ფიქრი. მცირდებოდა ბავშვური გართობისათვის გამიზნული დრო — მისთვის მცირდებოდა! დიდი საქმეებისაკენ მიდრეკილი ბუნება თვითონ ეგებებოდა საქვეყნო ფიქრს. ერთ საათში ასწრებდა გასართობი თამაშობის გადატანას სულში, რაზაც თანატოლები დღეებსა და კვირეებს უთმობდნენ. თითქოს მის უნაპირო სილაღეს, ძალთა სიკასკასეს თავის თავში უნდა მოექცია ბავშვობის დროც, თამაშობათა მრავალფეროვანი შინაარსიც და ბავშვობა წლებით ადრე დაესრულებინა. რაღაც დიდის დაძახილი ამოკლებდა, აჩუცმაცებდა დროს, მცირე წილს მიუგდებდა სიყმაწვილის ცელქობას. აქეთ მიითვლიდა ბავშვობის წილს. ნაადრევად დავაჟკაცდაო, იტყვიან ასეთ ადამიანზე, მაგრამ ამ ნაადრევი დავაჟკაცების სულია ჩვენთვის საინტერესო. იგი ესწრაფვოდა მალე დავაჟკაცებას, უძლეველ მეომრად ქცევას, რომ მალე მიშველებოდა ხალხსა და ქვეყანას. სულისკვეთება და დიდი აზროვნების უნარი ბავშვობიდანვე ერწყმოდა ერთმანეთს და ასეთ დროს სულისკვეთება ნაადრევად აყენებს დიდ გზაზე ღირსეულს, უხეშად უკვეცავს ბავშვური სილაღის ხანას, შეაჭიდებს დამქანცველ აღმართს. ხოლო ბრძენი ადამიანებისაგან შემდგარი დასი, მეფე გიორგისთან ერთად რომ იტანჯებოდა ქვეყნის სავალალო მდგომარეობით, უკვე ხედავდა მასში დიდ იმედს.

ასეა თუ ისე, დიდი კაცის საშესთან მისვლა ამჯერად დროის დაუკარგავად „მოხერხდა". ტახტზე ასასვლელად მზადებისას სულ უფრო მკვეთრად ემიჯნებოდა ბავშვურ და ყმაწვილურ მიდრეკილებებს, მთელი გულით ეძლეოდა სამეფოდ მზადების მკაცრ კანონებს, იმაზე მეტს ივალდებულებდა, ვიდრე ის მზადება, წვრთნა და აღზრდის მკაცრი კანონები გულისხმობდნენ. ბიოგრაფიიდან ჩანს, რომ ყოველთვის მაქსიმალურ თვითგაღებას სთხოვდა თავის თავს. ერთგული დასის გარემოცვაში იშინაურებდა საქვეყნო გეგმებს, მისი გო-

ნება ისრუტავდა ამ დიდ გეგმებს. იწუნებდა, ხვეწდა, ღრმად იმარხავდა ყოველივე მასშტაბურს და იდუმალს. დიდი საქმეებისათვის ეს საგანგებო შემზადება მომართავდა მთელი ცხოვრების შინაარსს. და სანამ ტახტზე ავიდოდა, გადატანილი ჰქონდა დიდი მოვალეობის შეცნობის მძიმე პროცესი, მისი გაშინაგნების დამპყრობლური ჟინი და მისწრაფება. ამ განცდას და შეცნობის პროცესს მშობელი ქვეყნის მიერ გადატანილი ტრაგედიის შეგრძნება ერწყმოდა. „დიდი თურქობის“ ყველა საშინელება მის ძარღვებს იყო ჩაჭიდებული, განადგურების პირას მისული ქვეყნის ხილვა ათეთრებდა ღამეებს, ზრდიდა ფიქრის ინტენსივობას, აქ უჩვეულო იყო მდგომარეობა, საგანგებო და უკიდურესი, აღარავის არ შეეძლო მისი არდანახვა. ქვეყანას ჭირი ვერავინ ვერ გაუმრთელა და გამოქვაბულებსა და ტყეებს შეხიზნული ერი დასასრულის შიშით იყო გათანგული.

. იგი ერთიანად ვნებით ატაცებული მიილტვოდა ასპარეზისკენ და როცა თექვსმეტი წლისა მეფე გახდა, უკვე მზად იყო ყველა განსაცდელისათვის, რაც ელოდა, მზად იყო ყველა მოსახდენი საქმისათვის. თვითონ ეძებდა სრულ დატვირთვას, რაკი ერსა და ქვეყანას ასე სჭირდებოდა! ამ დღიდან სულ სხვა ცხოვრება დაიწყო. ჩვენ დაახლოებით მაინც ვიცით ამ ცხოვრების შესახებ, მხოლოდ დატვირთვის მასშტაბი და გამიზნულობა უნდა მოვიგონოთ. აღსასრულთან დავით აღმაშენებლის შეხვედრა თავისთავად მიგვახედებს იქით.

„რამეთუ მეფე იქმნა რა დავით, მოოხრებულ იყო ქართლი და თვინიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა...

და იყო მაშინ საზღვარ სამეფოს მთა მცირე ლიხთა, და სადგომი სამეფო წაღულის-თავი. და ოდესცა ნადირობა უნდის ქართლისა ჭალათა, ანუ ნაჭარმაგევს, რომელი ყოველად აღსავსე იყო ირემთა და ეშუთა მიერ, ხოლო ცხენ-კეთილნი კაცნი ჩამოგზავნიან და გაინახიან: ეგრეთღა ჩამოვიდიან ნადირობად ვაკესა“.

ლიხის მთის იქით შეყუჟულა ბაგრატ მესამის ვრცელი საქართველო! წინასწარი დაზვერვის გარეშე, თურქებს არ გა-

დავაწყდეთო, ირემზე სანადიროდ ჩასვლას ვერ ბედავენ ქართველები.

ასეთი ვითარება ითხოვდა ან მუხლზე დაჩოქილი, მონური სულისკვეთების მქონე მეფის ხასიათს, რაც შეაძლებინებდა ყველაფერთან შეგუებას, ან სწორედ იმას ითხოვდა, რაც ფიქრად ედო გულში ახალგაზრდა მეფეს. დავითი იწყებს თითქმის არაფრიდან. ახლა, სამეფო ტახტზე მჯდომი, იგი განჩხრეკდა ყველა ახლო და შორეულ მიზნებს, აყალიბებდა სამოქმედო პროგრამას. სხვაგვარად არ შეიძლებოდა. აწევს ქართველი ხალხი და მისი წინამძღოლი ამ პროგრამას, აიტანს მას გამიზნულ სიმაღლემდე? — უნდა აიტანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისტორიის უფსკრული ელოდება მას. პროგრამა კი, მხოლოდ კონტურებით, მხოლოდ ნაწილობრივ გამჟღავნებული, ფიქრში იყო გასაიდუმლოებული და გათეთრებული ღამეების ქსოვილში იყო გახვეული. თითქოს უხილავმა ხელმა, გამოატარა რა ურიცხვი მოვლენის გული, უსასრულობამდე დაჭიმა დავით აღმაშენებლის სულიერი ენერგია.

დაიწყო ფუძის აღდგენით დავითმა და მისმა ხალხმა. მაგრამ ახლა მაინც უნდა დავაშოროთ მისი პიროვნება მშობელ წიაღს და საკუთრივ ერთი პიროვნებისაგან აზიდული ტვირთი სრულად შევიცნოთ. მთელს ტერიტორიაზე, სადაც კი თურქები ჩამოდგნენ ასისფორნიდან ჭყონდიდის ჩათვლით, ღამეებს ტეხდა მეფის ფიქრი, აღმართებს აჩოქებდა მუხლი და სივრცეს ისრუტავდა მისი ცხენი; იგი მიქროდა ყველგან, ყველგან აგზავნიდა თავის ხალხს და ფუძეზე მოჰყავდა ქართველი კაცი. ქართველი კაცის ფიქრიდან კი შიშის განდევნა ძნელად შეეძლო რაიმეს — დიდი იყო გადატანილი უბედურების წნევა. ძნელი იყო ხმის მიწვდენა, მონახვა, დარწმუნება — მეფეს ითხოვდა ქართველი კაცი, მეფესთან შეხვედრა იოლად წყვეტდა საკითხს; ღვთისა და მეფისა სწამდა მხოლოდ. ესღა დარჩენია ამქვეყნიურ საყრდენად. ამ დღიდან დაიწყო ველ-მინდვრად, წისქვილებში, უბრალო მიწურებში ღამის თევა, ამ დღიდან დაიწყო „სათანაო“ ბიბლიოთეკების უცნაური ტარება წუთისოფლის გზებზე.

იმთავითვე საქვეყნო საქმით მოსულდგმული კაცი იყო დასაძებნი. ირგვლივ სულ ასეთები უნდა მოეკრიბა. საქმეთა

რიცხვი იზრდებოდა დაუსრულებლად. ენერგიისა და ხელის გასაწვდენი სივრცე ფართოვდებოდა. რამდენი მიმართულებით უნდა წასულიყო მისი კაცი, რაოდენ ზუსტი ცნობა უნდა მოეწვდინა, სწორად, მამულიშვილურად ემოქმედა, ქვეყანას მამულიშვილები ჰირდებოდა. მისი სულისკვეთება და მისწრაფება ვერ იგუებდა მოჩვენებით ერთგულსა და პატრიოტს, სისხლით ქართველი და თავდადებული პიროვნებანი უნდა ეპოვნა.

უმთავრეს ფიქრს მაინც ლაშქარი იტაცებდა, არც მოშენება ასისფორნიდან ჭყონდიდამდე, არც სხვა საქეყნო სიმაღლეები სხვა რიგად არ მიიღწეოდა: ლაშქარი კი, თურქთაგან „დაჯაბნებული და დაშინებული“, რიცხვმცირე და უვარგისი, გულს უკლავდა ჰირისუფალს. იქ სადაც მოეშენაა, ლაშქრის მოვლაცაა, შენება ყოველ სოფელში, ყოველ კუთხეში, იწვრთნება ლაშქარი, ყველგან და დროის დაუკარგავად.

დავით აღმაშენებელმა უგრძნეულად თავდასხმის ურთულესი გეგმები შეიმუშავა.

უგრძნეულად, უგრძნეულად, უგრძნეულად!.. ყველგან და თითქმის ყოველთვის. საამისოდ, უპირველეს ყოვლისა, მტრის ადგილსამყოფელია დასაზუსტებელი, საამისოდ მუხლმაგარი, მოხერხებული, უღალატო მსტოვრებია საჭირო, ფიქრის მარადიული ცერზე დგომა. მოსვენებას არ აძლევდა ყველა გაელილი მანძილი, ვარაუდი. მტრის მოძრაობის ამოცნობა, მოსალოდნელი სიტუაციების განსაზღვრა, მოსალოდნელი ცვლილებების მიმართულება და უზუსტესი დროის დადგენის ვნება არ აძლევდა მოსვენებას იმ კონკრეტულ ადგილას, სადაც ამ წუთში მოქმედებდა, თორემ ის გრანდიოზული პროგრამა, რომელიც ნივთად იდგა მასში, ძილსა და ჩათვლემას რომ არ ანებებდა, ეს ისედაც გასაგებია. იგი აყურადებდა თითოეულ ჩქამს, რაც დაბურულ ტყეში ტყდებოდა, რადგან იცოდა, მოძრაობდა მტერი, და ისიც იცოდა, როდესაც მტერს ეძებ, თანაც ძლიერსა და დაუნდობელს, ჩქამის გატეხვაც არ უნდა გამოგეპაროს. ნახტომისათვის კამარაშეკრული იგი მართლა ჰგავდა მშვილდის მოზიდულ ლარს, რათა ყოველ წამს ისარივით გაჰრილიყო მონიშნული მიმართულებით. მით უმე-

ტეს, რომ იცოდა, რა მოვლენები უნდა დაეტრიალებინა მომავალში ქართველი ხალხის წელში გასამართავად. ყველაზე მძაფრად ფიქრს ისტორიის გაკვეთილი სწვავდა, ის ტკივილი, რაც, შესაძლოა ქვეყნის სიკვდილით დამთავრებულიყო. რამ მოიტანა ეს უბედურება, ამის დაუნახავად ქვეყანას არაფერი ეწამლებოდა.

უმძიმესი მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანა სწორედ ერის შინაგანი ამაღლების გზების ძიებას გულისხმობდა. თანაც უმოკლეს დროში იყო მოსახდენი ეს მოვლენა. ხალხის სულისა და ხორცის წვრთნა იყო ურთულესი ამოცანა, თორემ საბოლოოდ იგი ერის სრულყოფილებისაკენ აიღებდა კურსს. მაგრამ ქართველი კაცის საუკეთესო თვისებების ამზევება, დიდი მიზნისაკენ მისი მოქცევა, მისი ფაქტიური სხვადქცევა იყო ურთულესი თავისი კონკრეტული ფორმებით. თითქოს თაეიდან უნდა ჩამოექნა სანთლის მსგავსად ყოველი ქართველის არსი, დაეთრგუნა დამღუპველი თვისება და ამოეზიდა მისი ქვეყნის ჰეშმარიტი ბუნება. დიდი სისტემა დაჭირდა ამ გრანდიოზულ საქმეს. მაცნე-მსტოვართა სისტემა ამიტომ იქცა უკეთილშობილეს მოვლენად ქართველი ერის ისტორიაში. რამდენი რამ იცოდა თავისი ერთგული სისტემის წყალობით...

რა მოფიქრება ჭირდებოდა ყოველივე ამას, ერთგული ხალხის შერჩევას, მათი უღალატობის უზრუნველყოფას, მაქსიმალური სიზუსტის მიღწევას, პარალელური ხაზების ჩართვას, მაკონტროლებელი თვალის გაძლიერებას, ინფორმაციების შეჯერებას, გაშიფვრას, გაანალიზებას, რა ენერგია გაჰქონდა ამ საქმეს დღეების, თვეების, წლების განმავლობაში, რა ძალისხმევა იყო საჭირო, რომ ყველა კაცისთვის ედარაჯა, ეროვნული დიდი მდინარება მზისკენ მიებრუნებინა. აქამდე ეშმაკისა და წყვდიადისაკენ მიდრეკილი, ახლა „განდრეკილ სლვასაც რომ არ იკადრებდა“ — ეს მდგომარეობა გაბატონდა ქართულ ხასიათში.

აქეთკენ მიმავალი ურიცხვი სიმივით დაჭსელილ ლაბირინთში რა ოსტატობით და როგორ შეუსვენებლიე „ღვარა ოფლი მისმა გონებამ“. რა ხელოვნება უნდა წაძღოლოდა იმ ინფორმაციების ზღვას წინ, რომ სწორედ დროზე დასცემოდა ლა-

ხვარივით სიტყვები მოდალატე კაცის ბუნებას: „ნუ იყოფინ ესე, წარვედ!“ — ეს განკითხვის სიტყვებია, თანამდევი და უკვდავი, ერთადერთი, რასაც შეუძლია ერის აღორძინება. რამდენი ფიქრის დაწვას ითხოვდა „ეს დიდი საქმენი ღმრთისაგან ოდენ შესაძლებელი“.

გაჰქონდა ენერგია დიდ საქმეს — ითხოვდა უზღვავს და გასცემდა უზღვავს. წლების განმავლობაში ნაბოჯ-ნაბიჯ, ფიქრის კვალდაკვალ, საქმეების გარემოცვაში მისდევდა მისი ფიქრი ქართველი კაცის ცხოვრების ნორმებს.

საამისოდ შესწავლა ჰირდებოდა ყველა დიდგვაროვანს, აზნაურს, გლეხს, ეკლესიის მსახურს, მოქალაქეს, რათა „უწესოდ სლვა“ აღკვეთილიყო ამოდენა ქვეყანაში, სადაც ვნებებსა და ფიქრებს კლდეები, ხეობები და ტყეები ასე გულდაგულ ჯავშნავდნენ, იფარავდნენ. ანებივრებდნენ.

ეს საერთო პროცესია, მაგრამ მარტო სახელმწიფოებრივი კანონებით კი არ არის იგი მოწესრიგებული, დეტალურად არის განწმენდილი ხალხის სული და სხეული ჟუჟყისაგან. მარტოოდენ რუის-ურბნისის კრებით არ ამოიწურება იგი, თუმცა ეს კრება თავისი რეფორმისტული გრანდიოზულობით ამოზიდულია საერთო ფონზე და იქაც დღეების მანძილზე სულ კონკრეტულად განირჩეოდა ყოველი ზნედაცემული ეკლესიის მსახურის ცოდვანი, განწმენდის წყალობით გაგრძელებული პროცესი ათასგზის მეტი მოცულობის შრომას ითხოვდა. ღირდა ამისთვის სიცხლის დაუსვენებლობა, ფიქრის და ენერგიის დაუზოგავი ხარჯვა, სიფხიზლის სანთლების მოუწყინარად ანთება.

იმ საერთო პროცესს უანტრაქტო ბრძოლები გასდევდა, ის ბრძოლებიც წვრთნაში მონაწილეობდა, მაგრამ ბრძოლათა წარმატებით დამთავრებისათვის გასაღები ენერგია იმოდენა უნდა ყოფილიყო, რაც კი პროგრამა ითხოვდა. ყველა პრობლემის მიმართ მაქსიმალური სიფხიზლე! სამხედრო ოპერაციების წარმართვისას იგი ახალ დატვირთვას იძენდა. განსაცდელი მოდიოდა დაუნდობლობის, სიკვდილის გზით, და ყოველ ჟამს მკაცრი გამოცდის წინაშე აყენებდა ქვეყნის საბრძოლო თვისებებს თუ შესაძლებლობას. რა სირთულეც იგულისხმება დავით აღმაშენებლის საბრძოლო ხელოვნებაში,

იმ ძალისა უნდა ვიგულისხმოთ მხედართმთავრის, სარდლების, შიკრიკების, ცხენოსნებისა და ქვეითების დატვირთვაც. საერთოდ, საქართველოს სამხედრო პოტენციალის განუხრელი ზრდა ამ დატვირთვის ხარჯზე ხდებოდა. ყველა ბრძოლა მოლაშქრეების სრული „განსხირპულობის“ წყალობით მოიგო ქვეყანამ, „ხოლო თვით მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თვისთა, ანუ შორით უზახებდა ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა თვით წინა უვიდოდა, და ვითა ლომი შეუზახებდა ხმითა მაღლითა, და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა, და თვით გოლიათებრ მიმართებდა და მკლავითა მტკიცითა დაამხობდა ახოვანთა, სრვიდა და დასცემდა წინა დამთხუელთა ძუელსა დავითს ელიაზარის ხელი ხრმლისა ვადასა ოდენ დაეწება, არამედ ხრმლით მისით უკმომდინარითა სისხლითა წელნი აღსავსე ესხნეს“.

„ესე მრავლისაგან მცირედი და კნინი წარმოვთქვით“, — დასძენს დავითის ისტორიკოსი. განსაკუთრებული დაკვირვება გვმართებს ამ სიტყვებზე. „მცირედი და კნინია“ აღნუსხული ისტორიკოსის მიერ, ამ „მცირედი და კნინის“ იქით დგას მსგავსი თავგანწირული ბრძოლების მთელი წყება, ურიცხვი მაგალითი. ასეთი იყო იგი ყოველ ბრძოლაში. დიახ, მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია თქმული მისი შენების, კითხვის, ბრძოლისა და ღვაწლის მაგალითებიდან, უფრო თითო ნიმუშია მოწვდილი, ხოლო შედეგი, ამგვარი ცხოვრებით მიღწეული შედეგი, ახლა ერთბაშად იხმობს საქმეების მწკრივს და ჩვენი წარმოდგენების ტყვედ აქცევს. ყველა საქმის უშუალოდ მონაწილე და ტვირთის უკიდესი წილის ამზიდავი, ყველაფერს უნდა გაწვდენოდა და ყველაფერს წვდებოდა, თვითონ ყველგან უნდა ყოფილიყო და ყველგან იყო. ხალხის ენერგიის მაქსიმუმის გამოხმობას მისდევდა, მაგრამ ყველას ენერგიას ზოგავდა, არ ზოგავდა მხოლოდ ერთადერთს — საკუთარს.

სრული თვითგაღება მოითხოვა მისმა ეროვნულმა პროგრამამ და დავით მეფე, უნათლესი და უბრძნესი გონების კაცი, მზად აღმოჩნდა სრული თვითგაღებისათვის. მას ეიმედებოდა მოზღვავებული ფიზიკური და სულიერი ენერგია, მაგრამ მერე და მერე ყოველგვარ ზღვარს გადაცდა ამ თვით-

ტაღების რიტმი. დიდი საქმეების კვალდაკვალ, რასაც ბრძოლების სისტემა, საერო და საეკლესიო რეფორმები, დიდი შენება და მასშტაბური ღონისძიებანი შეადგენდა, იფერფლებოდა სახელმწიფო მესვეურის ძალა და ღონე, მდინარესავით იღვრებოდა უბრალო ადამიანური სითბო და ალერსი. ქსენონში მისული მეფის ხატი რომ აღვიდგინოთ, ცხადად დავინახავთ, რამდენ სითბოს გასცემდა იგი, რათა ნუგეში და სათნოება დაეთესა ადამიანთა გულებში — როგორ პოულობდა მსოფლიო პოლიტიკის მბრუნავ კრატერში მიმართულებათა ამომცნობი და მათზე ფიქრში ჩაღრმავებული გონება საკუთარ გულს და პინაკებს უმოწმებდა იმ გულის კარნახით დავრდომილთ! საბრძოლო ოპერაციების დახლართულ ქსელში რთავდა სახელმწიფო სამართლის მტკივნეულ საკითხებს. ოპერაციების შედეგის, გააზრების, განხორციელების გზაზე მისი ფიქრი იძულებული ხდებოდა „ფიქრის უსწრაფესად" გადართულიყო გასარჩევი საქმის არსზე. მიეღო მისთვის შესაფერი ერთადერთი, ყველაზე უფრო სამართლიანი და ყველაზე უფრო ზუსტი გადაწყვეტილება. მეფის მოლოდინი ბევრგან ჰქონდათ, მოლოდინი იმიტომ ჰქონდათ, რომ არ უმტყუნებოდათ ეს მოლოდინი. გაცრუების შემთხვევაში ეს ხერხი ამოვარდებოდა ჩვევიდან, მაგრამ არა, ხალხმა იცოდა, რომ მეფე ჩამოიელიდა და უსათუოდ მონახავდა დროს საქმის გასარჩევად. სხვაგვარად ხეზე მეთვალყურის აგზავნა არ დაკანონდებოდა, საჯარო განხილვის წესი იმ დიდ ეროვნულ მოძრაობაში იყო ჩართული.

...ხოლო როდესაც აღსასრულებელი გეგმების შინაარსიდან ახალი ზეამოცანა ამოიზარდა, როდესაც აღმაშენებელმა ირწმუნა, უმოკლეს დროში რომ იყო მოსახდენი დიდნი საქმენი, რაღაც ზეადამიანური ითხოვა იმ ზეამოცანამ. თითქოს სრული თვითგაღება არ ყოფილიყო მთელი მისი სიცოცხლე. არა, უფრო დიდი ინტენსიურობა, უფრო დიდი მასშტაბები, უფრო დიდი ბრძოლები, მეტი სისწრაფე და მეტი შეუძლებელი! თითქოს ალტერნატივაა ყველაფერი. ამიტომ „არა სცა ძილი თუალთა; არცა ჰრული წამთა, არცა განსუენება ხორცთა თვისთა; არა მიდრკა გემოვნებათა მიმართ, არცა ნებასა ხორცთასა; არა სასმელ-საჭმელ-

თა, არცა სიმღერა-სიღოდათა და არათურთითა არარა ხორციელთა შეაკრა გონება"... თითქოს „საკუთარი თავიდან" გასვლას შევესწარით — იმ კატეგორიული მოთხოვნებიდან ეს შედეგი მიიღება. თითქოს უზარმაზარი სივრცე ერთად გადაიქროლეს ბრძოლებმა, მოვლენებმა, დღეებმა, თვეებმა, წლებმა, ადამიანთა სახეებმა. არ დაუტოვა სწრაფვამ უკან მიხედვისათვის წამი, თვალი არ უნდა მოწყვეტოდა აღთქმულ მიზანსს საკუთარი მისიის აღსრულების ვნება ამძაფრებდა სუნთქვას და საკმარისი იყო მცირედით სულის მოთქმა, რომ ყველაფერი ჩაფუშულიყო, წამიერ უმოქმედობას გამორიცხავდა უკვე მიზნის სიახლოვე. მხოლოდ საკუთარი თავისადმი მიუტევებლობით მიაღწევდა მიზანს.

დავით აღმაშენებლის სულიერი მდგომარეობის ამგვარი შინაარსი საუცხოოდ აქვს შეცნობილი თავის დიდ რომანში კონსტანტინე გამსახურდიას. სიკვდილის პირთანაც რომ არ ჰქონდა მოსვენების უფლება დატოვებული თავისთვის,' ეს იკითხება „უკანასკნელ ომში". საკმარისი იყო მოლანდებოდა მომაკვდავ მეფეს „მოუცილებელი მეაბჯრის" სიტყვები: „ტაოსკარს მოადგნენო თურქნი!", რომ მთელი მისი ორგანიზმი მოეცვა შემართებისა და მზადყოფნის ვნებას. გაწვრთნილი ინსტინქტების ბიძგით იარაღ-ჯავშნისკენ მიუდის ხელი მომაკვდავს. უზუსტესი ხილვაა მწერლის მხრივ! მთავარი ის მზადყოფნაა, მომაკვდავ მეფეს იარაღისაკენ რომ წააღებინებს ხელს და ის შინაარსი, რაც ამ მხატვრულ სახეში იკითხება. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ენერგიის გაღებისათვის მზადმყოფი მეფე ანდერძის მიმზიდველობას იძენს.

„მცირედთა დღეთა განისუენა ამთენს", „მცირედთა დღეთა მოუსუენა სპათა თვისთა" — რამდენიმეგზის აქვს თქმული ისტორიკოსს. მაგრამ იქაც, სადაც არ მიუთითებს „ამ მცირედთა" მოსვენებაზე, ყველგან იგრძნობა ის თავდაუზოგაობა, რომელიც რაღაც შეუვალი კანონის კარნახით იღვწოდა აღმაშენებლის არსებაში. უფრო მთავარი აზრი იკვეთება ყველაფრის გასინჯვის შემდეგ.

თურმე ყოველთვის, მთელი სიცოცხლის მანძილზე ის „არა სცა ძილი თუალთა" იღვწოდა, ის „არცა ჰრული წამთა"... შენება, ბრძოლა, შენება, ბრძოლა, შენება, ბრძოლა, წიგნი, წიგნი,

არსებითის ამოკითხვა... ერთმანეთს ცვლიდა ცხოვრების ათასი ფორმა, ყველა საგანგებო როლით დატვირთული, ერთმანეთში იჭრებოდა შუბის პირებივით ბრძოლის ვნება და წიგნის კითხვის დაუმცხრალი წყურვილი, აღშენების გენია და ერის სულიერი წვრთნის მფეთქავი პროცესი, საერთაშორისო პოლიტიკის დინებები, მხედართმთავრული ხელოვნება, თითქოს ვეებერთელა სივრცეზე ერთად მოგრიალებდნენ ისინი და უკან მიხედვის ნებას არ რთავდნენ, უკან — საკუთარი ცხოვრების განსაცდელად და მოსავლელად!

ნადირობის დროს ღრმად გასაჩხრეკ წიგნს რომ მიურბენინებდნენ და ნადირობით გალაღება რომ გამოირიცხებოდა ამქვეყნიური ცხოვრებიდან, ძნელი იყო იქ „განსუენებისათვის“ დროის გამომეტება. ხოლო იმ ოთხმა წელმა, როდესაც ყველა სისწრაფე დაჩრდილულ იქნა ისევ მისგანვე, მართლა „არა სცა ძილი თუალთა, არცა ჰრული წამთა“ და ბრძოლის ველიდან გამარჯვებით შემოქცეული მეფე „სანადიროდ“ ველმინდვრებს რომ გადაეხეთო, მუხნარს რომ შეეჩვია „უფროსთა ბრძოლებზე“ და მომავლის გეგმებზე ადევნებული ფიქრით, ავარვარდა კითხვაც: იყო კი საერთოდ მოსვენების ჟამი ამ წუთისოფელში? იყო სულის მოსათქმელი დრო? სიმართლე მკაცრი აღმოჩნდა — არ ჰქონია ცხოვრების მანძილზე არავითარი ანტრაქტი, არავითარი მოსვენებაც ის „მცირედი განსუენება“ თურმე სულ მოჩვენებითი ყოფილა, შრომისა და ბრძოლის თავისებური ფორმა მარტოოდენ, იმ წამსვე, იმ „მოსვენების“ ფორმაში გამოტანჯული ფიქრი და შეუვალი გეგმა იკალათებდა, გოლიათის სხეული და აურწყავი სულიერი ენერგია „სივრცითა გონებისათა“ უმოკლეს დროში აღიდგენდა დახარჯულ ენერგიას! ასეთი იყო სრული შთაბეჭდილება. სინამდვილეში ის ენერგია ივწოდა და ინთქმებოდა დაუბრუნებლივ. თავს ირწმუნებდა, რომ ღვაწლსა და დასვენებას ერთმანეთთან ახამებდა!.. დასვენებას — ჭეშმარიტს და ბრძნულს რომ დიდი მოცალეობა ჭირდებოდა, მშვენივრად უწყოდა, მაგრამ ამ აზრს კი გაუჯიუტდა მისი გონება... უფრო მთავარი იყო მოსასწრები, ვიდრე ენერგიის აღდგენა და ძალთა ნამდვილი მოკრება ნიშნავდა. ფაქტები და მოვლენები ბავშვობიდან გადაჭიმულ ვეებერთელა სივრცეზე სალი კლდის

სიმკვრივით მოქროდნენ ერის მიერ თვალდადგმული სიმაღლისაკენ, აქ დაღლაზე და მოსვენებაზე დაფიქრებაც კი დანაშაულად ჰქონდა შეცნობილი, ფიქრთან მისი გაკარების შესაძლებლობასაც არ უშვებდა. დიდი მისიის აღსრულების შემდეგ ახალი მისია ეკისრებოდა. ერის მარადიული სიფხიზლის დაკანონების ამოცანა იყო იგი და კვლავინდებურად გუშინ მოგებული ბრძოლიდან სახელოვნად შემოქცეული ნადირობის ვნებაში ქსოვდა იმ ახალ მისიაზე ფიქრს, ოღონდ ყველაფრის აღმასრულებელმა წამით იგრძნო გადმოქროლილ წლებზე თვალის მოვლების მოთხოვნილება და დაინახა უხილავი ხელით უსასტიკესად დაჭიმული, ათასი ფაქტისა და მოვლენის არსში გამოტარებული საკუთარი სულიერი ენერგია და ცხენის ქროლვას შეზრდილი დიდი გეგმებით აალებული ფიქრი უცებ გახლიჩა სიღრმიდან მოვარდნილმა კვნესამ... „დავიღალე, დედაო ჩემო, საშინლად დავიღალე“... „მუხნარს წაექცა ცხენი“ და სანამ „შთამუსვრილი“ გონს დაკარგავდა, მძლავრი ხელის მტევნებით გადარეკა გონებიდან თითქოს ნაფიქრი... „რა დროს დაღლაზე ლაპარაკია, მომიტევე, — ყოველად წმინდაო, მე ცოდვილს, მომიტევე!“...

მთელი სიღრმით აშიშვლებს ეს ერთი ფაქტი ჰეშმარიტებას — რაღაც დიდი გაწყდა მის სასიცოცხლო ენერგიაში, — პირველი საშინელი ნიშანი იყო აღსასრულისა. დარღვეულიყო საარსებო წონასწორობა გადამწვარი ნერვების, ძარღვების და ფიქრების არსებაში. ერის ისტორიული ბედის წინაშე დიდი დანიშნულების გააზრება კრავდა და ამთლიანებდა, ფეხზე აყენებდა ამ უღვთოდ გახარჯულ სიცოცხლეს და სულიერ ძალებს, თითქოს აქამდე იფარავდა ყველაფრისაგან, ისრისაგან, ციხიდან გამოსროლილი ყელზე დაკიდებულ ავგაროზზე რომ შეემსხვრა, ყივჩაღთა არაერთი საღალატო მახვილისაგან, თურქთა მიერ მოგზავნილი მკვლელებისაგან — „როადენგზის ყივჩაყთა თეისთა განიზრახეს ღალატი, და განაჩინნეს კაცნი მხნენი, რომელნიმე ხმლითა, რომელნიმე შუბითა, სხუანა ისრითა: და ესე არა ერთ და ორ გინა სამ, არამედ მრავალგზის; და არაოდეს მიუშუა ღმერთმან კუერთხი ცოდვილთა მართალსა მას ზედა. არც ოდეს „მისცა იგი ხელთა მეძიებელთა“ მისთასა, დაღათუ მრავალგზის დევნასა თურქთასა მარტო

დაეპყრის ანუ უსაჭურველო, გარნა ყოველსა შინა ხელი იგი ზეგარდმო ფარვიდა მდევართა მისთაგან".

ვერასდროს ვერ მიწვდა სიკვდილი. დიდი მისია, რისი განცდაც ასე მძაფრი ჰქონდა, რაც ასე უკანასკნელ ნერვამდე ჰქონდა შეცნობილი, მთელი არსით შეთვისებული, სულის სიღრმიდან ამოაფრქვევდა თითქოს სიკვდილის უკუმქცეველ ძალას.

ერთი შეხედვით მოულოდნელად მოკვდა დავით აღმაშენებელი!!!

ღიმილისმომგვრელია ფიქრი იმაზე, თითქოს ცხენი ნადირობისას წაექცა დავით აღმაშენებელს, ვისაც უსასტიკესი ბრძოლების ორომტრიალში უნივერსალური სრულყოფილებით ჰქონდა გამოცდილი მხედრული ღირსებანი. ცხენი და მხედარი დასასრულმა წააქცია, დასასრულის ტალღამ დააკარგვინა მის მარად „განსხირპულ" არსებობას წონასწორობა და მისთვის „უჩვეულო დაუდევრობაც" ჰენებისას ამ დასასრულმა დაბადა.

სიკვდილთან მისი შეხვედრა ერთი უმთავრესი საგანია ფიქრისათვის. რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლზე გადაბიჯება, ამ მოვლენაში მაინც სავარაუდებელია შეუმჩნეველი ჰაეროვნება და სიმსუბუქე და მისი განცდა მხოლოდ იმათ ხელეწიფებათ, ვინც საამქვეყნო ენერგია სრულად გასცა და აბსოლუტურად ამოწურა თავისი დანიშნულება.

* * *

„ვინ აღრაცხნეს რაოდენნი საქმენი ეთხოვებიან მეფობასა, რაოდენნი მართებანი და განსაგებელნი, კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი, განხეთქილებათა კრძალვანი, სამეფოსა წუნარებისა ღონენი, ლაშქრობათა მეცადინობანი, მთავართა ზაკეისა ცნობანი, მხედართა განწესებანი, საერონი შიშნი, სახელოთა და საბჭოთა სჯანი, საჭურჭლეთა შემოსავალნი, მოციქულთა შემთხუევანი და პასუხნი, მეძღუნეთა ჯეროვანნი მისაგებელნი, შემცოდეთა წყალობითნი წურთანი, მსახურებელთა ნიჭ-მრავლობანი, მოჩივართა მართალნი გამოძიებანი,

მოსაკითხავთა შესატყვისნი მოკითხვანი, სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი და რაოდენნი ვინ აღმოწყუდნეს სიტყვითა უფსკრულისაგან სამეფოთა საქმეთასა".

■ ● ●

ბევრი სახელოვანი მეფე გაუცილებია ერს თავის მარადიულ გზაზე, ბევრი უგლოვია გულით...

იმ მოვლენების მოხდენის შემდეგ, რაც შეიძლო ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში ხალხმა და მისმა სწორუპოვარმა წინამძღოლმა, როგორც ყველა წყაროდან გარკვევით ჩანს, ქვეყნის სულ სხვაგვარი ყოფა დაემკვიდრა. ეს შინაგანი მდგომარეობა იყო, უპირველეს ყოვლისა, ერის ფსიქოლოგიური ზეობის სხვა შინაარსი და სხვა ფორმა. დაპყრობილი სიმაღლეები, ეროვნული გონის ამაღლებული გადასახედი, გაზრდილი პოლიტიკური სივრცე კვებავდა იმ ფსიქოლოგიას ამ დიდ გზაზე. ერის გამომნათებელი თვისებების სრულყოფა გულისხმობდა დავით აღმაშენებელისა და მისი ხალხის ორგანულ თანაარსებობას, ვნებების, ფიქრების, განწყობილებებისა და მიზნების შერწყმას. და ახლა ამ ფორმაში მოქცეული და საშვენ ხვედრს დაუფლებული ქვეყნის სული ვერაფრით ვერ ურიგდებოდა აღმაშენებელთან სამუდამო გაყრას.

მის დაძახილზე ცოცხლდებოდა ყველა ნერვი, ყველა უჯრედი, ერის გიგანტური ორგანიზმი გამოსცემდა პასუხს და ამჟღავნებდა სრულ მზადყოფნას. ახლა სუნთქვა გაქვავდა. წარმოუდგენელი ჩანდა აღმაშენებლის გარეშე არსებობა, რადგან ყველა ფორმა, რასაც საბრძოლო და საარსებო გამარჯვებები მოჰქონდა, მისი ხელმძღვანელობით ან მასთან ერთად იყო მიგნებული. თითქოს განუსაზღვრელი მასის ენერგია მოწყდა ქვეყანას. „რაოდენნი საქმენი ეთხოვებიან მეფობასა". სუნთქვაშეკრული ერის ფიქრი ამ კითხვას დასტრიალებდა: რა მიდიოდა დავითთან ერთად? ქვეყანას მთელი სიგრძე-სიგანით უნდა ცოდნოდა, რა უკავშირდებოდა დავითის პიროვნებას, მისი, როგორც ფენომენის არსს. ის „რაოდენნი საქმენი და რაოდენნი მართებანი და განსაგებელნი", რომელთა ნაწილს ჩამოთვლის მხოლოდ ისტორიკოსი, თავად

სი შინაარსითა და წყობით მხოლოდ უნივერსალურსა და განუმეორებელს გულისხმობენ. ჩამოთვლის ნაწილს, მაგრამ რამდენია ის ნაწილიც, რამდენი არსებითი წახნაგია გაშიშვლებული მოღვაწეობის სტილიდან, ერის არსებობის ფორმათა როგორი ფლობა იგულისხმება იმ სტილში. ხალხმა იგრძნო ეროვნული სრულყოფის ფასი, დაინახა უმთავრესი, — რისთვის იყო მოწოდებული ამქვეყნად, რა ძალები მდგარა მასში, ხოლო საქმე, ერთი დიდი ხალხისაგან საკეთებელი საქმე მის ხელთ იყო და უკვე კარგა ხანია აკეთებდა იმ საქმეს. მთელი არსებით იყო დაუფლებული ისტორიულ გზას, ღირსეული არსებობის მადლიც და გემოც გადატანილი ჰქონდა სულში და სულიერ მდგომარეობად დამკვიდრებული სხვაგვარ ყოფნასთან შეგუებას გამორიცხავდა.

„რაოდენნი, რაოდენნი, რაოდენნი“... საოცარი დატვირთვა აქვს ამ სიტყვას დავითის ისტორიკოსის ნაშრომში. იგი გვავალებს, ერთი მოვლენის უკან მოვლენების წყება წავიკითხოთ. ხოლო ახლა, მგლოვიარე ერის ფიქრში, ეს სიტყვა უძღვის მთელი ქვეყნის საფიქრალს წინ... რაკი ასეთი გააზრება ძალუძს, ხალხი იმისთვისაც მზად არის, აღმაშენებლის სტილით გააგრძელოს არსებობა!

დავით აღმაშენებელი, ანდერძის თანახმად გელათში დამარხა ერმა, შემოსასვლელში. ანდერძის თანახმად, მისი საფლავის ქვაზე (ანუ მის მკერდზე) უნდა დაედგა ფეხი ყოველ ქართველს, სხვაგვარად უწმინდეს ტაძარში ის ვერ მოხვდებოდა. ამ ანდერძის მრავალნაირი ახსნა არსებობს. ყველა თავისებურად საინტერესოა და მიმზიდველი. ერთი რამ არის საგულისხმო — არცერთი ახსნა არ უარყოფს მთავარს — დავით აღმაშენებელი ანდერძის წყალობით მარადიულ კონტაქტს ამყარებდა თავის ერთან — ტაძარში შემავალი ერი მუდამ ფიქრობდა მასზე! განუწყვეტელ კავშირში დარჩენა განუსაზღვრელი მნიშვნელობისა იყო. იმ კავშირით დავით აღმაშენებლის ფენომენზე ფიქრი ცხოველმყოფელ ძალას ასხივებდა. მისგან მოხდენილი ისტორიული მოვლენების გააზრება, მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის სტილისა და მეფური ცხოვრების კანონების შეცნობა ხალხისათვის ვალად იქცა.

შეცნობა მისსავე სიცოცხლეში დაიწყო და მისი სიკვდი-

ლისთანავე ჩამოყალიბდა თხზულებად, რომელიც ერის ისტორიული არსებობის საიდუმლოს შეიცავს. ამ თხზულების ავტორი უცნობია, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსად არის სახელდებული.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი უჩვეულო ნაწარმოებს გვთავაზობს, იგი აღწერს მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს და ფაქტებს, საქმეებს, ბრძოლებს, მაგრამ ყოველთვის გვიხდის ბოდიშს, „მცირედი და კნინი“ წარმოვთქვი მხოლოდო. ეს ასეცაა: არაბი, სომეხი, ფრანგი მემატიანეების ცნობებთან შეჯერებით მტკიცდება, რომ დავითის ისტორიკოსი მხოლოდ ნაწილს გვეუბნება. იგი თითქოს სუნთქვაშეგუბებული მიექანება თავისი მიზნისაკენ, თითქოს ერთი სული აქვს, როდის მორჩება მოვლენებისა და ფაქტების შესახებ თხრობას. და მიადგება მისთვის უმთავრესს — არსობრივ ანალიზს. დავითის ისტორიკოსი ამისთვის არის მოწოდებული, ეროვნულ მისიად აქვს დასახული თავისი ვალი. უნდა გადმოშალოს ერის წინაშე ის რაობა, რასაც გულისხმობს აღმაშენებლის პიროვნება, მისი დრო, მისი საქართველო. მსუბუქად, ენერგიის დაუძაბავად მოგვითხრობს გადახდილ ბრძოლებზე, მოვლენებზე, ფაქტებზე. არაფრით არ განსხვავდება სხვა მემატიანეებისაგან აქამდე, მაგრამ როდესაც არსობრივ ანალიზს მიჰყოფს ხელს, ერთბაშად სულ სხვა შემოქმედი წარმოდგება ჩვენს წინაშე. უდიდესი სიღრმეები, ურთულესი განზომილებანი ნათდება მისი გონების შუქით. მან კარგად იცის, რომ ერი უნდა ჩაახედოს ამ ისტორიული მოვლენების სულში, უნდა დაანახოს თავისი თავი. ერს ამის განსაკუთრებული მოთხოვნილება აქვს. სწორედ მოთხოვნილებას პასუხობს დავითის ისტორიკოსი. მთელი საქართველო ელეოდა ფიქრით ზედ ყოველივე იმის გააზრებას, რაც ასეთ თავბრუდამხვევ რიტმსა და ფორმებში ხორციელდებოდა. ისტორიული ჩარხის შემობრუნების საიდუმლოს ჩაჰკირკიტებდა მისი გონება, ამიტომ სწორედ ამგვარი წყობის თხზულების გაჩენა შეიქნა აუცილებელი.

საგანგებოდ მიუთითებს ისტორიკოსი ნაშრომის დასაწყისში, სადამდე იყო დაცემული ხალხი და ქვეყანა უბედურებათა მიზეზით. საგანგებოდ მიუთითებს, სადამდე ამაღლდა იგი საბო-

ლოოდ და რაოდენია განსხვავება პირველ და საბოლოო მდგომარეობას შორის. მიუთითებს, რომ უფრო ცხადლივი გახდეს ანალიზის დანიშნულება — რისი წყალობით იქნა მიღწეული ყველაფერი: ერი „ამ საიდუმლოს“ მცნობელი უნდა იყოს! ამაოდ წუხს ისტორიკოსი — „არა დიდ იყავ აქილევ, არამედ დიდსა მიემთხვიე მაქებელსა — უმიროსს“. ცხადია, გენიალური მწერლის კალამი აქვს მხედველობაში, მაგრამ თავად, როგორც ისტორიკოსი, ყოველგვარ სიმაღლეს უსწორებს თვალს. მან იშვიათი სისრულით გამოიტანა „მატიანის“ ენაზე აღმაშენებლის ფენომენი, ანალიზის წყალობით გახსნა ყველა არსებითი ნიშანი, რაც დავით აღმაშენებლის მოღვაწეობას განსაზღვრავს. საგანგებოდ აყურადებს ამ არსებითს, ხოლო ყოველი არსებითი იმდენად რთული და ღრმა იყო, მაქსიმალურ ძალისხმევას ავალდებულებდა და ისტორიკოსიც, ეტყობა, საგულდაგულოდ აკვირდებოდა მისი ფიქრის მოძრაობას, მისი გონების თვალსაწიერს, — იმ ფიქრის მოძრაობაზე იყო დამოკიდებული ყველაფერი. ყურადღებას იპყრობდა არა მარტო განუსაზღვრელი გონებრივი შესაძლებლობანი, არამედ ფიქრის მიმართულებაც, დიდი პროგრამა, რომელიც ტახტზე ასვლამდე მწიფდებოდა, ხოლო ტახტზე ასვლის შემდეგ ასეთი ინტენსივობით ხორციელდებოდა. პროგრამაში ერის ცხოვრების მიმართულება იყო განსაზღვრული და ამიტომ არ ეხსნება ისტორიკოსის ანალიზი მანამ, სანამ სრული შეცნობის ზღვარს არ მიაღწევს. მოხდენილი საქმეების შემოწმება, რომელთა შორის შეუვალი, უწყვეტი ლოგიკური კავშირი იღვწის, ჩვენ მიახლოებითი სისრულით მაინც აღგვიდგენს იმ პროგრამის ურთულეს სისტემას. მაგრამ, ისტორიკოსის აზრით, უფრო საინტერესო პროგრამის აღსრულებისათვის საჭირო გზები და ხერხებია. ხოლო მათ შორის უმთავრესი — სახელმწიფო მესვეურისა და მისი ხალხის ცხოვრებისა და მოღვაწეობის წესი მარადიულ საფიქრალს წარმოადგენს მისთვის. წესზე ფიქრი სწორედ ერის მარადიული ვალია. ამ ფიქრისაგან თავის დახსნა ხალხს არ ეპატიება. ქვეყნის მესვეურის ზნეობრივი სიმრთელე არის უპირველესი საყრდენი, რაზეც უნდა დაეშენოს ყველა დანარჩენი. ცხოვრების კანონების ღრმად შესწავლამ დაარწმუნა, რა ზღვრამდე უნდა

დაეხვეწა სული. ეს მისთვის უპირველესი საზრუნავი გახლდათ. აქედან იწყებოდა ყველაფერი და შიში უფლისა, რასაც ხაზს უსვამს ისტორიკოსი, სულ ამ უპირველესი მიზნის აღსრულებას გულისხმობს. მას აღთქმა ჰქონდა მიცემული. როგორც ქრისტიანს, მაგრამ სულის სიწმინდე მისი შინაგანი მოთხოვნილება იყო. ამდენად აღთქმა იყო ურღვევი, უღალატო. ზნეობრივი სისპეტაკის განუსაზღვრელი ძალა რომ ირწმუნა, ეს არ არის შემთხვევითი. მთელი ერი ზნეობრივ დაცემას თვლიდა უბედურების მიზეზად და დავით მეფეს ამდენად ზნეობრივი სისპეტაკის მნიშვნელობის გარკვევა არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ქვეყანა ზნეობრივი სისპეტაკის ფსიქოზით რომ უნდა დაეპყრო, ურყევი შინაგანი კანონები რომ უნდა დაემკვიდრებინა, ეროვნული სულის სიწმინდეც უკანასკნელ ზღვრამდე რომ უნდა მიეყვანა, ეს იყო ურთულესი მიზანი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ძალთა მოკრებასა და ისტორიული გზის გაწვალდვაზე საუბარი. ყველაფერი კი მისგან იწყებოდა, თვითონ უსაზღვროდ გაზრდოდა ამგვარი სულიერი სინათლის მოთხოვნილება და დღითიდღე იმატებდა გამჭვირვალე სხივებს. რაც უფრო უღრმავდებოდა მოვალეობის რაობას, მკვრივდებოდა ის მოთხოვნილება. მან არ მისცა ნება თავის თავის „მცირეოდენი განსუენების“. „არა მიდრკა გემოვნებათა მიმართ, არცა ნებასა ხორცთასა, არა სასმელ-საჭმელთა, არცა სიმღერა-სიღოდათა და არათურთათა არარა ხორციელთა შეაკრა გონება“. — ამ სიტყვებში დამარხული სრული ზნეობრივი სიწმინდე გვაინტერესებს ამჯერად. ფაქტიურად ასე იყო მთელი ცხოვრების განმავლობაში. სიწმინდის ამ ზღვრამდე მისული, იგი სრულიად უფლებამოსილი შეიქნა ერისაგან იგივე მოეთხოვა.

დავითის ისტორიკოსი ეროვნული სრულყოფის ამ პროცესს ვრცლად და საგანგებოდ აშუქებს — ისევე მოვლენის არსი იქცევა მისი ანალიზის საგნად.

„ესე დიდნი საქმენი ღმრთისაგან ოდეწ შესაძლებელნი, ესრეთ ადვილად წარმართნა ამით, ვითარც ვერვინ წარმართის ეგრეთ, ამისთვისცა შიში დიდი და ზარი მისი განითქუა კიდეთად ქუეყანისათა, და განკრთეს ყოველნი მკვიდრნი ქუეყანისანი“.

დიახ, საქართველოს სული უნდა განმკრთალიყო — მიზანიც ეს იყო. ამ განკრთომაში არის დაფლული ღრმად ის დიდი აზრი სხვად ქცევისა, რასაც მთელი არსებით ესწრაფოდა ერი, როგორც „საშვენ ხვედრს“. ქვეყანა ერთიანად გამოფხიზლდა, მთელი სხეულით, სულის ყველა ტალღით აიმართა იგი. მაგრამ „ესე დიდნი საქმენი, ღმრთისაგან ოდენ შესაძლებელნი, ესრეთ ადვილად წარმართნა ამით“. რა საქმენი? ყველა და ყველაფერი. აქ სხვაა უფრო მნიშვნელოვანი — ერის სულის გამუდმებული წვრთნა, მოწესრიგება, დიდი საქმეებისაკენ წარმართვა და წაყვანა მხოლოდ ასეთ შეუვალ კანონებს და ფორმებს ხელეწიფება, რომელსაც დავითი იყენებდა. ფეოდალურ საქართველოში უფრო უნივერსალური კანონები და ფორმები აღარ ივარაუდება.

კიდევ ერთი არსებითი ნიშნის შესახებ. დავითის ისტორიკოსი გაცილებით ვრცლად აანალიზებს აღმაშენებლის მოღვაწეობის ამ ფორმებს, არსობრივ კანონებს და ფორმებს, ვიდრე თავად ისტორიულ ფაქტებს. თუ დავაკვირდებით, მაშინვე ვნახავთ ამ საგულისხმო განსხვავებას. ორიოდე აბზაცით არის „მოსტუმრებული“ ერწუხისა და თრიალეთის ბრძოლები. რა მასშტაბის იყო ის ბრძოლები, ჩვენ კარგად ვიცით. თვით დიდგორის ბრძოლა ერთ გვერდზეა „დამთავრებული“. სამაგიეროდ სახელმწიფოს მართვის თითოეულ წესსა და ფორმას, მათი არსის ახსნას, სწორედ „ახსნას“ მთელ გვერდებს უთმობს ისტორიკოსი. მაცნე-მსტოვართა სისტემას, მისგან მიღწეულ შედეგებს რამდენიმეგზის მიუბრუნდება, მიუბრუნდება, რადგან იცის, რომ მასზეა დამოკიდებული ის გაწვრთნილი საქართველო, რომელიც ასე სახელოვნად ამთავრებს ბრძოლებს ერწუხში, თრიალეთთან, დიდგორთან, აპობს ლიხის მთას, ქმნის მუდმივ ლაშქარს. იმ თვისებაზეა დამოკიდებული ყველაფერი, რაც კაცის ხასიათში იწვის და ბატონობს. ამიტომაც თვისებათა მაორგანიზებელ ფორმაზე ხარჯავს ენერგიისა და დროის უდიდეს ნაწილს.

ისტორიკოსის თვალი დარაჯობდა აღმაშენებლის ყოველ ნაბიჯს და რა შეუმცდარი გუმანით მიაკვლევს იგი ამ ნაბიჯებიდან ყველაზე ძირითადს, რომლის გადადგმაც სულ სხვა მდგომარეობას უმზადებს ქვეყანას. შეუმჩნეველი დარჩებო-

და დავითის უჩვეულო სიყვარული წიგნისადმი? ყველა ხედავდა ამ დაინტერესებას, მათ თვალწინ ხდებოდა ყველაფერი, მაგრამ წიგნის სიყვარულში დაფლული საიდუმლოება ისტორიკოსმა გახადა შთამომავლობისათვის ხელმისაწვდომი. მან ყურადღება სწორედ წიგნის შეცნობის ხელოვნებას მიაქცია, იმ „ჩხრეკას, ბჭობას“, რომელიც მომართული იყო ეროვნული გონისაგან საკუთარი გზის გასანათებლად. ამიტომ რამდენიმე გვერდზე ახასიათებს, აღწერს, ხატავს და აანალიზებს ისტორიკოსი წიგნთან აღმაშენებლის დამოკიდებულებას, რაც თავისთავად გადაიზრდებოდა წიგნთან ქართველი ხალხის დამოკიდებულებად. ამიტომ უბრუნდებოდა შეცნობისა და გააზრების ურთულეს ფორმას მისი გონება და სპეციალური ეპიზოდი აქვს საამისოდ მოთხრობილი. იმ ეპიზოდში ასამდე თურქთან ბრძოლაა აღწერილი, და მას იმდენივე ადგილი უჭირავს, რაც დიდგორის ბრძოლას, სადაც ხუთას ათასიანი თუ ექვსასათასიანი არმია ეომებოდა საქართველოს. მაგრამ ცხადად ჩანს, ას თურქთან შერკინების ეპიზოდი რა მასშტაბის „ბრძოლას“ ანათებს. დავითის გონება უღრმავდებოდა კაცობრიული გამოცდილების ოკეანეს. ამ ჩაღრმავებას აქვს განსაკუთრებული აზრი, ამ ხარისხით ითვისებდა ერის გონი ყველაფერს, შეცნობის უნივერსალური ფორმების გარეშე საკუთარი ისტორიული გზის გაწვალდვა გამორიცხულია, ეს აზრი ბატონდება ქვეყანაზე, ხოლო ფორმებს ამოჰქონდა შორეული სივრცეების მანათობელი წვდომის ნიჭი მაღლა, ელვასავით აშუქებდა ცოდნა და ნიჭი ახლა შორეული მომავლის ლაბირინთებს, შორსმჭვრეტელისა და ნათელმხილველის ზღვარს აღწევდა ამ თვისებით დამუხტული ეროვნული გონი.

იმ დიდმა ცოდნამ შეაძლებინა „ესე დიდნი საქმენი“ და მანვე გახადა შესაძლებელი აღმოეჩინა საკუთარი მისია ერს, რაოდენ ზუსტი, მაღალი და კეთილშობილური ყოფილა მისი დანიშნულება ამქვეყნად! ერს დიდი მიზანი უნდა ჰქონდეს, ზნეობრივი სრულყოფა შინაგან მოთხოვნილებად უნდა ექცეს. გარედან მოხვეული მორალი ვერ ეკარება მის სულს, როგორც სველ კედელს — საღებავი. დიდი მიზანი, გაცნობიერებული და გაშინაგნებული დიდი მიზანი, მოიკრებს თავისკენ იმ საუკეთესო სურვილებს, ხალხის სულში რომ არის ღრმად დაფლუ-

ლი, ზოგჯერ ამეტყველებული და მოქმედი, ზოგჯერ უმოძრაო და უსახოდ ქმნილი. შეუმჩნეველად ეფუძნება მიწაზე ყოველდღიური ყოფა, დიდი ცხოვრება, რომლისთვისაც უცხო არ არის ტანჯვა, წვალება, ცრემლი, მაგრამ გარემოცულია ეს ყველაფერი უფრო ღონიერი და ძლიერი ბედნიერებით, ძალისხმევითა და ზეობით.

დავით აღმაშენებლის ცხოვრებამ გაიარა მხოლოდ მაღალი მიზნების სამსახურში, მისი მოქმედების ნორმები, უნაკლო და სანიმუშო, მისგან მონიშნული კანონებისა და ფორმების წყალობით დაემკვიდრა მისი ერის ცხოვრების ნორმად: „იყო ყოველთაგან საკრძალავ და სარიდო...“

ერის დამოკიდებულება აღმაშენებელთან დიდ რიდში დაკრისტალდა. კვალი არ ჩანს იმ სისასტიკის, რომელიც „მაბრალობელთა“ ენით მიეწერებოდა მეფეს. აქ ჩანს სულ სხვა სიმსუბუქე და ჰაეროვნება, რადგან ხალხის სული არ იყო დამძიმებული „განდრეკილი სლვით“, განსუქების ვნებით, პატივის მოთხოვნით. „ნუ უკუე ძალათა ანუ ადგილთა მწუანილოვანთა ზედა მოსმურობითა და განცხრომითა და მაჩუკნებელთა საქმეთა შედგომითა; არა ესრეთ, არა“—როგორც აღმაშენებლის ყველაზე დიდი ვნება და საარსებო აზრი, ისეა მოწვდილი ისტორიკოსისაგან ეს კატეგორიული განაცხადი. ეს სამომავლო გაფრთხილებაა—ძილით, მწვანე ველზე გაბმული ქეიფებით ვერ შეინარჩუნებს ქართველი კაცი „საშვენ ხვედრს“, „დაარხეინებული“ ყოფნით არ მიიღწევა ის სიმაღლეები! მხოლოდ „განსუქება“ მიიღწევა იმ მწვანე ველზე ქეიფით, უფორმო და უმოქმედო სიმსუქნე სისხლის და ხორცის. „არა ესრეთ, არა“ — კატეგორიულმა ხმამ იმ განსუქებული ხორციდან და გაბლანტებული სისხლიდან უნდა გამოდენოს ნებიერი გენი და ბედოვლათი ვნება. ის „განსუქება“ ილექება ქვეყნის სულში და ნამდვილ ქეიფთან არაფერი აქვს საერთო. ქვეყნის ღირსეულ შვილად მგრძნობელ ქართველ კაცს შეუძლია მხოლოდ ნამდვილი ქეიფი, თავის დროზე და გაუჭიანურებლად, რომ შემდეგ ენერგიამოკრებილმა დიდი და მცირე საქმეების კეთების ვნება დაიუფლოს, ამ გზით განიცადოს არსებობის მშვენიერება. ის კი „ადგილთა მწუანილოვანთა ზედა მოსმურობითა და განცხრომით“ იმძიმებს სულს და სხეულს ერთდრულად.

„არა ესრეთ, არა!“ თავისი დროის სულისკვეთებას არ ქმნიდა მარტოოდენ აღმაშენებლის კატეგორიული მოთხოვნა — ერის წინაშე დასვა მან არსებობისა და მოქმედების ალტერნატივა.

სანამ საქართველო ბრძოლისა და ცხოვრების ისეთ წესს მისდევდა, აღმაშენებელმა რომ დაუგდო ნიმუშად, მის ძლევამოსილებას არაფერი არ ემუქრებოდა. შეუძლებელი იყო რამე დამუქრებოდა ასეთი შინაგანი სრულფასოვნების მატარებელ სახელმწიფოს, ასეთი კანონებით განმტკიცებულ ხალხის სულს, ასეთი სამხედრო ხელოვნების მფლობელ ქვეყანას. რამდენი საუკუნის ცდა და მეცადინეობა დასჭირდა ქართველ ხალხს, რათა სრულეყო თავისი თავი, რა ისტორიული განსაცდელები გადაიტანა, რა გამოცდები ჩააბარა, როგორ წვრთნა თავისი შესაძლებლობანი, რა ტაძრებით, ეკლესიებით, ციხე-ქალაქებითა და საჭარაენო გზებით დაადგინა იგი იმ მტრულ გარემოცვაში. რამდენი დიდი პიროვნება შეელია ამ საუკუნოვან მეცადინეობას, ხალხი კი სულ უფრო და უფრო იმუხტებოდა საშვენი ხვედრის მიღწევის სურვილით, სულ უფრო მეტ ძალებს გამოიხმობდა წიაღიდან, რათა კუთვნილ სიმაღლეზე დამდგარიყო და სულ უკეთესი შინაარსით მოვლინებოდა ცისქვეშეთს. ასე ამზადებდა თავის თავს შეცდომებითა და უბედურებებით დატენილ გზაზე მიმავალი და ის, რაც ანდამატის თვისებით იდო მის ბუნებაში, ბოლოს მთელი სისრულით გამოსხივდა:

„ვინ იყო ეგზომ ტკბილ შემთხუევათა შინა, ვინ სატრფიალო ზრახვითა და სასურველ დუმილითა, იგივ შუენიერ ხატითა, უშუენიერეს მორთულობითა გუამისათა, შეწყობილ ანაგებითა და ახოვან ტანითა, ძლიერ ძალითა, უძლიერეს სიმახვილითა, საწადელ ღიმილითა, უსაწადელეს მჭმუნვარებითა, მადლიერ ხედვითა, საზარელ ლომებრ მკრთომელობითა, ბრძენ ცნობითა, უბრძნეს გამორჩევითა, მარტივ სახითა, მრავალსახე მართებითა, მრისხველი მყუდროებითა, მაქებელ განმსწავლელობითა, და არცა ერთსა კეთილთაგანსა შემაშთობელ უზომოებითა. მაღალ უმაღლესთათვის და მდაბალ უმდაბლესთათვის, და თვით მათ მტერთაგანცა საწადელ და საყუარელ სათნოებათაგან მითგან შეკდიმებულთა“...

თითოეული აქ ჩამოთვლილი თვისება, აღმაშენებლის უნიკალურ ბუნებას რომ დაგვანახებს, ამავე დროს მოქმედებაში აქვს განცდილი ისტორიკოსს. იქ არის „შემეტყველებული“ მისი სული მეფის ხასიათთან. მოძრაობაშია გამოვლენილი, ჩვევასა და ცხოვრების ფორმებში დატრიალებული, ეს თვისებანი ჯერ უჩვეულო პიროვნული სისრულის შეხვედრით გატყვევებენ, შემდეგ კი ბედნიერებისა და სიხარულის გრძნობით გიპყრობენ. რაკი ყველაფერი დასტურდება საქმით, ქართული და უცხოური წყაროებით, ზეიმობს ეროვნული სიამაყე, რომ ისტორია შენი ქვეყნისა ასეთი შემოქმედის არსებობით არის გამდიდრებული. რაც მთავარია, უცხადესია შეგნება იმისა, რომ თითოეულ თვისებას სამზეოზე გამოაქვს აღმაშენებლის მშობელი ხალხის შესაძლებლობანი. მისი ღირსებების სალარო გადაიხსნება თითქოს — „ვინ იყო ეგზომ ტკბილი შემთხუევათა შინა“ — ეს, უპირველეს ყოვლისა, დავით მეოთხეზეა თქმული, მაგრამ ქართველი კაცის ბუნებაა ასევე უპირველეს ყოვლისაა ქართული ბუნება იყო „ეგზომ ტკბილი შემთხუევათა შინა“, „სასურველ დუმილითა“, „უბრძნეს გაწორჩევითა“... და ასე ბოლომდის, სანამდიც კი განეფინება აღმაშენებლის ბიროვნული ღირსებანი.

აღმაშენებლის ბიროვნება თავისი სრულფასოვნების გამო „მეტყველ“ ხატად ცნო ქართველმა ხალხმა. მასთან რიდიანი დამოკიდებულებაც თავისებურ შინაარსს ატარებდა მუდამ.

იქნებ შორეულ ვარაუდად ჩაითვალოს, მაგრამ მაინც საჭიროდ მეჩვენება ერთი მოსაზრების გამოთქმა: აღმაშენებლის ბიროვნული ღირსებების ხატი საუკუნეების განმავლობაში იღვწის ქართულ მიწაზე. თითქმის ასი წლის შემდეგ დაწერილ გენიალურ პოემაში შოთა რუსთაველმა პოეზიის ენაზე ამეტყველა ის ღირსებანი. ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის ხასიათის თვისებანი რომ შეკრიბო, ზუსტად დაემთხვება დავით აღმაშენებლის პიროვნების განმსაზღვრელ თვისებებს. თვალს თუ გავადევნებთ პოემის სივრცეზე ტარიელის, ავთანდილის, ფრიდონის დახასიათებას, მოძრაობასა და მოქმედებაში მათ გაცხადებას, ცხადლივ დავინახავთ, რომ ცალკე ვერც ტარიელი, ვერც ავთანდილი, ვერც ფრიდონი ვერ პა-

სუხობენ ყველა იმ თვისებას, რაც აღმაშენებლის ყოველმხრივ დახასიათებაში გვეძლევა. მხოლოდ ერთად შენივთებული სამივე ხასიათი ავსებს ამ სამყაროს. დიახ, ტარიელს, ავთანდილს და ფრიდონს სამთავეს ერთი საერთო ნიშანი ახასიათებს — ფიზიკურად ძლიერი რაინდები არიან, მაგრამ თითოეულს რაღაც ერთი მიმართულება აქვს გამოკვეთილი. ტარიელში ეს თვისებანია უმთავრესი: „იგი შუენიერ ხატითა, უშუენიერეს მორთულობითა გუამისათა, შეწყობილ ანაგებითა და ახოვან ტანითა, ძლიერ ძალითა, უძლიერეს სიმახვილითა, საწადელ ღრმილითა, უსაწადელეს მჭმუნვარებითა, მადლიერ ხედვითა, საზარელ ლომებრ მკრთომელობითა“. ძლიერი, ემოციური, თავდავიწყებამდე საქმეს და მიზანს დანატრებული ტარიელი, გარინდებაში უკანასკნელ ფაზამდე დანთქმული... თუნდაც ერთი ეპიზოდი მოვიგონოთ მისი ცხოვრებიდან. მდინარის პირას დარდსა და ფიქრში ჩაძირული ტარიელის სახე აღვადგინოთ და შემდეგ შესაპყრობად მისულ როსტევანის ყმებზე მისი გაოფთრება გავიხსენოთ, აქ მთავარი ღრმა ფიქრში დაფლული ბუნებაა.

დავითის ისტორიკოსი:

„ხოლო მეფე ცხენსა რა გარდახდა, არა ჰქონებდა ჯერეთ მისლვასა. შეექცა კითხვასა ესეოდენ წარიტყუენა მისგან გონებითა, რომელ სრულიად დაავიწყდა წინამდებარე საქმე, ვიდრემდის ხმა რამე კვილისა შემოესმა ყურთა. მყის დაუტევა წიგნი მუნვე, და აღმხედრებული მიჰყვა მას ხმასა. და ვითარცა ზედა წარადგა მონათა თვისთა, ესევითარსა ღუაწლას შინა მყოფთა, — და რამეთუ იშორვიდა სპათა თავისთა და უკეთუმცა მათდა ცნობად წარსულ იყო, მონათა დაუხოცდეს, — მსწრაფლ შთაბრიალდა ვითარცა არწივი, და დააბნივნა ვითარცა კაკაბნი, და მსწრაფლ ესეოდენნი მოსწყვიდნა“...

ვფიქრობ ერთი და იგივე ბუნებაა დახატული.

„კვლავ აღისრბოლა ვითარცა არწივმან“ ეს სხვა ადგილას არის თქმული. ხატაელებთან მებრძოლი ტარიელის შებმა მოგვიგონოთ. მისი ძალისხმევა, მხედრული ძალმოსილება, ამ შეხართების, თავგანწირვის, შეუპოვრობის, ემოციურობის, დიდი ვნებების, ძალთა სიკაშკაშის, გამომხატველია ტარიელი, ამ

მიმართულებისაა მისი ბუნება, თორემ სიბრძნეს არც ის არის მოკლებული.

ავთანდილის ბუნებაში სხვა თვისებანია გაბატონებული: „ბრძენ ცნობითა, უბრძნეს გამორჩევითა, მარტივ სახითა, მრავალსახე მართებითა, შემრისხველ მყუდროებითა, მაქებელ განმსწავლელობითა, და არცა ერთსა კეთილთაგანსა შემაშფოთებელ უზომოებითა. მაღალ უმაღლესთათვის და მდაბალ უმდაბლესთათვის, და თვით მათ მტერთაგანცა საწადელ და საყუარელ სათნოებათა მისთაგან შეკდიმებულთა“..

მე საგანგებოდ არ მოვაგონებ შოთა „რუსთაველის ეპითეტებს მკითხველს, რადგან ისედაც კარგად ვიცით ამის შესახებ. ეფიქრობ, აშკარად საგრძნობია თანხვდენა ავთანდილის ხასიათსა და აქ ჩამოთვლილ ნიშნებს შორის. ხოლო „სივრცითა გონებისათა“ რომ განაგებდა აღმაშენებელი ყოველ საქმეს თუ ოპერაციას, ეს თავისთავად გვაგონებს რუსთაველის ავთანდილში ნაგულისხმევ გონებრივ ფენომენს.

მთელი თხზულების სივრცეზე იღვწის ერთი განსაკუთრებული თვისება აღმაშენებლისა — ეს გახლავთ „მოხელოვნება“, „ხერხის ხმარება“. ამ მოვლენების შესატყვისია პოემაში ფრიდონი. დიდი შესაძლებლობის რაინდია, მაგრამ მაინც ხერხია მისი სულიერი სამყაროს უპირველესი მეტყველი. ამ ხერხით ძლევს იგი ათასებს, იღებს ციხეებს და ქალაქებს, ძრა ტარიელისებური ჯიქური, პირდაპირი მისვლით, ვისაც ასე უნაპიროდ ეიმედება თავისი მხედრული ძლიერება.

სამივე გმირისათვის კი ორგანული, უმთავრესია ეს თვისებანი: „ვინ იყო ეგზომ ტკბილი შემთხუევათა შინა, სატრფიალო ზრახვითა და სასურველ დუმილითა, იგივ შუენიერ ხატითა.“

ვერავინ დასწამებს ავთანდილს ემოციების ნაკლებობას, დიდი გრძნობებისა და ვნებებისაგან დაცლას, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ საქართველომ დიდი პოეტის მინიშნებით მასში გამოარჩია საგანგებოდ დატვირთული თვისება — სიბრძნე, როგორც ერის აზრის მანათობელი; ტარიელში დიდი ვნება, გრძნობა, ემოცია, როგორც ერის ბუნების მამოძრავებელი ცეცხლი, მარადიულად ჩაუქრობელი და მოგიზგიზე; ფრიდონში „ხერხი“, როგორც მოსაზრებულობის, გონებრივი სისხარტის ნი-

შანი, როგორც ერის ბუნების მოქნილობისა და ელასტიურობის განმასახიერებელი. და თვალსაჩინოა ისიც, რომ ყველა ეს თვისება თანაბარი ძალისხმევით იღვწის დავითის ხასიათში. ყველა თანაბრად! ეს მისი ისტორიულად არსებული პიროვნების თვისებანი გახლავთ. და საქართველოს ღირსეულ ქვეყნად გამოცხადებას იმასაც უნდა ვუმადლოდეთ, რომ ქანონზომიერების ნებით ყველა ეს თვისება ერთ კაცში შეირწყა. რუსთაველმა სამ გმირში განაფინა ეროვნული ნიშნები და კიდევ ერთხელ განგვიმტკიცა რწმენა, რომ რეალურსა და ფანტაზიით შექმნილ ქვეყნებს შორის უწყვეტი კავშირი იყო.

* * *

დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს ეროვნული ძალების სრული მობილიზება მარტოოდენ ერთი ეპოქისათვის არ მოუწყვიდინებიათ. დემეტრე პირველისა და გიორგი მესამის დრო თავისთავად იგულისხმება ამ ეპოქაში. იგი მთლიანი ეპოქაა — დაუნაწევრებელი და გაუბზარავი. აღმაშენებელსა და თამარს, როგორც განსაკუთრებული სრულყოფილებით გამორჩეულებს, მუდამ ერთმანეთთან აკავშირებდა ქართველი ერი. მათი მეფობის დრო და სივრცე უსაზღვროდ გაზარდა მასშივე ჩატეულმა მსოფლიო მასშტაბის მოვლენებმა. მოხდენილი მოვლენების შინაარსი „უწყალოდ" ტვირთავდა ფიქრს, ეროვნული შეცნობის პროცესი ხანგრძლივდებოდა. ამიტომ დიდების ასი წელი ჩვეულებრივ საუკუნეს არ ნიშნავდა. მრავალსაუკუნოვანი ისტორიული მოძრაობის შეჯამება-შენივთება განუსაზღვრელი მასშტაბის მოვლენებითა და ფაქტებით ხდებოდა. აღმაშენებლისა და თამარის ეპოქის დაუნაწევრებელმა შინაარსმა დაამტკიცა, რომ იმ ისტორიულ პროცესში ძირითადი კანონზომიერი იყო. ხანგრძლივი ბრძოლისა და ცდის შედეგად ქართველმა ხალხმა მაინც იპოვა თავისი სრულფასოვანი ყოფნა, — რეალური, ხელშესახები იყო დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქის სრულფასოვნება ქართველი კაცისათვის. ის უკვე იდგა მასში, მთელი საუკუნე ეკირებოდა სულს ის საშვენი ყოფნა, ის რაობა, სიმაღლე და საყრდენი. მისგან გაცემული ენერგია, მისი უნარი, ანთებუ-

ლი ნიჭი ქმნიდა ყველაფერს და ისე ცხადი იყო ეს ყველაფერი... ერთმა დიდმა ეპოქამ მრავალსაუკუნოვანი ისტორიული მოძრაობა გაამთლიანა, ერს უწყვეტი ხაზი წარმოუჩინა, აღმავალი ბუნება დაუდგინა. მანვე მიაკვლია გაჭიანურებული ძიების მიზეზებს — დაანახა განსაკუთრებული ისტორიულა და გეოგრაფიული პოზიციების სტრუქტურა, იმავე გარემოცვაში ღირსეული არსებობისათვის საჭირო კანონები, საქმით, ბრძოლით, შრომით სულჩადგმული ფორმები.

რაკი ძველი საქართველოს ისტორიაში დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქა არსებობდა, ქართველ კაცს არავითარი უფლება არ რჩებოდა დიდი ეროვნული მისია დავიწყნოდა და საშვენ სიმაღლეს მოწყვეტოდა.

საქართველო იყო და მუდამ დარჩებოდა ასეთ არახელსაყრელ ისტორიულ და გეოგრაფიულ პოზიციაში, პოლიტიკური ამინდი ან მეტად გამკაცრდებოდა ან ოდნავ გალმობიერდებოდა. მას სულ უნდა ხსომებოდა ვულკანური ბუნების გარემოცვა და კიდევ ის უნდა ხსომებოდა, რომ დავით აღმაშენებელმა ბუნებითი ნიშნის გათვალისწინებით „წინადაუდო“ ქართველ კაცს ფეოდალური ქვეყნისათვის ყველაზე სრულფასოვანი საბრძოლო და სამოქმედო ფორმები, საარსებო კანონები. მათი დავიწყება გადასახედთან გამოთხოვებას მოასწავებდა, დავითის ისტორიკოსისაგან ამ მოდელის „დაუნდობელი“ ანალიზი, დეტალობრივი გაშიფვრა და შთამომავლობისათვის კატეგორიული შეუვალობით მიწოდება სხვას რას უნდა ემსახურებოდეს იმავე პრობლემებზე საუბრის უწყვეტი ჯაჭვია გაბმული ნაშრომებში: „ისტორია და აზმანი შარავანდედთანი“, ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ მეფე თამარისი“ და „ჟამთააღმწერელში“.

ნიუანსები, დეტალები იცვლებოდა, მაგრამ არ იცვლებოდა უმთავრესისადმი ერთგულება დემეტრე პირველის, გიორგი მესამის, თამარ მეფის დროს. პატრონყმური ფეოდალიზმის სოციალური, ეკონომიური, პოლიტიკური განვითარების გზები ბევრი რამის დაზუსტებასა და გადასხვაფერებას ითხოვდა, მაგრამ ერთიანი იყო ეპოქის სული და გული: სრული თვითგაღებით, მოუდუნებელი სიფხიზლით იღვწოდნენ დემეტრე I, გიორგი III და თამარ მეფე. წესიერების, პატიოს-

ნების უმშვენიერეს ბუნებას ერთგულებდა ერი, სიმამაცის, მოსაზრებულობის, უპირველესი მებრძოლის თვისებებს ილესავდა ლაშქარი სისხლიან ბრძოლებში. დასახელებულ ნაშრომთა ავტორებს ღრმად აქვთ შესწავლილი ამგვარი არსებობის საიდუმლო და აქეთკენ მოუწოდებენ ქვეყანას.

დავაკვირდეთ, როგორ ცოცხლობს აღმაშენებლისეული ბრძოლისა და არსებობის კანონები თამარ მეფის პიროვნებაში — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“: „და ესრეთ განსწავლნა ხუთნივე საგრძნობელნი, და შეიზღუდა შიშითა ღმრთისათა, ხედვა, ყნოსა, სმენა, გემოს ხილვა და შეხება, და ულიქნავად სატანას და გუელისა მიერ. და ესრეთ მარად წარმდინარე უსე საწუთო და ქუე დამზიდველი, მსგავსად სოლინართა, შეუხებელმან ბიწისაგან უვნებლად წარიხადნა და ესეოდენთა დიდებათა და სიმდიდრეთა გარდარეულთა და სიმაღლესა შინა ესრეთ იყო, ვითარმცა ყოვლად არა რა ჰქონებოდა, და უდარეს და უგლახაკეს ყოველთა კაცთასა შეერაცხა თავი თვისი...

...და ესეოდენსა ამას ღმრთის მსახურებასა და კრძალულებასა შინა ნუ უკუე ქუეყნერი ესე მეფობა უდიდებელად და განუგებლად დაუტოვა, ნუ იყოფინ, არამედ უზესთაეს ყოველთა მეფეთა და ბრძენთა და ფილოსოფოსთა, კეთილად განაგო და შეამკო, და წარმართა“.

სხვა ადგილას თქმულია:

„ვერ შეიტყუა იგი საშუებელმან ამის საწუთროსამან, არცა მეფობამან გვირგვინისამან და სკიპტრამან, არცა ქვათა პატიოსანთა უხუად ქონებამან, არცა სპათა სიმრავლემან და ესოდენ სიმხნემან, რომელი სიტყუამან ცხადყოს, არა მიდრკა, ვერცა წარიპარა სიმდიდრემან“...

უფრო ქვემოთ:

„ამათ თანა იყვის მეფე თამარ დღისი და ღამე ლოცვითა, ფსალმუნებითა, ღამისთევითა დაუძინებლად, და ყოველთა ღამეთა დღე-ლიტანიობდა და არა დასცხრებოდა...“

ბასილი ეზოს მოძღვარი:

„არცა თვით უქმობდა და არცა თვისთა ყმათა აუქმებდა“...

თამარ მეფის ცხოვრებასა და ღვაწლზე თქმული ფრაზებიც კი ემთხვევა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ფრა-

ზებს. ეს იმიტომ, რომ აღმაშენებლის და თამარ მეფის ცხოვრების წესი, ნორმა და ფორმები ემთხვევა ერთმანეთს. დეტალებიც, ნიუანსებიც იგივეა. ერთი ბუნებაა თითქოს, ერთი ქვისაგან გამოკვეთილი მონათესავე ხასიათები. ერის წინამძღოლის ფენომენია დამკვიდრებული, წამითაც არ შეუძლია თავის მოწოდებას გადაუდგეს, რაღაც შეულახავი სული იღვწის და წარმართავს ერთი მიმართულებით. „არასოდეს აუქმა გონება მისდა რწმუნებულთა საქმეთათვის" — თამარ მეფეს გაცნობიერებული აქვს თავისი დანიშნულება საქართველოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე. ამიტომ „არ აუქმებდა" გონებას მისთვის მინდობილი ეროვნული საქმეებისათვის.

და როგორი ერი ჰყავდა აღმაშენებლის მსგავსად მასაც: „არა ვერაგობისა ღონითა აცხოვნებდა ერსა თვისსა, არამედ სიბრძნისა წინაძღომითა, და სიმართლითა, და უმანკოებითა დაეითიანითა, სიმშვიდითა იაკობის მსგავსითა, სიუხვითა აბრამისებრითა, მოწყალებითა იესოს ღმრთისა მსგავსითა, და სამართალითა მისისა მობაძავითა".

თამარის საქართველო ახალი ერთეულია ცივილიზებული კაცობრიობის სამყაროში თავისი შინაარსით და მასთან ფიქრით მიახლოება მეტად აღარ შეიძლება — ანდამატის მიმზიდველობით გაგვიტყუებს და წიგნის მთავარ საგანს დაგვაშორებს.

თამარ მეფის საქართველოს ხვედრი უცვლელს, წარუდინებელს და მარადიულს დაემგვანა. არსად ჩანდა მომრევი. დაითრგუნა მტრული ქვეყნები. პერიოდული ცდები, დაემარცხებინათ საქართველო, უნაყოფო აღმოჩნდა და ამ მდგომარეობაში იფესვებოდა დაარხეინებული ყოფნის ვნება, თითქოს გამართლება ეძლეოდა სადავის მობოშებას, თითქოს ეძახდა თავმინებებული სილაღისაკენ, დიახ, საცთური დიდი იყო, მაგრამ უფრო დიდი იყო ის საცთური თამარ მეფის დროს, როდესაც სახელმწიფომ ახალი სახელმწიფო შექმნა ტრაპიზონის იმპერიის სახით, როდესაც „გარდარეულ სიმდიდრესა და სიმაღლესა შინა" თამარ მეფე მაინც ისე ცხოვრობდა, „ვითარმცა ყოელად არა რაი ჰქონებოდა"...

ლაშა-გიორგის ბევრი საუკეთესო ღირსების წარმოჩენისა

და დამტკიცების სურვილმა იმდენად არ უნდა იმძლავროს, რომ უმთავრესი დაგვავიწყოს: ლაშა-გიორგიმ — დავით აღმაშენებლის, დემეტრე I, გიორგი III და სწორუპოვარი დედის მემკვიდრემ. ვერ შეიძლო „სრულითა გულითა მსახურებაჲ“.

მაშ რისთვის დაიწერა დავითის ისტორიკოსის თხზულება, მისი ყოვლის გამჭოლავი ანალიზი, ერის არსებობის საიდუმლოს შემცველი ნაწარმოები, თუკი საგარეო და საშინაო მდგომარეობის დაჯგუფებით, სოციალურ-ეკონომიური მიზეზების მოშველიებით შევეცდებით, სხვაგან გადავიტანოთ ყურადღება და საქართველოს ისტორიის ჩარხის შემობრუნება ძირითადად ჩვენს თავს კი არა, ათას გარეშე მიზეზს დავაბრალოთ. ჩვენი ეროვნული მრთელიდან არც მარტოოდენ ლაშა-გიორგის პიროვნების გამოყოფა შეიძლება და არც ცოდვის სიმძიმის მარტოოდენ მისთვის გადალოცვა იქნება სწორი და ნამუსიანი. თუ საკუთარ რაობაში მომხდარ ძვრას არ მივაყურადებთ, თუ არ დავაკვირდებით, როგორ გაწყდა კავშირი აღმაშენებლისა და თამარის ეპოქის ფენომენთან და არ ავხსნით, რაში გამოიხატა ეს კავშირის გაწყვეტა, მაშინ ვერც იმას დავადგენთ, რომ თამარის მერმინდელი საქართველოს დაუოკებელი მეცადინეობა და ლტოლვა საშვენი ხვედრის კვლავ მოსაძიებლად კანონზომიერი და ორგანულია თუ არა. დრო და ძლიერ პიროვნებათა წყალობით ეროვნული ენერგია რომ არნახული ძალით შეიმართებოდა, ეს ფაქტები მეტყველებენ ერის გონის მარადიულ ცდაზე — აღედგინათ „ოდინდელი“ ძალმოსილება. ეს ცდები ამთლიანებდა სწრაფვის წყვეტილებს...

კატასტროფული ძვრა ქართველი ხალხის ცხოვრებაში მანამ მოხდა, სანამ მონღოლები გამოჩნდებოდნენ!

„ხოლო სმამან მღერასა და სიღოდასა და ნაყროვნებამან სიბილწესა უმეტეს გარდარია. განიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და დედისა წესთა მასწავლელნი, შეიყუარნა თანამოჰასაკენი მოსმურობათა და დედათა უწესოთა თანა აღრევითა, რომელ ესეოდენ უსახურებად მიიწია, რომელ ოდესმე მსმელი ფრიადისა ღვინისა თაფლუჭისა, ტფილისს მყოფი, წარიყვანეს რინდთა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილ-

წე თვისი. ხოლო რინდნი, მეფისა მისლვასა არ მგონებელნი და ღვინით უცნობო-ქმნილნი, ზედა მიეტევნეს მგუემელნი ძლიერად, ვიდრემდე ერთიც თუალი მარჯუენე ხედვისაგან უხედვო ყვეს".

ლაშა-გიორგი უკეთილშობილესი ვაჟკაცი იყო, რაინდი, კაცთმოყვარე, კარგი სარდალი, ბევრი ღირსებით შემკობილი პიროვნება, მაგრამ იქნებ სრულიად გაუცნობიერებლად დაკარგა „საქართველოს სვეს" მართვის უმთავრესი უნარი — უღალატა აღმაშენებლისა და თამარ მეფის სამოღვაწეო სტილს.

დავაკვირდეთ: „ხოლო სმამან მღერასა და სიღოდასა და ნაყროვნებამან სიბილწესა უმეტეს გარდარია, განიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და დედისა წესთა მასწავლელნი". საითკენ განვითარდა ეს „წესი", სხვა საკითხია. მთავარი უკვე მოხდა: მოიშორა ვაზირები, რომლებიც თამარის მეფობის სკოლას ასწავლიდნენ. შავით თეთრზე წერია ყოველივე — სწორედ აღმაშენებლის და თამარის მეფობის სტილია დიამეტრალურად შეტრიალებული. შემდეგ ყველაფერი რომ „ესეოდენ უსახურობად მიიწია", რინდებში რომ დადიოდა და უწესო „თანამოჰასაკეებთან" ქეიფობდა, რომ ცემეს და ცალი თვალი დაუვსეს, ეს უკვე მარად ჩასაფრებული შედეგია.

„არა სცა ძილი თუალთა, არცა ჰრული წამთა, არცა განსუენება ხორცთა თვისთა..." ასეთი იყო მისი პაპის პაპა დავით აღმაშენებელი.

„ვერ შეიტყუა იგი საშუებელმან ამის საწუთროსაგან, არცა მეფობამან გვირგვინისაგან და სკიპტრამან, არცა ქვათა პატიოსანთა უხუად ქონებამან, არცა სპათა სიმრავლემან და ესეოდენ სიმხნემან, რომელი სიტყუამან ცხად-ყოს, არა მიდრკა, ვერცა წარიპარა სიმდიდრემან"...

ასეთი იყო დედა მისი — მეფეთ მეფე თამარი.

გარკვევით ჩანს, ერთ სტილს ექვემდებარება დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობა, სხვა პოლუსია ლაშა-გიორგის ცხოვრება — სხვა კანონი, სხვა ფორმა, სხვა წესი...

სახელმწიფოსა და ერის ინტერესებისათვის ყველა პირადული ბედნიერება დათმეს აღმაშენებელმა და დემეტრემ, გიორგი III და თამარ მეფემ. სახელმწიფოსა და ერის ინტერე-

სებისათვის შეირთო ჩრდილო კავკასიაში მოთარეშე ყივჩაღთა მეფის ასული აღმაშენებელმა. უსაყვარლესი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას შეუმცდარი გუმანი რომც არ მიგვითითებდეს, ისედაც უნდა გვეეჭვა, საქართველოს უმშვენიერეს ასულებს შორის ვინმე „დედისიმედი“ უთუოდ ეყვარებოდა დავით მეფეს... მაგრამ დაიხშო გულისთქმა, ის მოიყვანა, ვინც ქვეყნის სამომავლო პოლიტიკას წაადგებოდა. ორგზის იქორწინა თამარ მეფემ და ორჯერვე სახელმწიფოსა და ერის ინტერესების გათვალისწინებით.

სახელმწიფოსა და ერის ინტერესებს ზოგჯერ არავითარ ანგარიშს არ უწევს ლაშა-გიორგი ველისციხეში ლამაზი ქალი შეუყვარდა, წაართვა ქმარს და მოიყვანა სასახლეში. დიახაც, წრფელად უყვარდა, მაგრამ ეს არაფერს არ ამართლებს. დავიწყებულია ქვეყნის ზნეობრივი კანონები, შელახულია სრული თვითგაღების დავითისეული და თამარისეული წესი, დარღვეულია წონასწორობა, ქვეყნის განმგებლობის უფლება» დაკარგული, სიმტკიცისა და გაუტეხლობის თვისებებია დათმობილი. მეფე ყველაზე დიდი მაგალითია და აჰა, „თანამოჰასაკებისა და რაინდების“ საზით უდარდელი ცხოვრებისაკენ მიდრეკილნი მომრავლებულან. უზღვავი ქონების მფლობელი თამარ მეფე ვერაფერმა აცდუნა, ერი და თავი თვისი „არ აუქმა“ სიკვდილის კარამდე და ამად ჰყავდა „მარად განსხირპული“ ეროვნული ენერგია, აღმოსავლეთის პოლიტიკურ ამინდს საქართველოს სასარგებლოდ რომ მოაქცევდა უმალ. ამ რაობის ღალატი იქცა უდიდესი კატასტროფის სათავედ. სრულიადაც არ მინდა ვინმეს თავს მოვახვიო, ისე გამოვთქვამ ჩემს ვარაუდს: ეს კატასტროფა უფრო ყოველისმომცველი იყო, ვიდრე მონღოლთა მოსვლა. იქიდანაც მტკიცდება ყოველი, რომ მარტოოდენ მონღოლებს არ დაუმარცხებიათ საქართველოს უძლეველი ლაშქარი, მონღოლებისაგან უკუქცეულმა ჯალალედინმაც დაამარცხა იგი. ე. ი. თუკი ძლიერი მოვიდოდა, ნებისმიერი მტერი დაამარცხებდა! სულაც არ იყო საამისოდ საჭირო მონღოლთა წამლეკავი ენერგია. მეფობის პირველ წლებში რამდენიმე სამხედრო ოპერაცია განახორციელა სახელოვნად ლაშა გიორგიმ. დიახაც შეეძლო მისი ნიჭისა და შესაძლებლობების პიროვნებას გაუტეხელი ქვეყნის

შენარჩუნება, მაგრამ იმ უმთავრესი სტილის ღალატის შემდეგ, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, ხელიდან გაუსხლტა სწორედ მთლიანობის, მონოლითურობის სამართავი საქმე და აჰა, სირცხვილიც — ჩინგის-ხანის თორმეტათასიანმა მეწინავე რაზმმა აქამდე უძლეველ ქართველთა ოთხმოცდაათასიანი ლაშქარი დაამარცხა.

მკაცრმა სინამდვილემ სილა გააწნა თითქოს უდარდელობაში შეხიზნულ ეროვნულ სულს. გაწყვეტილიყო დღენიადაგი კავშირი ერის ვნებებთან, ფიქრებთან, ზრახვებთან, რასაც „არა სცა ძილი თუალთას“ წყალობით აღწევდა დავით აღმაშენებელი, გაწყვეტილიყო ყოველწამიერი მსჯელობა ქვეყნის სულთან, რასაც „დღისი და ღამე ლოცვითა, ფსალმუნებითა და ღამისთევითა“ აღწევდა თამარ მეფე. დამუქრებული მტრული ქვეყნების შესწავლის ტრადიცია იმ „სიმღერისა და სიღადოთა“ კვალად იყო მიძინებული, პოლიტიკურ რუკაზე მფეთქავი წერტილების მონაცვლეობას წინანდებურად არ მისდევდა მაცნე-მსტოვრების ფხიზელი თვალი. სიახლეებს არავინ აპყრობდა გულისყურს და ისე გადმოიარა მთელი შუა აზია და კასპიის ზღვის სანაპირო სისხლისღვრით, ცეცხლით და სახელმწიფოთა ნგრევით მონღოლთა ტალღებმა, რომ საქართველოში ამ მოვლენის შესახებ არათუ ზედმიწევნითი ცოდნა, ყრუ ცნობებიც არ იღვწოდა! მხოლოდ წლების მერე „მოიკითხეს“ ქართველებმა ამ „უცხო ხალხის“ ვინაობა.

დღეში „რამდენიმე“ ახალი ცნობა მოსდიოდა თამარ მეფეს და დაუხანებლად აანალიზებდა მიმდინარე ძვრებს!!!

მეფის მოქმედებას და ცხოვრების ნირს იმ დროისათვის განუსაზღვრელი ზემოქმედების ძალა ენიჭებოდა და ლაშა-გიორგის დამსახურებათა გვერდით მისსავე საბედისწერო შეცდომებზე გაჩუმება ლაშა-გიორგის პიროვნების გაფრთხილებას კი არა, ჩვენი საერთო ნაკლის დაფარვას უფრო ნიშნავს. ერთ რაობად ჩანს შეკრული ლაშა-გიორგის ხასიათი და მისი შემყურე ერის უდიდესი ნაწილის თვისებათა მიმართულება.

„და ეგრეთვე იქნა ნათესავთასაცა ამას შინა ქართველთასა, რამეთუ განძღეს და იშუებდეს და უწესობად მიდრკეს სიძვათა შინა და მთრვალობათა უგუნურნი კაცნი, მეფის კარსა ზედა არა-ყოფისა ღირსნი და აწ კარსა ზედა მყოფნი“...

ხოლო მანამდე, საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში: „ვერცა მსოფლიო ვინმე და ვერცა მოქალაქე, ვერ მხედარი და ვერ რომელი პატივი და ასაკი იკადრებდა განდრეკილად სლვად რამეთუ ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყოველთა კანონ, ყოველთა პატიოსნება, და თვით მათ მეძავთაცა ყოველთა კრძალულება, ყოველთა შიშ და მმართებელ გზათა საღმრთოთა და მშვიდობისათა“.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების ანალიზით ჩვენ დავინახეთ, რისი წყალობით იყო მიღწეული ყოველი სიკეთე. ბასილი ეზოსმოძღვრის ნაწარმოების ანალიზიც ამასვე გვეუბნება...

ერთ „მრთელად“ იქცა ხალხისა და მეფის ზნე. ღირსებებალაშა-გიორგის ხასიათშიც იღვწოდა და ერშიც, მაგრამ ქეიფისა და ფუფუნებისაკენ მიდრეკამ გადასძალა ის თვისებანი, ის მთლიანობა მოწყდა საშვენ ყოფნას, გაურჯელად, შეუმართავად სურდა სიმაღლის შენარჩუნება! დაქანებულ მრთელს არსად, არცერთ მოსახვევში არ უსაფრდებოდა გულთამხილავის სიტყვები: „ნუ იყოფინ ესე, წარვედ!“

საშინელმა მარცხმა გამოაფხიზლა თითქოს მეფეც და ერიც, მაგრამ დაკარგული იყო მოვლენების სამართავი სიბრძნე, ეკლესიის მესვეურთა, კარისკაცების, ხალხის და მეფის სულისკვეთება ერთმანეთს იყო დაშორებული, სულისმოთქმისათვის, აზრის მოკრებისათვის დრო არ დასტოვა კარს მომდგარმა ჭირმა და „იქმნა უკუქცევა სუე სვიანისა ბედისა“ (ჟამთა აღმწერელი). უკუღმა დატრიალებულ ისტორიის ჩარხს კი ძნელად უხერხდება კვლავ წაღმა შემობრუნება.

ცხადია, ყველა მეფეს აღმაშენებლისა და თამარის უნარს ვერ მოსთხოვ, მაგრამ საქართველოს საგანგებო ისტორიული და გეოგრაფიული პოზიცია ყველა მეფისაგან თანაბრად ითხოვდა დავით აღმაშენებლის მიერ დამკვიდრებული უკვდავი, ნაცადი კანონებისადმი უღალატობას: სრულ თვითგაღებას, მუდმივ სიფხიზლეს, მუდმივი ლაშქრის თანყოლას, დღედაღამ მიმოსვლათა შინა ყოფნას... თვითონ ის, უძლეველი მეფე და მთავარსარდალი კატეგორიულად იძახდა: „მწვანილოვანთა ზედა მოსმურობითა და განცხრომითა, არა ესრეთ, ბრალ“ თუკი მას, უძლეველსა და სწორუპოვარს, არ რჩებოდა

ქეიფისა და განცხრომისათვის დრო, ნაკლებ ნიჭიერს აბა ვინ
ჩისცა უფლება დაარხეინებული ყოფნის.

• • •

დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის სტილი, მოქმედების მასშტაბები, პოლიტიკური ენებები, „გონების სივრცე", ურყევი ნებისყოფა აქეთ არანაკლები თავგანწირვით იღვწის, ვიდრე თავის დროს იღვწოდა. სულ დიდგორის სიმაღლეზე ჰქონდა და აქვს დაბჯენილი თვალი ქართველ კაცს. არ გეველინებოდა იგი სულით დაპატარავებული ხალხის დიდებულ წინაპრებთან „ლაციცად". ქართველი კაცი ცდილობდა გაერღვია უბედურებათა სალტეები, აეღორძინებინა იმდროინდელი ძალმოსილება, დაემკვიდრებინა მთლიანობის ოდინდელი განცდა. ეს ენება ტეხდა მხედართმთავრებს ტანში, ფილოსოფოსებისა და პოეტების ფიქრში იღვწოდა; ერის გონი გარს შემოვლებოდა თავის საშვენ ხვედრს და საკმარისი იყო გონიერი წინამძღოლის გამოჩენა, რომ კვლავ იმ სიმაღლეებისაკენ აფეთქებულიყო.

ნუთუ იმისათვის დაგვირგვინდა მრავალსაუკუნოვანი ისტორიული პროცესი აღმაშენებლისა და თამარის ალმასისებური სიმკვრივის ეპოქით, რომ სადღაც გამქრალიყო შემდეგ, როგორც ტკბილი სიზმარი. არ ემორჩილებოდა სინამდვილეს ლოგიკა. ლოგიკა, გუმანი ერთმანეთს შერწყმოდა და ისტორიული ფაქტების დამამწუხრებელ შინაარსს გლეჯდნენ. რაღაც არ ისვენებდა ხასიათში, — გონი თუ გენი, თუ ორთავ ერთად, არ ცნობდა სიმაღლის დათმობას. ეპიზოდური ძალისხმევით, დიდი ბრძოლების, არქიტექტურის, მწერლობის, სიმღერის ენით ამოისროდა იმ უნივერსალურს, რაც ერში იგულისხმებოდა, რასაც სახელმწიფოებრივი მასშტაბები და ფორმები წართმეოდა და ქართველობის ბუნებას აქა-იქ შეჰფარებოდა.

უდიდესი შუქი გამოსცა მისწრაფებამ გიორგი ბრწყინვალის დროს; არ არის იგი ერთი მეფის სვიანი ხანა მარტოოდენ. იგი საკაცობრიო წონის არგუმენტია, რაც თვით სკეპტიკური განწყობილების ჟამსაც გვარწმუნებს, რომ ძველი საქართველოს დიდი ეპოქა არ დამთავრებულა, შეწყდა მხოლოდ

მიზეზთა გამო. შეწყდა თუ გაწყდა ერთბაშად და დაუჯერებლად. და ახლა მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში, გიორგი ბრწყინვალის მკვდრეთით აღმადგენელმა გენიამ ჩაგვახედა სინამდვილეში: აღმაშენებლის თვისებანი არათუ ცოცხალი იყო, არამედ შეურიგალი, პროტესტით დატენილი, თითქოს მთელი ეპოქა მიუბრუნდა გზადაბნეულ ერს: — „ნუ იყოფით ესე, წარვედ“! ის რაობა ცოცხალია, ხოლო საშვენი ხვედრი — მომლოდინე. საშვენი ხვედრის მომლოდინე ერის ღირსებანი მარადიულია, მხოლოდ წესი, კანონი, პატიოსნება, სიფხიზლე... „არა სცა ძილი თუალთა, არცა ჰრული წამთა“... ეს სტილი არ არის მარადიული! იგია წყვეტილი... და მყის იმძლავრებს პოლიტიკური ამინდი, მყის ჩნდებიან ჩინგის-ხანები და თემურ ლენგები, შაჰ-აბასები და აღა-მაჰმად-ხანები... მყის წამოყოფენ თავს სოციალური და ეკონომიური მიზეზები, დიდი ისტორიული მოვლენები იწყებენ პარპაშს, რადგან ერის „სრული განსხირპულობა“ არ ეძებს მას, რადგან „სულ მოლაშქრეობა“ არ აფხიზლებს ქვეყნის კუთხე-მხარეებს, არ მოძრაობს ერი დიდი მოძრაობით, დიდი მისია არ მიუძღვის თვისებებს, არ აწინაურებს ძვირფასს, არ ჭოლავს დამღუპველს, არ წვრთნის საქართველოს მთლიანობის განცდას და არ გამოსჭედს ათას განსაცდელში, რადგან სიავისკენ მიდრეკილ ვნებებს არ ეცემა დიდი მხილების სიტყვები. მხოლოდ უდიდესი შეჭირვების ჟამს შეითქმება ერის ენერგია. ასე გაჩნდა პოეტის ფრაზა: „რა გაჭირდის, უკეთ შევძლი, ასრე მქონდა ბრძოლის ჩვევა“. აღმაშენებლის ქვეყნის ძალმოსილება გაჭირვების სალტეებში შენივთდება და იფეთქებს. დატრიალებული ვნებები გადარჩენის მიზანს ემსახურება თითქოს. სინამდვილეში დიდი ეპოქის შესატყვის შესაძლებლობებს ამხელს.

არაფრით არ შეეძლო ხალხს დიდი წინაპრებისაგან მოპოვებული პოზიციები დაეთმო, დაეთმო პოზიცია სახელმწიფოსი, რომელიც თავის სურვილებს კარნახობდა აღმოსავლეთის უძლიერეს ქვეყნებს. ამგვარი პოზიციის მოსაპოვებლად თავის დროზე ქვეყანამ უზღვავი ენერგია გაიღო — ახლა ხელიდან ეცლებოდა იგი. დაუჯერებელი ჩანდა სინამდვილე, დაუჯერებელი ჩანდა სახელმწიფოს ძლიერების მზის ჩასვენე-

ბა. მონღოლებთან დამარცხების ფაქტი, ქვეყნის ორ ნაწილად გაყოფა, უფრო ადრე ჯალალედინის შემოსევები, თბილისის გადაწვა, ყველაფერი გვერდაუვლელი, უბედურების მაუწყებელი ფაქტები იყო. მაგრამ კითხვა: როგორ? რანაირად? დავითიანი და გორგასლიანი დროში, თამარის უძლეველი ლაშქარი... ამ დროშის დახრა? ამ ლაშქრის დამარცხება? ჭირდა ამ მწარე სინამდვილესთან შერიგება, ამ ფაქტების მონელება. ერთხანს ყველაფერი გაუგებრობად ეჩვენებოდა, რაღაც შემთხვევითობად, უნებურ მარცხად, ალოგიკურობად. დრო გადიოდა და მდგომარეობა უარესდებოდა. პოლიტიკური სიტუაციების ცვლილება იმედებს ბადებდა, მომავლისადმი რწმენით გამსჭვალული ქართველი კაცი ელოდა აღორძინებას. გამუდმებით იბრძოდა ქართული გონი საჭის კვლავ წაღმა დასატრიალებლად. მძაფრი ჩანდა ეს სურვილი, ახლადფეხადგმული ნიაღვარივით დაუმცხრალი. მთელი ეს მეცადინეობა, ლაშა-გიორგის ტრაგიკული ბედის შემდეგ, სულ დავითის ეპოქისკენ მოძრაობს. ძველი დიდების დაბრუნებისათვის მეცადინეობა ამ მიმართულებას გულისხმობს. დაუთმობი სიმაღლისაკენ გატყორცნილი მზერა კიდევ უფრო დაჟინებული ხდება შემდგომ, როდესაც თემურ ლენგის, თურქებისა და ირანელებისაგან შეჭირვებული საქართველო თავის ადგილს ესწრაფვის ისტორიაში. იმრავლა დამარცხების ფაქტმა, დაგროვდა წაგებული ბრძოლები. დაიწყო მტრისაგან მიტაცებული ტერიტორიების გამოგლოვა. სამხრეთ საქართველო თურქეთის ხელში აღმოჩნდა. მართლაცდა რისთვის მოქმედებდა ეროვნული სულისკვეთება ამ ძალით, ამ შემართებით! დავით აღმაშენებლის მიერ მიკვლეული ენერგია, გამოხმობილი ძალა და უნარი არ შეიძლება გულისხმობდეს მხოლოდ ერთი საუკუნის ძლევამოსილებას. დიახ, ერთი საუკუნის დიდებისათვის არ მოუხდენია გელათში დამარხულ გოლიათს ის საარაკო მოვლენები, ეროვნული აღმასვლისა და სრულყოფის კანონზომიერი პროცესები ხანგრძლივი, დაუსაბამო ზეობისათვის იყო გამიზნული, ღირსეული არსებობის სამარადჟამოდ დამკვიდრებისათვის იყო წარმართული. აქ კი რა ხდება. რაღაც ერთი საუკუნის ბრწყინვალება მეფობს ერის ცხოვრებაში, მერე კი იწყება ტანჯვისა და წონასწორობის რღვევის დაუსრულებელი ეპო-

ქა. ტალღების გამუდმებული ცემისაგან იწყებს დიდი ხომალდი ნელინელ რღვევას. ლოგიკურად გამორიცხული იყო ამ ხანგრძლივობის კანონზომიერი ხასიათი. ლოგიკა სხვა რამეს ითხოვდა, სხვა სიმაღლისაკენ მიანიშნებდა ეროვნულ გონს.

ჩვენ კონკრეტული ფაქტები დაგვიდასტურებს, როგორ არის აჯანყებული ქართველი კაცის გენი ამ, მისთვის შეუფერებელი მდგომარეობის წინააღმდეგ, როგორ მოუსვენრად, დაუცხრომლად, შეურიგებლად აფრქვევს პროტესტის გრძნობას ლექსი, პოემა, მოთხრობა, მატიანე, ხუროთმოძღვრება. რა განგაშია ატეხილი დავით გურამიშვილის, სულხან-საბას შემოქმედებაში, მათი ცხოვრების წესში, მათს ბედსა და ხვედრში. გრიგალივით გადაუარა ტაშისკარში, მარტყოფში, მარაბდასა და ქსანში უძლეველი მტრების ზურგს ქართველი ხალხის ენერგიამ. გაიმართა, დავითისა და თამარის დროინდელი შემართებით დაუდგა წინ მტერს. მეჩვიდმეტე საუკუნეში კიდევ ერთხელ შეახსენა დამუქრებულ აღმოსავლეთს ამ ძალამ თავი — ბახტრიონის აჯანყება მაქვს მხედველობაში. რაც შეეხება მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს, ეს იყო სერიოზული პრეტენზია გაცხადებული ქვეყნის ოდინდელი ძლიერების აღდგენაზე. ერეკლე მეორის მიერ გადახდილ ბრძოლებს ნახევარი საუკუნის განმავლობაში შეჰქონდა რწმენა ქართველი კაცის შეგნებაში. ილუზიაც კი შეიქმნა ოდინდელი ძალმოსილების აღდგენისა. ილუზია ილუზიაა, მაგრამ ამ ბრძოლების შინაარსმა ქართველი ხალხის დიდი სურვილი გამოიტანა მზის სინათლეზე. თურმე ქართველ ხალხს ერთი წამითაც არ დავიწყნია თავისი მიზანი — სვებედნიერი ხანის დაბრუნების მიზანი. ქართველი კაცის ფიქრი უნაპირო მდინარესავით მიემართებოდა იმ სიმაღლისაკენ, ექვსი საუკუნის გავლის შემდეგ. ეს მიმართება გულისხმობს მომავლისაკენ სვლას და არა ფეოდალური ფორმაციის ჩარჩოებზე დახარბებას. დავითის ეპოქაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ეროვნული არსებობის კუთვნილი შინაარსი, სრული შინაგანი მობილიზების უნარი, დიდი ეროვნული მისიის ქონა, საკუთარი კონკრეტული დანიშნულების გამართლებისათვის ბრძოლა და შემართება, სამართლიანობისა და ჰუმანურობის დაცვის სურვილი, ეროვნული თვისებების სრულყოფილი გა-

მონათება, დიდი ფიქრისა და გრძნობის შესაკრებელი, არსებობის წონა და მდგრადობა, სულიერი და ფიზიკური მდგომარეობის ის ფაზა, რაზეც არა მარტო ოცნებობს ყოველი ქვეყანა, რისკენაც ყოველთვის ისწრაფვის ღირსეული ერი.

ყოველივე ეს არ შეიძლება წარსულში დარჩეს. თუ ის წარსულში დარჩა, ხალხი, ქვეყანა უნუგეშოდ გადაგვარებისათვის ყოფილა განწირული. ამიტომ იგულისხმება ქართველი ხალხის დაჟინებულ სწრაფვაში დიდი შესაძლებლობანი. გამოწვლილვით ანალიზი ჩვენ დაგვანახვებს ფიქრის „შემაშფოთებელ სიღრმეებს, იმ ფიქრისას, რომელსაც დაუპყრია საქართველოს მთა და ბარი და წარსულსა და აწმყოს იმ ადგილისაკენ მიაბრუნებს, სადაც ყველაზე მაღალი მწვერვალი ანთია. თუ გრაფიკულად წარმოვიდგენთ სურათს, უძველესი დროიდან განუწყვეტელი ხაზი მიემართება დიდგორისაკენ და იქ უერთდება მეორე უწყვეტ ხაზს, რაზეც თამარის მერმინდელი საქართველოს ოცნებაა ასხმული და რომელზეც მოძრაობს ქართველი ხალხის მოუსვენარი ფიქრი.

„წამებულნი და სისხლ-მთხეველნი მამულისათვის რამღა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით — იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!.. იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა“—ვით

ქრისტიანებს და „სიმტკიცე ნაშედისა"—ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა. წავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა. ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, ალარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გეეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთა-მძლეა მარტო ის, ვინც მცდელია და ბეჯითი სულითა და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა." — წერდა ილია ჭავჭავაძე.


დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმ აზრის მიკვლევას, რომ ილია ჭავჭავაძის სიტყვებში დაუოკებელი ენერგია ფეთქავს. თითქოს ტალღები გვცემს სახეში, ცივი, მაგრამ გამომაფხიზლებელი, მკაცრი, მაგრამ ერთბაშად ძილ-ბურანიდან გამომყვანი...

ნახევარი საუკუნეც არ დასჭირდა ეროვნულ გონს სულის მოსათქმელად, რომ ერ-

თიანად გამოფხიზლებულიყო და ასპარეზზე გამოსულიყო ქართველი ხალხის მაღალი მისწრაფებანი, ღირსეული ყოფნის უკვდავი წადილი. ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ახალი, დიდი საქართველოს აშენების პროგრამა დაუსახეს ხალხსა და ქვეყანას. ეს მისწრაფება თავისთავად მეტყველებდა გაწყვეტილი დროთა კავშირის აღდგენის აუცილებლობაზე. ჯვაროსნულ ლაშქრობას ჰგავდა ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების შეტევა მცონარობის, გონებრივი სიბნელის, უმოქმედობის, დაკნინების წინააღმდეგ. ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძეს, ამ ოთხ ტიტანს, თავად განუსაზღვრელი ენერგიულობის განმასახიერებლებს, ღრმად სწამდა, რომ დიდი საქართველოს აშენება შეიძლებოდა. საქართველოს არა აქვს უფლება ღირსეული ერის ცხოვრებით არ ცხოვრობდეს ცის ქვეშ. ერთბაშად დიდი ქვეყანა არ შენდება, არც ჭეშმარიტი ერი ყალიბდება ერთბაშად, მაგრამ ქართველი ხალხის უკეთეს შვილთა მიერ იმდენი ფიქრია დამწვარი ჭეშმარიტი გზების გასანათებლად, იმდენი მიზეზია განჩხრეკილი და ისეთი ცოდნაა დაგროვილი, რომ ყველაფერი, ილიას თქმისა არ იყოს, საქმეს ითხოვს. „საქმით მეტყველება“ ეშურება ასპარეზს, უკან აბრუნებს ლამაზ სიტყვებს, განიცდება დიდ სულიერ მოთხოვნილებად და მკვეთრი მოძრაობით მიგვანიშნებს წარსულის „მდუმარ“ სამყაროსაკენ, სადაც აზრით

სავსე, მიზნითა და მიმართულებით გასხივოსნებული ვნებები მდინარებს, სადაც დგას მრთელი წინაპარი, მიმზიდველი, მშვიდი მზერით, გონების უკიდეგანო სივრცით, და ჩვენ უჩვეულო სიჩუმისაგან მონუსხულთ და გარინდულთ, კარგად გვესმის მისი დიდი გულისძახილი.

ეროვნული საკრებული



გიორგი სააკაძის სურათზე

ცალკერძ შენა ხარ და შენს პირდაპირ
მეორე სახე მე მეხატება
შენის ქვეყნისა — საქართველოსი.
რამდენი ფიქრი მწვავს, მებადება:
თუ ვერ ვიპუებთ, ვერ შევიფერებთ,
კარგი შვილები რად გვებადება?
შვილის სიკეთე მშობელს შეჰშურდეს,
ნამდვილ მშობელსა ეს ეკადრება?
ცრემლები მაღრჩობს, ველარას ვამბობ;
კარგის დაღუპვა რად გვენატრება
ჩვენის შვილისა, ჩვენივე ძმისა?!
ველარას ვიტყვი, ვთრთი, მეხათრება.
ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ,
არ გეკადრება, არ გეკადრება!..

ვაჟა-ფშაველა

1

ძალიან გაჭირდება, ალბათ, საქართველოს ისტორიიდან მეორე პიროვნების დასახელება, ვისაც აზრთა ისეთი სხვადასხვაობა გამოეწვიოს, როგორიც გიორგი სააკაძის ფენომენმა. ცხადია, აზრთა ეს სხვადასხვაობა მის სიცოცხლეშივე იღებს დასაბამს. სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა ფიქრები დიდ მოურავზე. მისი პიროვნული ღირსებები, მისგან გადახდილი ომების მასშტაბები თვით პოლიტიკურ მტრებშიც კი იწვევდა აღფრთოვანებას. ისინიც ვერ უვლიდნენ გვერდს დიდი მოურავის ღირსებებს და დამსახურებას, მაგრამ სააკაძის დახლართული, გამუდმებული წინააღმდეგობებით აღსავსე გზაზე ისეთი ფაქტებიც ჩნდებოდნენ, რაზე დაყრდნობითაც პოლიტიკურ მტრებს ადვილად შეეძლოთ ჩირქი მოეცხოთ დიდი მოურავის სახელისათვის და გაუგონარი დანაშაულიც კი მიეწერათ მისთვის. ცხადია, კრიტიკულ სიტუაციებში მოხვედრილი ქართველი ხალხის ისტორია XVII საუკუნის პირველ მეოთხედში უამრავ რთულ ვითარებას აჯგუფებდა, იმდენად რთულს, რომ მათი ლაბირინთის გაელა უშეცდომოდ არავის შეეძლო.

წინამდებარე წიგნში შევეცდები ისტორიკოსთა შრომების მოშველიებით სრულად დავუხასიათო მკითხველს (უფრო მოვაგონო) შაჰ აბას პირველის დროინდელი საქართველოს საბედისწერო ხანა იმ მიზნით, რომ კიდევ ერთხელ გახდეს ცხადი რა ლაბირინთზეა ლაპარაკი. ჩვენი ცნობილი ისტორიკოსების ნაშრომები დაგვეხმარებიან მთელი სიგრძე-სიგანით გავიაზროთ ქვეყნის მდგომარეობის შინაარსი.

სააკაძის ცხოვრების მთლიან გეგმას — საქართველოს ძალთა გაერთიანება-განმტკიცებას — საბუთად უდევს დიდი

ისტორიული ფაქტებიც და სარწმუნო ისტორიული წყაროებიც. მაგრამ მისი აღსრულებისათვის გავლილ ურთულეს გზაზე გიორგი სააკაძეს, ცხადია, რამდენიმე არასასურველი ნაბიჯის გადადგმა მოუხდა, რაც, ერთი შეხედვით, სერიოზულ შეცდომებად ჩანს, და ეს შეცდომები პოლიტიკური მტრების მიერ უსაზღვროდ იქნა გაზვიადებული. პოლიტიკური მოწინააღმდეგენი და მათი თანამოაზრენი მაშინაც და შემდეგაც იმ რამდენიმე შეცდომას სააკაძის პიროვნების არსის გამოვლენად თვლიან, შეიმჩნევა აშკარა ცდა, იმ შეცდომების მნიშვნელობის გაზრდით დაფარონ ტაშისკარის, მარტყოფის, მარაბდის, ქსნის ომების გმირის მნიშვნელობა. შეუძლებელია ამ დიდი ომების მნიშვნელობის დაფარვა ან მიჩქმალვა. რამდენადაც ამ ომებზე აღმოსავლეთ საქართველოსა და, ვინ იცის, იქნებ მთელი საქართველოს ყოფნა-არყოფნის პრობლემაც იყოს დაკავშირებული. მაგრამ რაკი არ ხერხდებოდა სააკაძის განუსაზღვრელი დამსახურების მიჩქმალვა, პოლიტიკური მოწინააღმდეგენი შეეცადნენ თავის დროზე საქმე იმგვარად მაინც წარმოედგინათ, თითქოს სააკაძისაგან საქართველოს ხსნა შემთხვევითი ფაქტი იყო. თითქოს იგი მთელი თავისი არსებით კი არ ემზადებოდა ქვეყნის გადასარჩენად, არამედ, ინტრიგებისა და კონდოტიერობის გზაზე მოარულს, უნებურად საქართველოს ხსნაც გამოუვიდა. პოლიტიკური მოწინააღმდეგენი მიაწერდნენ უმძიმეს ბრალდებას — შაჰ აბასის მიერ კახეთის მოსახლეობის ამოწყვეტა-გადასახლების ეროვნულ უბედურებას ფაქტიურად სააკაძის დანაშაულად აცხადებდნენ. კერძოდ, ხმებს ავრცელებდნენ, რომ შაჰ აბასმა სააკაძის რჩევით და მითითებით გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა ჯერ კახეთის, ხოლო შემდეგ მთელი აღმოსავლეთ საქართველოს აყრა და იქ მუსულმანების ჩასახლება. ეს ბრალდება თუ სინამდვილეს შეეფერება, დანაშაული, მართლაც, უმძიმესია. მაშინ მარტყოფისა და მარაბდის გიგანტური ომების მიერ მოტანილი შედეგი მხოლოდ თუ აწონასწორებს ჩადენილი ღალატის სიმძიმეს. მაგრამ, საბედნიეროდ, ისტორიული წყაროების ღრმა ანალიზმა ისტორიკოსთა მხრივ დაადასტურა, რომ ასე არ ყოფილა, მაგრამ პოლიტიკურ მოწინააღმ-

დეგეთა მიერ მიწერილმა დანაშაულმა მაინც დაბადა დიდი ეჭვი, რომელიც რამდენიმე საუკუნეა ღრღნის შთამომავლობის ფიქრს, ღრღნის და აწუხებს, რადგან ერთმანეთისათვის ვერ შეუთავსებია ტაშისკარის, მარტყოფისა და ქსნის ომების ავტორის მოქმედება — ერთის მხრივ, მთელი არსებით საქართველოს გაძლიერება-განმტკიცებაზე. ენერგიის დაუზოგავად ხარჯვა და, მეორეს მხრივ, კახეთის უბედურების მიზეზად დიდი მოურავის წარმოდგენა.

ჩვენს თვალწინ კიდევ უფრო იმძლავრა ამ დიდ პიროვნებაზე ფიქრმა. მწერლების, მეცნიერების, მკითხველის ფიქრს არ ეხსნება ეს საგანი. განსაკუთრებით მკვიდრად დაესახლა „გაორებული პიროვნების“ კულტი მწერალთა ნაწარმოებებში. მკითხველიც დაიბნა და საგანგებო კითხვითაც მიმართა ამ რამდენიმე წლის წინათ გაზეთი „კომუნისტის“ რედაქციას. მკითხველები მოითხოვდნენ გაერკვიათ საკაძის პიროვნებაზე არსებული ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებების არსი. ისტორიკოსმა გივი ჯამბურიამ, რომელიც ავტორია გიორგი საკაძის პიროვნებაზე დაწერილი საინტერესო ნაშრომისა, რედაქციის თხოვნით მოკლედ და ამომწურავად დაახასიათა დიდი მოურავის ღვაწლი. მაგრამ ეჭვი მაინც არ ისვენებს. სიმართლე მეტ საბუთებს ითხოვს. არ ისვენებს, რადგან ისტორიკოსებისათვის საკაძის პიროვნებაზე შექმნილი აზრი ხანგრძლივი კვლევის შედეგია და ამდენად პასუხიც გარკვეულია. ამ შედეგის მიღწევამდე ათასგვარად შეჯერდა მათ ფიქრში წყაროები, ცნობები, და დასკვნაც ამ შეჯერების საფუძველზე შემუშავდა. მაგრამ საბოლოო დასკვნის გამოტანამდე თვით ისტორიკოსთა შორის იყო აზრთა სხვადასხვაობა. დიდი მეცნიერებიც ყოყმანობდნენ. ეს აზრთა სხვადასხვაობა, ეს ყოყმანი, კამათსა და მსჯელობაში გამოხატული, იმ ისტორიულ წყაროებს მიემატა და მკითხველს, თვით მწერალს, ერთი სიტყვით, ყოველ არასპეციალისტს, ვინც კი ამ რთული საკითხით დაინტერესდება, თუ თავიდან ბოლომდე არა აქვს შესწავლილი საკაძის პიროვნების გარშემო არსებული ლიტერატურა და მისი კვლევის ისტორიაც, აქა-იქ გაბნეული, ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებების წაკითხვისას, ბუნებრივია, ეჭვი ებადება. და ამოდენა გზისა და დროის გამოვლის შემდეგ საკაძის

ფენომენი პირველშობილი არსის სინედლით იპყრობს ჩვენს ყურადღებას და გამოგვთხოვს ენერგიას, კიდევ ერთხელ ვცადოთ გარკვევა ამ „რთული პიროვნების“ დამსახურებებსა და მოქმედებაში, მისწრაფებებსა და სულისკვეთებაში.

თუ კარგად დავაკვირდებით პრობლემის შესწავლის ისტორიას, იმ დიდ ვნებათა ღელვას, რაც ამ ისტორიული პიროვნების გარშემო ბრუნავს მორევივით, ცხადად შევამჩნევთ სამ გამოკვეთილ ტენდენციას: ერთნი, საკაძის პიროვნებით მოხიბლულნი, ცდილობენ თითქმის ანგელოზად, წმინდანად შერაცხონ იგი, ჩამოაშორონ მის სახეს ყოველგვარი ლაქა, აღიარონ გაუბზარავ ეროვნულ გმირად, წარმოგვიდგინონ უზადო პიროვნებად, კრისტალურ კაცად. მეორენი მასში ხედავენ ქვეყნის უბედურების მიზეზს, კახეთის მოსახლეობის გაჟლეტის მოთავეს, მოღალატეს, ქვეყნის დამაქცევარს, კონდოტიერს, ავანტიურისტს, ქვეყნის მხსნელად შემთხვევით მოვლენილს; კაცს, რომელსაც ავანტიურისტურ გზაზე რამდენიმე ქვეყნისთვის სასარგებლო საქმის კეთებაც მოუხდა უნებურად. მესამენი საკაძეში ხედავენ რთულ, ამოუხსნელ პიროვნებას, ვერ გეტყვიან, სად იწყება და სად მთავრდება ამ პიროვნების დადებითი როლი და პირუკუ, მათ საკუთარი, გარკვეული პოზიცია არა აქვთ, ეფარებიან „რთულის, ამოუხსნელის“ შინაარსს და რჩებიან ბუნდოვანი შეხედულებების წრეში.

როდესაც ამ წიგნის დაწერის აუცილებლობა ვირწმუნე, კვლავ და კვლავ შემაწუხა ერთმა კითხვამ — საჭიროა თუ არა მსჯელობა საკითხზე, რომელიც ისტორიკოსთა მიერ ფაქტიურად გარკვეული და გადაწყვეტილია. მაგრამ წლობით ამ მოვლენაზე ნაფიქრმა, ნაკითხმა და განცდილმა ღრმად დამარწმუნა, რომ ისტორიკოსთა შრომის წყალობით მოპოვებული ნათელი აზრის მიუხედავად საზოგადოებაში აქტიურად ბრუნავს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები, ტრიალებს ეჭვი, რომელიც არა და არ შეიძლება უყურადღებოდ მიატოვო. დავრწმუნდი, რომ ისტორიკოსთა ნაშრომები, რასაც საგანგებოდ შესასწავლად ყველა ვერ მიაშურებს, კიდევ არ კმარა ამ საკითხზე სრული სიცხადის მისაღწევად, ვერ დაიყვანება იგი ყოველ მკითხველამდე. თანაც არ შეიძლება ისტორია მარტოოდენ ისტორიკოსთა მხრებს ავკიდოთ, იგი ყველასია და მწე-

რალს აქვს უფლება და მოეთხოვება კიდეც თვითონაც იფიქროს ისტორიულ მოვლენაზე, მით უმეტეს, რომ სააკაძის ფენომენი ესოდენ ბუნდოვან მოსაზრებებს ასაზრდოებს ზოგჯერ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის სპეციალისტის მიერ დაწერილი სტატიის გამოქვეყნების შემდეგ კარგა ხანი გავიდა და ვნებები სააკაძის პიროვნების გარშემო არათუ დაცხრა, უფრო აზავთდა. ე. ი. სააკაძის ფენომენი არ ეკუთვნის ამოწურულ პრობლემათა რიგს. იგი გახსნილ ჭრილობასავით მოსაელელია. ამ თემისადმი წყურვება უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე უნებურად დაეჭვებულთა მიერ სააკაძის პიროვნების მიმართ ბრალდებების წაყენება. სააკაძის ფენომენი, როგორც ეს ყველაფრიდან ჩანს, არ არის მარტოოდენ ერთი ისტორიული პიროვნების პრობლემა. ამ ფენომენში არა მხოლოდ ერთი კაცის შინაგანი სახე, მისი მთლიანობისა თუ დარღვეული წონასწორობის შინაარსი, არამედ თვით ჩვენი ქართველი ხალხის თვისებათა კომპლექსი იკითხება. იკითხება არა მარტო სააკაძის პიროვნების გართულებული ცხოვრების ნიშნები, არა მარტო დიდი მოურავის სიმტკიცე და სისუსტე, არამედ მთელი ხალხის სიმტკიცე და სისუსტე, მისი გმირული დგომა და მერყეობაც, პოზიციების სიმყარე თუ ფერიცვალობა, იკითხება ქართველი ხალხის ისტორიული ბედის სტრუქტურა, ამ სტრუქტურით გამოწვეული პრინციპისა და ორიენტაციის გაორება. სააკაძის პიროვნების მთლიანობის დანახვის ცდაში ილანდება სურვილი ჩვენივე მთლიანობის დადასტურებისა, იმედი ამ სრულყოფილების მიკვლევისა. ამიტომ გვანერვიულებს, გვაშფოთებს სააკაძის ბედი, „ათასგვარად გამრუდებული“ გზის დახასიათება, გვაცოცხლებს და გვამაღლებს ტაშისკარის, მარტყოფის, ქსნის ომების ავტორის ზნეობრივი და ფიზიკური ძალმოსილება. ჩვენი სურვილი დაჟინებით ისწრაფვის შევიძლოთ საკუთარი ბუნების სისრულისა და სრულფასოვნების დამტკიცება და ამიტომაც ილტვის სააკაძის ზნეობრივი სისრულის დადასტურებისაკენ. ამიტომ არ ისვენებს სააკაძის ფენომენი და ალბათ, არც არასდროს მოისვენებს. იგი მარტოოდენ ისტორიული მოვლენა არ არის, ან დიდი ფაქტი. ისტორიის გზაზე მყოფისა და ხალხის თანამდევი შინაარსია — რაც თანამგზავ-

რად გაჰყვება ჩვენს მოძრაობას, რადგან ამ არსში ერთმანეთი გადაკვეთეს ჩვენმა სულიერი წყობის ნიშნებმა და უფსკრულის პირზე ქართველი ხალხის ეროვნული ენერგიის გამოვლენის წესად და ფორმად ჩამოყალიბდნენ: ასეთია ქართველი ხალხი უმძიმეს წუთებში — პოტენციით, თვისებებით, შეცდომებით, პოზიციით, გარკვეულობითა და გაურკვეველობით. წესი კი, მოგეხსენებათ, არ კვდება. იგი ხალხის ისტორიის, ცხოვრების თანამგზავრად იქცევა, მის ვეებერთელა ორგანიზმს მარეგულირებელ ნაწილად შეეხორცება, მომავლის სახეს მართავს, როგორც გაკვეთილი და გამოცდილება ერთსა და იმავე დროს.

ამიტომ გიორგი სააკაძის ფენომენზე კვლავაც ბევრი წიგნი დაიწერება, ბევრი ისტორიული თუ მხატვრული ნაშრომი, ბევრი ლექსი და მოთხრობა, რომანი და პიესა, მუსიკა და ფერწერული ტილო, შეიქმნება ბევრი ქანდაკება. დაიწერება წინამდებარე წიგნის მსგავსი გამოწვლილვითი ანალიზიც, რათა კვლავ და კვლავ არ დაეხსნას ფიქრი ამ პრობლემას. კვლავ და კვლავ გვახსოვდეს, რა თვისებების წყალობით გადავრჩით უფსკრულის პირას მყოფნი, რათა გვახსოვდეს დიდ შვილებთან დამოკიდებულების კულტურა. ის დიდი შვილები ქვეყნის წიაღიდან არიან შობილნი და ხალხსა და ქვეყანას სრული თვითგაღებით რომ ემსახურონ, ამისათვის აუცილებელია, მათთან დამოკიდებულების კულტურასაც ფლობდეს ხალხი, ქვეყანა.

სააკაძის ფენომენი ქართველი ხალხის სისხლხორცეულ საკითხად გვევლინება და რაკი ეს ჭრილობა ახალგახსნილივით ნედლია, ხოლო ტკივილები ჩაუმცხრალი, აუცილებლად მეჩვენება, დღის სინათლეზე გამოვიტანოთ სააკაძის პიროვნების ყველა დახასიათება, მისი მისიის ყველა განსაზღვრება. მას, როგორც საკუთარ არსს, ისე განიცდის ქართველი კაცი და სწორედ ამიტომ არის აუცილებელი სარკის წინ დადგეს ჩვენი შიშველი სიმართლე და დაუფარავად, გულახდილად ილაპარაკოს. ზემოთ ჩამოთვლილი და ახსნილი მიზეზების გამო ჟამი-ჟამ სააკაძის პიროვნებაზე გამოწვლილვითი საუბარი გარდუვალ მოვლენად ჩანს. ამას გვიდასტურებს გაორებული შეხედულებების მომძლავრება უკანასკნელ

ხანს და ისევ ისტორიკოსების ნაშრომებზე დაყრდნობით აუცილებელი ხდება მწერლის თვალითაც იქნეს დანახული ეს მოვლენა კიდევ ერთხელ. დღეს უფრო მეტია თქმული, ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებების ჯამიც მეტია, ბუნდოვანი პოზიციის გამომხატველი მოსაზრებებიც მრავლობს. ნუ შეგვაკრთობს უარყოფითი შეფასებების სიმრავლე და სიმკვეთრე. ეს უნდა გაკეთდეს ერთი მიზნით: სრულად, ნათლად დავინახოთ რა განსხვავებული შეხედულებანი, ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებანი არსებობს სააკაძის პიროვნებაზე და მხოლოდ ამის შემდეგ ვცადოთ ისტორიულ ჭეშმარიტებაში გარკვევა ამავე შეხედულებების შეჯერება-გაანალიზებით ისტორიის ლოგიკის გათვალისწინებით.

გაურკვევლობა, რომელიც დროდადრო სქელი ნისლივით ედება გიორგი სააკაძის სახელს, სააკაძის პიროვნების მიზეზით არ ჩნდება, არც ისტორიული მოვლენისადმი ჩვენს ზედაპირულ დამოკიდებულებაში იღებს იგი დასაბამს. მით უმეტეს საგულისხმოა ეს მოვლენა, რომ ისტორიკოსებს თავისი გარკვეული აზრი აქვთ ამ მოვლენაზე. მაშასადამე, „სააკაძის დრო“ (ა. ფურცელაძე), წინააღმდეგობებით და მოულოდნელობებით აღსავსე მისი ეპოქა, აღმოსავლეთის გამწვავებული პოლიტიკა აწვდის საზრდოს ჩვენს გაორებულ დამოკიდებულებას.

ერმა კი არ შეიძლება დაეჭვებული განწყობილებით თუ დამოკიდებულებით განაგრძოს გზა, მას უსაზღვრო სურვილი აქვს შეცნობილი ჰყავდეს დიდი შვილი, შვილი, რომლის მასშტაბები ესოდენ ფართოა და ბევრის მომცველი, გარკვეული პოზიცია ჰქონდეს მის მიმართ. ისტორიასა და ხალხს შორის არ იდგეს გაურკვევლობის ბურუსი, გაურკვეველი, ხშირად ყურმოკრული შეხედულებების განცდით არ იტანჯებოდეს. ასეთი განცდა ფიტავს მის სულს. საკუთარი თავის რწმენას ურყევს და შეუმჩნეველად კარგავს ცხოველმყოფელი მოღვაწეობის უნარს.

ფაქტების, მოვლენების, ისტორიის ლოგიკა თუ დაგვეხმარება დავადგინოთ ამ „რთული პიროვნების“ ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგისტრალური ხაზი. მაგისტრალური ხაზი გვევლინება სიცხადის დადგენის ერთადერთ გარანტიად. იგია ყო-

ცელთვის და ყველაფერში პიროვნების თუ მოვლენის არსის განმსაზღვრელიც და გადამწყვეტიც, თუ მაგისტრალური ხაზი დადებითზე მეტყველებს, წარმოუდგენელია, რაიმემ გადაწონოს პიროვნების დამსახურება. ამდენად კიდევ ერთხელ იქნება საჭირო მთელი იმ გზის გააზრება, რაც საკაძემ გაიარა, იმ ომების მნიშვნელობათა განსაზღვრა, რაც დიდმა მოურავმა გადაიხადა. საჭირო იქნება მისი პიროვნების „სირთულის“ შეცნობა. კერძოდ, გარკვევა იმისა, რა ქმნის ამ „რთულ პიროვნებას“ — დადებით თვისებათა კომპლექსი თუ მანკიერი ბუნების ნიშნები. რამ წარმოშვა პიროვნების სირთულე — მასშივე ჩაბუდებული ბოროტი და კეთილი საწყისების ბრძოლამ თუ ისტორიული სიტუაციების აუტანელი სიმძიმის დაწოლამ.

სირთულის ორგვარ სახეობასთან გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე. თავისი ძნელი მისიის აღსრულების გზაზე შინა და გარეშე მტერთან დაპირისპირებული გიორგი საკაძის პიროვნება, თავისთავად ცხადია, მარტივი და სწორხაზობრივი ვერ იქნებოდა. იგი მტრებს უპირისპირებდა გარკვეულ პოლიტიკას, ათასი ნიუანსის გათვალისწინება უხდებოდა და, ბუნებრივია, დიდი ნიჭისა და მასშტაბების პიროვნება ადვილად წასაკითხი ვერ იქნებოდა. მას უთუოდ ახასიათებდა დიდი პიროვნების სირთულე. ადვილმისაწვდომი და ადვილმისახვედრი როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი ფიქრი, მაშინ იგი ხომ ვერც შეიძლებდა ისტორიის უმძიმესი მდგომარეობიდან გამოეყვანა თავისი ხალხი. ასეთი სირთულე არაერთხელ დაგვიდასტურდება იმ ფაქტებითა და მოვლენებით, რაზეც წიგნში გვექნება მსჯელობა. მარტოოდენ იმდროინდელი ფაქტებიც კი კომენტარების გარეშე დაგვიმოწმებენ ამას. ანალიზი კი თავისთავად წარმოაჩენს საკაძის ხასიათის სიღრმესა და მრავალფეროვნებას. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, თუ რამოდენა განსხვავებაა ამ ბუნებრივი ნიჭისათვის ნაგულისხმევ სირთულესა და იმ „რთულ პიროვნებას“ შორის, მესამე პოზიციის ხალხი რომ მიუსადაგებს ხოლმე ეპითეტად დიდ მოურავს. დიამეტრალური განსხვავებაა. „რთულ პიროვნებაში“ დაუდგენელი პოზიციები და შეხედულებანი იგულისხმება, გაურკვეველი აზრი და ბუნდოვანი წარმოდგენა...

„რთულ პიროვნებად“ საკაძის შერაცხვა ნიშნავს თავის დაზღვევას — არც კარგი თქვა, არც ცუდი. იარაღი დაყარო ჩაუწვდომი მოვლენის წინაშე, რომლის შესაცნობად საჭირო დიდი დრო ვერ გიპოვნია, და არ უთხრა ხალხს, რად მიიჩნევ საკაძეს — ეროვნულ გმირად, ქვეყნის მხსნელად, თუ მოღალატედ და არამზადად. ასეთ გაურკვეველ პოზიციას ისევ პოლიტიკური მოწინააღმდეგის გარკვეული პოზიცია სჭობს. არ უყვარს საკაძე და არც მალავს თავის აზრს, თელის მოღალატედ და კონდოტიერად, ავანტიურისტად და ქვეყნის დამაქცევრად. „რთული პიროვნება“ კი ცაში კიდებს გარკვევის სურვილს და აუცილებლობას. ღვთის ანაბარა ტოვებს საკითხს. „რთული პიროვნების“ ცნება ერთ თვისებასაც აშიშვლებს; ჩვენ უპასუხისმგებლოდ, უგულისყუროდ, უსიყვარულოდ ვეკიდებით ჩვენი ხალხისათვის ესოდენ მტკივნეულ პრობლემას და არხეინად გავდგებით განზე, რაკი ერთბაშად სიცხადეს ვერ წავაწყდებით საკაძის პიროვნებაზე გამოთქმულ მოსაზრებებში. ამიტომაც ეს „რთული პიროვნება“ ჩვენი სისუსტის წიაღიდან დაბადებულ ცნებად გვეელინება. იგი ჩვენი ზერელე დამოკიდებულების ნაყოფია, პირმშოა ჩვენივე მერყეობისა, სიზარმაცისა. დიახ, საკაძის პიროვნების სირთულე დიამეტრალურად განსხვავდება „რთული პიროვნების“ არსისაგან. საკაძის პიროვნების სირთულე არსებობის ერთადერთი და გარკვეული ფორმაა, რომლის წყალობითაც იმ ისტორიული მოვლენების მოხდენა შეიძლება, მის სახელს რომ უკავშირდება. ეს არის განსაზღვრულ ისტორიულ ვითარებაში საკუთარი ზუსტი პოზიციის არჩევის უნარი, რათა პიროვნებამ უმთავრესი მიზანი განახორციელოს. უმთავრესი მიზანი და დიდი ომებით მოტანილი შედეგი დაგვიდასტურებს, შემთხვევითობის ნაყოფია იგი თუ გაცნობიერებული მოღვაწეობისა. ამასთან, ნათლად დაგვანახებს საკაძის პიროვნების არსს და იმასაც დაგვიმტკიცებს, რომ ეს სირთულე ჰაერივით ესაჭიროებოდა დიდი ომების გადახდას. რთული პიროვნების გარეშე არ არსებობს დიდი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. ამ ასპარეზზე კი ადამიანი კიდევ უფრო იძაბება, მისი ნიჭის ყველა სიმი ბოლომდეა მოზიდული. ასპარეზია რთული და პიროვნებაც მეტად „რთულ-

დება“. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათი ბუნების მიმართულება დაუდგენელია, ხოლო მთავარი — მაგისტრალური ხაზი საბოლოოდ გამოუკვეთელი. სირთულე ნიჭისა და სამოღვაწეო ასპარეზის თავისებურებით არის შედუღაბებული. სააკაძის პიროვნების სირთულე, როგორც პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწისა, უნდა გაირჩეს „რთული პიროვნების“ ცნებისაგან, რადგან ეს ცნება სააკაძის გარშემო დაგროვილ შეხედულებათა კიდევ უფრო გაბუნდოვანებას ემსახურება და არა მის ნათელყოფას. „რთული პიროვნება“ ამ შემთხვევაში ისტორიული ფაქტების, მოვლენების, პიროვნების ბუნდოვან დახასიათებას და სახელის დაურქმეველობას ნიშნავს. ეს კი მიუტევებელი ცოდვაა.

ზემოთ, ვფიქრობ, გარკვევით ვთქვი, თუ რატომ მესახება მარად ახალ საკითხად სააკაძის ფენომენი, და ამდენად რა იწვევს მის გარშემო ჩაუმცხრალ მითქმა-მოთქმას, აზრთა სხვადასხვაობას. მაგრამ თუ ეს სხვადასხვაობა სააკაძის პიროვნებაზე შემუშავებული ისტორიკოსთა აზრის ხელყოფად იქცევა? ხვალაც, როდესაც იგი, როგორც გაკვეთილი და გამოცდილება, როგორც შესაკრებელი დაღუპვის პირას მყოფი ქართველი ხალხის თვისებებისა ჩვენი აზრთა სხვადასხვაობის წყაროდ მოგვევლინება? იქნებ ხვალაც აუცილებელი გახდეს ნათელისაგან ბნელის გამოყოფის მიზნით ახალი წიგნის დაწერა, საჭირო შეიქნეს კიდევ ერთხელ გაიწმინდოს სინათლის სვეტი იმ ბურუსისაგან, რასაც თავისი ისტორიული ბედის წყალობით ასე იზიდავს სააკაძის სახელი.

ზედმეტი მეჩვენება შიში, თითქოს სააკაძეზე რწმენა შეერყევა ხალხს, თუკი ცილისმწამებელთა, მოშურნეთა ან ცნობილი ისტორიკოსების უარყოფით შეფასებებს მისაწვდომს გავხდით მკითხველისათვის. პირიქით, მათი მიჩქმალვით უფრო ვძაბავთ ჰაერს, ვაეჭვებთ ათასობით მკითხველს და ამიტომაც დაიბადა ის შეშფოთებული კითხვა, ისტორიკოსმა გივი ჯამბურიამ რომ უპასუხა რედაქციის თხოვნით. სააკაძის სახელს არ ეშინია მსგავსი ბრალდებების, ეს ხომ მისი ცხოვრების თანამდევი ნიშანია, არ უკრთის მისი სახელი ასეთ ჩრდილებს. დამოკიდებულების სიცხადისათვის კი ლანძღვა-გინების მიზეზთა შესწავლა-გაანალიზება ჰაერივით არის აუცილებელი.

შთამომავლობას არ უნდა დაეკარგოს არც ერთი სიტყვა, რაც საკაძის მისამართით არის თქმული. უპირველეს ყოვლისა, ამ გზით თუ მივაღწევთ სრულ ნდობას ისტორიული წყაროებისა და ისტორიკოსთა ნაშრომებისადმი. ამით იმასაც მივაღწევთ, რომ შთამომავლობა თვალახელილი უცქერდეს თავისი ქვეყნის ისტორიის აქამდე საიდუმლოებით მოცულ ზოგიერთ ეპიზოდს. მას არაფრის შელამაზება არ სჭირდება. მით უმეტეს არ ესაჭიროება შელამაზება საკაძის სახელს, თუ რატომ, ამას თვალნათლივ დავინახავთ ქვემოთ, როდესაც ყველა ძირითადი ცნობა გაშიფრული და გაანალიზებული იქნება. დღეს კი ბევრის თვალში ეს სახელი შელამაზებულად მოსჩანს, და რაკი შელამაზებული ეჩვენება, უნდობლობის გრძნობაც უძლიერდება, ღრღნის ეჭვი, ეჩვენება, თითქოს რაღაც სერიოზული ცნობა დაუმალეს და საკაძისაგან ხელოვნურად შექმნეს ეროვნული გმირის კულტი. დავინახავთ, რომ ეს ეჭვი ქართული მწერლობის პირველხარისხოვან სიტყვის ოსტატებსაც ღრღნის, რომ მკითხველთა იმ ნერვულ შეკითხვას მართლაც ჰქონია საფუძველი. ისტორიის სქელი ნისლიდან კი ჩვენსკენ იმზირება დიდი მოურავი გიორგი საკაძე საყვედურით აღსავსე სახით და დაჟინებით მოითხოვს სრული სიცხადე შევიტანოთ ჩვენს დამოკიდებულებაში. სრული სიცხადე! მის მკვეთრ ხმალს არ შეშინებია ათასობით გარსმოჯარული საფრთხისა, არც ეჭვებსა და ჭორებს უფრთხის იგი. ყოველ წამს მზად არის წარდგეს სამსჯავროს წინაშე და ყველა ბრალდება მოისმინოს. ოღონდ გასარკვევი გაირკვეს, ოღონდ არ ერტყას უნდობლობის ბურუსი. ამის შეგნებამ XVII საუკუნეშივე ააღებინა ხელთ კალამი არჩილ მეფეს, იოსებ თბილელს, პლატონ იოსელიანს და ანტონ ფურცელაძეს — XIX საუკუნეში. კიდევ სხვას, ძალიან ბევრს ჩვენს საუკუნეში. ეს წიგნიც ბურუსის ახალი ფენის გასაფანტავად იწერება, რათა ნამდვილი სახე ვიხილოთ დიდი მოურავისა, ვიხილოთ ისეთი, როგორიც ის იყო ან როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო სინამდვილეში.

ოღონდ სანამ საკითხს უშუალოდ შევეხებოდეთ, აუცილებლად მეჩვენება ერთ საგანზე მსჯელობა, რამდენადაც იგი ბუნებრივად უკავშირდება გიორგი საკაძის შესახებ სათქ-

მელს. წმინდანობა მაქვს მხედველობაში. საქართველოს ჰყავს წმინდანებად შერაცხული ხალხი. ასეთი წმინდანებია დავითი და კონსტანტინე, ცოტნე დადიანი, დიმიტრი თავდადებული, ქეთევან წამებული, თევდორე მღვდელი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები... წმინდანებად არიან შერაცხულნი როგორც მეფეები და მთავრები, ასევე დაბალი ფენის წარმომადგენლებიც (ბერი თევდორე). თვალებში შევხედოთ სიმართლეს, ჩვენში ბევრს მეტისმეტად სწორხაზოვანი წარმოდგენები აქვს ეროვნულ გმირებზე, წმინდანსა და პოლიტიკურ მოღვაწეზე. რატომღაც გვგონია, რომ თუ ვინმე გმირად ვაღიარეთ, თითქოს მას არ შეიძლება რაიმე ზადი, რაიმე ადამიანური ნაკლი ჰქონდეს ან რაიმე შეცდომა მოუვიდეს. აქამდე გვაღელვებს და ამიტომ არც გვინდა დავიჯეროთ, რომ ილია ჭავჭავაძე თურმე რომელიღაც გლეხს წაეკიდა. რაკი ჩვენს თვალში ილია ჭავჭავაძე სწორუპოვარ მამულიშვილად არის შერაცხული, ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლ პროგრესულ მწერლად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების იდეურ წინამძღოლად, გლეხების მოსარჩლედ, მაშასადამე, გამორიცხულია გლეხებს მკაცრად მოქცეოდა თავის მამულში. და თუ ისტორიული ფაქტებით დაგვიდასტურა ეს რამდენიმე მკვლევარმა, თითქოს ჩვენი წარმოდგენები ირყევა ილია ჭავჭავაძის უბადლო მამულიშვილობაზე. ასეთივე სწორხაზობრივი დამოკიდებულება გვაქვს ისტორიული პიროვნებებისა და მოვლენებისადმი. აი, ეს გაგებაა არასწორი, არარეალური.

წმინდანის გზა გულისხმობს სულიერის სფეროში ამაღლებას. იგი ფიზიკური თავგანწირვით, ზნეობრივი გმირობით ახდენს უდიდეს ზეგავლენას ერზე და ხელს უწყობს მის მობილიზებას, ამ თვალსაზრისით მისი ზემოქმედების ძალა უნივერსალურია, მართლაც, უზადო არსია. ზემოქმედების წნევა ერთობ მაღალია, თითქოს შადრევანი აიჭრება ცაში ეროვნული სიწმინდისა და მისი კაშკაშით განათებული წყვდიადი შეძრწუნებული იხევს უკან. წმინდანის გზა სწორხაზობრივია — ქვეყნისა და რწმენისათვის მისი სამსახურის თვისებაა ეს სწორხაზოვნება. იგი მხოლოდ ალტერნატივის წინაშე დგას — უღალატებს, შეჩვენება ელის, არ უღალა-

ტებს? — სიკვდილი და წმინდანად შერაცხვა. მისი არჩევანი კატასტროფულად საშინელი ბუნებისაა — ყოყმანის დრო არ რჩება. სიტუაციების შერჩევისა და მოვლენების წარმართვის ტექნოლოგია მასზე არ არის დამოკიდებული. კითხვა დაუსვეს და უმოკლეს დროში უნდა გასცეს პასუხი. სხვა ძალა მას არა აქვს. ის არც პოლიტიკოსია და არც სამხედრო მოღვაწე, ათასი ბილიკითა და გზით რომ იბრძოლოს. ქვეყნისა და ხალხის სამსახურისთვის მას ერთადერთი იარაღი გააჩნია — რწმენა. სხვა ძალას მტერს ვერ დაუპირისპირებს. ამიტომ ან სანთელივით წმინდა რჩება ან სულწაწყმედილ მონად. წმინდანის არსში ამიტომაც არაფერია საჭოჭმანო. იგი ყოველი მხრიდან განათებულია. სულისკვეთება გაშიშვლებულია და იმთავითვე ცხადი. მთავარია, ტანჯვის, მოკვდინების საშინელებას გაუძლოს, კი არ გაუძლოს, ღირსეულად შეეგებოს. ცხადია, ბედნიერებაა, თუ მშვიდობიან პირობებში ქვეყნისადმი უანგარო საქმიანობით მიიღწევა ეს წმინდანობა (გრიგოლ ხანძთელი), მაგრამ თუ მტრის მახვილის პირისპირ გამოიცდება იგი და წამში წყდება ყოფნა-არყოფნის საკითხი (ბერი თევდორე), ეს უმძიმესი და საშინელი ხვედრია, მაგრამ წმინდანის არსი ორივე შემთხვევაში გარკვეულია.

პოლიტიკური მოღვაწისათვის, ფეოდალურ სახელმწიფოში არ არსებობს სწორხაზობრივი გზა. იგი მიდის ცრემლით, სისხლით, ღალატით, დაუნდობლობით, გაუტანლობით... და ათასი სხვა საშინელი თვისებით დახლართულ ლაბირინთში, რათა ქვეყნის სამსახურში ჩააყენოს თავისი ფიზიკური და სულიერი ენერგია. თუ მეფეა, კიდევ არა უშავს, მასზეა დამოკიდებული სწორი ორიენტაციის არჩევა, თუმცა ხშირად მეფეთა ორიენტაციაც დაფანტულია, რამდენადაც იგი საერთაშორისო პოლიტიკის მიმართულებასა და არსებით ტენდენციებზეა დამოკიდებული. თუ რიგითი ერისკაცია, თუნდაც მხედართმთავარი, სულერთია, რა გაჭანებისა და შესაძლებლობისაა იგი, არ შეიძლება მისი გზა წმინდანობის გზას ემთხვეოდეს. ეს გახლავთ ათასი მახვილით გადაკვეთილი, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება და მხოლოდ მოვლენათა შესაკრებელი აუზი თუ დაგვადგენინებს ტაქტიკური და სტრატეგიული სვლების გამიზნულობას.

XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძესა და მის თაობას გააფთრებული წინააღმდეგობა შეხვდა გრიგოლ ორბელიანის თაობის მხრივ. სადამდე მივიდა მათ შორის გამართული ცხარე კამათი, ეს ყოველი წიგნიერი ქართველისათვის არის ცნობილი. არც ილიასი და გრიგოლ ორბელიანის ბრძოლაა სასიამოვნო ფაქტი და ეს ილიამ, საქართველოს ნამდვილმა მამაე, მშვენივრად იცოდა. ვინ იტყვის, რომ ილია ჭავჭავაძის ცხოვრება ხმალჩაუგებელი ბრძოლა არ არის. ამ ბრძოლისას ხომ იგი საქართველოს საუკეთესო შვილებს დატაკებია, მაგრამ ეს დატაკება რომ მათი პიროვნების შემბღალველ ფაქტად ჩავთვალოთ, ცხადია, არ ვიქნებით მართალნი. ქვეყანას ამ ბრძოლით ემსახურებოდა იგი.

ილია ჭავჭავაძე მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო და ისიც კი ვერ ასცდა უსიამოვნო ბრძოლებს. თქვენ წარმოიდგინეთ პოლიტიკური მოღვაწე, მხედართმთავარი, თანაც რიგითი თავადი, შაჰ აბას პირველის მიერ ვერაგულად მოქსოვილი ბადის შიგნით და მისი მთლიანობის განმსაზღვრელ ნიშნად წმინდანის შეუცოდველობა მოითხოვეთ. წმინდანობას არც ერთი ერი არ უყენებს თავის დიდ პოლიტიკოსებსა და მხედართმთავრებს პირობად. პოლიტიკოსისა და მხედართმთავრის გზა ეკლების, სისხლის, ღალატის, დაფარული ზრახვების გზაა. მან ქვეყანას და ხალხს სამსახური ამ გზის გავლით უნდა გაუწიოს. წმინდანებს მხოლოდ ხალხის სულის გადარჩენა შეუძლიათ და ეს უზარმაზარი მოვლენაა, მაგრამ წმინდანს არ ძალუძს ხალხის ფიზიკური გადარჩენა, ფიზიკურად მას თავისი თავიც ვერ დაუხსნია. ხალხის ფიზიკური გადარჩენა ხმლის მძლედ მქნეველ, გამჭრიახი გონების მხედართმთავარს და პოლიტიკოსს ძალუძს მხოლოდ. მას აკისრია ეს ვალი. და, წარმოიდგინეთ, მას უფლებაც არა აქვს, იყოს წმინდანი. სურვილი უთუოდ ყველას დიდი აქვს წმინდად განვლოს თავისი გზა, მაგრამ უფლება არა აქვს. ის უნდა გამოეთხოვოს წმინდანის გვირგვინს, სხვათა კუთვნილებაა იგი. სხვა გვირგვინი ელოდება — მან თავისი დიდი სულიერი და ფიზიკური ენერგიით, ხალხის გადარჩენის დიდი გეგმით, იქნებ დიდხანსაც იაროს პოლიტიკის მოლიპულ გზაზე, სანამ თავის მისიას შეასრულებდეს და თავის მამუ-

ლიშვილობას დაუმტკიცებდეს ქვეყანას. შესაძლოა დაუმტკიცებლადაც დაიღუპოს, შესაძლოა უკეთილშობილესი ზრახვები საფლავში ჩაიტანოს. სულერთია, გზა სისხლიანია, ღალატიანი, სარისკო, სტრატეგიული! ამ ბნელ გზაზე, შესაძლოა, არაერთხელ აიკრას მოღალატის სახელი, იუდას წოდება, სანამ გადამწყვეტ სიტყვას იტყოდეს. ასეთი მძიმეა გზა ყოველი პოლიტიკური მოღვაწისა და მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, დიდი მოურავის — გიორგი სააკაძისა.

* *

დიდი მოურავის ბადალ პიროვნებებზე გადამწყვეტი სიტყვის თქმა ერთი ან ორი ისტორიული ეპიზოდით, ერთი ან ორი ფაქტით, არა მარტო შეცდომაა, არამედ შეცოდებაც. მხოლოდ მაგისტრალური ხაზის საფუძვლიანი შესწავლა თუ გამოგვატანინებს ზუსტ პასუხს და ყველა სახელოვანი თუ „საჩოთირო" ქმედებანი ამ მაგისტრალური ხაზის შემადგენელ ნაწილებად უნდა განიხილებოდეს. მაშინღა მოგვეცემა საშუალება მთლიანობაში დავინახოთ მოვლენის არსი, გამოვარჩიოთ უმთავრესი მისი წიაღიდან და იმ არსებითს დაქვემდებარებული ეპიზოდების მასშტაბებზე ვიმსჯელოთ.

თუ სააკაძის ფენომენს შევხედავთ როგორც ტაშისკარის, მარტყოფის, მარაბდის, ქსნის ომების ავტორს, ავტორს აგრეთვე იმ დიდი ომების შემადგენელი, ანუ თანამდევი უამრავი ბრძოლისას, იგი მართლაც უწმინდეს ეროვნულ გმირად, ქვეყნის მხსნელ-მესიად წარმოგვიდგება.

თუ სააკაძის ფენომენს შევხედავთ პოლიტიკური მტრების თვალით — შაჰ აბას პირველის არმიის რიგებში მყოფს, კახეთის აოხრების მიზეზს, ბაზალეთის ძმათაშორისი ომის წამომწყებს, იგი, ცხადია, მოღალატედ, ავანტიურისტად, კონდოტიერად მოგვევლინება.

თუ სააკაძის ცხოვრების გზაზე ჩამწკრივებულ სახელოვან და „საჩოთირო" ნაბიჯებს შევხედავთ, როგორც უბრალოდ ერთმანეთის გვერდით მდებარე ისტორიულ ფაქტებს, ცხადია, იგი „აუხსნელ", „რთულ" პიროვნებად წარმოისახება და ჩვენი ფიქრი გაურკვეველობის ღრმა მორევში ჩაიძირება.

მაგრამ თუ ჩვენი ისტორიკოსების მიერ გულდამჯდარი, ხანგრძლივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით სააკაძის მოღვაწეობის მაგისტრალურ ხაზს მისი ხალხის ცხოვრების მაგისტრალურ ხაზთან ერთად შევისწავლით, სიცხადის მიღწევა შესაძლებელია. უფრო სწორად, საქართველოს ისტორიის სპეციალისტთა არსებითი შეხედულებანი სარწმუნო გახდება და აქა-იქ ამოკითხული ცნობების, ყურმოკრული ამბებისა თუ სააკაძის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიერ გავრცელებული ბევრი ჭორი გაქარწყლდება და ჩვენს თვალწინ აღიმართება გიორგი სააკაძის პიროვნება ყველა ღირსებით, ყველა თვისებით, დამსახურებით და ნაკლით. ცხადი გახდება, თუ რამ დააჯგუფა მისი ცხოვრების გზაზე ამდენი ჩრდილი, რა წყაროკ კეებავს იმ შეცდომებს. მართლაც, რა ეკუთვნის სააკაძის შეცდომათა რიგს, და რა არის მიწერილი.

ოღონდ ამთავითვე ერთი რაშის ცოდნაც არის საჭირო, როგორც პოეტი გიორგი ლეონიძე აღნიშნავს (ამასვე აღნიშნავს პლატონ იოსელიანის ნაშრომის წინათქმაში მკვლევარი ვახტანგ სიდამონიძე), სააკაძის გინება ჩვენ XVII საუკუნის წყაროებში არ გვხვდება, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც მისი მოწინააღმდეგის თეიმურაზ პირველის შთამომავალთაგანი არავინ არ იჯდა სამეფო ტახტზე.

სააკაძის გინება გვხვდება XVIII საუკუნის ძეგლებში, როდესაც ქართლისა და კახეთის ტახტზე თეიმურაზ პირველის შთამომავალნი დასხდნენ. ამაში არაფერია მოულოდნელი ან არაბუნებრივი. თეიმურაზ პირველი მარაბდის ომის შემდეგ დაუპირისპირდა სააკაძეს და მათ შორის ბაზალეთის ცნობილი ბრძოლა გაიმართა. ეს იყო ორი სხვადასხვა პოლიტიკური მოსაზრების სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება და კომპრომისი გამორიცხული იყო. ამდენად, რაკი ტახტზე თეიმურაზ პირველის შთამომავალნი არ ისხდნენ, არც წყაროების ავტორებს უხდებოდათ მათთვის ანგარიშის გაწევა და სააკაძის გინებას საჭიროდ არ თვლიდნენ. თეიმურაზ პირველის შთამომავლების დროს დაწერილი ისტორიების ავტორები კი, ცხადია, ალტერნატივის წინაშე იდგნენ, — თეიმურაზ პირველისა და სააკაძის ეპოქის ასახვის დროს გარკვეული დამოკიდებულება უნდა გამოეჩინავნებინათ. როგორი ობიექტუ-

რიც არ უნდა იყოს მემატიანე, მას გარკვეულად მაინც ახასიათებს ტენდენციურობა და საკაძის ზოგიერთი ნაბიჯის მიუტევებელ შეცდომად გამოცხადებაც იმ დღიდან დაიწყო. ეს ძალზე საგულისხმო ფაქტია. რა თქმა უნდა, სიმპათიამ და ანტიპათიამ ვერ დაფარა დიდი მოვლენების კვალი. სიმპათიისა და ანტიპათიის საზღვრები თვით პიროვნებისადმი დამოკიდებულებაში თავსდება. ზოგჯერ დანაშაულის მიწერის ფაქტთანაც გვაქვს საქმე, რამდენადაც სხვა, უფრო სარწმუნო წყაროები აშკარად ეწინააღმდეგება ზოგიერთი ქართველი მემატიანის იმ ცნობებს, რისი წყალობითაც საკაძის სახელს მძიმე დანაშაული უკავშირდება.

მაგრამ თვით თეიმურაზ პირველის შთამომავალთა მიერ შედგენილი „ქართლის ცხოვრების" ტექსტი, მიუხედავად ავტორთა გარკვეული სიმპათია-ანტიპათიისა, ღრმად დაკვირვების შემდეგ წარმოგვიდგენს საკაძეს იმ პიროვნებად, ვისთანაც არის დაკავშირებული აღმოსავლეთ საქართველოს ფიზიკური გადარჩენა XVII საუკუნის პირველ მეოთხედში.

საგულისხმოა ისიც, რომ XIX საუკუნეში, როდესაც საქართველოს ტახტზე უკვე არც თეიმურაზ პირველის შთამომავალთაგანი ზის და არც ბაგრატიონთა დინასტიის რომელიმე სხვა შტოს წარმომადგენელი, მეცნიერები, მწერლები კვლავ უდიდესი ინტერესით მიუბრუნდნენ საკაძის პიროვნებას და შეეცადნენ არ დაკარგოდა დამსახურებანი ერის ამ უდიდეს შვილს, დამსახურება არ დაკარგოდათ აგრეთვე მასთან დაპირისპირებულ თეიმურაზ პირველსა და დიდგვაროვნებს.

ცხადია, საკაძის პიროვნების ჭეშმარიტად რთული გზა, შაჰ აბას პირველის დახლართული პოლიტიკის გამოვლინებები იძლეოდა საფუძველს იმისათვის, რომ თეიმურაზ პირველის მომხრეებს რაღაც მიეწერათ გიორგი საკაძის პიროვნებისათვის და დაემცირებინათ მისი დამსახურება.

ასევე ტენდენციურნი იყვნენ საკაძის მომხრენი, როდესაც აბსოლუტურად ყველაფრის გამართლებას ცდილობდნენ საკაძის მოღვაწეობაში და ამტყუნებდნენ თეიმურაზს. თუმცა ისიც აშკარად ჩანს, რომ იოსებ თბილელი მაინც უფრო მორიდებით საყვედურობს თეიმურაზს და ლუარსაბს, იგი

გაცილებით მოკრძალებით ახსენებს მათ ცოდვებს, რადგან შესანიშნავად უწყის, რომ მეფეთა მხილება ანდა დადანაშაულება არც ადვილია, არც ნებადართული. თეიმურაზ მეფის შთამომავალთა დროინდელი ისტორიკოსები კი, ცხადია, გაცილებით თამამად შენიშნავენ, რიგითი თავადის (გიორგი სააკაძის), თავისივე დამსახურებით აღზევებული პიროვნების ნაკლს და გაცილებით თამამად აზვიადებენ მას.

ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების წინაშე ისინი კეთილსინდისიერად იქცევიან, თუმცა სიტყვაძუნწად, მაგრამ მაინც აღნიშნავენ სააკაძის დიდ დამსახურებას. ეს კია, შემთხვევას არ უშვებენ კომენტარი გაუკეთონ სააკაძის ზოგიერთ ტაქტიკურ სვლას, რაც მათ დიდ შეცდომად მიაჩნიათ. რაც შეეხება სააკაძის სახელოვან საქმეებს, აქ მხოლოდ ზუსტი აღნიშვნით კმაყოფილდებიან.

მაგრამ ჯერ წყაროებს მოვუსმინოთ.

ბერი ეგნატაშვილი — ახალი ქართლის ცხოვრება:

„მაშინ თანა-ახლდა მოურავი გიორგი და ციციშვილი ზაზა. მაშინ მოახსენა მოურავმან მეფესა, ვითარმედ: „ნუ ასჩქარდებითო და ვნახოთ ღმერთმან რა მოახდინოსო“, რამეთუ იყო ესე მოურავი კაცი გულსრული და კარგი სარდალი, ჭკუიანი და გონიერი“.

„და წარვიდა მოურავი ყირიმის ჯარზედ და ჩავიდა ნაიბის ბოლოსა სხერტის ჭალაზედა და მუნ დახუდენ ყირიმნი. მაშინ შეუტიევეს მოურავმან და დახოცა ჯარი მრავალი და ყვეს მრავალი მარცხი და ზიანი“.

„და სხუანიცა მრავალნი სახელნი ქმნეს. იმ დღესა მოვიდნენ და მოართუეს მეფესა მრავალნი თავნი და ნატყუენავი“.

ბერი ეგნატაშვილი, ბუნებრივია, სხვათა დამსახურებასაც არ ივიწყებს. ვთქვათ, ზაზა ციციშვილის გმირობას. მაგრამ ამჯერად ჩვენ მკაცრად მივსდევთ სააკაძის მოქმედებისა და პიროვნების დამახასიათებელი ადგილების მოტანას. ვისაზღვრებით მხოლოდ იმ კონტრასტებით, რომელიც სააკაძის პიროვნებაზე თქმულ სიტყვებს ახასიათებს.

„მაშინ არჩივა მოურავმან: „თხრილის პირს გარეშემო მეთოფეები შემოვახვიოთო და დანარჩენი მინდვრად მივი-

დეთო". და დაუჯერეს მოურავსა და მივიდნენ ეგრეთ, როგორადაც არჩივა. მაშინ იქმნა ომი დიდი იქით და აქეთ, და დიდათ მოჭირვებით და გულსრულად შეიბნენ ძუელთა გმირთაგანცა ძნელად შესაძლებლად საგონებელ იყო, რომე მაშინ მეფე და მოურავი და სრულად ქართველნი იბრძოდენ".

ტაშისკარის დიდი ომი სააკაძის მეთაურობით გადაიხადეს ქართველებმა. სხვა წყაროებიც ამასვე ადასტურებენ. ბერი ეგნატაშვილი მართალია, შემდეგ ამბობს, „და მისცა ღმერთმან ძლევა მეფესა ლუარსაბს" — მაგრამ ამით კი არ უარყოფს გიორგი სააკაძის მეთაურობას, უბრალოდ აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ლუარსაბის გამარჯვება მთელი საქართველოს გამარჯვებაა ან პირიქით, ქართველების გამარჯვება გიორგი სააკაძის მეთაურობით, რაც ისტორიული ფაქტი გახლდათ, იგივე ლუარსაბისა და ქართლის გამარჯვებაა.

„ეგრეთვე ამათ სასოებითა ღმრთისათა მიეცა ძლევა დიდი და ესრეთ განემარჯუათ ურჯულოთა ზედა და მოსრეს სრულიად, ბანაკი მათი იავარ ყვეს და რაც ოდენ ქართლიდან ეშოვნათ: ტყუე, თუ საქონელი, იგინიც ყოველი წამოიღეს და მათიც მრავალი წაართუეს. და რაც ოდენ შეიპყრეს ყირიმნი, მოისრნეს პირითა მახვილისათა.

კნინღა მცირედი რამე ნეშტი განერნენ. იხმიეს სიღტოლა და წარვიდნენ მოსაკიდელზედა შეშინებულნი და დანჭრეულნი. შევიდნენ ტყესა და სიმაგრესა მოსაკიდლისასა, არა აქუნდათ ღონე გზისა გაგნებისა, და მაშინ ჰპოვებდნენ დედანი მოსაკიდლისა სოფლისანი ტყეთა შინა დამალულთა ყირიმთა კაცთა, შეიპყრობდნენ, მოხდიდნენ დოლბანდსა და თუ რამე ჰქონდათ, წაართმევდნენ და კაცთა შეიწყალებდნენ და განუტევებდნენ. ესეთი გამარჯუება მოსცა ღმერთმან ქართველთა, და შემოიქცნენ გამარჯვებულნი და აღსავსენი საქონლითა და ჰქონდათ ლხინი და სიხარული".

ამის შემდეგ ლუარსაბმა ცოლად შეირთო სააკაძის და. დიდგვაროვნებმა ეს ვერ აიტანეს:

„მაშინ თავადთა და დიდებულთა ქართლისათა და რომელიცა არ იყო მოურავის მოყუარე, იწყინეს და დაუწყეს ბეზღობა მოურავსა. და ეტყოდეს მეფეს მტერნი მოურავისანი,

ვითარმედ: „მოურავი კაცი დიდად კარგი არისო, მაგრამ ჩუენზედ დიდად უმცირესი არისო და უმრწემესი გუარითაო. ჩუენ იმათ ცოლნი და შვილნი და თავნი ყმად რად მივცეთო, და უმეტესად სუფრაჯმან შადიმან ბარათაშვილმან დაუცადებლად დაუწყო ბეზღობა მოურავსა".

მტრებიც კი, როგორც ვხედავთ, ვერ მალავდნენ სააკაძის ღირსებებს; მხოლოდ ჩვენებრ დიდგვაროვანი არ არისო, ამ არგუმენტს იშველიებდნენ იმის თავიდან მოსაშორებლად.

„და ესე მოურავი ჟყო კაცი მცდელი და ილათიანი". ბერი ეგნატაშვილის ისტორიაში გამოჩნდა პირველად სიტყვა „ილათიანი", რაც კონტექსტში სააკაძის უარყოფითად დახასიათებას გულისხმობს.

„და მას ჟამსა წარვიდა შააბაზ აღებად ყანდაარისა. მუნ იახლენ ბრძოლასა და ციხის აღებაში დიდად კარგად და სახელოვნად იყვნენ. და მუნით დაბრუნდა შააბაზ და წარვიდა ბაღდადს, მუნცა თანა ახლდენ, კარგად, მხნედ და მამაცად იყვნენ და გულოვნად. და რა გაარიგა შააბაზ მუნებური საქმე, წარმოვიდა და მოვიდა ისპაანს".

აქედან იწყება სააკაძის შეცდომებზე ლაპარაკი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბერი ეგნატაშვილი სხვებზე გაცილებით ობიექტურია:

„მაშინ მოურავი დაჰპირდა ქართლის დაჭერასა და კახეთისასა, და თვითონაც უნდოდა შააბაზს და დართო ნება შააბაზ წასვლისა!".

„პირველ თურმე ერჩივა მოურავს შააბაზ ყაენისათვის ესრეთ, ვითარმედ: „ქართლში ზამთარს მიდიო, ხიზანი მთაში ვერ შევაო და რასაცა გინდა, იქო და თუმცა მთაში შევიდენო, თოვლი და სიცივე ამოსწყვეტსო, და ესმინა შააბაზს სიტყვა მოურავისა და მოვიდა თუესა იანვარსა ხუთსა, ქრისტეს აქეთ და აღიღო ციხე თორღისა შააბაზ და გამოიღო ყოველივე საგანძური კახეთისა, და შემუსრნა ხელითა თვისითა წმინდა გიორგი ალავერდისა და შემუსრნა პატიოსანნი ხატნი და ჯუარნი და შემოსძარცუნა პატიოსანნი თუალნი და მარგალიტი. მისცა მეძავთა, ცოლსა და ხარჭათა მისთა, და ყო სამკაულად მათდა და შეაგინნა წმიდანი ეკლესიანი კახეთისანი, და წარმოემართა ქართლსა ზედა".

„მაშინ მოურავი დიდხანს ახლდა შააბასს გუერდსა და მრავალნი ემსახურა მოურავს — და დაანდო გული და წყალობაც მრავალნი ექნა, იცოდა, რომ მოურავმა ჩემს იქით არა იცის რაო. და უბრძანა მოურავს: „მნებავს წარსვლა შენი საქართველოში და თან წარგატან ყორჩიხა-ხანს სპითა მრავლითა და ძესა ბაგრატისასა. პატარა სვიმონ-ხანს. წარვედ და მიეედ პირველად და მოაოხრე სრულიად კახეთი და იავარჰყავ და მოსრე პირითა მახვილისათა ქართლი. აჰყარე და ჩამოასხი აქა“ — აღუთქვა ნიჭი და საძოვარი მრავალი“.

ეს უკვე მეორე დიდი ლაშქრობაა შაჰ აბასის, კახეთის აყრა-გადასახლება ჩავლილი ამბავია.

„და აემზადა მოურავი. და გამოატანეს მეფე სვიმონ პატარა თანა და მოვიდნენ ქართლსა ლაშქრითა მრავლითა და იღუწოდა მოურავი საქმეს მას, რაც ჰქონდა უწყება ყაენისაგან“.

„და ოდეს მოვიდეს საქართველოშია, და შემოეყარნენ ქართველნი და რა ნახეს ქართველთა ჯარის სიმრავლე, მაშინ იფიქრეს და თქუეს:

„ესე საქმე მიზეზი რამე არის ამდენის ურიცხვის ჯარის გამოგზავნა: ხოლო მოურავმან დაუფარა და შეიჯერა ფიცითა დიდითა, ვითარმედ: „ამა ჯარის სიმრავლე, საქართველოსათვის არ არის საზიანო, ნურც რა ფიქრი გაქუსთ, თქუენი საქმე მე დამადევითო. მაშინ დააჯერეს გული ქართველთა, წარვიდნენ და დაადგნენ მუხრანს“.

როგორც ვხედავთ, გიორგი სააკაძისაგან შაჰ აბასის ჯარების მოსვლის მიზეზის დაფარვა ღალატად იკითხება.

„ხოლო შემდგომად ამისა იყვნეს ხანსა რასმე მუხრანსა და იყვნენ მზადებაშია. რამეთუ სწადდათ აყრა ქართლისა. ჰქონდა მოურავს ჩვეულება, წარვიდოდა და მიუტევედა ქორს. დღესა ერთსა კუალად განვიდა ქორის მოსატევად ხევსა ლოჰინისასა და ნახა, რომ ერთი შათირი მოვიდოდა, და იცნა ყაენის შათირობაზედ. უხმო მოურავმან შათირსა მის მისვლად მის თანა, ხოლო შათირმან არ უსმინა, და ვინათგან არ მორჩილ ექმნა შათირი იგი, მიეწია ცხენითა და შეიპყრა, იძულებით გაჰხრიკა და უნახა წიგნი. წაიკითხა და ესრეთ

ეწერა ყორჩიხა-ხანთანა ყაენისაგან, ვითარმედ: „რაჟამს მოსრათ კახნი, აჰყარეთ ქართლი და წამოასხით, ხოლო მოურავს უღალატე, მოსჴერ თავი და გამომიგზავნე“.

ბერი ეგნატაშვილი ამ შემთხვევით ფაქტს მიაწერს სააკაძის გამოფხიზლებას. ჩვენც ჯერჯერობით ერთგულად მივსდიოთ მხოლოდ ამონაწერებს, ისტორიკოსებისაგან ამ წყაროების გაანალიზებისა და გამოტანილი დასკვნების შესახებ ლაპარაკი ქვემოთ მოგვიწევს:

„და რა წარიკითხა მოურავმან ესე, მაშინ შათირი იგი მოკლა. აღუხთა სიცრუე მისსა თხემსა ზედა, შეწუხდა დიდად და ეძიებდა ღონესა რასმე“.

„მაშინ მოურავმან უთხრა რჩევით ზურაბს, რომ, მოდი ქართლს ნუ ამოვსწყუეტთო, თორემ სულიც დაგვეკარგებისო და არც ჩვენ დაგვინდობენო. მრავლის ლიქნითა და სიტყვის რჩევითა და მრავლის ცდილობით დასთმო ზურაბ ცოლი თვისი და მოურავმან შვილი თვისი პაატა დასთმო“.

დიდი ომის ექსპოზიცია:

„მაშინ ოდეს შეიჯერა ზურაბ მოურავმან, ურჩია მოურავმან ყორჩიხა-ხანს, ვითარმედ: „გავგზავნოთ ანდუყაფარ ამილახორი და ზურაბ ერისთავი და დავიბაროთ სრულიად ქართველნი, დავიპყრათ და გაუგზავნოთ ყაენსა“. მაშინ დაჰყვა ყორჩიხა-ხან და გაგზავნა ანდუყაფარ ამილახორი და ზურაბ ერისთავი და სხუანი ქართველნი და დაიბარეს ქართველნი და იხმეს მუნ, ხოლო არავინ უწყოდა თვინიერ მოურავისა და ზურაბ ერისთავის მეტმან. და წარმოვიდა ზურაბ ერისთავი და ამილახორი ანდუყაფარ, დააყენა თვისთა თანა მოურავმან პაატა ხერხეულიძე და ძე მისი ავთანდილ, ელია დიასამიძე და პაპუნა ვაშაყიშვილი, ხოლო ზურაბ და ანდუყაფარ მოვიდნენ და დადგნენ პირსა არაგვისასა. მაშინ გაგზავნეს კაცნი და იხმნეს სრულიად ქართველნი მუნ და ვითარცა მოვიდნენ ქართველნი, მაშინ ზურაბ ერისთავმან იდუმალ მოიხმო ქართველნი და უთხრა ესრეთ, ვითარმედ: „ჩვენ შააბაზ ყაენისგან ასრე გვაქვს დაბარებულობა, რომე კახნი ხომ დავხოცეთ და ქართველნი, ვინცა ვინ ხართ, აგყაროთ და ყაენს გაუგზავნოთ. და აწ ჩუენ ამას ვარჩევთ, რომ ქვეყნის გაოხრება სწადიანთ ყიზილბაშთა და მოდით შევიფიცნეთ,

მივიდეთ და ამოვსწყვიტოთ ყიზილბაშნი და ნუ წავახდენთ საქართველოსა“.

„და რა ესმა ქართველთა, განცვიფრდნენ დიდად და შეწუხდენ და მისცეს ზურაბ ერისთავს პირობა და შეჰფიცეს საშინელად, რომ „რასაც თქუენ გვიბრძანებთ იმას ვიქთო“.

„და მაშინ შეიყარნენ ქართველნი და ზურაბ ერისთავი, აცნობეს დიდს მოურავსა და მივიდნენ გათენების ხანსა, დაესხნენ ყიზილბაშთა, ხოლო მოურავი დიდად სახელოვანი იყო მას ღამესა. მოვიდა მოურავი და მოკლა თვისი შუბითა ყორჩიხა-ხან, და შეილმან მისმან ავთანდილ მოკლა ყორჩიბაშის შვილი. და დაუშინეს, ამოსწყვიტეს ქართველთა სრულიად ყიზილბაშნი. ესრეთ მისცა ძლევა ღმერთმან ქართველთა და გაემარჯუათ: ამოსწყვიტეს, გააქციეს, და იქმნა გამარჯუება დიდი. და რა გაიქცნენ ისინი, გამარჯუებულნი ქართველნი წარვიდნენ ფეიქარ-ხანზედ, რომელი იჯდა კახეთს, რამეთუ ამას ფეიქარ-ხანს ჰყვანდა ცოლად ბატონიშვილი ლელა, და უნდოდათ დასხმოდნენ თავსა ფეიქარ-ხანს და მოეკლათ, და ბატონიშვილი ლელა გამოერთმიათ და ზურაბ ერისთავისათვის მიეცათ. და რა წარვიდნენ, მაშინ იგრძნო ფეიქარ-ხან დი წარვიდა გაქცეული. გამოუდგნენ და სდიევეს ბარდამდი და ვერღარა მიეწივნენ. მაშინ მოარბიევეს ქართველთა ბარდა და განძა, იავარყვეს და იშოვეს მრავალი და წარმოვიდნენ და წარმოიღეს“.

„და გაუგზავნეს ბატონს თეიმურაზს კაცი გონიას და იხმეს თეიმურაზ. მოიყვანეს და კახეთს გააბატონეს“.

„და იყო მაშინ თავი და უფროსი კაცი მოურავი და ყოველნი ქართველნი მას მორჩილებდნენ, რამეთუ თვით ზურაბ ერისთავი და ვინცავინ დიდნი კაცნი იყვნენ ქართლისანი, დიდს მოურავს ქეშიკში უწვებოდნენ და ყმურად მონებდნენ მას“.

როგორც ვხედავთ, ბერი ეგნატაშვილი ძუნწად, მაგრამ ზუსტად გადმოსცემს მარტყოფის ომის მსვლელობას, მიუთითებს გიორგი სააკაძის დიდ ორგანიზატორულ როლზე.

ძუნწად აღწერს ბერი ეგნატაშვილი მარაბდის ომის მსვლელობასაც. ვინ მეთაურობდა ჯარს, რატომ არ მიიღეს სააკაძის

გეგმა — ყველაფერი ეს გამოტოვებულია, მაგრამ როგორც კეთილსინდისიერ მემატიანეს შეჰფერის, დამსახურებას არ უკარგავს სააკაძეს.

„და იმდღინდელი მოურავის ნაქმარი ომი და საქმენი პირველთა გმირთაგანცა არა თქმულ არს, რაც იმ დღეს მოურავმან სახელი და ომი ქმნა“.

შემდეგ იწყება ე. წ. პარტიზანული ბრძოლების ეპოპეა გიორგი სააკაძის ხელმძღვანელობით.

„და რა მივიდა მოურავი ნოსტევს, მაშინ შემოიყარა, რაც გადარჩომოდა, ჯარი თვისი. და მას ჟამსა გამოსულიყვნენ ქალაქის ციხიდამე მრბეველნი თარეში თათარნი და ლისი მოერბიათ, მაშინ წარვიდა მოურავი, რამეთუ ლისი იმისი იყო, ბატონის წყალობა, მივიდა მოურავიცა სამოცის კაცითა და შეება გულმესისხლად და ამოსწყვიტა. ღმერთმან გამარჯუება მისცა და მოსრა კაცი შვიდასი, გააქცია, ამოსწყვიტა და ცოლშვილს კაცი უჩინა და სამცხეს გაგზავნა, თვით განვიდა, წიწამურის გზები ჩახერგა და ღართისკარიც შეუკრა თვით და მუნ მიმავალი ყიზილბაშნი დახოცა და ამოსწყვიტა“.

შემდეგ კი ქსნის დიდი, სახელოვანი ბრძოლა.

„მაშინ პირობა მისცეს ზურაბ ერისთავმან, იესე ერისთავმან და მოურავმან გიორგი და ერისთავის ძმამან და შეკრეს ქსანზედ გზები, დახუდენ, ამოსწყვიტეს ასე, რომე იმისთანა გამარჯუება არ თქმულ არს. მოსრეს ესრეთ, რომე ქსანი შეიღება სისხლითა და სისხლის ფერად დიოდა და მაშინ კარგად იყო ხოსრო მირზა: ხოლო ქალი ვერ წაართუეს, სხუანი ჯარნი და სპანი ამოსწყვიტეს და სრულად წაართვეს სალარო და ბარგი, მოვიდა ხოსრო მირზა და მოიყვანა ქალი ყორჩიბაშთანა“.

„ხანსა რამდენსამე უკანა, გაგზავნა ყორჩიბაშმან ჯარი მოურავის თავდასასხმელად, მაშინ მოურავი მთაზედ იყო სანადიროდ და გარდმოხედა და ნახა ყიზილბაშის ჯარი, რამეთუ ასპინძა ავსილიყო ჯარითა. მაშინ შემოუტივა მოურავმან და მისცა ძლევა ღმერთმან და ამოსწყვიტა თათრის ჯარი, მრავალი იმათიც დაყრევინა, თვარემ, მათი ვერა წაიღეს რა და წავიდნენ გაქცეულნი“.

„მაშინ ხერთვისის ციხე და სხუანი რამდენნიმე სამცხის

ციხენი ყიზილბაშთ ეჭირა, მივიდა მოურავი და აღიღო ციხე ხერთვისისა და სხვანი ციხეები და შინამყოფნი ყოველნივე ამოსწყვიტა".

„ხოლო ყორჩიბაშძახ გაასაგრა ციხე ტფილისისა და დააგდო მუნ სვიმონ მეფე ქრისტეს აქეთ... და თვით ყორჩიბაში გაბრუნდა, წარვიდა და წაიყვანა ქალი თანა და ვითარცა წარვიდა ყორჩიბაში, სვიმონ მეფე ვერ გამოვიდოდა ციხიდამ და ვერც პატრონობდა ქართლსა".

ასეთ დღეში ჩააგდო ყორჩიბაში და სვიმონ მეფე სააკაძემ.

მაშინ კუალად მოვიდა მოურავი და ზურაბ ერისთავმან კუალად დაიპყრეს ქართლი და დასუეს კუალად მუხრანის ბატონი ქაიხოსრო უფროსად. და იგინივე პატრონობდნენ ქართლსა".

შემდეგ მოთხრობილია ბაზალეთის ომის ამბები. ბერი ეგნატაშვილი არც ერთ მხარეს არ ამტყუნებს, არც ამართლებს, მხოლოდ ომის მსელელობაზე გვაწვდის ცნობებს.

თურქეთში წასული სააკაძის საქმიანობაზე ერთ ასეთ ცნობას გვაწვდის ბერი ეგნატაშვილი:

„ხოლო მოურავმან გმო სჯული თვისი და იქმნა მაჰმადიან და სთხოვა ჯარი ხონთქარსა და დააპირა, რომ წავალ და დავიჭერ ქართლსა და სულ გავათათრებო და დაგიმონებ ყმათაო".

ბერი ეგნატაშვილის ახალი ქართლის ცხოვრებიდან ნურც ეს ცნობა დაგვრჩება უყურადღებოდ — ნურაფერს გამოვაკლებთ გიორგი სააკაძის მამხილებელ არგუმენტებს.

ბერი ეგნატაშვილის ტექსტს არაერთხელ მიეუბრუნდებით, როდესაც ცნობების ანალიზს შეეუდგებით. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად ზოგიერთი ფაქტის არასწორად წარმოდგენისა, მიუხედავად ძუნწი თხრობისა, ბერი ეგნატაშვილი მაინც ობიექტურად მოგვითხრობს მოვლენებზე.

დიდი გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი, პირიქით, არ ერიდება თავისი კომენტარი გაუკეთოს ამა თუ იმ ფაქტსა და მოვლენას; ფაქტებს არ მალავს, მაგრამ საკუთარ დამოკიდებულებასაც აშკარად ამჟღავნებს. ვახუშტი ბაგრატიონს გამოკვეთილი პოზიცია აქვს. იგი არასიმპათიურადაა განწყობილი სააკაძის პიროვნების მიმართ. როგორც დიდ მკვლევარს ეკად-

რება, კეთილსინდისიერად აღნუსხავს სააკაძის მიერ მოხდენილ დიდ საქმეებს, მაგრამ არც ერთ შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, საგანგებოდ შეეხოს მის ნაკლს. აქ თავს იჩენს თეიმურაზ პირველის შთამომავალთა ზეგავლენით ისტორიკოსების მიერ აღებული კურსი სააკაძის პიროვნების ნაკლის გაზვიადებისა და დანაშაულის მიწერისა. ერთი შეხედვით, თითქოს დაცულია სამართლიანობა — ვახუშტი ბაგრატიონი და სხვა ისტორიკოსები, რომელთაც აშკარად არ ახატიათ გულზე საკაძე — არც კარგს უკარგავენ დიდ მოურავს, არც ავს. მაგრამ როგორც კი დააკვირდებით მათი მსჯელობის სტრუქტურას, მაშინვე ცხადი გახდება, თუ რა მონდომებით მსჯელობენ ისინი სააკაძის შეცდომებზე და რა ზუსტად, მაგრამ რა მშრალად აღრიცხავენ იმ მასშტაბურ ომებს, საკაძის მეთაურობით გადახდილთ, რომელთაც შესძრეს იმდროინდელი აღმოსავლეთის ისტორია, რომელთა წყალობითაც აღმოსავლეთ საქართველო სრულ ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა.

ვახუშტი ბაგრატიონი, ერთის მხრივ, აღნიშნავს გიორგი საკაძის ღირსებებს:

„ესე მოურავი გიორგი იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და შემმართებელი, უშიში...“

და იქვე:

„მცბიერი, მჩურჩნელი და უნდო“.

თანაც დასძენს:

„ესე მარადდღე თვითეულთა კაცთა ფურჩვნიდა და არა დაცხრებოდა. იხილა ესე მეფემან და აუწყა მოურავსა: „რა არს რომე არ დასცხრები ფურჩვნად, ანუ რაი გნებავს ყოფად“.

ამ გაუგებრობის ახსნისას ვეცდები სწორად გაირკვეს, „ფურჩვნა“ ვისი ან რისი ინტერესებით იყო ნაკარნახევი, მაგრამ ფაქტია, რომ ვახუშტი ბაგრატიონის ტექსტი აშკარად საკაძის საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

ვახუშტი ბაგრატიონი კეთილსინდისიერად აღნიშნავს თაფარხანის წინააღმდეგ საკაძის ბრძოლის დიდ მნიშვნელობას, იმაზეც მიუთითებს, რომ ტაშისკარის გადამწყვეტი ომი, მის შემადგენელ ბრძოლებთან ერთად საკაძის მეთაურობით მოხდა და დასძენს:

„ამა ომსა შინა ფრიად მხნედ გამოჩნდნენ მეფე ლუარსაბ და უმეტეს მოურავი“.

როგორც კი ვარაუდებზე მიდგება საქმე ან ისტორიულ ფაქტებს იქით ნაგულისხმევ ადამიანთა ურთიერთობაზე, ვახუშტი ბაგრატიონი მაშინვე მიუთითებს სააკაძის რაღაც ფარულ, არაკეთილშობილურ ჩანაფიქრზე:

„ხოლო შემოქცეული მეფე ისტუმრა მოურავმან, რომელი აქუნდა მ ა ნ კ ი ე რ ე ბ ა გულის წინათქმულთათვის და ჰყვა და შ უ ე ნ ი ე რ ი და კეკლუცი. იტყოდა „ვაჩვენო იგი მეფესა და უკეთუ მესიძოს, რა იგი მნებავს, ვუო და უკეთუ არა, ვსცნობ, რამეთუ მართალ არს თქმულნი იგი წინანი“.

ხოლო, როდესაც ლუარსაბმა სააკაძის დაზე დაქორწინება გადაწყვიტა, ვახუშტი ბაგრატიონი კომენტარს აკეთებს:

„ესე მოურავმან უარი თქვა მ ც ბ ი ე რ ო ბ ი თ ა“.

აქაც „მცბიერობა“ დაბრალდა სააკაძეს.

საინტერესოა, ვახუშტი ბაგრატიონს არ ავიწყდება ისიც, რომ ბააკა ხერხეულიძისაგან გაფრთხილებული სააკაძე „ჩულიანს“ ცხენზე შეჯდა. კონტექსტში სასიკეთილოდ განწირული ტაშისკარის ომის გმირი, ჩულიან ცხენზე ამხედრებული და გაქცეული, აშკარად დამცირებისათვის არის გამეტებული მკვლევარის მიერ.

კიდევ ერთი ძვირი სიტყვა სააკაძეზე:

„და მიერთაგან აზრახებდა ყეენსა მოურავი დაპყრობად ქართლისად. არამედ მას ვინაითგან გულად ედვა დაპყრობა და გამაჰმადიანება ქართლისა, გამოუტევნა ნუგზარ ნიჰითა და მოურავი დაიპყრა მუნ ჟამამდე“.

ვახუშტი ბაგრატიონი არ არღვევს მოვლენების თანამიმდევრობას. ბერი ეგნატაშვილის მსგავსად ისიც გადმოსცემს მარტყოფის ომის წინარე ამბავს, შათირის მოკვლას, უსტარის პოვნას, აჯანყების დაწყებას, სააკაძის ორგანიზაციას, ომის მომზადებას, ყორჩიხა-ხანის მოკვლას და ყიზილბაშთა სრულ გაქცევას. ამ ომის დასასრულს ვახუშტი ბაგრატიონი საგანგებოდ აღნიშნავს:

„(გარნა თუმცა არ ეხილა მოურავს წიგნი იგი შიკრიკისა, აყრილიმცა იყო ქართლი. გარნა იხსნა ღმერთმან ერი თვისი ესრეთ)“.

ერთი სიტყვით, ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს ჭეშმარიტებას, — რომ მარტყოფის ომი არ გადაეხადა გიორგი სააკაძეს, ქართლს უთუოდ აყრა და გადასახლება ელოდაო, რომ ამ ბრძოლით ქვეყანა გადაურჩა დიდ საფრთხეს. მაგრამ იქვე მიუთითებს, სააკაძეს ხელთ რომ არ ჩავარდნოდა შაჰის უსტარი, ქართლი აიყრებოდა, ე. ი. სააკაძე არ აჯანყდებოდაო!!!

მარტყოფის ომში, ქსნის ხეობაში, ლისის ტბასთან სააკაძის საარაკო მხედართმთავრულ ბრძოლებზე ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებს არ მოვიტან, რამდენადაც იგი არსებითად ემთხვევა ბერი ეგნატაშვილის მონათხრობს. რაც შეეხება იმ ბრძოლებს, რაც არ აღუნუსხავს ბერი ეგნატაშვილს და რაზეც ვახუშტი მიუთითებს, მათი შეხსენება აუცილებელია:

„ხოლო მოურავმან განამაგრა ციხენი კიკანათბერი, ალისა, სურამის, კეხვისა და წარვიდა სამცხეს, რამეთუ მუნ ჰყვანდა დედაწული თვისი“,

სააკაძის დახასიათებას ვახუშტის ცნობებიდან კიდევ ემატება შემდეგი:

„ხოლო მოურავი იყო სამცხეს, შემდგომად მივიდა იმერეთს გიორგი მეფისა თანა, მერმე ისტუმრა ლევან დადიანმან, მუნიდამ შემოვლო კუალად იმერეთი და მოვიდა სამცხესვე“.

ვახუშტი ბაგრატიონი არ აღნიშნავს რა მიზნით იმოგზაურა სააკაძემ იმერეთ-სამეგრელოში, სხვა წყაროებიდან კი ვიცით, რომ იგი სამხედრო ძალებს ეძებდა სპარსელთა წინააღმდეგ.

შემდეგ კვლავ ვახუშტის ცნობით:

„კუალად ჟამთა ამათ არა მოსცეს დუალთა ბეგარა მოურავსა. გარდავლო სპითა მოურავმან ზეკარა, შთავიდა და მოსრნა ურჩნი და ყვნა კუალად მებეგრედ და მოვიდა ქართლს“.

შემდეგ:

„კუალად მელიქი სომხითისა ათაბეგ და ზაქუმ ერთგულებდნენ ყეენსა; მიუხდა ამას მოურავი, ხოლო იგინი იელტოდნენ და წაყუარნა დედაწულნი და ქონებანი და წარმოვიდა“.

შემდეგ:

„ვრამედ ქაიხოსრო ბარათაშვილი მოყურობდა როსტომ სპასალარს და უვლინებდა როსტომ საგანძურს მრავალსა, ვინათგან ბრა ერჩდა მოურავსა. კუალად მოიყვანნა ამან

ხუთასნი მეთოფენი ყიზილბაშნი და შეაყენა ბირთვისის ციხესა შინა. ესე შეუძნდა მოუარვსა და დილას ერთსა დაეცა ტბისს და შეიპყრა ქაიხოსრო და ხოსია ძმა მისი მის თანა. მაშინ ქაიხოსროს გამოაყვანინა ყიზილბაშნი ბირთვისიდამ და მოწყვიდან ხუთასნივე და ხოსიას პატიმარ-ჰყო ციხესა შინა კიკანათბერს".

და კიდევ:

„კუალად ეთქუა მუქარა ქუელსა წერეთელს მოურავისა. მიუხდა მოურავი და მოწუა მამული მისი. წამოსულს მოურავს ეწია ქუელი და ბრძვეს ურთერთს, არამედ მოურავმან განაწონა სამნი ისარნი მკერდსა და ივლტოდა ქუელი. ხოლო მოურავი მოვიდა გამარჯვებული".

სხვა წყაროებისა და გიორგი სააკაძის სახელზე გაცემულ წყალობათა სიგელების მიხედვით ხერხდება კიდევ რამდენიმე დამსახურების დადგენა, კერძოდ, გიორგი X მხარდამხარ თურქების წინააღმდეგ დიდი გმირობის გამოჩენა, რის გამოც სწრაფად დაწინაურდა ახალგაზრდა სააკაძე. უფრო მოგვიანებით დაღესტნელი ლეკების დასჯა საქართველოზე გაუთავებელი თავდასხმების გამო.

რაც შეეხება სააკაძის ბრძოლებს საქართველოს გარეთ ირანისა და თურქეთის სამსახურში ყოფნისას, ისინი უფრო იმისათვის გამოგვადგება, რომ კიდევ ერთხელ ვიწამოთ მისი არაჩვეულებრივი მხედართმთავრული ნიჭიერება. ყველაფერი, რაც სააკაძის პიროვნებას უშუალოდ უკავშირდება, ცხადია, თანამიმდევრობით გადმოიცემა წიგნში. ჯერ ჩვენ დიდი შუქისა და სულის ამაფორიაქებელი ზოგიერთი ჩრდილის თანაარსებობას ალვადგენთ ამ ამონაწერებით — ეს მიზანი არ მინდა დაგვავიწყდეს. არ მინდა, მკითხველს მოეჩვენოს, თითქოს უკვე ყველაფერი მნიშვნელოვანი მოისმინა ამ წყაროებიდან ამოწერილი ცნობებით. ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ იქნება გარკვეული, როდესაც ცნობების ლოგიკას მივუბრუნდებით უამრავი მკვლევარის თვალით, როდესაც მათ ნაშრომში გაფანტული დაკვირვებების, მოსაზრებების თავმოყრითა და ღრმა შეცნობით გამოვიტანთ უფრო ზუსტ დასკვნას, როდესაც შევეცდებით წავიკითხოთ იმ დროის სული, დიდი წინაპრის აშკარა და ფარული ზრახვანი, შთამო-

მაელობის პოზიცია, მისი გამომკვებავი ინტერესები და სულისკვეთება, დიდი შვილისადმი დამოკიდებულების კულტურა და შინაარსი — საკუთარი ეროვნული ასპარეზის კანონებით განსაზღვრული დამოკიდებულების კულტურა.

ახლა კი წყაროთა ხმას მოვუსმინოთ.

არჩილ მეფე:

„ესე საქმე მოურავმან უცხო ქმნა და საკვირვალი“ — წერს არჩილ მეფე საკაძის მიერ სამშობლოს ხსნისა და პაატას შეწირვის ფაქტზე — პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ და მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები თეიმურაზ პირველის პოეტურ და პოლიტიკურ მოღვაწეობას ეძღვნება, არჩილი გვერდს არ უვლის თეიმურაზის პოლიტიკური მოწინააღმდეგის — საკაძის დამსახურებას, სინამდვილეს არ უკარგავს შთამომავლობას. მართალია, მას ზღუდავს პირველ პირში განვითარებული თხრობა. ალაპარაკებს რა თეიმურაზს, პოეტი თავის თავს უნებურად აყენებს არახელსაყრელ მდგომარეობაში. მართლაც, ხელოვნური ელფერი ექნებოდა თეიმურაზის მხრივ საკაძეზე იმაზე მეტის თქმას, რაც ამ პოემაშია თქმული. მეფის პირით წარმოთქმულ შეფასებებში არჩილმა გვიჩვენა თეიმურაზის კეთილსინდისიერებაც და საკაძის დამსახურებანიც.

დაასკვნეს და გამოგზავნეს ამ მიზეზით სულ ესენი,
აწ უყურეთ მოურავსა, ვით შეჰყაროს მძიმე სენი!
ზურაბს თურმე იქივ უთხრა: „ვერ სვერეტ არის რის მთესენი?
მე სხვა რამე გამიგია, ხმალი აქავ მოლესენი“.

იქვე თეიმურაზის პირით კახეთის ამოწყვეტაში არჩილი საკაძის უნებურ მონაწილეობაზე მიუთითებს. უფრო სწორად, არჩილმა არ აუარა გვერდი იმ ფაქტს, რომ ბაგრატიონები და თავადთა ერთი ნაწილი კახეთის ამოჟლეტაში საკაძეს ადანაშაულებდნენ.

მე შვილს დავთმობ ქვეყნისათვის, ამან ეს ყოს, იყოს ასდენ.

ამას მოსდევს თეიმურაზის მიერ დახასიათებული საკაძის დიდებული გეგმის შინაარსი. ხოლო შემდეგ:

სულ ქართველნი შეაფიცეს, რა ეს საქმე დააპირეს,
ანდუყაფარ არაგვზედა მიიყვანეს, დაიჭირეს,
მოურავი ლაშქარშიჯან იყო, მათცა მუნით ირეს,
აწ უყურეთ მას ლომგულსა და ოთხთ მოყმეთ ვით იგმირეს!

პაატა ხერხეულიძე, აეთანდილ ძითა თჳისითა,
ელია დიასამიძე. პაპუნა ვაშაყისითა,
ოთხის კაცითა ესე ქნა, რას ეპვ იქმოდა ასითა!
ამის მქნელ კაცსა სხვა ვინმე, ვით შეუდარო ფასითა?!

შემდეგ აღწერილია ბრძოლის მსვლელობა და ისევ გიორგი საყაძის დიდი მამულიშვილობის სრული შეცნობისა და აღიარებით გამსჭვალული სტრიქონები:

ესე საქმე მოურავმან უცხო ქმნა და საკვირვალი,
ვით შემართა ამ საქმესა, არის თუცა გულად რვალი!
ე ს ყ ო ე ლ ა ს გ ა ნ უ ძ ნ ე ლ ე ა, სხვა სახელიც ქნა მრავალი.
უსაცილოდ მართალია, არ ტყუილი, არ საკრძალი.
სახელისთჳის მათ ცოლშვილი ორთავ დასთმეს, ეს იცოდეთ!
ვინ არ მიპყვეთ მათ საქმესა, არ იცით რომ დიდად სცოდეთ?
რჯულისა და ქვეყნისათჳის რა იქნების, რასაც ჰყოფდეთ?
აწც ეს ქმენით, ქართველებო, ანდერძსაეით შვილს ეტყოდეთ.

არჩილის პოემის გმირი თეიმურაზ პირველი შთამომაელობას ანდერძად უგდებს საყაძის თავგანწირული გმირობის წესს.

შემდეგ თეიმურაზ პირველის მოწვევა ტახტზე, ყორჩიბაშის მოსვლა დიდი ჯარით, მოურავის გონივრული გეგმის უარყოფა მოშურნე თავადთა მიერ, ბრძოლის მსვლელობა.

ბაზალეთის ომის გამო თეიმურაზ პირველი, ცხადია, საყაძეს ამტყუნებს.

მოურავი ვეღარ დადგა, ახლა ხონთჭარს მიაშურა,
ვერ ქნა კარგად ორგულობა, ვერ ომი და ვერა შურა,
ხვანთჭარმა სცა მწვედ პატივი და წყალობა არ უშურა,
ერთს თავს ეუბრ გარდაისად მას წინ დგომით სხვად ეშურა.

იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“, ერთხანს უნდობლობას იწვევდა, რაკი მისი ავტორი გვარად საყაძე იყო, თანაც დიდხანს მიიჩნევდნენ მოურავის ძმისწულად. ბოლო ხანებში გაირკვა, რომ იგი მხოლოდ მოგვარედ, შორეულ ნათესავად მოხვდებოდა გიორგი საყაძეს. რიმა ფირცხალეიშვილი თავის ნაშრომში — „დიდმოურავიანი“ და მისი ავტორი“ კარგად ასაბუთებს ყოველივე ამას. ხოლო ცნობილი მკვლევარები გიორგი ლეონიძე და სარგის ცაიშვილი ერთხმად ადასტურებენ, რომ იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“ სანდო წყაროა, რა-

მდენადაც სხვა ისტორიული წყაროებით იგივე ირკვევა, რაც ამ პოემაშია თქმული. განსხვავება ძალზე უმნიშვნელოა, არაარსებითი. პოემის ქსოვილზე საგანგებო დაკვირვება დაგვარწმუნებს, რომ სააკაძის საყვედური მისი ამაგის დაუფასებლობის გამო სულაც არ გულისხმობს სხვათა დამსახურების უარყოფას. პირიქით, პოემაში ავტორი შემთხვევას არ უშვებს ლუარსაბისა და თეიმურაზის შესაქებად. საყვედური მხოლოდ ორიენტაციას ეხება, რომელიც ავალდებულებდა ქართველ მეფეებს დასაყრდნობად ტაშისკარისა და მარტყოფის ომების ავტორი, დიდი მხედართმთავარი გიორგი სააკაძე აერჩიათ, ან საკუთარ ციხე-კოშკებზე მზრუნველი დიდგვაროვანი თავადების კოჰორტა, ამ საყვედურის გამოთქმის უფლება კი, ნამდვილად აქვს დიდ მოურავს. მე ერთი წუთითაც არ ვამცირებ „დიდმოურავიანის“ როგორც ისტორიული წყაროს მნიშვნელობას, პირიქით, როგორც გარკვეულია და დადასტურებული, იგი შესანიშნავი სიზუსტით გადმოგვცემს ფაქტებს, მაგრამ წყაროები სააკაძის დამსახურებაზე ისედაც ბევრია და მოდით მაინც „დავსაჯოთ უნდობლობით“ დიდი მოურავის მოგვარის ნაწარმოები დროებით. ამდენად არ მოვიტან სააკაძის დამსახურებაზე იქ თქმულ უამრავ მადლიან სიტყვას. გავიხსენოთ მხოლოდ საკუთარი თავისადმი მიმართული საყვედური, რასაც სააკაძეს ათქმევინებს ავტორი:

ირანში გადახვეწის თაობაზე იოსებ თბილელი სააკაძეს ალაპარაკებს:

> მათ მივაბარე ცოლ-შვილი, დადგნენ კარ გარიგებითა,
> წავედით, ჯზაზე მივდივართ, ამოდ და ჩვენის ნებითა,
> ესე მეც ვიცი იქ წასვლა ვერა ვჰქენ კაის ცნებითა:
> დგომა და წასვლა ორივე შემჭმნია ბოლოს სნებითა.

როგორც ითქვა, XVIII საუკუნეში არსაიდან არ ისმის სააკაძის დასაცავად ხმა, მხოლოდ „დიდმოურავიანის“ გადამწერლები არ მალავენ მისი სახელისადმი მოწიწებას მინაწერში.

თავისთავად იგულისხმება, რომ თეიმურაზ პირველის შთამომავლობა სააკაძის პიროვნებაის მიმართ კეთილად ვერ იქნებოდა და არც იქნებოდა განწყობილი. მხოლოდ ისტორიის დიდი, ჯიუტი ფაქტები, დაკავშირებული სააკაძის სახელთან,

აისახა წყაროებში, აღინუსხა მისი დიდი საქმეები კომენტარის გარეშე. თავისი თავის ანაბარად დარჩენილი ფაქტები ქმნის მკვრივ ლოგიკას, რასაც ვერ შლის ვერც მტრული განწყობილება, ვერც კეთილმოსურნე შთამომავლობის დამოკიდებულება. ისტორიკოსთათვის ნაცნობი განწყობილებაა ეს განწყობილება. მემატიანეთა ტენდენციურობა ახალი ამბავი არ არის, მით უმეტეს, რომ ქართველი მემატიანენი ამ დროის ფაქტებს არ ამახინჯებენ, ფაქტების სამყაროში ისინი ობიექტურნი არიან. სუბიექტურნი ჩანან პიროვნებასთან თავიანთ დამოკიდებულებაში. ეს გასაგებიცაა — ან თეიმურაზ პირველის მიმართ უნდა გამოეჩინათ მოყვრული დამოკიდებულება ან მოურავისადმი. მარაბდის ომის შემდეგ ისინი ხომ საუკუნო მტრებად დაშორდნენ ერთმანეთს. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში სასიკვდილოდ შეერკინენ კიდეც. ამ ეპიზოდს აქვს განუსაზღვრელი მნიშვნელობა:

„მერმე მოვიდა მოურავი, ჰკრა ბატონს თეიმურაზს ლახტი ბეჭს ზედა, არღარა დაადგრა და წარვიდა“.

ყურადღება მივაქციოთ ამ ეპიზოდს, მეფეს დაჰკრეს ლახტი! ომმა რომ კომპრომისი არ იცის, ეს ერთი მხარეა, რაკი ომი გაიმართა, დანდობა გამორიცხულია — სისხლი იღვრება და ერთმანეთზე სასიკვდილოდ მიიწევენ. მარტყოფისა და მარაბდის ომების გმირი მეფეზე განაწყენებულია, მთელი არსებით არის აღშფოთებული და პირისპირ შეყრილ მეფეს რომ ლახტი ჰკრა, ამაში მოულოდნელი რა უნდა იყოს. მაგრამ მეფეს ჰკრეს ლახტი — ჰკრა დიდმა მოურავმა — დიდმა საქმით, მაგრამ არა გვარიშვილობით, თვით თავადთა თანასწორიც არ ყოფილა იგი გვარიშვილობით. და ბაგრატიონთა დინასტია, ცხადია, ეგრე ადვილად ვერ მოინელებდა ამ შეურაცხყოფას, ვერც თეიმურაზი, ვერც შთამომავალთა მეხსიერება. მათი ხსოვნა ვერ შეეგუებოდა აღზევებული აზნაურის, ახლად გამომცხვარი თავადის იქამდე მისვლას, რომ მირონცხებული მეფისათვის ლახტის კვრა გაებედა თუნდაც ასეთ სიტუაციაში. ეს ფსიქოლოგიური მოვლენაც არის ამავე დროს. ბევრს, ძალიან ბევრს ამბობს ისიც, რომ სააკაძემ ლახტი ჰკრა, ხოლო შემდეგ „არღარა დაადგრა და წარვიდა“.

მაგრამ ბაგრატიონს ჰკრეს ლახტი!

თვით ეპისკოპოსი სასტიკად დაისაჯა ვახტანგ გორგასლის შეურაცხყოფის გამო. ახლა საუკუნეობით განმტკიცებული მეფეთა ინსტიტუტის ავტორიტეტი მოვიგონოთ და მეფის შეურაცხყოფა რამდენად მოუთმენელი იქნებოდა დინასტიისათვის, ეს ცხადზე ცხადი გახდება ჩვენთვის. დაუჯერებელია, მეცნიერებს ანგარიში არ გაეწიათ თეიმურაზ პირველის შთამომავალთათვის, რომლებიც XVIII საუკუნეში ისხდნენ ქართლისა და კახეთის ტახტზე. ამის გამო, განა მათ კეთილსინდისიერებაში უნდა შევიტანოთ საერთოდ ეჭვი? არა, მათი განწყობილებისა და დამოკიდებულების სუბიექტურობა უნდა დავინახოთ, ეს კი გარკვევით ჩანს. საააკაძესთან დაკავშირებული ფაქტები და მოვლენები ლოგიკის ანაბარაა მიტოვებული. დამოკიდებულების ტალღები არ ათბობს მას. თბილი განწყობილება დიდი მოურავის მოწინააღმდეგეთა მხარეზეა XVIII საუკუნეში.

მაგრამ, ერის ხმა არ ისვენებს, ფიქრი დაჟინებით ესწრაფვის სიცხადეს და XIX საუკუნეში საააკაძის ფენომენი ფიქრიდან მოუცილებელი საგანი შეიქნა. ის რაც გაურკვეველობის ბურუსით იყო მოცული, შიგნიდან დრტვინავდა და ტენდენციური მოწინააღმდეგეების მიერ მიწერილი ცოდვების ჩამოშორებას მოითხოვდა. ისევ საააკაძის შორეული შთამომავალი შეაწუხა დიდი მოურავის პრობლემამ, მან სთხოვა ისტორიკოს პლატონ იოსელიანს, დაეწერა წიგნი მარტყოფის ომის ავტორზე.

ამ წიგნს ერთი რამ ეტყობა აშკარად: პლატონ იოსელიანი ერთგვარი შიშით შესდგომია წიგნზე მუშაობას:

„თქვენ ისურვეთ გქონოდათ თქვენი წინაპრის დიდი მოურავის გიორგი საააკაძის ისტორია, და არ შეუშინდით იმ ფიქრს, რომ საქართველოს მატიანეებში ესოდენ განთქმული მისი სახელი დაკავშირებულია სისხლიან საქმეთა საზარელ მოგონებებთან“.

დავაკვირდეთ ამ ნაწყვეტში ჩადებულ აზრს. პლატონ იოსელიანი გაკვირვებულია შემოთავაზებული წინადადებით („და არ შეუშინდით“), მაშასადამე, მისი ღრმა რწმენით, ძალიან საშიში იყო ფიქრი და წერა, რამეთუ ბევრი ბნელი საქმე გამოვლინდებოდა საააკაძისა (სხვას რას უნდა ნიშნავდეს

ეს „და არ შეუშინდით“). როგორც ჩანს, და აშკარად ჩანს, თვით პლატონ იოსელიანსაც, სანამ წიგნზე მუშაობას შეუდგებოდა, სულ სხვაგვარი (ცუდი!) წარმოდგენა და შეხედულება ჰქონდა საკაძის პიროვნებაზე. მაგრამ შემდეგ, როდესაც მატიანეები და წყაროები საფუძვლიანად შეისწავლა, როდესაც ერთმანეთს შეუჯერა მის ხელთ არსებული ცნობები და მონოგრაფიის წერა დაიწყო, თვალნათლივ დაინახა, რომ ისტორიული ფაქტები და მოვლენები არ იძლეოდნენ იმის საბაბს, ამდენი დანაშაული და შეცდომა დაეკისრებინათ საკაძის სახელთან. ზემოთ მოტანილი ნაწყვეტიდან უეჭველ ის ჩანს, რომ შიში ამ საგნისა რამაზ დიმიტრის ძე თარხნიშვილისა კი არა, თვითონ პლატონ იოსელიანს ჰქონია და ის ფიქრი სიფრთხილით შედგომია საკაძეზე წერას. როდესაც საკაძის პიროვნებაზე არსებულმა ცნობებმა და წყაროებმა სრული უთხრეს სათქმელი, როდესაც მთელი სიგრძე-სიგანით გადაუვლისწინა ამ წყაროების შინაარსი, უპატიოსნესი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი გატაცებით საუბრობს საინტერესო მოვლენებზე და მხილების შინაარსის მქონე ასეთ სიტყვებს წაუმძღვარებს წიგნს:

„მაშ ნუ დადუმდება სამართალი და მართებული მსჯავრი გამოუტანოს იმ საქმეებს, რომელთაც ყველა როდი იცნობს მათი ნამდვილი სახით“.

და აქვეა მოცემული ავტორის პოზიციაც არჩეული პრობლემისადმი:

„დაე, თქვენი წინაპრის ბედ-იღბალში ამოიკითხონ ბედი ალკიბიადესი, იმდენადვე დიდებული რამ იყო თავისი საქმეებით, რამდენადაც პირადად უბედური და დიადი სახელი ათენელი მთავარსარდლისა, რომელიც გაჭირვებას განიცდიდა მის მიერვე ამაღლებულ და დიდებით შემოსილ სამშობლოში“.

ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების, მათ გარშემო დაგროვილი წყაროების შესწავლის შემდგომ პლატონ იოსელიანს არ დატყობია ყოყმანი, აღენიშნა საკაძის მრავალი ღირსება. გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანი:

„სიმამაცესა და ვაჟკაცობასთან ერთად მისმა არაჩვეულებრივმა მჭევრმეტყველებამ და სხვათა დარწმუნების ნიჭმა ყველას ყურადღება მიიპყრო და მეფე გიორგი X 1607 წელს

დაუმტკიცა ყველა უფლება, რაც ადრევე ნაბოძები იყო მისი მამის მიერ, თვითონაც უბოძა გლეხები და მიწა-წყალი, აგრეთვე მოურავის გვარით მიანიჭა თავად-მთავრის წოდება, ე. ი. წოდება, რაც ახლანდელ გუბერნატორს უდრის".

„ეპისკოპოსნი საკურთხეველის წინ ლოცულობდნენ გიორგი სააკაძის დღეგრძელობისათვის, თითქოს ავიწყდებოდათ ის საშინელი მსხვერპლი, რაც მოჰყვა მის გაუფრთხილებელ სიტყვებს, რამდენსამე წლის წინათ შაჰ აბასთან რომ თქვა: ვიდრე ლუარსაბი ცოცხალია, ქართლში მშვიდობა არ იქნება".

როგორც ვხედავთ, პლატონ იოსელიანი დიდ ზეგავლენას განიცდის საზოგადოებაში გავრცელებული იმ აზრისას, რისი მიხედვითაც კახეთის აოხრება შაჰ აბასმა თითქოს სააკაძის რჩევით გადაწყვიტა.

შემდეგ:

„ძლევამოსილმა გამარჯვებამ, ხალხის მხსნელის სახელმა არ გააამპარტავნა და არ გაადიდკაცა მოურავი".

„სოფელ წოდორეთში გაგზავნილმა მეორე რაზმმა მოასწრო თავის დაღწევა მრისხანე მოურავის ლახვრისაგან, რომლის სახელიც იმდენადვე საშინელი გახდა სპარსელებისათვის, რამდენადაც სპარსელთა ძალა საშიში იყო მთელი საქართველოსათვის".

გიორგი სააკაძე თავადთა წოდებას ეკუთვნოდა. თავადობის დამტკიცება და მოურავად დანიშვნაც გიორგი სააკაძის პირადი დამსახურების შედეგი გახლდათ და ეს ხდებოდა ერთი თაობის თვალწინ. დიდგვაროვანთათვის, რომლებიც თითქოს დასაბამიდან დიდგვაროვნებად მოევლინენ ხალხს, ეს ფაქტიურად გახლდათ აზნაურის დაწინაურება-აღზევება. სააკაძის აღზევება კი ერთსა და იმავე დროს არ უდრიდა დიდგვაროვნობას. სწორედ იმ მიზეზის გამო, რომ ეს აღზევება დროის უმოკლეს მანძილზე მოხდა. არაფერს ნიშნავდა სააკაძის წინაპართა დამსახურებანიც. დიდგვაროვანთათვის ისინი უბრალოდ სახელგანთქმული ერისკაცები იყვნენ. გიორგი სააკაძე კი აგერ, მათ თვალწინ სამეფოს უპირველესი კაცი შეიქნა. მდგომარეობით იგი ყველაზე აღმატებული აღმოჩნდა, თუმცა ეს აღმატებულობა მათ თვალში მაინც შორს იდგა დიდგვაროვნობისაგან. არისტოკრატიის საუკუნეობით განმტკიცებული მდგომარეობა

ერთბაშად გათანაბრებასა და გვერდით ამოდგომას, ხოლო შემდეგ თვალშისაცემ აღზევებას ვერც გუობდა და ვერც ითმენდა. ფეოდალურ ინსტიტუტს საქართველოში თავისი წესი ჰქონდა. ეს წესი გვარიშვილობის მიხედვით ანაწილებდა ამა თუ იმ პიროვნების ადგილს. ჯერ კიდევ შორეულ საუკუნეებში დაიწერა კანონი. ივანე ჯავახიშვილს საგანგებოდ აქვს შესწავლილი ფეოდალური კიბე და მის საფეხურზე თითოეული ერისკაცის ადგილი, ის უმკვიდრესი წესი, რისი დარღვევაც წარმოუდგენელ ამბად იყო მიჩნეული. ეს გახლდათ საუკუნეობით განმტკიცებული ტრადიციაც ამავე დროს, რისი შეცვლაც ისევე წარმოუდგენელი და დაუშვებელი იყო, როგორც ბაგრატიონთა დინასტიის შეცვლა სამეფო ტახტზე. ფეოდალური კიბე, ცხადია, უბრალო ცერემონიის დადასტურება არ ყოფილა. სისხლში გამჯდარი რწმენა და შეხედულებანი კვებავდა მას: დიდგვაროვნობა განიცდებოდა მარადიულ ფენომენად — დავიწყებული იყო ფესვი, საიდანაც ეს დიდგვაროვნობა ამოიზარდა. სწორედ განგებით მონიჭებული ნიჭი და მდგომარეობა ერქვა მას დიდგვაროვანთა თვალში. დავიწყებულ იქნა, რომ ოდესღაც პირადი ღირსებებისა და დამსახურების გამო იქცა მათი წინაპარი ჯერ აზნაურად, შემდეგ თავადად, საერთოდ ფეოდალად. არა, ახლა დიდგვაროვანთა ინსტიტუტი „ფესვებს“ ვერ იგონებდა, მისი მახსოვრობის დიდ სივრცეზე ეს მდგომარეობა ოდითგან არსებულ ფენომენად აღიქმებოდა: ჯავახიშვილი, ცისციშვილი, ბარათაშვილი, ქსნის ერისთავი, არაგვის ერისთავი. მუხრან ბატონი... ყველა ეს გვარი ბაგრატიონთა დინასტიასავით მარადარსებულ და მარადუცვლელ მიკრო დინასტიად დამკვიდრდა ერის ცხოვრების მატიანეში. მათი დიდგვაროვნობა არ ნიშნავდა უბრალოდ გათავადებას, დიდძალი მამულისა და ქონების ფლობას, მათი დიდგვაროვნობა არ ნიშნავდა პიროვნულ ღირსებასაც უკვე, ეს იყო „ღვთით დადგინებული“ დიდგვაროვნული დინასტია, რომლის წრეში მოქცევა ახალ ფენომენს მოკლე დროში არა და არ შეეძლო. პირადი ღირსებით დაწინაურებული, აღზევებული, ამ გზით გათავადებული და გაძლიერებული პიროვნება არა და არ ჩაითვლებოდა მათგან დიდგვაროვნად და არა და არ იგუებდა მის დამეტებას. არა თუ დამეტებას, გატოლე-

ბასაც კი. პირადი ღირსებების წყალობით შეიძლებოდა სხვა უველაფერი დანარჩენის მიღწევა — უპირველესი რაინდის სახელის დაგდება, ადგილ-მამულის შემომტკიცება, მეფის წყალობების მიღება, გამდიდრება, მოურავობა, მთავარსარდლობა, პატივი და დიდება, მაგრამ როგორც კი ამ პიროვნული ღირსებებით მიღწეული მდგომარეობა თავის სურვილებს უკარნახებდა დიდგვაროვანთა ინსტიტუტს, დიდგვაროვანთა ინსტიტუტი წამსვე მოწინააღმდეგე ბანაკად შეიკვრებოდა. მას არ შეეძლო საუკუნეების მანძილზე განმტკიცებული თავისი მდგომარეობა ვინმესათვის დაეჭვემდებარებინა. ექვემდებარებოდა მხოლოდ მეფეს, თუკი იგი მის ინტერესებს დაიცავდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მეფესაც გადაუდგებოდა. ეს ბუნებაა უკვე დიდგვაროვნებისა, მისი არსია. მხოლოდ დიდ მეფეს ძალუძს ერთმანეთს შეუთავსოს დიდგვაროვანთა ასეთი ბუნება და პირადი ღირსებებით გამორჩეული პიროვნებების პოზიცია. საქმე იმგვარად მოაწყოს რომ, დიდ პიროვნებას, თუნდაც არა დიდგვაროვანს, თავისი ენერგიის გასაშლელი კალაპოტი მიეცეს და დიდგვაროვანთ სამკვდრო-სასიცოცხლოდ არ დაუპირისპიროს.

ფეოდალური კიბე, რომლის მზერა სიუზერენისაკენ არის მიმართული და ამ კიბეზე მდგომი დიდებული, ვისაც მხოლოდ საკუთარ გვამზე გადატარებით შეუძლია სხვისი აღზევების მოთმენა, ხასიათდება შეუვალი ფსიქოლოგიით, მტკიცე სულიერი წყობით. ერთბაშად აღზევებით ამ ფსიქოლოგიის გადალახვა წარმოუდგენელი ჩანს.

„ხოლო გუარნი მთავართა მათ ძუელთანი ესენი არიან: ქობულისძე, დონაური, არელმანელი, ბაღუში რომელი იყო ლიპარიტის ძე, მარუშისძე, კახაბერის ძე, ბაკურის ძე, აბულელი, მხარგრძელი, ორბელიანი, ქაჩიბაძე, ვარდანისძე, გამრეკელი, მარუშის-ძე, ძაგანის-ძე, ასათის-ძე, კარიჭის-ძე, გაგელი, ფარჯანიანი, ჯუანშერიანი, კავკასიძე, ჯაყელი, ირუფაქიძე, ჩოლოყაშვილი, აბაზაძე, კორინთელი, მახატელი, ნასიძე, შერვაშიძე, ჯავახიშვილი, ბურსელი და სხვანი მრავალნი ერისთავთ ერისთავობით იწერვიან და გუარნი არ წარიწერებიან. ცხადად და საცნობელად“.

აქ დასახელებულ „გუართაგან“ ზოგი თითქოს სავსებით

უცნობია. ეს გვარები ან ერისთავობას ეფარებიან, ან საუკუნეთა განმავლობაში მხოლოდ თავიანთ დიდგვაროვნობითს მდგომარეობას განიცდიან „ყოფად თვისად“. ერისთვის საკადრის ასპარეზზე ქვეყნისათვის სამსახურად თავი არ შეუწუხებიათ. მაგრამ „ძუელთაგანვე“ არიან მთავრები და მთელი მათი (აქამდე ერისთვის უსარგებლო) პოტენცია გადმოხეთქს ერთბაშად, როგორც კი უკარნახებს დიდგვაროვნებს თავის წესს პირადი ღირსებებით აღზევებული, ახალბედა თავადი, როგორც კი იგი წინამძღოლობას იდებს თავს. მთელი პოტენცია!

მათ მეფის კარზე საპატიო ადგილები უკავიათ, ეს ადგილებია: სპასალარი, სახლთუხუცესი, მსახურთუხუცესი, მსაჯულთუხუცესი, მეჯინიბეთუხუცესი, ბაზიერთუხუცესი, ეჯიბი, ეზოსმოძღვარი, მეღვინეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, მესტუმრეთუხუცესი, ჯუარის მტვირთველი, მდივანი, ფარეშთუხუცესი, ხუროთმოძღვარი, მწერალი...

რაც მთავარია, „ძუელთაგანვე მთავართა გუარისანი“ არიან! ისინი აღიარებენ კიდეც პიროვნების ღირსებებს, დამსახურებებს, მაგრამ დიდგვაროვანთა ადგილას ამ პიროვნების დასმას და სამეფო კარზე იმ ფუნქციის მინიჭებას, რაც ოდითგან დიდგვაროვანთა მდგომარეობას გულისხმობდა, ისინი სისხლით ვერ ითმენენ. როგორც კი ომი ატყდება, როგორც კი კრიზისული მდგომარეობა შეიქმნება, საშიშროებას იგრძნობენ თუ არა, მყისვე თანხმდებიან მთავარსარდლად გიორგი სააკაძე დაინიშნოს (ტაშისკარი, მარტყოფი, ქსანი). აქებენ და ადიდებენ, აღიარებენ მის უებრო გმირობას, როგორც კი დიდგვაროვანთა მმართველად, მათ მბრძანებლად ომის შემდგომაც შემორჩებათ დიდი მოურავი, მყის უპირისპირდებიან, ყოველი საშუალებით ცდილობენ მის წახდენას — სახელის გატეხვის, დანაშაულის მიწერით, დაბეზღების გზით. სააკაძე კი ხშირად მეფისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდა, ენდობოდა რა სრულად თავის შესაძლებლობებს, მართალია, ქვეყნის საკეთილდღეოს, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამდა არათუ დიდგვაროვანთა, თვით მეფის დაუკითხავად (უფრო მარტყოფის ომის წინ და შემდგომ). როგორც კი საშიშროება დიდი არ ეჩვენებათ, დიდგვაროვნებს მთავარსარდ-

ლობის დანებებაც არ უნდათ მთელს აღმოსაელეთში განთქმული სარდლისათვის. აქამდე მიდის მათი შეზღუდულობა. ეს შინაგანი შეზღუდულობა კლასობრივი ფენომენია. რის გამოც თავისთავთან მართალნიც კი ჩანან დიდებულები. მარაბდის ომის მთავარსარდლობა არაფრით არ დაანებეს სააკაძეს — ეგონათ რა, უეჭველად ვძლევთ ყიზილბაშებსო. ადვილად მოახდინეს ზემოქმედება თეიმურაზ პირველის პატივმოყვარეობაზე, რამდენადაც თეიმურაზიც ნაცადი სარდალი იყო. მაგრამ როგორც კი დამარცხდნენ პირველ დღეს და საკუთარ ციხე-კოშკებში გამოიკეტნენ, როგორც კი საშინელი საფრთხე დაემუქრა ქვეყანას, მხედარმთავრობაც სააკაძეს შეატოვეს და ყიზილბაშებიც. კვლავ და კვლავ აღიარეს მისი პირველობა. ქართლის პატრონად დარჩენილი სააკაძე რამდენიმე თვეს რომ განაგებდა ყველა საქმეს, ეს უფრო დიდ უბედურებად მიაჩნდათ დიდგვაროვნებს, ვიდრე თვით ყიზილბაშთა მიზანი — ქართლ-კახეთის აყრა და გადასახლება. სულ მალე ისევ დაუპირისპირდნენ. ტაშისკარიც დაიწყეს, მარტყოფიც, და მარაბდის გმირული ბრძოლებიც თავისი შენაკადებითურთ, რომლის სულისჩამდგმელი სააკაძე იყო. შური მისი ღირსებებისადმი, რაც ჩრდილავდა დიდგვაროვნულ მდგომარეობას და არსსაც, ყველას უბნელებდა გონებას და მყისვე მოწინააღმდეგის ბანაკში გადადიოდნენ.

ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით ჯერ კიდევ ტაშისკარის ომამდეა მდგომარეობა გამწვავებული: სააკაძე გააფრთხილეს, დიდებულთა დაჟინებული თხოვნით მეფე მოკვლას გიპირებსო. გაიმართა მოლაპარაკება მეფესა და მოურავს შორის. „და ამ ჟამში გამდიდრებული იყო ქართლის მოურავი სააკაძე გიორგი, რომელ იყო მოურავი ტფილისისა და ესრეთ გამდიდრებულიყო, რომ შემდგომად მეფისა იგი იყო (ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება“. პირველი ტექსტი)“. ვახუშტი ბაგრატიონიც ამას გვიმოწმებს: „არამედ ამა ჟამებათა შინა განდიდებულ იყვნენ მთავარნი და დაეპყრათ ხევნი და ხეობანი თავისად და უმეტეს ყოველთა სააკაძე გიორგი, მოურავი ტფილისისა, ცხინვალისა და დუალეთისა“.

„ხოლო ქვეყნის არევის მოყუარეთა და მეჩხუბართა კაც-

თა, — ბერი ეგნატაშვილის გადმოცემით, — ეს უთხრეს მოურავს: „მეფე სიკვდილს გიპირებს, რამეთუ სძაგს სიმდიდრე და მორჩმა შენი“.

დავუშვათ, რომ მეფემ მართლაც არ იცოდა შეთქმულების შესახებ რაიმე ან არ თანაუგრძნობდა სააკაძის მოქიშპე, თუ მოშურნე დიდგვაროვნებს. მაგრამ შური და მტრული სამზადისი რომ არსებობდა, ეს უკვე ამ გაფრთხილებითაც დასტურდებოდა და შემდგომი მოვლენებითაც.

სწორედ ამ დიდგვაროვნულ შეურიგებლობას გულისხმობდა პლატონ იოსელიანი სააკაძის პიროვნების აღზევებისადმი, როდესაც წერდა:

„შაჰ-აბაზის მიერ პატივით მიღებული და უხვად დასაჩუქრებული გიორგი სააკაძე საქართველოში დაბრუნდა და შეიქნა უახლოესი პირი მეფისა. მრისხანე შაჰის კარზე სახელის მოხვეჭით მოიპოვა პატივისცემა ხალხისა, მაგრამ არა ფეოდალური წარმოშობით ზეიადი და ქედმაღალი არისტოკრატიისა, რომელიც ვერ მოედრიკათ ჯერ კიდევ მოუმძლავრებელ მეფეებს. ბრწყინვალებითა და დიდებით მოსილ სააკაძეს პატივით არ ეკიდებოდნენ ის თავადნი, რომელთაც წინაპრების სახელი, ვით მითიური კაცმერთნი, ანიჭებდნენ მას სამეფო კარზე პირველობის საგანგებო უფლებას“.

შესანიშნავად აქვს გამოხატული არსი ამ მოვლენისა პლატონ იოსელიანს. მართლაც, მითიურ კაც-ღმერთად არის განსხეულებული დიდგვაროვანთა ამპარტავნობა, თვითდაჯერებულობა, პოზა და დამოკიდებულებაც არადიდგვაროვნებისადმი. ის „მითიური კაცმერთი“ — მათი წინაპრების სიმბოლო, დაკანონებულ შეუვალობასავით დგას ყოველი ახალი ენერგიის პირისპირ და თავდადრეკილ დგომას ავალებს, თუნდაც ასგზის აღემატებოდეს მათ თავისი ენერგიითა და ღირსებებით.

ამ ოდითგან მინიჭებული უპირატესობის დათმობა ვერ წარმოუდგენიათ დიდებულებს, თორემ დროის გარკვეულ მონაკვეთში სააკაძის უპირატესობას კიდეც გრძნობენ და ზოგჯერ ერთხმად აღიარებენ კიდეც:

„მაშინ თავადთა და დიდებულთა ქართლისათა და რომელ ჯერ იყო მოურავის მოყუარე, იწყინეს და დაუწყეს ბეზღობა

მოურავს და ეტყოდეს მეფეს მტერნი მოურავისანი ვითარმედ: „მოურავი კაცი დიდად კარგი არისო, მაგრამ ჩვენზედ დიდად უმცირესი არისო და უმრწემესი გუარითაო. ჩვენ იმათი ცოლნი და შვილნი და თავნი ყმად რათ მივცეთო და უმეტესად სუფრაჯმან შადიმან ბარათაშვილმა დაუცადებლად დაუწყო ბეზღობა მოურავს".

მაშასადამე, ღირსებებს დიახაც ხედავენ. ბოლოს და ბოლოს სულ ორი წლის გადახდილი იყო ტაშისკარის ომი. სხვა დამსახურებანი რომ არ ვიგულისხმოთ. მაგრამ ახლად გამორჩეული თავადი ერთბაშად „ძუელთაგანვე მთავართა გუარისანი" დიდებულების თავში მოექცეს და მეფესთან დამოყვრებით მათი მორჩილებაც მოინდომოს, ამას არც საკაძეს აპატიებენ დიდებულები და არც მეფეს. საკითხი, მართლაც, ასე დაისვა — ან ჩვენ, ან საკაძეო. შავით თეთრზე წერია ეს პირობა მატიანეში. მაგრამ მას სხვა მოვლენასთან დაკავშირებით შევეხებით. პერიფრაზს დავჯერდეთ.

თვითონ საკაძე შესანიშნავად გრძნობდა ამას. მან უწყოდა სტრუქტურა დიდგვაროვანთა სულიერი მდგომარეობისა. ამიტომაც ეუდრებოდა მეფეს: „მეფეო, მე ვარ ერთი მდაბალი ყმა შენი, დაღაცათუ ჟამისა ამის წყალობითა და თქუენის მრავლის კეთილის ბოძებით განმდიდრებულ ვარ და დიდ არის სახელი ჩემიო, არამედ მტერნი ჩემნი დასა ჩემს დედოფლად არავინ მიიჩნევს და არცავინ განდომებს თავს ჩემსა, დაგიწყებენ ბეზღობასა და გამიწყრომებენ თქვენს თავსაო".

* *

აუცილებელია აქვე გაანალიზდეს ის მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც გამოვლინდა საკაძის პიროვნებისადმი გაორებული დამოკიდებულება. გაორების გრძნობამ კი, რაც ამ ნაწარმოებში გამოიხატა, ბევრი დააეჭვა. მან ვერ შეუთავსა ერთმანეთს ისტორიკოსთა მიერ მიწვდილი საკაძის შეფასება-დახასიათებანი ზოგიერთ მხატვრულ (და არა მხოლოდ მხატვრულ) ნაწარმოებში ამოკითხულ ორჭოფულ შეფასებებს და რაღაც საჩოთირო, მიუტევებელ შეცდომებზე ლაპარაკს.

მწერალს აქვს უფლება თავისებურად წაიკითხოს ესა თუ

ის პიროვნება, თავისი ნაწარმოების სათქმელის შესატყვისად წარმოადგინოს მისი სულიერი მდგომარეობა, მაგრამ ისტორიული ჰეშმარიტების მაგისტრალური ხაზის დარღვევის უფლება მას არა აქვს. როდესაც მხატვრული ნაწარმოები ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების დაზუსტებასა და შეფასებაზე აცხადებს პრეტენზიას, თავისთავად უხერხულ მდგომარეობაში იგდებს თავს. რამდენადაც მწერლობის ვალია ადამიანის სულიერი ცხოვრების მოვლენების ასახვა და არა ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების კვლევა, დასკვნების გამოტანა ისტორიული მეცნიერების მოვალეობაა, რამდენადაც უფრო რთულია ესა თუ ის პიროვნება, მით უფრო ნაკლები უფლება რჩება მწერალს ნაწარმოებში მისი მეცნიერული დახასიათების მოტივი შეიტანოს, რადგან ის სირთულე სამართლიანად მოითხოვს მთელი ისტორიის საფუძვლიან შესწავლას და დიდი ანგარიში უნდა გაეწიოს ისტორიკოსებს, რომელთაც უზარმაზარი დრო და ენერგია დახარჯეს ჰეშმარიტების დადგენასა და პრობლემებზე მოსაზრებათა შეჯერებაში. ჩვენს ცოდნაზე არაფერს ამბობს სასიკეთოს ის ამბავი, რომ ვიცით მოვლენის სტერეოტიპული ხაზი: საკაძე რთული პიროვნებაა; დიდგვაროვნებთან მოუხდა კონფლიქტი, შაჰ აბასს შეეკედლა, თურმე შეცდომები მოსდიოდა და ქართველთა სისხლი ადევს ცოდვად, მარტყოფისა და მარაბდის ომებით უზარმაზარი საქმე გააკეთა, ბაზალეთის „ძმათაშორისი“ ომი ატეხა. ყველაფერი ამის ცოდნა არასგზით არ სცილდება ისტორიული მოვლენის არსზე ყურმოკრული ცოდნის შინაარსს, არაფრით! ეს არის ის, რაც გაგვიგონია საკაძეზე. ასეთი რიგის ცოდნას განეკუთვნება წყაროებსა და ისტორიკოსთა შრომებში ამოკითხული დამოკიდებულება საკაძის ფენომენისადმი. მწერლისთვის თითქოს საკმარისია, რომ რაღაც გაორებულ, ტრაგიკულ პიროვნებაზე ილაპარაკოს და დრამატიზმითა და ტრაგიზმით სავსე ნაწარმოები შექმნას. ის, რაც უმეტეს შემთხვევაში იცის მწერლობამ საკაძის პიროვნებაზე, მხოლოდ და მხოლოდ გარეგნული ნიშნებია. საკაძის ფენომენი და მისი დროის ისტორიული მოვლენების სული კი მოითხოვს საფუძვლიან შესწავლას იმ ლოგიკისას, რაც ფაქტებსა და მოვლენებშია ჩადებული, რაც მართავს ამ ფაქტებსა და მოვლენებს. ეს

გახლავთ ისტორიული ჰეშმარიტების ლოგიკა. მის ამოცნობას მემატიანეებმა, ასევე დღევანდელი საქართველოს ისტორიის მკვლევარებმა დიდი დრო მოანდომეს და ისტორიის ენაზე თქვეს თავიანთი აზრი. რა თქმა უნდა მწერლობა დიამეტრალურად განსხვავებულ პოზიციაზე არ დგას. მან შესანიშნავად უწყის სააკაძის უზარმაზარი დამსახურების შესახებ. მაგრამ რამდენადაც ძნელია საკითხის შეცნობისა და ამოწურვის მთელ გზას საგანგებოდ ადევნოს თვალი, იმდენად უნებურად რჩება ზოგი მათგანი რაღაც გაორებული, ბუნდოვანი, „რთული პიროვნების“ განწყობილების ტყეობაში და ადვილად გამოთქვამს ეჭვსაც და აღფრთოვანებასაც: ეჭვი კი ხალხის სულს ღრღნის. არა და არ თავსდება მის წარმოდგენაში ერისა და ქვეყნის მხსნელი ერისა და ქვეყნის მოღალატესთან.

სააკაძის პიროვნებისადმი გაორებული შეხედულებების გაძლიერებას სწორედ მწერლების ინტერპრეტაციებმა შეუწყო ხელი. თავდაპირველად არ მივმართავ კამათის ხერხს, ისევე როგორც არ გამიანალიზებია ისტორიული წყაროების ცნობები, არც კარგის მეტყველი და არც მაგინებელი. არ შევეხები არც იმ ნაწარმოებებს, სადაც სააკაძე დიდ მამულიშვილად და გაუბზარავ პიროვნებად არის წარმოდგენილი. ვგულისხმობ სიმონ ქვარიანის, ანა ანტონოვსკაიას, ტიციან ტაბიძის, ირაკლი აბაშიძის, იონა ვაკელის, უფრო ადრინდელს — აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას და სხვათა ლექსებს, პოემებს, პიესებსა და რომანებს.

მივსდიოთ ორჭოფული დამოკიდებულების გამამჟღავნებელ ნაწარმოებებს. მათ შორის ყველაზე უფრო უშეღავათოა ცნობილი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია. ერთ-ერთ თავის წერილში კონსტანტინე გამსახურდია სააკაძეს პირდაპირ უწოდებს კონდოტიერს, ავანტიურისტს. სააკაძის პიროვნება წაკითხულია XVII საუკუნის პირველი მეოთხედის დიდგვაროვანთა პოზიციიდან, იმ დიდგვაროვნებისა, სააკაძის აშკარა მტრებად რომ იწოდებიან. სწორედ ისინი ეძახდნენ დიდ მოურავს მოღალატეს, ქვეყნის მტერს. კონსტანტინე გამსახურდიას, როგორც იტყვიან, ჭირის დღესავით ეზარებოდა განურჩევლად ყველა, ვინც კი საქართველოში შემოჭრილ მტერს შემოუძღვებოდა ან

უბრალოდ ახლდა მას. ეს იყო გენში გადასული ზიზღი, რომელიც ანგარიშს არ უწევს მოვლენებს, მიზეზებს, ნებით თუ უნებლიე შეცდომებს. ასეთი ზიზღი არ მიმართავს განსჯას, არ იკვლევს მიზეზებს. გარეგნულად ერთმანეთის მსგავსი მოვლენების აბსოლუტურ შინაგან განსხვავებულობაზე თითქმის არ ფიქრობს. როდესაც ამგვარი დამოკიდებულება მართავს მწერლის განწყობილებას, ყოველთვის მოსალოდნელია მკვეთრი ფორმულირებები, კატეგორიული განცხდებები. კონსტანტინე გამსახურდია ჩვენი უსაყვარლესი მწერალია, ხალხში დიდად პოპულარული და, ცხადია, მკითხველის გაკვირვებული შეკითხვისა და დაბნევის მიზეზი სააკაძის საკითხთან დაკავშირებით ისიც არის.

სულ სხვაგვარად გაცნობიერებული შეხედულებების კვალი აზის გრიგოლ აბაშიძის ლექსში გაცხადებულ განწყობილებას, სააკაძის პიროვნებისადმი დამოკიდებულებას. „ნოსტეს ღრუბელი“ ერთსა და იმავე დროს გულისხმობს დიდი მოურავის ძლიერებასაც, მამულიშვილობასაც, საბედისწერო შეცდომებსაც და გულის შემკუმშავ სევდას თუ ტკივილს, რასაც განიცდის ყოველი ქართველი მარტყოფის ომის ავტორის დაკარგვის გამო:

სად გაძღენ მიწით თვალები საცრის,
სად ჩალპნენ მისნი მხარნი ფართონი,
ნოსტეს მთებივით ციცი და მკაცრი
ახლა სად არის ნოსტეს პატრონი.
მომელანდება, იგი მთებს უყურს,
მთებს იქით მისი კლდეკარებია,
მისი ძლიერი, დევნილი სული
კოშკის ნანგრევებს შეჰფარებია.
მომეჩვენება: ჩვილი ბავშვები
ფეხქვეშ უგია სპარსთა ქარავნებს,
და ფეხის მტვერი ყიზილბაშების
ველზე დარჯობილ ხმალს აქანავებს.
ვაი, მას, ვეფხი დასდევდა ვეშაპს,
ვეშაპი იყო შაჰი სულბნელი,
და ოქროქედილ თაღების ქვეშაც
გმირს ნატვრად ჰქონდა ნოსტეს ღრუბელი.
ეგებ ქართლს თვალი ვეღარ მოლანდოს,
ჯანდაბას ტახტი, მეფის პორფირიც,
შორს საქართველოს კორიოლანოსს

მგელივით გლეჯდა ჯავრი ორპირი.
მიწაში ეწყო მისი ბავშვები,
სევდას სიშორე ვერ აქარვებდა,
და ფეხის მტვერი ყიზილბაშების
ველზე დარჩობილ ხმალს აქანებდა.

„ნოსტეს ღრუბელი“ ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია გრიგოლ აბაშიძის შემოქმედებაში, აღსავსე დრამატიზმით და ტრაგიზმით ერთდროულად. თითქოს ერთი, ნაკლებმღელვარე სულიერი მდგომარეობა, დრამატიზმს რომ გულისხმობს, ერთბაშად გადაიზრდება მეორეში — ტრაგიკულში, როდესაც სულის დრტვინვა უკანასკნელ ზღვარს აღწევს. აქვე ისიც უნდა ითქვას საგანგებოდ, რომ არ დაწერილა გიორგი სააკაძის პიროვნებაზე მხატვრული ნაწარმოები, რომელიც განსაკუთრებული ინტერესით და ვნებათაღელვით არ იყოს დამუხტული. სულ ერთია, ვინ წერდა მას, ჰეშმარიტი მწერალი თუ მწერლობის რიგითი ჯარისკაცი. თემა თითქოს ენერგიის მაქსიმუმს მოითხოვდა და ნაწარმოებიც უფრო დაძაბული და მღელვარე გამოდიოდა. ამიტომ იზიდავდა და იზიდავს იგი ფანტაზიას, ძაბავს ყოველი მწერლის შემოქმედებით ძალებს. მწერლური შესაძლებლობა ამ თემასთან დაკავშირებით მაქსიმალურად ვლინდებოდა. თუ მარცხდებოდნენ, მასთან ჰიდილში მარცხდებოდნენ და ამდენად დანარჩენ სხვა ნაწარმოებებზე უკეთესად მაინც სააკაძეზე დაწერილი გამოიყურებოდა. დიდი მოურავის ცხოვრების აცახცახებული ნერვი დაცხრომას გამორიცხავს, ათასგვარ ჯურღმულში ახეტიალებს ფანტაზიას და შექსპირის ტრაგედიების შესატყვის (იქნებ უფრო ძლიერს!) ვნებებს შეახვედრებს. მხატვრულ სიტყვაში მისი პიროვნება იქნებ ჯერ კიდევ არ შეხვედრია თავის ჯუფთს, მწერალს, ვინც ამ ვნებებს დიდი ლიტერატურის ენაზე გააცხადებდა და იქიდან დაანახვებდა ქვეყანას. ამის თქმით სრულებითაც არ მცირდება ანა ანტონოვსკაიას, ვასილ ბარნოვის და სხვათა რომანების, მოთხრობების, პოემებისა და პოეტური ნაწარმოებების მნიშვნელობა. მათ თავიანთი გარკვეული ღირსება აქვთ და საყვარელ ნაწარმოებებადაც ითვლებიან. მღელვარებით ვკითხულობთ და კვლავაც მღელვარედ დაეწაფება ფართო აუდიტორია. განსაკუთრებით

უნდა ითქვას ეს ანა ანტონოვსკაიასა და ვასილ ბარნოვის რომანებზე.

გრიგოლ აბაშიძის ლექსი ერთ-ერთი საინტერესო პოეტური ნაწარმოებია, რომლის სტრიქონებიდან XVII საუკუნის საქართველოს კვნესა-გმინვა ისმის. ლექსში სააკაძის ძალმოსილების გვერდით, მის შეცდომებზეც არის მინიშნებული. ძნელია პირდაპირ თქვა, მაგრამ ალბათ უნდა ვივარაუდოთ, რომ „სპარსთა ქარავნებს ფეხქვეშ დაგებული ჩვილი ბავშვების“ ცოდვას სააკაძესაც უნაწილებს პოეტი. არც „ვაი მას“ არის თქმული უმისამართოდ. პოეტი აქ კი აშკარად ადანაშაულებს თავისი ლექსის გმირს: „ვეფხვი დასდევდა ვეშაპს“. ისე ჩანს, თითქოს სააკაძე თავისი სურვილით აღმოჩნდა შაჰის გვერდით. თითქოს ეს მისი პიროვნების სულიერი წიაღიდან მომდინარე არჩევანი იყო. ლექსში ტახტზეც არის მინიშნებული — „ჯანდაბას ტახტი, მეფის პორფირიც“ — უნდა ვიგულისხმოთ, რომ გრიგოლ აბაშიძის ინტერპრეტაციით სააკაძე ერთსაც ეპოტინებოდა და მეორესაც. მაგრამ, რაც მთავარია, დიდი მოურავი შედარებულია შექსპირის ტრაგედიის გმირთან — კორიოლანოსთან.

ვინ იყო კორიოლანოსი? იგი სააკაძის მსგავსად, მართლაც, არნახული სიმამაცისა და ზღაპრული ძალის პატრონია, დიდი სარდალი, არაერთხელ რომ უსახელებია სამშობლო. შემდეგ ამპარტავნობისა და პატივმოყვარეობისათვის თავისი ხალხის მიერ განდევნილი ქვეყნის მტრებთან მიდის და მალე მტრის ლაშქრის სათავეში მყოფი ბრუნდება სამშობლოს ასაოხრებლად. შექსპირის ტრაგედიის მიხედვით იგი საკუთარი პატივმოყვარეობის მონაა დ ბოლომდე ასეთად რჩება. არ შეისმენს უახლოესი ადამიანების მუხლმოდრეკილ თხოვნასაც — დაინდოს მშობელი ქალაქი და ნუ გაანადგურებს მას, როგორც გადამთიელი მტერი. ასეთია კორიოლანოსი. მასთან არის შედარებული გიორგი სააკაძე. მკითხველი, ცხადია, ამ შედარებასაც, სპარსთა ქარავნების „ფეხქვეშ ჩვილი ბავშვების“ დაგებას, და ვეშაპს ადევნებული ვეფხვის სიმბოლოსაც აღიქვამს, როგორც ბრალდებას, დანაშაულს. დარდი, სევდა, რითაც არის გამსჭვალული გრიგოლ აბაშიძის ლექსი, მართალია, ანელებს დანაშაულის განცდას, ტრაგიკულის შეგრძნე-

ბას ჩვენში, მაგრამ სტრიქონებს შორის ეჭვის გამოსაკვებად დიდი ულუფაა ჩადებული. იგი არც მოისვენებს. სააკაძის ძლიერ სულზე საუბარი იქნებ აწონასწორებს, მაგრამ ვერ ფანტავს დანაშაულის უსიამოვნო შეგრძნებას, რაც ლექსის სტრიქონებიდან შემოდის ჩვენში.

სააკაძის პიროვნების გაორებულობის თავისებური ასახვაა შოთა ნიშნიანიძის ლექსი „სააკაძის სამი ცხენი". ამ ლექსში მოცემულია ცდა სააკაძის დამსახურებათა და შეცდომათა მხატვრულ სიტყვაზე პირუთვნელად გაცხადებისა. ლექსი ერთ-ერთი მძაფრი პოეტური ნაწარმოებია, კვლავ და კვლავ რომ გვაგრძნობინებს სააკაძის პიროვნების ტრაგიკულობას, დიდ ენებათაღელვას, მასშტაბებს, მაგრამ შეგვახსენებს იმ შეცდომებსაც, დანაშაულსაც, რაც, პოეტის აზრით, სააკაძის სახელს ასდევნებია:

— ვის ცხენზე ზიხარ, ვის თეთრობზე, გიორგი, გიორგი!
— წმინდა გიორგიმ მიწყალობა, თეთრმა გიორგიმ.
— ეგ ხორასნული ხმალია თუ ელვა-მეხია?
— წმინდა გიორგიმ მისაჩუქრა, დიდმა სეხნიამ.
მელის მარაბდა, ტაშისკარი, მელის მარტყოფი.
სიმწარევ, ბოლმავ, მძულვარებავ, დღემდე ბარტყობდი.
— ცხენი ჰიხვინით, სისხლით გავრუმბე,
თათრის სულები მოვაძოვინე,
თათრის გნიასი ავკიდე ღრუბლებს
და შაჰს ირანში მოვაწოვინე.
. . . . . .
გზაჯვარედინზე გაიკლაკნა ბედი როკაპი,
და მოაწიეს, მოასიეს გველი ორკაპი.
— ვისი ცხენია, ეგ წითელი, ვისი გიორგი?
— მაღალი ხონთკრის ფეშქაშია... — ვაი გიორგის!
— შვილო, პირსახე დამიკენჭა შიშმა და ეჭვმა,
— ე მანდ მხრებს უკან ვინ გიდგანან?
— ღმერთი და ეშმა!
— ნუთუ მტერს უნდა ემსახუროო მოყვრის მაგიერ?
— თათარი უნდა გაალაღო მოთხრის მაგიერ?
და ჩალმა უნდა მოიხვიო ნაბდის მაგიერ?
ბაიათს უნდა ანაცვალო „მრაველ ჟამიერ?"
. . . . . .
— საით იჩქარი, ახლა საით, საით, გიორგი?
ფერი არ მომწონს არც შენი და შენი იორღის!
იქ ბაზალეთი ღვთისმშობელის ცრემლივით ბზინავს...

იქ დგანან ძმები ქართველები...
— აღმიდგეს ეინა!..
— ვისზე აღმართე ეჭ მარჯვენა... (ავაჰმე, ვაი...)
წმინდა გიორგიმ შეგაჩვენა... (ავაჰმე, ვაი...)
ფრესკა-ხატებზე მოიქუფრა დიდი სეხნია! —
სმალიც ვადაში გადამტეხია!
. . . . . .
კასპში კი ძეგლი — უკუღმართი დროის დიდება,
ვეებერთელას არა მახვილს, ჯვარს ეზიდება.
ელეა-გრიგალი — დაკუნთული ჯგრო მუხის რკოთა
ცდილობს, ამოხტეს ბრინჯაოდან, ბუდიდან, დროდან...
და თუმცა რიხი შეპკორძვია ტანს ქვითკირიეით,
ლომის ბუხუნში
ჩუმად ისმის
კაცის ტირილიც...

ლექსში ცხადად არის პოეტის პოზიცია გამოკვეთილი. იგი აღფრთოვანებულია ტაშისკარის, მარტყოფის, მარაბდის ომების გმირით, მისი მასშტაბური ძლევამოსილებით, გადახდილი ომების სიდიადით, ამ შემთხვევაში გიორგი სააკაძე წარმოდგენილია როგორც წმინდა გიორგის სურვილების აღმსრულებლად, ქვეყნის მესიად, ღმერთისაგან დალოცვილ და გზაგანათებულ რაინდად.

მაგრამ შოთა ნიშნიანიძისათვის სააკაძეში ცოცხლობს მეორე პიროვნებაც — მტრის სამსახურში მდგარი პიროვნებაც — ეშმაკისაგან შეცდენილი ქართველი, და ამ შემთხვევაში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს სააკაძის ნებაზეა დამოკიდებული, სად იქნება, საქართველოში, თურქეთში თუ ირანში. ვის მოემსახურება, ქართველ ხალხს, თურქეთის თუ ირანის სამეფო კარს. გავითვალისწინოთ, რომ ასეთივე შთაბეჭდილება რჩება მკითხველს გრიგოლ აბაშიძის ლექსიდან (ვაი მას, ვეფხვი დასდევდა ვეშაპს). სააკაძის ცხოვრების გზა ამ შემთხვევაში დახასიათებულია თვით სააკაძის სურვილის მიზეზით გამრუდებულად, მისი პირადი ინტერესებიდან მომდინარე გადაწყვეტილებების შედეგად. არა ჩანს, ეს იძულებითი მოქმედებაა თუ არა, უფრო ნებაყოფლობით არჩევანს ჰგავს, საყვედურიც ამიტომ არის ასე ღრმა, მძიმე. შოთა ნიშნიანიძისათვის დიდი მოურავის ცხოვრების გზა მეტისმეტად არის გამრუდებული. ერთი მხრივ, მასში სამშობლოს უერთგულესი რაინდი ჩანს, მეორეს მხრივ, საკუთარ კეთილ-

დღეობაზე მზრუნველი ავანტიურისტი, პირადი კეთილდღეობისათვის ხან ხონთქრის, ხანაც შაჰის კარზე რომ უხდება ყოფნა და თავისი ხალხის წინააღმდეგ გამოსვლა.

რაც მთავარია, პოეტი ბაზალეთის ომის ცოდვას მთლიანად სააკაძეს მიაწერს, ლექსში ეს აშკარად ჩანს. აქ სააკაძეს თვითვე აღუმართავს ხმალი თავის მოძმეებზე, თვით არის იგი მიზეზი ძმათაშორისი ომისა, სისხლისღვრისა, იგი ჩანს ავტორად ამ სასტიკი ბრძოლისა, „საქართველოს სირცხვილისა“, როგორც უწოდებენ ზოგჯერ ბაზალეთის ბრძოლას. მთელ რისხვას ლექსის მიხედვით (წმინდა გიორგის სახელით) პოეტი სააკაძეს დაატეხს თავს („ხმალიც ვადაში გადამტეხია“).

ლექსის ამ ნაწილში დიდი მოურავი წარმოდგენილია მხოლოდ ძმათა შემმუსვრელად. ბაზალეთის ომი გაგებულია, როგორც სააკაძის პატივმოყვარეობის კარნახით დატრიალებული უბედურება. და აი, ჩვენს წინაშეა სამსახოვანი პიროვნება გიორგი სააკაძისა: სამშობლოს მხსნელი, შაჰისა და სულთანის კარზე ნებით წასული მოღალატე და ძმათაშორისი ომის წამომწყები ბაზალეთთან. ეს სამსახოვნება პოეტისათვის იქცა დრამატიზმით აღსავსე ლექსის დაწერის მიზეზად. შოთა ნიშნიანიძე მისთვის ჩვეული ექსპრესიულობით გადმოგვცემს სამივე სახის შინაგან დრამატიზმს და ლექსს აბოლოებს ამ სამსახოვნების შესატყვისი პოეტური რეზიუმეთი, სადაც სააკაძის პიროვნებას გვიხატავს, როგორც უსაზღვროდ ტრაგიკულსა და აუხსნელს. ლექსის სამივე ნაწილში თითქოს ეცნობით სააკაძის ბიოგრაფიას, მაგრამ პოეტს. არც უცდია ეჩვენებინა და არც ჩანს ამ სამი სახის ერთმანეთთან დამაკავშირებელი ხერხემალი. ლექსში სამივე ბუნება ერთმანეთის გვერდით დევს მექანიკურად. ნაწარმოების სიმძაფრე გარეგნულ სირთულეს ეყრდნობა, ეყრდნობა იმ მოვლენის ე. წ. „აუხსნელ შინაარსს“... გასამებაა სიმძაფრის წყარო, იგი აღვივებს ინტერესს. იგი „ამტვრევს“ პოეტის ვნებებს და პოეტიც არ ცდილობს მოვლენის სიღრმეში შეჭრას. ტრაგიზმი ისედაც დევს ზედაპირზე, ტრაგიკულობის განცდა ისედაც დიდია. შოთა ნიშნიანიძე მაინც სააკაძის მხარეზეა შინაგანად. ლექსის დასასრულს თანაგრძნობა მძლავრობს, ინტუიცია სააკაძის სასარგებლოდ ეუბნება რაღაცას, სიმპათია

ძლიერდება, უკუღმართი დროის ხატება მნიშვნელოვანზე მიანიშნებს. მაგრამ ბაზალეთი და შაჰთან სამსახური ისეთი მძიმე ფერებით არის დახატული, რომ მკითხველის თვალში კიდევ ერთი საბუთი აღიმართება ბრალდებისა. რაღაც ღრმად დამაფიქრებელი მოტივები აშფოთებენ მის სულს.

რაკი სააკაძის პიროვნება გაორებულად წარმოიდგინება ზოგიერთი მწერლის თვალში, ჩნდება შინაგანი მოთხოვნილება, უზარმაზარი მოვლენა — ქართლ-კახეთის ფიზიკური გადარჩენა დიდი მოურავის ომის წყალობით რაღაც წმინდა წყაროს მიეწეროს. ზნეობრივი გმირის შინაგანი მოთხოვნილება უნებურად უკავშირდება სააკაძის სახელს, დიდი ომების ავტორს. მაგრამ რაკი მის გზაზე სისხლი, ეჭვი, ყოყმანი ბლომად დააჯგუფა ისტორიულმა მოვლენებმა, კრიზისულმა სიტუაციებმა, ამგვარი სიწმინდის წყარო მის შვილში — პაატაში სურთ დაინახონ. პაატას მოწამებრივი სიკვდილი სამშობლოსათვის ლაჟვარდივით ნათელია და კამკამა. მაგრამ ამ სიწმინდით მოხიბლულნი ლამის იქამდე მივიდეთ, რომ უნებურად ქართლ-კახეთის ფიზიკური გადარჩენა გიორგი სააკაძის ნაცვლად მის შვილს პაატას მივაწეროთ. პაატა რომ შთაგონების წყარო იყოს, ამაში რა არის მოულოდნელი და გასაკვირი, მაგრამ სერიოზულ დაფიქრებას ითხოვს ის გარემოება, რომ რიგ ნაწარმოებებში ზოგჯერ არასწორი ინტერპრეტაცია ეძლევა პიროვნებათა დამსახურებას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს, პაატას თავი რომ არ გაეწირა, ქართლ-კახეთი აყრას ვერ გადაურჩებოდა. თითქოს გვავიწყდება, რატომ დაადო ისტორიამ პაატას თავს ამოდენა ფასი, ვისი წყალობით მოხდა ეს. თითქოს ავიწყდებათ მამამისი — დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. კერძოდ, ავიწყდებათ, რომ მარტყოფისა და მარაბდის ომებით მოტანილი შედეგი პაატას დამსახურება კი არ არის, არამედ გიორგი სააკაძის დამსახურებაა, რომ პაატას თავს არავითარი წონა არ ექნებოდა, თუ მის ფასად სააკაძე ქვეყანას არ იხსნიდა, ერს არ იხსნიდა, თუ სამშობლოს პაატას არ შესწირავდა.

ზნეობრივი გმირის გზა ნათელია და შეუბღალავი. შემთხვევითი არ არის დღევანდელ ქართულ მწერლობაში ზნეობრივი გმირების: დიმიტრი თავდადებულის, ცოტნეს, ბერი

ცევდორეს, ქეთევან წამებულისა და სხვათა სახეების მეტი სიმძაფრით გაცოცხლება. მათი დამსახურება იმდენად ნათელია, აშკარაა, რომ ყოველგვარი ეჭვის გარეშე თავისთავად წარმოადგენს მამულის სიყვარულის საბუთს. როგორც მისაბაძი მაგალითი, კვალში ჩასადგომი ნაფეხური, იგი არავითარ გარკვევას არ ითხოვს. ათასი რენტგენის სხივით არის შემოწებული და ათასივე დაუფარავად, უმალ გვიმჟღავნებს მის მარტივ ამაღლებულობას.

პოლიტიკისა და დიპლომატის მოლიპულ გზაზე მოსიარულე კაცი კი, ვინაც ათასი ცილისწამება და ლაქა აიკრა არა თავისი, არამედ არჩეული გზის მიზეზით, გამუდმებულ, ხანგრძლივ, ძირფესვიან შესწავლას მოითხოვს და თავისთავად ზნეობრივი გმირის ნიმუშად ერთბაშად არ აღიქმება. თუმცა ზნეობრივი გმირისოდენი და იქნებ მეტიც ჰქონდეს გაკეთებული სამშობლოსათვის ამ მოლიპული გზის ტანჯვა-წამებით გავლის შემდეგ, იმ გზისა, რაზეც ეკვროდა ათასი ლანძღვა-გინება, ერთმანეთში აზელილი ფურთხი და დიდება. მხოლოდ სპეციალისტის მოუშორებელი ჩხრეკა და რუდუნებით გაწეული შრომა შეიძლება ერთმანეთისგან გამოყოს სინათლე და ბნელი, ერთმანეთში გადაწნული გეგმები და ზრახვები და რა გულმოდგინებითაც არ უნდა გაკეთდეს ეს, მაინც რჩება ისტორია იმ მიწერილი თუ ნამდვილი ცოდვებისა, ცილისწამებისა თუ შეჩვენებისა.

მით უმეტეს, საკაძის პიროვნებასთან დაკავშირებით ითქმის ეს, ვისადმი მტრობის მასშტაბიც საქართველოში უსაზღვროდ დიდი იყო, პირდაპირპროპორციული მისი შესაძლებლობებისა. შესაძლებლობებისა, რაც დროსა და სივრცეში ითხოვდა გაშლას და გაშლას კი არავინ არ ანებებდა. მოსაკლავად გამჭეებული, იგი სხვის კარზე ორჯერ გაქცეული, პოლიტიკური მტრების მიერ ლაფში ამოსვრილი, მკვდრეთით აღსდგა თავისივე გასაოცარი გმირობით, თავისი ერის გადარჩენით. მხოლოდ მას შეუძლია დარწმუნდეს საკაძის პიროვნების მთლიანობაში, ვინც საფუძვლიანად შეისწავლის ეპოქას. ხოლო ვისაც ამისათვის არ სცალია, მას ყურმოკრული ბრალდებების გარეგნულად სერიოზული იერი საფუძველს აძლევს ჭეშმარიტებად მიიღოს ბრალდება და თავისი დამოკიდებულება ამ ზედაპირუ-

ლი ინფორმაციების ქსოვილზე დააშენოს. არც ერთი მწერალი, ვინც ვრცელი ტილოს შექმნას განიზრახავს საკაძის პიროვნებაზე და საფუძვლიანად შეისწავლის მოვლენების არსს, არ დაუშვებს ასეთ გაუგებრობას. ისინი უთუოდ აღმოჩნდებიან ისტორიკოსთა პოზიციაზე, მაგრამ ლექსისა და მოთხრობების ქსოვილში გამოტანილი კონცეფციისათვის მთელი ეპოქის შესწავლა არ არის აუცილებელი. ამ შემთხვევაში განცდა, განწყობილება და ნაწარმოების დედააზრი ინფორმაციების ზედაპირულ ქსოვილზე აშენდება ხოლმე.

ინფორმაციის ზედაპირულობა ინერციის წყალობით ჯერ კიდევ ბატონობს. ცუდი სამსახური გაუწია გიორგი საკაძეს მიხეილ ჭიაურელის მიერ გადაღებულმა ფილმმა. საკაძის უბადაღებული აპოთეოზი არ შეიძლება. სრული შესწავლისა და შეცნობის გზაა მისი მთლიანობის დადასტურების ერთადერთი გზა. აპოთეოზმა კი უკურეაქცია გამოიწვია. მან სცადა გავრცელებული ხმების მიმალვა, დაფარვა. ხმები კი დიდი მოურავის შესახებ არ შეიძლება დაიმალოს. ისინი უვნებელნი ხდებიან თუ საშკარაოზე გამოვიტანთ და წარმომავლობის მიზეზებს დავუდგენთ. აპოთეოზმა ინტელიგენციის უნდობლობა გამოიწვია, მას, ცხადია, არც ევალება და არც მიმართავს წყაროების გულდასმით შესწავლას. ქართული წყაროების გადაკითხვამ კი საკვები მისცა ეჭვს. და აი, მწერლების დიდ ნაწილში პაატას ზნეობრივი გმირობა უფრო ფასეული გამოჩნდა, ვიდრე დიდი მოურავისა, რომელმაც ამდენი გადაიტანა, პაატასი, ვინც სწორედ იმიტომ აწამეს, რომ მისმა მამამ სამშობლო დაიხსნა...

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე „დიდმოურავიანის“ განხილვისას ლაპარაკობს რა გიორგი საკაძის მოღვაწეობაზე, დამსახურებათა გვერდით აღნიშნავს მის რაღაც „საჩოთირო საქმეებსაც“, მაგრამ არ ამბობს, არ აკონკრეტებს, რა და რა იყო ეს „საჩოთირო საქმეები“. მკითხველი კი დაეჭვდა, უნდობლობის გრძნობა გაუღრმავდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სახელოვანი მკვლევარი ეთანხმებოდა ზოგიერთ წყაროს მიერ მიწვდილ ცნობას ნაწილობრივ მაინც, მაგრამ რას და რის საფუძველზე ეთანხმებოდა, ამაზე არაფერს ეუბნება მკითხველს. მას „დიდმოურავიანი“ აინტერესებს როგორც ლიტე-

რატურული ნაწარმოები და მხოლოდ გაკვრით ეხება სააკაძის პიროვნებას.

მწერალ ლევან გოთუას აქვს ერთი მოთხრობა „უგზო ქარავანი". იგი სააკაძის უკანასკნელ დღეებს ეხება. კერძოდ, მის დატყვევებასა და სიკვდილით დასჯას. მოთხრობა უჩვეულოდ დიდ სევდას გვიმჟღავნებს, იგი ლევან გოთუას უკეთეს მოთხრობათა რიგს განეკუთვნება. მრავალი ეპიზოდი ოსტატურად არის შესრულებული, ეს ეპიზოდები დრამატიზმით არის აღსავსე. ამჯერად მოთხრობის მხატვრულ ღირებულებაზე მეტად ის ისტორიული კონცეფცია გვაინტერესებს, რაც მასში გაატარა მწერალმა. ლევან გოთუას აზრით, გიორგი სააკაძე გაორებული პიროვნებაა („ორშოლტიანი მათრახი"), ხან მტერს ავლებს მუსრს, ხანაც ქართველებზე აშიშვლებს ხმალს. მოვიტან აქ თქმულის დამადასტურებელ ადგილებს:

ერთის მხრივ:

„გორგასალი მოურავის ერთგულია, მაგრამ მას თავისი ჯიგარი აქვს. ტაშისკარი, მარტყოფი, მარაბდა, აქ კი იგიც გიორგის დიდი საქმეების გულდაგულ მონაწილე იყო".

მეორეს მხრივ (გიორგი სააკაძეს ალაპარაკებს მწერალი);

„ერთხელ უკუღმა მოქნეულ ხმალს — ათჯერ წაღმა მოქნეული ხმალი ვეღარ გამოაბრუნებს. მე მარჯვენა მიჭრიდა, გული გაბზარული მქონია. რაღაც ვერ დავთმე, მომერია, ჩანს დამძლია, ხმლის მარჯვედ ქნევა კი რა ბედენაა".

„ისეთი ხმალი მომეცით, ზედ ქართული სისხლი არ ეცხოს"! — ყრუდ მიაყოლა სიტყვა გატყორცნილ ვადას.

ჯერ დაიბნა გორგასალი, მერმე შეიხსნა თავისი ხმალი, ემთხვია და მიაწოდა.

— ნასყიდაანთ ხმალია, მაგრამ არ გაყიდულა არასოდეს:

— მერმე ბაზალეთი?

— შემინდე, ბატონო! ხმალი არ გამიძვრია ბაზალეთთან. ქარქაშიანად ვირიდებდი მომხვდურებს. აბა, დახედე! — და ქარქაშზე მრავალი ნაჭდევი აჩვენა.

წამოდგა გიორგი. მრისხანე თვალი გაუყარა. აღარც გორგასალმა დაჰხარა თავი.

საშინელმა სიბრაზემ დაუშარნა სახე მოურავს.

— შენ ჩემზე ბრძენი ყოფილხარ, მოხუცო! გამეცალე! არ დამენახო!

„არც ხმალი ვარგა ორპირიანი, არც მათრახი ორშოლტიანი. დიდ სიბრძნეს ზოგი თავში გაიგებს, ზოგი ბოლოს"...

როგორც ვხედავთ, მწერალი გიორგი სააკაძის გაორებულ პიროვნებად სახავს, კაცად, ვისი ქარავანიც უგზოდ, უმისამართოდ მიეშურებოდა. მართალია, ტაშისკარის, მარტყოფის, მარაბდის ომების დიდ საქმეებს უწოდებს, მაგრამ ეს მწერლის თვალში არ ცვლის არსს. სააკაძის გზას მცდარად მიიჩნევს და ტკივილნარევი სევდით აგვიწერს დიდი შესაძლებლობის ადამიანის ასე უსარგებლოდ წასვლას ამ ქვეყნიდან. მასვე ალაპარაკებს მოთხრობაში, თავს ადანაშაულებინებს. მთელ მის ღვაწლს ერთი დღის მოსამკელადაც არ თვლის.

ლევან გოთუას მოთხრობაში ჩადებულ კონცეფციას კიდევ უფრო აშიშვლებს კრიტიკოსი აკაკი ბაქრაძე. ლევან გოთუას მრავალტომეულს უძღვის მისი წინასიტყვაობა, სადაც სწორედ ამ კონცეფციაზეა ყურადღება გამახვილებული.

აკაკი ბაქრაძისათვის, ისევე როგორც ლევან გოთუასათვის, პრინციპულად არის მიუღებელი გაორებული პიროვნება, ვინც ხან სამშობლოს სამსახურში დგას, ხანაც მტრის სასარგებლოდ იღვწის. მოვიტან რამდენიმე ამონაწერს კომენტარების გარეშე:

„ქვეყნისა და ხალხის სამსახური უანგარობას მოითხოვს უპირველესად, უანგარობასა და ტრაგიკულ თავგანწირვას. ვისაც ეს არ შეუძლია, მას მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა თუ მოუწყვია და ისიც დროებით. ისტორიის სამართალი თუმცა ურმით დადის, მაგრამ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა დამნაშავე გაქცეოდეს თუნდაც ზებგერითი სისწრაფის თვითმფრინავით. ამ თვალსაზრისით, ფრიად საინტერესოა ლევან გოთუას მიერ დახატული გიორგი სააკაძის პიროვნება.

გიორგი სააკაძემ მთელი სიცოცხლე ბეწვის ხიდზე იარა. სამშობლოსათვის მედგრად იბრძოდა და არც მტრის სასარგებლოდ დაუზოგავს ძალა. საქართველოსათვის შვილიც გაიმეტა, მაგრამ მაინც უცხოეთში დალია სული. იქაც და აქაც ორგულად მიჩნეულმა, სიკვდილის წინ ისეთი ხმალი ინატრა, რომელსაც ქართველის სისხლი არ ეცხო".

„თანამოძმეთა სისხლში გასერილი ხმლით თავისუფლების მოპოვება არ შეიძლება. არც ორშოლტიანი მათრახით შეიძლება სამშობლოს სამსახური. გიორგი სააკაძეს კი ორშოლტიანი მათრახი ჰქონდა. დრო და ჟამის შესაფერისად ხან მტერს ურტყამდა და ხან მოყვარეს. მართალია, მსხვერპლს სწირავდა, მაგრამ მსხვერპლსაც ითხოვდა. არც იმას შეუძლია თავისუფლების გოდოლის აშენება, ვისი საკურთხეველიც ტარიგის სისხლით არის მოსვრილი. სურამის ციხის კედელში ჩატანებული ზურაბი იმიტომ ჰკრავდა და ადუღაბებდა ციხის კედელს, რომ იგი თავად იყო ზვარაკი. მისი ჯიმანკო სული არ დამძიმებულა მსხვერპლის სისხლით. ამ დუღაბის ძალა გიორგი სააკაძეს არ გააჩნდა. სამაგიეროდ ეს ძალა ალექსანდრე მეფეს ჰქონდა („გმირთა ვარამი"), ამიტომაც უპირისპირდებოდა ერთმანეთს ეს ორი ისტორიული პიროვნება ლევან გოთუას შემოქმედებაში. ალექსანდრე მეფეს არაფერი უსურვებია სათავისოდ. რაც ჰქონდა, რაც ჰყავდა, მამულს მიართვა მსხვერპლად".

თუ გიორგი სააკაძეს შევხედავთ, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟს, რომელშიც მწერალი თავის მხატვრულ კონცეფციას დებს, საკამათო ბევრი არაფერია, მაგრამ თუ ისტორიული ჭეშმარიტების დადგენის პრეტენზიაც აქვს, მაშინ საგანგებო ანალიზს მოითხოვს როგორც ლევან გოთუას, ასევე აკაკი ბაქრაძის მსჯელობანი. ამ ორი ავტორიტეტული მწერლის კონცეფციების უყურადღებოდ მიტოვება არ შეიძლება. ჯერჯერობით გავეცანით მწერალთა ერთი ნაწილის შეხედულებებს ამ პიროვნებაზე. ეჭვის გამაღვივებელის მსგავსი მოსაზრებანი სხვა მწერლების ნაწარმოებშიც არის გაბნეული. ყველას აქ მოტანა არც ხერხდება და არც არის საჭირო, რამდენადაც ისინი ერთი, გარკვეული მიმართულებისანი არიან და ან აბუნდოვანებენ დიდი მოურავის ცხოვრების გზაზე ჩვენს შეხედულებებს, ან ეჭვს ბადებენ.

ყველაზე უკეთ, ისე, როგორც ეს სააკაძის ტრაგიკულ პიროვნებას ეკადრება, დიდი მოურავის ხვედრი და ღირსება მერაბ ბერძენიშვილმა გამოხატა თავის ქანდაკებაში, რომელიც კასპში დგას. იმედი მაქვს, მარტოოდენ ჩემს აზრს არ ვამბობ — ეს არის დიდი ქანდაკებაა მასში გაცოცხლებულია

ეპოქის სული, ტკივილები, ტრაგედია, შემართება, იმედი, ძალმოსილება. ყველაფერი ეს საააკძის ფენომენშია შენივთებული. ცხენიც საააკძის არსით არის გაჟღენთილი, იგი დამუხტულია მარტყოფის ომის გმირის ენებით, ერთი მასაა, ერთი ფიგურა. ერთმანეთის არსიდან ერთმანეთშივე ჩაიქცევიან. ცხენის ყველა უჯრედი მეტყველებს თავისი მხედრის ფიქრით, ენებიანი სულისკვეთებით, საყვედურით, მრისხანებით — ეს ბრძოლის ცეცხლით ატაცებული რაშის გახელება არ არის. ცეცხლოვან სხეულში დიდი მოურავის ტრაგიკული ენებები ბრუნავს. ცხენის თვალები, კუნთები, მთელი ფიგურა სულ ზრახვებით არის დაწერილი. უნაგირის ტახტაზე ავარდნილა ეს ცეცხლი, საააკძის ფიგურა უბრალოდ კი არ ამართულა, თითქოს ცეცხლის შადრევნად იფრქვევა. ერის წიაღიდან ამოვარდნილი ხსნის ძალა უზამაზარ ხმალში ახელს თვალს, რადგან უკიდურესი შეჭირვების ჟამს ხალხის გადარჩენის ერთადერთი გარანტია ხმალს შედნობილ ენერგიად იქცა. ფიქრი, ღონე, შორსმჭვრეტელობა — ყველაფერი ერთ წამში მოითხოვდა გაცხადებას და ის წამი მთლიანად ხმალმა იტვირთა.

ამას გვაგრძნობინებს მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება. ერთადერთი შენიშვნა ამ ქანდაკების მიმართ უთუოდ არსებობს, მაგრამ, საიდან იღებს ამ შენიშვნის მიზეზი დასაბამს, სანამ იმ წყაროზე არ ვილაპარაკებთ, მანამ დამაჯერებელი არ იქნება დიდი მოქანდაკის მისამართით გამოთქმული საყვედური: ეს კია, კასპში — საააკძის მშობლიურ კუთხეში ამართულია დიდი პიროვნების საკადრისი ხელოვნების ჰეშმარიტი ქმნილება და იგი სულითა და ხორცით გვამაღლებს. ჩვენი დროის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოქანდაკეს საააკძის ცხოვრებისა და ბრძოლის შინაარსმა დიდებული ქანდაკება შთააგონა. ქანდაკებაზე მუშაობის დროს, როგორც ირკვევა, მერაბ ბერძენიშვილს მოსვენებას არ აძლევდა საააკძის ბედზე ფიქრი, მის გარშემო მოჯარული სინათლისა და ჩრდილის ტალღები. მის ტრაგიკულ ენებათღელვაში თავისთავად იკითხებოდა აზრთა სხვადასხვაობა, პოზიციების, პრინციპების დაპირისპირება, მაგრამ მარტოოდენ ტრაგიკულის შეგრძნებაზე არ შეჩერებულა მოქანდაკის ყურადღება. მის შეხედულებაში გაჩენილა

ბზარი. გაზეთ „სამშობლოს“ ფურცლებზე ქანდაკებასთან დაკავშირებით დასმულ ერთ კითხვას მერაბ ბერძენიშვილმა სააკაძის ცხოვრებისა და ბრძოლის მოკლე დახასიათებით უპასუხა და დასასრულ თქვა: „ვის დაუკარგავს დიდი შვილი?!“ რამდენ ტკივილს, განცდას იტვირთავს ეს ორიოდ სიტყვა, რამდენს გულისხმობს იგი. მოქანდაკე ფაქტიურად აღიარებს, რომ მისი ნაწარმოების გმირზე ბევრი საეჭვო თქმულა, ბევრი ბრალდება წაუყენებიათ მისთვის, თვითონაც დაეჭვებულა ამ ბრალდებებით, მაგრამ რამდენადაც დიდი მხედართმთავრის ამაგის დავიწყებაც არ შეიძლება, თავის ხალხს უთხრა, რომ დიდი შვილის დაკარგვა არაგზით არ ეგების! თვითონ შინაგანად, ცხადია, ბოლომდე არ ერწმუნება ამ ხმებს, მხოლოდ ერთ მოსაზრებას შეიძლება უწევდეს ანგარიშს და ეს ჩანს ქანდაკების პროპორციიდან, მაგრამ სხვა მხრივ დამუხტულია თავისი გმირის დიდი სულით. და მაინც ხმებს ხომ უნდა გაუწიოს ანგარიში, მოიგერიოს ან გააჩუმოს იგი ასეთი ძლიერი არგუმენტით: — ვის დაუკარგავს დიდი შვილი? ეს არგუმენტი მართლაც ყველას აჩუმებს, ოღონდ, ეს კია იმ ლაქას ვერ რეცხავს, რასაც ხმები სააკაძის სახელს მიაწერენ. „ვის დაუკარგავს დიდი შვილი?“ — შელავათს გულისხმობს, დათმობასაც ამ ხმებისადმი, არა სრულ თანაგრძნობას, ნაწილობრივ დათმობას.

ამიტომ საჭირო იქნება გზადაგზა მივუბრუნდეთ ყველა სადავო მოსაზრებას და დავადგინოთ, რისი თქმის უფლებას გვიტოვებს დიდი მოურავის ცხოვრების გზაზე დაკვირვება.

* *

სააკაძის ფენომენის შეცნობის გზაზე აუცილებელია გაირკვეს, თუ რა მიზნები ამოძრავებდა ამ პიროვნებას, რაც გვიდასტურებენ წყაროები, ისტორიკოსები, ფაქტები და მოვლენები — სააკაძის რა ფარულ და გაუმჟღავნებელ გეგმებს შეიცავენ ისინი. ამ მიზეზების შეუსწავლად შეუძლებელი ხდება როგორც ეპოქის უმთავრესი მოვლენების ამოცნობა, ასევე სააკაძის პიროვნების დახასიათება. ამ საპატიო მიზანთან კი დაკავშირებულია ქართველი ხალხის წარსულის უმნიშვნე-

ლოვანესი ეპოქის შინაარსი, მიზანიც, თავის მხრივ, ამ შინაარსიდან არის ამოზრდილი. ისინი ერთმანეთში გადადიან, ერთურთს ერწყმიან და ერთმანეთის ფესვებს კვებავენ.

მაგრამ იმისათვის, რომ სააკაძის მიზნები დაგვიდასტურდეს, საჭიროა მისი ბიოგრაფიის დასაწყისი კიდევ ერთხელ გავიხსენოთ. კერძოდ, საიდან მოვიდა ეს კაცი, რა ადგილი ეკავა ფეოდალურ კიბეზე მის გვარს, რის უფლებას აძლევდა თავისი წოდებრივი მდგომარეობა და პიროვნული ღირსებები — ერთად აღებული. პლატონ იოსელიანს, ხოლო ჩვენს დროში ისტორიკოს გივი ჯამბურიას და ფილოლოგ რიმა ფირცხალაიშვილს დეტალურად აქვთ შესწავლილი სააკაძის გენეალოგია, მისი გვარის აღზევების მთელი გზა, პირადად სააკაძის აღზევება წყაროებსა და საბუთებზე დაყრდნობით.

როსტომ მეფის (ხოსრო-მირზა) მიერ გაცემულ „წყალობის სიგელში“ გიორგი სააკაძის წინაპრად მოხსენიებულია ვინმე ჯანზურაბ სააკაძე. იგი თამარ მეფის დროს მოღვაწეობდა და თამარისაგან განსაკუთრებული დამსახურების გამო წყალობად მიუღია მამულები. უფრო ადრეული წინაპარი გიორგი სააკაძისა საბუთებსა და წყაროებში არ ჩანს. ოღონდ, საფიქრებელია, რომ სააკაძეთა გვარი მანამდეც იწოდებოდა აზნაურად.

1652 წლის „წყალობის სიგელში“, რომელიც გიორგი სააკაძის ვაჟის — იორამისათვის მიუცია როსტომ მეფეს, ვკითხულობთ: „შენი ძველის მთა-მამულების წერილებიც გავშინჯეთ. ნეტარად ხსენებულს თამარს შენის გვარის სააკაძის ჯანზურაბისათვის რაც სოფლები ებოძებინა, თქვენს ძველს სამკვიდრებელს გარდა, და აგრეთვე დავით მეფეს და დიდ სიმონ მეფეს და ლუარსაბ მეფეს, კიდევ გულშარ დედოფალს და სხუათა მეფეთა რაც წყალობა ექმნათ, ამათი წერილებიც გვაჩვენეთ“.

როგორც ვხედავთ, ერთობ ტევადი ცნობაა, ამ ცნობიდან ვტყობილობთ, რომ იორამ სააკაძეს როსტომ მეფისათვის მრავალი წყალობის წიგნი უჩვენებია. მათგან უფრო მნიშვნელოვანთ როსტომ მეფე ჩამოთვლის კიდეც. ჩამოთვლილთაგან, გივი ჯამბურიას სიტყვით შემორჩენილია სიმონ I დიდის,

ლუარსაბისა და გულშარის საბუთები. ჩვენამდე არ მოუღწევია თამარ მეფისა და დავით მეფის (დავით IX) მიერ გაცემულ საბუთებს. მაგრამ, როგორც ირკვევა, იორამს სხვა საბუთებიც ჰქონია ხელთ. „და სხუათაო" — წერს როსტომ მეფე. არგუმენტებად, ცხადია, ჩამოთვლილი საბუთებიც კმაროდა, მხოლოდ ამიტომ არ გააგრძელა როსტომ მეფემ საბუთების დასახელება. მაგრამ „და სხუათაო" შემთხვევით არ იქნებოდა დოკუმენტში თქმული. გარდა ამისა, ჩანს, რომ ჯანზურაბ სააკაძისათვის თამარ მეფის მიერ მამულების წყალობის დროს ამ გვარს ჰქონია „თავისი სამკვიდრებელი". არა მგონია უბრალოდ გლეხის სამკვიდრებელზე იყოს საუბარი. მაშინ საბუთში საჭირო არ გახდებოდა ყურადღების გამახვილება „თქვენს ძველ სამკვიდრებელზე" და რაკი ამის აღნიშვნა საჭიროდ ჩათვალეს, ცხადია, მნიშვნელოვანი ადგილ-მამულის პატრონად ჩანან სააკაძეები. სოფლებს ერთბაშად გლეხს მეფე არ აჩუქებდა და თუ უწყალობებდა, უკვე გააზნაურებაზე მიდგებოდა საქმე და საბუთში სწორედ ეს მნიშვნელოვანი ფაქტი აისახებოდა. ერთი სიტყვით, გვარი ჯანზურაბ სააკაძემდეც მოღონიერებული ჩანს. ყოველივეს ამის ცოდნა აუცილებელია, რათა ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ გიორგი სააკაძის საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, კერძოდ, იმაზე, თუ როგორ თანდათან, კანონზომიერად, ისტორიულად ხდებოდა სააკაძეთა გვარის დაწინაურება-ამაღლება.

პლატონ იოსელიანს ხელთ ჰქონია როსტომ მეფის მიერ გაცემული მეორე „წყალობის წიგნიც". მასში მოხსენიებულია ვინმე დონა სააკაძე, როგორც საქართველოს მეფის ბაგრატ V დიდის (1360–1395 წწ.) ახლო თანამებრძოლი. თემურ ლენგის მიერ თბილისის აღებისას იგი ტყვედ ჩავარდნილა ბაგრატ მეფესა და დედოფალ ანასთან ერთად. მივაქციოთ ყურადღება ამ ფაქტს — დონა სააკაძე მეფესთან ერთად ვარდება ტყვედ, მასთან ერთად არის თბილისში, უახლოესი კარისკაცია და იმდენად თავდადებული, რომ მეფეს გვერდიდან არ შორდება ტყვედ ჩავარდნის დროსაც. მეფისადმი ერთგულების ტენდენცია ბატონობს ჯანზურაბ სააკაძიდან მოყოლებული სააკაძეთა გვარში, თაობიდან თაობას გადაეცემა ეს ტრადიცია. ისტორიკოსთა მიერ კარგად არის ახსნილი ამ

ტრადიციის გამომკვებავი მიზეზები, ასევე ხსნის მას პლატონ იოსელიანი, აკად. ნიკო ბერძენიშვილი და უშუალოდ საააკაძის ეპოქის ზედმიწევნით კარგად მცოდნე გივი ჯამბურიაც. აზნაურული სულისკვეთება მეფის უფლებების გაძლიერების, სახელმწიფო ცენტრალიზაციის მხარეზეა. მეფის ხელისუფლების განმტკიცება კიდევ უფრო აძლიერებს აზნაურთა კლასს, რაც შეეხება ადგილმამულებით გაყოყოჩებულ დიდგვაროვნებს, ისინი, როგორც წესი, ეურჩებიან მეფეს, პატარა ხელმწიფეებად გრძნობენ თავს თავიანთ სამფლობელოში და ფაქტიურად ქვეყნის დაქუცმაცებისა და დაუძლურების პროცესს ემსახურებიან. მეფეს სწორედ აზნაურთა (არა დიდგვაროვანთა) კლასზე დაყრდნობით შეუძლია ქვეყნის გაძლიერება-განმტკიცება. სამაგიეროდ, აზნაურებს წყალობა ელით მეფისაგან. ეს წყალობა, უმეტესწილად მამულების ბოძებით რომ გამოიხატებოდა, საბოლოოდ თავადობისაკენ მიმავალი გზაა, ამ გზაზე კი ყოველი რიგითი აზნაური დგას და ყოველი მათგანი ოცნებობს გათავადებაზე, ეს სავსებით ბუნებრივი ადამიანური სურვილია, ისტორიული სინამდვილით დადასტურებული შინაარსია.

და აი, აზნაურთა ეს ცნობილი გზა აღზევებისა — გაიარა გიორგი საკაძის გვარმა.

XVI საუკუნისათვის საააკაძეთა გვარი არნახულად მოღონიერებული ჩანს. დიდი მოურავის წინაპარი — გიორგი საააკაძე — უკვე პატრონად იწოდება 1547 წლის საბუთში. ივანე ჯავახიშვილის აზრით, პატრონად მხოლოდ მსხვილი ფეოდალი იწოდებოდა. დიდი თანამდებობა და დიდი ქონება ყოველთვის არ ნიშნავდა ფეოდალობას. გივი ჯამბურიას აზრით, ამ დროისათვის საააკაძეები ჯერ კიდევ არ არიან თავადები.

საააკაძეთა გაძლიერება მხოლოდ და მხოლოდ მეფისადმი ერთგულების გზით მიდის. გიორგი საააკაძის მამა სიაუში და ბიძები ზეშთაელი, ზურაბი და ივანე დაახლოებულნი არიან სამეფო კართან და თავდადებით ემსახურებიან სიმონ I დიდს. გივი ჯამბურიას ცნობით: „1569—1578 წლებში (როცა სიმონ მეფე სპარსელების ტყვეობაშია) სიმონის მეუღლე, დედოფალი ნესტან-დარეჯანი, „ერთგულსა ყმასა და თავდადებით ნამსახურს საააკაძეს გიორგის შვილს ზეშთაელს“ წყალობად აძლევს ქ. გორში ერთ კომლ ვაჭარს თავისი მამულით“.

ამ ზეშთაელის ერთ-ერთი ძმა, ე. ი. გიორგი სააკაძის — დიდი მოურავის ბიძა სახლთუხუცესია ქართლის მეფის კარზე, თანაც ხანგრძლივად 1590 — 1607 წლებში. სახლთუხუცესობა კი, მოგეხსენებათ ძალიან დიდ თანამდებობად ითვლებოდა. მაშასადამე, სააკაძეთა აღზევება სიმონ მეფის მიერ განსაკუთრებით დაჩქარდა და თვალში საცემი გახდა სიმონ მეფის მემკვიდრეების გიორგი X და ლუარსაბ II დროს.

მეფისადმი სააკაძეთა თავდადებული სამსახური ისტორიული საბუთებით ასე ცხადლივ მტკიცდება. და ეს ბევრს გვეუბნება საგულისხმოს. ახლა დიდი მოურავის მამაზე — სიაუშზე უშუალოდ:

„სამეფო კართან დაახლობული და დიდი თანამდებობის პატრონი იყო ზეშთაელ სააკაძის ერთ-ერთი ძმაც — დიდი მოურავის გიორგის მამა სიაუში. ის სიმონ მეფის მუსაჰიბი (მრჩეველი) ყოფილა. სიაუში მუსაჰაბად იხსენიება 1588 წლის ერთ საბუთში. ამავე დროს ორენოვანი საბუთის ქართულ ტექსტში ის მუსაჰაბად, ხოლო სპარსულ ტექსტში მოლარედ არის მოხსენიებული. როგორც ჩანს, სიაუში მეფის საჭურჭლის (საგანძურის, სალაროს) გამგებელი ყოფილა, 1590 წელს მას უკვე მოურავის თანამდებობაც უჭირავს. მართალია, აქ არ არის ნათქვამი, თუ რისი მოურავია სიაუში, მაგრამ საფიქრებელია, რომ ის სწორედ თბილისის მოურავი იყო და შემდეგ ეს თანამდებობა მისმა შვილმა გიორგიმ მიიღო მემკვიდრეობით, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა იმ დროს“ (გივი ჯამბურია).

ერთი სიტყვით, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ სააკაძეთა გვარი აზნაურთა დაწინაურების ტიპიური გზით ამაღლდა. ეს გზა მეფისადმი ერთგულების, სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის გზაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი სააკაძის ახლობლების ერთგულება სიმონ I დიდისადმი. მამა, ბიძები, თვითონ გიორგი სააკაძე თავდადებით ემსახურებიან სიმონ I დიდს, მის შვილს გიორგი X, შვილიშვილს ლუარსაბ II. ამ თავდადებული სამსახურის საფასურად წინაურდებოდნენ ისინი და მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ. სიმონ დიდისა და მისი

შთამომავლობისადმი ერთგულება ქვეყნის სიმტკიცე-გაძლიერებისათვის ბრძოლის ტრადიციას ამკვიდრებდა საკაძეთა გვარში. ტრადიცია კი სულისკვეთების აღმზრდელია, იგი აყალიბებს პიროვნებას, განსაზღვრავს მის სამოქმედო გეგმებს და ამ გეგმების აღსრულებისათვის გადადგმულ ნაბიჯებსაც.

გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტსაც, რომ თეით გიორგი საკაძე — დიდი მოურავი იყო უშუალოდ სიმონ მეფის თანამებრძოლი. იგი სრულიად ახალგაზრდა იბრძვის მის მხარეზე. 1594 წელს სიმონ მეფეს გიორგი საკაძისათვის მიუცია წყალობის წიგნი, სადაც „ერთგულს, თავდადებით ნამსახურს ყმას უწოდებს". მეფემ ლისი უწყალობა საკაძეს, გარდა ამისა, ცნობილია, რომ მიქელ თამარაშვილი, ვისაც ხელთ ჰქონია მოხსენება პიეტრო დელა-ვალესი, წერს: „პიეტრო დელა-ვალე მოგვითხრობს აგრეთვე, როგორ ხშირად დაიარებოდნენ პატრების წირვაზე ბატონი მერაბ, რომელიც სიმონ მეფეს ტყვეობაში ახლდა დიდხანს, მისი შვილი და სხვა". ეს ფაქტი „დიდმოურავიანის" — სტრიქონებითაც მტკიცდება.

რატომ აქვს ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობა სიმონ მეფის გვერდით საკაძის ბრძოლას? სიმონ მეფის მხარდამხარ დიდგვაროვნებიც იბრძოდნენ, ცხადია, მათშიც ერია პატრიოტები, ყველა როდი იყო „საკუთარ ჯამს ჩამაცქერალი", მაგრამ ამ საბუთებზე, ისტორიკოსთა ცნობებზე მკითხველის ყურადღება იმიტომ შევაჩერე, რომ ნათელი იყოს აზნაურთა გვარის, ამ შემთხვევაში საკაძეთა გვარის და, უპირველეს ყოვლისა, დიდი მოურავის მოღვაწეობის კურსი. ისინი მთელ თავიანთ ცხოვრებასა და მოღვაწეობას მეფეს უკავშირებენ, სისტემატურად, განუხრელად და განუწყვეტლივ მის სამსახურში არიან, მის გვერდით დგანან, აქ — საქართველოში, იქ ოსმალეთში, ტყვეობის დროს დიდხანს გვერდიდან არ შორდება გიორგი საკაძე სიმონ I. ეს ერთგულება არაფრით არ ჰგავს დიდგვაროვანთა ცხოვრების წესს. აი, რა არის მთავარი. მეფის გვერდით მათი დგომა ყოველთვის ეპიზოდურია, სიტუაციების ლოკალურ საზღვრებში თავსდება მათი თანადგომა. ან ქვეყნის უკიდურესი გაჭირვება იწვევს ამ თანადგომას, ან ზოგჯერ თვითონ დიდგვაროვანის

პირადი ინტერესები დაემთხვევა მეფის მიზნებს. მეფისადმი განუხრელი ერთგულების კურსი მათთვის არ არსებობს. ასეთი კურსი საერთოდ აზნაურთა კლასს აქვს, ამ შემთხვევაში გიორგი სააკაძის გვარს. მეფის ხელისუფლებისათვის ბრძოლა საკუთარი მამულების გაფართოებისათვის ბრძოლასაც გულისხმობდა, მაგრამ ეს ბრძოლა მუდამ დამუხტული იყო, ან თავისთავად იმუხტებოდა სამშობლოს ინტერესებით. სიმონ მეფისა და საერთოდ ყველა მეფის ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისაკენ მიმართული, ცხადია, გადახლართული იყო სამეფოს, ქვეყნის ინტერესებთან, პატრიოტული სულისკვეთება აწვდიდა მაცოცხლებელ წვენს მას. მით უმეტეს, სიმონ მეფის მხარდამხარ ბრძოლა ნიშნავდა სამშობლოს ინტერესებისათვის თავდადებულ ბრძოლას. ეს მეფე, რამდენიმე მეფის მსგავსად საქართველოს ისტორიაში სამშობლოსათვის რომ დაიფერფლა, სანიმუშო მაგალითი იყო თავგანწირვის, დაუცხრომელი ბრძოლისა. სიმონ მეფე იყო ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარის, გიორგი ბრწყინვალის, ბაგრატ დიდის მეფური ცხოვრების სტილის გამგრძელებელი. ეს სტილი გულისხმობდა პირადი კეთილდღეობის დათმობას, რაკი ქვეყანას შველა სჭირდებოდა. არ ჰგავდა იმ მეფეებს, გაბმულ ქეიფებსა და ნადიმებს გადაყოლილნი, სამეფო საქმეებისათვის რომ ვერ იცლიდნენ, მეფობა დაარხეინებულ ყოფნად რომ წარმოედგინათ და ამის გამო არასოდეს არ იყვნენ მზად მტრის დასახვედრად. სიმონ მეფის ბრძოლისა და მოღვაწეობის წესი განმსჭვალავდა მისდროინდელ ქართლის ცხოვრებას. თავდადებულობა, ერთგულება ბუნებრივ მოთხოვნილებად იქცეოდა. ეს სტილი ზრდიდა და ასულდგმულებდა ნამდვილი პატრიოტების სულისკვეთებასაც. ამ ადამიანის გვერდით იდგნენ გიორგი სააკაძის მამა და ბიძები, რაშიც საბუთებმა დაგვარწმუნა. მის გვერდით იდგა გიორგი სააკაძე ლხინსა და ჭირში. ახლდა გადასახლებაში და დიდხანს გვერდიდან არ მოშორებია. თვითონაც, წინაპრებიდან მოყოლებული, მამა-ბიძებით დამთავრებული, მეფისადმი ერთგულების ტრადიციით აღზრდილი, ბუნებით უსაზღვრო პატრიოტი და მოყვარე თავისი მიწისა, სიმონ მეფის გვერდით იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა

საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ პიროვნებად, მოგვევლინა სიმონ მეფის დიდი საქმეების გამგრძელებლად. იყო უნიჭიერესი მოწაფე მისი სკოლისა, შემდეგ ქართლისა და კახეთის ბედის გამრიგე, ქვეყნის მხსნელი და განმამტკიცებელი. ამ დიდ გზაზე მას უფრო დიდი და დახლართული წინააღმდეგობა შეხვდა, ვიდრე სიმონ მეფეს. რატომ და როგორ, ამას გზადაგზა დავინახავთ და ეს აზრიც დაგვიდასტურდება. ჯერჯერობით კი გზის დასაწყისთან ვართ, როდესაც ფაქტიურად, ე. ი. სოციალურ-ეკონომიკურად საყაძეები თავადები არიან, „მაგრამ ეს არ იყო განმტკიცებული ტრადიციით და ამდენად არ იყო აღიარებული ოფიციალურად" (გივი ჯამბურია).

გივი ჯამბურიას სიტყვები გამოდგება აგრეთვე ზემოთ განვითარებული მსჯელობის შესაჯამებლად და დასადასტურებლადაც:

„მიუხედავად აღნიშნულისა, საყაძეები მაინც განსხვავდებიან სხვა ძირძველი თავადებისაგან. ამ თავადთა იმდროინდელი სიძლიერე მეფის ხელისუფლების სისუსტით იყო განპირობებული. საყაძეთა ფეოდალური გვარი კი მეფის (ჯერ სიმონ, მერე კი გიორგი X და ლუარსაბ II) მომხრეობით და მათი დახმარებით იყო გაძლიერებული და აღზევებული. მათი ეს გაძლიერება ძირძველი თავადების ხარჯზე ხდებოდა. არა მარტო ილახებოდა ამ თავადთა სამამულო ინტერესები, არამედ ისინი კარგავდნენ პოლიტიკურ მდგომარეობასაც. მაშინ, როდესაც საყაძეები სახლთუხუცესები და თბილისის მოურავები იყვნენ, დიდი თავადების წარმომადგენელი შადიმან ბარათაშვილი იძულებული იყო მეფის სუფრაჯობას დასჯერებოდა (სუფრაჯი კი სახლთუხუცესის ხელქვეითი მოხელე იყო). გასაგებია, რომ საყაძეთა ინტერესები, დიდ თავადთაგან განსხვავებით, მეფის ხელისუფლების გაძლიერება-განმტკიცებას მოითხოვდა, რათა ამით შეენარჩუნებინათ მოპოვებული მდგომარეობა და მიეღწიათ ახალი წარმატებებისათვის".

მივაქციოთ ყურადღება აქ უკვე მშვენივრად დახასიათებულ წინააღმდეგობას. აქსიომატურ ჭეშმარიტებად არის ცნობილი ეს წინააღმდეგობა. დიდგვაროვანთა სიძლიერე, მართლაც, მეფის ხელისუფლების შესუსტებისას არის შესაძ-

ლებელი. ამ დროს იგი თავის ზენიტზე ადის ხოლმე. დავით აღმაშენებელს ქვეყნის აშენებისა და გაძლიერების გზაზე სწორედ ისინი — ბაღვაშები უწევდნენ წინააღმდეგობას — გააფთრებულ წინააღმდეგობას, რადგან სწორედ მათ არ აწყობდათ ძლიერი მეფე. გასაგებია, რატომაც. მეორე აქსიომატური ჭეშმარიტება წინააღმდეგობის მასაზრდოებელ ლოგიკას გულისხმობს: „ძირძველი“ თავადების მამულის შევიწროების ფასადაც ხდებოდა სააკაძისმაგვარი ხალხის დაწინაურება-აღზევება. მარტო სახელმწიფო მამულებიდან არ გაიცემოდა ეს მიწები. ზოგჯერ თავადები ისჯებოდნენ ორგულობისათვის და მათი მიწები ერთგული მსახურების, აზნაურების ხელში გადადიოდა. აზნაურთა აღზევება, სამეფო კარზე დიდი თანამდებობის დაკავება ასევე დიდ თავადთა ჩამოქვეითების ხარჯზე მიმდინარეობდა. წინააღმდეგობა მძაფრი სოციალური ფესვებით საზრდოობდა და თავისთავად გადაიზრდებოდა ხოლმე პოლიტიკურ წინააღმდეგობაში.

მაშასადამე, გიორგი სააკაძე თავადია, მაგრამ ეს არ არის „ტრადიციით განმტკიცებული“ და ოფიციალურად აღიარებული, ე. ი. იგი დიდგვაროვნებს არ ეკუთვნის, კიდევაც რომ დამტკიცებულიყო მისი თავადობა ოფიციალურად და დიდგვაროვნად ეღიარებინათ, ეს მისი პირადი დამსახურებით მოპოვებული მდგომარეობა იქნებოდა და არა საუკუნეებით განმტკიცებული წოდებრიობა. „ძუელთაგანვე დიდგვაროვნები“ ამ შემთხვევაშიც ვერ მოითმენდნენ მის აღზევებას. გიორგი სააკაძე „მეფის შემდგომ“ პირველ კაცად, როგორც ამას აღნიშნავენ ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბაგრატიონი, აქცია თავისმა ნიჭმა, უნარმა, ენერგიამ და დამსახურებამ და სწორედ ეს „თავისით მიღწევა“ ზრდის მის წინააღმდეგ შურის უძლიერეს გრძნობას დიდგვაროვნებში. სწორედ ამიტომ არის მათთვის მიუღებელი სააკაძის უფროსობა.

მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რისთვის აამაღლეს სააკაძის გვარის ხალხი მეფეებმა და თვით გიორგი სააკაძე ასეთ დიდ ფიგურად რისი წყალობით იქცა. მეფის ერთგულება და სამეფოს განმტკიცება-გაძლიერებისათვის ბრძოლა იყო უმთავრესი მიზანი, როგორც წინაპრებისა, ასევე მათი უველზე დიდი შთამომავლის გიორგი სააკაძისა.

და მაინც გამომდინარე აქედან, რას გვიდასტურებს გიორგი საკაძის გზა, რა იყო მისი ცხოვრების უმთავრესი მიზანი? ქვეყნის გაძლიერება, მეფის ცენტრალური ხელისუფლების კიდევ უფრო განმტკიცება რომ იყო მისი მოღვაწეობის ამოსავალი წერტილი, ეს ყველა ზემოთ მოტანილი საბუთით და მოტივით დასტურდება. უფრო დიდი და ხელშესახები მიზანი შემდგომ გამოჩნდება, მაგრამ ნუ ავჩქარდებით — მივყვეთ დიდი მოურავის ინტერესების მაგისტრალს.

ლუარსაბ II მეფობის დასაწყისისათვის ქვეყანა ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

„ამა ჟამსა შინა იყო ქართლი ფრიად გლახაკი და სახმართაგან უღონო! ლაშქრობისა და აოხრებისაგან პირველად იაეარქმნილიყო ურუმთაგან, და უფროსად, სვიმონ მეფე რომ ურუმთ ტყვედ ჰყვეს, მაშინ გამოიღეს სახსარი მრავალი და არღარა დაზოგეს ქართველთ თვისის ბატონის გამოხსნისათვის და ამაში მეტად გლახაკ და უპოვარ იყო ქართლი“—ბერი ეგნატაშვილი.

„ამ ჟამებათა შინა განმკვიდრებულ იყვნენ მთავარნი და დაეპყრათ ხევნი და ხეობანი თვისად“ — ვახუშტი ბაგრატიონი.

ე. ი. სიმონ მეფის ბრძოლებმა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დიდი ენერგია გამოსთხოვა ქვეყანას, მეფის დასახსნელად ქვეყანამ დიდი „სახსარი“ გაიღო და გაღატაკდა ისედაც დარბეული და „უპოვარი“. ქართლის მთავრები კი, ეტყობა, პარპაშობენ. დაუპყრიათ ხევები და ხეობები. ქვეყანაში სრული ანარქია გამეფებულა.

ლუარსაბ მეფემ ძალიან დაიახლოვა საკაძე, გადასცა მას მამამისის თანამდებობა და დანიშნა თბილისის მოურავად (1608 წ. იგი თბილისის მოურავად იხსენიება). ვახუშტის ცნობით, იგი ცხინვალისა და დვალეთის მოურავიც ყოფილა. გიორგი საკაძემ ქართლის მეფეს დაუმორჩილა გამდგარი მთიელები, მათ შორის ოსები და დვალები. დიდი ფეოდალი, არაგვის ერისთავი ნუგზარი თავისთავად შეიქნა მეფის ერთგული — იგი სიმამრი იყო გიორგი საკაძისა. შესუსტდა ფეოდალთა ანარქია. საკაძემ ყურადღება მიაქცია ქვეყნის მოშენებასაც. ხელი შეუწყო ომიანობის დროს გაბნეული მოსახ-

ლეობის უკანვე, ფუძეზე დაბრუნებას. ამას მოჰყვა ქვეყნის ეკონომიკური მოღონიერება, რაც თავისთავად გადაიზრდებოდა ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკურ ძლიერებაში. პლატონ იოსელიანის ცნობით, გიორგი სააკაძემ ცხინვალსა და თბილისში ციხეები შეაკეთა და დვალეთის მთებში ახალი სიმაგრეები ააგო. ეს ფაქტი დიდგვაროვნებმა შემდეგ სააკაძის წინააღმდეგ გამოიყენეს, როგორც მისი თვითნებური მოქმედების დამამტკიცებელი საბუთები. აქამდე შედარებით ყველაფერი მოსათმენი იყო თავადებისათვის — გიორგი სააკაძის მამა-ბიძების დაწინაურებაც, თანამდებობაც. ყოველივე ეს არ აშარებდა დიდგვაროვანთა მდგომარეობას. მაგრამ გიორგი სააკაძის აღზევება სხვა იყო. მისი მასშტაბები უსაზღვროდ ფართო, ხოლო ენერგია — ამოუწურავი დიდგვაროვნების პოტენციურ მეტოქედ ჩანდა. სიმონ მეფისა და გიორგი X მხარდამხარ მებრძოლი ახალგაზრდა სააკაძე მათ მიერ ჯერ კიდევ მხოლოდღა უბადლო მეომრად აღიქმებოდა, რა უნდა ჰქონოდათ საწინააღმდეგო ასეთი უპირატესობისადმი. შური პატარა მასშტაბისა იყო. მაგრამ, როდესაც გიორგი სააკაძეს თანამდებობა მიანდვეს და მისი ნიჭი სივრცეში გაიშალა, როდესაც იგი „შემდგომ მეფისა“ — პირველი კაცი გახდა მთელ სამეფოში და ზღაპრულ არსებასავით დღითი დღე იზრდებოდა, თანაც — განამტკიცებდა რა სამეფოსა და მეფის ხელისუფლებას, როგორც ქვეყნისა და ადამიანების ბედნიერების წყაროს, ზღუდავდა დიდგვაროვნებს, აი, ამის შემდგომ დიდი მოურავისადმი დამოკიდებულებამ კატეგორიული შინაარსი შეიძინა. და, აი ალტერნატივა: ან სააკაძე, ან ჩვენ — დიდგვაროვნები.

ან ჩვენ — დიდგვაროვნები, ან ძლიერი მეფე, ასეთი ალტერნატივა მათ წინაშე ყოველთვის იდგა. ეს მათი თავსატეხი პრობლემა იყო. ახლა სხვა საზრუნავი გაჩნდა. არადიდგვაროვანი მოევლინათ ქართლის ფაქტიურ გამგებლად, მეფის უფლებები ვერ მოეთმინათ და „ვიღაც სააკაძის“ ინტერესებს უნდა დაქვემდებარებოდნენ.

რა შეიძლებოდა ნდომებოდა სააკაძეს? ჩავუფიქრდეთ ამ კითხვას და ერთი წუთით დავივიწყოთ, რომ ცნობების, წყაროების, ფაქტების შინაარსი მშვენივრად გვიხსნის, რა მიზნები ამოძრავებდა მას.

სააკაძე მეფის ტახტზე ვერ იოცნებებდა. იგი არ ეკუთვნოდა ბაგრატიონთა არც ერთ შტოს. არათუ ბაგრატიონი, დიდგვაროვანიც კი არ იყო. მაშასადამე, მეფობაზე ფიქრი გამორიცხული—დინასტიის შეცვლა საქართველოს სახელმწიფო წყობიდან გამომდინარე წარმოუდგენელ ამბად ითვლებოდა. ერთადერთი, რაზეც შეიძლებოდა ეოცნება გიორგი სააკაძეს, ქართლის მოურავობა და მხედართმთავრობა გახლდათ, უმეფობის დროს ქართლის გამგებლობა (ცხადია დროებით). გამგებლები, ხანები ქართლსა და კახეთში შაჰის მიერ დროებით ინიშნებოდნენ, სანამ კანონიერი მეფის შერჩევისა და ტახტზე დასმის საკითხი მოგვარდებოდა. ლუარსაბ მეფემ გიორგი სააკაძე თბილისის, ცხინვალისა და დვალეთის მოურავად დანიშნა. ფაქტიურად იგი მთელი ქართლის მოურავად გვევლინება, ე. ი. რისი მიღწევაც კი შეეძლო სააკაძის წოდების კაცს, მიღწეული იყო. სხვა რამეზე სააკაძეს არც უოცნებია და არც მოუსურვებია. ქართლის ფაქტიურმა გამგებელმა, მოაწყო რა მარტყოფის მასშტაბური ომი და განდევნა სპარსელები საქართველოდან, დაუყოვნებლივ მიიწვია მეფედ თეიმურაზ პირველი. თეიმურაზთან წაკიდების შემდეგ (ბაზალეთის ბრძოლამდე) ქართლის გამგებლად დასვა ქაიხოსრო მუხრან-ბატონი, რაკი თეიმურაზი ის მეფე არ აღმოჩნდა, ვისზეც ოცნებობდა სააკაძე. მან მოიწადინა ქართლის ტახტზე დაესვა გიორგი იმერთა მეფის მემკვიდრე ალექსანდრე. ამ მიზნით თავისი შვილი ავთანდილი დანიშნა გიორგი მეფის ასულ ხვარამზეს საქმროდ. მკრეხელობაა დასწამო ასეთ კაცს, თითქოს მეფობა სურდა, ან ქართლის გამგებლობა. გამგებლობა დროებითი იყო და თვითვე დააჩქარა მარტყოფის აჯანყებით ამ „საგამგებლო“ დროის შემცირება (აჯანყების შემდეგ თეიმურაზი მოიწვია მეფედ!). თეიმურაზ პირველთან წაკიდების შემდგომ ეს გამგებლობა დროებითაც არ აიღო თავის თავზე (ქაიხოსრო მუხრან-ბატონი დასვა გამგებლად). ოსმალეთის სულთანი მას რომ უგზავნიდა ელჩებს და „ქართლის მპყრობელ მოურავ-ხანს“ უწოდებდა, ამან არ უნდა დაგვაბნიოს. ეს მისი უზარმაზარი ავტორიტეტით იყო გამოწვეული და თუ თვითონაც დამოუკიდებლად აწარმოებდა მოლაპარაკებას ზოგჯერ, ესეც მისი დიდი წონითა და სამხედრო ინტერესებით

არის გამართლებული. ოფიციალურად კი არ აიღო გამგებლობა ხელში და იმიტომ კი არა, რომ მართვა არ შეეძლო. ჩვენ ხომ დავრწმუნდით 1612 წლამდე — თბილისის მოურავობის დროს როგორ გაწამტკიცა ქვეყანა, კიდევ არაერთხელ დავრწმუნდებით, თუ რას აკეთებს დროებით გამგებლობის დროს. ყველაფრიდან ჩანს, რომ მისი მიზანი საკუთარი კარიერის გამტკიცება კი არ იყო, არამედ სამეფოს გაძლიერება და ამიტომაც ამბობდა უარს ქართლის ოფიციალურ გამგებლობაზე. ამიტომ დანიშნა ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელი ქაიხოსრო მუხრან-ბატონი. იცის, რომ მისი წოდების კაცს მეტის უფლება არა აქვს. იცის რომ გამგებლობაზე პრეტენზიის გაცხადება მთელს ქვეყანას დაუპირისპირებს. თავადობა რომ დაუპირისპირდა, ესეც კმაროდა უბედურებად და ამიტომ თქვა უარი. მაშასადამე, ამ კაცს ლუარსაბ მეფის მიმართ რა ცუდი ზრახვები უნდა ჰქონოდა. ბერი ეგნატაშვილის აზრით, „ქვეყნის არევისა და წახდენის მოყვარულმა ხალხმა“ ჩამოაგდო ეჰვი მეფესა და მოურავს შორის, ხოლო ქვეყანას რა მიზნით განამტკიცებდა გიორგი სააკაძე, ეს ტაშისკარის ომში გამოჩნდა. ისტორიკოსთა მიერ სწორად არის აღნიშნული, რომ ის „უპოვარი და გლახა“ ქვეყანა, რომელიც ლუარსაბს დახვდა სამეფოდ, სააკაძის ღონისძიებათა წყალობით მოღონიერებული ჩანს ტაშისკარის ომის წინ. დამორჩილებულია ოსები და დვალები, გამავრებულია ციხეები, გაზრდილია მეფის ავტორიტეტი. დიდგვაროვანთა დიდი ნაწილი მეფის სამსახურში დგას — მარტო ნუგზარ ერისთავი რად ღირს თავისი დიდი საერისთავოთი... და აი, შედეგიც. სააკაძის გვარის ტენდენციამ, მეფისა და სამეფოსადმი ერთგულების ტენდენციამ ტაშისკარის ომშიც იჩინა თავი, სააკაძის ღონისძიებებით განმტკიცებულმა ქართლმა მისი ხელმძღვანელობით სასტიკად გაანადგურა რიცხვმრავალი მტერი, ქვეყანას წალეკვით რომ ემუქრებოდა.

ტაშისკარის ომის მნიშვნელობაზე სიტყვას აქ არ გავაგრძელებ, არც მის მსვლელობაზე. მისი შეხსენება მხოლოდ იმისათვის დაგვჭირდა, რომ სააკაძის ცხოვრების მიზანი გამოიკვეთოს.

ჩემი აზრით, ყოველგვარი წყაროს მოშველიების გარეშეც

ცხადია, თუ რა შეიძლებოდა სურვებოდა საკაძეს, მისი წოდებისა და მდგომარეობის კაცს, იმ ისტორიული წყობის პირობებში იმდროინდელ სოციალურ და პოლიტიკურ გარემოცვაში.

ახლა წყაროებსა და ფაქტებს მოვუსმინოთ. რამდენიმე წყაროსა და ფაქტზე ითქვა — დვალეთის დამორჩილება, ციხე-სიმაგრეთა აგება, ოსების დამორჩილება, არაგვის ერისთავის შემომატება მეფის ერთგულთა ამალაში, გაქცეული ხალხის „სამკვიდრებელზე“ ჩამობრუნება. ყველაფერი ეს აშკარად მეტყველებს საკაძის თავდაპირველ ამოცანაზე — სამეფოს განმტკიცება-გაძლიერებაზე. მას ვერ უარყოფს ვერც ერთი სკეპტიკოსი, თუკი იგი ზერელე განცხადებების მოყვარული არ არის. ზერელე დასკვნების მოყვარულს კი ერი და ისტორია ანგარიშს ვერ გაუწევს. ისტორია შთამომავალთა მოთმინებას, ამოცნობის ღრმა სურვილს ითხოვს საკაძის წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქის შესასწავლად და გონივრული დასკვნების გამოსატანად.

ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლა თავისთავად გადაიზრდება უფრო დიდ მიზანში — საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისა. გიორგი საკაძის ცხოვრების მიზნად საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება მიაჩნიათ ისტორიკოსებს: აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს, გივი ჯამბურიას და სხვებს.

„ჩაიშალა ის დიდი საქმე, — წერს აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი, რომელსაც საკაძემ თავისი უზარმაზარი ენერგია შეალია და ურომლისოდაც საქართველოს განთავისუფლება-გაძლიერება შეუძლებელი იყო“.

გივი ჯამბურია:

„ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლა მთელი საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის ბრძოლის ნაწილი იყო. ლუარსაბის მეფობაში ამ იდეის ყველაზე რელიეფური გამომხატველი გიორგი საკაძე ჩანს. იგი ხელს უწყობდა წვრილ აზნაურთა და საერთოდ „უგვანოთა“ წინ წამოწევას, რომელიც თავადების წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარი დასაყრდენი უნდა ყოფილიყო“.

საყურადღებოა გივი ჯამბურიას ერთი მოსაზრებაც:

„აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების იდეის ავტორი გიორგი სააკაძე არ ყოფილა. ეს იდეა საქართველოში ყოველთვის ცოცხლობდა. სააკაძემდეც და მის შემდეგაც მრავალი მოღვაწე იბრძოდა ამ იდეის განსახორციელებლად. უფრო მეტიც, მას ეს იდეები გათავისებული უნდა ჰქონდეს სიმონ I-ისაგან, რომელიც საქართველოს გაერთიანების დაუღალავი მოღვაწე იყო“.

ისტორიული მეცნიერება ამ აზრს სავსებით იზიარებს, საქართველოს ისტორიის ნარკვევებშიც უდავო ჭეშმარიტებად არის მიჩნეული ამ ცნობილი მოსაზრების ლოგიკა. საქართველოს გაერთიანების იდეა არ შეიძლებოდა მომკვდარიყო. იგი მართლაც, მუდამ ცოცხლობდა, არა თუ სააკაძის დროს, როდესაც თამარ მეფის დროიდან მხოლოდ ოთხი საუკუნე იყო ჩავლილი, არამედ უფრო მოგვიანებითაც — ერეკლე II დროს. როგორც ვიცით, ერეკლე მეფესთან საგანგებოდ მივიდა დელეგაცია საქართველოს გაერთიანების იდეით. დაკარგული დიდების დაბრუნება იყო ქართველ მამულიშვილთა ოცნება — ბაგრატ დიდის, გიორგი ბრწყინვალის, სიმონ დიდის ოცნება! სიმონ მეფის ბრძოლისა და მოღვაწეობის სტილი კი უშუალოდ აყალიბებდა გიორგი სააკაძის პიროვნებას, განსაზღვრავდა მის პოლიტიკურ ინტერესებს.

და მაინც რა წყაროების საფუძველზე ამტკიცებენ ცნობილი ისტორიკოსები, რომ გიორგი სააკაძეს საქართველოს გაერთიანება ჰქონდა უმთავრეს მიზნად დასახული და რომ ამ დიდი საქმის აღსრულებას შეელია მისი „უზარმაზარი ენერგია“? „ქართლის ცხოვრების“ მწირი ცნობები ამის მტკიცების საშუალებას თითქოს ნაკლებ იძლევა. იქ სააკაძე აღიარებულია ფიზიკური განადგურებისაგან ქართლ-კახეთის მხსნელად (ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი...). ქართლ-კახეთის ხსნა ფიზიკური განადგურებისაგან თავისთავად იმოდენა საქმეა, რომ სააკაძის სახელს კიდევ რისი მიმატება სჭირდება. მაშ, რაზე დაყრდნობით ჩნდება ეს კონცეფცია? დეზორიენტირებული მკითხველისათვის სულ სხვა რამ არის თავსამტვრევი — მართლა ამოდენა ცოდვა მიუძღვის სააკაძეს, რაც ზოგი წყაროს მიხედვით მიეწერება, თუ ჭეშმარიტად

ეროვნული გმირია? მას ტანჯავს პრობლემა — როგორ შეათაესოს ტაშისკარის, მარტყოფის, მარაბდის ომების ავტორის პიროვნება იმ დაწყევლილ მეორე მესთან, რომელსაც კახეთის უბედურებაც კი ბრალდება ნაწილობრივ. და ამ დროს გიორგი სააკაძე, დამატებით სხვა დამსახურებისა, საქართველოს გაერთიანების იდეისთვის მებრძოლად არის გამოცხადებული ისტორიკოსთა ნაშრომებში. ნუ დავფარავთ, გაჩნდა უხერხულობა და გაჩნდა თავსატეხი კითხვაც: მართლა ხომ არ აჭარბებენ ისტორიკოსები, ხომ არ მიაწერეს გიორგი სააკაძეს ისეთი რამ, რაზეც არც კი უოცნებია?

მეფის ძალაუფლების, სამეფოს ცენტრალიზაციის განმტკიცებას რომ ემსახურებოდა სააკაძე, ეს მისი სოციალურ-პოლიტიკური ღონისძიებებით და ყოველი გადაღგმული ნაბიჯითაც დასტურდება. მაგრამ ეს თავისთავად დიდი საქმე რამდენად ნიშნავდა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის საფეხურს და რამდენად მწყობრი იყო გეგმა, ეს საკითხი იქნებ მართლაც მოითხოვდეს დამატებით მსჯელობას.

ჰქონდა კი სააკაძეს წოდებრივი მდგომარეობის კაცს იმის უფლება, სერიოზულად ეფიქრა საქართველოს გაერთიანებაზე და კონკრეტული ნაბიჯები გადაედგა ამ მიმართულებით? ხომ არ გამოჩნდებოდა მისი გეგმა ღიმილისმომგვრელ ოცნებად. ღიმილისმომგვრელად არა თავადთა და სამთავროთა მოსალოდნელი წინააღმდეგობების მიზეზით, არამედ მისი გარკვეული წოდებრივი მდგომარეობის გამო. მას, აზნაურს, ახლად აღზევებულ გიორგი სააკაძეს შეეძლო კი ეოცნება და არა თუ ეოცნება, პრაქტიკული ნაბიჯები გადაედგა ქვეყნის გაერთიანება-განთავისუფლების გზაზე? ეს ხომ მეფის, და, სხვათა შორის, დიდი მეფის ძალებსაც აღემატებოდა იმ დროისათვის. ეს ხომ სიმონ მეფემაც ვერ შეძლო. პირიქით, ქვეყანა გაუპარტახდა ამდენ ბრძოლებში. ამ შემთხვევაში მხედველობაში არ არის მისაღები მემატიანეთა ცნობებში გამეფებული დუმილი ამ საკითხის გარშემო. მემატიანეები მხოლოდ იმ მოვლენებს აღნიშნავენ, რაც ფაქტიურად მოხდა, სააკაძის მიზანზე სიტყვის ჩამოვდება მათ ორი რამის გამო არ შეუძლიათ. ერთის მხრივ (და სავსებით გასაგები მიზეზე-

ბის გამო), სააკაძე, ცხადია, თავის მიზნებს წერილობით არ გააფორმებდა და საბუთად არ აქცევდა. ის მიზანი დაფარული უნდა ყოფილიყო. მეორეც — თავისი მიზნის აღსრულების გზაზე მას თეიმურაზ I აღუდგა, ხოლო თეიმურაზსა და დიდ მოურავს შორის გამართულ ომზე „ქართლის ცხოვრება“ კომენტარის გაკეთებას თავს არიდებს. მემატიანეები, რომლებიც თეიმურაზ პირველის შთამომავალთა ინტერესებს ითვალისწინებენ და აშკარად უწევენ ანგარიშს (ამას ჩვენ გარკვევით დავინახავთ კიდევ მრავალგზის), ცხადია, არაფერს ამბობენ იმაზე, ჰქონდა თუ არა სააკაძეს საქართველოს გაერთიანების სამოქმედო პროგრამა. პირიქით, ისინი ისე მშრალად მოგვითხრობენ სააკაძის დამსახურებაზე, რომ მოვლენის აღნუსხვის მეტი არაფერი გვრჩება ხელთ. ესეც საგულისხმოა. სააკაძის მდგომარეობის კაცზე მემატიანეები ამდენს რომ წერენ, ეს თავისთავად გვეუბნება — გაცილებით მეტი დამსახურება მიუძღვის დიდ მოურავსა თვითონ სააკაძესთან დაკავშირებული მოვლენები იმდენად მასშტაბურია, რომ მშრალად აღნუსხვის დროსაც კარგად ჩანს სააკაძის დიდი დამსახურება, ხოლო აშკარა ტენდენცია მემატიანეებისა, შემთხვევით სიტუაციებს მიაწერონ სააკაძის დამსახურებანი, ცხადია, ადგილს და სურვილს არ ტოვებს საიმისოდ, რომ სააკაძის მოღვაწეობა კანონზომიერ მოვლენად წარმოგვიდგინონ. მაგრამ საქმეში ღრმად ჩახედული კაცის თვალში ამ ტენდენციას ადვილად არღვევს გიორგი სააკაძის მიერ გადახდილი ომებისა და მის სახელთან დაკავშირებულ მოვლენათა მასშტაბები. ისინი გვიმტკიცებენ, რომ უზარმაზარი მოვლენების მოხდენა კანონზომიერი თანამიმდევრული მოღვაწეობისა და წინასწარი შემზადების გარეშე წარმოუდგენელია, რომ სტიქიურად, თავისთავად და შემთხვევით ამ მასშტაბის მოვლენები არ ხდება.

ამიტომ წყაროების დუმილი გასაგებია. მაგრამ ისტორიკოსებსაც ხომ სჭირდებათ რაღაც ხელშესახები, რეალური საბუთები ასეთი დიდი გეგმის არსებობის დასამტკიცებლად. ამისათვის საჭიროა, პირველ ყოვლისა, გავითვალისწინოთ და ვუპასუხოთ კითხვას — სააკაძის მდგომარეობის კაცს შეეძლო თუ არა საქართველოს გაერთიანების იდეაზე სერიოზულად

ეფიქრა და პრაქტიკული ნაბიჯები გადაედგა ამ მიმართულებით.

თუ სააკაძეს თავისი წოდების ერთ-ერთ გამოჩენილ პიროვნებად წარმოვიდგენთ, ცხადია, გაძნელდება საქართველოს გაერთიანების დიდი გეგმა დავუკავშიროთ მის სახელს. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი მეტად სერიოზული გარემოება. სააკაძე თავისი ნიჭით, ენერგიით, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობებით არაჩვეულებრივ, უდიდეს პიროვნებათა რიცხვს ეკუთვნის. ყველაფერი ჰარმონიულად იყო შეზავებული მასში — ზღაპრული ღონე, ახოვანება, ორგანიზატორული ნიჭი, დიდი მხედართმთავრის ტალანტი, თავისი დროის შესაფერისი განათლება, ფხიზელი პოლიტიკური დიპლომატია, გასაოცარი ნებისყოფა, მომხიბლავი მჭევრმეტყველება.

მოვუსმინოთ წყაროებს.

პატრი კასტელი (ვინც სააკაძის ცნობილი პორტრეტი დახატა): „დიდი მოურავი, სარდალი საქართველოს მხედრობისა, კაცი წარჩინებული, დიდად შემძლე და ყოველთა უმამაცესი მრავალი სასახელო საქმე მოახდინა იბერიის სამეფოში სპარსთა მეფობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს".

თურქი მემატიანე მუსტაფა ნაიმა:

„მოურავი ჭეშმარიტად გულადი, ღონიერი, ტანით სპილოს მსგავსი, იშვიათი ვაჟკაცი და დევის ღონე იყო".

ვახუშტი ბაგრატიონი:

„ესე მოურავი გიორგი იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი და შემმართებელი, უშიში" (იქვე სალანძღავი რამდენიმე ეპითეტიც აქვს დასახელებული ვახუშტი ბაგრატიონს).

სომეხი ისტორიკოსის არაქელ თავრიზელის აზრით გიორგი სააკაძე იყო:

„გონიერი, მჭევრმეტყველი, მოფიქრებული და საქმეში ჭკვიანი, ამასთან ტანადი, ძლიერ მამაცი მეომარი და უძლეველი მებრძოლი".

ბერი ეგნატაშვილი:

„და იმდღინდელი მოურავის ნაქმარი და ომი და საქმეები პირველთა გმირთაგანცა არა თქმულ არს, რაც იმ დღეს მოურავმან სახელი და ომი ქნა" (მარაბდის ომი იგულისხმება — ჯ. ღ.).

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი ისტორიული ფაქტის შესახებაც. საკაძემ ლისთან სამოცი კაცით შვიდასი სპარსი მოსპო. ეს გახლავთ ბრძოლის არნახული უნარის გამოვლინება.

პლატონ იოსელიანი:

„ასე დაიღუპა დიდი მოურავი გიორგი საკაძე, დიდი სარდალი და გმირი, რომელმაც სამეფოები და ხალხები შეარყია, რომელიც თავისი მტკიცე ხასიათით, რკინისებური ნებისყოფით, ცნებებით, თავისი ბუმბერაზი ტანითაც ყველას აოცებდა და მტერს შიშს გვრიდა და მითრიდატეს ემსგავსებოდა. დაეცა გაქკაცი, რომლის მახვილი, პოეტების აღწერით, ჯავშანს კვეთდა, საყვირიც განგაშს სტეხდა და ვისი სიმძიმითაც ბრძოლის ველი გმინავდა, გაქკაცი, რომელმაც სპარსეთში, ყანდაარსა და ბაღდადს და არზრუმს მამაცი მებრძოლის, ხოლო თვით სქართველოში კი ქართველი ალკიბიადეს სახელი დატოვა".

ეს ცნობები, დახასიათებანი და, რაც მთავარია, ის საქმენი, საკაძემ რომ მოახდინა, თავისთავად მეტყველებენ მის განსაკუთრებულობაზე. ეს იყო პიროვნება, რომლის შესაძლებლობებს მართლაც არ ჰქონდა საზღვარი. ამას ემატება იმ დროისათვის იშვიათი განათლებულობა. არაქელ თავრიზელი, როგორც დავინახეთ, საგანგებოდ მიუთითებს საკაძის მჭევრმეტყველებაზე. პოლიტიკოსისა და მხედართმთავრისათვის ამ თვისებას საგულისხმო მნიშვნელობა აქვს. სხვათა დასარწმუნებლად, ძალთა შემოსაკრებად, დიადი მიზნის დასასაბუთებლად პოლიტიკოსს და მხედართმთავარს ჰაერივით ესაჭიროება მწყობრი საუბრის ნიჭი, ლოგიკური მსჯელობის უნარი. გიორგი საკაძემ, გასაგები მიზეზების გამო, კარგად იცოდა თურქული და სპარსული ენები. იგი წავკისის ტრაგედიამდე ნამყოფი იყო როგორც თურქეთში, ასევე სპარსეთში. თავისუფლად ფლობდა ორივე ენას. ორი ენის ცოდნა თავისთავად ნიშნავდა განსწავლულობას. როგორც სამეფო კართან დაახლოებული ოჯახის წარმომადგენელმა, მან, ცხადია, შესაფერისი განათლება მიიღო. ეს ყველაფერი შემდეგ გაღრმავდა თურქულისა და სპარსულის საფუძვლიანი შესწავლით, პირადი მონაცემებით — მჭევრმეტყველებით, დიდი ჭკუითა და საზრიანობით.

გივი ჯამბურია, აჯამებს რა უცხოური და ქართული წყაროების ცნობებს, ამბობს: „გიორგი სააკაძე მეტად პოპულარული პიროვნება იყო არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ მთელს ახლო აღმოსავლეთში და ევროპაშიც კი. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი იმდროინდელი ისტორიკოსი თუ მოგზაური, რომელიც ასე თუ ისე არ შეხებოდეს გიორგი სააკაძის პიროვნებას".

საერთო განათლებულობას, რომელიც ირანისა და თურქეთის სამეფო კარზე უცხოელებთან შეხვედრისას ასე შესამჩნევი იყო, დიდი მნიშვნელობა ენიჭება გიორგი სააკაძის დიდ სამხედრო სტრატეგიულობაზე და განსაკუთრებულ ორგანიზატორულ ნიჭზე საუბრისას. ეს აბის მისი პიროვნული თვისებების შესაკრებელი. აქ იყრის თავს ყველა მისი ღირსება, ერთმანეთს აძლიერებს და სრულად მჟღავნდება — სწორედ პოლიტიკაში, სამხედრო საქმესა და მხედართმთავრულ ნიჭში.

ცხადია, თუ არა ეს დიდი შინაგანი ნიჭიერება, მსგავსი მასშტაბების ომებს მარტოოდენ „ბუმბერაზი ტანით" და საარაკო მეომრული თვისებებით ვერავინ მოიგებდა. ბუმბერაზები ყოველთვის ერიენენ ამა თუ იმ ლაშქარში და ეს იშვიათი ფიზიკური ღონის ხალხი აკეთებდა მხოლოდ იმას, რისი გაკეთების საშუალებასაც ღონე იძლეოდა. მაგრამ საკუთარი დროის ისტორიული მოვლენების წარმართვა, ქვეყნის ბედიღბლის სადავეების აკრება და ტაშისკარის, მარტყოფის, მარაბდისა და ქსნის ბრძოლების ასე სახელოვნად გადახდა მხოლოდ იმ შინაგანი თვისებების წყალობით თუ მოხერხდებოდა, რაც სააკაძეს ახასიათებდა დიდ ფიზიკურ ღონესთან ერთად. ეს თვისებები, არნახული შინაგანი ენერგია მართავდა მის დიდ ფიზიკურ შესაძლებლობასა და უველაფერი ეს ერთმანეთს შერწყმული ქმნიდა იშვიათ ფენომენს, ვისი შესაძლებლობაც არ თაესდებოდა ჩვეულებრივი ადამიანის საზღვრებში. ეს მონაცემები, ცხადია, პირველად ტაშისკარის ომით არ დადასტურებულა. ის დასტურდებოდა მანამდეც, სიმონ მეფის, გიორგი X, ლუარსაბ II მეფობის დროს თბილისის, ცხინვალისა და დვალეთის მოურავად ყოფნისას.

აქ კი ისმის კითხვა: ასეთი პოტენციის, ასეთი არაჩვეუ-

ლებრივი ღირსებების მქონე კაცს, კაცს, ვისი შესაძლებლობებიც სცილდებოდა ჩვეულებრივი ადამიანების საზღვრებს და იშვიათი მოვლენის რიგებს განეკუთვნებოდა, შეეძლო თუ არა ეოცნება და მიზნად დაესახა საქართველოს გაერთიანება, მიუხედავად იმისა, რომ მეფე არ იყო? სხვა საკითხია, რამდენად იყო იმ დროისათვის შესაძლებელი საქართველოს გაერთიანება და რამდენად შეეძლო იგი დიდი შესაძლებლობების მიუხედავად ისეთი სოციალური მდგომარეობის კაცს, როგორიც იყო სააკაძე. აქ სხვა რამ არის საგულისხმო: საარაკო ენერგია, უნარი, ნიჭიერება აძლევდა ბიძგს სააკაძეს ეოცნება იმაზეც კი, რისი განხორციელებისათვის საქართველოში უკვე პირობები ნაკლებ არსებობდა. ფეოდალური დაშლისა და დაქუცმაცების ისტორიული პროცესი, რაც კარგა ხნის დაწყებული იყო, ისტორიკოსთა გამოკვლევას თუ დავეყრდნობით, უკვე თითქმის გამორიცხავდა საქართველოს გაერთიანებას. XVII საუკუნეში არა თუ რიგითი თავადი, რა მასშტაბებისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, არამედ თვით დიდი მეფეც კი (დავით აღმაშენებლის ბადალი მეფე!) ძალების უკიდურესი დაძაბვითაც ვერ შეძლებდა ალბათ საქართველოს განთავისუფლება-გაერთიანებას. მაგრამ ვერ ისვენებდა ქართველი კაცის ფიქრი, ოცნება, დაკარგულ დიდებასა და სიმაღლეს ესწრაფვოდა. განთავისუფლება-გაერთიანება ხომ მისი ოცნება იყო. სიმონ მეფეც ამიტომ ვერ თმობდა პოზიციებს, ვერ ეგუებოდა აზრს, რომ ეს შეუძლებელი გამხდარიყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სააკაძემ სიმონ I დიდის სკოლა გაიარა, და თავისი დროის უდიდეს შვილს, ცხადია, შეეძლო მიზნად დაესახა საქართველოს გაერთიანება-განთავისუფლებისათვის ბრძოლის გაგრძელება. მართალია, შემდგომ ისტორიის სასწორი იმგვარად აყირავდა, რომ გაერთიანებაზე კი არა, გადარჩენაზე ოცნებაც კი ძნელი შეიქნა, მაგრამ იმ მცირე პაუზებში, რაც იგულისხმებოდა გადარჩენისათვის გამართულ გრანდიოზულ ომებს შორის, გაერთიანების იდეა მაინც ცოცხლობს და ფაქტიურად დასტურდება.

თავდაპირველად გადავხედოთ ქვეყნის მოვლა-განმტკიცებისათვის გადადგმულ ნაბიჯებს, რაც საქართველოს გაერთიანების გზაზე იგულისხმება, როგორც აუცილებელი ღონის-

ძიება. საბუთებში საააკაძის ამ მიმართულებით წარმართულ მოღვაწეობაზე, როგორც იტყვიან, ხელისგულზე დევს. მეფის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება რომ ორგანული გოთხოვნილება იყო საააკაძის გვარისა და პირადად გიორგი საააკაძისა, ამის შესახებ, ვფიქრობ, ზემოთ დამაჯერებლად ითქვა. ყველა წყარო მხოლოდ და მხოლოდ ამ აზრს ადასტურებს. მას მართლაც ჰქონდა სრული უფლება, ხმამაღლა ეთქვა: „ქართლს მოვავლე გალავანიო“ („დიდმოურავიანი“). როდესაც პლატონ იოსელიანი ჩამოთვლის ტაშისკარის ომამდე საააკაძის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, რასაც ქვეყნის გაძლიერება აქვს მიზნად, ცხადია, ნათელი ხდება მეფის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების მოწადინე კაცის მიზნები. მაგრამ ტაშისკარის ომის შემდეგ, წაკიდეს რა მეფეს, ღევნილი გიორგი საააკაძე სპარსეთში გადაიხვეწება და 1615 წელს სპარსეთის ჯარს შემოყოლილი თავისი მამულების დასახედად ადის ნოსტეში. მისი შიშით იმერეთისაკენ გაქცეულ ქაიხოსრო ჯავახიშვილს, თავის მოსისხლე მტერს, კაცს დაადევნებს და უკანვე გამოაბრუნებს, უსაფრთხოებას აღუთქვამს. ურიგდება თავის მტრებს, იღებს და აძლევს „საფიცრის წიგნებს“, ქაიხოსრო ჯავახიშვილს მეორე თავდასხმასაც აპატიებს და ქართლის ფაქტიურ გამგებლად მყოფი არავისზე არ იძიებს შურს. სასამართლოს მოიწვევს, რათა შეურიგდეს ქაიხოსრო ჯავახიშვილს, როდესაც ერთი ხელის გაქნევით შეეძლო მისი განადგურება. ე. ი. ქვეყნის გაძლიერება-განმტკიცების ძველებური, მისეული კურსი გრძელდება: მარტყოფის ომის შემდეგ სასწრაფოდ აერთიანებს ქართლსა და კახეთს (ამ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ბედ-იღბალი მის ხელშია!), ერთი წამითაც არ აყოვნებს და ქართლ-კახეთს აერთიანებს სვამს მეფედ სპარსეთთან ნაბრძოლ იმედგადაწურულ თეიმურაზ პირველს. მაგრამ მანამ იყო ცდა, ანგარიში, რჩევა, ვინ დაესვათ ქართლ-კახეთის ტახტზე. საააკაძე და მისი ხალხი ბევრს ფიქრობს ამაზე და აქ ჩნდება პირველად ყველაზე უფრო ხელშესახები ისტორიული ფაქტი, რაც აფიქრებინებს ისტორიკოსებს, რომ საააკაძეს საქართველოს გაერთიანება თავიდანვე ჰქონდა მიზნად დასახული. გიორგი საააკაძესა და მის მომხრეებს მარტყოფის აჯანყების წინ

გიორგი იმერთა მეფის პოზიციები მოუსინჯავთ და ქართლ-იმერეთის გაერთიანება უფიქრიათ. ბაადურ ციციშვილისათვის, სააკაძის მომხრისა და მეგობრისათვის, იმერთა მეფეს გიორგის მიუცია „წყალობის საიმედო წიგნი“, სადაც ნათქვამია: „თუ იპრიანოს ღმერთმან და ქართლი ხელად შეზოგვიარდეს, რასაც მამულის მჭონებელი იყოთ ან სამკვიდროსა ან ნასყიდისა, ან სახელოსა არც ამისგან დაგამციროთ და არც მოგიშალოთ... და თუ ქართლს არ გედგომინებოდეს, რასაც შემძლებელი ვიყოთ ლიხთიმერიითაც გარჩინოთ და წყალობაც გიყოთ“.

ეს წყარო გვაცნობს, რომ გიორგი მეფეს ქართლს გამეფებას ჰპირდებიან და ისიც თავის მხრივ მზად არის მხარში ამოუდგეს შეთქმულებს. მარტყოფის ომის შემდეგ ტახტზე თეიმურაზ პირველი დასვეს. ამ შემთხვევაში ალბათ მხოლოდ ფრთხილი ვარაუდების დაშვება თუ შეიძლება: რად გადაიფიქრეს გიორგი იმერთა მეფის ვარიანტი? მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ქართლ-კახეთ-იმერეთის გაერთიანების იდეა ამ წიგნის მიხედვით ხელისგულზე დევს და იგი სააკაძეს და მის დასს ეკუთვნის. ე. ი. უშუალოდ სააკაძეს. ამ იდეის არსებობა უფრო ცხადლივ დასტურდება შემდგომ, როდესაც სააკაძემ ვერ დაინახა რა თეიმურაზ პირველში მისი ნაოცნებარი მეფე, მტკიცედ გადაწყვიტა ქართლ-კახეთის ტახტზე გიორგი იმერთა მეფის შვილი ალექსანდრე დაესვა. გიორგი სააკაძემ სპარსელებთან ბრძოლის შუალედში (მარაბდის ომის შემდეგ გამართული დიდი და წვრილი ბრძოლები იგულისხმება) დასავლეთ საქართველოში იმოგზაურა. ესტუმრა გიორგი იმერთა მეფეს, სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანს, მიიღო ფიცის წიგნები, დანიშნა თავისი ვაჟი — ავთანდილი იმერთა მეფის ახულ ხვარამზეზე და, რაც მთავარია, უკვე თეიმურაზთან საბოლოოდ წაკიდების შემდეგ, როდესაც სავსებით გადაიწურა იმედი შერიგებისა, „მოურავმა — წერს არჩილ მეფე — იმერთა მეფეს გიორგის შვილი სთხოვა ქართლს საბატონოდ“, ე. ი. გიორგი სააკაძეს არ ასვენებს ფიქრი სამი სამეფოს გაერთიანებისა. იგი ჯარს კი არ თხოვს იმერთა მეფეს ამჯერად, არამედ შვილს „ქართლზე საბატონოდ“. ქართლ-კახეთ-იმერეთის გაერთიანება კი მთელი საქართველოს გაერთიანებას ნიშნავდა

ამ დროისათვის. სხვა სამთავროების შემოერთების საკითხი თავისთავად დადგებოდა. მაშასადამე, როგორც კი ძალაუფლება ხელში ჩაუვარდა, მაშინვე ქართლ-კახეთის გაერთიანება შეიძლო. თეიმურაზთან წაკიდების შემდეგ ბაზალეთის ბრძოლის კონკრეტული ფაქტის უკან იმერთა მეფის შვილის ქართლ-კახეთ-იმერეთის მეფედ გამოცხადება იგულისხმებოდა. ასეთი იყო მოლაპარაკება. ამას გვიდასტურებს ფიცის წიგნები, მეფე არჩილის მიერ მოწვდილი ცნობა. აქვთ თუ არა ყოველივე ამის შემდეგ ისტორიკოსებს საფუძველი ამტკიცონ, რომ სააკაძეს საქართველოს გაერთიანება ჰქონდა მიზნად? რა თქმა უნდა, აქვთ. ამ მიზნის აღსრულების გზაზე მან ერთი ფაქტითაც დაამტკიცა, რომ აქვს ასეთი მიზანი. როდესაც ყველა ფაქტს ავხსნით მარტყოფისა და მარაბდის ომებთან დაკავშირებით, ნათლად დავინახავთ, თუმცა ეს აქამდეც გამოჩნდა, რომ საქართველოს გაერთიანება და გამთლიანების გეგმა გიორგი სააკაძის გონებაში გადაწნული იყო სპარსელების საქართველოდან განდევნისა და ქვეყნის ხსნის ამოცანასთან. ახლა კი დავაკვირდეთ, რამდენად მწყობრია ის მოვლენები, რაც სააკაძის სურვილის თანახმად დატრიალდა. გივი ჯამბურია წერს: „საბოლოოდ გაწყდა ურთიერთობა თეიმურაზსა და სააკაძეს შორის. თეიმურაზი იძულებული გახდა კახეთში გადასულიყო. მოურავმა ქართლის გამგებლად (და არა მეფედ) ქაიხოსრო მუხრან ბატონი დანიშნა, რომელსაც როგორც ბაგრატიონს, ქართლის ტახტის დაკავების უფლება ჰქონდა. გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო დაიშალა.

საკითხავია, რატომ მეფედ არ დასვა სააკაძემ ქაიხოსრო მუხრან ბატონი?

რა შედეგი მოჰყვებოდა ქაიხოსროს ქართლში გამეფებას? ქაიხოსროს ქართლში გამეფებით სააკაძე საბოლოოდ უნდა გამოთხოვებოდა ქართლისა და კახეთის გაერთიანების იდეას, რადგან ეს აქტი დადასტურება იქნებოდა იმისა, რომ სააკაძე კახეთისა და ქართლის ცალ-ცალკე არსებობას აღიარებდა. ამასთანავე, რაც მთავარია, იმერეთის სამეფოს (ე. ი. მთელი დასავლეთ საქართველოს) შემოერთების ყოველგვარი პერსპექტივა გაქრებოდა. სააკაძის მთელი მოღვაწეობის მთავარი მიზანი კი სამი სამეფოს ერთ სახელმწი-

ფოდ გაერთიანება იყო, სწორედ ამის გამო არ დასვა სააკაძემ ქაიხოსრო ქართლის მეფედ და მხოლოდ დროებით გამგებლად დანიშნა". ე. ი. არსებობს მკაცრად გამიზნული გეგმა და მისი კარნახით დგამს სააკაძე ყოველ პოლიტიკურ ნაბიჯს, ამან მისცა საფუძველი ისტორიკოსებს არ დაეკარგათ სიმართლე ქვეყნისათვის და თამამად ემტკიცებინათ, რომ სააკაძის უმთავრესი მიზანი საქართველოს გაერთიანება იყო. ყოველივე ამან უკარნახა აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს, ეთქვა: „ჩაიშალა ის დიდი საქმე, რომელსაც სააკაძემ თავისი უზარმაზარი ენერგია შეალია და ურომლისოდაც საქართველოს გათავისუფლება-გაძლიერება შეუძლებელი იყო".

არავითარი საფუძველი და უფლება არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ ამ მოსაზრებაში. ის სახეზეა, ის ისტორიაა, ის წყაროა — მომხდარი მოვლენების ჯამი და სტრუქტურა გვიმტკიცებს ამას.

აქვე მინდა მივაქციოთ ყურადღება ერთ გარემოებას, რისი დადასტურებაცაა შემდგომი მთელი მოვლენების მსვლელობა: სააკაძე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ეძებს საკუთარი მიზნებისა და იდეების შესაფერის მეფეს! ნამდვილ მეფეს ეძებს! სიმონ მეფის შემდეგ, მას შესაფერისი მეფე არ შეხვედრია, მეფე, ვის გვერდითაც და გისი ხელმძღვანელობითაც საქართველოს გაერთიანება-გაძლიერებისათვის იბრძოლებდა.

კიდევაც რომ შევიტანოთ ეჭვი საქართველოს გაერთიანების სააკაძისეულ მწყობრ გეგმაში, მაინც რჩება მეორე, უფრო დიდი საქმე — აღმოსავლეთ საქართველოს (იგივე საქართველოს) ფიზიკური განადგურებისაგან ხსნა, ხოლო შემდგომ განმტკიცება-გაძლიერება, რაც ფაქტიურად მხოლოდ სააკაძემ შეძლო. და ამ დიდ გეგმას სჭირდებოდა ენერგიის ყოველმხრივ მოკრება. ტაშისკარის ომმა დაამტკიცა, რომ დიდი ზოურავის მიერ ციხე-სიმაგრეთა შენება, ძველი სიმაგრეების შეკეთება, ქვეყნის ეკონომიკური მოღონიერება, ქართლის სამეფოს, მისი მეფისა და ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად იყო გამიზნული.

იგი საერთოდ, ისევე როგორც ყველა დიდი ადამიანი, საკუთარი პროგრამით იყო მოსული, საკუთარი მიზნების აღსრულებისათვის კი მას ერთგული ხალხი უნდა აერჩია, ის

ადამიანები, გისაც დაეყრდნობოდა, ვინც უერთგულებდა, ვისი შემწეობითაც დიდ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა. „ძუელთაგანვე“ დიდგვაროვნობის ფენა, ცხადია, მისი მომხრე ვერ იქნებოდა. მათ აწყობდათ სუსტი მეფე და დაქუცმაცებული ქვეყანა, რათა თავიანთ ნებაზე ეპარპაშათ. ეს ფეოდალური წყობილების ოდითგან დადასტურებული შინაარსი იყო და ამ შინაარსს ვერაფერი შეცვლიდა. ქართველებად და პატრიოტებად ეს ადამიანები მხოლოდ მაშინ გვევლინებოდნენ, როდესაც მათ ციხე-კოშკებთან ერთად მთელ საქართველოს განადგურების საფრთხე ემუქრებოდა. ამ დროს მამულიშვილებიც იყვნენ და შესანიშნავი ქართველებიც, მაგრამ მშვიდობიანობისას ადვილად პოულობდნენ საერთო ენას მტერთან და ქვეყნის გაერთიანება-განმტკიცების აუცილებლობას შინაგანად უპირისპირდებოდნენ. ქვეყანა კი სწორედ განმტკიცებას, გათავისუფლება-გაერთიანებას მოითხოვდა, მეფის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებასა და ფეოდალთა პარპაშის აღკვეთას მოითხოვდა. გიორგი სააკაძე ამ მიზნით აჯგუფებდა ძალებს. იგი თბილისის, ცხინვალის, დვალეთის მოურავი იყო, მეფის შემდეგ პირველი კაცი, ზემოთ დახასიათებული მიზნების პატრონი. სააკაძე უნდა დაყრდნობოდა რომელიმე ფენას. მან აირჩია ის ფენა, რომელიც ოდითგან მეფის ხელისუფლების ერთგული იყო — არადიდგვაროვანთა ფენა, აზნაურთა და „უგვანოთა“ ფენა, ვისი რიგებიდანაც გამორჩეული ადამიანების დაწინაურების ტრადიცია მუდამ არსებობდა საქართველოში. ყოველი დიდი მეფე ეყრდნობოდა და იცავდა ამ ტრადიციას: დავითი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, სიმონ მეფე. სააკაძე პრაქტიკულად სიმონ მეფის მოღვაწეობის მომხრე იყო. ამასთან მისმა გვარმა გაიარა ეს გზა — მეფის ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის გზა. და, აი, უპირველესი დასაყრდენი სააკაძისა — ისტორიამ შემოგვინახა მათი სახელები: ხოსიტა გედევანიძე, მათარსი შახაიდრიძე, პაპუნა ვაშაყოშვილი, პაპუნა ჩივაძე, თამაზ ქარციძე, მსახური ინაშვილი... მაგრამ, ცხადია, მარტოოდენ ამ ფენაზე დაყრდნობით ფეოდალურ საქართველოში ასეთი დიდი მიზნის განხორციელება არ შეიძლებოდა. და სააკაძემ ყველაფერი იღონა, რომ

თავადთა გარკვეული ნაწილი და აზნაურთა რიგები გაეერთიანებინა. ქართულ წყაროებში „სააკაძის მოკიდებულნი კაცნი“ ეწოდება აზნაურებსაც და თავადებსაც, ვინც დიდი მოურავის მხარეზე იბრძვის. დიდი ფეოდალების წრიდან ესენი არიან: ნუგზარ არაგვის ერისთავი (სააკაძის სიმამრი), თეიმურაზ მუხრან-ბატონი, იესე ქსნის ერისთავი, ბააკა ხერხეულიძე და სხვ. „მოკიდებულნი კაცნი“ აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის განმარტებით „ესაა თავისუფალ პირთა სახლების გაერთიანება ამა თუ იმ პირის (თუ სახლის) გარშემო და იგი უაღრესად სოციალურ-პოლიტიკურ საფუძვლებს და ანგარიშებს ემყარებოდა“. ცხადია, ასეთი გაერთიანება თავისი არსით მტკიცე ვერ იქნებოდა. ბერუკა და ქაიხოსრო ჯავახიშვილები, ადრე სააკაძის „მოკიდებულნი კაცნი“, მის მოსისხლე მტრებად იქცნენ. მაგრამ ფეოდალური საქართველოს ცხოვრების წესში ქვეყნის ძალების დასარაზმავად არ არსებობს სხვა გზა რიგითი თავადისათვის, გისი ავტორიტეტიც მხოლოდ და მხოლოდ პირად შესაძლებლობებს ეყრდნობა და სააკაძე მაქსიმალურად იყენებს ამ გზას. „აღწიშნული ვითარება იმის შედეგი იყო, რომ სააკაძის „მოკიდებულნი კაცნი“ სხვადასხვა საფუძველზე და სხვადასხვა მიზნებით იყვნენ გაერთიანებულნი. ზოგი მოყვრობის ნიადაგზე (არაგვის და ქსნის ერისთავები, მუხრან ბატონები) გამხდარიყო გიორგის მომხრე, რომელთაგან ნაწილი თავისი სამფლობელოს გაზრდა-გაფართოებას მოელოდა; სხვა გაერთიანებული საქართველოს ტახტსაც კი უმიზნებდა (მუხრან ბატონი); ზოგი გიორგის, როგორც ძლიერი ბიროვნების, მფარველობას საჭიროებდა თავისი სახლიკაცების წინააღმდეგ ბრძოლაში (ჯავახიშვილი), ზოგი კი, უფრო მცირე ჯგუფი და უფრო სუსტნიც, — გიორგის იდეებს უნდა მიეზიდა მის „პარტიაში“: (ხერხეულიძე და სხვა“) — წერს გივი ჯამბურია. ასე შეიქმნა სააკაძის დასი და 1612 წლამდე, ვიდრე სასწორი დიდგვაროვანთა მხარეს გადაიხრებოდა, ამ დასის შემწეობით სააკაძემ მოახერხა ქართლის განმტკიცება-გაძლიერება და ტაშისკარის დიდი ომის მოგება. დასის შექმნას კი გარკვეული დიპლომატია სჭირდებოდა, ურთიერთობა, თათბირი, განუწყვეტელი ცდები. ეს მცდელობა, მეფის ხელისუფლების განმტკიცებისა და

ქვეყნის განთავისუფლებას რომ ისახავს მიზნად, სააკაძის მტრების მიერ „ფურჩვნად“ იქნა შონათლული. ხოლო დიდი გეოგრაფის ვახუშტის ცნობებში მათი ზეგავლენით ასეევე მოხვდა. საინტერესოა სწორედ ამ „ფურჩვნის“ არსი.

ვახუშტი ბაგრატიონი:

„ესე (გიორგი სააკაძე — ჯ. ღ.) მარადღე თვითეულ კაცთა ფურჩვნიდა და არა დასცხრებოდა. იხილა ესე მეფემან და აუწყა მოურავსა: „რა არის რომ, არ დასცხრები ფურჩვნად, ანუ რაი გნებავს ყოფად?“. ამისთვის ეეედრა მოურავი მროველს დომენტს: „რამეთუ მეტყვიან სიკვდილსა მეფისაგან და არა რა ვუწყი მიზეზნი შეცოდების გონებისაგან კიდე“. ესე ყოველი მროველმან ჰკადრა მეფეს. არამედ მეფე ამისა უცნობელი განჰკვირდა და ამცნო მროველს გულდებულყოფა მოურავისა, რამეთუ არა რა არს მანკიერება მეფესა შინა შენთვის, გარნა ჰკითხოს ვინ უთხრა იგი. ხოლო მოურავმან არა თქუა მთქმელი, რამეთუ ფუცებულ ვარ მათ მიერ“.

ბერი ეგნატაშვილი:

„და ამ ჟამში გამდიდრებული იყო ქართლის მოურავი, სააკაძე გიორგი, რომელ იყო მოურავი ტფილისისა და ესრეთ გამდიდრებულიყო, რომ შემდგომად მეფისა იგი იყო. და ამას უთხრეს ქვეყნის არევის მოყვარეთა მეჩხუბართა კაცთა ვითარმედ: „მეფე სიკვდილს გიპირებს, რამეთუ სძაგს სიმდიდრე და მორჩმა შენი“. ხოლო მოურავს რა ესმა საქმე ესე, დაიწყო რჩევა და ლაპარაკი. მაშინ მიუგზავნა მეფემან კაცი და შეუთვალა, ვითარმედ: „რა გნებავს ყოფად, რომე დღითი-დღე არ დასცხრები ლაპარაკისაგან და ჩურჩულისაგან“, ხოლო მოურავმან მიუგზავნა მროველი ავალიშვილი დომენტი და შეუთვალა ესრეთ, ვითარმედ: „სიკვდილსა და ღალატს მიპირებო და რას მემართლები, დანაშაული რა მაქუსო, რომ მიწყრებიო და გნებავს სიკუდილი ჩემიო“. ხოლო მეფემან უარყო და ფიცით შეიჯერა, ვითარმედ: „არა მწადს სიკუდილი შენიო“.

ჩვენ უკვე ვიცით, რა ეწადა სააკაძეს, რა შეიძლებოდა მისი მიზანი ყოფილიყო: ქვეყნის განმტკიცება-გაძლიერების გზაზე სააკაძემ, როგორც დავინახავთ, თავისი ძლიერი დასი

შექმნა. ამ დასისათვის არჩევდა ხალხს, აწინაურებდა, იმოყვრებდა, აჯგუფებდა... არსებობდა მეორე — დიდგვაროვანთა დასი — დიდი თავადების შემადგენლობით. მეთაურებად ფარსადან ციციშვილს და შადიმან ბარათაშვილს ასახელებენ, აგრეთვე სააკაძის „კარის მეზობელს“ ქაიხოსრო ჯავახიშვილს. მათ თავიანთი პოლიტიკური უფლებების შემდგომი ზრდა აინტერესებდათ. ეს მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების გზით იყო შესაძლებელი. მათი მიზნები უნებურად თუ შეგნებულად საქართველოს დაქუცმაცებას იწვევდა. მაგრამ თავისი „ფუფუნებული“ მდგომარეობის განმტკიცების გზაზე ისინი აქამდე მეფის დასუსტებას თუ ისახავდნენ მიზნად, ახლა რიგითი თავადის ძლიერი პიროვნება აღიმართა, რომელიც საოცარი სისწრაფით აღზევდა, გაძლიერდა და იქამდე, „რომ მეფის შემდგომ იგი იყო“. რამდენი დიდგვაროვანი ჩამოვთვალეთ ზემოთ! რას შეეძლო შეეზღუდა მათი მგლური მადა! და აი, სააკაძის მიერ ციხე-სიმაგრეების შენება, ძველის შეკეთება, ოსებისა და დვალების დამორჩილება მეფისათვის — ყველაფერი ეს საკუთარი განდიდების გზად მოუნათლეს. ქვეყნის გაძლიერება-განმტკიცებისათვის ძლიერი დასის შექმნა კი „ფურჩვნად“ გამოაცხადეს. ახლა დავაკვირდეთ აქ მოტანილი ორივე ამონაწერის შინაარსს. მეფე დააეჭვეს დიდებულებმა სააკაძის ერთგულებაში. სააკაძე დააეჭვეს მეფეში — მოკვლას გიპირებსო. ბერი ეგნატაშვილი საგანგებოდ მიუთითებს — „ქვეყნის არევის მოყვარეთა და მოჩხუბართა კაცთა“ ქმნეს ესო. მიმდინარეობს ფარული, უკომპრომისო ბრძოლა. მალე ეს ფარული ბრძოლა აშკარა მტრობაში გადაიზარდა. მაშასადამე, ეს „ფურჩვნა“ სხვა არაფერია, თუ არ მცდელობა ქვეყნის პროგრესული ძალების გასაერთიანებლად, თავადთა მადის შესაზღუდავად, ქვეყნის განსამტკიცებლად, რაც მეფის ინტერესს შეადგენს.

ამ მეფეში, როგორც გაირკვა, თეიმურაზ I იგულისხმება და არა ლუარსაბ II. ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის ამ შეცდომას ბევრი გაუგებრობა მოჰყვა. მათი ცნობის მიხედვით სააკაძე ლუარსაბისა და თეიმურაზის დროსაც ეჭვმიტანილი ყოფილა და წინააღმდეგობა ლუარსაბ მეფესთანაც ჰქონია, ე. ი. ყოველთვის საეჭვო კაცი იყო,

სინამდვილეში მხოლოდ თეიმურაზის დროს მოხდა ეს გაუგებრობა, თეიმურაზს მიუგზავნა სააკაძემ ავალიშვილი დომენტი. ლუარსაბსა და მას შორის კი სრული თანხმობა სუფევდა. ხოლო მას შემდეგ, რაც სააკაძის და შეირთო ლუარსაბმა, დიდებულები განუდგნენ მეფეს და მოურავის ჭოკვლა მოსთხოვეს, თუმცა „დიდად კარგ კაცს“ უწოდებდნენ სააკაძეს. ამ „ფურჩვნის“ წყალობით თათარხანის დიდ არმიას ქვეყანა იმდენად მოღონიერებული დახვდა, რომ მტრის უზარმაზარი ლაშქრიდან აღარაფერი დარჩა ტაშისკარის ომის შემდეგ. შიშისაგან დათრგუნულ თათარხანის მოლაშქრეებს ბავშვებიც კი ადვილად იჭერდნენ ტყეში და ყურით მიათრევდნენ უფროსებთან. და გიორგი სააკაძე გახლდათ ამ დიდი ომის ორგანიზატორიც და სულისჩამდგმელიც. თვალნათლივ დაამტკიცა ტაშისკარის ომმა, რომ ეს „ფურჩვნა“ პატრიოტების შერჩევა-შემოკრებისაკენ იყო მიმართული, რომ სწორედ სააკაძის დასის წევრებმა ზაზა ციციშვილმა, ნუგზარ არაგვის ერისთავმა და აზნაურთა რაზმებმა, უშუალოდ კავთისხევისა და მიმდებარე სოფლების ვაჟკაცებმა, სააკაძემ რომ სახელდახელოდ შეკრიბა, შეიძლეს მტრის სრული განადგურება.

ახლა ისმის კითხვა, თუ მეფეთა ორგული იყო სააკაძე (და იმდენად ორგული, რომ საჭირო ხდებოდა მისი მოკვლა), მაშინ ამ ორგულ კაცს რა რჯიდა საიმისოდ, რომ თავგანწირულად ებრძოლა სხერტის ჭალაში. ღამითაც არ მოეხუჭა თვალი მტრის მადევარს, ხალხი შემოეკრიბა, მტკვარი გადაელახა და ტაშისკართან ძლევამოსილი ომი გადაეხადა. ორგული იქცევა ასე თუ ერთგული? ორგული ხომ მთაში გარბის თავის გადასარჩენად, ციხე-კოშკში იკეტება, უცდის მოვლენების მსვლელობას — ვინ იცის, იქნებ მისი საძულველი მეფე ტყვედ ჩავარდეს, ან მოკლან, მერე თვითონ ეახლოს მტერს და იპარპაშოს ქვეყანაზე. სააკაძე კი 1609 წელს, ის სააკაძე, ვისი მოკვლაც თურმე ასე აუცილებელი იყო, სწორედ ლუარსაბ მეფეს იცავს და მერე როგორ, ენერგიის როგორი გაღებით, რა თავდაუზოგველად იბრძვის. აქ ერთი მთავარი დეტალია საყურადღებო. ტაშისკარის ომამდე მოურავი საოცარ საზრიანობას და ორგანიზატორულ ნიჭს

ავლენს — „რამეთუ იყო ეს მოურავი კაცი გულსრული და კარგი სარდალი, ჰკუიანი და გონიერი". დიახ, ის უკვე ნაცადი სარდალია. მართალია, არა დიდ ომებში, მაგრამ წვრილ-წვრილი ომები ტაშისკარამდეც გადაუხდია. ოსებისა და დვალების დამორჩილების შესახებ ვიცით უკვე, სიმონ მეფის მხარდამხარ ბრძოლებზე მწირი ცნობები მოგვეპოვება. ეს „გულსრულობა, კარგი სარდლობა, ჰკუიანობა, გონიერობა" მუდამ დასტურდება. სხერტის ჭალაში კი ყველამ ცხადად დაინახა დიდი მოურავის შესაძლებლობები. — შეუპოვრობის, გმირობის, საზრიანობის ნიმუში იყო სააკაძის ბრძოლა. შემდეგ ტაშისკარის ომის დასაწყისში სააკაძის გეგმა უყოყმანოდ მიიღეს, მხედარმთავრობაც უყოყმანოდ მიანდეს. ისიც ვიცით, როგორ დამთავრდა ეს დიდი ომი. რა ჰქონდა სინამდვილეში მიზნად— მეფის დაღუპვა, ქვეყნის დაქცევა, თუ მეფის ერთგულება და ქვეყნის გაძლიერება? სხვა რა საბუთი უნდა მოვთხოვოთ პიროვნებას, თუ არ მიზნებისა და ზრახვების გამამეღავნებელი ომები, სადაც ასე ცხადად ჩანს ადამიანის სულისკვეთება და მიზნების მიმართულება. ნუთუ მაბეზღრების ჩურჩული და ენატანიობა უფრო სანდოა, ვიდრე ეს არგუმენტი — სხერტისა და ტაშისკარის, მარტყოფისა და მარაბდის ომების ეპოპეა, „მჩურჩნელ", „მცბიერ", „უნდო" კაცს შეეძლო განა ასეთი ორგანიზაციის გაწევა, მთელი არსებით ომის ალში გახვევა, ქართლის პროგრესული ძალების შემოკრება და მტერზე გამარჯვება? „მჩურჩნელ", „მცბიერ", „უნდო" კაცს განა ომზე უკეთესი შემთხვევა მიეცემა, დაღუპოს მეფე, თუკი მისი დაღუპვა სურს? თუ ქვეყნის ღალატი სწადია? და სად ჩანს უფრო ბუნებრივი მეფის დაღუპვა, თუ არა გახურებულ ომში, სადაც ყველაფერი არეულია. სააკაძის ბუნება — მისი დიდი მამულიშვილური მიზნები ომმა ერთბაშად დაადასტურა. ეს იმგვარი საბუთი იყო, რისი უარყოფაც თვით უსაშინლეს მტრებსაც არ შეეძლოთ და აი, კიდეც გაჰმინდეს ხმა დიდგვაროვნებმა მის „მჩურჩნელობაზე", მის „მცბიერობაზე", მის „უნდოობაზე". თუ ვივარაუდებთ, რომ მსგავს რამეს ლუარსაბის დროსაც სწამებდნენ მას დიდებულები. და 1612 წელს, როდესაც გადაწყვიტეს სააკაძის ღაღუპვა, მეფე ლუარსაბს სულ სხვა არგუმენტი წამოუყენეს:

„და ეტყოდეს მეფესა მტერნი მოურავისანი, ვითარმედ:

მოურავი კაცი დიდად კარგი არისო, მაგრამ ჩვენზედ დიდად უმცირესი არისო და უმრწემესი გუარითაო... ჩვენ იმათ ცოლი და შვილი და თავნი ყმად რად მივცეთ, და უმეტესად სუფრაჯმან შადიმან ბარათაშვილმან დაუცადებლად დაუწყო ბეზღობა მოურავსა".

დიახ, სააკაძის ბუნება, პიროვნება, მისი ზრახვები და მოქმედება ერთბაშად გაანათა ტაშისკარის ომმა და დიდგვაროვნებიც სხვა საბუთებს ებღაუჭებიან. „მოურავი კაცი დიდად კარგი არისო", — აღიარებენ ერთბაშად მის სიდიადეს, მაგრამ არ შეუძლიათ რა თავისი უფლებების შეზღუდვას შეურიგდნენ, სწორედ იმ მთავარ მიზეზს ასახელებენ, რის გამოც მათი არსი სააკაძეს ვერ გუობს: „ჩვენზედ დიდად უმცირესი არისო და უმრწემესი გუარითაო". ნამდვილ მიზეზს მიადგნენ! ყოფნა-არყოფნის წუთები დგას: ან ისინი უნდა იყვნენ, ან სააკაძე. ეს მიზეზი მათ ხელს აძლევთ — რაკი სააკაძის წოდების კაცს (უმცირეს და უმრწემესს გუარით) არ იპატრონებენ, ცხადია, დედოფალი (სააკაძის და) უნდა მოშორდეს ტახტს. ტახტისაგან დედოფლის ჩამოშორება კი სააკაძის ოჯახის თავსლაფის დასხმაა, ამას დიდი მოურავი არ მოითმენს და მისი შურისძიება რომ აიცილოს, მეფე გიორგი სააკაძის მოკვლას უნდა დათანხმდეს. აქ მნიშვნელოვანია სწორედ „ფურჩენის" არსის მოხსნა — აქაც და თეიმურაზ პირველის დროსაც — რადგან ეს ცილისწამება სააკაძის ყველა მოქმედებით გაქარწყლებულია. სააკაძის მოკვეთის ამბავს დროებით თავი დავანებოთ, ის მთავარი მიზეზი რომ გაჭრა, რის გამოც ცილისმწამებლები შთამომავალთა და მეისტორიეთა მეხსიერებაში „მჩურჩნელი", „მცბიერი", „უნდო" ეპითეტებით „შეიმკო" სააკაძე, ეს არის საინტერესო. ლუარსაბ მეფის დროს დიდგვაროვნები დიდად კარგ კაცს უწოდებენ სააკაძეს. უფრო გულწრფელნი არიან, აღიარებენ, რის გამო სჩულთ „უმცირესი და უმრწემესი გუარის" კაცი, შავით თეთრზე წერია ეს ბერი ეგნატაშვილის ისტორიაში. და ეს „დიდად კარგი კაცი" დიდგვაროვნების პრეტენზიებს უნდა შეეწიროს. ან ჩვენ ან სააკაძეო — ასე დგას საკითხი.

სააკაძის „ფურჩენამ" — ერთგული ხალხის შემოკრებამ, ქართლს გაძლიერება-განმტკიცება მოუტანა, სერტის ჭალაში

გამარჯვება არგუნა და ტაშისკარის დიდ ომში სახელოვანი ძლევა შეაძლებინა ქვეყანასა და ხალხს. ჩვენ დავინახავთ (თუმცა, ეს ყველამ იცის) თავადების ენატანიობამ და მაბეზღარობამ რა უყო ლუარსაბსა და მის ქვეყანას სააკაძის მოკვეთის შემდეგ. თურმე როგორ სჭირდებოდა ქართლს და მის მეფეს სააკაძის „დღენიადაგ ფურჩენა“, რადგან იგი (ზემოთ მოტანილი არგუმენტების შემდეგ წარმოუდგენელია საწინააღმდეგოს მტკიცება) სინამდვილეში ნიშნავდა მ ც დ ე ლ ო ბ ა ს ერთგული და სანდო ხალხის შემოკრებისათვის, ქვეყნის გაძლიერება-განმტკიცებისათვის, მტრის დასახვედრად მზადყოფნისათვის. სხვა ახსნა ამ „ფურჩენას“ არ შეიძლება ჰქონდეს. სხვაგვარად მისი წაკითხვა უსამართლობაა. მართალია, სააკაძის მოქმედებას მეფე თეიმურაზის დროს (მარაბდის ომის შემდეგ) ეწოდა „ფურჩენა“, მაგრამ, ალბათ, ლუარსაბის დროსაც დაახლოებით ასე ნათლავდნენ ქვეყნის ერთგული შვილის დიპლომატიას. თეიმურაზს კი ყველაზე ნაკლები საფუძველი ჰქონდა მსგავსი რამ დაეჯერებინა, რამდენადაც მის დროს სააკაძეს გადახდილი ჰქონდა ტაშისკარიც, მარტყოფიც, მარაბდაც, ქსანიც და თეიმურაზი ხომ ორჯერ თავისი ხელით დასვა ტახტზე. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს მაგალითი, როდესაც არაგულწრფელ, „უნდო, მცბიერ, მჩურჩნელ“ კაცს, ასეთი თავგანწირვით ეომოს, როგორც იბრძოდა სააკაძე ამ ომებში, — მუხლჩაუხრელად, ცხენიდან ჩამოუხტომლად. ა ქ ე რ თ ი დ ა ო რ ი ე პ ი ზ ო დ ი კ ი ა რ გ ა მ ო ა ქ ვ ს ი ს ტ ო რ ი ა ს ე რ თ გ უ ლ ე ბ ი ს ა რ გ უ მ ე ნ ტ ე ბ ი დ, ე ჭ ვ ი ს გ ა ს ა ფ ა ნ ტ ა ვ ა დ, ა რ ა მ ე დ თ ა ვ ს უ ყ რ ი ს დ ა ა ჯ გ უ ფ ე ბ ს უ ა მ რ ა ვ ს ი ტ უ ა ც ი ა ს, ყოველი მათგანი სააკაძის სიცოცხლეს ემუქრება. ბეწვზე ჰკიდია მისი არსებობა და იგი მაინც მიდის რისკზე, გადახდილი ომების ჯამი კი გვიდასტურებს არა ერთ და ორ შემთხვევით ეპიზოდს, არამედ ცხოვრების ერთიან, სრულყოფილ წესს, რასაც სააკაძე მისდევდა. აი, ამ მთლიანობის ხმას უნდა გაეწიოს ანგარიში. სააკაძის თავდადებამ ყოველგვარი საბაბი გადაუწურა დიდგვაროვნებს. ყოველგვარი საბაბი! და დარჩა მხოლოდ ის მიზეზი, რაც აქამდე ფარდის იქით ჰქონდათ დამალული. ეს ფარდა ჩამოგლიჯა სააკაძემ და მეფესა და ქვეყანას დაანახვა,

ოუ რატომ ებრძოდნენ მას დიდებულები — არადიდგვაროვნობისათვის! მათ ტრადიციას, მათი სისხლისა და ფიქრის მოძრაობას არ შეეძლო შერიგება სააკაძის აღზევებასთან. ვიმეორებ, მეფესაც ვერ უთმენდნენ ისინი ნამდვილ მეფობას, რაც მათი თავგასულობის ალაგმვას გულისხმობდა, „უმრწემესი გუარის“ კაცს როგორ აპატიებდნენ და როგორ იპატრონებდნენ. სწორედ ეს მიზეზი უთხრეს მეფეს. ბერი ეგნატაშვილის ცნობა სავსებით ეთანხმება მოვლენების ლოგიკას სოციალურადაც და პოლიტიკურადაც. მის მიერ მოწვდილი ეს ცნობა ნამდვილი შესაკრებელი მიზეზებისა. აქ ორი მიზეზი ერწყმოდა ერთმანეთს. გარდა იმისა, რომ დიდგვაროვანთათვის „უმრწემესი გუარის“ კაცის აღზევება იყო მოუთმენელი და მით უმეტეს მისი პატრონობა ძნელად საგუებელი, ამავე დროს ეს კაცი მეფის ხელისუფლებას აძლიერებდა და ლუარსაბ მეფეც არ იქნებოდა უკვე მათთვის სასურველი სუსტი მეფე, თუკი გვერდით სააკაძე ეყოლებოდა. სააკაძის გეგმა სწორედ დიდგვაროვნების პარპაშის აღგვას ისახავდა მიზნად. ქვეყანა, სამეფო, სხვაგვარად ვერ განმტკიცდებოდა. შეგნებული დიდგვაროვნების რიცხვი ერთობ მცირე იყო, ერთობ მრავლობდნენ პოტენციური მოღალატენი დიდგვაროვანთა შორის, ისინი ყოველ წამს მზად იყვნენ საკუთარი კეთილდღეობის შენარჩუნების მიზნით მეფე გაეწირათ. პატრიოტებად მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვევლინებოდნენ, როდესაც ქვეყნის დამხობასთან ერთად მათი დამხობაც იყო მოსალოდნელი. ასეთ დროს ახსენდებოდათ, რომ ქართველები ბრიან და ხელი უნდა გაჰკიდონ. მანამდე კი მეფეს და სააკაძეს ებრძვიან, მათ წაკიდებაზე ფიქრობენ, იმ ადამიანების წაკიდებაზე, რომელთაგან ერთს ქვეყნის სადაველები უპყრია ხელთ, ხოლო მეორე ამ ქვეყნის ენერგიას განასახიერებს.

მეფე ლუარსაბის მიერ სააკაძის დის ცოლად შერთვას ბევრი ხსნის სააკაძისაგან მოწყობილ დიპლომატიურ სვლად. ბერი ეგნატაშვილი წერს:

„და ამა შინა (ტაშისკარის ომის შემდეგ — ჯ. ღ.) უფროსად გამდიდრდა მოურავი. მოიპოვა ღონე ესე, რამეთუ ცოლი არ ესუა მეფესა ლუარსაბს, ყმაწვილიც იყო. არჩივა მოურავმან, დაჰპატიჟა მეფესა და დახუდა კეთილად და გამოჩინებით. და

სმაში გამხიარულდა დიდად მეფე ლუარსაბ. მაშინ ჰყვანდა მოურავსა და ერთი მეტად მშუენიერი და კეკლუცი, და დააყენა მეღვინედ თავს მეფესა და მოეწონა მეტად დიდად და ეტრფიალა.

მაშინ მოურავს წინათვე განეგულა გულსა შინა, რამეთუ წინათ რომ მოურავმან ღალატი დასწამა მეფეს, ჰგონებდა არ დამინდობსო, ესრეთ განიზრახა, ვითარმედ მოეწონება და ჩემი დიდად მეფესა და ეტრფიალება და მაშინ მოინდომებს დასა ჩემსა და მივცემ ცოლად, და, უკეთუ არ ინდომებს ცოლად, მაშინ ვინც-ვინ ჩემნი მოკიდებულნი კაცნი არიან, უფროსად ყოველივე მე მომიდგებიან, და მეფეს შეუორგულდებიან და ამით წავახდენო, და თუ ცოლად შეირთავს, მტერნი ჩემნი გაუორგულდებიან და მეფეს ჩემის მეტი ღონე არ ექნება, და რა ხელთ ჩამივარდება, რასაც მინდა ვიქ. დაასკუნა რჩევა ესე.

და იყვნენ ლხინზედა დიდად მხიარულნი და მოეწონა მეფესა ქალი იგი. დღესა მეორესა მიუგზავნა კაცი მეფემან და სთხოვა ცოლად და თვისი მოურავსა.

მაშინ მოურავმან მოახსენა ხერხით: „მეფეო, მე ვარ ერთი მდაბალი ყმა შენი, დაღაცათუ ჟამისა ამის წყალობითა და თქუენის მრავლის კეთილის ბოძებითა განმდიდრებულ ვარ და დიდ არს სახელი ჩემიო, არამედ მტერნი ჩემნი დასა ჩემსა დედოფლად არვინ მიიჩნევს და არცავინ განდომებს თავსა ჩემსა, დაგიწყებენ ბეზღობასა და გამიწყრომებენ თქვენს თაესაო.

და ამისი რა მოციქული გაუგზავნა, მაშინღა კვალად აცნობა მოურავმან დედასაც მეფისასა, კუალად ხერხით, და შეეხუეწა, რომე თქუენი შვილი, მეფე ლუარსაბ ჩემს დას მთხოვსო ცოლად და მე ჩემის ნებით არ ვაძლეო და ამაზედ მომეხმარენით, რომ კაის საქმით მომარჩინოთო.

მაშინ, სცნა რა ესე მეფემან, არა უსმინა და შეირთო და მოურავისა".

კულტისებში დატრიალებულ ამბებზე მხოლოდ ფრთხილი ვარაუდების გამოთქმა შეიძლება. მოწვდილი ცნობები და ფაქტების ახსნა, ცხადია, კულისების დანახვის საშუალებასაც იძლევა, რამდენადაც ამ ცნობებსა და ფაქტებში, განსაკუთ-

რებით ფაქტებში, მთელი „წერილმანია“ იმ კულისებისა ჩაწუ-
რული და გამჟღავნებული. მაინც ნუ გავცდებით ფრთხილ
ვარაუდებს. სავსებით სწორად ხსნიან, და ჩვენც არავითარი
უფლება არა გვაქვს არ ვენდოთ ისტორიკოსებს ამ ფაქტთან
დაკავშირებით. სააკაძეს დიდი გეგმა ჰქონდა: თავდაპირველად
ქვეყნის განმტკიცება-გაძლიერება, ხოლო შემდეგ — საქარ-
თველოს გაერთიანება. ქართლის გაძლიერება მან ტაშისკარის
ომამდე მოახერხა. ტაშისკარის ომში თავისი ქვეყნისა და
თავისი პოლიტიკის ძლიერება დაუმტკიცა ყველას. ჰყავდა
საკუთარი „დასი“ — „მოკიდებულნი კაცნი“, ვისზე დაყრდნო-
ბითაც მიზნისაკენ ისწრაფვოდა. ტაშისკარის ომის შემდეგ
„უფროსად განმდიდრებულა“ მოურავი. უფრო დიდი სახე-
ლისა და მდგომარეობის კაცი მთლად აუტანელი შეიქნა დიდ-
გვაროვანთათვის. ისინი აღიარებდნენ მის პირველობას, მაგრამ
ახლა მისი ბატრონობაც უნდა ეცნოთ. სააკაძეს, ცხადია, ყვე-
ლაფერი ეს ზედმიწევნით კარგად ესმოდა. დიდგვაროვნები
ეცდებოდნენ წყლის ამღვრევას, არც იყო ეს მოულოდნელი
მისთვის. ისტორიის გამოცდილება კი კარნახობდა, რომ დიდი
მიზნების აღსრულების გზაზე მეფე მისი მომხრე უნდა ყოფი-
ლიყო. ამიტომ არ არის გასაკვირი და არც არაფერია საჩო-
თირო იმაში, უმშვენიერესი დის პატრონი დიდი მოურავი
მეფესთან მოყვრობის გზით თუ შეეცდებოდა თავისი პოზი-
ციების განმტკიცებას. მე არა თუ სათუოდ, აუცილებლად
მესახება ეს ნაბიჯები — იგი აღმავალი გზაა სააკაძის ძლიერე-
ბისა. რამდენადაც მეფის გრძნობა ასეთი ღრმა იყო, დამოყვ-
რებაც სასურველი ჩანს. სააკაძის აღმასვლა ლოგიკურ გან-
ვითარებას მოითხოვს, შემდგომი განვითარება კი მეფესთან
დამოყვრება და უფრო მეტი დაახლოება იყო, რაც საუკუნო
თანადგომის გარანტიად ჩანდა. და სააკაძესთან მეფის სტუმ-
რობა (ან მეფის სტუმრად მოწვევა), ალბათ, იყო მეფის
დამოყვრების იმედით გადადგმული დიპლომატიური ნაბიჯი.

მაგრამ არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც. კერძოდ,
თითქოს სააკაძე კარგად ხედავდა, რა მოჰყვებოდა მეფესთან
მის დამოყვრებას, მისი დის გადედოფლებას. ამიტომაც
მეფეს ერთხანს უარს ეუბნებოდა მოყვრობაზე. ბერი ეგნა-
ტაშვილთან ეს უარი სააკაძის ხერხად არის მონათლული.

მეფის დედის — ლიპარტელიანის ქალისადმი, ვისაც თურმე საოცრად „უმძიმდა“ არადიდგვაროვანი ქალის რძლად და დედოფლად მოყვანა, მოციქულის გაგზავნა სააკაძის მხრიე — ლუარსაბს ჩემი დის შერთვის განზრახვა გადააფიქრებინეო, ასევე ხერხად იკითხება ბერი ეგნატაშვილის ინტერპრეტაციის შემდეგ. მაგრამ აქვს თუ არა საფუძველი მოსაზრებას, თითქოს სააკაძეს მართლაც არ უნდოდა დიდგვაროვანთა გაღიზიანება-გადაკიდება და მეფეს გულწრფელად ეუბნებოდა უარს? რა თქმა უნდა, აქვს. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ სააკაძე, სჭვრეტდა მოსალოდნელ უსიამოვნებებს და მათი თავიდან აცილების მიზნით მართლაც არ თვლიდა გონივრულად თავისი დის გადედოფლებას. იქნებ იგი ლუარსაბ მეფის ნებისყოფის სისუსტესაც კარგად ამჩნევდა და მომავალ თანამდგომად არ ეიმედებოდა. ამდენად დის მითხოვება სარისკო ნაბიჯად მიაჩნდა და ცდილობდა ქორწინების თავიდან აცილებას. ასე რომ, გარკვეული საფუძველი აქვს მსგავს მტკიცებას. მით უმეტეს, რომ შემდგომ დატრიალებულმა ამბებმა ეს ეჭვი და საფრთხე სავსებით დაადასტურეს.

ჩემი აზრით, უფრო საფუძვლიანი მაინც პირველი ახსნაა: სააკაძე, ალბათ, მართლაც ფიქრობდა გულში მეფესთან დამოყვრებას, რაკი დედოფლობისათვის შესაფერისი და ჰყავდა. მოურავის დის განსაკუთრებულ სილამაზეს ბევრი წყაროა აღნიშნავს. ერთმანეთს ემოყვრებოდნენ მეფე და უდიდესი ენერგიის, განსაკუთრებული ჭკუისა და მთავარსარდლური ნიჭის პიროვნება. მათი ერთად ყოფნა და ერთსულოვნება საქართველოს გაძლიერება-გაერთიანების საიმედო დასაწყისად ჩანდა. არც ბერი ეგნატაშვილის ის ცნობაა გასაკვირი, თითქოს სააკაძეს ორმხრივი ჩანაფიქრი ჰქონდა — მეფესთან დამოყვრების შემდეგ იგი ქვეყნის ფაქტიური მმართველი გახდებოდა. თუ მეფე მასთან დამოყვრებას არ ინდომებდა, მაშინ „მეფეს წავახდენო“, რამდენადაც სააკაძის ოჯახის შეურაცხყოფას დიდი მოურავის ერთგული ხალხი მეფეს არ აპატიებდა. ასე ხსნის ბერი ეგნატაშვილი. და ეს ცნობა არ უნდა იყოს მოულოდნელი, იგი არაფრით არ გულისხმობს მოურავის ცუდ განზრახვას. პირიქით, თუ ეს ნაბიჯი დიპლომატიური ნაბიჯია, მაშინ სააკაძის მიზანი გასა-

გებია — იგი პოზიციების გარკვევას ესწრაფვის — ვის აირჩევს მეფე — მას დაეყრდნობა თუ დიდგვაროვნებს. დგას გადამწყვეტი წუთები: მეფე ან სააკაძის მხარეზე უნდა დადგეს, ან დიდგვაროვნებისა. სააკაძისაგან მეფესთან დამოყვრების ცდა არის გონივრული ნაბიჯი, მიუხედავად იმ შედეგისა, რაც მას მოჰყვა. პოლიტიკა მოითხოვს რისკიანი და დროული გადაწყვეტილების მიღებას. დიდგვაროვნების ისტორიულ მდგომარეობასთან დაპირისპირება სააკაძეს სხვაგვარად არ შეეძლო. მიუხედავად ტაშისკარის სახელოვანი ომისა, რისი წყალობითაც მან მთელი ქვეყანა იხსნა და დიდგვაროვნებიც კი მოხიბლა, იგი მაინც არ ცნეს პატრონად დიდგვაროვნებმა. ე. ი. საჭიროა სოციალური აღზევებაც, რომ მისი პირველობა და პატრონობა ცნონ და მიზნის აღსრულების — ქვეყნის გაერთიანება-გაძლიერების საშუალება მიეცეს. ამ თვალსაზრისით სხვაგვარი ახსნა ესაჭიროება სააკაძის სიფრთხილეს — მეფესთან კაცის გაგზავნას — ჩემი დის შერთვის განზრახვაზე ხელი აიღეო. მოციქულის გაგზავნა ლუარსაბის დედისადმი ასევე სხვაგვარად იკითხება: — სააკაძე მეფის სიტყვის სიმტკიცეს ამოწმებს. იგი თავს იზღვევს — უნდა, ყოველმხრივ უსაფრთხო იყოს ეს ქორწინება. ეს მოყვრობა ფიცის სიტყვას მოითხოვს; უნდა გაირკვეს, ჭეშმარიტი არის თუ არა ლუარსაბის გრძნობა, კიდევ უფრო გონივრულია ლუარსაბის დედისადმი მოციქულის გაგზავნა — სააკაძემ, ცხადია, კარგად იცოდა, რომ სწორედ ლუარსაბის დედა იქნებოდა უკმაყოფილო მისი შვილის არადიდგვაროვან ქალზე დაქორწინებით. ეს უტყუარი ალღოა. აკი ადასტურებს კიდეც ბერი ეგნატაშვილი „დაუმძიმდა დიდად“ ლიპარტელიანის ქალსო. ამიტომ სწორედ ლუარსაბის დედის წინაშე უნდა დარჩეს პირნათელი სააკაძე. ამას გულწრფელობაც მოითხოვს და დიპლომატიაც. ეს უკანასკნელი სრულებითაც არ გამორიცხავს გულწრფელობას, როდესაც სიტუაცია ხელს უწყობს და მოითხოვს კიდეც გულწრფელობას. ამ ნაბიჯით ორი რამ კეთდებოდა: ერთის მხრივ, სააკაძე პირდაპირ ეუბნებოდა სამეფო კარს, ლუარსაბს, დედამისს, რომ თავს არ ახვევდა საკუთარ დას, პირიქით, მოითხოვდა, დამეხსენითო... მეორეც, ფიცის სიტყვას იღებდა მეფისაგან, ერთგულებისა და თანადგომის ფიცს.

თუკი მეფე გადაიფიქრებდა სააკაძის დის შერთვას, ყველაფერი გასაგები იქნებოდა. მეფე აშკარად გადავიდოდა მტრის ბანაკში და სააკაძესაც შექმნილი ვითარების შესაბამისად უნდა ემოქმედა. ცხადია, სააკაძეს უფრო იმის იმედი ჰქონდა, რაც მოხდა. მეფე სპეტაკი გულისა და ზნეობის კაცი იყო. თავგანწირული ბრძოლა უყვარდა და კაცურკაცობას სცემდა პატივს. საკუთარი დისადმი უსაზღვრო სიყვარულიც დაინახა მეფის გრძნობებში სააკაძემ. აღსანიშნავია, რომ 1612 წლიდან, როდესაც სააკაძის და გააშვებინეს დიდებულებმა ლუარსაბ II, 1615 წლამდე, მთელი სამი წელიწადი გავიდა და მეფეს სხვა ცოლი არ შეურთავს. სწორია ისტორიკოსების ვარაუდი, რომ მას ღრმა გრძნობით უყვარდა სააკაძის და. დიდხანს ვერ შეიძლო მისი დავიწყება და საერთოდ ისე დაიღუპა, რომ მეორედ არ დაქორწინებულა.

„დიდმოურავიანის" მიხედვით ლუარსაბ მეფე ღრმად გამიჯნურებული ყოფილა სააკაძის დაზე და რამდენჯერმე მის სანახავადაც ასულა ნოსტეს. ასეთ დროს მეფის სტუმრობას არ შეიძლებოდა მითქმა-მოთქმა არ მოჰყოლოდა. ამას კი თავადები მაშინვე გამოიყენებდნენ უკმაყოფილების ჩამოსაგდებად. ეს ერთი-ორი ნახვაც კი სააკაძის შერცხვენად ითვლებოდა და სააკაძე, როგორც იოსებ თბილელი გადმოგვცემს, მართლაც აღუშფოთებია ამ ფაქტს. იგი მეფისაგან მოითხოვს დაეხსნას მის დას, ნუ მიიყვანს საქმეს მტრობამდე, რამდენადაც დიდი მოურავი ვერ მოითმენს შეურაცხყოფას. აქაც პოზიციის გარკვევის ცდა უნდა დავინახოთ.

მაგრამ მეფის გრძნობა ნამდვილი და წრფელი აღმოჩნდა. მას აზრადაც არ ჰქონია სააკაძის შეურაცხყოფა. პირიქით, თავდავიწყებით უყვარდა მისი და. ამიტომ არ გაჰკრა არც დედის წინააღმდეგობამ, არც დიდგვაროვანთა რჩევამ, არც სააკაძის გაფრთხილებამ. მან ქვათახევის მონასტერში ჯვარი დაიწერა სააკაძის დაზე და ქართლის დედოფლად დასვა იგი.

სიძე-ცოლისძმის კავშირი ადუღაბებდა სააკაძის დასის გეგმების შინაარსს. ახლა ამ გეგმამ გამოკვეთილი, ცხადი სახე მიიღო, სააკაძისაგან განმტკიცებული მეფე აღარ იქნებოდა დიდგვაროვანთათვის სათამაშო ტიკინა. მათი საუკუნეობრივი პრივილეგიები იზღუდებოდა. ერთბაშად ილაგმებოდა პატივ-

მოყვარეობა, ამპარტავნობა, მცირდებოდა გაელენა, ილახებოდა თავმოყვარეობა, იზღუდებოდა ფეოდალური ინტერესები, იკარგებოდა პატარა „მეფედ“ ყოფნის გარანტია. მომავლის შანსებიც შარშანდელი თოვლივით დნებოდა. ყველაფერ ამას მეფის ინტერესები და სააკაძის გეგმა შეიწირავდა.

მძიმე წუთები იდგა სამეფოსათვის, ხალხისათვის, მისი მომავლისათვის. დიდგვაროვანთა დასმა მეფეს სწორედ ასე დაუსვა საკითხი:

გივი ჯამბურია ვარაუდობს, რომ რაკი სააკაძის მოკვლა დაასკვნეს მეფემ და თავადებმა, ალბათ, მას სამშობლოს ღალატი ბრალდებაო, რამდენადაც ამ დროს სიკვდილით მეფისა და ქვეყნის მოღალატე ისჯებოდაო. ამ ვარაუდს, ცხადია, აქვს საფუძველი. გივი ჯამბურიას აზრით, იქნებ სააკაძეს სურდა ვინმე სხვა დაესვა ტახტზე, რაკი ლუარსაბის სისუსტეს ხედავდა და ამდენად მის შეცვლას მოიწადინებდა: „წყაროებში არ ჩანს, — წერს გივი ჯამბურია, — რა კონკრეტული ფაქტებით ამტკიცებდნენ შადიმანი და ბერუკა სააკაძის მოღალატეობას. აქ მხოლოდ ფრთხილი ვარაუდის გამოთქმა შეიძლება:

იმ ხანებში ირანში, შაჰ აბასის კარზე იმყოფებოდნენ ქართველი გამაჰმადიანებული ბატონიშვილები, სიმონ I-ის ძმის დაუთხანის ვაჟები — ბაგრატ მირზა „ნაშობი კახთა ბატონის ნათესავისა“ და ხოსრო მირზა (შემდგომში როსტომ მეფე), „ნაშობი წავკისელი ქალისა“. ეს ტახტის მაძიებელი ბატონიშვილები შაჰს ლუარსაბის საწინააღმდეგოდ ჰყავდა თავის კარზე. ეს ლუარსაბმაც კარგად იცოდა და ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდა მათს საქმიანობას და განსაკუთრებით კი ქართველების მათთან ურთიერთობას. სააკაძეს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძმა უნდა ჰყოლოდა ირანში, ირანში იყო აგრეთვე გიორგის რამდენიმე ნათესავი, რომელთაგან როსტომ სააკაძე შემდეგ ირანის ჯარების მთავარსარდალი გახდა. გიორგიც ხომ ნამყოფი იყო ირანში, შაჰ აბასის კარზე. შესაძლოა, მას პირდაპირ ან ძმისა და ნათესავების საშუალებით რაიმე ურთიერთობა ჰქონდა ტახტისმაძიებელ ბატონიშვილებთან... მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ გიორგი ლუარსაბის წინააღმდეგ მოღვაწეობდა. ამის შესანიშ-

ნავი დადასტურებაა გიორგის ლუარსაბთან დამოყვრება. მაგრამ სრულიად საკმარისი იქნებოდა, თუკი „შვილივით გაზრდილი „ბერუკა“ შეძლებდა ლუარსაბისათვის წარედგინა გიორგისა და ტახტის მაძიებელი რომელიმე ბატონიშვილის ურთიერთობის დამამტკიცებელი რაიმე საბუთი, რომ მას გიორგის ორგულობა და მოღალატეობა დაეჯერებინა. მაგრამ მთელი ეს მსჯელობა მხოლოდ შესაძლებელი ვარაუდია“.

ეს მსჯელობა მართლაც შესაძლებელი ვარაუდია. გიორგისა და ლუარსაბის დამოყვრება გამორიცხავს ლუარსაბის წინააღმდეგ სააკაძის მოქმედებას. ყველაზე უფრო სარწმუნო სწორედ ის არის, რასაც ბერი ეგნატაშვილი წერს ასე გარკვევით. დიდგვაროვნები მოურავის დამსახურებას არ ივიწყებენ, არავითარ მოღალატეობას მას არ სწამებენ, — „კაცი დიდად კარგი არისო“ — ამბობენ, მაგრამ არ შეუძლიათ „ყმად მისცენ თავი უმცირეს და უმრწემესს გუარით“. გამორიცხულია მათგან ამ სინამდვილესთან შერიგება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ გიორგის სიკვდილი რაიმე სასამართლოს კი არ დაუსკვნია, არამედ შეთქმულება ეწყობა, შეთქმულება — როგორც იარაღი ერთი პოლიტიკური დასის ხელში მეორე დასის გასანადგურებლად. და რაც უმთავრესია, სააკაძის სიკვდილი შემდეგი მიზეზების გამო გახდა აუცილებელი: მეფემ დედოფალი — სააკაძის და უნდა გააგდოს. ეს კი სააკაძის უდიდესი შეურაცხყოფაა. ცხადია, პირველი გმირი, პირველი კაცი, ტაშისკარის ომის ავტორი, ამ შეურაცხყოფას არც თავადებს მოუთმენს და არც მეფეს. ამიტომ სავსებით ლოგიკურია თავადთა მსჯელობა — დედოფალი უნდა გაუშვას მეფემ და თუ სიცოცხლე უნდა, სააკაძე მოსპოს. მოვლენების მსვლელობა გვიკარნახებს ვერწმუნოთ ბერი ეგნატაშვილის ამ ცნობას: „და ამაზე დაიყოლიეს (მოურავის დის გაშვებაზე) მეფე, კუალად იკადრეს სრულიად ამოწყვეტა და გათავება მოურავისა და შეატყუეს მეფესა, რომ ყრმა არისო და რასაც მოვახსენებთ, ვერ ურჩ გვექნებაო, კუალად შესძინეს ბოროტი ბოროტსა ზედა და მოახსენეს: „ვინაითგან დაუტევებ და დაუგდებ მოურავსა დასა, ესე უწყით რომე ამას მოურავი არ დასთმობს, დიდად სახელოვანი კაცი არის, გაგიორგულდება და ბევრი ავი მოჰხდებაო. მაშინ ურჩიეს ღალატი და სიკუდილი მოურავისა“.

დიდგვაროვნების მსჯელობა სავსებით თანმიმდევრულია, ქვეყნის დაქცევას რომ არ გულისხმობდეს მათი რჩევა! ყველაფერი მართლაც ასე მოხდებოდა, სააკაძე, ბუნებრივია, ვერ პატიებდა ამოდენა შეურაცხყოფას მეფესა და დიდგვაროვნებს და სააკაძის დის გაშვების შემდეგ მტრებს სააკაძის მოკლაც უნდა დაესკვნათ. ამით არის გამოწვეული სააკაძის დაღუპვის გადაწყვეტილება. რაიმე ღალატზე ლაპარაკი სააკაძის მხრივ უკვე უაზრობად ეჩვენებათ დიდებულებს. პირიქით, დაჟინებით იმეორებენ — „სააკაძე კაცი დიდად კარგი არისო", გაგიორგულდება და ამიტომაც საშიშია მისი ცოცხლად გაშვებაო. მაგრამ ან თავისი მდგომარეობის შენარჩუნება, ან სააკაძის პატრონობის შეგუება — ეს დილემა დადგა მათ წინაშე და, ცხადია, „კაცი დიდად კარგი და სახელოვანი" უფრო ადვილად გასწირეს, ვიდრე საკუთარი საუკუნეობრივი პრივილეგია. მეფეც დაიყოლიეს.

მეფის დაყოლიება ერთბაშად არ მომხდარა. „რამდენსამე თვეს" ჰყავდა სააკაძის და დედოფლად ლუარსაბ მეფეს, მანამდეც ხომ ებრძოდნენ. ცდილობდნენ გადაეფიქრებინათ სააკაძესთან დამოყვრება მისთვის. ჭორწინების შემდეგ პრინციპულ ბრძოლაზე გადავიდნენ. მეფე კი, მიუხედავად იმისა, რომ ყრმა იყო, კეთილსინდისიერი და წრფელია, არ ასურს უკან წაიღოს თავისი სიტყვა, გატეხოს ფიცი. „დაღაცათუ არ ენება მეფეს მოურავის გამომეტება, არამედ დიდად აიძულეს სიტყვითა და ჟამ ყოველ განაზრახებდნენ მეფესა განტევებას, სჯულიერისა მის წმიდისა ჭორწინებისაგან და დიდად უარის ყოფასა და არ რწმუნებასა წმიდის სახარებისასა, ვითარმედ „რომელნი ღმერთმან შეაუღლნა, კაცნი ნუ განაშორებენ" და ამისათვის დიდად უბრალო იყო მეფე და არა სწადდა განტევება ღმრთისაგან მოცემულისა მეუღლისა და დიდად მიაჭირვეს სიტყვითა და დაჰყვა მეფე რჩევასა მათსა და ებრძანა განტევება".

ახლა მივყვეთ კვალდაკვალ აქ თქმულს. მეფეს, როგორც ეს აშკარად ჩანს, არა და არ სჯერა მოურავის ღალატი და არას გზით არ უნდა მისი გამომეტება. მაგრამ „ჟამ ყოველ" — გაუთავებლად ძალობენ დიდგვაროვნები, შეუსვენებლივ, ყოველდღე, ყოველ წუთს ჩასჩიჩინებენ — ან ჩვენ ან ის

„დიდად სახელოვანი კაციო“. მეფე წრფელია, ანკარა სულის, ერთგული სიტყვის, ერთგული თავისი სიყვარულის. თავგამოდებით იცავს მოურავსაც და დედოფალსაც. მაგრამ საკითხი დიდგვაროვანთა ინსტიტუტს შეეხო... ან დიდგვაროვანთა ინსტიტუტს უნდა დაყრდნობოდა ან მხოლოდღა პირადი ღირსებებით აღზევებულ, მაგრამ „უმრწემესი გუარის“ სააკაძესა და მის დასს. ბერი ეგნატაშვილი აშკარად არ თანაუგრძნობს დიდგვაროვნებს: „ქვეყნის არევის მოყუარეთა და მესისხართა კაცთ“ — უწოდებს მათ. მაბეზღრებს უწოდებს დიდებულებსაც, ვისაც შადიმან ბარათაშვილი მეთაურობს. შემდეგ გვარწმუნებს, რომ მათ აიძულეს მეფე, მათ „მიაჰირვეს სიტყვითა“, მათ „შესძინეს ბოროტი ბოროტსა ზედა“ მეფეს და, რაც მთავარია, ამბობს, რომ „არ დაჰფარა ღმერთმან საქმე ესე. არამედ იხსნა მეფე ლუარსაბ უბრალო კაცის სიკვდილისაგან და სისხლისგან“ (ბაკა ხერხეულიძემ გასცა სააკაძის წინააღმდეგ შეთქმულები).

ბერი ეგნატაშვილი გარკვევით ამბობს სააკაძის მისამართით — „უბრალო“. ან კი რა ბრალი უნდა ჰქონოდა სხერტის ჭალასა და ტაშისკარში საქართველოს მხსნელს. რა ფარული ზრახვა უნდა ჰქონოდა სამეფოს პირველ კაცს ამ სამეფოს მეფის, იგივე თავისი დის მეუღლის წინააღმდეგ? მეფობა არ ეკუთვნოდა და ამიტომ მეფობას არც ესწრაფვოდა. ძალაუფლება ეკუთვნოდა და ჰქონდა კიდეც ძალაუფლება. ლუარსაბის სრული მხარდაჭერით სარგებლობდა და მისგან ლუარსაბის ღალატი წარმოუდგენელი იყო.

ახლა, როდესაც გარკვეულია, ცხინვალს მდგარი მეფე ლუარსაბ მეორე კი არ არის პოემა „დიდმოურავიანის“ მიხედვით, არამედ თეიმურაზ I, რომ სააკაძე თეიმურაზს უგზავნის ავალიშვილს საქმის გასარკვევად და არა ლუარსაბ I, თავისთავად იხსნება ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის ის მოსაზრება, თითქოს ტაშისკარის ომამდეც ყოფილიყოს რაიმე გაუგებრობა სააკაძესა და ლუარსაბს შორის. წინააღმდეგობა სააკაძესა და დიდგვაროვნებს შორის გამწვავდა ლუარსაბის დიდ მოურავთან დამოყვრების პერიოდში. სააკაძის რაიმე ღალატზე ლაპარაკი, როგორც ჩანს, არ ყოფილა. მიზეზებს საამისოდ დიდგვაროვნები ვერ იპოვიდ-

წენ. ამიტომ მოიშველიეს „უმრწემესი და უმცირესი გუარის“ არგუმენტი. დიდგვაროვანთა ფენის პრინციპები, რომელიც მხოლოდ სუსტ მეფეს სცნობდა თავისთვის სასარგებლო კანდიდატურად, მოსალოდნელი საფრთხის წინაშე შეიკრა, შეითქვა. დადგა ისტორიულად საბედისწერო წუთი — ლუარსაბ მეფეს უნდა გადაეწყვიტა, ვის ირჩევდა, დიდგვაროვანთა ფენას თუ სააკაძის დასს. სააკაძის დასმა თავისი დიდი მეთაურის წყალობით მეფეს ერთგულებაც დაუმტკიცა და ძალმოსილებაც — როგორც მშვიდობიანობის წლებში, ასევე ძნელ ომშიც. სიტყვა მეფეზე მიდგა.

მართლაც, არ იქნება გამართლებული ლუარსაბის ახალგაზრდობას, „სიყრმეს“ დაბრალდეს, რომ იგი, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, დაჰყვა დიდგვაროვანთა სურვილს და მათ მიემხრო. უფრო ახალგაზრდა, უფრო „ყრმა“ იყო დავით აღმაშენებელი, მაგრამ „სიყრმეს“ მისთვის არ შეუშლია ხელი სწორი პოზიციისა და ორიენტაციის არჩევაში. არსებობდა ისტორიულად ორი ნაცადი გზა — მეფის ხელისუფლების დაყრდნობა ფეოდალურ ინსტიტუტზე, დიდგვაროვანთა ფენაზე, ან „უმცირესი გუარის“ ფენაზე. რით იკვებება არადიდგვაროვანთა მეფისადმი ერთგულება, ამის შესახებ კარგად არის ცნობილი და მეც კიდევ ერთხელ შევახსენე მკითხველს ამ ერთგულების დამადასტურებელი წყაროების შესახებ. ნაცადი გზის შეხსენება აუცილებელია, რადგან ლუარსაბის არჩევანით საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი სამეფოს ბედი წყდებოდა იმ დროისათვის.

საქართველოს ისტორიის მამა ივანე ჯავახიშვილი წერს:

„... მეფეთაგან პირველად ბაგრატ III შეიგნო, რომ საქართველოში მტკიცე სახელმწიფოებრიობის დამყარება და ქვეყნის გაერთიანება მანამდე შეუძლებელი იქნებოდა, სანამდე უფლისწულთა და დიდგვაროვან აზნაურთა თვითნებობა ულმობლად არ აილაგმებოდა. ამით აიხსნება, რომ ბაგრატ III თავისი მეფობის პირველი წლებიდანვე მოყოლებული დიდგვაროვან აზნაურთა ყოველ ურჩობასა და თვითნებობას მკაცრი წინააღმდეგობა გაუწია, დასავლეთ საქართველო იქნება. თუ აღმოსავლეთი, მისი ისტორიკოსის ცნობით, ბაგრატ III ყველგან და ყოველთვის ერთნაირად

იქცევა ხოლმე: ურჩსა და მოწინააღმდეგე მაღალ აზნაურებს უყოყმანოდ გადააყენებდა ხოლმე და მათ მაგიერ თავისი ბრძანების მორჩილ აღმსრულებლებს ნიშნავდა. ბაგრატ III საქართველოს ასე სწრაფად გაერთიანება და მტკიცე სამეფო სახელმწიფოებრიობის შექმნა სწორედ ამან შეაძლებინა".

ეს ისტორიით დადასტურებული ჭეშმარიტება და გამოცდილება ავიწყდებოდათ ხშირად საქართველოს სხვა მეფეებს ან თავისი შესაძლებლობების სიპატარავის გამო ვერ ახერხებდნენ ამ მეთოდით ესარგებლათ, რადგან პოლიტიკური გარდაქმნების გზაზე დიდგვაროვანთა მძაფრი წინააღმდეგობა ხვდებოდათ მუდამ.

აქ მინდა მკითხველმა ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ „დიდგვაროვანი აზნაური" იგივე თავადის, საერთოდ „ძირძველი" დიდგვაროვანის ფარდია ივანე ჯავახიშვილის ტექსტში, რადგან საქმე XI საუკუნეს ეხება. დიდგვაროვანი აზნაური ბაგრატ III დროს იგივეა, რაც შადიმან ბარათაშვილი, ქაიხოსრო ჯავახიშვილი და ფარსადან ციციშვილი XVII საუკუნეში. ეს ერთი და იგივე კლასია, ერთი და იგივე ფენა. ბაგრატ მესამის დროს დიდგვაროვან აზნაურად იწოდებოდა, ლუარსაბ მეორის დროს კი დიდგვაროვან თავადად.

მაგრამ ჯერ მივყვეთ ივანე ჯავახიშვილის მიერ ხაზგასმული ჭეშმარიტებების რიგს.

„ბაგრატ IV მეფობის უდიდესი ძალა და დრო აგრეთვე თვითნება დიდგვაროვან აზნაურებთან ბრძოლას შეეწირა. დაუნდობელი ბრძოლის წარმოება მას ჯერ ლიპარიტთან უხდებოდა. საქართველოს პოლიტიკურ საქმეთა მიმდინარეობა ხშირად სწორედ იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რა განწყობილება არსებობდა ბაგრატ მეოთხესა და მის ამ, ვითომცდა ყმას, ნამდვილად კი ყოვლისშემძლე მბრძანებელს, ლიპარიტ ამირას შორის, როდესაც ბაგრატ IV ბოლოს ლიპარიტის თავიდან მოშორება შეძლო, აიძულა ის პოლიტიკური მოღვაწეობისათვის თავი დაენებებინა და, საქართველოდან გახიზნული, ათონის ქართველთა მონასტერში უბრალო ბერად შემდგარიყო, შინაურობაში თითქოს მშვიდობიანობა უნდა დამყარებულიყო, მაგრამ ამ ერთი, უკვე დამორჩილებული და უვნებლადქცეული ყმის მაგიერ სხვები გამოჩნდნენ: ხუთნი ძმანი

აბაზას-ძენი, რომელთაგან ერთი ქართლის ერისთავთ-ერისთავი იყო, სხვებსაც სათანადო მაღალი ხელისუფლება, ანდა სოციალური მდგომარეობა ჰქონდათ. მათ ბაგრატ IV შეპყრობაც კი სურდათ".

დავით აღმაშენებელსაც ივანე ჯავახიშვილი ყველაზე დიდ ღვაწლად სწორედ დიდგვაროვანთა ალაგმვას უთვლის, რადგან მხოლოდ ამ გზით გახდა შესაძლებელი საქართველოს გაერთიანება და არნახული გაძლიერებაც.

„მაგრამ დავით აღმაშენებლის ღვაწლს მაინც ის შეადგენს, რომ დიდგვაროვან აზნაურებს მალე აგრძნობინა, რომ წინანდელი უსუსური ხელისუფლების მაგიერ სამეფო ტახტზე უკვე ძლიერი პიროვნება იყო, რომელიც არც ერთ მათგანს თვითნებობას და ურჩობას არ აპატიებდა. როცა 1093 წ. ლიპარიტ ამირამ მაგალითად, თავისი მამაპაპისეული მიმართულების გზაზე დადგომა დაიწყო და დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობას შეუდგა, ამის გაგებისთანავე დავითი მოულოდნელად მას თავს დაეცა, შეიპყრო და ციხეში დაამწყვდევინა. ამით მან ყველას აგრძნობინა, რომ თავისი მამის პოლიტიკის მაგიერ, რომელიც აჯანყებული დიდგვაროვანი აზნაურების საჩუქრებით მომადლიერებას ცდილობდა, ასეთი ურჩობის განზრახვისათვის დაუყოვნებლივ მკაცრ პასუხს მისცემდა".

ეს არის ნამდვილი მეფის პოზიციაც და მბადყოფნაც. დავიმახსოვროთ, რომ ლიპარიტის ამლავმველი დავით აღმაშენებელი 1093 წ. მხოლოდ 20 წლისა იყო (იგი თექვსმეტი წლისა გამეფდა 1089 წ.). აქ, ცხადია, დავით აღმაშენებლის რეფორმების სრულ დახასიათებას არ ვისახავ მიზნად. საქმე ეხება ყოველი ძლიერი მეფის პოზიციასა და პრინციპს ქვეყნის მართვის საქმეში. საქმე ეხება ორ ნაცად გზას — დიდგვაროვანთა ალაგმვისა ან მათდამი მორჩილების გზას. თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ხოლმე მეფისაგან დიდგვაროვანთა ალაგმვას, ან სუსტი მეფისაგან დიდგვაროვნებისადმი მორჩილებას — ამ მოვლენის არსია საინტერესო. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ეკლესიაც ურჩი ფეოდალების მხარეზე იდგა უმეტესად.

ჩვენ ვიცით, რომ დიდგვაროვნებთან საბრძოლველად (და

არა მარტო გარეშე მტრებთან საბრძოლველადა) დავით აღმაშენებელმა ისეთი სარისკო ნაბიჯიც კი გადადგა, როგორიც გახლდათ ყივჩაღთა ოჯახების გადმოსახლება და რეგულარული არმიის შექმნა.

რაც შეეხება თამარ მეფეს, ისტორიკოსები და მათ შორის თვით ჯავახიშვილიც ერთხმად აღნიშნავენ, რომ თამარის დროს წინაურდებოდნენ დიდგვაროვნებიც, მაგრამ ისევ პირადი თვისება და ღირსება იყო ამოსავალი პრინციპი, პირადი ღირსება და მეფისადმი ერთგულება! თამარს ფაქტიურად არ დასჭირვებია იმდენი ბრძოლა დიდგვაროვნებთან (თუმცა მთლად უშფოთველი მდგომარეობაც არა ჰქონია), როგორც დასჭირდათ მის დიდ პაპასა და მამას. ფაქტია, რომ საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტის განმტკიცება შეიძლო დავით აღმაშენებელმა, ხოლო შემდეგ ეს ინსტიტუტი უფრო სრულყვეს მისმა შთამომავლებმა სამეფო ტახტ'ხე. დიდგვაროვან აზნაურთა წინააღმდეგობა საბოლოოდ იყო გატეხილი და ისინიც არჩევენ მეფის ტახტისადმი ერთგულებას, ვიდრე წინააღმდეგობასა და გაუთავებელ ბრძოლას. მეფის ტახტის სიმტკიცე ასევე ტრადიციულად იყო დამკვიდრებული და ასე იოლი არ ჩანდა ტრადიციის წინააღმდეგ წასვლა. ცალკეული გამოხდომები, თუნდაც მნიშვნელოვანი, ეპიზოდურ ხასიათს ატარებდნენ. ისე კი დიდგვაროვანიცა და არადიდგვაროვანიც მაინც მეფის გარშემო იყო დარაზმული. ეს იყო საქართველოს სახელმწიფო- ერთსულოვნების ეპოქა, ბატიოსნების სრული ამზევების ხანა, როდესაც ფორმაცია თავისი საუკეთესო თვისებებით ცხადდებოდა ჩვენს წინაშე.

მონღოლთა შემოსევების შემდეგ აშკარად იჩინა თავი დისჰარმონიამ. თუმცა ცოტა უფრო ადრე შეიმჩნეოდა დარღვეული წონასწორობა — ლაშა გიორგის მეფობის ხანა მაქვს მხედველობაში. მონღოლებს, ცხადია, დავითისა და თამარის ღონისძიებების შედეგად გაძლიერებული სახელმწიფო არ დახვედრიათ. უკვე რაღაც სერიოზულად იყო დაზიანებული მის წყობაში, დიდგვაროვანთა შეუთანხმებლობა და მეფის შესამჩნევი არაგონივრული მმართველობა გავიხსენოთ. მონღოლთა შემოსევებმა კი კიდევ მეტად შეურყია ბურჯები ქვეყნის შინაგან წონასწორობას და თავადური

განდგომის სურვილმა, „საკუთარ ჯამში ჩამაცქერალი“ კაცის ინტერესებმა უმალ გაშალა ფრთები.

და ისევ დადგა დღის წესრიგში ქვეყნის სიმტკიცის მიღწევის ამოცანა. აფოფინდა ფეოდალური განზიდულობა და ღალატი. და წარმატებას კვლავ და კვლავ ის მეფეები აღწევდნენ, ვინც მისდევდა ისტორიული ჰეშმარიტების გზას — ფეოდალთა ურჩობის ალაგმვისა და მეფის ტახტის ერთგული არადიდგვაროვნების შემოკრება-დაწინაურების გზას. ასეთი მეფეები იყვნენ ბაგრატ V, გიორგი ბრწყინვალე და სიმონ I. ისინი კვლავ და კვლავ უბრუნდებიან არადიდგვაროვანთა ერთგულ ფენას, არადიდგვაროვნებისას, რომელთაც სოციალური მდგომარეობის გამო აქვთ ძეალსა და რბილში გამჯდარი მეფის ხელისუფლებისადმი ერთგულება და აი, თამარ მეფის მიერ წყალობაბოძებული სააკაძის არადიდგვაროვანი გვარი ჯანზურაბ სააკაძის მეთაურობით მეფის გვერდით დგას. დონა სააკაძე, ბაგრატ V ერთად ვარდებიან ტყვედ, ხოლო XVII საუკუნის მანძილზე გიორგი სააკაძის მამა-ბიძები მეფის სამსახურში წინაურდებიან.

XVI საუკუნეში სააკაძეთა გვარის მეფისადმი ერთგულება უამრავი მაგალითით გვიდასტურდება. დიდი მოურავის წინაპარი — მისი სეხნია გიორგი პატრონად იწოდება, ე. ი. ის უკვე ფეოდალია — არა დიდგვაროვანი, მაგრამ მეფის მიერ გამდიდრებული, ნაწყალობევი. ეს წყალობა მეფის ერთგულების გზაზე მოიპოვება მხოლოდ. შვილები ამ გიორგი სააკაძისა — ზეშთეალი, სიაუში, ზურაბ და ივანე სამეფო კართან არიან დაახლოებულნი და სიმონ I მხარდამხარ იბრძვიან მტრის წინააღმდეგ. როგორც ზემოთ ითქვა, ზეშთაელს წყალობას აძლევს სიმონ მეფის მეუღლე, ნესტან-დარეჯანი, ზურაბ სააკაძე კი ქართლის სამეფოს სახლთუხუცესად გვევლინება, ჯერ სიმონ I, შემდეგ გიორგი X და ბოლოს ლუარსაბ მეფის დროს, რაც შეეხება გიორგი სააკაძის მამას — სიაუშს, ის სიმონ მეფის მუსაჰაბად (მრჩევლად) ითვლება. 1590 წლიდან მას მოურავის თანამდებობა უპყრია.

დიდი მოურავი—გიორგი სააკაძე კი მონაწილეობდა ყველა ომ. ბრძოლაში, რომელსაც ეწეოდა სიმონ მეფე ოსმალთა წინააღმდეგ. იგი ე. წ. პირველი ხმალი, შემძლე, პოზღვავე-

ბული ენერგიის კაცი, მეომარი სულით და გულით, ცხადია, გაუთავებელი ბრძოლების მიმართ გულგრილი ვერ იქნებოდა და აი, თავიც უსახელებია. 1594 წელს გაცემული „წყალობის წიგნში“ სიმონ მეფე გიორგი სააკაძეს ერთგულს, თავდადებით ნამსახურს ყმას უწოდებს და თბილისის ახლოს ლისს ჩუქნის.

დიდ ფეოდალთა ნაცვლად ერთგული, წვრილი აზნაურების დაწინაურება სიმონ მეფის ნაცადი ხერხი იყო. მათზე დაყრდნობით აკეთებდა იგი დიდ საქმეებს. გიორგი სააკაძეც მან დაიახლოვა, რომელიც უკვე აღარ ეკუთვნოდა წვრილ აზნაურებს.

ლუარსაბ II თითქოს ამ კურსის გამგრძელებელი ჩანდა. მის მიერ აღებული კურსი ყოველმხრივ შემოწმებულია და დადასტურებული, იგი ქვეყანას ძლიერებას ჰპირდებოდა. მან ზედიზედ აღაზევა გიორგი სააკაძე, ფაქტიურად ქართლის გამგებლობა ანდო. ტაშისკარის ომის შემდეგ სიამოვნებითა და სიხარულით დაუმოყვრდა. დამოყვრების მიზეზი არ ყოფილა მარტო სააკაძის დისადმი სიყვარული. ლუარსაბ მეფე გიორგი სააკაძეში სამეფოს უპირველეს კაცს ხედავდა. ამას ხომ დიდგვაროვნებიც ვერ მალავდნენ. სხერტის ჭალასა და ტაშისკარის დიდ ომში სააკაძის მხედართმთავრულმა ნიჭმა კი საბოლოოდ განუმტკიცა ეს აზრი და პირველ კაცთან დამოყვრება, მიუხედავად მისი არადიდგვაროვნობისა, სათაკილოდ არ ჩაუთვლია. ტრაგედია შემდეგ დატრიალდა, როდესაც გადასაწყვეტი შეიქნა — ორი ძალიდან რომელს უნდა დაყრდნობოდა მეფე. იქნებ ფიქრობდა კიდეც, რომ დიდგვაროვნებისა და სააკაძის წინააღმდეგობას მოარიგებდა და ქართლის გაძლიერების მიზნით გამოიყენებდა ამ ორ ძალას, მაგრამ იგი აღმოჩნდა უფრო რთულ სიტუაციაში, ვიდრე მოელოდა. დიდგვაროვნებმა ვერ თქვეს უარი თავიანთ საუკუნეობრივ პრივილეგიაზე. მეფეს წინადადება მისცეს — ან ჩვენ ან სააკაძეო: ეს კი ფაქტიურად იყო იგივე ისტორიული ჭეშმარიტების შეხსენება — ან დიდგვაროვნებისადმი მორჩილება, ან ბაგრატ III, ბაგრატ IV, დავითის, თამარის, ბაგრატ V, გიორგი ბრწყინვალის, სიმონ I ნაცადი გზა — არადიდგვაროვანთა ფენაზე დაყრდნობით ქვეყნის განმტკიცებისა და დიდ-

გვაროვანთა ურჩობის ალაგმვის გზა. ალტერნატივა უშეღავათოა და გადამწტვეტ წუთს რისკიანი ნაბიჯის გადადგმას ითხოვს. და ლუარსაბ მეორემ ვერ შეძლო ამ რისკიანი ნაბიჯის გადადგმა. სუსტი აღმოჩნდა როგორც მეფე, როგორც სამეფოს მეთაური. როგორც პიროვნებამ, მან შეიძლო შემდგომ მოწამებრივი სიკვდილი, მაგრამ მეფური სიმტკიცე არ აღმოჩნდა, ვერ დაინახა და კარგად ვერ შეაფასა ქვეყნის პროგრესული ძალები. ყოველ შემთხვევაში, იქნებ დაინახა, მაგრამ ვერ იბრძოლა ფეოდალური ინსტიტუტის წინააღმდეგ იმგვარი სიმტკიცითა და პრინციპულობით, როგორც ჩვეოდათ ეს ჰეშმარიტ მეფეებს. მისთვის წარმოუდგენელი აღმოჩნდა ფიქრი იმაზე, რომ დიდგვაროვანთა ურჩობის ალაგმვა შეიძლებოდა. ვერ ჰკრეტდა ბრძნულად, როგორც ეს ზემოთ დასახელებულ მეფეებს შეეძლოთ. ქვეყნის სოციალური ძალების ანალიზს ვერ ახდენდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ლუარსაბ მეორეს დროს კიდევ უფრო დიდი იყო ფეოდალური განკერძოებულობის ტენდენცია, ვიდრე სხვა დროს; უფრო მეტად იყო აწეწილი ქვეყანა, თუნდაც შაჰ აბას I ვერაგული და მოქნილი პოლიტიკის წყალობით. უფრო თვალშისაცემი იყო ფეოდალური ციხე-კოშკების შეუვალობა. რა თქმა უნდა, მათი მოთოკვა ძლიერი მეფისათვის არ იყო შეუძლებელი — სიმონ მეფის ცხოვრების მაგალითი ამტკიცებდა ამას, მაგრამ რამდენადაც დიდი გაქანების მეფე არ იყო, ვერ დასძლია დიდგვაროვანთა ინსტიტუტისადმი შიში და ვერ აირჩია ქვეყნის გაძლიერების ისტორიულად გამოცდილი გზა, ვერ შეისწავლა და ვერ ამოიცნო თავისი დროის უმთავრესი მიმართულება და ხელი ჰკრა „უბრალო კაცს“, სასიკვდილოდ გაიმეტა ადამიანი, ვისაც ჰქონდა დაკისრებული ბუნებისაგან ქართლის განმტკიცება და არა მარტო ქართლისა; ვინაც ტაშისკარის დიდ ომში მთელ საქართველოს დაუმტკიცა თავისი დიდი მხედარმთავრული ნიჭი და მამულიშვილობა. ლუარსაბ II ვერ იპოვა თავის თავში ძალა, ერთის ხელის დაკვრით, ძლიერი მეფეების მსგავსად დაეთრგუნა დიდგვაროვნები და სააკაძის პიროვნებისათვის დაექვემდებარებინა მათი ვნებათაღელვა.

ჰქონდა თუ არა სააკაძეს საშუალება თავის თავში ისეთი

თვისებები აეღორძინებინა, იმგვარად ემოქმედა, რომ მის ზეაღსვლას არ გაეღიზიანებინა დიდგვაროვნები?

ერთგულებისა და კეთილშობილების არაერთი მაგალითით ბრის დადასტურებული სააკაძის მთელი ცხოვრების გზა. სიმონ მეფის, გიორგი X, ლუარსაბ II გვერდით იგი ამ ერთგულებას ადასტურებდა. სიმონ I საგანგებო წყალობის წიგნით აღნიშნავს მის ერთგულებას. ერთგულების გამო აღაზევეს იგი გიორგი X და ლუარსაბ II. სხერტის ჭალასა და ტაშისკარში მთელი სისრულით გამოჩნდა მისი მამულიშვილობა და მეფისადმი ერთგულება. მისი კეთილშობილების საბუთია ქაიხოსრო ჯავახიშვილთან დამოკიდებულებაც. სააკაძე შეურიგდა ყველა თავის მოსისხლე მტერს. ცხადია, ეს შერიგება დიდი მიზნის აღსრულების გზაზე გადადგმული დიპლომატიური ნაბიჯები იყო, მაგრამ მარტოოდენ დიპლომატიური აუცილებლობა ვერ წარმართავს პიროვნების ქცევებს და გადაწყვეტილებებს, პიროვნებისა, რომელიც სასიკვდილოდ გაიმეტეს, სახლ-კარი დაუნგრიეს, ოჯახითურთ გაწირეს, მოღალატედ გამოაცხადეს, რ ო გ ო რ ც ჩ ა ნ ს, მ ა ს ჰ ქ ო ნ დ ა მ ი ტ ე ვ ე ბ ი ს დ ი დ ი ნ ი ჰ ი ც. მის დიდსულოვნებასა და კეთილშობილებას უცხოური წყაროებიც გვიდასტურებენ, ხოლო პლატონ იოსელიანი უკვე მარტყოფის მასშტაბური ომის ავტორის, გიორგი სააკაძის შესახებ წერს: „ძლევამოსილმა გამარჯვებამ, ხალხის მხსნელის სახელმა არ გააამპარტავნა, არ გაადიდკაცა მოურავი. მოურავმა, რომელსაც ქართლის გამგებლის ჭაბუკ ქაიხოსროს სრული იმედი არ ჰქონდა და ამავე დროს არც სპარსეთის შაჰის მომხრე მაჰმადიანი მეფე სიმონი სურდა, ძველად გაყოფილი ორი სამეფოს, ქართლისა და კახეთის ერთი სკიპტრის ქვეშ გაერთიანება განიზრახა და ამ სასიკეთო მიზნის გასახორციელებლად შავი ზღვის სანაპიროზე არსებულ გონიოს ციხე-სიმაგრეში მყოფი, კახეთიდან განდევნილი მეფე თეიმურაზ პირველი მოიწვია“.

მაშასადამე, სააკაძეს ყოველთვის ახსოვს თავისი მოვალეობა. ამპარტავნობა მის ბუნებაში ფეხს ვერ იკიდებს. მაშ, რამ დააპირისპირა ასე მწვავედ დიდგვაროვნებთან? იქნებ

რაიმე საბედისწერო შეცდომებს უშვებდა დიდი მოურავი მათთან ურიერთობაში?

გიორგი სააკაძე არც მეფე ყოფილა, არც დიდგვაროვანი. საქართველოს დიდგვაროვნებთან მშვიდობიანი ერთიერთობის დამყარება მეფეებსაც კი უჭირდათ. ეს იყო საქართველოს ისტორიის მოუგვარებელი პრობლემა. თავადთა წოდების სოციალური არსი წარმოშობდა მათ კლასობრივ ნიშანდობლივ ფსიქოლოგიას, მათ მრწამსს, ინტერესებს, მათ პოლიტიკას, მეფესთან დამოკიდებულების წესს. ბაგრატ III, დავით აღმაშენებლის ტიპის მეფეები მტკიცე ნებისყოფას უპირისპირებდნენ მათ ორჭოფულ ინტერესებს, მძლავრი ხელით ალაგმავდნენ ხოლმე მათ თავგასულობას. მეფეთა ხელში განუზომელი უფლებები იყო თავმოყრილი და მათაც უჭირდათ საერთო ენის გამონახვა, ფეოდალთა ვნებების შეზღუდვა, წესრიგის დამყარება, სამეფო ინტერესებისათვის მათი დაქვემდებარება. ამ მოსაზრების დამადასტურებელი მაგალითების შეხსენება, ვფიქრობ, საჭირო არ არის. კაცობრიობის ისტორია ამას ამტკიცებს. საქართველოში კიდევ უფრო გამძაფრებული ჩანს დიდგვაროვნებისა და მეფის ჭიდილი. შარდენი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ქართველები პატივის, უფლებების მოყვარენი არიანო. არჩილიც საგანგებოდ უსვამს ხაზს ამ ნიშანს — „უჩემოდ ვით იმღერეთას“ ფილოსოფია მსჭვალავდა საქართველოს დიდგვაროვნებსო. ეს დადასტურებული ნიშანია, სამწუხაროდ. ღირსებების, შესაძლებლობების სიუხვემ, ერთის მხრივ, და ასპარეზის სიპატარავემ, მეორეს მხრივ, წარმოშვა, ალბათ, ეს წნევა უფლებამოყვარეობისა, სხვისთვის „თავის არდადებისა“ და საქართველოს სახელოვან თუ უმნიშვნელო მეფეებს საუკუნეების განმავლობაში უხდებოდათ ამ ნიშნის წინააღმდეგ ბრძოლა. მისი დათრგუნვა ქვეყნის განმტკიცებას ნიშნავდა და ისინიც ენერგიას არ ზოგავდნენ მიზნის მისაღწევად. ყოველთვის ვერ ხერხდებოდა ეს. ყველა ვერ ახერხებდა ქვეყნის ერთსულოვნების მიღწევას.

არადიდგვაროვანს კი არ შეეძლო ხელთ ისეთი იარაღი აეღო, რაც მოსპობდა დიდგვაროვნების თავგასულობას და მათ ქვეყნის ერთგულ შვილებად მოაქცევდა, რაც შეაგნები-

ნებდა ერთად ყოფნის აუცილებლობას და თანადგომის საჭიროებას. დიახ, თავადობამ იცის, რომ სააკაძე „კაცი დიდად კარგი არის“ მაგრამ არა და არ ავიწყდება, რომ ის — „უმრწემესი და უმცირესია გუარით“ და მის პატრონობას ვერა და ვერ შერიგებია. სააკაძეს მხოლოდ უჩვეულო ენერგიითა და ნიჭიერებით უნდა გადაეფარა დიდგვაროვანთა ამპარტავნობა. სხვა გზა მას არ ჰქონდა. სხვა საშუალება მის ხელთ არ იყო, ეს სხვა საშუალებები მეფის ხელთ იყო. დიდგვაროვნები კი მის ღირსებებს თავს არ უდებდნენ.

„შაჰ-აბასის მიერ პატივით მიღებული და უხვად დასაჩუქრებული გიორგი სააკაძე (ყველაფერი ტაშიკარის ომამდე ხდება) საქართველოში დაბრუნდა და შეიქნა უახლოესი პირი მეფისა. მრისხანე შაჰის კარზე სახელის მოხვეჭით მოიპოვა პატივისცემა ხალხისა, მაგრამ არა ფეოდალური წარმოშობით ზვიადი და ქედმაღალი არისტოკრატიისა, რომელიც ვერ მოედრიკათ ჯერ კიდევ მოუმძლავრებელ მეფეებს. ბრძოლებითა და დიდებით მოსილ სააკაძეს პატივით არ ეკიდებოდნენ ის თავადნი, რომელთაც წინაპრების სახელი, ვით მითიური კაც-ღმერთნი ანიჭებდა მათ სამეფო კარზე პირველობის საგანგებო უფლებას“ (პლატონ იოსელიანი).

ეს „მითიური კაც-ღმერთნი“ უსაზღვროდ მომძლავრებულიყვნენ. მართლაც ვერაფერს ვერ გადაელახა მათში ამ მითიური „კაც-ღმერთის“ სუნთქვა, სამეფო კარზე პირველობის საგანგებო უფლებას რომ გამოასხივებდა ენერგიასავით. იგი იყო ყველაფერი, ფსიქოლოგიის მესაჭე — ერის სულიერი წყობის შინაარსი და ასეთად რჩებოდა იგი ქვეყნის არეულობის დროს, როდესაც ძლიერი მეფის ხელი არ წარმართავდა.

პლატონ იოსელიანი განაგრძობს:

„განა რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა საუკუნეებით განმტკიცებული ამ ტრადიციების პირობებში გიორგი სააკაძეს, რომელმაც პიროვნულ ღირსებათა მეოხებით მოიპოვა მეომრისა და დიდებულის სახელი, შეიქმნა მთელი სამეფოს უპირველესი კაცი? მაგრამ დიდებით გატაცებული იგი ცხოვრობდა და მოქმედებდა დიდებისათვის, იდუმალ მტერთა გულსაკლავად. თავის საუკუნეზე მაღლა მდგარ სააკაძეს თავი მოსწონდა, რომ ბუნებამ მოჰმადლა დიდი მთავარსარდლის

ნიჭიერება. ხალხი მას იცნობდა, როგორც დაბადებით მცირეს, მაგრამ იმედს ამყარებდა მასზე ვით დიდებით ამაღლებულ გოლიათზე. უფლისწული ისტორიკოსის, ვახუშტის აღწერით, იგი იყო „მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და შემმართებელი უშიში“. მაგრამ ამავე ვახუშტის სიტყვით ამ თვისებებს მართავდა სული, „მცბიერი, მჩურჩნელი და უნდო“. ნუ გავიკვირვებთ ამ უკანასკნელ თვისებებს, რომელიც შეეძინა დიდგვაროვან თავადთა შორის მოქცეულ ვაჟკაცს, ვინც სახელმწიფო მოღვაწის საპატიო ადგილი დაიკავა არა შთამომავლობითი უფლებებით, არამედ მარტოოდენ მტკიცე შეგნებით იმისა, რომ მას დიადი მომავალი ელოდა. ითვალისწინებდა რა თავის დანიშნულებას, იგი მიისწრაფოდა დიდებისაკენ, პირდაპირი გზით მიდიოდა მიზნისაკენ, რათა გმირული საქმეებით დაეჩრდილა თავადთა დიდება, გაეჩუმებინა მტრები, რომელნიც ძლიერი იყვნენ ციხე-სიმაგრეებით და წინაპართა ბრწყინვალე საქმეებით, და მტკიცე ხელით ჩაეწერა ერის ისტორიაში რაინდი მხედართმთავრის სახელი“.

ვფიქრობ, პლატონ იოსელიანს ნაწილობრივ სწორად აქვს ახსნილი მოვლენის არსი. მაგრამ აუცილებლად მეჩვენება ზოგი მისი დებულების მეტად გაშლა. დიახ, ალბათ საკაძე ვერ აღწევდა თავს სიამაყეს, რომ იგი მხედართმთავრული ნიჭით და პირადი ღირსებებით იყო დაჯილდოებული, რომ „თავი მოსწონდა ამით“. არაფრით არ იქნება გამართლებული ერთი კაცისაგან მოითხოვო ყველაფერი. მთელი ცხოვრების მანძილზე იგი კეთილშობილების განსაჭიერებად მოჩანს, მიუხედავად მითქმა-მოთქმისა, რადგან ფაქტებს უფრო დაეჯერება, ვიდრე მითქმა-მოთქმას. ის „თავის მოწონება“ იქნება იყო ხასიათის მინუსი, იქნებ ესეც ართულებდა დიდგვაროვნებთან ურთიერთობას. მისი მოქმედება „დიდებისათვის“ სამშობლოს კეთილდღეობის მიზნით იყო გამოკვეთილი. სამშობლოს ასპარეზზე სიცოცხლის მრავალგზის სასწორზე შეგდება ინათლება „იდუმალ მტერთა გულსაკლავად“ გადადგმულ ნაბიჯებად, დავუშვათ ასეა. ერთი რამ კი უდავოა — მართლაც იდუმალად არსებობდა მტერი. მისი სახელი დიდგვაროვნობის არსი გახლდათ. ის ძალა, რაც არა და არ გუობდა საკაძის აღზევებას, ვერ ურიგდებოდა მისთვის თავის დადებას. საკა-

ძის საშუალება იყო „პირდაპირი გზით მიზნისაკენ“ სიარული? გმირობის, თავგანწირვის, დიდი ენერგიის სრული გამოვლენის გზით სიარული. ამ გმირულ საქმეებს უნდა დაეჩრდილა თავადთა დიდება და ხმა ჩაეკმინდა თავისი მტრებისათვის. მათ უნდა ეცნოთ იგი, ეცნოთ მისი მოვლინება და დამდგარიყვნენ მისი დროშის ქვეშ. იმდენად აშკარად უნდა გადაეჭარბებინა ღირსებითა და დამსახურებით დიდგვაროვანთათვის, რომ მათთვის დაეკარგებინა „ძირძველობის“ უპირატესობა. მტრები გადახდილი ომების სახელოვნებით უნდა გაეჩუმებინა. მაგრამ ეს პირდაპირი გზა გამოისხამდა დიდგვაროვანთა შეურაცხმყოფელ უამრავ ფაქტს, და უპირველეს ყოვლისა, წარმოშობდა შურს. საყაძის მხრივ თავმოწონება ქედმაღლობად იკითხებოდა. სახელოვან ომებს მოყოლილი დიდებულება და ბრწყინვალება — დიდგვაროვანთა დამცირებად. ტრაგედია სწორედ აქედან იღებდა სათავეს — დიდგვაროვანთა ფენას — ფეოდალურ წოდებას თავისი ბუნებით არ ძალუძს არადიდგვაროვნის უბირატესობის აღიარება და მით უმეტეს მისი მბრძანებლობის ატანა. „კირჩხიბის“ გამართვა შეუძლებელი აღმოჩნდა და საყაძის მთელი მეცადინეობა ერთ მშვენიერ დღეს უნდა დაჯახებოდა ამ ჯებირს, უნდა ეგრძნო, რომ შეუძლებელს ესწრაფვოდა.

სხერტის ჭალის ბრძოლამ და ტაშისკარის ომმა სამიოდე წლით გააჩუმა თავადები.

როგორც ცნობილია, 1609 წლის ივნისში ქართლში ოსმალთა დიდი არმია შემოიჭრა, ქართული წყაროები მათ „თათარხანის ჯარს“ და „მგლის ტყაოსნებს“ უწოდებენ. ჯარი სათარეშოდ იყო შემოჭრილი. მათ რიგებში ერია ორი ათასი ყირიმელი თათარიც. როგორც ჩანს, მტერმა იცოდა მეფის სამყოფი და ცდილობდა ხელთ ეგდო იგი. ზაქარია და იარალი (სარდლები), რომლებიც საზღვრებს ყარაულობდნენ თავიანთი რაზმებით, გვერდზე მოიტოვა და პირდაპირ მანგლისს მიადგა. მტერმა გადაწვა სოფლები და განაგრძო გზა. მთავარი მიზანი ისტორიკოსთა ვარაუდით მეფის ხელში ჩაგდება იყო და ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს ვარაუდი საფუძვლიანია. მტერს ეტყობა ცნობა ჰქონდა, რომ ლუარსაბ II ცხირეთში იმყოფებოდა და სწორედ ცხირეთს ეძებდა. სიმონ I მსგავ-

სად სურდათ ქართლის ახლანდელი მეფე ხელთ ეგდოთ და კვლავ გაეპარტახებინათ უპატრონოდ მიტოვებული ქვეყანა. მტერს მეგზური დასჭირდა — კველთაში ერთი მღვდელი დაიჭირა და მეგზურობა უბრძანა. ბერი თევდორე უმამაცესი გმირი აღმოჩნდა. მაწ იცოდა, თუ რას ნიშნავდა მეფის დატყვევებ — ეს ქვეყნისა და ხალხის ახალი უბედურება იქნებოდა და გადაწყვიტა, საკუთარი სიცოცხლის ფასად ეხსნა მეფე. სულ სხვა გზით წაიყვანა მტერი. გოსტიბიდან ერთა-წმინდის გავლით სოფელ ქვენადრისაკენ. ცხირეთის ციხედარბაზი გვერდზე დარჩა — მტერი დიდი მანძილით დაშორდა მას. ეს ნიშნავდა სრულ თავგანწირვას. ბოლოს ოსმალები მართლაც მიხვდნენ, რომ თევდორემ მოატყუა ისინი და წამების შემდეგ თავი მოკვეთეს. მეფე გადარჩა. ეს ქვეყნის გადარჩენას უდრიდა ამავე დროს. ამიტომაც დგას საქართველოს ისტორიაში ბერი თევდორეს ნათელი სახე, როგორც უმაგალითო თავდადების ნიმუში, როგორც მაგალითი, რომლის სხივი მისივე ხალხის სისხლს ანათებს, აშუქებს ღირსებას მისი ხალხისას, აჩენს სიმაღლეს ერისას.

მართალია, მეფე გადარჩა, მაგრამ უზარმაზარი არმია სხერტის ჭალაში იდგა და ქვეყანასა და მეფეს წალეკვით ემუქრებოდა. მოწამეს მხოლოდ ის შეეძლო გაეკეთებინა, რაც თევდორემ გააკეთა — თავის გაწირვით მეფე მოსალოდნელი ტყეეობისაგან ეხსნა. თევდორეს თავგანწირვის მაგალითი ქართველი ხალხის სულიერ და ფიზიკურ ენერგიას მიემატა. და ახლა მტრის დასამარცხებლად სწორედ ენერგია და მხედართმთავრული ნიჭი იყო საჭირო. საჭირო იყო ძალა, რომელიც წინ წაუძღვებოდა ხალხს და რიცხვმრავალ მტერს დაამარცხებდა. მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდნენ. მტერს შეეძლო სხვა მეგზური ეშოვნა (ყველას ხომ არ აღმოაჩნდებოდა ბერი თევდორეს ძალა), ცხირეთზე მისულიყო და თუ მეფეს ვერ იგდებდა ხელთ, ქვეყანა მაინც მოეოხრებინა. ცხირეთში მდგარ მეფეს რამდენიმე კაციღა ახლდა. სიტუაცია გადამწყვეტ მოქმედებას ითხოვდა და საქაძის დიდი გაქანება სწორედ ასეთ დროს მჭღავნდებოდა ხოლმე — ურთულეს სიტუაციაში გონივრული მოსაზრებისა ნიჭი და შესატყვისი მოქმედების უნარი მოსდგამდა

მას, ურთულესი მდგომარეობის თავის სასარგებლოდ შემოტრიალება შეეძლო. „მაშინ მოახსენა მოურავმა მეფესა, ვითარმედ: „ნუ აჩქარდებითო და ვნახოთ ღმერთმან რა მოახდინოსო“, რამეთუ იყო ესე მოურავი კაცი გულსრული და კარგი სარდალი, ჭკუიანი და გონიერი“ (ბერი ეგნატაშვილი).

„ასეთ მძიმე ვითარებაში მეფის ერთადერთი იმედი მოურავი იყო“ (პლატონ იოსელიანი). მისი რჩევით, მეფე ცხინვალში გამაგრდა. თვითონ კი ახლომახლო სოფლებში ჩამოიქროლა, უპირველეს ყოვლისა, კავთისხევში, შეკრიბა სახელდახელოდ ოთხასი კაცი, ყოველმხრივ აფრინა შიკრიკები ჯარის მოსახმობად, ირანის გარნიზონიც დაიბარა თბილისიდან. ხოლო თვითონ ზაზა ციციშვილთან ერთად ან ოთხასი კაცით სხერტის ჭალაში ეკვეთა მტერს. აქ მოვიდნენ ზაქარიაც და იარალი თავისი რაზმებითურთ. მათ სინდისი ქენჯნიდათ, მტერი გამოგვეპარაო და სხერტის ჭალაში გმირული სიკვდილით გამოისყიდეს თავიანთი თითქმის უნებური ცოდვა. პირველი შეტაკება გაიმართა. მტერმა პირველად იგემა სააკაძის მძიმე მახვილის ძალა. გააფთრებული ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. მტერი მტკვრისაკენ უკუიქცა. იგი აშკარად არ ელოდა ასეთ წინააღმდეგობას. მას თავზარი დასცა ელვის სისწრაფით შეკრებილმა ქართველმა რაზმმა, რომელიც ესოდენ მცირე იყო რიცხობრივად, მაგრამ მაინც არ ეპუებოდა მტერს და თავს კი არ იცავდა, არამედ „გულსრული“ სარდლის მეთაურობით უტევდა, თურქების მოზრდილმა ჯარმა, — არმიის ერთმა ნაწილმა, მწვავე დამარცხება იწვნია. ზაზა ციციშვილმა ერთ ფაშას თავიც კი მოჰკვეთა. ცხადია, სააკაძის ორგანიზატორული ნიჭი მარტო ხალხის შეკრებით არ გამოხატულა. საგულისხმოა სწორედ ომის მსვლელობაზე მისი ზემოქმედების ძალა — მტერს წარმოდგენაც კი არ შეუძლია, რომ ქართველთა რაზმი ესოდენ რიცხვმცირეა. ამიტომ იბრძოლა მტერმა, მაგრამ ძლევამოსილი შეტევის შიშით უკუიქცა. როგორც ჩანს, სააკაძის ბიერ წარმოებული ბრძოლის ორგანიზაცია სწორედ მტრის ღალატნევა-დათრგუნვას ითვალისწინებდა. მთელი ქართლის ჯარის შეტევად განიცდებოდა ასეთი თავდასხმა. ერთი ფრთიდან მეორე ფრთაზე სააკაძის ელვისებური მოძრაობით ჩანაგდე-

ბოდა მტერი და შესაძლებელი გახდა თვით ფაშამდეც გაეკაფათ გზა. დაბნეული მტერი კი გონს ვერ მოსულა, საკუთარი ფაშას დაცვაც ვერ მოუხერხებია — ზაზა ციციშვილს საშუალება მიეცა ხმალდახმალ შებმოდა მას და თავი მოეკვეთა. პირველი გამარჯვება მოპოვებული იყო.

მაგრამ მტერი, მრავალრიცხოვანი და ძლიერი, ქართლში იდგა, შუაგულში და გორისკენ ჰქონდა კურსი აღებული. ერთის მხრივ, მტრის დევნა დაიდო მიზნად საკაძემ, მეორეს მხრივ, გზავნის შიკრიკებს და მოუწოდებს მოლაშქრეებს.

„მეფე ლუარსაბ და მოურავი გიორგი საკაძე სოფელ ახალდაბასთან მივიდნენ, მოითათბირეს და გადაწყვიტეს თურქების დევნა მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირით კი აღარ განეგრძოთ, არამედ ფონით მეორე მხარეზე გადასულიყვნენ, შემოევლოთ მტრისათვის და შეერთებოდნენ შიდა ქართლიდან მომავალ ჯარებს, მტკიცედ დამდგარიყვნენ სურამთან და ამგვარად ჩაეკეტათ მტრისთვის ბორჯომის მთავარი გასასვლელი — თურქეთში მიმავალი ერთადერთი გზა“ — (პლატონ იოსელიანი).

იმავე პლატონ იოსელიანის თქმით „მოურავი თავის იქ ყოფნითაც კი სიხარულსა და იმედს უნერგავდა ჯარსაც და სარდლობასაც“.

დავიმახსოვროთ ეს აზრი, ჩვენ შემდეგშიც არაერთხელ დავრწმუნდებით ამაში და არაერთხელ დაგვჭირდება იგი ერთი მოსაზრების დასამტკიცებლად.

აქ კიდევ ერთი გმირობა მოხდა, მართალია, არა მთლად იმგვარი, როგორც თევდორეს მოწამებრივი გმირობა იყო, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი და საყურადღებო. გორისაკენ მიმავალი ოსმალთა ლაშქარი სომეხმა მღვდელმა (ტერტერამ) დაინახა, უცებ მოისაზრა, რა უნდა გაეკეთებინა. ხიდზე გადაირბინა, ფიცრები აჰყარა და ადიდებული მტკვრის პირისპირ დატოვა მტერი, რომელიც უძლური აღმოჩნდა მდინარე გადაელახა და გორი აეღო. ქართველ-სომეხთა ისტორიამ იცის მეგობრობის ასეთი ლამაზი ფაქტები. საქართველოში მცხოვრები სომეხი კაცი არ აღმოჩნდა გულგრილი ქვეყნის ბედის მიმართ და ასეთი გმირობა ჩაიდინა. ამით მან თავისი ხალხის საუკეთესო თვისებები გამოავლინა.

მტერი ტაშისკარის ბოლოში გავიდა. ახლა საჭირო გახდა მტკვრის გადალახვა, რათა გზა მოეჭრათ ოსმალოთათვის. მტკვრის გადალახვა წარმატებით დასრულდა და ქართველთა ჯარები შეერთდნენ. ისინი მოვიდნენ ქვეყნის ყოველი კუთხიდან. აღსანიშნავია, რომ ამ ჯარის უდიდესი ნაწილი სწორედ სააკაძის „მოკიდებულნი“ ხალხის ჯარები იყო. აქ იყვნენ ქსნის ერისთავები, ნუგზარ არაგვის ერისთავი, ზაზა ციციშვილი, რაც მთავარია, თვითონ სააკაძის ჯარი, მის მიერ კავთისხევსა და ახლომახლო სოფლებში მოკრებილი. ცხადია, იყვნენ სხვა თავადებიც — რადგან ქვეყნის განადგურების შიშმა ისინი დარაზმა მეფის გარშემო, მეფე კი მთლიანად იყო დანდობილი დიდ მოურავზე.

თათბირზე ბევრი აზრი გამოითქვა, მაგრამ „მაშინ განაზრახითა მოურავისათა შემოუსხნეს მეთოფენი თხრილსა და თვით ცხენოსანნი მივიდნენ განთიად მინდორსა ზედა, ეკვეთნენ ფიცხლად და იქმნა ბრძოლა ძლიერი.

ამ ომსა შინა მხნედ გამოჩნდნენ მეფე ლუარსაბ და უმეტეს მოურავი. მისცათ ღმერთმან ძლევა და მოსწყვიტნენ ურიცხვნი და იგლტოდნენ თათართანი, რამეთუ მოსაკიდელთა დედანიცა მესამე დღემდე გამოიყვანდნენ ტყიდან თათართა, განაშიშვლიან და განუტევიან“ (ვახუშტი ბაგრატიონი).

დიახ, სააკაძის „განაზრახითა“, ე. ი. მას ენდო ამ დიდი ომის მთავარსარდლობა. შალვა ქსნის ერისთავის ძემ კორტანეთი დაიკავა, რომ უკუქცევის შემთხვევაში მტერს თურქეთისკენ მოჭრილი ჰქონოდა გზა. თურქების თხრილებს კი (ეს თხრილები თავდასაცავად ააგეს თურქებმა) სააკაძის გადაწყვეტილებით ქართველი მეთოფეები უნდა შემოხვეოდნენ, აეტეხათ სროლა და თოფის კვამლს ქართველი ჯარიც მიჰყოლოდა, სანამ გაიფანტებოდა. მტრისთვის თავდასხმა აბსოლუტურად მოულოდნელი უნდა ყოფილიყო. მოულოდნელობა ქართველთათვის აუცილებელი ხერხი იყო მუდამ, რამდენადაც რიცხვმცირე ჯარს ყოველთვის ეს იარაღი აწყობს. ქართველთა ლაშქარი გიორგი სააკაძის მეთაურობით საოცარი სისწრაფით და ძალით შეიჭრა მტრის რიგებში. იგი ზარს სცემდა მტერს თავისი საშინელი ხმით, ძალით, კვეთებით, დაჭრილა ბრძოლის ველზე; იქ ჩნდებოდა, სადაც ყველაზე

ზეტად უჭირდათ ქართველებს. სახელოვნად იბრძოდა ჭაბუკი მეფე, იბრძოდნენ დიდებულები, აზნაურები, გლეხები, სულისკვეთება იყო ერთსულოვანი, პატრიოტული. დაგეგმილი რაზმებიც შეუერთდნენ მებრძოლთა რიგებს. მტერმა ძი თავისი რიცხობრივი უპირატესობა საერთოდ ვერ გამოიყენა... — მოფიქრების არც დრო ჰქონდა და არც თავი. დაიწოცა უამრავი თურქი. რამდენიმე ათასი მტრის მოჭრილი თავი... კიდევ უფრო მეტი ტყვედ ჩავარდნილი... საბრძოლო იარაღი და ალაფი აურაცხელი. მტერი განადგურებულია უკანასკნელ კაცამდე, დიდი არმიიდან ფაქტიურად არაფერი და არავინ არ დარჩა. ტყვედ ჩავარდა ოსმალთა ორი ფაშა, მტრის მოჭრილი თავები და ტყვეები შაჰს გაუგზავნეს. ტყეს შეფარებული რამდენიმე კაცი თუა ცოცხალი, ისინიც ისე რიგად ბრიან დაფეთებულნი, რომ ქალებსა და ბავშვებს გამოჰყავთ ტყიდან, მშიერ-მწყურვალნი, დაშინებულნი, არ იციან საით წავიდნენ, როგორ გადაირჩინონ თავი. ეს იყო მტრის არა მარტო სრული ფიზიკური განადგურება, არამედ სულიერი კატასტროფაც.

„ამ ომსა შინა ფრიად მხნედ გამოჩნდნენ მეფე ლუარსაბ და უმეტეს მოურავი“ (ვახუშტი ბაგრატიონი).

დიდი მეცნიერი კეთილსინდისიერად აღნიშნავს სააკაძის დიდ დამსახურებას, მის „უმეტესობას“. ყველა ისტორიული წყარო ადასტურებს სააკაძის ამ იშვიათ მხედარმთავრობას და თუნდაც პირად ბრძოლას. სამი შუბი და ერთი ლახტი დაამტვრია, მტრის რამდენიმე გუნდი გაანადგურა და თორმეტი ოსმალო დაატყვევა. სიტყვები მშრალდებიან საუკუნეების მანძილზე, ფაქტების სულს ძნელად გადმოსცემენ, სიზუსტეს მიანიშნებენ, მაგრამ ძნელია ერთბაშად დავინახოთ ის დინამოკა, რაც სიტყვებშია მომწყვდეული. ეს რამდენიმე გუნდის განადგურება, სამი შუბისა და ერთი ლახტის დამტვრევა, მძიმე ხმლის ელვის სისწრაფით ტრიალი ერთბაშად ძნელი წარმოსადგენია. მით უმეტეს მთელი ბრძოლის მსვლელობა, ბრძოლის ველზე გრიგალივით გადაველილი სააკაძე — ყველაფერი ეს გადაუჭარბებელი სინამდვილეა, წყაროების მშრალ ცნობებში ჩამწყვდეული ვნებათა ქარტეხილია. სომეხი ისტორიკოსის არაჩელ თავრიზელის დახასიათება მოვიგონოთ:

„იყო კაცი — ესე სრული საქმითა, ძლიერი განზრახვითა, ვინიერი ყოველ საქმეში, წარმოსადეგი, ძლიერი, ტანადი, დიდი მებრძოლი, უძლეველი შემმართებელი, და ვისაც ის ბრძოლას გაუმართავდა, ყოველთვის იყო ის დამარცხებული და თავის მოპირდაპირე მხედრობას, ვითარცა მხალსა, აღსოცდა და გაჰფანტავდა დედამიწაზედ“.

ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მეფეზე „უმეტესად“ სააკაძის ბრძოლის აღიარება, მართლაც, უზარმაზარ უპირატესობას გულისხმობს ყველა დანარჩენი ქართველის წინაშე. მეფეზე წინ კაცის დამსახურების დაყენება მხოლოდ ზეადამიანურმა შესაძლებლობამ უნდა გვიკარნახოს. ოდნავ განსხვავებულობა, რამდენადმე უპირატესობა სათვალავში ჩასაგდები არ არის. აქ დიდ უპირატესობაზეა ლაპარაკი, იმდენად დიდზე, რომ სააკაძის მიმართ გარკვეული მიზეზის გამო არასიმპათიურად განწყობილი ისტორიკოსებიც კი ვერ უვლიან გვერდს ამ მოვლენას. ეს საგულისხმო ფაქტია. საკმარისია ამ წყაროებს საშუალება მიეცეს სააკაძეზე აუგის თქმისა, რომ მაშინვე ძალას არ იშურებენ მისი სახელის გასატეხად. ამგვარი განწყობილების კარნახით მცირე უპირატესობას უთუოდ გაუჩუმდებოდნენ, საერთოდ არ ახსენებდნენ. მაგრამ სწორედ ის არაჩვეულებრივი დამსახურებაა მიზეზი, რაც ყოველი მხრიდან ჩანს და რისი დაფარვაც უკვე უპატიოსნობას ნიშნავს.

ცხადია, სხვა დიდებულებიც, აზნაურებიც და გლეხებიც თავგანწირვით იბრძოდნენ, სახელოვნად, მთელი ძალით, მაგრამ განსხვავება იმდენად დიდია, რომ სააკაძის გვერდით წყაროების მიხედვით მაინც არც იხსენებიან.

ახლა თვალი გავადევნოთ ომის დასაწყისიდან მის დასასრულამდე სურათს — ყველგან, ყველაფერში ორგანიზატორად სააკაძე ჩანს. მეფე დაამშვიდა, ცხირეთში გაამაგრა, თვითონ მთელი დღის განმავლობაში აჭენა ცხენი მახლობელ სოფლებში, ყოველი კუთხით აფრინა შიკრიკები, მტერს ეკვეთა სხერტის ჭალაში, „მოსწყვიტნა მრავალი“, სულისმოთქმის საშუალება არ მისცა, თითბირზე მისი წინადადება გავიდა და ბოლოს ტაშისკარის ომში ის გვევლინება ზედართმთავრად და მოსრა კიდეც მტერი. ქართლის ... ზედ ...

კაცის ხელშია. მან თავისი შესაძლებლობები სრულად გამოამჟღავნა და ქართლი ბედნიერებისაკენ შემოაბრუნა.

ასეთი დიდი ომი, როგორც მოვლენა, ტაშისკართან არ დამთავრებულა. იგი მთელი საქართველოს მოვლენად იქცა. ერთის მხრივ მან დაამტკიცა, რომ ქართლი ძლიერი, ენერგიით სავსე და ერთსულოვანია, შეუძლია ამოდენა მტრის მოსპობა, ეს კი რიდსა და შიშს იწვევს გარეშე მტრებში. კრთის დაღესტანი, თურქეთი, ირანი, ახლა ისინი ანგარიშს უწევენ მას, როგორც ძალას. მეორე მხრივ, ხალხი სულიერად განსაღდება, თავისი თავის რწმენა უჩნდება. მშვიდობიანი შრომისა და ცხოვრების გარანტიაც არის ასეთი ომი. მტერი ადვილად ვერ გაბედავს შემოსვლას. არც გაუბედავს თურქეთს ამის შემდეგ ქართლში კარგა ხანს შემოსვლა: მან დაინახა, რომ ჰყავს ქვეყანას პატრონი, დიდი ენერგიის კაცი, დიდი სარდალი. დიდი სარდლები კი ყოველ საუკუნეში არ იბადებიან; სიმონ მეფის შემდეგ ქართველებს ამოდენა ომი არ მოუგიათ, ქვეყანა დასუსტებული იყო და უღონო. ახლა იგი მოღონიერდა და მერე როგორ.

ამ უნიკალური თვისებებით აღჭურვილი სააკაძე ქვეყნის იმედი იყო. აქამდე ეპიზოდური, პატარა მასშტაბის ბრძოლებში ნაცადი სარდლის შესაძლებლობები ახლა დიდი ომით დადასტურდა. ქვეყნის აღორძინების გზაზე ეს იყო შინაარსი ძლიერებისა, რასაც სააკაძის ნიჭი და უნარი ჰედდა.

ყოველივე ამას დანახვა უნდოდა და შეცნობა. დამსახურებათა გამო კიდევ უფრო აღაზევა სააკაძე ლუარსაბ II. იგი უდიდესი ავტორიტეტი გახდა. „...რომელსაც მეურვედ დაუნიშნეს მისი ვეზირი, დიდად ჭკვიანი" — წერს შარდენი. მისთვისაც დიდი ჭკუის კაცად დაუხასიათებიათ გიორგი სააკაძე. დიდი მოურავი ბრძნულად განაგებდა ქართლს.

ლუარსაბისაგან მისი დამსახურების დაფასება საკმარისი არ აღმოჩნდა. მეფე ლუარსაბისაგან დრომ მოითხოვა ბოლომდე შეეცნო სააკაძის მნიშვნელობა ქართლისა და საქართველოსათვის და რაკი ალტერნატივა წაუყენეს — ან ჩვენ ან სააკაძეო, საკითხი გადაეწყვიტა თავისი დიდი წინაპრების მსგავსად: აელაგმა თავადთა მადა და სააკაძე შეენარჩუნებინა. დიდებულთა კაპრიზებსა და ვნებებს მხოლოდ მტკიცე ღაგმი

სჭირდებოდა, რომ ისინი მეფის მტრად არ ქცეულიყვნენ და არ გაებედათ ქვეყნის არევა. საკაძეზე დაყრდნობით, იმ კაცზე დაყრდნობით, ვინც ამოდენა ომს ხელმძღვანელობდა, მათი მოთოკვა და ქვეყნის სამსახურში იძულებით თუ ნებით, რიდით თუ შიშით ჩაყენება, შეიძლებოდა. საჭირო იყო მხოლოდ მეფის მტკიცე ხელი, ვინც მიმართავდა გადამჭრელ ღონისძიებებს. საქმე კიდეც იყო აქამდე მიყვანილი. მეფემ შეირთო საკაძის და, დაუმოყვრდა დიდ მოურავს და პოზიციაც გამოიკვეთა. მაგრამ რაკი სწორედ ეს გაერთიანება, მოყვრობით განმტკიცებული, განიცადეს დიდგვაროვნებმა თავიანთ ყოფნა-არყოფნად, ამ დროს უნდა ეთქვა გადამწყვეტი სიტყვა მეფეს. ეერჩია ქვეყნის ძალებიდან თავის დასაყრდენად ის, ვინც აქამდე გამოდგომია ქვეყანას (მერე როგორ გამოდგომია) და მომავალშიც გამოადგებოდა.

აქ ერთი ფაქტორიც არის საგულისხმო. აქამდე ლუარსაბი მისდევს თავისი წინაპრების კურსს და განსაკუთრებით სიმონ მეფის — მისი პაპის გზას. ერთგულ აზნაურებს და, პირველ ყოვლისა, საკაძეებს შემოიკრებს თავის გარშემო და მათზე დაყრდნობით იღვწის. ახლა კი დაუშვა შეცდომა. თუმცა მთელი ენერგიით ებრძოდა დიდგვაროვნებს. „არ უნდოდა საყვარელი მეუღლის განშორება და მოურავის გამომეტება". მაგრამ ერთია, როდესაც წინააღმდეგობას უწევ, სხვა არის, როდესაც აქტიურ ღონისძიებებს ატარებს მეფე ქვეყნად წონასწორობის დასამყარებლად. ლუარსაბი თავიდანვე თავდაცვით პოლიტიკას მიმართავს, იგი კი არ უტევს დიდგვაროვნებს, თავს იცავს მათგან და ცდილობს, ერთგულად ნამსახური კაცი გადაარჩინოს, აგრეთვე მისი და — ქართლის დედოფალი. მართალია, მას დაემუქრნენ, ჩვენ ყველანი განგიდგებითო, თუ ეგ არ მოგიშორებიაო, მაგრამ მეფემ ვერ განსაზღვრა, რომ ეს მხოლოდ მუქარა იყო. და თუ იგი მკაცრი ღონისძიებებით ალაგმავდა დიდგვაროვანთა თავგასულობას, ყველა ისინი „შიშით შექმნილი სიყვარულის" კარნახით დაემხობოდნენ მის მუხლებთან და ერთი-ორის გარდა, მის სახელზე ილოცებდა ყველა. ამის განსაზღვრას დიდი სულიერი ძალა სჭირდებოდა, დიდი მეფური შორსმჭვრეტელობა. მეფეს, ფავგანწირულ მებრძოლს, პატრიოტს, მოწამეს, საა-

მისო ენერგია არ აღმოაჩნდა — გადასძალა ფეოდალურმა ინსტიტუტმა. მან მისცა თანხმობა დედოფლის გაშვებაზე, თუმცა უსაზღვროდ უყვარდა, იმდენად უყვარდა, რომ ცოლი არ შეურთავს შემდგომ. დედოფლის „განტევება“ იმას ნიშნავდა, რომ სააკაძე სიკვდილით დასჯილიყო — ზემოთ ბერი ეგნატაშვილის მიხედვით მოვიტანე არგუმენტები ამის საილუსტრაციოდ.

სააკაძე გაიწირა.

ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ ლუარსაბი უფრო რთულ ვითარებაში მოხვდა, ვიდრე მისი წინაპრები — სიმონ I და გიორგი X. მათ დროს სააკაძე ისე აღზევებული არ ყოფილა, რომ დიდგვაროვნები ერთბაშად დაპირისპირებოდნენ მას. ლუარსაბის დროს მოხდა სრული აღზევება, რადგან მის დროს დაიმორჩილა სააკაძემ ოსები, დვალები, მის დროს გადაიხადა ტაშისკარის ომი. ამის შემდეგ სამი წელი გავიდა და სააკაძის დიდებამ ზენიტს მიაღწია. „ან ჩვენ — ან ის“ — სწორედ ლუარსაბის დროს დადგა დღის წესრიგში. ვითარება მართლაც ძნელი იყო, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ძლიერი ნებისყოფის მეფე ამ საქმეს მოაგვარებდა. სააკაძეს, ქვეყნის სასარგებლო პიროვნებას, ასპარეზს მისცემდა და თავადებსაც ჰკუაზე მოიყვანდა. თუ სააკაძე თავის უფლებებს არასწორად იყენებდა, სწორედ ძლიერ მეფეს მართებდა მისი ფუნქციის განსაზღვრა და მისი ძლიერი მადის შეზღუდვაც. მან უნდა უპოვოს ქვეშევრდომის შესაძლებლობებს კალაპოტი და ეცადოს ერთმანეთს არ დაუპირისპიროს ქვეყნის ძალები, ხოლო თუ დაპირისპირება გარდუვალია, მაშინ პროგრესული ძალების მხარეზე დადგეს.

ლუარსაბ მეფე კი შეუშინდა დიდგვაროვანთა ფენას და სააკაძე მოიკვეთა, დასაღუპავად გაიმეტა. თუმცა ფიცი ჰქონდა მიცემული, თუმცა დაახლოებული იყო მასთან ნათესაური ჯაჭვით, თუმცა სააკაძემ გააფრთხილა წინასწარ დიდგვაროვნების მოსალოდნელი შემოტევის გამო. მაინც გასწირა. ეს იყო ლუარსაბ მეფის ტრაგედია. ტრაგედიაში იკითხება სინამდვილე: მისი შესაძლებლობების მეფეს არ შეეძლო რეფორმატორული ღონისძიებების გატარება, ამაოდ ამყარებდა მასზე, როგორც მეფეზე, იმედებს სააკაძე. არ იყო ლუარსაბი ნანატრი მეფე,

რაც ქვეყანასა და საააკაძეს სჭირდებოდა, მაგრამ საააკაძის ვარაუდი ეყრდნობოდა ლუარსაბის კეთილშობილურ ბუნებას, მის პატიოსნებას და არა იმდენად მეფურ შესაძლებლობებს. ამიტომაც აფრთხილებდა წინასწარ, როგორც ჩანს, გრძნობდა მის სისუსტეს.

რაკი საააკაძის მოშორება გადაწყდა, ბუნებრივია, შუა გზაზე შეჩერება წარმოუდგენელი იყო. საააკაძე არ გახლდათ უმწეო კაცი, რომ გადაეყენებინათ და თავის მამულში ჩაეკეტათ. რაკი ბრძოლა გამოუცხადეს, ბოლომდე უნდა მიეყვანათ ეს ბრძოლა. თავადების ასეთი უკომპრომისობა იდვილი ასახსნელია. მათ უკვე არ შეუძლიათ შეღავათი. იციან, რომ „საააკაძე კაცი დიდად კარგი არის“, მაგრამ თავისი ინსტიტუტი ყველა კარგ კაცს და მთელ ქვეყანას ურჩევნიათ.

შედგა სამხედრო გეგმა. საოცარია, თითქოს ყველას დავიწყებოდა, რომ ქვეყნის მოღალატეს კი არა, ტაშისკარის ომის ავტორს, ქართლის აღმაშენებელს და ერთგულ კაცს სწირავენ. უკანდახევა არც შეიძლებოდა, მაშინ მათი სიცოცხლე ვარდებოდა საფრთხეში. გადაწყდა. საააკაძე წავკისს უნდა მოეწვიათ მეფესთან სანადიროდ, იმ ღამეს დასხმოდნენ და მოეკლათ. თანაც წინასწარ თადარიგიც დაუჭერიათ, გზები შეუკრავთ, რომ ხელიდან არ გასხლტომოდათ.

წავკისში გიორგი საააკაძე მარტოოდენ ერთი მხლებლის ამარა მივიდა. ეს ფაქტი ბევრს მეტყველებს. თავის პატიოსნებასა და კეთილშობილებაში, მეფისადმი თავის ერთგულებაში დარწმუნებული გიორგი საააკაძე არც ფიქრობს ფრთხილად იყოს, მცველებით მივიდეს. შეთქმულება ჩუმად შედგა. დიდ მოურავს წარმოდგენაც კი არ შეეძლო, რომ მისი დამსახურების კაცს სასიკვდილოდ გაიმეტებდნენ. მით უმეტეს მეფისაგან არ მოელის ღალატს. მან განადიდა ლუარსაბ II, გააძლიერა და ახლა, სრულიად დამშვიდებული, მოვიდა სიძესთან, ღვინო დალია, თავის კარავში განმარტოვდა, რათა დაისვენოს და დილით ნადირობას შეუდგეს.

* *

1612 წლის 20 მაისი. მეფე გაეცალა ამ სისხლიან ასპარეზს. იგი დაეთანხმა ბოროტებს და ახლა სამოქმედო ასპა-

რეზი მთლიანად ბნელი ძალების ხელთ არის. მაგრამ როგორც ჩანს, ისტორიას თავისი კანონზომიერება ახასიათებს. მეფეზე გამარჯვებულ ბნელ ძალებს სამიზნედ სააკაძე ჰყავთ, მისი მოსპობის ჟინით არიან დაპყრობილნი და მხედველობიდან რჩებათ სხვა ძალა, მათ რომ არ თანაუგრძნობს და უპირისპირდება კიდეც. ამ ძალის განსახიერება აღმოჩნდა ბააკა ხერხეულიძე — მარაბდის დიდ ომში თავგანწირულ ხერხეულიძეთა სახლიკაცი ან იქნებ ერთ-ერთი მათგანიც. მან, მოყურადეთა სიფხიზლის მიუხედავად, მოახერხა საშინელი საქმის აღსრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე გაეფრთხილებინა სააკაძე.

„დაასკუნეს რა საქმე ესე, არა დაფარა ღმერთმან საქმე ესე, არამედ იხსნა მეფე ლუარსაბ უბრალო კაცის სიკვდილისაგან და სისხლისაგან. და ბიჭიდა მოურავთანა ფარეშთუხუცესი ხერხეულიძე ბააკა და გაჰქრავნა მეფე“ (ბერი ეგნატაშვილი).

ბააკა ხერხეულიძემ სასწორზე შეაგდო თავისი სიცოცხლე, აკი დაისაჯა კიდეც — „დაიბრეს ცხვირ-პირი“ ამ საიდუმლოს გამჟღავნებისათვის. ქვეყნისა და ხალხის მოღალატისათვის სიცოცხლეს არავინ შეაგდებს სასწორზე, არავინ დაისჯის ასე თავს. პირიქით, თვითვე წაუძღვება მკვლელებს მისი კარვისაკენ. მაგრამ ქვეყანამ იცის, რომ სააკაძე ქვეყნისა და მეფის მოღალატე კი არა, ქვეყნისა და მეფის მხსნელია. იცის ეს ბააკა ხერხეულიძემ. იცის უკეთილშობილესი ბუნების კაცმა, სამშობლოს ერთგულებაში ნაწრთობი გვარის გენმა. იცის, საიდან მოდის დიდგვაროვანთა ზიზღი სააკაძისადმი, არც მალავენ ისინი ამას და იღებს მტკიცე გადაწყვეტილებას, თუნდაც თავისი სიცოცხლის ფასად, იხსნას დიდი მოურავი განსაცდელისაგან. ამ ფაქტში აშკარად ჩანს მარტოოდენ ბააკა ხერხეულიძის პიროვნება კი არა, არამედ მისგან გაცნობიერებული მოვლენის არსი: ბააკა ხედავს, რომ ერთი პიროვნება კი არა, იღუპება ქვეყნის ფიზიკური და სულიერი ენერგიის განსახიერება, ხალხის იმედი. იღუპება ადამიანი, ვინც თავისი აქამომდელი მოღვაწეობით სწორედ ეს თვისებები დაუმტკიცა თავის ხალხს — მხსნელი, პატრონი, შემმართებელი პიროვნების

თვისებები. საააკაძის პიროვნებას ხილული თუ უხილავი ძაფებით უკავშირდება ქართლის იმედი, მეფისა და სამეფოს უმთავრესი ინტერესები, იგი თვითვე აღმოჩნდა განსახიერება გამძლეობისა. წარმოუდგენელია ამგვარი შეცნობის გარეშე ბააკა ხერხეულიძის მოქმედების ახსნა, მეფის „საიდუმლოს განთქმა". ღმერთი და მეფე სალოცავია ქართველი კაცისა. აქედან ერთის ღალატი ორივეს ღალატს უდრის, და მაინც ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ბააკამ. სხვაგვარი ახსნაც აქვს ამ ფაქტს, მარტო მეგობრის ერთგულებით მეფის საიდუმლოს გამჟღავნებას ძნელად თუ ვინმე გარისკავს, მით უმეტეს, რომ მკაცრი სასჯელი ელის. რაღაც უფრო დიდი მიზეზი არის — და ეს დიდი მიზეზი სხვა არაფერი შეიძლება იყოს, გარდა იმისა, რომ საააკაძე უდანაშაულოა მეფისა და ქვეყნის წინაშე, ამავე დროს იგი გუშინდელი გადამრჩენია ქვეყნისა. საააკაძის ერთგულებაში თუნდაც ოდნავ დაეჭვებული კაცი ამ ნაბიჯს არ გადადგამს. თანაც ამ კამპანიაში საააკაძის სხვა ერთგული კაცი არ ჩანს. იგი მეფესთან მიიწვიეს, სრულიად დამშვიდებული მოვიდა დიდი მოურავი. მეფე მისი სიძეა და ეს ყველაფერს ნიშნავს, შეუძლია მშვიდად იყოს. შეთქმულება საიდუმლოდ მზადდებოდა, დიდი სიფრთხილით. დიდგვაროვანთა ინსტიტუტი ასეთი შეთქმულების მომზადებაში საუკუნეების მანძილზე ოსტატდებოდა. შადიმანის ბნელ საქმეებში გავარჯიშებული გონების წყალობით მთელი ეს შეთქმულება ისეთი ოსტატობით არის მომზადებული, რომ საააკაძის ყურამდე რაიმე დამაეჭვებელ ხმას არ მიუღწევია. სხვაგვარად აუხსნელი იქნებოდა ასეთი გულდამშვიდებული მოსვლა. ბააკამაც ახლა, მხოლოდ და მხოლოდ თავშეყრილ დიდებულებში გამეფებული განწყობილებით იგრძნო რაღაც, შემდეგ სმენა გაამახვილა და შეიტყო ვერაგული განზრახვის შესახებ. საააკაძის გასაფრთხილებლად არავითარი დრო არ დარჩენია, თორემ, ცხადია, აქამდე მიაწვდენდა ხმას. გზიდანვე გააბრუნებდა, მაგრამ მოვლენები საოცარი სისწრაფით ვითარდებოდა, თუნდაც თავისი სიცოცხლის უსაფრთხოების მიზნით აცნობებდა ადრევე, მისი „გამცემლობაც" ხომ უფრო ადვილად დაიმალებრდა, ერთადერთ იმედად ისღა რჩებოდა, საააკაძე მხლებლებითურთ მოსულიყო, თავდაცვისა

და შებრძოლების საშუალება ჰქონოდა. ეს იმედიც გადაეწურა — სააკაძე ერთი მხლებლის ამარა მოვიდა. ბააკა ხერხეულიძე ალტერნატივის წინაშე დადგა. ან უნდა დაეხუჭა თვალები და ხელი არ შეეშალა მკვლელებისათვის, ან თავი გაეწირა. არც ამ შემთხვევაში შეიძლება სხვა დასკვნის გამოტანა. ბააკა ხერხეულიძემ სააკაძის უდანაშაულობა იწამა, მისი ფასი იცოდა და იმ რწმენით გაწირა თავი, რომ ქვეყნის უმაგალითო მამულიშვილს იხსნიდა.

ახლა სიტყვა სააკაძეზე იყო. „საოცარი მოხერხებით დააღწია თავი მტრებსო", — აღნიშნავს შარდენი. როგორც ჩანს, დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია თანამედროვეებზე სააკაძის მოხერხებას და იმღამინდელ გმირობას. რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც, როდესაც შარდენმა იმოგზაურა საქართველოსა და ირანში, ეს შთაბეჭდილება არ იყო გამქრალი და შარდენიც მოხიბლულია დიდი მოურავის მოხერხებით. მართლაც, გამოუვალი მდგომარეობა ჩანს, იმდენად გამოუვალი, რომ ცხენის შეკაზმვაც ვერ ესწრება. საქმე წამებზე მიდგა. მკვლელების მახვილები გაშიშვლებულია!

„მოურავი ახალუხის ამარა გავარდა გარეთ, მხოლოდ ხმლის აღება მოასწრო, მოახტა პირველსავე შემხვედრ, უბელო ცხენს და თავბრუდამხვევი სისწრაფით გავარდა სასახლის ეზოდან. მცველებმა მხოლოდ თვალი მოჰკრეს, როგორ გაფრინდა უძოს მთისაკენ უბელო მხედარი. შეთქმულთა რაზმი ცხენდაცხენ დაედევნა გიორგის. ფარეშთუხუცესი კი შეიპყრეს და „დააჭრეს ცხვირ-პირი".

სააკაძე საშინელი სისწრაფით მიქროდა ნოსტესაკენ. საჭირო იყო 60—70 კმ. გავლა. ახლა მხოლოდ სისწრაფეს შეეძლო ეხსნა მისი ცოლ-შვილი სიკვდილისაგან. მთელი ღამე მიაჭენებდა ცხენს გიორგი, გადაიქროლა გელიყარის კლდე, დიდგორის მთა და გოსტიბეს გზით ნოსტეში შევარდა. უკვე თენდებოდა, როდესაც სააკაძემ განგაში დასცა თავის სასახლეს, ლოგინიდან წამოყარა ცოლ-შვილი და როგორც იყვნენ, ამის მეტი დრო არ იყო — ტყეს მიაშურეს. ძლივს მოასწრო გიორგიმ შიშველ-ტიტველი ცოლ-შვილის გამოყვანა და ტყეში შესვლა, რომ მის სასახლეს ჯარი შეესია, ააოხრეს, დაანგრიეს და დაწვეს ყველაფერი". ასე თანამიმდევრობით

გადმოგვცემს წყაროებზე დაყრდნობით მოვლენების მსვლელობას გივი ჯამბურია.

საგულისხმოა ერთი დეტალიც. შეთქმულებს ეშვიც კი არ ეპარებათ, რომ ბააკამ გასცა ისინი. ის ერთადერთია მათ შორის სააკაძის ერთგული და დამფასებელი. ვერ მოხერხდა მისი იზოლირება, ჩათვალეს, რომ ერთი კაცი ხელს ვერ შეუშლიდა განაზრახის სისრულეში მოყვანას. მაგრამ ეს ერთი კაციც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ბოროტი განაზრახი ჩაშლილიყო. გულმა და სისხლმა არ მოუთმინა იმ ერთ კაცს — სააკაძის დაღუპვაში ქვეყნის დაღუპვა დაინახა, თავგანწირვის ძალაც ამან შთაბერა.

დიდ ისტორიულ პიროვნებებში ხშირად შენიშნავენ ხოლმე ოჯახის წევრებისადმი გულგრილობას, თვით შვილების ბედისადმი გულგრილობას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მათი გაცივებული გული ადვილად სწირავდეს შვილს თავისი პოლიტიკური კარიერის გზაზე. მართლაც იცის ისტორიამ ასეთი მაგალითები, ასეთი პიროვნებანი. თავად შაჰ აბას I მაგალითი რად ღირს, ვისი დავალებითაც მოკლა ბებუთხანმა ტახტის მემკვიდრე და თავი მამამისს—შაჰ აბას პირველს მიუტანა, მაგრამ ეს ერთეულების ცხოვრების წესია, ისინი გამონაკლისნი არიან.

გიორგი სააკაძის უაღრესად კეთილშობილური ბუნება და მამულიშვილობა ფაქიზია მამობრივ გრძნობებშიც. იგი საოცრად მოყვარული მამაა, ოჯახის ნამდვილი პატრონი და ერთგული. წავკისის ტრაგედიაც ამტკიცებს, რომ პოლიტიკური კარიერა მისთვის თვითმიზანი არ ყოფილა, რომელსაც შეიძლება ცოლ-შვილი, საკუთარი სიცოცხლე და თვით მამული შეეწირო. პოლიტიკური კარიერა მისთვის იყო სამშობლოსა და ოჯახის ბედნიერებისათვის არჩეული გზა.

ახლა მას და მის ცოლ-შვილს ემუქრება სიკვდილი... და სააკაძე წავკისიდან ირანისაკენ კი არა — სადაც მას ჰატივი და დიდება ხვდა შემდეგ, არამედ ნოსტესაკენ მიქრის საშინელი სისწრაფით. ცოლ-შვილი უნდა გადაარჩინოს. პოლიტიკურ კარიერას გამოკიდებული ბევრი ისტორიული პიროვნება კი უპატრონოდ ყრის ცოლ-შვილს, რომ თავი გადაირჩინოს და ხელახლა აღზევდეს. იგი კი, დიდი მოურავი, იქით-

კენ მიეშურება, სადაც პაატას, ავთანდილის, იორამის სუნთქვა ავსებს სახლის მყუდრო კედლებს... და როგორი დაბრკოლების გადალახვა უხდება საამისოდ! დავუშვათ, არ იყო ფიქრის დრო, თუ საით გაქცეულიყო და ინსტინქტურად სახლისაკენ გავარდა დიდი მოურავი... მეომრის, მხედართმთავრის ალღო ცხადია, მას უკარნახებდა გზაშივე, რომ სწორედ ნოსტეს გზა იქნებოდა შეკრული. წარმოუდგენელია, გადარჩენის გზებზე ფიქრისას ეს აზრი არ გაელვებულიყო — და მაინც ნოსტესაკენ! და მაინც ცოლ-შვილი! შეუძლებელია, აქ ბრმამაც არ დაინახოს დიდი მამობრივი გრძნობის უჩვეულო გამოვლინება. ამ მამობრივ გრძნობას წინ ვერც სიკვდილის შიში დაუდგა, ვერც დიდი მანძილი, რაც უბელო ცხენით უნდა გადაელახა, შეუჩერებლივ უნდა ეჭენებინა, ხელში ერთადერთი იარაღით — ხმლით. მაშინ, როდესაც ყოველი ბუჩქისა და ხის იქით შესაძლოა შეთქმულთა ჯგუფი ყოფილიყო ჩასაფრებული. სააკაძემ გადალახა ეს მანძილი, სიკვდილის შიშით და ცოლ-შვილითურთ შეაფარა თავი ტყეს. დავაკვირდეთ, რა უნაპირო აზავთებაა მამობრივი გრძნობის, ცოლ-შვილისათვის მფარველი კალთის გადაფარების სურვილისა. ერთი წამითაც კი არ ახსოვს თავისი თავი, ერთი წუთითაც კი არ დაფიქრებულა იმაზე, საკუთარი თავი გადავარჩინო თუ ცოლ-შვილი ვიხსნაო. ელვის სისწრაფით გავარდა უძოს მთისაკენ, იმთავითვე ნოსტესაკენ გაიტაცა სისხლმა, ფიქრმა მოურავი, ნოსტესაკენ, სადაც პაატას ავთანდილის, იორამის... სუნთქვა ავსებდა სახლის კედლებს. ახლა სურათი აღვადგინოთ, რა მზრუნველობით შემოუხვევია თავისი მძლავრი ტოტები მთის წვეროზე ცოლ-შვილისათვის და იქიდან დასცქერის თავის ციხე-დარბაზის დაწვა-დანგრევა-აოხრებას. არც ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწისათვის დამახასიათებელი გულცივობის კვალი ჩანს და არც მარტოოდენ თავის გადარჩენაზე ფიქრი. მხოლოდ ცოლ-შვილთან ერთად თავის დახსნაზე ფიქრობს. ცოლ-შვილთან ერთად გაღწევა კი უფრო ძნელია, ეს ცხადზე ცხადია. ქალები და ბავშვები მასავით დიდი სისწრაფით რომ ვერ იქროლებენ ხევსა და ჯაგებში, ესეც ცხადია, მაგრამ მათ გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენელია საკაძისათვის. იგი,

დიდი მხედართმთავარი, დიდი მამულიშვილი, მამობრივ გრძნობაშიც ღრმაა. ამას გვეუბნება წავკისის ტრაგედიის ყოველი დეტალი, მისი ყოველი ნაბიჯი, ყოველი მოძრაობა. ცოლ-შვილამდე მიღწევა ერთია, მთავარი სიძნელე სწორედ ამის შემდეგ იწყება, ახლა ჯარებს უნდა დააღწიოს თავი. მართალია, ექვსიოდე მსახური წამოეწიათ, ცხენებიც იშოვეს, მაგრამ ეს მდგომარეობას არ აიოლებს. პირიქით, გაღწევა უფრო ძნელი ხდება, რადგან ახლა უფრო ადვილად შესამჩნევი არიან ისინი. რამდენიმე მხლებლით თავდაცვაზე ფიქრი ძნელია, გზები ყოველმხრივ არის შეკრული. იძულებულნი გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ და გიორგის სიმამრის — ნუგზარ ერისთავის სამფლობელომდე მიეღწიათ. რა თქმა უნდა, ეს გზაც შეკრული იქნებოდა, მაგრამ მაინც აქეთ აირჩიეს. დავაკვირდეთ, რომ ჯერ ფიქრშიც კი არ კრთის ირანის გზა, მით უმეტეს, ძნელია გადაწყვეტილებაზე ლაპარაკი. გიორგიმ თავისი ოჯახითურთ იგივე გზა გამოიარა, რაც წინაღამით, — სულ ტყე-ტყე იარეს, შეუსვენებლივ, ტანისამოსი შემოეგლიჯათ. ფეხისგულები დაუსისხლიანდათ. მცხეთის ახლოს ტყეში დადგნენ. გაზაფხულის წყალდიდობის გამო მტკვარი კალაპოტში ვერ ეტეოდა და მისი გადალახვა არც ისე იოლი იყო.

მცხეთის ხიდის დასაზვერავად გაგზავნილმა მსახურმა კარგი ამბავი ვერ მოიტანა. ხიდს სამოცი კაცი იცავდა და ფხიზლად იყვნენ, თანაც დაუფარავად, ხმამაღლაც გაიძახოდნენ, დიდ მოურავსა და მის მხლებლებს შევიპყრობთო. გიორგი საკაძე განრისხდა. გადაწყვიტა იერიშით აეღო ხიდი, მცველები დაეხოცა და გადასულიყო მეორე მხარეს. ნიშანდობლივია ეს განრისხება: შეპყრობას უპირებენ მას, — საკაძეს, ვის სახელსაც უნდა უმადლოდეს ქართლიც და ის სამოცი კაციც გადარჩენას. შეპყრობას უპირებდა საკაძეს ხალხი, ვინც სწორედ დიდი მოურავის ღონისძიებებმა და ბრძოლებმა მოაღონიერა. მრისხანება ერთიანად დაეუფლა გიორგი საკაძეს, როგორც ჩანს, ერთბაშად იფეთქა მასში საშინელმა განცდამ უმადურობისა, რასაც მიაგებდნენ თანამემამულეები ქვეყნის გადარჩენის პასუხად. მაგრამ გიორგი მსახურებმა არ გაუშვეს — ხმაურზე სხვებიც არ შემოუერთდნენ ხიდის მცვე-

ლებს და საქმე არ დაეღუპოთო. რისხვამაც გაუარა და საა[illegible]ძეს ჩვეული გონიერული განსჯის უნარი დაუბრუნდა. მართლაც, ეს ხალხი ხომ მისი მტრებისგან გონებადაბნელებული ადამიანები იყვნენ, გაუცნობიერებლად რომ ასრულებდნენ მეფისა და დიდებულების ბრძანებას.

სხვა გზა არ დარჩა, მოურავმა „გადასწერა ყველას პირჯვარი და პირველმა გადაუშვა ცხენი მდინარე მტკვარში მეორე ნაპირზე გასაცურავად. მას მიჰყვა ცოლი და ყველა მხლებელი. ხიდის მცველებმა ვერ შეამჩნიეს მოურავი და მისი ოჯახი, რომელნიც მცხეთის ტაძრისაკენ გაეშურნენ უფალი მაცხოვრისათვის მადლობის შესაწირავად. ბედნიერი, მშვიდობიანი გზის სამადლოდ ოჯახმა ტაძარს 60 მარჩილად ღირებული ოქროს თასი შესწირა". (პლატონ იოსელიანი). პლატონ იოსელიანი აქვე მოგვითხრობს: „არსებობს გადმოცემა, რომ მტკვარში შეცურვამდე, რაც მაისში მეტად სახიფათო იყო, მოურავი ცოლს შეეკითხა, ხომ არ გეშინია ადიდებული მდინარისაო. „განა შეიძლება მოურავის ცოლს ეშინოდეს?" — უპასუხა თურმე ცოლმა და როგორც მითიურმა ამორძალმა, უმალ შეაგდო ცხენი წყალში".

ვფიქრობ, დაუჯერებელი აქ არაფერია. მოურავის ძნელი გზის თანმხლები, მისი სულისკვეთებითა და თავგანწირვის მაგალითებით აღზრდილი მეუღლე, ცხადია, ასეთ პასუხს, ან მსგავსს გასცემდა მოურავის კითხვას.

სოფელ მისაქციელთან გიორგი საყაძეს სიმამრი შეეგება. არაგვის მოხუცი ერისთავისათვის განსაცდელი უცხო ხილი არ ყოფილა, მაგრამ საყვარელი ასულისა და სიძის ასეთ მდგომარეობაში ნახვამ ის აღაშფოთა.

დევნილებმა მოისვენეს ანანურში. საფრთხე უკვე ჩავლილი იყო, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც. ცხადია, ლუარსაბი, ვინაც უნებურად შეტოპა ასეთ საქმეში, უთუოდ მოითხოვდა ნუგზარისაგან, გაეცა საყაძე. რჩებოდა ორი გზა: ან ბრძოლა უნდა გაემართათ ლუარსაბთან, ან საქართველოდან გადახვეწილიყო გიორგი საყაძე.

ნუგზარი იმ დროისათვის ძლიერი ერისთავია. სამეფოს მთავარი ლაშქარი მისი სამფლობელოდან გამოდის. საყაძეს ქართლში მრავალ ჰყავს მოკრენი. შეეძლო ეს ხალხი

შეეკრიბა და ლუარსაბზე გაელაშქრა, სამაგიერო მიეზღო გულანთებულს, ეზღვევინებინა, მის თვალწინ რომ ქვა ქვაზე არ დატოვეს, ასე რომ შეურაცხყვეს და სასიკვდილოდ გაიმეტეს. მაგრამ სააკაძემ მაინც გაცლა არჩია. მას ძმათაშორისი ომი ვერ წარმოუდგენია. იგი, ქართლის განმდიდებელი, ამ გზით ვერ წავა, იცის დიდი მსხვერპლი მოჰყვება ამას. არც ამ შემთხვევაში დაეძებება სხვაგვარი ახსნა მის გადაწყვეტილებას თუ ზერელედ არ შევხედავთ შექმნილ სიტუაციას. მას მართლა ჰყავდა საჭირო ძალა ლუარსაბთან და მის მომხრეებთან დასაპირისპირებლად. ახლა კი ლუარსაბსა და თავადებზე გალაშქრება ქართველი ხალხის სისხლისღვრასა და სამეფოს დასუსტებას გამოიწვევდა. მივაქციოთ ყურადღება ამ ფაქტს. — სააკაძე გაურბის ე. წ. ძმათაშორის ომს, თუმცა ამკარად შესწევს ძალა მოსთხოვოს მტრებს პასუხი. ეს ფაქტი კვლავ შეგვახსენებს თავს, რადგან ერთ მშვენიერ დღეს სააკაძის წინაშე გარდუვალობად აღიმართა სამოქალაქო ომი.

სააკაძის დედა, მოახლეებითა და მსახურებით ლიხთ იმერეთს გადასულა. სააკაძის მტრებმა დაიტაცეს ყველაფერი. ამაზე მეტყველებს 1613 წელს ლუარსაბ მეფის მიერ ზაალ აბაზაძისადმი გაცემული წყალობის სიგელი: „შეგიწყალეთ და გიბოძეთ მიწობლისმისეული მამული, რაც მოურავისათვის წყალობად გუებოძებინა მისის სიმართლის სამართლიანის სამძღვრითა და საქმითა...“ ეს წყალობის სიგელი ერთ-ერთია იმ მრავალთაგან, რომელიც ებოძათ სხვა დიდებულებს სააკაძის წასვლის შემდეგ.

სააკაძემ ბოლოს ირანში წასვლა გადაწყვიტა. იოსებ თბილელი სააკაძეს ათქმევინებს პოემაში, — „ეს ვიცი, რომ, იქა წასვლა, ვერა ვქმენ კარგის ცნებითა“. ამ სიტყვებს ათქმევინებს მას შემდეგ, რაც შაჰი ბოლომდე გაიცნო დიდმა მოურავმა. ეტყობა, სააკაძე მართლაც ნანობდა ირანში წასვლას და ამის შესახებ გადმოცემით იცოდა იოსებ თბილელმა, ვინც გიორგი სააკაძის თანამებრძოლისა და ახლობლის ცნობებით სარგებლობდა უთუოდ. მაგრამ აქ, არაგვის ერისთავის ციხედარბაზში სააკაძეს, ვინც მომავლის გზებს ეძებდა, არ შეეძლო იმ დროს უკეთესი გამოსავალი მოეძებნა. ისტორიკო-

სები დაგვემოწმებიან, ალბათ, რომ ვინც კარგად იცნობს ირან-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიას და საერთოდ ამ ურთიერთობის შინაარსს, მისთვის არა თუ მოულოდნელი იქნება სააკაძის გადაწყვეტილება, არამედ სავსებით ბუნებრივი და ერთადერთიც იმ დროისათვის. ირანისადმი ქართლის ვასალურ დამოკიდებულებას მხოლოდ დროებით ცვლიდა დამოუკიდებელი ქართლ-კახეთის განზე დგომა. შემდეგ ისევ თავიდან იწყებოდა ყველაფერი. ქართლისა და კახეთის ტახტზე მეფეთა დასმის საკითხს წყვეტდა ირანი. აქ თავისი გავლენის შესანარჩუნებლად იგი გამუდმებით ებრძოდა თურქეთს და იმარჯვებდა კიდეც შაჰ აბას I პოლიტიკა. ირანსა და ქართლ-კახეთს შორის იყო ინტენსიური ურთიერთობა, დელეგატების მიმოსვლა, შაჰის კარზე მრავლად იყვნენ როგორც პოლიტიკური მოსაზრებით გაქცეული ტახტის მაძიებლები, ასევე მათი მხლებელი დიდებულები. შაჰის კარზე გამუდმებით ადევნებდნენ თვალყურს ქართლისა და კახეთის მოვლენებს. აქ იზრდებოდნენ ქართლ-კახეთის მეფეთა შვილები. ზოგჯერ შაჰის მოთხოვნით იცვლიდნენ რჯულსაც... ერთი სიტყვით, ეს იყო ქართლ-კახეთის ისტორიული ყოფა. უნდოდათ თუ არ უნდოდათ, ისინი იმყოფებოდნენ ირანის გავლენის ქვეშ და სანახევროდ ერთმანეთის ცხოვრებით ცხოვრობდნენ. იგულისხმება პოლიტიკური ცხოვრება. შაჰის ჰარამხანაში, სამწუხაროდ, ბევრი ქართველი ქალიც იმყოფებოდა. ზოგი მათგანი შაჰის ან მისი უერთგულესი ხანების ცოლები იყვნენ და, ასე განსაჯეთ, შაჰ აბასის კარზე ქართულ ენას დიდი დაფასება ჰქონია. შაჰის კარზე მოღვაწეობდნენ არა მარტო მეფის შვილები ან დიდებულები, არამედ ქართველი მხატვრებიც, მუსიკოსებიც, ინჟინრებიც. ერთი სიტყვით, ეს გახლდათ მჭიდრო ურთიერთკავშირის ხანა. როგორც ვიცით, თეიმურაზ I ერთხანს იზრდებოდა შაჰის კარზე, შესანიშნავად შეისწავლა სპარსული ენა და აქო კიდეც მისი მუსიკალობა. შაჰმა გაიწვია შემდეგ თეიმურაზ I უახლოესი კაცი ადამ ანდრონიკაშვილი, ვის ნიჭსა და ერთგულებაზე თეიმურაზი დიდ იმედებს ამყარებდა, გაიწვია და არ დააბრუნა.

აქ ამ ისტორიის შეხსენება იმისათვის დაგვჭირდა, რომ

ბოლომდე აგვეხსნა იოსებ თბილელის ის ერთი სტრიქონი. გიორგი სააკაძე შემდგომში ირანს წასვლას იმიტომ კი არ ნანობდა, რომ სხვა ქვეყანაში დახმარების ძიების კურსი მიაჩნდა შეცდომად, არამედ იმიტომ, რომ მას არ გაუმართლა ირანის შაჰმა; შაჰი არ აღმოჩნდა ის კაცი, ვისი შემწეობითაც ქართლში დაბრუნება და სასურველი მეფის ტახტზე დასმა შესაძლებელი იქნებოდა. შაჰი აღმოჩნდა სულ სხვა კაცი (და ეს მანამდე ნაკლებ ჩანდა), რომელსაც გარკვეული ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო მოსაზრებით მტკიცედ ჰქონდა გულში ამოჭრილი ქართლ-კახეთის აყრა და შიდა სპარსეთში გადასახლება, აქ კი მუსულმანური სახანოების შექმნა. მტრებისაგან იძულებული დიდი მოურავი ამ კაცის კარზე მივიდა, თვითმხილველი გახდა კახეთის აყრა-გადასახლებისა. შაჰთან მისი სიახლოვე პოლიტიკურმა მტრებმა, რაკი კახეთში ასეთი საშინელი ამბები დატრიალდა, საქართველოს წინააღმდეგ მოღალატურ მოქმედებად მონათლეს და ამით თავიანთი ნაბიჯი გაამართლეს ხალხის თვალში. დაეჭვდა ხალხი. ამას ნანობდა სააკაძე.

რაც შეეხება ირანში წასვლას, ამ გადაწყვეტილებაში საჩოთირო შინაარსის ჩადება უსაფუძვლოა და თუ რატომ, ამას ქვემოთ დავინახავთ. ურთიერთობის იმგვარი შინაარსი, რაც ქართლსა და ირანს შორის იგულისხმებოდა, თავისთავად კარნახობდა სააკაძეს წასულიყო სწორედ შაჰთან და მისი დახმარებით მიეღწია ქართლის ტახტზე შესაფერისი მეფის დასმისათვის. სხვაგვარი ახსნა მის მიერ გადადგმული ამ ნაბიჯისა მკრეხელობაა ისტორიული ფაქტების წინაშე და სწორედ ამიტომაც ხსნიან ამგვარად ისტორიკოსები დიდი მოურავის ირანში წასვლას: „სააკაძეს შაჰი თავისი პოლიტიკური მტრების ასალაგმავად უნდოდა, შაჰს კი იგი თავისი ვერაგული მიზნების აღსრულებისათვის უნდოდა“ (აკად. ნ. ბერძენიშვილი).

აქ, ანანურში, როდესაც შაჰის ვერაგული ზრახვების შესახებ ძეხორციელმა არაფერი იცის, სააკაძე, ვინც ყველა ვარიანტი აწონ-დაწონა, გასინჯა და შეაფასა, შაჰის კარზე წასვლას წყვეტს, ქართლ-კახეთის მეფეთა თავშესაფარი — დასავლეთ საქართველო, კერძოდ, იმერეთი არაერთხელ გამ-

ხდარა, მაგრამ ეს მას შემდეგ, როდესაც ირანთან დიდი მტრობა ჩამოვარდა. იმერეთიდან დახმარების მიღება საკაძეს, ცხადია, არც უფიქრია, მან ხომ არავის ერისთავის ლაშქარზე თქვა უარი. ამასთან, დასავლეთ საქართველო თურქეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ტაშისკარის ომის მხედართმთავრის შეფარება არც იმერეთისათვის იქნებოდა უვნებელი ფაქტი. თურქეთის მსტოვრები მრავლად იყვნენ იქ. სხვა მდგომარეობა შეიქნა მარტყოფისა და მარაბდის ომების შემდეგ და საკაძემ მაშინვე სცადა იმერეთ-სამეგრელოს ძალების გამოყენება ირანის წინააღმდეგ. ახლა იქ წასვლა იმიტომაც არ იყო გამართლებული, რომ მხოლოდ თავშესაფრად თუ გამოდგებოდა დასავლეთ საქართველო, საკაძეს კი უზარმაზარი გეგმები ჰქონდა, რისი განხორციელებაც ირანის მეშვეობით თუ იქნებოდა შესაძლებელი. საკაძე, ამდენად, მხოლოდ იძულებით გარბის საქართველოდან. სანამ უკიდურესად არ დაიძაბა ვითარება, იგი ფეხსაც არ ძრავს თავისი ქვეყნიდან. 1612 წლამდე შაჰის კარზე ყოფილა, სიმონ მეფესაც ახლდა თურქეთში, მაგრამ არასდროს არ გამოუმჟღავნებია სურვილი უცხო მიწაზე მოღვაწეობისა და დიდებისათვის ბრძოლისა. 1612 წელს იგი ორმოც წლამდე მიტანებულია, მაგრამ აქამდე თავისი მხედართმთავრული ნიჭიერების ასპარეზად არც თურქეთი აურჩევია და არც ირანი. თავის მამულში ცხოვრობს და დიდ საქმეებს აკეთებს. თავისი მოღვაწეობა ტაშისკარის ომით დააგვირგვინა. ახლა კი სასიკვდილოდ გამომეტებული, იძულებულია საქართველოდან გაიქცეს, ერთადერთი გზა ირანში წასვლაა. არც იმერეთი, არც სამეგრელო, არც კახეთი თავშესაფრად არ გამოდგება, მარტო თავშესაფარი რომ აინტერესებდეს. ისტორიამ კი უამრავი მაგალითი დააგროვა, როდესაც შაჰის მხარდაჭერით ესა თუ ის დასი იმარჯვებდა ქართლ-კახეთის ტახტზე. თვით მისი სათაყვანო სიმონ I შაჰის შემწეობით განმტკიცდა ქართლში. მან რჯული შეიცვალა, მაგრამ უპირველეს ქართველად რჩებოდა. იცის ეს საკაძემ, იცის, რასაც ნიშნავს რჯულის შეცვლა, რაც ხვალ თუ ზეგ დასჭირდება, უკეთუ ირანს მიაშურებს, მაგრამ გარდუვალს წინ ვინ დაუდგება. ისიც იცის, რჯულშეცვლილ კაცს ხალ-

ხი მთელი გულით რომ ვერ ენდობა, მაგრამ ამხნევებს წინაპრების მაგალითი. მათ, რჯულშეცვლილებმა, ხომ დაუმტკიცეს ქვეყანას, როგორი ქართველები იყვნენ. მის მდგომარეობაში მყოფს სხვა რა გამოსავალი უნდა ჰქონოდა. სხვა გზა მას მოუჭრეს მეფემ და დიდებულებმა.

აქ ერთი გარემოებაც არის საგულისხმო. საქართველოს იმდენჯერ გაუცრუა იმედი თავის საზღვრებს გარეთ დამხმარე ძალების ძიებამ, რომ ქართველ კაცში გაჩნდა უნდობლობა ყველა იმ ნაბიჯისადმი, რაც იგულისხმება უცხოეთში გადახვეწილთა მოღვაწეობაში. ქართველი კაცის თვალში ერთმანეთს ემსგავსება ყველა ისტორიული პიროვნება, ვისაც კი სხვის კარზე მოუხდა მოღვაწეობა. სურვილიც კი არა აქვს გაერკვეს თითოეული მათგანის პიროვნებაში, საერთოდ სხვა ქვეყანაში მოღვაწეობა, სხვის ომში სისხლის დაღვრა იქცა მისთვის მიუღებლად. მაგრამ განსხვავება ამ ხალხს შორისაც არის. ხშირად ისიც გვავიწყდება, რომ ერთთან ყველა ეს ღონისძიება მოწესრიგებული დიპლომატიის კანონზომიერი ქმედების გამოვლინებაა და არა სტიქიური პროცესი. ერთნაირად შევაჩვენებთ ხოლმე მამულიშვილსაც და ბუნებით მოღალატე კარიერისტსაც. მოვლენებში მეცნიერული გარკვევის კულტურა კი ხელიდან გვისხლტება. უნებურად ისე გამოგვდის, თითქოს უშრომლად გვინდოდეს ისტორიული მოვლენებზე, უმნიშვნელოვანეს ფაქტებზე დასკვნის გამოტანა. ყურს არ ვათხოვებთ ერთმანეთის გამომრიცხავი ფაქტების შინაარსს და ყველაფერს გარეგნული ნიშნების მიხედვით ვაფასებთ. მოღვაწეობდა სხვის კარზე, იბრძოდა სხვისი დიდებისათვის? ე. ი. — საეჭვოა მისი პიროვნება! ყველა ერთნაირია და ყველა დამნაშავეა. აქ კი, ვინც სამშობლოში დარჩა და ვისაც სხვის კარზე სამსახური არ მოუხდა, ყველა სანდოა, უფრო პატრიოტი, უფრო ქართველი! მსოფლიო ისტორიის ქარტეხილში გამოვლილმა საქართველოს წარსულმა საკმაო გამოცდილება დააგროვა საიმისოდ, რომ დავრწმუნდეთ: ასწლოვანი კაკლის ძირში ქეიფისათვის არ გაჩენილა ეს ქვეყანა, რომ პრაქტიკულად ქვეყანამ უნდა გამოსცადოს ბრძოლის ათასგვარი

ფორმა, აქტიური მონაწილეობა მიიღოს გარემომცველი ქვეყნიერების ურთულეს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ ფორმებისათვის წაყრუება და მისგან თავის შემოზღუდვა კი არ გადაარჩენდა საქართველოს, არამედ იმ ფორმების ყოველმხრივ შემოწმება, მიუღებელის უკუგდება და მისაღების გამოყენება. ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს ამ დახლართული ურთიერთობის ლაბირინთიდან ქართველობის შენარჩუნების გზა არ მოვინიშნოთ და არ ვიცოდეთ, ვინ პოულობდა ამ გადარჩენის გზას. არა გვაქვს უფლება ერთ სიბრტყეზე მოვათავსოთ პიროვნება, ვინც შვილსა და საკუთარ ნიჭს სხვის ქვეყანას ან უფრო სწორად სხვის ქვეყანაში პირად კარიერას შესწირავდა და ის პიროვნება, ვინც შვილებს, თავის ენერგიას და ნიჭს სამშობლოს სწირავს და მხოლოდ დროებით უხდება სხვის კარზე ყოფნა. იმ სხვის კარზე ყოფნასაც მამულის სასარგებლოდ იყენებს, რადგან სწავლობს რა მტერს, ადვილად ამარცხებს მას შემდეგ.

იმ დროს კი, უფრო დიდი საშინელება რა უნდა ყოფილიყო, ვიდრე სახელოვანი მთავარსარდლის დევნა ვიღაც თავის „ჯამს ჩამაცქერალი“ რაზმის უფროსისაგან.

აღჯაყალის ციხესთან ლტოლვილებს კოლოტაური გადაეღობა.

იგი მეფისა და დიდებულების სურვილს ასრულებდა, მაგრამ ახლა სააკაძის სულიერი მდგომარეობა წარმოვიდგინოთ. მას — დიდ მოურავს, დიდი დამსახურების პიროვნებას, ვიღაც კოლოტაური უბრძანებს დამორჩილებას. იმდენად აშკარაა იოსებ თბილელის პოემაში ამ გრძნობის რეალურობა, რომ შეუძლებელია მას არ მივმართოთ სააკაძის სულიერი მდგომარეობის დასახასიათებლად:

„როგორ? მე და შენებრ კაცი დასაჭერლად უკან მდევდეს,
ჩემსა ბჭობდეს დაჭერასა, ახლოს მოსვლას გაბედვედეს,
ჩემთვის ისარს მომახვედეს და სასროლად მშვილდსა ზედეს?
მე რომ ხელიც არ შევახო, ცხენზე როგორ გარდამზვედეს?!“
დავბრუნდი, ცხენი შევჰკუსლე, არა ვჰკარ შუბის პირიას
იგი დიბლიგით გარდვაგდე, ვარქვი: „თავს უყავ ჭირიას“
მას მამის სული უხსენე: „მორბოდი, აწ რას სტირიას?“
ორგნით გეერდები დაემტერა, გათხარა ძეძვის ძირიას
ამისთანა კაცები საჭერლად დამდევნებიან!

ბატონის წყრომა ძნელია, თვარ მამწევს უფრო ენებიან.
გაძლების მეტი რაღა ხამს, რაც პირნი გარდამხდებიან!
მეც დავაკლდები ქვეყანას ბოლოჟამ, თვარ მიხედებიან!"

ამ სტრიქონებიდან ჩანს, რომ მოურავი სწორედ ფიქრს ვერ ურიგდება. იქაც, მცხეთასთან, ხიდზე რომ გაიწია მცველების დასახოცად — უმადურობის გრძნობამ განარისხა. უმადურობით რომ უხდიდა მისი ხალხი, ამან განარისხა! აქაც ეს ფიქრი წვავს, გულღვიძლს უფლეთს, აღშფოთებულია ასეთი უმადურობით.

* * *

გიორგი სააკაძეს არასდროს არ მოჰკლებია ქება-დიდება არც სიცოცხლეში, არც დაღუპვის შემდეგ. გაისიგრძეგანებ რა მის შესახებ თქმულს, ქართული და უცხოური წყაროებისგან მოწვდილ ინფორმაციებს თუ დაწვრილებით მსჯელობას, მაშინვე ცხადი და სარწმუნო შეიქნება ისტორიკოს გივი ჯამბურიას შემდეგი სიტყვები: „გიორგი სააკაძე მეტად პოპულარული პიროვნება იყო არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ მთელს ახლო აღმოსავლეთში და ევროპაშიც კი. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი იმდროინდელი ისტორიკოსი თუ მოგზაური, რომელიც ასე თუ ისე არ შეხებოდეს გიორგი სააკაძის პიროვნებას".

რა თქმა უნდა, ქება ყოველთვის უფრო მეტი ისმოდა, ვიდრე ძაგება. და როგორი მიჯრითაც არ უნდა წარმოვიდგინოთ მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიერ წამოყენებული ბრალდებები, ან წყაროებში გაბნეული უარყოფითი მოსაზრებები, მის დიდ სახელსა და დიდ საქმეებს მაინც ვერაფერი ფარავს. იგი, ჟამიჟამ, როგორც წუედიადს კოსმიური სინათლის შადრევანი, ისე გამოარღვევს თავისი სახელის ირგვლივ მოკრებილ ბურუსს და მთელი სიცხადით აღიმართება ჩვენს წინაშე. დიდი მოურავის უზარმაზარი საქმეები მაგალითის ძალად ბრუნავს ქართულ მიწაზე და ერის სულს წვრთნის, საკუთარი ენერგიის დიდ შესაძლებლობებში არწმუნებს ქართველ ხალხს. ეს კი რწმენაა — იგივე ენერგიის ახალი ერთეული, — თავისუფლად რომ ამოძრავებს სისხლს.

დიდი მოურავის სახელი ხალხში სიყვარულითა და ლეგენდებით შეიმოსა. გარდა რეალურად მომხდარი ამბებისა, მის სახელს უკავშირდებოდა უამრავი ზღაპრული ელემენტი, ე. ი. ხალხი მასში დებდა თავის ოცნებებს, იმედს, რწმენას და იქნებ სწორედ ამიტომ მოქმედებდა მომაკვდინებლად იმავე სახელთან დაკავშირებული ზოგიერთი ბრალდება, მოღალატის ეპითეტი. იგი ტანჯავდა ქართველ კაცს — ერის კაცსაც და სასულიერო პირსაც. ინტელიგენტსაც და გლეხსაც აშფოთებდა ეს უსიამოვნო ხმები.

გამუდმებით ფიქრობდა ქართველი ხალხი თავისი დიდი შვილის „რთულ" ბუნებაზე, მისწრაფებებსა და ნამოქმედარზე. ფიქრობდა, რადგან დიდი ჰქონდა სურვილი, — კრისტალური სიწმინდით წარმომდგარიყო მის წინაშე ერის მხსნელი. მისი პიროვნების მოწინააღმდეგეთ კი თავისი შთამომავლობა ჰყავდათ, რომელიც არ ცნობდა იმ მთლიანობას და საუკუნეების განმავლობაში უპირისპირდებოდა საკაძის სახელის სიწმინდეს.

საქართველოს უდიდესი პოეტი ვაჟა-ფშაველა შესძრა საკაძის პიროვნებამ. ერთი რამ არის ცხადსაყოფი. საკაძის პიროვნება არ არის რიგითი რგოლი საქართველოს ისტორიისა. მისი სახელის მიმართ ერის პოზიციის გარკვევა იმიტომ არის აუცილებელი, რომ ერი იცნობდეს საკუთარ წიაღში შობილი დიდი შვილის თვისებებს და შეცნობაზე დაყრდნობით ისტორიის ურთულესი გამოცდისათვის იყოს მზად. ჩვენი ცხოვრებისა და არსებობის წესის მრავალი პრობლემაა დაკავშირებული საკაძის ფენომენთან და ქართველი ხალხის ფიქრიც ამიტომ ვერ ისვენებს. ვერ მოისვენა სამშობლოს ბედზე მზრუნველმა დიდი პოეტის ფიქრმაც და 1910 წელს დაწერა ლექსი „გიორგი საკაძის სურათზედ" (მკვლევარები დაწერის თარიღად 1910 წელს მიიჩნევენ):

ცალკერძ შენა ხარ და შენს პირდაპირ
მეორე სახე მე მეხატება
შენის ქვეყნისა — საქართველოსი.
რამდენი ფიქრი მწვავს, მებადება,
თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,
კარგი შვილები რად გვებადება?

შვილის სიკეთე მშობელს შეჰშურდეს,
ნამდვილ მშობელსა ეს ეკადრება?
ცრემლები მაღრჩობს, ვეღარას ვამბობ.
კარგის დაღუპვა რად გვენატრება
ჩვენის შვილისა, ჩვენივე ძმისა?!
ვეღარას ვიტყვი, ვთრთი, მეხათრება.
ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ,
არ გეკადრება, არ გეკადრება!..

ჭაბუკობაში დაწერილი ნაწარმოებებიც ვაჟა-ფშაველასი, ისევე როგორც ილიასი, ბარათაშვილისა... საოცარი სიდინჯით, სულიერი გამოცდილებით გამოირჩევა. მით უმეტეს ეს ლექსი, ცხოვრების მთელი არსის მცოდნე პოეტის მიერ სადღაც 1910 წელს დაწერილი, ერთი უბრალო განწყობილების გამომხატველი კი არ არის, ხანგრძლივი ფიქრის შეჯამებაა. თავდაპირველად ამ თვალსაზრისით დავაკვირდეთ ლექსს: რამდენი უფიქრია პოეტს, რამდენჯერ აუწონია თავისი ნაფიქრი, შეუჯერებია, დარწმუნებულა თავისი მოსაზრების სისწორეში და შემდგომ უთქვამს კატეგორიული საყვედური:

თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,
კარგი შვილები რად გვებადება?

ამ საყვედურს იგი თავის „სიცოცხლეს“ — საქართველოს და თავის ხალხს ეუბნება. ამიტომ ლექსში ნატამალიც არ დარჩენილა განწყობილებისა, წამიერი პოეტური შთაგონებისა. საუკუნეებით ნატანჯი ფიქრი ატარა ათეული წლების მანძილზე პოეტმა სულში, იფიქრა, შეიცნო, არსის სიღრმეს წვდა, ძირფესვიანად შეისწავლა მოვლენა და თავის „სიცოცხლეს“ — საქართველოს უთხრა პირდაპირ, დაუფარავად:

შვილის სიკეთე მშობელს შეჰშურდეს,
ნამდვილ მშობელსა ეს ეკადრება?

დიდხანს, დიდხანს უწვალია პოეტის ფიქრს. საკითხი არც ადვილი შესასწავლი იყო, არც ადვილგადასაწყვეტი, ამიტომაც დროისა და ენერგიის დიდი წილის გაღება აღმოჩნდა საჭირო იმისათვის, რომ ცოდნოდა იგი და თავისთვის უფლება მიეცა ამ მძიმე საყვედურის გამოთქმისა. წარმოიდგინეთ არა თუ ცალკეული სტრიქონის, არამედ მთელი ლექსის მხილე-

ბის ძალა და თავისთავად ცხადი შეიქმნება, რომ ქვეყნის ამ-გვარი მხილების უფლებას პოეტი თავის თავს არ მისცემდა, მოვლენა ზედმიწევნით კარგად რომ არ სცოდნოდა (და კიდევ: რომ არ ეგრძნო აუცილებლობა მხილებისა!).

ცრემლები მაღრჩობს, ეეღარას ვამბობ:
კარგის დაღუპვა რად გვენატრება
ჩვენი შვილისა, ჩვენივე ძმისა?!

ამას ისიც დაუმატეთ, რომ მოწიწებით საქართველოს ფეხთა წინაშე გართხმული დიდი პოეტი საჭიროდ თვლის უფრო მძიმე საყვედური უთხრას თავის ქვეყანას. თუმცა ლექსის ბოლო სტრიქონები საყვედურზე მეტია. იგი დადანაშაულებასაც კი გულისხმობს:

ვეღარას ვიტყვი, ვთრთი, მეხათრება,
ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ,
არ გეკადრება, არ გეკადრება!..

ვაჟა-ფშაველამ ამ ლექსში საქართველოსათვის ერთი უმტკივნეულესი პრობლემა დასვა. ეს გახლავთ თავის დიდ შვილებთან ქართველი ხალხის დამოკიდებულების წესი. ისევ საქართველოს, ისევ ქართველი ხალხის სიყვარულითა და ბედნიერების სურვილით არის დასმული ეს პრობლემა. და ისეთ შვილს, როგორიცაა ვაჟა-ფშაველა, უფლება აქვს, არათუ საყვედური უთხრას, არამედ ასწავლოს კიდეც თავის ხალხს არსებობის წესი. შეცვალოს კიდეც არსებულ წესში უმთავრესი, განუსაზღვრელი გავლენა მოახდინოს ერის სულიერ თვისებებზე, მის ბუნებაზე, მის ხასიათზე: ვაჟა-ფშაველას ბადალ შვილებს ევალებათ კიდეც სულის წვრთნა.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ერის სულის წვრთნის პროგრამაა. ამ წვრთნისას იგი ისევე დაუნდობელი და მკაცრია, რომ შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, არავითარი იმედი არა აქვს თავისი ხალხისა, ისტორიის სანაგვე ყუთში გადასაგდებად თვლის მასო („ბედნიერი ერი"). მაგრამ ნურას უკაცრავად „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა" — ილიას ხელით ჩამოკრული ეს ზარი ლაჟვარდის უშორეს სიღრმეში გუგუნებს განუწყვეტლივ. იცოდა ილიამ, ვის სულს წვრთნიდა და ღირდა თუ არა იმ სულის წვრთნა.

ცხადია, ასევე ვაჟამაც შესანიშნავად იცოდა, ვის ეუბნებოდა საყვედურს ან რატომაც ეუბნებოდა.

ლექსის თემამ მოითხოვა პოეტური განსჯისათვის მიემართა ვაჟა-ფშაველას. ლექსი თავიდან ბოლომდე, როგორც დავინახეთ, მართლაც განსჯაა, მსჯელობაა, დაჟინებული ფიქრია, ოღონდ უკვე დაწურული და საბოლოო. ლექსის თემამ და დედააზრმა მოითხოვა და ნაწარმოებს საოცარი სტრუქტურა აქვს. პრობლემისათვის, რაც ლექსშია წამოჭრილი, ამას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. იგი ერთადერთი ფორმა იყო და ვაჟა-ფშაველამაც მას მიმართა:

> ცალკერძ შენა ხარ და შენს პირდაპირ
> მეორე სახე მე მეხატება,
> შენი ქვეყნისა — საქართველოსი.

დიდმა პოეტმა საგანგებოდ გათიშა ისინი, გათიშა, რადგან ამას მოითხოვდა ლექსის უმთავრესი პრობლემა, კერძოდ, დიდ შვილთან ჩვენი დამოკიდებულების შინაარსის გარკვევა. ვაჟა-ფშაველასათვის ორივე სათაყვანებელი ხატია: დიდი შვილიც და მისივე მშობელი საქართველოც. მაგრამ რაღაც საბედისწერო, გამოუსწორებელი შეცდომის დაშვების საშუალებას შეიცავს ქვეყნის ცხოვრების წესი, მისი ბუნება, ხასიათი. დგას ეს ორი ფენომენი საუკუნეების უზარმაზარ სარბიელზე ერთმანეთის პირისპირ — ქვეყანა და დიდი შვილი, — ერთმანეთის ბედზე მლოცველნი და ერთმანეთთან შეუთვისებელნი. პოეტი ორივე ფენომენზე ფიქრობს: „ცალკერძ“ დიდ შვილზე, „ცალკერძ“ საქართველოზე. საყვედური ქვეყნისკენაა მიმართული. ვაჟა-ფშაველა დიდი ფიქრისა და სულიერი გამოცდილების დაგროვების შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააკაძის პიროვნებასთან მთელი ქვეყანაა დამნაშავე. მაგრამ, ცხადია, პოეტის მიზანი არ არის საყვედური უთხრას ან ამხილოს ხალხი და ქვეყანა, მას უფრო დიდი და დამაფიქრებელი ფაქტორი აღელვებს — დიდ შვილთან დამოკიდებულების წესი, რადგან დამოკიდებულების ამ წესზეა დამყარებული საქართველოს ღირსეული არსებობის გარანტია, მისი შესაძლებელი თავისუფლებისა და ბედნიერების ფენომენი. ქვეყნის უთვალავი უჯრედიდან

ამოტივტივდა თითქოს ურიცხვი ფიქრი, ერთბაშად წამოფრინდა წარსულის ყველა წერტილიდან, აწმყოს ნერვზე აფეთქდა, — ისეა განცდილი პოეტის მიერ ამ ფიქრების მოჯარება:

რამდენი ფიქრი მწვავს, მებადება.

პოეტი განიცდის ფიქრების სიმრავლეს. გიორგი სააკაძის პიროვნებამ და მასთან დაპირისპირების შინაარსმა წარსული ფეხზე დააყენა. იქ შეცდომების მდინარე დის, აწმყოს უბეში მოიქცევს, მოდის და მომავალსაც ემუქრება. ეს თვისება აშფოთებს ვაჟას. მაგალითები ხელისგულზე დევს და მათგან ყველაზე უფრო მტკივნეულ სიტყვას სააკაძის ფენომენი ეუბნება. სააკაძის პიროვნებასთან მიმართებაში იყრის მისთვის მთელი არსი დიდ შვილებთან დამოკიდებულებისა. ამ თვალსაზრისითაც მართავს სააკაძე ჩვენი ფიქრის მოძრაობას. უმალ ეს იგრძნო ვაჟას გენიამ, ამ უმტკივნეულეს და უსათუთეს ადგილს შეეხო მისი ფიქრი, მთელი ქვეყნის ორგანიზმი აკვნესდა მის სულში და ჭრილობამ არა და არ შეიკრა პირი.

საქართველომ დიდი შვილების ფასიც იცოდა და სიყვარულიც, მაგრამ ისტორიის ურიცხვ მაგალითს რომ გადახედავ, აშკარად იგრძნობ, რომ ბუნების რაღაც ნიშანი არ ანებებს, სასურველი ურთიერთობის კულტურა შეიმუშაოს. ამიტომაც ის დიდი შვილიც და მშობელი ქვეყანაც თავისუფლება-ბედნიერებას კარგავს.

თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შეეფერებთ,
კარგი შვილები რად გვებადება?

დაწყევლილი კითხვაა, გაჩუმება არ შეიძლება, სამშობლოს ღალატს უტოლდება ამ ფიქრის დამალვა, სადღაც სიღრმეში ჩახშობა, მოჩვენებითი სილამაზით ხალხისა და დიდი შვილის ერთმანეთთან პირისპირ დაყენება. ორივე მხარე მსახიობს ემგვანება, ნიღაბგადაფარებულ ქილიკოსს, და ნიღბებს იქით ტრაგიკული დრტვინვა ფლეთს გულის ძარღვებს. „ბედნიერი ერის“ შემდეგ ასეთი მკაცრი და გულწრფელი სტრიქონები ქართულმა პოეზიამ ცოტა იცის. აქ მთლიანად გადაუხსნეს გული ერთმანეთს ქვეყანამ და პოეტმა. როგორც

ჩანს, წარმოუდგენელი იყო სხვაგვარად სიცოცხლის განგრძობა. თორემ ერთობ ძნელია ერისა და შვილის ასეთი აღსარება. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ფორმას — ვაჟა-ფშაველა რომ მიმართავს საყვედურით თავის ქვეყანას და ქვეყნის სათქმელს კი არ ამბობს. გარეგნულად ჩანს ასე. ვაჟა იგივე ერია და ერი თვითმხილებას მიმართავს. ეს გახლავთ ქართული სულის, საქართველოს, როგორც ქვეყნის, თვითაღსარება.

მართლაც უცნაურობაა, იყო მშობელი უზარმაზარი მასშტაბების პიროვნებისა და შენვე რატომღაც ბორკავდე მის ენერგიას, გაქანებას, ნიჭს. ნაცვლად იმისა, მიჰყვებოდე შენივე განდიდებისათვის შენი დიდი შვილის გზას, იყო მისი მაღალი მიზნების მსმენელი და ამდენად შენივე ბედნიერებისათვის დამთმობი მის წინაშე, დამყოლი მასალა, საიდანაც ის დიდი შვილი უთუოდ გამოძერწავს ქვეყნის ახალ, დიდებულ ყოფას. „თუ ვერ ვიგუებთ, თუ ვერ ვიგუებთ, თუ ვერ ვიგუებთ, თუ ვერ ვიგუებთ...".

ბედისწერის გაბმული ზარივით რეკს ეს სიტყვები ქვეყნის სივრცეში, სიღრმეში — ჰორიზონტამდე გაჰკივის კვნესა.

ვაჟას მიერ უკვე დასაბამიდან საქართველოს არსებობის წესად იკითხება: „ვერ შევიფერებთ, ვერ შევიფერებთ, თუ ვერ ვიგუებთ, თუ ვერ ვიგუებთ". იგი ისტორიამ დაარწმუნა ამაში, დაარწმუნა საშინელ აზრში — რომ ქვეყანამ, ხალხმა დიდი შვილი ვერ იგუა, ვერ შეიფერა და ამის გამო არაერთხელ გადაიჩეხა უფსკრულში, ათასჯერ შეინანა. მაგრამ ის, რაც დაუდასტურდა როგორც სინამდვილე, მარტოოდენ მხილებისათვის, მარტოოდენ აღსარებისათვის როდი განაწყობს. აღსარება, მხილება ერთი შრეა ვაჟას სადარდებლისა. იქვე ჩნდება მეორე შრე, დიდი შვილის საზრუნავის სფერო: ამ სინამდვილესთან შეგუება არ შეიძლება, ფარ-ხმლის დაყრისა და და ხელის უიმედოდ ჩაქნევის უფლება არა აქვს. დადასტურებული სინამდვილე გაქვავებულ მარადიულ ფენომენად არ განიცდება, მწარე კითხვა გარს უვლის და ცდილობს დაშალოს მისი მკვრივი ქსოვილი:

თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,
კარგი შვილები რად გვებადებაო?

თვითონ კითხვა იბრძვის თავის თავში. სასოწარკვეთილების ფენებს შლის, უკარგავს თავდაპირველ შინაარსს და დასაყრდენს ეძებს. დასაყრდენი ისევ დიდ შვილებშია და მათი გაჩენის კანონზომიერებაში. მართლაც „რად გვებადება დიდი შვილები“, თუ „ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ“? იქნებ სწორედ ეს შეუგუებლობა არ არის მარადიული ნიშანი, იქნებ შესაძლებელია კიდევ მოევლოს მას. ერის თვისებრივ სიმტკიცეს არ სჭირდება მტკიცება, სხვაგვარი წიაღი გორგასალს, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფესა და ბაგრატ დიდს, გიორგი ბრწყინვალესა და სიმონ დიდს, გიორგი სააკაძეს და ერეკლე მეორეს, რუსთაველსა და საბას, გურამიშვილსა და ბარათაშვილს... ვერ წარმოშობს. სწორედ დიდი შვილების დაბადება რომ ძალუძს, ამ შესაძლებლობაშია სავარაუდო იმედიც — დიდ შვილებთან დამოკიდებულების შინაარსის რადიკალურად შეცვლისა. ხოლო მათ მიგვანიშნეს — ძალა და ენერგია — მასალა ერის სულისა — ახალ ჰარმონიად გაცხადდეს, თავისუფლებისა და ბედნიერების მტკიცე მდგომარეობას რომ ეღირსოს, ლოგიკა აქეთ მიგვითითებს — მართლაც, რად გვებადება დიდი შვილი? — იგია ახალ ჭეშმარიტებასთან მისასვლელი გზის სათავე.

შვილის სიკეთე მშობელს შეჰშურდეს,
ნამდვილ მშობელსა ეს ეკადრება?

ვაჟა-ფშაველამ ზედმიწევნით კარგად იცის სააკაძის ფენომენი. ლექსი დადასტურებაა ხანგრძლივი დაკვირვებისა და საფუძვლიანი შეცნობისა. ამიტომ არის ლექსი ასე მოკლე. პოეტი საჭიროდ არ თვლის სააკაძის ფენომენის დახასიათება-დაცვას მიჰყოს ხელი. ეს საკითხი — დიდი მოურავის პიროვნება — მისთვის დღესავით ნათელია. სხვა თავსატეხი პრობლემა დგას. იგი მშობელ წიაღს დასტრიალებს თავს, დაავადებულს რაღაც აუხსნელი ავადმყოფობით, რადგან ეს ავადმყოფობა მიაჩნია ქვეყნისა და ხალხის უბედურების წყაროდ. აქ მოტანილ სტრიქონებში ერთი უმთავრესი მიზეზი გააცხადა ვაჟა-ფშაველამ („შვილის სიკეთე მშობელს შეჰშურდეს“) — დიდი შვილის უარმყოფელი ვაჟა-ფშაველასათვის შურია — „წუხილი სხვათა სიკეთესა ზედა“ (საბა), რომელიც გამორჩეულის სიკეთეს ვერ გუობს. შურის ფენომენი, ცხა-

დია, მარტოოდენ ქართველი კაცის თვისება არ არის, არც მარტოოდენ ქართველი ხალხის — საერთო ადამიანური თვისებაა იგი. მაგრამ რაღაც ძალა აქცევს საქართველოსათვის შურს ბუნებრივი ადამიანური თვისებიდან ერის ხასიათის მამოძრავებელ თვისებად. იგი „ნამდვილი მშობლის“ სულიერ მდგომარეობად ცხადდება დიდ შვილთან დამოკიდებულებაში და ამიტომ წიაღის იმპერიასაც ეუფლება, მოიცავს მას, როგორც დიდმპყრობელი. თავის მშობელ წიაღთან მისასვლელი გზა ამ თვისებით აქვს გადაკეტილი დიდ შვილს. ის წიაღი უკვე „ვერ გუობს, ვერ იფერებს“ მას. ამდენად არ ემორჩილება, როგორც დამყოლი მასალა, ის „რაღაც“ მხოლოდ ვარაუდებით შეიძლება აიხსნას, რადგან მეცნიერული არგუმენტის სიმცირე ვერ გაწვდება მოვლენის არსს. ვინ იცის, ინტუიციამ შესაძლოა მიგვაკვლევინოს ბევრი მყარი მიზეზისათვის. მაგრამ ადამიანური შური რომ განუკითხავად აღზევდება ხოლმე ქართულ მიწაზე, ამის დასამტკიცებლად რამდენსაც მოისურვებთ, იმდენ მეცნიერულ არგუმენტს მოიძევთ. იქნებ სწორედ მაგალითების სიუხვეშია საძიებელი მეცნიერული მტკიცების უფლება!

ვაჟა-ფშაველა ერთი და ორი ადამიანის შურის მასშტაბებს არაფრად არ აგდებს. სააკაძის პიროვნებასთან დაპირისპირებული თავადთა წოდების, ცალკეული მოღვაწეობის შური არც მიაჩნია ყურადღების ღირსად. ეს თავისთავად იგულისხმება. ეს ისტორიული ფაქტების დაზუსტების დროს გამოსაყენებელი არგუმენტებია. აქ მთელ საქართველოზეა საუბარი „მეორე მხარეს მე მეხატება—შენის ქვეყნისა საქართველოსი“. სააკაძის ქვეყანაზე გავრცელებული „ეს შეჰშურდეს“ — აფორიალებს ვაჟას, იგი სძრავს მის არსებას ერთიანად, თითქოს ვულკანის ტალღები არყევს მთელს არსებას. მისთვის ამ „შეჰშურდეს“ საზღვრების სიფართოვეა საგანგაშო და კითხვაც „ნამდვილ მშობელს“ დასტრიალებს. იქნებ სწორედ ქვეყანა კარგავს თავის ნამდვილობას? ეს აწუხებს ვაჟას. რადგან ნამდვილ მშობელს არ ეკადრება შვილის სიკეთე შეჰშურდეს, არც შეჰშურდება. ვაჟა-ფშაველას უკვე ქვეყნის სიჯანსაღე ეეჭვება. იქ ეგულება რაღაც სერიოზულად დაზიანებული. მშობლის ნამდვილობა ეეჭვება, რადგან წიაღი, თუ

იგი დიდ შვილებს შობს, ამ დიდ შვილებთან დამოკიდებულების კულტურასაც უნდა ფლობდეს, რათა მისი ენერგია სრულად გამჟღავნდეს ისევ ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. ეს არის ვაჟას ფიქრის საგანი. თვისებათა კომპლექსი, შურსა და წინადგომას რომ აფრიალებს დროშად, მართავს იმ მშობლის ფიქრებს და იგივე მიემართება თავისი დიდი შვილის დასაღუპავად. ვაჟა-ფშაველას განცდა ჩაღრმავებული განსჯის შემდეგ, რაც აქამდე გაშიფრულ სტრიქონებში ივარაუდება, თითქოს მწუხარებად იშვება ჩვენს წინაშე. პოეტი ნერვული სისტემის ყოველი უჯრედით განიცდის ქვეყნის დამღუპველ სულიერ მდგომარეობას — „ცრემლები მაღრჩობს, ვეღარას ვამბობ“.

სიტყვა აზრს კარგავს მისთვის, იმდენად არის მიჯაჭვული გული თავის მწუხარებას, უსასტიკესად დაუნდობლად, გამეტებით წურავს გულს ეს მწუხარება. ამიტომ სამშობლო, ბედისწერით ატაცებული, შურის ვნებას დამორჩილებული და იმ ვნებით წალეკილი ცნობიერება აღარ არის მოწოდებული დიდი შვილის დიდი მიზნების აღსრულებას ემსახუროს. ენატრება მთელი არსებით „კარგის დაღუპვა“, მისი თავიდან მოშორება. თითქოს ის კარგი მხრებს უმძიმებდეს, თითქოს უიმისოდ უკეთესად, მოსვენებულად, მშვიდად გრძნობდეს თავს. ხელისგულზე უდევს ვაჟა-ფშაველას სააკაძის ცხოვრება, სწორედ ეს ცხოვრებაა ლექსში მთლიანად ჩატეული და ამის მერე ზოგადდება ყოველ ისტორიულ დროსა და სიტუაციაზე დიდი მოურავის, როგორც მოვლენის, მწარე გამოცდილება. „შვილს“, ღვიძლ „ძმას“ ვერ გუობს ამ თვისების კარნახით, დიდი საქმის შემოქმედს, ერის სახელის განმადიდებელს, მხსნელს, მცველს, გუშაგს, თითქოს ერის ორგანიზმის უჯრედები ბრმავდება შურთან შეხებისას. კრიზისულ წუთებში (ჩვენ არაერთხელ დაგვჭირდება ამ კრიზისულ წუთებთან მიბრუნება!) ივიწყებს შურს და მის ფართო მხრებს და გრიგალისებურ ენერგიას, როგორც სინათლეს, ისე მიჰყვება გამარჯვებისაკენ. კრიზისული მდგომარეობა ჩაივლის და შური ჩააფრინდება ყველა ფიქრს, და იმ მხსნელის მოშორება ენატრება ისევე, როგორც უდაბნოს წყალი. ვერ შეელის საქმეს ქვეყნის შიგნით არსებული პრო-

გრესული ძალები, მათი თანადგომა — ისინი დიდი შვილის ფენომენში ერთიანდებიან მოწინააღმდეგე ბანაკისათვის და ერთ არსებად განიცდებიან „მეშურნეთა და ქვეყნის აღრევის მოყვარეთათვის". ვაჟა-ფშაველას უფრო მეტი აქვს ნაგულისხმევი, ვიდრე სიტყვებს ანდო. მაგრამ მან, ტიტანმა პოეტმა, ვისაც შეეძლო ეთქვა „ვლაპარაკობდი ღმერთთანა", ბოლომდე ყველაფერი არ უთხრა თავის ხალხს, უფრო დიდი საყვედური არ აკადრა ქვეყანას. შეეცადა ეგულისხმებინა დანარჩენი. მისი მიზანი ხომ თავისი ხალხის გამოფხიზლება იყო და არა დასჯა. ყველაფერი ხომ საშუალება და ფორმაა მის ხელში ამ მიზნის მისაღწევად. ქვეყნის ის ავადმყოფობა კი, პოეტის აზრით, მეტ სიმკაცრეს იმსახურებს, თუ არ მოწიწება პოეტისა — რამდენი რამ არის ჩადებული ამ სტრიქონებში: „ველარას ვიტყვი, ვთრთი, მეხათრება". პოეტის არსება თითქოს დაახრჩო მოწოლილმა საყვედურის სიტყვებმა, საყვედურის გრძნობამ. მის თვალში დაუჯერებელ სინამდვილეს გაუტოლდა შექმნილი სურათი, ისტორიული მოვლენებით დადასტურებული ფაქტი, რისთვისაც ნამდვილი სახელის დარქმევას სამშობლოსადმი რიდი არ ანებებს. ამიტომაც „თრთის, ეხათრება". ეს მამულიშვილის ტაქტია. გულწრფელობის მშვენიერი ფორმა, ამ ფორმის იქით მართლაც ვერ წავა. ეს კია, ლექსის ბოლო სტრიქონები დიდოსტატის მიერ მიგნებული ფორმაა ლექსის დედააზრის გასაცხადებლად. მხოლოდ ამ ფორმას შეეძლო ეთქვა ყველაფერი — დიდი პოეტის შეუვალი პოზიციაც, პრინციპიც, სრული გულახდილობაც და დაპირისპირებაც; ეთქვა ის, რაც სახელის პირდაპირი დარქმევისას უკურეაქციას გამოიწვევდა. „ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ, არ გეკადრება, არ გეკადრება". ვაჟამ ორივე თქვა. იმედზეც — მის ქვეყანას — დიდი ვნებებისა და კულტურის ქვეყანას არ შეფერის თავის უკეთეს შვილებთან დამოკიდებულების წესს ვერ ფლობდეს. თქვა ისიც, რომ ვერ ვუვლით დიდ შვილებს.

დიდი ლექსია ეს ლექსი. დიდია მასში ჩადებული აზრით, დრამატიზმით. ვაჟა-ფშაველასთვის გიორგი სააკაძე მსხვერპლია ამ სერიოზული მიზეზის — დიდ შვილთან დამოკიდებულების წესისა. იგი ადანაშაულებს ქვეყანას, ხალხს მის

დაღუპვაში და უკომპრომისოდაც ადანაშაულებს. თანაც ერთბაშად აზოგადებს სათქმელს, ერთბაშად მთელი საქართველოს არსებობის წესი აქვს ახსნილი, დასაბამიდან დღემდე: ყველა მნიშვნელოვანი ისტორიული ეპოქა, სიტუაცია, მაგალითი და გამოცდილება. ხელისგულზე უდევს ისინი და მათი ქსოვილის შრეებში საშინელ აზრს ჭვრეტს. ვაჟა-ფშაველა ერთი ნიუანსითაც კი არ მიანიშნებს სააკაძის მხრივ მოსალოდნელ შეცდომებზე, თუნდაც დანაშაულზე, მით უმეტეს მოღალატეობაზე, რასაც პოლიტიკური მოწინააღმდეგენი მიაწერდნენ მას. მაგრამ მთელი ლექსი სწორედ იმაში გვარწმუნებს, რომ ვაჟა-ფშაველამ ყველაფერი ეს იცის, აწონ-დაწონა და ამიტომაც დააყენა „ცალკერძ“ სააკაძის პიროვნება, „ცალკერძ“ — საქართველო და მთელი პროცესის გააზრებამ გადააწყვეტინა ლექსის დაწერა. იცის, რომ სააკაძე მარტვილის სიწმინდით არ გამოიყურება, ბევრი ჩირქი მოეცხო, ბევრი ბნელი საქმე დაუკავშირდა მის სახელს და მაინც არც ერთი ნიუანსი საყვედურისა დიდი შვილის მისამართით! მხოლოდ მშობლიურ ქვეყანას ეკუთვნის პოეტის საყვედური. ვაჟამ ცხადია, ისიც იცის, რომ სააკაძემ თავის ძნელ გზაზე რამდენიმე შეცდომა დაუშვა (რა თქმა უნდა, არა იმ მასშტაბისა, რასაც მიაწერდა ცილისმწამებელთა ჯგუფი), მაგრამ არ შენიშნავს ამის შესახებ, და ვაჟა-ფშაველა ცამდე მართალია. ლექსის დედააზრი მშობელი წიაღის მოვალეობის განსაზღვრას გულისხმობს. მშობელ ქვეყანას არა მარტო წარმოშობა უნდა შეეძლოს დიდი პიროვნებისა, არამედ მისი მოვლაც, მოვლა კი მისთვის ასპარეზის მიცემასაც გულისხმობს. ნაცვლად ამისა, იგივე მშობელი წიაღი, როდესაც თავისი დიდი შვილის დაღუპვას დაენატრება და იმ დიდ შვილს მოიკვეთს, შეცდომები ამ დროს დიდი შვილის გზაზე სააკაძეს და მისთა მსგავსთ კი არ მოეკითხება, არამედ ქვეყანას, ხალხს, ვინც აიძულა საამაყო პირმშო, ჯოჯოხეთურ განსაცდელში გაეტარებინა მთელი სიცოცხლე. ვაჟას აზრით, პიროვნებას, ვინც ამ ჯოჯოხეთური განსაცდელიდან ისეთ ჯანსაღ სულს გამოიტანს, მარტყოფის, მარაბდის, ქსნის ომების ავტორობას რომ შეიძლებს და ქვეყანას ფიზიკური განადგურებისაგან იხსნის, არც შეცდომებზე და არც დანაშაულზე საყვედური არ უნდა

აკადრო. არც ერთი არ ეკუთვნის მას. იმის ცოდვაა, ვინც ამ გზაზე დააყენა იგი. ასეთი პიროვნების სიწმინდე დახლართული სიტუაციებისა და ურთიერთობის ურიცხვი გარსიდან ღირსეულ გამოსვლას ჰქვია. ასეთი ღირსებით მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა კი სააკაძემ იმგვარად დაადასტურა, იშვიათად რომ დაუდასტურებია ვინმეს: გაწირა შვილი, თავი, მოიგო მარტყოფის, მარაბდის ომების მთელი ეპოპეა, ხელი ააღებინა შაჰ აბასს საშინელ ჩანაფიქრზე და „იხსნა ერი თვისი“ (ვახუშტი ბაგრატიონი). ამიტომ ვაჟა-ფშაველას არც მიაჩნია საჭიროდ დიდი შვილის უნებური შეცდომები სერიოზული მსჯელობის საგნად აქციოს. თუ ამ კუთხით შევხედავთ საგანს და უპრიანია, სწორედ ამ კუთხით შევხედოთ, ვაჟა-ფშაველას პოზიცია უნივერსალურია, ე. ი. უნაკლო. სააკაძის ბედში საკუთარი ქვეყნის ტრაგედიას ხედავდა ვაჟა-ფშაველა და ამ მთლიანობის გადასახედიდან ჰვრეტდა ქვეყანასაც და დიდ შვილსაც. ოღონდ სწორედ ამ მთლიანობის კარნახით გათიშა დროებით ეს ორი ფენომენი, რათა ერის სულის პოეტური ანალიზი მოეცა. ქვემოთ დავინახავთ რამდენ მაგალითს, ან რა მტკივნეულ განცდებს გულისხმობდა ვაჟა-ფშაველა სააკაძის ფენომენზე განსჯისას. აქ კი ისიც უნდა ითქვას, რომ თავისი პირადი ცხოვრება ჰქონდა მხედველობაში ვაჟა-ფშაველას. ისიც, საქართველოს უდიდესი პოეტი, ვისი ბადალი იშვიათად იბადება ხოლმე, გაწამებული იყო საშინელი უყურადღებობით. ილია ჭავჭავაძის ზრუნვა მის მიმართ ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ყურადღებით მის გარემოსილებას. ერთს, ილია ჭავჭავაძეს, არ შეეძლო გაწვდომოდა ამდენ საქმეს. ის მეფის ნაცვალი არ ყოფილა, რომ ქვეყნის ცხოვრების წესი გარდაექმნა საერთოდ. სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, კეთილშობილ კვალს ტოვებდა, მაგრამ, ცხადია, არა ყოვლისმომცველს. ვაჟას კი, ვისაც არ ჰქონია პოლიტიკური მტრობა ნახევარ საქართველოსთან დიდი მოურავის მსგავსად, მაინც ტანჯავდა შური და სრული უყურადღებობა. ილიას მერე მან განსაკუთრებული ძალით იგრძნო თავისი მძიმე მდგომარეობა და აკი გულის სიღრმიდან წამოსული საყვედური თავისი ქვეყნის წინაშე კიდეც გამოხატა დემურიასადმი მიწერილ წერილში 1909 წელს: „მეყოფა ამდენი ძაღლუმადური ცხოვრება.

საზოგადოებას თუ რადმე ეფასება ჩემი თავი, უნდა მიპატრონოს... მე რომ ქალაქში ვცხოვრობდე, უეჭველია ჩემი ლიტერატურული შრომა ერთი ათად იმატებს...".

1909 წელია. ვაჟა-ფშაველა ამ სიტყვებს წერს, არა დამწყები, არა მარტოოდენ ლიტერატურული საზოგადოების ვიწრო წრეში გახმაურებული ნიჭიერი პოეტი, არამედ საქვეყნოდ ცნობილი, საქვეყნოდ აღიარებული დიდი შემოქმედი, ვისაც უკვე გამოქვეყნებული აქვს თავისი შედევრები, ვისი ნიჭის მასშტაბებსაც გრძნობს ხალხი. გასარკვევი, შესაცნობი არაფერია, ყველაფერი დღესავით ნათელია. თანაც ეს სახელი პოეტს ეკუთვნის, ვის დიდებასაც ღვთაებრივი მოწოდების წყალობით არაფერი არ ბღალავს, არც ცილისწამება, არც დახლართული პოლიტიკური სიტუაციების განწყობილება. ქვეყანამ იცის, რომ გენიალური პოეტია, აღფრთოვანებულია მისი ლექსებით, პოემებით, მოთხრობებით, წერილებით. აქ მხოლოდ ტკბობა და სულის წვრთნაა ერსა და მის დიდ შვილს შორის შუამავლად. დამოკიდებულება იდეალურია, ერთი ნისლის ნაგლეჯითაც კი არ არის დამძიმებული. ღიმილადაც არ კმარა, რასაც იგი საზოგადოებისაგან ითხოვს მთაში თავისი შეგნებული ცხოვრების გატარების შემდეგ, ასაკში შესულს, ფიზიკური და გონებრივი შრომისაგან მოღლილს, ჰაერივით ესაჭიროება დასვენება. უნდა ბინა ჰქონდეს ქალაქში, ერთი რიგითი მოხელის შესაფერისი სამსახური და ჯამაგირი უნდა, რომ ოჯახსა და თავის თავს მიხედოს.

და რა მოხდა. სინანულით ვწერთ ახლა მონოგრაფიებში: „იმდროინდელ ქართველ ინტელიგენციას არ აღმოაჩნდა ძალა და უნარი დაეკმაყოფილებინა პოეტის ეს მოთხოვნა". სიტყვა „იმდროინდელი" ერთობ ყალბად ჟღერს ამ კონტექსტში, ისე გამოდის, თითქოს შეცდომები მარტოოდენ წარსულში მოგვდიოდა. მთავარი ამ შემთხვევაში ფაქტის შინაარსია. ვერ შეიძლო დახმარება ქართველმა ხალხმა (ინტელიგენცია არაფერ შუაშია. ინტელიგენციის ვერშეძლებაში ქართველი ხალხის შეუძლებლობაც იგულისხმება, ისინი ერთმანეთში გადაწნული თვისებების ნაყოფნი არიან). ექვსი წელი იცხოვრა ამ წერილის დაწერის შემდეგ ვაჟამ, სანამ მძიმე ავადმყოფობა დარევდა ხელს და მისი ქალაქში ჩამოყვანა არ გახდებოდა

აუცილებელი. მაშინაც მხოლოდ სამკურნალოდ ჩამოიყვანეს. დავიწყებული იყო ყოველივე: ზრუნვაც, თავგამოდებაც. ხალხის გამოფხიზლება მას შემდეგ დაიწყო, როდესაც საქმეს აღარაფერი შველოდა უკვე, როდესაც დიდი შვილი ამქვეყნად აღარ იყო.

ამ დაგვიანებაშია ჩადებული დიდ შვილებთან დამოკიდებულების მახინჯი წესი. ის წესი სულის მდგომარეობაა, ჩვეულებად არის ქცეული, რაც განსაზღვრავს კიდეც დამოკიდებულების ხასიათს. წარმოუდგენელიც კი არის. უფრო საგანგაშო ხმა. დემურიასადმი მიწერილ ბარათში უფსკრულის პირზე ცალი ხელით დაკიდებული კაცის თხოვნა ისმის—მიშველეთო. რამ შებორკა ქართველი ინტელიგენცია? მტრობამ? ვინ ჰყავდა მტერი მათ შორის ვაჟა-ფშაველას, რომ ყველა დანარჩენი სურვილისათვის გადაეკეტა გზა და უპატრონოდ მიეგდო მთის არწივი? ასეთი მტერი ვაჟა-ფშაველას არ ჰყოლია და ასეთი მტერი არც ერია მისი ბედ-იღბლის საქმეში. კონკრეტული მტერი აქ არ გამოკვეთილა. კონკრეტული მტრები გამოიკვეთნენ დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების ასპარეზზე. მაგრამ ეს დაკონკრეტება თვით პოლიტიკური ასპარეზის სპეციფიკით არის გამოწვეული. იქ უსათუოდ მტრობა გამოდის არენაზე. აქ კი ვაჟა-ფშაველას მაგალითთან დაკავშირებით ასეთ მტერს ვერ იპოვით. მაშასადამე, მაშინაც კი, როდესაც აშკარა მტერი არა ჰყავს კაცს, რაღაც ძალა ყინავს სასიცოცხლო ძარღვებს და პასიურ თანაგრძნობასღა ჯერდება ხალხი. იგი მთელი არსებით გრძნობს დიდი შვილის გასაჭირს, მაგრამ უპასუხოდ ტოვებს. თანაგრძნობა აქტიურ მხარდაჭერასა და მოქმედებაში არ გადაიზრდება. ეს უკვე თვისებაა, ჩვენი თვისება, რაც კონკრეტული მტრების მოქმედებაში არ ახელს თვალს, მაგრამ მაინც მოქმედებს, ისე ენერგიულად მართავს ჩვენი დამოკიდებულების საჭეს, ჩვენვე გვიკვირს, რა გვიბორკავს ხელებს, დიდი შვილების გვერდით ვერ დავმდგარვართ, ხელი ვერ გაგვიწვდენია, მისი ენერგიის შესაფურისი ასპარეზი ვერ მოგვინახავს და ვერ დაგვითმია. დაფიქრებას გვავალებს ეს თვისება. ვაჟა-ფშაველა შურს უწოდებს მას, აშკარად არქმევს სახელს, მკვეთრი ფორმულირებაა, უშეღავათო. როგორ, რანაირად მიუ-

ჯდა ეს თვისება ჩვენი ხასიათის საჭეს, როგორ შეიძლო დაუფლებოდა ჩვენს სულიერ მდგომარეობას და ეკარნახა მიმართულება. ახლა ხომ ძნელია თქმა იმისა, თითქოს ინტელიგენციას შურდა ვაჟა-ფშაველასი. მოვლენის ამ არგუმენტით ახსნა სრული გაუგებრობა იქნებოდა. ინტელიგენცია აღმერთებდა ვაჟა-ფშაველას, ხოლო თუ ერთი ან ორი მართლაც იყო შურით შეპყრობილი, ეს ინტელიგენციის პოზიციას ვერ შეცვლიდა, ვერ გაბედავდა ინტელიგენციის განწყობილების შეცვლაზე ეზრუნა. არა, მიზეზი უთუოდ სხვა იყო. ის შური, როგორც თვისება, ამ შემთხვევაში სადღაც უჩინარ, უშორეს შრეებში იყო ჩატანილი, ამ შემთხვევაში იგი თითქოს არც არსებობდა, მაგრამ საუკუნეების მანძილზე „ნაღვაწი“ ამ თვისებას ხალხის სულიერი მდგომარეობა გაეპასიურებინა უკვე, მისი სიფხიზლე მოედუნებინა. უკვე წესად ქცეულიყო პასიურობა, ინდიფერენტიზმი. ასეთი სულიერი მდგომარეობით კი ცხოველმყოფელი შემოქმედებითი ატმოსფეროს დამკვიდრება შეუძლებელია და შეუძლებელი ხდება ერთი პიროვნებისათვის დროულად დახმარებაც.

რა თქმა უნდა, გამონაკლისებიც ვიცით, მაგრამ ეს გამონაკლისები ისევ დიდი შვილების პირადი ინიციატივით სულდგმულობდნენ. ვთქვათ, ილია ჭავჭავაძის ბადალი პიროვნების შემწეობით. მან იცოდა დახმარების ხელის გამოწვდენა. ასეთ პიროვნებას შეეძლო გაერღვია პასიური მდგომარეობის სულისშემხუთველი, ჯადოსნური წრე და საჭირო დახმარება გაეწია. მაგრამ საერთო წესი წესად რჩებოდა. ერთი და ორი მაგალითი მის ბირთვს ვერ შეცვლიდა, საერთო კულტურად ვერ მკვიდრდებოდა.

დავუბრუნდეთ ისტორიას, კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რომ ეს ასეა.

უჯარმაში გარდაიცვალა საქართველოს სწორუპოვარი მეფე ვახტანგ გორგასალი, ვის სახელთანაცაა დაკავშირებული საქართველოს ძლიერების ხანა. ეს ხანა მან თვითონ შექმნა, სათავეც თვითონ დაუდო, თვითონვე განასრულა. მის მოსვლამდე ქვეყანას არ უჩანდა ასეთი ძლიერების პირი. წარმოუდგენლად ითვლებოდა სპარსეთის იმპერიასთან დაპირისპირება, ესოდენ დიდი ომების მოგება. ამ ერთი კაცის

ძალისხმევამ შეიძლო თითქმის შეუძლებელი; შეაძრწუნა საქართველოს მტრები, მოიგო მნიშვნელოვანი ომები, განამტკიცა ქვეყანა და არავინ იცის, რამდენი ხნით გადაეკეტებოდა სპარსეთის ჯარებს გზა საქართველოსაკენ, რომ იღლიის ქვეშ ვერაგულად ნაკრავი ისარი არა! ერთი შეხედვით, ისტორიისათვის სრულიად ჩვეულებრივი ამბავია — მტრების მიერ მოსყიდულმა მონამ დრო შეურჩია და სასიკვდილოდ დაჭრა. ამგვარი ფაქტები მრავლად იცის ყველა ქვეყნის ისტორიამ და ამისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება, თითქოს სწორიც არ ჩანს. მაგრამ კიდევაც რომ დავამტკიცოთ, თითქოს ის მონა სპარსელების მიერ იყო მოსყიდული, მაშინაც ვერსად ვერ წაუვალთ ისტორიას, რაც სინამდვილეში უმთავრესი მიზეზია ამ უბედურებისა. კერძოდ იმ მიზეზისა, რის წყალობითაც მოახერხეს მტრებმა ქართველი კაცის მოსყიდვა. სწორედ ის გზაა მიზეზი, წყარო მოღალატეობისა. სპარსელების და მონის მოქმედების გზაზე ის არტერია იგულისხმება. მისი გავლით უნდა მიაღწიონ მკვლელებმა გორგასლის გულამდე. ეს გახლდათ ქართველი თავადაზნაურობის პოლიტიკურად მოწინააღმდეგე ფრთა, ის „მეშურნენი", ვისაც ვახტანგ გორგასლის აღზევება, ქვეყნისთვის თავგანწირული ბრძოლით რომ იქნა მიღწეული, საკუთარი დიდების მზეს უჩრდილავდა, მადას უზღუდავდა და თავისუფლებას ართმევდა. მათი პირადული ზრახვები, პოლიტიკურ ზრახვებში გადაზრდილი, ვერ გუობდა დიდ ვახტანგ გორგასალს. სპარსეთის ოქროს მხოლოდ მათი სურვილების მოსყიდვა შეეძლო, მაგრამ ის, რაზეც ეს სურვილები ჩნდებოდნენ? რა იყო ის ნიადაგი, რა ერქვა მას, დღედაღამ მოსვენებას რომ უკარგავდა თავადაზნაურობის დიდ ნაწილს. ისინი ხომ ხედავდნენ საქართველოს დიდი შვილების მიერ მოხდენილ საგმირო საქმეებს. ამ საქმეებით ხომ საქართველოს საზღვრები ფართოვდებოდა. ერთი შეხედვით ქართველ კაცს რა უნდა ეწატრა ამაზე უკეთესი. მთელი თავისი უნარი შეეძლო გამოეელინებინა ვახტანგ გორგასლის დიდი საქმეების კვალში მდგარს. მაგრამ სწორედ ეს არ სურდა! არც დამპყრობელი სპარსელების მიერ შევიწროებული ქვეყნის ძარღვები მისცემდათ ამდენ გასაჭანს და არც საკუთარი ბატარა

სამფლობელო. მაგრამ დიდი შვილი მოვიდა თუ არა, და იმ დიდმა შვილმა ქვეყანას ამოსუნთქვის საშუალება მისცა თუ არა, მაშინვე გაჩნდა აუცილებლობა დიდი ენერგიის პატრონი მეფისათვის დიდებულებს საკუთარი იდეები, პრინციპები, ინტერესები დაექვემდებარებინათ. ეს აუცილებლობა იყო მთავარი მიზეზი, რაც კვებავდა შურს, ღირსეულ მეფესთან დამოკიდებულების წესს. ეს დამოკიდებულება კი იყო გზა, რისი გავლითაც სპარსეთის ოქრომ შეძლო შხამიანი ისარი მიეწვდინა გორგასლის გულამდე. და იქ, სადაც ღვთისაგან დასმული მეფეც კი მსხვერპლი ხდება ამგვარი განწყობილებისა, ადვილი წარმოსადგენი უნდა იყოს ბედი ხალხის წრიდან თავისი ღირსებების წყალობით დაწინაურებული კაცისა. კაცისა, ვინც ამ ღირსებებით მეფეთა მასშტაბებს გაუტოლდებოდა, ფაქტიურ მმართველად, პატრონად იქცეოდა. თუმცა საააკაძის ფენომენს ამ მაგალითების „ამოწურვის“ შემდეგ კიდევ მივუბრუნდებით.

რა თქმა უნდა, ვახტანგ გორგასლიდან დავით აღმაშენებლამდე სრული ჰარმონიის ხანა არ მდგარა. არც დიდი შვილები მოჰკლებია ქვეყანას და თუ ყველა მათგანზე არ შევჩერდები, მხოლოდ იმიტომ, რომ ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ — რამდენიმე მაგალითი ალბათ სხვასაც მოგვაგონებს, ან გვაგულისხმებინებს.

დავით აღმაშენებლის ეპოქა, სვებედნიერი, წელში გამართული ქართველი ხალხის ეპოქა უცებ არ დამდგარა, თავისით არ მოსულა. იბრძოდა აღმაშენებელი ალბათ, არც ერთ მეფეს ამდენი არ უომნია, ამდენი ომი არ მოუგია. ეს იყო გაბმული ლაშქრობების ეპოქა, რასაც დიდი პატრონის ხელი მართავდა. ეს იყო ქართველი ხალხის უკეთესი თვისებების გაცხადების ეპოქა, რასაც კვლავ და კვლავ დიდი პატრონის ხელი მართავდა. დავით აღმაშენებელი იყო სწორუპოვარი მეფე, უბადლო პოლიტიკოსი, გენიოსი, ვინაც იცოდა არა მარტო თავისი ქვეყნის სული, ზნე და ხასიათი, არამედ მთელი აღმოსავლეთის ხალხებისა და სახელმწიფოების სულიერი წყობა და სტრუქტურა. იგი მოდიოდა, თექვსმეტი წლის მეფე, უძლეველ სიუზერენად მკვიდრდებოდა ქვეყნის ერთ-

გულთა და ორგულთა წარმოდგენებში, პატივისცემასა და მოწიწებას იმსახურებდა. თავადთა პირადული და სახელმწიფოებრივი ინტერესების გადაკვეთაზე ჩნდებოდა ალტერნატივა: ან დავით აღმაშენებლის მხარეზე მდგარიყო, რამდენადაც სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი უკეთეს მეფეს ვერ ინატრებდა, ან შეედგინა ოპოზიცია, რაც ამ პირადულ ინტერესებს გააპარპაშებდა. მაგრამ ამ პირადულ ინტერესების შინაარსია საინტერესო, საკუთარ ადგილ-მამულზე ზრუნვა ერქვა თითქოს მას. დავით აღმაშენებელი არ ზღუდავდა მათ, პირიქით, საქართველოს საზღვრების გაზრდის გზა ხომ თავადთა მამულების გაზრდასაც მოიტანდა. ეს პირადი ინტერესების ადგილ-მამულზე და კეთილდღეობაზე ფიქრის ატრიბუტები პატარა მიზეზია, უფრო დიდი მიზეზი არის საძიებელი.

ბაღვაშთა ოპოზიცია საერთო ოპოზიციონერობის შესაკრებელ სიმბოლოდ იქცა. ოპოზიციონერები კი მრავლად იყვნენ და მათ სისხლი გაუშრეს საქართველოს უდიდეს მეფეს. დავით აღმაშენებელს გარეშე მტერთან ბრძოლაში იმდენი ენერგია არ დაუხარჯავს, რამდენიც შეალია შინაფეოდალურ წინააღმდეგობას. დიდი მეფის სურვილებს არა და არ ემორჩილებოდა მათი ფსიქიკა. ეს ფსიქიკა კი, სწორედ დიდ მეფეს, ე. ი. საქართველოს დიდ შვილს ვერ გუობდა. ერთი რიგითი მეფის გარშემო ამდენი მტრობა არასდროს არ დატრიალებულა და განა მარტო იმიტომ, რომ სუსტი ბუნების მეფენი დამყოლნი იყვნენ? არა! რიგითი მეფის არსება მათ სახელსა და დიდებას, მათ პატივმოყვარეობას არ ჩრდილავდა. დავით აღმაშენებლის მასშტაბები კი თანაგრძნობის განცდას კი არა, დაქვემდებარებულ ვნებებს ითხოვდა, სრულ მორჩილებას, როგორც მასალისას, რათა დიდ მეფეს ქვეყნის უკეთესი აწმყო და მომავალი გამოეძერწა. და თავიანთი პოზიცია უნდა გაერკვიათ ოპოზიციონერებს. ან უნდა დაქვემდებარებოდნენ, ან არა. დაქვემდებარება ნიშნავდა თავისი ენერგიის შესატყვისი მასშტაბებისადმი მორჩილებას, ყოველ მათგანში კი პირველკაცობის სურვილი ღვიოდა. არ დაუთმო ამ სურვილმა გზა ნამდვილ სიდიდეს. სიდიდის წინაშე მორჩილება და ერთგულად მსახურება საკუთარ არარაობად განიცდებოდა იმ პირველკაცობის სურვილით გამეფებული

განწყობილების მიერ და ამიტომაც არ დაუთმო გზა. დიდ შვილთან დამოკიდებულების მახინჯი წესი მთელი დატვირთვით მოქმედებდა. ბრძოლა არ ცხრებოდა, მოსვენება არ იყო. კიდევაც დასჭირდა საქართველოს დიდ მეფეს ყივჩაღთა მთელი ტალღის გადმოყვანა საქართველოში და რეგულარული არმიის შექმნა, აღზევებული პატივმოყვარეობისა და წინააღმდეგობების დასათრგუნავად დასჭირდა, უპირველეს ყოვლისა, ეს იყო რისკი, დიდი, ძალიან დიდი რისკი. ორასი ათასი უცხოელის ჩამოსახლება ერთი გაფიქრებით არ შეიძლება გადაწყდეს. საქართველოს ამ დროისათვის მოსახლეობა არ აკლდა, რომ ამ მდგომარეობას ეკარნახა მეფისათვის აღნიშნული ნაბიჯის გადადგმა. თუ ქვეყანა ცნობდა თავის ძეს, დიდ მეფეს და დიდ შვილს და მას გაჰყვებოდა ერთსულოვნად, ყივჩაღთა ჯარისკაცებით შექმნილი არმია რა სახსენებელი იქნებოდა, ორჯერ მეტ მოლაშქრეს მოუყრიდა აქვე თავს. მაგრამ ერთგულების იქით რჩებოდა ორგულთა ანგარიშგასაწევი ძალა, ვისაც ებარა თუ ეკუთვნოდა ხალხი და არა თუ გამოჰყავდა ის დავით აღმაშენებლის სამსახურში, პირიქით, უპირისპირებდა დავით აღმაშენებლის საქმეებს. ამიტომაც დადგა ალტერნატივა: ან მეფე უნდა ალაგმულიყო, ან მისი მოწინააღმდეგე დასი. დავით აღმაშენებლის ეპოქა სვებედნიერად იმიტომაც გამოიყურება, რომ დავით აღმაშენებელმა გაიმარჯვა. გაიმარჯვა დიდმა შვილმა, მოღალატე თავადები ალაგმულ იქნენ. მაგრამ არადა არ შეცვლილა დიდ შვილთან დამოკიდებულების წესი, შური კვლავ და კვლავ ბრუნავდა როგორც წამლეკავი თვისება და მის დასათრგუნავად მეფის მხრივ საჭირო შეიქნა უზარმაზარი ენერგიის გაღება. არაერთხელ აღიმართა დავით მეფის ხელი მოღალატეთა წინააღმდეგ. არაერთხელ დააღვრევინა აუცილებლობამ ქართველი კაცის სისხლი, რათა დაეთრგუნა აღზევებული სიბნელის ნაკადი და აკი დათრგუნა კიდეც. მაგრამ ამ ბრძოლებში იგი ჩანს გაწამებულ პიროვნებად, სულითა და ხორცით შეძრულ კაცად, რადგანაც თვალნათლივ ხედავდა, რომ მასაც კი, საქართველოს განმამტკიცებელსა და აღმაშენებელს, მისივე სისხლი და ხორცი უწევდა ყველაზე დიდ წინააღმდეგობას. და ეს მაშინ, როდესაც საუკუნეების მანძილზე განმტკიცე-

ბული იყო სურვილი ერთიანობისა, ქვეყნის ძლიერებისა, მტრების დათრგუნვისა, როდესაც ქართველი კაცის მისწრაფება ერთიანობისაკენ მის შეგნებასაც მართავდა, როდესაც ყველა ხედავდა ერთიანობის აუცილებლობას, როდესაც ქვეყანა პროგრესული ძალებით იყო სავსე — შესანიშნავი ერისკაცებით, დავითის უბადლო თანამებრძოლებით. ასეთ დროსაც კი ვერ მოხერხდა ეცნოთ დიდი შვილი, როგორც წინამძღოლი და გაჰყოლოდნენ სახელოვანი საქმეების საკეთებლად. ამ დროსაც კი გამოსწოვეს სისხლი მას, არსებობა გაუმწარეს და, რაც მთავარია, ამ დროსაც ვერ მოხერხდა დიდი შვილის მოვლა. იგი, უბრალოდ, ბრძოლით ამკვიდრებდა თავის თავსაც და თავისი არსებობის წესსაც.

ახლა სიმონ დიდის მდგომარეობა გავითვალისწინოთ. XVI საუკუნე სულ სხვა დროა. მონღოლების, თემურლენგისა და სპარსელებისაგან ენერგიადაშრეტილი, დაქუცმაცებული საქართველოს ფსიქოლოგია ბატონობს ყველგან. ახლა უკლებლივ ყველა თავადს თავი მეფედ წარმოუდგენია, ყურს არ უგდებს ქვეყნის დაძახილს, საკუთარი ძალაუფლებით ტკბება და საკუთარ მამულებზე ფიქრობს მხოლოდ.

ერთიანობის შეგნება მხოლოდ თითო-ოროლა მამულიშვილში თუ ღვივის. ღალატი, პირადი კეთილდღეობა — ეს კატეგორიები ბრუნავენ ქართულ მიწაზე. სახელოვანი მამულიშვილების საბრძოლო სულისკვეთება ვერ კურნავს ქვეყნის დაშლის პროცესს. ეს პროცესი გაღვივებულია უკვე. ასეთ დროს გამოდის სიმონ მეფე ასპარეზზე. იწყება განუწყვეტელი ცდისა და ბრძოლის ციკლი. ხან სპარსეთთან, ხან თურქეთთან, ხან ლეკებთან — ყველა ფრონტზე იბრძვის სიმონ მეფე. შეუბოვარი, ნიჭიერი, ღირსეული წინამძღოლია. დიდი შვილია საქართველოსი. არა დავითის მასშტაბისა, მაგრამ მაინც! თანამდგომიც ჰყავს და მაღმერთებელი ხალხიც ახვევია, მაგრამ ეს არ უდრის ქვეყნის ძალას. გაცეცხლებული ბრძოლის დროს გამოჩნდება ვინმე ყორღანაშვილი და უსირცხვილოდ მიუთითებს მტრებს სიმონ დიდზე — ის არის მეფე! მეფე ტყვედ იგდეს სპარსელებმა. რა მოხდა? საიდან დაიძრა ის ბნელეთის ნაკადი, რამ აღაზევა სულში დაუნდობლობის თვისება. ვინ არის იგი, ვისი წყალობითაც ასე ადვილად გაიწირება ქვეყნის უპ-

ირველესი შვილი, რა გზებით აღწევს გამყიდველი ყორღანა-შვილამდე, როგორც ბრმა იარაღამდე. როგორ ჰგავს ყორღანა-შვილის მუხთლობა ვახტანგ გორგასლის მონის მუხთლობას. ისიც ბრმა იარაღია, მაგრამ ის ფენა, ვინც ეს ბრმა იარაღი აღმართა? ვისაც სპარსეთის ვერაგმა მეფემ ეს იარაღი აღამართვინა? ის, რასაც ეყრდნობა საშინელი თვისება ღალატისა? იგი იდგა ბნელ გარსებში ჩაშავებულ სახით, ბნელი გულისწადილით, იდგა საუკუნეების განმავლობაში და აყურადებდა ახალი სხივის მოსვლას, რომ მყისვე ჩაექრო იგი. როდესაც ქვეყნისათვის არაფერი არ კეთდებოდა — ეს ხალხი მოსვენებით იყო, მისი მდგომარეობის გაყინულ ნაპირს არაფერი არ სძრავდა. როდესაც სიმონ მეფის მსგავსი კაცი საქვეყნო საქმეებს შეეჯიდებოდა, მაშინვე აფორიაქდებოდა ის ძალა. მაშინვე მზად იყო შაჰისა და სულთნის მსტოვრებისათვის მოესმინა, ოქრო და ვერცხლი ხელის აუკანკალებლად აეღო და ყორღანაშვილი გამოეძებნა ბნელი საქმის აღსასრულებლად. სულ თავისი სისხლისა და ხორცის ღალატის გამო მარცხდებოდა სიმონ დიდი, სხვაგვარად იგი მოუხელთებელი იყო მტრებისათვის. ისევ იძალა დიდი შვილისადმი დამოკიდებულების ავადმყოფურმა წესმა და ამჯერად მეფემ კი არა, მან გაიმარჯვა.

დიდი ადამიანი არსებითს ცვლის ქვეყნის ცხოვრების წესში. მისი სიდიადე ამ ცვლილებითაც გამოიხატება. ახლის შექმნა წარმოუდგენელიცაა ამგვარი ცვლილებების გარეშე, რაღაც გადაჯგუფდება, გადაფასდება, ახალ დისტანციას შეიძენს და რაღაც გაიწირება. ყველაფერი მოძრაობს ირგვლივ, ქვეყანა დიდ ადამიანს ავალებს ცვლილებებს. ცვლილება კი წინააღმდეგობას იწვევს და იგი ამისათვისაც მზად უნდა იყოს.

მთელ ქვეყანას დაუმტკიცა სულხან-საბა ორბელიანმა თავისი დიდიშვილობა, ერთგულება. ეს დიდიშვილობა ჩანდა გარკვეულ პოზიციაზე დგომაში, გიორგი XI მხარეზე ბრძოლაში, სამონასტრო მოღვაწეობაში, დიდ კულტურულ ფაქტებშიც, საქართველოს საშველად ხანგრძლივ მოგზაურობაშიც. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო სულხან-საბა ორბელიანის კულტურული მოღვაწეობა. იგი, დიდი მწერალი, ქართული სტამბის დამაარსებელ ვახტანგ VI ერთად, საქართველოს ისტორიაში ახალ სიმაღლედ გამოიკვეთა. რუსთაველის შემდეგ ქართულ

ლიტერატურას ამოდენა ფიგურა არ წარმოუშვია. ეს იყო ტიტანური ძალისხმევის მოღვაწე, ადამიანი, ვისაც შეეძლო უმძიმეს ხანაში და პირობებში თვითონვე შეექმნა ლიტერატურულ-კულტურული ატმოსფერო თავის გარშემო, და იმ ატმოსფეროთი დამუხტულს შეექმნა უზარმაზარი მემკვიდრეობა: „სიტყვის კონის“ ორი ვეებერთელა წიგნი, „ქილილა და დამნას“ შესანიშნავი თარგმანი და რაც მთავარია, უნიკალური მხატვრული ნაწარმოები „სიბრძნე სიცრუისა“, ამასთან „მოგზაურობა ევროპაში“ და კულტურული მოღვაწეობის ბრწყინვალე ფაქტი — ქართული სტამბა. დიახ, იგი ევროპელი განმანათლებლების ბადალი პიროვნება იყო, არაფრით არ ჩამორჩებოდა მათ. არც ენერგიით, არც ცხოვრების წესით. და ეს კაცი, პარალელურად მწერლობისა, მუხლჩაუხრელად იყო გაბმული საფრანგეთისა და სპარსეთის გზებზე საქართველოს ბედნიერების მოსაპოვებლად.

და თავისი ქვეყნის ამ დიდ შვილს ყველაფერი წყალში ჩაუყარეს, ევროპიდან ახლად დაბრუნებულს, ქვეყნისა და მეფისთვის გარჯილ კაცს, უმადურობითა და მტრობით უპასუხეს, საყვარელ მეფეს წაჰკიდეს, სამშობლოს ღალატი დასწამეს, ეკლესიის მტრად გამოაცხადეს.

ამგვარმა უმადურობამ შესაძლოა გაყინოს ადამიანის სისხლი, რადგან იგი პოლიტიკური მტრების ოპერაციად კი არა, ქვეყნის საყოველთაო უმადურებად განიცდება, არც შეიძლება არ განიცდებოდას! ამგვარი დამოკიდებულება დაუდასტურდა კაცს, რომელზეც მოგვიანებით ითქვა:

სულხან-საბა ორბელის ძე
სიბრძნით აღსდგა ორბების ზე.

მართალია, შემდეგ მეფე შეურიგდა თავის ერთგულ კარისკაცს, იგრძნო და ინანა თავისი დანაშაული, მაგრამ დამოკიდებულების შინაარსში აბა რა ცვლილების შეტანა შეეძლო ამ ფაქტს. ის შინაარსი ხომ არსებობდა და შეუსვენებლივ მოქმედებდა, მისგან ხომ ვახტანგ მეექვსეც გაწამდა, ამ შინაარსის წყალობით ხომ მასაც მოუხდა ბევრი უსიამოვნების გადატანა. სულხან-საბა კი ისე წავიდა საქართველოდან და ამ სოფლიდანაც საერთოდ და ისე აღესრულება რუსეთს, რომ იმ მომაკვდინებელი დამოკიდებულების მეტი არაფერი უგრძვნია. მხო-

ლოდღა ერთი ანუგეშებდა: რწმენა საკუთარი სამშობლოსადმი სამსახურისა.

რუსთაველი საქართველოს უპირველეს შვილებს ეკუთვნის. თავისი ბედნიერი გენიის წყალობით მან საქართველოს სულიერი ცხოვრების მწვერვალის სახელი დაიგდო და ეს ნიშნავდა წარსულის, აწმყოსა და მომავლის ფლობას ერთდროულად. ამ მწვერვალს ამიერიდან არა და არ მოსცილდებოდა ქართველი კაცის მზერა, მისი გულისძახილი აქ იყო მიჯაჭვული და ფეხის მოცვლა არ შეეძლო. სწორუპოვარი პოეტის ბიოგრაფია კი იდუმალებით მოცული ტრაგედიაა. შექსპირის ინტუიციაც კი ვერ შეაღწევს ამ იდუმალების ქსოვილში და ისიც კი ვერ შეიძლებს სრულ შეცნობას. მატიანეები სდუმან მისი პიროვნების შესახებ. ერმა კი შეინახა პოემა სრულად. აქედან აშკარაა ერთი რამ, „ვეფხისტყაოსნის“ სრული სახით გადარჩენა წარმოუდგენელი იქნებოდა, ერს იგი ფარზე რომ არ ჰქონოდა აზიდული. პოეტი აღიარებული გენიოსი იყო, პოემა ხალხმა ზეპირად იცოდა. პირველ რიგში, ცხადია, მწიგნობარმა ხალხმა. მწიგნობრები კი მაღალი წოდების წარმომადგენლები იყვნენ. ეს იმავე ეპოქაში ხდებოდა, როდესაც რუსთაველი მოღვაწეობდა. სხვაგვარად ამოდენა პოემა სრულად ვერ მოაღწევდა. ერთი დედანი ვერ გაუძლებდა ჟამთა სვლას. იგი მრავალი ხელნაწერის სახით არსებობდა. დედანი საერთოდ გაქრა. მაშასადამე, ერს უყვარდა, მაგრამ არ ისვენებდა მეორე მხარე, ის კაენისეული წილი სისხლისა, რომელსაც არ შეეძლო შეგუება დიდი შვილის აღზევებასთან — პოლიტიკური იქნებოდა სფერო თუ კულტურული — ეს სულ ერთია. ათასგვარ ვარაუდს გამოთქვამენ მკვლევარები და იმ ვარაუდების დაშვება მართლაც შეიძლება — იმის წარმოუდგენლად თუ რა მოხდა და როგორ მოხდა. რატომ არ აირეკლა მატიანეთა ფურცლებზე შოთა რუსთაველის ცხოვრება ან რატომ დასრულდა იგი ტრაგიკულად? რატომ გახდა იგი იძულებული სამშობლოდან გადახვეწილიყო ან სულაც უკვალოდ გამქრალიყო? აქ ყველაფერი ვარაუდებს ეყრდნობა, შეუვალი მხოლოდ ერთიღაა — ლოგიკა. ის, რაც ვარაუდების დაშვების საშუალებას გვაძლევს. დიდი პოეტი მოშურნეობამ დაღუპა. იგი მდაბიოთა წრიდან არ ყოფილა, რომ ამის გამო სოციალური ჩაგვრა განეცადა, ფეოდა-

ლი იყო — უმაღლესი განათლებისა და მდგომარეობის პატრონი, აღიარებული პოეტი, რომლის ბადალი ძნელად თუ ჰყავდა ქვეყანას. და ყველაფერი, რაც მის გარშემო დატრიალდა, მოშურნეობამ გამოკვება. ეს გრძნობა მართავდა დაბეზღების სურვილს, ინტრიგების ბადეს, დაპირისპირების წყურვილს. ამ გრძნობამ შეავიწროვა სამეფო კარზე, გაუტეხა სახელი, გაუგრილა მეფეს გული და აიძულა პოეტი ასპარეზს გასცლოდა. გასცლოდა საქართველოსაც, გამქრალიყო თითქმის უკვალოდ, მხოლოდ ლეგენდებისა და გადმოცემისათვის დაეტოვებინა ორიოდე ცნობა და იმ ცნობის კვალად ეძებნა შემდეგ შთამომავლობას. ვერავინ ვერ სძლევდა თავის თავს, — საკუთარი პატივმოყვარეობისა და საკუთარი სახელის ჩრდილქვეშ მოქცევას გენიოსის გაწირვა ერჩივნა. დიდი გენიოსის დაღუპვის უმაგალითო შემთხვევაა, ასე სასტიკად ამოდენა გენიოსს, ალბათ, არასდროს მოპყრობია ქვეყანა. კიდევ კარგი, საუკუნეების ტევრი მალავს სინამდვილეს რუსთაველის ცხოვრებისას, თორემ როგორც კი ძირამდე ჩასდევ ფიქრს და მთელი სიცხადით წარმოიდგენ, როგორ გარიყეს ქვეყნის უკეთესი შვილი, მაშინვე შეძრწუნდები. ამ გარიყვაში რამდენი ტრაგედია იგულისხმება, რამდენი ტანჯვა, წვალება, დიდი შვილის როგორი უპატრონობა და მოუვლელობა იკითხება. რა არის ეს, თუ არა შემაშფოთებელი მდგომარეობა ქვეყნისა, მისი არსებობის წესისა. რას შეიძლება მიეწეროს სრული მტრობა საკუთარი თავისა, როდესაც ასეთ შვილს ანადგურებ, თუ არ წიაღის ავადმყოფობას. რა გამოასწორებს ამ მდგომარეობას შემდგომ? თავში ხელის ცემა თუ გამუდმებული სინანული? რა დააბრუნებს უკან მდინარეს, რა შეატრიალებს სტილს, უკვე დამკვიდრებულსა და ფესვებგადგმულს, რა გაუკვირდეს ამის შემდგომ საქართველოს — ძმის გაყიდვა, მოკვლა, ქვეყნის აოხრება თუ სხვა უბედურება? რა შეიძლება შეედაროს სრულ უგულისყურობას ესოდენ დიდი შვილისადმი, რა გამოისყიდის დანაშაულს, რა წარმოშობს იმედს, რა გაანაყოფიერებს წიაღს, სტილის შესაცვლელად ღონე რომ ეყოს? თვით დიდი შვილები რა სავალალო შეცდომებს უშვებდნენ თავის მხრივ ამ დამოკიდებულების წესში და როგორ უწევდნენ უნებურად სამსახურს სრულ დისჰარმონიას, ეს ცალკე საუბრის თემაა.

/ ჯერჯერობით უმთავრეს მიზეზზე გავაგრძელოთ სიტყვა: აღმოსავლეთის უძლიერესი მხედართმთავრის ერეკლე მეორის ცხოვრება არის კიდევ ერთი რგოლი, რისი ამოკითხვის გარეშე წინ ნაბიჯსაც ვერ წავდგამთ. ქვეყნისა და ხალხის ერთგულების დამტკიცებას ერთი ადამიანი უკეთ ვერ შეძლებს, როგორი დიდი ნიჭისა და ენერგიის პატრონიც არ უნდა იყოს იგი. ერეკლე II ცხოვრებამ არ იცის ანტრაქტი. იგი ამ მხრივ ყოველი დიდი ქართველის თანაბარია და ღირსეული მემკვიდრე. საქმე ეხება არა მის მხედართმთავრულ ნიჭიერებას და მეომრულ სულისკვეთებას, არამედ სრულ თვითგაღებას, რასაც ყოველი მისი ნაბიჯი, ყოველი მისი მოძრაობა ადასტურებდა, ესოდენ დახლართულმა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკამ იქნებ ისიც დააბნია, როგორც დააბნევდა ყველას, მაგრამ ვერაფერი ჩრდილავს მთავარს — ბრძოლას სრული თვითგაღებით. ამ ბრძოლას კი საარაკო გმირის სახელი სდევდა თან. მაგრამ კვლავ და კვლავ იძალა საშინელმა თვისებამ და სახელოვანი შვილის მხარში ამოდგომის ნაცვლად ფეხქვეშ ნიადაგის გამოცლაში დაისარჯა ენერგია. ამ თვისებამ საუკეთესო გამართლება მოუნახა თავის გზას. დასწამა მეფეს შეცდომები (საქართველოს გაერთიანებაზე უარის თქმა), შვილებს სიმრავლეც კი და ამით გაამართლა თავისი საქციელი — გადამწყვეტ ომში კრწანისთან გვერდიდან გამოეცალა. გაამართლა ერეკლეს შვილის ქეიფიც თავის ლაშქართან ერთად იმ დროს, როდესაც ერეკლე მცირერიცხოვანი ჯარით სამკვდრო-სასიცოცხლო ომში იყო ჩაბმული და ასე საჭიროებდა დახმარებას; გაამართლა კრწანისის გადამწყვეტ ომში ოთხი ათასი კაცის ანაბარა ერეკლეს მიტოვება და უმოქმედობა იმერთა ლაშქრისა, მახლობელ მთაზე „რომ იდგა და ქვეყნის უბედურებას უცქერტდა“. „სუფთა სინდისით“ დაბრუნდა უკან ეს ლაშქარიც, „სუფთა სინდისით“ ისხდნენ თავიანთ კოშკებში სხვა ფეოდალებიც, ზოგიერთი მისი შვილიც და ყველაფერ ამას თითქოს ამართლებდა განაწყენება. თითქოს ეს განაწყენება უფრო მნიშნელოვანი იყო, ვიდრე საქართველოს თავისუფლების მზის ჩასვენება, რაც უსათუოდ მოჰყვებოდა ერეკლეს დამარცხებას. ვერაფრით ვერ გადაელახათ ერეკლესთან დაპირისპირების გრძნობა, რათა დამდგარიყვნენ სწორუპოვარი სარდლის დრო-

შის ქვეშ და ასპინძის გმირობა გაემეორებინათ. თითქოს დაპირისპირების ეს გრძნობა უფრო დიდი იყო, ვიდრე ერეკლე მეორის თავდადებულობა ქვეყნისათვის, თითქოს მხოლოდ ერეკლეს წილი საქართველო-ქვეყანა ინგრეოდა და არა მათი წილი — მთელი საქართველო-ქვეყანა. კერპი სიდიადისა — ერეკლე მეორე — უფრო მეტად აღიზიანებდათ და აშფოთებდათ, ვიდრე კარს მომდგარი ეროვნული უბედურება. მხოლოდ მას შემდეგ გამოფხიზლდნენ, როდესაც არც ერეკლე იყო ცოცხალი და არც თავისუფალი — საქართველო.

მამული ვეღარ იხილავს
ირაკლის ხმალსა მღელვარეს,
დიდება ივერიისა
მასთან მარხია სამარეს.

ეს გახლდათ დიდი პოეტის მიერ დანახული საშინელი სინამდვილე. ერთბაშად წამოიკივლა ქვეყნის სულმა ეს საშინელება. ერთბაშად ყველას აეხილა თვალი და დაინახა საშინელი შედეგი. და ის ხალხი, ვინც ერეკლეს ჯიბრზე თვითვე ყიდდა დაღესტნელ ლეკებში თავის ქვეშევრდომ ქართველებს, სხვათა ბრძოლებში თავგანწირვით ეკვეთებოდნენ იმავე ლეკებს. უკვე არა საქართველოს დაცვის მიზნით, არამედ მეფის რუსეთის იმპერიის ინტერესებისათვის. გრიგოლ ორბელიანის სიტყვებში დაიხატა დიდ შვილთან და, ამასთან ერთად, ქვეყნის დიდებასთან გამოთხოვების საშინელი სინამდვილე.

დამოკიდებულების წესი კი ცოცხლობდა. იგი ახალ-ახალ მსხვერპლს ეძებდა. შემაძრწუნებლად წერს XIX საუკუნის გენიალური პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი (წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი): „ჰეშმარიტად არ ვიცი, მე ვარ დამნაშავე შენთან მოუწერლობისა თუ არა? ვისთანაც შენგან მოწერილი წიგნი წავიკითხე, ხუმრობისა და ლანძღვის მეტი არა იყო რა. ჩემთან რომ ფარატინი გამოგეგზავნა, ისიც დაპირების მეტი არა იყო რა. მე ბინიანად მინდა შენთან ლაპარაკი და ხომ იცი, რა საწყენია ამისთანა ლაპარაკის გაცრუება. საკვირველია, რომ ქართველს კაცს, რაოდენ დიდებული და ძლიერიც უნდა შეიქნეს, არა აქვს ის შორსმხედველობა, რომ როდესაც დაატყოს თავის თავს ვბერდებიო, პოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მო-

ამზადოს, მისცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად. და როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთროში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შესაძლებლობა და ხმა ერსა შორის თავის მემკვიდრისა შუამავლობით! ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა კლდე-ღრეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილას. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავდი მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავდი ჩემს ასპარეზსა! ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის, ეცადე, რომა რენენკამფთან დამანიშვნინო. ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის, ვიცი, დაგავიწყდა, მაგრამ არა, არ დაგვიწყებია. ეს იმ სნეულების ბრალია, რომლის გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება“.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა მთელი არსებით იგრძნო და განიცადა სნეულების არსი. სახელს არ არქმევს დიდი პოეტი სნეულებას, მაგრამ ფაქტია, ის მისთვის არსებობს და მერე როგორ არსებობს. აქ მოტანილ სიტყვებში მთელი საქართველოს ბედიღბალია წაკითხული, ქართველი ხალხის სულიერი მდგომარეობაა დახასიათებული. სნეულება ერთი ან ორი საუკუნის ნაყოფი კი არ არის ბარათაშვილისათვის, არამედ დასაბამიდან ქართველი ხალხის ცხოვრების თანამდევი ნიშანია, გრიგოლ ორბელიანის მხილება ბარათაშვილის მიერ ნაკლებ დამაფიქრებელია და საყვედურს ბარათაშვილის ბიძა, ვინ იცის, იქნება არც იმსახურებდა იმ დროისათვის. აქ ბარათაშვილის განცდაა საყურადღებო. იგი ქართველი კაცის იმ სნეულების დადასტურებას ხედავს, ფიქრობს, რომ ეს ნაცნობი სნეულება „იღვწოდა“ მისი ბედის გადაწყვეტაშიც, იქ სადაც დიდი შვილისადმი თანაგრძნობაა აუცილებელი, სნეულება იბრძვის, რათა თანადგომა არ შედგეს. გრიგოლ ორბელიანის განსაკუთრებული სიყვარული თავისი დისშვილისადმი არავითარ ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ბარათაშვილი რომ საერთო უყურადღებობამ დაღუპა, ეს ფაქტია. დაღუპა კი იმ სნეულებამ, „რომლის გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება!“

ქართველი კაცი განსაკუთრებით მწვავედ განიცდის ილია

ჭავჭავაძის ბედს. ტრაგიკული მის ცხოვრებაში თითქოს არაფერი ხდებოდა... თუ არ წიწამურის ფინალი. მაგრამ მხოლოდ გარეგნულად ჩანს ასე. როგორც ყველა სხვა დიდ შვილთან, ასევე ილია ჭავჭავაძესთანაც ჩვენი დამოკიდებულება ტრაგიკული იყო ქვეყნისათვისაც და პიროვნებისთვისაც. ჟამი-ჟამ საქართველოში არ ილევა გონიერი ხალხი და ისინი მართლაც რომ დიდებულ ნაბიჯებს დგამენ. ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯია ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა მისვლა ილია ჭავჭავაძესთან დუშეთში თხოვნით — გადმოსულიყო თბილისში და საქართველოს კულტურული ცხოვრებისათვის გაეწია ხელმძღვანელობა. ერის პოლიტიკური, სოციალური, კულტურული ცხოვრების სადავეები ნელ-ნელა იყრიდა მის ხელში თავს. მისი ფართო ჰორიზონტი წვდებოდა ერის ცხოვრების ყოველ სფეროს და იმ სფეროებს მსოფლიო ცხოვრებასთან აკავშირებდა. ეს გონების სფეროში. და აქედან დაძრული მდინარება ცხოვრების სტილისა ემკვიდრებოდა ყოველდღიური ყოფის კალაპოტშიც. ილია იდგა ქართველ კაცში, როგორც უხილავი მაორგანიზებელი ძალა და ყველაფერი ეს უზარმაზარი წინააღმდეგობების დაძლევის ფასად ხდებოდა, წინააღმდეგობას კი უმეტესწილად უწევდა მისი მოძმე — გარკვეული დამსახურების და მდგომარეობის ხალხი — საქართველოს ღირსეული შვილები. გასაოცარი და ტრაგიკულიც ეს არის. ჩვენ ამ შემთხვევაში ილიას მოწინააღმდეგე ძალების დადანაშაულება, ან მსჯავრის დადება კი არ გვაქვს მიზნად, არამედ იმ სინამდვილის შინაარსის გაანალიზება, რაც თვალნათლივ გვიმტკიცებს, — ილიას დევურ მოღვაწეობას სხვა თაობის წრიდან, ხანაც მისივე თაობის მხრივაც გააფთრებული წინააღმდეგობა რომ ხვდებოდა. ეს არ იყო ჩვეულებრივი დავა, აზროვნებას რომ აალმასებს და ადგილიდან ძრავს. არა, ეს იყო აშკარად ხელის შეშლა, ასპარეზიდან ილიას მოშორების ტენდენცია, რაც ფლეთდა ერის მთლიან ორგანიზმს. მეორდება ისტორია შეტაკებებისა, შეხლა-შემოხლისა, და მეორდება სწორედ იმ სნეულების თუ წესის „წყალობით“, რამაც არაერთხელ გაუმწარა სიცოცხლე საქართველოს დიდ შვილებს წარსულში. ილიას ბევრი მოწინააღმდეგე ღირსეული მამულიშვილი იყო, დიდი დიაპაზონისა და დამსახურების ხალხიც ერია მათში.

ილიაც განუსაზღვრელ პატივს სცემდა მათ, მაგრამ როგორც კი საქართველოს ცხოვრების სტილის წარმართვას შეეცადა ილია ჭავჭავაძე, როგორც კი მოინდომა ერის ცხოვრების და ბედიღბლის საჭე დაეჭირა ხელთ, რამდენადაც გრძნობდა თავის მოწოდებას, მაშინვე გაითიშა იმ დიდებული მამულიშვილებისა და ილია ჭავჭავაძის ინტერესები. რაც მთავარია, ყველაფერს ლოგიკური დასასრული სჭირდებოდა და ეს საშუალებაც მოინახა. ილია მოკლეს! ხელისშეშლის ასპარეზიდან მოშორების ტენდენცია უბრალო კინკლაობა გამოჩნდა ამ საშინელებასთან შედარებით. სხვა ძალები გამოვიდნენ ასპარეზზე, ბნელი და დაუდგენელი, სატანის ხელის მოსამსახურენი. ბრძოლითა და შრომით მოპოვებულ ილია ჭავჭავაძის უზარმაზარ ავტორიტეტს უკვე გატანილი ჰქონდა ლელო. ხალხი აღმერთებდა მას, ყურს უგდებდა, ბნელ ძალებს სწორედ ამ ავტორიტეტის — დიდი უღელტეხილის გადალახვა სჭირდებოდათ. და გაუგონარი ამბავი მოახდინეს. მკვლელები ქართველები იყვნენ! რა მნიშვნელობა აქვს, ვინ და რა მიზნით მოისყიდა ისინი. მნიშვნელობა იმას აქვს, რომ დიდი შვილი მათ თვალში „მიწას ამძიმებდა". მნიშვნელობა სწორედ მისი მოშორების ტენდენციას აქვს. ამ ტენდენციის კვალში ყოველთვის პროგრესული ძალები რომ არ იქნებოდნენ ჩამდგარნი, ეს უნდა გვცოდნოდა! ილიასთან გაუთავებელი დავით ჩვენ ხომ ფაქტიურად კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ არ შეგვიძლია ვიგუოთ დიდი შვილი და მას გავყვეთ. მასთან გაუთავებელი დავითა და ბრძოლით დავამკვიდრეთ აზრი, თითქოს სავსებით ბუნებრივი, ლოგიკური იყო ილიასთან დაპირისპირებაც და ბრძოლაც, ნაცვლად იმისა, რომ დაგვემკვიდრებინა აზრი მისი ხელშეუხებლობისა. რაკი ბუნებრივ და ლოგიკურ ბრძოლად აღვიქვით მასთან დაპირისპირება და წლების განმავლობაში დავამკვიდრეთ ეს აზრი, ერთ მშვენიერ დღეს ბრძოლას ბოროტი ძალები გამოუჩნდნენ გამგრძელებლებად და რაკი დაინახეს, რომ ილიასთან დაპირისპირება ჩვეულებრივი ამბავი იყო, ნამდვილი ბრძოლის ნიმუში დაგვანახეს. ბოროტებამ კომპრომისი არ იცის, მას არ უკანკალებს ხელი — ტყვიას ტყვიაში აჯენს... და მოხდა წიწამურის ტრაგედია! მთელი საქართველო თითქოს ერთბაშად გამოფხიზლდა. ზარივით მოედო ქვეყნის სივრცეს

ილიასივე სიტყვები, თავის დროზე ბარათაშვილის მისამართით რომ თქვა: „ვაი, დაგკარგეთ, უღვთო იყო შენი სიკვდილი“.

ერთბაშად მთელმა საქართველომ იგრძნო მომხდარი საშინელების მასშტაბები. ყველაზე კონდენსირებულად ამ მოვლენის არსი კიტა აბაშიძის ტელეგრამამ გამოხატა — „დავტირი საქართველოს სირცხვილს!“ ეს რამდენიმე სიტყვა ამხელდა არა მარტო ტრაგედიის შინაარსს, არამედ მთელი საქართველოს დარღვეულ სულიერ მდგომარეობას, დაკარგულ წონასწორობას, რაც საუკეთესო შვილებისაგან მხოლოდღა ნამუსრევს ტოვებდა ასპარეზზე და შემდეგ სწორედ ამიტომ ჩანდა დაბეჩავებული და უპატრონო.

აკაკიმ უფრო ადრე ყაზბეგის მისამართით თქვა: გარდაცვლილის პატივისცემა მშვენივრად ვიცით, უბედურება ისაა, ცოცხალს არ ვუვლით არასოდესო. მწარე სინამდვილეა ამ სიტყვებში.

კიდევ ერთხელ მოვიგონოთ ბარათაშვილის სიტყვები: „კაცი მინდა, რომ პატარა ღრე-კლდეს გავცდე და დავდგე გაშლილს ადგილას, ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა“. ეს სიტყვები, ცხადია, მარტოოდენ დიდი პოეტის შინაგან განწყობილებას არ გამოხატავს. ეს სიტყვები საქართველოს, როგორც ქვეყნის შინაგან მდგომარეობას გვისურათებს. ქვეყანასაც სჭირდებოდა მშველელის ხელი, კლდე-ღრეს რომ გააცდენდა და თავისუფლად ამოასუნთქებდა, ხელმწიფურად გადაახედებდა თავის ასპარეზს.

დღეს ძალზე ადვილი დასანახია, თუ როგორ ისტორიულ გზაჯვარედინზე მოხვდა საქართველო. არაერთხელ თქმულა ამის შესახებ. მართლაც, საშინელი გეოგრაფიული პოზიციაა როგორც საქართველოსათვის, ასევე სომხეთისათვის. მანამდე, სანამ თურქეთი ბიზანტიის ტერიტორიას დაიკავებდა, საქართველო და სომხეთი ქრისტიანული სამყაროს უკიდურესი პროვინციები იყო აღმოსავლეთში. მუსლიმანთა სამყაროს პირველი ტალღები მათ აწყდებოდა. ბიზანტიის ორჭოფული პოლიტიკა დიდ უსიამოვნებას აყენებდა ორივე ქვეყანას, მაგრამ ასე შემოზღუდული და ოკეანეში კუნძულივით დარჩენილი მაინც არ ყოფილა. შემდეგ სულ დაიხშო სივრცე. სულ უფრო და

უფრო დაპატარავდა ასპარეზი. არა მარტო ქვეყნის ტერიტორია, არამედ სამოქმედო ასპარეზიც. ქვეყანა ერთ ციხე-კოშკში შეყუჟულს დაემგვანა. მხოლოდღა მომხდური მტრის მოგერიება ექცა ცხოვრების მიზნად. ენერგიის გასაშლელი სივრცე და დრო წაერთვა, ეს ენერგიაც შეიკუმშა, მაგრამ ასპარეზის სიპატარავეს დასაბამიდან განიცდიდა ქართველი ხალხი. ბუნებითი ნიჭით აღსავსე, ღირსებითა და უნარით გამორჩეული ერი მუდამ გრძნობდა მეტი ჰაერის მოთხოვნილებას, მაღალ გადასახედს ესწრაფვოდა. ეს გახლდათ ერის შინაგანი პოტენციალის მოთხოვნილება, მდიდარი ბუნების გამოვლინება. ისტორიამ კი კავკასიონის კალთებს მიაჯაჭვა, უმეზობლა სარწმუნოებრივად და ფსიქოლოგიურად მისთვის მიუღებელ იმპერიებს, რომლებიც უშუალოდ ეკრა. შორიდანაც მოიწევდნენ (მონღოლები, არაბები...) კუნძულივით მუსულმანურ სამყაროში შეჭრილი, იგი თავისი ბედის ანაბარა დარჩა, იმთავითვე შეზღუდული ასპარეზის პატრონი. შესაძლებლობები კი განუსაზღვრელი იყო. ეს განუსაზღვრელი ენერგია დაამტკიცა საქართველომ, არა მარტოოდენ გადარჩენისათვის გამართულ ბრძოლაში, თუმცა ეს გარემოებაც იკმარებდა არგუმენტად, არამედ დიადის შექმნისა და დამკვიდრებისათვის ბრძოლაშიც, ქართული სამყაროს დაფუძნებისათვის გამართულ ბრძოლაში. დაამტკიცა საკუთარი ძლევამოსილების დამადასტურებელი რამდენიმე ეპოქით. მაგრამ მეტის გაკეთება მართლაც შეუძლებელი იყო, საზღვრების მეტად გაფართოება — წარმოუდგენელი. პოტენცია კი შეკუმშულ ზამბარასავით დრტვინავდა, ყოველ წამს მზად იყო გასატყორცნად. ქვეყნის ენერგია, ცხადია, აბსტრაქტული ცნება არ არის. იგი ქართლის შვილების არტერიებით მოძრაობს, მათ გულზე გადის და როგორც ქვეყანა განიცდის ასპარეზის სიპატარავეს, ასევე ყოველ ცალკეულ პიროვნებას ჰქონდა ასპარეზის უკმარობის განცდა. უკმარობის განცდა ბორგავდა მის სულში. გრძნობდა, რომ მისი ღირსებისა და შესაძლებლობების კაცს გაცილებით მეტი ეკუთვნოდა მამულიც, საზოგადოებაში ადგილიც, პატივიც, მეტი ნდობაც, სახელიც. მოქმედების თავისუფლებაც. საქართველოს ისტორიაზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად თქვა კონსტანტინე გამსახურდიამ ეს ცნობილი სიტყვები: „ჩვენში ყოველ ნაბიჯვარს აზნაურობა

სწყურია, ყოველ ნაცარქექიას — სარდლობა... ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს ბიესტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები". აბსოლუტური და მწარე ჭეშმარიტებაა თქმული და რამდენჯერ შეიძლება ამ სიტყვების გამეორება საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის მიერ დაგროვილი მაგალითების მიმართ. მაგრამ რა კვებავს ამ სინამდვილის სურათს, რა წარმოშობს ამ „პრეტენზიულ" სურვილებს, ერთმანეთის გზებზე რომ იხიდებიან შემდეგ და ქვეყანას რევენ. ნუთუ მხოლოდ ბუნებით „ბოძებული" ავადმყოფური ხასიათის შედეგია ეს სურვილი? წარმოუდგენელია, ასე იყოს. სხვა რამ არის მიზეზი. ზემოთ ნაწილობრივ ითქვა ამაზე. ვიცი, მშობელი ხალხის ღირსებაზეც და ნაკლზეც თავშეკავებული საუბარია საჭირო, მაგრამ რა სიფრთხილესაც არ უნდა გვკარნახობდეს ეს სიბრძნე, უმთავრესი მაინც უნდა ითქვას. ქართველ კაცს მართლაც აქვს ნაკლი, ბუნებით ნაკლი, ისევე, როგორც ყოველ ადამის ძეს. ნაკლი, რომელიც მისი ქართველური ბუნების ნიშანია. რაც შეეხება „პრეტენზიულ" სურვილს, იგი ჩემი ღრმა რწმენით, ბუნებითი ნაკლი კი არ არის, არამედ ღირსებების წიაღიდან იღებს დასაბამს. როდის იქცევა ნაკლად და უბედურებად. ამაზე უფრო ქვემოთ. მთავარია ჯერ გაირკვეს, საიდან იღებს იგი დასაბამს, საიდან მოდის, რატომ ხდება, რომ გლეხს აზნაურობა უნდა, აზნაურს — თავადობა, თავადს — მეფობა. ხომ ასეა ყველა ქვეყანაში, რატომ იქცა ეს თვისება ჩვენთვის საგანგაშოდ. უკეთესისაკენ სწრაფვა ხომ ადამიანის ზოგადი თვისებაა, რად მიიღო მან ქართველი კაცის სურვილებში „მახინჯი" სახე? ქართველი ხალხი ბევრი ისტორიული წყაროსა და მკვლევართა აზრით ეკუთვნის ღირსებით და პოტენციით გამორჩეულ ხალხებს, ნიჭით, ენერგიით, თვისებებით მდიდარ ხალხებს. უნარი, შესაძლებლობა ქართველ კაცს არ აკლია. პირიქით, „თავზე საყრელად" აქვს. მისი შინაგანი პოტენციიდან მოდის ის „პრეტენზიული" სურვილი უკეთესი მდგომარეობისა და უფრო დიდი სივრცის მოპოვებისა. ასევეა ყველა ნიჭითა და ღირსებით შემკულ სხვა ერებში და აქ ფრთხილი ვარაუდის გამოთქმის უფლება უნდა მივცე თავს.

პრეტენზიულობა ამ სურვილს ჩვენში ასპარეზის მტკივნეულმა შემოზღუდვამ მიანიჭა, ასპარეზის სიპატარავემ. ისტორიულ სინამდვილეს ვერსად გაექცევი — საქართველო მეტისმეტად არასახარბიელო გეოგრაფიულ მდგომარეობაში მოექცია. ეს დანახული და აღიარებული ფაქტია. ამ ენერგიას ზედმეტად შევიწროებულ ასპარეზზე მოუხდა საუკუნეების განმავლობაში ტრიალი. ცალკეულ პიროვნებათა ასპარეზიც შეიბოჭა, რაკი ქვეყანამ მხრები ვერ გაშალა, მისი შვილები აბა, რარიგ გაშლიდნენ მხრებს. ღირსებათა შესაძლებლობები კი მეტ სივრცეს მოითხოვდა და ვერ პოულობდა, თავის საზღვრებში უნდა ჩატეულიყო. თანდათან სურვილი ასე მოინათლა პრეტენზიად, სურვილი, რომელიც ენერგიის წიაღიდან მოდიოდა. როდესაც ასპარეზი მცირეა, ცხადია, ეს სურვილი სხვის სურვილებს ეჯახება და სხვისი შეზღუდვის ფასად ცდილობს მხრების გაშლას. ეს კი თავისთავად გადაიზრდება ქვეყნის დამჭანკვად ბრძოლად, მისი ორგანიზმის დამღრღნელ შეხლა-შემოხლად და სავსებით ბუნებრივი სურვილი ასე მოგვეელინება ნაკლად. იგი ფენომენის სახით წარმოსდგა ჩვენს წინაშე. სწრაფვა გლეხისა აზნაურობისაკენ, აზნაურისა — თავადობისაკენ, თავადისა — მეფობისაკენ უკვე ავადმყოფობად იკითხება და არა ბუნებრივ სურვილად. სხვა ნორმალურ შემთხვევაში ამ სწრაფვამ ქვეყნის საზღვრები უნდა გააფართოოს, ერის ენერგია სიღრმეში და სივრცეში გაშალოს. აქ კი დახშული წრის შიგნით ბრუნვისა და საკუთარი გულის ამოჭმის ფასად ცოცხლობს. ამიტომ იქცა იგი ავადმყოფობად, შემდეგ ეს ავადმყოფობა თვისებად ჩამოყალიბდა. საკუთარი სურვილის ალაგმვა და სხვისი უპირატესობის, თუნდაც აშკარა უპირატესობის, აღიარება ამ თვისების კაცს უკვე უძნელდებოდა, თავს ვეღარ ერეოდა. მუდამ ჰგონია, რომ მას ეკუთვნის პირველობა. ის უნდა იყოს მეთაური, ქვეყნის პატრონი, ქვეყნის მხსნელიც. ჩნდებოდა ასპარეზის სიპატარავის განცდა. თითქოს ყოველი მათგანი უზარმაზარ საქმეს გააკეთებდა, თუ არა ასპარეზის სივიწროვე. ეს კი მეორე უბედურება იყო. განა მართლა ყოველ მეორე კაცს შეუძლია დიდი ტვირთის აწევა. არა, მაგრამ რაკი ასპარეზი ვიწრო იყო, ჩნდებოდა ილუზია, თითქოს შეეძლო. ამიტომაც არის ასპარეზი საჭირო. იგი დასაწყისიდანვე არკვევს ყოველი პიროვნების შე-

საძლებლობებს და თავის ადგილს მიუჩენს. ახლა კი უასპარეზობას ბრალდება ყველაფერი, ყველა პოეტს თავი ბარათაშვილი ჰგონია, ყოველ ქეომარს თავი საკაძედ წარმოუდგენია. ყველა პოტენციური მხედართმთავარია, ერის წინამძღოლი და მხსნელი. და სინამდვილეში შებორკილი ტალანტების მთელი წყება ჩნდება. მართლაც ბევრს არ ხვდება ღირსების შესატყვისი, ენერგიის გასაშლელი ასპარეზი. ლიპარიტ ორბელიანის, ზურაბ ერისთავის, გივი ამილახვარის სახელები რამდენს ამბობენ. მათ მეტ-ნაკლებად მოახერხეს სამსახური გაეწიათ ქვეყნისათვის. მათი შესაძლებლობის ადამიანები კი რამდენი გაცდა სამშობლოს. სხვათა იმპერიების გაძლიერებაში დახარჯული ენერგია შემთხვევითი მოვლენა არ არის. ენერგია სივრცეს და დროს ითხოვს, რაც სამშობლოში არ ეძლეოდა, უცხოეთში ნაზღაურდებოდა. ენერგიის დასაჭურისება წარმოუდგენელია, შეიძლება მხოლოდ საკუთარი სურვილების ალაგმვა, მაგრამ ასეთ მარტვილობას დიდი პოტენციის პიროვნებებს ვერ მოვთხოვთ. აი, ისინიც სხვადასხვა მიზეზით სამშობლოდან მიდიან, ან ნებით ან იძულებით. მთელ ენერგიას სხვისი ქვეყნების გაძლიერებას შეალევენ და შეიძლება ისე დაიხოცონ, სამშობლოსათვის წვეთი სისხლის დაღვრა ვერ მოუხერხდეთ. მათი განსჯაც კი ძნელია. ქვეყანას, რომელიც საჭირო ასპარეზს ვერ უთმობს, სამწუხაროდ, ამის უფლებაც ერთმევა, საყვედური შეუთვალოს გზაგამრუდებული პირმშოების ხსოვნას. ცხადია, თუ კაენის ჯურის კაცთან არა გვაქვს საქმე.

ასეთი „პრეტენზიული“ სურვილებით გაჟღენთილ მიწაზე სხვაგვარი დამოკიდებულების წესი მკვიდრდება. დიდი შვილის ცნობა და მისთვის თავის დახრა ძნელდება. ცნობა იმდენად არა — შუბი ხალთაში არ იმალება! — მაგრამ თავსი მოხრა კი საოცრად ჭირს. რაკი ყველას ჰგონია მეტი მეკუთვნისო, შინაგანად უკმაყოფილოა და დაძაბული. ბედითა და მდგომარეობით უკმაყოფილო კაცს კი სხვისი უპირატესობის გაგონებაც არ უნდა, არათუ აღიარება და თავის მოხრა, კვალში მიყოლა და დიდი მიზნისათვის სამსახური. აქედან იღებს, ჩემი აზრით, დასაბამს დიდ შვილთან ჩვენი დამოკიდებულების წესი და ჩნდება განცდა, თითქოს ისედაც ვიწრო ასპარეზს ის დიდი შვილი გაუმაძღარი მადით ეუფლებოდეს და ითვისებ-

დეს. და კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები ცხადდება: „თუ დიდი კაცი გამოგვერია“... გამძაფრებულია ადამიანური თვისებაც — შური, ისიც ავადმყოფობად იქცევა და ჩვენს ვნებათაღელვას მართავს. ასეა ყოველთვის, როდესაც ქვეყნის ცხოვრება უნდა შეიცვალოს ან გაუმჯობესდეს, სწორედ მაშინ, ეს ვნებები კვეთენ და ფლეთენ ძარღვებს. ჩავლილი ვნებების მიმართ კი ქართველი კაცის კეთილშობილება ხელებგახსნილია, ცდილობს, კუთვნილი პატივი მიაგოს გარდაცვლილს, დიდს — დიდი, მცირეს — მცირე. ამან ათქმევინა აკაკი წერეთელს ის მწარე სიტყვები. სად დნება ეს კეთილშობილება, ღირსება, რომელიც წარსულში დარჩენილ წინაპრებს ევლება თავს. რამოდენა განსხვავებაა ამ ორ პატივისცემას შორის.

ასპარეზის სიპატარავეს კი, უპირველეს ყოვლისა, დიდი შვილი განიცდის. იგი ქვეყნის ყოველი უჯრედის ჩართვას ესწრაფვის აღმავლობის გზაზე, ე. ი. ყველას ინტერესებს ეხება, ყველას საზღვრებში იჭრება მისი იდეების ცხოველმყოფელი ზეგავლენა, ყველაფერი მოძრაობაში მოჰყავს და სურს აქვე, თავის ქვეყანაში, მათზე ზემოქმედების ახალი შესაძლებლობები გამოავლინოს. ეს ცვლილებები კი ეხება იმათ პატივმოყვარეობას, ვისაც ავადმყოფურად წარმოუდგენიათ თავიანთი თავი პირველ კაცად, პირველ სარდლად, პირველ მამულიშვილად. თვით მეფესაც არ აპატიებენ ძირეულ ცვლილებებს, არათუ მათივე რიგებიდან გამოსულ დიდ შვილს. დიდი შვილი კი ისევ და ისევ ქვეყნის ინტერესებისათვის მოვლენილი ძალაა. ის არ იბადება ყოველ წელს და ყოველ დღეს და, როცა ჩნდება, თავისი მისიით, თავისი პროგრამით, თავისი მოწოდებით გამოგვეცხადება. მან ამ მისიას უნდა უერთგულოს, ამ მისიის აღსრულებას შესწიროს მთელი ცხოვრება. მისი ენერგია მთლიანად უნდა დაიხარჯოს მისიის აღსრულებაში. ამგვარად, ხალხს უნდა ჰქონდეს უნარი შვილის დიდობა ცნოს და კი არ დაუპირისპირდეს, გაყვეს მას. ერის ხმა ყოველთვის ზუსტად განსაზღვრავს თავისი შვილის ღირსებებს, მაგრამ იგივე ხალხი კონკრეტულ დროსა და სიტუაციაში ერთეულების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული და გადამწყვეტ წუთებში ვერ ახერხებდა ღირსეული შვილის მხარში ამოდგომას, საქართველოს გამორჩეული შვილები სწორედ დაპირისპირებას ეწირე-

ბოდნენ. უზღვავი ენერგია გაიღო დაპირისპირებულთა დასამარცხებლად დავით აღმაშენებელმა... „პრეტენზიული“ სურვილებით გამოკვებილ ფსიქოლოგიას არ შეეძლო დიდი შვილის უპირატესობას შეგუებოდა, მისი გამყოლი გამხდარიყო.

როდესაც ვნებები კვეთენ ერთმანეთს, ცხადია, დიდ შვილებსაც მოსდით თავის მხრივ შეცდომები. ზოგს მცირე ზოგსაც დიდი. დარწმუნებულნი თავიანთ სიდიდესა და მოწოდებაში, ისინი ზოგჯერ არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ თანამემამულეთა პატივმოყვარეობას. მათ თვალში ეს პატივმოყვარეობა გაუმართლებელი დანაშაულია. საბოლოოდ ეს მართლაც ასეა — პატივმოყვარეობა საშინელი თვისებაა. მხოლოდ პირადი სურვილების კარნახით ცხოვრება მიუტევებელი წესია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმ პატივმოყვარეობის ფესვები არ უნდა ყოფილიყო დავიწყებული. იმ ადამიანთა არსებობაც ხომ უასპარეზობით იყო გატანჯული, მათი შესაძლებლობებიც ხომ ჩაქოლილი იყო, მათაც ხომ მეასედი ეძლეოდა კუთვნილი სივრცისა და დროისა. ისინიც სერიოზული საქმეების საკეთებლად იყვნენ მოწოდებულნი და ისინიც პირველობაზე ოცნებობდნენ. ცხადია, დიდი შვილების ოდენი არ შესწევდათ, მაგრამ პატივმოყვარეობას სერიოზული ანგარიშგასაწევი შესაძლებლობები და ღირსებები კვებავდა და ამ ფესვების დავიწყება არ შეიძლებოდა. ამ ფესვების პატივისცემა აუცილებელი ხდებოდა, რათა ის პატივმოყვარეობა დამშვიდებულიყო და ყოველ მათგანს გაადვილებოდა დიდი პიროვნების დროშის ქვეშ დგომა. მოღვაწენი კი ყველაფერს ამას ვერ ითვალისწინებდნენ და ზოგჯერ გამომწვევადაც იქცეოდნენ: უნდოდათ თავიანთი სახელითა და დიდებით გადაეფარათ იმ პატივმოყვარეობის გუგუნი, მკერდის სიღრმიდან რომ მოდრტვინავდა. მაგრამ მარტოოდენ დიდი სახელი და ენერგია არ კმაროდა ან ვერ ცვლიდა ტაქტს, რაც ასე რთული ხელწერით მართავს ადამიანთა ურთიერთობებს. ადამიანთა ურთიერთობა კი, როგორც ისტორიამ დაგვარწმუნა, უმთავრესი ყოფილა. მარტოოდენ შიშმა ვერ შექმნა სიყვარული, მოწიწება, მორიდება და უმალ დიდი შვილის მოშორებას არჩევდა პატივმოყვარეობის გვამი, ვიდრე საკუთარი სურვილების დათრგუნვას.

ყველა აქ თქმული უკავშირდება დიდი შვილისადმი ჩვენი

დამოკიდებულების წესს, უფრო სწორად, მისი შინაარსი უკავშირდება ყველა დიდ შვილს და მათ შორის გიორგი სააკაძის ფენომენსაც.

საქართველო კი, განაწამები ამ ათასგვარი წინააღმდეგობით, „ათასფერად წამებული“ შვილების ბედით, ქვეყანა, რომლის ისტორიულმა „ავბედითობამ“ დაარღვია ყოველი შემადგენელი ნაწილის ფუნქცია: მეფისა, დიდი შვილისა, თავადისა, აზნაურისა, გლეხისა, რიგითი ადამიანებისა, ეურჩებოდა სრული დისჰარმონიის კანონებს და მოითხოვდა შინაგან წესრიგს. თითქოს საუკუნეთა წუხილი შეაგუბა სიტყვებში ნიკო ლორთქიფანიძემ. ეს სიტყვები უკვე დიდ შვილსაც და უბრალო მოკვდავსაც შეახსენებდა:

„იყიდება საქართველო. მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით, მშვენიერის ენით, ნაქარგი ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცურის ხასიათით, სტუმარ-მოყვარეობით; დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით; ნაამაგევი სახლით და კარით; ლურჯი ზღვით; მოწმენდილ-მოკაშკაშებული ცით; ერით, ბერით; თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით; გონებაგახსნილ ვაჟებით; მალხაზი ბავშვებით; ვერცხლისფერ თმით შემოსილ პატივსადებ მოხუცებით; იყიდება საქართველო დედითა და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით.

ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული“.

საქართველოს მოვლა დიდი შვილების მოვლით იწყება, რადგან მათ ძალუძთ სხვებზე უკეთ ქვეყნის აღორძინება. ისტორია უზღვავი სიბრძნის წყაროა, და საქართველოს ისტორიას სწორედ ამ კუთხით უნდა შევხედოთ... ამ ისტორიის სივრცე გამოცდილებით არის სავსე. საქართველოს წინ უფრო სერიოზული გამოცდა ელის, — კაცობრიობის ცხოვრების ზეგავლენის მასშტაბები არნახულად იზრდება.

გვმართებს სრული გააზრება იმ ზარალისა, რაც საუკუნეების მანძილზე დიდ შვილებთან დაპირისპირებამ მოგვაყენა, გვმართებს „კარგი შვილების“ მხრივ დაშვებული ზოგიერთი შეცდომის შესწავლაც და ურთიერთობის შინაარსის განსაზღვრა. გვმართებს საკუთარი სურვილებისა და გაბერილი პატივ-

მოყვარეობის ალაგმვა და ქვეყნის სამსახურში ერთგულად დგომა, გვმართებს ასპარეზის ახლებური გააზრება და საკუთარი ფუნქციის განსაზღვრა, საქართველოს სულიერ და ფიზიკურ ცხოვრებაში ადგილის პოვნა. იცვლება ასპარეზის ცნებაც ჩვენი დროის შინაარსის წყალობით. ამ ასპარეზზე ქართველი ხალხის ეროვნული ენერგიის სრული გამოვლენისათვის გარდუვალი იქნება შინაგანი დისჰარმონიის დაძლევა, წონასწორობის აღდგენა. წარსულის გამოცდილებამ უნდა გამოაფხიზლოს ქართველი კაცი და რადიკალურად შეცვალოს დამოკიდებულება წესი. ყველაზე მძაფრი მაგალითი ამ მხრივაც გიორგი სააკაძის პიროვნებაა. და უპირველეს ყოვლისა, მან შეძრა ვაჟა-ფშაველას დიდი აზროვნება მამხილებელი სტრიქონების დასაწერად. მის ცხოვრებაში ქარიშხლის სიმძაფრით გმინავდა სინამდვილე, რამაც დაანახვა პოეტს, როგორ აზიანებდა საქართველოს ცხოვრების არტერიას დიდ შვილთან დამოკიდებულების წესი. მან ამ მოვლენაში საგანგაშო თვისება დაინახა ერის სულიერი მდგომარეობისა და ქვეყანას წონასწორობის აღდგენისაკენ მოუწოდა.

II

სააკაძე ირანის საზღვრებამდე მივიდა. აღჯაყალას ციხეში ცოლ-შვილი დატოვა, თვითონ კი ნუგზარ ერისთავთან ერთად შაჰს ეახლა. შაჰი დიდი სიხარულით შეეგება ლტოლვილებს. იმარჯვებდა მისი პოლიტიკა — უკეთესს იგი, ალბათ, ვერც ინატრებდა. ქართლის იმედი, პირველი სარდალი, თავისი ფეხით მიუვიდა. ადრე შაჰმა არაერთი მამულიშვილი წაართვა ქართლკახეთს. ზოგი თვითონ გაიწვია სამსახურში, ზოგიც ინტრიგების წყალობით გაანადგურა. სახელოვანი სარდლებისაგან განტვირთული ქვეყანა, ცხადია, უფრო მორჩილი იქნებოდა. ამჯერად თვითონ ქართველები დაეხმარნენ მას. ტაშისკარის ომის ავტორი სამშობლოდან გააქციეს და აიძულეს თავშესაფარი ეძებნა სადმე. სააკაძემ ირანის შაჰის კარზე მისვლა უფრო გონივრულად ჩათვალა. მართლაც არ ჩანდა უკეთესი გზა. სააკაძეს მარტოოდენ თავშესაფრის პოვნა როდი აინტერესებდა. იგი თავისი მიზნების აღსრულებისათვის გამოსადეგ გზებს

ეძებდა, ამავე დროს, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების არეალი კარნახობდა, რომ უკეთესი საშუალება ირანს წასვლა იყო. მშვენივრად აქვს ახსნილი ეს ნაბიჯი აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს: „გავლენიანი ქართველების მომხრობა საუკეთესო საშუალება იყო თეიმურაზისა და ლუარსაბის სიმტკიცის გასატეხად და მათ დასამორჩილებლად. სააკაძეს კი შაჰის ძალის გამოყენება თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების გასატეხად ჰსურდა“. საქართველოს დიდი წარსული მრავალი მაგალითით კვებავდა გამოცდილებას. გარეშე ძალებზე დაყრდნობა ჩვეულებრივი, ან უფრო სწორად, მთავარი გზა იყო საქართველოს ისტორიისა.

რაკი სააკაძე გადარჩა და ირანში წავიდა, ქართლში მისი მტრებისათვის ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ ხვალ თუ ზეგ დიდი განსაცდელი ელოდათ მათ მიერ სასიკვდილოდ განწირული დიდი მოურავისაგან. უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ გიორგი სააკაძე შაჰის ძალებს გამოიყენებდა მათ ასალაგმავად. ამიტომ აღარ რჩებოდათ უკან დასახევი გზა და შეეცადნენ ხალხი სააკაძის მოღალატეობაში დაერწმუნებინათ და ბოლომდე გაეტეხათ მისთვის სახელი. ახლა მშვენიერი საბაბი ჰქონდათ ხელთ: სააკაძე შაჰის კარზე მსახურობდა და ამ ფაქტის გაზვიადება არ გაუჭირდებოდათ. მეორეს მხრივ, მათ წინაშე დადგა ამოცანა მოეგოთ შაჰის გული, დაემტკიცებინათ მისთვის თავიანთი ერთგულება, რათა შაჰს ყურად არ ელო სააკაძის თხოვნა და არ გაეჭლიტა ისინი. ეს გახლავთ სავსებით ბუნებრივი განვითარება მოვლენებისა, რამდენადაც სააკაძესთან შერიგების შესაძლებლობა, მათი რწმენით, გამორიცხული იყო. შემდეგ მით უფრო მეტი საშუალება მიეცათ სააკაძის სახელის გასატეხად, როცა ქართლ-კახეთში ლაშქრობის დროს იგი თან იახლა შაჰ აბასმა. ახლა ხალხი შაჰის გვერდით ხედავდა სააკაძეს.

სააკაძეზე მიწერილი ცოდვების სიმძიმე კი შემდეგ წარმოუდგენლად გაიზარდა. მოგონილმა და ნამდვილმა თითქოს დაკარგეს თავიანთი კვალი. აგერ აქამდე გაისმის არასასიამოვნო მითქმა-მოთქმა, რაც ხან საშინელ ბრალდებაში გადაიზრდება, ხანაც ჩვენ შეხედულებებს ამღვრევს და აშუშუყიანებს.

სააკაძის პოლიტიკური მტრების თავდაუზოგავ მუშაობას დიდი მოურავის სახელის გასატეხად შედეგიც მოჰყვა. წყარო-

ებსა და ისტორიულ შრომებში გამოითქვა ერთმანეთის გამომრიცხავი შეხედულებები და ამიტომაც ხდება დღეს აუცილებელი კიდევ ერთხელ ვცადოთ სინამდვილეში გარკვევა.

ბერი ეგნატაშვილი, ვინც ბევრ კარგ სიტყვას ამბობს სააკაძეზე, წავკისის ტრაგედიასთან დაკავშირებით ერთ ასეთ ფრაზას გვაწვდის: „და რაც ოდენ ამას ქვემოთ წერილ არს, მოთხრა სახლისა მეფისა და აოხრება საქართველოსი, ყოველივე სიტყვისა ბააკასითა იქმნა". ე. ი. ლუარსაბის დაღუპვა და საქართველოს აოხრება მოჰყვა იმას, რომ ბააკამ სააკაძე გადაარჩინა. ე. ი. გადარჩენილმა სააკაძემ შეაგულიანა შაჰი და ააოხრებინა მთლად საქართველო. სხვა შინაარსი, როგორც ვხედავთ, ამ სიტყვებს არა აქვს. ერთის მხრივ, ბერი ეგნატაშვილის აზრით, „დაასკუნეს რა საქმე ესე, არა დაფარა ღმერთმან საქმე ესე, არამედ იხსნა მეფე ლუარსაბ უბრალო კაცის სიკვდილისაგან და სისხლისაგან; და მივიდა მოურავთანა ფარეშითუხუცესი ხერხეულიძე ბააკა და გაამჟღავნა მეფე". ე. ი. ბერი ეგნატაშვილი დიდ შეცდომად თვლის სააკაძის მოკვლის განზრახვას და უბრალო კაცის სისხლისაგან გადარჩენილად მიიჩნევს ლუარსაბ მეფეს. მეორეს მხრივ, თურმე სწორედ იმას დაუღუპავს საქართველო და მეფე, რომ ბააკამ საიდუმლო გასცა და სააკაძე ცოცხალი გადარჩა. გასაგებია, რომ ბერი ეგნატაშვილი წავკისის ტრაგედიამდე მიიჩნევს სააკაძეს უდანაშაულოდ. ხოლო შემდეგ შეთქმულებაზე განრისხებული დიდი მოურავი მის თვალში უკვე გზასაცდენილი ქვეყნის შვილია, ვინც შურისძიების მიზნით „აზრახებდა შაჰს ქართლის დაპყრობას" და მთელი აღმოსავლეთ საქართველოს აოხრების მიზეზად იქცა. კახეთის მოსახლეობის ორი მესამედი დახოცა ან გადაასახლა შაჰმა, ბევრი ავნო ქართლსაც, ეს უმძიმესი ცოდვაა, თუ იგი მართლა სააკაძეს აწევს ცოდვად. მაგრამ რამდენიმე აბზაცის შემდეგ ბერი ეგნატაშვილი არბილებს თავის შეხედულებას: „მაშინ მოურავი დაჰპირდა ქართლის დაჭერასა და კახეთისასა, და თვითონაც უნდოდა შააბასს და დართო ნება შააბაზ წამოსვლისა". დავაკვირდეთ ამ ფრაზას — „თვითონაც უნდოდა შააბას".

კიდევ რა ბრალდება ირანში ჩასულ სააკაძეს ქართველების მხრივ: — „პირველ ერჩივა თურმე მოურავს შააბაზ ყეენი-

სათვის ესრეთ ვითარმედ: „ქართლში ზამთარ მიდიო, ხიზანი. მთაში ვერ შევაო და რასაც გინდა, იქო, და თუმცა მთაში შევიდენო, თოვლი და სიცივე ამოსწყვეტს“ (ბერი ეგნატაშვილი). კიდევ: „მაშინ მოურავი დიდხანს ახლდა შაბაზს გვერდსა და მრავალ ემსახურებინა მოურავსა და დაანდო გული და წყალობაც მრავალი ექნა, იცოდა, რომ მოურავმა ჩემს იქით არა იცის რაო“ (ბერი ეგნატაშვილი).

„და მიერითგან აზრახებდა ყაენსა მოურავი დაპყრობად ქართლისად. არამედ მას, ვინაითგან გულად ედვა დაპყრობა და გამაჰმადიანება ქართლისა, განუტევა ნუგზარი ნიჭითა და მოურავი დაიპყრა მუნ ჟამამდე“.

ან კიდევ:

„ხოლო ყეენმან განიგულა საქმე მათი შეუძნდა განდგომილებისათვის ქართლისა, მოუწოდა მოურავსა და ზურაბს, ვინაიდგან მოურავი სახელოვანი იქმნა მის წინაშე ბრძოლათა შინა და იახლა ბაღდადს და ყანდაარს, ამისთვის სწყალობდა და უსმენდა. ამათ წარმოატანა ყარჩიხა-ხან სპით-დიდითა და ამცნო, რათა მოწყვიტონ კახეთი და აჰყარონ ქართლი და წარუგზავნონ მას“ (ვახუშტი ბაგრატიონი).

უფრო ადრინდელ მოვლენებზე ვახუშტი წერს:

„ამისი მსმენელი თეიმურაზ და კახნი იუწყებდნენ ზაკუასა შაბაზისასა, რამეთუ ნებავს მოსვრა მათი და მოოხრება კახეთისა. ამისთვის ეზრახა თეიმურაზ მეფესა ლუარსაბს, რათა შეეწიოს: „ვინაითგან სწადს მოოხრება საქართველოსი, იხილე, რამეთუ მტერი შენი მოურავი არს მის თანა, რომელსაც მოჰყავს ყეენი მტრად შენდაცა“.

პლატონ იოსელიანი:

1. „თავადმა გიორგი სააკაძემ და ნუგზარ ერისთავმა შესჩივლეს შაჰს მეფე ლუარსაბსა და მის სამეფოზე და გაუმჟღავნეს ქართველ მეფეთა საიდუმლო მიმოწერა რუსეთთან“.

2. „ქართლში მეფე ლუარსაბმა, შაჰისა და განსაკუთრებით გიორგი სააკაძის მოქმედებით შეშინებულმა ჯარი შეკრიბა და დაბა მუკუზანთან მდინარე იორის მარცხენა ნაპირის მთელ ხაზზე თავი მოუყარა. აქ ქართლის მეფე ლუარსაბმა და კახეთის მეფე თეიმურაზმა კახეთისაკენ ტყე-ტყე მიმავალი ერთადერთი გზა ჩახერგეს. ომისათვის ქართველ მეფეთა მზადებამ

შეაშინა შაჰ აბასი; შეძრწუნებულმა შაჰმა გიორგი სააკაძეს მიმართა. მამაცი და თადარიგიანი სარდალი დაემხო შაჰის წინაშე და მოახსენა: მეფევ, კისრად ვიღებ სამ დღეში თქვენს აქედან გაყვანასო. გიორგი სააკაძემ გვერდი აუარა ჩახერგილ გზას და შაჰის მთელი ქვეითი ჯარი ტყისა და მთის გავლით გაიყვანა კახეთში და სიღნაღთან გაჩნდა. მოურავის ასეთი მოულოდნელი მოქმედებით შეშინებულმა ქართველთა ჯარმა მიატოვა ჩახერგილი გზა და შაჰმაც შეუფერხებლად გაატარა ჯარი სააკაძის ჯართან შესაერთებლად".

3. „ვახუშტის ცნობით, ნუგზარ არაგვის ერისთავი, იესე ქსნის ერისთავი, ანდუყაფარ ამილახვარი, ფეშანგი ფალავანდიშვილი და აღათანგ ხერხეულიძე, გიორგი სააკაძის მიერ წაქეზებულნი, თავიანთი რაზმებით, განჯაში შაჰთან გამოცხადდნენ და მორჩილებით აღუთქვეს ქართლის მეფის წინააღმდეგ სამსახური. ამან ძირი გამოუთხარა ხალხის სულისკვეთებას, მის მზადყოფნას. ქართლის მეფეებს წარმატების იმედი გაუქარწყლდათ და მოისპო საქართველოს გადარჩენის ყოველი საშუალება".

შარდენი (იგი იმეორებს არაქელ თავრიზელის მოსაზრებას):

„შაჰაბასმა მერავის (მოურავის) მეთაურობით შეაღწია ამ ქვეყანაში, ქართველთა მიერ გაზრდილი ჯარით, რომელთა რიცხვიც დღითიდღე იზრდებოდა".

აი, თითქმის ყველა ის ცნობა, რომლებიც კახეთსა და ქართლში შაჰ აბასის შემოსევების პერიოდს ეხება სააკაძესთან დაკავშირებით.

მათ შორის ყველაზე მძიმე მაინც ბერი ეგნატაშვილის ზემოთ მოტანილი სიტყვებია, რომელთა შინაარსი კახეთის აყრა-გადასახლების მიზეზად სააკაძეს გულისხმობს. მართალია, თვითონ ბერი ეგნატაშვილი, სხვა ადგილას, როგორც დავინახეთ, ცვლის ამ ცნობის რადიკალურ შინაარსს და გვეუბნება, შაჰს სურდა ფარულად ქართლ-კახეთის აყრა და ამიტომ დაეთანხმა სააკაძესო.

ასე ძლიერი იყო ზეგავლენა სააკაძის მოწინააღმდეგე პოლიტიკური დასისა საზოგადოებრივ აზრზე. ამოდენა ბრალდება დაუკავშირეს მათ სააკაძის სახელს და შემდგომ შთამომავლო-

ბას, ქართველ ისტორიკოსებს, მწერლებს თავაუღებელი შრომა დასჭირდათ ამ ბრალდების შეცნობა-გაშიფვრისათვის.

სააკაძის პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა, რომელთა ზეგავლენის კვალი ასე საგრძნობია ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტის, აგრეთვე სხვათა ცნობებში, შეძლეს დაეეჭვებინათ ქართველი ხალხის ერთი ნაწილი. თუმცა ერის ხმა არ ემორჩილებოდა მათ განწყობილებას და არ ირწმუნებოდა სააკაძის ღალატს. მაგრამ პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა, იმ მიზნით, რომ ჩირქი მოეცხოთ სააკაძისათვის, განუზომლად გაზარდეს მოურავსი როლი და ადგილი ირანის ისტორიაში. საქმე ისე წარმოადგინეს, თითქოს ირანის იმპერიის უდიდესი მპყრობელი, შაჰ აბასი, სააკაძის სურვილისა და გუნება-განწყობილების მიხედვით გეგმავდა ლაშქრობებს, მიზნად ისახავდა ამა თუ იმ ქვეყნის დაპყრობას, ქართლ-კახეთის აყრას, გადასახლებას და აქ მუსულმანური ტომების დაფუძნებას. ერთი სიტყვით, ისე გამოდის, თითქოს შაჰი სუსტი მეფეა, ყური სააკაძისათვის მიუპყრია და რასაც იტყვის, იმას აკეთებს. თითქოს სააკაძე მართავდა შაჰის სასახლის პოლიტიკას. ამ ბრალდებებიდან სხვა დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. რაკი მარტყოფისა და მარაბდის ომები მოხდა, ისიც უნდა დავსძინოთ, რომ სააკაძეს ერთი ხელის დაკვრით ძალუძს ისტორიის ჩარხის შემოტრიალება. ოღონდ სააკაძემ ისურვოს, ოღონდ მან მოიფიქროს! მაგრამ ბერი ეგნატაშვილმა და ვახუშტი ბაგრატიონმა მშვენივრად იციან, რომ ეს ასე არ შეიძლება ყოფილიყო, იციან, ვინ არის შაჰ აბასი და ამდენად მოვალედ თვლიან თავს, აღნიშნონ, რომ შაჰ აბასს ჰქონდა მიზნად „მოოხრება საქართველოსი“ და სააკაძე გამოიყენაო. მაინც აშკარად ჩანს, რომ მათზე მოქმედებდა საზოგადოებრივი აზრის დიდი წნევა, აზრისა, რასაც სააკაძის პოლიტიკური მტრები ავრცელებდნენ და მათაც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სააკაძე „აზრახებდა დღენიადაგ“ კახეთის დაპყრობასო.

შაჰ აბასი მასთან თავშეფარებული უამრავი დევნილის რჩევითა და გუნება-განწყობილებით რომ არ მართავდა თავის პოლიტიკას, ამის გასათვალისწინებლად საჭირო ხდება ქრესტომათიული სიტყვებით მაინც დავახასიათოთ მისი პიროვნება. შაჰ აბასი ისტორიაში ცნობილია, როგორც „უაღრესად ენერ-

გიული ადამიანი, დიდი სახელმწიფო მოღვაწე, შესანიშნავი დიპლომატი და დიდი სარდალი". მას ირანის ლომს უწოდებენ და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დარიოსის შემდეგ სპარსეთს ამოდენა მეფე არ ჰყოლია. მან მოახდინა მმართველობის ძირეული რეფორმაცია, ალაგმა ფეოდალური არისტოკრატიის თავგასულობა, აწარმოა დიდი აღმშენებლობითი საქმიანობა. მან, რაც მთავარია, გაატარა სამხედრო რეფორმა, შექმნა კარგად გაწვრთნილი ლაშქარი, შაჰისევანი („შაჰის მეგობარი"), აგრეთვე ღულამთა („შაჰის მონები)" ჯარი. აქცია ირანი, ცენტრალიზებულ ძლიერ სახელმწიფოდ.

აღსანიშნავია მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარე შაჰ-აბასის მოღვაწეობისა. ეს არის სიძულვილი ოსმალეთისა და განსაკუთრებით ამიერკავკასიის ქრისტიანული მოსახლეობისადმი. მისმა ბრძოლებმა უდიდესი განადგურება და გაჩანაგება მოუტანა ამიერკავკასიისა და ყველაზე მეტად საქართველოს მოსახლეობას. მან მიზნად დაისახა ქართლ-კახეთის სამეფოების აღგვა პირისაგან მიწისა და მისი მოსახლეობის მთლიანი ამოწყვეტა"— (გივი ჯამბურია).

ამ საშინელ განაზრახს, ისტორიკოსთა აზრით, ჰქონდა რამდენიმე მიზეზი. უპირველეს ყოვლისა, შაჰს სურდა მუსულმანურ სახანოებად ექცია ქართლ-კახეთი, ე. ი. ქვეყნის ჩრდილოეთით, კავკასიონის მისადგომებთან, მუსულმანური რელიგიის მატარებელი ხალხი ჰყოლოდა დასახლებული. ეს შეუქმნიდა ირანს ჩრდილოელი დიდი მეზობლის — რუსეთისაგან უსაფრთხოების გარანტიას. იგი ამით ხელთ იგდებდა კავკასიის მისადგომებს, გადასასვლელებს და განამტკიცებდა ირანის პოლიტიკურ ძლიერებას. საგულისხმოა, რომ შაჰს აცოფებდა რუსეთთან ქართლ-კახეთის, განსაკუთრებით კახეთის მეფეების ურთიერთობა, დელეგაციების სისტემატური გაგზავნა. მართალია, რუსეთის პრობლემა ნომერ პირველი არ იყო ირანისათვის იმ დროს, მაგრამ იგი ისეთი შორსმჭვრეტელი მეფის თვალში, როგორიც იყო შაჰი, ცხადია, გამუდმებულ სიფრთხილეს მოითხოვდა და დროზე გადაწყვეტას. გარდა ამისა, შაჰს სურდა თავისი არმია სწორედ ქართველებითა და სომხებით დაეკომპლექტებინა. ამისთვის კი საჭირო ხდებოდა, ირანში გადაესახლებინა ისინი, გაეთათრებინა და თავის ერთგულ ხალხად ექ-

ცია. შაჰი-სევანისა და ღულამთა რაზმებში სწორედ ქართველური და სომხური წარმოშობის მეომრები ირიცხებოდნენ უმეტესად. მათი მებრძოლური თვისებები შაჰმა კარგად იცოდა. ამასთან, ქართლი და კახეთი, თუ მათ ხელს არ ახლებდა, თავად იყო პოტენციური მეტოქე ირანისა. არაერთხელ იწვნია ირანმა ქართული ხმლის სიმკვეთრე. ქართველებისა და სომხების გადასახლება შაჰ აბასს ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისათვისაც აინტერესებდა, საქარავნო გზების გასწვრივ ცდილობდა მათ დასახლებას. ამასთან ქრისტიანობის მოსპობა ამიერკავკასიაში მისი პოლიტიკური ამოცანა იყო.

ასეთი მიზანი ჰქონდა ირანის უდიდეს მეფეს, ვინც ერთადერთი თავისი ჭკუითა და გონებით წყვეტდა პრობლემებს და არავის და არაფერს არ ენდობოდა. იქნებ ყველას კითხავდა რჩევას, მაგრამ გადაწყვეტით თავად წყვეტდა. არც სომეხი მოსახლეობა აუყრია შაჰს სომეხი ლტოლვილების რჩევით და არც კახეთი — სააკაძის „აზრახებით“. ამ მოსაზრების დაჯერება გულუბრყვილობაა, შეგნებულად სააკაძის როლის გაზვიადებას გულისხმობს ირანის კარზე, ან წმინდაწყლის მიამიტობა და პროვინციალიზმია, როდესაც გვეჩვენება, რომ ქართველი სასწაულებს ახდენს სხვის კარზე, იგია ყველაფერი და ასეთი შვილების პატრონი ვართ. ჩვენ! ეს უხერხულობა იგრძნეს ბერი ეგნატაშვილმა და ვახუშტი ბაგრატიონმა და აღიარეს, რომ შაჰს სააკაძისაგან დამოუკიდებლივ „ედვა გულს“ ქართლ-კახეთის აყრა და გაუწიეს რა ანგარიში მოურავის პოლიტიკური მტრების მიერ გავრცელებულ ხმებს, გიორგი სააკაძე შაჰის ვერაგული განზრახვის თანამონაწილედ მაინც გამოიყვანეს.

კახეთის დაქცევისათვის რა პასუხი მიიღო შაჰმა მარტყოფის ომში, ეს დღე ყველასათვის ცნობილია, მაგრამ აქ ერთი რამ არის საგულისხმო. სააკაძე ამ სოფლიდან კიდევაც რომ წასულიყო ისე, რომ თავისი ქვეყანა ვერ ეხსნა, ჩვენ, შთამომავლებს, მაინც არ გვქონდა უფლება მისი ღალატი დაგვეჯერებინა და ქართლ-კახეთის აოხრება მისთვის დაგვებრალებინა. იმიტომ, რომ საქართველოში სააკაძეს დარჩა დიდი საქმეები. მხედველობაში მაქვს სხერტის ჭალა და ტაშისკარი. უკვე მოგებული ჰქონდა ისეთი მასშტაბის ბრძოლა, რისი მსგავსიც ვერც

მოწინააღმდეგე დასმა გადაიხადა და ვერც ლუარსაბ მეფემ. ამავე დროს დღეს ისტორიისათვის ნათელია, რომ ირანის პოლიტიკას მართავდა შაჰი და არა რომელიმე მასთან თავშეფარებული პიროვნება. ქვეყნების აყრა-გადასახლებას შაჰი არავის კითხავდა. ეს ურთულესი და უდიდესი მოვლენა იყო და იგი მხოლოდ შაჰის ნებით წყდებოდა. ე. ი. ტაშისკარის ომი კიდევაც რომ არ გადაეხადა სააკაძეს, მის პიროვნებაში ეჭვის შეტანის უფლება ჩვენ მაინც არა გვაქვს.

მაგრამ, ნუთუ მთლად უსაფუძვლო იყო პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიერ დარხეული ხმები? რა თქმა უნდა, არა. უნდა ვივარაუდოთ, რომ გიორგი სააკაძემ მართლაც შესთავაზა შაჰ აბასს ქართლისა და კახეთის დაპყრობა. ალბათ, უფრო ქართლისა, რამდენადაც მას წინააღმდეგობა სწორედ ქართლის მეფესთან ჰქონდა. პოლიტიკა მოითხოვდა ასე. უცნაურიც კია ირანში ჩასული სააკაძისაგან კრავივით უწყინარობა მოვითხოვოთ. სააკაძე ქვეყნის მოღონიერების, ციხე-სიმაგრეების შენების, ოსებისა და დვალების დამორჩილების, სამეფოს ცენტრალიზაციაზე ზრუნვის, სხერტის ჭალის ბრძოლისა და ტაშისკარის ომის მოგების პასუხად სასიკვდილოდ გაიმეტეს, სახლ-კარი დაუნგრიეს, დედა იმერეთში გადაუხვეწეს, თვითონ შეურაცხყვეს, და სასახლიდან გამოუგდეს, უგზო-უკვლოდ დაუკარგეს. უცნაურობას ჰგავს ასე გამეტებული სააკაძისაგან კრავივით უწყინარობა მოვითხოვოთ! ცხადზე ცხადი უნდა იყოს, რომ სააკაძე ამის შემდეგ ლუარსაბს არ დაინდობს — ყველაფერი მაინც ლუარსაბის ბრალია. სახელდობრ მან ვერ შეძლო ის, რაც მისმა წინაპრებმა შეძლეს. დიდგვაროვნების ალაგმვით და სააკაძის დასზე დაყრდნობით ქვეყნის გაძლიერება-გაერთიანების გზა უნდა აერჩია ლუარსაბ II. იგი პირიქით მოიქცა. ასეთ მეფეს კი, მტერს, ფიცის გამტეხს, სააკაძე, ცხადია, დაუპირისპირდებოდა. ნათელი უნდა იყოს, რომ იგი ეცდებოდა შაჰ აბასის ძალები ლუარსაბისა და მოწინააღმდეგე დასის წინააღმდეგ გამოეყენებინა.

წავკისის ტრაგედიის შემდგომ, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე სააკაძე სწორედ მეფეს ეძებს. ქართლის ტახტისათვის, ქართლ-კახეთის ტახტისათვის, ბოლოს ქართლ-იმერეთ-კახეთის ტახტისათვის! საგულისხმოა, რომ ირანში ხოსრო მირზა აღა-

ზევა, დაუდხანის შვილი. ხოსრო მირზა სანახევროდ მის ბედში მყოფი კაცია, მაგრამ ამ ნიშნის გამო არ აურჩევია იგი სააკაძეს. მისი ვაჟკაცური ბუნება და გამჭრიახი ჭკუა შეამჩნია. ამ კაცის დაპირისპირება სურდა სააკაძეს ლუარსაბისათვის. მაგრამ მხოლოდ ირანში ჩასვლის შემდეგ ხდება ეს. მანამ კი იგი ლუარსაბის უსაზღვროდ ერთგულია, დამოყვრებით განამტკიცა ეს ერთგულება. მიზანი თითქოს ახლოს იყო, — იწყებოდა ქართლის აღორძინების ხანა. მაგრამ „მალემრწმენმა" მეფემ, ვერ შეძლო სწორად შეეფასებინა ძალები და რეფორმაცია მოეხდინა. იგი გადაიბირა დიდგვაროვანთა ინსტიტუტმა და ახლა ლუარსაბი, გუშინდელი სიძე, უდიდესი და დაუნდობელი მტერია სააკაძისა. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. და ამას კი ნამდვილად „აზრახებდა" ალბათ მოურავი შაჰს. ჯარს სთხოვდა ლუარსაბისა და მოწინააღმდეგე დასის გასანადგურებლად. ამიტომ ჰპირდებოდა შაჰს ქართლის დაპყრობას (და არა კახეთისას!!!), შაჰს კი „გულად ედვა" კახეთის (ჯერ კახეთის!!!) და ქართლის აყრა და ჯარი ამ მიზნით შემოიყვანა საქართველოში. გიორგი სააკაძეს, ცხადია, არ შეიძლებოდა ეს ცოდნოდა. გარკვეულ დრომდე ეს ალაჰისა და შაჰის მეტმა არავინ იცოდა. შაჰი ტიკინა როდი იყო სხვის ხელში სათამაშო, იგი თვითონ ათამაშებდა მეფეებს თავის ნებაზე, თავისი დიპლომატიის ნებაზე. სწორად ამახვილებს ამაზე ყურადღებას ანტონ ფურცელაძე და ყველა საქმეში ჩახედული კაცი მიდის ამ დასკვნამდე.

ამიტომ, სააკაძის თხოვნა და შაჰის განზრახვა მხოლოდ გარეგნულად ემთხვევა ერთმანეთს. ქართლში შაჰ აბასის ჯარი უნდა შემოვიდეს, მაგრამ სააკაძის აზრით, ლუარსაბისა და პოლიტიკური მტრების გასადევნად, შაჰის მიზანი ქართლ-კახეთის აყრაა.

სააკაძის თხოვნას, მის მრისხანებას, მის მიზნებს რომ არაფრად აგდებდა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ შაჰმა ჯარი არ მისცა სააკაძეს. სააკაძე 1612 წელს ჩავიდა ირანში. შაჰმა კი თავისი პირველი ლაშქრობა კახეთში 1614 წელს მოაწყო — ორი წლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ზავი დადო ოსმალეთთან (1613 წ.) და ქართლ-კახეთისათვის მოიცალა.

კიდევ ის არის საგულისხმო, რომ ისქანდერ მუნში — შაჰ აბას პირველის კარის ისტორიკოსი—მარტყოფის ომამდე მხო-

ლოდ ერთხელ ახსენებს სააკაძეს (სიმონ-ხანის ქართლის მეფედ დანიშვნასა და მეურვედ სააკაძის მიჩენა მაქვს მხედველობაში).

ისქანდერ მუნშის ცნობები სანდო წყაროდ არის მიჩნეული, მას დიდ ანგარიშს უწევს არა მარტო ირანის, არამედ ქართული ისტორიოგრაფიაც. ისქანდერ მუნში შემთხვევას არ უშვებს, რომ არ ლანძღოს გიორგი სააკაძე, შაჰისადმი მისი უმადურობა არ ამხილოს მარტყოფის აჯანყებასთან დაკავშირებით. ყველაფერს დიდ მოურავს აბრალებს — მარტყოფის ომის გამო მთელი ირანის იმპერიაში ატეხილ შფოთს, ირანის ჯარების გაწყვეტას. მოვიტან რამდენიმე ცნობას:

„მაგრამ ბედმა ბევრი მტერი აჯანყებისა აყარა ადამიანებს და ბევრი სისხლი დაღვარა და „დამცირების მიწას აურია". უპირველესად მოსახსენებელია ჯანყი და შფოთი, რომელიც ბედკრული, დაკარგული მოურავ ქართველის უმადურობისა და აჯანყებისა და ამბოხების გამო ატყდა. უდიდესი შედეგი მოჰყვა მას და დიდი ზარალი და ვნება შეხვდა და ხვდება ახლაც ხალხს...",

„ბედკრულმა მოურავმა ურჯულოთა ერთი რაზმი ციხესთან დატოვა და თვითონ ქართველთა ჯარით ყარაბაღს გაემართა და ქალაქ განჯამდე მივიდა".

„ბედუკუღმართი მოურავი, განჯა და მხარე სრულებით რომ გაანადგურა, თბილისისაკენ გაეჩქარა, რათა თბილისის ციხე ჩაეგდო ხელში".

„ყარჩიღაი-ხანი, რომელიც, როგორც მოხსენებულ იქნა, საქართველოში უმადური მოურავის საღალატო მახვილით მოიკლა და მოწამებრივი სიკვდილით ხარისხი მოიპოვა".

ძალზე ბევრს მეტყველებს ის ფაქტი, რომ ისქანდერ მუნში, ვინც სალანძღავ სიტყვებს არ იშურებს ირანის არმიის შემმუსვრელი სააკაძის მიმართ, მარტყოფის აჯანყებამდე არც ავად ახსენებს დიდ მოურავს და არც კარგად. თუ დავაკვირდებით ამ ცნობებს, დავრწმუნდებით, რომ ირანის მიერ ყოველ კუთხივ წარმოებულ უამრავ ლაშქრობაში 1612 წლის შემდეგ სააკაძე არ ღებულობს მონაწილეობას როგორც სარდალი. როგორც სარდალი იგი არ იხსენიება ისქანდერ მუნშთან არც ერთი საბრძოლო ოპერაციის ხელმძღვანელად. სამაგიეროდ,

დასახელებულია სხვა სარდლები, მთავარსარდლები, ვინც ამ ბრძოლებს ხელმძღვანელობდნენ. ყანდაარისა და ბაღდადის ბრძოლებში თუნდაც გმირული მონაწილეობა ისტორიკოსისათვის მაინც არ ნიშნავს რაიმეს საყურადღებოს. ეს მეომრული ღირსებების დადასტურებაა და არა საომარი ოპერაციის სათავეში ყოფნა. მან სახელი გაითქვა როგორც მეომარმა და არა როგორც მხედართმთავარმა. მეტიც, იგი სარდლადაც არ იხსენიება.

სააკაძე, როგორც ჩანს (თუმცა ისქანდერ მუნში არსად არ ახსენებს), ქართლ-კახეთის ლაშქრობებში ახლდა შაჰს, მაგრამ ერთია ხლება, სხვა არის მხედართმთავრობა, წინამძღოლობა. არსად ისქანდერ მუნშის ცნობებში ამ წინამძღოლობის კვალი არ ჩანს. და რატომ დაფარავდა ისქანდერ მუნში ამ კვალს, თუ იგი არ მალავს ხოსრო მირზას მონაწილეობას ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლებში, მიუხედავად იმისა, რომ ისიც ქართველი იყო. იგი ხომ შემთხვევას არ უშვებს, კახეთის აოხრება შაჰს კი არა, თეიმურაზ I გადააბრალოს, მის „უმეცრებას“, სიჯიუტეს, შაჰისათვის გაწეულ უგნურ წინააღმდეგობას მიაწეროს ირანის ლომის განრისხება და კახეთის მოსახლეობის გაჟლეტა. სააკაძე ყველაზე მეტად საძულველი გახდა მარტყოფის ომის შემდგომ ირანისათვის. ბედკრულ, ბედშავ, უკუღმართ, უმადურ კაცს უწოდებს ისქანდერ მუნში. და განა გაუშვებდა შესაძლებლობას, რომ კახეთის აოხრება 1615—1617 წლებში სააკაძისათვის მიეწერა, მისთვის დაებრალებინა, ეთქვა, რომ იგი „აზრახებდა“ შაჰს, თორემ „უავგუსტოეს“ შაჰს არ უნდოდა კახელების აყრა-გადასახლება? წარმოუდგენელია ასეთი საშუალება არ გამოეყენებინა ისქანდერ მუნშს. მაგრამ არარსებულს ხომ ვერ გამოიგონებდა. და ვისთვის, თუ არა ისქანდერ მუნშისათვის, ვისთვის შეიძლებოდა უკეთ ყოფილიყო ცნობილი საქმის შინაარსი, თუ ვის დაეთათბირა შაჰი, ვისი რჩევითა და ვისი სურვილით გადაწყვიტა ჯერ კახეთის, ხოლო შემდეგ ქართლის აყრა. მსგავს ფაქტს ადგილი რომ ჰქონოდა, ხომ უმალ ბრალდებად წაუყენებდა ისქანდერ მუნში „ბედუკუღმართ“ გიორგი სააკაძეს. უთუოდ იტყოდა, ცალკე თეიმურაზის სიჯიუტისა და ცალკე სააკაძის დაჟინებული რჩევის გამო შეეწირა ეს ხალხი ყიზილ-

ბაშთა მახვილსო. თეიმურაზს ისქანდერ მუნში მართლაც არ ინდობს. ვინ იცის, რამდენჯერ აღნიშნავს საგანგებოდ, რომ კახეთის უბედურება „უგნური“ თეიმურაზის ბრალია, მან გააცოფა შაჰიო. ქვემოთ მოგვიწევს შეჩერება იმაზე, მართლაც თეიმურაზის ბრალი იყო კახეთის აყრა თუ შაჰ აბასის ტოტალური პოლიტიკის ნაყოფი. ჯერჯერობით კი ისქანდერ მუნშის ბრალდებები მოვისმინოთ თეიმურაზის მისამართით:

„იმდენი იძვრინეს თავი, რომ მაზანდარანში უკვე დათბა, გაზაფხული და ნადირობის დრო გავიდა ღ- მისი უდიდებულესობა შაჰიც იმ ვილაეთიდან წამოვიდა. ხსენებული ჯილავდარი ხელცარიელი გამოაბრუნეს საქართველოდან და შაჰის კარზე არ მოვიდნენ. უეჭველია, რამდენიმე ქართველის, განსაკუთრებით შერმაზანის წაქეზებით დასდვეს მათ პირობა და პაემანი რომ ამიერიდან ერთმანეთთან თანხმობით ყოფილიყვნენ, იმის საწინააღმდეგოდ, როგორც მათი მამები იქცეოდნენ, და სანამ შესაძლებელი იქნებოდა, თავისი საცხოვრებლიდან არ დაძრულიყვნენ და ყიზილბაშებისათვის არ ჩაეგდოთ თავი ხელში. ჰეშმარიტად, ის ხალხი თავისი ბედის დაქცევას ეცადა და უბედურების ხელსაწყო მოიმარაგა. ერთი სიტყვით, ეს ამბავი მეტად დაუმძიმდა მის უწმინდესობას (შაჰს). „მისი ნათელი აზრის სარკე ისე დაიმტვერა, რომ სრულებით არ ღებულობდა სიტყვებით და ბოდიშებით გაწმენდას“. მან გადაწყვიტა, რომ, რადგან ხსენებული უფლისწულები „უვიცობასა და სიამაყის ცხენზე შემჯდარან, ბედის სილის გარტყმა ჯერ არ უგემიათ, უბედურების მასწავლებელს მათთვის დარიგების მომსმენი ყური დასჯის ხელით არ აუწევია ჭკუის სასწავლად“ და ჟამთა გამოცდილებით არ გამოზრდილან, ამიტომ მათ დასასჯელად და დასატუქსავად წასულიყო ყარაბაღს. თუ საქართველოს მეფეები პატიების სათხოვნელად მოსულნი შეხვდებოდნენ უავგუსტოესის ამალას, „უზანგის კოცნით და კეთილი სამსახურით შაჰის უწმინდესი აზრის სარკეს მტვერს მოაცლიდნენ“ და ერთგულთა წესით მოიქცეოდნენ, მაშინ მათ ისე მოეპყრობოდა ხელმწიფე, როგორც მისი კეთილშობილი და მწყალობელი ბუნება მოითხოვდა. და თუ, როგორც ნათქვამია, „მოღალატე მხდალიაო“, შეეშინდათ და არ ეახლნენ, მათ უმეცრების ძილიდან გამოაფხიზლებდნენ და საკადრისად დასჯიდნენ“.

„არდებილადან შაჰი გზადაგზა ნადირობით ყარაბაღს მიეიდა. რადგანაც მათ (ქართველებს), და განსაკუთრებით ბედოვლათ თეიმურაზს, „უდარდელობის ფარდა ჰქონდათ გამჭრიახობის თვალზე ჩამოფარებული“, გადაუხვიეს ჰეშმარიტ გზას, „გადაკარგვის გზისაკენ გაემართნენ“ და, რაკი ერთგულნი არ იყვნენ, უდაბური ტყეებისა და ტევრების სიმაგრით ტყუილად დაიმედებულნი, შაჰს არ ეახლნენ. მისმა უდიდებულესობამ, ღვთის ჩრდილმა შაჰმა უბრძანა თავრიზის მმართველს ფირ-ბუდაყ-ხანს ზოგიერთ ამირთან ერთად, ყარაბაღის ამირის დელუ-მოჰამედ შამს ად-დინლუს მეგზურობით და თანხლებით, რომელიც საქართველოსთან მეზობლად ყოფნის გამო იმ ქვეყნის გზებსა და იწროებს და ავსა და კარგს იცნობდა, შესეოდა კახეთს თბილისის მხრიდან, რომელიც კახეთის ოლქის აღმოსავლეთ მხარეს არის. ხოლო იუსუფ-ხანს, შირვანის ბეგლარ-ბეგს, იქაურ ამირებთან ერთად — შირვანიდან, რომელიც კახეთის დასავლეთით არის, და თეიმურაზი, როგორც ნადირი, შუაში მოექციათ“.

აქ მინდა საგანგებოდ შევნიშნო თუ რამდენი ხანი, ბეგი ჩამოთვალა ისქანდერ მუნშმა და მოურავის ხსენება არსად ჩანს. უფრო საგულისხმოა ის ცნობა, რომ მეგზურობა და თანხლება დელუ-მოჰამედ შამს ად-დინლუს დაეკისრა, რაკი „იმ ქვეყნის გზებსა და იწროებს და ავსა და კარგს იცნობდა“, საქართველოს „იწროებს, ავსა და კარგს“ რომელი დელუ-მოჰამედი იცნობდა უკეთ, მაგრამ, როგორც ხედავთ, მეგზურობაც კი არ ანდო შაჰმა საკაძეს.

მკითხველს ბოდიში უნდა მოვუხადო და კიდევ რამდენიმე ამონაწერი შევთავაზო ისქანდერ მუნშის ცნობებიდან. საქმე საკაძეზე დარხეულ სულის მღრღნელ ხმებს, ეჭვებს ეხება. რაკი ამ ხმების არსში გარკვევა გვაქვს დასახული მიზნად, მოთმინებით უნდა აღვიჭურვოთ და დავაკვირდეთ ციტატებს. „ბედუკულმართი, ბოროტი, უმადური მოურავი ბეგი“ მანამდეც ხომ არ ქცეულა საქართველოს დაქცევის მიზეზად, სანამ მარტყოფის ომის ავტორი გახდებოდა! ისიც თეიმურაზის მსგავსად ხომ არ უწყობდა ხელს თავისი ხალხის ამოწყვეტას? მასაც ხომ არ მიიჩნევს 1615—1617 წლებში დატრიალებული კახეთის უბედურების მიზეზად ისქანდერ მუნში, ვინც ასე

ალამაზებს შაჰის პოლიტიკას და თეიმურაზის სიჯიუტეს მიაწერს ყველაფერს.

„როცა თეიმურაზმა ბედნიერი ამალის მოსვლა გაიგო, ცოტათი გონს მოვიდა, შეძრწუნდა, თავისი არასაქებარი ჯარი, ქვეითებისა და ცხენოსნებისა, შეკრიბა და ტყესა და ტევრში, მაგარ ადგილებში, საკვებს მოკლებულმა ჩიტსავით ხეებზე გაიკეთა ბუდე, რათა რამდენიმე დღეს თავი გადაერჩინა „ბედნიერების მთებზე მაღლამფრინავი შევარდნის (შაჰ-აბასის) კლანჭებისაგან“.

შაჰის მოთხოვნის პასუხად, ჩემთან გამოცხადდიო, თეიმურაზმა. როგორც ცნობილია, დედა (ქეთევან დედოფალი) და ორი შვილი გაგზავნა. შაჰი ჯერჯერობით არ იძლევა ხალხის აწიოკებისა და აყრის ნებას. რამდენიმე ყიზილბაში, ვინც სოფელი დაარბია, მუცელზე გაფატრეს და ბანაკში ჩამოატარეს სხვების დასაშინებლად. ეს შაჰის ფანდი იყო. მას ქართველთა ყურადღების მოდუნება სურდა.

„რათა დაესაჯა ერწოსა და თიანეთის, კახეთის ერთ-ერთი მხარის ხალხი, რომლიდანაც ზოგმა მას (თეიმურაზს) მეგზურობა გაუწია და უცნობი გზებით გაიყვანა ის, ზოგმა კიდევ, რომელთაც იცოდნენ, თუ რა გზით მიდიოდა ის, არ აცნობა მის გზაზე მდგომ ძლევამოსილ მოლაშქრეებს, ხოლო იმ ხალხის დიდებულებმაც ჯიუტობა გასწიეს, არ მიუვიდნენ ისა-ხანს და არ დაემორჩილნენ ისლამის ლაშქარს, — განრისხებულმა შაჰმა ნება მისცა ძლევამოსილ ლაშქარს დაერბია, აეკლო და დაეტყვევნა ის ორი ოლქი“.

შაჰ აბასი გაცოფებულია თეიმურაზის წინააღმდეგობით.

„მაგრამ იმას ვერ მიხვდა თეიმურაზი, რომ რაც უნდა მაღლა აფრინდეს წერო ბასრნისკარტიანი, ის მაინც ვერ გადაურჩება ცის უმაღლეს სფეროში მფრინავი შევარდნის კლანჭებს. იმ გაბედულებისა და თავხედობის გამო, რომელიც მან გამოიჩინა, ბოლოს ის დასჯილ იქნა ძლევამოსილი ხელმწიფისაგან და მისი წინაპრების ამდენი წლის ადგილი და სადგომი გავერანდა და მათი ქვეყანა ქარს მიეცა.“.

ისქანდერ მუნში კიდევ უფრო აკონკრეტებს კახეთის უბედურების მიზეზს:

„რადგან ღვთის განგებით გადაწყვეტილი იყო კახეთის

ვილაიეთის დანგრევა, იქაურ ურწმუნოთა გაწყვეტა და ისლამის გამშვენიერება, იმ ურჯულოთა ასი ათასზე მეტი ქალისა და ბავშვის გამოყვანა რჯულისათვის მებრძოლი, ქვეყნის დამპყრობელი ხელმწიფის, ესე იგი მისი უდიდებულესობის, ღვთის ჩრდილის დიდებული შაჰის ყურადღების და მახვილის წყალობით, ამიტომ ბედკრულმა თეიმურაზმა, ბედის შემობრუნების გამო, ყველაფერი გააკეთა თავისი უბედურებისა და იმ საწყალი ხალხის დახოცვისა და დარბევისათვის და, როგორც მოხსენიებული იყო, გაბედა ყიზილბაშთა ბედნიერ ლაშქართან შებრძოლება. როცა ამ ამბავმა მიაღწია მაზანდარანში შაჰის უწმინდეს გონებას, ხელმწიფის კეთილშობილური აღტყინების ალი და მისი მძვინვარების ცეცხლი ისეთი ავარდა, რომ ყოველი მისი ნაპერწკალი ქვეყნიერების დამწველი მეხი იყო. ამიტომ შაჰმა მტკიცედ გადაწყვიტა საქართველოზე გალაშქრება და იქაურ ურჯულოთა დაქცევა, რომელთაც გაბედეს მუსლიმანების დახოცვა".

ისქანდერ მუნშის თხრობაში გამუდმებით გაისმის „უმეცარი თეიმურაზის", „უგუნური თეიმურაზის", „ვისი ბრალითაც"... „ვისი მიზეზითაც"... ეს ამონაწერები არაერთხელ დაგვჭირდება, რადგან მათში ბევრი რამ იკითხება. ამჯერად ერთ რამეს უნდა ავხადოთ ფარდა. როგორც ვხედავთ, ისქანდერ მუნშის ტენდენცია აშკარაა — შაჰის ვერაგულ პოლიტიკას კი არ დაბრალდეს კახეთში დატრიალებული უბედურება, არამედ თეიმურაზს, ვინც არ ეახლა, ვინც წინააღმდეგობა გაუწია, ვინც შაჰი განარისხა, ცხადია, იგი, როგორ ირანის ისტორიკოსი, ცდილობს შაჰის ბოროტული პოლიტიკა შეალამაზოს და ღმერთის სურვილსა და თეიმურაზის ჯიუტობას მიაწეროს მომხდარი უბედურება. მაგრამ აქ ერთი რამ არის საცნაური. თეიმურაზზე არანაკლები საძულველი გახდა მარტყოფის შემდეგ მოურავი ირანისათვის. „ორმოცი წლის მანძილზე შაჰს ამოდენა ზარალი არ უნახავსო" — წერს თურქი ისტორიკოსი იბრაგიმ ფეჩევი მარტყოფის ომის გამო. აკი არც ისქანდერ მუნში მალავს, თუ რა დიდი უბედურება მოჰყვა ირანისათვის სააკაძის აჯანყებას, აკი უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს მას, მაგრამ აზრადაც არ მოსდის მარტყოფის ომამდელი კახეთის უბედურება სააკაძეს დააბრალოს. მცირე საბაბიც რომ

ჰქონოდა, ისქანდერ მუნში ხომ უმალ მივარდებოდა ამ საბაბს და იტყოდა, კახეთის დაქცევაც მისმა რჩევამ, მისმა მეგზურობამ ქნაო. აკი არ ინდობს თეიმურაზს, აკი ყველაფერს მას აბრალებს? შესაძლებელია განა სხვა ახსნა ჰქონდეს დუმილს საყაძის მონაწილეობაზე შაჰის ლაშქრობებში, შესაძლებელია განა სხვა ახსნა ჰქონდეს იმ ფაქტს, რომ საქართველოში მეგზურად არა საყაძეს ან რომელიმე ქართველს, არამედ სხვას ირჩევს? იახლა, მაგრამ არც ერთი მნიშვნელოვანი ოპერაცია არ მიუნდვიაl ყველა სვლას აღნიშნავს ისქანდერ მუნში, ამ სვლასაც აღნიშნავდა. თუნდაც იმ მიზნით აღნიშნავდა, რომ ეთქვა, ადრე (1615—1617 წწ.) თავის თანამემამულეებს ხოცავდა, შაჰის ერთგულებას .ამით ამტკიცებდაო.

მაშასადამე, არაფერ შუაშია არც საყაძის თხოვნა, არც რჩევა — შაჰი აზრს ეკითხებოდა ყველას — ქართველსაც და არაქართველსაც ლაშქრობის წინ, მაგრამ მხოლოდ ალაჰს უსმენდა და თავისი ნებით მოქმედებდა. ქართლ-კახეთის აყრის გადაწყვეტილების მიღებაში საყაძეს თუნდაც უმნიშვნელო როლი რომ ეთამაშა, ვინ შეუნახავდა ნამუსს, როდესაც თავის ქვეყნის დაცვისათვის ბრძოლა თეიმურაზს იმავე ისქანდერ მუნშმა ქვეყნის დაქცევის მიზეზად მოუნათლა. მაშ საიდან მოდის ეს ბრალდებები, თუ არა პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისაგან, რომლებიც თხზავდნენ იმ დროის ჟორებს და დაბნეულ ხალხში ავრცელებდნენ. მათ ახლა სერიოზული არგუმენტი ჰქონდათ ხელთ — საყაძე შაჰს ახლდა.

ისტორიკოსებს, ამ ეპოქის ღრმად მცოდნეებს, აზრადაც კი არ მოსდით საყაძეს მსგავსი რამ დააბრალონ. დააბრალონ ქართლისა და კახეთის დაქცევა. არ მოსდით აზრად, რადგან გულდინჯი ჩხრეკისა და შეჯიბრების შემდეგ ეს ეჭვი ქარწყლდება. ზემოთ ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის შრომებიდან მოვიტანე ცნობები. ამონაწერები აშკარად ადანაშაულებენ საყაძეს, თუმცა დაკვირვებული მკითხველი იქვე იპოვის გამაქარწყლებელ საბუთებს. შაჰ აბასს „გულად ედვა“ ქართლ-კახეთის აყრაო, შენიშნავენ ჩვენი მემატიანეები. ეს კი ნიშნავს, რომ შაჰის ნებით ხდებოდა ყველაფერი. საყაძის სურვილიც ხომ იგივე იყოო, არ ისვენებს დაწყევლილი კითხვა. მაგრამ ჩვენ ხომ 1614—1624 წლების შუალედში არ ვცხოვ-

როპაი, ისტორია ხომ კარგა ხნის ჩაელილია და მარტყოფის ომმა ხომ გარკვეით დაგვანახვა, როგორ დაიცვა კბილებით დიდმა მამულიშვილმა კახეთიც, ქართლიც და ამდენად მთლად საქართველოც. ე. ი. არც 1614-1617 წლებში არ სურდა ქვეყნის დაქცევა. როგორც ზემოთ ითქვა, ერთი რამ უთუოდ სურდა ალბათ შაჰის დახმარებით ქართლში შემოსვლა და ლუარსაბის ნაცვლად სხვა რომელიმე მეფის დასმა ტახტზე. ეს სავსებით ბუნებრივი და გამართლებული სურვილია. ლუარსაბმა მართლაც ვერ შეძლო ღირსეული მეფობა. ტაშისკარის გმირსა და მის დასს კი არ დაეყრდნო, არამედ დიდგვაროვანთა ინსტიტუტს, რომელიც ქვეყანაზე ცოტას ფიქრობდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ლუარსაბი არ იყო სასურველი მეფე. მას არ შეეძლო რთულ სიტუაციებში ქვეყნის მოვლა. მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ ასეც დაადასტურა.

შაჰ აბასი, ცხადია, არც სააკაძეს და არც სხვას დრომდე არ გაუმხელდა, რომ ქართლ-კახეთის სრული აყრა ჰქონდა გადაწყვეტილი.

მოვიგონოთ ისქანდერ მუნშის სიტყვები: „რადგან ღვთის განგებით გადაწყვეტილი იყო კახეთის ვილაიეთის დანგრევა, იქაურ ურწმუნოთა გაწყვეტა, და ისლამის გამშვენიერება, იმ ურჯულოთა ასი ათასზე მეტი ქალისა და ბავშვის გამოყვანა...“.

ღვთის განგებით, ე. ი. შაჰის ნებით არის ეს გადაწყვეტილი. ასეთი ტოტალური პოლიტიკა აქვს „ირანის ლომს“. თანაუგრძნობს ასეთი კაცი სააკაძის გეგმებს? რომ თანაეგრძნო, 1612 წელსვე ილაშქრებდა ქართლზე, გადააყენებდა ლუარსაბს და სააკაძის სასურველ კანდიდატურას დასვამდა ტახტზე. მხოლოდ დახმარებას დაჰპირდა. ნუგზარ ერისთავი უკანვე გამოისტუმრა, სააკაძე კი თავისთან დაიტოვა. მისი ჯარი ქართლისაკენ მაშინ იზამს პირს, როდესაც ამას შაჰი ისურვებს. შაჰს დიდი და ვერაგული გეგმები აქვს, გეგმების განხორციელებისათვის დრო არის საჭირო, ამ დროს ელოდება და სრულებითაც არ აწუხებს დიდი მოურავის მიზნები.

ამიტომ ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვები — „დღენიადაგ აზრახებდა შაჰს“ — არის სააკაძის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეების ზეგავლენით დიდი მეცნიერის ნაშრომში მოხვედრილი

ინფორმაცია, რაც არც მოვლენათა ლოგიკით დასტურდება, არც წყაროებით. დღეისათვის დადგენილია, სააკაძის შეცდომა მხოლოდ ის იყო, რომ მას შაჰი თავის მიზნების აღსრულების გზაზე დასაყრდენად ეგულებოდა. სააკაძეს შაჰი ქართლში ძალთა გადასაჯგუფებლად, მოქიშპე დიდგვაროვნებისა და ლუარსაბ II დასამარცხებლად სჭირდებოდა. მაგრამ იყო კი ეს ნაბიჯი მძიმე შეცდომა? უნდა ეცადა თუ არა მსგავსი რამ მოეხრავს? ცხადია, უნდა ეცადა. 1615 წლამდე შაჰს თავისი ბოროტი ზრახვები ასეთი მასშტაბით არ გაუმჟღავნებია. პირიქით, საჩუქრებითა და დაყვავებით ცდილობდა ქართლისა და კახეთის მეფეების გულის მოგებას. ქართლი მასთან ერთად ებრძოდა ოსმალეთს სიმონ მეფის, გიორგი X, ლუარსაბ II დროს. ამ ხანებში შაჰის ძალების მოხმობა ქართლის საქმეების მოსაგვარებლად ჩვეულებრივი ამბავი იყო. ან თვითონ შაჰი ერეოდა თავისი ვასალი ქვეყნის საქმეებში, ან ამ ქვეყანათა წარმომადგენლები მიმართავდნენ მას თხოვნით. ამდენად გიორგი სააკაძის ნაბიჯში უცხო და დღემდე გაუგონარი, მით უმეტეს, მოღალატის საქციელი არ იკითხება. რაც შეეხება შაჰის ვერაგული გეგმების არსებობას, იგი არ შეიძლებოდა სააკაძისათვის ცნობილი ყოფილიყო. შაჰი არ ამხელდა ამ გეგმებს, რადგან გამხელა გეგმის დაღუპვას ნიშნავდა. უბრალოდ, ხმა მოაღწევდა საქართველომდე და ხალხი მთებში გაიხიზნებოდა. ე. ი. სააკაძის გეგმა შაჰის ძალებით სასურველი მეფის დასმა და სამშობლოში დაბრუნება არსებითად განსხვავდება შაჰის გეგმისაგან — ქართლ-კახეთის აყრის ტოტალური პოლიტიკისაგან. გინდა თუ არ გინდა, აქ ერთი ნიშანი მთლიანად ემთხვევა: საქართველოში შემოსული შაჰის გვერდით ხალხი სააკაძეს ხედავს და შემდეგ, როდესაც სპარსეთის ვერაგული გეგმის ნაწილი განხორციელდა, დიდი მოურავი ბევრის თვალში აირეკლა მოღალატედ. ზოგმა დაიჯერა კიდეც, რომ იგი ამ უბედურების მიზეზიც იყო და ავტორიც. მაგრამ დღეს უკვე საბოლოოდ უნდა ვიწამოთ, რომ სააკაძისა და შაჰის გეგმები დიამეტრალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგრამ ერთი უმთავრესი რამ რჩება მოსაგვარებელი. ისტორიკოსთა შეხედულების გაუთვალისწინებლობა შეიმჩნევა აშკარად მთელ რიგ ნაწარმოებებში. ეს ნაწარმოებები კი მრავალათასიანი ტირაჟით გა-

მოდის და მკითხველს აბნევს. ამდენად აქცენტი მე სხვა რამეი ზე გადამაქვს: ეს უსაფუძვლო ბრალდებები საბოლოოდ უნდა მოიხსნას. სხვაგვარად არ შეიძლება, ყურმოკრულ და შეუმოწმებელ ცნობებზე ნდობა უნდა მოიშალოს, ინერციით წამოსულ ეჭვის არსში გემართებს საბოლოო გარკვევა. წინააღმდეგ შემთხვევაში უნებურად შემცოდეთა როლში აღმოჩნდებით. მოვლენების შემდგომი ანალიზი ამაში, ალბათ, უფრო ღრმად დაგვარწმუნებს.

ახლა მივყვეთ ბრალდებებს, ვნახოთ, რა არის საფუძვლიანი, და რა კიდევ უსაფუძვლო. როგორც ვნახეთ, ბერი ეგნატაშვილის ცნობით, სააკაძე თურმე ზამთარში მისვლას ურჩევდა შაჰს.

გიორგი სააკაძე სამშობლოდან გადმოხვეწილი კაცია, შაჰმა შეიფარა, მისცა ჭერი, აავსო სიმდიდრით, ცხადია, შაჰი მას თავისი მიზნების სამსახურში ჩააყენებს — აბრძოლებს, რჩევას კითხავს. და აი, ჰკითხა კიდეც როგორც სხვას, ასევე დიდ მოურავსაც. უკვე არ მალავს თავის ბნელ გეგმებს, აშკარად მოქმედებს. სააკაძე საგონებელში ჩავარდა — თუ ისეთ რამეს ურჩევს რომ ირანს ავნებს, შაჰი ამას როგორმე მიხვდება, სააკაძეს მოკლავს და თვითონ უმჯობეს გზას აირჩევს. მთავარი აქ სხვა არის, სააკაძე კარგად იცნობს ქართლ-კახეთს და რაღაც უსათუოდ უნდა ურჩიოს შაჰს. დიდი ხელმწიფე მოითხოვს ამას მისგან. თანაც ეს რჩევა გონივრული უნდა ჩანდეს შაჰის თვალში. თორემ შაჰს, გარდა იმისა, რომ თვითონ არის უნიჭიერესი კაცი, სხვა მრჩეველებიც ბლომად ჰყავს, მათ შორის ქართველებიც. იკითხავს და მოტყუების ცდას ადვილად დაინახავს. სააკაძე ურჩევს ზამთარში ლაშქრობას და არგუმენტსაც ასახელებს. ამ რჩევაში ეჭვის შეტანა მართლაც არ შეიძლება, შაჰს იგი უთუოდ მოეწონებოდა. ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით, ეს რჩევა მოღალატეობად იკითხება, რადგანაც ხალხს მართლაც უჭირს ზამთარში გახიზვნა. დაეუშვათ, რომ სააკაძის რჩევა ქართლ-კახეთისათვის მეტად საზიანო იყო. განა შეეძლო სააკაძეს შაჰისათვის კონკრეტულ სიტუაციაში ისეთი რამ ერჩია, რაც ირანს დააზარალებდა და კახეთს აშკარად წაადგებოდა? მიმდინარეობს დაძაბული დიპლომატიური ბრძოლა ორ დიდ პიროვ-

ნებას შორის და საკაძემ ამ ბრძოლაში თავი არ უნდა გამოეღანძოს. მისგან სასარგებლო ინფორმაციას მოითხოვენ. მაგრამ, მეორე მხრივ, ამ რჩევას ორჭოფული ხასიათი დაჰკრავს. თუ ზამთარში ქართველებისათვის გახიზვნა იქნებოდა ძნელი, განა სიცხესა და პაპანაქებას შეჩვეული ირანის არმიისათვის ნაკლებ საძნელო იქნებოდა „თოვლსა და სიცივეში“ მოძრაობა, სოფლიდან სოფელში გადასვლა, მთიდან მთაში გაღწევა, ხეობების გადალახვა, ხალხის ალყაში მომწყდევა? „თოვლსა და სიცივეში“ ორივე მხარეს რომ უჭირდა, ქართველებსაც და ყიზილბაშებსაც ეს სარკის სიცხადით ჩანს ისქანდერ მუნშის ცნობებში:

ერთის მხრივ: „ამ ლაშქრობის დროს ათი ათასამდე კარგი ვაჟკაცი, რჩეული ქართველი, რომელთაც პირველად თავი დაიცვეს და ტყვედ არ ჩაცვენილან, ახლა ძლიერი სიცივისა და დიდი თოვლის გამო, რომლითაც დაფარული იყო გზები, მოძრაობისა და გაქცევის ძალა რომ ვერ მოიკრიფეს, ხელში ჩაუვარდა მტერს“.

მეორეს მხრივ (თუ რას ნიშნავდა იგივე თოვლი და სიცივე ყიზილბაშებისათვის): „თოვლით დაფარული გზა ხშირ ტყეებსა და ტევრებში ძნელად სავალი იყო და ამიტომ დიდი გაჭირვებით მიაღწიეს იმ ბედშავთა სადგომებს.

რადგანაც მცირერიცხოვანი მტრის ასე დევნა იწვევდა კარგი ვაჟკაცების დაკარგვას და მზეც ჩადიოდა და ღამდებოდა, უკან გამობრუნდნენ“.

ერთი სიტყვით, ორივე მხარეს უჭირს — მოძრაობა და გაქცევა ქართველებს, დევნა—სპარსელებს. „მცირერიცხოვანი მტრის“ დევნაში ბევრი ჯარისკაცი დაეღუპათ. და დევნა უაზროდ ჩათვალეს.

და კიდევ: თუ მტერი საკაძის რჩევის თანახმად მოვიდოდა არა ზამთარში, არამედ წლის სხვა დროს, ვითომ ეს მეტი შეღავათი იქნებოდა? თუ გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე ქართველობა მთებში გახიზვნას მოასწრებდა, იმ მთებს შაჰის ჯარები რატომ ვერ მიაღწევდნენ. განა თემურლენგის დროს კლდის გამოქვაბულებში შეხიზნული ქართველები არ ამოხოცეს კალათაში ჩამსხდარმა თემურის მოლაშქ-

რეებმა, რომლებიც ბაწრით ჩაუშვეს იმ გამოქვაბულების გასწვრივ? თოვლი (ამის მტკიცება ადვილად და დაბეჯითებით შეიძლება, ხელისშემშლელი უფრო ყიზილბაშებისათვის—სიცხეს შეჩვეული ხალხისათვის იყო, ვიდრე ქართველთათვის, რომლებიც თოვლსაც არიან შეჩვეული და თოვლში გახიზვნასაც.

ასე რომ, სააკაძის რჩევა უფრო ყიზილბაშებისათვის ჩანს საზიანო, ვიდრე ქართველთათვის. წელიწადის სხვა დროს მათში გახიზნულ ხალხს, ვისი გადასახლებაც სურდა შაჰს, ყიზილბაშები არ მოეშვებოდნენ. არ მოეშვებოდნენ, რადგან სწორედ აყრა იყო მიზანი. დაიჭერდა ამ მთებში გასავლელ გზებს წინასწარ და შეუდგებოდა გეგმის ასრულებას. მაგრამ მთავარი აქ სხვა არის — სააკაძეს რჩევა უნდა მიეცა, უთუოდ გონივრული რჩევა. შაჰს გონივრულობა უნდა ეგრძნო რჩევაში. არგუმენტს თუ დააკვირდებით, ეს რჩევა მართლაც ახლოს დგას ჭკუასთან, მაგრამ რატომ არ არის ეს რჩევა ამავე დროს ორაზროვანი? ხომ აშკარად შეიცავს იგი სიძნელეს სპარსელებისათვისაც?

განა უშველა წელიწადის სხვა დროს ყიზილბაშების შემოსვლამ საქმეს, შეღავათი კახეთისათვის არც ზამთარს მოუცია, არც გაზაფხულს, არც ზაფხულსა და არც შემოდგომას. განა წლის სხვა დროს არ შეაკვდა ასი-ათასი კაცი მტერს და ამდენივე სწორედ წლის სხვა დროს არ წაიყვანეს ირანში? „ხალხისათვის დახიზნის საშუალება რომ მოესპო, შაჰ-აბაზმა კახეთიდან გასასვლელ გზებზე თავისი ჯარი დააყენა, თან დაღესტნელ ფეოდალებს შეუთვალა, მთებში შეხიზნული კახელები გაეჟლიტათ ან დაეტყვევებინათ“ (გივი ჯამბურია). ყველაფერი ეს წელიწადის სხვა დროს მოხდა.

ამდენად სააკაძის რჩევით არ დაღუპულა ქვეყანა. იგი შაჰის ვერაგული გეგმის გამო დაიღუპა. 1612 წლიდან 1625 წლამდე შაჰსა და სააკაძეს შორის დაძაბული ურთიერთობაა. ზომავენ ერთმანეთის ნაბიჯებს, ზვერავენ ერთმანეთის ფიქრებს, სააკაძე ყოველ ღონეს ხმარობს, შაჰს ერთგულად მოაჩვენოს თავი და აფიქრებინოს, დაარწმუნოს „სააკაძემ ჩემს იქით არა იცის რაო“ (ბერი ეგნატაშვილი). როგორც კი დაინახა, შაჰი მიზნის აღსრულებაში არ გამოადგებოდა, როდესაც

ჩაწვდა მის ბნელ, ვერაგულ გეგმებს, დიდი მოურავი დაადგა ფრთხილი დიპლომატიური ბრძოლის გზას, რათა შესაფერისი დრო შეერჩია.

ჩვენთვის გასაგები უნდა იყოს თეიმურაზის სიტყვები, ლუარსაბს რომ უთხრა: „ვინაითგან სწადს შაჰს მოოხრება საქართველოსი, იხილე რამეთუ მტერი შენი მოურავი არს მის თანა, რომელს მოჰყავს ყეენი მტრად შენდაცა“. თეიმურაზს სურდა ლუარსაბი შაჰის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაეთრია, ქართლის ძალებიც დაეპირისპირებინა ყიზილბაშებისათვის. ამიტომ ის სააკაძის ყოფნას შაჰის გვერდით იყენებს როგორც არგუმენტს, რათა დაარწმუნოს ლუარსაბი გაერთიანების აუცილებლობაში. თეიმურაზი სწორად იქცევა, რაკი ბრძოლა აქვს გადაწყვეტილი. სააკაძე მართლაც მათ წინააღმდეგ ჩამოსული ქვეყნის მოღალატედ გამოიყურება. ლუარსაბს ეს ყურად უნდა ეღო და აქტიურად ემოქმედნა. მაგრამ ეს ხომ ლუარსაბის დასარწმუნებლად მოხმობილი არგუმენტია და არა სინამდვილე. „ყეენი“ სააკაძეს კი არ მოჰყავდა თეიმურაზისა და ლუარსაბის მტრად, კახეთისა და ქართლის დასაქცევად, პირიქით, ყეენს მოჰყავდა სააკაძე გზის მაჩვენებლად, როგორც აქაური კაცი. კაცი, ვინც სიკვდილს გადაარჩინა შაჰმა, მისცა თავშესაფარი, აამაღლა, გაამდიდრა, დაიახლოვა. კაცი, ვინც ვალდებული იყო შაჰისათვის ამ წყალობის პასუხად ერთგული სამსახური გაეწია. მაგრამ ახლა სწორედ ეს უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან — ვის ვინ მოჰყავდა — სააკაძეს შაჰი თუ შაჰს სააკაძე. თეიმურაზის მტკიცების საწინააღმდეგოდ დღეს არ შეიძლება გარკვევით არ ვხედავდეთ, რომ შაჰი არავის ნებაზე არ დგამდა ნაბიჯს, რომ შაჰს მოჰყავდა სააკაძე ქართლში და არა პირიქით.

პლატონ იოსელიანი გვაწვდის ცნობას, თითქოს გიორგი სააკაძემ და ნუგზარ ერისთავმა შაჰს გაუმჟღავნეს რუსთა მეფისადმი ქართველი მეფეების იდუმალი მიმოწერა. ვფიქრობ, ეს ბრალდება დღეს ყველაზე მეტად არის გაცვეთილი. რაღა მათი ცნობები უნდოდა. განა რუსთა მეფის ელჩების თვალწინ არ დახოცა კონსტანტინე-ხანმა მამამისი ალექსანდრე და ძმა თავისი — გიორგი? განა საქართველოს მეფეების მიმოწერის შესახებ მანამდე შაჰს ინფორმაციების ზღვა არ ჰქონდა ხელთ?

ამ ბოლო ხანს „მეცნიერებამ“ გამოსცა თამარ ტიეაძის წიგნი „საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში“, სადაც ავტორი ქართლ-კახეთის მეფეების მიმოწერის, ელჩთა დაგზავნის უამრავ მაგალითს გვაწვდის და იმასაც მიუთითებს, რომ ეს ყველაფერი შაჰისათვის, საერთოდ ირანისათვის არასდროს არ დარჩენილა შეუმჩნეველი. ერთი სიტყვით, სააკაძისა და ნუგზარ ერისთავისაგან არავითარი ინფორმაცია შაჰს არ სჭირდებოდა ამ საკითხთან დაკავშირებით.

აქ სწორედ ტენდენციაა საინტერესო: ყველაფერი დაბრალდეს სააკაძეს, მხოლოდ სააკაძეს, დ ა ბ რ ა ლ დ ე ს, რ ი ს ი დ ა ბ რ ა ლ ე ბ ა ც კ ი შ ე ი ძ ლ ე ბ ა.

დიდ მოურავს ბრალდება: „აზრახებდა ყენენს ქართლის დაჭერასო“ და იქვე ირკვევა, რომ შაჰს თვითონ „ედვა ეს გულსო“, დიდ მოურავს ბრალდება: ზამთარში მისვლა ურჩიაო და იქვე ირკვევა, რომ ზამთარში მისვლა შაჰის ჯარს უფრო უჭირს; დიდ მოურავს ბრალდება: რუსეთთან მიმოწერა გაამჟღავნაო და იქვე ირკვევა, რომ ეს ამბავი შაჰისათვის კარგად არის ცნობილი. ყველაფერი ბრალდება, რისი დაბრალებაც კი შეიძლება გარეგნული ნიშნების მიხედვით. მთავარი ტენდენციაა: დ ა ბ რ ა ლ დ ე ს, რ ი ს ი დ ა ბ რ ა ლ ე ბ ა ც კ ი შ ე ი ძ ლ ე ბ ა!

ბრალდება, მუკუზანთან შაჰის ჯარი ჩიხიდან გამოიყვანაო. კახეთისკენ მიმავალი ერთადერთი გზა ჩახერგეს თურმე ლუარსაბმა და თეიმურაზმა. ამ მზადებამ შაჰი შეაშინა და სააკაძეს მიმართა რჩევისათვის. სააკაძემ თავს იდვა იმ ადგილებიდან შაჰის ჯარების გაყვანა. ეს ვალდებულება მან შეასრულა კიდეც. მუკუზანთან აგებული ჯებირი შაჰისათვის საშიშ ხაფანგად არ ჩანს. გივი ჯამბურია აღნიშნავს: „ასე ნაჩქარევად აგებული ჯებირი შაჰ-აბასის მოზღვავებულ ჯარებს ვერ დააკავებდა“. ძნელი დასადგენია, მართლაც მოხდა მსგავსი რამ, თუ იგი ნაკლებსარწმუნო ცნობაა, რომლითაც ხელმძღვანელობს პლატონ იოსელიანი. ისტორიული წყაროები არ გვიდასტურებენ, რომ შაჰს ასე გასჭირვებოდას მუკუზანთან. დავუშვათ, რომ გაუჭირდა და სააკაძეს საშველად მიმართა. რა უნდა ექნა სააკაძეს? თეოდორე მღვდელივით მტერი იმ ჯები-

რებთან მიეყვანა და ალყაში მოექცია? თავი გაეწირა? თავგანწირვა სააკაძეს არ უპირდა, ყველა ბრძოლაში სასიკვდილოდ ჰქონდა გადადებული თავი. მაგრამ შაჰის მოზღვავებულ ჯარებს მუკუზანთან მიაგდებდა თუ აქედან გაიყვანდა, ეს მართლაც წყვეტდა ქვეყნის ბედს? იყო კი გარანტია იმისა, რომ თეიმურაზი და ლუარსაბი, რომლებიც ამ ჯებირებით თავს იცავდნენ და არ კი უტევდნენ, სრულად მოსპობდნენ ირანის ჯარს და შაჰს ტყვედ იგდებდნენ? თუ ამდენი ძალა შესწევდათ, მაშინ ისიც უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ შაჰს ვინმე (თუნდაც იგივე გიორგი სააკაძე) გზას ასწავლიდა და ისე მოეწყოთ ალყა, რომ მტერს გასაძვრენი არ დარჩენოდა. მაშასადამე, ეს მხოლოდ უბრალო ჯებირია, რომელიც მტერს შეაკავებდა ერთხანს და საგრძნობ ზარალსაც მიაყენებდა. აქ თავის გაწირვა და შაჰის სურვილის შეუსრულებლობა იქნებოდა სრული უგნურება სააკაძის მხრივ, რაც ჯერ სააკაძეს დაღუპავდა, ხოლო შემდეგ მთელ ქვეყანას. სააკაძის მოწოდების კაცი ვალდებულია გადაირჩინოს თავი, სანამ გადამწყვეტი დარტყმის დრო არ დაუდგება. გრძნობებზე აყოლა და ეპიზოდური გმირობა ქვეყანას ისე ვერ არგებს, როგორც დიდი სტრატეგიით მომართული ცხოვრება. გაიყვანდა თუ არ გაიყვანდა სააკაძე მუკუზნიდან შაჰის ჯარებს, შაჰი მაინც უვნებელი დარჩებოდა, ლუარსაბისა და თეიმურაზის სუსტ წინააღმდეგობას ადვილად სძლევდა. ამდენად სააკაძეს უნდა გაეყვანა შაჰის ჯარი, თუ მართლა უჭირდა მას. შაჰი ყოველ მის ნაბიჯს აკონტროლებდა და ყოყმანიც კი არ უნდა დატყობოდა. დავუშვათ, რომ ეს ფაქტი მოხდა და ასეც მოხდა. სააკაძე სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა — ეს არის მთავარი.

სინამდვილეში კი განა მართლა სააკაძის რჩევა-დარიგებებს არის დაყრდნობილი შაჰი? მოვუსმინოთ ისქანდერ მუნშს:

„მისმა უდიდებულესობამ, ღვთის ჩრდილმა შაჰმა უბრძანა თავრიზის მმართველს ფირ-ბუდაყ-ხანს ზოგიერთ ამირთან ერთად ყარაბაღის ამირის დელუ-მოჰამედ შამს ად-დინლუს მეგზურობით და თანხლებით, რომელის საქართველოსთან მეზობლად ყოფნის გამო იმ ქვეყნის გზებსა და იწროებს და ავსა და კარგს იცნობდა, შესეოდა კახეთს თბილისის მხრიდან, რომელიც, კახეთის ოლქის აღმოსავლეთ მხარეს არის, ხოლო

იუსუფ-ხანს, შირვანის ბეგლარ ბეგს, იქაურ ამირებთან ერთად — შირვანიდან, რომელიც კახეთის დასავლეთით არის, და თეიმურაზი, როგორც ნადირი, შუაში მოექციათ".

ისტორიული წყარო ამას გვეუბნება, სინამდვილეში მეგზურობა დელუ-მოჰამედ შამს ად-დინლუს დაევალა და არა სააკაძეს, ვინაც „ქვეყნის გზას, იწროებსა და ავსა და კარგს" ყველაზე უკეთ იცნობდა. რაშია საქმე? რატომ აღნიშნავს საგანგებოდ ისქანდერ მუნში დელუ-მოჰამედისაგან ამ მხარის ცოდნას. თუ სააკაძე იქვე ყავდათ და თუ ენდობოდნენ, საქართველოს მეზობლად მყოფი დელუ-მოჰამედის მეგზურობა რაში დასჭირდათ? რატომ არ ჩანს სააკაძე არც მეგზურად, არც ჯარის სარდლად?

ხომ არ არის ეს შედეგი შაჰის ჭკვიანური პოლიტიკისა, გამოხატულება იმ პოლიტიკისა, რასთან დაკავშირებითაც ისქანდერ მუნში წერს: „და რადგანაც ქართველ ბატონიშვილების თანყოლა მიზანშეწონილი არ იყო სახელმწიფო ინტერესებისათვის, ამიტომ ლუარსაბი ასთარაბადში, ხოლო ისა-ხანი დემავენდში გაგზავნეს, რათა უკანასკნელი ამალის დაბრუნებამდე იქ ყოფილიყვნენ და იქაურ მმართველებს თვალი სჭეროდათ მათზე".

ამ შემთხვევაში ლუარსაბი და ისა-ხანია დასახელებული, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს, ან უფრო სწორად არ ეწინააღმდეგება მთავარს — ქართველი ბატონიშვილების თანყოლა არ ყოფილა მიზანშეწონილი სახელმწიფო ინტერესებისათვის. და შაჰი არ ცდებოდა. კახეთის აყრას ქართველი კაცი გულგრილად ვერ შეხედავდა და სიფრთხილის კარნახით ქართველი ბატონიშვილების თანყოლაზე უარი თქვა შაჰმა. მაშასადამე, შარდენის სიტყვები „შაჰ აბასმა მოურავის შემწეობით შეაღწია იმ ქვეყანაში" არის არაქელ თავრიზელის ინფორმაციის განმეორება, რომელიც დაუჯერებელია. ისქანდერ მუნშთან შარდენი მსგავსს ვერაფერს იპოვიდა. ეს საგულისხმოა. იგი ან საქართველოში მიწვდილ ცნობას დაეყრდნო ან არაქელ თავრიზელის ინფორმაციას. ორივე შემთხვევაში მითქმა-მოთქმას არის დაფუძნებული ეს ცნობა. შარდენის მოგზაურობა იწერება XVII საუკუნის მეორე ნახევარში და ყველაფერს ატყვია გადმოცემებზე დაყრდნობილი კაცის ხელი, ვისაც დრო

არა აქვს საიმისოდ, რომ ღრმად შეისწავლოს ეს მოვლენები.

მარტყოფისა და მარაბდის ამბებზე შარდენი ძალზე გაკვრით საუბრობს და თარიღსაც შეცდომით აღნიშნავს — 1629 წ.

მაგრამ მაინც არის საეარაუდებელი, რომ შაჰს ახლდა სააკაძე მუკუზანთან, სადაც მეგზურობა სხვას დაეკალა, სხვას დაევალა ოპერაციების წარმოებაც. იქნებ დელუ-მოჰამედიც დაიბნა და სააკაძის რჩევა გახდა საჭირო. ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთ ითქვა, სააკაძეს უნდა გაეყვანა შაჰის ჯარი. გარდა ამისა, ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბაგრატიონი არ მიუთითებენ, რომ შაჰს გასჭირვებოდეს მუკუზანთან. პირიქით, თეიმურაზი ილტვის თავისი ქვეყნიდან და შაჰის ჯარები მისდევენ მას.

ერთი სიტყვით, კვლავ და კვლავ გემართებს საბოლოოდ გავფანტოთ ეჭვი იმის შესახებ, თითქოს სააკაძე „აზრახებდა ყეენს“. ისტორიაში ბოლოს და ბოლოს გარკვეულია, რომ შაჰს უდიდეს მეფესა და დიპლომატს თავისი ტოტალური გეგმები ჰქონდა და რომ „ღვთის განგებით“ (ისქანდერ მუნში) იყო გადაწყვეტილი კახეთისა და ქართლის აყრა.

სააკაძეს არა თუ კახეთის, რომელსაც მისთვის არაფერი დაუშავებია, უბრალო მოსახლეობის გაჟლეტა კი არა, მიზნად თავისი ოჯახის დამაქცევართა განადგურებაც კი არ ჰქონია.

1615 წლის გაზაფხულზე შაჰთან ერთად ქართლში შემოსული სააკაძე ნოსტეში ავიდა და თავისი მამულების აღდგენას მიჰყო ხელი. შეშინებული ქაიხოსრო ჯავახიშვილი იმერეთისაკენ გაიქცა. 1620 წელს ქაიხოსრო ჯავახიშვილსა და გიორგი სააკაძეს შორის გაიმართა სასამართლო. სააკაძემ სასამართლოს მოაგონა: „რომე ბედნიერი ყეინიდან (ე. ი. ირანიდან) დავბრუნდი და ეს ყველა ავი ქაიხოსროსაგან მჭირდაო, იმას ესრე ეგონა, რომ წაუხდენელს არ გაუშვებდიო, აიყარა და სურამისაკენ წავიდაო. მივწიე ბიძინა და ისრევე დავაბრუნე და ცოლ-შვილით მოვიყვანეო“ (1620 წლის სასამართლოს ოქმი). კითხვა ისმის: თუ დიდებულებზე შურისძიების მიზნით სააკაძე „აზრახებს“ შაჰს, კახეთი და ქართლი გაანადგურეო, როგორ ხდება, რომ თავის დაუძინებელ მტერს, შიშით გაქცეულს, უკანვე აბრუნებს და ამშვიდებს? როგორ ავ-

ხსნათ ეს ნაბიჯი? მთელი კახეთის მოსახლეობის გაჟლეტა ქაიხოსრო ჯაველიშვილის მიზეზით გადაწყვიტა სააკაძემ და თვით ქაიხოსროს კი ასე კეთილშობილურად შეუნდო? შეიძლება დასწამო ასეთს კაცს თითქოს იგი „დღენიადაგ აზრახებდაო“ ყეენს? როგორც ჩანს ვახუშტი ბაგრატიონს ყველა წყარო, მათ შორის სასამართლოს ოქმი, ხელთ არა ჰქონია. სააკაძის მოწინააღმდეგეთა დასის გაელენა კი მეტად დიდი იყო XVIII საუკუნეში, როცა იქმნებოდა ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომი. დიახ, როგორც ისტორიკოსები შენიშნავენ, სააკაძე უკვე მიხვედრილი იყო, რა სურდა შაჰს და სწორედ პირად მტრებთან შერიგებით დაიწყო თავისი დიდი მისიის ასრულება. შეიძლება არ ენდო ამ ფაქტებს? ლოგიკისათვის წარმოუდგენელია მსგავსი რამ.

არის კიდევ ერთი ცნობა. მას პლატონ იოსელიანი იმოწმებს ვახუშტის ისტორიიდან: „ნუგზარ არაგვის ერისთავი, იესე ქსნის ერისთავი, ანდუყაფარ ამილახვარი, ფეშანგი ფალავანდიშვილი და აღათანგ ხერხეულიძე, გიორგი სააკაძის მიერ წაქეზებულნი, თავიანთი რაზმებით განჯაში შაჰთან გამოცხადდნენ და მორჩილებით აღუთქვეს ქართლის მეფის წინააღმდეგ სამსახური.“ ამან წარმატების იმედი მოუსპო ქართველ მეფეებსო, შენიშნავს პლატონ იოსელიანი. აქაც ისმის „წყეული“ კითხვა: განა ქართლის მეფეს არ უნდა სცოდნოდა, რომ სააკაძის მოკვეთა მას ამ ძლიერ ფეოდალებსაც ჩამოაშორებდა? რომ ისინი გვერდზე გადგებოდნენ? ე. ი. დაკარგავდა ძალას, ვისი შემწეობითაც და სააკაძის ხელმძღვანელობით მოიგო ქართლმა ტაშისკარის დიდი ომი? და სწორედ ამის გამო უნდა დაყრდნობოდა სამეფოს „უპირველეს კაცს“. უპირველეს კაცად დიდი მოურავი ხომ თავისმა დიდმა საქმეებმა აქცია. ფეოდალები ხომ ხედავდნენ ამას მტრობის მიუხედავად და გულწრფელად აღიარებდნენ: „მოურავი კაცი დიდად კარგი არისო...“ რა გასაკვირია, რომ ქართლის მეფის დამხობის სურვილით ერჩია თავისი ხალხისათვის სააკაძეს, შაჰთან გამოცხადდით, ლუარსაბის ნაცვლად ტახტზე სხვა დავსვათო. სწორედ სააკაძის მომხრეების შაჰთან გამოცხადებამ „გამოუთხარა თურმე ძირი ხალხის სულისკვეთებას, მის მზადყოფნას“. მაშ მეფე რად უნდა დამდგარიყო იმ ხალხის მხარეზე, ვინც არც ტა-

შისკარში იბრძოდა, არც მეფეს უდგას გვერდით, და პირველნი იღვწიან შაჰის სასიამოვნოდ, კისრულობენ ლუარსაბი იმერეთიდან გადმოიყვანონ და ჩააბარონ ტყვედ (შადიმან ბარათაშვილი მყავს მხედველობაში). ამდენად ამ ბრალდებას, ბრალდება არ ეთქმის, აქ უფრო ლუარსაბი ჩანს დამწაშავე, სწორედ იმ „წყეული" კითხვის წყალობით.

ლუარსაბ II უკეთილშობილესი კაცი იყო, პატრიოტი და რწმენის უსაზღვრო ერთგული. მან, უბრალოდ, როგორც მალემრწმენმა და სუსტი ნებისყოფის მეფემ წინააღმდეგობა ვერ გაუწია დიდგვაროვანთა ინსტიტუტს, ვერ გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი და ვერ აირჩია უფრო სანდო, პროგრესული გზა. აქ ალბათ, ნაწილობრივ მაინც არის მხედველობაში მისაღები, რომ 1612 წლისათვის ლუარსაბი ყმაწვილი ჩანს. ბუნებრივია, მას ნაკლებ ჰქონდა დამოუკიდებელი ქმედების უნარი. ასეა თუ ისე, სააკაძის მოკვეთა უდიდესი შეცდომა იყო, რადგან ქვეყანამ დაკარგა უპირველესი მხედართმთავარი, ტაშისკარის ომის ავტორი, ვისი გამოჩენაც კი აღაფრთოვანებდა ჭართველთა ლაშქარს. ლუარსაბი დარჩა თავისი „ერთგული" შადიმანების, ქაიხოსროების, ფარსადანების... იმედად. მათ კი ხელს აღარ უშლის „მცბიერი, მჩურჩნელი უნდო" სააკაძე. შეუძლიათ ქვეყანას თავიანთი მამულიშვილობა და ვაჟკაცობა დაუმტკიცონ. უდიდესი შეცდომა რომ იყო დაშვებული, ეს შემდეგ გამოჩნდა, თავიდან მეფემ მოსალოდნელი შედეგი ვერ გაითვალისწინა. თითქოს სააკაძე უშლიდა ხელს სამეფო კარის სიმტკიცეს, თითქოს ის რევდა ქვეყანას — ასე ამტკიცებდნენ მტრები. ახლა სააკაძე შაჰს მიჰკედლებია. ქართლის დიდებულებს, სააკაძის მტრებს, ფართო ასპარეზი აქვთ, რათა მეფეს დაუმტკიცონ როგორი ერთგულები და როგორი უნარიანები არიან. ჩვენ გვმართებს ამ სურათზე დაკვირვება, რადგან ამ სურათის სრული ახსნა სააკაძის ფენომენის უკეთ დანახვაში დაგვეხმარება.

ქართლის მეფე ლუარსაბმა, ვინც მშვენიერი მეომარი იყო, დიდებულებმა, სააკაძის მოსპობაში ასეთი ერთსულოვნება რომ გამოიჩინეს, ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს შაჰს. არა ჩანს მათი არც მხედართმთავრული ნიჭიერება, არც ჯარი ჩანს მათი, არც სიმტკიცე, არც ერთსულოვნება. და ეს ძალიან

საინტერესოა. საინტერესოა, კერძოდ, ის, რას აღწევს ქართლის მეფე ლუარსაბი, როცა საკაძე არ უდგას გვერდით. მან თეიმურაზთან ერთად ჯებირი გაავლო მუკუზანთან. მტერმა შემოუარა ამ ჯებირს და სცადა მეფეების ხელში ჩაგდება. ორივე მეფე იმერეთისაკენ გაიქცა.

ესაა ქართლ-კახეთის მესვეურთა მთელი წინააღმდეგობა. ერთსულოვნება თავადებისა, რაც ასეთი სიმკვრივით გამოირჩეოდა საკაძესთან დაპირისპირების ჟამს, სადღაც გაქრა, როდესაც ქართლს ნამდვილი მტერი მოადგა და ალმასის სიმკვრივის ერთსულოვნება ქვეყანას ასე სჭირდებოდა. არც თვითონ გამოუღიათ ხელი და მეფეც დაარწმუნეს, ბრძოლას აზრი არა აქვსო. ამ ძალების ამარა ბრძოლას, მართლაც არ ჰქონდა აზრი და თავადებმაც იგრძნეს, ეტყობა, თავიანთი უსუსურობა. იგივე თავადები მშვენივრად გრძნობდნენ, რომ ბრძოლას აზრი აქვს, როდესაც ლაშქარს წინ საკაძე მიუძღვება (სხერტის ჭალა, ტაშისკარი). მონაწილეობენ ომში და სახელოვნადაც იბრძვიან. ახლა კი წინააღმდეგობის გაწევა უაზრობად ქცეულა. ცხადია, ისინი არ იტყვიან, საკაძის ბადალი სარდალი არ გვყავს და ბრძოლას ამიტომ არა აქვს აზრიო. პირიქით, ამბობენ, საკაძე მტრის ბანაკშია და ქვეყნის დამაქცევარიაო. გრძნობით კი შესანიშნავად გრძნობენ ყველანი, რომ დიდი, ძალიან დიდი ძალა მოაკლდა ქართლს საკაძის მოკვეთით. გრძნობს ლუარსაბ მეფე, რომ თუკი საკაძე გვერდით ეყოლებოდა, ბრძოლას აზრი ექნებოდა. გამარჯვების იმედიც ენთებოდა. შემდგომმა მოვლენებმა ეს იმედები დაადასტურა. მანამ კი ტაშისკარის ომს ჰქონდა შემონახული იმედი.

ქვეყნისათვის გამოუსადეგარნი საკაძის მტრები ახლა შაჰს ეახლნენ: ფარსადან ციციშვილი, შადიმან ბარათაშვილი, ბერუკა ჯავახიშვილი. სამსახური შესთავაზეს. მარტო საკაძის მომხრეები არ მისვლია შაჰს, საკაძის მტრებიც მიუვიდნენ. უბრძოლველად ნებდება ქართლი, გრძნობს ბრძოლის უაზრობას. შევადაროთ ახლანდელი ქართლი 1612 წლამდე საკაძის ღონისძიებებით მოღონიერებულ ქართლს, ქვეყანას, რომელმაც ასე ბრწყინვალედ გაიმარჯვა ტაშისკარის ომში. რამოდენა სხვაობაა. აქ რა უსუსურობაა, რა უძლურობაა, იქ კი რა ძლიერება ჩანს, როგორი დამანგრეველი ძალა მოძრაობს ხალხისა

და ქვეყნის ორგანიზმში. და ვისი წყალობით იყო მიღწეული ყოველივე ეს. ხომ იგივე ქვეყანაა, იგივე ხალხი, იგივე მეფე, ერთიღა საკაძე აკლია ქვეყანას — ქვეყნისვე მტერი და ორგული. მაშ კიდევ უფრო გაძლიერებული უნდა იყოს. აი, თავი და ბოლო ძალთა შესაკრებელისა! სწორედ საკაძე აკლია ქვეყანას, მისი ორგანიზმი დიდი მოურავის ვნებათა-ღელვით მოდიოდა თურმე მოძრაობაში...

უსახელოდ დანებდა ქართლი. დანებდა, მაგრამ ამ მორჩილებამ მხოლოდ დროებით გადადო მისი აყრა-გადასახლების საქმე. შაჰი ჯერ კახეთის საქმეებს აგვარებს. ჯერ ეს ქვეყანა უნდა დააცარიელოს, რადგან დარბევის საბაბს ჯერ კახეთი უფრო იძლევა.

არაქელ თავრიზელის სიტყვით „შადიმან ბარათაშვილი — ეს ბოროტი, ვერაგი კაცი, რომელიც ქრისტიანთა სამეფოს დაღუპვის მიზეზი გახდა, წავიდა იმერეთში ლუარსაბთან და თეიმურაზთან, დიდი ხნის განმავლობაში ელაპარაკა ლუარსაბს ლმობიერი, დამარწმუნებელი და მოსაწონი სიტყვებით მანამ, ვიდრე მის მტკიცე განზრახვას შეარყევდა“. აი, რას ურჩევს ფეოდალური ინსტიტუტის ლიდერი ლუარსაბს. ნაცვლად ბრძოლისა, ნაცვლად მობილიზებისა, იმ ინსტიტუტის ლიდერი, რომელმაც ტაშისკარის ომის აეტორზე ალტერნატივა წაუყენა მეფეს — ან საკაძე ან ჩვენო. ლუარსაბს უკვე არა აქვს სხვა გზა. ან ქვეყანას აუოხრებს შაჰი, ან თავი უნდა გასწიროს. დიმიტრი თავდადებულის მდგომარეობაში აღმოჩნდა იგი. კეთილშობილი მეფე, დიდებული ქართველი, რაკი ქვეყნის საშველად სხვა ძალა და ღონე არ დარჩენია, ირჩევს თავგანწირვის გზას. იმავე არაქელ თავრიზელის სიტყვებით ლუარსაბს უთქვამს: „თუ მე არ წავალ, იგი (შაჰ აბასი) მთელ ქვეყანას აოხრებს, ეკლესიებს დაანგრევს, ქრისტიანებს დახოცავს და დაატყვევებს, ეს ყველაფერი ჩემი მიზეზით იქნება. რამდენიმე ხანს ასეთი სინდისით ცხოვრებას და იმდენი ადამიანის ცოდვაში ჩადგომას, მირჩევნია წავიდე შაჰთან, მთელი ქვეყანა ვიხსნა, რათა ჩემი მიზეზით არ აოხროს ქვეყანა“. ღირსეული მამულიშვილის სიტყვებია, კაცისა, ვინც ჩამხვდარია თავის შესაძლებლობებს, თავის შეცდომებსაც და ჩიხში მიმწყვდეული იბრძვის მის ხელთ არსებული ერთადერთი იარაღით —

თავგანწირვით. ლუარსაბს შაჰმა რჯულის შეცვლა მოსთხოვა. ამის შემდეგ იგი ქართლის ტახტზე დასვამდა მას. მაგრამ მეფემ არ ირება რჯულის შეცვლა, მან გადაწყვიტა რწმენისადმი ერთგულებით გაეწირა სამსახური ქართლისათვის. ლუარსაბ მეფე მართლაც არ იყო ძლიერი მეფე, დიდი პოლიტიკოსი ზოგი გამოუსწორებელი შეცდომაც დაუშვა, მაგრამ საქართველოს წინაშე იგი სხვა მხრივ პირნათელია და ნამდვილი მოწამე. ეს არ უნდა იქნეს დავიწყებული. მისი ერთგვარი სისუსტე ამ თავგანწირვამ გააბათილა. შემთხვევითი არ არის, რომ ბერი ეგნატაშვილი ასე ვრცლად გადმოსცემს ლუარსაბ II სიტყვებს, სიტყვებს თავგანწირული მეფისას. ამ სიტყვაში თუ ანდერძში ჩანს სპეტაკი სულის პიროვნება, რომელსაც გაცნობიერებული აქვს ყოველი თავისი ნაბიჯი და ქვეყანას შეგნებულად ეწირება. სიტყვებში ჩანს აგრეთვე ლუარსაბ II უცოდველი ანკარა სული და იგი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა თავგანწირვაში, რამდენადაც სუსტი იყო როგორც დიპლომატი, როგორც მეფე.

შაჰმა ვერ გატეხა ლუარსაბის წინააღმდეგობა. იგი დიდხანს ჰყავდა ტყვეობაში შაჰს და მას მართლაც ჰქონდა საბაბი, ერწმუნა, რომ მისმა თავგანწირვამ იხსნა ქართლი განადგურებისაგან. შაჰის მრისხანებას ქართლი მართლაც გადაურჩა 1614 — 1617 წლებში, როცა მიწასთან იქნა გასწორებული კახეთი. ლუარსაბის გაუტეხელობამ, მეორეს მხრივ, კიდევ უფრო დაარწმუნა შაჰი, რომ ქართლ-კახეთის აყრა აუცილებელი იყო. ლუარსაბის თავგანწირვა, ამდენად, შაჰს დროებით თუ შეაჩერებდა, რადგან „ღვთის განგებით“ იყო გადაწყვეტილი „ამ ვილაიეთების“ აყრა, ე. ი. შაჰის პოლიტიკა ბოლომდე უნდა გატარებულიყო. ლუარსაბმა თავისი მისვლით, უპრალოდ მიზეზი არ მისცა ქართლის აოხრებისა. შაჰი ამჯერად კახეთს დასჯერდა. საბაბს კი, როდესაც სურდა, მაშინ იპოვიდა.

1615-1617 წლებში კახეთში დატრიალებული უბედურების შესახებ ყოველმა ქართველმა შესანიშნავად იცის, მაგრამ აქ ამ დიდი მოვლენების შეხსენება მაინც იქნება საჭირო, რადგანაც სააკაძის ფენომენი ამ მოვლენებისაგან განუყოფელია. ეს მთლიანი მონაკვეთია საქართველოს ისტორიისა, რომლის ყოველი ნერვი ერთმანეთთან არის გადახლართული.

მაშასადამე, ისქანდერ მუნში კახეთის უბედურებას მთლიანად თეიმურაზს აბრალებს. მართალია, იგი აღნიშნავს, რომ „ღვთის განგებით“ იყო გადაწყვეტილი ამ „ვილაიეთის“ აყრა და აქ, კაცმა რომ თქვას, თეიმურაზ პირველი არაფერ შუაშია. ეს შაჰის, მთელი ირანის ტოტალური პოლიტიკა იყო. შაჰი ჯიუტად და თანამიმდევრულად ახორციელებდა და მისდევდა ამ პოლიტიკას. ის კი აშკარაა, რომ თეიმურაზი თავის ბრძოლებითა და პოლიტიკით აღუდგა დაუნდობელ შაჰს და დიდი საბაბი მისცა მრისხანებისათვის. აშკარად საჭირო იყო მეტი სიფრთხილე და დაკვირვებული მოქმედება. სწორად აღნიშნავს ისტორიკოსი გივი ჯაბურია: „შაჰ-აბასის სისხლიანი შემოსევების მიზეზი სულ სხვა და უფრო ღრმა იყო, მაგრამ ერთი კი ცხადია-— თეიმურაზის პოლიტიკასა და დიპლომატიას აკლდა მისი დიდი პაპის ალექსანდრეს მოქნილობა და ჭკუამახვილობა“.

ირანის ჭკვიანი პოლიტიკოსი, ვერაგი შაჰი ხმას ავრცელებდა, ოსმალეთზე სალაშქროდ ვემზადებიო. ქართლ-კახეთის მეფეები ენდობოდნენ ამ ცნობას და უდარდელად ატარებდნენ დროს. განსაკუთრებით არხეინად გრძნობდა თავს თეიმურაზი. არჩილ მეფე, ვინაც აღწერა თეიმურაზის ცხოვრება, საგანგებოდ აღნიშნავს ამის შესახებ. თეიმურაზ პირველი გაუთავებლად ქეიფობდა, არავითარ სამზადისს არ ეწეოდა. ისქანდერ მუნშის ცნობაც ემთხვევა არჩილისას: „ქართველებს და განსაკუთრებით თეიმურაზს უდარდელობის ფარდა ჰქონდათ გამჭრიახობის თვალზე ჩამოფარებული“. შესაძლოა შაჰმა საქართველოზე გამოილაშქროსო, აფრთხილებდა ზოგი თეიმურაზს, მაგრამ ამ ფრთხილ მამულიშვილებს დასცინოდნენ („ვიდრე მართლა არ მოვიდა მოსვლა ჰქონდათ მათ სიცილად“). შაჰი, როგორც ჩანს, განზრახ ადუნებდა ქართველთა ყურადღებას. იმავე დროს შაჰმა სულთანს გაუგზავნა ელჩი — ხმას ვავრცელებ, თითქოს ოსმალებზე სალაშქროდ მოვდივარ, რომ ქართველების ყურადღება მოვადუნო, არ მიიღო სინამდვილედ და რაიმე გაუგებრობა არ მოხდესო. ბოლოს შაჰი განჯაში მივიდა დიდძალი ლაშქრით. იქიდან კაცი გამოუგზავნა თეიმურაზს და ერთგულების ნიშნად შვილის გაგზავნა მოსთხოვა, ეს დამარწმუნებს რომ ოსმალეთს არ მიუდგებიო. თეიმურაზი წინააღ-

მდეგი იყო შვილის გაგზავნისა, მაგრამ „დაუჟინეს კახთა“ და გაგზავნა უმცროსი ვაჟი ალექსანდრე დედა ქეთევან დედოფალთან ერთად. შაჰმა უფროსი შვილის გაგზავნაც მოითხოვა. თეიმურაზმა ისიც გაგზავნა. შაჰმა ბოლოს თეიმურაზის მისვლაც მოითხოვა. ახლა უკვე ცხადი შეიქნა, რა სურდა შაჰს, იგი ბაგრატიონთა დინასტიის შტოს ანადგურებდა კახეთში. კახელებმა თავში ხელი იცეს, მაგრამ რას იზამდნენ. თეიმურაზი არ წავიდა. ძნელია ახლა განსაჯო წამებული მეფე ამ ნაბიჯის გამო. ძნელია დაადგინო, რა სჯობდა, წასვლა თუ წაუსვლელობა. მაგრამ რაკი დედამისი და ორი შვილი შაჰთან იყო, თეიმურაზის მისვლით შაჰს, ალბათ, ყოველგვარი ეშვი გაუქარწყლდებოდა. მართალია, ამას მოჰყვებოდა წინადადება რჯულის შეცვლის შესახებ და თეიმურაზი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, მაგრამ წაუსვლელობამ უფრო დიდი ზიანი მოუტანა ქვეყანას.

მხოლოდ ახლა დაიწყეს სანგრების თხრა და ჯებირების შენება კახელებმა.. „მუკუზნიდან გაღმა მთამდი სრულ ჯებირი წავავლევით“ — ათქმევინებს არჩილი მეფე თეიმურაზს, მაგრამ შაჰის ჯარმა ადვილად შემოუარა ამ ჯებირებს. ეს ოპერაცია, როგორც ითქვა, ორ ირანელ სარდალს ჰქონდა დავალებული. ორივემ შეასრულა დავალება. უკუქცეულ თეიმურაზსა და შაჰის ჯარს შორის შეტაკება მოხდა ჟალეთთან. შაჰის ჯარს „ვერღარა დაუდგა თეიმურაზ და წავიდა“, თუმცა მემატიანეთა ცნობით თეიმურაზი ლომივით იბრძოდა. იგი ცდილობდა ქართლში გაეღწია. მას ყიზილბაშთა ახალი რაზმები გადაეღობნენ, მაგრამ ქართველებმა გაარღვიეს ალყა და მუხრანში მივიდნენ. აქ შეხვდნენ ერთმანეთს თეიმურაზი და ლუარსაბი. თათბირზე გამოირკვა რომ არც ქართლსა და არც კახეთს შაჰთან შებრძოლების თავი არ ჰქონდათ. საყაძის მოსისხლე მტრებიც კი შაჰთან მისულიყვნენ, შაჰს ეახლა კახეთის თავადობის დიდი ნაწილი. დარჩენილთაგან ბევრი ურჩევდა შერიგებას მეფეებს შაჰთან. მხოლოდ მცირე ნაწილი მოითხოვდა ბრძოლას. ასეთ პირობებში ომი არ ღირდა. მეფეები იმერეთისაკენ წავიდნენ.

კახეთი და ქართლი მართლაც, სრულიად მოუმზადებელნი ჩანან ბრძოლისათვის. არ იგრძნობა თავადთა დარაზმულობა

მეფის ტახტის გარშემო. როგორც ჩანს, არც ლუარსაბი და არც თეიმურაზი არ ელოდნენ ომს და არ უსმენდნენ გაფრთხილებას. ფეოდალური ინსტიტუტი, ასე ერთსულოვნად რომ დაუპირისპირდა სააკაძეს, სრულებითაც არ აღმოჩნდა ერთსულოვანი ნამდვილი მტრის წინაშე. არც კახეთსა და არც ქართლში დიდებულთა შემაკავშირებელი ძალა არ აღმოჩნდა. იგრძნობა სრული შეუთანხმებლობა თეიმურაზსა და თავადებს შორის. ერთნი გარბიან შაჰთან, მეორენი შერიგებას ურჩევენ, მესამენი — ბრძოლას. ჩანს დაქსაქსული ინსტიტუტი, გონებადაფანტული ქვეყანა, დაბნეული პოზიცია და გამოუკვეთელი პრინციპები. ასეთი ქვეყნის დამარცხება, ცხადია დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. არც გასჭირვებია მისი დამარცხება შაჰს.

შაჰმა თავდაპირველად თავის ლაშქარს არ მისცა ნება ქვეყნის დარბევისა და აწიოკებისა. მას უნდოდა ხალხი დაეჯერებინა, თითქოს ქვეყანას კი არა, თეიმურაზ პირველს ებრძოდა. ამ ხრიკს რამდენიმე ყიზილბაში მეომარი შეეწირა. ქვეყნის დასანახად იმ ყიზილბაშებს, ვისაც ოჯახის დაწიოკება დაბრალდა, მუცლები დაუფატრეს და ბანაკში დააბრუნეს. შაჰს უნდოდა კახელების ნდობა მოეპოვებინა.

ციხესიმაგრედ გადაკეთებულ ალავერდში მდგარმა შაჰმა შეიტყო, რომ მთელი კახეთის განძეული თიანეთის ერთ მიუვალ ციხეში იმალებოდა. ჯერჯერობით შაჰი მხოლოდ თეიმურაზის კვალს მისდევს. მაგრამ როგორც კი ერწო-თიანეთის მოსახლეობის დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, შაჰის ლაშქარმა არავინ არ დაინდო. აიღო ციხე, გამოიტანა კახეთის მთელი განძეული, წამოიყვანა 30 000 ტყვე, 40 000-მდე მსხვილფეხა საქონელი. ახლა შაჰს თითქოს საბაბი ჰქონდა. ხალხმა წინააღმდეგობა გამიწიაო და ჭკუის სასწავლებლად კახეთის რბევას მიჰყო ხელი. აჰყარა და ირანში გადაასახლა შირვანელი და ყარაბაღელი გლეხები, რომლებიც ალექსანდრე მეფის დროს ჩამოსახლებულიყვნენ ოსმალეთის მიერ შევიწროებულნი კახეთში. თითქოს არაქართველ მოსახლეობას ერეკებოდა შაჰი. მაგრამ ეს იყო დასაწყისი მისი ფარული პოლიტიკისა — ქართლ-კახეთის მოსახლეობის აყრისა და მათ ადგილზე თურქმანთა ტომების ჩასახლებისა. ეს იყო ქართლ-კახეთის მუსულმანურ

სახანოებად გადაქცევას დასაწყისი. შაჰმა კახეთის მმართველად დასვა გამუსულმანებული ისა-ხანი (გიორგი ალექსანდრეს ძის ვაჟი). მრჩევლად დაუნიშნა დავით ჯანდიერი და ნოდარ ჯორჯაძე. 1615 წლის დამდეგს შაჰი თავისი ჯარით ქართლში შემოვიდა. ქართლი შაჰს არ დაურბევია. არსებობს ვარაუდი, რომ ამ პირველი ლაშქრობის შედარებითი მშვიდობიანობა სააკაძის დამსახურებაა. შაჰს ჯერ მეფეების ხელში ჩაგდება სურს. ამიტომაც ერთ-ერთი ვეზირის ხელით გიორგი იმერთა მეფეს „რისხვიანი წერილი“ გაუგზავნა და მეფეები მოსთხოვა. წინაალმდეგ შემთხვევაში ომით იმუქრებოდა. მეფეებმა ვერ გაბედეს შაჰთან მისვლა. ელჩის პირით კი შაჰს შეუთვალეს — გვაპატიე მოუსვლელობა და საქართველოდან გაიყვანე ჯარებიო. შაჰი დაჟინებით მოითხოვდა — მეახლონ და ეპატიებო. ლუარსაბმა და თეიმურაზმა, ცხადია შესანიშნავად იცოდნენ, რომ შაჰი მათ არაფერს აპატიებდა, ამიტომ ვერ წყვეტდნენ წამოსვლას.

განსაკუთრებით მტკიცედ იდგა უარზე თეიმურაზი, იგი ერთ ნაბიჯზეც არ ენდობოდა შაჰს. ეტყობა, შაჰი მშვენივრად იცნობდა თეიმურაზს და ახლა ლუარსაბს შეუჩნდა. იმერეთიდან მისი გადმოყვანა შაჰმა შადიმან ბარათაშვილს დაავალა. შადიმანმა ლუარსაბის დის, იგივე შაჰ-აბასის მეუღლის წერილი წაიყოლა. შადიმანი იმდენი ეჩიჩინა ლუარსაბს, რომ თავისი გაიტანა. ლელას წერილმაც გაჭრა და ლუარსაბმა გადაწყვიტა შაჰს ჰხლებოდა. არც თეიმურაზი და არც იმერეთის სამეფო კარი ლუარსაბს წასვლას არ ურჩევდა. მაგრამ ლუარსაბმა აირჩია ქვეყანა ეხსნა თავის გაწირვით.

შაჰს თურმე ძალიან მოეწონა ახოვანი, ლამაზი ლუარსაბ მეფე, მაგრამ შურით აღივსო, როგორც კი იმავე ლუარსაბმა აშკარად დაჯაბნა ნადირობაში. შაჰმა თავისი მიზნის ნაწილს მიაღწია, ამიტომ თბილისს მივიდა, ჩააყენა თავისი გარნიზონი და ყარაბაღისაკენ გაეშურა. და აი, ამ დროს გაირკვა, რომ შაჰი ლუარსაბს თბილისში არ დატოვებდა, რისი იმედიც ჰქონდა ლუარსაბს. ყარაიაში ნადირობის საბაბით შაჰმა იგი თან წაიყვანა. ეს ფაქტიურად დატყვევებას ნიშნავდა, შაჰი ირანში დაბრუნდა.

ე. ი. პირველი ლაშქრობისას შაჰმა ხელთ იგდო კახეთის

სამეფოს განძეული, 30 000 ტყვე, 40 000 სული საქონელი, ირანში გადაასახლა შირვანელი და ყარაბაღელი გლეხები, დაატყვევა ლუარსაბ მეფე. ზარალი, როგორც ვხედავთ, დიდია. მალე შაჰმა ლუარსაბს რჯულის შეცვლა მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. როდესაც არც მუქარამ გაჭრა და არც დაყვავებამ, შაჰმა ლუარსაბი დააპატიმრა.

ლუარსაბი, ისევე როგორც ქეთევან დედოფალი, ბოლომდე იდგა თავის სიტყვაზე და ამის გამოც დაიღუპა. დაიღუპა როგორც ნამდვილი მოწამე.

რჯულის შეცვლა ხშირად ზედაპირულად ფასდება ხოლმე. შეიცვალა რჯული? — ე. ი. სარწმუნოებისა და ქვეყნის მოღალატეა! მაგრამ ისტორიამ დაგვიმტკიცა, რომ ამ შემთხვევაშიც გვმართებს ფხიზლად შევაფასოთ ფაქტი და პოზიცია შემდეგ შევიმუშაოთ. ქართლ-კახეთის ისტორიას ახსოვს რჯულშეცვლილი მეფეები, ვინც არა მარტო გამუსულმანდნენ, არამედ სისხლითა და ხორცით შაჰის უერთგულეს მოხელეებად იქცნენ. ჩემი აზრით, მხოლოდ ასეთი ხალხი შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნისა და ხალხის მოღალატედ. მაგრამ ჩვენმა წარსულმა ისეთი ხალხიც იცის, ვინც მხოლოდ მოსაჩვენებლად მიიღო სხვისი რჯული და თავის დროზე ისე მოემსახურა საქართველოს, როგორც უპირველეს მამულიშვილს შეჰფერის. ასეთი იყო ბაგრატ დიდი, სიმონ I ... მათ დაინახეს, რომ აუცილებელი იყო რჯულის შეცვლით ეხსნათ ქვეყანა, ეხსნათ ქრისტიანული სარწმუნოება. ეს არასასურველი ფაქტია, მაგრამ გამოუვალ სიტუაციაში გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯიც არის. მეფე თმობს ერთს, მეორის, უფრო დიდის გადასარჩენად. დიმიტრი თავდადებულისა და ლუარსაბ პირველის ბრძოლის გზა სხვა გზაა. ლუარსაბმა დაინახა, რომ როგორც მეფე, როგორც მხედართმთავარი, ვერ დაუპირისპირდებოდა შაჰს, ვერ სძლევდა მას. ამიტომ არჩია ქვეყნის აოხრებას თავის გაწირვა. მაგრამ ამასთან არ დათმო რჯული. არ წავიდა ბაგრატ დიდისა და სიმონ პირველის გზით. მან აშკარად იგრძნო თავისი უძლურება ირანის იმპერიის წინაშე და გადაწყვიტა, ზნეობრივი გმირობით მიეცა თავისი ხალხისათვის მაგალითი — იგი ეწამა ხალხისა და ქვეყნისათვის, ზნეობრივად სძლია თავის მტერს და ხალხში თავდადებული მეფის სახელი დაიგდო. მისი თავ-

განწირვა ძალად და ენერგიად ემატებოდა ქვეყანას. იგი მაგალითად იქცა სხვებისათვის.

თეიმურაზ მეფე არ ისვენებს. ცდილობს კავშირი შეკრას საქართველოს მეფე-მთავრებთან, რათა ერთიანი ფრონტით იბრძოლონ შაჰის წინააღმდეგ. თეიმურაზმა და მისმა ხალხმა მოამზადეს კახეთის აჯანყება და იგი დაუკავშირეს ოსმალეთის ლაშქრობას ირანის წინააღმდეგ (1615 წელს).

ოსმალეთის ჯარს მეჰმედ-ფაშა მეთაურობდა. თეიმურაზის მომხრეებმა კახეთში აჯანყება დააჩქარეს. აჯანყებას სათავეში დაუდგა ჯანდიერი ჩაუდგა. ალავერდობა დღეს, 15 სექტემბერს იგი ალავერდში შევიდა „მლოცველთა ჯგუფით“. დავით ჯანდიერს, როგორც ისა-ხანის მრჩეველს, უარი ვერავინ უთხრა. აჯანყებულებმა ხმლები იშიშვლეს და ირანის გარნიზონს დაერივნენ. თეიმურაზი სასწრაფოდ კახეთისაკენ გამოეშურა. აჯანყებას დელიმულაქიც მიემხრო. აჯანყებულებმა კახეთსა და შირვანში ციხეები გაათავისუფლეს, ირანული გარნიზონები გაწყვიტეს და გარეკეს. მაგრამ ოსმალეთის არმია ზოზინობდა. რაკი ზამთარი იწყებოდა, ოსმალეთში ომი გადადო. ამან ხელფეხი გაუხსნა შაჰს და ამან ალი-ყული-ხანი გაგზავნა 15 000 კაცით თეიმურაზის ხელმი ჩაგდების მიზნით. ალი-ყული-ხანი ქართლში შევიდა და წიწამურთან დადგა. ალი-ყული-ხანი თავისი ჭკუით იმერეთისაკენ წასასვლელ გზას უკეტავდა თეიმურაზს. ალი-ყული-ხანის ჯარში თეიმურაზის მომხრეები აღმოჩნდნენ, ისინი ცნობებს აწვდიდნენ კახეთის მეფეს. თეიმურაზი მოულოდნელად დაესხა თავს ალი-ყული ხანს. ყიზილბაშთა ჯარი სასტიკად განადგურდა. მთელი ალაფი ქართველებს ჩაუვარდა ხელთ. მხოლოდ მცირე ნაწილმა გაასწრო თბილისს. ალი-ყული-ხანი განჯაში გაიქცა.

„თეიმურაზის გამარჯვება, — აღნიშნავს გივი ჯამბურია, — თავისთავად დიდი მნიშვნელობისა იყო, იგი თავისი ძალების რწმენას უნერგავდა სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველებს“. მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ გამარჯვებას. ირანის ლომის სახელი ჰქუხდა ყველგან. თითქოს წარმოუდგენელი იყო მისი ჯარის დამარცხება. ასეთ დროს ბევრს ნიშნავდა იმ აზრის განმტკიცება, რომ შაჰი არ არის უძლეველი, როცა ერთსულოვნად იბრძვის ხალხი. ეს ბრძოლა

შემდეგ გამოადგა ხალხს, რათა სულიერად არ დაცემულიყო და კრიზისულ წუთებში ღირსეულად დაპირისპირებოდა მტერს. მაგრამ დამარცხდა არა შაჰის არმია, არამედ ნაწილი იმ არმიისა. დიდი ვეშაპი კი „რომლის მძვინვარების ცეცხლი ისე ავარდა, რომ ყოველი მისი ნაპერწკალი ქვეყნიერების დამწველი მეხი იყო“ (ისქანდერ მუნში) ირანის უზარმაზარი არმიით დაიძრა საქართველოსაკენ. მას შეუერთდნენ მაჰმადიანური სამფლობელოს მმართველები, შეუერთდა ალი-ყული-ხანიც გადარჩენილი ჯარით. შაჰი უკვე აღარ მალავდა თავის განზრახვას — გაეწყვიტა, გადაესახლებინა კახელები და მათ ნაფუძარზე თურქმანთა ტომები ჩაესახლებინა. დადგა კახეთის ყოფნა-არყოფნის ჟამი. არ გაუშართლა თეიმურაზს. ოსმალეთმა გაზაფხულზე ომი არ დაიწყო. კახეთში შაჰის ჯარი შევიდა, ქართლში ბაგრატ-ხანი (დაუდ-ხანის ძმა) დასვა ტახტზე და ქართლიც ვერ მიეხმარა თეიმურაზს, დარჩა კახეთი მარტოდმარტო. შაჰს უკვე დიდი მიზეზი ჰქონდა, არა მარტო თეიმურაზი, მისი ხალხიც „დაესაჯა“. იგი თანამიმდევრულად ატარებდა კახეთის აყრის პოლიტიკას. ისქანდერ მუნში „მეორედ მოსვლის დღეს“ უწოდებს კახეთში დატრიალებულ უბედურებას. ჩაკეტეს გასასვლელი გზები და მთელი ქვეყანა ალყაში მოაქციეს. თეიმურაზმა იმერეთში გაასწრო. მეფე ცდილობდა, იქიდან ეშველა თავისი ხალხისათვის, მაგრამ ეს ცდა ხავსმოკიდებული კაცის ცდას ჰგავდა. ქვეყანა კი დარჩა უმეფოდ, უპატრონოდ, უხელმძღვანელოდ, დაბნეული. დაქსაქსულ ხალხს სურდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოლა. მაგრამ არ ჩანდა მაორგანიზებელი ძალა, ვინც გაუძღვებოდა ამ ერთსულოვან ხალხს, წარმართავდა მის ენერგიას და შაჰის ჯარს დაუპირისპირებდა. იგი მიტოვებულ ცხვრის ფარას ჰგავდა. შაჰმა დაღესტნელი ლეკებიც მოიშველია. მთებში გახიზნული კახელების გაჟლეტა დაავალა მათ. კახელებმა მრავალი სიღნაღი (წყლიანი თხრილებითა და მიწაყრილით სახელდახელოდ გამაგრებული ადგილი) ააგეს. ერთ სიღნაღში 10 000 კაცი გამაგრდა. ყოველი სიღნაღის აღებისას ირანელი ჯარი გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა. მაინც აიღო შაჰმა ეს სიღნაღები, დახოცა კახელები და არ დაინდო თავისი მოლაშქრეებიც, ამ თავგანწირულ ბრძოლაში რომ იხოცებოდნენ. კა-

ხეთმა თითქოს მთელი ტანით იგრძნო, რა საშინელი განზრახვა ჰქონდა შაჰს. იგი სამუდამოდ უნდა მოწყვეტოდა ამ ცას და მიწას, ვენახის ფესვებს, მრავალჟამიერს და გამქრალიყო. წინააღმდეგობა უზარმაზარი ძალისა აღმოჩნდა. ეს იყო ბრძოლა არა ჯარისა ჯართან, არამედ ბრძოლა არსებობისათვის უფსკრულის პირთან. ბრძოლა ფრჩხილებით, კბილებით, უკანასკნელ მიწის ბელტს ჩაბღაუჭებული კაცისა, იქნებ ამ უკანასკნელმა ბელტმა მაინც მიხსნას და უფსკრულში არ ჩავიჩეხოო. იბრძოდა ეკლესია, მონასტერი, ქალაქი, სოფელი, იბრძოდა როგორც ერთი ცოცხალი ორგანიზმი.

„რაც თეიმურაზის ბედკრული უწესობისა და ურჩობისაგან ხოცვა და რბევა, ძარცვა, ტყვეენა და ნგრევა ქვეყნისა და გაევრანება სახლებისა და საცხოვრებლებისა კახეთის ქრისტიანებს თავს დაატყდა, არ გაგონილა ისლამის გაჩენის დროიდან აქამდე, რომ ასეთი რამ ისლამის ქვეყნების რომელიმე ხელმწიფისაგან მოსვლოდეთ მათ და მათი მამული ასე აოხრებულიყო. მოკლულთა რიცხვი სამოც-სამოცდაათ ათასს სჭარბობდა. ზოლეიხას სილამაზის მქონე ლამაზი ქალწულები, უწვერული იოსების მშვენიერი ღაწვებიანი, ხალებით დამშვენებული ვაჟები და სხვანი და ბავშვები, რომლებიც გატარებულ იქნენ მისი უავგუსტოესობის წინაშე, ასი ათასზე მეტი იქნა აღწერილი. მაგრამ ამ სტრიქონების დამწერის აზრით ოცდაათი ათასი კიდევ სხვა კუთხესა და კიდეში იქნა ტყვედ დაჭერილი, რომლებიც დროის უქონლობის გამო არ ყოფილან აღრიცხულნი“.

მტერი აღრიცხვასაც ვერ აუდის, იმდენი ტყვე იგდო ხელთ, იმდენი გაჟლიტა. შაჰი არც აპირებდა შეჩერებას, ირანის საზღვრებზე დატრიალებულ ამბებს რომ არ შეეშალა ხელი. ოსმალეთი ომისათვის ემზადებოდა, ჯარს აგროვებდა. შაჰმა თავის ქვეყანას მიაშურა. მას უნდა მოეგვარებინა კონფლიქტი ოსმალეთთან და ისევ დაბრუნებულიყო კახეთს.

„რადგანაც ამ თავხედობისა და უზრდელობის გამო, რომელიც უეცმა თეიმურაზმა და გზააბნეულმა კახელებმა გამოიჩინეს, შაჰის გულმოდგინებამ და კეთილშობილურმა აღტყინებამ მოითხოვა, რომ იმ ვილაიეთის ურჯულოები ისე დაესაჯა შურისძიების მახვილით, რომ იმ მხარეში მცხოვრებნი და „ნე-

დლი და ხმელი“ (ე. ი. ყველაფერი) განკითხვის დღის რისხვის ცეცხლით ისე დაეწვა, რომ შენებულებისაგან და „უტყვისა და მეტყველისაგან“ (ე. ი. ცოცხალი არსებისაგან) კვალიც არ დარჩენილიყო“.

შაჰს ის აცოფებს, რომ ოსმალეთის ამბების მოსაგვარებლად წასვლისთანავე ყიზილბაშთა იარაღს გადარჩენილი ხალხი კერას დაუბრუნდა და ცეცხლი დაანთო. მას უნდა მთლიანად მოსპოს ქართველი კაცის სახსენებელი. ახლა ისა-ხან ყორჩიბაში მოუძღვის ირანის არმიას. დიდ თოვლობას მოადგა იგი კახეთს და ქიზიყს შეუსია მოლაშქრეები, რადგან ქიზიყი გააფთრებულ წინააღმდეგობას სწევდა. ქიზიყი გმირულად შეეგება მტერს, მაგრამ ერთიანად განადგურდა. დაიძრნენ დაღესტნელი ლეკებიც და კახეთს ხელი მოუთავეს. უმცირესი ნაწილი გაიფანტა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. „მოკლედ მოსახლეობის სუნიც კი აღარ იყო დარჩენილი იმ კელაიეთში (ქვეყანაში)“ — წერს ისქანდერ მუნში.

1617 წელი. შაჰი კვლავ კახეთისაკენ გაეშურა და ხორნაბუჯის ციხეში თავშეფარებულ კახელებს დაეტაკა. ბაგრატ-ხანის შუამდგომლობით ერთი ნაწილი ქართლში გადაასახლა, უმეტესობა კი ირანში გარეკა. ისტორიკოსთა ვარაუდით კახეთის ამ რბევის მანძილზე ასი ათასზე მეტი მტერს შეაკვდა, ხოლო ამდენივე ტყვედ იქნა წაყვანილი. კახეთის მოსახლეობის ორი მესამედი აღიგავა პირისაგან მიწისა.

ახლა პიეტრო დელა-ვალეს მოვუსმინოთ:

„რა მდგომარეობა მოჰყვა ამ საზარელ გადასახლებას, რამდენი სიკვდილი საშინელი გაჭირვებისაგან, რამდენი წყვეტა-ქლეტა, რა გლეჯა, რა გახრწნა, რა ძალდატანება. რამდენი ჩვილი ყმაწვილები დაახრჩვეს მამებმა თავისივე ხელით ან ჩაყარეს წყლებში, რომ არ უყურონ მათ საცოდაობას და სატანჯველს, რაკი ყოველს ღონეს იყვნენ მოკლებული მათს საპატრონოდ, რამდენს ქლეტავდა გზა-გზა დაცვინულებს ან მათ, რომელთაც აღარ შეეძლოთ სიარული, სპარსთა მხედრობა. რამდენი ბავშვი მოგლიჯეს ამათ დედის ძუძუს და დაჰყარეს გზებზედ მხეცების შესაჭმელად, ცხენების, აქლემებისა და ჯორების ფეხქვეშ სასრესად. რამდენი დაშორდა სამუდამოდ: ცოლი ქმარს, და ძმას, და გაჰფანტეს შორის შორს ქვეყნებში, რომ ეს

საწყლები საუკუნოდ იყვნენ იმედგადაწყვეტილნი, რომ ეხილათ კიდეე როდისმე ერთმანეთი. რამდენი ქალი და კაცი იყიდებოდა პირუტყვზედ უფრო იაფად. რამდენი სხვა ამისთანები ხდებოდა ღირსი სიბრალულისა, მაგრამ ყველას ვინ მოთვლის".

საქართველოს ისტორიას ამოდენა უბედურება არ ახსოვს. იყვნენ არაბები მურვან ყრუს მეთაურობით, იყვნენ ხაზარები, იყვნენ თურქ-სელჩუკები, იყვნენ მონღოლები. იყო თემურ-ლენგი. მაგრამ ასეთი ყოვლისმომცველი პოლიტიკა ქვეყნის მთლიანი აყრა-გადასახლებისა არავის განუხორციელებია. ამ კლდეებს, მთებს, ველ-მინდვრებს შეხორცებული ქართველი კაცის არსებობა ირანული მახვილით სურდათ აეთალათ და ირანის პროვინციებში დაეგდოთ, როგორც უცხო სხეული. აქ კი ამ მიწისათვის უცხო სხეული უნდა დაემყნოთ, რათა მშვიდად ყოფილიყო ირანი, საზღვრებზე ერთგული ხალხი ჰყოლოდა. ძნელი შეიქნა ამის გაკეთება. აღმოჩნდა, რომ ზედაპირზე კი არ იდო, მუხის ფესვების სიღრმეზე ჩაზრდილიყო ქართველი კაცის ძარღვები. როგორც ამ მიწას ვერ წაიღებდი მთლიანად სხვაგან, ასევე კახეთის მთლიანად „წაღება" აღმოჩნდა შეუძლებელი. ამიტომ იყო წინააღმდეგობა გააფთრებული. რაკი ძალა აღმართს ხნავს, იხვნებოდა კახეთი, როგორც აღმართი. თითქოს მიწიანად გლეჯდნენ თითოეულ ორგანიზმს, ტყუპისცალად ქცეულიყო კაცი და მიწა, კაცი და ქვეყანა. და მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტა ტკივილით ავსებდა შემსწრეს, დედამიწის რომელი კუთხიდანაც არ უნდა ყოფილიყო ის. კახეთის გული და გონება ჯვარცმულის სულით შეჰყურებდა ქვეყანას, უსამართლობისა და განუკითხაობის სარბიელს. ამ გატანჯული ხალხისათვის არც მეფე არსებობდა და არც მამულიშვილი. ყველა ორგულად და მოღალატედ აღიქმებოდა მის თვალში. ის ხომ ყველამ გაწირა, მარტო მიატოვა, ხელი არ მიაშველა. რა წაშლის ამის შემდეგ კახელი ადამიანის მეხსიერებაში იმ საცოდაობის სურათებს. დამნაშავე ჩანდა მეფე. რომელმაც მიატოვა მამულიშვილი, ვინაც ხელი არ გამოიღო, დამნაშავე ჩანდა გიორგი სააკაძე, შაჰის ბანაკში დგომის გამო, თავს რომ არ სწირავდა, იმის გამო! შანთით დაგლეჯილ კახეთის სულს განსჯის უნარი მოსთხოვოს, ამის უფ-

ლება არავის არა აქვს. იგი არაადამიანური წამებისაგან ამღვრეული თვალებით ხედავს, რომ მეფე თეიმურაზს თავი იმერეთისათვის შეუფარებია, გიორგი სააკაძე კი შაჰის სამსახურშია. ძნელია გაიგოს, რომ თეიმურაზი ყოველ ღონეს ხმარობდა ქვეყნის მისაშველებლად, თურქეთსა და რუსეთში ელჩებს გზავნიდა, ევროპიდან ჩამოსულ მისიონერებს სთხოვდა შველას. ვინ მოსთხოვს ხალხს გაიგოს, რომ სააკაძე ასე გიჟივით ვერ შეუვარდებოდა შაჰს კარავში და მის მცველებს ვერ შეაკლავდა თავს, რომ იგი დროს უნდა დალოდებოდა, აჯანყება მოემზადებინა და ისე ებრძოლა. არავითარი მზადება, არავითარი დროის შერჩევა! კახეთის თვალწინ ქვეყანა იქცეოდა და მეტის მოთმენა წარმოუდგენელი იყო.

ახლა უნდა გამოეღო ხელი და მხოლოდ ახლა, თუ ქვა არ ედო მკერდში, მეფესაც და ერისკაცსაც. მოღალატე ჩანდა ცა და ქვეყანა, ერი, ბერი, მეფე, სარდალი, ვინც კახეთს არ ჩაეშველა ვინც ბედის ანაბარა მიატოვა. მეხსიერებიდან არ ამოდის ბავშვის შეშლილი თვალები, გაოცებული რომ ამოსცქერის შეშლილობის ნისლიდან მამის ტანჯულ გამომეტყველებას საკუთარი პირმშოს საკუთარი ხელებით დაღრჩობის წამებში. ასეთ მამას არც სიკვდილის ეშინია, არც მტრის სიმრავლის, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევის სურვილი ისევ მის შვილს დაატყდება შურისძიებად. ურჩევნია თვითონვე, თავისი ხელით მოსპოს მისგანვე შობილი.

თეიმურაზის ბრძოლები შაჰისათვის კიდევ ერთი საბუთი აღმოჩნდა ქვეყნისა და ხალხის გაუტეხლობისა. იგი დარწმუნდა, რომ მისი ვერაგული პოლიტიკა, ქართლ-კახეთის აყრა-გადასახლებას რომ ისახავდა მიზნად, ყოველ მხრივ გონივრული იყო. თავისი მეფობის აზრს იგი ამ მიზნის ასრულებაში ხედავდა, სხვა „დიდ“ საქმეებთან [illegible]თად მას ეს „დიდი“ საქმეც უნდა მოეხდინა ირანისათვის.

„კახეთის მოთხრით, — წერს აკად. ნიკო ბერძენიშვილი — შაჰ-აბასი რამდენიმე მიზნის მიღწევას ცდილობდა. საქართველოს წინააღმდეგობა საბოლოოდ უნდა გატეხილიყო. კახეთში ჩამოსახლებული თურქმანები კი შაჰის ერთგული დასაყრდენი უნდა გამხდარიყვნენ შორეულ კავკასიაში; ირანს გადასახლებული კახელები კულტურული სოფლის მეურნეები და შა-

ჰის ხელის შემყურე ერთგული მეომრები იქნებოდნენ — ასე ფიქრობდა შაჰი. მართლაც, ყულის ჯარში, რომელშიც იმ დროს 12 ათასი მხედარი და 10 ათასი ქვეითი ითვლებოდა, დიდი უმრავლესობა ქართველები იყვნენ".

შაჰი, როგორც ვხედავთ, ირანისათვის დიდი და გონიერი პოლიტიკოსია. ის არ დაგიდევთ, რა უბედურება მოჰყვება სხვა ხალხებისათვის ამ მიზნების განხორციელებას. მთავარია, რომ ეს მიზანი, ქართლ-კახეთის აყრა-გადასახლება, როგორც მისი ცხოვრების უმთავრესი მიზანი, უნდა აღსრულდეს. ამიტომაც გვარწმუნებს ისქანდერ მუნში, თითქოს შაჰის ეს რისხვა იყო „უგუნური, უმეცარი" თეიმურაზის ჯიუტობის ნაყოფი. დიახაც მართებდა თეიმურაზს მეტი სიფრთხილე, მეტი ტაქტი, მოქნილი დიპლომატია. მართებდა სწორად შეეფასებინა საშინაო და საგარეო ვითარება. კარგად დარწმუნებულიყო, შეიძლებდა თუ არა ოსმალეთი მის გვერდით დადგომას, ან იმდროინდელი რუსეთი მზად იყო თუ არა საქართველოს მისაშველებლად. შეეძლო თუ არა მოსკოვს რეალური დახმარების გაწევა. მეფეს მართებდა საშინაო მდგომარეობის სწორი შეფასება და „დაუდევრობის" ძილისაგან გამოფხიზლება, რასაც მტერიც შენიშნავს (ისქანდერ მუნში) და მოყვარეც (არჩილ მეფე). მეფეს მობილიზება მართებდა და ქვეყნის დარაზმვა. მართებდა კახეთის ჟლეტისა და გადასახლების მძიმე წუთებში ხალხთან ყოფნა, რამდენადაც ელჩების დაგზავნა ოსმალეთსა და რუსეთში კახეთიდანაც შეიძლებოდა. კახეთს კი მისი აქ ყოფნა ჰაერივით სჭირდებოდა. გაწილაკებული წინააღმდეგობის ნაცვლად ერთიანი პარტიზანული ფრონტის შექმნა იყო საჭირო, საერთო ხელმძღვანელობა... აკლდა კახეთს პატრონი. ფაქტიურად კახეთი მისი მიზეზით ჩავარდა ამ დღეში, ასე აცხადებს შაჰი და ასე სჯის ხალხიც. მისი იმერეთს გაქცევა უფრო თავის შველას და ხალხის მიტოვებას ჰგავდა, ვიდრე საშველი გზების საძებნად წასვლას. ასე ჩანდა ხალხის თვალში. სინამდილეში კი თეიმურაზი გამუდმებით ცდილობდა ეშველა თავისი ხალხისათვის. რა თქმა უნდა, თეიმურაზი მიმხვდარი იყო, რომ შაჰს მისი ხელში ჩაგდება უკვე ნაკლებ აინტერესებდა — ფრჩხილები გაიხსნა, შაჰი თამამად აცხადებდა, რომ კახეთის აყრა სურდა. ცხადია, თეიმურაზი სწორად მოიქცა, შაჰს რომ არ ჩაუვარდა ხელთ,

რადგან შაჰი, ეტყობა, მაინც არ დაინდობდა ქართლსა და კახეთს, მეფეებს კიდეც რომ შეეცვალათ რჯული. მაგრამ თეიმურაზისაგან შაჰის გაღიზიანება ეპიზოდური ომებით, ერთგვარად აჩქარებდა შაჰის საშინელი პოლიტიკის განხორციელებას. შაჰი თეიმურაზის „სიჯიუტით“ გამართლებას აძლევდა თავის მრისხანებას. ლუარსაბის გადაწყვეტილება ამ თვალსაზრისით უფრო პატრიოტული ჩანს. მისგან თაეის გაწირვის ფასად ქართლის აყრა-გადასახლება რამდენიმე წლით გადაიდო. თეიმურაზის წინააღმდეგობა შთამომავლობის თვალში, ერთის მხრივ, არაგონივრულია, მეორეს მხრივ, გმირული. მან სისხლი გაუშრო შაჰ აბასს, მაგრამ ეს „სისხლის გაშრობა“ ეპიზოდურ წარმატებას არ გასცილებია. შაჰის დიდ არმიასთან დაპირისპირება, გენერალური ბრძოლის გამართვა თეიმურაზ I, ეტყობა, არ შეეძლო და თავსაც ამიტომ არიდებდა. ეპიზოდური ბრძოლებით კი როგორი გმირულიც არ უნდა ჩანდეს ეს ბრძოლები, მხოლოდ კახეთის გაჟლეტა-აყრის საქმე ჩქარდებოდა და არა შაჰის წასვლა საქართველოდან. ფაქტია, რომ თეიმურაზ I შაჰის ვერც ერთ დიდ არმიას წინ ვერ გადაუდგა, ვერც მაშინ, როდესაც შაჰი თვითონ მოუძღოდა არმიას, ვერც მაშინ, როდესაც სხვა იდგა არმიის სათავეში. დაამარცხა ალი-ყული-ხანი, — მხოლოდ ერთი ნაწილი ირანის მხედრობისა, აიღო კახეთის ციხეები აჯანყების დროს, მაგრამ გენერალური ბრძოლის გამართვის ძალას იგი თავის თავში ვერ პოულობდა, ესეც ფაქტია. ამარცხებდა ცალკეულ ნაწილებს ოსტატურად აღწევდა თავს ალყას, თუკი ალყაში მის მოქცევას დააპირებდნენ და გადადიოდა იმერეთს. ამ ეპიზოდური ბრძოლებით კი ისედაც მძვინვარე შაჰი კიდევ უფრო მძვინვარდებოდა და „სუფთა სინდისით“ სჯიდა ხალხს.

ამაოდ ცდილობს შთამომავლობისათვის თვალის ახვევას ისქანდერ მუნში რიგ შემთხვევებში, კაცი, ვინც შეწუხებულია თითქოს კახეთის დაუნდობელი რბევით და მოსახლეობისადმი თანაგრძნობასაც კი ამჟღავნებს. ამაოდ ცდილობს იგი თეიმურაზის სიჯიუტესა და „თავხედობას“ დააბრალოს შაჰის განრისხება. იგი გულწრფელი მხოლოდ მაშინ არის, როდესაც აღნიშნავს: „რადგან ღვთის განგებით გადაწყვეტილი იყო კახეთის ველაიეთის დანგრევა, იქაურ ურწმუნოთა

გაწყვეტა და ისლამის გამშვენიერება...“ აი ეს არის თავი და თავი! ეს მიზანი აქვს „ირანის ლომს“. ამ პოლიტიკას ახორციელებს ირანის სახელმწიფო და თეიმურაზის „სიჯიუტე და თავხედობა“ მხოლოდ საბაბია საშინელი გეგმის განხორციელების გზაზე. მხოლოდ საბაბი! თუ ეს ასე არ არის, მაშინ როგორ უნდა აიხსნას, რომ ქართლის მესვეურებს არ გაუღიზიანებიათ თავიანთი ურჩობით შაჰი და შაჰმა კი მაინც მოინდომა ქართლის აყრა და გადასახლება? ლუარსაბის ტყვედ წაყვანის შემდეგ ქართლის ტახტზე შაჰის მიერ დასმულ მეფეებს ვხედავთ. ისინი არ ებრძვიან შაჰს, არ ჯიუტობენ, ბედს ემორჩილებიან. მაგრამ სწორედ იმიტომ რომ „ღვთის განგებით“ ქართლის აყრაც იყო გადაწყვეტილი, შაჰმა 1625 წ. სწორედ ქართლის ასაყრელად გაგზავნა ყორჩიხა-ხანი დიდი მხედრობით. ე. ი. თეიმურაზის ურჩობა და ლუარსაბის დანებება არაფერ შუაშია. ე. ი. მხოლოდ რამდენიმე წლით გადაიწია ქართლის აოხრების საქმემ. ლუარსაბის მორჩილებამ ქართლელების „უწყინარმა“ თავმოდრეკილობამ მხოლოდ ცხრა წლით იხსნა ქართლი. შაჰმა თავის სიცოცხლეშივე უნდა მოასწროს ამ ორი „ველაიეთის“ აყრა-გადასახლება. ვინც მედგრად დაუხვდა, პირველად ის დასაჯა. ქართლსა და კახეთთან შაჰის დამოკიდებულებაში მხოლოდ ეს არის განსხვავება. ორივე ქვეყნის საბოლოო ბედი კი ერთია, მათ ირანის რაიონები ელოდება...

ასე რომ, გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს თეიმურაზის ჯიუტობამ და არასწორმა პოლიტიკამ, ძალთა შეუფასებლობამ გადააწყვეტინა შაჰს კახეთის აყრა. ეს გახლდათ ირანის „იმპერიის“ დიდი პროგრამა. ეს პროგრამა უნდა განხორციელებულიყო, მიუხედავად იმისა, გასწევდა თუ არა ქართლ-კახეთი წინააღმდეგობას, განარისხებდა თუ არა ირანის ლომს რომელიმე მათგანი.

მით უფრო გულუბრყვილობაა ეჭვის შეტანა სააკაძის პოზიციაში. მხოლოდ სააკაძის მტრების მიერ გავრცელებული ბრალდებების გამოხატულებაა ის აზრი, თითქოს სააკაძე, „დღენიადაგ აზრახებდა“ ქართლის დაპყრობას და რომ ხალხის უბედურებაში მასაც უდევს წილი. ყველგან ისევ შაჰის ტოტალური პოლიტიკა ჩანს, ჩავიდოდა თუ არა მასთან სააკაძე, იგი

ამ პოლიტიკას განახორციელებდა. საამისოდ მას არავისგან არ სჭირდებოდა წაქეზება. ქართველი კაცის აზრი და გონება არ შეიძლებოდა დამორჩილებოდა იმ გულუბრყვილო ფიქრს, თითქოს ქართველი თხრიდა საქართველოს, იმ დროს ჩვენი წინაპრები მსხვერპლნი იყვნენ აღმოსავლეთის გამძაფრებული საგარეო პოლიტიკისა, საქართველოს ჩაყლაპვას რომ გულისხმობდა. ეჭვიც, უნდობლობაც, ღალატიც ამ არეული ისტორიული სიტუაციების ნაყოფი იყო.

შაჰის ვერაგული პოლიტიკის პირველი ციკლი დამთავრდა. კახეთი მიწასთან იქნა გასწორებული, მოსახლეობის ორი მესამედი განადგურდა, დანარჩენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში დაიფანტა — დიდი იყო შიში სრული აღმოფხვრისა! ჩამოსახლებული თურქმანები ქვეყანას ბილწავდნენ. არ გააჩნდათ არც სულიერი კულტურა, არც მეურნეობის გაძღოლა შეეძლოთ.

შაჰს განსახორციელებელი რჩებოდა მეორე რიგის ამოცანა: საქართველოს ისტორიის მებაირახტრის — ქართლის-აყრა-გადასახლება. ცხადია, ერთბაშად ორივე ქვეყნის აყრა შეუძლებელი ჩანდა. კახეთის წინააღმდეგობამ ამაში ღრმად დაარწმუნა შაჰი. საჭირო იყო გარკვეული პაუზა, ყალყზე შემდგარი ქართლის დაშოშმინება, იმ აზრის დამკვიდრება, რომ შაჰი არ ერჩის მორჩილ ქართლს. შესაძლებელი იყო, სულ დაეღუპა თავისი გეგმა შაჰს, თუ კახეთიდან მაშინვე ქართლს მიაშურებდა ასაყრელად. თავისი გეგმის აღსრულებასთან კი ასე ახლოს იყო! მართალია, დიდი დანაკარგის ფასად შეიძლო ეს, მაგრამ მაინც, კახეთის წელში გამართვა შეუძლებელი ჩანდა. ირანის საზღვრები უშუალოდ ებჯინებოდა კავკასიონის მთავრეხილს. დღეს თუ ხვალ სამუდამოდ ჩაიკეტებოდა დარიალის ხეობა. რამდენი საუკუნეა, ირანი საქართველოს გადაყლაპვას ესწრაფვის და ვერავინ შეიძლო ეს შაჰ აბასამდე. ახლა დამდგარა ჟამი. — შაჰი ახლოს არის მიზანთან!

საგულისხმოა ისიც, რომ მრავალ ფრონტზე მებრძოლი ირანის სახელმწიფო მთავარ ყურადღებას ჩრდილოეთში მდებარე „ორ სახანოს“ უთმობს. ისევ განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ქართლ-კახეთის „ველაიეთებს“. ეს დაინტერესება ადვილი ასახსნელია და ახსნილიც არის ისტორიკოსების მიერ. ქართლ-

კახეთის, საერთოდ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ერთბაშად გულისხმობდა პლაცდარმსაც და ზღუდესაც, რითაც იყო დაინტერესებული ადრე საბერძნეთი, რომი, ბიზანტია, არაბეთი, ირანი, თურქეთი...

ამიტომ გაიწირა კახეთი, ქართლი. ამიტომ დააჯერა გული „ირანის ლომმა“, თითქოს ქართველები შეცდომით ესახლნენ მამაპაპეულ მიწაზე! ქართლი და კახეთი ან უნდა გათიბულიყო ბალახივით, ან ამ ადგილებიდან აყრილიყო. ასეთია ოკეანესთან მიმდებარე ქვეყნების ბედი, ოკეანე ცდილობს სიღრმეში ჩაიხვეტოს მთები.

ჯერჯერობით შაჰს გადარჩენილი კახელები სჭირდება. ხელს არ უშლის დასახლდნენ კახეთში და მშობლიური კერა ააღორძინონ. თანაც გამუდმებით ადევნებს თვალს, ისე არ გაძრავლდნენ, წინააღმდეგობის გაწევა შეიძლონ. ამ კონტროლს ნათლად დაგვანახებს თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ერთი ცნობა. ამ ცნობის მიხედვით კახეთის მმართველს, შეშფოთებულ ფეიქარ-ხანს შაჰისათვის მიუწერია: „ქართველები ისე მომრავლდნენ, აჯანყება მოსალოდნელია, ამჟამად ისინი ათიათას ხმალს ითვლიანო“. მაშასადამე, ქართველების მომრავლებას კატეგორიულად ვერ ურიგდება შაჰი. ფეიქარხანს სწორედ ეს აქვს მისგან დავალებული — თვალყური ადევნოს კახელებს. შაჰმა, ცხადია, იცის, რომ კახეთის მოსახლეობის ნაწილი მაინც გადაურჩა ირანის მახვილს, სადღაც გაიხიზნა და ქვეყანა ფესვებიანად მაინც არ არის ამოგდებული. ამ ფესვებზე შესაძლოა, ისევ ამოიყაროს ქვეყანამ. შაჰს ახლა ამ ერთი მესამედის ამოწყვეტა უნდა. კახეთის დარჩენილი მოსახლეობის გაწყვეტა და ქართლის გადასახლება.

თეიმურაზი 1625 წლამდე გადახვეწილია კახეთიდან. იგი ხან გონიოს ფლობს სულთანის წყალობის სახით, ხანაც ოლთისს არის დამკვიდრებული. გონიოში თეიმურაზის მოკალათება გურიელს თვალში არ მოუვიდა. თეიმურაზი ოლთისში გადავიდა, იქ, ციხეში, ცოლ-შვილი დატოვა, თვითონ კი სულთანთან წავიდა. შაჰი არ უსვენებს თეიმურაზს. გაიგო რა, ოლთისს არისო თეიმურაზი, ამირგურე-ხანს (მამაცობისათვის ყვითელ ჯიქად წოდებულს) დაავალა, თავს დაესხი და შეიპყარიო. დიდ თოვლში ამირგურე-ხანმა თავისი ჯარი თეიმუ-

რაზის წინააღმდეგ დაძრა, მაგრამ დედოფალმა წინა ღამით მიმანიშნებელი სიზმარი ნახა და ციხე-დარბაზი მეორე დღესვე საგანგებოდ გაამაგრეს. მტერი უკან გაბრუნდა. ახლა ნოდარ ჯორჯაძე დაედევნა ამირგურე-ხანს და სასტიკად დაამარცხა მისი ჯარი.

1618 წელს თეიმურაზი ოსმალეთის მხარეზე იბრძვის ირანის წინააღმდეგ. ოსმალეთის არმიამ თავდაპირველად დიდ განსაცდელში ჩააგდო ირანი. მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანა საქმე. თეიმურაზის იმედები გაცრუვდა. შაჰი კვლავ უძლეველი ჩანდა. თეიმურაზმა დახმარება სთხოვა რუსეთსაც, მაგრამ მოსკოვს იმხანად საქართველოსათვის არ ეცალა. ყოველ შემთხვევაში აქ ჯარის გამოგზავნა არ შეეძლო და მარტოოდენ დიპლომატიური არხებით ცდილობდა თეიმურაზისათვის დახმარების აღმოჩენას. ამ გზით კი რეალური არაფერი კეთდებოდა. თეიმურაზი კახელებს კვლავ აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. რამდენად შესაძლებელი იყო ამ მოწოდებებით აჯანყების მომზადება, ხალხის დარაზმვა, ეს ძნელი დასადგენია, მაგრამ, ცხადია, რომ თეიმურაზის გაუტეხელობა აცოფებდა შაჰს. 1620 წელს მან დაასაპურისა თეიმურაზის ვაჟები. მათგან ერთი მალევე მოკვდა, მეორე კი დიდხანს დადიოდა შეშლილი. შემდგომ დასჯეს თეიმურაზის დედა — ქეთევან დედოფალი.

ქეთევან დედოფლის სიმტკიცე იყო გამოხატულება თავისი ქვეყნის გაუტეხელობისა და ენერგიულობისა, სიმბოლო, სულიერი სიმტკიცის დასტური, რამაც დიდი ზეგავლენა იქონია ქართველ ხალხზე. ხალხმა შარავანდედით შეამკო იგი. მაშინდელი ევროპისათვის ცნობილი შეიქნა ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილი. ევროპელი მისიონერები საგანგებოდ აღნიშნავენ ამ ფაქტის შესახებ.

შაჰ აბასის ირანსა და ქართლ-კახეთს შორის მოქცეული სივრცე მეტისმეტად დაძაბულია. ვეშაპმა შეისვენა — ძალების მოკრების მიზნით, რათა თავისი საშინელი განაზრახი აღასრულოს ერთ მშვენიერ დღეს.

მანამდე კი თითქოს გაყინულია ჰაერი. იწყება ფარული, ნერვული, დაძაბული ბრძოლა საქართველოსა და შაჰ აბასის ირანს შორის. მთელმა ქვეყანამ იგრძნო, ისტორია რა მძიმე გამოცდას უმზადებდა და გადარჩენის გზებს დაუწყო ძებნა.

ხოცვა-ჟლეტა ქართველ კაცს ვერ გააკვირვებდა, მაგრამ ყოფნა-არყოფნის ასეთი მძაფრი განცდა მას აქამდე არ ახსოვდა.

გადავავლოთ ისტორიის გზას თვალი. მონღოლთა მოსვლის დღიდან თანდათან დაეტყო საქართველოს დაუძლურება. ას წელზე მეტი იყო, საქართველო მტერს ვერ დაემარცხებინა. ძლევამოსილება ქვეყნის არსად იყო ქცეული. თითქოს წარმოუდგენელიც ჩანდა ქართველთა დამარცხება. მუსულმანური სამყაროს საშიში მეზობელი ზედიზედ აგემებს გამანადგურებელ დარტყმებს კოალიციურ არმიებს. მონღოლთა მოსვლამ ძალთა საგანგაშო გადაჯგუფება გამოიწვია. მონღოლეთი თავის გზაზე ანგრევდა როგორც მუსულმანურ, ასევე ქრისტიანულ სახელმწიფოებს. ყოველი ქვეყანა თავისებურად ზარალდებოდა, მაგრამ სხვა იყო საქართველოს დაზარალება — მის ძლევამოსილებას დაესვა წერტილი. დამუხრუჭდა ქვეყნის განფენილობისაკენ მისწრაფება. ნელ-ნელა იწყო უკან დახევა ძლევამოსილებაზე ფიქრმა, შორს გატყორცნილ ძალებს უკანვე იბრუნებდა ქვეყანა, რადგან პირველი სერიოზული დამარცხება მონღოლებთან ბრძოლაში პირველ ეჭვს აჩენდა. შემდეგ კი მტერს მტერი მოჰყვა. თვით დევნილი ჯალალედინი, ვისი შესაძლებლობების შეუფასებლობა ასე ძვირად დაუჯდა ქართველობას, ჩვენს ქვეყანას მოადგა. გარნისთან გამართულ ბრძოლაში ჯალალედინმა სასტიკად დაამარცხა საქართველოს ლაშქარი. ვიცით, როგორ მოხდა ეს, რომ ერთსულოვნება არ სუფევდა ბანაკში, რომ ღალატის სუნი ასდიოდა საქმეს. მთავარი ამ შემთხვევაში ის კი არ არის, თუ როგორ და რატომ დავმარცხდით, არამედ ის, რომ დავმარცხდით და სასტიკადაც დავმარცხდით, იმდენად სასტიკად, რომ იძულებულნი გავხდით ჩვენივე ხელით გადაგვეწვა თბილისი. საქართველო თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევდა ჯალალედინს. მტერი წვავდა ქალაქებსა და სოფლებს, ხოცავდა ხალხს, მიჰყავდა ტყვედ. ეს დიდი დარტყმა იყო. მან საძირკვლებამდე შეარყია საქართველოს ძლიერება. საკუთარ ძალმოსილებაში დაეჭვდა ქვეყანა. ქართველ ხალხში უძლეველობის რწმენა გაქრა. ამ უძლეველობის რწმენას ცუდი სამსახური გაუწიეთ. იგი თვითდაჯერებულობად ეჩვენათ საქართველოს მესვეურთ. დავიწყებულ იქნა მთავარი — კერძოდ ის, რომ უძლეველობის რწმენა და-

ვითის ხელით სიფხიზლის ხარჯზე იჭედებოდა, მთელი ახლო აღმოსავლეთის ვითარების მცოდნე სამეფო კარი უძლეველი იყო. ერთი დეტალი მინდა მოვაგონო მკითხველს ამასთან დაკავშირებით. იგი სამეფო კარის ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ სტილს გვიმეღავნებს: თამარ მეფის დროს რუქნადინის თავხედი ელჩი საკადრისი პასუხით უკან გააბრუნეს თუ არა, მას კვალდაკვალ მიჰყვა სამეფოს ძლევამოსილი ლაშქარი, უკვე დარაზმული და საომრად ალესილი. ეს მზადება მოესწრო ელჩის თბილისში ყოფნისას, რამდენიმე დღეში. ელჩის რუქნადინთან დაბრუნებას და პასუხის მიტანას ქართველთა იერიშიც მოჰყვა. რუქნადინი სამარცხვინოდ დამარცხდა. ერთსულოვანი ჩანან მეფე, დიდებულები, სარდლები. ყველაფერში მზადყოფნის უნივერსალური ფაზა იგრძნობა.

ახლა რუსუდანისა და მისი სამეფო კარის პასუხი გავიხსენოთ ჯალალედინისადმი. რამდენი თვითდაჯერებულობაა პასუხში, ამ პასუხს მზადმყოფი არმია არ მიჰყოლია კვალდაკვალ. სამეფო კარმა აბუჩად აიგდო ჯალალედინი, მზადყოფნის აუცილებლობა კი მხედველობიდან გამორჩა. მტერი არავის დაუზვერავს და მის შესაძლებლობებზე სწორი ინფორმაციები არა აქვთ. არ იციან, რომ ჯალალედინი მამამისზე უფრო ძლიერი პიროვნებაა, სისხლი გაუშრო ჩინგიზ-ხანს და თუ დამარცხდა, დამარცხდა უფრო ძლიერთან, თორემ არა თავისი სისუსტის მიზეზით. სამეფო კარმა კი აქტიურად არ იმოქმედა, გარნისთან დაელოდა ჯალალედინს იოლ გამარჯვებაში დარწმუნებული და როცა შალვა ახალციხელი მოწინავე ნაწილით მტერს ებრძოდა, მთავარი ბანაკი უძრავად იდგა. შემდეგ ამ მთავარმა ბანაკმა უბრძოლველად გაცლა არჩია. მტერს ტრაბახით გამოუჭედეს ყური და ახლა ივანე მხარგრძელის მეთაურობით ლაჩრულად გარბოდნენ უკან.

ისტორიის ჩარხი უკუღმა დატრიალდა და დატრიალდა იგი არა მარტო გარემოებათა გამო, არამედ ჩვენივე ხელის შეწყობით და უფრო მეტად ჩვენივე მიზეზით. ჩვენ ძალიან გვიყვარს ისტორიული სიტუაციების გაზვიადება, რათა გავამართლოთ არასწორად გადადგმული ბევრი ნაბიჯი. გვავიწყდება, რომ საშინელი მარცხის მიზეზი უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავშია საძებნი და შემდგომ სხვაგან.

მონღოლეთი ის დიდი ტაღლა იყო, ჯებირები რომ დაუნგრია ქვეყნის სიმტკიცეს. ახლა ადვილი იყო ქვეყნის თავდაღმართზე დაქანება. მონღოლებს, შესაძლოა, იმდენი ხალხი არ გაუჟლეტიათ საქართველოში, რამდენიც სხვამ, მაგრამ მონღოლებმა გაანადგურეს ის, რაზეც იყო დაშენებული საქართველოს სულიერი და ფიზიკური სიმტკიცე — ქვეყნის ძლიერების წყარო. შეტევიდან საქართველო თავდაცვაზე გადავიდა, შიშით დათრგუნული და რწმენაშერყეული.

მერე უფრო დაუნდობელი მტერი მოვიდა — თემურ ლენგი. ისტორიკოსი კარლო ტაბატაძე აჯამებს რა წყაროების ცნობებს და ისტორიკოსთა შეხედულებებს, თავის ნაშრომში „ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე“ წერს: „XIV-XV საუკუნეების მიჯნა განსაკუთრებული ძნელბედობის ხანა იყო საქართველოს ისტორიაში. ამ დროს ჩვენმა ქვეყანამ განიცადა თემურის ურდოთა გამანადგურებელი შემოსევები, რამაც უდიდესი ზიანი მიაყენა ქართველი ხალხის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას.

ვერაგი, ცბიერი, დაუნდობელი მტერი მიზნად ისახავდა საქართველოს ქრისტიანი მრევლის გათათრებას ან პირწმინდად გაჟლეტას, მის ადგილზე მუსლიმანი ელების დასმას, ადგილობრივი კულტურული მეურნეობის მოშლას და საქართველოს მთა-ბარის გადაქცევას ყიშლაღ-იალაღებად.

ამ ავბედით ჟამს მთელი საქართველო აღსდგა მამულისა და რჯულის დასაცავად და უმაგალითო თავგანწირული ბრძოლით შეინარჩუნა თავისი ეროვნული სახე და სახელმწიფოებრიობა.

მაგრამ ეს მოხდა უზარმაზარი მატერიალური ზარალისა და ადამიანთა აურაცხელი მსხვერპლის ფასად“.

„ნაქალაქარი“, „ნასოფლარი“, „ნაფუძარი“, „ნავენახარი“, „ნასახლარი“ — აი, თემურ-ლენგის მოძრაობის ნიშან-სვეტები საქართველოში.

თემურმა საბოლოოდ მაინც ვერ გატეხა საქართველო. ქვეყანამ გაუძლო არნახულ უბედურებას, დარტყმებს, რასაც ბოლო არ უჩანდა და არც ძალა აკლდებოდა. პირიქით, ყოველი დარტყმა წინაზე უფრო ძლიერი იყო და დაუნდობელი, და

ქვეყანამ მაინც გაუძლო. მსხვერპლიც ასევე არნახულად დიდი იყო. ხუთი წლის მანძილზე ორი მეფე რომ დაკარგა საქართველომ, მარტო ეს ფაქტიც კმარა იმდროინდელი უბედურების წარმოსადგენად. რა სულმოუთქმელად, როგორი თავგანწირვით იბრძოდა ქართველი ხალხი.

XV საუკუნეში საქართველოს საზღვრებთან დიდი ცვლილება ხდება. ოსმალები გამუდმებით უტევენ ბიზანტიას, სამხრეთ საქართველოს. მაგრამ ჯერ ბიზანტიით არის დაპყრობილი ოსმალთა ყურადღება. ბიზანტია კი ვერც თავის თავს შველის და ვერც საქრისტიანოს. 1453 წელს კონსტანტინეპოლი დაეცა. დაიკარგა ევროპასთან კავშირის გზა. დაიწყო გაუთავებელი შემოსევები საქართველოს დანაწილების მიზნით. სალტესავით შემოერტყა მუსულმანური სამყარო საქართველოს. ევროპის ქრისტიანულ რეგიონს მოწყვეტილი ორი ქვეყანა — საქართველო და სომხეთი ფაქტიურად ორი ვეშაპის ხახაში აღმოჩნდა.

დაიწყო გააფთრებული, სულმოუთქმელი ბრძოლები საქართველოსა და სომხეთის გამუსულმანების მიზნით. ირანსა და ოსმალეთს თავისი პოლიტიკური მიზნებიც აწუხებდა და თუ ოდესმე სულისმოთქმის საშუალება მისცემია საქართველოსა და სომხეთს, ისევ და ისევ ირან-ოსმალეთს შორის ატეხილი ომის დროს. ირანსა და ოსმალეთს შორის, საბედნიეროდ, თანხმობა არ იყო. ხშირად იმართებოდა სისხლიანი შეტაკებები.

თანდათან შეავიწროვა თურქეთმა სამხრეთ საქართველო. მის ხელში აღმოჩნდა ლაზისტანი, აჭარა, სამცხე-საათაბაგო. ეს მშვენიერი კუთხეები დიდძალი ხალხითურთ შეეწირა დანარჩენი საქართველოს გადარჩენის საქმეს. წაიღო მტერმა საქართველოს კარიბჭე, ღრმად შემოიჭრა ქვეყნის შიგნით და მთელ დასავლეთ საქართველოზე განაცხადა პრეტენზია. ასეც „დადგინდა“: დასავლეთ საქართველო თურქეთის ვასალი უნდა ყოფილიყო, აღმოსავლეთ საქართველო — ირანისა. გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა მტერი საქართველოში. ქვეყანა სისხლისაგან იცლებოდა.

ბიზანტიის ვეებერთელა ტერიტორიის ჩანთქმის შემდეგ, ოსმალოთათვის მართლაც მიწის ნაგლეჯად ჩანდა დასავლეთ

საქართველო. მაგრამ გეოგრაფიულმა საზომებმა შეაცდინა მტერი. „პატარა“ ქვეყანას არნახული ენერგია აღმოაჩნდა. ეროვნული სიმყარე, თავისთავადობა, რომელიც სხვა ხალხში გათქვეფასა და გაუჩინარებას ვერ ეგუებოდა. წინააღმდეგობა ძმაზე უფრო დიდი იყო, ვიდრე მოელოდა მტერი. მაგრამ არც ირანი და არც თურქეთი ხელს არ იღებდა თავის ტოტალურ პოლიტიკაზე. მათი რწმენით დღეს თუ ხვალ საქართველო და სომხეთი უნდა გაუჩინარებულიყო მუსულმანური სამყაროს ოკეანეში. XV-XVI საუკუნეების გაუთავებელმა ბრძოლებმა ქვეყნის წონასწორობა შეარყიეს. ორ ნაწილად, ორი იმპერიის ვასალად გაგლეჯილი საქართველო წონასწორობას კარგავდა. ამან გამოხატულება პოვა არა მარტო მატერიალურ ზარალში, არამედ უპირველეს ყოვლისა, ერის თვისებების ძირეულ ცვლილებაში. საფრთხე დაემუქრა ერთიანი საქართველოს წყალობით გაწვრთნილ ქართველი კაცის ფსიქოლოგიას. მთლიანი საქართველოს წყალობით ჩამოყალიბებული ქართველი კაცის ფსიქოლოგია ნაწილ-ნაწილ იშლებოდა. სანამ საქართველო იბრძოდა მთლიანი ქვეყნის პრეტენზიით მონღოლების, თემურ ლენგის, სპარსელების წინააღმდეგ, ქართველი კაცის ფსიქოლოგიაც სხვაგვარი იყო. იგი თავს ამ მთლიანი საქართველოს შვილად ცნობდა. ქვეშეცნეულად თვით ღვთის პირიდან გადავარდნილი არამზადაც კი უწევდა ანგარიშს მთლიანი საქართველოს ინტერესებს. მასშიც კი არ ჩამქრალიყო სავსებით პატრიოტული გრძნობები. ისიც გამოდიოდა სამშობლოს დამცველთა გვერდით ისტორიის კრიზისულ წუთებში. სისხლში მაინც ხმაურობდა ერთ დროს ძლიერი სახელოვანი ქვეყნის შვილობით სიამაყის ჩვევა. ქვეყანას უჭირდა, მაგრამ ღირსეული არსებობით არსებობდა. იგი მთლიანი ქვეყნის პრეტენზიით ეგებებოდა მტერს. ახლა კი დაკარგულიყო საქართველოს ფუნქცია. იგი რამდენიმე სამეფოდ დაყოფილი, იბრძოდა, მაგრამ ყველაფრიდან ჩანდა, რომ საქართველოს გაერთიანება და შემდეგ განთავისუფლება შეუძლებელის სფეროს ეკუთვნოდა უკვე. ღირსეული არსებობისათვის ბრძოლა იცვლებოდა გადარჩენისათვის ბრძოლით. ქართლ-კახეთის მეფეთა გულში იქნებ ყოველთვის ღვივოდა იმედი საქართველოს გაერთიანება-განთავისუფლებისა, მაგრამ სინამდვილე იმდენად შორს იდგა

ოცნებისაგან, რომ თავისთავად ჩნდებოდა უმწეობის განცდა. თავისუფლებაზე ფიქრი დაეთმო და ერთგულ ვასალად რომ უნდა დარჩენილიყო, ეს ტანჯავდა სიმონ I. ეს უკვე XVI საუკუნეა. საუკენე, როდესაც ფაქტიურად მომზადდა აღმოსავლეთ საქართველოს სრული განადგურების გეგმა. იმარჯვებდა თემური, მაგრამ კარგავდა დიდ ძალებს და იმარჯვებდა დიდის გაჭირვებით, თანაც იყო გენიალური მხედართმთავარი, მსოფლიოს დამპყრობელი, მასაც კი გაუჭირდა საქართველოს გატეხვა, გატეხილი ქვეყანაში რვაჯერ არ ლაშქრობენ! ვერ აქცია მომთაბარეთა სადგომებად თემურმა საქართველო. ქვეყნიდან ისე წავიდა, ეს გეგმა ვერ განახორციელა. სხვა არის XVI საუკუნის საქართველო, უკვე დაქუცმაცებული, ორი ქვეყნის ვასალი. საქართველოს კუთხეებს ხან ოსმალეთის მხარეზე უხდებოდა ბრძოლა ირანის წინააღმდეგ, ხანაც ირანის მხარეზე ოსმალეთის წინააღმდეგ. გარკვეული ისტორიულ სიტუაციაში ეს თანადგომა რგებდა ქვეყანას მეორის, უფრო გაბოროტებულის წინააღმდეგ. პოლიტიკური ორიენტაცია ხშირად იცვლებოდა ამ მიზეზის გამო. ზოგჯერ ორიენტაციის ასეთი ცვლილება პოზიციის მერყეობად იკითხება ხოლმე. ვინც კარგად დაკვირვებია XVI-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიას, ის ამ აზრს ირწმუნებს.

თვალნათლივ დავინახავთ, რომ მეფე, ვინც დღეს ირანის მხარეზე იბრძვის თურქეთის წინააღმდეგ, ხვალ თურქეთის გვერდით დგას ირანის წინააღმდეგ (ლუარსაბ I, სიმონ I, ლუარსაბ II, თეიმურაზ I). პოლიტიკისათვის პოზიციების ასეთი ცვლილება მოულოდნელი არ არის. მაგრამ XVI-XVII საუკუნეებში პოზიციების ცვლილება იმდენად თვალში საცემი გახდა, რომ ბრმაც კი დაინახავს ასეთი სწრაფი ცვლილების მიზეზს: საქართველოს მუსულმანური სამყაროს მხრივ კარს აღგას დიდი განსაცდელი და იგი ყოველ ღონეს ხმარობს ამ განსაცდელის ასაცილებლად. იყენებს ხან ერთი, ხან მეორე ქვეყნის ძალებს, ცდილობს ერთმანეთს დაუპირისპიროს თავისივე მტრები და მდგომარეობა ამით შეიმსუბუქოს. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია შემდეგი: მხოლოდ ნამდვილი პატრიოტებისათვის არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როგორ ქვეყანას ემსახურება, მთლიანი საქართველოს პრინციპებს თუ

დაქუცმაცებულ ქვეყანას. იგი, პირიქით, ამ დროს უფრო საჭიროებს ერთგულებას. ის კი, მარადმერყეევი, „თავის ჯამს ჩამაცქერალი“ ნაწილი, ციხე-კოშკში გამოკეტილი ფეოდალების უმრავლესობა, უკვე ვერაფერს ვერ გამოჰყავს თავისი პატარა სამეფოდან. მისთვის სწორედ ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ადრე იგი ძალაუნებურად უწევდა ანგარიშს მთლიანი, ძლიერი საქართველოს სურვილებსა და ინტერესებს. ახლა კი, აწეწილი ქვეყნის შიგნით, არავის წინაშე არ გრძნობს პასუხისმგებლობას. აღარ არსებობს ძლიერი სამეფო კარი, რომელსაც დაექვემდებარება ნებით თუ უნებლიეთ. იმ შეგნებამდე კი ვერ ამაღლებულა, მისი გამოკლებით ქვეყანას ძალა რომ ეცლება. ჯერ ისევ ამოდის კაშკაშა მზე ცაზე, დიდებული სანადირო ადგილებია ირგვლივ! ქვეყნის დასარბევად მოსულ ძლიერ მტერს პირველი შეეგებება, სამსახურს შესთავაზებს, ამ გზით შეინარჩუნებს მამულსაც და დროსტარების საშუალებასაც. ქეიფობს გაუთავებლად და ელაციცება თავის პატარა მეფობას, დიდგვაროვნობის უკვდავ კერპს. დაქუცმაცებული საქართველოს ფსიქოლოგია მოსულ მტერზე უფრო საშიშ ძალად იქცა ქვეყნისათვის. რადგან ეს ფსიქოლოგია ერთ ფრაზაში არ გაყინულა — მთლიანი და დამოუკიდებელი საქართველო აღარ არსებობს! იგი ჩაუსახლდა ქართველი კაცის სულსა და გულს, მხოლოდ ერთეულები თუ უძლებდნენ ამ ძნელ გამოცდას. ასეთი ერთეულები ფეოდალთა წრეშიც ერია, აზნაურებშიც და გლეხებშიც. მაგრამ მთელ ხალხს უკვე დაქუცმაცებული საქართველოს ფსიქოლოგია რომ ზრდის და აყალიბებს, ეს მოვლენაა საგულისხმო. რითი გსურს მოიშორო ამ ატმოსფერული წნევის სალტე. ხომ ვერ დაავალებ ყოველ კაცს, ამაღლდეს ამ დაქუცმაცებული საქართველოს ფსიქოლოგიაზე, იყოს დავითის, თამარისდროინდელი ქართველი კაცის ბადალი. რა ქნას იმ რიგითმა ფეოდალმა, აზნაურმა თუ გლეხმა, ვისაც ბუნებამ დიდი გული, დიდი ხედვა, დიდი ძალა არ დაანათლა. მის წინაპარს ხომ ერთიანი საქართველოს სულისკვეთება ზრდიდა, ამაღლებდა. ახლა ხედავს, ქვეყანა დაქცეულა, სხვისი ვასალი გამხდარა, არ იგრძნობა მეფის მტკიცე ხელი. ასეთ კაცს გამოეცალა მამულიშვილობის გრძნობა, ან შეუსუსტდა იგი, არ განიცდის ამ გრძნობას. არის თავისთვის მა-

ნამ, სანამ საკუთარ მამულს არ მიადგება საფრთხე. მაშინ კი იწყებს გზების ძებნას და არჩევს უბრძოლველად შეინარჩუნოს კეთილდღეობა. ამაყია, ამპარტავანი, მაგრამ საქვეყნო ნიშნები ნაკლებ სცხია.

მუსულმანური სამყარო კი ყოველ ღონეს ხმარობდა, მეტად დაჭუცმაცებულიყო ქვეყანა, მეტად აწეწილიყო, მეტად ამღვრეულიყო. ეს უადვილებდა თავისი მიზნის განხორციელებას. იმძლავრა ქვეყნის შინააშლილობამ. სპარსეთის ვერაგულმა პოლიტიკამ მეფობის სურვილი გაუღვივა ყოველ ბაგრატიონს. გამრავლდა მეფობის კანდიდატურები, დასები. გაჩაღდა ბრძოლა ტახტისათვის, ბოლოს და ბოლოს დამკვიდრდა აზრი, რომ კახეთისა და ქართლის მეფედ გახდომა წყდებოდა ისპაჰანში — შაჰის კარზე. და ბუნებრივია, ყველა დამოკიდებული გახდა ირანზე. ყველამ იქ დაიწყო გავლენის სფეროების ძებნა, შეეცადა შაჰის გულის მოგებას. სანუკვარი ტახტის ხელში ჩასაგდებად ძმის, ბიძაშვილის, მამის გამომეტება ჩვეულებრივი ამბავი გახდა. ღალატი, შეთქმულება, განდგომა საქართველოს ისტორიის თანამდევ მოვლენებად იქცა. ეჭვითა და დაუნდობლობით დაიმუხტა ჰაერი. უღალატეს სიმონ მეფეს. ირანის ვერაგულმა პოლიტიკამ კახეთში საზარელი ამბავი დაატრიალა. კონსტანტინე-ხანმა ძმა და მამა მოკლა. ზურაბ ერისთავის მუხთლობა, სიმონ მეფის მოკვლა, თეიმურაზისაგან ზურაბ ერისთავის მოკვდინება, ლუარსაბის გადმოყვანა შადიმან ბარათაშვილის მიერ იმერეთიდან, ფარსადან ციციშვილისა და ჭაიხოსრო ჯავახიშვილის ვერაგობა... ეს ხელისგულზე მდებარე მაგალითებია. ისინი სხვა მრავალ მაგალითთან ერთად იმ დროის სულს გვიხასიათებენ, საქართველოს ცხოვრების მახინჯ სტილს გვაცნობენ.

ირანისა და თურქეთის მხრივ კი დარტყმას დარტყმა მოსდევდა. ებრძოდნენ როგორც ფიზიკურ არსებობას, ასევე სულისკვეთებას. სურდათ ორივე დაეშალათ, დაენგრიათ.

XVI საუკუნის ბოლოს ირანის ტახტზე ავიდა უდიდეს მეფედ აღიარებული შაჰ აბასი, კაცი, ვის დიდ გონებასაც, და ამასთან ვერაგობასა და სისასტიკეს ყველა იმდროინდელი წყარო გვიდასტურებს. ამას უპირველეს ყოვლისა გვიდასტურებს ჩვენი ქვეყნის მიერ გამოვლილი განსაცდელი. ის ტრაგიკული

ამბები, რაც ქართლსა და კახეთში დატრიალდა. ისტორიკოსები სამართლიანად უწოდებენ ამ დროს საქართველოს ყოფნა-არყოფნის ხანას. ის, რაც თანამიმდევრული პოლიტიკით ხორციელდებოდა საქართველოში, — ქვეყნის გადაგვარება და სიკვდილი, ახლა შაჰის სურვილით უნდა დაჩქარებულიყო. კახეთისა და ქართლის მოსახლეობა უნდა აღგვილიყო. თუ ეს მოხერხდებოდა სისხლის დაუღვრელად, ხომ კარგი, თუ არა და ძალით უნდა მოეხდინათ ეს საშინელი ამბავი. 1578 წელს ამიერკავკასიაში ოსმალეთი გაბატონდა. შაჰ აბას I 1590 წელს ახალი ზავით ცნო ოსმალეთის უფლებები ამიერკავკასიაზე. იგი შეუდგა საფუძვლიან სამზადისს ამიერკავკასიის ხელში ჩასაგდებად. ამას დაემატა მეორე ამბავიც. ქართლ-კახეთის მეფეებმა მოუხშირეს რუსეთს ელჩების გაგზავნა. რუსეთის სახელმწიფო სულ უფრო აქტიურად ერეოდა ქართლ-კახეთის საქმეებში. ამიერკავკასიაში დამკვიდრება და იქიდან ირან-ოსმალეთის ჯარების განდევნა რუსეთის პოლიტიკის საგანი ხდებოდა. ირანის ,თურქეთისა და რუსეთის ინტერესები ამიერკავკასიაში უკვე მთელი სიმწვავით ეჯახებოდნენ ერთმანეთს. ამიტომ აღნიშნავს აკად. ნიკო ბერძენიშვილი: „საქართველოს საკითხი ირანის წინაშე ახლა კიდევ უფრო მწვავედ დადგა... და შაჰ-აბასმა მისთვის დამახასიათებელი ენერგიითა და გაბედულებით სცადა ამ საკითხის საბოლოოდ ირანის სასარგებლოდ გადაჭრა".

ჩვენთვის ეს მიზანია ამჯერად საინტერესო. 1602 წლიდან განახლდა ომი ოსმალეთთან და ამიერკავკასია, კერძოდ აღმოსავლეთ საქართველო გამუდმებული ხოცვა-ჟლეტის არენად იქცა. შაჰმა გადაწყვიტა აეყარა კახეთი და ქართლი. მან ირწმუნა, რომ ირანს შესწევდა საამისო ძალა და ვერაგული პოლიტიკის ათასგვარი წახნაგით დაიწყო ნიადაგის მზადება ამ დიდი ისტორიული აქტის განსახორციელებლად. მან მოისყიდა თავადთა დიდი ნაწილი და დაუპირისპირა მეფეებს. შვილს მამა და ძმა მოაკვლევინა. ქართლ-კახეთი სერიოზული ძალებისაგან დაცალა და გადამწყვეტი დარტყმისათვის შეიმართა.

აკად. ივანე ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას უთმობს XVII საუკუნის შინაფეოდალურ ბრძოლებს. მის ნაშრომებში თვალნათლივ ჩანს, როგორ დაბნელებულა საქართველოს ცა და

ბნელში როგორ არეულა კეთილი და ბოროტი საწყისები. ვინ ვის კლავს, ვინ ვის მტრობს, ვინ ვის ღალატობს. ირღვევა ფიცი, არ აკავებთ არც სისხლი, არც ნათესაობა, არც მოყვრობა, არც რწმენა, არც სინდისი. მერყეობს ხასიათი. აქ ქვეყნის ერთგული იქ ქვეყნის ორგულია. დარღვეული პროპორციები, დაბზარული სიმტკიცე... წონასწორობადაკარგული ქვეყანა აქეთ-იქით აწყდება. არ იცის რა გზას დაადგეს; კაცურ კაცობის საზომი დაკარგულა. არსად ჩანს განმკითხველი, დამნახავი. დიახ, დაღუპვის კართან მდგარ ქვეყანას წონასწორობა ჰქონდა დაკარგული და ირყეოდა. წყდებოდა უზარმაზარი საკითხი — შეძლებდა თუ არა საქართველო თავის დაცვას, შეძლებდა თუ არა დაემტკიცებინა მუსულმანური სამყაროსათვის, რომ ამ ქვეყნის აყრა-გადასახლება შეუძლებელია.

ირანს თავისი მიზნის განსახორციელებლად სჭირდებოდა მთელი ძალების ამიერკავკასიაში მობილიზება. ეს მშვენივრად იცოდა შაჰ აბასმა. აი, როგორ არის მომზადებული შაჰი:

„შაჰი ბედნიერ საათს დაიძრა სამოთხისებური სიხარულის ქალაქ ფარაჰაბადიდან გილანზე გავლით და ზღვის ნაპირს გაჰყვა. ზღვა ლაშქრისა, როგორც ლურჯი ზღვა, ყოველი მხრიდან აღელდა და ყოველ გაჩერებაზე გამარჯვებით მოსილ ამალას უერთდებოდნენ ძლევამოსილი მეომრების რაზმები... განჯის მიდამოებში ძლევამოსილ დროშებს მიეგებნენ ალიყული-ხანი და ამირები და განდიდებულ იქნენ შაჰის უზანგის კოცნის ბედნიერებით. ფირ-ბუდაყ-ხან ფორნაჭი და მისი მხლებელი ამირები, რომლებიც მოსული იყვნენ სამეფო ქალაქ თავრიზიდან,. გაუშვეს, რათა დაბრუნებულიყვნენ თავრიზში და იქაური საზღვრების ამბები და მდგომარეობა სცოდნოდათ...

...მისმა უდიდებულესობამ ძლევამოსილი ლაშქარი რამდენიმე ჯგუფად გაჰყო; ყოველი ჯგუფი ცალკე მხარეს გაგზავნეს თითო სახელოვანი ამირის მეთაურობით. შირვანის ბეგლარბეგს იუსუფ-ხანს ებრძანა, რომ იმ მხრიდან წამოსულიყო თავისი ამირებით საქართველოზე. ურდო (მთავარი ჯარი), „რომლის სარბიელი მსოფლიო არის“, სხვა მხრიდან დაძრულიყო თავისი მძლეველი რაზმით. ქართველების სამყოფელთ ოთხივე მხრივ შემორტყმოდნენ, ნადირივით შუაში მოექციათ და ვისაც კი მისწვდებოდნენ, ისლამის ხალხთან მეომარი მათი ურჯუ-

ლო მამაკაცები საღეთო ომის ელვარე მახვილით დაეხოცათ. იმ ურჯულოთაგან არც ერთი ცოცხალი არ გაეშვათ, ქალები და ბავშვები ტყვედ წამოეყვანათ, ხოლო საქონელი და ქონება რაც ხელში ჩაუვარდებოდათ, მუსლიმანთა და ღაზიების დავლა იქნებოდა“.

საკმარისია ირანის სხვა საზღვარზე ომის საფრთხე გაჩნდეს, რომ შაჰი იძულებული ხდება დროებით შეწყვიტოს აყრა-გადასახლება კახეთისა და საქართველოდან გავიდეს:

„ახლა, ეს ამბავი რომ მოხდა, ხელმწიფის რისხვა დაცხრა და ნოვრუზიდან სამი თვე გავიდა, ხოლო ოსმალეთის სარდალი მუშის ველზე იდგა და ჯარსა და იარაღს აგროვებდა სალაშქროდ. საქართველოში მეტხანს გაჩერება სახელმწიფო თვალსაზრისით სასარგებლოდ ვერ მიიჩნია შაჰმა და უკან გაბრუნდა“.

კახეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი აყრილია და გაჟლეტილი. მაგრამ მხოლოდ ირანის ძალების სრული მობილიზების შემდეგ ხდება შესაძლებელი ეს. მთელი ირანი ლარივით არის მომართული, დაძაბულია, ამ მძიმე. უხეში ლუკმის გადაყლაპვა რომ შეიძლოს.

ასევეა დაძაბული საქართველოც. ქართლ-კახეთი უფსკრულის პირას დგას. თვალნათლივ ხედავს მტრის ღონიერ ხელს, უფსკრულისაკენ რომ უბიძგებს და ქვეყანა ცდილობს აირიდოს ეს დარტყმა.

დადგა ქართველი კაცის ეროვნული თვისებების გამოცდის მძიმე ჟამი. კითხვის ნიშნის ქვეშ მოქცეულა არსებობა. ყოფნა-არყოფნის მოგანგაშე ზარმა ძალუმად დარეკა. ერმა თავისი წიაღიდან გამოიხმო მთელი ენერგია, რაც კი გააჩნდა. თავისი მორალური და ფიზიკური ძალები. ასეთი ფიზიკური და ზნეობრივი ენერგიის გამოცხადებად იქცა უპირველეს ყოვლისა კახეთის მოსახლეობა, ხალხი, ვინც აგებდა სიღნაღებს, სიმაგრეებს მთასა და ბარში და იბრძოდა. იბრძოდა კაცი, ქალი, მოხუცი, ახალგაზრდა. იბრძოდა ცალკე, ჯგუფ-ჯგუფად, რაზმებად. ერთ-ერთ სიღნაღში ათი ათასზე მეტი კაცი იყო თავშეფარებული, წერს ისქანდერ მუნში. ყველაზე მკაცრად ალბათ ის იბრძოდა, ვინც საკუთარი ხელებით დააღრჩო თავისი ჩვილი ბავშვი, მტერს რომ არ ჩავარდნოდა საწამებლად ხელ-

ში. უკომპრომისო იყო ბრძოლა. აღმოჩნდა, რომ ერი არც ზნეობრივად ყოფილა გადაგვარებული და არც ფიზიკურად. მონობას არ შეჰგუებია. აყრა და სხვა ქვეყანაში გადასახლება მისთვის სიკვდილს ნიშნავს. თავისი მიწის, თავისი ცის, ღვინის, პურის, მარილის, სიმღერისა და ცეკვის, თავისი ფუძის იმდაგვარი განცდა ჰქონია, რომ ყველა ეკალი აეშალა საბრძოლველად, ყველა უჯრედი რისხვით დაიტენა, ავარდა და ნიაღვრად იქცა.

მაგრამ ძალას თავისი გაჰქონდა. კახეთის ორი მესამედი შეეწირა ამ დიდ რბევას, რომლის მსგავსი „ისლამის გაჩენის დღიდან კაცს არ მოსწრებია“ (ისქანდერ მუნში).

ახლა ქვეყნის დაღუპვის კარად ყოფნა უდარდელობით მიძინებულმა სხვა ფენის წარმომადგენლებმაც დაინახეს და მათშიც აღსდგა წინაპართა გმირული სული, აღსდგა სიამაყე და შეუპოვრობა. ამ კრიზისულ წუთებში ასპარეზზე გამოვიდა იმდენი ძლიერი პიროვნება, რისი მოლოდინიც, ალბათ, თვით საქართველოსაც არ ჰქონდა. ეს იყო ნამდვილი გამოხმობა ძალებისა და, საბედნიეროდ, ძალები აღმოჩნდა. ისტორიკოს ლევან სანიკიძეს თავის წიგნში „უქარქაშო ხმლები“ მოწვდილი აქვს სია ამ სახელოვანი რაინდებისა. სია, შესაძლოა, სრული არ იყოს. შესაძლოა გამოგვრჩეს ვინმე, მაგრამ ფაქტია, რომ უზარმაზარი სიაა. ამდენი სარდალი, ამდენი მოღვაწე, ამდენი წამებული ისტორიის უმოკლეს მონაკვეთში, დიდ ძალას წარმოადგენს.

აქამდე შეუცნობი სიღრმეებიდან მოდის თითქოს ქვეყნის ძალა. შეუწყვეტელი ბრძოლებისა და დიდი ომების ციკლში იბადებოდნენ ისინი.

წმინდა მოწამეებს გადავავლოთ მზერა — თევდორე მღვდელი, ქეთევან წამებული, ლუარსაბ II, პაატა სააკაძე. მათ თავიანთი მტკიცე ნებისყოფით მისცეს მაგალითი ხალხის სიმტკიცეს, რწმენის ერთგულებას. ეს არის თვისებების ანატომია ამავე დროს. ღალატის, მერყეობის უკიდურესი ფაზა მოჩვენებითი ყოფილა. სიღრმეში თურმე თვლემდა განუსაზღვრელი მასა ენერგიისა.

• •

1625 წლის ადრიან გაზაფხულზე შაჰმა ქართლის ასაყრელად და კახელების სრულად ამოსაჟლეტად გამოგზავნა ირანის ჯარების მთავარსარდალი ყორჩიხა-ხანი დიდი არმიით, მრჩევლად დაუნიშნა „მოურავ ბეგი“: — იგივე დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. 1612 წლიდან 1625 წლამდე გიორგი სააკაძის მოღვაწეობის შინაარსს ხსნის მარტყოფის ომი. ამიტომ ჩვენ ამ ომის კართან მისულნი მივუბრუნდებით გიორგი სააკაძის მოღვაწეობას ირანსა და ქართლში 1612—1624 წლებში. აქ კი მოგვიხდება მსჯელობა სწორედ იმ საკითხებზე, რაც ასე გვაღელვებს დიდი მოურავის სახელთან დაკავშირებით.

შთამომავლობას სასიამოვნოდ არ ჩაესმის ის მოსაზრება თითქოს გიორგი სააკაძემ მარტყოფის აჯანყება დაასკვნა შაჰის წერილის ხელში ჩაგდების შემდგომ. წერილში ეწერა: „რათა მოსწყვიდენ კახნი და აჰყაროო ქართლი, მოკვეთე თავი მოურავს და წარმოგზავნე წინაშე ჩემსა“ (ვახუშტი ბაგრატიონი) იგივე ასკვნის: „გარნა თუმცა არ ეხილვა მოურავს წიგნი იგი შიკრიკისა, აყრილიმცა იყო ქართლი, გარნა იხსნა ღმერთმან ერი თავისი ესრეთ“.

დაახლოებით ამასვე ამბობს ბერი ეგნატაშვილი:

„და რა წარიკითხა მოურავმა ესე, მაშინ შათირი იგი მოკლა, აღუხდა სიცრუე მას თხემსა მისსა ზედა, შეწუხდა დიდად და ეძებდა ღონესა რასმე“.

ე. ი. რა არის ფაქტიურად და აშკარად ნათქვამი: გიორგი სააკაძის შაჰის წერილი რომ არ ეპოვნა, იგი არ აჯანყდებოდა, ქართლს აყრიდნენ და გადაასახლებდნენო. ე. ი. სააკაძემ მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა აჯანყება, რომ შაჰმა იგი სასიკვდილოდ გაიმეტა. აქედან დასკვნა: პაატა იმიტომ კი არ გაწირა, რომ საქართველო ეხსნა, არამედ იმიტომ, რომ თავი გადაერჩინა. ამ აჯანყებით კი მან ქვეყანა იხსნა მისდა უნებურად. თითქოს დიდ მამულიშვილად მოეელინა ქვეყანას იმ შემთხვევით ნაპოვნი წერილის წყალობით. ასეა თუ ისე, ქვეყანა გადარჩენილია, უზარმაზარი მოვლენა მომხდარია, მაგრამ მით უმეტეს ვერ მოისვენებს ერი, სანამ არ გაარკვევს მისი შეილი ბუნებით იყო მხსნელად მოვლენილი, თუ შემთხვევით გახდა გმირი, შეგნებულად გაიწირა პაატა თუ არა.

როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა ერთმანეთთან შეჯერებული წყაროები, მეცნიერულად შესწავლილი ისტორია, ვახუშტი ბაგრატიონს, ვინც თვითვე ქმნიდა ისტორიას, ცხადია, ვერ მოვთხოვთ ყველა ისტორიული ფაქტი ზუსტად შეაფასოს და უშეცდომოდ იმსჯელოს. მაგრამ დღეს, მეცნიერულად შესწავლილი ისტორიის მქონე ხალხს არავითარი უფლება არა აქვს უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე სწორი შეხედულება არ ჰქონდეს და ფაქტიურად ბუნდოვანი წარმოდგენების წრეში ტრიალებდეს. არა გვაქვს უფლება საფუძვლიანი შესწავლის გარეშე ვიმსჯელოთ პიროვნებაზე, ვის სახელთანაც არის დაკავშირებული ტაშისკარის, მარტყოფის, მარაბდის, ქსნის ომები. ქართლ-კახეთის ხსნა, უსაყვარლესი შვილის გაწირვა. ახლა ეჭვის საფუძველს მივუბრუნდეთ.

დავუშვათ, ხელთ არა გვაქვს არავითარი ცნობა იმის შესახებ, რომ სააკაძემ აჯანყებისათვის მზადება წერილის პოვნის შემდეგ კი არა, გაცილებით ადრე დაიწყო. გვექნებოდა თუ არა საფუძველი, მიუხედავად ამისა, ეჭვი შეგვეტანა სააკაძის მზადებაში? მივყვეთ წყაროების ანალიზს. დადგენილია, რომ ირანის ჯარები ყორჩიხა-ხანის მეთაურობით 1625 წლის ადრიან გაზაფხულზე შემოვიდნენ. თან ახლდა სააკაძე და სიმონ მეფე, ვისთვისაც ქორწილი უნდა გადაეხადათ. ადრიანი გაზაფხული არც იანვარია და არც თებერვლის პირველი რიცხვები. თებერვლის მეორე ნახევრამდე ადრიანი გაზაფხული არ ითქმის. დავუშვათ, თებერვლის შუა რიცხვებში შემოვიდნენ, ჯერ თბილისს მოვიდნენ. მოაწყვეს დიდი ქორწილი (სიმონ-ხანი დაქორწინდა ყორჩიბაშის ასულზე — იგივე შაჰ აბასის შვილიშვილზე). რამდენიმე დღეს „იყვის მღერა, ნადიმობა და მეჯლიში, ბურთაობა და ყაბახის სროლა“ (როსტომ მეფე). ამ ქორწილს პოლიტიკური მიზანი ჰქონდა. ყორჩიხა-ხანს უზარმაზარი ჯარი შემოჰყვა, არ გავდა იგი მაყრიონს. შეშფოთებული ქართლელები უნდა დაემშვიდებინათ ქორწილით. საერთოდ ქორწილი მეფეთა კარზე რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. ახლა მით უმეტეს გააჭიანურეს. ქართლელთა ეჭვი იმდენად დიდი იყო, რომ მხოლოდ ამ გზით თუ შეიძლებოდა მათი დამშვიდება.

ქორწილის შემდეგ ყორჩიხა-ხანი თავისი ლაშქრით მუხ-

რანზე დაბანაკდა. ჯარის აყრა-დაყრას, მეორე ადგილზე გადასვლას კიდევ რამდენიმე დღე დასჭირდებოდა იმერეთში ლაშქრობის საბაბით ყორჩიხა-ხანი თავისთან იბარებს კახეთის ლაშქარს, კახთა ლაშქრისათვის მოწოდებას, მათთვის თავის მოყრას და მუხრანში ჩასვლას ასევე რამდენიმე დღე მაინც დასჭირდებოდა. კახელები „საჩუქრების“ გადასაცემად კარავში შეჰყავდათ, იქ კი გასასვლელი იყო მოწყობილი, სადაც ჯალათები იდგნენ და სათითაოდ სჭრიდნენ თავს. კახელებმა იგრძნეს საფრთხე და ხმლით გაიკაფეს გზა. ოთხასამდე კაცი მაინც შეეწირა.

ამის შემდეგ უვარდება გიორგი სააკაძეს ხელთ ლოჭინის ხეობაში შაჰის უსტარი. რა ირკვევა, ირკვევა, რომ უსტარის ხელში ჩაგდებიდან, 1625 წლის 25 მარტამდე — მარტყოფის აჯანყებამდე—სულ რაღაც ოცი დღეა დარჩენილი. უფრო ნაკლები, მაგრამ დავუშვათ, რომ ოცი დღეა დარჩენილი. ისმის კითხვა: ყორჩიხა-ხანის ბანაკში მყოფ გიორგი სააკაძეს, ვისაც თვალს ადევნებდნენ და ვისაც საშუალება არ ჰქონდა თავისუფლად შეხვედროდა ქართველ დიდებულებს, შეეძლო თუ არა ოცი დღის განმავლობაში კიდევაც დაერაზმა ხალხი თავის გარშემო და კიდევაც მოეხდინა აჯანყება? ამის გათვალისწინებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რამდენი რამ იყო გასაკეთებელი: ერთიღა, ზურაბის საერისთავოს ლაშქრით ყორჩიხა-ხანის დიდი არმიის განადგურება წარმოუდგენელი იყო, ყორჩიხა-ხანს 30 000 კაცი ჰყავდა მთავარ ბანაკში. სხვა დანარჩენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში იყო დაფანტული სააკაძის რჩევით. ზურაბის ჯარი ამ მთავარ ბანაკთან ვერაფერს გახდებოდა. აჯანყებაში სწორედ ქართლისა და კახეთის უმთავრესი ძალები ღებულობდნენ მონაწილეობას. სააკაძის დროშის ქვეშ დადგა თითქმის ყველა ფეოდალი. განა შესაძლებელი იყო წინასწარი შემზადების გარეშე ყორჩიხა-ხანის არმიის შუაგულში მოწვეულ თავადებთან თათბირის გამართვა და მომავალ აჯანყებაზე სიტყვის ჩამოგდება? იმ თავადებთან, ვისაც არაფერი სჯეროდათ ერთ დროს სააკაძისა და არც ენდობოდნენ? ერთიღა, შაჰის წერილი იკმარებდა საბუთად? თანაც იმ თათბირზე, რისი მოყურადეც უაშრავი იყო ყორჩიხა-ხანის ბანაკში? ეს თავადები ხომ ყორჩიხა-ხანთან შეთანხმებით დაი-

ბარეს? დავუშვათ ესეც. განა შესაძლებელი იყო ფეოდალურ სამთავროებში ჯარის ელვის სისწრაფით მოკრება, მთელი საქართველოს აჯანყების ალში გახვევა? ხომ ყოველი სამთავროსათვის, სოფლისათვის, დაბისათვის უნდა შეეტყობინებინათ პატრონის სურვილი? ეს თათბირის შემდეგ, მაგრამ თათბირამდე ამ აჯანყებას მომზადება არ სჭირდებოდა? ხომ უნდა ენახათ აჯანყების მონაწილე ყველა სანდო ფეოდალი, ხომ უნდა დაერწმუნებინათ გულგატეხილნი, ხომ უნდა მოესინჯათ ნიადაგი. ასეთი მზადება დღეებს კი არა თვეებს ითხოვს. ოც დღეში მტრის ბანაკში მდგარი კაცი ამდენ ორგანიზაციას ვერ გასწევს, ხოლო პირველსავე თათბირზე, თუკი საკაძეს მანამდე არ ექნებოდა ნიადაგი შემზადებული, თავადებს ვერ დაარწმუნებ აჯანყების აუცილებლობაში, თუნდაც ათი უსტარი გეჭიროს შაჰისა ხელთ! მით უმეტეს, რომ კახელების მოღალატური დახოცვის შემდეგ ყიზილბაშებს და მათ ბანაკში მდგომ კაცს ასე იოლად არავინ ენდობოდა. თათბირზე პირდაპირ აჯანყების გეგმის გაცნობა წარმოუდგენელიც იყო — იქნებ მოღალატე ერია მათში და წამსვე დაეღუპა საქმე.

აქ მეორე კითხვა იბადება. რატომ მოიწერა შაჰმა, მოურავს თავი მოსჭერი და გამოგზავნე, ქართველების აყრა კი დააჩქარეო. საკაძე შაჰს სხვა დროსაც ახლდა ქართლ-კახეთში. სხვა დროს რატომ არ სცადა შაჰმა საკაძის მოშორება იმ მოტივით, რომ საქმეში შემოშლის ხელსო. თუკი იგი ასე ადვილად იშორებდა ერთგულ ხალხს, რატომ მაინცდამაინც ახლა მიიღო საშინელი გადაწყვეტილება საკაძის მოსპობისა. შაჰმა, მართალია, მოკლა ირანის დიდი სარდალი მურშიდ-ყული-ხანი, ვისი წყალობითაც ის ირანის ტახტზე ავიდა. მართალია, უმკაცრესი კაცი იყო, მაგრამ მურშიდ-ყული-ხანის მოკვლას ჰქონდა თავისი მიზეზი. შაჰი დესპოტი იყო, მაგრამ გიჟი არ ყოფილა, უმიზეზოდ რომ ეხოცა ხალხი, ერთგულად ნამსახური ქვეშევრდომები. წლების განმავლობაში იყო ირანის სპასალარად ყორჩიხა-ხანი, სარდლებად ამირგურე-ხანი, შაჰბენდე-ხანი, ყორჩიბაში, იუსუფ-ხანი, ხოსრო მირზა, უნდილაძე. მან ალი-ყული ხანიც კი არ დასაჯა სიკვდილით, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ასე საძულველ თეიმურაზთან დამარცხდა სასტიკად და სამარცხვინოდ! მაშ რატომ გამოიმეტა

ყანდაარისა და ბაღდადის ბრძოლების გმირი, გიორგი სააკაძე, ვინც აქამდე ერთგულ კაცად ითვლებოდა, ვინც 1619-1624 წლებში სიმონ-ხანის მრჩევლად, ფაქტიურ გამგებლად გვევლინება ქართლისა? რატომ დაწერა ასეთი წერილი, რასაც თურქი ისტორიკოსი მუსტაფა-ნაიმაც კი იმოწმებს თავის ნაშრომში: „შენ რომ კორუჯიბში ხარ, გმართებს დათვალიერების მიზნით ქართველები მთლიანად ამოხოცო, მოურავიც არ გაუშვა ცოცხალი, რაც უნდა დაგიჯდეს, უნდა მოკლა“. დავაკვირდეთ დაჟინებით ნათქვამ ფრაზას — „რაც უნდა დაგიჯდეს, უნდა მოკლა“. რატომ? აქამდე გიორგი სააკაძე ხომ შაჰ-აბასის „სრული ნდობით“ სარგებლობდა! მოვუსმინოთ ისქანდერ მუნშს: „რადგანაც ყორჩიხა-ხანს და ამირებს არაერთხელ უხილავთ ის პატივისცემა და სიახლოვე შაჰთან, რომლითაც ის უბედური სარგებლობდა ხელმწიფის სამსახურში და წყალობა, რომელიც მას დღითიდღე ეფინებოდა მისი უავგუსტოესობისაგან, აგრეთვე, რაკი მათ იცოდნენ, რომ ერთი მისი ვაჟი სახლობით და ნათესაებით იმ ვილაიეთში (ე. ი. ირანში) იყო და ყველას წყალობით და პატივით ეპყრობოდნენ, — ამიტომ ვერ წარმოედგინათ სრულებით, რომ მას შეეძლო ისეთი საქმის ჩადენა, რომელსაც „ღალატის“ სუნი ექნებოდა“.

აი, ასეთი ნდობით იყო სააკაძე გარემოსილი. მან უბრალო საბაბიც კი არ მისცა დაეჭვებისათვის შაჰს. ხოლო თუ ასე ფხიზელი შაჰი ყოველი შემთხვევისათვის იტოვებდა მძევლებს, ეს სააკაძისადმი მის უნდობლობაზე არ მეტყველებს. საერთოდ არ გამოგზავნიდა ქართლში სააკაძეს ან ირანშივე მოსპობდა მას. მაგრამ რაკი მრჩევლად გამოაყოლა, ენდობოდა კიდეც და ეჭვმიუტანლად მიაჩნდა. ახლა კი ასეთი უსტარის დაწერა უხდება. რა მოხდა შაჰის ჯარების ქართლში შესვლის დღიდან ისეთი, რომ შაჰმა ასე გაიმეტა მოურავი? ამაზე სხვა პასუხი არ შეიძლება იყოს, გარდა ერთისა: აჯანყებისათვის სააკაძის მზადებაზე შაჰს ცნობები მიუვიდა! რა თქმა უნდა, ყორჩიხა-ხანს ხელთ არ ჰქონია ისეთი საბუთი, რაც ერთბაშად ახდიდა ფარდას საიდუმლოებას, მაგრამ ეჭვი ღრმა იყო და სიფრთხილეს კარნახობდა გამოცდილება, ეჭვი კი შაჰისათვის უნდა გაენდო. შაჰს კი სრული წარმოდგენა შეექმნა ვითარებაზე და იცოდა რა სააკაძის შესაძლებლობები და იცოდა რა ის-

იც, რომ ქართლის აყრის საქმე შეიძლებოდა ჩაშლილიყო, გადაწყვიტა თავის დაზღვევის მიზნით ჩამოეშორებინა სააკაძე. კახელების ხელიდან გასხლტომის ფაქტიც აეშვებდა შაჰს. მაშასადამე, უსტარი დაიწერა იმიტომ, რომ სააკაძის სამზადისი ცნობილი გახდა. საჭირო იყო დასწრება. შაჰმა სცადა დასწრება. სხვა პასუხი ამ კითხვაზე არ შეიძლება იყოს, თუნდაც არ მიუთითებდნენ დამატებით წყაროებზე.

მაგრამ არსებობს ისტორიული წყაროც! იგი ხელთ ჰქონია პლატონ იოსელიანს. ეს გახლავთ მარიამ-მაკრინეს აწ დაკარგული თხზულება. ამ თხზულებიდან პლატონ იოსელიანს რამდენიმე ცნობა აქვს ამოკრებილი. აი, ერთი მათგანი: „გიორგი სააკაძე შეუძრწუნებლად ვერ უყურებდა მეფე ლუარსაბს, რომელიც მის მიმართ არავითარ გულისწყრომას არ გამოთქვამდა. თბილისის ციხე-სიმაგრიდან, რასაც შაჰ-აბასი ათვალიერებდა, ლუარსაბ მეფემ მიაპყრო თვალი სიონის ტაძარს, პირჯვარი გადაიწერა და დიდებული ლოცვა წარმოთქვა: უფალო, აპატიე ჩემს მტრებს. შეძრწუნებულმა გიორგი სააკაძემ ძლივს მოახერხა ეთქვა: „მე ვარ შენი მტერი?“ და თვალები ცრემლით აევსო.

— შენ შეგეძლო შური ჩემზე გეძია, — უპასუხა მეფემ — ხალხს რას ერჩოდი, რომელიც სამუდამოდ დაიღუპა, ან ეკლესიას, რომელმაც შენ სარწმუნოება და ცხოვრება მოგანიჭა?“

მონაზონი მაკრინე წერს, ამ წუთიდან გიორგი სააკაძე გულით სპარსეთის მტერი გახდა და გადაწყვიტა, ადრე თუ გვიან ბოლო მოეღო საქართველოში სპარსეთის ბატონობისათვის, რაც მის სულს მძიმე ტვირთად აწვაო!

მარიამ-მაკრინეს დაკარგული თხზულებიდან პლატონ იოსელიანი იმოწმებს ერთ მეტად საგულისხმო ცნობას: „სპარსელებს არავითარი ეჭვი არ ეპარებოდათ და სრულად დაენდვნენ მოურავს, რომელმაც სამშობლოს გათავისუფლების განზრახვა ქართლზე სპარსელების ლაშქრობის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე კათალიკოსსა და წილკანის ეპისკოპოსს პართენს გაანდო“. ისტორიკოსი გივი ჯამბურია ასკვნის,

რომ ეს ცნობა პლატონ იოსელიანს მარიამ-მაკრინეს აწ დაკარგული თხზულებიდან აქვს აღებული.

კიდევაც რომ სხვა წყაროდან იყოს მოტანილი იგი, ამით მაინც არაფერი იცვლება. პლატონ იოსელიანი ისეთი დაბეჯითებით წერს მოურავის განზრახვაზე, რომ ეჭვის შეტანა შეუძლებელია, იმ პიროვნებებსაც ასახელებს, ვისაც გაენდო საიაქაძე. იმავე მარიამ-მაკრინეს თხზულებაში, როგორც დავინახეთ, გარკვევით არის თქმული, რომ საიაქაძე ჯერ კიდევ ლუარსაბ II დატყვევების დროიდან ფიქრობდა ქვეყნის ხსნაზე, რაკი დაინახა შაჰის გამანადგურებელი, ვერაგული პოლიტიკა. „მოურავის გულში შაჰისადმი ღალატი იმალებოდა, რომელიც მან ზურაბს ჯერ კიდევ ქართლში მოსვლამდე გაანდო“ (პლატონ იოსელიანი). ესეც მეტად საგულისხმო ცნობაა. ცხადია, ირანში არ განდობია ზურაბს საიაქაძე, მაგრამ ქართლში მოსვლამდე გაენდო. ამასვე ადასტურებს ბრჩილი:

> დაასკვნეს და გამოგზავნეს ამ მიზეზით სულ ესენი:
> აწ უყურეთ მოურავსა ვით შეჰყაროს მძიმე სენი!
> ზურაბს თურმე ოქვა უთხრა: ვერ სჯერეტ არის რის მთესენი?
> მე სხვა რამე გამიგია, ხმალი აქავ მოლესენი:

სხვა წყაროებითაც და არჩილის მომდევნო სტროფებითაც ირკვევა, რომ საიაქაძე ირანში არ განდობია ზურაბს. თუ რატომ, ამაზე შემდეგ. მაგრამ ქართლში შემოსვლისთვისაც არ დაუცდია. გზაში უთხრა, რა მიზნით მიდიოდა ამოდენა ლაშქარი და რა ედოთ ყიზილბაშებს გულში. ჩვენ ჯერჯერობით ამის გარკვევა გვაინტერესებს. საიაქაძე გაენდო წინასწარ კათალიკოსს, წილკნის ეპისკოპოსს პართენს და ზურაბ ერისთავს, ე. ი. აჯანყების აქტიურ, აშკარა მზადებას შეუდგა.

მაშ რას ნიშნავს ზემოთ მოტანილი ვახუშტის ცნობა? უნდა ვივარაუდოთ, რომ ვახუშტის ხელთ არა ჰქონდა მარიამ-მაკრინეს დაკარგული თხზულება, ქართლში კი საიაქაძის მტრების მიერ გავრცელებული აზრი ბატონობდა, თითქოს დიდი მოურავი შაჰის უსტარის ხელში ჩაგდების შემდეგ აჯანყდა. დღეს ისტორიოგრაფია ამ აზრს არ იზიარებს, რადგანაც ხელთა აქვს უფრო სანდო წყაროები.

უნდა გავიმეორო, რომ ეს წყაროები კიდეც რომ არ არ-

სებობდეს, მაინც ყოვლად დაუჯერებელი ჩანს, რომ ოციოდე დღის განმავლობაში ამოდენა აჯანყება მოემზადებინოს სააკაძეს, ან შაჰს ყოვლად უმიზეზოდ გაეცეს ბრძანება მოურავის მოკვლისა.

საბედნიეროდ, უფრო მეტია გარკვეული ისტორიკოსების მიერ. გარკვეულია და ფაქტობრივად დადასტურებული, რომ დღიდან კახეთის აოხრებისა შაჰსა და სააკაძეს შორის დაიწყო უმძიმესი, დაძაბული დიპლომატიური ბრძოლა. 1612—1615 წლებში სააკაძემ მშვენივრად შეიცნო შაჰის ნამდვილი განზრახვა. დაინახა, რომ მისი მიზანი, ჩამოეშორებინა ლუარსაბი შაჰის დახმარებით და ტახტზე სასურველი მეფე დაესვა, ფუჭი ოცნება იყო. შაჰს სრულებითაც არ აღელვებდა მასთან შეხიზნული არც ერთი ქართველი კაცის გეგმები. მას თავისი საკუთარი გეგმა ჰქონდა. და სწორედ ამ საშინელი გეგმის არსებობა დაამტკიცა კახეთის უბედურებამ. იგრძნო დიდმა მოურავმა, რომ საქართველოს მოსპობა სურდა შაჰს და წინააღმდეგობა ქართლის მეფესა და დიდებულებთან უკვე სახსენებლად არ ღირდა. მას ძლიერი მეფე სურდა ქართლის ტახტზე, ამ მიზეზით დააწინაურა ხოსრო მირზა, როგორც ერთერთი პრეტენდენტი ქართლის ტახტისა. ქართლში სააკაძისათვის სასურველი კანდიდატურის დასმა შაჰს სრულებითაც არ აწყობდა. ძლიერი მეფე და ძლიერი მხედართმთავარი შაჰისთვის იყო ყველაზე ნაკლებ სასურველი. პირიქით, როგორც ირკვევა, შაჰმა სცადა და მოახერხა კიდეც კახეთისა და ქართლის დაცარიელება ძლიერი პიროვნებებისაგან. დაუძლურებული ქართლ-კახეთი სურდა ლუკმად შაჰს, ასეთს უფრო ადვილად მოინელებდა მისი სახელმწიფო.

და აი, 1615 წლიდან, როდესაც შაჰი დაუფარავად შეუდგა კახეთის მოსახლეობის მასიურ ჟლეტასა და გადასახლებას, დაიწყო ფარული ბრძოლაც სააკაძესა და შაჰს შორის. ეს ბრძოლა მათი სიცოცხლის დასასრულამდე გაგრძელდა. „ირანის შაჰის ინტერესები საქართველოში ყველაზე ნაკლებ სწორედ სააკაძის მიზნებს ეთანხმებოდა. ძლიერი, მთლიანი საქართველო მისთვის უფრო მიუღებელი იყო, ვიდრე საქართველო სუსტი, დაშლილი, თავადური. სააკაძე საქართველოს ძლიერებისათვის, მისი თავისუფლებისათვის იბრძოდა, შაჰი

ჩვენი ქვეყნის დარბევა-განადგურებას ცდილობდა". — წერს აკად. ნიკო ბერძენიშვილი.

მაგრამ, საუბედუროდ, გიორგი სააკაძე უკვე შაჰის ხელთ იყო, მას თვალყურს ადევნებენ, ცდიან. უნდა თუ არ უნდა, ჩათრეულია დიპლომატიურ ომში და თავისი გრძნობები, თავისი ზრახვები არ უნდა გასცეს. ფრთხილად და მოთმინებით უნდა იმოქმედოს, არ აჩქარდეს.

მაგრამ ის, ფაქტიურად, 1615 წლიდან იწყებს ბრძოლას შაჰის წინააღმდეგ, იწყებს ნიადაგის შემზადებას დიდი დარტყმისათვის. სხვა რა უნდა დავარქვათ დიდი მოურავის მიერ 1615 წელს გადადგმულ ნაბიჯს. ამას გვიდასტურებს ზემოთ მოყვანილი 1620 წლის სასამართლოს ოქმის ამონაწერი.

კაცი, ვისაც სახლ-კარი დაუნგრიეს, ვისაც მოსაკლავად სდევდნენ, გადაუხვეწეს დედა, აუწეწეს ცხოვრება, ურიგდება იმ ადამიანს, ვინც თავი და თავი მიზეზია მისი უბედურებისა. საგანგებოდ დაადევნებს მსახურ ბიძინას, დაამშვიდებს, დააბრუნებს გაქცეულს და თავის მამულში მოიყვანს. ეს კაცი, ქაიხოსრო ჯავახიშვილი, არც მოელის პატიებას, სჯერა, რომ მოურავი მოკლავს მას და ამიტომ გარბის ოჯახითურთ. ურიგდება მეორედ (1620 წ.). მიუხედავად სააკაძის სულგრძელობისა, ქაიხოსრომ და ფარსადან ციციშვილმა მაინც გაიმეტეს სასიკვდილოდ მოურავი 1616 წელს. ფარსადან ციციშვილს, იმდროინდელ ქართლის გამგებელს (შაჰმა დასვა გამგებლად!) სამასი კაცი სთხოვა ქაიხოსრომ, სააკაძე ნოსტეს ამოსულა, თავს დაესხმი და მოვკლავო. აი, ასეთ ადამიანს ურიგდება გიორგი სააკაძე 1620 წელს ხელმეორედ. ამ დროს თვით არის ფაქტიური გამგებელი ქართლისა, შეუძლია ერთი ხელის მოსმით გააცამტვეროს თავისი მტრები.

„არაგუის ერისთავი, მუხრანის ბატონები, ქსნის ერისთავი, ფალავანდიშვილი, ციციშვილი, ბარათაშვილი და სრულიად ქართველნი ჩემი მოყუარენი და მოსამართლენი იყუნესო, დღეს ამისთანას საქმეში ყუელანი უნდა მამდგომოდესო" — აცხადებს დიდი მოურავი იმავე სასამართლოზე. იცის დიდმა მოურავმა, რომ მისი მტრები ვერაგობას ვერ დაიშლიან. მაგრამ, როგორც გვივ ჯამბურია წერს: „გიორგიმ დიდი ჭკუა და ტაქტი გამოიჩინა, ის უკვე მიხვედრილი იყო „შაჰ-აბასის მიზ-

ნებს და თავის მტრებთან ბრძოლას შერიგება არჩია". ადამიანი, თუ იგი მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე ფიქრობს, განა ერთი წამით დაფიქრდება, განა მაშინვე არ იძიებს შურს, თუნდაც იმიტომ, რომ საბოლოოდ მოსპოს მტერი და ნოსტეში დაბრუნდეს. რა უნდა დავინახოთ ამ ფაქტში, თუ არა ფარული მზადება დიდი ისტორიული ამბის მოსახდენად. ქართლი, ბოლოს და ბოლოს, ციციშვილების, ჯავახიშვილების, ბარათაშვილებისაგან შედგება. ამ ძალების მოსპობა ქართლის ძალების მოსპობას ნიშნავს. სულგრძელობის უფრო დიდი მაგალითი ისტორიაში ძნელად მოიძებნება. არ იქნებოდა სწორი იმ ვარაუდის გამოთქმა, თითქოს სააკაძე იმიტომ ვერ ახლებდა ხელს თავის მტრებს, რომ ისინი შაჰს მიუვიდნენ. მათ რომ უსაფრთხოების გარანტია ჰქონოდათ, მაშინ ქაიხოსრო ჯავახიშვილი არც გაიქცეოდა იმერეთისაკენ. მით უმეტეს წარმოუდგენელი უნდა ყოფილიყო გიორგი სააკაძეზე მეორე თავდასხმა 1616 წელს, თუკი შაჰის მფარველობა იყო გადამწყვეტი. არ შეეძლო ჯარის მიცემა ფარსადან ციციშვილს, ვინც სწორედ შაჰმა დასვა გამგებლად იმ დროისათვის. შაჰის ერთგული კაცის მოკვლა ფარსადან ციციშვილს ვერ უნდა გაებედა. მაგრამ არა, შაჰი არაფერ შუაშია. მისთვის უკეთესია, თუ ქართლის დიდებულები ერთმანეთს დაერევიან.

გიორგი სააკაძემ კი 1615 წელს უკან დააბრუნა გაქცეული ქაიხოსრო ჯავახიშვილი. 1616 წელს ამ ქაიხოსრო ჯავახიშვილმა დიდი მოურავის სულგრძელობის პასუხად კვლავ სასიკვდილოდ გაიმეტა იგი. სააკაძე დროზე გააფრთხილეს და გაერიდა, სოფელ ხანდაკს შეაფარა თავი. 1619 წელს სააკაძე ქართლის ფაქტიურ გამგებლად დაინიშნა, რამდენადაც ყრმა სიმონ-ხანს ქვეყნის მართვის თავი არა ჰქონდა, მთლიანად სააკაძეზე იყო დანდობილი. ეს კარგად ჩანს ანდუყაფარ ამილახვარისადმი სიმონ მეფის მიერ გაცემული დოკუმენტიდან. „მოურავის მოსულამდის ყველამ დაანებეთ თავისი მაზმულები და რა მოურავი მობრუნდების, რარიგადაც სჯობს, ისრე ვიქთ და რაც ქალაქს ან დიღუამს, და ან ალს საცილობელი არს, ისიც მოურავმა უნდა გარდაწყვიტოსო".

სიმონ-ხანი მცირეწლოვანი იყო. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტად გაუხსნიდა ხელ-ფეხს სააკაძეს და შეეძლო მტრებ-

თან გაესწორებინა ანგარიში. მაგრამ რა ხდება! 1620 წლის 15 აპრილს გიორგი სააკაძის მოთხოვნით იმართება სასამართლო. ამ სასამართლოს მიზანი იყო გიორგი სააკაძისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის შერიგება. „გარდაწყვეტილების წიგნში“ სავსებით გარკვევით ჩანს სააკაძის პოზიცია. იგი მიმართავს ქაიხოსროს: „ჩვენ შუა ძმობისა და მოყვრობის მეტი აღარა დარჩა რა, სამუდამოდ და საბოლოოდ ასევე შევრიგდით და შევეწყვენით, ჩვენ შუა საყარყაშო საქმე აღარა დარჩა რაო“.

გიორგი სააკაძე ურიგდება მეორე დაუძინებელ მტერსაც — ფარსადან ციციშვილს. შუამავლობა გასწიეს „ბატონმა ქუთათელმა და სახლთუხუცესმა ვახტანგმა“. ფარსადან ციციშვილის მიერ გაცემულ „საფიცრის წიგნში“ ნათქვამია: „...რაც ღმერთისაგან და კაცთაგან თქვენს მორჩმას და გადიდებას უჯობდეს და კარგად მოუხდებოდეს, იმისი მომჭირნე და ძალის მიმცემნი ვიყოთ — თათარშიგაცა და საქართველოშიგაცა. არც სახერხოდ და სატრელად და სამტყუენოდ შემოგადგეთ და რაც ამას წინათ ჩვენსა და თქვენს შუა სასამდურაო და ნაწყენი საქმე იყო, ისიც ასრე ჩავარონინოთ. თქვენი მტრისა მტერი ვიყოთ და მოყუარისა მოყუარე“.

სააკაძის „საფიცრის წიგნი“ მისცეს აგრეთვე ეპისკოპოსმა დომენტი ავალიშვილმა და მისმა ძმისწულებმა: „ვიყუნეთ თქვენთვის დღეს და დღეის იქით კარგნი და კარგის მდგომნი. არა გავნოთ, არა გაზიანოთ, არა გიცრუოთ, არა გიტყუოთ, არა გიჩხუბოთ... თქვენის მტერისა მტერნი ვიყუნეთ და მოყუარისა მოყუარე...“

არსებობს ბარძიმ ამილახორის ასეთივე „საფიცრის წიგნი“.

საინტერესოა ერთ დოკუმენტთან დაკავშირებით გივი ჯამბურიას მიერ განვითარებული მსჯელობა: „გიორგი სააკაძეს სხვა ხერხიც უხმარია თავის მომხრეთა გასამრავლებლად და ქართლის თავადთა გასაერთიანებლად. ძველ საქართველოში პრაქტიკაში ჰქონდათ ორი ან რამდენიმე ფეოდალური სახლის გაერთიანება. ამ ფაქტის მიზანი სუსტი ფეოდალების მიერ ძლიერი მფარველის მოპოვება იყო. მაგრამ მფარველიც არანაკლებ იყო დაინტერესებული „გაერთიანებით“, რადგან ამით მისი სიძლიერე კიდევ უფრო იზრდებოდა. ასე მაგალი-

თად, 1624 წელს გიორგი სააკაძის სახლს ზაქარია და იესე ჯავახიშვილების ფეოდალური სამფლობელო შეერთებია. „გაერთიანების წიგნში“, რომელიც ზაქარია და იესე ჯავახიშვილებს გიორგი სააკაძისათვის მიუციათ, ნათქვამია: „მთელი ჩვენი მამული აზნაურებითა და ყმა-გლეხებით თქვენ მოგართვით და დაგანებეთ, ამისათვის რომე ერთმანეთის პასუხი და ვალის დადება შეგვეძლო და ამისათვის გავერთდით, რომე მისთა დღეში ერთნი ვყოფილიყვენით“.

ყველაფერი ეს ქართლის ძალების გაერთიანება-შეკავშირების წისქვილზე ასხამს წყალს. ფარსადან ციციშვილთან და ქაიხოსრო ჯავახიშვილთან შერიგება კი ცხადლივ დაგვანახვებს სააკაძის მიზანს — მან ქართლი უნდა მოაღონიეროს, შეკავშიროს, მომხრეები უნდა გაიმრავლოს მოსალოდნელი ომის წინ. სხვა ახსნა ამ სულგრძელობას არა აქვს. რარიგ კეთილშობილიც არ უნდა იყოს ადამიანი, მოსისხლე მტრებს ასეთი სულგრძელობით ვერ უპასუხებს. რა თქმა უნდა, სააკაძეს შეეძლო ეპოვნა თავის თავში ძალა და დაეხშო შურისძიების გრძნობა, მაგრამ შურისძიების გრძნობის დაოკებას თავისი დიდი მიზანი უკარნახებდა მოურავს. სხვაგვარად აუხსნელია მისი დიდსულოვნება.

იმერთა მეფის მიერ გაცემული „წყალობის საიმედო წიგნი“, რაც ზემოთ სხვა საკითხთან დაკავშირებით მოვიტანე, ორ მხრივ არის საინტერესო: ერთის მხრივ, სააკაძისაგან საქართველოს მეფის კანდიდატურის ძებნას გვიმჟღავნებს იგი, მაგრამ ამავე დროს გათვალისწინებულია ისიც, რომ აჯანყება, შესაძლოა დამარცხდეს და სააკაძეს თავშესაფარი დასჭირდეს იმერეთში. „წყალობის საიმედო წიგნი“ სააკაძის შვილის ავთანდილის სახელზეც არის გაცემული. ახლა ყურადღება მივაქციოთ ტექსტს: „ვიყოთ თქვენთვის კარგი და კარგის მდომი, მწყალობელი და მოპატივენი საქართველოში იყო მაშინ თუ სხვას თემს იყო — სადაც იყო... და თუ, ვინ იცის, ან შენ, ან შენი ძმა და შენი შვილი ჩვენს ქვეყანას მოხვიდეთ, კიდეც კარგად გარჩინოთ და არც ვის საძალოთ და საავკაცოდ დაგანებოთ...“

ბუნებრივია, გიორგი სააკაძე თადარიგს დაიჭერდა აჯანყების წარუმატებლობის შემთხვევაში, მაგრამ მაინც სასიხა-

რულოა, რომ ამ თადარიგის კვალი დოკუმენტშიც ჩანს. ყველაფერი ეს აჯანყების ფარულ სამზადისზე მიანიშნებს. გარეგნულად თითქოს ჩვეულებრივი წყალობისა და საფიცრის წიგნები გაიცემა, ხდება შერიგება და დაზავება, მაგრამ როდესაც ვიცით ამ მტრობის შინაარსი, მისი სიმძაფრე, უკუმპრომისობა, ამ დროს გიორგი სააკაძის მიერ გადადგმულ ნაბიჯში არ შეიძლება შორსმჭვრეტელი ადამიანის ჩანაფიქრი არ დავინახოთ. სააკაძეს ბევრი გმირობა ჩაუდენია, მაგრამ შვილის შეწირვის შემდეგ იმაზე უფრო დიდი გმირობა ძნელად წარმოსადგენია, როგორიცაა დაუძინებელ მტრებთან მისი შერიგება. სააკაძეს შეეძლო თავის თავში ეპოვნა ძალა მტრებთან საერთო ენის გამოსანახავად. ისინიც სიხარულით დათანხმდნენ შერიგებაზე. ეს მათთვის მოულოდნელი საჩუქარი იყო. იქნებ აუხსნელი ფაქტიც კია: სააკაძისგან „შაჰის ხლებისა“ და „სპარსთა ჯარის შემოძღოლის“ მითი მარტოოდენ მარტყოფის ომით კი არ ქარწყლდება, არამედ ამ შერიგება-შეკავშირების ფაქტებით. რადგან ლოგიკა ზუსტ პასუხს მოითხოვს მუდამ. თუ ქართლისა და კახეთის აოხრება მტრებზე შურისძიების მიზნით მოანდომებინა სააკაძემ შაჰს, მაშინ 1615 წლიდან მოყოლებული 1625 წლამდე იმავე მოსისხლე მტრებთან ეს შერიგება-შეკავშირების ფაქტები რას ნიშნავს? ამ კითხვას მხოლოდ ზერელე წარმოდგენებისა და ნიღილისტური ბუნების ადამიანი უპასუხებს სააკაძის საზიანოდ. პასუხი მხოლოდ ერთია — ქართლ-კახეთის უბედურებაში სააკაძის ხელი არ ურევია: ვერაგი შაჰის ტოტალური პოლიტიკის განხორციელებას ეწირება ქართლ-კახეთი. ან უფრო სწორად, კახეთი შეეწირა და ახლა ქართლი უნდა შეეწიროს.

იმავე წლებში სააკაძე თავის ასულს ცოლად ატანს ფარად-ფაშას. ფარად-ფაშა ოსმალეთის მოხელე იყო. გიორგი სააკაძის დამოყვრების ფაქტი მუდამ გულისხმობს პოლიტიკურ მიზანს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ირანის სამსახურში მყოფი კაცის დამოყვრება ოსმალეთის მოხელესთან იმ დროისათვის უჩვეულო ფაქტი არ იყო. სხვაგვარად ამ ნაბიჯის ახსნა ძნელდება. ან იქნებ სააკაძე შაჰს ჰპირდებოდა ფარად-ფაშას შემწეობით ახალციხის მხარის ირანისათვის შემოერთებას. შემდეგ,

როდესაც სააკაძე შეეცადა ფარად-ფაშას დახმარებით ოსმალეთი ჩაეთრია ირანის წინააღმდეგ ომში, თავისთავად გაირკვა, საით უმიზნებდა გიორგი სააკაძე ამ დამოყვრებით. ეს მოყვრობაც ზემოთ ჩამოთვლილი ნაბიჯების მწკრივში დგას და კვლავ და კვლავ აჯანყების ფარულ სამზადისზე მიგვანიშნებს.

„გიორგი სააკაძე და ზურაბ ერისთავი 1614 წლის ბოლოს ირანში გაიწვიეს". შაჰ-აბასმა უზარმაზარ არმიას სათავეში ჩაუყენა ყორჩიხა-ხანი, ვინც ირანის მთელი ჯარების მთავარსარდლად იყო დანიშნული. გამოაყოლა „ათორმეტი ხანი". ამ ხანებიდან განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ყორჩიხა-ხანის მარჯვენა ხელი იუსუფ-ხანი. ყორჩიხა-ხანიც და იუსუფ-ხანიც ისქანდერ მუნშის ცნობით, სომხები იყვნენ. ბავშვობაში გაუტაცნიათ ირანს, შემდეგ კი დიდი ნიჭისა და სიმამაცის გამო დაწინაურდნენ. ყორჩიხა-ხანი ირანის ჯარების მთავარსარდალი გახდა, ბევრი ბრძოლა ჰქონდა გადახდილი მარტყოფის აჯანყებამდე და ითვლებოდა უნიჭიერეს მხედართმთავრად. ამჯერად მას საშინელი დავალება მისცეს. ქახელები მთლიანად გაეჟლიტა და ქართლი აეყარა. ადრე მისი სამშობლოც გააპარტახა შაჰმა, იქიდან ურიცხვი სომეხი აჰყარა და სპარსეთის პროვინციებში მოაბნია.

თორმეტწლიანმა ფარულმა ბრძოლამ სააკაძესა და შაჰს შორის სააკაძეს მისცა ძლევა. შაჰმა, მართალია, არ ანდო არც ერთი დიდი ოპერაცია საქართველოს წინააღმდეგ სააკაძეს, მაგრამ ვერც დასაეჭვებელი საბუთი იპოვნა მის საქციელში, სააკაძემ არ მისცა — არც ერთი სერიოზული საბაბი. ამიტომ გადაწყვიტა შაჰმა, მრჩეველად ყორჩიხა-ხანისათვის სააკაძე დაენიშნა. თორმეტი წლის მანძილზე სააკაძე ერთგულად აჩვენებდა თავს. ახლა მშვენივრად ვიცით, რად დაუჯდა დიდ მოურავს ეს ურთულესი დიპლომატია. — სახელის გატეხვად, ცილისწამებად. დღემდე გამოჰყვა მის სახელს უსიამოვნო ეპითეტები, ბურუსი მოსდევს ხოლმე დიდ საქმეთა კვალს. აი, რად დაუჯდა შაჰისადმი მოჩვენებითი ერთგულება, მის სამსახურში ყოფნა! მაგრამ პიროვნება, ვინც შეიძლო გულში დაეშარხა ქაიხოსრო ჯავახიშვილისა და ფარსადან ციციშვილის მიმართ შურისძიების გრძნობა, შემოერიგებინა და თანამდგომად გაეხადა ისინი, ცხადია, ამ თამაშს გაუძლებდა. შემოირიგა და

თანაც ვერ ამხელს, რისთვის პატიობს ამოდენა დანაშაულს მტრებს. გამხელა დიდი საქმის დაღუპვას მოასწავებდა. ვინ იცის, ენერგიის როგორი დაძაბვა დასჭირდა დიდ მოურავს შაჰთან დიპლომატიური ბრძოლის მოსაგებად, როგორი დამცირება გადაიტანა. ის, შაჰის კარზე მყოფი კაცი, შაჰის ნებასურვილის აღმსრულებელი უნდა ყოფილიყო. ყანდაარსა და ბაღდადს გაწეულ სამსახურს, ეტყობა, არაფრად აგდებდა, მაგრამ საქართველოსთან მტკივნეული შეხების წერტილები ყოველთვის ჯოჯოხეთურ გამოცდას უმზადებდა.

სააკაძის პიროვნების განსჯისას ემოციის კარნახისათვის ყურის გდება არ გვარგებს. ემოცია აზრის კვალში უნდა იდგეს და არა პირიქით. რა გვეჩია: კახეთში დატრიალებული უბედურების შემყურე სააკაძეს თვალზე ბინდი გადაჰკროდა და თათრებს შებმოდა, თუ როგორც დიდ სტრატეგს შეჰფერის, გონივრულად მოესაზრებინა შაჰის არმიის განადგურების გეგმა? ჰქონდა კი მას უფლება, აჰყოლოდა გრძნობებს და მხედართმთავრული შესაძლებლობები წამიერი გმირობის ეფექტისთვის შეეწირა? მეომრული სიმამაცე სააკაძეს ყველაზე მეტი ჰქონდა, მაგრამ მისი მიზანი იყო შაჰის ვერაგული ლაბირინთიდან მრთელად გამოეტანა ქართული სული და ქვეყანა ეხსნა ერთ მშვენიერ დღეს. ეს კი ფარულზე ფარული ზრახვა იყო. იგი ზედაპირზე არ იდო და მიზანშეწონილიც არ იყო გამოეაშკარავებინა. ჩვენ კი სწორედ ამას მოვითხოვთ სააკაძისაგან. იმ ფარულ ზრახვას საეჭვო სირთულედ ვუთვლით. გვავიწყდება შაჰის სამეფო კარისთვის დამახასიათებელი ინტრიგები, ავანტიურა, ღალატი, ეჭვი, უნდობლობა... იმ საშინელი თვისებების ბუდე, სადაც თვითვე მივაგდეთ დიდი მოურავი.

ამ საშინელი ლაბირინთიდან თავის დაღწევა იმგვარი ზნეობრივი სისრულით, რომ შვილის გაწირვა და ქვეყნის ხსნა შეიძლოს, არის უდიდესი გმირობა. ეს ერთის მხრივ. მეორეს მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოს ფიზიკური განადგურებისაგან ხსნა არის ურთულესი პოლიტიკური აქტი, რამდენადაც იგი შაჰ აბას I პოლიტიკის მარცხს წარმოადგენდა ამავე დროს.

ახლა, როდესაც სინამდვილე შესწავლილია, მარტყოფის ომმა ყველას დაგვანახვა, რომ სააკაძე 1612 წლიდან 1625

წლამდე ეწეოდა დიდ დიპლომატიურ ბრძოლას შაჰთან, ინარჩუნებდა ეჭვმიუტანელი კაცის მდგომარეობას და ამ ზადებდა დროს დიდი აჯანყების მოსახდენად. ეს იმ ცნობებმა და საფიცრის წიგნებმა, იმ შერიგების ფაქტებში ჩადებულმა შინაარსმაც დაგვანახა. და როდესაც შაჰმა გადაწყვიტა საააკაძემ „ჩემს იქით არა იცის რაო“ (ბერი ეგნატაშვილი), ეს იყო წუთი, რომელიც განასრულებდა, აჯამებდა სააკაძისა და შაჰის თორმეტწლიან ბრძოლას. ამ დასკვნის გამოტანა შაჰის მხრივ უდიდესი შეცდომა აღმოჩნდა. მას რომ სააკაძე ქართლში არ გაეგზავნა, არ ენდო მისთვის ქართლის აყრის ოპერაცია, როგორც არ ანდო თავის დროზე კახეთის აყრაში მონაწილეობა, ქართლი აყრილი იქნებოდა. მაგრამ მათ შორის გამართული ფარული ბრძოლის ხერხემალი ის არის, რომ შაჰმა ირწმუნა „სააკაძემ ჩემს იქით არა იცის რაო“. ირწმუნა და სწორედ მას დაავალა ყორჩიხა-ხანის თანაშემწეობა. მთავარი მიზანი სწორედ ეს იყო სააკაძისა! მას ნდობა გამოუცხადონ და ქართლის აყრის მთელი ოპერაციის ხელმძღვანელობა მიანდონ! როგორც ვიცით, ყორჩიხა-ხანი მასთან შეთანხმებით წყვეტდა ყველა საკითხს. ჯარების გაგზავნა სხვადასხვა მხარეს, ქართლის დიდებულების მოწვევა და სხვა. ის ფაქტი, რომ შაჰმა პაატა თავისთან დაიტოვა, მეტყველებს შაჰის საერთო სიფრთხილეზე — ყოველ შემთხვევისათვის ჰყავდეს თავისთან სააკაძის ვაჟი და ზურაბ ერისთავის ცოლი. ეს სიმშვიდის სრულ გარანტიას აძლევდა შაჰს, თორემ შაჰის ნდობა სააკაძის მიერ თორმეტწლიანი დიპლომატიური ბრძოლით იყო მოპოვებული. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს! ასე რომ არ იყოს, მაშინ პაატასთან ერთად დიდ მოურავსაც თავისთან დაიტოვებდა შაჰი. ამის მიღწევა იყო მიზანი — სააკაძე თავის ქვეყანასთან ყოფილიყო მაშინ, როდესაც ყოფნა-არყოფნის წუთები იდგა.

ეს ყოფნა-არყოფნის წუთებიც დადგა. ადრე კახეთს ადგა ასეთი განსაცდელი. განადგურდა საქართველოს ერთი უმშვენიერესი მხარე, ახლა ორივე ერთად უნდა აღგვილიყო პირისაგან მიწისა.

სააკაძემ მშვენივრად იცოდა, რა განზრახვითაც მიდიოდა საქართველოსკენ ყორჩიხა-ხანი და რას აპირებდა თვითონ, ისიც იცოდა, რას მოასწავებდა შაჰის კარზე პაატას დატოვება,

მას ან საქართველო უნდა გაეწირა, ან შვილი. მხატვრულ ლიტერატურაში ხშირად წააწყდებით სააკაძესა და პაატას შორის გამართულ დიალოგს. მწერალს აქვს სრული უფლება პაატას გმირობის დასადასტურებლად გამოიყენოს ასეთი დიალოგები. ამ დიალოგებში დიდი მოურავი უმეღავნებს პაატას თავის განზრახვას. პაატა ღირსეულად ხვდება მამის გადაწყვეტილებას და მზად არის სამშობლოს შეეწიროს. ფსიქოლოგიურად ეს მხატვრულ ნაწარმოებში მოტივირებულია ხოლმე. ბოლოს და ბოლოს, პაატა შვილი იყო გიორგი სააკაძისა, მისი სულისკვეთებით არის გამოკვებილი პაატას არსება და ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ იგი შინაგანად გმირობისათვის შემზადებულია. ასევე იყო მზად თავის გასაწირად ავთანდილი, მისი ძმა მარტყოფის აჯანყების წინ, ასეთი გმირია იორამ სააკაძეც. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ სააკაძე განდობოდა პაატას წინასწარ. ყოვლად არაგონივრული იქნებოდა წინასწარვე დაეტვირთა ბავშვი სიკვდილის მოლოდინით, ეს არაფრით არ იქნებოდა გამართლებული. ჯერ ერთი, პაატას შეამჩნევდნენ ნერვიულობას და დაძაბულობას შაჰის კარზე და, მეორე, ამ საიდუმლოებით ბავშვის ტანჯვა სადიზმი იქნებოდა. პაატასთან მამის სახელოვან საქმეებს მოულოდნელად უნდა მიეღწია და სიკვდილსაც ამის შემდეგ შეგებებოდა.

პაატას შეწირვა კი მოურავის მხრივ ქართველი კაცის დიდი მამულიშვილობის უიშვიათესი საბუთი იყო, იყო დასტური პატრიოტული სულისკვეთების უდიდესი სიღრმისა. ამ ფაქტით ქვეყანა ზნეობრივად მრთელი ჩანს, ვისაც უფსკრულში გადაჩეხვის შიში პირუტყვად კი არ აქცევს, ღირსეულად შეგებების უნარს გაამეღავნებინებს.

უფსკრულის პირას ღირსეულად დგომის უნარი კი მარადიული არსებობის ნიშანია.

ამიტომ დასდო პაატას თავს ისტორიამ განუსაზღვრელი ფასი. მისი შეწირვის ფაქტში ერის ხსნის გარანტია წაიკითხა ქართველმა კაცმა.

სააკაძემ შეიძლო ასეთი უმაგალითო თვითგაღება. და მერე როგორ უყვარდა თავისი ცოლ-შვილი, თავისი პაატა. სააკაძეს, თვით უმძიმეს წუთებშიაც კი, როდესაც ბეწვზე ეკიდა მისი

სიცოცხლე, არ დავიწყებია ცოლ-შვილი. წავკისის ტრაგედიასთან დაკავშირებით უკვე ითქვა: მარაბდაში დამარცხების გამო ცოლ-შვილი სამცხეში გახიზნა, ბაზალეთის ომის შემდეგ ცოლშვილიანად თურქეთს გადაიხვეწა. ამდენი აყრა-დაყრა, ამდენი გადახვეწა და არასოდეს მარტო, არასოდეს გულგრილად. თან მიჰყავს ცოლ-შვილი. უერთმანეთოდ არ შეუძლიათ. ეს მეტად საგულისხმო ფაქტია. არა ჰგავს საკაძე დიპლომატიისა და პოლიტიკის ცივი გონებით გულგაქვავებულ კაცს, თვითონაც რომ არ იცის სად მიაგდებს ცოლ-შვილს. უმხურვალესი გულის მამაა და ვინც ამ დიდ მამობრივ გრძნობას ვერ დაინახავს მასში, მხოლოდ იმიტომ, რომ ღრმად არა აქვს შესწავლილი მისი ცხოვრება და სერიოზულად არ დაკვირვებია საგულისხმო დეტალებს. მარტო წავკისიდან მაინც და მაინც ნოსტესაკენ გაელილი 60-70 კილომეტრი კმარა იმის საბუთად, თუ როგორი მშობლის გული ძგერდა საკაძის განიერ მკერდში.

და, ალბათ, სწორედ იმავე ძალამ, რამაც პაატას სამშობლოსათვის შეწირვა შეაძლებინა დიდ მოურავს, მისცა მას ენერგია ქვეყნის დასახსნელად.

ქვეყანა უკანასკნელ ზღვარს იყო მიგდებული, არსაიდან არ ელოდა შველას. ქვეყანამ კიდევ ერთხელ მოიკრიბა გონება და შეეცადა ეპოვა თავის თავში გადარჩენის ძალა. მან აქამდე უზღვავი ენერგია გაიღო სიკვდილის კლანჭებისაგან თავის დასაღწევად. არ იკმარა წმინდანების წამებამ (ბერი თევდორე, ქეთევან დედოფალი, ლუარსაბ მეფე), არ იკმარა კახელების თავგანწირულმა ბრძოლამ, ერთსულოვანმა წინააღმდეგობამ, არ იკმარა დიდებული სარდლების, დავით ჯანდიერის, თეიმურაზ I, ნოდარ ჯორჯაძისა და სხვათა მეთაურობით გადახდილმა ბრძოლებმა. მტერი არა ცხრებოდა, ბოლომდე სურდა თავისი გეგმის მიყვანა. მოჰყავდა მობილიზებული ირანის სახელნწიფოს უზარმაზარი ლაშქარი და სწორედ ამიტომ იყო საჭირო გენერალური ომის გამართვა — ირანის სამხედრო ძლიერების ხერხემლის გატეხვა იყო აუცილებელი. ამის მეტი ვერაფერი შეაკავებდა შაჰს. მან ამჯერად ყველა საქმე გვერდზე გადადო და მთელი ძალები ქართლ-კახეთისაკენ მომართა.

ქართველი ხალხი საშიხელი საფრთხის წინ დადგა. ქვეყნის სასიცოცხლო ენერგია თითქოს დაშრეტილიყო, წინამძ-

ღოლი არ ჩანდა. მაგრამ ქვეყნის უმთავრესი ძალა აღმოჩნდა იქ, სადაც ნაკლებ იყო მოსალოდნელი მისი არსებობა, პიროვნებაში, ვინც ქართლის ასაყრელად მოსული ჩანდა. სიმონ-ხანის ჭორწილი არ ჰგავდა ჭორწილს. უზარმაზარ არმიას კი ახალ-ახალი ჯარი ემატებოდა „ძღვენით“ ხელში. სააკაძესა და ზურაბ ერისთავს ხალხის დამშვიდება მოუხდათ, ქართლისთვის ჯარის სიმრავლე საზიანო არ არისო. ამ ფაქტში ღრმა აზრი დევს. სააკაძემ იცის, რომ ქვეყანას სწორედ პანიკა დაღუპავს, ხალხი მთებში გაიფანტება. ირანის უზარმაზარ არმიას კი გაფანტული ხალხით ვერ ძლევ. ერთსულოვანი ლაშქრით უნდა დაუპირისპირდე. ამ დროისათვის სააკაძე უკვე რამდენიმე კაცს არის განდობილი. უპირველეს ყოვლისა, კათალიკოსთან განდობის ფაქტია საყურადღებო. ერის სულიერი მამა უნდა დაარწმუნოს დიდმა მოურავმა ქვეყნისადმი თავის ერთგულებაში და აჯანყების აუცილებლობაში. ეკლესიამ უნდა იცოდეს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და მხარი დაუჭიროს სააკაძეს. შემდეგ გაენდო ზურაბ ერისთავს, ცოლისძმას, დიდ ფეოდალს.

ზურაბმა საყვედური უთხრა, რატომ ირანშივე არ მითხარი, ცოლს არ დაეტოვებდიო. არჩილის მიხედვით სააკაძე პასუხობს:

„მუნ ამისთვის არ გაცნობე, ცოლს თან არ გამოგატანდნენ, ვთქვი: თუ უთხრა და არა ქნას, ბოლოს რისთვის დავინანდენ? იქ მივიყვან, საქართველოს წახდენაზედ ცრემლს დავადენ, მე შვილს დავსთმობ ქვეყნისათვის, ამან ეს ყოს, იყოს აზდენ!“

ზურაბს ცოლს, ცხადია, არავინ გამოატანდა. სააკაძის სიფრთხილის გრძნობა კი უნაკლოა. ირანში თქმას იქნებ დაეღუპა საქმე. თუ ზურაბი არ დათანხმდებოდა, ასეც მოხდებოდა, სააკაძემ გადაწყვიტა ფაქტის წინაშე დაეყენებინა ზურაბი, დაენახვებინა „წახდენილი საქართველო“ და ამ გზით ემოქმედა მის პატრიოტულ გრძნობაზე. აქ ერთი გარემოებაცაა საყურადღებო, იგი გვიხსნის თუ რამოდენა განსხვავებაა პიროვნებებს შორის.

ადამიანს, ვინც შვილს სწირავს სამშობლოს, უხდება ხვეწნა-მუდარა, ცოლის დათმობაზე დაითანხმოს მეორე ქართველი. საოცარი ფსიქოლოგიური სურათია. უნდა პირიქით ხდებო-

დეს. ცოლის დამთმობი კაცი უადვილებდეს შვილის გაწირვას უბედურ მამას. ვფიქრობ, არავის არ სჭირდება იმის ახსნა, რომ შვილის სიყვარული ყველა სიყვარულზე უფრო ძლიერია ამ ქვეყნად და რომ ამ შედარებით სრულებითაც არ მცირდება მეუღლის სიყვარული. მაგრამ პიროვნება, ვინც გულდამძიმებულია იმ ამბით, რომ შვილის გაწირვა აქვს გადაწყვეტილი, ათას ღონეს ხმარობს ზურაბ ერისთავის დასაყოლიებლად. რა უნდა იყოს ამაზე მეტად მეტყველი ფაქტი სააკაძის მამულიშვილობის დასამტკიცებლად. ამაზე მეტი საბუთი რა უნდა წარუდგინოს პიროვნებამ თავის ხალხს.

გიორგი სააკაძე ზურაბს ბატონიშვილ ლელას შერთვას დაჰპირდა. ზურაბის ფეოდალური სიხარბე მოდრიკა დაპირებამ. თვით მას კი ვინ რას ჰპირდება, ან ვინ რას უნდა დაჰპირდეს სანაცვლოდ — რა შეცვლის პაატას!

თანაც, ზურაბის ცოლს სიკვდილი არც ემუქრება, მისი გადარჩენის იმედი მაინც არსებობს. შაჰი, ცხადია, აჯანყების მეთაურზე, გიორგი სააკაძეზე, იძიებს შურს (ეს ასეც მოხდა, პაატას თავი მოჰკვეთეს, ზურაბის ცოლი კი თუმცა გვიან, მაგრამ მაინც დაბრუნდა სამშობლოში და მონაზვნად აღიკვეცა).

მზადდება აჯანყება. ემზადება ზურაბ ერისთავი. სააკაძე ფარულად ეთათბირება დიდებულებს. ქორწილის დღეები მაქსიმალურად არის გამოყენებული მიზნისათვის — ქართლ-კახეთის ძალების შემოსაკრებად. ეს მთლად შეუმჩნეველი არ შეიძლებოდა დარჩენილიყო და შაჰის მიერ გამოგზავნილი უსტარიც აშკარად გვეუბნება, რომ მას ამ მზადების შესახებ ცნობები მისდიოდა. ქორწილი ჩამთავრდა. ყორჩიხა-ხანი მუხრანს დადგა. მალე კახელები მოიხმო, როგორც ვიცით, „დასასაჩუქრებლად". კახელები ვილაცამ გააფრთხილა. 400 კაცი მაინც დახოცეს, დანარჩენებმა თავს უშველეს. ყორჩიხა-ხანს არც ეს მოეწონა.

სააკაძის „ნადირობა" ლოჭინის ხეობაში ნამდვილ ნადირობას არ ჰგავს. იგი უფრო დადარაჯებულ კაცად ჩანს. სააკაძის კაცებიც დარაჯობდნენ ირანის შიკრიკს!

საიდან მოდის ეს სიფხიზლე? სააკაძემ იცის, რომ თვალს ადევნებენ. მოსალოდნელია, რომ შაჰს მიაწვდინონ ხმა, შაჰიც არ დააყოვნებს რეაქციას, არც დააყოვნა. მაგრამ სააკაძეს გა-

მახვილებული აქვს სმენა, ასი ყური აბია, ასი თვალი ასხია. მან და სწორედ მან ჩაიგდო ხელში შათირი, ვისაც დავალებული ჰქონდა, სააკაძის შეუმჩნეველად მისულიყო ყორჩიხა-ხანთან და უსტარი გადაეცა. ეს იმ წინააღმდეგობიდან ჩანს, შათირმა სააკაძეს რომ გაუწია, როცა ამ უკანასკნელმა თავისთან მიიხმო შათირი. „უხმო მოურავმან შათირსა მას მისვლად მისთანა, ხოლო შათირმან არ უსმინა და ვინაითგან არ მორჩილ ექნა შათირი იგი, მიეწია ცხენით და შეიპყრო. გასინჯა და უნახა წიგნი“. შავით თეთრზე წერია ამ ეპიზოდის ფსიქოლოგია. ჩანს, რომ შათირმა გაქცევა სცადა, სურდა როგორმე თავი დაეღწია და გაქუსლა. მაგრამ ჭენებით მიეწია სააკაძე და ძალით წაართვა უსტარი. აქ ნათქვამია, რომ სააკაძემ საგანგებოდ მიიხმო თავისთან შათირი. მეღავნდება, რომ იგი სანადიროდ კი არა, სადარაჯოდ იყო გამოსული, თუ შაჰის წერილს არ მოელოდა, მაშინ ასე დაჟინებით არ მოიხმობდა შათირს თავისთან! რაკი ყორჩიხა-ხანთან მიჰქონდა უსტარი, სააკაძეს არც ჰქონდა უფლება მოეთხოვა მისგან წერილი. შათირმა, ალბათ, ეს არგუმენტიც მოიშველია, მაგრამ სააკაძემ იცის, რომ წერილში მისი და მისი ქვეყნის დაქცევის სიტყვები ეწერა. და აი, გაუმართლდა მოლოდინი:

„რაჟამს მოსრათ კახნი, აჰყარე ქართლი და წარმოასხი. ხოლო მოურავს უღალატე, მოსჭერ თავი და გამომიგზავნე“. ახლა უკვე აშკარად, შავით თეთრზე წერია საქართველოს დაქცევის ბრძანება.

ჯერი სააკაძეზე მიდგა. საქართველო დაღუპვის კარად იდგა. ხალხსა და ქვეყანას ახლა წინამძღოლი სჭირდებოდა, დიდი მხედართმთავარი, ვინც გენერალურ ომს მოიგებდა. არ იკმარა წმინდანების ზნეობრივმა მაგალითმა, არ იკმარა ხალხის თავგანწირულმა, ერთსულოვანმა ბრძოლამ. წინამძღოლი, დიდი წინამძღოლი იყო საჭირო, ვინც ირანის სამხედრო ძლიერებას ხერხემალს გადაუმსხვრევდა. საქართველომ თავისი წიაღიდან გამოიხმო ენერგიისა და შესაძლებლობების ყველაზე დიდი განსახიერება. ეს ძალა სააკაძის პიროვნება აღმოჩნდა. „საქართველოს ენერგიის უდიდესი გამოცხადება“ უწოდა ანტონ ფურცელაძემ დიდ მოურავს. ქვემოთ დავინახავთ, რა ენ-

ერგია გამოამეღავნა ხანდაზმულმა „სპეტაკ წვერიანმა“ დიდმა მოურავმა მარტყოფის, მარაბდის, ქსნის ომებში.

საჭირო იყო დასწრება, შაჰი მართლაც არ დასჯერდებოდა ერთ შათირს. თანაც სააკაძეს უკვე, როგორც ჩანს, არა აქვს საშუალება თავისუფლად გავიდეს მთავარი ბანაკიდან. თვალყურს ადევნებენ, თუმცა მისი გონივრული რჩევებით ხელმძღვანელობენ. მან ყიზილბაშთა რაზმები სხვადასხვა მხარეს გაგზავნა, ამით დაფანტა მტრის ძალები, თუმცა მთავარ ბანაკში მაინც დარჩა 30 000 კაცი. სააკაძის რჩევით მოიწვიეს დიდებულები, რათა მათთვის შაჰის გეგმა გაეცნოთ და საქმეს შედგომოდნენ. ამან საშუალება მისცა სააკაძეს დიდებულებისათვის აჯანყების გეგმა გაეცნო. შაჰის უსტარმა საბოლოოდ მოსპო ყოველგვარი უნდობლობა სააკაძისადმი, რასაც სააკაძე 1615 წლიდან ებრძოდა. ახლა იჩინა თავი „საფიცრის წიგნებით“ მიღწეულმა თანხმობამ, ახლა გამოადგა დაუძინარ მტრებთან შერიგებაც, სახლების გაერთიანებაც. ყველამ დაინახა ქვეყნის აღგვის საფრთხის წუთებში სააკაძის ნამდვილი მამულიშვილობა, დაინახა მისი სიწრფელეც. აქამდე ძნელად დასაჯერებელი ჩანდა მისი სიტყვა. ახლა კი გული გადაშლილი იყო. ქართლ-კახეთის მთელი ძალები სააკაძის დროშის ქვეშ დადგა, ყველამ აჯანყებისათვის დაიწყო მზადება. მხოლოდ სისწრაფეს შეეძლო გადაეწყვიტა ქვეყნის ბედი. სააკაძე კვლავ ერთგულ კაცად აჩვენებდა ყიზილბაშებს თავს. მისი ღალატის აშკარა საბუთი არ ჰქონდათ და, როგორც ისქანდერ მუნში წერს, ვერც წარმოედგინათ მისი ღალატი. ვერ წარმოედგინათ, მით უმეტეს, რომ სააკაძის შვილი პაატა შაჰის კარზე იწყოფებოდა. აჯანყებულები ფრთხილად მოქმედებენ. არ ენდობიან მხოლოდ ანდუყაფარ ამილახვარს, ვისაც ცოლად ესვა ყორჩიბაშის ასული, იგივე შაჰის შვილიშვილი. ანდუყაფარი თერგის ხეობაში მდებარე არშის ციხეში გამოკეტეს. ეს ფაქტიც საგულისხმოა. განადგურების საფრთხემ მთელი ქვეყანა ერთსულოვნად ფეხზე დააყენა. და ის ხალხიც, ვისაც შაჰის კარზე მირბენას ვერავინ დაასწრებდა, ვისაც თავისი ციხე-კოშკებიდან ვერავინ გამოიყვანდა, ახლა ერთსულოვნად სააკაძის გვერდით დგას. ქართლ-კახეთი შესაძლოა მოისპოს, ეს საქართველოს მოსპობას ნიშნავს. ან კი რამდენ ხანს გაუძლებს ნახევარი სა-

ქართველია, ის ხომ მანამ დგას, სანამ ცოცხალია მისი მეორე ნახევარი.

ისტორიკოსები სააკაძის მიერ შემუშავებულ გეგმას გაბედულ გეგმას უწოდებენ. გაბედულება აქ მართლაც ზომაზე მეტია, მაგრამ სხვა მხრივაც არის ეს გეგმა საინტერესო. იგი გვესახება მხედართმთავრული ხელოვნების ნიმუშად, თანაც გვაგონებს დიდგორის ომში დავით აღმაშენებლის მიერ გამოყენებულ ხერხს. მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ დავით აღმაშენებელმა ორასი კაცი გაგზავნა მტრის შუაგულისაკენ. მტერმა იფიქრა, ქართველები მოსალაპარაკებლად მოდიანო და ცენტრამდე მიუშვეს, აქ კი მოულოდნელად ქართველებმა იარაღი იშიშვლეს და მტერს მიესივნენ. შემდეგ მთავარი ძალები გადავიდნენ შეტევაზე და დაბნეული მტერი გატყდა. მაგრამ სააკაძის გეგმა, მოულოდნელობის გარდა ითვალისწინებს იმასაც, რომ მტერი უბრალოდ კი არ უნდა დამარცხდეს, უნდა განადგურდეს! ირანის ჯარების მთავარსარდლობა უნდა მოისპოს. ვეშაპს თავი უნდა წაეკვეთოს, ლეშად იქცეს არმია. სააკაძეს მხოლოდ ოთხი კაცი ახლავს. მისი ვაჟი ავთანდილი, თავადები ელია დიასამიძე და პაატა ხერხეულიძე, მსახური პაპუნა ვაშაყიშვილი. თავისთავად იგულისხმება რა სიმამაცის ვაჟკაცებიც ყოფილან ისინი. მათ უნდა დახოცონ მოულოდნელი დაკვრით ირანის სარდლები და პარალელურად ქართულმა ლაშქარმაც დაიწყოს შეტევა. გეგმა უდიდეს რისკთან იყო დაკავშირებული. 30 000 კაცის შუაგულში ამ ოპერაციის განხორციელება წარმოუდგენელიც კი ჩანს, მაგრამ სააკაძეს, ეტყობა, გათვალისწინებული ჰქონდა ყველაფერი. მისი გასვლა ბანაკიდან და აჯანყებული ქართველების გაძღოლა მდგომარეობას გაართულებდა, მტერს მოფიქრების საშუალება მიეცემოდა. ახლა მისი გეგმით კი სწორედ მთავარსარდალი კვდება, სარდლობა დაიხოცება და დიდი რიცხობრივი უპირატესობა გაქარწყლდება. ყორჩიხა-ხანისა და სარდლების დახოცვით სწორედ რომ ნახევრდება ირანის არმიის ძალა. ეს იყო უბრწყინვალესი გეგმა ჩანაფიქრითაც, შესრულების უბადლო ოსტატობითაც, რისი მსგავსიც ცოტა იცის ისტორიამ. თუმცა ისტორიას ბრძოლები არ უკვირს. ამასთან, უნდა წარმოიდგინოთ სააკაძის მდგომარეობა, ვისაც ერთი შვილი ირანში

ჰყავს, მეორე კი აქ, ბანაკში — 30 000 კაცის შუაგულში. ავთანდილის სიცოცხლეც ბეწვზე ჰკიდია, ისიც სასწორზეა შეგდებული, რადგან არავინ იცის, რა მოხდება, როგორ შეტრიალდება სიტუაცია, იქნებ გონს მოეგოს ირანის ლაშქარი, მიესიოს ამ ხუთ კაცს და სანამ ქართველთა ლაშქარი მოაღწევდეს, მოსპოს. სრულიად ადვილი შესაძლებელია! და თითქოს არაფერიაო, მხოლოდ შვილებზე ვლაპარაკობთ. სააკაძე ხომ საფრთხეში აგდებს თავის სიცოცხლეს, რადგან თავის გეგმას ბანაკის ცენტრში ახორციელებს — ყორჩიხა-ხანის ბანაკთან და სიკვდილისაგან, ზღაპრული ღონის მიუხედავად, არც ის არის დაზღვეული!

1625 წლის 25 მარტს ხარება დღის გარიჟრაჟზე გუშაგმა განგაში ატეხა. ირანის მხედრობას ქართველთა ლაშქარი უახლოვდებოდა. ირანელთა ჯარის სარდლობა ყორჩიხა-ხანის კარავთან შეიყარა და სააკაძეს უხმო. იარაღასხმული გიორგი სააკაძე თავის ოთხ ვაჟკაცთან ერთად ყორჩიხა-ხანისაკენ გაეშურა და ამხედრება და ბრძოლისათვის შემზადება ურჩია. ამ დროს მოხდა ის ფაქტი, რამაც მოყვარეც აღაფრთოვანა და მტერიც მოხიბლა. მოხიბლა იმდენად, რომ ისქანდერ მუნში, ვინც ასეთი სიძულვილით იხსენიებს გიორგი სააკაძეს, საგანგებო მონდომებით აღწერს ამ ეპიზოდს. „იმ არამზადა მოღალატემ შუბით შეუტია მას და ისე აძგერა, რომ შუბის წვერი მეორე გვერდზე გამოვიდა“. შთამბეჭდავი აღმოჩნდა ირანის ისტორიისათვის ეს ძგერება! ამ ფაქტის ასე საგანგებო აღნიშვნაში იკითხება, თუ რა ზემოქმედება მოახდინა ირანის ლაშქარზე, მთელ ირანზე შუბის ასე ძლიერად ძგერებამ. როგორც ჩანს, ყველას პირზე ეკერა ეს ამბავი.

ასე დაიწყო დიდი ომი. დაიწყო და ელვის სისწრაფით განვითარდა მოვლენები. სააკაძემ იქვე გაათავა იუსუფ-ხანიც, ყორჩიხა-ხანის მარჯვენა ხელი. ავთანდილმა ყორჩიბაშის ვაჟი იმამვერდი-ხანი მოსპო. ირანის სარდლობა აჩეხილი ეყარა ყორჩიხა-ხანის კარვის ახლო-მახლო. იმავე წამს ბანაკში შეიჭრა ქართველთა ლაშქარი. ყველაფერი ერთდროულად ხდება. დიდებული გეგმა სრულყოფილად შესრულდა. უმთავარსარდლო, უმეთაუროდ დარჩენილი ვეება ჯარი ყიზილბაშებისა აირია, ერთმანეთში აიზილა და უწყალო ჩეხვა გაიმართა.

საქართველო შურს იძიებდა ასიათასობით დახოცილი კაცისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის, შეურაცხყოფილი ქალებისათვის, ძირფესვიანად ამოგდების განზრახვისათვის. მარტყოფის აჯანყება განიცდება, როგორც ერის დიდ ორგანიზმში დაგროვილი პასუხის განცხადება. აქ დანდობა გამორიცხული იყო, სწრაფად დატრიალდა მორევი. ერთ მდინარედ ამოვარდნილმა ერის ენერგიამ სალტეში მოიქცია მტერი და მოსპო. გმირად ქცეულიყო ხალხი, ახლა მას ვერაფერი შეაკავებდა, მით უმეტეს რომ წინ დიდი მოურავი მიუძღოდა.

ახლა ისქანდერ მუნშს მოვუსმინოთ:

„ბანაკის ხალხმა რომ განკითხვის დღის ეს საშინელება იხილა, დიდებულებიც და უბრალო ხალხიც საშინლად თავზარდაცემული იქით-აქეთ გარბოდა. ყიზილბაშების მთელი ბანაკი დარბეული, გაძარცულ იქნა, ქართველებს ხელში აურაცხელი და განუზომელი ქონება და იარაღი ჩაუვარდათ“.

მუსტაფა ნაიმი (თურქი ისტორიკოსი):

„სხვა ხანები ვერ მიხვდნენ რა ხდებოდა და სანამ ასე გაოგნებული იყვნენ, ქართველთა ბეგებიც მოცვივდნენ და იმდენი დახოცეს, რომ ოცდაათი ათასი ყიზილბაშიდან სამი ათასმა ყიზილბაშმა ძლივს უშველა თავს“.

გავიხსენოთ ტაშისკარი, გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ შეშინებული ოსმალოები ბავშვებსა და ქალებს გამოჰყავდათ ტყიდან, აშიშვლებდნენ და ისე უშვებდნენ. მაშინაც მტრის დამარცხება კი არა მტრის სრული განადგურება მოჰყვა სააკაძის ბრძოლას. სააკაძის ხელწერაა ასეთი. სააკაძე მტერს სრულად ანადგურებს, ამსხვრევს, აცამტვერებს.

ეს, რაც უშუალოდ მთავარ ბანაკში მოხდა. მაგრამ სააკაძემ იცის, რომ წამით შესვენების უფლება არა აქვს არც მას და არც მის ქვეყანას.

გენერალური ბრძოლა მოგებულია, ირანის არმია წელშია გატეხილი. მაგრამ მისი ნაწილები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეშია გაფანტული. საგულისხმოა ისიც, რომ სააკაძე თავს კი არ იცავს ამ დიდი გამარჯვების შემდეგ, არამედ გაშლილი ფრონტით უტევს. იგი ხშირად შეუდარებიათ გრიგალისათვის, ისტორიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მარტყოფისა და მა-

რაბდის ომებში მან ზეადამიანური ენერგია გამოავლინა. და ეს მართლაც ასეა.

დიდმა მოურავმა მტერს სულის მოთქმა არ აცალა და თვით მტერი კი ნაცვლად იმისა, რომ დაირაზმოს და ებრძოლოს სააკაძეს, სასოწარკვეთილი გარბის. ამ ფაქტსაც სჭირდება ჩაღრმავება. როგორც პლატონ იოსელიანი წერს, ირანის მხედრობისათვის სააკაძის სახელი თავზარდამცემი იყო.

ისქანდერ მუნშს მოვუსმინოთ:

„ეს ამბავი რომ გავრცელდა, ყიზილბაშებს ისეთი თავზარი დაეცა თავს, რომ შირვანისა და ყარაბაღის ვერც ერთმა იმ ამირმა და ლაშქარმა, რომელნიც გაგზავნილი იყვნენ სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად, ვერ მოახერხა დაბრუნება და ერთ ალაგას შეგროვება და იმავე ადგილიდან, სადაც იყვნენ, „თავის გადარჩენის გზა ეძიეს“ და იქაურობას გაეცალნენ. ქართლის მეფემ სიმონ-ხანმა ვერ მოასწრო თბილისის ციხეში შესვლა, რომელიც მისი მთავრობის სამყოფელი და სახელმწიფოს სატახტო ქალაქი იყო და ყარაბაღის ბეგლარ-ბეგ მოჰამედ ყული-ხანთან ერთად აღჯაყალაში შევიდა და იქ გამაგრდა.

მოურავი ამირების დახოცვისა და ყიზილბაშთა ქონებისა და იარაღ-მოწყობილობის დარბევის და გაძარცვის შემდეგ, გარყვნილი ურჯულოების ერთი რაზმით ყორლანყუჯის (ხორნაბუჯის) ციხის ასაღებად და დასაპყრობად, ფეიქარ-ხანის შესაპყრობად და იგირმი დორთის ტომის და სხვა იქ მყოფთა დასახოცად, დასარბევად და გასაწყვეტად იმ მხარეს გაემართა. მომხდარი ამბებით შეწუხებული ფეიქარ-ხანი ვეღარ გაჩერდა ადგილზე ელებისა და ოიმახების ხალხის მოუსვენრობის გამო, რომელთაც ყველას თან ჰყავდა თავისი ოჯახი და ქონებაც თან ჰქონდა. მათ მდინარე მტკვრის ნაპირს მიაღწიეს და ზოგი გავიდა უკვე, ზოგიც გადადიოდა მეორე ნაპირზე, რომ მოვიდა მოურავი ქართველთა ჯარით. მრავალი ქონება და იარაღ-მოწყობილობა, ურიცხვი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი ხელში ჩაიგდეს და მუსლიმანთა მრავალი ქალი და ბავშვი ტყვედ წაიყვანეს. ფეიქარ-ხანი თავისიანებით მშვიდობით გავიდა და ბარდავს მივიდა. ყორლანყუჯის ციხეს მრავალი მისი ქონებით, რომლის რიცხვში ორმოცდაათი ხარვაღი აბრეშუმი შედიოდა, ქართველები დაეპატრონენ“.

„ბედკრულმა მოურავმა ურჯულოთა ერთი რაზმი ციხესთან დატოვა და თვითონ ქართველთა ჯარით ყარაბაღს გაემართა და ქალაქ განჯამდე მივიდა. ეს ქალაქი ბეგლარ-ბეგისა და ყაჯართა ელის და ოიმახის დიდებულთა სადგომი, მან დაარბია და გაძარცვა და უსაზღვროდ ბევრი ქონება და იარაღ-მოწყობილობა ხელში ჩაიგდო. იქიდანაც წამოიყვანეს ტყვედ მუსლიმანთა ქალები და ბავშვები. ყარაბაღის ელის და ულუსის მთელი ხალხი დამფრთხალი გაცვივდა თავის სამყოფელიდან და მდინარე არეზის ხოდაფერინის ხიდამდე უკან არ მიბრუნებულან".

მართლაც, ცხოველსური შიში და ძრწოლაა ირანის ჯარმა მშვენივრად იცის, ვისთან აქვს საქმე, როგორი დამანგრეველი ძალა მოსდევს უკან, ამას ემატება ხმები, ცნობები ყიზილბაშებისა და სარდლობის ამოხოცვის შესახებ, კატასტროფული მარცხის გამო და წინააღმდეგობის გაწევის იოტისოდენა სურვილიც კი არ ღვივის ამდენი ბეგისა და სარდლის გულში. მხოლოდ თავის შველა! ერთბაშად გაიწმინდა ქართლ-კახეთი მტრის ჯარებისაგან.

სულ რამდენიმე დღეში დატრიალდა ეს დიდი ამბები საქართველოში. სააკაძის რისხვა დაემსგავსა ქვეყნის ყველა კუთხიდან ერთბაშად დაძრულ მეწყერს. ცნობილია, რომ ქართველებმა განჯა და ყარაბაღი აიღეს. საგანგებოდ აღნიშნავს ისჭანდერ მუნში ამ ამბავს, აღნიშნავს, რომ დიდძალი სიმდიდრე და უამრავი ტყვე ჩაუვარდა ხელთ სააკაძეს. ანტონ ფურცელაძე წერს: „ესე საქმენი სააკაძისა ჰგვანდნენ სწორედ სასწაულებს— ბრთს დღეს იმან მოწყვიტა საფურცლეს — სამუხრანოში — მთელი ჯარები ყორჩიხა-ხანისა, უსუფ-ხანის და სხვა ხანებისა და სულთნებისა, რომელთა სიმრავლეს აღრიცხავს არჩილ მეფე ამ სიტყვებით: „იდგეს ვითარ თუ ზღვა". ამავე დღეს აიღო — გამაგრებული სპარსთაგან ციხე ცხეთის, ახალციხისა, შეიპყრა მთლად აქ მდგომი ჯარი და დაატყვევა. ამავე დღეს აიღო თბილისი, შეიპყრა იქ მდგომი ჯარი და შემუსრა, და ამავე დღეს სწორედ დიდებულს ვადაზე მიუხტა მარტყოფის ფეიქარ-ხანს და შემუსრა მთლად მისი ჯარები".

სააკაძის ჯარების ამ მოძრაობას განსაკუთრებული ყურადღებით დაკვირვება სჭირდება, მასში იკითხება ენერგიის უდი-

დესი მარაგი. ერთია, რომ ბრძოლის გეგმა ასეთი სიზუსტით ხასიათდება, სხვაა კიდევ ამ გეგმის სისრულეში მოყვანა, გრძნობა იმისა, რომ ერთი წამითაც არ უნდა მოდუნდეს სიფხიზლე, რომ მოქმედება მაქსიმალური სისწრაფით უნდა განვითარდეს, ტალღა ტალღაზე დაეცეს, რათა მტერმა გამაგრება ვერ შეიძლოს. კიდევ უფრო საინტერესოა ქვეყნის სასიცოცხლო ენერგიის აღმოჩენა. ერთბაშად ნათელი გახდა, თუ რა შესძლებია ქართველ ხალხს. საკაძისა და ხალხის სულისკვეთება ერთმანეთს გადაეცემოდა. საკაძე მოუწოდებდა, ხალხი მიჰყვებოდა. და თუ სრულყოფილ ბედნიერებაზე ლაპარაკი საერთოდ არის შესაძლებელი, საკაძე უთუოდ განიცდიდა ასეთ ბედნიერებას მარტყოფის ომის დასაწყისიდანვე. მის ხელთ იყო მთელი სამეფოს ბედი. მის გარჯასა და ღვაწლზე იყო დამოკიდებული ქვეყნის ხსნა. მას შეეძლო ახლა ემოქმედა ისე, როგორც კარნახობდა გული, გონება, სულისკვეთება. იგი ერთადერთი იყო პატრონი ქვეყნისა და ხალხისა, არავინ არ უშლიდა ხელს. მის კვალს მისდევდა ხალხი, რადგან მასში ხედავდა იმედს და გარდა ამისა ხალხს სწამდა დიდი მოურავის, სჯეროდა, რომ მას შეეძლო ქვეყნის ხსნა, ვეშაპის განადგურება. კიდევ ერთხელ განათდა საკაძის შესაძლებლობები. ის, რაც საკაძემ გააკეთა მარტყოფის ომის დასაწყისიდან მის დასასრულამდე, თითქოს დაუჯერებელიც კი ჩანს, მაგრამ, საბედნიეროდ, ფაქტია და დასტური იმისა, თუ რა ძალას ფლობს ხალხი, რადგან სწორედ ქვეყნის ენერგია განივთებულა დიდ მოურავში. ხალხიც — მისი მშობელი წიაღი და პიროვნებაც ამ შესაძლებლობის შეგრძნებამ აქცია ერთ სულ და ერთ ხორც. და საკაძის მხარდამხარ ეს ხალხი მტრის დამანგრეველ ძალად იქცა. სადღა იყო ის მოდუნებული, ძილს მინებებული საქართველო, არაერთხელ რომ დამარცხებულა ამის გამო. სადღა იყვნენ თავთავისთვის გამდგარი ქვეყნის შვილები, ერთ კალაპოტში მოქცეულიყო ყველა და ყველაფერი და ერთი მიზნისაკენ მიისწრაფოდა. ასეთი ერთსულოვანი საქართველო იშვიათად უნახავს ვინმეს. ამ გაცხადების საშუალება საკაძემ შთაბერა ქვეყანასა და ხალხს. ყველა მის გვერდით იდგა — მტერიც და მოყვარეც. ერთის მხრივ, ქვეყანა გრძნობს, რომ დაღუპვის კარზეა და ეს რომ შეაგრძნობინა ქვეყანასა და ხალხს, ესეც დიდ პო-

ლიტიკასა და დიპლომატიას გულისხმობს. მეორეს მხრივ, მტერიც და მოყვარეც ხედავს, რომ ქვეყნის ხსნა მხოლოდ ამ კაცს შეუძლია. მას უნდა გაყვეს, თუკი გადარჩენა უნდა. ეს რომ აგრძნობინა თავის ხალხს — ესეც დიდ პოლიტიკურ ნიჭს გულისხმობს. ქვეყანა ენდო კაცს, რომელიც ფაქტიურად ყორჩიხა-ხანის ბანაკში იდგა. აღარაფერს ვამბობ მხედართმთავრულ ნირზე, გენიალურად მოფიქრებულ აჯანყების გეგმაზე, ან ამ გეგმის ვირტუოზულ შესრულებაზე. საქართველო აღარ იცნობოდა: ნაცემი, ნატანჯი, მორჩილი, სასოწარკვეთილი ქვეყანა კი არა, ყალყზე შემდგარი ზღვა იხილა მტერმა. ქართველებმა გაწმინდეს საქართველო ყიზილბაშებისაგან და დაიბყრეს „ბარდა, ყარაბაღი, განჯა, არეში, კაბალი, შამშადილი, ყაზახი, შაქი; ჩააყენეს იქ თავისი ჯარები“ (ანტონ ფურცელაძე). საქართველოში აღებულ ციხეებს ხომ თვლა აღარ აქვს. ყველაფერი ეს სულ რამდენიმე დღეში მოხდა. შაჰს ახსოვდა კახეთის წინააღმდეგობა, მაგრამ ეს იყო სასიკვდილოდ განწირული ხალხის გაბრძოლება. სასტიკი და უშეღავათო, მაგრამ მაინც უიმედო გაბრძოლება.

ამდენს ქართველი ხალხისაგან შაჰი ნამდვილად არ ელოდა. გადახდილი ომი წინა ომებს არ გავდა. მასშტაბები მარტყოფის ომისა უსაზღვროდ დიდი იყო. თურქი ისტორიკოსი იბრაგიმ ფეჩევი საგანგებოდ აღნიშნავს: „ორმოცი წლის განმავლობაში ასეთი დიდი ზარალი შაჰს არ მოსვლიაო“. ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას. ამას თურქი ისტორიკოსი ამბობს. შვილი ქვეყნისა, ვისთანაც ირანს ამდენი ხნის მტრობა ჰქონდა და არაერთი ბრძოლა გადაუხდია. ხან თურქეთი იმარჯვებდა, ხანაც ირანი. მაგრამ გულახდილად, დაუფარავად აღნიშნავს ფეჩევი ფაქტს. საკაძის ხელმძღვანელობით გადახდილი მარტყოფის ომის მასშტაბები იმდენად დიდია, რომ თურქი ისტორიკოსი არაფრად აგდებს ოსმალეთის არმიების წარმატებებს, რაც ირანთან ბრძოლებში ჰქონდათ. ცხადია, თურქეთის არმიის გამარჯვება ოდნავ მაინც რომ უახლოვდებოდეს მარტყოფის ომის შედეგებს, ფეჩევი ქართველი ხალხის, ქრისტიანი სამყაროს ამ გამარჯვებას წინ არ დააყენებდა. ეს არის საგულისხმო. არა, იგი საგანგებოდ აღნიშნავს: „ორ-

მოცი წლის განმავლობაში ასეთი დიდი ზარალი შაჰს არ მოსვლია". ირანი კი ორივე მხარეს იბრძოდა. გამარჯვებაც ახსოვს და დამარცხებაც და ამ ორმოცი წლის განმავლობაში ამოდენა იმპერიისათვის ყველაზე დიდი დარტყმა მარტყოფის ომი აღმოჩნდა. მარტყოფის ომი, რისი ავტორიც გიორგი სააკაძე გახლდათ.

თვითონ ირანის ისტორიკოსი ისქანდერ მუნში კი სააკაძის აჯანყებას „დიდი და საშიშ ამბებს" უწოდებს და თვითვე ხსნის. რატომ არის ეს ამბავი „დიდი და საშიში". „მაგრამ ბედმა ბევრი მტვერი აჯანყებისა აყარა ადამიანებს და ბევრი სისხლი დაღვარა და „დამცირების მიწას აურია". უპირველესად მოსახსენებელია ჯანყი და შფოთი, რომელიც ბედკრული, დაკარგული მოურავ ქართველის უმადურობისა და აჯანყებისა და ამბოხების გამო ატყდა, უდიდესი შედეგი მოჰყვა მას და დიდი ზარალი შეხვდა და ხვდება ახლაც ხალხს".

როგორც ვხედავთ, ისქანდერ მუნშიც „უპირველეს ყოვლისა" ასახელებს გიორგი სააკაძის აჯანყებას და საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „უდიდესი შედეგი მოყვა მას და დიდი ზარალი". თანაც ეს „შედეგი და ზარალი" იმ მასშტაბისაა, თავის ლოკალურ საზღვრებში ვერ ეტევა, ვრცელდება და მოქმედებს დიდხანს, გავლენას ახდენს ქვეყნის ცხოვრებაზე, „ვნება შეხვდა და ხვდება ახლაც ადამიანებსო", წერს ისქანდერ მუნში.

„როცა ხსენებულ მოურავისაგან მოხდა აქ აღწერილი ამბები, ბევრი საშინელი და ტყუილი ხმა გავრცელდა საზღვრისპირა ქვეყნებში და ყოველ მხარეს და კუთხეს მიაღწია. ყველგან შფოთი გაჩნდა, უგუნურმა და ცეტმა ხალხმა ამ ამბების მოხდენა ირანის სახელმწიფოს სისუსტეს მიაწერა და მტრებმა, რომელნიც ხელსაყრელ ჟამს ელოდნენ, იფიქრეს, რომ დადგა დროო. იმ ხალხმა, რომელიც თავის თავს ირანის ერთგულად აცხადებდა, სიყალბე გამოიჩინა" (ისქანდერ მუნში).

ეს მეტად ტევადი ცნობაა. მარტყოფის ომის მასშტაბები ირანის იმპერიის სტრუქტურაზე ახდენს გავლენას. დაპყრობილმა პროვინციებმა, როგორც გარკვევით ჩანს, ირანის სისუსტე დაინახეს ამ მარცხში და იმედი ჩაესახათ, ჩვენი განთავისუფლების დრო დადგაო. ამას მოჰყვა „ყველგან შფოთი", ე. ი. მარტყოფის ომმა აამოძრავა მთელი ირანის სახელმწიფო

და ირანს ძალების არნახული დაძაბვა დასჭირდა წონასწორობის შესანარჩუნებლად. ეს შავით თეთრზე წერია ისქანდერ მუნშის ისტორიაში. მართლაც, „საძირკველებამდე შეირყა ირანის სამხედრო ძლიერება“. თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობით მარტყოფში 30 000 ყიზილბაშიდან სამი ათასმა ძლივს უშველა თავს გაქცევით.

იგივე მუსტაფა ნაიმა და ჩელები, როგორც კი საკაძეზე ჩამოვარდება სიტყვა, მაშინვე დასძენენ: ვინც საქართველოში ყორჩი-ხანი დაამარცხაო. თურქეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შაჰს ოცდაოცი წლის მანძილზე ამოდენა ზარალი არ მოსვლია. ამიტომ არც ავიწყდება ყორჩიხა-ხანის დამარცხების ფაქტი.

საკაძის სახელი მთელ აღმოსავლეთს ქუხილივით მოედო. მასზე მოგვითხრობენ ევროპელი მისიონერები და მოგზაურები — ეს ბუნებრივიცაა, ვინც კი ირანისა და თურქეთის ისტორიით იყო დაინტერესებული (საქართველო მათ ნაკლებ ენაღვლებოდათ), საკაძის სახელს ისინი ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეკრავდნენ ყურს. აქ კი საქართველოში: „სახელი გმირისა დიდებით დააგვირგვინეს, მადლიერმა სამშობლომ გიორგის ხალხის მხსნელი, სამშობლოს მამა და ეკლესიის შვილი უწოდა“ (პლატონ იოსელიანი).

განჯა-ყარაბაღის დარბევისა და საქართველოს ყიზილბაშებისაგან გაწმენდისთანავე საკაძემ და ზურაბ ერისთავმა გონიოში კაცი გაუგზავნეს თეიმურაზ პირველს და ქართლ-კახეთის ტახტზე მოიწვიეს მეფედ. თეიმურაზი, ვინც ამ ამბებისა არაფერი იცოდა, იმედგადაწურული მიემგზავრებოდა რუსეთს, როცა მახარობელი შიკრიკი მიუვიდა. ეს ფაქტი გვიდასტურებს, რომ მარტყოფის ამბები ელვის სისწრაფით დატრიალდა. სხვაგვარად წარმოუდგენელია თეიმურაზს არ ცოდნოდა ქართლ-კახეთში მომხდარი დიდი მოვლენა. საკაძე, ეტყობა, წუთსაც არ კარგავს, როგორც კი მტერი გარეკა, მაშინვე კაცი გაუგზავნა თეიმურაზს.

თბილისი ქართველებმა აიღეს, მაგრამ თბილისის ციხეში ჩაკეტილი ყიზილბაშები არ ნებდებოდნენ. ხანგრძლივმა ალყამ თავისი გაიტანა და მტერი დღე-დღეზე უნდა დანებებულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მოღალატენი გამოჩნდნენ, გორელმა ვა-

ჭარმა გიორგი გორგიჯანიშვილმა (ისტორიკოსების ვარაუდით იგი ფარსადან გორგიჯანიძის მამაა) და გარსია ჭანოშვილმა ღარები გააწყვეს და ციხის მცველებს წყალი მიაწოდეს.

შაჰმა სასტიკად იძია შური. ეს მოსალოდნელი იყო და სააკაძეც გულისკანკალით ელოდა „ძვირფას ძღვენს“ ირანიდან. შაჰმაც მალე გამოუგზავნა პაატას მოკვეთილი თავი. უდიდესმა მწუხარებამ მოიცვა სააკაძის ოჯახი, მთლად საქართველო, რადგან საქართველომ იცოდა, რომ პაატა დიდმა მამამ სწორედ ქვეყანას შესწირა. ქართველი ხალხი დასტიროდა პაატას. იგი სამშობლოს ხსნის სიმბოლოდ იქცა.

სააკაძის უსაზღვროდ მოყვარული მამობრივი გული ვერ ისვენებდა—არ ასვენებდა სადღაც ხევში გადაგდებული თავისი პაატას დასახიჩრებული ტანი. მამის გულმა, როგორც იტყვიან, ქვესკნელი გააპო და შვილი იპოვა. უდიდესი სიფრთხილით და ოსტატობით გააკეთა ეს. ერთგული ხალხის შემწეობით, კათოლიკე მისიონერების დახმარებით პაატას ტანი საქართველოში ჩამოასვენეს. თითქოს მშრალი ცნობაა, მაგრამ რამდენი ღელვა დევს ამ ცნობაში, რამდენი თეთრად გათენებული ღამეები სააკაძისა, პაატას დედისა. რამდენი ფიქრი დაიხარჯა საიმისოდ, როგორმე მიეგნოთ პაატას ცხედრისათვის. ვინ იკისრებდა ამ საშიშ საქმეს! მართალია, სააკაძეს ბევრი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა ირანში, მაგრამ ახლა ისინი საერთოდ ივიწყებდნენ ალბათ სააკაძის ნაცნობობას. ალბათ, ბევრი წყეველიდა იმ დღეებს, სააკაძესთან რომ მეგობრობდნენ. ვისი ნდობა შეიძლებოდა, — და სააკაძემ ყველაფერი იღონა, რომ პაატას ცხედარი საქართველოში ჩამოესვენებინა. ესეც შეძლო. პაატა ერთაწმინდის ეკლესიაში დაკრძალეს. დღესაც საგანგებოდ უვლის ხალხი მის საფლავს. საფლავზე თითქმის ყოველთვის აწყვია ახლადდაკრეფილი ყვავილები.

მამობრივი სიყვარული აქ შემთხვევით არ მიხსენებია, ვფიქრობ, ბრმაც კი დაინახავს, რამოდენა სიყვარული აქვს შვილების მიმართ სააკაძეს, რაოდენ ნაზი და სათუთი, რაოდენ ღრმაა და ვაჟკაცური ეს სიყვარული. საჭიროა ამის დანახვა, რომ უფრო ნათლად ვიგრძნოთ სააკაძისაგან პაატას გაწირვის ფაქტიც და ამ ფაქტის მნიშვნელობა. სწორედ იმას

აქვს ფასი, რომ ესოდენ ღრმად მოყვარული მშობლის გული შეიძლებს საყვარელი შვილის დათმობას.

რაც შეეხება ზურაბ ერისთავის მეუღლეს, იგი დაამცირეს, შაჰის ცოლების მოსამსახურედ დააყენეს, ბოლოს კი საქართველოში ჩამოვიდა და მონაზვნად აღიკვეცა. არ უნდა დავივიწყოთ ეს ქალი, რადგან ისიც მსხვერპლად იქნა მიტანილი საქართველოს საკურთხეველზე. ზურაბ ერისთავი მარტყოფის აჯანყებისას სააკაძის მარჯვენა ხელი იყო, შესანიშნავი სარდალი და მეომარი და მიუხედავად ბევრი ზადისა, მისი დამსახურებაც არ უნდა დაგვავიწყდეს.

დამშვიდებული სააკაძე არ არსებობს, იგი მოძრაობის, მოღვაწეობის გარეშე ვერ წარმოიდგინება. მთელი მისი ცხოვრება გვიმტკიცებს მუხლჩაუხრელ შრომას და ხმალჩაუგებელ ბრძოლას. იგი დავით აღმაშენებლის სტილის მიმდევარია. წოდებრივი მდგომარეობით მისგან განსხვავებული, მაგრამ მისი მოდელის კაცი, ვისი ცხოვრების წესიც გამუდმებული სიფხიზლით არის გამორჩეული. იქნებ სწორედ ეს წესი იკითხებოდა მემატიანეთა თვალში მოუსვენრობად, სხვებისთვის დამეტებად, აღზევების სურვილად. სააკაძე კი მთელი არსებით გრძნობს, რომ მუხლის ჩახრა არ შეიძლება, მას საქმე აქვს ირანთან, თანაც შაჰ აბას I ირანთან. იგი დამარცხდა მარტყოფში, მაგრამ უზარმაზარი სახელმწიფოს პატრონია. საჭიროა სრული მობილიზება და მზადყოფნა. სააკაძე ამაგრებს ციხეებს, წვრთნის მოლაშქრეებს. აქვე გასწია სააკაძემ „პოლიტიკური მაჭანკლობა“. ამ ფაქტზე საგანგებო დაკვირვება გვმართებს. თეიმურაზი მეფედ დასვეს, ახლა რაკი ფეიქარ-ხანს ბატონიშვილი ლელა ვერ წაართვეს, ზურაბი დარჩა განაწყენებული. სააკაძის შუამდგომლობით თეიმურაზის ასული დარეჯანი ცოლად შერთეს ზურაბს. სააკაძე დუღაბს უსხამს ქვეყნის სიმტკიცეს. ასეა ჩაფიქრებული. ზურაბი მისი ცოლისძმაა, მისი გაზრდილი და მისი მარჯვენა ხელი. უფრო მტკიცე ჯაჭვი ერისკაცების ურთიერთსიყვარულისა წარმოუდგენელი უნდა იყოს. აქ მთავარი მაინც ფაქტში ჩადებული აზრია — სააკაძე გამუდმებით ცდილობს ქვეყნის განმტკიცებას.

დღის წესრიგში დადგა მოკავშირის ძიების საკითხიც. სააკაძე ხუთი თითივით იცნობდა ახლო აღმოსავლეთს, კერძოდ,

ირანისა და თურქეთის სახელმწიფო წყობას, მათ პოლიტიკას, მან იცის, რომ ირანს ამოსუნთქვის საშუალება არ უნდა მისცეს. ყველა ძაფი ურთიერთობისა ჩაჭრილია და ახლა საქმეს ბოლომდე უნდა მიყვანა.

ზემოთ დავინახეთ, როგორ არის აშლილი ირანის სახელმწიფო, რომ ყველა პროვინციაში „შფოთი გაჩნდა“ (ისპანდერ მუნში). შაჰი წონასწორობის აღსადგენად შეეცდება დიდი ლაშქრობა მოაწყოს და შელახული პრესტიჟის საქმე მოაგვაროს. ამას გრძნობს სააკაძე. მან შეადგინა შესანიშნავი გეგმა ირანის სამხედრო ძლიერების გასატეხად. ამ გეგმას აღფრთოვანებაში მოუყვანია თურჩი ისტორიკოსი იბრაგიმ ფეჩევი. იგი ესწრებოდა ოსმალეთის სარდლობის იმ თათბირს, სადაც სააკაძის წერილი წაიკითხეს და სადაც სიტყვიერი დანაბარებიც მოისმინეს: „ასეთი მოხერხებული შემთხვევა ოსმალთა დინასტიას არ მისცემია და ყოველგვარი დაყოვნების გარეშე მიიღეთ ზომები და ისწრაფეთ, რომ ისლამის ჯარითურთ ამ ქვეყნისაკენ გაემგზავროთ. უეჭველია, რომ, როგორც კი ყარაბაღს, განჯას და შირვანს ჩახვალთ, ყველა ეს ქვეყნები მაშინვე დაგმორჩილდებიან. არ არის საჭირო ლაპარაკი იმაზე, რომ ესენი ყიზილბაშებთან მწყრალად არიან, რადგანაც თვითონ ხუნიტ-მუსლიმებს ეკუთვნიან. ამის შემდეგ სულ ადვილია ერდებილისა და მეშჰედის იოლად აღება და ყიზილბაშის ქვეყნისათვის ცეცხლის წაკიდება“ — სააკაძის წერილის შინაარსს იბრაგიმ ფეჩევი გვაწვდის. სააკაძე თურმე საჭირო მომარაგებას ჰპირდებოდა თურქეთის სარდლობას. გარდა ამისა, თავისი ჯარით მიიღებდა მონაწილეობას ამ ომში. სააკაძის გეგმა რეალურ ვითარებას არის დაყრდნობილი, შერჩეულია შესანიშნავი დრო და სიტუაცია. ეს იგრძნო იბრაგიმ ფეჩევმა და აღნიშნავს კიდეც: „მე ძალიან დაბეჯითებით ვუთხარი, რომ ასეთი მოხერხებული შემთხვევა მეორედ ხელში არ ჩაგივარდება-მეთქი... თუ ამ შემთხვევას ხელიდან გაუშვებთ, სულ მუდამ სინანულში იქნებით-მეთქი — ვუთხარი, არაფერი არ გამოვიდა“.

ოსმალეთის სარდლობაც გრძნობს სააკაძის გეგმის სიდიადეს, მაგრამ რაღაც უშლის საქმეს ხელს. ამ „რაღაცას“ არ

მალავს იბრაგიმ ფეჩევი, იგი აცხადებს, რომ სარდლებს შორის თანხმობა არ სუფევდა:

„თუ თქვენ თვითონ არ წახვალთ, იზრუნეთ და კარგად მომზადებული და მრავალრიცხოვანი ჯარი მაინც გაგზავნეთ-მეთქი. ჩვენ სარდლის ხელქვეითები ვართო და რასაც სარდალი გვიბრძანებს, იმას შევასრულებთო. ჩემთვის უეჭველი გახდა, რომ მას ჰაფიზის გამარჯვება და წარმატება არ უნდოდაო".

ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა.

აქ მნიშვნელობა ენიჭება გონივრულად მოფიქრებულ გეგმას. გეგმაში ყველაფერი დაზუსტებულია და ანგარიშგასაწევი. იგი რეალური ჩანს და ეს რეალურობა დასაბუთებულია. ისქანდერ მუნშიც ხომ გვეუბნება, როგორ არის აშლილი ირანის სახელმწიფო მარტყოფის აჯანყების შემდეგ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სააკაძის გეგმამ ზოგი თურქი მოღვაწის აღფრთოვანება გამოიწვია. ფეჩევი, ცხადია, ასეთი დაბეჯითებით არ ილაპარაკებდა დიდი მოურავის გეგმის სიდიადეზე, სხვათა აზრი რომ არ იცოდეს.

ზოგიერთ მხატვრულ ნაწარმოებში საქართველოს ისტორიის, მისი პოლიტიკური ორიენტაციის ზერელე შეფასება იგრძნობა. კერძოდ, ისინი, ნაკლად უთვლიან სააკაძეს საქართველოს საშველად ხან თურქეთისა და ხანაც ირანის ძალების გამოყენებას. ზოგი ამას დიდი მოურავის მცდარ პოლიტიკურ ნაბიჯადაც მიიჩნევს. უნდათ არასწორ ორიენტაციად მონათლონ ეს ნაბიჯები და ზოგჯერ იქამდეც კი მიდიან, რომ ირან-თურქეთის ძალებზე აღებული ორიენტაცია სააკაძისა კახეთის მეფის მიერ რუსეთზე აღებულ ორიენტაციას დაუპირისპირონ. ეს დასკვნა მომდინარეობს ისტორიული ფაქტების, კონკრეტული ეპოქის ზერელე ცოდნისაგან. სააკაძე იყო ფხიზელი თვალის პოლიტიკოსი, მხედართმთავარი, დროებითი გამგებელი და არა მეფე. მას არ შეეძლო ქვეყნის შორეულ კურსზე თუ ორიენტაციაზე იმ დროს ეზრუნა. სააკაძეს უმალ უნდა მოეძებნა მოკავშირე, კონკრეტული სიტუაციის კარნახით უნდა ემოქმედა, დამხმარე ძალა აღმოეჩინა. იქ ეძებნა იგი, სადაც ნამდვილად არსებობდა. იგი კარგად ხედავდა, ალბათ, რომ რუსეთს საქართველოსათვის ჯერჯერობით არ ეცალა და საქართ-

ველოს ბედი დიდად არ ენაღვლებოდა. არც არავითარი იმედი არ იყო, რომ მალე მოიცლიდა. ეს ამბავი მან, სხვათა შორის, ქართლ-კახეთის მეფეებზე უკეთ იცოდა. 1612—1624 წლებში შაჰის კარზე ცხოვრობდა და რუსი ელჩების მიღებასაც ესწრებოდა. იცოდა, სად რა ვითარება იყო და იცოდა კერძოდ რუსეთის ინტერესებისა და შესაძლებლობების შესახებ. იცოდა, რომ ჩრდილოელი მეზობელი შორს იყო და ჯერ კიდევ დიდხანს ვერ გაუწევდა ქართველებს რეალურ დახმარებას. საქართველოს კი რეალური დახმარება სჭირდებოდა. გსურდა თუ არ გსურდა, შენიენ ქვეყნის ახლოს უნდა გეძებნა დამხმარე ძალა. ამდენად, იგი სწორად იქცეოდა, როცა ერთმანეთს უპირისპირებდა ირანისა და ოსმალეთის ძალებს. მხოლოდ სკეპტიკოსებსა და ზერელე მეოცნებეთ არ შეუძლიათ მოიწონონ საკაძის მიმართვა ოსმალეთის სარდლობისადმი. წინდახედულობა ამ რთულ სიტუაციაში იმას ჰქვია, რეალური ძალები დაინახო და შეაფასო, მათში იპოვო შენთვის ვარგისი წყობა და ტენდენციები. მათ მოძრაობას ადევნო თვალი და შენი მიზნების აღსრულებისათვის უზუსტესი დრო შეარჩიო. ყოველ პოლიტიკურ ნაბიჯს, რაც კი გადადგა დიდმა მოურავმა, შედეგი მოჰყვა. მან სწორედ ამ რეალური ძალების სწორი შეფასებით შეიძლო ირანის არმიის დამარცხება. ტაშისკარის ომის შემდეგ მტრის მოჭრილი თავები ირანს გაუგზავნა, ხოლო მარტყოფის ომის დამთავრებისას, პირიქით (ამ დროს ოსმალეთი საქართველოს თანაუგრძნობდა). კახეთის მეფეების მიერ რუსეთის ორიენტაციის აღება სამომავლო კურსი იყო, იგი აწმყოს არაფერში რგებდა. მაგრამ მეფეებს აქვთ უფლება ადრევე ჩაუყაროონ საფუძველი ქვეყნის ორიენტაციას. რუსეთს ქართლ-კახეთის დახმარება კიდევ დიდხანს რომ არ შეეძლო, ეს მაშინაც გარკვევით ჩანდა.

გარდა ამისა, მცდარი მოსაზრების ავტორებს ავიწყდებათ ის გარემოება, რომ ირან-ოსმალეთის ძალების ერთმანეთთან დაპირისპირების პოლიტიკას მარტო საკაძე კი არა, თითქმის ყველა ქართველი მეფე მისდევდა. სიმონ მეფე ირანის ძალებს უპირისპირებდა ოსმალეთს, ადრე კი ირანს ებრძოდა. ისტორიის ფაქტები ამას გვკარნახობენ. ფაქტები კი ამავე ფაქტების ლოგიკის კარნახით უნდა გავშიფროთ და არა საკუთარი,

წინასწარ შემუშავებული მოსაზრებების მიხედვით. ასევე იქცეოდნენ კახეთის მეფეები. ისინიც ხან ირანის მხარეზე იდგნენ, ხან ოსმალეთისა. ერთი მტრის ძალებით მეორე მტრის დასუსტებას ცდილობდნენ. ასე იქცეოდა გიორგი X, ლუარსაბ II, ასე იქცეოდა თეიმურაზ I. თეიმურაზი მარტო რუსეთის იმედზე არ ყოფილა. იგი სულთანთან ჩავიდა და სცადა ირანის წინააღმდეგ გამოეყენებინა ოსმალეთის ძალები. 1618 წელს მან მართლაც იბრძოლა ოსმალეთის არმიასთან ერთად ირანის წინააღმდეგ. სხვათა შორის, ეს ნაბიჯი თეიმურაზისა — თურქეთში ჩასვლა და თურქეთიდანვე თურქეთის არმიასთან ერთად ირანის წინააღმდეგ გალაშქრება — არაფრით არ განსხვავდება ბაზალეთის ბრძოლის შემდეგ სააკაძის ოსმალეთში ჩასვლისა და ირანის წინააღმდეგ მურად IV არმიასთან ერთად გალაშქრებისაგან. თეიმურაზიც მიმართავს დახმარებისათვის ოსმალეთს და სააკაძეც. ადრე თეიმურაზიც იდგა ირანის გვერდით ოსმალეთის წინააღმდეგ, ადრე თეიმურაზიც იზრდებოდა (ე. ი. იმყოფებოდა) შაჰის კარზე. ამიტომ ამ ორიენტაციის ცვალებადობა პოლიტიკური სისუსტის მაუწყებელი კი არ არის, არამედ რეალური ძალების გამუდმებით ძებნას მოასწავებს. რამდენჯერმე ამ ცდამ შედეგი გამოიღო. პოლიტიკური სიტუაციების ცვალებადობის მიზეზით წინაპრების გზის შეცვლა მათი მამულიშვილური გრძნობის მერყეობად არ უნდა წავიკითხოთ. სწორხაზობრივ მოძრაობას ქვეყანას არავინ არ დაანებებს, ურიცხვი წინააღმდეგობის ტევრიდან მან თავისი ღირსეული არსებობა უნდა გამოიყვანოს, სწორედ ყველაზე რეალური და ამავე დროს კონკრეტული საშუალებების მოხმობით. და რომ სააკაძემ ღირსეული არსებობა შეუნარჩუნა თავის ქვეყანას და ხალხს, ეს მარტყოფის ომმა ბეჭდით დაადასტურა. თუ გვინდა სააკაძის პიროვნება და საქმე სწორად შევაფასოთ, პირველ ყოვლისა, ბოლომდე გვმართებს გააზრება, რა მნიშვნელობისა იყო მის მიერ გადახდილი მარტყოფის ომი, მარაბდის ომი, რისი პირველი დღეც მოქიშპე თავადებმა დაღუპეს, დანარჩენი ბრძოლების ციკლი კი სააკაძემ მოიგო. გვმართებს გააზრება ისტორიულ წყაროებში წაკითხული ცნობისა — ქართლ-კახეთის ფიზიკური განადგურებისაგან დახსნას რომ გვიმოწმებენ. აი, ამ ცნობას თუ არ შეეხედავთ, როგორც

გაქვავებულ აზრს, მაშინ იგი არ მოგვცემს უფლებას გულგრილად მოვეკიდოთ სააკაძის ფენომენს და დაუკვირვებელი განცხადებები ვაკეთოთ, იოლად შევაფასოთ ისტორია.

საქართველოსათვის იომეს სხვებმაც, იომა თეიმურაზ I, ლუარსაბ II, დავით ჯანდიერმა, ნოდარ ჯორჯაძემ, ზურაბ ერისთავმა... წიწამურთან თეიმურაზ I ალი-ყული-ხანის 15-ათასიანი ჯარი გაანადგურა. მაგრამ მიუტევებელი შეცდომა იქნება ეს ბრძოლები გავათანაბროთ გიორგი სააკაძის მიერ გადახდილ მარტყოფის ომთან. მარტყოფის ომი სხვა ომია, სხვაა მისი მასშტაბები. ეს არ გახლავთ ეპიზოდური გამარჯვება. ეს იყო გენერალური ბრძოლა, რასაც ირანის დიდი არმიის სრული განადგურება მოჰყვა, რომ არმიისა, რასთანაც პირდაპირ შებმას ვერ ბედავდნენ ქართლ-კახეთის მეფეები. ცალკეულ ნაწილებს ამარცხებდნენ, მაგრამ ირანის დიდ არმიას კი გაურბოდნენ. ამ მასშტაბებზე მიუთითებს საგანგებოდ ისქანდერ მუნში, ამასვე აღნიშნავს თურქი ისტორიკოსი იბრაგიმ ფეჩევი — იგი მარტყოფის აჯანყების გვერდით ვერ ასახელებს ოსმალეთის არმიის ვერც ერთ წარმატებას. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს და სიბრტყეები ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს.

ზემოთ საგანგებოდ გავთიშე ერთმანეთისაგან ნაწილებად რჯულშეცვლილნი და მოჩვენებითად, დროებით გამუსულმანებულნი. სააკაძის მოჩვენებითი ერთგულება შაჰისადმი აღმოჩნდა მიმდინარე ფარული ბრძოლის შემადგენელი ნაწილი.

„მოურავ-ბეგ ქართველი, რომელსაც ქართლის მეფის სიმონ-ხანის ვექილის თანამდებობა ჰქონდა, მაგრამ ათ წელზე მეტი იყო, რაც მუსულმანობა მიიღო და თავისი ვაჟიშვილებით და ოჯახობით შაჰის სამსახურში აღზევებულსა და პატივცემულს თიული და ოლქი ჰქონდა ბოძებული და ნდობით აღჭურვილ პირთა რიცხვს ეკუთვნოდა (ეს მოურავ ბეგი), მას ამხანაგად გაატანეს, რადგანაც მან საქართველოს ავი და კარგი იცის და თავისი დიდი ერთგულებით, მორჩილების გამოჩენით და მსახურებით მოპოვებული აქვს ხელმწიფის ნდობა“ (ისქანდერ მუნში).

მარტყოფის აჯანყებამ დაუმტკიცა შაჰს და მთელ ირანს, როგორი მოჩვენებითი ყოფილა სააკაძის ერთგულება. შაჰს და ირანს მარტყოფის ომმა ისიც დაანახვა, როგორი მუსულმანი

ყოფილა დიდი პოურავი: „ბედუკუღმართმა მოურავმა, რომელიც მხოლოდ დროისა და გარემოების მიხედვით აღიარებდა ისლამს და ხელი არ აუღია ქრისტიანობის რჯულზე...“ — წერს უფრო ქვემოთ ისქანდერ მუნში. ამაზე მეტი რა უნდა გვითხრას სხვა ქვეყნის ისტორიკოსმა, უფრო დიდი საბუთი რა უნდა გვიჩვენოს იმის დასამტკიცებლად, რომ სააკაძე მხოლოდ მოჩვენებით აღიარებდა ისლამს და რომ ხელი არ აუღია ქრისტიანობაზე, ერთის მხრივ, ირანის ისტორიკოსი გვიმოწმებს ამას, მეორეს მხრივ, მარტყოფის ომი და კვლავ გაქრისტიანება.

აქვე ისმის კითხვა: რა გვერჩივნა, სააკაძეს ლუარსაბ II მსგავსად არ შეეცვალა რჯული და შეწირვოდა თავის რწმენას, თუ ეთამაშნა შაჰის ერთგული კაცის როლი და გადაემწყვიტ წუთებში ეხსნა ქვეყანა? და კიდევ: ჰქონდა კი სააკაძის შესაძლებლობების კაცს უფლება, დასჯერებოდა წმინდანის სახელს, დაემარხა თავისი ნიჭი და ენერგია. მაშინ ვინ გადაიხდიდა მარტყოფის ომს?

ლუარსაბ II, როგორც დავინახეთ, სხვა გზა აირჩია, მან და თეიმურაზ I ვერ შეძლეს შაჰის დიდ არმიასთან დაპირისპირება. ლუარსაბმა გადაწყვიტა რწმენისადმი ერთგულებით ებრძოლა ქვეყნისათვის. ეს მისი გმირობის ფორმაა. სააკაძეს კი შეეძლო ქვეყნის ნანგრევებში ეპოვნა ძალა, რისი წყალობითაც ირანის უზარმაზარ არმიას დაამარცხებდა.

ასეთი კაცისაგან რჯულის შეცვლა მხოლოდ იძულებით გადადგმული დიპლომატიური ნაბიჯია, ამის დანახვაც გვმართებს...

რაც მთავარია, ფრჩხილები გაიხსნა და სააკაძესა და შაჰს შორის გამართული ფარული ბრძოლა სააკაძის გამარჯვებით დამთავრდა. ეს ფაქტი აღიარა ისქანდერ მუნშიმაც და იბრაგიმ ფეჩევმაც. სხვა უცხოური წყაროებისა და „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს არ ვიშველიებ. და ეს გამარჯვება არ მოასწავებს გიორგი სააკაძის, როგორც მარტოოდენ მხედართმთავრის გამარჯვებას. ეს მისი პოლიტიკის გამარჯვებაა ტპირველს ყოვლისა.

და სააკაძემ იცოდა, რომ ბრძოლა ჯერჯერობით არ იყო დამთავრებული. ამოდენა მარცხს შაჰი არ შეურიგდებოდა. ის ჭკუსათუოდ შეეცდებოდა ჩრდილდაკრული სახელის აღორძინე-

ბას. დაჭრილი მხეცი ჭრილობებს იშუშებდა და ახალი ნახტომისათვის ემზადებოდა. ემზადებოდა დიდი მოურავიც. 1625 წლის 25 მარტიდან ამავე წლის პირველ ივლისამდე, როდესაც მარაბდის დიდი ომი გაიმართა, სულ სამი თვეა. ამ სამი თვის მანძილზე მოასწრო გიორგი სააკაძემ დიპლომატიური მოლაპარაკება ოსმალეთის სარდლობასთან, ზურაბის დამოყვრება თეიმურაზთან, ჯარების წვრთნა, პაატას ცხედრის ჩამოსვენება — ფაქტიურად სააკაძეს თვალი არ მოუხუჭავს.

შაჰ აბასის ფიქრი საქართველოს მიეჯაჭვა. მარტყოფის მონელება მას არაფრით არ შეეძლო. ერთის მხრივ, ყველასათვის უნდა დაენახვებინა, რომ ირანი წინანდებურად ძლიერია, პირველ ყოვლისა, თავისი ხალხისათვის: დაპყრობილი პროვინციებისათვისაც უნდა დაემტკიცებინა ეს. შაჰს უნდა დაემტკიცებინა, რომ ირანის არმიას კვლავაც შეუძლია გაანადგუროს ნებისმიერი მტერი. ამიტომ მარტყოფის ომის დამთავრებისთანავე დაიწყო შაჰმა მზადება ახალი „საღვთო ომისათვის“. როგორც ვთქვი, სამი თვის შემდეგ მოხდა მარაბდის ომი. თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელ საშუალებებს, ნათლად დავინახავთ, რა გამალებული მზადება ჰქონია შაჰს. ახალი არმიის შეკრება, მოლაშქრეების გაწვევა ქვეყნის ყველა კუთხიდან, ყველა ერთგული ხანის გაფრთხილება, არმიის წესრიგში მოყვანა, მთავარსარდლის დანიშვნა, მომარაგება, საქართველოში შემოსვლა — ყველაფერი ეს სამ თვეში მოესწრო, ე. ი. შაჰსაც არ მოუხუჭავს თვალი. ისქანდერ მუნშის ცნობით, ქართველებს ოციათასი კაცი გამოუყვანიათ მარაბდის ომში. ქართული წყაროების მიხედვით კი ყიზილბაშები რამდენჯერმე აღემატებოდნენ ჩვენს მოლაშქრეებს.

ირანის ჯარების მთავარსარდლად დაინიშნა ნიჭიერი სარდალი ისა-ხან ყორჩიბაში — შაჰ აბასის სიძე. გამარჯვების შემთხვევაში ირანის ჯარს დავალებული ჰქონდა ქართლ-კახეთის განადგურება. ირანის არმია ალგეთის ხეობაში შემოვიდა და მარაბდის ველზე დასცა ბანაკი. მომზადებულნი ჩანან ქართველებიც, ისინი კოჯორ-ტაბახმელის მიდამოებში გამაგრდნენ და გადამწყვეტი ომისათვის თათბირი გამართეს.

ბევრმა გამოთქვა თავისი აზრი, პირველ ყოვლისა, კი დიდმა მოურავმა. გიორგი სააკაძის აზრით, ყოვლად გაუმართლე-

ბელი იქნებოდა მარაბდის გაშლილ ველზე შებრძოლება. მტერი თავის რიცხობრივ უპირატესობას უკეთ გამოიყენებდა, გარდა ამისა იყო ზაფხული (ბრძოლა პირველ ივლისს გაიმართა), მოსალოდნელი იყო პაპანაქება სიცხე. სიცხეს შეჩვეული ირანელებისათვის გაცილებით იოლი იქნებოდა ასეთ პირობებში ქართველების დამარცხება. საკაძის რჩევით უნდა დალოდებოდნენ, მტერი ბანაკიდან გამოეტყუებინათ და კოჯორ-ტაბახმელის ვიწროებში გაემართათ ბრძოლა. მტერი, აქ, ცხადია, თავის უპირატესობას ვერ გამოიყენებდა და ხერგილების მეთოდით მისი დამარცხება გარდუვალი ჩანდა (სხვათა შორის ცნობილია, რომ გიორგი საკაძე შესანიშნავად იყენებდა ხერგილების ხერხს და მცირე ჯარით რიცხვმრავალ მტერს ამარცხებდა ხოლმე). თანაც ანგარიშის გაწევას ითხოვდა ის ჭეშმარიტება, რომ ქართველთა ჯარი თავისი რიცხობრივი სიმცირის გამო საუკუნეების მანძილზე მთა-გორებს ირჩევდა პლაცდარმად და იოლად უმკლავდებოდა ურიცხვ მტერს. საკაძის გეგმა, როგორც მოსალოდნელი იყო, გონივრული და საიმედო ჩანდა. მას მხარი დაუჭირა ბაადურ ციციშვილმა, არჩილის გადმოცემით ბაადურს უთქვამს, რომ პაპანაქება სიცხეში ქართველთა ლაშქარს გაუჭირდება და განსაკუთრებით კი გლეხობა დაზარალდებაო, ხოლო „რა ამოწყდის გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდეს“. — ასკვნის ბაადურ ციციშვილი.

საკაძის გეგმა არავის დაუწუნებია, მის გონივრულობას არავინ არ უარყოფს, მაგრამ მოწინააღმდეგე დასი სხვა არგუმენტებს იშველიებს. მოსწყინდათ უკვე საკაძის პირველობა, მისი თავკაცობა და არ სურთ მთავარსარდლობა დაანებონ. ზურაბ ერისთავი:

> ზურაბ უთხრა: „კარგად ბრძანე, თუ იქ ხანი არ დაჰყოვნოს,
> მაგრამ იცით მათი საქმე, ხანგრძლივ დგომამ ვერ აღონოს,
> არ მოვიდენ სიმაგრეთა. ჰკუა მათი მოგვეწონოს,
> ეგ არ მინდა, თუღუნითა მინდერად უკან არ მედევნოს.

ზურაბს მოსწონს დიდი მოურავის გეგმა, მაგრამ მაინც ჩასვლას და შებმას ამჯობინებს. დავაკვირდეთ მის არგუმენტს. ყიზილბაშებს დგომა არ მოსწყინდებათ და როდემდე უნდა კუცადოთო, ამბობს ის.

ბარათა ბარათაშვილი:

ბარათა ბარათაშვილი მეწინავეთა სარდალი,
კარგ სარდლად იმას აქებდეს, მტერს მალ შეაქმნის ბანდალი:
„შეყრილის საქართველოსა ყოვნა არს არ სამართალი,
აქა-იქ დაგვეფანტვიან". უქეს „ამან თქვა მართალი".

ბარათა ბარათაშვილი არ იწუნებს სააკაძის გეგმას, მაგრამ „შეყრილი საქართველოს ლაშქარი" უნდა ვაბრძოლოთ, თორემ დაიფანტებიანო, ამტკიცებს იგი.

თეიმურაზ და ქაიხოსრო მუხრან ბატონი, აგრეთვე იესე ქსნის ერისთავი:

თეიმურაზ, ქაიხოსრო, ორთაე ძმებმა მუხრანს მჯდომთა,
კვლა იესე ერისთავმან, სხვათ ქართველთა ომის მდომთა:
„თუ შეგვაბამთ, შეგვაბითო, რას ხელსა გვხდით აქა მდგომთა?
დროა დასდგეთ ერთს რჩევაზედ, თვარემ წავალთ ჩვენ სადგომთა!"

როგორც ვხედავთ, ესენი წასვლით იმუქრებიან.

კახთა რჩევა:

კახთა არჩივეს ერთპირად, შებმა და მათი ომია,
თქვეს: „არსად წავლენ მუნითგან, ეს ადვილ მისახდომია:
ორჯელ გალახულთ შევებნეთ, ვინცა ხართ ომის მნდომია,
ზოგთა გვწადს ომი ახალი, ზოგს ბევრი გარდაგვხდომია".

კახელებს ადვილი ეჩვენებათ „ორჯელ გალახული" ირანის არმიის დამარცხება და დაუყოვნებლივ შეტევას ითხოვენ.

მანუჩარ ათაბაგი:

მერმე არის ორი რაზმი, დაახლოვდეს ერთმანეთზედ,
ვინც მოუხდეს მეორესა არ ყოვნებით იმავ დღეზედ,
მისი ჯარი გათამამდეს, მდგომთა დადგეს ძლიერა ფეხზედ.
ხანგრძლივ რჩევა ცუდი არის, გამარჯვება არის ღმერთზედ.

მანუჩარ ათაბაგიც შეტევას ამჯობინებს. მისი აზრით, ვინც უტევს, უპირატესობა მის მხარეზეა.

შებმას მოითხოვდნენ ახალგაზრდა მოლაშქრეები, მათ საგმირო საქმეების მოსახდენად მიუწევდათ გული. ამას დაემატა ისიც, რომ „ბარათიანთა" წასვლის საშიშროება გაჩნდა. მტერი მათ მამულში იდგა და აჩანაგებდა.

კვლავ გავიხსენოთ სააკაძის რჩევა. გიორგი მოაგონებს თანამემამულეებს, რომ იგი კარგა ხანს მოღვაწეობდა შაჰის კარ-

ზე, ამდენად იცის ირანელთა ასავალ-დასავალი, იცის, რომ შაჰი მთელ ძალებს დაძრავდა საქართველოს წინააღმდეგ. მარაბდაში ჩასვლა არ ივარგებს „სიცხეა და მისჩერდება“, დამარცხების შემთხვევაში კი ქვეითობა „ერთიანად ამოწყდება“, ამიტომ უმჯობესია ხეობაში „თავწვრილად“ შემოსულ მტერთან შებრძოლებაო, ურჩევს სააკაძე.

დავაკვირდეთ ყოველ დეტალს. სააკაძის გეგმაში სტრატეგი ჩანს, ვინც ითვალისწინებს ირანის არმიის სიმრავლეს, შაჰის ვერაგულ პოლიტიკას, ირანის ჯარების საგანგებო მომზადებას, ასეთი მტერი (იცნობს სააკაძე ყორჩიბაშს!) არაგონივრულ ნაბიჯს არ გადადგამს. სააკაძე ითვალისწინებს ომის მთელ რუკას, როგორ უნდა წარიმართოს ოპერაციები, როგორ შემოიტყუოს მტერი, რა დროს დაარტყას.

სხვათა რჩევა, გარდა ბაადურ ციციშვილისა, გამორიცხავს სტრატეგიას, მხოლოდ ეპოციას არის დაფუძნებული, გულის კარნახს მიჰყვებიან და არა გონებისას. სააკაძესთან დაპირისპირების სურვილი მათ ავიწყებდათ ყველაფერს. თურმე, ყიზილბაშებს დიდხანს დგომა არ მოსწყინდებათ და ქართველებმა სადამდის იცადონ, თურმე „შეყრილის საქართველოს“ დაყოვნება არ არის სამართალი, თურმე გაიქცევიან ეს ქართველები თუ ახლავე არ „შეაბმენ“, თურმე „ორჯელ გალახული“ თათრების შიში არ უნდა გეჭონდეს, და თურმე საკმარისია შეუტიო, რომ მტერი გატყდეს. როგორც ვხედავთ, ყველანი გულის სიფიცხეს არიან აყოლილნი და გონიერული რჩევის მოსმენა არ უნდათ.

თითქოს ყველას დაავიწყდა ვისთან ჰქონდათ საქმე, იმ შაჰთან, კახეთი რომ გაანადგურა, ვინც არ გაახარა თეიმურაზ I, შეიწირა კახეთის მოსახლეობის ორი მესამედი, იმ შაჰთან, ვინც ძლევდა თურქეთის უზარმაზარ არმიებს.

თითქოს ისიც დაავიწყდათ, დამარცხების შემთხვევაში ქარ-ლსა და კახეთში გუშინ გადატანილი უბედურება კვლავ რომ დატრიალდებოდა, „ფერეიდანის“ გზას რომ გაუყვებოდა ახალი ტალღა ქართველებისა, კვლავ რომ მოუწევდათ ჩვილი ბავშვების საკუთარი ხელით დაღრჩობა მაძებს, კვლავ რომ შეუგინებდნენ ცოლს და დედას, მაძულს და ფუძეს... ცხრა წლის უკან გადატანილი უბედურება დაავიწყდათ თითქოს.

თუ ეს დაუდევრობა არა, რა სახსენებელია ბარათაშვილების მამულის გაჩანაგება, როდესაც მთელ საქართველოს ელოდა აოხრება, რა სახსენებელია ლაშქრის დაყოვნება ან „დაფანტვა“. საოცარია ისიც, რომ თურმე ყიზილბაშებს არ მოსწყინდებათ დგომა მარაბდის ველზე, სიცხესა და პაპანებაში, და მოსწყინდებათ კოჯორ-ტაბახმელის ჩრდილიან გორაკებზე დაბანაკებულ ქართველებს. არ მოსწყინდება მტერს, ვისაც საძებნი აქვს საჭმელ-სასმელი და მოსწყინდებათ თავის სამშობლოში მყოფ ქართველებს, ვისაც მხარს უჭერს მთელი ქვეყანა. უცნაური არგუმენტია, ხასიათის უცნაური გამომზეურებაა. ადამიანი, ცხადია, გამარჯვებაზე ფიქრობს და არა დამარცხებაზე, მაგრამ რა უფლება აქვს ქართლის ჯარების მოთავეებად არჩეულ ხალხს, აჰყვეს გულის კარნახს და არ გაითვალისწინოს ყველა მოსალოდნელი უბედურება: ირანი ხომ მთელი ძალებით იყო მოსული, სათავეში იდგა უნიჭიერესი მთავარსარდალი, მოვიდა მტერი შაჰის საგანგებო დავალების შესასრულებლად. განა შეიძლებოდა ყოველივე ამის გაუთვალისწინებლობა? განა იმ შეგნებით არ უნდა ყოფილიყო გამსჭვალული სარდლობაც და ლაშქარიც, რომ დგომა აუცილებელია, რომ აჩქარება საქმეს დაღუპავს! განა სამი თვის წინათ არ ადგათ კარს დაქცევა და თუ გიორგი სააკაძე არა, ხსნა არსაიდან ჩანდა. ახლა კი სულ რაღაც სამი თვის შემდეგ რამ დაავიწყათ ეს საფრთხე, იგი ხომ დამარცხების შემთხვევაში თავს დაატყდებათ?

რა იყო ეს დაჟინებული მოთხოვნა „შევებათო“, თუ არა სააკაძის პიროვნებასთან დაპირისპირების სურვილით ნაკარნახევი გადაწყვეტილება? სააკაძის თავკაცობას უკვე ვერ ითმენენ, თანაც თეიმურაზი ნაცადი სარდალი იყო და ამან გაუიოლათ სააკაძესთან დაპირისპირება. თეიმურაზ I პატივმოყვარეობაზე ბევრი წყარო მიუთითებს და დიდებულებმაც ადვილად მოახდინეს გავლენა მასზე. მთავარსარდლობა თეიმურაზმა იკისრა.

საინტერესო ფსიქოლოგიური მოვლენაა:

თეიმურაზ I ნაცადი სარდალი იყო, შეუპოვარი, გამოცდილი. იმარჯვებდა ჯარის ცალკეულ ნაწილებთან ბრძოლაში, მაგრამ არასოდეს გენერალური ბრძოლა არ გაუმართავს შაჰის არმიისათვის. თვალი გადავავლოთ მის მიერ აქამდე გამოვლილ

გზას — როგორც კი დიდ არმიას დასძრავდა შაჰ აბასი (თვითონ მოუძღოდა თუ სხვა იყო მთავარსარდალი, ამას არა აქვს მნიშვნელობა), თეიმურაზ I მაშინვე გაეცლებოდა კახეთს, ან იმერეთს ან გონიოს აფარებდა თავს. დიახ, მას არ გაუმართავს არც ერთი გადამწყვეტი ომი შაჰ აბასთან, რადგან გრძნობდა, რომ ირანის დიდ არმიას იგი ვერ გაუმკლავდებოდა. ამიტომ გარბოდა, ამიტომ ჯერდებოდა ეპიზოდური ხასიათის ბრძოლებს. ახლა კი თამამად გამოსულა ირანის დიდი არმიის წინააღმდეგ და როდის, როდესაც კახეთის მოსახლეობის ორი მესამედი არა ჰყავს, თითქოს დაავიწყდა, რომ განადგურებული კახეთის ნაშთით კი არა, ქართლ-კახეთის უნაკლულო ძალებით ვერ გაუბედეს შაჰს შებმა მან და ლუარსაბმა 1614 წელს.

უმიზეზოდ ხდება ასეთი რამ? მაშინ ხომ ორჯერ მეტი ჯარის გამოყვანა შეეძლო ქართლ-კახეთს, რაკი კახეთის მოსახლეობა აყრილი არ იყო, ნაცადი სარდლებიც გვერდით ჰყავდა. ერთხელ გაავლო მუკუზანთან ჯებირი, ეს იყო და ეს. ამის შემდეგ დიდი არმიისაგან სულ ილტვოდა. მხოლოდ ალი-ყული-ხანის 15-ათასიან ჯარს შეჰბედა 1615 წელს და დაამარცხა კიდეც, მაგრამ, როგორც კი ირანის არმიის წამოსვლა შეიტყო, გაეცალა. იცოდა, რას ნიშნავდა არმიასთან დატაკება, იცოდა, რომ ვერ სძლევდა და თავს არიდებდა. განწირულ კახელებს უმძიმესი განსაცდელის ჟამსაც კი ვერ ჩამოეშველა.

დღეს კი ოციათასიანი არმიით, პირველად თავის სიცოცხლეში, აპირებს გენერალური ომის გადახდას.

მხოლოდ ზერელე განცხადების მოყვარულნი თუ მოიწადინებენ იმის საპირისპირო გვიმტკიცონ, რაც ახლა მინდა მკითხველს ვუთხრა:

თეიმურაზ I მარაბდის გენერალური ომის გადახდა სააკაძის იმედით გადაწყვიტა! მის სითამამეში, გასულიყო ირანის დიდი არმიის წინააღმდეგ, იგულისხმება სააკაძის იმედად ყოფნა. სხვაგვარი დასკვნის გამოტანა წარმოუდგენელია. იგულისხმება მარტყოფის გრანდიოზული ეპოპეა, მისით მოტანილი შედეგი. მარტყოფის ომმა საქართველო იხსნა როგორც მორალური, ასევე ფიზიკური განადგურებისაგან. ამ ომმა წელში გამართა ქვეყანა, მონად ქცეული ქართველი კაცი თავისუფალ პიროვნებად აქცია. ღირსეულ მდგომარეობას

დაუბრუნა, ვაჟკაცობის, შემართების, იმედიანობის გენი აუღორძინა, დათრგუნვილი ფიქრები გაულაღა. ირანი კი ამ ომმა ფიზიკურად დააზარალა — (ოცდაათი ათასამდე ყიზილბაში დაიღუპა), დააკარგვინა დიდძალი ქონება, შეურყია ძლიერების რწმენა, გაჩნდა აზრი ირანის სახელმწიფო სისუსტეზე.

აი, ეს შედეგიც იგულისხმება თეიმურაზ I გადაწყვეტილებაში — შეებას შაჰის დიდ არმიას. მარტყოფის ომმა, რაც მთავარია, თეიმურაზ პირველს მოხსნა შიშის ტვირთი. ის განთავისუფლდა შაჰის არმიის წინაშე ძრწოლისაგან; გადაიტანა წლების განმავლობაში მიღებული სულიერი ტრავმა და თავის თავში იპოვა ძალა. სხვაგვარი ახსნა ამ მოვლენისა ტენდენციური შემფასებლის კაპრიზები იქნება მხოლოდ.

და ხდება უცნაური ფსიქოლოგიური მოვლენა! თეიმურაზ I, ვერ ერევა რა თავის პატივმოყვარეობას, მთავარსარდლობას არ უთმობს დიდ მოურავს, ვისი იმედითაც გადაწყვიტა ფაქტიურად გენერალური ბრძოლის გადახდა.

„თავადთა პოლიტიკური სიბეცე-შეზღუდულობა, ფეოდალური ლაშქრის უდისციპლინობა და შეიარაღებაში ჩამორჩენა იყო მარაბდას ქართველთა დამარცხების უმთავრესი მიზეზი“ (აკად. ნიკო ბერძენიშვილი).

„სამხედრო თათბირმა სააკაძის გეგმა უარყო. გადაწყდა, ომი მეორე დღეს 1625 წლის 1 ივლისს დაეწყოთ. მთავარსარდლობა თეიმურაზ I იკისრა. ეს გადაწყვეტილება, როგორც შემდეგ ნათელი გახდა, შეცდომა იყო. ქართველთა მხარე ომს მისთვის უაღრესად ძნელ პირობებში იწყებდა. ამას ისიც დაემატა, რომ ქართველების ყველაზე ნიჭიერი სარდალი, სააკაძე, ჩამოცილებულ იქნა ომის წარმოების საერთო ხელმძღვანელობისაგან. ეს კიდევ უფრო დიდი შეცდომა იყო ქართველების მხრივ. ყველაფერი ეს ქართველი ფეოდალების ინტერესთა შეზღუდულობითა და თეიმურაზის პატივმოყვარეობით იყო გამოწვეული“ (გივი ჯამბურია).

ვინც დაკვირვებით გაეცნობა მარაბდის ომის წინა თათბირის ამსახველ ყველა წყაროს, დარწმუნდება, რომ სხვაგვარი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. ამიტომ აღნიშნავს ასე საგანგებოდ ისტორიკოსი ლევან სანიკიძე თავის „უქარქაშო ხმლებში“.

„ვადაწყდა: მთიდან დაშვება და გაშლილ ველზე ბრძოლის გამართვა.

ეს იყო პირველი შეცდომა.

გაუსწორებელი შეცდომა, — რამეთუ გადაწყვიტეს სწორედ ის, რაც სწყუროდა და ენატრებოდა თვითონ მტერს.

ახლა მთავარსარდლის საკითხიც დადგა.

თეიმურაზ მეფეს არც სარდლის ნიჭი აკლდა და არც ჯარისკაცული შემმართებლობა, მაგრამ გიორგი სააკაძე, — იმჟამინდელი „უპირველესი გენერალი“ — იქ იყო და...

ერთი სიტყვით, ასე გადაწყვიტეს — მთავარსარდლობა მიანდვეს მეფე თეიმურაზს და არა გიორგი სააკაძეს.

ესეც მეორე შეცდომა.

გაუსწორებელი შეცდომა, — რამეთუ ყიზილბაშებს თეიმურაზ მეფისა დიახაც ეფიქრებოდათ, მაგრამ გიორგი სააკაძისა პირდაპირ ცხოველური შიში და ძრწოლა ჰქონდათ.

ერთი სიტყვით, ქართველმა თავკაცებმა ყველაფერი ისე „გააწყვეს“, როგორადაც კარის ზღურბლზე ფეხშემოდგმულ მტერს მოესურვებოდა და მოენატრებოდა“.

თვით დავით აღმაშენებელმა ვერ გაბედა დიდგორის ომში გაშლილ ველზე გასვლა, დიდგორის ვიწროებში ელოდა მტერს, მხოლოდ მაშინ შეუტია მთელი ფრონტით, როდესაც მისმა ხერხმა გასჭრა და მტერი დაიბნა.

აქ კი, მარაბდის ომში, ძალზე მარტივად გადაწყდა შეტევის გეგმა. გაშლილ ველზე, პაპანაქებაში უნდა გაემართათ ბრძოლა ურიცხვი მტრისათვის. ერთგვარად ღიმილის მომგვრელიც კი ჩანს სარდლობის ვარაუდი — ბრძოლას სიცხის ჩამოდგომამდის („ჩამოცხომამდის“) დავამთავრებთო. ამ შემთხვევაშიც უცნაური ფსიქოლოგიური მდგომარეობა შეიქმნა, მარტყოფის ომის სიმხნევით და სიდიადით დაეუფლათ ეს შეშართება და ის კი დაავიწყდათ, რომ მარტყოფის ომის ავტორი გიორგი სააკაძე, სხვა რჩევას, სხვა გეგმას სთავაზობდა.

თუ დავაკვირდებით მარაბდის ომის მსვლელობას, დავინახავთ, რომ ეს ომი სულ სხვა მიზეზით არის ჩვენთვის საამაყო. ქართველთა თავგანწირული ბრძოლით, უბადლო გმირობით, მედგარი შეტევით. რაც შეეხება ომის წარმართვის ხელოვნებას, იგი სტრატეგიული შეცდომებით არის აღსავსე.

როგორც დავინახეთ, შეცდომა იყო გულისთქმას აყოლა, შეცდომა იყო პაპანაქებაში გაშლილ ველზე ჩასვლა, გათვალისწინებული არ იყო, რომ ყორჩიბაშს თორმეტი ათასი მარტო მეთოფე ჰყავდა. უამრავი ზარბაზანი ჰქონდა და ქართველები ერთიღა ფიცხელი შეტევის იმედით მიიწევდნენ მტერზე.

ყორჩიბაშს სრული წესრიგი ჰქონდა არმიაში. მარტო მეთოფეთა წყობა რად ღირს: ერთნი დაჩოქილნი ისროდნენ, მეორენი ფეხზე მდგარნი, მესამენი ცხენებზე ისხდნენ და მეოთხე რიგი აქლემებზე ამხედრებულიყო. პირამიდის მაგვარი წყობაა. მეთოფეთა რაოდენობა ამ წყობის წყალობით მაქსიმალურად არის გამოყენებული.

სწრაფი შეტევით ამოდენა არმიის განადგურება რომ შეუძლებელია, ეს დაავიწყდათ სააკაძესთან დაპირისპირებულ თავადებს და მეფეს.

სააკაძის დიდი მამულიშვილობა ამ შემთხვევაშიც თვალნათლივ დადასტურდა. მისი მოწინააღმდეგე ჯარი უმალ წასვლით იმუქრებოდა, თუკი დაუყოვნებლივ არ დაიწყებდნენ ომს. ეს პატარა მიზეზიც კმაროდა მათ გასანაწყენებლად და ასაშლელად. სააკაძე კი, ვისაც ღრმად ატკინეს გული, ვისი გონივრული გეგმა უარყვეს და მარტყოფის ომის მადლი დაუვიწყეს, არათუ ფიქრობს განდგომაზე, არათუ იმუქრება წასვლით, არამედ იბრძვის და ხელმძღვანელობს თავის ჯარს ისე, როგორც არავინ ამ ომში. მაგრამ ჯერ ვნახოთ როგორია ქართველთა შეტევა და მერე ისიც ვნახოთ, ძირითადად ვისზე იყო დამოკიდებული ეს გამანადგურებელი რიტმი.

ისქანდერ მუნში:

„დაიწყო დიდი ბრძოლა, პირველად ურჯულოები წინ წამოვიდნენ და ყიზილბაშთა ჯარის ავანგარდზე ერთბაშად იერიში მიიტანეს. ავანგარდმა მათ დარტყმას ვერ გაუძლო და გაიფანტა. ამირგურე-ხანი ერთ წუთს მაგრად იდგა, მძიმედ დაიჭრა, რაკი ბრძოლა შემთხვევით შეუფერებელ ადგილას მოხდა, ყიზილბაშთა ჯარის მარჯვენა და მარცხენა ფრთებიდან დახმარების მიღება ვერ მოხერხდა. ყაჯარებმა დაჭრილი ამირგურე-ხანი ბრძოლიდან გაიყვანეს. ქართველები ისეთივე გახურებული ხოცვით მეთოფეების რაზმში შეიჭრნენ. მათი დარტყმისაგან მეთოფეების რიგებიც დაინგრა. ძლევამოსილი ჯარიდან და განსაკუთრებით მეთოფეთა რაზმიდან ბევრმა შესვა მოწა-

მებრვი სიკვდილის შარბათი და ნათელი პირით გაეჩქარა საიქიოს. ურჯულოები ისე გამხნევდნენ და წინ წამოვიდნენ, რომ ერთი მხრიდან, სადაც პირისპირ არ უდგათ მოწინააღმდეგე, ყიზილბაშთა ბანაკში შეიჭრნენ და ორდუბაზარში ალაფობას და ძარცვას მიჰყვეს ხელი. ორდუბაზარის ხალხს, ყულუღჩიებს და ხელოსანთა შეგირდებს, რომელნიც ბარგის მცველად იყვნენ დატოვებული, თავზარი დაეცათ. საშინელი არევ-დარევა და ალიაქოთი გავრცელდა ბანაკში, ისე რომ თავგზა აბნეულმა ხალხმა და ნაძირალებმა, რომელნიც ბანაკში რჩებოდნენ, ერთმანეთის ქონების რბევასა და ძარცვას მიჰყვეს ხელი და გაქცევა იწყეს. ბანაკი უპატრონოდ დარჩა და ამითი დიდი შეწუხება და ზიანი განიცადა ყიზილბაშთა ძლევამოსილმა ლაშქარმა.

როგორც ნათქვამი იყო, ბრძოლა შეუფერებელ ადგილას გაიმართა, ამ დროს ერთი ჯგუფი მოლაშქრეებისა, რომელიც კუთხეში და კიდეზე, მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე იდგა, იმის გამო, რომ დიდი ცენტრი ლაშქრისა (ე. ი. ძირითადი ნაწილი ჯარისა) არ ჩანდა, ამ ღრიალისა და განგაშისაგან და ურჯულო და გზადაკარგული ქართველთა ჯარის სიმამაცისაგან დაბნეულებმა იფიქრეს, რომ — ღმერთმა დაგვიფაროს! — ისლამის ლაშქარი დამარცხდაო, ველარ დადგნენ, ზოგმა სიმხდალისა და ლაჩრობისაგან, ზოგმაც ქონების სიყვარულით და თავისი ავლა-დიდების დაცვის სურვილით, პირი იბრუნა ბრძოლის ველიდან, ზარი და შიში ჯარის ცენტრსაც გადაედო, ძრწოლამ და დაბნეულობამ შეიპყრო ლაშქარი".

ამ გამანადგურებელი შეტევის მასულდგმულებელი იყო ქართველთა ჯარის მამაცობა, თავგანწირულობა და შემართება. სახელოვნად იბრძოდნენ მეფე თეიმურაზ, დავით ჯანდიერი, აღათანგ ხერხეულიძე, თეიმურაზ მუხრან-ბატონი, ზურაბ ერისთავი... თავგანწირულ ბრძოლაში დაეცნენ ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი, იბრძოდა უკვდავი გლეხობა... მაგრამ გამანადგურებელი შეტევის სულისჩამდგმელი მაინც, უპირველეს ყოვლისა, გიორგი სააკაძე იყო.

მოურავმა იმ ომზედა მუზარადი არ დაიდგა,
თქვა: „რა მიცნას ყიზილბაშმა, ბრძოლად ახლოს ვინ მაშიდგა".
თუ დავირქვა ანჩხაბერი, ველარ მიცნან. ვინც წინ მიდგა,
არ დამიშვრეს ხელი ცუდად, სანამ პირში სული მიდგა.

ყველაზე სრულად მარაბდის ომში სააკაძის ბრძოლის მნიშვნელობას ბერი ეგნატაშვილი ახასიათებს;

„და იმდღინდელი მოურავის ნაქმარი ომი და საქმეები პირველთა გმირთაგანცა არა თქმულ არს, რაც იმ დღეს მოურავმან სახელი და ომი ქნა“.

ეფიქრობ, ყველაფერია თქმული. ნათელია, რომ ქართველთა დამანგრეველ იერიშებს სულს უდგამდა „მოურავის ნაქმარი ომი და საქმეები“, და კვლავ ის, რომ „პირველ გმირთაგანცა არა თქმულ არს, რაც იმ დღეს მოურავმან სახელი და ომი ქნა“.

ეს სიტყვები ბერი ეგნატაშვილის ისტორიაში თავისთავად არ ჩაიწერებოდა. იგი კრიტიკულად უყურებს სააკაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მაგრამ არასოდეს არ ცდილობს დაუკარგოს დამსახურება მოურავს, დაფაროს დაუფარავი, როდესაც იცის, რომ სააკაძის ომი და საქმეები ასულდგმულებს ქართველთა ლაშქრის ომსა და საქმეებს მარაბდის ომში. აქედან თავისუფლად უნდა დავასკვნათ, რომ მისი ბრძოლის ნიმუში მართავდა ყველა იმ დამანგრეველ ტალღას, რომელმაც დაარბია ყიზილბაშების ყველა ზღუდე და გამარჯვებამდე მიიყვანა საქმე. უპირველესი მამულიშვილი, მეფისა და დიდებულებისაგან ასე ღრმად გულნატკენი, გაცლაზე კი არ ფიქრობს, იბრძვის სრული თვითგაღებით, იბრძვის ისე, როგორც არავინ. მან იცის, რას ნიშნავს ამ ომში დამარცხება. რა ელის მის ქვეყანას და რაკი არ მიიღეს მისი გონივრული გეგმა, მაინც გააკეთა მაქსიმალური თავის მხრივ.

მაგრამ, სამწუხაროდ გამართლდა მისი ვარაუდი. ფიცხელი შეტევა არ აღმოჩნდა საკმარისი ირანის დიდი არმიის დასამარცხებლად. ყორჩიბაშმა არ დატოვა ბრძოლის ველი. მან იცოდა, რომ სადაცაა შაჰბენდე-ხანი მოვიდოდა, ქართველებს კი მეტი ჯარი არა ჰყავდათ — ესეც იცოდა. იცოდა, რომ პაპანაქება სიცხე მოქანცავდა გურჯებს, თუკი როგორმე დიდ შეტევას გაუძლებდა. მთავარი იყო, არ დაეთმო ბრძოლის ველი. მანაც არ დაფიქრებულა. შემოიკრიბა გაფანტული რაზმები, გაამაგრა ცენტრი. ქართველთა ჯარს კი პირველი შეტევების შემდეგ მთავარსარდლის მტკიცე ხელი აღარ მართავს. ერთმა დიდმა ნაწილმა ბრძოლას მიანება თავი და ძარცვას მიჰყო

ხელი, მეორე ნაწილმა გაქცეულ მტერს გასდია. ამ დროს იყო საჭირო მთავარსარდლის სრული მობილიზება, ბრძოლის ბოლომდე მიყვანა; ქართველები კი ნაადრევად ზეიმობდნენ გამარჯვებას. გავიხსენოთ მარტყოფის ომის მსვლელობა, სააკაძე სულის მოთქმას არ აცლის მტერს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე სდევს. ყიზილბაშები გაანადგურა არა მარტო მარტყოფში, არამედ ყველგან, სადაც კი გარნიზონებად იდგნენ. აიღო საქართველოს ციხეები, განდევნა ფეიქარ-ხანი, დაარბია განჯა და ყარაბაღი. ერთი წუთითაც არ ჩაუთვლემია მის ლაშქარს, ისტორიკოსები გაოცებას ვერ მალავენ მისი გამუდმებული სიფხიზლისა და დაუღლელობის გამო. აქ კი, მარაბდის ომში, ერთბაშად მოდუნდა ყურადღება, იქმარეს პირველი თავბრუდამხვევი შეტევით მოტანილი წარმატება, არ გაეწია კონტროლი მოლაშქრეებს, ალაფობის ნებაც კი დართეს...

მტერს ამასობაში დამხმარე ძალები მოუვიდა, სიცხისაგან დაქანცულმა ქართველთა ლაშქარმა პირი იბრუნა. ცხენოსნებმა ადვილად დააღწიეს თავი, გლეხობა კი ქვეითად შეეგება მტერს და ბრძოლაში გაწყდა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ მტერმა ერთ ხერხს მიმართა. თავისი ჯარის გასამხნევებლად ყორჩიბაშმა ხმა გავრცელა, შაჰი მოვიდაო. უცნაური კონტრასტია. ქართველებს თეიმურაზ მუხრან-ბატონი მოუკლეს და ხმა გავრცელდა თეიმურაზ მეფე დაიღუპაო. მტერს არ ჰყავდა შაჰი ახლოს და მისი სახელი მაინც გამოიყენა, ქართველებს მეფე იქვე ჰყავდათ, თეიმურაზ მეფის გამოჩენას ამ დროს ბრძოლის ველზე უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა. და ეს ვერ მოხერხდა. ჯარი მტრის პირისპირ დარჩა მთავარსარდლობას მოკლებული.

„ალაგ-ალაგ ერთად შეგროვდნენ და სადამდისინ დაიხოცებოდეს, თავი აღარ დაიზოგეს, ვისაც ხელი მიაწვდინეს, მოუკლავი არ გაუშვეს და თვითონაც დაიხოცნენ“ (ფარსადან გორგიჯანიძე).

დაიხოცნენ საუკეთესო ქართველი სარდლები: დავით ჯანდიერი, აღათანგ ხერხეულიძე, თეიმურაზ მუხრან-ბატონი; დაჭრეს ზურაბ ერისთავი. ბრძოლის ველზე 10 000 ქართველი დაეცა. მართალია, მათ ძვირად დაუსვეს მტერს თავიანთი სიკვდილი (14 000 ყიზილბაში გაწყვიტეს), მაგრამ ქართველ-

თათვის ამოდენა მოლაშქრის დაღუპვა დიდი დანაკლისი იყო. მარაბდა ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის უწმინდესი საბუთია. ისქანდერ მუნში იძულებულია აღნიშნოს ქართველთა სიმამაცის შესახებ. უბრალო წარმატებას მტრის მეისტორიე არც აღნიშნავს. ქართველთა ჯარებმა იმდენად შეავიწროვა ირანის არმია, რომ ამის აღნიშვნა წარმოუდგენელი ეჩვენება ისქანდერ მუნშს. ფაქტიურად ქართველები გამარჯვებულნი ჩანან პირველ ბრძოლაში. ქართული წყაროების მოშველიება არც არის საჭირო, იმდენად სინდისიერად მოგვითხრობს ირანის ისტორიკოსი ქართველთა ჯარის დამანგრეველი შეტევის შესახებ.

მაგრამ მარაბდის ომი საკუთრივ მარაბდის ველზე გამართული ბრძოლით არ დამთავრებულა. მისი ეპოპეა დაიწყო მხოლოდ ამ პირველი ბრძოლით. და დაინახეს თუ არა ქვეყნის დაქცევა, დიდებულებმა მტერიც საკაძეს შეატოვეს ხელში და მთავარსარდლობაც. მტერმა 14 000 კაცის მოკლებით საგრძნობი ზარალი ნახა, მაგრამ დიდი არმია მაინც გაუტეხელი ჩანდა. დიდებულებმა ციხე-კოშკებს შეაფარეს თავი, თეიმურაზ I არ გამოჩენილა. იგი ცხადია, დიდად წუხდა საქმის ასე შემოტრიალებას, მაგრამ კვლავ უღონოდ იგრძნო თავი.

ყიზილბაშების უზარმაზარ არმიას წინ საკაძე გადაუდგა და თავს მოახვია პარტიზანული ბრძოლები. ათი დღის განმავლობაში „დააგუბა მტერი“ და ქვეყნის სიღრმეში შეჭრის საშუალება არ მისცა. ხალხმა მოასწრო გახიზვნა. და კვლავ სრულად გამოავლინა თავისი შესაძლებლობები გიორგი საკაძემ, კვლავ „ზეადამიანური“ ენერგია გამოამჟღავნა დიდმა მოურავმა. იბრძოდა 60, 40, 20 კაცით. ყველგან ანადგურებდა მტერს, სადაც კი მისწვდებოდა. ერთ შეტაკებაში ლისთან სამოცი კაცით მტრის შვიდასი მოლაშქრე მოსპო. ამ ფაქტის გამო გაოცებას ვერ მალავენ მემატიანეები. აღარ იყო ქართლის დიდი ლაშქარი, მაგრამ იყვნენ მებრძოლთა რაზმები, რომლებიც საკაძის ხელმძღვანელობით სასწაულებს ახდენდნენ.

სულ მალე დიდი ბრძოლა გაიმართა.

როგორც ვიცით, ისახან ყორჩიბაშის ასული და სიძე ანდუყაფარ ამილახვარი არშის ციხეში იყვნენ გამოკეტილნი.

ყორჩიბაშმა თორმეტათასიანი ჯარი გაგზავნა მათ გამოსაყვანად. ჯარს საუკეთესო სარდლები გააყოლა. შაჰბენდე-ხანი, ხოსრო-მირზა და ყაზახ-ხანი. ყორჩიბაში შეუთანხმდა ზურაბ ერისთავს და ზურაბმა არაგვის ხეობით გაატარა ყიზილბაშები. ოღონდ ყიზილბაშები ქსნის ხეობით უნდა დაბრუნებულიყვნენ უკან.

სააკაძე მცირერიცხოვანი რაზმების ანაბარაა დარჩენილი. აქ კი დაკვირვებას ითხოვს იოსებ თბილელის სიტყვები „რა გაჭირდის, უკეთ შევძლი ასრე მჭონდა ბრძოლის ჩვევა“. საგანგებოდ უსვამს იოსებ თბილელი დიდი მოურავის ამ თვისებას ხაზს. ყველა კრიზისულ სიტუაციაში, რაც სააკაძის სამშობლოს და პირადად მას ადგა ხოლმე, დიდი მოურავი შეუძლებელს შეიძლებს და ქვეყანაც და თავისი თავიც კრიზისიდან გამოჰყავს ხოლმე.

წიწამურთან და ღართისკართან სააკაძემ სცადა ყიზილბაშების შეკავება, მაგრამ ბერისმეტად ჭარბობდა მტერი. სააკაძე უკუდგა და ქსნის ხეობით ჩამობრუნებულ ირანის ჯარს გაძლიერებული რაზმებით დახვდა. მას შეუერთდნენ ზურაბ ერისთავის ძმა გიორგი, იესე ქსნის ერისთავი და ქაიხოსრო მუხრან ბატონი, ქსანზე გაიმართა დიდი ბრძოლა. ბერი ეგნატაშვილი წერს: „შეკრეს ქსანზე გზები, დაუხვდნენ და ამოწყვიტეს ასე, რომე იმისთანა გამარჯვება არ თქმულა არს, მოსრეს ესრეთ, რომე ქსანი შეიღება სისხლითა და სისხლის ფერად დიოდა“.

ამასვე იმეორებს ვახუშტი ბაგრატიონი:

„მაშინ შეკრბნენ ერისთავი ქსნისა იესე და ძმა ზურაბ ერისთავისა გიორგი, რამეთუ ზურაბ ფიცისათვის არღარა ინება, და შეჰკრეს გზა ქსნისა და მოურავიცა დახუდა ქსნის ბოლოს, მოსრვიდნენ ყიზილბაშთა ესრეთ, რამეთუ ქსანი იქმნა, ვითარცა სისხლი. შეიპყრეს ხანი ყაზახისა და სულტანი სამი“.

პლატონ იოსელიანი:

„ქსნის ხეობის ვიწროებში მოურავის მიერ 15 კილომეტრის მანძილზე გამართული ხერგები სპარსელთა ლაშქრობას ყოველ ნაბიჯზე აფერხებდა, მოურავის ჯარი ყველგან ანადგურებდა სპარსელთა ჯარებს. აქ ყაზანის ხანი შაბანდა და განძისა და ყარაბახის ორი მფლობელი სულთანი მოჰკლეს,

შირვანის მფლობელი ყაზახი კი დაატყვევეს: მდინარე ქსანი მოკლულ სპასელთა სისხლმა გააწითლა და იმედგადაწყვეტილმა სპასელებმა სამი დღის განმავლობაში დიდი მსხვერპლის ფასად გაიწმინდეს გზა მუხრანის მინდვრებამდე".

დავაკვირდეთ ამ ფაქტს. ქსანზე მოპოვებულ გამარჯვებას ბერი ეგნატაშვილი გაუგონარ გამარჯვებას უწოდებს. „ასეთი გამარჯვება არა თქმულ არს". ქსანზე ფაქტიურად დაახლოებით იმდენივე ყიზილბაში დაიღუპა, რამდენიც მარაბდაში. და ეს შეიძლო სააკაძემ არა ქართლ-კახეთის გაერთიანებული ჯარით, არამედ შეკოწიწებული რაზმებით. მან სხვისგან შეუზღუდავად გამოიყენა თავისი სტრატეგია, თავისი ხერხები, ტაქტიკური სვლები და გამანადგურებელი შეტევები, რისი წყალობითაც უძნიშვნელო რაოდენობა დაკარგა მოლაშქრეებისა და დახოცა იმდენივე ყიზილბაში, რამდენიც მარაბდის ომში გაწყდა საერთოდ. ასევე საკუთარი ტაქტიკისა და საბრძოლო ხერხების წყალობით მოიპოვა მან არნახული გამარჯვება შვიდას კაცზე სამოცი კაცით ლისთან და აქ არ შეიძლება არ შევნიშნოთ სინანულნარევი საყვედურით: თუ არა თავადთა „სიბეცე-შეზღუდულობა", ქართველები, ცხადია, მარაბდის ომს არ წააგებდნენ და ამდენი ხალხიც არ დაეხოცებოდათ. ეს ფაქტია, ეს ხელისგულზე მდებარე სინამდვილეა. ამის საბუთია ლისის ეპიზოდი, ქსნის შეუდარებელი გამარჯვება, რომ არაფერი ვთქვათ, ტაშისკარისა და მარტყოფის ომების შინაარსზე.

დიდი მნიშვნელობისა იყო ის ფაქტი, რაც ქსნის ბრძოლამ დააკონკრეტა. მარაბდაში მტრის მიერ მოპოვებული უპირატესობა მართლაც „გაქარწყლდა". მტერს უკვე დაკარგული ჰყავდა ოცდაექვსი, იქნებ ოცდაათი ათასი კაციც. რადგან ის უამრავი წვრილ-წვრილი ბრძოლა, რისი წყალობითაც „დაგუბდა ათ დღეს" მტერი, უდანაკარგოდ არ ხდებოდა. ყიზილბაშთა ასეულები იმ „წვრილ" ბრძოლებშიც იღუპებოდნენ. საგანგებოდ ათქმევინებს იოსებ თბილელი სააკაძეს: „მკლავი დაგვიშვრა ხმლის ქნევით, გარდაყრითა და ხოცითა", ეს სწორედ იმ „ათი დღის" წვრილ-წვრილ შეტაკებაზეა თქმული.

სააკაძეს თავისი გეგმის პირველი ნაწილი აღსრულებული ჰქონდა. ყიზილბაშებს გასაქანი არ მისცა და აიძულა ქართლის აყრა-გადასახლების ნაცვლად თავის გადარჩენაზე ეზრუნა,

ქსნის ბრძოლის შემდეგ მართლაც წარმოუდგენელი იყო რაიმე სერიოზული ოპერაციის განხორციელება. ყორჩიბაში და ხოსრო-მირზა თბილისის ციხეში იყვნენ გამოკეტილნი და გარეთ გამოსელას ვერ ბედავდნენ. ისინი ეძებდნენ გზებს სააკაძის შესამუსრავად, მაგრამ სააკაძე მათზე მეტად ფხიზლობდა, თვით სინჯავდა ათას გზას ახალი ძალების მისაკვლევად, ხალხის დასარაზმავად, ყიზილბაშების საბოლოოდ გასატეხად.

ერთმანეთის პირისპირ იდგა ორი დიდი მეტოქე, შაჰის ირანი და გიორგი სააკაძის საქართველო. მარტყოფისა და მარაბდის ომებში იგი განახორციელებდა თავისი ხალხის ენერგიასა და შესაძლებლობებს. პასუხსაც მისი ხელმძღვანელობით აძლევდა ქვეყანა მრისხანე მტერს.

ქსნის ბრძოლამ საბოლოოდ გატეხა ყიზილბაშთა ძლიერება. ქართლ-კახეთის აყრა-გადასახლება რომ არ შეეძლო უკვე, ეს ცხადად დაინახა შაჰმა. საჭირო იყო პოლიტიკის შეცვლა. ამ მიზნით ქართლ-კახეთის დიდებულებს მიეფერა, საჩუქრები გაუგზავნა და შემოირიგა. სხვა სურათი იყო კახეთის აყრა-გადასახლების დროს. შაჰი მაშინ არავის და არაფერს არ ინდობდა, არავის შემორიგება და არავის დანდობა არ უფიქრია. შესწევდა ძალა და მოდიოდა ჯიქურ. ნიჰყავდა ყველა და მიჰქონდა ყველაფერი. ცის გულგვამს სწვავდა კახეთის გმინვა. მარტყოფმა შაჰს არმია გაუნადგურა, საკუთარი ძლიერების რწმენა შეურყია. მარაბდაში პირველ დღეს მწარე გამარჯვება ხვდა, შემდეგ მისმა არმიამ ათ დღეს ვერ დაძრა ნაბიჯი წინ, ბოლოს ქსნის ბრძოლამ ყველა უპირატესობა დააკარგვინა და შემტევი პოზიციებიდან თავდაცვაზე გადავიდა ირანის ლაშქარი. ყოველ ფეხის ნაბიჯზე თხელდებოდა ყორჩიბაშის არმია. სააკაძე კი არ ცხრებოდა. ამიტომ დაუყვავა შაჰმა დიდებულებს. თითქოს არასოდეს არ უფიქრია ქართლ-კახეთის აყრაზე, თითქოს სულ ქართველი კაცის ბედნიერებისათვის ზრუნავდა. თითქოს გუშინ არ ემუქრებოდა ამ თავადებსა და მათ ქვეყანას განადგურებით. თავადებიც ისე იქცეოდნენ, თითქოს მათ ქვეყანას კი არა, სააკაძეს ებრძოდა შაჰი. დააჯერეთ, რომ სააკაძე საქართველოში არ იმყოფებოდა, როდესაც შაჰი კახეთს სპობდა. შაჰის მხარეზე გადავიდა გავლენიანი თავადი, ბოქაულთუხუცესი ქაიხოსრო ბარათაშვილი. იგი

ადრე სააკაძის მხარეზე იბრძოდა ყიზილბაშების წინააღმდეგ. ახლა კი ბირთვისის აუღებელი ციხე-სიმაგრე მტერს დაანება და იქ ხუთასი ირანელი მოლაშქრე შეაყენეს.

ქართველების ერთმა ნაწილმა არასწორად შეაფასა შექმნილი ვითარება. რაკი შაჰმა უკან დაიხია და თავადობას მიეფერა, იფიქრეს, გულში ავი ზრახვანი აღარ უდევს და მშვიდობიანი ცხოვრება შესაძლებელი ხდებაო. სიმონ-ხანმა თბილელი ეპისკოპოსი დიონისე და მცხეთის სამთავროს მღვდელთმთავარი ტრიფილი გაგზავნა სააკაძესთან, ქართლი ნადგურდება და ბრძოლა შეწყვიტეო, სთხოვა.

უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ქართველი ხალხის ცხოვრებაში ეს ამბავი. ქვეყანა თითქოს დაძინებას ეპირება, იმდენად დაუკარგავს სიფხიზლე. თითქოს იმის შემდეგ, რაც მოხდა, კიდევ იყო შესაძლებელი შაჰის ნდობა! უნდათ ბრძოლა შეწყვიტონ და მოისვენონ. დღევანდელი მოსვენება ხვალ რომ მოსპობად დაუჯდებათ, ამაზე ნაკლებ ფიქრობენ. სააკაძემ კი იცის, რომ შუა გზაზე შეჩერება არ შეიძლება — სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ბოლომდე უნდა მიყვანა. მტერი უნდა გატყდეს, ხოლო ქვეყანამ თავისი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინოს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ნადირობა-გართობისათვის დროის მოსანახავად სურდეთ თავადებს ომის შეწყვეტა. აზავთდა ბედოვლათობის გენი და ქვეყნის დაქანცულობით ახსნეს ეს წინადადება. ქვეყანა ნადგურდება ამ ბრძოლებითო, ჩვენ ყიზილბაშების ბატონობას შეჩვეული ვართ და ნუ გვაბრძოლებთო. აღმაშფოთებელი წინადადებაა. სიმონ-ხანს მშვიდი მეფობა ენატრება, ქვეყანას აყრიან და გადაასახლებენ თუ არა, ამას არ დაგიდევთ, ოღონდ ტახტი და მეფური სადილები შეინარჩუნოს. ქვეყანას კი თავისი გზის გაგრძელება უნდა ეპოვნა, შუა გზაზე ბრძოლის შეწყვეტა მხოლოდ შაჰს აწყობდა, იგი ძალებს იკრებდა. ასე მოიქცა კახეთის წინააღმდეგ ბრძოლის დროსაც, მოადუნა სამეფო ყურადღება და ერთ მშვენიერ დღეს დააცხრა თავს. შაჰისა და ირანისათვის ქართლ-კახეთს სრული პასუხი უნდა გაეცათ. დაუნდობელ მტერთან შერიგება თვითმკვლელობას უდრიდა. ასე ფიქრობდა სააკაძე და ამიტომაც არ მიიღო სიმონ-ხანის წინადადება. მაგრამ თავადთაგან მიტოვებული საა-

კაძე იძულებული გახდა სხვაგან ეძებნა დამხმარე ძალები. სანამ ქართლს გაეცლებოდა, გაამაგრა კეხვის, კიკანათბერის, ალის, სურამის ციხეები, თავისი ერთგული ხალხი ჩააყენა. შემდეგ სააკაძემ სამცხეს მიაშურა, სადაც ცოლ-შვილი ჰყავდა გახიზნული.

მაგრამ ყორჩიბაშს უკვე აღარ შესწევდა ძალა ქართლის აყრისა და კახეთის გაჟლეტისა. იგი თავისი ჯარითურთ გავიდა ქართლიდან, დადგა ყარაბაღში. მას დავალებული ჰქონდა, აქედან ებრძოლა სააკაძესთან. ჯერ სააკაძის მოშორებაა შაჰის მიზანი, იგი ეღობება წინ. 1624 წლიდან სამცხე-საათაბაგოს ციხეები ირანელებს ეჭირათ. ამ ციხეებისაც ეფიქრებოდა შაჰს.

ადგილობრივი ფეოდალები — თანუნა დიასამიძე, დაუთბეგ გოგორიშვილი, როსტომ შალიკაშვილი, ელიზბარ და ბეჟან თათქირიძეები სააკაძეს ამოუდგნენ გვერდში და ირანელების წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა. სააკაძემ აიღო ხერთვისი, აწყური, ფარავანი: სელიმ-ხანი თავისი ჯარითურთ გავარდა ახალციხიდან და უბრძოლველად დაუთმო დიდ მოურავს. ყორჩიბაშმა სამცხეში გაგზავნა ჯარი სააკაძის წინააღმდეგ. სააკაძემ სასტიკად დაამარცხა ასპინძასთან ეს ჯარი. „კუალად წარავლინა ყორჩიბაშმან სპანი დასხმად მოურავისად; მისრულთა ყიზილბაშთა გარემოიცვეს ასპინძა. მაშინ მოურავი იყო ნადირობასა და მუნიდამ იხილა ასპინძა მოცული ყიზილბაშითა, მოეტივა მცირედითა კაცითა, უკუეთა და აოტნა ყიზილბაშნი და მოსწყვიდნა იგინი და მცირედი ივლტოდნენ“ (ვახუშტი ბაგრატიონი).

სააკაძე წუთსაც არ კარგავს. მთელი ეს ბრძოლები, რაზეც ზემოთ იყო საუბარი, 1625 წლის 1 ივლისიდან მოყოლებული, მარტყოფზე თუ არაფერს ვიტყვით, სულ რამდენიმე თვის განმავლობაში მოხდა.

დიდი მოურავი ცდილობდა თურქეთი დაეპირისპირებინა ირანისათვის. ამიტომ დახმარებისათვის მოუწოდა. ოსმალეთმაც არ დააყოვნა და სამცხის ციხეებში თავისი გარნიზონები შეაყენა. სულთანმა მურად მეოთხემ „წყალობის სიგელი“ გამოუგზავნა გიორგი სააკაძეს, აუხსნა თუ რატომ არ შეეძლო ახლა აქტიურად დახმარებოდა საქართველოს (იგი ბაღდადით იყო

დაკავებული), მაგრამ, სამაგიეროდ, მითითება მისცა ბათუმის ბეგლარ-ბეგს და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს, საააკაძეს მიშველებოდნენ. ისტორიკოსი სერგი ჯიქია, ვინც აღნიშნული სიგელი შეისწავლა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ დიპლომატიურ ნაბიჯს. და მართლაც ასეა, მიუხედავად მურად მეოთხის პასიურობისა, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმის ბეგლარ-ბეგისა და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების მოკავშირეებად შემოკრებას. ეს უკვე ნიშნავდა თურქეთის ჩათრევას ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში. დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს მურად მეოთხესთან მითითება ეძლეოდათ, საააკაძეს მხარში ამოდგომოდნენ, რასაც სხვა შემთხვევაში თავისი სურვილით ვერ გადაწყვეტდნენ. რას ვიზამთ, დასავლეთ საქართველო ვალდებული იყო თავისი პოლიტიკა ოსმალეთის სულთნისათვის შეეთანხმებინა. ამ სიგელის მიღებამ საააკაძეს საშუალება მისცა თავისუფლად ემოქმედა დასავლეთ საქართველოში. მან იმოგზაურა იმერეთსა და სამეგრელოში. მოლაპარაკებამ წარმატებით ჩაიარა. საააკაძემ მიიღო საფიცრის წიგნები, იმერთა მეფის ასული ხვარამზე ავთანდილზე დაინიშნა.

დიდი მოურავი ამის შემდეგ ქართლში გადმოვიდა. თავის გამაგრებულ ციხეებს დახედა და მეციხოვნეები გაამხნევა. ამ დროს მას ცნობა მიუვიდა თბილისის ციხეში ყიზილბაშების გარნიზონი შემცირებულიაო. საააკაძემ შეუმჩნეველად განვლო მთელი ქართლი და თბილისის ახლოს დადგა. უნდოდა მოულონელად დასცემოდა თბილისს და აეღო. მტერმა როგორღაც იგრძნო მისი მოახლოება და სასწრაფოდ გამაგრდა ციხეში. მივაქციოთ ამ ფაქტს ყურადღება. საააკაძის შიშით ყიზილბაშები გარეთ ვერ გამოდიან. ქვეყნის აყრაზე ოცნებაც კი არ შეიძლება. საააკაძემ სამცხე წაართვა ირანს. ქართლ-კახეთის ციხეების დიდი ნაწილი ქართველებს უჭირავთ. ყორჩიბაში ქართლში ვერ გამაგრდა და ყარაბაღს მიაშურა. შევუდაროთ ეს მდგომარეობა კახეთში შაჰის ჯარების მაშინდელ პარპაშს და დავინახავთ, რა დღეში ჩაუგდია მტერი დიდ მოურავს.

საააკაძე სამცხეში დაბრუნდა და ზამთარი იქ გაატარა.

ამ დროს კი ქართლში ერთმანეთს დაერივნენ დიდებულები.

ვახუშტი ბაგრატიონი გულისტკივილით მოგვითხრობს ამის შესახებ.

იესე ქსნის ერისთავმა და ანდუყაფარ ამილახვარმა ღალატნელთა გვარი მთლიანად ამოჟლიტეს. ზურაბი მთას ავიწროებდა.

სააკაძე გაზაფხულზე (1626 წელი) ქართლში გადმოვიდა და პირველად გორი აიღო, შემდეგ შიდა ქართლი ყიზილბაშებისაგან გაწმინდა. ქაიხოსრო ბარათაშვილს კაცი მიუგზავნა, რად განმიდექ და ყიზილბაშები ბირთვისს რად შეიყვანეო. მოსთხოვა მტერი ბირთვისიდან გამოეყვანა. ქაიხოსრომ უარი თქვა. სააკაძემ მთელი ღამე იარა ჯარით, დილით მოულოდნელად შეიპყრო ტბისს ქაიხოსრო და აიძულა ბირთვისიდან ყიზილბაშები გამოეტყუებინა. ხუთას ყიზილბაშს მოსწრა იმ დღეს თავი სააკაძემ. შემდეგ ქვემო ქართლის ციხეები აიღო. მტერი თავზარდაცემული გარბოდა საქართველოდან. სომხითის (ქვემო ქართლის) მმართველები მელიქ-ათაბეგი და ზაქუმ ყიზილბაშებს ეშორჩილებოდნენ. სააკაძე მათ წინააღმდეგ გაეშურა. მელიქები ლორეს ციხეში ჩაიკეტნენ. დიდმა მოურავმა აიღო ციხე, დიდძალი ტყვე და ქონება იგდო ხელთ, მათ შორის მელიქების ცოლ-შვილი. მელიქებმა საიდუმლო ხვრელით გაასწრეს. ყიზილბაშებს მხოლოდ თბილისის ციხე დარჩათ.

სააკაძე მიუხტა შამხალისა და დაღესტნის ფეოდალებს, ისინი ყიზილბაშებს როდი ჩამორჩებოდნენ ქართლ-კახეთის აოხრებაში. სასტიკად გაანადგურა სააკაძემ ეს მხარე და ამის შემდეგ კარგა ხანს ვერ ბედავდნენ თარეშს ლეკები.

ირანის ჯარებს ქართლ-კახეთში არ ედგომებოდათ. მათ უჩვეულო წინააღმდეგობა დაინახეს და უკან დაიხიეს. უკან დაიხია შაჰ-აბასმა, უკან წაიღო ირანმა ქართლ-კახეთის აყრის ვერაგული გეგმა.

ზემოთ ისტორიული წყაროებიდან და ისტორიკოსთა ნაშრომებიდან ამოკრებილი ცნობებით აღვადგინე სააკაძის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხის მიერ გადახდილი ბრძოლების სურათი. ეს გახლავთ უანტრაქტო, გამანადგურებელი ბრძოლების ციკლი. საოცარი ენერგია გამოვლინდა ამ ბრძოლებში. ყველაფერი ხომ გათვალისწინებული იყო მტრის მიერ. ქართველთა ვაჟკაცობაც, შესაძლებლობანიც, ხასიათის მინუსიც.

მაგრამ არა, ქვეყნის ენერგიის მასშტაბები ასეთ ანგარიშს არ დაემორჩილა. გაჭირვების ჟამს იგი იმდენ ენერგიას გამოსცემს, რამდენიც საჭიროა ღირსეულად დგომისათვის. იქნებ არ იყოს შემთხვევითი, რომ სააკაძეს ათქმევინებს პოეტი ამ სიტყვებს: „რა გაჭირდის უკეთ შევძლი, ასრე მქონდა ბრძოლის ჩვევა“. ყველაზე დიდი შეჭირვებისას სწორედ მას ხვდა წილად ხსნა ქვეყნის, თვითონაც არნახულად მძიმე მდგომარეობაში მყოფს უნდა გაეკეთებინა ეს. 1625 წლის 25 მარტიდან ამავე წლის დასასრულამდე სააკაძემ გაიღო ზეადამიანური ენერგია, თანაც აუცილებელი შეიქნა დროის ამ უმცირეს მონაკვეთში გაეღო ეს უზარმაზარი ენერგია. და სააკაძემ მტერს ერთბაშად დაუდასტურა ქვეყნის შესაძლებლობები. გაოცებულია ირანი, გაოცებულია ოსმალეთი (ისქანდერ მუნში, იბრაგიმ ფეჩევი...).

აქ ერთი მთავარი მომენტია გასათვალისწინებელი: მოღალატე, ეგოისტი, ქვემძრომი, ორგული, კარიერისტი... ქართველი კაცის დამღუპველი ეს თვისებები „რა გაჭირდის“ ჟამს გაქრა ხასიათიდან და მაღლა ამოვიდა სრული თავგანწირვის უნარი, ერთ ძალად გაერთიანების სურვილი.

აქვე მეორე თვისებაც დადასტურდა. საკმარისი შეიქნა განადგურების საფრთხის ჩავლა მარტყოფის აჯანყების შემდეგ, რომ გაუფრთხილებლობა, დაუდევრობა აფოფინდა ისევ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გაკვეთილი არაფერს გვასწავლის.

მალე შემოეცალნენ სააკაძეს დიდებულები და იგი, ცეცხლოვანი ნერვი ერის ორგანიზმისა, ანთებულ მაშხალასავით ფეთქს და იწვის. მარაბდის ომის ეპოპეა ყველაფერს ამბობს — ეს ქვეყნის გადარჩენის ნიჭის გამომზეურებაა. რა თვისებებია, რა შესაძლებლობები! სააკაძის მიერ წარმართული ამ ბრძოლის სტრუქტურა მტერს ქვეყნის დაპყრობის სურვილს უსპობს, გაცლაზეღა ფიქრობს მტერი.

ისტორიკოს ნოდარ შენგელიას წყაროების შეჯერებით დაანგარიშებული აქვს, რომ 1625 წლის 25 მარტიდან ამავე წლის ბოლომდე ირანმა საქართველოში მოკლულთა სახით დაკარგა 60-70 ათასი ჯარისკაცი. ეს უდრიდა ირანის რეგულარული არმიის ნახევარზე მეტს. ორმა გენერალურმა ომმა ორჯერ დაამსხვრია ირანის არმია, და ეშვის ქვეშ დააყენა შა-

ჰის ძლიერება. ეს მარტყოფის ომში პირველმა დიდმა დამარცხებამ დაანახვა მთელ აღმოსავლეთს. შაჰს იმედი ჰქონდა, რომ „საღვთო ომით“ აღადგენდა წონასწორობას და ბოლომდე მიიყვანდა ქართლ-კახეთის აყრის საქმეს. მარაბდაში პირველმა გამარჯვებამ მას ეს იმედი გაუძლიერა, მაგრამ ქსნის ბრძოლამ საბოლოოდ გააბათილა წარმატება, შემდეგ კი სააკაძის მიერ ირანის ჯარების გარეკვამ წერტილი დაუსვა ერთ დიდ საქმეს: „...მტერმა თავისი ძირითადი ამოცანის შესრულება — ქართლ-კახეთის გაწყვეტა და აყრა — მაინც ვერ შეძლო. შაჰ-აბასის საშინელი განზრახვის ჩაშლაში უდიდესი როლი შეასრულა სააკაძის მიერ შესანიშნავად ორგანიზებულმა მარტყოფის აჯანყებამ, ასევე იმ დიდმა ზარალმა, რომელიც მტერს მარაბდაში და შემდეგ ქსნის ხეობაში მოუვიდა“ (გივი ჯამბურია). დიახ, გაირკვა მნიშვნელოვანი პრობლემა, იგი ყოველი მხრივ განათდა, როგორც შაჰისათვის, ასევე ქართველთათვის. კახეთის აყრამ შაჰს რწმენა ჩაუნერგა, რომ ქართლსაც აყრიდა და კახეთის გადარჩენილ მოსახლეობასაც გაწყვეტდა. კახეთის აყრით დათრგუნვილი იყო ქართველთა ბუნება. ისინი ძრწოლვით ფიქრობდნენ, აყრას ვერ გადაეურჩებითო. ახლა კი, ამ დიდი ომების შემდეგ, როდესაც სააკაძის ხელმძღვნელობით ქვეყანამ ამოდენა ენერგია გამოვალინა, შაჰმა სულ სხვა ირწმუნა: ქართლ-კახეთის აყრა აღემატებოდა ირანის ძალებს. ამაოდ ესწრაფოდა თურმე ამას. იგი უნდა დაბრუნებოდა ცბიერ პოლიტიკას — ქართლ-კახეთის თანდათანობით გამუსულმანების პოლიტიკას. ქართლ-კახეთმა კი ირწმუნა, რომ მისი მოსპობა ირანს არ შეეძლო.

გაერთიანებული ქართლ-კახეთის სათავეში კვლავ თეიმურაზს ვხედავთ. იგი სააკაძის მიერ წარმოებული ბრძოლებით იმედმოცემული თავის ქვეყანაში დაბრუნდა.

ბუნებრივია, ამ ბრძოლებმა უსაზღვროდ გაზარდეს სააკაძის ავტორიტეტი. მისი სახელი ქვეყანას პირზე ეკერა, მას ქართლის „მპყრობელ მოურავ-ხანს“ უწოდებდა სულთანი, მოუდის ელჩები, იგი მართავს ქვეყნის პოლიტიკას. მაგრამ არ ისვენებს „მოშურნეთა“ ენა. იგი რიგითი თავადია, დიდებულიც კი არ არის. ქვეყნის ხსნის გზაზე არავინ უშლიდა ხელს, მაგრამ როგორც კი საფრთხემ ჩაიარა, მაშინვე დაიწყო შეთქმუ-

ლთა მზადება. მათ უნდათ თეიმურაზ პირველი სააკაძეს დაუპირისპირონ. თეიმურაზი კი პატივმოყვარე იყო, ცხოვრებამ იგი ეჭვიანი გახადა. ორი შვილი დაუსაპყრობისეს, დედა უწამეს, სულ თავშესაფრის ძებნაში იყო, ყველგან მტერი და ღალატი ეჩვენებოდა. კათოლიკების ერთი მისიონერი წერს: „ის სულ სხვა კაცად შეიცვალა: ყველას მტრად გადაეკიდა, თავის ქვეშევრდომებს სასტიკად ეპყრობოდა. ახალი ხარკი გააწერა და ყველაფერს ძალითართმევდა; მისთვის სამართალი აღარ იყო, თავის კანონად თავისი სიხარბე და ჟინი გაიხადა".

სავსებით გასაგებია თეიმურაზის ავადმყოფური ეჭვიანობაც და ხასიათის შეცვლაც. იგი ღირსია შთამომავალთაგან თანაგრძნობისა, მაგრამ ამგვარი თვისებებით ქვეყნის მეფედ ყოფნა ყოვლად წარმოუდგენელია. აკი ადვილადაც. შეიძლეს მისი დაეჭვება, იმოქმედეს იმის პატივმოყვარეობაზე და წაკიდეს მოურავს. თეიმურაზი ვერ იტანდა სააკაძის განდიდებას, მის უსაზღვროდ დიდ სახელს.

მეფემან პირად არ ბძანა, გულშიგან შექმნა წყენანი:
„როდესაც არის, იქნების ამის სისხლისა დენანი;
მე მეფე, ამას-საბელი, ხვანთქართან თავის ჩენანი,
ქართველთა ასე დახვევა, ზოგთ ზავთით შესანანი!"

რაც შეეხება დიდებულებს:

„ერთი ჯგუფი დიდებულებისა და თავადებისა, — წერს ისქანდერ მუნში, — მასზე უფრო მაღალი გვარისა იყო. მათ სძაგდათ მოურავის ბატონობა და უფროსობა".

მტერიც კი სწორად ხედავს სააკაძესთან დაპირისპირების ნამდვილ მიზეზებს.

იქნებ სააკაძეც გამომწვევად იქცეოდა, როდესაც ქართლს ფაქტიურად ის მართავდა, როდესაც ელჩებს გზავნიდა მეფესთან შეუთანხმებლად, ეთათბირებოდა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს. ყველაფერი ეს თეიმურაზის, როგორც მეფის, უგულებელყოფას ნიშნავდა.

მაგრამ რა უნდა ექნა სააკაძეს, თუკი თეიმურაზი გაეცალა ასპარეზს და ქვეყნის ბედი მის ხელთ იყო. ამ მიზნის აღსრულებისათვის თვითონვე უნდა დაემყარებინა პოლიტიკური ურთიერთობა მეფეებთან და მთავრებთან. რა ექნა, თუკი ხედავდა თეიმურაზის, როგორც მეფის, სისუსტეს.

სწორედ ამ პერიოდში სააკაძეს ცნობა მიუვიდა, მეფე ღალატით მოკვლას გიპირებსო. ეს ამბავი მოთხრობილია „დიდმოურავიანის“ შესავალში. გაოცებულმა სააკაძემ არ დაიჯერა ეს ხმა. შემდეგ ისევ გააფრთხილეს. იგი მიჩვეული იყო უმადურობას და მზადყოფნას ამჟღავნებდა, მაგრამ ასეთ უმადურობას კი არ მოელოდა. მან ავალიშვილი დომენტი მიუგზავნა მეფეს და შერისხვის მიზეზი ჰკითხა. მეფემ იუარა, ჩემს ერთგულ კაცზე ამას როგორ ვიფიქრებდიო. თანაც შეუთვალა, ქვეყანამ იცის, ლუარსაბის სისხლი ‘შენ რომ გაწევს ცოდვად, მაგრამ მაინც არაფერს გერჩიო. ცხადია, ასეთმა პასუხმა სააკაძეს აგრძნობინა თეიმურაზის მტრული განწყობილება და ისიც, რომ შეთქმულება მართლაც არსებობდა. სააკაძეს, მართალია, ლუარსაბი გულზე არ ეხატა წავკისის ტრაგედიის შემდეგ, მაგრამ იგი მას მაინც არ დაუღუპავს. კახეთის უბედურებამ დიდ მოურავს შაჰის სახე დაანახვა და ლუარსაბთან მტრობას მოეშვა. ლუარსაბი შაჰს შადიმან ბარათაშვილმა ჩაუგდო ხელში. მაგრამ ახლა ხალხში თავის დროზე დარხეული ჭორი თეიმურაზმა სააკაძის წინააღმდეგ გამოიყენა. სააკაძემ კავშირი გაწყვიტა თეიმურაზთან. ეს უკანასკნელი კახეთს გადავიდა, სააკაძემ ქართლის მმართველად ქაიხოსრო მუხრან ბატონი დანიშნა. გამგებლად და არა მეფედ! მან დაიწყო ახალი მეფის ძებნა.

მე ვერ დავეთანხმები ვარაუდს იმის შესახებ, თითქოს უთანხმოება სააკაძესა და თეიმურაზს შორის მას შემდეგ ჩამოვარდნილიყოს, რაც სააკაძემ ყიზილბაშები ქართლ-კახეთიდან გარეკა და თეიმურაზი ისევ მოიწვია ტახტზე. ე. ი. 1626 წლის ზაფხულიდან. თითქოს სააკაძის განდიდებამ, ელჩების დაგზავნამ, „თავის ჩენამ“ განარისხა თეიმურაზი. არა, თეიმურაზსა და სააკაძეს შორის უთანხმოება ჩამოვარდა მარაბდის ომის წინა დღეს — სამხედრო თათბირზე.

სულ სამი თვის გადახდილი ჰქონდა სააკაძეს მარტყოფის ომი.

მან გაანადგურა შაჰის არმია, გაათავისუფლა ქართლ-კახეთი და ტახტზე მოიწვია თეიმურაზ მეფე, ვინც რუსეთს გასამგზავრებლად იყო გამზადებული. თეიმურაზი რუსთა მეფის კარზე ეძებდა დახმარებას. იმედგადაწურული ჩანს იგი,

სხვაგვარად აუხსნელია ასე შორს დახმარების ძებნა, თეიმურაზი ხომ კარგად ხედავს, რუსეთს რეალური დახმარების აღმოჩენა სიშორის გამო უჭირდა. მაინც ცდიდა ბედს. 1618 წელს მას ჩაეშალა სულთნის არმიასთან ერთად ირანის დამარცხების გეგმა. ოსმალეთი მეტად აღარ ეიმედებოდა. ფაქტი ერთია, — თეიმურაზი უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ დროს მოუვიდა სააკაძისაგან კაცი. სააკაძე მას ქართლ-კახეთის ტახტზე იწვევდა. სააკაძემ გაანადგურა შაჰის არმიის სახით თეიმურაზის მტერი, ვინც კახეთი დაანგრია, მიწასთან გაასწორა ქვეყანა, გაუნადგურა თეიმურაზს პირადი ცხოვრება, შეიწირა მისი დედა და შვილები. ქვეყნის საერთო მტერი ხომ თეიმურაზის მტერი იყო ამავე დროს! ახლა სააკაძემ ზურაბი— ქართლის ერთ-ერთი ძლიერი ფეოდალი დაამოყვრა თეიმურაზს ქვეყნის გამტკიცების მიზნით, შვილზე მგლოვიარე დიდი მოურავი სამი თვის განმავლობაში გამალებით ემზადებოდა შაჰის ახალი არმიის დასახვედრად. და აღმოსავლეთის უძლეველი სარდალი, ვისი იმედითაც გადაწყვიტა თეიმურაზმა გენერალური ომის გამართვა, ვისი იმედითაც არ გაიქცა იმერეთში ჩვეულებისამებრ, მთავარსარდლად არ დანიშნეს. ეს კიდევ არაფერი. თეიმურაზმა არც მთავარსარდლად დანიშნა იგი და არც მისი გონივრული გეგმა მიიღო. თითქოს მის ჯიბრზე მიიღეს ნაჩქარევი შეტევის გეგმა, სააკაძის მოწინააღმდეგე სარდლების მიერ შემოთავაზებული გეგმა, იმ სარდლებისა, ვისაც სააკაძის ჩამოსვლამდე საშუალება ჰქონდათ თავიანთი ნიჭიერება დაემტკიცებინათ ქვეყნისათვის და ვერ დაამტკიცეს ეს ნიჭიერება, ვერ დაიცვეს ქვეყანა განადგურებისაგან. უთანხმოება თეიმურაზსა და სააკაძეს შორის, ცხადია, ამ წუთებიდან დაიწყო. ეს გახლდათ გაუგონარი უმადურობა ქვეყნის მესვეურთა მხრივ. გარდა ამისა, გაირკვა მეფის პოზიცია. სააკაძემ დაინახა, რომ მეორდებოდა ლუარსაბ მეფის ისტორია. თეიმურაზიც ვერ აფასებდა რეალურად ძალებს. ისიც სააკაძის მტრების მხარეზე იხრებოდა. წარმოუდგენელია, ამის შემდეგ სააკაძე თეიმურაზ I პატივისცემით ყოფილიყო გამსჭვალული. იგი მიხვდა, რომ მწარედ მოტყუვდა მეფის არჩევანში. თუმცა არც ჰქონდა სხვა გზა. თეიმურაზი კახეთის კანონიერი მეფე იყო და მისი გვერდის ავლით სხვა მეფის ტახტზე

დასმა ქვეყანას კიდევ უფრო არევდა. ამიტომ ნაცადი სარდლის, სპარსელების დაუძინებელი მტრის მეფედ მოწვევა გონივრულ ნაბიჯად ეჩვენებოდა. ახლა კი თეიმურაზი აშკარად არ ჩანდა სასურველი მეფე. მარაბდის ომში, როგორც ყველა წყარო გვიმტკიცებს, სააკაძეს წყენა არ გამოუხატავს. მან იცოდა, როგორი საფრთხის წინაშე იდგა მისი ქვეყანა და როგორ იომა, რა შემართებით, როგორ დაჩრდილა ყველა თავის ირგვლივ, ეს ცხადად ჩანს ბევრი წყაროდან და უპირველეს ყოვლისა, ბერი ეგნატაშვილის ზემოთ მიტანილი ცნობიდან.

შემდეგ კი ქვეყნის ბედი კვლავ სააკაძის ხელთ აღმოჩნდა. იგი იქცა ირანელთა წინააღმდეგ გამართული დიდი და მცირე ბრძოლების სულისჩამდგმელად. და მის წინაშე გადაიშალა ქართლ-კახეთი, როგორც უზარმაზარი ასპარეზი. აქ კი რა ენერგია, რა ნიჭი და შესაძლებლობები გამომაჟღავნა, ამის შესახებ უკვე ვიცით.

ყიზილბაშების გარეკვის შემდეგ, 1626 წლის ზაფხულიდან, როგორც კი შესაძლებელი გახდა თეიმურაზ პირველის ტახტზე დაბრუნება, ეს უთანხმოება მალე გამოვლინდა. მართალია, ეჭვიან და პატივმოყვარე თეიმურაზს არ უყვარდა განდიდებული სააკაძე, მაგრამ არც სააკაძე მიიჩნევს მას უკვე სასურველ მეფედ. თუმცა, ეტყობა, სააკაძეს მარაბდის ომის შემდეგ ისევ გაუჩნდა იმედი თეიმურაზის შემობრუნებისა, რამდენადაც მეორედ ავიდა ტახტზე მისი წყალობით ტანჯული მეფე. მაგრამ ეს იმედი არ გაუმართლდა და ერთ მშვენიერ დღეს საშინელი ცნობაც მიიღო.

ასეა თუ ისე, წინააღმდეგობა, თანაც აშკარა წინააღმდეგობა, მარაბდის ომის წინა თათბირზე დაიწყო და სააკაძეც ამ დღიდან მოყოლებული ფიქრობს სასურველ მეფეზე. როდესაც თეიმურაზთან საბოლოოდ გაწყდა ურთიერთობა, მან არჩილის ცნობით, „მეფე გიორგის სთხოვა“ შვილი ალექსანდრე ქართლის ტახტზე დასასმელად.

როგორც ვხედავთ, სააკაძე გამუდმებით ეძებს მეფეს — სასურველ მეფეს! ლუარსაბმა არ გაუმართლა, შაჰის კარზე ხოსრო-მირზა წამოსწია, სურდა, იგი დაესვა ტახტზე. შემდეგ დატრიალებულმა ამბებმა დაარწმუნა, რომ ხოსრო-მირზას გამეფება უფრო შაჰის სასარგებლო იქნებოდა, ვიდრე ქვეყნისა

და ერთხანს იმერთა მეფის შვილის დასმას აპირებდა ტახტზე (ბაადურ ციციშვილისთვის მიცემული „საფიცრის წიგნი"!), აჯანყების შემდეგ უმჯობესად ჩათვალა თეიმურაზი მოეწვია. ბოლოს კი კვლავ იმერთა მეფის კანდიდატურა!

საკუთარ პატივმოყვარეობასა და ეჭვებს აყოლილი თეიმურაზი უსმენდა „ქვეყნის არევის მოყვარულ ხალხს" და უპირისპირდებოდა კაცს, ვისი წყალობითაც ავიდა ორჯერ ტახტზე.

მართლდებოდა ძველი სიბრძნე — მეფეები ჰკვიან ხალხს თავის ახლოს ვერ ითმენენო. მით უმეტეს მეფეზე უფრო დიდი სახელის მქონე კაცს ვერ მოითმენდა თეიმურაზ I. სააკაძეს კი იმოდენა სახელი ჰქონდა, რომ ტენდენციური მემატიანეებიც ვერ მალავენ მის უპირატესობას.

სააკაძემ თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ გადაწყვიტა გაემართა სამოქალაქო ომი. ამ თვალსაზრისითაც გავადევნოთ თვალი მის ბიოგრაფიას. 1612 წელს წავკისის ტრაგედიის შემდეგ სააკაძე, ვისაც შეეძლო არაგვის ერისთავის ჯარითა და მომხრე ხალხის დახმარებით ბრძოლა გაემართა ლუარსაბისათვის, უარს ამბობს ამ ნაბიჯზე. ფიქრობს სხვაგვარად შემოუაროს საქმეს. თუკი 1626 წელს შეიძლო ჯარი მოეკრიბა თეიმურაზის წინააღმდეგ, მაშინაც შეძლებდა. ახლა ზურაბი თეიმურაზის მხარეს დგას, მაშინ კი ნუგზარი მის გვერდით იდგა. გიორგი სააკაძემ არ მოკლა თვით კოლტაურიც კი, ვინც გზაზე გადაუდგა და შეპყრობა ეწადა. აქაც კი შეიკავა თავი თანამემამულეების უმადურობით განრისხებულმა. გიორგი სააკაძემ სამაგიერო არ გადაუხადა არც ერთ თავის მტერს, თვით ქაიხოსრო ჯავახიშვილსაც კი, ვინც ამდენი უსიამოვნება დაატეხა თავს. არც ფარსადან ციციშვილს, ვინც ჯარი მისცა ქაიხოსრო ჯავახიშვილს სააკაძის მოსაკლავად. ეს კიდევ არაფერი: მისი შიშით იმერეთისაკენ გაქცეულ ქაიხოსრო ჯავახიშვილს კაცი დაადევნა, დაამშვიდა, დაარწმუნა არაფერს გერჩიო და თავისსავე მამულში დააბრუნა. მეორეჯერაც აპატია ქაიხოსროს თავდასხმა...

ახლა კი მის წინაშე გარდუვალობად აღიმართა სამოქალაქო ომი.

ბაზალეთის ბრძოლას ხშირად უწოდებენ ძმათა სასაკლაოს, ძმათაშორის ომს, საქართველოს სირცხვილს, ის კი გვავი-

წყდება, რომ მსგავსი სამოქალაქო ომები უამრავი იცის კაცობრიობის ისტორიამ, რომ მსგავსი სამოქალაქო ომებით ამაყობს საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, იტალიის, საბერძნეთისა თუ სხვა ქვეყნების ისტორია. უნდა ითქვას, რომ ბაზალეთის ომი ისევე აუცილებელი იყო საქართველოსათვის, როგორც მარტყოფის, მარაბდის ომების გადახდა შეიქნა აუცილებელი. სამოქალაქო ომში ირკვევა ერის ორიენტირი, პოზიცია, პრინციპები. როდესაც ქვეყნის შიდა ძალები სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდებიან ერთმანეთს თავიანთი მიზნებით, ეს დაპირისპირება უნდა მოხსნას სამოქალაქო ომმა. რადგან თუ გაუთავებლად ერთმანეთს მხოლოდ ეწინააღმდეგება მოპირდაპირე ძალები, ქვეყანა ვერასოდეს გაიმართება წელში, რათა გარეშე მტრისათვის ღირსეული პასუხის გაცემა შეიძლოს. ასეთ დროს ქვეყანა ჩათრეულია გამუდმებულ წინააღმდეგობაში, მისი ძალები ამ წინააღმდეგობით არის დაბანდებული და შესაძლებლობის უმცირეს ნაწილსღა თუ ავლენს. ეს წინაღმდეგობა სამოქალაქო ომმა უნდა მოხსნას. კარგია, თუ უომრად მოიხსნება იგი, სისხლის დაუღვრელად. ძალთა დაუკარგავად, რადგან სამოქალაქო ომი, როგორც ცნობილია, ყველაზე არაადამიანურია თავისი არსით. წინააღმდეგობის მშვიდობიანი გზით მოხსნა რამდენჯერმე სცადა სააკაძემ. ეს წყაროებიდან ვიცით.

მაგრამ თუ წინააღმდეგობის მშვიდობიან გზით მოხსნა ვერ ხერხდება? აი, ამ დროს ხდება აუცილებელი, სამწუხაროდ, სამოქალაქო ომი. თუკი პროგრესული ძალები გაიმარჯვებენ, მაშინ სამოქალაქო ომი ტრაგიკულად არ განიცდება. არავინ თელის სირცხვილად სამოქალაქო ომს. ეს ისტორიაა, ეს წარსულია, რაც იმ სამოქალაქო ომების წყალობითაც ვითარდებოდა. რატომ უნდა მიგვაჩნდეს ჩვენ სირცხვილად ის, რაც სირცხვილად არ მიაჩნიათ განვითარებულ ქვეყნებს, როდემდე უნდა ვზომავდეთ პროვინციული საზომებით ჩვენი წინაპრების ნაბიჯებს. ძმათაშორისი ომი ჰქვია სამეგრელო-იმერეთის, ქართლ-კახეთის, გურია-სამეგრელოს... ერთმანეთში კინკლაობას, რასაც დიდი საგანი არ ედო მიზეზად. ბაზალეთთან კი ორი დასის პოზიცია შეეჯახა ერთმანეთს. ეს ბრძოლა ქვეყ-

ნის პოზიციის გარკვევას სჭირდებოდა. აქიტომ ბაზალეთი ძმათა სასაკლაო არ არის, არც საქართველოს სირცხვილია იგი.

ბაზალეთის ომი მარტო იმიტომ კი არ არის უბედურება, რომ აქ ქართველები შეეტაკნენ ერთმანეთს, არამედ იმიტომაც, რომ ამ ომში დიდი მოურავი დამარცხდა და „ჩაიშალა ის დიდი საქმე, რომელსაც სააკაძემ თავისი უსარმაზარი ენერგია შეალია და ურომლისოდაც საქართველოს განთავისუფლება-გაძლიერება შეუძლებელი იყო“ (ნიკო ბერძენიშვილი).

სააკაძე, ვინც აქამდე თავის მტრებთან შერიგების გზებს ეძებდა, ახლა მიდის მტკიცე გადაწყვეტილებამდე — გაარკვიოს, ვისთან იქნება ქვეყანა.

ამიტომ ბაზალეთის ომის მიზეზი განსხვავებულია. მას დიდი მიზანი აქვს. სააკაძე იმერთა მეფისა და სამცხის ჯარს დაეყრდნო. თეიმურაზი კახელების, ზურაბ ერისთავისა და ყიზილბაშების დახმარებით იბრძვის.

სწორად შენიშნავენ მწერალი გიორგი ციციშვილი და ისტორიკოსი ნოდარ ნაკაშიძე, რომ ბაზალეთის სამოქალაქო ომის მსგავსი ბევრი იცის კაცობრიობის ისტორიამ, რომ ამ ომში სამარცხვინო არაფერია. მაგრამ, იცავენ რა თეიმურაზ I, როგორც პოეტის მემკვიდრეობას — კლასიკური მემკვიდრეობის დაცვის მიზნით, ისინი თავის მხრივ არ უფრთხილდებიან მეორე მემკვიდრეობას, ასევე წარსულის დიდ მემკვიდრეობას და რამდენიმე არასწორ შეხედულებას გამოთქვამენ ბაზალეთის ომთან დაკავშირებით. ცხადია, ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ მემკვიდრეობას და თუ მრავალტანჯული თეიმურაზის ბიოგრაფიას ვიცავთ, ეს დაცვა საკაძის სახელის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. სააკაძის სახელს ასე ადვილად და იოლად არ უნდა შევბედოთ, ხოლო თუ შევბედავთ, მაშინ მოვალენი ვართ მყარი არგუმენტები წარმოვადგინოთ. თორემ უნებურად გამოუსწორებელ შეცდომას დავუშვებთ.

აქამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ ბაზალეთის ომში გიორგი სააკაძე გამოდიოდა ქვეყნის პროგრესული ძალების წინამძღოლად და მისი დამარცხება სწორედ ამიტომ ითვლება ტრაგიკულად. აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ზემოთ მოტანილი დასკვნაც ამას გვეუბნება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, რომელიც რვა

ტომად გამოდის და რომელიც აჯამებს საქართველოს ისტორიოგრაფიის ყველა ძირითად შეხედულებასა და კონცეფციას, სწორედ ნიკო ბერძენიშვილის მითითებულ აზრს ეყრდნობა და იმეორებს. აქ ნათქვამია, რომ „ამ ბრძოლაში ფაქტიურად სააკაძის მოწინააღმდეგე დიდმა ფეოდალებმა გაიმარჯვეს“. მაშასადამე, სააკაძის დამარცხებით ჩაიშალა საქართველოს გაძლიერება-გაერთიანების საქმე, გაიმარჯვეს დიდმა ფეოდალებმა. როდესაც საქართველოს ისტორიის ნარკვევებში ასეთი შეფასებაა შეტანილი, აუხსნელი მეჩვენება გიორგი ციციშვილისა და ნოდარ ნაკაშიძის შემდეგი მტკიცება: „ობიექტურად კი ბაზალეთის ომების შედეგი დადებითი აღმოჩნდა: ბაზალეთის ომში თეიმურაზის გამარჯვების შედეგად ქართლ-კახეთი გაერთიანდა ერთი მეფის ძალაუფლების ქვეშ, რასაც მოჰყვა ჯერ შაჰ აბასის, შემდეგ კი შაჰ სეფის მიერ თეიმურაზის ფაქტიურად და იურიდიულად ცნობა გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე. ეს კი მოასწავებდა ირანის უკან დახევას საქართველოს საკითხში და ჩვენი ქვეყნის გადაშენება-გადასახლების გეგმისაგან დროებით მაინც ხელის აღებას“.

ამ მოსაზრებებში რამდენიმე უზუსტობაა: ჯერ ერთი, იგი ხელაღებით უარყოფს საქართველოს ისტორიის ნარკვევებში დაკანონებულ შეხედულებას. ისტორიოგრაფია წინ მიდის და განსხვავებული მოსაზრებების გამოჩენა მოსალოდნელია, მაგრამ როდესაც ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ შეხედულებას არ ვეთანხმებით, მე მგონია, აუცილებელია ახალი არგუმენტების წამოყენება. კერძოდ, დამტკიცება იმისა, რომ აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილისა და სხვა ისტორიკოსების არსებითი შეხედულებანი მცდარია და რომ სააკაძის დამარცხებით არავითარი დიდი საქმე არ ჩაშლილა. თორემ რა გამოვიდა, საქართველოს ისტორიის ფურცლებზე სხვა ოფიციალური შეხედულებაა, ჩვენ კი საპირისპიროს ვწერთ. რა არგუმენტების საფუძველზე? თეიმურაზის დამსახურებების ხელოვნური გაზრდა არ იქნება სწორი. ბაზალეთის ომთან დაკავშირებით მის პროგრესულ მოღვაწედ გამოყვანა და სააკაძის ქვეყნის მტრად გამოცხადება დასაბუთებას ითხოვს. ნაჩქარევ განცხადებას კი ვერ ვერწმუნებით. ქართლ-კახეთი ბაზალეთის ომის შემდეგ არ გაერთიანებულა. ქართლ-კახეთი გიორგი სააკაძემ გააერთიანა

მარტყოფის ომის დამთავრებისთანავე და თეიმურაზი მეიწვია მეფედ, როცა თეიმურაზი უსასოო და იმედგადაწურული რუსეთს აპირებდა წასვლას. ხოლო მარაბდის ომის შემდეგ, გაწმინდა რა ქვეყანა ყიზილბაშებისაგან, გიორგი სააკაძემ კვლავ თეიმურაზი მოიწვია მეფედ. ამის დავიწყება ყოვლად წარმოუდგენელია. ბაზალეთის ომი ამის შემდეგ მოხდა. ქვეყანა გაერთიანებული იყო, მიუხედავად იმისა, ბაზალეთის ომის შემდეგ თეიმურაზი დაჯდებოდა მის ტახტზე, თუ ალექსანდრე იმერთა მეფე. სხვათა შორის, ამ უკანასკნელის გამეფებისას ქართლ-კახეთს იმერეთიც შემოუერთდებოდა. გიორგი ციციშვილისა და ნოდარ ნაკაშიძის მსჯელობით კი გამოდის, თითქოს სააკაძე უშლიდა ხელს ამ გაერთიანებას. თითქოს შეიძლებოდეს იმის დავიწყება, რომ სააკაძის წყალობით ამოისუნთქა ორივე ქვეყანამ და თვითონ თეიმურაზ I. ირანმა კი უკან დაიხია არა ბაზალეთის ომის გამო, არამედ სააკაძის, სწორედ სააკაძის ხელმძღვანელობით გადახდილი მარტყოფის ეპოპეის გამო და ხელი აიღო თავის საშინელ განზრახვაზე. თუ სააკაძე არა, თეიმურაზი რუსეთს მიაშურებდა, თუ სააკაძე არა, მარტყოფს სხვა ვერავინ მოიგებდა. მარტყოფის ომმა გაუნადგურა შაჰს 30 ათასი ჯარისკაცი. ამ ომის შემდეგ თქვა იბრაგიმ ფეჩევმა: „ორმოცი წლის განმავლობაში შაჰს ამოდენა ზარალი არ მოსვლია". თუ სააკაძე არა, მარაბდის პირველი ბრძოლაც არ იქნებოდა ასე გმირული — სააკაძე აძლევდა ტონს მარაბდის ზარს. ბერი ეგნატაშვილის სიტყვები შავით თეთრზე გვიდასტურებს ამას. სააკაძემ გააჩალა პარტიზანული ბრძოლები. სააკაძემ გაანადგურა მტერი ლისთან, გადაიხადა ქსნის საოცარი ბრძოლა, აიღო ბირთვისი, სამცხის ციხეები, თბილისის ციხეში გამოკეტა სიმონ-ხანი და ყორჩიბაში აიძულა, ჯარები გაეყვანა საქართველოდან. ასე წერენ ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, ისქანდერ მუნში, თურქი ისტორიკოსები, არჩილი... ამ ბრძოლებში ხომ სააკაძემ გაანადგურა 60-70 ათასი ყიზილბაში — ნახევარი შაჰის არმიისა. უარვყოფთ ამ ისტორიულ სინამდვილეს? რა არგუმენტები გვაქვს ხელთ? მიზეზი შაჰის უკან დახევისა ეს იყო, და არა ბაზალეთთან თეიმურაზის გამარჯვება. შაჰის უკან დახევა კი იმ ბრძოლებს მოჰყვება, რაც სააკაძემ და სწორედ სააკაძემ გადაიხადა. მკითხველს კი გიორგი

ციციშვილისა და ნოდარ ნაკაშიძის მსჯელობიდან ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს აღმოსავლეთ საქართველო მარტყოფის აჯანყებას არ ეხსნას. ეს კი დაკანონებული, თანაც ყოველმხრივ შემოწმებული აზრია ქართულ ისტორიოგრაფიაში და გასაკვირია, რომ ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე ავითარებს საწინააღმდეგო მოსაზრებას ისტორიკოსი ნოდარ ნაკაშიძე. იგი მწერალ გიორგი ციციშვილთან ერთად პირდაპირ აცხადებს: „ქართლ-კახეთის სასტიკმა შეურიგებელმა ბრძოლებმა ირანის წინააღმდეგ, რომელთაც თეიმურაზ პირველი მეთაურობდა, იხსნა აღმოსავლეთ საქართველო სრული გაწყვეტა-გადაშენებისაგან, ჩვენს ქვეყანაში ყიზილბაშური სახანოების შექმნისაგან...“

თეიმურაზ I ბრძოლებს ირანის წინააღმდეგ დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს ცხადია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მან ვერ შეიძლო ქვეყნის სსნა და 1615 წლიდან 1625 წლამდე ფაქტიურად გაეცალა კიდეც ასპარეზს, სალოწარკვეთილი და უიმედო. საქართველოს ისტორიოგრაფიაში კი დღემდე დაკანონებული იყო და არის აზრი იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ საქართველო ფიზიკური განადგურებისაგან იხსნა გიორგი სააკაძემ. მთავარი იყო მარტყოფის აჯანყება, მან გაანადგურა ირანის დიდი არმია, მან მიაყენა ყველაზე დიდი ზარალი შაჰს. მარაბდის პირველ ომში, მართალია, სააკაძეს მთავარსარდლობა არ დაანებეს, მაგრამ მისი ბრძოლის მასშტაბებზე ვიცით, თანაც ამ პირველ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. ამის შემდეგ მთელი ბრძოლების ციკლი, მათ შორის ქსნის საოცარი ბრძოლა სააკაძემ გადაიხადა. მან განდევნა მტერი ქვეყნიდან. საქართველოს ისტორიის ნარკვევებში ამიტომ არის შეტანილი ათასგზის შემოწმებული და აქსიომატურ ჭეშმარიტებად მიღებული მოსაზრება: „შაჰ-აბასის განაზრახის ჩაშლაში უდიდესი როლი შეასრულა გიორგი სააკაძის მიერ შესანიშნავად ორგანიზებულმა და მოწყობილმა მარტყოფის აჯანყებამ. ასევე იმ დიდმა ზარალმა, რომელიც მტერს მარაბდაში და შემდეგ ქსნის ხეობაში მოუვიდა. მარაბდის, ქსნისა და პარტიზანული ბრძოლების შედეგად ყიზილბაშებმა 30 000-მდე მეომარი დაკარგეს. თუ ამას მივუმატებთ მარტყოფის აჯანყებისას და კახეთში ფეიქარ-ხანის დევნისას გაწყვეტილ ყიზილბაშთა

რიცხვს, გამოვა, რომ სულ 1625 წ. ირანის ჯარმა საქართველოში 60 000-მდე მეომარი დაკარგა. შაჰ-აბასი ფაქტიურად დამარცხდა, ქართველებმა კი დიდი ზარალის ფასად გაიმარჯვეს. შაჰ-აბასი იძულებული გახდა, ხელი აეღო თავისი საზარელი გეგმის განხორციელებაზე".

აი, ეს დაკანონებული შეხედულება მოითხოვს ანგარიშის გაწევას, თუ ხელთა გვაქვს არგუმენტები, რაც ამ შეხედულებას თავდაყირა აყენებს, საჭიროა მათი წამოყენება და საპირისპირო მოსაზრების დამტკიცება.

თეიმურაზ I ბრძოლებს ირანის წინააღმდეგ რომ გარკვეული მნიშვნელობა აქვს, ეს არ გვაძლევს უფლებას, სააკაძის უზარმაზარი დამსახურება უგულებელვყოთ და აღმოსავლეთ საქართველოს ფიზიკური განადგურებისაგან ხსნა სხვას მივაწეროთ.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ შაჰმა ბაზალეთის ომის შემდეგ იურიდიულად ცნო თეიმურაზი ქართლ-კახეთის ტახტზე, ეს საკითხიც გარკვეულია, შაჰს, როგორც ცნობილია და წყაროებიდანაც ჩანს, აღარ შეეძლო ქართლ-კახეთის აყრა-გადასახლება. მარტყოფის აჯანყებამ მის ძლიერებას ხერხემალი გადაუმსხვრია. ამიტომ გადავიდა იგი თავადთა მოსყიდვის პოლიტიკაზე, რაც შეეხება „თეიმურაზის ცნობას" ქართლ-კახეთის ტახტზე, ეს „იურიდიული ცნობა" მოიტანა ირანის არმიების განადგურებამ სააკაძის მიერ, ერთის მხრივ, და კიდევ იმან, რომ თეიმურაზმა სრული მორჩილება გამოუცხადა შაჰს ბაზალეთის ომის შემდეგ.

მოვუსმინოთ ისქანდერ მუნშს: _

„როცა თეიმურაზსა და მოურავს შორის განხეთქილება მოხდა და მათი თანხმობა მტრობით დასრულდა, მოურავი ოსმალეთში წავიდა დახმარების საძებრად, ხოლო თეიმურაზი „უმეცრების ძილისგან გამოფხიზლდა", თავისი წინანდელი მოქმედება და ის ამბები, რაც მოახდინა, ინანა, ისევ „ამ ოჯახის (ე. ი. ირანის შაჰის) კალთას ჩასჭიდა დახმარების ხელი" დაუდხანთან მეგობრობა და ნაცნობობა დამყარდა და წინანდელი წესით ამ ზღურბლის (შაჰის კარის) მონად და ყმად გამოაცხადა თავი. მისი (დაუდ-ხანის) მეშვეობით და შუამდგომლობით თავისი დანაშაულის შენდობა ითხოვა. მან და ხანმა არსებული

მდგომარეობა და მისი (თეიმურაზის) მორჩილებისა და მონობის განცხადება მის კეთილშობილებას (შაჰს) მოახსენეს. როცა დიდებული და ბრწყინვალე ძლევამოსილი დროშები, ძლევითა და ბედნიერებით იყო წამოსული, ერაყის მხარეს ბაღდადზე კეთილად დასრულებული ლაშქრობიდან, დაუდ-ხანის არზა და თეიმურაზის ვედრების წიგნი, რომელიც მისთვის (შაჰისათვის) მიეწერა, მის უავგუსტოესობას მიუვიდა. ამ წიგნში მას დაეწერა, ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ბევრი შეცდომა ჩაეიდინეო და იმ ბრძოლების გამო, რომელიც განგებით მოხდა ჩვენს შორის, ყიზილბაშთა ტომებს მოწამლული მახვილები აქვთ მომზადებული ჩემი სისხლის დასაღვრელად. ამიტომ ვერ ვბედავ უმაღლესი ტახტის წინაშე მოსვლასო. უკეთუ მისი უდიდებულესობა შაჰი, რომელიც დიდსულოვანი ოჯახიდან არის, მაპატიებს შეცდებებს დამნაშავე მონას და მომიტევებს წარსულ შეცდომებს, ხელახლად „გავიყრი ყურში მონობის რგოლს და ამიერიდან ოდნავადაც აღარ გადავუხვევ მონობის შარაგზას“. მოტანილი ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რატომ ცნო შაჰმა თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფედ. ქართლ-კახეთის აყრა გიორგი სააკაძის მიერ გადახდილი მარტყოფის და სხვა უამრავი ბრძოლის შემდეგ შაჰს არ შეეძლო. მან დაინახა, რომ ეს შეუძლებელი ხდებოდა. ამასთან დაუძინებელი მტრის თეიმურაზის სრული მორჩილების ბარათი მიუვიდა და, ცხადია, შაჰი სიხარულით დათანხმდა ქართლ-კახეთის მეფედ თეიმურაზი ეცნო. მას სწორედ მონა-მორჩილი თეიმურაზი აინტერესებდა, მის მოსატეხად იბრძოდა, ახლა თეიმურაზი თვითონვე წერდა „გავიყრი ყურში მონობის რგოლს და ამიერიდან ოდნავადაც აღარ გადავუხვევ მონობის გზას“. თუკი კაცი, ვისაც ორი შვილი დაუსაჭურისეს, დედა წამებით მოუკლეს, სამეფო გაუპარტახეს, ყველაფერ ამას დაივიწყებს, თავმოყვარეობის შელახვასაც არ დაგიდევთ და მონა-მორჩილად გამოაცხადებს თავს, შაჰი, ცხადია, ცნობს მას მეფედ. შაჰს თეიმურაზი კი არ სძაგდა, შეუპოვარი, გაუტეხელი თეიმურაზი აცოფებდა. ირანის მორჩილებაში მყოფის მიმართ კი რა სიძულვილი უნდა ჰქონოდა. თეიმურაზი კი დაიღალა, დაიქანცა და გადაწყვიტა, ცოტა ხნით მაინც მოეთქვა სული. იქნება ეს მორჩილების ბარათი დიპლომატიური მანევრიც იყო, მაგრამ იმ ხანად თეიმურაზი უფრო გატეხილი ჩანს.

ამიტომ არა გვაქვს უფლება ვამტკიცოთ, თითქოს ბაზალეთის ომს მოეტანოს კახეთის მეფედ თეიმურაზის ცნობა. უნდა ვთქვათ ის, რაც სინამდვილეში მოხდა. დღეს, როდესაც ამოდენა გამოცდილება გვაქვს ისტორიული წყაროების შეჯერებისა, გუნება-განწყობილების კვალად, ყოველგვარი არგუმენტაციის მოუხმობლად არ უნდა ვამტკიცოთ ჩვენთვის სასურველი მოსაზრებები. თუ დღესაც არ ვუწევთ ანგარიშს ფაქტებსა და მოვლენებს, წყაროებსა და ისტორიკოსთა ნაშრომებს, წარმოიდგინეთ რა იქნებოდა წარსულში, როდესაც მეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდები ნაკლებ იყო შემუშავებული და ტენდენციურობა ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ.

თეიმურაზის შეწყნარება შაჰის მიერ იმითაც იყო გამოწვეული, რომ ოსმალეთში გადასული სააკაძე აფიქრებდა ირანს. მოსალოდნელი იყო ოსმალეთის არმიასთან შეტაკება, ვისაც ახლა სააკაძე ახლდა და ასეთ ვითარებაში თეიმურაზის გადმობირება შაჰს ხელს აძლევდა. მოვლენებმა მართლაც დაადასტურეს ეს ვარაუდი.

მოვუსმინოთ ისქანდერ მუნშს:

„უპირველეს ყოვლისა დაუდ-ხანმა წინადადება მისცა მას გამოეცვალა თურქული სამოსი, განდგომის ხანებში რომ ჩაიცვა და ყიზილბაშური ტანსაცმელი ჩააცვა, მისმა (თეიმურაზის) ხელქვეითებმაც ყველამ გამოიცვალეს ტანსაცმელი. თეიმურაზმა „ხელი ჩასჭიდა მისი შუამდგომლობის კალთას“ და თავისი საქმე მის ნება-სურვილსა და შეხედულებას მიანდო. მან პირობა დასდო, რომ თუ ხელმწიფის წყალობა და შევრდომა მოევლინებოდა, თავის სიცოცხლეში აღარ ასცდებოდა მონობისა და მორჩილების გზას“.

ე. ი. რაკი თეიმურაზმა დაგმო თურქეთთან ურთიერთობის გზა და დაადგა ირანის ორიენტაციას (მოჩვენებითად თუ ნამდვილად, ამას ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა), შაჰმაც დატოვა იგი ქართლ-კახეთის ტახტზე.

გარდა ამისა, შაჰს ახლა თეიმურაზი სჭირდებოდა. დიდი მოურავი თურქეთში წავიდა ბაზალეთის ომის შემდეგ. იგი ალბათ ყოველ ღონეს იხმარდა, რათა ოსმალეთი ირანისათვის დაეპირისპირებინა. რამდენად შეაშფოთა შაჰი ამ გარემოებამ, ეს ჩანს ისქანდერ მუნშის ცნობიდან. შაჰი თურმე საგანგებოდ

გაპოეშურა მაზანდარანიდან ოსმალეთის საზღვრებისაკენ, როდესაც გაიგო თურქეთის სარდლობა და „უმადური მოურავი“ არზრუმს უტეევნო. ამ ცნობას ქვემოთ საგანგებოდ მივუბრუნდებით.

ასე რომ, გიორგი ციციშვილისა და ნოდარ ნაკაშიძის მოსაზრება ბაზალეთის ომის შესახებ აშკარა შეცდომებს შეიცავს.

აქვე უნდა ითქვას ერთ გარემოებაზეც. ავტორები თავიანთ წერილში საგანგებოდ ამახვილებენ ყურადღებას წარსულის მემკვიდრეობის მოვლასა და გაფრთხილებაზე. ეს პათოსი მსჭვალავს თავიდან ბოლომდე წერილს და უნებურად თვითონვე არ უფრთხილდებიან ამ მემკვიდრეობას. მაგალითად, ყურადღებას იქცევს ავტორების ერთი ასეთი მოსაზრებაც:

„თუ გიორგი სააკაძეს შაჰ-აბასთან მძევლად დატოვებული შვილის გაწირვას დიდ ეროვნულ ნაბიჯად ვუთვლით, რა დააშავა თეიმურაზმა, რომელმაც იგივე მოიქმედა და ერთი კი არა სამი შვილი „გასწირა“?

არ ვიცი, დაუკვირდნენ თუ არა ავტორები ამ კონტექსტში გატარებულ თავიანთ მოსაზრებას, მაგრამ ერთი კი აშკარაა. ავტორებმა ან საგანგებოდ ჩასვეს სიტყვა „ვუთვლით“ ამ წინადადებაში, რამაც მთლიანად შეცვალა ინტონაციაც და აზრიც, ან შემთხვევით მოხვდა კონტექსტში იგი.

ერთი რამ კი გადაჭრით უნდა ითქვას.

პაატას თავი საქართველოს ზნეობრივი სიმრთელის სიმბოლოა და სამშობლოსათვის მის შეწირვას ქართველი ხალხი შესცქერის, როგორც ეროვნული ძალმოსილების ფაქტს. ქართველი ხალხი უნაზესი სიყვარულით არის გამსჭვალული პაატას სახელისადმი. ერთაწმინდას უნათლეს ადგილად თვლის, სადაც მარხია დიდი მოურავის ვაჟი. ერს ბრმად არ აუზიდავს მისი სახელი ფარზე, მან დაინახა, ვისი შეწირვის ფასად გადაურჩა იგი სრულ განადგურებას. ხალხმა იცის, რომ სააკაძემ შეგნებულად შესწირა პაატა სამშობლოს. ამიტომ დიდ მოურავს არაფერი სჭირს ჩასათვლელი. როგორ? თურმე ვუთვლით სააკაძეს პაატას გაწირვას ეროვნულ ნაბიჯად? რა არის აქ საეჭვო და ჩასათვლელი? მაშ როგორ მოვიქცეთ, ეჭვის ქვეშ დავაყენოთ ამ დიდი ეროვნული გმირობის სინათლე და

განწმენდელი ძალა? დაგვანებებს კი ერის ხმა (ერის ხმა-და არა უბირი ხალხის ბრმა რწმენა!) ამ სინათლის დაბინდვას? ერის ხმა, როგორც შეუვალი ჭეშმარიტება, აშიშვლებდა ყველა ტენდენციურ მცდელობას. ერის ხმა მის სახელს ეფოფინება, ხოლო ერის ხმა გაუცნობიერებლად არც ერთ მოსაზრებას არ მიიღებს. პაატას თავს კიდევ უფრო ემატება წონა, იმიტომაც რომ მისი გაწირვის ფასად გადარჩა საქართველო ფიზიკურ განადგურებას, იგი ხსნის გზად არის წაკითხული ქართველი ხალხის მიერ.

ამიტომ არ შეიძლება თეიმურაზ I შვილების დაყენება პაატას გვერდით. პაატას თავს საქართველოს ხსნა უკავშირდება — ეს გარკვეული სინამდვილეა. თეიმურაზის შვილებს იგივე ფუნქცია მაშინ დაეკისრებოდათ, თუკი მათ „შეწირვას" ქვეყნის გადარჩენა მოჰყვებოდა. თეიმურაზს კი ვერ მოუხერხდა ეს. თავისთავად სიბრალულს და თანაგრძნობას იწვევს მათი ტანჯვა. პატივისცემის ღირსნი არიან უღმერთოთ წამებული ყმაწვილები. მაგრამ თეიმურაზს ისინი შაჰისათვის იმიტომ კი არ გაუგზავნია, რომ თვითონ როგორმე შაჰის ნდობა მოეპოვებინა, მისი კლანჭებიდან თავი დაეღწია და ქვეყანა ეხსნა. გაგზავნა იმიტომ, რომ შაჰი დაემშვიდებინა, არა ვარ შენი ორგულიო. ხოლო როდესაც შაჰმა მისი მოსვლაც მოითხოვა, ვერ გაბედა ხლება. უბრალოდ ეშინოდა შაჰისა, გამუსულმანებას მოითხოვს და უარის შემთხვევაში მომკლავსო. შემდეგ თეიმურაზმა ვერ შეძლო ქვეყნის დაცვა, დედა და შვილები კი თავისთავად აღმოჩნდნენ ვეშაპის ხახაში. ქეთევანმა დიდი ზნეობრივი გმირობა ჩაიდინა, ის თავისი გმირობით არის განდიდებული და არა იმიტომ, რომ მისი შეწირვის ფასად ქვეყანა იხსნეს. თეიმურაზის შვილები კი აწამეს იმ ქართველი ბიჭების მსგავსად, კახეთიდან რომ მიჰყავდა შაჰს. თეიმურაზს არც სჭირდებოდა დედისა და შვილების გაწირვა. თუკი იგი გენერალურ ბრძოლას აპირებდა შაჰის წინააღმდეგ, შეეძლო, არ გაეგზავნა დედა და შვილები მძევლად, ისინი ხომ თავისთან ჰყავდა. მაგრამ მან სინამდვილეში შაჰის დასაშოშმინებლად გაგზავნა მძევლები, იქნებ მე აღარ მომთხოვოს მისვლაო. მხოლოდ შემდეგ, როდესაც იგი შაჰთან არ გამოცხადდა და წინააღმდეგობა გამწვავდა, შაჰმა შური იძია მძევლებზე.

საკაძე კი ალტერნატივის წინაშე იდგა, ან ქვეყანა უნდა აეყარათ, ან შვილი გაეწირა და ეხსნა ხალხი. მან წინასწარვე შეამზადა აჯანყება და შეგნებულად გასწირა შვილი. პაატას მძეელად დატოვების გარეშე იგი შაჰს თავს ვერ დააღწევდა და ქვეყნის ძალების სათავეში ვერ აღმოჩნდებოდა. ამიტომ არის დაკავშირებული პაატას თავი საქართველოს ხსნასთან. და ამიტომ ადევს მას განსაკუთრებული ფასი.

დავუბრუნდეთ ბაზალეთის ომს.

საკაძე ქვეყნის პროგრესულ ძალებს ედგა სათავეში და უკეთესი მომავლისათვის იღვწოდა. მისი გამარჯვების შემთხვევაში ერთიანდებოდა ქართლ-კახეთი და იმერეთი. ეს აზრი დასაბუთებული აქვთ ისტორიკოსებს. თეიმურაზი აღმოჩნდა დიდგვაროვანთა ინსტიტუტის მხარეზე. ისევე, როგორც ლუარსაბი თავის დროზე. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ლუარსაბი დიდებულებმა აიძულეს გადადგომოდა საკაძეს, ხოლო თეიმურაზი თვითვე დაეყრდნო ზურაბ ერისთავს, იოთამ ამილახვარს და სხვა დიდგვაროვნებს; დაეყრდნო ხალხს, ვინც მხოლოდ საკუთარი მამულების გაზრდასა და კეთილდღეობაზე ფიქრობდა. ნაცელად იმისა, რომ დაყრდნობოდა მარტყოფის ომის ავტორს, ვისი სახელის გაგონებაზე ირანი ძრწოდა, თეიმურაზმა ვერ მოითმინა უდიდესი ავტორიტეტის მქონე პიროვნება თავის ახლოს და მისი მოცილება მოიწადინა. თითქოს დაავიწყდა, რომ ქართლ-კახეთი საკაძემ ჩააბარა ორჯერ, დაავიწყდა, კახეთში ჩამოსვლის საშუალება საკაძის შემწეობით რომ გაუჩნდა უმისამართოდ სამშობლოდან გადახვეწილს. ამ უმადურობის საპასუხოდ არის დაწერილი „დიდმოურავიანი". ზურაბსაც დაავიწყდა, თეიმურაზის სიძედ გახდომას საკაძეს რომ უნდა უმადლოდეს. არაგვის საერისთავოც საკაძის შემწეობით ხვდა წილად (დიდ მოურავმა უშუამდგომლა შაჰთან თავის დროზე). მან დააპირა საკაძის ღალატი. როდესაც შეთქმულება გამოირკვა, საკაძემ საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი თეიმურაზთან, ვინც, ერთის მხრივ, უმადური კაცი იყო მის თვალში, მეორეს მხრივ, მეფობისათვის შეუფერებელი კანდიდატურა. ამდენად ბაზალეთის ომი სავსებით კანონზომიერი და ბუნებრივი გადაწყვეტილება იყო საკაძის მხრივ. ომის გაჩაღების ინიციატივა მას არ ეკუთვნის. საკაძეს არ დაანებეს

მთავარსარდლობა, უმტრეს, მოსაკლავად გაიმეტეს, ე. ი. მიზეზი სააკაძე არ არის. ორი კურსი დაუპირისპირდა ერთმანეთს და ორიენტაცია უსათუოდ უნდა გარკვეულიყო. ომის გამართვის გადაწყვეტილება კი მასაც ეკუთვნის და თეიმურაზთან ერთად უნდა გაინაწილოს ამ ტვირთის სიმძიმე.

საქართველოსა და იმერეთის ჯარებით სააკაძე დუშეთს მივიდა და ბაბალეთთან საშინელ წვიმაში გაიმართა ბრძოლა. არჩილი თეიმურაზს ათქმევინებს, რომ სააკაძის ჯარს არახელსაყრელ პირობებში მოუხდა ბრძოლაო, ისინი სიცივით იყვნენ გათოშილები, ჩვენ კი „ნათბილევი“ გავედით ბრძოლის ველზეო.

მაგრამ მარტო ეს არ არის ბაბალეთთან სააკაძის დამარცხების მიზეზი. უცნაურობადაც კი ჩანს ეს მოვლენა. აქამდე სააკაძე არც ერთ ომში, არც ერთ ბრძოლაში არ დამარცხებულა. მცირერიცხოვანი რაზმებით მუსრავდა მტრის მრავალრიცხოვან ლაშქარს ხოლმე. აქ კი დიდძალი ჯარი ჰყავს და მარცხდება. არ შეიძლება ამ გარემოებას საგანგებო ყურადღება არ მიექცეს. სააკაძემ პირველად გამართა თავის სიცოცხლეში ბრძოლა თანაქემამულეებთან. აქამდე, მიუხედავად ცილისმწამებელთა სმენისა, არც ერთი წყაროთი არ დასტურდება, რომ იგი ქართველებს შებმოდეს. ახლდა შაჰს, მაგრამ როგორც გაირკვა, არც ერთი ოპერაცია არ დაუვალებიათ მისთვის. „ქართველ ბატონიშვილებს“ არ ენდობოდა შაჰი. ახლა კი იგი იძულებული გახდა, თავისი ხალხის წინააღმდეგ გამოსულიყო. თეიმურაზისა და ზურაბის ლაშქარი ქართლელებისა და კახელებისაგან შედგებოდა, იმ ხალხისაგან, ვის დახსნასაც მან პაატა შესწირა, ვისთვისაც და ვისთან ერთად გადაიხადა მარტყოფის, მარაბდის, ქსნის ბრძოლები, ვისთვისაც გაიღო კოლოსალური ენერგია. მან ახლა თავისი თვალით იხილა, რომ იმავე ქართველებს მასზე აღემართათ იარაღი. დიდგვაროვნებმა ბევრი ხალხის თვალში მტრად მონათლეს. მე ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, თითქოს ბრძოლის ველზე დაუთბეგ გოგორიშვილის გაშვება საკუთარი კურტაკით, მხოლოდ ტაქტიკური სვლა იყო სააკაძისა. როდესაც თავის ნაცვლად დაუთბეგ გოგორიშვილის გაშვება გადაწყვიტა, სააკაძეს აშკარად დასძლია გრძნობამ. მან მთელი არსებით იგრძნო, რომ ამაო იყო მისი ცდა და ბრძოლა ქვეყნისათვის. ხალხს არწმუნებდნენ „საქარ-

თველოს ეგ რევსო". ედიშა ვაჩნაძის მიერ ნათქვამი ეს სიტყვები მწარედ ხვდებოდა გულს. საოცრად კანონზომიერი ჩანს ის ფაქტი, რომ ამ ბრძოლაში ედიშა ვაჩნაძე და სააკაძე შეხვდნენ ერთმანეთს. სააკაძე პირისპირ შეხვდა იმ კაცს, ვის ბაგესაც წამოცდა უსამართლო სიტყვები „საქართველოს ეგ რევს",

ეს სისუსტე, ეს გულის კარნახი და გონების უკან დახევა იკითხება დაუთბეგ გოგორიშვილის გაშვებაში. ერთი რამეც არის საგულისხმო. არასოდეს ასეთი მობილიზებული არ ყოფილა დიდგვაროვანთა ინსტიტუტი, როგორც იყო მობილიზებული სააკაძის წინააღმდეგ ბრძოლაში. კახეთისა და ქართლის აოხრების დროს ბევრი მათგანი თავს შველოდა. ახლა კი ერთსულოვნად და თავგანწირვით იბრძვიან. ეს სოციალური ფენომენია.

გულის კარნახის აყოლა შეცდომა იყო სააკაძის მხრივ. მისი დიდი მიზანი საქმის ბოლომდე მიყვანას ითხოვდა, მან ვერ შეძლო ციცი გონებით ემოქმედა. ზურაბ ერისთავი და თეიმურაზ პირველი კი სრული თვითგაღებით ებრძოდნენ სააკაძის ლაშქარს. შეცდომა იყო თურქული ჩალმით თავდამშვენებული სამცხის ლაშქრის წამოყვანაც. სააკაძეს ისედაც სწამებდნენ მტრები, ჩალმიანებს მოუძღვის საქართველოზეო. ახლა თვითონვე მოემსახურა ამ ცილს. მოწინააღმდეგე ბანაკს ქართველებისას თავისი ხელით წარუდგინა თურქული ელემენტი ბაზალეთთან და მათი წინააღმდეგობის გრძნობა კიდევ უფრო გაამძაფრა.

დაუთბეგ გოგორიშვილი სააკაძედ მიიჩნიეს თუ არა, მაშინვე ეცნენ ჩასაფრებული რაზმები ედიშა ვაჩნაძის წინამძღოლობით. როგორც არჩილი გადმოგვცემს, დაუთბეგ გოგორიშვილი შესაშური ძალითა და მოხერხებით ფანტავდა მომხდურებს და თეიმურაზზე მიიწევდა. შეხვდნენ კიდეც ერთმანეთს, გაუჭირდა თეიმურაზს, მაგრამ ვინმე კობსაიძე წამოეშველა. მან გვერდიდან შეუტია გოგორიშვილს. უბადლო ვაჟკაცმა ესეც მოიგერია, ახლა ზურაბ ერისთავი დაესხა მეორე მხრიდან ძახილით — „მოურავო, აგრე მაგრად რად დგახარა" და ბარძაყზე დაჰკრა ხმალი. გოგორიშვილი ცხენიდან გადავარდა და იქვე აჰკაფეს. სააკაძის ჯარმა ადგილ-ადგილ პირი იბრუნა. აქ კი დაინახა თავისი შეცდომა დიდმა მოურავმა და

ბრძოლაში გადაერია. იგი ხომ სასიკვდილოდ გაიმეტეს! ბრძოლის სასწორი უკვე მთლიანად მოწინააღმდეგეთა მხარეზე იყო გადახრილი, მაგრამ სააკაძის გამოჩენამ მაინც დიდი არევ-დარევა გამოიწვია. ამ ბრძოლაში დაუკოდავი კაცი არ დარჩენილაო, აღნიშნავენ წყაროები. სააკაძეს ისევ ეცა ედიშა ვაჩნაძე კახელთა რაზმითურთ. მან მოასწრო და ბრძოლაში გართულ სააკაძეს შუბი აძგერა, მაგრამ იმავე წამს სააკაძის ხმალმა გაუპო თავი. დიდმა მოურავმა გარს მოხვეული რაზმი გაფანტა და თეიმურაზზე მიიწია. ამ დროს მოხდა ისეთი რამ, რისი ყოველმხრივ გაანალიზების გარეშე ძნელია ახსნა ბაზალეთის ომის მიზეზებიც, მისი მსელელობაც და შედეგიც. ისევ გავიხსენოთ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა: „მისრულმან ედიშერ ჰკრა შუბი მოურავსა და დაალეწა მკერდსა მისსა ზედა. ხოლო მოურავმან ჰკრა თავსა შიშველს და განკუეთა ხმლითა. მერმე მივიდა მოურავი, ჰკრა ბატონს თეიმურაზს ლახტი ბეჭსა ზედა, არღარა დადგა და წარვიდა“.

ვახუშტი ბაგრატიონს ეს ფაქტი სააკაძის მხრივ მეფეზედ ხელის აღმართვის საბუთად მოაქვს. მაგრამ ჩვენ ახლა საშუალება გვეძლევა მთელი უკანა პლანი წავიკითხოთ მომხდარი ამბისა. სააკაძემ ხმლით გაუპო თავი ედიშა ვაჩნაძეს და უკან წააღებინა უსამართლოდ ნათქვამი სიტყვები. შემდეგ იგი თეიმურაზზე მიიწევს და უკვე ებრძვის არა ხმლით, არამედ ლახტით. გავიხსენოთ, როგორ იბრუნა პირი ქართველობამ მარაბდაში, როდესაც ხმა გავარდა, თეიმურაზ მეფე მოკლესო. თავზარდამცემი იქნებოდა თეიმურაზის სიკვდილი მისი მომხრეებისათვის ბაზალეთთანაც. საკმარისი იყო დიდ მოურავს თეიმურაზი მოსაკლავად გამოემეტებინა, რომ ბრძოლის სასწორი მის მხარეზე გადახრილიყო. მაგრამ სააკაძეს ეყო სულგრძელობა და მხოლოდ ლახტი დაჰკრა თეიმურაზს. რამდენი რამ არის თქმული ამით. ეს იყო საყვედური უმადურობისათვის, მეფის შერცხვენაც მებრძოლთა წინაშე. ეს ლახტის კვრა ნიშნავდა მეფის რაინდულ დანდობასაც სააკაძის მხრივ და იმავე დროს მხილებასაც. კმაროდა პასუხად, კმაროდა შურისძიებად. მეფის მოკვლა კი სააკაძემ არც თავის თავს აკადრა და არც ქვეყანას — „არღარა დადგა და წარვიდა“. ამის შემდეგ მართლაც ძნელია ილაპარაკო იმაზე, ბაზალეთთან სააკაძე და-

მარცხდა თუ არ დამარცხებულა. ფაქტია, რაკი ასპარეზს გაეცალა ბაზალეთის ბრძოლის შემდეგ, იგი ითვლება დამარცხებულად. მაგრამ ბაზალეთის ბრძოლა უფრო ორი მხარის განშორებას გავს. ამიტომ ათქმევინებს არჩილი თეიმურაზს ესოდენ მოკრძალებულად: „გამიმარჯვდა ღვთის ძალითა, არ მოვკვეხდი, სულ ომში ვარ“. მართლაც არ ჰგავდა ეს გამარჯვებას—სააკაძეს შეეძლო მისი მოკვლა და ვინ იცის, ამის შემდეგ ბრძოლის ბედი როგორ შეტრიალდებოდა.

ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ სააკაძეს, ვინც მარაბდაში ქართველი ლაშქრის დამარცხების შემდეგ გულს არ იტეხს და ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხერგილების ხერხით ებრძვის მტერს, მსგავს ხერხს არ იყენებს ბაზალეთის ომის შემდეგ თეიმურაზის წინააღმდეგ, არ აგრძელებს ბრძოლას. არც თეიმურაზი უტევს დამარცხებულს. ფსიქოლოგიური მდგომარეობაც გასათვალისწინებელია. მარაბდის ომის შემდეგ სააკაძე დაუძინებელ მტერს უმართავდა ბრძოლებს. ახლა კი მის წინააღმდეგ გამოსული ქართველი ხალხის დანახვამ შეაძრწუნა. იცის, ვინ დაბინდა ამ ხალხის გონება, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველი ხალხი გამოიყენეს მის წინააღმდეგ. ამიტომ არ იბრძვის ჩვეული შემართებით, იმ შემართებით, მარაბდის ომის შემდეგ რომ იბრძოდა ირანის არმიის წინააღმდეგ. როგორც იტყვიან, ხელი უიმედოდ ჩაიქნია. სისხლი გაუყინა უმადურობის გრძნობამ.

მეფის დანდობა რაინდობაა სააკაძის მხრივ, რაც შეეხება ბაზალეთის ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობისას გამოჩენილ სისუსტეს, იგი უკვე აშკარა შეცდომა იყო, რადგან დიდი მიზნის აღსრულების გზაზე ემოციები უსარგებლოა. მან პირველად თავის სიცოცხლეში, უსმინა გულს და პირველად თავის სიცოცხლეში დამარცხდა უძლეველი სარდალი.

სააკაძე მეორედ გაეცალა საქართველოს, ამჯერადაც იძულებულია გაეცალოს. ამჯერადაც ერთ-ერთი გზა იყო სხვა ქვეყანაში წასვლა. ამჯერადაც არ დაანებეს საქართველოს ცის ქვეშ ყოფნა და ქვეყნის სამსახური.

წავიდა გიორგი სააკაძე თავისი სამშობლოდან. მისი სამშობლოდან ორჯერ გადახვეწის ფაქტი ერთ პრობლემას ჰფენს ნათელს.

დავაკვირდეთ ისტორიას. გაეცნეთ, რას აკეთებს სააკაძესთან დაპირისპირებული დიდგვაროვანთა ინსტიტუტი ქვეყნის სასარგებლოდ. ერთი სიტყვით, კარგად გავიხსენოთ, რას აკეთებენ დიდებულები, როდესაც ისინი სააკაძის გვერდით დგებიან და რა საქმეებს მისდევენ, როდესაც მათგანვე მოძულებული და გამომეტებული სააკაძე სამშობლოდან გადაიხვეწება.

1612 წლამდე ისტორიული წყაროების მიხედვით ქვეყნისთვის სასარგებლო საქმის სათავეში არ ჩანს სააკაძის არც ერთი მტერი. არც ოსების, არც დვალების დასამორჩილებლად ისინი თავს არ იწუხებენ. არც ქაიხოსრო ჯავახიშვილი, არც ფარსადან ციციშვილი, არც შადიმან ბარათაშვილი, არც ბერუკა ჯავახიშვილი ქვეყნის სარბიელზე არ გვხვდებიან. არ ებრძვიან შემოსეულ ოსმალოებს, არ უსახელებიათ თავი. ისტორიამაც ამიტომ არ ცნო საჭიროდ მათი ხსენება, თორემ სააკაძის დამსახურებათა გვერდით მათ დამსახურებასაც ახსენებდა. ზაზა ციციშვილის თავგამოდება მაშინვე აღინიშნა, მაგრამ ზაზა ციციშვილი სააკაძის მტერი არასოდეს არ ყოფილა, პირიქით, მის მხარდამხარ იბრძოდა. დაუპირისპირდნენ თუ არა სააკაძეს, ეს გვარები მაშინვე გაჩნდნენ ისტორიის ფურცლებზე, მეფეს უპირველესი კაცი შეაძულეს, მოაშორეს სააკაძე. ახლა აღარ უშლით იგი ხელს, შეუძლიათ დაუმტკიცონ ქვეყანას თავისი მამულიშვილობა. მაგრამ არა, არ შეუძლიათ მამულიშვილობა ასეთ ადამიანებს! არ შეუძლიათ მასშტაბური, გმირული საქმეების მოხდენა! არც ქაიხოსრო ჯავახიშვილს ძალუძს და არც სხვებს. ნებივრობენ თავიანთ ფეოდალურ ციხე-კოშკებში. თუ გამოჩნდებიან, ისევ სააკაძესთან დაპირისპირებისას გამოჩნდებიან (1616 წელს ქაიხოსრო ჯარით უკვე მეორედ დაესხა თავს სააკაძეს, მას ჯარი ფარსადან ციციშვილმა მისცა). აი მთელი მათი საქმიანობა. შადიმან ბარათაშვილს „ამ უბოროტეს კაცს“ (არაჭელ თავრიზელი) ლუარსაბი გადმოჰყავს იმერეთიდან და შაჰს აბარებს. აი, მისი საქმიანობა. ან სააკაძეს ღუპავს ან ლუარსაბ II. ესხმიან ერთმანეთს, იტაცებენ ერთმანეთის ქონებას და მხოლოდ მაშინ შეერთდებიან მგლებივით, როდესაც ვრადიდგვაროვანი აღზევდება ან მეფე მოინდომებს მათ ალაგმვას.

დადგებიან თუ არა სააკაძის გვერდით, ნებით თუ უნებლიეთ, მაშინვე უხდებათ მამულიშვილური საქმეების კეთება. ქვეყანა დაიცვეს ტაშისკარში, ხოლო მარტყოფში სააკაძის გვერდით დგომამ აამაღლა ისინი, ქვეყნის ხსნის დიდი საქმის მონაწილედ აქცია. უპირველეს ყოლისა, ზურაბ ერისთავია ამის მაგალითი. თუ რაიმე სიმპათიები შეიძლება გვქონდეს ზურაბის მიმართ, გვაქვს სააკაძესთან მისი სიახლოვის წყალობით, თავისი ხასიათის კარნახით იგი არ ინდობს საკუთარ ძმებს, ერთს თვალებიც კი დათხარა, ებრძვის მათ, აუპატიურებს ქალებს, ხოცავს მთიელ ვაჟკაცებს, სალუდე ქვაბს უკეთებს ცეცხლად დახოცილთა გვამებს. სააკაძის ჩაგონებით კი იგი ქვეყნისათვის თმობს ცოლს, და სააკაძისვე ხელმძღვანელობით ქვეყნის გადარჩენის საქმეს ემსახურება. სააკაძისაგან პოშორებით პირველსავე შემთხვევაში პოულობს საერთო ენას ყორჩიბაშთან, არაგვის ხეობით გაატარებს მის ლაშქარს. თუ სააკაძის მხარდამხარ ირანელების წინააღმდეგ ბრძოლა არა, ზურაბი ისტორიაში სისხლისმსმელ, ვერაგ ფეოდალად შევიდოდა. მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები ალამაზებენ მის სახელს. ეს სილამაზე კი მისმა სახელმა სააკაძესთან სიახლოვით შეიძინა.

იესე ქსნის ერისთავმა, როგორც კი სამცხეს დაიგულა სააკაძე, ანდუყაფარ ამილახვართან ერთად ამოწყვიტა ღაზნელთა გვარი და მათი მაშულები მიიტაცა. იგივე ქსნის ერისთავი სააკაძის გვერდით ქსნის სახელოვან ბრძოლაში მონაწილეობს და ქვეყნის საქმეს აკეთებს. სააკაძე სამცხიდან გადმოვიდა თუ არა, იესე ქსნის ერისთავი იძულებული გახდა კვლავ საქვეყნო საქმეებისათვის ებრძოლა. ფაქტია, რომ სააკაძის თანამებრძოლობა ამაღლებდა სულით დიდსა თუ პატარას. ის ხალხი კი, ვინც სააკაძეს მტრობდა, არც მანამ და არც მას შემდეგ არც ერთ საქვეყნო საქმეში არ გარეულა, არაფრით არ გამოუჩენია თავი. ბუნებით კეთილშობილი რაინდები კი ნოდარ ჯორჯაძე, დავით ჯანდიერი, აღათანგ ხერხეულიძე და სხვები არც დაპირისპირებიან სააკაძეს. ისინი იბრძვიან ქვეყნის ბედნიერებისათვის და მათი ინტერესები ამიტომაც არ ეჯახებოდა სააკაძის ინტერესებს.

ქვეყანაში კი სააკაძის წასვლის შემდეგ მხოლოდ დიდ

მოურავთან ბრძოლითა და დაპირისპირებით სახელგანთქმული თავადები დარჩნენ. მათ ამარა დარჩა მეფე თეიმურაზი. ისინი კი არც არასოდეს გამოდგომიან თეიმურაზს ძლიერ მტერთან ბრძოლაში.

საინტერესოა სწორედ ეს სინამდვილე. უპირისპირდებოდნენ კაცს, ვინც ტაშისკარის, მარტყოფის, ქსნის ბრძოლები მოიგო, ხოლო თავად სააკაძის განდევნის შემდეგ ძალა არ შესწევდათ პატარა საქმე გაეკეთებინათ ქვეყნისათვის. არათუ მარტყოფის მოგება. და ხომ ფაქტია, დიდგვაროვანთა კაპრიზებსა და ორიენტაციას უფრო უწევდნენ ანგარიშს საქართველოს მეფეები, ვიდრე დიდი მოურავისას. მარტყოფის, მარაბდის, ქსნის ბრძოლებით ქართლ-კახეთის ფიზიკური განადგურებისაგან ხსნის საქმე ხელის გულზე დევს. ეს სააკაძის დამსახურებაა და ახლა მაინც ადვილია იმის თქმა, რომ თუ სააკაძე იქნებოდა საქართველოში და მისი ხელმძღვანელობით დაუპირისპირდებოდა ქვეყანა შაჰის არმიებს, ირანი 1615-1617 წლებში ვერასგზით ვერ აყრიდა კახეთს. არც თეიმურაზს დასჭირდებოდა დამამცირებელი ბარათის გაგზავნა შაჰთან. შელახვა მამის გულისა, ვისაც ორი ვაჟი უწამეს, დედა მოუკლეს... არ დასჭირდებოდა, თუკი ზურაბ ერისთავს კი არა, სააკაძეს დაეყრდნობოდა. მალე ზურაბიც ვერ იგუა თეიმურაზმა და გაუმაძღარი ფეოდალი ღალატით მოაკვლევინა მეფემ. ეს მოხდა მოგვიანებით, მაგრამ აშკარაა, რომ ზურაბი ის ძალა არ აღმოჩნდა, ვისაც დაეყრდნობოდა თეიმურაზი.

ოსმალეთში სააკაძის გადახვეწაზე ზოგჯერ გაისმის არასასიამოვნო ხმები. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიაში დამკვიდრებული შეხედულება ამ ნაბიჯს გონივრულ გადაწყვეტილებად თვლის, ზოგჯერ მაინც უხეშ შეცდომად ინათლება დიდი მოურავის გადახვეწა.

ამ თვალსაზრისის მომხრეებს ავიწყდებათ, რომ მხოლოდ ბუცილებლობის შემთხვევაში გარბის სააკაძე სამშობლოდან. წავკისის ტრაგედიამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ სააკაძეს არ შეეძლო ირანში არ წასულიყო. ბაზალეთის ომში დამარცხებული სააკაძე თავისი მოღვაწეობის გაგრძელებას ეძებდა და პოლიტიკურმა სიტუაციამ ამჯერად ოსმალეთს წასვლა უკარნახა. ქვეყნის შიგნით ქვეყნისვე ასაღორძინებლად საჭირო

ძალების პოვნა, მას, რაგორც რიგით თავადს, არ შეეძლო. ეს რატომღაც გვავიწყდება. გვავიწყდება, მიუხედავად იმისა, რომ ვიცით, როგორ არ ემორჩილებოდა დიდგვაროვანთა ინსტიტუტი „უმრწემესი გუარის“ თავადს. ტაშისკარის ომის ავტორის და დედოფლად ვერ იგუეს. ცხადია, სააკაძეს არავინ დაანებებდა მისი სურვილისამებრ ქვეყნის მოწყობას და შეაფერისი მეფის აყვანას ტახტზე. ორჯერ მისგანვე ქართლ-კახეთის ტახტზე დასმული თეიმურაზ I ვერ შეეგუა იმ აზრს, რომ ქვეყანა სააკაძის სურვილისამებრ მოწყობილიყო. ვერ შეეგუა მის ფაქტიურ მმართველობას. იმერეთის ძალები ნაცადი იყო (ეს ხომ ქვეყნის შიგნით ძალების ძებნას მოასწავებდა) ალმასის სიმკვრივით შეიკრა დიდგვაროვანთა ინსტიტუტი, დარაზმა თავისი მრევლი და არ მიუშვა სააკაძე საჭესთან. თეიმურაზ I მზად იყო (ეს სულ მალე დადასტურდა ბაზალეთის ომის შემდგომ) ფეხქვეშ ჩავარდნოდა შაჰს პატიების სათხოვნელად, ოღონდ თავიდან მოეშორებინა დიდი ავტორიტეტი. ეს მდგომარეობაც გვავიწყდება, თორემ ოსმალეთში წასვლას ასე იოლად არ ჩავთვლიდით შეცდომად.

დიდი მოურავი არ ეკუთვნოდა იმ ადამიანების კატეგორიას, ვინც იმერეთს წლობით შეაფარებდა თავს და ქეიფსა და ნადირობაში გართული დაელოდებოდა, როდის შეიცვლებოდა მის სასარგებლოდ პოლიტიკური სიტუაცია. ის თვითონ ქმნიდა პოლიტიკურ სიტუაციებს. ახლაც უნდა ემოქმედა. გზების ძიებამ ამჯერად ოსმალეთის ძალები დააყენა დღის წესრიგში.

საქართველოს ისტორია ორგანულად უკავშირდება ირან-ოსმლეთის გამწვავებული პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიას. განსაკუთრებით ითქმის ეს მე-16-17-18 საუკუნეებზე. ორივე ქვეყანა საქართველოს ჩანთქმას ცდილობდა. ამიტომ ერთმანეთშიც გამუდმებული ქიშპი ჰქონდათ. ირან-ოსმალეთის ისტორია აღსავსეა საქართველოსათვის წარმოებული ბრძოლებით. საშიშროებისაგან თავის დასაღწევად საქართველოს დახმარება ან ევროპაში უნდა ეძებნა, ან რუსეთში, ან ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობაში. ევროპა შორს იყო, ყველა ცდა იქიდან დახმარების მიღებისა უშედეგოდ მთავრდებოდა. რუსეთის გზა ისევ „ერთი წლის საგალზე“ იდო. ამიტომ ირან-ოსმალეთის ერთმანეთთან დაპირისპირებას, რო-

გორც ხსნის ყველაზე უფრო რეალურ გზას, ყველა გონიერი მეფე მიმართავდა იმ დროისათვის, ამ მიზნით სწავლობდა ორივე ქვეყნის განწყობილებას, შექმნილ სიტუაციებს და შესაბამისად მოქმედებდა. ასეთ პოლიტიკას მისდევდა, როგორც დავინახეთ, თითქმის ყველა მეფე და მათთან ერთად დიდი მოურავიც. თეიმურაზი აქტიურად ადგა რუსეთის კურსს, მაგრამ კონკრეტულ სიტუაციებში იგი ოსმალეთის დახმარებით ცდილობდა ირანის დამარცხებას, იგი სისტემატურად გზავნიდა ელჩებს სულთანთან. თვითონაც ესტუმრა და ყველაფერი იღონა ოსმალეთის ძალების გამოსაყენებლად. 1618 წელს სერიოზულ შედეგსაც მიაღწია. მართალია, საბოლოოდ ოსმალეთმა უკან დაიხია და თეიმურაზის გეგმები ჩაიფუშა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია სხვა რამის გარკვევა — ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობის გამოყენება ქართველი პოლიტიკოსების მხრივ პოლიტიკურ სისუსტედ კი არა, პოლიტიკურ სიფხიზლედ უნდა გავიგოთ. სხვათა შორის ჩვენმა წინაპრებმა მოახერხეს მუსულმანური სამყაროს ორი იმპერიის ერთმანეთთან დაპირისპირება. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას ვერაფერი ვერ იხსნიდა. ირან-ოსმალეთს კი არაერთხელ უცდიათ მოეხსნათ ურთიერთშორის წინააღმდეგობა, მაგრამ თუ ერთსულოვნებას ვერ მიაღწიეს, ეს მარტო მათ წინააღმდეგობას არ მიეწერება, ეს საქართველოს მეფეების პოლიტიკური კურსის დამსახურებაცაა.

არც გიორგი სააკაძემ თქვა უარი ამ ტრადიციულ პოლიტიკურ კურსზე. თურქეთში სააკაძის წასვლა სავსებით ბუნებრივი ნაბიჯი ჩანს. მან ოსმალეთი ირანს უნდა დაუპირისპიროს, მისი დახმარებით გაათავისუფლოს საბოლოოდ საქართველო და ტახტზე სასურველი კანდიდატურა დასვას. სააკაძე დაუღალავი პოლიტიკოსი და გაუტეხელი სულის კაცი იყო. იგი ოსმალეთშიც საქართველოს ხსნის გზას ეძებდა და ეს ყველაფრიდან მტკიცდება. მტკიცდება, რომ სულთანს ოსმალეთის განდიდებისათვის კი არ ემსახურებოდა, არამედ ერთმანეთთან აკავშირებდა ოსმალეთისა და საქართველოს ინტერესებს ირანის საზიანოდ.

მოვუსმინოთ ისქანდერ მუნშს:

„შაჰ-აბასმა გაზაფხულის სამი თვე მაზანდარანში გაატარა.

როცა ამინდმა ზომიერების პირი სიცხისაკენ იბრუნა, ოსმალეთიდან ამბავი მოვიდა, ამ წელს ხოსროვ-ფაშა ვეზირი და სარდალი გახდა, დიდძალი ლაშქრით არზრუმისაკენ მოდის და ბედშავი და უმადური ქართველი ბოურავი, ოსმალეთს რომ იყო წასული, ხსენებულ სარდალს თან ახლავსო. უავგუსტოესის ამალა შავალის თვეში (1628 წ. VI) მაზანდარანის სადგომიდან დაიძრა და, იმის შიშით, ვაითუ იმ ბედუკუღმართს გარყვნილების ბაღლამი გაეღიზიანებინა და ოსმალების დახმარებით სპარსთა ქვეყნის მიდამოებში კვლავ შფოთი ჩამოეგდო და აჯანყება დაეწყო, გამგზავრების სადაველები დედაქალაქ ყაზვინისაკენ მიმართა და ძლევამოსილებითა და ბედნიერებით იქაურ კურთხეულ სასახლეში ბრწყინვალე ჩამოხდომა ინება. ბრძანება გაიცა, რომ უძლეველი ჯარები სულთანიეს მინდორზე შეკრებილიყვნენ და ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით გამზადებული ყოფილიყვნენ, რომ რომელ მხარესაც საჭირო შეიქნებოდა და მიუთითებდნენ, გაელაშქრათ...“

ვფიქრობთ, დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმის დანახვას, როგორი შეშფოთებული ჩანს შაჰი სააკაძის ოსმალეთში ჩასვლით, ხოსროვ-ფაშასთან ერთად არზრუმისაკენ მისი დაძვრით. აშკარაა, რომ შაჰი შეშინებულია, სააკაძემ კვლავ არ ააჯანყოს საქართველო და ოსმალეთის დახმარებით არ დაიჭიროს იგი. მან სასწრაფოდ გაამზადებინა ლაშქარი, რათა იქით გაელაშქრათ, საითაც საჭირო იქნებოდა გალაშქრება. ხომ შავით თეთრზე წერია ირანის ისტორიკოსის შრომაში, რომ შაჰს სააკაძე აფიქრებს, ეშინია მან არ აშალოს ირანის წინააღმდეგ ოსმალეთი და საქართველო. ფაქტიურად ეს აფიქრებს ყველაზე მეტად. ჩანს, სააკაძე, ირანის დაუძინებელი მტერი, ყორჩიხა-ხანის დამმარცხებელი, ჩააგონებს სულთანს ირანის წინააღმდეგ ლაშქრობას. ოსმალეთის სურვილი ისედაც იყო არზრუმის წინააღმდეგ გალაშქრება, მაგრამ შაჰისათვის მთავარი ის არის, რომ სააკაძე ახლავს ხოსროვ-ფაშას და დიდი უსიამოვნებაა მოსალოდნელი! ქვემოთ ვნახავთ, როგორ აღფრთოვანდა ოსმალეთის ჯარი სააკაძის მისვლით. შაჰს თავისი სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიაჩნია

ბიზანტიის-ფაშასთან ერთად „იმ უმადური მოურავის“ წამოსვლა ირანის საზღვრებისაკენ და სასწრაფოდ მიეშურება ყაზვინისაკენ, რათა უხელმძღვანელოს არმიის მზადყოფნას. ეს ბუნებრივიცაა. საქართველოს ძალების ამარა დარჩენილი საკაძე შაჰის არმიის რისხვად იქცა, ახლა იგი ცდილობდა ოსმალეთის კოლოსალური შესაძლებლობები დაეპირისპირებინა ირანისათვის და ვინ იცის, საქართველოც აეშალა. ნიშნავს თუ არა ეს ფაქტი საქართველოსათვის აქტიურ მოღვაწეობას საკაძის მხრივ? სხვას რას გვეუბნება ცნობა სწორედ ირანის ისტორიკოსის მიერ მოწვდილი? და განა ამის შემდგომ ძნელი ასახსნელი უნდა იყოს, თუ რატომ ცნო შაჰმა თეიმურაზი ქართლ-კახეთის ტახტზე? მანამ ხომ ცოფდებოდა, არც ერთ სიტყვას არ ენდობოდა! ახლა მხოლოდ თურქული ტანისამოსის გამოცვლა სთხოვა და სპარსულის ჩაცმა. დიდ მოურავთან წაყიდებული თეიმურაზი მას აწყობს ქართლ-კახეთის მეფედ!

უმსუბუქებს თუ არა საქართველოს მდგომარეობას შაჰის მთელი ყურადღების არზრუმისაკენ, ე. ი. სააკაძისაკენ გადატანა? ასუსტებს თუ არა ირანს ოსმალეთთან დაპირისპირება? ცხადია, ასუსტებს, ცხადია, საქართველოს მდგომარეობა უმსუბუქდება. ამიტომ არა გვაქვს არავითარი საფუძველი „უცხო თესლის“ სამსახური დავწამოთ სააკაძეს.

პოლიტიკას არ უყვარს ოცნება. იგი საერთო ვითარებაში გარკვევას და უმჯობესი საშუალების გამოყენებას ავალებს ყველას, ვინც ამ სფეროში აპირებს მოღვაწეობას. დიდი მოურავი რეალურად არსებულ საშუალებებს მიმართავდა მუდამ. ჩვენში ზოგს ჰგონია, თითქოს არც ირანის მოკავშირეობა იყო საჭირო და არც ოსმალეთისა. მათი აზრით, საკუთარი ძალების ამარა უნდა ებრძოლათ თითქოს ქართველ მეფეებსა თუ მოღვაწეებს. ისინი ანგარიშს არ უწევენ სინამდვილეს, მარტოოდენ თავიანთ გულისთქმას უსმენენ. ავიწყდებათ, რომ მოკავშირეების გარეშე იმპერიებიც ვერ გადიოდნენ იოლად, არა თუ სამ სამეფოდ და შვიდ სამთავროდ დაქუცმაცებული შინა ფეოდალური ბრძოლებით გამოფიტული საქართველო. რა სჯობს, თუ ქვეყანა თვითონ, სხვის დაუხმარებლად მოიპოვებს თავისუფლებას და დაიცავს შემდგომ იმ თავისუფლებას. მაგრამ ვაი, რომ სინამდვილე ამის საშუალებას არ იძლეოდა და

ქართველი მეფეებიც მისდევდნენ მოკავშირეთა ძებნის გონივრულ პოლიტიკას. საკაძემაც ამიტომ შესთავაზა ოსმალეთს ირანის იმპერიის დამხობის გეგმა მარტყოფის აჯანყების შემდეგ, და ამიტომ ჩააყენა ოსმალოთა რაზმები სამცხის ციხეებში. ოსმალების შემოყვანა საკაძისათვის, ბუნებრივია, სასურველი ნაბიჯი არ იყო, მაგრამ შექმნილი ვითარება კარნახობდა ამ ნაბიჯს. ირანი და ოსმალეთი გაუთავებლად იბრძოდნენ სამცხისათვის. იგი ხელიდან ხელში გადადიოდა. ოსმალეთი მეორე დღესვე მოადგებოდა სამცხეს დიდი ჯარით, თუკი მის მეკავშირეობაზე იტყოდნენ ქართველები უარს, და მაშინ ქვეყანას ორ დიდ მტერთან მოუწევდა ერთდროულად ომი. ახალციხე თავისი მიმდებარე მხარეებითურთ იყო დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის პლაცდარმი, რის დათმობასაც ოსმალეთი არ შეურიგდებოდა. ისჭანდერ მუნშის, იბრაგიმ ფეჩევის, ქათიბ ჩელების, მუსტაფა ნაიმისა და სხვა ისტორიკოსების ნაშრომებში სულ ამ მხარეზე და ამ მხარისათვის გამართულ ბრძოლებზეა ლაპარაკი. ოსმალთა ჯარების არმოხმობა სამცხის ციხეებში ჩასაყენებლად იქნებოდა პოლიტიკური სიბეცე, რისი წყალობითაც საქართველოს ერთბაშად ორი ვეშაპი დაუპირისპირდებოდა. და ეს როდის, როდესაც მარაბდის ომში დამარცხებულია ქართველთა ლაშქარი. მეფე იმერეთს გადასულა და მარტოდენ საკაძე ებრძვის სპარსელებს, ათავისუფლებს ციხეებს, ათავისუფლებს სამცხეს. იმ სიგელის წყალობით კი, რაც მურად IV გამოუგზავნა, საკაძის მოკავშირე ხდება ბათუმის ბეგლარ-ბეგი და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები.

ახლაც, ბაზალეთის ბრძოლის შემდეგ საკაძე იქ წავიდა, სადაც რეალური დახმარების მიღების იმედი ჰქონდა. მარტყოფის ეპოპეამ თურქი ისტორიკოსის შეფასებით ყველაზე დიდი ზარალი მიაყენა შაჰ აბასს და, ცხადი უნდა იყოს, ოსმალეთს გაახარებდა ეს ფაქტი. საკაძის ავტორიტეტი განუხრელად იზრდებოდა ოსმალეთის თვალში. საკაძეც ამიტომ წავიდა იქ.

ბუნებრივია, საკაძემ შესანიშნავად იცოდა, რომ საქართველოს მოყვარული არც ირანი და არც ოსმალეთი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ კონკრეტულ სიტუაციაში ოსმა-

ლეთი აქტიური მოკავშირე ჩანდა. ამიტომაც სწორად უნდა გავიგოთ სააკაძის პოლიტიკა. დიახ, თუ სააკაძე შეჰპირდა სულთანს, ქართლს დაგიმორჩილებო, ეს იმას ნიშნავს, რომ ირანელები ფეხს ამოიკვეთდნენ საქართველოდან. მართალია, ქვეყანა ოსმალეთზე დამოკიდებული შეიქნებოდა, მაგრამ თავდაპირველად თავისუფლებისაკენ მიმავალი სხვა გზა არ ჩანდა. ჩვენ ნაკლებ უნდა გვაწუხებდეს ის ცნობა, თითქოს სააკაძე ოსმალოებს ეპატიჟებოდა „ქართლს საბატონოდ“. ოსმალოებისათვის შეთავაზებული გეგმიდან, მურად IV სიგელიდან და ურთიერთობიდან ხომ გარკვევით ჩანს, რომ სააკაძე მოკავშირეს ეძებდა და დამხმარე ძალად შემოჰყავდა ოსმალოები ქართლში. დამხმარედ და არა დამაქცევრად. ხოლო თუკი სულთანი ვერაგულ ზრახვებს გამოამჟღავნებდა შაჰის მსგავსად, ცხადი უნდა იყოს, რომ სააკაძე ისეთსავე პასუხს გასცემდა, როგორიც გასცა ირანს მარტყოფში. მან ხომ დაამტკიცა, საქართველოს ამოგდების მოსურნეს საერთოდ რა პასუხს აძლევდა. მარტყოფისა და მარაბდის ომების შემდეგ ყველამ დაინახა, რომ ამ ქვეყნის აყრაზე ფიქრი შეცდომა იყო. მარტყოფი მარტო ირანს როდი იგერიებდა!

ასე რომ ოსმალეთში სააკაძის წასვლას უნდა შევხედოთ არა შიშველი ემოციების, არამედ გონების ფხიზელი თვალით. მაშინ ისტორიული წყაროები ბევრ კეთილ სიტყვას გვეტყვის დიდი მოურავის ამ ნაბიჯზე.

* *

სააკაძეს დაათვალიერებინეს სტამბოლი (ამჯერად ისტორიული მოვლენების თანამიმდევრობას მივყვეთ), თოფხანა, ზარბაზნებით გამაგრებული ზღვის სანაპირო, აია-სოფიას ტაძარი. სტამბოლში ბერძენ პატრიარქს ესტუმრა და წირვა-ლოცვა მოისმინა.

ისტორიკოსებმა მიხეილ თამარაშვილის წიგნის—„ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ მიხედვით დაადგინეს, რომ სააკაძე სტამბოლში გაეცნო საფრანგეთის ელჩს, რომელმაც იგი რამდენჯერმე მიიწვია სადილად, გაეცნო აგრეთვე დასავლეთის მისიონერებს. კასტელი, მკვლევართა ვარაუდით (ს. ქვა-

რიანი, ვ. სიდამონიძე), ამ დროს გაიცნო გიორგი სააკაძემ და ის ერთადერთი სურათიც კასტელის მიერ ამ დროს უნდა იყოს შესრულებული. მისიონერებს აინტერესებდათ საქართველოს მდგომარეობა. სააკაძემ მათ კარგად დაუხასიათა თეიმურაზ ბირველი: „თეიმურაზს ძალიან გაუხარდება თქვენი მისვლა და დიდის პატივისცემით მიგიღებთო“.

მე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ მუსლიმანობის მიღებაზე. სააკაძე იძულებული იყო ასე მოქცეულიყო. ხოლო „დროის შესაფერისად, გარეგნულად რომ იღებდა ისლამის რჯულს,' ეს ისქანდერ მუნშიაც კი დაინახა მარტყოფის აჯანყების შემდეგ.

გიორგი სააკაძე კონიის ბრძის მმართველად დანიშნეს. მუსტაფა ნაიმას ცნობით ამას უკმაყოფილება გამოუწვევია იქაურ დიდებულებში, ბევრი „გულგრილად ვერ უყურებდა მოურავისათვის ვილაიეთის ბოძებას“, „შურსა და შეურაცხყოფას“ ამჟღავნებდნენ.

მუსტაფა ნაიმა წერს:

„როცა მოურავი სტამბოლს ჩამოვიდა, მას ოსმანთა დინასტიის წინაშე დიდ დამსახურებად ჩაუთვალეს ყიზილბაშთა განადგურება. მან მაჰმადიანობა მიიღო, სახელად მეჰმედი დარქვა და სათანადო პატივის მიღების შემდეგ ყარამანიის ვილაიეთი ებოძა. მოურავი ჭეშმარიტად გულადი, გონიერი, ტანით სპილოს მსგავსი, იშვიათი ვაჟკაცი და დევის ღონისა იყო“.

„მოურავმა ერთი ხელქვეითი, ვინმე უსამართლო ხუცესი, მუთესილიმად დააყენა და აზნაურთა ერთი ჯგუფით კონიაში გაგზავნა“.

თვითონ გიორგი სააკაძე სალაშქროდ გაგზავნეს. მისი უშუალო უფროსები იყვნენ დიდი ვეზირი და მთავარსარდალი ხალილ-ფაშა.

იმ ხანებში ოსმალეთს არზრუმის მმართველი აბაზა-ფაშა აუჯანყდა. 1627 წლის ზაფხულში ოსმალეთმა ვერ შეძლო აბაზა-ფაშას დამარცხება. 1628 წელს კი, მეორე ლაშქრობისას, ოსმალეთის ახალ ვეზირს, მთავარსარდლად ხუსრევ-ფაშას თან ახლავს გიორგი სააკაძე. ისქანდერ მუნშის ცნობით ამ თანხლებამ შეაშფოთა მაზანდარანს მყოფი შაჰი და ისიც გამალებით გამოეშურა არზრუმის მხარეს. შაჰისათვის სააკაძე იყო

ყორჩიხა-ხანის და ისა-ხან ყორჩიბაშის დამმარცხებელი, ირანის არმიების გამანადგურებელი. ასევე იყო ოსმანთა იმპერიისათვის. შაჰის შეშფოთება სავსებით გასაგებია.

რაც შეეხება ოსმალთა ჯარის შეხვედრას სააკაძესთან, ქათიბ ჩელები საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „მისი მოსელით ჯარი გამხიარულდაო“.

მუსტაფა ნაიმაც საგანგებოდ იმეორებს ქათიბ ჩელების ამ ცნობას. „ზემოხსენებულის ჩამოსელით ლაშქარი ერთგვარად გაძლიერდა და აღფრთოვანდა“. ეს ფაქტი ბევრს გვეუბნება. სააკაძის დიდი სახელი მარტო ოსმალეთის მესვეურთათვის არ ყოფილა ცნობილი. ჯარისკაცთა რიგებშიც შეუღწევია მარტყოფის მძლავრ ექოს. როგორც ჩანს, სააკაძის სახელი ლეგენდასავით დადიოდა და ჯარმაც არ დამალა თავისი აღფრთოვანება. თანაც არზრუმის უიმედო ალყით გაწამებული ჯარისკაცების განწყობილებაც ჩანს ამ ფაქტში. ჯარს გამარჯვების იმედი მიეცა. და ეს არც არის გასაკვირი. მარტო ის რამდენს გვეუბნება, რომ ქათიბ ჩელები და შემდგომ მასზე დაყრდნობით მუსტაფა ნაიმა წარამარა აღნიშნავენ ყორჩიხა-ხანის დიდი არმიის განადგურებას სააკაძის მიერ. მათ ბოლომდე აქვთ გააზრებული ამ გამარჯვების მასშტაბები. ისტორიკოს ნოდარ შენგელიას, ვინც ყოველმხრივ შეისწავლა მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოზე, თანამიმდევრულად და სრულად აქვს მოთხრობილი ყოველივე ამის შესახებ.

არზრუმი აიღეს. აბაზა-ფაშა ტყვედ ჩაბარდა. მივაქციოთ ყურადღება ერთ გარემოებას. მუსტაფა ნაიმას ცნობით „მოურავი მეჰმედ ბეგი გურჯის კარებთან იდგა“. აბაზა-ფაშა კი, ქათიბ ჩელების სიტყვით, ტყვედ ჩაბარებისას სწორედ გურჯის კარიდან გამოვიდა. ე. ი. იგი სააკაძემ ჩაიბარა ტყვედ. ამის შემდგომ მიიყვანეს აბაზა-ფაშა მთავარსარდალთან. ამის შემდეგ მთავარსარდალ ხუსრევ-ფაშას ბრძანებით გიორგი სააკაძემ თორმეტი ქვემეხი „ბაღდადისათვის დიარბექირში გადაატანინა“.

მალე ოსმალებმა სამცხიდან განდევნეს ყიზილბაშები. არ არის გამორიცხული, რომ სააკაძეს აქაც მიეღოს ბრძოლებში მონაწილეობა. თუმცა უამისოდაც კარგად ჩანს, რომ მისი ბრძოლები ირანის წინააღმდეგ, რაც ასე აშფოთებს შაჰს, საქართველოს წისქვილზე ასხამს წყალს.

იმხანად ოსმალეთის მთელი ყურადღება ბაღდადზე იყო მიპყრობილი და სულთანი სააკაძეს ვერ დაეხმარა ჯარით, რათა ის ქართლში დაბრუნებულიყო და თავისი მიზნები განეხორციელებინა. ბაღდადის აღების შემდეგ სულთანი პირდება ამ დახმარებას. მაგრამ ამასობაში მოულოდნელი უბედურება დატრიალდა. სააკაძე ხუსრევ-ფაშას მუხანათობით დაიღუპა. როგორ მოხდა ეს?

ვახუშტი ბაგრატიონისა და ბერი ეგნატაშვილის ცნობით ხუსრევ-ფაშას ცოლად ჰყავდა სულთნის და. ამ უკანასკნელმა ვერ აიტანა ის ფაქტი, რომ მისი ქმარი არზრუმის ბრძოლებთან დაკავშირებით აშკარად დაჩრდილა მოურავის დიდებამ და წერილი მისწერა ხუსრევ-ფაშას, აქ ყველგან მოურავის დიდება ისმის, საქვეყნოდ თავი მომეჭრაო. ხუსრევ ფაშამაც ამიტომ დაასკვნა სააკაძის სიკვდილი. ასეთია ერთი ვერსია.

ბერი ეგნატაშვილი:

„აზამ ვეზირს ხონთქარის დაი ჰყვანდა ცოლად. და, რა ესე ამბავი მოუვიდა ხონთქარსა, იამა დიდად და სახელი და ხმა დაუვარდა მოურავს. მაშინ იწყინა ხონთქარის დამან, რომელი ედგა ვეზირსა, და მისწერა წიგნი: „როგორი საქმე არის და ან როგორ გეკადრებაო, სულ მოურავის სახელი მოდის და შენი არაო". მაშინ უღალატა ვეზირმან: დაჰპატიჟა და ღალატით მოკლა მოურავიცა და შვილებიცა და გამგებელი ქაიხოსრო და, რაცა ჰყვანდა, ყოველივე ამოუწყვიტა".

ვახუშტი ბაგრატიონი:

„მისრულთა ვეზირ-აზამისა თანა ქაიხოსრო და მოურავმან ქუეყანას მას დიდნი სახელი ქმნა მოურავმან და დაიპყრა ქვეყანა იგი, და ესე აუწყეს ხონთქარს. არამედ ცოლი ვეზირ-აზამისა იყო დაი ხონთქარისა. ამან მშმუნვარემან მიუწერა ქმარსა, თვისსა.. „რაი არს ესე, რომელ განდიდა სახელი მოურავისა და არა რაი ისმის სახსენებელი შენი. ამისთვის უმჯობეს არის სიკუდილი შენი ყოფასა შენსა". განრისხდა ვეზირ-აზამი, შეიპყრა ქაიხოსრო, მოურავი და ყოველი ქართველნი მათთანანი და წარკუეთნა ყოველთა თავნი".

ამასვე გვეუბნებიან იოსებ თბილელი და არჩილი.

საგულისხმოა ერთი გარემოება. ვახუშტი ბაგრატიონი და ბერი ეგნატაშვილი არასოდეს არ უარყოფენ იოსებ თბილელის

იმ ცნობებს, რაც მათი აზრით, გვერდაუვლელი სინამდვილეა რიგ შემთხვევებში კი ისინი, განსაკუთრებით ვახუშტი ბაგრატიონი, არ იზღუდებიან იოსებ თბილელით და, როგორც მათ საჭიროდ მიაჩნიათ, ისე ხსნიან მოვლენებს. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ვახუშტი ბაგრატიონისა და ბერი ეგნატაშვილის შეხედულებათა თუ ცნობების თანხვედრა იოსებ თბილელის ცნობებთან ანგარიშგასაწევი არგუმენტია. ამას დავუმატოთ ისიც, რომ სააკაძისადმი მტრულად განწყობილი ფარსადან გორგიჯანიძეც კი მკვლელობის ამ ვერსიას იზიარებს.

გიორგი სააკაძის მოკვლის მიზეზებზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ვცადოთ მათი ერთმანეთთან შეჯერება.

თურქი ისტორიკოსები არ უარყოფენ ხუსრევ-ფაშას შურიანობას და მუხანათობას სააკაძის მიმართ, მაგრამ კონკრეტულ მიზეზად ისინი სულ სხვა გარემოებას ასახელებენ.

როგორც ზემოთ ითქვა, კონიის ოლქში სააკაძემ თავისი კაცი, „ვინმე უსამართლო ხუცესი" გაგზავნა აზნაურთა რაზმებით, თვითონ კი სახელოვანი ბრძოლები გადაიხადა და კიდევ უფრო გაითქვა სახელი.

ქათიბ ჩელები გვიამბობს:

„ხსენებულმა მოურავმა ადრე ყორჩიხა-ხანი დაამარცხა და ამით ოსმალებს დიდი სამსახური გაუწია. შემდეგ ამ სამსახურზე დანდობით სარდალ ხილილ–ფაშასთან მოვიდა და რჯული გამოიცვალა. მაგრამ მმართველობასა და წესრიგში გათვითცნობიერებული არ იყო, ყარამანიაში ზოგიერთ ავაზაკს დაუკავშირდა და მათ მიერ ჩადენილი ჩაგვრა და უწესრიგობა მას დაბრალდა. მოურავი გააფრთხილეს, ხოსროვ-ფაშა სისხლის მოყვარულიაო. შეწუხდა და სხვაგან გადავიდა. მას საიდუმლოდ თვალყურს ადევნებდნენ. არ იცოდა რომელი მხარე აერჩია. აწონ-დაწონა და მალათიისაკენ გაემართა. ზორ-ფაშა დაეწია და თავდაპირველად კაცი გაუგზავნა ბრძანებით. მოურავმა იცოდა, რომ ამ ბრძანებისათვის წინააღმდეგობის გაწევა უსარგებლო იყო და დამორჩილდა. თვითონ ის, მისი შვილი და ქვეშევრდომები შეკრეს, შებოჭეს და საფარის მეთოთხმეტე დღეს ალეპოში მოიყვანეს. დიდვეზირის კარვის ფარდა აიხსნა. პირველად თვითონ შეუსვამთ ცხენზე თეთრწვერა, საშუალო ტანის, ხელებზე ბორკილდადებული, ყვითელ

ხალათში ჩაცმული, შემდეგ კი მისი შვილი და ორმოცი-ორმოცდაათი მხლებელი. ყველასათვის თავები მოუკვეთიათ. ხსენებული სარდალი სისხლის ღოყვარული და დაუნდობელი იყო. სისხლის ღვრის სურვილის გამო, ცრუ ცნობით საქართველოში გაიქცევაო, მან მოაკვლევინა წარსულში ასეთი დამსახურებული გმირი მოხუცი და ამით ირანის შაჰს შური აძიებინა. ამიერიდან ისტორიაში გასაგები ენით ჩაიწერა გაფრთხილება: „არავინ არ მიემხროს ოსმალეთსო“. ირანის შაჰს მისთვის ათასობით ახჩაც რომ მიეცა და ქვეყნები ჩაებარებინა, ძველი ფადიშაჰები ამ საქმეს არ დათანხმდებოდნენ და გონიერად არ ჩათვლიდნენ. ერთმა უვიცმა მოხელემ კი მხოლოდ სისხლის ღვრის წყურვილით ასეთი შეცდომა ჩაიდინა“.

როგორც ვხედავთ, ქათიბ ჩელები არათუ შეცდომად, არამედ უდიდეს დანაშაულად უთვლის ვეზირ ხუსრევ-ფაშას გიორგი სააკაძის მუხანათურად მოკვლას. მისთვის სააკაძე „წარსულში ასეთი დამსახურებული გმირი მოხუცია“. ასეთი გმირის მუხანათურად მოკვლა კი იმდენად თავზარდამცემი აღმოჩნდა, რომ ქათიბ ჩელები არ ერიდება მნიშვნელოვანი საიდუმლო გაგვიმჟღავნოს: „ამიერიდან ისტორიაში გასაგები ენით ჩაიწერა გაფრთხილება: „არავინ არ მიემხროს ოსმალეთსო“. ასეთი იყო მასშტაბი ხუსრევ ფაშას მიერ ჩადენილი მუხანათობისა! ქათიბ ჩელიბის აზრით, ხუსრევ ფაშამ ამ მკვლელობით შაჰს აძიებინა შური სააკაძეზე. ძველი ფადიშაჰები კი ათასობით ახჩის გამოც არ დათანხმდებოდნენ ასეთ საქმეზეო,—დაჟინებით ამბობს ქათიბ ჩელები. იგი უვიც მოხელეს უწოდებს ხუსრევ-ფაშას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხუსრევ-ფაშა დიდი ვეზირი და მთავარსარდალია, სიძე მურად მეოთხისა, და ამოდენა პიროვნების ასეთი სასტიკი მხილება, თუნდაც მოგვიანებით, თავისთავად მოწმობს, რომ ხუსრევ-ფაშას მუხანათობას არ ჰქონდა საზღვარი, თვითნებურად, საკუთარი ინტერესების კარნახით გაწირა მოურავი.

მუსტაფა-ნაიმა კიდევ უფრო განამტკიცებს ქათიბ ჩელების აზრს. როგორც ჩანს, მის დროსაც აღშფოთებას გამოთქვამდნენ ხუსრევ-ფაშას მუ-

ხანათობის გამო. იგი საჭიროდ თვლის დაწვრილებით ილაპარაკოს ამ მოვლენებზე:

„ხუსრევ-ფაშა სისხლის მოყვარული და მუხანათი კაცი იყო. მხოლოდ იმიტომ, რომ სისხლის დაღვრა ეწადა, მან ხონთქარისათვის შეუტყობინებლად, ვითომდა მოურავი საქართველოში წავაო, მოკლა ასეთი გმირი მოხუცი, რომელსაც ესოდენ დიდი დამსახურება ჰქონდა. მოურავმა უარყო თავისი მცდარი რჯული და მაჰმადიანობა მიიღო. ამგვარი მოქმედებით ხუსრევ-ფაშამ ირანის შაჰს შური აძიებინა მოურავზე".

„კიდევაც რომ დადასტურებულიყო, რომ მოურავი ხალხს უსამართლოდ ექცეოდა, ძალდატანებით მოქმედებდა და ჩაგრავდა მათ, მას საზოგადოებრივი უფლებები უნდა ჩამორთმეოდა და გაესამართლებინათ, შემდეგ კი გაფრთხილება მიეცათ, რომ ძალადობა აღარ ჩაედინა. უფრო შესაფერისი და მიზანშეწონილი იყო ასეთი ღონისძიებებით დაკმაყოფილება. ასეთი ღირსეული და სახელოვანი კაცის სიკვდილით დასჯა უდიდესი მუხანათობაა. მაგრამ ნათქვამია, კაცის მკვლელი კაცის ხელითვე მოკვდებაო, თვითონაც მისი ბედის გახდა და მსგავსი სასჯელი მიეზღო".

დავაკვირდეთ ამ ორ ცნობას, ქათიბ ჩელები უდიდეს დანაშაულად უთვლის ხუსრევ-ფაშას სააკაძის მოკვლას. სააკაძის ამგვარი დაღუპვით ოსმალეთისადმი ნდობა საერთოდ ეჭვის ქვეშ დგება. გასაგები ასოებით იწერება ისტორიაში ეს ჭეშმარიტება. ქათიბ ჩელების ცნობას საგანგებოდ იმეორებს მუსტაფა ნაიმაც. და ეს მეტისმეტად ღრმა, ტევადი ცნობაა.

სააკაძე მკაცრ სასჯელს რომ არ იმსახურებდა, ეს თავისთავად ნათელია, მუსტაფა ნაიმა კი თითქოს ასამართლებდეს ხუსრევ-ფაშას, დაჟინებით ამბობს, სააკაძე თუკი მართლა დამნაშავე იყო, უნდა გაესამართლებინათ და საზოგადოებრივი უფლებები ჩამორთმეოდაო. სიკვდილი წარმოუდგენელია მუსტაფა ნაიმასათვის. ვფიქრობ, ნათელია, რომ ეს აზრი მარტო ქათიბ ჩელებისა და მუსტაფა ნაიმას აზრი კი არა, თურქული ისტორიოგრაფიის საერთო აზრია, რაც სულთნის კარზე შემუშავდა იმ დროს. ამ აზრში სწორედ სულთნის კარის აღშფოთება ჰისახა ხუსრევ-ფაშას მოქმედების გამო. სხვაგვარად

ისტორიკოსები ასეთი თავგამოდებული მტკიცების უფლებას თავს ვერ მისცემდნენ.

მუსტაფა ნაიმას ცნობით ისიც ირკვევა, რომ ხუსრევ ფაშა ამ მუხანათური ბუნების გამო სიკვდილით დაისაჯა („მსგავსი სასჯელი მიეზღო“).

მუსტაფა ნაიმას ცნობაში კიდევ ერთი დეტალია საყურადღებო — ხუსრევ-ფაშას სულთნისათვის შეუტყობინებლად დაუსჯია დიდი მოურავი. მან არ შეათანხმა სულთანთან ეს საკითხი („ხონთქარისათვის შეუტყობინებლადო“)—წერს მუსტაფა ნაიმა.

მთავარი ამ შემთხვევაში ხუსრევ-ფაშას — ოსმალეთის დიდი ვეზირის და მთავარსარდლის პირადი ინტერესებია; ქათიბ ჩელები ამბობს, ვეზირმა ცრუ ცნობა გაავრცელა სააკაძე საქართველოში გაქცევას აპირებსო. ხუსრევ-ფაშას მართლაც რომ ჰქონოდა სარწმუნო წყარო მოურავის საქართველოში გაქცევის განზრახვაზე, იგი არავითარ შემთხვევაში არ მოკლავდა მოურავს სულთანთან შეუთანხმებლად. სულთანი მას არ დაუშლიდა სააკაძის დასჯას, თუკი ირწმუნებდა ამ ცნობას. მაგრამ ხელთ არავითარი ცნობა არა აქვს და სულთანთან მოურავის დაბეზღებაც არაგონივრული ეჩვენება. ამიტომ ჩქარობს, სულთანთან შეუთანხმებლად, ცერაგულად კლავს მოურავს. მან იცის, რომ სააკაძის მოკვლისათვის დიდი საყვედური შეხვდება სულთნისაგან, მაგრამ მაინც კლავს, რადგან მისი სახელის ატანა არ შეუძლია. იგი იყენებს მეორე, ასევე უსუსურ ბრალდებასაც (ასე უწოდებენ სააკაძის დაღუპვის მიზეზს ქათიბ ჩელები და მუსტაფა ნაიმა), თითქოს კონიის მოსახლეობას ჩაგრავდა სააკაძის ხალხი. როგორც ცნობილია, კონიაში თავისი წარმომადგენელი გაგზავნა სააკაძემ. კონიას მისი წარმომადგენელი მართავს. სწორად შენიშნავს ისტორიკოსი ნოდარ შენგელია თავის გამოკვლევაში: „ნაიმს არ სჯერა, რომ გიორგი სააკაძეს რაიმე ბოროტმოქმედება და უსამართლობა ჩაედინოს კონიის მოსახლეობის მიმართ“. მართლაც ასეა; ასე რომ არ იყოს მუსტაფა ნაიმა არ იტყოდა: „კიდევაც რომ დადასტურებულიყო, რომ მოურავი ხალხს უსამართლოდ ექცეოდა და ძალდატანებით ჩაგრავდაო“. ე. ი. მუსტაფა ნაიმასათვის ეს მხოლოდ ხუსრევ-

ფაშას მიერ წამოყენებული ბრალდებაა, რაც არავის შეუმოწმებია.

ბრალდება შეთითხნილი საბაბია მუხანათობის მოსახდენად და სხვა არაფერი. ასეთი დასკვნა მომდინარეობს მუსტაფა ნაიმას ცნობიდან.

ძნელია სხვა დასკვნა გამოიტანო შექმნილ სიტუაციაზე: ხუსრევ-ფაშამ ინტრიგა მოუწყო სააკაძეს „მისი კაცებისაგან" მოსახლეობის ჩაგვრა სააკაძეს მიაწერა, მოსახლეობის წარმომადგენლების მისვლა დიდ ვეზირთან, სააკაძის მოხელეები გვჩაგრავენო, აშკარად დადგმული სპექტაკლია, რათა ხუსრევ-ფაშას, ვეზირსა და მთავარსარდალს საბაბი ჰქონდეს ხელთ.

მუსტაფა ნაიმა:

„მაგრამ საქართველოს მმართველობის საქმეებში გაჩვეული მოურავი მაჰმადიანურ სახელმწიფო ვითარებაში კომპეტენტური არ აღმოჩნდა და მის სამმართველოში წესრიგის დამყარების საქმეში მზრუნველობა ვერ გამოიჩინა. ყარამანიაში მას მიეტმასნა ზოგი ბოროტმოქმედი, რომლებიც მძლავრობასა და უწესრიგობას ჩადიოდნენ, სახელი კი მისი იყო. ამიტომ მომჩივნები დიდვეზირს ეახლნენ, მეგობრებმა მოურავს უთხრეს, რომ ხუსრევ-ფაშა მოსისხლე ვეზირია, შეიძლება შენ გაგიმეტოს კიდევაცო. მოურავი საგონებელში ჩააგდეს და წააქეზეს რომელიმე მიმართულებით გაქცეულიყო. ვინაიდან მოურავი ამ ქვეყნის ვითარებას არ იცნობდა, ბსე მსჯელობდა: საქართველოს ლტოლვილი სასურველ ადგილს რომ მოაღწევს, მას მფარველობას გაუწევენ, გამოექომაგებიან და გადაარჩენენ, ასევე ამ ქვეყანაშიაც შესაძლებელი იქნება თავის შველაო. რადგან არ იცოდა გზაკვალი, არ იცნობდა ადგილებსა და ხეობებს, ის მალათიისაკენ გაემართა. ზორ-ფაშა, რომელსაც დაევალა მოურავის დაჭერა, უკან დაედევნა და მიეწია. მან ჯერ ცბიერებით კაცი გაუგზავნა და აცნობა თავისი აზრი, რომ გაქცევით თავის შველა უაზრო იყო და არც წინააღმდეგობის გაწევა იქნებოდა შესაძლებელი. უმწეო მოურავმა გაიგო, რომ წინააღმდეგობის გაწევა უსარგებლო იყო და უნებლიეთ დაემორჩილა".

ყოველად დაუჯერებელია ოსმალეთისათვის თავშეფარებულ გიორგი სააკაძეს თავისი ხელქვეითებისათვის იმის უფლება

მიეცა, რომ მოსახლეობა ეტანჯათ, ჩაედინათ იმგვარი უსამართლობა, რის გამო სიკვდილით დასჯაც კი იქნებოდა მოსალოდნელი. ამ შემთხვევაში უფრო სარწმუნო ის არის, რომ „ყარამანიაში მას ბევრი ბოროტმოქმედი მიეტმასნა“. ისინი ბოროტებას ახდენდნენ, „სახელი კი მისი იყო“. ეს მეტისმეტად საგულისხმო ცნობაა. წარმოუდგენელია, რომ პიროვნება, ვინც შურს არ იძიებს ოჯახის დამაქცევარ ქაიხოსრო ჯავახიშვილსა და ფარსადან ციციშვილზე, სადღაც თურქეთში ხალხის სულთამხუთავად ქცეულიყო, დაუჯერებელია მას არ ეფიქრა იმის შესახებ, ამ უსამართლობას იქნებ ჩვენი დაღუპვაც მოჰყვესო. მაგრამ, როგორც მუსტაფა ნაიმა აღნიშნავს, ბევრი ადგილობრივი დიდებული შურით აღვსილა სააკაძის ამ თანამდებობაზე დანიშვნის გამო. ცხადია, მათ თავიანთი კანდიდატურა აწყობდათ. „ზოგი ბოროტმოქმედის მიტმასნებაც“ არ უნდა იყოს შემთხვევითი. ყველაფერი კეთდება სააკაძის სახელის გასატეხად. აი, რა არის მთავარი. დიდი ვეზირი არც კი იბარებს ოსმალთა სამეფო კარის სასურველ კაცს, დიდ მოურავს თავისთან, თვითვე დაჰკითხავს მომჩივნებს და თვითვე ასკვნის, რომ უსამართლობა დადასტურდა. ამიტომ წერს გაცეცხლებული მუსტაფა ნაიმა, „კიდევაც რომ დადასტურებულიყოო“. დიახ, არაფერიც არ დადასტურებულა. ხუსრევ-ფაშას საქმის საფუძვლიანი გაჩხრეკა კი არა, სააკაძის მოსპობა სწადია. მოსპო კიდეც სულთნისთვის შეუტყობინებლად. ეს ბრალდებები ყოველმხრივ რომ დადასტურებულიყო, სააკაძე მხოლოდ უფლების ჩამორთმევით უნდა დაესაჯათ, წერს ნაიმა. აშკარაა ხუსრევ-ფაშას მიზანი, მან სააკაძე უნდა ჩამოიშოროს გზიდან და რაკი ეს აშკარაა, არც იმის დანახვა ხდება ძნელი, რამ მიიყვანა დიდი ვეზირი ამ გადაწყვეტილებამდე. ძნელია იმის თქმა, ნამდვილად სულთნის დამ წააქეზა თუ არა ვეზირი, ნამდვილად არსებობდა თუ არა ეს წერილი. მაგრამ ერთი კი აშკარაა — ხუსრევ-ფაშა შურით არის შეპყრობილი, ამას ქათიბ ჩელების და მუსტაფა ნაიმას ცნობებიც გვაგრძნობინებენ. ხუსრევ-ფაშას არ აწყობდა დიდი პოტენციის სარდალი თავის გვერდით, ვინც იმარჯვებს იქ, სადაც ხუსრევ-ფაშას უჭირს გამარჯვება, ვისი მოსვლითაც „ჯარი აღფრთოვანდა“. როგორც ეს აღფრთოვანება გვიმჟღავნებს, ჯარი დიდ მოურავს ყველა თავის სარდალზე

მაღლა აყენებდა. გაჩიაშურებული ალყისაგან გატანჯული მეომრების ფსიქოლოგია იკითხება იმ აღფრთოვანებაში. ყორჩიხა-ხანის დამმარცხებლის სახელი სხვაგვარად ისმის სულთნის კარზე და შური ხორსოვ-ფაშასი, ვინც ბუნებით „მუხანათი და სისხლისმსმელი“ იყო, ბუნებრივია.

1979 წელს ჟურნალ „მნათობში“ მკვლევარმა მიხეილ სვანიძემ წამოაყენა ახალი ვერსია სააკაძის სიკვდილით დასჯის თაობაზე. მისი აზრით, სააკაძე შესაძლოა მართლაც ფიქრობდა საქართველოში გამოქცევაზე და იმავე დროს ირანის ცნობილ პიროვნებებთან ჰქონდა დამყარებული კავშირი შაჰის სიკვდილის შემდეგ (1629 წ. იანვარი). მიხეილ სვანიძე იმოწმებს თეიმურაზ I მიერ რუსეთის მეფისადმი მიწერილ ბარათს (1658 წელი), სადაც კახეთის მეფე შენიშნავს, რომ სააკაძეს საქართველოში გამოქცევა უნდოდაო.

სააკაძეს საქართველოში ჩამოსვლა რომ ეწადა, ეს არც ბრის სადაო, მან აკი სთხოვა ჯარი სულთანს „ქართლის დასაჭერად“, არც ის არის მოულოდნელი, რომ შაჰის სიკვდილის შემდეგ ირანში შეცვლილი მდგომარეობა აეწონ-დაეწონა სააკაძეს, მაგრამ ყველაფერ ამაზე მხოლოდ ფრთხილი ვარაუდის გამოთქმის უფლება თუ გვაქვს, ირანთან რაიმე ფარული მოლაპარაკების ეჭვი რომ ჰქონოდა ვეზირს, იგი მით უფრო დაეკითხებოდა სულთანს და მისი ნებართვით მოიშორებდა სააკაძეს. მაგრამ ხუსრევ-ფაშას ხელჩასაჭიდი არაფერი აქვს, ხოლო სულთანის კარზე მის განცხადებას, სააკაძე ირანის ერთგული კაცი იყო და საქართველოში აპირებდა გაქცევასო, შეხვდნენ როგორც „ცრუ ცნობას“. მიხეილ სვანიძის მიერ გამოთქმული ვარაუდები სრულებითაც არ ეწინააღმდეგება მთავარ მიზეზს: ხუსრევ-ფაშა შურისა და თავისი მუხანათური ბუნების გამო კლავს სააკაძეს. ამას სწორედ ის ამტკიცებს, რომ მან თავისი გადაწყვეტილება სულთანს არ აცნობა და რისხვა დაიმსახურა კიდეც ამის გამო.

ამდენად ძალზე ანგარიშგასაწევი მეჩვენება ფარსადან გორგიჯანიძის, ვახუშტი ბაგრატიონის, იოსებ თბილელისა და ბერი ეგნატაშვილის არგუმენტები. იქნებ არც სულთნის დის წერილი იყოს მთლად მოგონილი. ყოველ შემთხვევაში სააკაძის ბიოლოგიტების მიერ არ არის მოხმობილი ეს არგუმენტი.

გარდა იოსებ თბილელისა, ყველა აქ დასახელებული ავტორი კრიტიკულად არის განწყობილი სააკაძის მიმართ. ისინი ასე ადვილად არ გაიზიარებდნენ იოსებ თბილელის ცნობას ხუსრევ-ფაშას შურზე, სულთნის დის წერილზე, მართლაც რომ არ ჰქონოდათ სარწმუნო წყაროები ხელთ. ოსმალეთიდან ამ უბედურების შემდგომ დაბრუნდა სააკაძის და ქაიხოსრო მუხრანბატონის ოჯახი. როგორც ჩანს, მათ დაწვრილებითი ცნობები ჩამოიტანეს სააკაძის დაღუპვის შესახებ. როგორადაც არ უნდა შეელამაზებინათ ახლობლებს დიდი მოურავის აღსასრული, ისინი ისეთ რამეს ვერ მოიგონებდნენ, სიმართლესთან ოდნავ ახლოს მაინც რომ არ ყოფილიყო.

საინტერესოა და გასათვალისწინებელიც არის გიორგი სააკაძის ფსიქოლოგიური მდგომარეობა მთელ ამ სიტუაციაში. „უნებლიეთ დამორჩილდაო", წერს მუსტაფა ნაიმა. დიახ, ზორ-ფაშამ „ცბიერებით გაუგზავნა კაცი მოურავს და დანებება ურჩია". მართალია, სააკაძე გაუფრთხილებიათ, ხუსრევ-ფაშამ იქნებ გაგიმეტოსო, მაგრამ ზორ-ფაშას კაცის მოსვლის შემდევ გადაწყვიტა დამორჩილებოდა. სააკაძეს ვერ წარმოუდგენია, რომ ხუსრევ-ფაშა ასეთ საშინელ განაჩენს გამოუტანს, სულთანთან შეუთანხმებლად! გაწირავს კაცს, ვისაც ასეთი ზარ-ზეიმით შეხვდა სულთნის კარი, ვინც სახელოვანი ბრძოლები გადაიხადა არზრუმთან და დიარბექირთან. სხვაგვარად აუხსნელია ეს „უნებლიე დამორჩილება". რა დანაშაულიც არ უნდა ჩაედინათ მის ხელქვეითებს, ამისათვის დიდი მოურავის სიკვდილით დასჯა წარმოუდგენელი იყო. და სააკაძეც ემორჩილება ხუსრევ-ფაშას ბრძანებას, მას იმედი აქვს, რომ საქმე გაირკვევა. სხვაგვარად ძნელი ასახსნელია ასე მორჩილად დანებებულიყო კაცი, ვინც სამოცი მოლაშქრით შვიდას კაცს ანადგურებდა, ვინც სასწაულებს ახდენდა ბრძოლაში. მაგრამ მოტყუვდა და დასასჯელად გამოყვანილი დიდი მოურავი პირველად და საბოლოოდ შეურიგდა ამ ქვეყნის ამაოებას და მორჩილად მიუშვირა კისერი ჯალათის ნაჯახს. მისთვის ალბათ, უაზრობად განიცდებოდა ყველაფერი, წინააღმდეგობის გაწევა, გაბრძოლება...

განუსაზღვრელმა ძალამ და სახელმა იგი თვითვე გამორიყა სამშობლოდან და აბსურდული სიკვდილი არგუნა. ასე

დაღუპულა არაერთი დიდი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. თვით ჰანიბალი გახდა მასზე ათგზის უნიჭო სარდლებისაგან დევნის მსხვერპლი. ხალხისა და ქვეყნის წინაშე მისი მისია ამოწურული იყო და ბედი თავიდან იშორებდა ახლა მას.

სააკაძე სახელოვანი ადამიანის სახელით დაიღუპა თურქი ისტორიკოსების თვალში და ეს ფაქტი სწორად უნდა შევაფასოთ. ცნობილმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ სააკაძის დაღუპვას სამარცხვინო დასასრული უწოდა. ეს ნაჩქარევი დასკვნაა, რასაც ქართველი ხალხი ვერ გაიზიარებს. როგორც მუსტაფა ნაიმას და ქათიბ ჩელების ცნობები გვარწმუნებს, იგი სახელოვანი, გმირი კაცის სახელით დაეცა, მისი მუხანათურად მოკვლა კი უდიდეს დანაშაულად ჩაეთვალა ხუსრევფაშას. საკითხი დაკავშირებით ჩაწერა ისტორიაში გაფრთხილება: „არავინ არ მიემხროს ოსმალეთს". განა ძნელი წარმოსადგენია, რად უღირდათ თურქ ისტორიკოსებს ამ გაფრთხილების აღნიშვნა, ეს სიტყვები ხომ ოსმალეთის, მისი ხალხის თვისებებს აყენებდა ეჭვის ქვეშ?

პირადად მე სააკაძის ოსმალეთში ტრაგიკულად დაღუპვა მოვლენების კანონზომიერი დასასრული მგონია. გაუტეხელი ნებისყოფისა და ამოუწურავი ენერგიის წყალობით, სააკაძე, ბუნებრივია არ ცხრებოდა, ოცნებობდა საქართველოში დაბრუნებასა და დიდი მიზნების განხორციელებაზე. მაგრამ ობიექტური მიზეზები მისი გეგმების განუხორციელებლობისა იმდენად ძლიერი იყო, რომ ამაო ხდებოდა ყოველი ცდა. საქართველოს შინა სოციალურ-პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობაში სააკაძეს მხოლოდ იმ უდიდესი საქმის გაკეთება შეეძლო, რასაც აღმოსავლეთ საქართველოს გადარჩენა ჰქვია.

სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა XVII საუკუნის საქართველოსი არ უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ _რიგით თავადს, არადიდგვაროვანს, საქართველოს გაერთიანების საქმე ბოლომდე მიეყვანა. ამ საერთო მდგომარეობის დახასიათებას ყოველი დაინტერესებული მკითხველი იპოვის საქართველოს ისტორიის ნარკვევებში, ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, სიმონ ჯანაშიას და სხვათა გამოკვლევებში.

რიგით თავადს ეს არ შეეძლო!

ეს შეეძლო, ალბათ, ძლიერ მეფეს — ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გიორგი ბრწყინვალის ბადალ მეფეს.

მიზეზი ამ შეუძლებლობისა ფეოდალური ინსტიტუტის ძლიერებაში იმარხებოდა უპირველეს ყოვლისა, ფეოდალური ინსტიტუტის გადალახვა კი მხოლოდ ძლიერ მეფეს და საერთოდ მეფის ძალაუფლებას საჭიროებდა. ამას ემატება საქართველოს გართულებული საერთაშორისო ვითარება. დასავლეთ საქართველოს თურქეთი იჩემებდა, აღმოსავლეთს — ირანი. ეს ვითარება ანგარიშის გაწევას ითხოვდა და საქართველოს გაერთიანების მოსურნეს მისი გადალახვაც დასჭირდებოდა. ამდენად XVII საუკუნის საქართველო უფრო ძნელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე დავით აღმაშენებლის ქვეყანა. აქ იმის თქმის უფლება მინდა დავიტოვო, რომ ყველა დიდ შვილს, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, თუკი რიგითი თავადის უფლებებით მოუხდებოდა ასპარეზზე მოღვაწეობა, იმავე გზის გავლა მოუწევდა, რაც გაიარა საკაძემ. რადგან: დიდი შვილის თავგამოდებას ასევე შურითა და მტრობით შეხვდებოდა დიდგვაროვანთა ინსტიტუტი, ასევე არ მოითმენდნენ მეფესთან მის დაახლოებას, დაუვიწყებდნენ ტაშისკარის დამსახურებას, გაიშეტებდნენ მოსაკლავად და თუ თავს დააღწევდა, სამშობლოდან განდევნილს ასევე მონათლავდნენ მოღალატედ; ყველა დიდ შვილს ასევე დასჭირდებოდა საკუთარი ძალების სრული მობილიზება, რომ ზნეობრივად მრთელი გამოსულიყო ურთულესი სიტუაციებიდან და სამშობლო ეხსნა... არ არსებობს სხვა გზა დიდი პიროვნებისათვის XVII საუკუნის საქართველოში. ამ გზის ერთადერთობა მაქვს მხედველობაში. მხოლოდ მეფეს შეეძლო აელაგმა დიდგვაროვანთა განდგომილების სურვილი, დაქუცმაცებისაკენ მიდრეკილი ვნებები, თავგასულობა და თავხედობაც. მხოლოდ ძლიერ მეფეს! სუსტმა მეფეებმა ეს ვერ შეიძლეს.

რიგითი თავადისაგან კი იმაზე მეტის გაკეთება, რაც საკაძემ გააკეთა, შეუძლებელი იყო. მისი მისია ამოიწურა — მარტყოფის ომის ეპოპეით, ქვეყნის ხსნით, შაჰის არმიის გატეხვით. ეს კი უდიდესი საქმე იყო.

ამის შემდგომი მოვლენები, სასურველი მეფის გამონახვის ცდა, ქართლ-კახეთ-იმერეთის გაერთიანების ცდა, ფაქტიურად შეუძლებლობისაკენ სწრაფვა იყო. კანონზომიერად ჩანს თითქოს ის მოვლენაც, რომ ქვეყნის ხსნისა და გადარჩენის ტვირთი XVII საუკუნის პირველ ნახევარში რიგითმა თავადმა იკისრა და არა მეფემ.

შეუძლებლისაკენ მისწრაფება აღმოჩნდა მისი ტრაგიკული აღსასრულის მიზეზი. იგი, ალბათ, ასე უნდა მომკვდარიყო — საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებით, იმედებით აღსავსე; ერთ მშვენიერ დღეს უნდა ეგრძნო, რომ ყველაფერი იყო ამაო. ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი სადღაც შორს, მუხანათურად მოეკლათ დიდი მისიის მტვირთველი კაცი, რადგან მის ფიქრებსა და გეგმებს ისტორია არა და არ აძლევდა შესაფერის კალაპოტს.

• •

გიორგი სააკაძის ცხოვრების სრულად და ღრმად შესწავლის, იმდროინდელი საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარების გათვალისწინების შემდეგ ეჭვისთვის ადგილი არ რჩება. და რაკი გვსურს ჩვენი აზრი გვქონდეს ამ პიროვნების შესახებ, და მითუმეტეს საკუთარი შეხედულება მივაწოდოთ მკითხველს, მოვალენი ვართ ბოლომდე გავიაზროთ გიორგი სააკაძის მიერ გადახდილი ომების მნიშვნელობა, გარკვევით ვიცოდეთ, რა მასშტაბისა იყო ეს ომები, რა მოჰყვა მათ შედეგად, რა ენერგიას მოითხოვდა მათი გადახდა. როდესაც ამ ომების მნიშვნელობა კარგად გვეცოდინება, მაშინ თავისთავად აღიკვეთება ჩვენში სურვილი ადვილად გავკენწლოთ სააკაძის პიროვნება. ადვილად ვენდოთ ამა თუ იმ წყაროს, ნაჩქარევად გავავლოთ პარალელები.

ისტორიკოსთა მიერ რუდუნებით გაწეულ შრომას მეტი დაფასება ეკუთვნის. მათ კი ამ საკითხზე ჩვენზე მეტი და უკეთაც იციან.

გიორგი სააკაძის მიერ გადახდილი ომების ციკლი შეძლებისდაგვარად ერთხელ კიდევ შევახსენე მკითხველს. რამდენიმე შეფასება კიდევ მოვიგონოთ:

აკად. ნიკო ბერძენიშვილი:

„სააკაძეს არ მოუხერხდა თავისი პოლიტიკური იდეების განხორციელება. საქართველოს განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ბრძოლაში იგი დამარცხდა, მაგრამ მისი დამსახურება სამშობლოს წინაშე განუზომელია. გიორგი სააკაძემ იხსნა თავისი პირადი ბედნიერების ფასად საქართველო საშიკვდილო საფრთხისაგან იმით, რომ იგი იყო მთავარი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი 1623-25 წლების გმირული სახალხო ომებისა, რომელმაც აიძულა შაჰ-აბასი ხელი აეღო საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის მოსპობის განზრახვაზე. სწორედ ასე, როგორც სამშობლოსადმი თავგანწირულ ერთგულებას, აფასებენ ქართველი პატრიოტების მომდევნო თაობანი მოურავის საქმიანობას“.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები (მეოთხე ტომი, გვ. 267). „...მტერმა თავისი ძირითადი ამოცანის — ქართველთა გაჟლეტისა და აყრის — შესრულება მაინც ვერ შეძლო. შაჰ-აბასის განაზრახის ჩაშლაში უდიდესი როლი შეასრულა გ. სააკაძის მიერ შესანიშნავად ორგანიზებულმა და მოწყობილმა მარტყოფის აჯანყებამ. ასევე იმ დიდმა ზარალმა, რომელიც მტერს მარაბდაში და შემდეგ ქსნის ხეობაში მოუვიდა. მარაბდის, ქსნის და პარტიზანული ბრძოლების შედეგად ყიზილბაშებმა 30 000-მდე მეომარი დაკარგეს. თუ ამას მივუმატებთ მარტყოფის აჯანყებასა და კახეთში ფეიქარ-ხანის დევნისას გაწყვეტილ ყიზილბაშთა რიცხვს, გამოვა, რომ 1625 წ. ირანის ჯარმა საქართველოში სულ 60 000-მდე მოლაშქრე დაკარგა. ეს მაშინ, როცა ირანის მთელი ლაშქარი 120 000-მდე მეომარს ითვლიდა. შაჰ-აბასი ფაქტიურად დამარცხდა, ქართველებმა კი დიდი მსხვერპლის ფასად გაიმარჯვეს. შაჰ-აბასი იძულებული გახდა ხელი აეღო საზარელი გეგმის განხორციელებაზე“.

ბუნებრივია, საქართველოს ისტორიის ნარკვევების მეოთხე ტომში მოთავსებული ნაშრომის ავტორი გივი ჯამბურია მარტო თავის პირად მოსაზრებას არ გვთავაზობს. აქ ხომ შეჯამებულია ქართული ისტორიოგრაფიის სამ საუკუნე ნახევრის კვლევა აღნიშნული პრობლემისა. ეს მოსაზრება დაკანონებული ვეხედულების სახით არის მოწვდილი.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს არ ვენდობით ისტორიკოსთა მოსაზრებებს და ზოგჯერ ადვილად მივაწერთ საკაძის პიროვნებას შეცდომებს. ჩვენ კი არა გვაქვს უფლება მთელი სიღრმით არ გავიაზროთ დიდი მოურავის მიერ გადახდილი ომების მნიშვნელობა და თუ ქართველ ისტორიკოსებს არ ვენდობით, ჩავიხედოთ ყველა წყაროში და ამის შემდეგ ვამტკიცოთ საპირისპირო. მე საკმარისად მოვიტანე ამ წყაროებიდან ცნობები და თუ გამოვტოვე ზოგი (ვთქვათ, „კალმასობა“, ანტონ კათალიკოსი და სხვა) მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი არსებითად განსხვავებულს არაფერს გვეუბნებიან, ან განწყობილებით დგანან საკაძის მოსაყვედურეთა მხარეზე ან სხვების თქმულს იმეორებენ და მეტისმეტად ტენდენციურნი არიან. ასევე არ მომიტანია საკაძის მადიდებელთა უამრავი აზრი, რადგან ჩემი მიზანი კარგი სიტყვით ცუდის გაბათილება კი არ იყო, არამედ არსებითის, ძირითადის, დანახვა და შეცნობა გიორგი საკაძის ფენომენში. მეჩვენება, ისედაც გადავტვირთე მკითხველის ყურადღება ციტატებით, მაგრამ ჩვენ ისეთი საკითხის განათება დავისახეთ მიზნად, რომ ამონაწერებისათვის ყურადღების მიდევნება გვევალება კიდეც. ისტორიკოსთა წყაროებისა და მოსაზრებების შეჯერებამ კი თვალნათლივ წარმოადგინა ამ პიროვნების მთლიანობა, მისი ცხოვრების მაგისტრალური გზის სიწმინდე და გრანდიოზულობა, წარმოადგინა იგი, როგორც შესაკრებელი ქართველი ხალხის თვისებებისა. ამდენად არა გვაქვს უფლება შეუმოწმებელი მოსაზრების გამოთქმისა.

უპირველეს ყოვლისა, საკაძე არა ჰგავს იმ ისტორიულ პიროვნებებს, ვინც სხვის იმპერიას ემსახურებოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ვინც ერთხელაც არ სცადა მოხმარებოდა თავის სამშობლოს. იცის ასეთი პიროვნებები საქართველოს ისტორიამ. ესენი იყვნენ ადამიანები, რომელთაც ყველაფერი გაიღეს სხვისი ქვეყნის განსადიდებლად. ზოგიც ბავშვობიდანვე მოხვდა უცხო ქვეყანაში და სულიან ხორციანად გათათრდა, ზოგიც პოლიტიკური მოსაზრებით მოღვაწეობდა სხვის კარზე. ფაქტია, რომ არ მოუხერხდათ სამშობლოში დაბრუნება

ან ნებითვე დარჩნენ სხვის სამსახურში, თავი გამოიჩინეს, უდიდესი პოსტი იგდეს ხელთ და თუ საქართველოსათვის არ უვნიათ რა, არც რაიმე გაუკეთებიათ მის საკეთილდღეოდ. მთელი სიცოცხლე გაატარეს სხვაგან და წმინდა რენეგატის ცხოვრებით იცხოვრეს. შაჰმა რამდენიმე ასეთი სახელოვანი ქართველი კაცი იმსახურა ბოლომდე. ზოგიც უბრალოდ წაგლიჯა ხელიდან საქართველოს მეფეებს. მაგალითად აბელ ანდრონიკაშვილი, ვინც ვერ შეიძლო შაჰის კლანჭებიდან თავის დაღწევა და სამშობლოში ჩამობრუნება. ბევრი ისე ჩავიდა სამარეში, რომ არც უცდია სამშობლოსათვის ემსახურა. ისეთებიც იყვნენ, სხვისი ქვეყნის ბედ-იღბალს რომ განაგებდნენ ათეული წლების მანძილზე და ერთხელაც არ გამოუწვდიათ ხელი თავისი ქვეყნის საშველად. მათ შვილიც კი შეწირეს სპარსეთსა და ოსმალეთს. მაგრამ რამოდენა განსხვავებაა იმ საბრალო შვილებსა და პაატას შორის, ვინც საქართველოს დახსნას შეეწირა.

ამდენად მე ვერ დავეთანხმები ვერც ლევან გოთუას მოთხრობის „უგზო ქარავნის“ მხატვრულ კონცეფციას და ვერც კრიტიკოს აკაკი ბაქრაძეს, ვინც ეს კონცეფცია კიდევ უფრო გაამკვეთრა. ორივე მწერალი უჯანსაღესი სულისკვეთების გამომხატველნი არიან, შეუვალი, უშეღავათო მამულიშვილობის აპოლოგეტები. მაგრამ ისინი ფაქტიურად უტევენ სხვის სამსამსახურში ჩამდგარი ქართველი კაცის გაორებულ ბუნებას. მათი პათოსი სავსებით გასაგებია და თანაგრძნობასაც იმსახურებს, მაგრამ უნებურად სულ სხვა პიროვნებას მიაყენეს ჩრდილი.

გიორგი სააკაძე მტრის სამსახურად თავისი სურვილით არსად არ წასულა. გვმართებს ერთმანეთისაგან განვასხვავოთ საკუთარი სურვილებითა და იძულებით მოქმედება. თითქმის ორმოც წელს მიტანებული სააკაძე საქართველოს და მხოლოდ საქართველოს ემსახურება. მოიგო ტაშისკარის დიდი ომი, სხვა დამსახურებას თავი რომ დავანებოთ, გარკვეული მიზეზების გამო მას დაუპირისპირდა დიდგვაროვანთა ინსტიტუტი და სასიკვდილოდ გამეტებული გადაიხვეწა ირანში.

სააკაძეს არ ჰქონია „ორშოლტიანი მათრახი“, რითაც ხან თავისიანებს სცემდა, ხანაც მტერს. იგი იძულებული იყო დრო-

ებით თავი შეეფარებინა შაჰისათვის და განუწყვეტლივ ზრუნავდა ზნეობრივად მთელი გამოსულიყო დახლართული სიტუაციებიდან. ხომ ფაქტია, რომ ზნეობრივად მთელი გამოვიდა, ხომ ფაქტია, რომ მოუგო დიპლომატიური ომი შაჰს და გაუნადგურა არმია. სწორია აკაკი ბაქრაძე, როდესაც ამბობს, რომ „ქვეყნისა და ხალხის სამსახური უანგარობას მოითხოვს, უპირველეს ყოვლისა, უანგარობას და ტრაგიკულ თავგანწირვას“. მაგრამ ნუთუ მტკიცება უნდა იმას, რომ უანგარობამ და მხოლოდ უანგარობამ შეაძლებინა სააკაძეს მარტყოფის ომის გადახდა, შვილის გაწირვა, თავის გაწირვა.

ჩვენ რიგ შემთხვევაში მართლაც გვავიწყდება ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის მნიშვნელობა და საკუთარი პოლიტიკური მოსაზრების დასამტკიცებლად ვიყენებთ ამა თუ იმ ყრუ ცნობას. თუ ეს არა, მაშინ გაურკვეველია აკაკი ბაქრაძის განცხადება თითქოს „სააკაძეს დუღაბის ძალა არ ჰქონდა ზურაბივით, რომელმაც სურამის ციხე, როგორც თავისუფლების გოდოლი, შეკრა“. ვინც სრულყოფილად იცის მარტყოფის ომის მნიშვნელობა, პაატას შეწირვის ფაქტი, განა შეუძლია ეჭვის ქვეშ დააყენოს სააკაძის „დუღაბის ძალა“? თუ არა სააკაძემ, მაშ ვინ შეჰკრა ერთ მდინარედ ქართლ-კახეთი უფსკრულის პირას, ვინ დასძრა ხალხის კოლოსალური ენერგია, ვინ მიაყენა ძლიერი დარტყმა შაჰის არმიებს? ყოფნა-არყოფნის სასწორის საქართველოს საკეთილდღეოდ გადმოხრა ხომ სააკაძის „დუღაბის“ დამსახურებაა და არა ორშოლტიანი მათრახის „წალმა-უკუღმა“ ქნევისა?

სააკაძეს ჰქონდა მკვეთრად გამოკვეთილი ისტორიული მისია. 1612 წლამდე მას არსად არ გაუხრია გზა. იცავდა თავის ქვეყანას, სანამ არ აიძულეს გადახვეწილიყო. სად არის აქ საკუთარი გზის უცოდინრობა. შაჰის პოლიტიკური ინტრიგებიდან თავი დააღწია და ქვეყანა იხსნა, ხელი ააღებინა შაჰს საშინელ განზარხვაზე. ამ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებს ადვილად უვლის გვერდს ლევან გოთუა და ყველაფერზე მაღლა ბაზალეთის ომში დადებულ ცოდვას აყენებს. მაგრამ იმ უდიდესი ომების მოგება უგზოდ მავალი ქარავნით შეიძლება? მარტყოფის ომის ეპოპეა, მარაბდის, ქსნის ბრძოლები და პარტიზანული ბრძოლების ციკლი, ირანთან ოსმალეთისა და

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების დაპირისპირება — ეს მკაცრად ორგანიზებული მოღვაწეობა უგზო ქარავნის სინონიმად გამოდგება?

ეს არის არასწორი მხატვრული ინფორმაცია.

„უგზო ქარავანი" გვხიბლავს თავისი დიდი სევდით, დიდი მოურავის უცხო მიწაზე დაღუპვის ტკივილით, რაც შეეხება სააკაძის ცხოვრების გზის განსჯას, იგი მეცნიერულ მონაცემებს არ ეყრდნობა, მხოლოდ სუბიექტური განწყობილებით არის ნასაზრდოები.

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მინიშნებაც „რაღაც საჩოთირო ნაბიჯებზე" ასევე ინერციის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ. ბუნდოვანია ამ ფრაზის შინაარსი, ოდითგან მომდინარე ეჭვისათვის ანგარიშის გაწევას გულისხმობს იგი.

დავუბრუნდეთ მერაბ ბერძენიშვილის შესანიშნავ ქანდაკებას. ერთი ვერსიის მიხედვით სააკაძე სუსტი პოლიტიკოსი იყო, ტყუვდებოდა შაჰისა და სულთნის გეგმების ამოცნობაში და ბრმად ენდობოდა მათ. ამ შეხედულების გავლენის კვალი ჩანს მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკებაში. მოქანდაკეს ყურადღება გადააქვს თავისი გმირის ძლიერ ფიზიკურ ენერგიაზე, მთავარსარდლის შემართებაზე, ხმალში განივთებულ ხსნის ძალაზე. მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ქანდაკების პროპორციები დარღვეულია, თავი ოდნავ პატარაა. საინტერესო წიგნში, მერაბ ბერძენიშვილმა ამას წინათ რომ გამოსცა, თითქოს მინიშნებულია ქანდაკების ამ დარღვეულ პროპორციაზე. თითქოს თვითვე ეხამუშება რაღაც თავის ნაწარმოებში მოქანდაკეს.

სააკაძემ აწარმოვა დაძაბული დიპლომატიური და პოლიტიკური ბრძოლა შაჰის წინააღმდეგ, მოადუნა მისი ყურადღება და მარტყოფის ომით მოიპოვა სრული გამარჯვება. განა დიდი პოლიტიკის გარეშე შესაძლებელია ამოდენა აჯანყების მომზადება და შაჰისათვის იმგვარი ზარალის მიყენება, ორმოცი წლის მანძილზე რომ არ უნახავს ირანის ვეებერთელა სახელმწიფოს? განა ამ აჯანყებამ ფეხზე არ დააყენა აღმოსავლეთის პოლიტიკური აზრი? განა მართებული იქნება ამ პოლიტიკის მესაჭე სუსტ პოლიტიკოსად გამოვაცხადოთ? ამას დაუმატეთ ოსმა-

ლეთის სარდლობისათვის შეთავაზებული ირანის დამარცხების დიდებული გეგმა (იბრაგიმ ფეჩევი).

სააკაძის ბოლიტიკის ნაყოფი იყო ხოსრო მირზას კანდიდატურის წამოწევა. ხოსრო მირზა შემდეგ ქართლის მეფე გახდა და პერიოდი მისი მეფობისა ხასიათდება ჩვენი ქვეყნის ერთერთ ბედნიერ ხანად, ხოსრო მირზას პოლიტიკური შესაძლებლობები კი თავიდანვე შენიშნა სააკაძემ და დაეხმარა მას ბსპარეზზე გამოსვლაში. მართალია, სიცოცხლეში სააკაძემ ვერ იხილა ხოსრო მირზა ქართლის ტახტზე, მოვლენები იმგვარად დატრიალდა, რომ ხოსრო მირზას თავისი მწყალობელის წინააღმდეგ მოუხდა ბრძოლა, მაგრამ პოლიტიკა ერთ დროს მაინც იჩენს თავს და ის იმედები, რასაც ხოსრო მირზას (იგივე როსტომ მეფე) უკავშირებდა სააკაძე, სავსებით გამართლდა.

სააკაძის მხედართმთავრული და მეომრული ძალმოსილება იმდენად ეფექტურია, რომ იგი ჩრდილავს ჩვენს თვალში მის პოლიტიკურ მოღვაწეობას. თანაც პოლიტიკა არასდროს არ დევს ზედაპირზე, მაგრამ თუ დასკვნის გამოტანას შევეცდებით, მოვალენი ვიქნებით ღრმად გავსინჯოთ მოვლენები. მაშინ დავინახავთ, რომ უსაფუძვლოდ არ მიიჩნევენ ისტორიკოსები და მწერლები შესანიშნავ პოლიტიკოსად კაცს, ვინც XVII საუკუნის პირველ ნახევარზე განუსაზღვრელი გავლენა მოახდინა.

ეჭვებისა და ცილისწამების ნაჩქარევი დასკვნების ანალიზმა ამ წიგნის წამკითხველს, შესაძლოა, ისეთი წარმოდგენა შეუქმნას, თითქოს სააკაძის სახელი მარტოოდენ ამ უარყოფით მოსაზრებათა ბურუსში იდგეს. სინამდვილეში პირიქითაა, იმდენად დიდია სიყვარული და რწმენა სააკაძისადმი, რომ შიგადაშიგ გამოთქმული უარყოფითი მოსაზრებანი ამის გამო უფრო აშფოთებს ქართველი კაცის სულსს მას არ უნდა პატარა ლაქაც კი ეცხოს სააკაძის სახელს. არჩილიდან და იოსებ თბილელის „დიდმოურავიანიდან“ მოყოლებული, ისტორიკოსთა ნაშრომებზე რომ არაფერი ვთქვათ, სააკაძის მამულიშვილური საქმეები მრავალგზის ყოფილა აღნიშნული და შექებული.

ოღონდ ის სურვილი ქართველი კაცისა, ერთი ლაქაც კი არ ეცხოს სააკაძის სახელს, საჭიროებს კომენტარს. ჩვენი რწმენა და სიყვარული ბრმა არ უნდა იყოს. სააკაძეს მოსდიოდა

შეცდომები, მაგრამ არა იმ მასშტაბისა, მოწინააღმდეგენი რომ მიაწერდნენ. ჩვენ გვმართებს გაცნობიერებული სიყვარულით გვიყვარდეს დიდი მოურავი და გვიყვარდეს იმ შეცდომებითურთ, რაც მას მოსდიოდა, როგორც კაცს, როგორც ქართველს. ეს შეცდომები მისი დიდი დამსახურების გვერდით იქნებ არც იყოს სახსენებელი, მაგრამ თუ ვინმე აღნიშნავს, ამან სულიერი ტრავმა არ უნდა მოგვაყენოს. გაცნობიერებული სიყვარული კი მიწერილი ცოდვების ჩამოშორებას თავისთავად გულისხმობს.

და ვინ იცის, შესაძლოა, დღეს ბევრი უსიამოვნო ხმა არც გაგვეგონა, რომ რამდენჯერმე გამოცემულიყო თავის დროზე საჭირო წინასიტყვაობითა და კომენტარებით ანტონ ფურცელაძის წიგნი დიდ მოურავზე. ეს წიგნი ახლა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის ქცეული. ანტონ ფურცელაძემ, როგორც ამას აღნიშნავს ვახტანგ კოტეტიშვილი, პირველად ჩამორეცხა ლაქა გიორგი სააკაძეს. ანტონ ფურცელაძის წიგნი ყურადღებას იქცევს იმით, რომ მასში განხილულია ყველა ის ბრალდება, რაც სააკაძეს წაუყენეს თანამედროვეებმა და შთამომავლობამ. მან გაარკვია ბევრი ბრალდების უსუსურობა, მათი წარმომავლობა და ამით შეიტანა გარკვეული სინათლე ერთმანეთის გამომრიცხავ შეხედულებებში. მართალია, ანტონ ფურცელაძე ხელაღებით აქებს გიორგი სააკაძეს, მაგრამ ეს არ ანელებს წიგნის სარგებლიანობას. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, წყაროების მიმართ დამოკიდებულებაც და კვლევის მეთოდებიც, ახალი წყაროებიც იქნა მოპოვებული, ახალი ნაწარმოებებიც დაიწერა, რასაც შეჯერება და განხილვა სჭირდება, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, ბევრი მწერლისა და მკვლევარის ნაწარმოებსა თუ ნაშრომში არ გაჩნდებოდა ის ორჭოფული დამოკიდებულება, ანტონ ფურცელაძის წიგნი ხელმისაწვდომი რომ ყოფილიყო. სააკაძის ბევრ უარყოფით შეფასებაზე ანტონ ფურცელაძის წიგნში იპოვიდა დამაჯერებელ პასუხს მკითხველი. მართალია, ანტონ ფურცელაძე აბსოლუტურ აპოლოგეტად გვევლინება და ამით უნდობლობას ბადებს თავის თავის მიმართ, მაგრამ წიგნი მაინც საინტერესოა და შესაფერისად კომენტირებული. ეს წიგნი მკითხველმა უნდა მიიღოს.

სააკაძის მოღვაწეობით აღფრთოვანებულია აკაკი წერეთელი, ხოლო როგორ აქვს გააზრებული დიდი მოურავის ბედი ვაჟა-ფშაველას, ეს უკვე დავინახეთ. ქართველი პოეტების ტიციან ტაბიძის, კოლაუ ნადირაძის, ირაკლი აბაშიძის, ოთარ მამფორიას და სხვათა პოეზიაში გიორგი სააკაძის ფენომენი არაერთხელ გაიელვებს ხოლმე, როგორც ქართველი ხალხის თვისებათა შესაკრებელი.

მაგალითად საქართველოს ისტორიის გააზრებად აქვს თქმული ტიციან ტაბიძეს:

ეჭ რომ მღეროდა რუსთაველი, ვინ გააჩუმა,
ეჭ რომ იბრძოდა სააკაძე, ვინ გააკავა.

თავისთავად ჩანს, რა სიმაღლეებია ნაგულისხმევი ამ ორ ფენომენში — ერთში ერის სულიერი კულტურის მდინარეობა, მეორეში ხალხის ენერგიის განსახიერება. ქართველი ხალხის პოტენციის ორი პოლუსია თითქოს მოხილული ტიციან ტაბიძის მიერ.

„და როგორც მოსეს, სააკაძეს ხმლით გაუკაფავს“ — ამბობს სხვა ლექსში ტიციანი. აქაც მხსნელის, მესიის ფუნქციაა დანახული გიორგი სააკაძის პიროვნებაში.

თუნდაც უბრალო ლიტერატურულ გასამართლებაზე ივანე გომართელის მიერ წარმოთქმული სიტყვა მოვიგონოთ. როგორ აქვს ახსნილი სიტყვის ავტორს გიორგი სააკაძის დამსახურება!

ჯერ კიდევ არ არსებობდა ფილმი გიორგი სააკაძეზე — მისი ცხოვრების პოლოგია ეკრანზე, რომ 1935 წელს გიორგი ლეონიძემ სოფელ ჯუთაში აღმოაჩინა შოთა თათარაშვილის მიერ ჩაწერილი ერთი ფრაგმენტი და ერთი მთლიანი ლექსი.

ფრაგმენტი:

...წინ წინ გიორგი ყოფილა
ძველთა თავადთა მტერიო, —
სააკაძის ძახილან, —
ჯერ ზეფის ალაგ სჭერიო, —
ზემრე ყოფილა თორღვაი
ეფრთხობდა ცხვარს რო მგელიო!

მთლიანი ლექსი:

წმინდა გიორგის სეხნიაე,
რისხვა ხარ თათრის რჯულისა,
ჩვენს მხსნელად მოვლინებულო,
გამბარევ საწყალ გულისა!

გებრალვის ქვრივი, ობოლი,
ამშენებელი სოფლისა,
როცა სჭირს, მეფეს პატრონობ,
სახლშიც დამღერელი ოფლისაl
არას გისვენებს ბარათა,
ვეზირ თავადის შვილნია,
ჩვენი რომა ხარ, ისა ჰკლავთ,
თვალზედ არა აქვთ ძილია.
გაკაჟდი ჩვენო გმირთ გმირო,
მთას გულში ჰყავხარ ხატადო,
ღალა შენა ხარ, — ცხონი კი
არ ღირან ჩალის ფასადო!
უებარი ხარ ბრძოლაში
ყველგან გამტანი ლელოსი.
მინდიამც დაგენაცვლების, —
გმირი ხარ საქართველოსი!

იქვე ჩაუწერიათ ლექსი ბარათა ბარათაშვილზე — სააკაძის მტერზე. ამ ლექსებში გამჟღავნებულია ხალხის პოზიცია.

ამდენად, არ არის სწორი ის მოსაზრება, თითქოს სააკაძეზე ხალხური ლექსები არ შექმნილა. ფოლკლორისტებმა შესანიშნავად იციან, რომ ხალხური ლექსები ბევრი დაგვეკარგა და თუ ზურაბ ერისთავზე შემოგვრჩა, ეს იმიტომ, რომ ხალხური პოეზიის ყველაზე დიდ კერას — ფშავ-ხევსურეთს, სულ თვალწინ ედგა პირსისხლიანი მტარვალი ზურაბის სახით. ცნობები კი გვეუბნებიან, რომ სიმღერებს სააკაძეზე ხშირად გაიგონებდით თბილისში, ისპაჰნსა და სტამბოლში. არავითარი საფუძველი არა გვაქვს არ ვენდოთ ამ ცნობებს. ხოლო მუსტაფა ნაიმას საგანგებოდ მოჰყავს სააკაძეზე გამოთქმული ერთი ლექსის შინაარსი, რითაც ირკვევა, რომ კონიის დიდებულები შურით ავსილან მოურავის გამგებლად დანიშვნის გამო.

ესეც არ იყოს, განა არჩილის პოემის უმთავრესი ნაწილი სააკაძის დამსახურების აღწერას არ ეხება, განა ამ პოემაში არ გვხვდება ის დიდი სიტყვები: „ესე საქმე მოურავმან უცხო ქმნა და საკვირველი". განა ეს არ არის დიდი ლიტერატურული ცხოვრების დასაწყისი? „დიდმოურავიანი" ხომ გიორგი სააკაძის ბიროვნებას ეძღვნება. მე საგანგებოდ არ დავეყრდენი ჩემი მტკიცებისას „დიდმოურავიანს". არა იმიტომ, რომ იგი არ არის სანდო, არამედ იმიტომ, რომ დავეწახა, ამ წყაროს

გარეშეც რომ ხერხდება გიორგი სააკაძის დამსახურების გარკვევა. რადგან მის მხარეზეა ქართული და უცხოური წყაროები, სიგელ-გუჯრები, მოგზაურთა ჩანაწერები. რაც შეეხება „დიდმოურავიანს“ როგორც ისტორიულ წყაროს, დღეს საბოლოოდ გარკვეულია, რომ იგი იშვიათი სიზუსტით გამოირჩევა. რიმა ფირცხალეიშვილი თავის ნაშრომში „იოსებ თბილელი და მისი „დიდმოურავიანი“ თანმიმდევრული კვლევით გვისურათებს ამ წყაროს სანდოობას და ასკვნის:

„იოსებ ტფილელი არ არის პირდაპირი მემკვიდრე გიორგი სააკაძისა (მოურავიშვილი). ეს ფაქტი გვაძლევს საფუძველს უფრო მეტად ვირწმუნოთ მის პოემაში წარმოდგენილ ცნობათა ობიექტურობა და საბოლოოდ უკუვაგდოთ უკვე მოძველებულად მიჩნეული აზრი „დიდმოურავიანის“ „მიდგომილობით“ დაწერის შესახებ. ტფილელის პოემაში მართლაც იგრძნობა „მიდგომილობის“ კილო, მაგრამ არა ვიწრო ნათესაური „მიდგომილობისა“ — შვილიშვილისა პაპის მიმართ (ამგვარი ნათესაური მიმართება, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მათ შორის არც ყოფილა), არამედ დიდი პრინციპული „მიდგომილობისა“. ესაა პოეტი-მოქალაქის აღფრთოვანება მამულიშვილური გმირობით, რაც დროთა სვლის ყველა ეტაპზე ზნეობრივ ნიმუშად რჩება, და მწვავე სინანული, რომ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას მოწყვეტილი და სამშობლოდან განდევნილ იქნა გმირი, რომლის შემართება და მხედართმთავრული ნიჭიერება ესოდენ სჭირდებოდა მტერმოძალებულ მის სამშობლოს“.

ჩვენს დროში კი შეიქმნა ვასილ ბარნოვის ღრმად გააზრებული რომანი. რომანი დაწერა აგრეთვე სიმონ ქვარიანმა. ხოლო საკავშირო მკითხველის დაინტერესება გამოიწვია ცნობილი რუსი მწერლის ანა ანტონოვსკაიას ეპოპეამ „დიდმა მოურავმა“.

თეატრებში იდგმებოდა პიესები სააკაძეზე, მიხეილ ჭიაურელმა გადაიღო ორსერიანი ფილმი, რომელმაც მრავალი ქვეყნის ეკრანი მოიარა.

შეიქმნა ბევრი ლექსი, პოემა, წერილი თუ ნარკვევი, სადაც სააკაძე მთელი თავისი ბრწყინვალებით ჩანს.

მაგრამ მაინც არ ისვენებს ეჭვი, შეშფოთებულია მკითხ-

ველის სული და იმდენად შეშფოთებული, რომ სააკაძის პრობლემის უყურადღებოდ მიტოვება ყოველნაირად გაუმართლებელი ხდება.

მითქმა-მოთქმა აეჭვებდა ამ წიგნის ავტორსაც წლების მანძილზე და დაეჭვებამ მიკარნახა შემესწავლა მთელი ისტორია სააკაძის ფენომენისა. ფაქტებისა და წყაროების ლოგიკამ ზემოთ გამოთქმულ დასკვნამდე მიმიყვანა და თავისთავად ჩამაყენა იმათ კვალში, ვინც სააკაძეში, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის მხსნელს ხედავს.

მაგრამ სიმართლის გარკვევის გარდა ამ წიგნს სხვა დანიშნულებაც აქვს.

გიორგი სააკაძის ფენომენი და მის გარშემო დატრიალებული მოვლენები გვიდასტურებენ, თუ რა ფარულ ენერგიას ფლობდა ქართველი ხალხი. გარეგნულად იგი მოტეხილი, ჩვრად ქცეულ მასად ჩანდა. ამ გარეგნულმა ნიშნებმა შაჰი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ შესაძლებელი იყო აღმოსავლეთ საქართველოს აყრა და აქ თურქმანული ტომების ჩამოსახლება. მაგრამ სააკაძის მიერ გადახდილმა ომებმა მოულოდნელად აგრძნობინა ყველას იდუმალება ქართველი ხალხის სიმტკიცისა. ამ ენერგიის იდუმალების გასაღები მიუკვლეველი დარჩა. იგი, უბრალოდ, საჭიროების შემთხვევაში გამოვლინდა. იქვე დაიბადა რწმენაც მისი მარადიულობისა. რწმენა იმისა, რომ ხალხი თავის თავში ატარებს უდიდეს ჭირში გამძლეობის უნარს. ეს იყო არსებითი. რაში მდგომარეობს ეს ენერგია, რად არ ჩანს დრომდე და რად არ იხარჯება უფრო ღირსეული არსებობის მისაღწევად, ამ საიდუმლოს ამოხსნა დაკვირვებით არავის უხერხდება. იგი არ ემორჩილება ანალიზს.

აი, ამიტომაც არ ეხსნება ქართველი კაცის ფიქრი გიორგი სააკაძის ფენომენს.

მარტყოფის ეპოპეა, რაც გულისხმობს მარაბდის, ქსნის ომებს, ურიცხვ პარტიზანულ ბრძოლებს, არის შესაკრებელი ქართველი ხალხისა და მისი დიდი შვილის თვისებებისა, ქართველი ხალხის ენერგიის სადინარი, რამაც აღმოსავლეთ საქართველო დაგვინარჩუნა. ჩვენს ფიქრს მართებს ამ სიმაღლესთან ტრიალი და იქიდან დანახვა ყველაფრისა, რაც კი გიორგი სააკაძის მიერ გადახდილი ომების ციკლსა და დიდ საქმეებს უკავშირდება.

სარჩევი

წინასიტყვაობა
სულო აღმაშენებელი
გიორგი სააკაძის პიროვნება

ДЖАНСУГ НИКОЛАЕВИЧ ГВИНДЖИЛИЯ

Душа Созидающий

Личность Георгия Саакадзе

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1987

რედაქტორი თ. ტურიაშვილი
მხატვარი დ. დუნდუა
მხატვრული რედაქტორი გ. ტუხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზ. გვიმრაძე
გამომშვები მ. წივწივაძე

გადაეცა წარმოებას 02.10.86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.12.86. საბეჭდი ქაღალდი № 1, 84×108 1/32. გარნიტურა ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 44,1. პირ. საღ.-გატ. 44,1. სააღრ.-საგამომც. თაბახი 40,44. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 1969.

ფასი 2 მან. 00 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли пр. Дружбы № 7.